ედემ იზორია

გეორგიული თეორია



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2020

ედემ იზორია

გეორგიული თეორია ანუ პირობითრეფლექსური ბუნებით ადამიანური აზროვნება-მეტყველების ჩასახვა და, ხმაბაძვით, ენების წარმოქმნა

© ე. იზორია, 2020

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიბარვასაის №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-719-2

EDEM IZORIA

Georgian Theory
(Announcment)

With the help of my modest studies, it was found that Georgian languages are the root of human languages. Precisely those rootstock elements from where Georgian Languages grew are common for Georgian and Indo-European languages. That is to say that Ethno genesis of Indo-European, the Caucasian and Georgian people, has been built on the same root. Language is a conditioned reflex. However it's paradox that the world of science was trying to explain a mecha-nism of conceiving conditioned reflex phenomenon, determined firmly by Pavlov and Pavlovians, in any direction but not on his own conditioned reflex nature. While the speech and any kind of ability, knowledge and experience gained through our life as conditioned reflexes are impossible to emerge without conditioned reflex factors.

I must say that, we immediately separated the conception and birth of speech from his subsequent genesis: As the embryo at the moment of birth has already gone the qualitatively different prenatal development rather than the child till adulthood; exactly, the same way the conception and birth of the speech occurred by the conditioned reflex nature and then that very simple speech formed as a language by the voice imitation nature, that's why conception of speech is the prerogative of physiology, biology and psychology and voice imitation is the prerogative of linguistics because phonetic or other linguistic regularities set in motion. However, the conception and birth of the speech and later the formation and development of it as a language needs the comprehensive approach using achievements of all sciences. For example according to ,,Probability Theory" which is a branch of mathematics, sounds have an equal chance(arrival) to get into the word. If in some categories of words there is frequency of some sounds, according to ,,Probability Theory" this fact doesn't happen without reasons. For instance: In Kartvelian Languages, words meaning suck necessarily contain sound ,,(ɓ)ts" because during sucking nipple is put between front tongue and cuticles and suck in and suck out movement of tongue sounds (ɓ)ts.....(ɓ)ts. Thus suck in and suck out in itself means saying of (ɓ)ts phoneme, which led to the formation of sound ts as

speech conditioned reflex. Similarly swallowing occurs by making a sound (ɣ)k ... (ɣ)k. That's why in the names of food objects, eatable plants and in particular with the names of the anatomical organs of throat area there is high frequency of using sound ,,(ɣ)k' sounds (ɓ)ts and (ɣ)k are initially specialized : the sound ,,(ɓ) ts" forms phonetic and semantic (p. s.) groups which are related to the milk, water, in generally to the liquid. and sound (ɣ)k is related to the words expressing swallowing and other anatomical area of throat- for clarity name the group of f derived from (ɓ)ts: Megrelian. (ɓ)tsa, // (ɓ)tsari, > (ɓ)tsali „fondly water"; Megr. Geo. (ɓ)tskari // (ɓ)tskali; Abkh. (ԁ)dzaa (< (ɓ)tsa // a-(ԁ)dze (< (ɓ)tse*) // a-(ԁ)dzᵹ (< (ɓ)ᵹ*) „water"; Georg. // Megr. (ɓ)tsa >) (ʒ)tsa ,,sky" Geo. (ʄ)cha < (ɓtsa) // Megr. (ɓtsa >) in-(ʄ)cha „well"; Geo. Megr. (ɓtsu-(ɓ)tsu* >// (ԁ)dzu-(ԁ)dzu ,,breast;" rddze < r(ɓ)tse* ,,milk;" Megr. (ɓ)tsa-(ɓ)tsa „liquid." From here is derived ino-(ɓ)tsa-(ɓ)tsa-fa „Putting something into the liquid" and the same meaning > ino-(ʒ)tsa-(ʒ)tsa-fa; Megr. (ɓ)tsima > „pouring;" Geo. (ɓ)tsvima >// Megr. (ʄ)chvema ,,rain;" Megr. (ɓ)tsᵹ* > (ʒ)tsᵹ(m) „drew;" Geo. (ɓ)tsveti > // Megr. (ʄ)chveti // (ɓ)tsvati > // (ʄ)chvati > (ʒ)tsvati (drop); megr. (ɓ)tsa „fondly water"; > Geo. tba (< bta* < b(ɓ)tsa* < (ɓ)tsa); Megr. (ɓtsᵹ* >) tᵹ „udder, breast"; Geo. (ɓ)Tsur-va // < Megr.(ɓ) tsir-ua,,liturgy"; Geo. (ʒ)tsuri „udder"< (ɓ)tsur-i < sa-(ɓ)tsur-i „strainer"); Georg. Megr. (ɓ)tsova // (ɓ)ts-ua-la „suck"; (ɓ)tsu-(ɓ)ts-na „suckle // sucking by expressing sound ɓ(ts) „// Megr. (ɓ)tsu-r-(ɓ)ts-ua; Rus. Sosa-t „sucking" Sosun „sucker; Soska „dum.teat" c-c < (ɓ)ts-(ɓ)ts; Tit-ka T-t < (ɓ)ts-(ɓ)ts; Lat. Su-go „suck, sak," s-g < (ɓɣ)tsk; Eng. To Su-ck. „sucking." s-k < (ɓɣ)tsk; „child who sucks;" Germ. Saugen „sucking"; Sauger „baby's dummy". s-g < (ɓɣ)tsk; Geo. (ɓ)tsvela // > Megr. (ʄ)chvala; Rus. Сцедивать // Сцедить „strain, run, filtration". Ц < (ɓ)ts; Eng. To Strain t < (ɓ)ts; Soak S-k < (ɓɣ)tsk. As for the sound '(ɣ)'k" (examples of forming the sounds g,k,q, (ҁ)gh, x; laryngeal ,,(ɣ)k*" and ,,h" are following: Sv. (ɣ)kia „throat;" Megr.(ɣ)k*al-i <// Geo. (ɣ)kel-i > Megr. // Geo. k(is)eri; // Sv. kin-chkh „neck"; (ɣ)kel > (ɣ)k*al; (ɣ)kel > ker: (ɣ)kir > kin; (ɣ)k > ɣ; (ɣ)k > (ʒ)k; r > n; Megr.(ɣ)kor(ɣ)k-eli, Geo. (ɓ)khor(ɓ)kh-i; (ɣ)kor(ɣ)k > khorkh: Sv.(ɣ)kia „throat;" Megr. // Geo. (ɣ)kia „larynxes'; Megr. (ɣ)kia-fi „word imitate sound – screaming by sound (ɣ)k" and with the same meaning > (ҁ)ghia-fi: (ɣ)kia > ghia; Geo. pir-(ҁ)ghia ,,gullible person": (ɣ)kia >

(ღ)ghia; Compare. Megr. R(ღ)ghima no-(ყ)ori > // Lat. rima oris „gullible person" „: r(ღ)ghima > rima; (no)ყor > or; Geo. Lo(ყ)ka > // Megr. (ღ)ghva ,,cheek"; (ყ)k > (ღ)gh; Geo. Lo(ყ)ka; Laz. lo(ყ)ka „sweet;" Megr. // Geo. gemo >// Megr. hamo „sweet" > Geo. (0)amo (Zero form, disappearing the the sound (ყ)Kh which is equivalent to H-. Parallels of the sound ,(ყ)k" into Indo–Europian are expressive: Megr. (ყ)kin-tua // (ყ)kჳr-tua „swallowing"; o-(ყ)kჳr-tali // o-ყkir-tal-i // o-(ყ)kin-tali „gullet" // Sv. (ყ)kჳr-(ყ)kჳn(ჯ)dg; Geo. (ყ)klapva „swallowing"; sa-(ყ)kl-apavi, Comparison shows that (ყ)kl in Georgian word sa-(ყ)kl-apavis is the result of compression which is very common for Georgian language (*sa-(ყ)kal-apavi > sa-ყkl-apavi „gorge": the same is > Sl. Gl-otka „throat" gl-otat „swallowing", gl-odat „masticate," their component gl and gn in Eng. word gnaw are compressed fragments, also parts of the words lag, nag, gor and gul containing the equivalent sounds in Megr. La-gua, // Germ. nag-en „masticate" Eng. Gor-ge and gullet. show the same; Eng. gor-ge, Germ. gur-gel „throat, and // Megr. < (ყ)kor-(ყ)kel are allomorphic forms. Georg. (ყ)kel-i > Megr.// ჳ)kal „ throat"; < (ყ)kor-(ყ)el „throat"; > // Sl. gorlo „throat" // Greek. gulio „throat", iu-gul-um, „neck," Lat. Gul-a „Laryngs," and Germ. //gur-gel, // hals „throat"// kehle „gullet" Such changes allow us to suppose: Geo. (ყ)kel // Megr.(ჳ)al < (ყ)kor > Sl. gor >// Germ. gur // gel // Lat. Creek. gul; Germ. gur > hal (falling g) > // hl (compression): and these hal > hl allow us to think: hr in English word T-hr-oat is compressed also in the Indo European word crater ,,isthmus of volcano" kr is compressed... Those examples show that:

1. All points are received from the sound ,,(ნ)ts" and all velars from the sound ,,(ყ)k"; 2. Above mentioned fact explains one of the most famous and difficult linguistic problem. Why is that the phonetic processes from (ნ)ts and (ყ)k form all front and back sounds but not the contrary 3. Georgian and i.e. parallels refer to their common f. s. origin 4. They are the products of phonetic processes and not the other linguistic changes (borrowing, diffusion and so on..) 5. These prove the common monogenetic origin of the Indo-Europeans and the Caucasus people ethnogeny.

ინგლისური თარგმანი:

თამრიკო ლუკავა.

გეორგიული თეორია

გეორგიული თეორია, ფაქტობრივად, მეტყველების (მ-ის) წარმოქმნის პირობითრეფლექსურ-ხმაბაძვითი თეორიაა (პირ. რ. ხმბ. თ.), ხსნის რა მ-ის ჩასახვის მექანიზმსა და ბუნებას როგორც სამეტყველო ბგერით პირობით რეფლექსზე დაფუძნებულ მოვლენას და შემდეგ, ამ ბაზისზე, ენათა ხმაბაძვითი ზედნაშენის სახით დაშენების პროცესს. ამგვარად, მისი მეცნიერული საფუძველია პავლოვის მოძღვრება პირობით და უპირობო რეფლექსებზე, პირველ და მეორე სასიგნალო სისტემაზე ' არანაკლები მეცნიერული საყრდენია უცხოური და ქართული ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური სკოლების ღვაწლი: ბერიტაშვილი (მეხსიერების პირ. რ-ური ბუნების დადგენა); ვალონე, ჟ. პიაჟე, ლ. ლანგე, დ. უზნაძე (განწყობის თეორია, განწყობის და ბავშვის ფსიქოლოგია); ასევე: ზოგად და ბავშვთა ფსიქოლოგიაში ლ. ვიგოდსკის, რ. ნათაძის და ა. შ.; სახელდების საკითხებში უზნაძის, ბაინდურაშვილის და ა. შ.; ზოოფსიქოლოგიში თორნდაიკის (ცდისა და შეცდომის მეთოდი); ბლუმფილდის (სტიმულ-რეაქცია, რომელიც უზნაძემ განწყობით გააშუალა: SR//STR); არქეოლოგიაში ო. ლორთქიფანიძის (ქართვ. ცივილიზაციების მსოფლიო უუძველეს ცივილიზაციებან თანადროულობის ხაზგასმა) და, რაც მთავარია, ენეთმეცნიერებაში ჰუმბოლტის, სოსიურის, პაულის და ა. შ. ასევე კორიფე ქართვ. ენათმეცნიერთა: ცაგარელი, მარი, ჩიქობავა, შანიძე, თოფურია, ახვლედიანი, როგავა, თ. გამყრელიძე და ა. შ. შრომების როლი.

ლიტერატურა: აბულაძე ი. „ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი“ თბ. 1953.; **Анохин П. „Биологиа и неирофсихологиа условного рефлекса“ 1968 წ.;** აფაქიძე ა. „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძვ, საქართველოში;“ ბერიტაშვილი ი. „ხერხემლიან ცხოველთა მეხსიერება, მისი დახასიათება და წარმოშობა...“; **Бериташвили И. „Обшая фзиология мышечной и нервной системы. 2 т; „Нервние механизмып поведения высших позвоночных животных,“ „Структура и функции коры большого мозга“** ბერძენიშვილი ნ. „საქართველოს ისტორიის საკითხები 8 ტ.;“ ბერძენიშვილი მ. „ანტიკური ხანის საქართველოს ქალაქების შესახებ;“ **Бартольд В. „Народы средней азии и казахстана“; Б. С. Э.;** ბუგიანიშვილი

თ. „ქვედა პალეოლითის ხანის ახალი მასალები“; გამყრელიძე თ. „ინდოევროპული და ინდოევროპეელები“; გამყრელიძე თ. მაჭავარიანი გ. „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში“; გამყრელიძე -ივანოვი „ინდოევროპული და ინდოევროპეელები“; გორდეზიანი რ. „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები; გეორგიკა“ ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით 5 ტ.; გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი. „ქართული დიალექტოლოგია“; თოფურია ვ. შრომები „ქართული დიალექტოლოგია;“ დადიანი ნ. „ქართველთ ცხოვრება;“ **Дяконов И. „Языки древней передней Азии“; ენგელსი ფ. „ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული; „ოჯახი, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“; Еремеев д. „Народы передней аяии.“** ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“; **Вигодски Л. „Мышление и речь;“ Винчестер А. „Основы современной биологии“; Deeters G. „die KaukasiSCen Sprachen;“** დონინი მ. „ადამიანები, კერპები და ღმერთები“; თაყაიშვილი ე. „ნაშრომები“; **Iensen H. „Die Schrift in Verfangenheit und gegenvart“;** ირაკლი მათურელი „ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა;“ კაკაბაძე ს. „საქართველოს მოკლე ისტორია;“ კვაშილავა ნუგზარ „მისტიური ნოსირი;“ **Крупнов Е. „Древная история Северного Кавказа;“ Ксенофонт „Греческая история“ Л. 1935;** ლენინი ვ. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“; ლორთქიფანიძე ო. „ძველი საქართველოს მემკვიდრეობა“; ლომოური ნ. „ეგრისის სამეფოს ისტორია;“ მაკალათია ს. „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“; **Марр Н Боги языческой Грузии по древногрузинским источникам „Кавказский вестник“;** მარტიროსოვი ა. „ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის“; მარი ნ. „იაფეტური თეორია;“ **Майр Э. „Физиологическая генетика“;** მელიქიშვილი გ. „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარერები;“ **Мириманов В. „Первобытное и традисионное искуство“;** ნათაძე რ. „ზოგადი ფსიქოლოგია;“ **Немировский А. Харсекин А. Зтруски...** ორბელიანი ს, ს. „ლექსიკონი ქართული;“ **Павлов И. „Полное собр. сочинения. 6 т.;** პაპუაშვილი „ჰერეთის ისტორიის საკითხები“; ***Петровский Н. „Звуковие знаки египетского письма как система;“Плутарх***

*„Сравнительная жизнеописания“ 2 ტ. მოსკოვი; Расторгуев В. „ Среднеперсидский язык“; „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“; სემიუელ ნ. კრამერი „ისტორია იწყება შუმერიდან;“ С дегерт С. „Угаритский язык;“ სეჩენოვი ი. „თავის ტვინის რეფლექსები;“ Слюсарев А.“Биология с общей генетикой“; ქ. ს. ე.; უზნაძე დ. „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“; „ზოგადი ფსიქოლოგია;“ „ბავშვის ფსიქოლოგია;“ Фресс П. Пяже ж. „Экспериментальная психология“. რუს, თარგმ. ფრანგულიდან. მ. 1966 წ.“; Фридрих И. „История письма“; ქორიძე დ. „კოლხური კულტურის ისტორიისათვის“; ჩუბინაშვილი დ. ქართლის ცხოვრება; Frite K. „Die Griecische Geschichcteshreibung;“ ძიძიგური შ. „ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი“, „ბასკები და ქართველები“; ყაუხჩიშვილი ს. „ქართლის ცხოვრება“; შარაძენიძე თ. „ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა“, „თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები“; შარდენი ჟ. „მოგზაურობა საქართველოში;“ შანიძე ა. „თხზულებანი“ 12 ტ., „ძველი ქართული ენის გრამატიკა“; შენგელია ვალერი „სახელმწიფო აია–ატლანტიდა;“ ჩიქობავა არნ. „იბერიულ–კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“; წერეთელი ა. „ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობა“; ხაზარაძე ნ. „ აღმოსავლე მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარში.“ ჯავახიშვილი ივ. „თხზულებანი თორმეტ ტომად“; ჰეროდოტე „ისტორია;“ ჰოისნერი ა. „ვილჰელმ ვუნდტის ფსიქოლოგია“;

გეორგიული თეორიის („გ. თ.“-ს) სიახლეები:

ფიზიოლოგიაში: **a)** ახსნილია მეტყველების (მ-ის) ჩასახვის მექანიზმი: **b)**. პირველი სამეტყველო ელემენტი ჩაისახა პირობით რეფლექსური ბუნებით (პირ. რ. ბ-ით); **c)**. ოდიდგანვე ბგერა იყო კვებით ფიზიოლოგიურ აქტთა ხმიანობა და პირობითი აგენტი ამ აქტთა უპირობო რეფლექსებისა (უ. რ.-სა); **d)**. შემდეგ, დიდ დროში, ეს ფუნქცია ბგერისა რთულდება სამეტყველოთი; **e)** დაფიქსირებულია და ხაზგასმულია სიტყვის პირობით რეფლექსური (პირ. რ-ური) მექანიზმის ორგვაროვნება: 1). ინდიფერენტულ-სიგნიფიკატური ანუ სამეტყველო პირობით რეფლექსური და 2). რეაქტიულ-სიგნიფიკატური, როცა მრავალრიცხოვან რეფლექსთა გამოწვევის ფუნქციას ერწყმება – აღმნიშვნელობითი;

II. ბიოლოგიაში:**1.** აღმოჩენილია მეტყველების ბიოგენეზური კანონი (მ. ბ. კ.) – სახეობა ზოგადი ბიოგენეზური კანონისა (ს. ზ. ბ. კ.); **2).** დასაბუთებულია სამეტყველო პერიოდების (სტადიების) მემკვიდრეობითობა; **3).** ნაჩვენებია ნასახის, აქცენტის, პერსევერაციის და ეგოცენტრული მ-ის გენეზის კავშირი მ. ბ. კ-თან; **4).** ახსნილია არაერთი ზოგადი ანთროპოლოგიური პრობლემა;

III. ფსიქოლოგიაში: **a)** ნაჩვენებია ამეტყველების დროინდელ ჰომინიდის ფსიქიური აქტივობის და გონითი შესაძლებლობის დონე: **b)** დასახელებულია ჰომინიდის უპირველესი აზროფორმები; **c)** ნაჩვენებია მეტყველებისა და აზროვნების პარალელური განვითარება; **d)** დასაბუთებულია მრავალრიცხოვან აბსტრაქციულ ტერმინთა აზრობრივი ამოსავლიანობა, მათი გართულების დინამიკა კონკრეტულიდან აბსტარქტულამდე და ა. შ. იხ. ტექსტი;

4. ენათმეცნიერებაში: **1)** წარმოჩენილია დასაბამისმიერი სამეტყველო მინიმუმი: რიცხობრივად იგი ნ. მარის ოთხ იაფეტურ ელემენტსაა თანხვედრილი. ესენია: წ და ყ თანხმოვნები. ჳ ხმოვანი და მრავალრიცხოვანი რეფლექსოგენური, ხმაბაძვითი და ინდიფერენტული ბგერები და ბგერათკომპლექსები (ბ. და ბკ-ები); **2)** დადგენილია ქართვ. ბგერათა და აფიქსთა წარმომავლობა; **3)** დამტკიცებულია პროტოშუმერ-ეგვიპტელთა ვინაობა; **4)** გაკეთებულია ასეულობით ქათველურ და მრავალ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ტერმინთა ეტიმოლოგიები; **5)** დაძებნილია პარალელები პირველ სამეტყველო ძირებიდან ამოსულ – ქართველურ და შესადარებლად აღებულ ინდოევროპულ ტერმინებს შორის. **6)** გაკეთებულია მეტყველების პერიოდიზაცია და ა. შ. იხ. ტექსტი.

ანთროპოიდის ამეტყველების დროინდელი ცენტრალური ნერვული სისტემა (ც.ნ.ს.) და გონითი შესაძლებლობები

ჯილლ ბეილისა და ტონი სედდონის ნაშრომში – **„ისტორიამდელი სამყარო"** მოცემულია ჰომინიდთა (ადამიანისმაგვართა) და ხაბილიდთა (ნამდვილ ადამიანთა) კლასიფიკაცია. კერძოდ, ისინი თვლიან, რომ ხაბილიდთა მეორე თაობას – გამართულ ადამიანს (homo erectust) 1,75 მლ. წლის წინათ გააჩნდა სანადირო იარაღი, ფლობდა ცეცხლს და დაწყებული ქონდა პრიმიტიული მ-ბა. თუმცა გაუგებარია, რატომ ხაბილიდთა – მეორე და არა პირველი თაობა ივარაუდეს ავტორებმა მ-ის პიონერებად: მათივე მტკიცებით ხომ ეს თაობაც იარაღის მკეთებელია?: ვთვლით რა, რომ შრომის ელემენტარული ჩვევების ჩამოყალიბებას წინ უსწრებდა მ-ის ჩასახვის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი, რომლის ზუსტი ხნოვანების დადგენა, შეუძლებელია, უნდა ვიგულისხმოთ: დაახლოებით, 5-დან 2 მლ. წლამდე მეტყველების ჩასახვა დამთავრებულია.

„... ადრეული ძუძუმწოვრები (60 მლ. წლის წინათ) მალე დახელოვნებული ხეზე მცოცველები გახდნენ. ხეზე რომ იცხოვრო, უწინარეს ყოვლისა, სწორად უნდა განსაზღვრო მანძილი და მაგრად ჩაეჭიდო ტოტებს. პირველ ამოცანას წყვეტს წინ მიმართული თვალები. ამას აძლევს ცხოველს ბინოკულიარული მხედველობა. მეორე ამოცანის გადასაჭრელდ საჭიროა ჩამჭიდი თითები, ხოლო ცერა თითი უზრუნველყოფს საჭირო ჩაჭიდვას. ... ადამიანისმაგვართ ... შეუძლიათ შეაერთონ ცერა და საჩვენებელი თითების ბოლოები ისე, რომ წარმოიქმნას რუსული O. ასეთი ჩაჭიდება საკმაო ფაქიზი მანიპულაციების დროს გამოიყენება, რაც ... მნიშვნელოვანია. ძუძუმწოვრებს მხედველობის და ხელების მოძრაობის კოორდინაციით ტვინის მსხვილი მოაზროვნე ნაწილი განუვითარდათ... (ჯ.ი ბეილი, ტონი სედდონი „ისტორიამდელი სამყარო" გვ. **146 თარგმანი ე. ი.).** დიახ, ამიტომაც თითების მამოძრავებელი და სამეტყველო-მოძრაობითი ცენტრების ველები, პროპორციული თვალსაზრისით, დიდი ტვინის გაცილებით მეტ ზედაპირს მოიცავენ, ვინემ ძვალსახსროვანი სისტემისა და სხვა ორგანოთა, რაც მეორე სასიგნალო სისტემის ჩამოყალიბებაში **ხელების და ენის** განმსაზღვრელი როლის მაჩვენებელია. ძირითადად, დიდი ტვინის

მასის ზრდაც, სწორედ ამ ორი ორგანოს, დიდ დროში, უპირატესი ფუნქციონირების შედეგია. ეს ასევე პასუხია კითხვისა – რატომ ანთროპოიდს – და არა სხვა რომელიმე ცხოველს განუვითარდა მ-ბა. განა რომელიმე არსება შეედრება თუთიყუშს სიტყვების დახ-სომება-წარმოთქმაში, მაგრამ მას არა აქვს განვითარებული დიდი ჰემიფეროების ქერქი და ქერქქვეშა წარმონაქმნები.

„ადამიანი გადგვარებული ცხოველია", მაგრამ ცხოველია, სა-მაგიეროდ, დღენაკლული ადამიანი. ამ დღენაკლულობის ინტერ-ვალი ის ადრე აღებული სტარტია, რომელმაც მიიყვანა ცხოველი ადამიანობამდე. მიეცეს სხვა სახეობის ცხოველს ის დრო რაც ქონ-და ანთროპოიდს, განვითარების იგივურ პირობებში, რა შედეგს მივიღებდით? – რამდენადაც შეუსრულებადია ამოცანა – იმდენად წინასწარსაჭვრეტი შედეგი: იგივე მდინარეში მეორედ ვერ შეხვალ, მარა საპიენსს მივიღებდით უთუოდ: ამაზე მეტყველებს ცხოველის და ადამიანის ცენტრალური ნერვული სისტემის (ც. ნ. ს-ის) აგებუ-ლებისა და გონითი შესაძლებლობების ურთიერთმიმართება, რა სხვაობაც, ადამიანის მიერ, ადრე აღებულმა სტარტმა განაპირობა.

ცხოველსა და ადამიანს **ცხოველობის** ასპექტში იდენტური ანატომიური ორგანო განაგებს. ესაა **ტვინის ღერო.** აქედან იმარ-თება ორგანიზმის ყველაზე საპასუხისმგებლო (გულისცემა, სუნ-თქვა და ა. შ.) უპირობო ანუ მემკვიდრეობითი რეფლექსები. ადა-მიანის – **მეტყველი ცხოველის** ცენტრალური ნერვული სისტემა ტვინის ღერო პლიუს ახალი წარმონაქმნებით: **შუა და საშუალო ტვინი, ნათხემი და დიდი ჰემისფეროებით** (ეს ორგანოები ცხოველს სუსტად აქვს განვითაერბული) იმართება.

არქეოლოგიური მონაცემებით, რაკი მეცნიერებამ ზუსტად იცის, დროის პერიოდები ანთროპოიდთა თავის ქალის მოცულო-ბის ზრდისა, რასაც ტვინის მასის გადიდება იწვევდა, წარმონაქ-მნები კი, რომლებიც ტვინის მასას ზრდიდა, სამეტყველო და სხვა პირობით რეფლექსებს ახორციელებენ, ეს ყოველივე, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ დრო მ-ის წარმოქმნისა. იგი, დაახლოებით, 5 – დან 2 მლ. წელს მოიცავს. მაშინ ჰომინიდი ამეტყველდა იმი-ტომ, რომ გააჩნდა, ოღონდ ჩანასახის ფაზაში, ყოველივე ის რაც გააჩნია თანამედროვე ადამიანს: **„სუბსტანციური ყოფიერების სიგნალი", „აღქმის ფაქტორთა იზოლაციის უნარი" (მაგ. შეეძლო განეცალკევებინა ერთი ოპტიკური ნიშნის საგანი სხვადასხვათა-**

გან და ა. შ.). იგი მოკლებული იყო ადამიანის მხოლოდ ყველაზე გვიანდელ შენაძენს – ჰერდერის რეფლექსიას, რაც მჟღავნდება არა მარტო ყველა თვისების იოლ და მკაფიო გამოცნობაში, არამედ „ერთი ან რამდენიმე ნიშნის განსხვავებულ შერაცხვაში". ეს თითქმის იგივე „მიმართებათა იზოლაციაა ამ მიმართებათა განხილვის მიზნით". ანუ იგივე გაცნობიერებული აზროვნებაა.

ზემოთდასახელებულ, მეტყველების დაწყების, სავარაუდო, დროზე (5 დან – 2 მლ. წ.) მიუთითებს მეტყველების ცენტრის ტვინის ყველაზე ახალი წარმონაქმნში – ქერქში, ხოლო რეფლექსიის ცენტრის მეტყველების ცენტრში არსებობა. ხოლო არქეოლოგიური მონაცემებით – ანთროპოიდთა თავის ქალას მოცულობათა ზრდის შესაბამისად დადგენილია, დასახელებულ დროის მონაკვეთს თანხვდომილი ანთროპოიდის ტვინის მასის ზრდის პერიოდები. ეს ხნოვანება 80-იან წლებში გვქონდა მოაზრებული, 90-იანში კი საქართველოში აღმოაჩინეს 1,5 მლ. წლის ად-ის ქვედა ყბა და 2 მლ. წლის ხნოვანების ქალისა და მამაკაცის ჩონჩხი, რაც დასტურია ჩვენი მსჯელობის სისწორისა.

მეტყველების ჩასახვა

მ-ის ჩასახვის ალგორითმი, პირველ საფეხურად, გულისხმობს კითხვას მის წარმოქმნადობაზე: იქნებ იგი არც წარმოქმნილა?

1. 1. აქსიომაა, რომ მეტყველება (მ-ბა) **თვისობრივად და რაოდენობრივად** ცვლადია (მზარდია) ანუ **ევოლუციური ფენომენია.** ენათმეცნიერნი, ენათა გენიალოგიის კვლევისას **ხატავენ ხეს, რომლის ტანი საწყისი მოცემულობაა, ტოტები კი – დღევანდელი.** მაშასადამე, ისინი ენის მონოგენეზისურ წარმომავლობას გულისხმობენ. ასევე, მათი აზრით (მილერი, კლიმოვი), 40 000 წლის წინანდელი კაცობრიობის მეტყველების ლექსიკური მარაგი 10 პროცენტს თუ შეადგენდა, თანამედროვე მსოფლიო მეტყველებისა. **ამიტომ, ალგორითმის პირველ საფეხურად უნდა დადგინდეს რომ იგი (მეტყველება), ყოველმიზეზსგარეშე, წარმოქმნადია.**

აქსიომები – რომ მეტყველება ევოლუციური ფენომენია და მისი ლექსიკური მარაგი მომავლისკენ იზრდება, ხოლო წარსულისკენ, პირიქით, კლებულობს გულისხმობს მეორე აქსიომატურ დასკვნას – იგივე მეორე საფეხურს ალგორითმისა:

2. 2. მეტყველების ჩასახვა მოხდა უმცირესი მინიმუმით: უთავდაპირველესი მეტყველება მინიმალური ლექსიკური მარაგის თუ იქნებოდა.

იმის დადგენის შემდეგ, რომ მეტყველება წარმოიქმნა და თანაც უმცირესი საწყისი მინიმუმით, უნდა დადგინდეს ალგორითმის მესამე საფეხური – პასუხი უნდა გაეცეს **კითხვას:** რატომ ,,მაინცადამაინც“ ადამიანის წინაპარს – ჰომინიდს განუვითარდა მეტყველება? სხვა ძუძუმწოვრები რა ძუძუს არ წოვენ? თუ შეგრძნებათა სიმახვილით ჩამორჩებიან ადამიანის წინაპარს? ფიზ. ასპექტში ეს კითხვა ასე დაისმის: რატომ ადამიანის წინაპარს განუვითარდა **მეორე სასიგნალო სისტემა, მის მეტყველებით ატრიბუტთან უწყვეტ მთლიანობაში?**

3. 1, 3. ამ კითხვაზე არის პასუხი. და ეს პასუხი ამ კითხვაზე ავტორისეული პასუხისმგებლობის მოხსნაა, რამეთუ იგი მსოფლიო მეცნიერებას აქვს თავისთავზე აღებული და მდგომარეობს, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ **მესამე** აქსიომაში: **ადამიანის უშუალო წინაპრის – ჰომინიდის თავის ტვინი განვითარებულია;**

3. 2. 4. მეორეც: ეს კითხვა, შეიძლება ითქვას, თავისთავშივე

პასუხს გულისხმობს. და აი, რატომ: **ყოველ სახეობას ონტოგენეზში ჰყავს წინაპარი ფილოგენეზში.** სხვა სახეობას რომ ჰქონებოდა მ-ბა უნდა დაგვეწყო ძიება ფილოგენეზში მისი ევოლუციისა.

3. 3. 5. ფაქტი სახეზეა: **მხოლოდ ადამიანია მეტყველი;**

3. 4. 6. მ. ე. **სწორედ მის წინაპარს – ჰომინიდს განუვითარდა მეტყველება** და ალგორითმის ეს მესამე საფეხურიც აქსიომატურია ანუ აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. მაშასადამე კითხვა **რატომ** მოხსნილია და რჩება – **როგორ.** ხოლო რომ ვუპასუხოთ კითხვას როგორ? არანაკლებ მნიშვნელობისაა მეშვიდე აქსიომა:

3. 5. 7. მეტყველებას გააჩნია პირობითი რეფლექსური ბუნება.

3. 6. 8. იგივე რანგისაა მერვე აქსიომა: **მეტყველებას ქმნის მეტყველი გარემო.**

3. 7. 9. ფუნდამენტური ის ფაქტი (**მეცხრე**) აქსიომა გახლავთ, რომ **მეტყველების ორგანო არის ენა.** ამიტომ ეწოდება მსოფლიოში ყოველ ლექსიკო-გრამატიკულ სისტემას – ენა: პრობლემას უნდა ენის ბიოგრაფიაში ვწვდეთ.

3. 8. 10. ამიტომ, ამ მეცხრე ფუნდამენტურ აქსიომაშიც უმნიშვნელოვანესი მეათე აქსიომატური კვალია: **მეტყველების აღმოცენებამდე ენა იყო მხოლოდ კვების ორგანო.**

3. 9. 11. მაშასადამე, **უშუალოდ კვების ორგანო ენამ შეითავსა სამეტყველო ფუნქცია.** პრობლემა იმაშია თუ როგორ შეძლო მან ეს: ავტორის აზრით, მას პრობლემა ამ ფუნდამენტურ აქსიომებზე დაყრდნობითა და, ძირითადად, მეცნიერებათა სხვადასხვა ასპექტებში აქვს გადაჭრილი: ფიზიოლოგიურში (მეტყველება ხომ ფიზიოლოგიური პროცესია); ენათმეცნიერულში (რაც გასაგებია: თავად პრობლემა ხომ – ენის, მეტყველების ჩასახვა და წარმოქმნა–განვითარებაა); ბიოლოგიურში და ფსიქოლოგიურში; ასევე გამოყენებულია მეცნიერების სხვა დარგები: ფილოსოფია, ანტროპოლოგია, არხეოლოგია, ისტორია და განსაკუთრებით საინტერესოა მათემატიკიდან **ალბათობის თეორიის** მოხმობა, რაც, რა თქმა უნდა, უნიკალური შემთხვევაა. თუნდაც ერთი რომელიმეს გამოკლებით პრობლემა ვერ გადაწყდებოდა.

ავტორისეულია სიახლე: **მეტყველება რაკი პირობითი რეფლექსია, ჯერ არს ჩასახვა, წარმოქმნა ანუ დაბადება და განვითარებაც მასვე დაუკავშირდეს.** თუ აქამდე მეტყველებას არ უკავშირებდნენ იმას, რაც თავადაა და ასე სურდათ მისი ჩასახვის ამოხსნა,

მაშ, გამოდის, აქამომდე მსოფლიო მეცნიერება ხელს ყოფდა იმ გუბურაში სადაც თევზი არც იყო. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ, დამატებით, იგი იჭერდა არა იმ ოქროს თევზს, რომელსაც პირში ზურმუხტი ეკავა: მხედველობაშია ქართველური ენები, განსაკუთრებით – მეგრული ანუ ახალკოლხური, რადგან, ჯერ-ერთი, მსოფლიო ენებიდან ყველაზე მეტად, სწორედ ამ უკანასკნელმა შეინარჩუნა უპირველესი ამოსავალი მდგომარეობა და, მეორე, მეცნიერებაში, დასაბამისმიერობის თვალსაზრისით, თუ ქართული ენა, ასე თუ ისე, შესწავლილია, მეგრული, (ახალკოლხური) ამ კუთხით, აქამდე სრულიად ტერრა ინკოგნიტაა.

3. 10. 12. აქსიომაა: **მეტყველება ემპირიული მონაცემებით – ბგერებით ხორციელებადი პროცესია.** ანუ ჩვენს წინამდებარე პრობლემა ბგერითი მეტყველებაა. ეს კი, ასევე, იმას ნიშნავს, რომ **უნდა დადგინდეს თუ როგორ ჩაისახა ბგერითი სამეტყველო პირობითი რეფლექსი.** რაც წარმოადგენს მე-4 საფეხურს ალგორითმისა.

4. 1. 13. სიახლეა და თანაც – აქსიომატური ის, რომ **ბგერითი სამეტყველო რეფლექსის ჩასახვა წარმოადგენს მანკიერ წრეს:**

4. 2. 14. კვების ორგანო ენა სამეტყველოდ ვერანაირად ვერ ამოძრავდება თუ არ გააჩნია მართველი ორგანო ცენტრალურ ნერვულ სისტემაში – სამეტყველო ცენტრი;

4. 3. 15. იმავდროულად, იგი **(სამეტყველო ცენტრი) ვერანაირად ჩაისახება თუ ენა, დიდი დროის მანძილზე სამეტყველოდ არ იმოძრავებს ანუ არ იმეტყველებს.**

ამ პირობებში პარადოქსია, რომ ისტორიულად მსოფლიო მეცნიერული აზროვნება მეტყველების აღმოცენების დადგენას **მორფოგენეზის გაუთვალისწინებლად ანუ მეტყველების ცენტრის როლის იგნორირებით ცდილობდა:** მ. ე, ჩვენს წინაშე დგას ურთულესი ამოცანები: უნდა დადგინდეს, **როგორ განხორციელდა მორფოგენეზი – როგორ ჩაისახა ჯერ მეტყველების ცენტრი და, შემდეგ – მასში რეფლექსიის ცენტრი და რამ ამოძრავა ენა ასეული ათასწლეულების მანძილზე, რათა თავის ტვინში ეს, აქვეთქმული, მოვლენები განხორციელებულიყო.**

ამ საკითხებთან მიმართებით, საყურადღებოა მარქსისტული (ენგელსის) **შრომის თეორია,** რომელშიც ავტორმა გამოავლინა ხუთი ალოგიზმი: მ-ის წარმოქმნის სოციალური თეორიებიდან **შრომის თეორია,** უფრო, კომუნისტურ სივრცეში ბატონობდა. მის თა-

ნახმად, „შრომამ შექმნა ადამიანი“, რადგან „...აზროვნება წარმოიქმნა ენის განვითარების შედეგად ... შრომით ურთიერთობებში...“ (ვ. ვ. მიხეევი)... ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, სანამ ალოგიზმებს გამოვავლენდეთ, ჯერ არს განვსაზღვროთ თუ რა არის შრომა და ადამიანი: „...შრომა არის ... პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის ... რომელშიც ადამიანი თავისი მოქმედებით მოსაშუალეობს, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას მასსა და ბუნებას შორის“ კ. მარქსი „კაპიტალი“ მ. ტ, I გვ. 227; „...შრომა ... პირველი ძირითადი პირობაა კაცობრიობის ცხოვრებისა და იმ ხარისხში, რომ ჩვენ, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ვთქვათ: ადამიანი შექმნა შრომამ...“ ფ. ენგელსი „ბუნების დიალექტიკა“ მ. 1969 გვ. 144. თარგმანი ე. ი. გარკვეული თვალსაზრისითო, ბრძანებს ენგელსი და ეს სწორია, რადგან შრომამ მართლაც განავითარა მეტყველება და თავად ადამიანი (მხედველობაშია მორფოგენეზი და სოციოგენეზი), მაგრამ მისმა თანამოაზრეებმა აღიშნული თეზა არა „გარკვეული თვალსაზრისით“ ანუ ფიგურალურ ნათქვამად, არამედ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად დასახეს, რაც არასწორია. ახლა კი მომყავს ციტატა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან: „...კ. მარქსამდე ცნობილი იყო ადამიანის განსაზღვრის მრავალი ცდა: ადამიანი არის ეთიკური არსება (სოკრატე, პლატონი); ადამიანი არის საზოგადოებრივი ცხოველი (არისტოტელე); ... ადამიანი არის მთლიანად კაცობრიობა (გოეთე); ადამიანი არის ბუნების მიზანი და არა საშუალება (კანტი) და სხვა. ამ განსაზღვრებებში მოცემული თავისებურებანი მართლაც არის ადამიანისთვის სპეციფიკური, მაგრამ არსებითი არ არის ... ადამიანის ნამდვილი არსის განსაზღვრება – შრომის იარაღების შექმნის უნარი და მათი საშუალებით გარემოზე ზემოქმედებაა...

ადამიანის საზოგადოებრივ ისტორიას წინ უძღოდა ბიოლოგიური ევოლუცია: ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიური ალნაგობის ცვალებადობა, შრომითი საქმიანობის ჩანასახები... ჯოგურ ურთიერთობათა განვითარება უმაღლეს ცხოველებში... ადამიანი ეკუთვნის ძუძუმწოვართა კლასის პრიმატების რიგის ჰომინიდების ოჯახს... უძველესი ჰომინიდები უთუოდ ფართოდ იყვენენ გავრცელებული მესამეული პერიოდის მეორე ნახევარში ევრაზიასა და აფრიკაში. 1959 წ. აღმოჩენილი ავსტრალოპითეკური ფორმის თავის ქალასთან ერთად იპოვეს პრიმიტიული იარაღი: ჩლიქო-

სანთა წამახული ძვლები და წაწვეტებული რქები. ბუნების საგნების მიზანდასახულ დამუშავებაზე გადასვლა, რაც დაახლოებით 1,5 მლ. წლის წინათ უნდა მომხდარიყო, ანთროპოგენეზის საკვანძო მომენტია ... პითეკანტროპის საფეხურზე შრომის იარაღების სისტემურმა დამზადებამ ... გამოიწვია უძველესი ადამიანის ფსიქიკის რთული გარდაქმნა და შექმნა მეტყველების აღმოცენების საფუძველი, რასაც უთუოდ უკავშირდება ... თავის ტვინის ერთიორად გაზრდა ავსტრალოპითეკის ტვინთან შედარებით... (შეიქმნა ე. ი.) ე. წ. ქვის ხანის შელის კლტურა...“ (ქ. ს. ე. გვ. 79-80).

ალოგიზმი პირველი: ყველა ზემოაღნიშნულ ციტატათა შინაარსობრივი მოცემულობები ურთიერთთან და ამ საკითხებში უკვე არსებულ ცოდნასთან მიმართებით ალოგიზმის სრულ კასკადად გადაიქცევიან, როგორც კი შევეცდებით მათ გამოყენებას, პირდაპირი გაგებით, ენგელსის ცნობილი თეზის – **„შრომამ შექმნა ადამიანი“**, გასამყარებლად. თუ კარგად დავაკვირდებით, მარქსისა და ენგელსის ციტატებში **შრომა და ადამიანი ერთიანია,** ისინი იზოლირებულად არ არსებობენ. აშკარა საწინააღმდეგოს ამტკიცებს ციტატა ენციკლოპედიიდან, რომლის მიხედვით **„...საზ. ისტორიას წინ უძღოდა შრომითი ჩანასახები...** შემდეგ, **ავსტრალოპითეკის ეპოქაში მოხდა „...ბუნების საგნების მიზანდასახულ დამუშავებაზე გადასვლა,** რაც დაახლოებით 1,5 მლ. წლის წინათ უნდა მომხდარიყო...“ და მხოლოდ **„...პითეკანტროპის საფეხურზე შრომის იარაღების სისტემატიურმა დამზადებამ (და გამოგონებამ) გამოიწვია უძველესი ადამიანის ფსიქიკის რთული გარდაქმნა და შექმნა მეტყველების აღმოცენების საფუძველი-ო...“** ანუ გამოდის მხოლოდ 0,5 მლ. წლის **წინ, შელ-აშელ** კულტურათა პერიოდში, მოხდა მეტყველი არსების – ადამიანის წარმოშობა. ეს მაშინ, როცა მანამდე, ჯერ კიდევ ერთი მილიონი წლის წინ **„...ბუნების საგნების მიზანდასახულ დამუშავებას...“** ანუ **იარაღის დამზადებას** აწარმოებდა. მარქსიზმის სრულიად ერთსულოვანი, დოგმამდე აყვანილი დასკვნით კი ადამიანის უმთავრესი განმსაზღვრელი ატრიბუტი სწორედ რომ **იარაღის დამზადების უნარის** ქონაა.

ხაზგასმით უნდა შეინიშნოს: თუ რას დავარქმევთ უკვე აღმოცენებულ შრომას – **ჩანასახოვანს, პრიმიტიულს და ა. შ.** მნიშვნელობა არა აქვს. – თუ ის შრომაა აუცილებლად გლისხმობს ასევე მისსავე შესატყვის – **ჩანასახოვან, პრიმიტიულ** და ა. შ. შემსრულე-

ბელს – **ადამიანს.** მას შემდეგ რაც მას ადამიანმა მიაგნო, **ნებისმიერი შრომის სახეობის არსებობა ადამიანის გარეშე სრული ფილოსოფიური ალოგიზმია,** რადგან: **შრომა შედეგია, განმაპირობებელი მიზეზი (ფაქტორი) შრომისა კი ადამიანია; შრომა ფუნქციაა, ფუნქციონერი კი ადამიანია; ადამიანი ტვინია და არა ხელები, რადგან ხელებს ტვინი ამოძრავებს; შრომა ტვინის ნაჟურია.**

ალოგიზმი მეორე: მეცნიერულად დადგენილია, რომ ადამიანისმაგვარინი, ზოგჯერ არაორდინალურ სიტუაციებში, ხანაც უნებურად (სპონტანურად) აზრის შემცველ ქმედებებს ახორციელებენ. სრულიად მოსალოდნელია, მათ ამ ყოფით ფიზიკურ ქმედებებს აზრი აესხა ანუ ცხოვრებისეული ქმედებანი მათნი აზრში გარდასახულიყო. მაგრამ საქმე იმაშია ასეთი აზრი ბგერითი სამოსელით ვერანაირად გამოეწყობა, რადგან მას მეტყველების ცენტრთან არაფერი აკავშირებს. არსებობს ასეთი თეორია: ფრანგული **ვალონეს ფსიქოლოგიური სკოლის** იდეების მიხედვით, მოხდა **„ქმედებიდან აზრზე გადასვლა"; „ქმედებაზე აზრის აზრდა"** (რ. ნათაძე საქართველო). ამ, აქვეაღწერილ, და მარქსისტული შრომის თეორიის მიხედვითაც, ადამიანის მეტყველება ამგვარი ქმედებებიდან ვერ წარმოიქმნებოდა, რადგან შედეგი არა გვაქვს ის, რაც ამ თეორიების მიხედვით, ამგვარი ქმედებებიდან უნდა მიგვეღო: **ქმედებას რომ აზრი მოეცა და ამ აზრის მეტყველებითი გამოხატვა (ალნიშვნა) განხორციელებულიყო, აუცილებლად იმ ორგანოებით რა ორგანოებითაც ქმედება სრულდებოდა უნდა მომხდარიყო ჟესტიკულიაცია ამ ქმედებებისა.** რაკი, მეცნიერებაში დამტკიცებულად, დასაბამიდანვე, ფიზიკურ მოქმედებათა უპირველესი საშემსრულებლო იარაღი ხელია, მაშასადამე, აზრის გადმოსაცესად ანუ სამეტყველოდ ხელების ჟესტიკულაცია უნდა გვქონოდა. ეს იქნებოდა ჟესტების ენა. ხომ არსებობს კიდეც მეტყველების **ნარმოქმნის ჟესტ-მიმიკის თეორია (ვილჰელმ ვუნდტი),** მაგრამ, ძირითადად, დღეს გვაქვს სულ სხვა შედეგი – ესაა **ბგერითი ენა.**

შრომის იარაღი ადამიანის ანატ. ორგანო ხელია, ბგერითი მეტყველებისა კი – ენა და რომ ამ უკანასკნელს კი მიეწერება ის, რაც ხელს უნდა შეესრულებინა, არასწორია, სრული ალოგიზმია.

ალოგიზმი მესამე: თავის ტვინის ანატომიური აგებულება, მისი წარმოქმნა-განვითარების გათვალისწინება შეუძლებელს ხდის ვივარაუდოთ შრომის შედეგად მეტყველების წარმოქმნის დაშვება:

შრომაც და მეტყველებაც **ნერვულ-მუსკულარული (ნ. მ.) მოძრაობებია**: მ-ბა არის, სამეტყველო აპარატის ორგანოების მეზობლობაში, ენის **კუნთების ნ. მ. სამეტყველო მოძრაობა,** ხოლო ფიზიკური შრომა კი, ძირითადად, **ხელების კუნთების** ნ. მ. მოძრაობებია.

შრომის შემსრულებელ ორგანოებს – (ძირითადად) **ხელებს** თუ სხვა ორგანოებსაც შრომაში მონაწილე საყრდენ-მამოძრავებელი აპარატიდან და ასევე სამეტყველო ორგანო **ენას** თავის ტვინში გააჩნიათ თავიანთი სამმართველოები, საიდანაც იმართებიან. სპეც. ლიტერატურაში მათ **საანალიზო ცენტრებს ანუ ანალიზატორებს** უწოდებენ. თუ გამოვრიცხავთ მთლიან მაკოორდინირებელ ჩართულობას (ქერქქვეშა თუ ქერქულ ბოლოსი) თავის ტვინისა, ისინი დამოუკიდებელნი (ავტონომიურნი) არიან: **ხელების მოძრაობის** ცენტრი (მოძრაობის ანალიზატორი ანუ მოსკოვის ტვინის ინსტიტუტის მიერ დადგენილ ტვინის ციტოარქიტექტონურ რუქაზე **ველი ნომრით 6 ვერ განახორციელებს ენის მოძრაობებს და პირიქით – ენის (მეტყველების) ცენტრი (ველი ნომერ 44-45) ასევე უძლურია განახორციელოს ხელების კუნთების მოძრაობები.**

მეტყველების ჩასახვა იწყება იმ პერიოდიდან, როცა ენის **სამეტყველოდ** ამმოძრავებელი ცენტრი ანუ **მეტყველების ცენტრი** ჯერ არ არსებობს. ის ჯერ უნდა ჩაისახოს, რომ ენამ სამეტყველო მოძრაობები გააკეთოს. ამიტომ, იმ ეტაპზე, ენას – გარდა კვებითი სა, სხვა სამეტყველო მოძრაობები ანუ არტიკულაციები ვერ ძალუძს. ამ პირობებში განა ცხადზე უცხადესი არაა, რომ ენის სამეტყველო მოძრაობებს, სანამ მეტყველების ცენტრი არ ჩაისახება ვერაფერი ვერ შეძლებს?; რომ, საპირისპიროდ მარქსისტული თეორიისა, **ვერც შრომითი ქმედებიდან აზრის მოცემა ან შრომითი კავშირების მოთხოვნილების არსებობა, ენას სამეტყველოდ ვერ აამოძრავებს?:** იმ უძველეს წარსულში, მთლიანად თავის ტვინი და მისი ქერქის სრულიად მობილიზებული მაკოორდინირებელი საანალიზო სიტემა დღევანდელი მაღალი განვითარების რომც ყოფილიყო, უძლური იქნებოდა ენა აემოქმედებინა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მ-ის ცენტრი ჯერ არ იყო ჩასახული. ამ შემთხვევაში, განა ალოგიზმი არაა საწინააღმდეგოს დაშვება?: თუ უპირატესად ხელის მოძრაობებმა განაპირობეს მ-ის ჩასახვა და განვითარება, რატომ არ პოვა, ასეული ათასწლეულების მანძილზე, ამ ფაქტმა შესაბამისი ასახვა თ. ტვინის მორფოლოგიაში?

ჩვენი აზრით, ხელის მოძრაობის ანალიზატორი რომ ყოფილიყო განმსაზღვრელი მ-ის ჩასახვა-გთნვითარებისა, ამ ხნის მანძილზე, იქვე პოვებდა მ-ის ცენტრი (ანალიზატორი) თავის ადგილსამყოფელს (– **მეექვსე ველზე** და არა **44-45 ველზე** ციტო-არქიტოქტენიკური რუქისა).

ცხოვრებისეული **შეძენილი პირობით რეფლექსური თუ შრომითი ქმედებებიდან** მოძრაობის ცენტრის და თვით ხელის განვითარება სავსებით ბუნებრივია, რაც ასეც მოხდა. ამიტომაც ითქვა: **შრომის იარაღი ხელი შრომის პროდუქტიც** არიო. ეგრევე უნდა მომხდარიყო ენისა და მისი **სამეტყველოდ მამოძრავებელი ცენტრის ანუ მეტყველების ცენტრის** შემთხვევაში. **ენა და მისი მამოძრავებელი ცენტრი უნდა განევითარებინა ენის** იმგვარივე **ბუნებრივ მოძრაობებთან შეხამებულ ახალ პირ. რეფლექსური ბუნების მოძრაობებს, როგორც ეს მოძრაობის ცენტრისა და ხელის შემთხვევაში მოხდა, მაგრამ არა თვით ხელის მოძრაობებს ანუ შრომას. ამაშია ამ მესამე ალოგიზმის არსი.**

სოც. თეორიებს იზიარებდნენ ისტორიკოსები, ენათმეცნიერნი და ა. შ. მაგრამ ამასვე აკეთებდნენ ფსიქოლოგნი, ბიოლოგნი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფიზიოლოგნიც (მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატი ი. პ. პავლოვი, ცნობილი ნევროლოგი ვ. ვ. მიხეევი, შესანიშნავი ფსიქოლოგი რ. ნათაძე, ფენომენალური ენათმეცნიერი ნ. მარი და ა. შ.).

ალოგიზმი მეოთხე: ფიზ. ასპექტში მ-ბა და შრომა პირ. რ. ბუნებისანი არიან, მ. ე. მემკვიდროებით არ გადაეცემიან და, ამიტომ, ცხოვრების მანძილზე ხდება მათი დაუფლება – სწავლება.

თუ ბგერა აღმნიშვნელია, ნიშანია ანუ სიტყვაა და, იმავდროულად, **პირ. რ. ფენომენია** რაც, ფიზიოლოგიაში, როგორც აქვე ითქვა, დადგენილია, ეს იმას ნიშნავს, **იმისათვის რომ სიტყვა, როგორც სამეტყველო პირ. რეფლექსი აღმოცენდეს პირ. გამღიზიანებელი უნდა იყოს ბგერა.** ენგელსის მიხედვით **კი „მ-ბა, თავისი სპეციფიკური თვისებებით, ადამიანთა შორის დაკავშირების მოთხოვნილების შედეგად წარმოიქმნება...“**- „ბ-ის დიალექტიკა“ ... ტ. 1-5.

მეოთხე ალოგიზმის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შრომის პროცესში დაკავშირების მოთხოვნილება არაა ბგერა (არც რაიმე სუბსტანცია), ამიტომ, თავდაპირველ სამეტყველო ბგერით პირ. რეფლექსს, ვერანაირად, ვერ აღძრავს*. ცხადია: შრომის თე-

ორიის ავტორებმა ჰომინიდის უნარი გაუთანაბრეს ადამიანისას.

ალოგიზმი მეხუთე: კ. მარქსი წერდა: „...ობობა ასრულებს მქსოველის მსგავს ოპერაციებს. ფუტკარიც თავისი ცვილის უჯრედების აშენებით, არცხვენს ზოგიერთ ადამიანებს – არქიტექტორებს. მაგრამ ყველაზე უარესი არქიტექტორი საუკეთესო ფუტკრისაგან თავიდანვე განსხვავდება იმით, რომ სანამ ცვილისაგან უჯრედს ააშენებდა მან ის უკვე თავის თავში გააკეთა...“ დ. ნ. მ. გვ. 189. ამ ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ ქმედება, რომელსაც, ამ შემთხვევაში, ადამიანი ასრულებს ცნობადია. იმას, რასაც წინასწარ წარმოდგენაში უნდა ააშენო, მაღალი დონის ფსიქოანალიზი ჭირდება. აქ, ცხადია, საკმარისი არაა ქმედებათა მხოლოდ საგნობრივი წარმოდგენები, არამედ შესასრულებელია წყება მაღალი დონის ფსიქოაქტებისა. ამგვარი შრომა ხომ თავის თავში გულისხმობს მიზნობრიობას (მიზანშეწონილობას, მიზანმიმართულებას, საბოლოო მიზანსახვას ანუ პროგრამირებას) და შესატყვისი უმაღლესი რანგის **მეტყველებითი ფსიქოაქტების** ანუ აბსტრაქტული მეტყველების გარეშე შეუსრულებადია. როცა ვთქვით **მეტყველებითი ფსიქოაქტი**, ვიგულისხმეთ ის, რომ ადამიანი იმას რაც უნდა ააშენოს „წინასწარ თვის ტვინში **წარმოდგენაში** აშენებს **სიტყვებით** ანუ **მეტყველებით**. ეს ურყევი ფაქტია და, ამიტომ, ჯერ იყო **მეტყველება, მერე, მხოლოდდამხოლოდ ამ გაცნობიერებული აზროვნება-მეტყველების შემდეგ, გახდა შესაძლებელი გაცნობიერებული ქმედება ანუ შრომა:** პარადოქსია, თუ როგორ დაუშვა მეცნიერულმა აზროვნებამ იმის უგულვებელყოფა, რომ შრომა გაცნობიერებული პროცესია და რომ, ამის გამო, მაღალი **რანგის აზროვნება-მეტყველების** გარეშე, ვერ განხორციელდებოდა.

ამგვარად, თეზა – „**შრომამ შექმნა ადამიანი**“ არარეალურია: ადამიანი შექმნა არა შრომამ, არამედ **ბუნებამ: შრომითი კომუნიკაციის აუცილებლობას რომ აეძულებინა ადამიანი ემეტყველა, მაშინ ამ ენების ლექსიკა შრომის პროცესთა მიერ გამოცემული ბგერების წარმომადგენლობით იქნებოდა შემდგარი: შრომამ კი არ შექმნა ადამიანი,** არამედ პირიქით – **უმარტივესმა დასაბამისმიერმა მეტყველებამ, ასეული ათასწლეულების მანძილზე, განავითარა თავის ტვინი და შექმნა ადამიანთა შორის დაკავშირების შესაძლებლობა, ურომლისოდაც შრომა არ არსებობს.** ასე რომ **მეტყველებამ შექმნა შრომა** და არა პირიქით (ასევე იხ. გვ. 484-489). მაგრამ

როგორ ჩაისახა, დაიბადა და განვითარდა მეტყველება? ანუ ალგორითმის მე-4 საფეხური ჯერაც არაა გადალახული.

ფიზიოლოგიაში დადგენილი ურყევი ფაქტებია: ნებისმიერი პირობითი რეფლექსის დედამშობელი უპირობო რეფლექსია; პირობითი რეფლექსი რომ აღმოცენდეს, შესაბამისი უპირობო რეფლექსი, აუცილებლად, ერთხელ მაინც უნდა განხორციელდეს. მეორე სასიგნალო სისტემა პირველ სასიგნალო სისტემაზეა ბაზირებული. პირ. რ-ური რეაქციის ამღვძრელი გახლავთ უპირობორეფლექსურ რეაქციის გამომწვევ გამღიზიანებელს შეულლებული პირ. გამღიზიანებელი. პირ. რ. მემკვიდრეობითი არაა. პიროვნებას სიცოცხლის პერიოდში უვითარდება და წარმომქმნელი მიზეზებით თუ პერიოდულად არ ძლიერდება შესუსტდება ან სრულიადაც ჩაქრება. ეს მოვლენები დიდი ფიზოლოგის – პავლოვის მიერ ცდებითაა დადასტურებული და საყოველთაოდ ცნობილია. ოღონდ თუ როგორ მოხდა პირველი სამეტყველო პირ. რეფლექსების წარმოქმნა პავლოვს და არც არავის აუხსნია.

თუ სიტყვის წარმოთქმა პირ. რეფლექსია, რაც, როგორცა ვთქვით, უკვე დადგენილია, რა იყო ის უპირობო რეფლექსი, რომლის უპირობო გამღიზიანებელი შეცვალა პირობითმა? ნეიროფიზიოლოგიურ ასპექტში აი, როგორ ოთხუცნობიან ამოცანას ვერ უპასუხა პავლოვმა. წინაალმდეგ შემთხვევაში ის მეტყველების წარმოქმნის სოციალურ თეორიებს მხარს ვერანაირად დაუჭერდა.

როგორც ვხედავთ, აქვე დასასახელებულია ოთხუცნობიანი ამოცანა, რომელშიც მხოლოდ ერთი – მეტყველება პირობითი რეფლექსი რომაა არის ცნობილი, დანარჩენი სამი კი უცნობია. ესენია: 1. მოვლენა და მისი უპირობო რეფლექსები; 2. – უპირობო და 3. პირობითი გამღიზიანებლები ამ უპირობო რეფლექსებისა; მთავარი ისაა, რომ ავტორმა ამოხსნა კიდევაც ეს ამოცანა, ცნობილი გახადა რა სამივე უცნობი. შესაბამისად, ესენი არიან: 1. ნოვა–ყლაპვის უპირობო რეფლექსები; 2. უპირობო გამღიზიანებლები ამ უპირობო რეფლექსებისა – წყალი, რძე; 3. ამ უპირობო გამღიზიანებელთა შემცვლელი პირობითი გამღიზიანებლები – ნოვა-ყლაპვის წ...წ.. და ყ... ყ..., ხმები. ე. ი., პირველი სამეტყველო მინიმუმის დემიურგი გახლავთ ცოცხალ ორგანიზმთა ძირითადი ფუნქციის – ნივთიერებათა ცვლის რეალიზაციის განმაპირობებელი, ძუძუ-მწოვართათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ყველაზე სასი-

სოცხლო **ფიზაქტთა – წოვისა და ყლაპვის უპირობო გამღიზიანებლებს შეუღლებული, ამავე ფიზაქტთა მსვლელობის – წ... წ... და ყ... ყ... ხმიანობები.**

მეცნიერებაში გავრცელებულია მოსაზრება, რომ **„ცხოველებს გააჩნიათ ბგერითი სიგნალები გამომხატველნი ემოციისა თუ ორგანიზმის მდგომარეობისა“** და ემოციადაცლილი **„ნატურალური მდგომარეობისა,** ე. წ. **ცხოვრებისეული ხმიანობები,** რომელნიც, მათ მიერ, უკვე დასახელებულნი არიან მეტყველების წარმოქმნის შესაძლო საფუძვლად, ოღონდ ამის დამამტკიცებელი საკმარი აკადემიური მონაცემები არ არსებობენ. განსხვავებით ავტორისაგან, რომელიც მისმიერვე მიგნებულ სპეციფიურ ბგერებს **– წ...წ.. და ყ... ყ...,** ხმიანობებს განიხილავს პირ. და უპირობო რეფლექსებზე პავლოვის მოძღვრების ასპექტში და მოყავს მათგან ამოზრდილი ლექსიკური სისტემები და შესატყვისობები, გიორგიულ და ინდოევროპეულ ენებში. მთავარი ავტორისეული სიახლე გახლავთ ის, რომ ბგერების გამომწვევ ფიზაკტთა – **წოვა–ყლაპვის უპირობო რეფლექსების გამღიზიანებლებს შეუძლებელია წ... წ... და ყ... ყ... ხმები წოვა–ყლაპვისა არ შეუღლებოდნენ,** როგორც კვებითი პირობითი რეფლექსების ამღძვრელნი: ისეთების როგორიცაა კუჭში – წვენის, პირისღრუში – ნერწყვის გამოყოფა და ა. შ. დასახელებულ ბგერებზე და მათ მიერ აღძრულ პირობითი რეფლექსების გამო, ორგანიზმში მიმდინარე ექსტრა თუ ინტრაბიოლოგიური პროცესების ინფორმაციები **„თავის ტვინის მკაფიოდ და კონკრეტულად დადგენილ უბნებში ჩაიბეჭდნენ და იქ ინახებიან“: „...ადგილი აქვს სუსტი სინაფსების გარდაქმნას ძლიერად..**

პავლოვის ცდებით დადგენილია: **თუ საკვების მიღებას, მრავალჯერ, ნებისმიერ კონკრეტულ ბგერას შევუხამებთ, ამის შემდეგ, ამ ბგერის გაგონება ორგანიზმში გამოიწვევს იმ ცვლილებებს, რასაც საკვების მიღება იწვევდა.** ზემოთ, ჩვენს მიერ აღნერილ შემთხვევაში, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ **წ... წ... და ყ... ყ... ბგერები, ბუნებრივად არიან ფიზაქტს შეუღლებულნი და ამ ფიზაქტთა მსვლელობისას მათი გამოყოფა, ფაქტობრივად, მათი წარმოთქმაცაა.** ჰომინიდის ჯოგის მშიერ-მწყურვალ ინდივიდებში წოვა–ყლაპვის ხმიანობების გაგონება ან დანახვა აღნიშნული პროცესისა, უეჭველია, სწორედ, აქვეთქმულისმაგვარ, პირ. რ-ებს გამოიწვევდა და ეს მოხდებოდა ინდივიდებში და თაობებში ჰომინიდისა უსასრულო ხშირად: **ჰომინიდი, როგორც საწყისი მოცემულობა,**

რაკი მაღალგანვითარებული თ. ტვინის პატრონია, დადგა დრო როცა, პირ. რეფლექსთა შედეგად, ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებით გამოწვეული შეგრძნებები **სპორადულად ცნობიერდებოდა** ანუ წოვა ყლაპვის ხმები ასეული ათასწლეულების მანძილზე იძენდნენ ვერბალურ ფუნქციას, რაც იწვევდა მ-ის ცენტრისა და ენის პარალელურ განვითარებას.

და ეს გახლავთ ალგორითმის ბოლო მე 4 საფეხური. სამედიცინო პრაქტიკაში დაავადებათა დიაგნოსტიკა, უხშირესად, სპეციფიურ ალგორითმზეა ბაზირებული. მაგრამ, თუ აღმოჩენილ იქნა დაავადებისთვის დამახასიათებელი ერთადერთი – პათოგნომური სიმტომი, დიაგნოზი ყოველგვარი სხვა გამოკვლევისა და ალგორითმის გარეშე, ისმება. ავტორის მიერ ზემოთაღწერილი **ოთხუცნობიანი გამოცანა თავისი პასუხებით** გახლავთ ის ერთადერთი – **მონოგნომური სიმტომოკომპლექსი** (სინდრომი), რომელიც იძლევა საკმარ ახსნადობას მეტყველების ჩასახვისა და გამორიცხავს სხვა კვლევისა და ალგორითმის საჭიროებას.

თავის ტვინის ციტოარქიტექტონიკაში **ხელებისა და ენის ველების პროპორციული სიდიდე** ცნობილია. როგორც ზემოთ, **მესამე ალოგიზმის** განხილვისას ითქვა, ენა და მისი **მამოძრავებელი ცენტრი** უნდა განევითარებინა ენის იმგვარივე **ბუნებრივ მოძრაობებთან შეხამებულ** ახალ **სამეტყველო პირობითრეფლექსური ბუნების მოძრაობებს,** როგორც **შრომის პროცესის ახალმა მოძრაობებმა ხელი და მისი მოძრაობის ცენტრი განავითარეს.** ენის ბუნებრივი მოძრაობები იყო და არის მისი **კვების პროცესში** მონაწილეობა. მაშ, სწორედ ამ მოძრაობებს შეუხამდა ახალი **სამეტყველო პირობით რეფლექსური ბუნების მოძრაობები ენისა, რამაც ასეულ, ათასწლეულებში, გამოიწვია თ. ტ-ში ინდუცირებული ანუ ბუნებრივი რეალური ფაქტორებით განპირობებული პერმანენტული მუტაციები, შესაბამისი, ცვლილებებით ტვინის ციტოარქიტექტონიკაში და თავად სამეტყველო აპარატში ანუ – ენის განვითარებაში.**

ესე იგი, მეოთხე საფეხური მეტყველების ჩასახვის ალგორითმისა გადალახულია, რადგან, გამორიცხვის მეთოდით, დაშვების სხვა ალტერნატივის მოხმობა ანუ სხვა მექანიზმით **მეტყველების, როგორც პირ. რეფლექსის ფენომენის ჩასახვა** შეუძლებელია.

თუმცა ვაგრძელებთ ამ საკითხის გამონვლილვით განხილვას.

ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური ასპექტები მეტყველების ჩასახვისა

გავერკვეთ თუ რას გულისხმობს პავლოვის დასკვნა: **„სიტყვა სიგნალის სიგნალია“.**

ბგერა ნიშანი რომ გახდეს, აღსანიშნი, გრძნობათა ორგანობის მეშვეობით, აუცილებლად, უნდა იქნეს აღქმული. მაგ: თუ არ ვიცით დახსომებული სიტყვა აბაჟურის მიერ აღნიშნული საგნის რაობა იგი უნდა დავათვალიეროთ. ამ დროს საგნიდან არეკლილი სხივები ხვდებიან მხედველობის ორგანოს ექსტერორეცეპტორებს (ფოტორეცეპტორებს) და ნეიროიმპულსური აგზნებებით (ბიოპოტენციალებით) გაღიზიანების შემდეგ, თავის ტვინის დიდ ჰემისფეროებში ხდება ამ საგნის ხატოვანი ასახვა (აღქმა), ხოლო სმენისა და მხედველობის ანალიზატორების უმაღლეს განყოფილობებში, შესაბამისი კავშირების დამყარების გამო, სიტყვა აბაჟური და საგანი აბაჟურის აღქმითი ხატები თავის ტვინში შეირწყმებიან. ამის შემდეგ სიტყვა, ყოველთვის, უდრის მის – დანახული აბაჟურის მნიშვნელობას ანუ იმ აღქმას, რაც მხედველობის ანალიზატორის სხივით გაღიზიანების შემდეგ მოხდა. ამგვარად, იგი ამ სხივით გამოწვეული **გაღიზიანების შემცვლელი გამღიზიანებელი ანუ სიგნალის სიგნალი გახდა:** აი, ეს გახლავთ მეტყველების პირ. რ-ური ბუნება; აი, რას ნიშნავს პავლოვისა და პავლოვისტების ნათქვამი: **„სიტყვა სიგნალის სიგნალია-ო“.**

ხშირად სიტყვა არამცთუ ინდეფერენტულად აღნიშნავს, არამედ სწორედ რომ მგრძნობელობით და მაღალი გამომხატველობით აღნიშნავს აღსანიშნს. მაგ: განა მგრძნობელობა-გამომხატველობის გარეშე შესაძლებელია სიტყვა **შაქარმა პირში ნერწყვი მოგვგვაროს?...** მ. ე. სიტყვა ორგვარი ბუნებისაა :– **ინდიფერენტულ-აღმნიშვნელობითი,** მხოლოდ და მხოლოდ **სამეტყველო პირობითრეფლექსური** და, პლიუს ამას, **რეაქციული ანუ რეფლექსოგენური,** გამომწვევი მრავალ (კვებით, თავდაცვით და ა. შ.) პირობით რეფლექსთა, იმისდამიხედვით თუ რას გამოხატავს და რაგვარია ადამიანის ჰომეოსტაზი თუ ფსიქიკური მიმართება, ამ მომენტში, აღსანიშთან. სხვა საქმეა აღმნიშვნელ-აღსანიშნის ბგერითი (ფონემატური) მსგავსება: სიტყვა ყოველთვის უდრის მნიშვნელობას, მაგრამ მეხსიერებაში, ცალკე სიტყვის **საკუთარი აღ-**

ქმითი ხატიც არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხმაბაძვის, პაროდიების მოსაუბრის ხმის ცნობის და ა. შ. შესაძლებლობები გამოირიცხებოდა. სიტყვის ხატის მსგავსება აღსანიშნთან ენების ლექსიკაში სხვადასხვაგვარია. ხშირად სრულიადაც არაა (რაც ისეთსავე დამტკიცებას მოითხოვს როგორსაც ქონა), მაგრამ მეტყველების ჩასახვის პერიოდში საქმე სხვაგვარადაა: **როცა აღმნიშვნელი კიდეც გავს და კიდეც გამოხატავს აღსანიშნს.**

პირველი პერიოდი ჰომონიდი, პატარაობისას – დედის ძუძუს წოვის და დიდობისას – წყლის სმისას თუ ცხოველთა ჯიქნების გამოწოვის პროცესში მუდამ აღიქვამს ამ მოვლენათა თანმხლებ ხმიანობებს (**წ... წ...და ყ... ყ...ბგერებს**), რომელთაც, შეუძლებელია, მის შესაბამისად მომწიფებულ **ც. ნ. ს–ში** დასახელებულ პროცესთა თუ მათში მონაწილე კომპონენტთა **წარმოდგენები** არ გამოიწვიონ. **ცხოველებს გააჩნიათ არა თუ პატრონის ხმის ცნობის უნარი, არამედ ამ ხმის (მოფერებისა და გაწყრომის; ნებადართულობისა და აკრძალვის) ინტონაციების დიფერენცირებულად ცნობისა და მასზე ადეკვატურად რეაგირების უნარი. ეს კი შეუძლებელია ამ ხმათა წარმოდგენის უნარის ქონების გარეშე.**

ჰომინიდს ჩვენეული ფანტაზიის, **არარსებულის წარმოდგენის (წარმოსახვის)** უნარი არ გააჩნია, მაგრამ წოვა ხომ უალრესად უშუალოა, ინდივიდუალურიცაა (ასრულებს ინდივიდი) და სახეობითიც (ასრულებს სახეობის ყველა წევრი). იგი მუდმივი და სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მ. ე, წოვისა და მისი თანმხლები მოვლენების **აღქმითი ხატები,** მეხსიერებითი კვლების სახით, იარსებებენ ხანგრძლივ ლატენტურ (ფარულ) პერიოდში. ასეთი მეხსიერება განეკუთვნება მაღალი ფორმის **ხანგრძლივ მეხსიერებას,** მაგრამ რაკი **პროცესი ხშირია, აღქმებიც იქნება ხშირი და, აქედან გამომდინარე, მეხსიერებითი კვალიც (ხატური მეხსიერება) – უწყვეტი.** აქ ხაზგასასმელია უმნიშვნელოვანესი ფაქტორი: **წოვა და მისი ხმიანობა ერთიანია, განცალკევებით არ არსებობენ, ამიტომ,** როგორც შესრულება წოვისა ცნობიერებაში იწვევს თავისავე **ერთიან** (წოვა + წოვის ხმა) აღქმას, ეგრევე ამ პროცესის შორიდან მხოლოდ **დანახვა ან – ხმის გაგონება** აკეთებს იმასვე **(ასოციაციური წარმოდგენა).** ესე იგი, ზემოთ სიტყვა აბაჟურზე გაკეთებული დასკვნების მსგავსად, რაკი **წ და ყ ბგერათა მსგავსი ხმიანობები წოვა–ყლაპვისა)** მხოლოდ გაგონებით იძლევა მხედველობით აღ-

ქმულის წარმოდგენას, ფაქტია: **იგი (ხმა) სიგნალის სიგნალია.**

ძუძუმწოვრებში, წოვა-ყლაპვასთან (ნივთიერებათა ცვლასთან ანუ საჭმლის მონელების პროცესთან) ასოცირებულ ისეთ მოდალობათა როგორიცაა: **წყურვილის, შიმშილის, წყურვილის დაკმაყოფილების და გაძღომის** ორგანულ შეგრძნებებს თუ ემოციური რიგის მოვლენებად არ ჩავთვლით (ნეობიჰევიორისტები), ერთი მაინც ცხადია: მათ ინტენსივობაზე უშუალოდაა დამოკიდებული, მოთხოვნის დაკმაყოფილებით გამოწვეული, სიამოვნება-უსიამოვნების ინტენსივობა: **„ორგანული შეგრძნებები ერთიანნი არიან ემოციური გენეზისის განცდებთან“.** მათ ერთმანეთთან აახლოებთ მჭიდრო კავშირი ინდივიდის ბიოლოგიურ მოთხოვნილობებთან, ეს უკანასკნელნი კი, წარმოიქმნებიან ორგანიზმის ჰომეოსტაზის იმდაგვარი რღვევისას, როცა სისხლში საკვებ ნივთიერებათა პროცენტული რაოდენობა კლებულობს.

ლ. ლანგეს და უზნაძის განწყობის თეორიის თანახმად (განწყობის არსებობა აღმოაჩინა გერმანელმა ფსიქოლოგმა ლ. ლანგემ. 1888 წ.), მოთხოვნილება განაწყობს ჰ-ს ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ხოლო შესაბამისი სიტუაცის არსებობისას (მშიერ-მწყურვალი ჰომინიდი), განხორციელდება შესაბამისი ქმედება (წოვა ყლაპვა) ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

გარდა ამისა, დასახელებულ წოვა-ყლაპვის ფიზაქტს თან ახლავს სხვა მოდალობათა – **შეხების, ტემპერატურის, მხედველობის, სმენის და ინტერმოდალური თვისობრიობის – გემოს და ყნოსვის** შეგრძნებები. ყველა, ზემოთჩამოთვლილ, **შეგრძნებათა განცდები და შეგრძნება-ემოციათა საერთო განცდები** ერთიანნი არიან, რადგან ერთ მოვლენაში – **საკვების მიღების ფიზაქტში არიან შერწყმულნი.** მაშასადამე, ნებისმიერ მათთაგანს შეუძლია პირობითი რეფლექსის გამოწვევა და, რაც მთავარია, ამას აკეთებს **ხმიანობაც (ბგერა).** წინამდებარე პრობლემა ხომ ბგერითი მეტყველებაა, ამიტომ, გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესია, რომ **ბგერაა შეუღლებული ფიზაქტის უპირობო რეფლექსებით გამოწვეულ, ზემოთხსენებულ შეგრძნებებსა და ემოციებს.**

ახლა კი განვიხილოთ ბლუმფილდ-უზნაძის, განწყობით გაშუალებული, სტიმულ – რეაქციის (SR – STR) მაგალითი: ვთქვათ, მდინარეში ერთი ჰომინიდი სვამს წყალს (წოვს). მეორე – მწყურვალის ც. ნ. ს-ში, რომელსაც, შორიდან, მხოლოდ და მხოლოდ ეს-

მის ეს ხმები, წარმოდგენების სახით, მაშინვე აგიზგიზდება მდინარეში წყლის მიღების ხატურ-ფსიქონერვული ქმედებები (წყლის სმის, თავად მდინარის და მისი შემოგარენის და ა. შ. წარმოდგენები). ლანგე-უზნაძის, ზემოთაღწერილი, განწყობის თეორიის თანახმად კი სიტუაცია: მწყურვალი ჰომინიდი (მოთხოვნილება) პლიუს წყალი (ხმის გამომცემი მდინარე) გამოიწვევს ჰომინიდის განწყობას: იგი გახდება „მიზანშეწონილი ქცევის სუბიექტი" და განხორციელდება „წინასწარ ორიენტირებული ქცევა" – მდინარისკენ გამოქცევა და წყლის მიღება (წოვა). მაგალითის სახით შემოთავაზებულ ამ დაშვებაში, რომელიც ჩლიქოსნებში ნებისმიერს შეუძლია დღესაც დააფიქსიროს, იკვეთება **წოვის ხმიანობების როლი: იგი ფაქტორია (იგივე სიგნალი ანუ გამღიზიანებელია) ორგანიზმში აღძრული რიგი ძვრებისა: ინტერორეცეპტორების გაღიზიანება, წყურვილის ცენტრის აღგზნება, წყურვილის განცდის გამძაფრება და ა. შ. რამაც განაპირობა ფსიქომოვლენა – განწყობა. და, საბოლოო ჯამში ფიზაქტი – წოვა წყლისა:** ეს ის ფაქტებია, რომელთაც დამოწმება არ სჭირდებათ, მაგრამ რომელი დამოწმებებიც არსებობენ: დღესაც, სამეგრელოში, დედები პატარებს **წ... წ...** ბგერების წარმოთქმით წყლის სმისადმი განაწყობენ, ისევე როგორც სხვა ხალხები – რუსები, უკრაინელები და ა. შ. ხმაბაძვითი **ფს... ფს...**, **პის... პის...** ბგერათკომპლექსთა წარმოთქმით, შარდვის ფიზაქტისკენ განაწყობენ თავიანთ პირმშოთ. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სლავურ. ენებში **პის** ბგერათკომპლექსის წარმოთქმისას, სლავური **პ (П)** როგორც არასდროს, ემსგავსება ქართვ. **ფ** ბგერას (ფონემას).

ეს წარმოთქმები რაკი იწვევენ წყლის მიღების (სმის) და შარდვის რეფლექსების აღმოცენებას, ფაქტია: მათ შეუძლიათ მოგვევლინონ უპირობო რეფლექსთა პირობით ბგერით აგენტებად (ბგერით სიგნალებად ანუ ბგრით გამღიზიანებლებად.): ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტებია: ძუძუს წოვა და წყლის სმაც ერთიდაიგივე პროცესია, რადგან, გასაგები მიზეზების გამო, წყლის მიღება ჰომინიდს ტუჩების წყალთან უშუალო კონტაქტით და ძლიერი შეწოვითი მოძრაობებით თუ შეეძლო: ხოლო ამ პროცესთა ამღვძრელ უპირობო რეფლექსების შეკავების შემთხვევაში, ამ მოვლენებს თანმხლები ბგერა მათი (უპირ. რ-ების) პირობითი სიგნალი ხდება და აღაგზნებს მათ. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, საეჭვო

არაა **ფს** კომპლექსის და, მით უფრო, **წ და ყ** ბგერათა უნარი – გამოიწვიონ პირობითი რეფლექსები ანუ – მათი რეფლექსოგენურობა. ამგვარად, პირველ პერიოდში, **წ და ყ** კვებითი უპირობო გამღიზიანებლების (რძე, წყალი, – რძის გემო, სუნი და ა. შ.) **შემცვლელ** პირობით გამღიზიანებლებად – **სიგნალთა სიგნალებად** გვევლინებიან: ეს იგივეა შორიდან მოგვიხმონ სიტყვით – წყალი და გავიქცეთ სასმელად წყლისა. ამ შემთხვევაში, სიტყვა პირობითი აგენტია, მაგრამ ჰომინიდისაგან განსხვავებით, გვძალუძს გავაცნობიეროთ, რომ გაგონილი წყალი სიტყვაა და არა ობიექტი წყალი. ჰომინიდს კი, დასაწყისში, **ეს პირობითი აგენტი (შორიდან გაგონილი ნოვა-ყლაპვის ხმა)** სრულიად აქვს **გასაგნებული** და ვერ ძალუძს შეამჩნიოს მისი ნიშნადობა. და ეს მიუხედავად იმისა, რომ, სხვა ცხოველთაგან განსხვავებით, **ფაქიზ და პლასტიკურ ქმედებაგამოცდილებათა უნარის მფლობელი და ჩანასახოვან ინტელექტუალურ აქტთა ქმედითუნარიანია.** მაგრამ რაკი **პირობითი აგენტი ბგერაა** და, წარმოდგენაში, უდრის აღსანიშნს – **რძეს, ძუძუს, წყალს, ნოვის პროცესს,** მიუხედავად აღმნიშვნელობითი ფუნქციის არარსებობისა, ეს იგივეობა, გარკვეული დროის პერიოდში, მ-ის ჩასასახავად შემამზადებელი გავლენის მქონეა. იგი **გაუცნობიერებელი საგნობრივი ცხოველური აზროვნებაა. ანუ – არტიკულაცია და ცნობიერება დაცლილი უხმო ანუ უსიტყვო (შინაგანი) ცხოველური მეტყველებაა.** ხოლო იმ შემთხვევეაში, როცა ჰომინიდი აკეთებს წოვა-ყლაპვით მოძრაობებს, რაც, ფაქტობრივად, **ობიექტად** გაიგივებული (გასაგნებული) **წ და ყ** ბგერათა წარმოთქმაა, ეს უკვე **გაუცნობიერებელი, მაგრამ გარკვეული გავლენის მქონე ბგერითი ცხოველური მეტყველებაა.**

აღნიშნული ფაქტები გახლავთ, მეტყველების განვითარების პირველ პერიოდის დასაწყისში, ცხოველური აზროვნების და მეტყველების არსებობის ფაქტები ჰომინიდში.

ცხოველებს გააჩნიათ **ხმის ცნობის მეხსიერება** , ხოლო , როცა ც. ნ. სისტემაში, მეხსიერებითი კვალის სახით, არსებობს პირობითი აგენტის ფუნქციის მატარებელი, **მეხსიერებით-წარმოდგენითი** მონაცემი **(ხატი)** ბგერისა, რომლის **არტიკულაციის პრობლემა ბუნებრივად მოხსნილია,** შეუძლებელია იგი, ერთ რომელიმე მომენტში, არ წარმოითქვას. აგრეთვე, **ეს იმიტომ რომ:**

1. წოვითი მოძრაობები გენეტიკაშია დაფიქსირებული. იგი

უპირობო რეფლექსური რეაქციაა. ახალშობილს არავინ ასწავლის წოვას. იგი როცა შია, ტუჩების ცმაცუნით ეძებს დედის ძუძუს. არც საწოვარას მიჩვეულ ბავშვს ასწავლიან წოვითი მოძრაობით მოითხოვოს საწოვარა. ამასვე, რომ წოვითი მოძრაობები გენეტიკაშია დაფიქსირებული და შეუძლებელია იგი, ერთ რომელიმე მომენტში, არ განხორციელდეს ამტკიცებს: 2. პერსეველაცია ; 3. ეგოცენტრული მეტყველება და 4. ტიტინი (იხ. ქვემოთ).

წოვითი მოძრაობებით დედის ძუძუს თუ საწოვარას მოთხოვნის მოძრაობები რაკი მემკვიდრეობითია და თავისით სრულდება, აქედან გამომდინარე, ეს მემკვიდრეობითობა ვერსაიდან გაჩნდებოდა თუ არა ფილოგენეზიდან. მაშასადამე, ამ ჩვილ ბავშვთა უპირობო რეფლექსურ რეაქციათა მსგავსად, ჰომინიდი, როგორც სახეობა, ასეული ათასწლეულების მანძილზე წყურვილ-შიმშილისას, დამტკიცებულად, ასრულებდა წოვა-განწოვით მოძრაობებს ანუ წარმოთქვამდა, გაუცნობიერებელ, გარკვეულ გავლენის მქონე წ და ყ ბგერებს. ამგვარადვე, დღესაც, ჰომინიდთა უშუალო მემკვიდრენი, – ადამიანები წყურვილ შიმშილისას თუ ჰომეოსტაზის სხვა ცვლილებათა რაგვარობისდა მიხედვით, სიცხის, სიცივის, ძილიანობის და ავადმყოფობისას გაუცნობიერებლად და უნებლიედ, წარმოთქვამენ სიტყვებს, როგორიცაა: მწყურია, მშია, მეძინება, მცივა, მტკივა, ავადა ვარ და ა. შ. თუმცა, ჰომინიდის მიერ, რეპროდუქცია მის თავის ტვინში არსებული ხმის ხატისა სიტყვად რომ ჩაითვალოს, მან – ამ რეპროდუქციამ უნდა მიიღოს მუდმივი ხასიათი და დიდ დროში გაცნობიერდეს ანუ შეიძინოს ლოგიკურ-ენობრივი საზრისი. ამას კი, ზემოთქმული, უხმო შინაგანი მეტყველების (ცხოველური საგნობრივი აზროვნების), გაუცნობიერებელი, გარკვეული გავლენის მქონე უნებლიე წოვითი მოძრაობების ენისა ანუ ცხოველური მეტყველების და შემდეგ სპორადულად გაცნობიერებული მეტყველების თაობებში მიმდინარეობა ჭირდება, რათა თავის ტვინში მეტყველების ცენტრმა დაიწყოს ჩასახვა.

როცა ჰ. გაუცნობიერებლად წოვა-ყლაპვას მიმსგავსებული მოძრაობებით ანუ წ და ყ ბგერათა მსგავსი წარმოთქმებით, მოითხოვდა იმას რასაც, ეს უკანასკნელნი, წარმოდგენაში იძლეოდნენ: დედის ძუძუს, წყალს, რძეს ეს ნატურალური ანუ კვებითი პირ. რ. ფაქტორებით განპირობებული პროცესია, ამიტომ, როგორც სხვა სახეობანი პირ. რეფლექსისა დიფერენცირებულია და განეკუთვნება ბერიტაშვილის მიერ დადგენილ პირ. რ. მეხსიერების სახეობას.

ამგვარადვე მოითხოვს ძროხა ბღავილით, კატა – კნავილით, ღორი – ჭყივილით და ა. შ. საკვებს. ოღონდ ჰომინიდის შემთხვევაში განსხვავება დიდია: **უკვე გაცნობიერებულ მოძრაობებს აკეთებს მოქნილი ანატომიური ორგანო ენა და რაკი წოვა-განწოვა, ენის წვეროთი ერთი და იგივე ანატომიურ ორგანოთა მეზობლობაში მიმდინარე პროცესებია, წოვითი მოძრაობების განწოვის შეცვლის დაშვება, სპონტანურად, ადვილად მოსალოდნელია. უფრო მეტიც: ასეული ათასწლეულების დიდ დროში გარდაუვალია. ეს კი გახლავთ ნ ბგერის არტიკულაციის დაწყების გარდაუვალობა.** ანუ **ნ** ხდება მატერიალურ-აზროვრივი ფენომენი. **ეს მეტყველების 1 პერიოდის ბოლო მონაკვეთია.** უკვე **ნ** წარმოითქმება არა შეწოვითი, არამედ საპირისპირო – განწოვითი მოძრაობით. იმდაგვარადვე როგორადაც მას დღეს წარმოვთქვამთ. როგორც ზემოთ მრავალგზის ვაჩვენეთ, ჰომინიდის ცნობიერებაში **ნ** ბგერა გაიგივებულია შესაბამის უპირობო გამღიზიანებელთან, მაგრამ, სინამდვილეში ხომ იგი არც საგანია და არც უპირობო გამღიზიანებელი. ამიტომ, გაუცნობიერებლად წარმოთქმულ კვებით პირობით აგენტ **ნ** ბგერაში იმანენტურადაა ნიშნადობა ჩადებული. მ. ე, არსებული მიზეზგანპირობებულობა იძლევა შანსს როდისმე წარმოიქმნას აზროფორმა: გაგონილი ან წარმოთქმული **ნ არის ხმა, ბგერა; ნ** არის არა წყალი, არამედ, **ალმნიშვნელია** მისი. „ანუ **ნ** ხდება **„...მატერიალურ-ნივთობრივი ფორმა აზრის არსებობისა...“** იხ ე. ნ. მილლერი „ენის ფუნქციები“ გვ 31.“ **ნ**-მ განახორციელა ნომინაციური ფუნქცია: რადგან **„...ენა (ნ ბგერა ე. ი.) ასრულებს ობიექტური რეალობის აღმნიშვნელობით – ნომინაციურ ფუნქციას...“** იხ. დ. ნ. გვ 28. მ. ე, დროთა მანძილზე, **უნებლიე და სპორადულად გაცნობიერებული** წარმოთქმები იწვევენ ტვინში მუტანტურ ცვლილებებს. შემდეგ ამ წარმოთქმათა უწყვეტად ლოგიკურ საზრისად ჩამოყალიბება ანუ **გაცნობიერება** იწვევს **ნ..ნ** ხმების სიტყვად ჩასახვის გარდაუვალობას. ესე იგი, როცა წოვას მიმსგავსებული განწოვის ფიზ. აქტი, იგივე **ნ** ბგერის, დღევანდელი, საარტიკულაციო მონაცემი შეიძენს ენობრივ საზრისს, ეს უკვე ადამიანური ინტელექტუალური აქტი – ვერბალური მეტყველებაა. თანდათან მეტყველება რთულდება იმდენად რამდენადაც პოლისემიიდან (მრავლობითი მნიშვნელობიდან) – წოვის და წყლის სმის ერთიანი წარმოდგენებიდან **(წყალი + მდინარე + მდინარის შემოგარენი; დედა + რძე + ძუძუ)** უნდა

განცალკევდეს – **ნ** „წყალი"; **წ**- „რძე"; **ნ**- „დედა" და ა. შ.. ანუ უნდა წარმოიქმნას (შეუძლებელია არ წარმოიქმნას) აზროფორმები: აი, წყალი; აი, რძე; აი, დედა და ა. შ. ამ დროისთვის სხვა რეფლექსოგენური თუ ხმაბ. ბგერები და ბკ-ები მხოლოდ მეხსირებითი მონაცემნი არიან. მათი წარმოთქმის ძალმოსილება ჰომინიდს ჯერაც არა აქვს, მეტყველების ცენტრისა და ენის, შესაბამისი, განუვითარებლობის გამო. თუმცა უკვე გადაიდგა **პირველი და გადამწყვეტი ნაბიჯი ანტროპოგენეზისა**, რადგან უწყვეტი მუტაციური ცვლილებებით, ჩასახვა დაიწყო მეტყველების ცენტრმა...

ამ **პირველ პერიოდში**, როცა **ნ** და **ყ** სიტყვებად წარმოითქვა, – **ეს გახლავთ აბსოლუტურად უთავდაპირველესი (ა. უ.) პირველქმნადობა. მოხდა ნ და ყ ბგერათა გარკვეულ შინაარსთან დაკავშირება და აზრდა მათზე (ნ და ყ-ზე) ამ შინაარსისა. ეს პირველქმნადობა ა. უ. იმიტომაა, რომ, პაულის სიტყვებით თუ ვიტყვით, იგი განხორციელდა არა თუ უკვე „...ადრე (არსებულ) გარკვეულ შინაარსთან დაკავშირებულ ბგერათკომპლექსის (თუ ბგერის ე. ი.) შუამავლობის გარეშე,...,"** არამედ ყოველგვარი სამეტყველო რესურსთა სრული არარსებობის პირობებში. **პირველქმნადობა ამგვარი პრინციპით შემდეგაც გაგრძელდება, როცა „...ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის დაკავშირება რაიმე უკვე სახელდებული შინაარსის მონაწილეობის გარეშე მოხდება...", მაგრამ იგი არ იქნება ა. უ. პირველქმნადობა, რამეთუ დაფუძნებული იქნება ნ და ყ-ზე ან მათგან წარმოქმნილ, შესაბამისად, წინაენისმიერ და უკანაენისმიერ ბგერებზე, და ამ მინიმუმით მ-ის პროცესში, ენისა და თავის ტვინის შემდგომ განვითარებაზე (მორფოგენეზზე).**

მეორე პერიოდი ხმაბაძვითია. დასაწყისში ამ პერიოდისა ჰომინიდი უკვე ადამიანია: **ნ** და **ყ** ბგერის სახით, აქვს დაკავშირების საშუალება – **პრიმიტიული ენა.** მათგან წინა და უკანაენისმიერთა, ფარინგალ-ლარინგალთა სპონტანური ცვლით მიღების პარალელურად იწყება ამ ორ თავსაწყისთან მეტოქეობაში მყოფ ხმაბაძვითი ბგერების წარმოქმნა. ხდება თვალის რეცეპტორების სინათლის სხივით გაღიზიანების შედეგად წარმოქმნილი ფსიქოწარმოდგენების სახელდებაც. იწყება **სოციოგენეზი. ნ და ყ** ბგერათა მეშვეობით, იგი ქმნის ორმაგი ბუნების (პირობითრეფლექსურ + ხმაბაძვით) სიტყვებს, მაგ: თავდაპირველად იყო პირ. რ. ბუნების უნებლიე **წგ.. წგ..** წარმოთქმები. გაცნობიერების შემდეგ ეს წარმოთქმე-

ბი ასევე ატარებდა ხმაბაძვით ხასიათს. ამის დასტურია მათგან მომდინარე, აფიქსებშეზრდილი, დღევანდელი ფორმები: **წუ-წ-ვ-ნა // წუ-რ-წ-უა** სიტყვები. აქ ხმაბაძვითი ეფექტის გასაძლიერებლად **წ** ბგერა გამეორებულია: ესაა სიტყვის გამომხატველობისა და ნიშნადობის ფუნქციის ზენიტში აყვანა, რადგან **წუწ-ნა** ნიშნავს **წ... წ..წ** ბგერების გამოღებით სმას, წოვას სითხისა.

იგივე მეორდება **ყ** ბგერის შემთხვევაში. მაგ: მნიშვნელობით, მეგრ. **ყი-ყო-ნუა** ჭამის იმდაგვარი სახეობაა, რომლის დროს **ყ...ყ...** ხმიანობა გამოიცემა. მ. ე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს სიტყვა – **ყიყონუა** წარმოიქმნა ხმაბაძვ. **ყ..ყ..** ბგერების წარმოთქმით.

პირველ პერიოდში **წ და ყ** თანხმოვნებით ბუნებრივი ანუ წოვა-ყლაპვითი არტიკულაციებით მ-ის ტრადიციამ და შემდეგ, **მომიჯნავე ბგერებად, დიდი ხნის მანძილზე, მათმა სპონტანურმა ცვლილებებმა (წ > ც, ს, შ; წ > ჭ; წ > ძ, ჯ და ა. შ.; ყ > გ, კ, ქ** და ა. შ. იხ. ქვემოთ) და წარმოთქმებმა, უფრო მაღალი რანგის მეტყველებითი უნარი შესძინა, შეამზადა ჰომინიდი გაეკეთებინა არაბუნებრივი (უჩვეულო) არტიკულაციები სხვა ფიზაქტთა და რეფლექსოგენურ ბუნებრივ მოვლენათა ხმებისა, რომლებიც მხოლოდ მეხსიერებაში და წარმოდგენებში არსებობდნენ.

შემდეგი ქმნადობებისას იწყება, გრძელდება და ღრმავდება გრადაცია: სამეტყველო მონაცემი აბსოლუტურიდან (აბსოლუტური გამომხატველი, აბსოლუტურად ადეკვატური ანუ აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლოდან) ხდება სულ უფრო ნაკლებად ბუნებრივი სიმბოლო. და ეს გრძელდება დღემდე, როცა „ფუძე“ ქართველური ენებისგან განსხვავებით, სხვა „ნაწარმოებ ენებში“ სიტყვას თითქმის სრულიად აქვს დაკარგული ნატურალური სიმბოლიზაცია. მაგ: **აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლო** მეგრ. **შგ** მარცვალი დღესაც წყალია. სახელდება გამოწვეულია მდინარეთა გაბმული **შ...შ.....** ხმიანობათა იმიტაციით. **წყურვილისას** ამ ხმათა რეფლექსოგენურობა უეჭველია: აღიგზნება წყურვილის ცენტრი: წყლის (შიშინა მდინარის) ანუ მეხსიერებაში არსებული, წინათ აღქმული – მდინარე + მისივე შიშინის წარმოდგენა ავა ზენიტში. გასაგებია, მდინარის წყალი ამ დროს იმპერატიული მოთხოვნილებაა, **მაგრამ სიგნალ-სიგნიფიკატის შეუღლების გამო, იგივეა წარმოთქმა, რეპროდუქცია ამ შიშინისა.**, ამის დასტურია ქართული **შიმ-შილ-ი** და მეგრული // **შქირენი**: სიტყვებში – **შიმ-შილ-ი** და **შიში-ნი** **შ** ბგერა დუბლირებულია, რაც იმას გვიჩვენებს, რომ სიტყვის და-

საბამი იყო ზედიზედ წარმოთქმული **შგ**, **შგ**, რითაც ბუნებრივი სიმბოლურობა სიტყვისა ზენიტშია ასული:

შგ „წყალი“ + **რ** სუფიქსაციამ, რომელიც (კანონზომიერად) **მ** ბგერით შეიცვალა, დღეისთვის, მოგვცა მეგრული **შუმ**–ა და > // ქართული „სმა“. ამ სიტყვებიდან მეგრულში ბუნებრივი სიმბოლურობა ნაკლულია, მაგრამ შეიმჩნევა, ქართულში კი არა. სახელსადებ ფაქტთა სიუხვის, ხოლო სამეტყველო რესურსთა სიმცირის გამო, თავდაპირველი ბგერები და ბგერათკომპლექსები და მათგან სუფიქსაციით მიღებული ალომორფები პოლისემიურნი არიან: **შგ** არა მარტო წყალს, სმას, არამედ კვებასაც აღნიშნავდა. **რ** სუფიქსაციით წარმოქმნილია **შირ** ალომორფი იგივე პოლისემიით. ამ უკანასკნელის დუბლირება ქართულში გვაძლევს **შიმ–შილ**–ს (შირ – შირ* > **შიმ**-შილ) და მეგრულში შქირ–ენ–ს (შირ-შერ* > **შქირ–შქერ*** > შქირ-ერ* > შქირ-ენ). **შ : შქ** ქართულ–მეგრული ბგერათშესატყვისობაა, ამიტომ უდაოა: **შქ**ირ მიღებულია **შ**ირ ალომორფისაგან, რომელსაც **ენ** სუფიქსაციამ და **შ** > **შქ** პროცესმა სახე ისე **უცვალა, შქირ-ენ** სიტყვაში ბუნებრივი სიმბოლურობა აღმოსაჩენი გახადა. ამგვარად, აფიქსაციის დაწყებიდან, აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლო ხდება ნაკლებად ბუნებრივი და მეტად სიმბოლური ანუ ისეთი, რომელსაც ვერ გამოარჩევ პირობითი სიტყვებისაგან. ეს პროცესი აფიქსაციით წარმოქმნილი ალომორფული პოლისემიის პერიოდია. აფიქსთა და ფონეტიკურ დანართთა ძირს შეზრდის და განმეორებითი აფიქსაციის და ა. შ ცვლილებების გამო, ხშირად, სიმბოლურობაში ბუნებრიობა ძნელი შესამჩნევია. მაგ: ენათმეცნიერებიდან საეჭვოა ვინმე თუ იტყვის, რომ **წყურ–ვილი** ბუნებრივი სიმბოლოა. მაგრამ დასაბამიდან **წ** = წყალი; **ყ** = ყლაპვა; ჯამში: **წ + ყ** = წყალი, წოვა, სმა, წყურვილი და ა. შ. მეგრული **წყუ** დღესაც უდრის წყაროს ანუ იგი დღესაც ბუნებრივი სიმბოლოა. მეგრულში პარალელურად გვაქვს **რ** ბგერით სუფიქსირებული ფორმა **წყუ**-რი, იგივე წყაროს მნიშვნელობით. **წყურ**-ის ბუნებრივი სიმბოლურობა შემცირებულია. ქართულში, ამ უკანასკნელიდან, **ვილ** სუფიქსაციით მიღებულია **წყურ-ვილი,** რომლის სიმბოლურობა **წყუ** და **წყურ**-თან შედარებით, მაღალია, ბუნებრიობა კი დაბალი. წყურვილის შესატყვისი მეგრული **ღუმ-ენ**-ი იმდენადაა ცვლილი, რომ ბუნებრიობა თითქოს საერთოდ არა ჩანს. **ყოველივე ეს ბადებს აღსანიშნ-აღმნიშვნელის**

კავშირის ნებისმიერობის ილუზიას, მაშინ როცა"... იმ ზომით რა ზომითაც ნაწარმოები ენები სცილდებოდნენ ფუძისეულ ენას, მათი სიტყვაწარმოება ნაკლებად ბუნებრივ ბგერათა ნაბაძულობის და სულ მეტად სიმბოლური ხდებოდა..." ლაიბნიცი.

მესამე პერიოდი განვითარებულია ენა და **კანონზომიერი მუდმივი მუტანტური ცვლილებებით,** მეტყველების ცენტრში ჩასახულია რეფლექსიის ცენტრი.. მთლიანად ც. ნ. სისტემა (ცნს) სულ სხვა, მაღალ რანგზეა ასული. მეორე პერიოდიდან დაწყებული სოციოგენეზი წინ უსწრებს მორფოგენეზს. გარდა კვებითისა, უკვე წარმოქმნილია სხვა სახეობის პირობით რეფლექსზე დაფუძნებულ ბგერები და ბგერათკომპლექსები. ასეთებია, მაგ: შიშის და სიჩუმის ამღნიშვნელი **შ** და **ს** ბგერა; თავდაცვით პირ. რეფლექსზე დაფუძნებული **გრ** ბგერათ-კომპლექსი, რომელიც უხშირესია კავკასიური და ინდოევროპული ენების ქუხილის გამომხატველ ლექსიკაში და ამ შიშის მომგვრელი ბუნებრივი მოვლენით გამოწვეული ემოციების და ემოციური მეხსიერების ნიადაგზეა წარმოქმნილი; იწყება აფისთა წარმოქმნა და აფიქსაციური ნეოლოგიზმი. ეს ალომორფალური პერიოდია.

მ-ის განვითარების ამ მეორე-მესამე პერიოდში კვებით თუ სხვა ფიზ. აქტთა (სუნთქვის, გულისცემის, შარდვის, მეტეორიზმის და ა. შ.) ასევე ბუნებრივ მოვლენათა რეფლექსოგენური ხმების რეპროდუქცია რაკი მოითხოვს ენის უჩვეულო ახალ მოძრაობებს (არტიკულაციებს) იგი თვისობრივად და დროში განსხვავებულია **ნ და ყ** ბგერათა რეპროდუქციისაგან. გარდა ამისა თვისობრივი განსხვავებაა ფსიქოლოგიურ ასპექტშიც, რადგან **ნ და ყ** თუ თავდაპირველად ჩაისახებიან როგორც პირობითი აგენტები და ვერბალურ ფუნქციას შემდეგ იძენენ, ესენი შედარებით გვიან წარმოითქმებიან, მაგრამ სამაგიეროდ თავიდანვე არიან პროდუქტი გონებრივი პროცესისა და გააჩნიათ ნიშნადობა. ამიტომ ეს პროცესი ფაქტობრივად ხმაბაძვაა. ე. ი. ისინი ორმაგი ბუნებისანი – რეფლექსოგენურ-ხმაბაძვითნი არიან.. ამდაგვართა რეპროდუქციის კვალდაკვალ წარმოითქმებიან ბუნებრივ მოვლენათა **ინდიფერენტულ ხმებს** მიმსგავსებული ბ. და ბკ-ბი. კვალდაკვალ და არა იმავდროულად, რამეთუ ესენი არ არიან ბუნებრივი საწარმოთქმო იმპერატივის მქონენი. გაცნობიერებულ მნიშვნელობასთან შეუღლებულ აკუსტიკურ აღქმას კი იწვევენ, მაგრამ (თუ არა სამეტყველოსი) მოკლებულნი არიან კვებითი, ემოციური და ა. შ. პირობითრეფლექსური რექციების გამოწვე-

ვის უნარს. მათი რეპროდუქცია ადამიანისაგან მოითხოვს მეტ ფსიქოაქტივობას რათა, ჯერ ერთი რომ შენიშნოს არაფრის მომტანი, მასზე ნაკლებად ზემოქმედი ეს ხმები და, მეორე, ჰყოს გაცნობიერებული სახელდება მისი. ამიტომაც, გუგულის, **ჩხართვის თუ სხვა ფრინველ-ცხოველთა, ბუნებრივ მვლენათა და ა. შ. ინდიფერენტ-ული ხმების** მიბაძვით სიტყვათქმნადობა გვიანდელი მოვლენაა და ხდება, უნდა ვიგულისხმოთ, მეტყველების განვითარების მესამე პერიოდის ბოლოს და შემდეგ. იგი თითქმის არაფრით განსხვავდება თანამედროვე პირ. რ-ური ხმაბაძვისაგან (პაროდიები, ასევე ახალი ხმაბაძვითი სიტყვები, როგორიცაა: პიპინი, ბუბუნი, ჩიჩინი, ჩოჩიალი და ა. შ.) ენებში ამდაგვარი ხმაბაძვითი სიტყვები, ფონემატური შედგენილობით, მხოლოდ საკუთარ ენობრივ ბგერით სისტემებს ეთანადებიან.

მეოთხე პერიოდი კი გაშლილი აგლუტინაციურ-ალომორფალური და საბოლოო თანამედროვე ლოგიკურ-ფრაზეოლოგიურ, ტექსტურ-ქვეტექსტურ მეტყველების – აბსტრაქციონიზმის პერიოდია. სუფიქსაცია-პრეფიქსაცია და ინფიქსაციის გარდა, ფონეტიკურად ცვლილნი ამ და წინარე პერიოდში სამეტყველო ელემენტები ეზრდებიან რეფლექსოგენურ თუ ხმაბაძვით ძირებს. ესენი, უმეტეს შემთხვევაში, თავადაც ცვლილნი უჩინარდებიან. ბევრ შემთხვევაში მათი წარმოჩენა შეუძლებელია. **მე-3 მე-4 პერიოდებში** უკვე არსებული ხმბ. მ-ის ტრადიცია განაპირობებს ხმაბაძვითი ელფერის ლექსიკის წარმოქმნას. პლიუს ამას ასიმილაციები, სტრატიფიკაციები, დიფუზიები და ა. შ. ქმნიან თანამედროვე თავბრუდამხვევ პოლიმორფიზმს მეტყველებაში: მოხდა ის რაც შუმერულ-ეგვიპტურ ასონიშნებს გადახდათ: მათმა მწერლობის ტრადიციამ მსოფლიოში ხალხთა მრავალი დამწერლობა და მწერლობა შექმნა. ანუ მეტყველ ინდივიდების მეხსიერებაში ყოფნის პარალელურად მეტყველებაბა გრაფიკულადაც დაფიქსირდა.

თანამედროვე – სოციალურ-მორალური ფენომენის – ადამიანის უაღრესად აბსტრაქტული მ-ბა დაფუძნებულია ზემო პერიოდების მეტყველების ტრადიციას: სიტყვაქმნადობა მოკლებულია-სიგნალ-სიგნიფიკატის ძველებურ მსგავსება-გამომხატველობას. ნეოლოგიზმი ხშირად პირობითია, უხშირესად კი უცნობი წარმონაქმნია...

მეტყველების ბიოგენოზური კანონი – სახეობა ზოგადი ბიოგენოზური კანონისა

დადასტურებულია: ორსულობის ბოლო თვეებში (18-20კვირის ორსულობა) ნაყოფს განვითარების დონე საშუალებას აძლევს აღიქვას – **ჩაიბეჭდოს** გარე სამყაროს ხმები. აქედან გამომდინარობს დიდმნიშვნელოვანი დასკვნა: ჯერ კიდევ მუცლადყოფნის პერიოდში გააჩნია ადამიანს მეტყველი გარემოს ხატური მეხსიერება. უეჭველია მისი გარკვეული ხელშემწყობი გავლენა დაბადებიდან, დაახლოებით ერთი წლის მანძილზე, ბავშვის მეტყველების დაწყებაში.

დაბადებიდან 3 თვის ბავშვს გააჩნია ცნობის უნარი, ხოლო, თუ არა იშვიათი შემთხვევა, ერთ წლამდე ვერ მეტყველებს. ბუნებრივია, სწორედ ამ პერიოდში იწყებს ბავშვის თავის ტვინი – ხატური, ემოციური და სხვა განსაკუთრებით კი სამეტყველო პირობით რეფლექსური მეხსიერებით გამდიდრებას. ფარულ მეხსიერებაშია გაგონილ უამრავ სიტყვათა მეხსიერებითი კვლები. მაგრამ სიტყვის წარმოთქმა მას ჯერ ვერ ძალუძს. რატომ?... აკი დაბადებიდინვე ენა თავისუფლად აკეთებს წოვით მოძრაობებს. პასუხი თითქოს მარტივია: თ. ტვინი ამისთვის ჯერ არაა შემზადებული. თუ თ. ტვინი განიცდის განვითარებას, რა სახისაა იგი?... იზრდება მხოლოდ მოცულობაში, თუ ცვლილებები ღრმა და თვისობრივია? – ცვლილებები, რომელიც იძლევა ამეტყველების საშუალებას შეუძლებელია არ იყოს არსებითი და თვისობრივი. ხოლო ამდაგვარი ფუნდამენტური ცვლილებები ასევე შეუძლებელია არ იყოს მემკვიდრეობითი.

რაკი დავადგინეთ თ. ტ, ყოველმიზეზსგარეშე, განიცდის გენეტიკურ განვითარებას, კვლავ ჩნდება კითხვა: რა სახისაა იგი? ანუ რა სახის განვითარება გამოიარა ადამიანის, როგორც სახეობის წინაპარმა, რომელიც მემკვიდრეობაში აისახა. **ონტოგენეზში ეს გახლავთ, ავტორის მიერ აღმოჩენილი, სახეობა ბიოგენეზური კანონისა – მეტყველების ბიოგენეზური სტადიური განვითარება, როგორც გამეორება ფილოგენეზში, დიდი დროის მანძილზე, მეტყველების სტადიური განვითარებისა. ბიოგენეზური კანონის თანახმად კი ინდივიდის განვითარება (ონტოგენეზი) არის სახეობის ისტორიული განვითარების (ფილოგენეზის) მოკლე და სწრაფი რეკაპიტულაცია (გამეორება). მიულერი. გეკკელი.** მაგრამ როგორ ამოქმედდა ბ. კ. თუ მ-ება პირობითი რეფლექსის და მემკვიდრე-

ობაში არ გადადის? – გენეტიკაში აისახა არა მ-ბა, არამედ მეტყველების მატერიალური სუბსტრატის – თავის ტვინის უჯრედების (ნეირონების) ცვლილებები. თ. ტ. რომ ვითარდებოდა მეცნიერებაში დადასტურებული ფაქტია. უფრო მეტიც: სხვადასხვა პირობითი რეფლექსების, განსაკუთრებით კი მეტყველებითი პირობითი. რეფლექსების ხარჯზე თ. ტ-ის ქერქი მოცულობაში ისე გაიზარდა, თავის ქალაში რომ ჩატეულიყო, დანაოჭდა კიდეც. გარდა ამისა, საწარმოთქმო ნერვულ-მუსკულარულმა მოძრაობებმა განავითარეს ენა. ჩაისახა და განვითარება დაიწყო მეტყველების ცენტრმა, რამაც, საბოლოო ჯამში, მოგვცა მეტყველებითი უნარის შეძენა და ეს ყველაფერი ონტოგენეზში აისახა.

მ-ის განვითარების პერიოდები (სტადიები), ცხადია, იწვევდა თ. ტვინის შესაბამის ცვლილებებს: **პირველ პერიოდში, ნ** და **ყ,** როგორც **პირ. რ. ფენომენი,** გაუცნობიერებლად, მაგრამ გარკვეული გავლენის მქონედ წარმოითქმებიან. ბუნებრივ მოვლენათა ხმების კი არსებობს წარმოდგენა, მაგრამ წარმოთქმა შეუძლებელია. მოვლენათა და მათი ხმიანობების სხვადასხვაობის შესაბამისად, ჰომინიდის თ. ტვინში ისინი არსებობენ მეხსიერების ყველა სახეობის სახით: **ოპერატიული ანუ მოკლევადიანი, გრძელვადიანი და მუდმივი. ჰომინიდის, როგორც სახეობის** თავის ტვინში მომხდარი ცვლილებები ამ პერიოდისა აისახა **ონტოგენეზში ბავშვის გენეტიკურ განვითარებაში ფსიქოლოგიაში მეტყველების მოსამზადებელ პერიოდად ცნობილ (მოსკოვური ფსიქოლოგიური სკოლა) დროის მონაკვეთში: მშობიარობამდე სამი თვიდან და ერთ წლამდე დაბადებიდან.** აქედან დასკვნა: ბავშვს ჰომინიდისა, დღევანდელი ბავშვისგან განსხვავებით, ფილოგენეზში, ჰყავს სხვა წინაპარი, ამიტომ, თავის ტვინში, მათ შორის, ინფორმაციების ჩაბეჭდვის მექანიზმებში და ხარისხში, შეუძლებელია, არ იყოს განსხვავება.

ამ პერიოდში ჰომინიდის თავის ტვინი განიცდის განსხვავებულ ცვლილებებს (ჩასახვა დაიწყო მეტყველების ცენტრმა), ვინემ შემდგომ მეორე პერიოდში **ნ** და **ყ** ბგერებით ვერბალური მეტყველებისას (ვითარდებოდა მეტყველების ცენტრი). ამ მეორე პერიოდს ინდივიდში შეეფარდება ბავშვის ამეტყველების პერიოდი: დაახლოებით ერთიდან სამ წლამდე. ბავშვი ცდილობს წარმოთქვას სიტყვები, მეტყველი გარემოს მიერ როგორც წინათ, ასევე იმავდროულად მოწოდებული. ხშირად წარმოთქმული სიტყვები

უმისამართოა, ხშირია ნეოლოგიზმი (მაგ: ჩემი შვილიშვილი, სამნახევარი წლის გიგი რუხაძე კვერცხს აგილას ეძახის). ერთი, ორი წლის შემდეგ ბავშვი იწყებს ტიტინს. ესაა მეტყველება შიგნიდან გარეთ – ე. წ. ეგოცენტრული მეტყველება და განსაკუთრებით ინტენსიურია **ბავშვთა ასაკის პერიოდი-ზაციის (I – 1-2 წ; II – 2-4 წ; III – 4-7 წ; IV – 7-11 წ; V – 11-15 წ; VI – 11-16 წ. წ.) მეორე და მესამე პერიოდებში.** შემდეგ ინტენსივობა კლებულობს და მოზრდილებს, თუ არა იშვიათი შემთხვევა არ ახასიათებთ. ბავშვის განვითარების ეს პერიოდი მიგვანიშნებს ჰ-ის თ. ტ-ის განვითარების იმ დროზე, როცა იგი ცდილობს, რა თქმა უნდა, არა დაბრკოლებათა გადალახვის გარეშე და, ასევე არცთუ წარუმატებლად, წარმოთქვას ენისთვის უჩვეულო რეფლექსოგენური თუ ბუნებრივ მოვლენათა ინდიფერენტული ხმები (ხმაბაძვა). როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, ადამიანის, როგორც სახეობის (ჰომინიდი უკვე ადამიანია) განვითარების მეორე მესამე პერიოდის მოვლენებია ასახული ინდივიდში. ხოლო პიკი ინდივიდის განვითარებისა მოდის, ადამიანში როგორც სახეობაში, ალომორფალურ-აგლუტინაციურ და უახლესი პერიოდების ინდივიდში გამეორებისას, როცა განვითარებულ მეტყველების ცენტრში აღმოცენდება რეფლექსიის ცენტრი. ეს ხდება ბავშვთა ასაკის პერიოდიზაციის მესამე და შემდეგ პერიოდებში. **დასახელებული ფაქტები, ასევე ჭეშმარიტი ჰიპოთეზებით შემაგრებული და, აქედან გამომდინარე, სანდო ლოგიკურ დასკვნებზე შეყენებული ეპიზოდების მოდელირება გვზღუდავს ეჭვი შევიტანოთ მეტყველების წარმოქმნის აღწერილი მთლიანი მოდელის არსობით რეალიებში.** მითუმეტეს რომ მთავარი მტკიცებულებანი წინაა. ესენია:

1. ფილოგენეზში მ-ბის სტადიური განვითარებისა და ონტოგენეზში ამ სტადიების რეკაპიტულაციის დასტურია **აქცენტი** – მოვლენა როცა უცხო ენაზე მოლაპარაკე ამ ენის ფონემებს ზუსტად ვერ წარმოთქვამს თუ არა მშობლიური ენის ფონემათა მიმსგავსებით. უცხო ენის ზრდასრულობის ასაკში ათვისების შემთხვევაში, აქცენტი ყოველთვის რჩება, ბავშვობისას კი – არა. თანაც, ასაკის ზრდის პროპორციულად, იზრდება აქცენტის შერჩენის შანსი: ეს გამოწვეულია, დაბალ ასაკში, მ-ბის ჩასახვა-ამეტყველების დროის პერიოდების თანხვდომით ფილოგენეზში მ-ის იგივე პერიოდებთან. ამიტომ, დაბალ ასაკში, გენეტიკურად, მ-ის ჩასახ-

ვისა და რეპროდუქციის მემკვიდრეობითი უნარი ანუ ამეტყველების უნარი მაღალია, შემდეგ კი სუსტდება;. ეს კი, თავისთავად, ფილოგენეზში და ონტოგენეზში მეტყველების პარალელური პერიოდიზაციების არსებობას ადასტურებს.

2. მსოფლიო მეცნიერებაში არის ერთი დიდი აუხსნელი პრობლემა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო ენათმეცნიერულ, და ბიოლოგიურ, არამედ გლობალურ ანთროპოლოგიურ პრობლემად. . მხედველობაშია აღწერილი შემთხვევები, როცა არმეტყველ გარემოში (ტყეში, ყრუმუნჯის ბინაში) გაზრდილი ბავშვი, თუმცა იმეორებდა გაგონილ გარემოს ხმებს, მარა შემდგომი მისი ამეტყველება და გაადამიანება უაღრესად იყო გაძნელებული ან სრულიადაც შეუძლებელი. ეს მოსალოდნელიც გახლდათ: ბავშვი არმეტყველ გარემოში თუ იმყოფება, განსაკუთრებით, ფილოგენეზში ცხოველური აზროვნება-მეტყველების ჩასახვის (პირველი სტადია) და ამეტყველების დაწყების (მეორე სტადია) დროის ონტოგენეზში შესატყვის (გასამეორებელ) პერიოდში (დაბადებიდან ერთ წლამდე) და ამეტყველების პერიოდში (1-დან 3-4 წ-მდე), მეტყველებითი რეფლექსების ჩამოყალიბება კი სამეტყველო გარემოს არარსებობის გამო, არ ხდება – იგი კარგავს ზემოთხსენებულ ორ უმნიშვნელოვანეს პერიოდს, რადგან უკან დაბრუნების საშუალებას გენეტიკა არ იძლევა. ამითაა გამოწვეული ამეტყველების შეუძლებლობა. და ამ ფაქტს სხვა ახსნა არა აქვს.

3. <u>უნარის მემკვიდრეობითობა.</u> მეცნიერებაში ცნობილია ნასახი, უნარი, ნიჭი. ესენი, როგორც გენეტიკური ფენომენნი, დადასტურებულია, რაც, თავის თავის ტვინის , გარკვეული მიმართულებით განვითარების მემკვიდროებითობის გარეშე შეუძლებელია. თუ არსებობს სხვა უნართა მემკვიდროებითობა რატომ, არ უნდა არსებობდეს მეტყველებითი უნარის განვითარების მემკვიდროებითობა? იქნებ შემთხვევითი სრულიად არაა ის ფაქტი, რომ ინდივიდები და ხალხებიც (ტომები) განსხვავდებიან მეტყველების ხასიათით.

<u>4 ეგოცენტრული მეტყველება.</u> ადამიანები, ხშირად, წერისას სიტყვას უხმოდ, მაგრამ ენის გარკვეული მოძრაობით იმეორებენ. ზოგჯერ კი ფიქრში ლაპარაკობენ. ეს უხშირესად მოსდით გამოჩენილ ინტელექტიუალებს „ფიქრში ჩაძირვის დროს“. ე. ი. მაშინ, როცა წარმოდგენები ზენიტშია, ხოლო ც. ნ. ს-ის კონტროლი შესუსტებულია.

5. **ტიტინის პერიოდი ბავშვებში:** როცა ბავშვი „ჩაფლულია" თამაშის სტიქიაში. ტიტინი ინტენსიურია. იგი არა მარტო ბაძავს მეტყველ გარემოს, არამედ ხშირია ენდოგენეზური (შინაგანი წარმომავლობის) არტიკულაციებიც: წარმოითქმება ის სიტყვები ან მათ მიმსგავსებული ან კიდევ სრულიად განსხვავებული (ნეოლოგიზმი) ბგერები და ბგერათკომპლექსები, რომლებიც **ჰომინიდში მეტყველების განვითარების პირველი პერიოდის შესატყვის – ბავშვთა უხმო მეტყველების ჩასახვის პერიოდად დაფიქსირებულ დროის მონაკვეთში (ემბრიონალური განვითარების ბოლო თვეებიდან ერთწლამდე) ჩაიბეჭდნენ.** ხდება ამ სიტყვების შიგნიდან გარეთ რეპროდუქცია. არა აქვს, ამ დროს, მნიშვნელობა ცვლილებები თუ სად მოხდა: ნერვულ სინაპსებში, ნუკლეინის მჟავის მოლეკულურ აგებულებაში თუ ატომთა ელექტრონულ შრეებში და ა. შ. მთავარია ფაქტი: ეს რეპროდუქცია არის შედეგი თ. ტ-ის დაბრუნებისა იმ მდგომარეობაში, რომელშიც აღნიშნული სიტყვები ჩაისახნენ.

6. **პერსეველაცია** იგივე ხდება პერსეველაციის დროს, როცა დავიწყებული სიტყვა უნებლიედ ამოტივტივდება და ასევე უნებლიედ წარმოითქმება. წინათ ამ სიტყვის ჩასახვა და წარმოთქმა განხორციელდა შემდეგნაირად: მეტყველი გარემოს მიერ სიტყვის წარმოთქმით გამოწვეული ჰაერის ბგერითი ტალღების მიერ დაფის აპკის გაღიზიანება გადაეცა სმენის ორგანოთა საანალიზო ცენტრებში და მთლიანად ც. ნ. ს-ში მოხდა ამ სიტყვის ჩასახვა. წარმოთქმისას კი პირიქით: ც. ნ. ს-ის კონტროლით სმენის ანალიზატორებიდან აგზნება განივრცო უშუალო მეზობლობაში მყოფ სამეტყველო ცენტრში და მოხდა წარმოთქმა.აკვიატების მომენტში კი, ნებისმიერი სხვა ვარიანტის გამორიცხვის გამო, ფაქტია: : გარედან გაუღიზიანებლად, სპონტანურმა აგზნებებმა მოიცვეს ც. ნ. ს-ის იგივე ცენტრები. მოხდა იგივე არტიკულაცია. ამგვარად, ჩვენს მიერ განხილული **ეგოცენტრული მ-ება, ტიტინი და პერსეველაცია** – მათი ინტენსიურობა თანამედროვე ბავშვებში, სამეტყველო მონაცემთა შიგნიდან გარეთ რეპროდუქციის გარდაუვალობის მტკიცებულებაა, რაც ბიოგენეზის გარეშე გამორიცხულია. ხოლო ამგვარი რეპროდუქცია თანამედროვე ადამიანებში საბუთია იმისა, რომ იგივე ხდებოდა ჰომინიდში.

7. <u>ნეოლოგიზმი ბავშვებში</u> – მოვლენა როცა, ზემოთთქმული

რეპროდუქცია არ ესადაგება მეტყველი გარემოს მიერ მოწოდებულ და ც. ნ. ს-ში ჩასახულ სიტყვის ხატს. თუ ამ რეპროდუქციამ – ბავშვის მიერ სიტყვის წარმოთქმამ, მეტყველ გარემოში, ირგვლივ მყოფთა გაგებინება გამოიწვია, იგი იძენს სიტყვის ფუნქციას და რჩება. ბავშვებში ნეოლოგიზმის არსებობა დიდმნიშვნელოვანია, რადგან შესაძლებლობას გვაძლევს იგივე მოვლენები ვირწმუნოთ ფილოგენეზში, რაც ენებში გამომხატველობას მოკლებულ ანუ მოვლენის არსს დაცილებულ სიტყვების – ე. წ. **პირობითი ლექსიკის მიზეზგანპირობებულობით წარმოქმნას ამტკიცებს. ეს ფენომენი ზედნაშენურია რადგან მ-ის ჩასახვის შემდეგ ხდება.**

8. აზროვნების განვითარება ბავშვებში: ა) ბავშვს, პროპორციულად ასაკის სიმცირისა, უჭირს განყენებული კატეგორიებით აზროვნება-მეტყველება; ბ) ბავშვის აზროვნება-მეტყველება მით უფრო საგნობრივია რაც უფრო მცირეა ასაკი; გ) ფსიქოკატეგორიები: **ბავშვის განწყობა, აღქმა, ყურადღება, წარმოდგენა** და ა. შ. უფრო ემსგავსება ცხოველისას ვინემ ზრდასრული ადამიანისა. მოკლედ რომ **ვთქვათ, ბავშვობიდან მოზრდილობამდე, უეჭველ, ნაწილობრივ ცხოველობიდან ადამიანობამდე, მარტივიდან რთულამდე გავლილი მანძილია,** რომლის ყველაზე ფენომენალური და დიადი შენაძენი **მეტყველებაა.** ეს კი არა თუ ბიოგენეზის გარეშე გამორიცხულია, არამედ აქსიომატურს ხდის **მეტყველების ბიოგენეზური კანონის** არსებობას;

9. ქართ. ფსიქოლოგიური სკოლა (დ. უზნაძე, რ. ნათაძე) **ადასტურებს: მეძუძური ბავშვის ც. ნ. ს-ში დედა და ძუძუ ერთიან წარმოდგენაშია.** ჰომინიდის ცნობიერებაშიც იგივე ხდებოდა; მას **– დედა, რძე, ძუძუ და წოვის პროცესის თანმდევი ხმები** ერთიან ასოცირებულ წარმოდგენაში რომ ქონდა დასტურდება ერთი აქამდე აუხსნელი, ზოგადკაცობრიული ენათმეცნიერული პრობლემის განხილვისას: მრავალ ხალხთა ენაზე საკვების მიმღებ და გადამმუშავებელ ანატომიურ ორგანოს – **პირის ღრუს, ასევე პირსახეს და წყალსატევების მიმდებარე ხმელეთის ნაწილს, ხშირად, ერთი და იგივე სახელი გააჩნიათ.** მაგ: ქართ. ზღვის **პირი,** მდინარის ნა**პირი;** რუს. **უსტა** „პირი“ და **უსტიე** რეკი „მდინარის პირი“; მეგრ. ზღვაშ **პიჯი** „ზღვის პირი“; (“...ბერძნ. „**იპიროს**“ ნიშნავს კონტინენტს „პარალია“, – ნა**პირს**. ვ. მატუა, თ. სამხარაძე); .ინგლ. **მაუთ** „პირი“ და **მაუთ** „მდინარის შესართავი“ და ა. შ. ცხადია, ამათ სე-

მასიურად ერთიანებთ **პირი**-ს მნ-ბა...“ რატომ?..., რომელი ენობრივი ნიაღტრადიციით?... პასუხი უცნობია. ვპასუხობთ:

ა) პირველი დასახლებები მდინარეთა თუ სხვა წყალსატევების ნაპირებზე იმიტომ ხდება, რომ ეს ობიექტები პირველ ადამიანს თევზითა და თევზეულით ამარაგებდა; იგი საკვების მოპოვების ძირითადი წყაროა და კვებაც აქვე ნაპირზე ხდება. ამიტომ, **ბავშვებში როგორც დედის რძე უდრის დედისა და დედის ძუძუს წარმოდგენას (რ. ნათაძე), ეგრევე ჰომინიდისთვის წყალსაცავის თევზეული უდრის წყალსაცავის და მისი ნაპირის წარმოდგენას. ანუ ეს უკანასკნელი – ნა-პირი-ც საკვებადაა მოაზრებული:** ბუნებრივია საკვების მიმღები და გადამმუშავებელი ორგანო **პირი** და თავად **კვება, საკვებიც** ერთიან ასოცირებულ წარმოდგენებშია, ხოლო რაკი, ზემოთქმული, წყალსაცავის **ნაპირი**-ც საკვებადაა მოაზრებული უცხადესია: აქედანაა ანატომიური ორგანო **პირი** და **ნაპირი**-ს სახელთა იდენტურობის საერთაშორისო ტრადიციის საწყისებიც.

ბ) უხშირესია შემთხვევები, როცა მრავალ ენაზე მცენარეთა და მათი ნაყოფების სახელები ერთიდაიგივეა: მაგ: **ვაშლი** და **ვაშლის** ხე; **ბალი** და **ბლის** ხე; რუს. **იაბლოკო** „ვაშლი“ **იაბლონია** „ვაშლის ხე“ და ა. შ. ეს გამოწვეულია იმით, რომ პირველ შემეცნებაში **მცენარე და მისი ნაყოფი თანაბრად საკვებად წარმოიდგინება.**

გ) ვუსწრებთ რა მოვლენებს ვახდენთ შემდეგი ფაქტების კონსტანტაციას: ის მნიშვნელობები რასაც **ყ** ბგერა აღნიშნავდა იტვირთეს მისგან ამოსულმა **ყირ, ყორ** და ა. შ. ალომორფებმა უმთავრესად ესაა კვების მნიშვნელობის ველში განფენილი ლექსიკა.

ყირ ალომორფი, დადგენილი კანონზომიერებით (იხ.“ **ყ** ბგერა") იძლევა ქართ. **პირ**-ი და მეგრ. **პიჯ**-ის: (**ყირ*** > **ბყირ*** > **ბჯირ*** > **პირ** >// **პიჯ**). **ყირ**-ი-დანაა დღევანდელი იგივე ნა-**პირ**-ის მნიშვნელობის სიტყვები, როგორიცაა: **რიყ**-ე (**ყირ // რიყ**) და **რეყ**-ე (**ყერ*// რეყ**). მაგრამ ესენი უბრალო ნაპირი კი არა ის ადგილებია, სადაც პირველყოფილი ჯოგი ჰომინიდისა სახლობდა და იკვებებოდა. ამაზე მეტყველებს კ. სამუშიას მიერ დადასტურებული მიკროტოპონიმი მდ. ენგურის ნაპირზე – ლა-**ყორ**-ია „საკვები ადგილის“ მნიშვნელობით. **ყორ** კვებას აღნიშნავდა. ამიტომ ძვ. ქართ. (ბიბლია-ში) გვაქვს ნა-**ყორ**-ოვანება, დღევანდელში კი – დანა-**ყერ***-ება

> დანა-ყრ-ება. ეს მაგალითები უსუსურს გვხდის ეჭვი შევიტანოთ ჰ-ის ხატურ-ფსიქონევრული ქმედებების (თანამედროვე აზროვნების პირველი აცა-ბაცა ნაბიჯების) ზემოთაღწერილ რეალიებში, სრულიად. ეს ბოლო მაგალითები არა მარტო ამტკიცებს ჰ-ის თ. ტვინში **წოვის, დედის, რძეს, ძუძუს, წყლის, მდინარის ერთიან ასოცირებულ აღქმით-მეხსიერებით-წარმოდგენით მონაცემად არსებობას, არამედ წარმოაჩენს წ ბგერასთან ყ ბგერის პარალელს და აზუსტებს: ჰ-ის შემეცნებაში იგივე ფსიქოკატეგორიებში –აღქმა, მეხსიერება, წარმოდგენაში წ ბგერის მსგავდსად იყო ასოცირებული ყ ბგერა. აგრეთვე, მისგან წარმოქმნილი ალომორფებით სახელდებული იყო კვება, კვების ანატომიური ორგანოები, საკვები** და ასევე, როგორც ამ გრაფის მაგალითებიდან აშკარად ჩანს: **წყალსატევი (ზღვა, მდინარე, ტბა) და მისი ნაპირი; მცენარე და მისი ნაყოფი; ქვა და ქვირითი** და ა. შ. (იხ. **ქვემოთ ყ ბგერა**).

გეორგიული თეორია ენათმეცნიერულ ასპექტში

„გიორგიული თეორია“ არის ობიექტურ რეალიებზე დაფუძნებული მტკიცებულება მეტყველების (ენის, ვერბალური აზროვნების) მონოგენეზურ (ქართველურენოვან) წარმომავლობის თაობაზე. ამიტომ, დასაშვებია, მას რქმეოდა **„ნეოიაფეტური თეორია“**, მსგავსად „იაფეტური თეორიისა“ რომლის ავტორმაც **(ნ. მარრი)** იაფეტურ ენებს, მართებულად, მიაკუთვნა მეტყველების ბაზისური სტადიის მაღალი რანგი: **„...იაფეტური ელემენტი, ნამდვილად პირველი, ყველაზე ძველი, ეთნიკური ელემენტია ხმელთაშუაზღვის კულტურის შქმნაში“. ნიკო მარრი, „იაფეტური კავკასია და მესამე ეთნიკური ელემენტი ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში“, 1920 წ. (გიორგი სახოკია).** სამწუხაროდ, მეცნიერული სარჩულის და თეორიის საკერი, საკმარი, კონკრეტული მასალის უქონლობამ, ასევე მსოფლიო მეცნიერებაში გაბატონებულმა სტერეოტიპიურმა შეხედულებებმა, ენათმეცნიერულ ასპექტში – ინდოევროპულის, ხოლო ზოგადკაცობრიულში – სხვა ცნობილ დიდ ცივილიზაციათა (რომლებიც ოდინდელ კოლხ-იბერიულ კულტურულ საძირკველზე არიან შემდგარნი) უპირატესობაზე ქართველურთან

მიმართებით, ნ. მარის თეორიას აღიარება ვერ მოუტანა. **"...ქართველმა ანთროპოლოგებმა, მდიდარი მასალის საფუძველზე, შეიმუშავეს კონცეფცია იმის თაობაზე, რომ სამხრეთევროპული რასის პირველსამშობლო მცირე აზიის ტერიტორიაა..." ნიკო მარი კი უფრო შორს მიდიოდა და იაფეტიდებს ხმელთაშუა ზღვის აუზის პირველ მოსახლეებად მიიჩნევდა . "... მეცნიერთა ერთი ჯგუფი ... ყურადღებას ამახვილებს იბერიულ-კავკასიურ ენების ნათესაობაზე შუმერულ, ხურიტულ, პროტოხეთურ , ელამურ და სხვა წინა აზიის მკვდარ ენებთან, აგრეთვე ბასკურთან, ქართველური ტომების პირველსამშობლოდ მიიჩნევს მცირე აზიის ნაწილს... მეორე კონცეფცია ქართველურ ენებს აღიარებს დამოუკიდებელ ოჯახად. თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს იმ პარალელიზმს რაც შეინიშნება რეკონსტრუირებულ ქართველურ ფუძე ენასა და ინდოევროპულ (ი. ე.) ენებს შორის... თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის ერთობლივმა კვლევებმა გამოავლინა მეტი საერთო მონაცემები ამ ენების როგორც ფონოლოგიურ ისე გრამატიკულ სისტემებში.... (ი. აბულაძე).**

როგორც ვხედავთ, ნ. მარის შემდგომ, ამ უკანასკნელის იდეების სამოგებოდ ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ, სამწუხაროდ, არა ის რაც იაფეტურ ენებს მეტყველების ბაზისურ საფეხურამდე აიყვანდა. თავად მარიმ, სიმბოლურად კი დაასახელა **ოთხი (სალ, ბერ, იონ, როშ, – A, B. C, D)** იაფეტური ელემენტი, მაგრამ არავინ უწყის რას გულისხმობდა იგი თავის სიმბოლოებში; რა ენათმეცნიერულ ფაქტობრივ თუ სხვა სახის აზრობრივ მნიშვნელობებს უთანადებდა ის ამ სიმბოლოებს. უნდა ვიფიქროთ: ფლობდა რა უზარმაზარ ენათმეცნიერულ (და არამარტო ენათმეცნიერულ) მასალას და ინტელექტს, იგი ინტუიციით ჩასწვდა საქმის არსს, რომლის დამტკიცების შესაძლებლობა, გარდა ზემოთქმულისა, მეტყველების წარმოქმნის თაობაზე მისსავე მცდარმა შეხედულებებმა (მეტყველების წარმოქმნის კლასობრივი თეორია) მოუსპო.

სამეტყველო ელემენტთა გენეზისი

უთავდაპირფელეს პირობითრეფლექსურ **წ** და **ყ** ბგერებისაგან და **გ** ხმოვნისაგან სხვათა წარმოქმნის სურათი, რაც ათასობით მაგალითებით დამოწმდება, ასე წარმოგვიდგენია: **ხმოვნები ჰომინიდების გარკვეული სახეობისათვის სპეციფიური გ ხმოვნისაგან არიან წარმოქმნილნი;**

სპონტანურად თუ სხვა მიზეზთა გამო (მაგ ხმაბაძვა...), **ყ**-ს არტიკულაციის ცვლით მიღებულნი არიან **გ, კ, ქ, ღ, ჴ, ხ. ჰ** (იხ. შესაბამისი თავები).

რ ხმაბაძვითი ბგერაა: **ლ და ნ რ > ლ და რ > ნ** ცვლილების შედეგია. შემდგომ **რ, ნ** და **ლ**-ს მონაცვლეობა (ბრუნი) უხშირესია.

ბაგისმიერი **მ,** დასაშვებია, გამოეწვია **რ** ხმაბაძვითი ბგერის **რ > მ** მონაცვლეობას, ხოლო **მ // ბ // პ // ფ** ურთიერთმონაცვლეობები ადვილად ხორციელდება. თუმცა უფრო პროდუქტიული იქნებოდა მეორე გზა: **წ** და **ყ** ბგერებითა და მათი დერივატებით მეტყველების ტრადიციის არსებობის ბაზაზე მათი წარმოქმნისა: ძუნწი სამეტყველო მინიმუმის და უსაზღვრო სემანტიკური განპირობებულობით სახელდებათა საჭიროების პირობებში, მეტყველების ტრადიცია უზრუნველყოფს ბაგეების ამოქმედებას: ამგვარად, ბაგისმიერნი მნიშვნელობათა დიფერენცირების საშუალებანი ხდებიან.

მესამე გზა ფონოგრაფიულად მტკიცებადი – ხმაბაძვითია. **ბ, მ, პ** იშვიათად, მაგრამ ხმაბაძვითნი არიან: მაგ: რუს. **ბარაბან** „დოლი“ **ბუმ-ბუმ** „საგნის დაცემის და ა. შ. **ბბ** ბგერათა გამოღების ხმები“ **მუ** „ძროხის ბღავილის ხმაბაძვა.“ მეგრ. **უმბოია** „ბავშვების სათამაშო – **უმბო-უმბო** ძახილით რქენიაობა“; მანქანის სიგნალის ხმებისადმი ხმაბაძ ვა – **პიპინი** და ა. შ. როგორც ვხედავთ ბაგისმიერნი, სხვადასხვა გზებით მიიღებიან, მაგრამ შედარებით გვიანდელნი მონაცემნი არიან.

დენტილაბიალი **ვ უ**-ს დელაბიალიზაციაა, ხოლო **ვე, ვი, ვა** კომპლექსები **ო**-ს დაშლის შედეგია. თუმცა, ეს უკანასკნელი, შემდგომ, მათი შერწყმითაც მიიღება.

წინაენისმიერნი **წ**-ს სპონტანური ცვლით მიიღებიან. ყველაზე ადრე, რა თქმა უნდა, ახლოსმდგომნი – **ძ** და **ც** აფრიკატები წარმოიქმნებიან. უხშირესად, წინაენისმიერთა წარმოქმნას ხმაბაძვითი ფაქტორებიც უზრუნველყოფენ (იხ შესაბამისი თავები).

დენტალები გვიანდელნი არიან: სპონტანური **ნ > ტ** დეზაფრიკატიზაციის შემდეგ, **ტ > დ** და **ტ > თ** პოცესი ადვილად განხორციელებადია. გარდა ამისა სპირანტ **ს**-სა და ბაგისმიერთა მსგავსად, მნიშვნელობათა დიფერენცირება დენტალების მეშვეობითაც (უხშირესად **დ**-თი) ხორციელდება. **ტ** იშვიათადაა ხმაბაძვითი: შდრ: რუს. **ტ**არახტატ „ტტ ბგერების გამოცემით ხმაური; ქართ. **ტ**იტინი // ტუტუნი // მეგრ. **ტ**ირტინი და ა. შ.

აფრიკატებიდან, აღწერილი **ნ > ტ** ცვლილების გარდა, **ჭ** მიიღება სპონტანური **ნ > ჭ** გადაწევით (იხ. ქვემოთ) და ასევე ხმაბაძვით. **ჩ** ხმაბაძვითია: იგი **ხ** ბგერასთან კომპლექსში ქმნის დიდი ლექსიკური მარაგის შემოქმედ **ჩხ** კომპლექსს. (იხ ქვემოთ).

შ, ს, ზ, ერთურთს, ადვილად მონაცვლეობენ. ისინი ხმაბაძვითნი არიან.

გ ბგერა

გ ბგერის მიმართ სპეციალისტთა მოსაზრება არაერთგვაროვანია: „**გ** ნახევარხმოვნია“ (ცაგარელი, ყიფშიძე, ჩიქობავა); „სრული ხმოვანია“ (ჟღენტი, იმნაძე. იხ. ნ. იმნაძე „ზ.ე.მ.დ.ბ.შ.“ გვ. 5-10); „..ქმნის მარცვალს, ამიტომ იგი სრული ხმოვანია“ (ტ. გუდავა); „**გ** სრული ხმოვანია და გააჩნია რეზონატორული თვისებები“ (კ. სამუშია).

საოცარია ამ ბგერის „მოქნილობა“: შეიძლება წარმოთქმულ იქნას როგორს სრულად, ასევე წაგრძელებით (რეზონატორული თვისება), მაგრამ – ნახევარხმოვნადაც.. ხშირად უფრო მცირე ოდენობითაც. ხოლო ზოგჯერ სრულიადაც წაიშალოს, სიტყვა კი ამით მნიშვნელობას არ კარგავს. ეს თვისებები მისი **ოდინდელი ხმარების, სიძველის შედეგია.**

„**გ** ბგერა **ი, უ** და ზოგჯერ **ო**-ს დასუსტებითაა მიღებული“ (ა. ჩიქობავა); „ის დელაბიალიზებული **უ** ხმოვანია“. (ს. ჟღენტი). მათ მოყავთ შედარებები: ჭკჳდი მეგრ. < ჭკუდი ჭან.; გგრგნი მეგრ. < გურუნი ჭან. და ა. შ. მოვუხმოთ სხვა ფაქტებს: **გ** ხმოვანი შესატყვისობაშია (რესპ. მეტოქეობაშია) თითქმის ყველა ხმოვანთან (**უ**-სთან უხშირესად). მკაფიოდ ამას აჩვენებს უღლების პრედიკატი:

უ //< გ: ბშგნქ >// ბშუნქ „ვქსოვ“, შგნქ >// შუნქ „ქსოვ“, შგნს >//

შუნს „ქსოვს"; ბხგნქ >// ბხუნქ > „ვარღვევ"; ხგნქ //> ხუნქ „არღვევ; ხგნს > ხუნს „არღვევს";

გ > ე, ი: ქართ. ღრენა < მეგრ. ღგ-რგ-ნი. ბღგრინ >// ბღირინ „ვღრენ", ღგრინ >// ღირინ „ღრენ", ღგ-რგ-ნგ-ნს // ღი-რი-ნგ-ნც „ღრენს";

ბოლო მაგალითისებრად, ქართ. ფუძედრეკადი (ფლექსიური) ზმნების ძირთა **ე** ხმოვნის შესატყვისად, მეგრულში **გ, ი, ო** ხმოვნები წარმოჩნდებიან. ესენია:

დრეკა დგრგკუა / / დგრიკუა//დირიკუა (> დისიმილაციით დირაკუა); გრეხა-გგრგხუა// გგრიხუა //გირიხუა //გგროხუა //გიროხუა // გირახუა და ა. შ.

გ > ო, ი ქართ. თოვს < მეგრ. თგნც (თოვლი <// თგრი >// თირი). მეგრ. შგ „სისველე, წყალი"; შოლუა „დასველება"; შოლირი „სველი".

გ სუსტდება ამ სიტყვებში თუ პირიქით – იგი ასუსტებს **ე, ი, ო, უ,** ხმოვნებს?... მაგრამ საიდან ასეთი უნიკალურობა? ანუ რა მიზეზ-განპირობებულობით არიან, საოცარი, ეს და სხვა უნიკალურობები. აღმოცენებულნი?... „**ი, ო** და **უ**-ს დასუსტებით" ან „**უ**-ს დელაბიალიზაციით" (ა. ჩიქობავა) გ-ს წარმოქმნა სავსებით არ უარყოფს ამ უკანასკნელის მანამდე არსებობას. ან რატომ არაა დასაშვები პირუკუ პროცესი? აქ უპრიანი იქნებოდა სვანურის და სხვა კავკასიური ენების მონაცემები, მეგრულში. ამჟამად, გგრგნ „ვირი" ფორმას იშვიათად შევხვდებით. იგი გირინ ფორმამ შეცვალა, სვანურმა კი გგრგნ უცვლელად შეინარჩუნა.

მეგრ. გ ხმოვნის ცვლილებების უახლესი ქრონოლოგია, ცხადყოფს: სუსტდებიან არა **ი, ო, უ,** არამედ, პირიქით, **გ** და პირველნი იკავებენ კიდეც მის ადგილს. ჩემს ბავშვობაში, ს. კირცხში იყო ჭკგდი, ქგრი, გგმა, გგმათუთა, ახლა, შესაბამისად, არის ჭკიდი „მჭადი", ქირი „ქორი", გიმა, „მკა", გიმათუთა „მკათათვე". ეს გამოწვეულია ქართ. ენის, (რომელსაც **გ** ხმოვანი არ გააჩნია) გავლენის გაძლიერებით. იქ სადაც ქართულის გავლენა ნაკლებია (სამეგრელოს მთისძირა სოფლები) **გ,** შედარებით, შენარჩუნებულია. ამგვარად, იმისათვის რომ **გ** ხმოვანს, ხსენებული, სხვა ხმოვნები დაესუსტებინა **ქართულზე მეგრული ენის გავლენა უნდა ყოფილიყო ძლიერი. რაც, ბოლო ათასწლეულში, გამორიცხულია, რამეთუ პირიქითაა: მეგრულზე ქართულის გავლენაა გაძლიერებული.** თუმ-

ცა საქმე უფრო პირვანდელობას ეხება, ვინემ წარმომავლობას:

გ ბგერის საარტიკულაციო მონაცემი ასეთია: **"...ღიაობა მინიმალურია, ენის ძირითადი მასა მიმართულია რბილი სასისა და ნაქისაკენ, ენის აწეულობა საკმაოდ დიდია, მაგრამ არა იმდენი, როგორც ი და ო ხმოვნებისთვისაა დამახასიათებელი..."** ნ. იმნაძე.

ამ ციტატიდან გამომდინარე, სამეტყველო აპარატის პირის ღრუს ნაწილი, **გ** ხმოვნის არტიკულაციისას, სხვა ხმოვნებთან შედარებით, ყველაზე ნაკლები დატვირთვისაა ანუ **სიმებთან წარმოქმნილ ხმოვნებს** სამეტყველო აპარატის პირის ღრუს ნაწილი თუ აძლევს ინდივიდუალურ სახეს, ეს **გ** ხმოვანს ნაკლებად ეხება: იგი, ძირითადად, **ხმის სიმების პროდუქტია.**

შეწოვა-განწოვის ფიზაქტი და **წ** და **ყ** ბგერა

წ ბგერის წარმოთქმისას პირის ღრუ იხშობა. წინა ენა ებჯინება ნუნებს და მათ შორის ჰაერის ნაკადი გამოიდევნება. აქ ღირსსაცნობი და ფრიად საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ეს პროცესი, ფაქტობრივად, განწოვითი მოძრაობებია: წოვის ფიზ. აქტის შესრულებისას ძუძუს კერტები წინა ენასა და ნუნებს შორის თავსდება და შეწოვითი მოძრაობებით **წ** ფონემას მსგავსი წოვითი ხმიანობა წარმოიქმნება. ეს უკანასკნელი, არტიკულაციური თვალსაზრისით, პირველისაგან ენის წვერის მხოლოდ განწოვითი მოძრაოებებით განსხვავდება: მსგავსება წოვის ხმიანობასა და **წ** ფონემას შორის დიდია, რომელსაც, პირველად, ენათმეცნიერმა აკაკი შენიძემ მიაქცია ყურადღება. პირველი ადამიანი წყურვილს წყალთან ტუჩების უშუალო კონტაქტით იკლავდა. ამგვარად, ძუძუს წოვისა და წყურვილის დაკმაყოფილებისას სამეტყველო **წ** ბგერის მსგავსი შეწოვითი ხმიანობა წარმოიქმნება: ამ რეალიებში ხაზგასასმელია **4** უდიდმნიშვნელოვანესი ფაქტი: 1) საშემსრულებლო ანატ. ორგანოები შეწოვა-განწოვისა ერთიდაიგივეა და შეწოვა-განწოვა ხორციელდება ერთიდაიგივე ადგილას; 2) ენის წვერი, ორივე შემთხვევაში, აკეთებს ჩვეულ თითქმის იგივურ მოძრაობებს; 3) შეწოვის პროცესი გამოსცემს იგივე ხმას რასაც განწოვა; 4) განწოვის ხმიანობა სამეტყველო ბგერაა.

ის რაც ითქვა **წ** ბგერის სიტყვად ჩასახვის თაობაზე, იგივე მეორდება **ყ** ბგერის მიმართ, იმ განსხვავებით, რომ პროცესები ვითარდება ყელის მიდამოში. ენის წვერის ნაცვლად აქ ენის ძი-

რი გამოდის სამოქმედო ასპარეზზე: ეხება რა ხახის უკანა კედელს და როცა ამ ჩახშულ არეს გამოაპობს ჰაერის ნაკადი **ყ** ბგერა წარმოითქმება. აქვე იწყება უდიდმნიშვნელოვანესი ფიზაქტი – **ყლაპვა**, რომლის დროსაც სამეტყველო **ყ** ბგერას მიმსგავსებული ხმიანობები გამოიყოფა. ამ შემთხვევაშიც აკუსტიკური მსგავსება **ფიზაქტის ხმასა** და წარმოთქმულ **ყ** ბგერას შორის დიდია; არტიკულაციას და ფიზაქტს ასრულებენ ყელის მიდამოს ერთიდაიგივე ანატომიური ორგანოები, ერთიდაიგივე ადგილას: თუ **ნ** ბგერა ~ **განწოვითი მოძრაობითაა** წარმოქმნილი, **ყ** ბგერის შემთხვევაში ხდება **განყლაპვას** მიმსგავსებული მოვლენა. ორივე ბგერა **აბრუპტივია** და ერთმანეთთან ქმნიან **ჰარმონიულ ჯგუფში შემავალ წყ** კომბინაციას,

ნ და ყ ბგერათა გახმოვანება და პირველქმნადობა

ქართ. ენათმეცნიერებაში სიტყვა **წყალ**-ის ძირად, **ნ** ბგერაა მიჩნეული. როგორც ითქვა, მეცნიერულად დადასტურებულ ძირებად ასეთი ერთეული თანხმოვნები თუ თანხმოვანკომპლექსები ქართველურში უამრავია. გარდა ამისა ქართ. ენათმეცნიერმა ს. ჟღენტიმ დაასახელა მრავალი მეგრ. ერთმარცვლიანი სტყვები. ამათთან მიმართებით პასუხი გასაცემია რიგ კითხვებზე: **მეტყველებდა თუ არა ოდესმე, აფიქსების გამოუყენებლად, მხოლოდ ამ ძირებით (ერთმარცვლიანი სიტყვებით) ადამიანი. ანუ რომელია თავდაპირველი: ძირი თუ აფიქსი?** რა მოტივაციით წარმოიქმნენ ისინი; ან რის საფუძველზე შეიძლება მივიჩნიოთ პირობით მონაცემად. თუ დავუშვებთ, ამ ძირებით მ-ის არსებობას, მაშინ რა გახმოვანება უნდა ქონოდათ მათ. კითხვები ბევრია, რომლებიც, საბოლოო ჯამში, თავს ერთ მთავარზე იყრიან: **რომელია პირველქმნილი – რთული თუ მარტივი. ანუ ასახსნელია: ხდებოდა მარტივის გართულება თუ, პირიქით, რთულის დაშლა.** შევჩერდეთ ბოლოთაგანზე ძირთა გახმოვანებაზე: რაკი დადგენილი ფაქტია რომ: **ცალკე წარმოთქმული ნებისმიერი თანხმოვანი წარმოადგენს კომპლექსს გ ხმოვანთან. ცალკე ტონალობის მქონენიც და არმქონენიც შეუძლებელია წარმოითქვან მის გარეშე;** რომ – **გ ხმოვანი ადამიანის წინაპრის ცხოველური (ე. წ.) ცხოვრებისეული ანუ მისი და ადამიანის გენეტიკური ბგერაა;** რომ ცნობილი ფაქტია: ნებისმიერი სახეობის ცხოველს გააჩნია მისთვის ჩვეული საწარმოთქმო

ბგერები. (ძროხის ბღავილი, ღორის ღრუტუნი და ა. შ.). რომ პრიმატთა რიგის ერთ-ერთ სახეობა – გორილასათვის ამდაგვარი ცხოვრებისეული ხმიანობებია მეგრული **გ** ხმოვნის სადარი ბგერები და რომ **გორილა და ადამიანი განეკუთვნებიან მათთვის საერთო პრიმატთა რიგს,** ამდაგვარი ანალიზი საკითხის ასეთნაირად დასმის საშუალებას იძლევა: **თუ გ მეტყველებამდელი ცხოველური ბგერაა, მსოფლიოს არც ერთ ენაში მასთან დაკომპლექსების გარეშე, ძალდაუტანებლად, ერთეულ ანუ განცალკევებულ თანხმოვანთა წარმოთქმა, ამჟამადაც შეუძლებელია, ხოლო ქართვ. სიტყვები კი, უხშირესად, ამგვარ – ერთეულ თანხმოვნებამდე დაიყვანებიან და მეგრულში კი მრავლადაა ამგვარი ერთულთანხმოვნიანი გახმოვანებული (ერთმარცვლიანი) სიტყვები, უცილობლად, უნდა ვიგულისხმოთ ამ თანხმოვანთა დასაბამისმიერი გ ვოკალიზაცია.**

ახლა გადავწყვიტოთ დასაბამში ხდებოდა მარტივის კონვერგენცია თუ რთულის დივერგენცია:

მეგრულში არის სიტყვა – **რე** „არსებულის მიუთითებელ სიტუაციაში ყოფნისა თუ არსებობის აღმნიშვნელი სტატიკური ზმნა". რთული არაა მივხვდეთ: მისი წინაპარია რგ* დასაბამისმიერი მარცვალი და აქედანვეა, უხშირესი, **რ**-ი სუფიქსაცია. მაგ: მეგრ. **კგ** „მაგარი" + **რე** „არის" > **კგრე** უდრის „მაგარი არის." აზრობრივად, აქედან > **კი-რი** და > მეგრ. **კინა //> ქართ. მეგრ. რკინა (რ > ნ** იხ. ქვემოთ) მიიღებიან, როგორც სიმაგრის სიმბოლონი, ქართველურ აზროვნებაში: ვინაიდან, ეტიმოლოგიურად აშკარაა, რომ **კგ-რგ //>კგ-რე**-დან **კი-რი** მიიღება მ. ე. **კგ** იძლევა **კი** მარცვალს, **რგ იძლევა რე** ზმნასა და **რ**-ი სუფიქსს. თავად ეს **რ** კი, **რ.. რ..** ხმაურიან მოძრაობის გამომხატველია (ხმაბაძვითია).

წყლის შიშინის აღმნიშვნელი ხმაბაძვითი **შ** ბგერა, როგორც ითქვა, **შგ** მარცვლის სახით დღესაც „წყალი, სველია" + **რე კი უდრის** წინადადებას – **შგ რე** „სველი არის". აქედან: **გ > ო, რე > რი* (იხ. აქვე ზემოთ) და რი > ლი** (შდრ. ძვ. ქართ. სური > ახ. ქართ. სული) პროცესების შემდეგ, მიიღება **შოლ** ძირი სიტყვებისა – **შოლუა** „დასველება" და **შოლ-ირ**-ი (**შო-რი**-რი* < **შგ**-რი-რი*) „დასველებული". აქაც, ცხადია, შგ მარცვლიდან, **შოლირის შო** მარცვალია წარმოქმნილი; **შგ** ასევე ჰაერის მოძრაობის ხმაურს აღნიშნავდა, ამიტომ, მეგრ **შურ**-ი „სული", (ეტიმ. = ჰაერი), მიღებულია **შგ რე** „მნიშვნელობით ჰაერია"-დან: შგ რე > შუ-რი. იხ. **შ** ბგერა;

გეორგიულში ანუ ქართველურში სინათლის ძირად დამტკიცებულია **თ** ბგერა. მეგრულში ქართ. **თოვლის** შესატყვისია **თირი**. ეტიმოლოგიურად **თირი** ამოსულია **თგ-რე**" სინათლეა"-დან; **(ვიწყებთ ნ ბგერიდან ამოზრდილ სახელთა აღრიცხვას) 1. წგ** „წელს" + **რე** გვაძლევს **წგ რე** „წელს არის" ფრაზას (**წგ რე** ფრაზა = მიმდინარე წელს არსებობს ან ხდება რამე). აქედან > 2. **წირი** „წლევანდელი" მიიღება; მსგავსადვე: დასაბამში 3. **წგ* „წყალი*" + რგ* „არის" ქმნის ფრაზას** > 4. **წგ რე,** უდრის „წყალი არის"; აქედან კი, შემდეგ, მეგრ. 5. **წა-რი და 6. წალი,** მოფერებით, „წყალი" სემანტემა მიიღება. ამ **წალ** ძირის მიერ წყლის მნიშვნელობის განპირობებულებაზე მითითებენ 7. **წალ**-იკ-ონი // > 8.**ჭალ**-იკ-ონი „სამხრეთ-დასავლეთის ძლიერი ქარი გურია-სამეგრელოში", სადაც სამხრეთ-დასავლეთით ზღვაა, რომელსაც უძველეს წარსულში **ნარ-ი // წალ-ი** ეწოდებოდა იხ. გვ.. 298

ამგვარად: 1. რაკი, ენათმეცნირებაში დაზუსტებულად, ქართვ. ლექსიკის უდიდესი წილი თანხმოვნურ ძირებამდე დაიყვანება, რომელთა წარმოთქმა გ გახმოვანების გარეშე შეუძლებელია, იძულებულნი ვართ, დასაბამიდანვე, ამ ძირთა გ ვოკალიზავია ვაღიაროთ. 2. მოყვანილი და სხვა მრავალი მაგალითები გვარწმუნებს, რომ ხდებოდა მარტივის გართულება; 3. მ. ე. მეტყველება ამ მარტივი ძირებით ხდებოდა; 4. აფიქსალური მონაცემი გვიანდელია.

დასახელებულ მაგალითებში, ასევე, ნათლად ჩანს: ერთი თანხმოვნით წარმოდგენილი მარცვლები: **კგ, შგ, წგ, თგ, რე, რომლებიც** დღესაც სიტყვები არიან, დასაბამიდანვე იყვნენ სიტყვები, რომლებიც ფრაზად ერთიანდებოდნენ. ანუ ის რაც დღეს სიტყვაა – წინათ იყო ფრაზა. მაგ. **წგ + ყგ + რგ** იყო ფრაზა – **წგ** „წყალი," + **ყგ** „ყლაპვა" + **რგ** „დასტური ამ ყველაფრის არსებობისა" ანუ **წგ + ყგ + რგ** აღნიშნავდა სასმელი წყლის არსებობას. შემდეგ მნიშვნელობა დავიწროვდა და ეს ფრაზა სიტყვებად – მეგრ. 7. **წყარ-ი** > ქართ. 8. წყალი იქცა. ბოლოს კი ამ ახალი სიტყვებისაგან გაჩნდნენ ახალი ფრაზები – **წყარიშ შუმა** „წყლის სმა" და ა. შ.

ალბათობის თეორია და წ და ყ-დან ამოსული ფონეტიკურ-სემანტიკური ჯგუფები

ორი ბგერა სიგნალი, აღმნიშვნელი გარკვეული რაობისა, სიგნიფიკატისა (მნიშვნელობისა), ანუ ჩვენს მიერ აღმოჩენილი, ორი პირველი სამეტყველო ელემენტი ჩვენსმიერვე ამგვარადაა ინტერპრეტირებული: **წინაენისმიერთა წინაპარი, აბრუპტივი, სისინა ბგერების წარმომადგენელი, აფრიკატი – წ და უკანაენისმიერი აბრუპტიული თანხმოვანი – ყ (გ, კ, ქ უკანაენისმიერთა, ღ, ჯ, ხ ველართა და ლარინგალ ჰ-ს თავსაწყისი).**

ქართვ. ენებში აშკარად შეიმჩნევა: **წ** და **ყ** ბგერა თავიდანვე სპეციალიზებულნი არიან: **წ** ქმნის – **რძე, წყალ, წოვა** და საერთოდ **სითხეებთან** დაკავშირებულ სემანტიკურ ჯგუფებს. **ყ** კი – **კვება, საკვებ პროდუქტებთან, საკვებ მცენარეებთან** და ა. შ. არის აზრობრივად კავშირში თუმცა ხშირად ერთმანეთს ენაცვლებიან და ერთობლივადაც ახდენენ სახელდებებს.

როგორც ზემოთ ვამტკიცებდით, **წოვისა და ყლაპვის ხმიანობები წარმოადგენდა ერთ-ერთ პირველ მეტყველ გარემოს. რაკი** დასახელებული გვაქვს წოვის პროცესით წარმოქმნილი ჰ-ის ასოციაციური წარმოდგენები (პირველადი აზროფორმები) უფლებამოსილნი ვართ წარმოვადგინოთ ასეთი ფორმულა: **ჰომინიდის წოვა-ყლაპვასთან დაკავშირებულ მოაზრებების აღმნიშვნელ დღევანდელ ქართველურ სიტყვებში (სემანტიკურ ჯგუფებში) წ და ყ ბგერათა, როგორც რეფლეგსოგენურთა, ან მათ ექვივალენტთა არსებობა მოსალოდნელია და მიზეზგან პირობებულია.** შევამოწმოთ იგი **ალბათობის თეორიის** კანონებით: ალბათობის თეორიის თანახმად, თუკი გვექნებოდა აზრობრივად წოვასთან დაკავშირებული **33** ფონემიანი სიტყვა, მაშინ ქართ. **33** ფონემიდან, მეტყველების პირობითობის შემთხვევაში, თითოეულის ამ სიტყვაში მოხვედრის შანსი – **ხდომილობის ალბათობა (ხდ. ა.)** იქნებოდა **ერთის** ტოლი. ასეთი სიტყვა ქართველურში არა გვაქვს. ამიტომ მოვიშველიოთ წოვის სინონიმები და მასთან დაკავშირებული ჰ-ის საგნობრივი მოაზრებების გამომხატველი სიტყვები. ესენია: ქართ. **9. წოვა** (4 ფონემა) + **წყალი** (5 ფონემა) + **10. წუწვნა** (6 ფ.) + **11. წრუპვა** (6 ფ.), + **12. რძე** (3 ფ.) + **13. ძუძუ** (4 ფ.) + **დედა**(4 ფ.) = **32** ფონემას. თუ ამ სემანტიკურ ჯგუფში ბგერათა ხდომილობა არაა მიზეზ

შედეგობრივი მონაცემი, მაშინ მათში ქართული 33 ფონემიდან თითოეულის **ხდომილობის ალბათობა, ალბათობის თეორიის თანახმად** იქნება **32 : 33.** ანუ დაახლოებით **ერთის** ტოლი. გვაქვს კი ასეთი სურათი: ხმოვნებს არ ვითვლით: **ნ** განმეორდა **ხუთჯერ; ვ** და **ძ სამ-სამ-ჯერ; რ** და **დ ორ-ორ-ჯერ; ლ** და **ყ** ერთჯერ. სხვა თანხმოვნები ჯგუფში ვერ მოხვდნენ: თუ დავუშვებთ **რძე** (<- **რწე***) და **ძუძუ** (<- **წუწუ***: დრ **წუწვნა**) სიტყვებში **წ > ძ გადაწევის** პროცესს, მაშინ **ნ** ბგერის **ხდომილობა** გახდება **8.**ამ უკანასკნელის **ხდომილობამ 8**-ჯერ გადააჭარბა მისსავე **ხდომილობის ალბათობას.**

დასახელებულ სემანტიკურ ჯგუფში მხოლოდ ერთადერთი სიტყვა – დედა არაა **ნ** ძირიდან ამოსული, მაგრამ ამის მიზეზი მისი წარმოქმნის გვიანდელობაა. მანამდე კი, მსგავსად **ინდოევროპულისა,** დედის მნიშვნელობის გამომხატველი იყო მუტ* ძირი, რომელიც ვულგალურ ქართულ მეტყველებაში ქალის გარეთა სასქესო ორგანოს სახელშია შენარჩუნებული. მისი აბსოლუტური ეტიმოლოგია ასეთია: **ნგ* -> მგნ* -> მუნ* -> 14. მუტ*.**

იგივე სურათია მეგრულშიც: **15. ნა** (2 ფ.), // **ნყარი** (5 ფ.) „წყალი“, 16. **წუალა „წოვა“** (5 ფ.), 17. **წურწუა** „წუწვნა“ (6 ფ.),18. **წრუპუა** (6 ფ.), **ბჟა** (3 ფ.), 19. **ძუძუ** (4 ფ.), **ნანა** (4 ფ.). ფონემათა საერთო რაოდენობა არის **35**. ქართულისაგან განსხვავებით, დღეს მეგრულ ენაში **35** ფონემაა, ამიტომ მათი ხდომილობის ალბათობა იქნება **35 : 35 = 1**. მაგრამ **ნ** გამეორდა **6**-ჯერ; **ძ, ნ, რ ორ-ორ-ჯერ; ყ, ბ, უ** თითო-თითო-ჯერ. გავითვალისწინოთ **ნ -> ძ სიტყვაში ძუძუ,** მაშინ **ნ** ბგერის ხდომილობა გახდება **8**. იმდენივე რამდენიც ქართულში. ეს მაშინ, როცა ქართ. დედა სიტყვის შესაბამისი მეგრ. **ნანა**-ს გარდა **„ბჟა“**-ც სხვაგვარი წარმომავლობის სიტყვაა. თუმცა, საყურადღებოა, რომ რძის შრატს ქართ. // მეგრ. **წაქი // წაქა-ჰქვია.**

წინა თავებში გამოთქმული მოსაზრებების ფონზე, **წ**-ს სხვა ბგერებზე ამდენად აღმატებული ხდომილობა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია იყოს შემთხვევითი. ანუ, აქვე ზემოთქმული ჰიპოთეზა – **ნ** ბგერის დასახელებულ ფორმებში არსებობის **რეფლექსოგენურ განპირობებულობის** შესახებ, ალბათობის თეორიის ჭეშმარიტი კანონებით არის შემაგრებული და, ამიტომ, თავადაც ჭეშმარიტია. მ. ე, **აღნიშნული სიტყვები ნ წარმომავლობის არიან, ოლონდ მაწარმოებლები ისე შეზრდიათ დღეს სხვა ძირის და ფუძის მქონედ გეევლინებიან.**

ქართ. ჯგუფი: ნო-ვა. ვა სუფიქსია; **წ-ყ-ა-ლ-ი.** ქართველ

ენათმეცნიერთა მიერ დამტკიცებულია: „ძირია **წ**, რომელსაც **ყ** შემდეგ შეეზარდა"; **წრუპვა** (< **წ-ურ-უპუა***), ხმაბაძვითი სიტყვაა, ნიშნავს **წ** ბგერის გამოღებით სმას (წოვას), ამიტომ, მიუხედავად არქაულ აფიქსთა ძირს შეზრდისა, **წგ**-დან მისი ამოსვლა დამტკიცებას არ საჭიროებს (აქსიომატურია); იგივეა **წუწვნა** <- **წუ-წუ***-ნა, აქ ხმაბაძვითობის ეფექტის გასაძლიერებლად **წუ** მარცვალი მეორდება; **რძე** <- **რწე***. აქ **რ** შეიძლება იყოს **რ***-ი სუფიქსალური მონაცემი, თავკიდურში გადასმით (ენათმეცნიერებაში ფონეტიკურ დანართადაა ცნობილი); **ძუ-ძუ** <- **წუ-წუ***. ხმაბაძვითობის ეფექტის გასაძლიერებლად აქაც **წუ** მარცვალი მეორდება. **დედა**. გვიანდელი სიტყვაა. დასაშვებია, მისი ამოსავალი მოტივაცია ქართ. // მეგრ. **დება** // **დვალა** ზმნასთან იყოს დაკავშირებული: მეგრ.**20. სკუა** შვილია, **21. სკუა-ლა** < **22. წყუა-ლა*** **კვერცხის დებაა და ეტიმ. უდრის „შვილის გაჩენა"**. უნდა ვიფიქროთ, იგივე აზრი იყო ჩადებული ქართ. კვერცხის **დება**-ში: შესაბამისად, **მ-დე-ბელი*** ეტიმ. = „მშობელი*"-დან მიღებულ იქნა, **დე** ძირის დუბლირებით – **დე** + **დე** > სვანური **დე-დე** //-> ქართ. მეგრ. **დე-და**;

მეგრ. ჯგუფი: 23. წა დღესაც ნიშნავს წყალს; **წყარი** ისევე როგორც ქართ. **წყალი**-ს შემთხვევაში, ენათმეცნიერთა დასტურით, ძირია **წ**; **24. წ-უა-ლა. უა** და **ლა** ქართველური სუფიქსებია; 26 **წრუპ-უა** 27. < **წ-ურ-უპუა***, იგივია რაც ქართ. **წრუპვა**, ამიტომ **წ**-დან მისი ამოზრდაც აქსიომატურია; 28. **წ-ურ-წ-უა. ურ** და **უა** სუფიქსებია. იგივეა რაც ქართ. **წუწვნა**; 6) 29. **ძუ-ძუ** <-**წუ-წუ***; **ბუა** „რძე" მიღებულია **შ** ხმაბაძვითი ბგერისაგან: **შა*** **+ ბ** -> **ბ-შა*** -> **ბ-უა**; ნანა. გვიანდელი სიტყვაა.

თუკი, ოდესღაც, **ჰ**-ის პირველი მოაზრებების გამომხატველ, დღევანდელ **ნ** ბგერის შემცველ, ზემოთ დასახელებულ, ქართულ და მეგრულ სიტყვათა **ნ** ძირიდან ამოზრდა შეიძლება დამტკიცებულად ჩავთვალოთ, მაშინ ფაქტი სახეზეა: ეს ჯგუფები არა მარტო **სემანტიკურნი არიან**, არამედ – **ფონეტიკურნიც.** ასეთ **ფონეტიკურ-სემანტიკური (ფ. ს.)** ჯგუფებს მრავალს დავასახელებთ, რომელთაშიც საანალიზო ბგერების **თეორემებით წინასწარ-განსაზღვრული ხდომილობები მრავალჯერ აღემატებიან თავიანთ ხდომილობათა ალბათობებს.** ეს კი ამ **ფ ს.** ჯგუფების წინასწარმეტყველებული ბგერებიდან ამოსვლის უტყუარი მათემატიკური მტკიცებულებაა, მაგ: **თეზისი – წყა-**

ლი უფერო უსუნო სითხეა მაგრამ წყალსატევებს ხშირად დაკრავს ცის ფერი, ამიტომ ეს იგივეობა ცისა და წყლის ფერისა განაპირობებს მათ სახელთა იგივეობას, გამაგრებულია თეზებით: ჰომინიდის თავის ტვინში წყალსაცავის წყლის: 1) აღქმები; 2) მათი მეხსიერებით კვლები და 3) – წარმოდგენები ისეთივე იყო როგორც – ცისა და, ამიტომ, ძირითადი თეზისი. ჰ-ის შემეცნებაში **წყალსაცავის წყალი** უდრიდა ცა-ს არის ჭეშმარიტი. ესე იგი მეგრ. **წა** „წყალი“ და **ცა** ოდესღაც ერთიდაიგივე აგებულების და შინაარსის სიტყვა იყო, რაც უძველეს **წ > ც** გადაწევის მტკიცებულებასაც ხდის აქსიომატურს: **წა > ცა** ორწევრიანი და ოთხბგერიანი ფ. ს. ჯგუფია, რომელშიც ქართ. ბგერათაგან თითოეულის ხდომილობის ალბათობა უდრის **4 / 33**; მეგრულთაგან კი – **4 / 35** და რომლებიც თანხმოვნებიდან (ც-ს **წ**-დან მიღების გამო,) ყველა **წ** ბგერამ გაინაღდა, მრავალჯერ გადააჭარბა რა თავისსავე **ხდომილობის ალბათობას (ხ. ა-ს).**

იგივე მეთოდით გავაანალიზოთ **ყ** ბგერა: რაკი **ყ** ბგერას ჩასახვა ყელის არეში მიმდინარე **ყლაპვის პროცესს** უკავშირდება, ბუნებრივია, უნდა ველოდოთ მის სიხშირეს ენებში ამ პროცესის – **ყლაპვის** გამომხატველ სიტყვებში, ასევე **კვებასთან** ასოცირებულ სახელთა და **ყელის მიდამოს ანატომიურ ორგანოთა** სახელებში. ზემოთქმულისამებრ, შევამოწმოთ იგი ალბათობის თეორიით.

ქართ. ჯგუფი: ყლაპვა (5 ფ.) + საყლაპავი (9 ფ.) + ყელი (4 ფ.) + ყია (3 ფ.) + ყრონტი (6 ფ.) + ყბა (3 ფ.), ლოყა (4 ფ.) = **34** ფონემა. მ. ე. ამ სიტყვებში ხ. ა. თითოეული ქართ. ფონემისთვის უდრის **34** გაყოფილი **33**-ზე – უდრის, დაახლოებით, ერთს. მაგრამ **ყ** განმეორდა 7 ჯერ, **რ, ნ** და **ლ** ორჯერ, ს, პ, ვ, რ, ნ, ტ, ჭ ერთჯერ. მ. ე. **ყ** ბგერის **ხ. შვიდჯერ** მეტია მისავე **ხდომილობის ალბათობაზე.**

მეგრ. ჯგუფი: ნჯ „ყბა“ (3 ფ.) + ყია (3ფ) + ყინტუა „ყლაპვა“(6 ფ.) + ცალი (4 ფ.)“ ეს სტყვა შენარჩუნებულია სა-ყელ-ოს ფარდ მეგრულ ო-ცალ-ეშ სიტყვაში; ცალ : *ყელ* ზუსტი შესატყვისობები არიან, + ყიყონი „ყ ბგერის გამღებით ჭამა“ (6 ფ.) + ყულიტი (6 ფ.) „ყ ბგერის გამოცემით ყლაპვა საჭმლისა“ + ყურყუა (6 ფ.) „ყ ბგერის გამოღებით ყლაპვა სითხისა“ = **34** ფონემა. **34** გაყოფილი **35**-ზე უდრის თითქმის ერთს. **ყ** კი განმეორდა **შვიდჯერ** ანუ **ყ**-ს **ხ.** აქაც **შვიდჯერ** მეტია მისსავე **ხდომილობის ალბათობაზე.** გარდა ამისა კ და ც ექვივალენტურნი არიან **ყ** ბგერასთან მიმართებით. ფაქტი სახეზეა: ამ სიტყვათა შინაარსის დეტერმინანტი **ყ** ბგერაა:

სიცხადისთვის, რომ წ და ყ თავიდანვე სპეციალიზებულნი არიან, ეს მაგალითებიც საკმარისია:

ზემო თავებში, ბიო-ნეირო-ფიზიო-ფსიქოლოგიურ ასპექტში, **წ** და **ყ** ბგერის პირველქმნადობის თაობაზე ბევრი ვისაუბრეთ. წარმოვადგინეთ მასზე მათემატიკური პერსპექტივა. კიდევ რისი თქმის უფლებას მოგვცემს ენობრივი მონაცემები? ამისთვის კიდევ დავასახელოთ **წ** -დან ამოსული, აგებულებითა და მნიშვნელობით მონათესავე, რამდენიმე, ე. წ. **ფონეტიკურ-სემანტიკური ჯგუფი:**

A ჯგუფი: მეგრ. წა (< წგ*) „წყალი“; აფხ. 30. ძაა (< წა // 31. ა-ძე (< წე*) // 32 ა-ძგ (< წგ*) „წყალი“; ქართ. // მეგრ. წა > 33. ცა. წა > ქართ.34. ჭა; . მეგრ. წა > 35 (ინ)-ჭა „ჭა“; 36. წგ* > ტგ „ცური,“ ქართ. // მეგრ. წუ-წუ* > ძუ-ძუ; 37. მეგრ. წა-წა „სითხე“ აქედან – 38. (ინო)-წა-წა-(ფა) „ რისამე სითხეში ჩაყოფა“ და იგივე მნიშვნელობით > 39. (ინო)-ცა-ცა-(ფა);

B ჯგუფი: მეგრ. წა-რი >// წა-ლი „მოფერებით წყალი;“ 40. წიმა > 41„სხმა,“ ქართ. 42. წვიმა > // მეგრ. 43. ჭვემა; მეგრ. წგ* > 44. ცგ(მ) „ცვარი;“ ქართ. 45. წვეთი > // მეგრ. 46. ჭვეთი // 47. წვათი >) // 48 ჭვათი // 49. წუათი > // 50. ცვათი; წა > ქართ. ტბა (< ბტა* < ბწა*); ქართ. 51. წუ-რვა // < მეგრ. 52. წურ-უა; 53. ქართ. ცური (< წურ*-ი): სიარულისას, დაჭაობებული (სითხით გაჟღენთილი) მიწის ხმიანობის გამომხატველი ხმაბაძვითი სიტყვები: მეგრ. 54. წი-წი-ნი // > 55. ჭიჭი-ნი // 56. წი-წი-ნუა // > 57. ჭიჭი-ნ-უა; 58. წყ-ირ-წყ-ინი // > 59. ჭყირჭყი-ნი > 60 წყირწყინ-უა; // > 61. ჭყირჭყინ-უა; ქართ. 63. წუნწუ-ხი „თხელი ლაფი“ > 64. ჭან-ჭუ-ხი „თხელი ტალახი“; 65. ჭენ-ჭყო // 66. ჭენ-ჭყო-ბი (ჭენ-ჭყ < წენ*-წყ)

C ჯგუფი: ქართ. რძე < რწე*; 67. წუ-წ-ენა „წ ბგერის გამოცემით წოვა“ // მეგრ. 68. წუ-რ-წუა; რუს. 68. Со-са-ть „წოვა“ 69. Со-с-унь „მწოვარა“ с-с < წ-წ* ;

ლათ. 70. Su-go „წოვა.“ s-g < წყ*; ინგლ. 71. To Su-ck. (თუ საკ) „წოვა.“ s-k < წყ*; 72. Suckling (საკლინგ) „ძუძუ მწოვარ-ა ბავში. s-k < წყ*;; გერმ. 73. Saugen „წოვა“; 74. Sauger „საწოვარა ბოთლზე“. s-g < წყ*; 75. რუს. Титка „ცური.“ Т-т < წ-წ*; 76 ინგლ. Teat (თით) „ცური“ T-t < წ-წ*; 77. ქართ. წველა // > მეგრ. ჭვალა; 78 რუს. Сцедивать // 79. Сцедить „წურვა“. Ц < წ*; 80. ინგლ. To Strain (თუ სტრეინ) „წურვა“ t < წ*; 81. Soak „ყონვა.“ S-k < წყ*.

A ჯგუფის სიტყვები პირველი პერიოდის გაქვავებულად შემორჩენილი ერთმარცვლიანი სიტყვების მაგალითებია, რომლებიც მეგრულში, ყველა საწყისი სამეტყველო, ბგერების სახით, დამაჯერებლად, საკმარი ოდენობით იპოებიან. მაგ. მეგრ. **ბგ** „ბმულია," **გგ** „მსგავსია," **ზა**-ლა „ზელვა", **ზგ** "მოზელა," **ზა და ზე < ზგ;* თი // თა** „ადგილი, კარ-მიდამო, **თი // თა < თგ*** (ეტიმ. **თი** და **თა** სახელები ამოდიან პირველყ. თემის ადგილსამყოფლის, სინათლის გამომყოფი ცეცხლის კერის მოაზრებებიდან. **თ** ხომ, როგორც ითქვა, ქართვ. სინათლის ძირია (იხ გვ.); **კგ** „რკო, მაგარი," **მა // მე; ნე** „წვენი, სითხე," **პგ** „მყო," **რე** „არის," **სი** „შენ," **ტგ** „ცური," **ფა** „ფოთოლი, მცენარე," **ქგ** „ფქვა," **ულ** „აქვს," **ცა** (< **ყა**) „ტოტი," **შგ** „წყალი," **ჩგ** „აჭამა;" **ცგ** „თელა," **ნა** „წყალი," **ძგ** „ძევს," **ჭგ** „ნაწლავი," **ხე** „ხელი," **ჯა // „ხე"** და ა. შ. გარდა ამისა, როგორც ითქვა, ქართველურ ენებში რთული აღნაგობის სიტყვები, უმეტეს შემთხვევაში, **ერთეულ თანხმოვნამდე დაიყვანებიან. რაც, რა თქმა უნდა, ჩვენი აზრით, უნიკალური მოვლენაა.**

A ჯგუფის ბგერითი ცვლილებები სპონტანურია, მაგრამ უმართებულოა (თუ არა უხეში შეცდომა) მათი აბსოლუტურ ნებისმიერად მიჩნევა (მ. ქურდიანი), რადგან ამდაგვარი რამ, როგორც ლინგვისტური მოვლენა, უკვე დიდი ხანია რაც ენათმეცნიერებაში უარყოფილია: **წ**-საგან, უშუალოდ, არტიკულაციის თვალსაზრისით, მხოლოდ უახლოესნი წარმოიქმნებიან. ეს კი არა აბს. ნებისმიერი, არამედ შეზღუდული ნებისმიერი მოვლენაა. მას გააჩნია თავისი კანონზომიერება, რაც მათი წარმოქმნის გარდაუვალობაშია იმდაგვარადვე, როგორც გოგო ან ბიჭის დაბადების შეზღუდული ნებისმიერობა რომელიმეთაგანის გაჩენის კანონზომიერ გარდაუვალობას შეიცავს.

B. ჯგუფში გარდა სპონტანური პროცესის განმაპირობებელი დროის ფაქტორისა, მოქმედებს სემანტიკური ფაქტორი: არის დრო, როცა **წ** ბგერა აღნიშნავს ზოგადად წყალს, სასმელ წყალს;, **ტბას**; ღრმა ორმოში წყაროს – **ჭას**; აღქმით იგივურს –- **ცას**... მაგრამ წყალთან მიმართებით, ამ ობიექტთა, დღევანდელი სახელებით გამოხატული, **მნიშვნელობითი განსხვავებულობა, ამ სახელთა საბოლოო სახის მისაღებად** შეუძლებელია არ ყოფილიყო მუდმივმოქმედი ფაქტორი. ზემოთ ამის მაგ. უკვე დავასახელეთ: **ნა > ცა.** აგრეთვე, ამის დასტურია **ბაგეების ამოქმედება** და **ბ** ბაგისმიე-

რით ამ განსხვავებულობის აღნიშვნა, ტერმინ **ტბა**-ს წარმოქმნისას: **წა + ბ > ბწა*. ბ** ბგერამ მოახდინა დიფერენცირება: განასხვავა **ტბა ზოგადად წყლისაგან,** მისცა რა მას კონკრეტული სახე- **ბწა* წ**-ს დეზაფრიკატიზაციის შემდეგ, იგი გადადის ინფიქსში: **ბ-ტა* > ტბა** (იხ. ქვემოთ). ეგრევე, **მ** და **ბ** ბაგისმიერთა მოშველიებით, მოხდა: **წგ* + მ > მგწ* > მუწ* >** 82 **მუტ** „ქართ. ქალის გ. ს. ორგანოს ვულგარული სახელის ძირი“ და გერმ. 83. **მუტ-ტერ** „დედა“ სიტყვის **მუტ** ფრაგმენტის მიღება.. **(წ > მწ > მუწ > მუტ** მოვლენის პარალელია **შ** ხმბ. ბგერისაგან – **შგ + ბ > ბშა* > ბჟა** მეგრ. „მზე“). ამგვარად: **(წგ >) წა > ცა; წა > ბწა* > ბ-ტა > ტბა; წგ* // წა + მ > მგწ* > მუწ* > მუტ** და **შგ + ბ > ბშა* > ბჟა** მსგავსი მოვლენები ურთიერთ მადასტურებელნი არიან. აქ მოყვანილია **მეორე, მესამე** პერიოდის მაგალითები მეტყველებისა: ბგერითი ცვლილებების მიზეზი **სამეტყველო გარემოს** გავლენაა. ეს გასაგებია: ადამიანმა ბუნების მოვლენეთა ხმებს მისადაგებული, შესაბამისი წინაენისმიერი, რომ წარმოთქვას, უნდა აკეთოს მის მფლობელობაში არსებული ერთადერთი წინაენისმიერი **წ** ბგერის და მისგან ნაცვალი წინაენისმიერი ბგერების არტიკულაციები და მიამსგავსოს ისინი ბუნებრივ მოვლენათა ხმებს. ანუ ცვალოს **ისინი** ამდაგვარ რეფლექსოგენურ თუ ხმაბაძვით მიზეზთა გავლენის შესაბამისად.

c ჯგუფი (41 ... 58) ამ ჯგუფში მოცემულია **ძუძუ, ცური, რძე, წოვა** სიტყვების აღმნიშვნელი ქართველურ-ინდოევროპული (ქ. ი. ე.) მაგალითები. რომელთაშიც აშკარად ჩანს **წ** ბგერის ნაცვალი ბგერების არსებობა. ეს მოვლენები გახლავთ გაშუალების გარეშე, **წ**-აფრიკატიდან უახლოეს – **ძ, ც, ჭ**, მისმაგვართა და დეზაფრიკატიზაციით **ტ** და **ს** ბგერათა წარმოქმნის ქართველურ-ინდოევროპული მაგალითები. აქ და სრულიად ნაშრომში მოყვანილ ბგერით ცვლილებათა მაგალითები სინქრონიაშია გამყრელიძე-მაჭავარიანის სიბილანტთა შესატყვისობების თაობაზე გაკეთებულ დასკვნებთან: „...ქართულ სისინა რიგის სპირანტებსა და აფრიკატებს ზანურში შეეფარდება შიშინა რიგის შესატყვისი სპირანტები და აფრიკატები.....სვანურის მონაცემები ამ მხრივ ზანურის რიგისაა...

ქართ. **ს** – ზან. **შ** – სვან. **შ**: ქართ. **სვან-**ი; მეგრ.-ჭან. **შონ-**ი; სვან. მუ**შ**ვან; ქართ. **ას-**ი; მეგრ.-ჭან. ო**შ-**ი; სვან. **აშ-**ირ; ქართ. **ზ** – ზან. **ჟ** – სვან. **ჟ**: ქართ.**ზე-**და, **ზე**; მეგრ.-ჭან. **ჟი**; სვან. **ჟი**; ქართ. მ**ზე**; ჭან. მ**ჟ-**

ორ-ა ; მეგრ. ბუა; სვან. მიყ;...ქართ. ძ – ზან. ჯ – სვან ჯ, ყ: ქართ. ძმ-ა < ძამ-ა; ჭან. ჯუმ-ა; მეგრ. ჯიმ-ა; სვან. ჯგმ-ილ; ქართ. ძვ-ელ-ი; ჭან. მ-ჯვ-ეშ-ი ; მეგრ. ჯვ-ეში; სვან. ჯვ-ინ-ელ ; ქართ. ძვ-ალ-ი; ზან.-სვ. ჯი-ჯვ; ქართ. ძაღ-ლ-ი; მეგრ.-ჭან. ჯოლ-ორ-ი; სვან. ჟაღ-ვ; ქართ. და-ძახ-ება; მეგრ.-ჭან. ჯოხ-ო; სვან. ჟახ-ე; ქართ. წ – ზან. ჭ – სვან ჭ: ქართ. წყრთა; მეგრ. ჭყითა II ჭყირთა; სვან. ჭითხ..."...; თ გამყრელიძე.

რაც შეეხება ყ ბგერისაგან (გ, კ, ქ, უკანაენისმიერთა, ღ, ჴ, ხ, ველართა და ლარინგალ ყ, ჰ ბგერათა წარმოქმნის მადასტურებელი მაგალითებია შემდეგი:

სვ. ყია „ყელი;" მეგრ. ცალ-ი </// ქართ. ყელ-ი > მეგრ. // ქართ. კ(ის)ერი; სვ. კინ-ჩხ „კისერი": ყელ > ცალ; ყელ > კერ: ყირ > კინ; ყ > ც; ყ > კ; ქართ. ხახა. სვ. -ჴარჴ „ხახა;" ყ > ხ მეგრ. ყორ-ყელი, მეგრ. >// ქართ. ხორხ-ოტა // ხორხ-ი: ყორყ > ხორხ: ყ > ხ;

სვ. ყია „ყელი;" მეგრ. ყია „ხორხი' // ქართ. ყია; მეგრ. ყია-ფი „ხმბ. სიტყვა – ყ ბგერის გამოღებით კივილი" და იგივე მნ-ით > ღია-ფი: ყია > ღია; // ქართ. პირ-ღია: ყია > ღია; (შდრ. მეგრ. რღიმა ნოცო-რი > // ლათ. რიმა ორის „პირ-ღია": რ(ღ)იმა > რიმა; (ნო)ცორ > ორ; ქართ. ლოყა // მეგრ. ღვა; ყ > ღ;

ქართ. ლოყა > ლაზ. ლოყა „ტკბილი"; მეგრ. // ქართ. გემო >// მეგრ. ჰამო „ტკბილი" > ქართ. (0)ამო: ყ > გ; გ > ჰ; ჰ > 0 (ნულოვანი ფორმა ანუ ყ-ს ექვივალენტ ჰ-ს გაქრობა).

შთამბეჭდავია ყ ბგერის პარალელები ინდოევროპულში: მეგრ ყგნ-ტუა // ყგრ-ტუა // ყინტუა // ყირტუა „ყლაპვა"; ო-ყგრ-ტალი // ო-ყირ-ტალ-ი // ო-ყინ-ტალი„საყლაპავი" // სვ. ყგრ-ყგნჯ // ქართ. ყლაპვა, სა-ყლ-აპავი, შედარება გვიჩვენებს, რომ უძველესი გ გახმოვანება შენარჩუნებულია, მეგრულ-სვანურში. ქართული სა-ყლ-აპავის ყლ ქართულისთვის ჩვეული კუმშვის შედეგია (*სა-ყალ-აპავი > სა-ყლ-აპავი): *ყგრ >* ყარ > ყლ. ამ უკანასკნელის ფარდია > სლ. გლ-ოტკა „ხახა", გლ-ოტატ „ყლაპვა", გლ-ოდატ „ღეჭვა" სიტყვების გლ კომპონენტი (გლ < *გოლ). ეს უკანასკნელი და ინგლ. gnavv „ღეჭვა" სიტყვების გნ ნაკუმში ფრაგმენტებია. (გლ < *გოლ; გნ < *გონ (< *ყლ < *ყორ < *ყგრ), ამაზე, ასევე, მეგრ. ლაგ-უა, // გერმ. nag-en„ღეჭვა" სიტყვათა ლაგ და ნაგ ექვივალენტური ნაწილები მეტყველებენ, გერმ. gur-gel „ყელი, ხახა" და // მეგრ < ყორ-ყელ ალომორფალური ფორმები არიან.

ქართ. **ყელ-ი** < მეგრ. **ცალ „ყელი“< ყორ-ყელ „ყელი, ხახა“ > //** სლ. **გორლო „ყელი“ // ბერძნ. გულიო „ყელი“, იუ-გულ-უმ, „კისერი,“** ლათ. **Gul-a „ხორხი,“** და გერმ. **// gur-gel, // hals „ყელი“// kehle „ ხორხი“** ამგვარ ცვლილებებს გვავარაუდებინებს: **ქართვ. *ყგრ > ქართ. ყელ // მეგრ. ცალ; ქართვ. (*ყგრ > *ყორ) > სლ. გორ >// გერმ. gur // gel //** ლათ. **ბერძნ. გულ; გერმ. გურ > ჰალ (გ-ს ჩავარდნა) > // ჰლ (კუმშვა): ყ > გ; გ > ჰ. ეს ჰალ > ჰლ კი იმის უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ: ნაკუმშია ინგლ. T-hr-oat „ხახა“** სიტყვის **ჰრ** კომპონენტიც: **ჰორ* > ჰრ:**

რაკი ქართვ. ***ყორ > სლ. გორ > გერმ. გურ >// ჰალ >// ჰლ** ცვლილებები იმას გვეუბნება რომ გერმ. კეჰლ სიტყვის **ჰლ** ნაწილის ფარდი გახლავთ ინგლ.– **ჰრ** სიტყვაში **ტჰროატ throat.** მ. ე. ასევე ნაკუმშია **კრ** ნაწილი საერთაშორისოდ გავრცელებული სიტყვისა **კრატერ „ვულკანის ყელი“ (ყარ > კარ >კრ);**

სლ. **გოლოდ „შიმშილი;“ ქართ. ლუკმა // /მეგრ. ლუკა // სლ. გლოტკ, //** ინგლ. **Gulp (*ყორ > სლ. გოლ > ინგლ. გულ // სლ გლ; ყურ* > რუყ* > მეგრ. // ქართ ლუკ).**

ჩამოთვლილ სიტყვებში **ყ** ბგერისა და მისი **რი** სუფიქსისაგან წარმოქმნილ **ყგრ, ყორ, გორ, გურ, გულ** და ა. შ. პოლისემიურ და დასაბამისმიერ ალომორფთა ინდოევროპეულ შესატყვისთა – **გოლ, გულ, გლ, ჰალ, ჰლ** და ა. შ. არსებობა აშკარაა და ალბათობის თეორიის მოხმობას არ საჭიროებს.

აღწერილ ფონეტიკურ მოვლენათა უნიკალურობა და მნიშვნელობათა განსაკუთრებულობა- **ქართველურ-ინდოევროპული პარალელის** არა ამ ენების მთლიანი ლექსიკურ მარაგში მოძიებით, არამედ – თეორიით შეზღუდულ უმცირესში – უკვე ადამიანის, მფლობელობაში არსებულ პირველი სამეტყველო ერთეულების – **(ნ და ყ-ს)** მათსავე სადარ ხმიანობათა გამომცემ მოვლენათა თუ ამ მოვლენებში მონაწილე ობიექტთა აღმნიშვნელ დღევანდელ სახელთა **(ნოვა, ყლაპვა, რძე, ძუძუ, წყალი, ანატომიური ორგანოები...)** აღნაგობაში პოვნიერებითაა განპირობებული.

ეს უთავდაპირველესი და უცხადესი ქართველურ-ინდოევროპეული იგივური ფონეტიკური პროცესები კი ასევე აშკარად და ურყევად იმას ამტკიცებს, რომ **ე. წ. იბერიულ-კავკასიური და ინდოევროპული ძირი ერთია; რომ შემდგომ ამ ბაზისზე დაშენდა მსოფლიო მეტყველება.**

წ და ყ ბგერებთან დაკავშირებული ენათმეცნიერული პრობლემა

ცნობილი ფაქტია: **ფონეტიკური ცვლილებებით** (თუ არა მონაცვლეობით), **არც ერთი ქართველური ფონემა წ ან ყ ბგერას არ იძლევა.** ეს მაშინ როცა უკანასკნელთაგან, ენათმეცნიერებაში დამტკიცებულად, შესაბამისად, ყველა, **როგორც წინა, ასევე უკანაენისმიერია მიღებული. ასეთი თვისება არც ერთ სხვა ბგერას არ გააჩნია და უმნიშვნელოვანესი ენათმეცნიერული პრობლემაა.** ამ პრობლემას გააჩნია მთავარი მიზეზი: ესაა **წ და ყ ბგერების პირვანდელობა:** მათ გამოიარეს ერთადერთ სამეტყველო ერთეულად არსებობის ის დიდი დრო, რამაც როგორც ზემო თავებში ითქვა, განაპირობა მეტყველების ცენტრის და ენის შესაბამისი განვითარება. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება **წ** და **ყ** ბგერებით მეტყველების ფონზე, როგორც ბაზისური საფეხურიდან, ახალი სამეტყველო ერთეულების წარმოქმნა. შემდეგ კი დგება დრო, როცა მათ მიერ **არა მარტო წ...წ... ყ...ყ... ხმიანობების გამომცემი ფიზიოლოგიურ, ბუნებრივ მოვლენათა თუ ობიექტთა ხმებია სახელდებული, არამედ მათთან სემასიურ კავშირში მყოფნიც. ანუ მათ ადეკვატური ხმაბაძვით სახელდების შესაძლებლობა ამოწურეს. ამიტომ, შემდგ, ახალ წარმოქმნილი ბგერებისთვის უკან წ და ყ-დ გარდამქმნელი, სახელდებისთვის საჭირო აუთვისებელი ბუნებრივი მეტყველი გარემო არ არსებობს. როგორიც ეს, აქვე, წინმსწრებ წინადადებაში, პირუკუა. როცა იმდროინდელი კაცობრიობა წ და ყ ბგერაში მოიაზრებს ბუნებრივ ხმიანობებთან სადაგ ენისმიერებს და ცდილობს მათ წარმოთქმას, ჯერ ისევ წ და ყ წარმოითქმება. ანუ სანამ სპონტანურად წინაენისმიერები არ წამოიქმნებიან ესენი ყველაფრის სინონიმნი არიან. ხოლო, შემდეგ, წ და ყ დასაბამისმიერთა სამეტყველო ბაზაზე წარმოქმნილნი წინა და უკანაენისმიერნი, ადეკვატური ხმაბაძვითი მეტყველებით განმტკიცება–ფიქსაციის გამო, იმავე წ და ყ-დ, ისევ ვერანაირად შეიცვლებიან.** ამით ამ ორ ბგერასთან დაკავშირებული დასახელებული ენათმეცნიერული პრობლემა მოიხსნა.

სისტემა A), ბგ, ფქ; პკ, დგ, თქ, ტკ; ძგ, ცქ, წკ; ჯგ, ჩქ, ჭკ;
სისტემა b) ბღ, ფხ, პყ; დღ, თხ, ტყ; ძღ, ცხ. წყ; ჯღ, ჩხ, ჭყ.

ქართვ. ენებში არის ორი მწყობრი სისტემა თანხმოვანკომპლექსებისა რომელთა წარმოთქმა, როგორც ეს ენათმეცნიერებაშია დადგენილი, **სახმო სიმების ერთნაირი ჟღერის გარეშე არ ხდება.** მჟღერი თანხმოვნების ჟღერაც სახმო სიმების პერიოდული რხევებითაა გამოწვეული. ამ პროცესებში, რაკი **სახმო სიმების რხევის პროდუქტი** შესაძლებელია იყოს მხოლოდ ხმოვანი, ნახევარხმოვანი ან კვალი ამ ხმოვნისა (როგორც ეს მჟღერებშია **(ბ, გ, დ, ვ, ზ, ლ, მ, ნ, ჟ, რ, ღ, ძ, ჯ)**, უპრიანი იქნებოდა გამჟღავნება ამ **პროდუქტის** ვინაობისა (რაობისა). უეჭველია, იგი **გ** ხმოვანია, რადგან, ჯერ-ერთი, აქვეთქმული თვისებები: მოგვევლინოს ხმოვნად ნახევარხმოვნად (ან კვალის დონემდე შესუსტდეს ან სრულიადაც გაქრეს ე. ი.), სხვა ხმოვნებისგან განსხვავებით, მხოლოდ მას გააჩნია და, მეორე, ქართვ. ენათმეცნიერთა (ნ. იმნაძე) კვლევით, **გ** ხმოვნის ფორმირებაზე, სხვა ხმოვნებთან შედარებით, ყველაზე ნაკლებად მონაწილეობს **სამეტყველო აპარატის პირის ღრუს ნაწილი:** იგი ყველა ხმოვანზე აღმატებულადაა, უშუალოდ, **სახმო სიმების** პროდუქტი. ამგვარად, **მჟღერების ჟღერა გ ხმოვნის კვალია,** ხოლო ჰარმონიულ ბკ-თა წარმოთქმისას, ინდმეტყველებით თავისებურებათა მიხედვით, იგი ხმოვანი ან ნახევარხმოვანია, ან კიდევ კვალის დონემდეა დასუსტებული. მაგ: სიტყვის გარეთ და ბუნებრივი მეტყველებით – **ბგ, ფქ, პკ,** და ა. შ. ჰ. თკ-ები წარმოითქმებიან როგორც ბგგგ, ფგქგ, პგკგ. მაგრამ პირველი თანხმოვნის შემდეგ **გ** ხმოვანი შესაძლებელია, სუსტად წარმოითქვას ან სრულიადაც წაიშალოს – ბგგ, ფქგ, პკგ და ა. შ. ამ საოცარ, პრობლემატურ თვისებას **გ** ხმოვნისა წარმოთქმებში ისმოდეს როგორც ხმოვანი (ან შესუსტდეს და სრულიადაც წაიშალოს ე. ი.) ზემოთავებშიც მივანიშნეთ და მისი სხვა ხმოვანთა წინაპრობით ავხსენით.

ჰარმონიული თანხმოვანკომპლექსკები (ჰ. ბკ-ები) ხასიათდებიან შემდეგი კანონზომიერებებით: 1) ყველა მათგანის წარმოთქმას თან ახლავს **სახმო სიმების ერთნაირი ქმედება;** 2) **ყველა კომპლექსი წყვილია** (ორ-ორი თანხმოვნისგან არიან შემდგარი); 3) **წინა წარმოების ბგერას** (ბაგისმიერ ან სხვა წინაენისმიერს) მოსდევს

– **უკანა;** 4) **წყვილები ბუნებით მსგავსნი არიან**: ბაგისმიერ (**ბ, ფ, პ**) თუ დენტალ ხშულმსკდომებს (**დ, თ, ტ**) და აფრიკატებს (**ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ**) მოსდევს უკანაენისმიერი ხშულმსკდომები (**გ, ქ, კ**). (**სისტემა A**), ხოლო **b**) სისტემაში, შესაბამისად, **გ, ქ, კ-ს** ადგილს **ღ, ხ, ყ** იკავებს; ორივე სისტემაში **მუღერს მუღერი** მოსდევს (**ბგ...**); **ყრუ ფშვინვიერს** (**თქ, ცქ, ჩქ...**) – **ყრუ ფშვინვიერი** და **აბრუბტივს – აბრუბტივი** (**წყ...**). ამდენი და ამდაგვარი კანონზომიერებებით შემკული მოვლენები, წარმოუდგენელია, იყვნენ შემთხვევითნი და ბგერათა ნებისმიერ ცვლილება-დაკავშირებათა საფუძველზე წარმოქმნილნი – პირობითი. **ჰ. ბკ-ები მიზეზშედეგობრივი მონაცემნი არიან.** მათი წარმოქმნა, უეჭველია, განაპირობეს გარკვეულმა ეთიოფაქტორებმა. ეს გახლავთ: 1) გახმოვანების შესახებ უკვე ვისაუბრეთ; 2) წოვის, როგორც ერთიან თანადროულ პროცესში, **შეწოვა-გადაყლაპვის თანმიმდევრული მოვლენების ხმიანობათა შესაბამისად, წინა და უკანა ენისმიერთა წინაპარ, წ და ყ ვერბალური ბგერების წარმოქმნა;** 3) იგივე თანმიმდევრობით, მეტყველების დემიურგ ამ ორ ბგერათაგან, მათივე შეუღლებით, პირველი წყვილი **წყ ჰარ. თანხმოვანკომპლექსის შექმნა;** 4) აღნიშნული უთავდაპირველესი მინიმუმით (პოლისემიური **წგ*..წგ*; ყგ*..ყგ*** და **წყგ*..წყგ*** წარმოთქმებით) მეტყველების ცენტრის ჩასახვისა და ენის განვითარებისათვის საკმარ დიდ დროში (მინიმუმ 1 მლ. წ.) **მის ტრადიცია;** 5) ამ საფუძველზე, **წ**-საგან წარმოქმნილ, საარტიკულაცო თვალსაზრისით, უახლოეს მეზობელ **ტ, ძ, ც** წინაენისმიერთა და, ასევე, შესაბამისად, **ყ**-საგან წარმოქმნილ – **ღ ხ** და სხვა უკანაენისმიერთაგან, კომპლექსების შექმნა. შემდეგ კი, ანალოგიით, შემდეგ წარმოქმნილ დენტალთა და ბაგისმიერთაგან, იგივე მიმდევრობების მქონე სისტემების წარმოქმნა. (მაგ. მეგრ. ქართ. **წყარი // წყალი** „წყალი, მდინარე;“ **წყუ // წყური // წყარო** და მეგრ. 82 > **ძგა** (< **წყა***) „მდინარის ნაპირი **წყ > ძგ;** მეგრ. 83. **წყვარწყვალი** >// **84. ტკვარტკვალი** „წყლის უხვმდინარება. **წყ > ტკ;**, მეგრ. **85. ძღირძღინი** // 86. < **წყირწყინი** „ბუზღუნი, წუხილი.“ **წყ > ძღ;** მეგრ. ქართ. 87. **ტყები // ტყავი** > // მეგრ. **88. ტკე** „კანი, ტყავი.“ **წყ > ტყ > ტკ;** მეგრ, 89. **ორწყე** „ხედავს,“ 90. **რწყება** „ხედვა“ > // ქართ. 91. **უცქერს** და 92. **ცქერა. წყ > ცქ;** ჭამის თავისებურებანი მეგრულში: 93. **წყიწყონი** > // 94. **ჭკიჭკონი** > // 95. **ჩქიჩქონი. წყ > ჭკ > ჩქ;** ქართ.

96. წყვეტა // მეგრ, 98. გაწყანა >// 99. ჭყვადა „წყვეტა.“ **წყ > ჭყ; ყ > ღ; ყ > ხ შდრ. მეგრ. ყვაპუ // ქართ ღოკი // ხოკი „ცხოველთა ყბაყურა"; გ, კ, ქ ამოწევის მაგ. იხ, აქვე ზემოთ...**

ეთიოფაქტორთა აღწერილ მექანიზმში ნათლად ჩანს განპირობებულობა ჰარ. თკ-თა არა მარტო წარმოქმნისა, არამედ იმდაგვარი ფაქტობრივი კანონზომიერებებისა როგორიცაა **წყვილობა და მიმდევრობა.** რაც შეეხება წყვილებში თანხმოვანთა **მსგავსებას,** ბუნებრივია, როგორც **წ** გავს **ყ** ბგერას იმდაგვარადვე გვანან ერთმანეთს მათგან წარმოქმნილი თანხმოვანთა მიმდევრობები.

ამგვარად, ჰარ. თკ-ების: **წყვილობა (მე-2); თანხმოვანთმიმდევრობა (მე-3) და კომპლექსში შემავალ თანხმოვანთა მსგავსება (მე-4)** კანონზომიერებები **წ** და **ყ** ბგერებით და **წყ** ბგერათკომპლექსით **მეტყველების ტრადიციით, მათი ბუნებით და მათგან წარმოქმნილ ბგერებზე ამ ბუნების მემკვიდრეობით გადაცემითაა განპირობებული,** რითაც ჰარმ. ბკ-ის რაობისა და წარმოქმნის პრობლემა მოხსნილია. თუმცა ეს როდი ნიშნავს სიტყვაში ნებისმიერ მათთაგანს თავისი საკუთარი ბიოგრაფია არ გააჩნდეს, რაც, ბევრი მათთაგანის შემთხვევაში ჩვენს მიერვეა დადგენილი.

წ > ჭ გადაწევის სხვა მაგალითები

მეგრ. წა „მოფერებით წყალი“ > **ქართ. ჭა** და მეგრ. ჭვემა </ ქართ. წვიმა **წ > ჭ** გადაწევის სანიმუშო მაგალითები არიან. მაშ, 84. ლაზ **მჭიმა** //< მეგრ. 85. **წ**იმა „სხმა."

დაშვება მეგრ. ინჭა „ჭას" ცინ-ჭა-დან წარმომავლობისა საფუძვლიანია (ა. ჩიქობავა). მაგრამ ცინ „ცინული“ მეგრულია, ჭა კი – ქართული. ჩანს იგი ავტორმა ნარევი მეტყველების ნიმუშად ჩათვალა, რაც **ორ-ჭოფ-ის** (**ორი** ქართ. + **ჭოფი** „ჭერა“ მეგრული) შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. თუმცა სავარაუდოა კიდევ დაშვება **ინჭა** მეგრ. **წა-რი** „მოფერებით წყალი-დან“ **რ-ი** სუფიქსის თავკიდურში გადასმისა (შდრ. წა-**რი** > 85. **რი**-წა „ტბა აფხ-ში") და **რ > ნ** მონაცვლეობით იყოს მიღე-ბული: **რ > ნ** მაგ:: მეგრ. **შური** >// ძვ ქართ **სური** > ახ. ქართ. სუნი; მეგრ. 86. **ყურწი** > // ქართ. 87. **ყუნ-წი**; ქართ **ყურ-ყურ-ი** > მეგრ **ყურ-ყინ-ი** > ქართ. **ყუ-ყუნ-ი** „ყურყური“; მეგრ. 88. **წარ-წკარ-ი** > ქართ. 89. **წან-წკარ-ი**;

ქართ ყლურტი > ყლუნტი.: მ. ე.: წა-**რი** > **რი**-წა > ირ-წა > ინ-**წა** > ინ**ჭა** მეგრ."ჭა."

ხელსაწყოს სინონიმები: მეგრ. 90. ლა-**რჭა**, 91. ლა-**ნჭა**; გურ. 93. ლა-**რჭა**, 95. **ნაჭა** (**ჭა** < **წა**); მეგრ. **ჩხვინდი, კაჩა** ("მწყემსები ეძახიან" ა. შეროზია) იმ დროისაა როცა ადამიანმა შეძლო სითხის იმდაგვარი სათავსის (ჭურჭლის) დამზადება, რომლის კაუჭიან ჯოხზე ჩამოკიდებით წყლის ადუღება შეეძლო. აქედანვეა სახელდების პრინციპიც: **ჩხ**ვინდი // „**ცხ**ვირი," ხომ მოკაუჭებული ფორმისაა, ხოლო ლა-რჭა-ს მიღებისას, აქვე, ზემოთ **ნარი** > **რი**წა ცვლილების შემდეგ დანიშნულების **ლა** პრეფიქსი იძლევა ლარიწა* > ლარწა* // ლანჭას „ეტიმ. საწყლეს."

საინტერესოა მეგრ. 96. **ჭყეპი**: მისი მნიშვნელობა მეგრულში სხვადასხვანაირად აღიქმება: წვეთი, წვეთზე მცირე ან – დიდი: იგი ხმაბაძვითი სიტყვაა და წარმოქმნილია ძუძუს თითის ერთი ჩამოსმით ჩამოწველისას წარმოქმნილი **ჭყ** ხმების იმიტაციით. მეორე ნაწილი **პი** კვების სემასიიდანაა.

წ > **ჭ** გადაწევის მიზეზია ხმაბაძვა სახელთა წყებაში: 97. **ჭაო**ბი, 98. **ჭანჭახი** // 99. // **ჭან-ჭეხ**-ი, 100. **ჭან-ჭრ**-ობი „სველი, ნოტიო;" 101. **ჭან-ჭყა**-რი „სითხის ნჯღრევა ნაკლულ ჭურჭელში;" **ჭენ-ჭყო** // **ჭენჭყო**ბი // 102. **ჭყან-ტო**ბი // 103. **ჭყინტი** // 104. **ჭონ-ჭყო** // „, 105. **ჭყაპი**; 106. **ჭყაპანი**, 107. **ჭყაპუნი**, და ა. შ. იხ ქეგლ. ესენი წარმოქმნილნი არიან შესაბამისი ხმაბ. აკუსტიკური ზემოქმედებ-ით. **წ** > **ჭ** ხდება ასევე სახელებში: 108. **ჭენჭი**, 109. **ჭრტია**ლი, 110. **ჭურჭელი**, 111. **ჭური**, 112. **ჭყი-ნტლი** // 113. **ჭყლინტი**, 114. **მჭვირვალი**, 115. 116. **ბრჭყია**ლი, 117. **ჭკნობა**, 118. **ჭმახი** // 119. **ჭანგი** // 120. **ჭმახე** და ა. შ. მეგრ. 121. **ჭორუა**, „გაჟღენთვა"; 122. **ჭვიაფი** „**ბრჭყვია**ლი; 123. **ჭვახე** „**მჭახე**;" **ყველგან ამათში, წ** > **ჭ** გადაწევაზე ურყევად მიუთითებენ **წ** და **წყ**-ს შემცველი, მნიშვნელობით მათთან ახლოს მყოფი – **124. წ**უმპე; **წ**უნწუხი, „მყრალი ლაფი;" 125. **წ**უნწკალი „შხეფი წვეთი წყლისა;" 126. **წ**უწაობა // 127. **წკ**უმპლაობა „გაწუწვა;" 128. **წყ**ურტი // > **ჭყ**ურტი „შაქრიანი დიაბეტი;" 129. **ბ-ჭყ**(რვიალი) < 130. **ბ-რწყ**ინვა; (**ჭ**მახე <) 131. **მწ**ახე; 132. **მწ**არე // 133. **წ**არე და ა.შ. საქმე გვაქვს იმ რიგის მოვლენებთან როგორიც **ჩხ** და **შხ, შქ ჩქ-ს** შემთხვევაშია (იხ. **ჩხ** ბკ.), ოღონდ აქ ხაზგასმულია წინაენისმიერთა პრაბგერა – **წ**-ს სიძველე.

რი სუფიქსმის გადასმით, ჰიდრ. **რი-წა** მეგრ. **წა-რი** – მოფერებით წყალი"-დანაა; სვანური 134. **ლიც** „წყალი"ც აქედანვეა, ოღონდ მეტი ცვლილებებია მომხდარი: **წარი**-დან **რიწა**-ს მიღების შენდეგ ხდება **რ** > **ლ** (შდრ: სლ. **გორა** „მთა", ქართ. **გორა-კი** > მეგრ. **გოლა** „მთა"; ლათ. **კორ** // მეგრ. **გურ** //> ქართ. >**გულ-ი**) > **ლიწა***. **წ**-ს გაფშვინვიერება (შდრ. ქართ. **წვეთი** და > 136. **ცვარი**; ქართ. **წვეთი** და > მეგრ. 137. **ცვათი** // 139. **ცვალი**; **წა** > **ცა**;) > **ლიცა**. ხმოვნის მოკვეცა > **ლიც** სვ. „წყალი" **რ** > **ლ** მონაცვლეობის და **წ** > **ჭ** გადწევის შედეგია 140. **ჭალა** < **წალა*** < **წარა***; მეგრ. 141. **ჭალე** < **წალე*** < **წარე***; **რი** // **რე** სუფიქსმა არსობის მნიშვნელობა, **რ** > **ლ** მონაცვლეობის შემდეგაც შეინარჩუნა, **წა-ლა*** // **ჭალა** უდრის წყლის არსებობა, უდრის ადგილი სადაც წყალია. ეს **ლა** // **ლე** შემდეგ პრეფიქსად გადაინაცვლებს და ვლებულობტ 142. **ლე**-წე-ს ტოპ. ჩხ. რ. აქაც აზრობრივი შინაარსი წყლის არსებობაა. შდრ. ტოპ. ლე-ბარდე ეტიმ. „ბარდოვანი"; მსგავსადვეა წარმოებული ტოპ. 143. **ლი-ძა-ვა** < **ლი-წა-ვა***. ეტიმ."წყლისარე": ზოგჯერ **რ**-ი ან მისგან **რ** > **ლ** როტაციით წარ-მოქმნილი **ლი, ლა** და **ლე** აფიქსები სიტყვის თავკიდურში გადაინაცლებენ: წკა-რუ-**ნი** //. წკა-რა-წკუ-**რი** > // და **რი**-წკი-ნი. ეგრევე: **რი**-წა < **წა-რი** „ტბა აფხაზეთში"; **წა-რი** > **რი-წა** > **ლი-წა*** > **ლი ცა*** > **ლიც** სვნ. „წყალი"; **წა-ლი** > **ლი-წ-ა*** + **ვა** სუფიქსაცია, **წ**-ს გამჟღერებით > ლი-წა ვა* **ლიძა-ვა** „ტოპ. აფხაზეთში." ეგრევე: წე-**ლე*** > **ლე**-წე „მდინარისპირა ტოპონიმი. ჩხ. რ-ში. უეჭველია, **წე** წყლის მნ-ის ალომორფი ამ ტოპონიმისა – მდინარეზე, **ლე** პრეფიქსი კი მიწის ნაკვეთის მდინარისპირა მდებარეობაზე მიანიშნებდა, ისევე როგორც **ჭა-ლა-ს ჭა** (< **წა***) ალომორფი და **ლა** სუფიქსი – იმასვე;

''**წმ** ძირია სიტყვისა სა-**წმ**-ისი. მეგრულში აღდგენილი ფორმაა **ჭმ**" (მ. ბუკია, ს. წურწუმია). ეს **წმ** და **ჭმ** ეკვივალენტია სვ. **ნემ** „თივა, ბალახი" და მეგრ **ჭემ** „ბოქვენის თმის საფარისა": ამგვარად საწმისის **წმ** სვ. **ნემ** და მეგრ **ჭემ** ფუძეთა მოშველიებით **ნამ***-ად აღდგება და ე. ი. **საწმ**ისი ცხვრის ბალანს აღნიშნავდა, რითაც ძველად ოქროს მოიპოვებდნენ: ამიტომაც გვაქვს ძვ. ქართ. სა-**წმ**-ერთული (სა-**ნამ***-ერთული) ანუ ბოქვენის მიდამოს თმის საფარის მფარველი.. ამ აღდგენილ სა-**ნამ***-ერთულის **ნამ** ძირის დადასტურებაა ქართ. **ნამ-წამი**, რადგან აქ დუბლირებული **ნამ** ძირით თმის

ღეროებია აღნიშნული. მ. ე. სა-წმ-ერთულის შესატყვისად,, აღდგენილი ფორმა > მეგრ. ო-ჭმ-ა-რთულ*-იც (ჭმ < ჭემ < წემ) კანონიერია: მეგრ. რთ–უა-ლ, ა „გადახურვაა; „რთვი-ლი „გადახურულია" ხოლო,აზრობრივად, მეგრ. რთულ-ი „ეტიმ. გადახურული //"დაფარული* სადაგია ო–ჭმ-ა-რთულ* // საწმერთულ–ისთვის...

წ > ძ გამჟღერების მაგალითები

„აფხაზური ძველი ძაა და მერმინდელი და თანამედროვე აძე და აძგ, უეჭველია, იმავე ძირის სიტყვაა, როგორც ქართული 144. ვეძაა... ივანე ჯავახიშვილი" ასევე უეჭველია, ამ სიტყვებში ძ ბგერა წ-ს გამჟღერებითაა მიღებული. ამის დასტურია წოვა და სემასიურად მასთან კავშირში მყოფი ის სიტყვები, რომელთა ხდომილობა ზემოთ დავადგინეთ. ეს ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ კი – რძე და ძუძუ, რომელთა ძ შეუძლებელია არ იყოს წ წარმომავლობისა.

ტერმინში 145. ძარღვი ძ წ-ს გამჟღერებითაა მიღებული. წინაფორმა წარ-ღვი* – წარ + ღვი უკავშირდება თავსხმასა და ნიაღვარის აღმნიშვნელ ტერმინ წარღვნას. რომელშიც რ > ნ როტაციის და უ > ვ ლაბიალიზაციის გათვალისწინება პრეფორმებად წარ-ლუარ-ი* და წარ-ღვარ-ის* წარმოაჩენს, მნიშვნელობით „წყლის ღვარი": წარ-ღვარი* > წარ-ღვანი* (კუმშვა) > წარღვნი* // 146. წარღვნა. ამ უკანასკნელის წინარე წარღვნი*-დან ნ-ს ამოვარდნისა და წ-ს გამჟღერების შემდეგ, წარ-ღვი* > ძარღვი მიიღება, რომლის ძ > ჯ ცვლილება მეგრ. 147. ჯერღვი – „ძარღვის" გვაძლევს.

"... წყაროს აკუშურ სახელად გვშტლდენშტედტს აღნიშნული აქვს ჰინიჭ ... თანამედროვე ჰვრკილურად კი გინიძი ეწოდება.... გინი ზამთრის სახელია. ამის გამო ... წყაროს სახელი შესაძლებელია გინისა და ძ-საგან იყოს შედგენილი. პირველი ამათგანი ცივის მცნების გამომხატველი ყოფილიყო, მეორე ძ მაშინ წყლის ძველ სახელად უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ... ჰვრიკულში წყალს ეწოდება შინ (შდრ მეგრ. შგ „წყალი"), ძავ კიდევ წვიმას. .." იხ ივ. ჯავახიშვილი ქ.ე.ი.შ გვ 40.

ჰვრკილურად გინი ზამთრის მიმართებას წყაროს აღმნიშვნელ აკუშურ 148. ჰინიჭ და 149. გინიძ-თან, გარდა იმისა რომ სრული

ანალოგიაა მეგრ რგილ „ცივი და წყუ-რგილ „წყაროსთან, ეტიმ. წყარო-ცივთან“. თუმცა: იქნებ ჰინიჭ და გინიძ სახელთა ჭ მიღებულია წ-ს გადაწევით, ხოლო ძ მისივე გამჟღერებით. . ჰინი და გინი კი მეგრ.ჳნ // ცინ-ის ორეულები არიან (ჳნ > ცინ > ჰინ > გინ) და ამოიზრდებიან წყჳრ-ი წყლის ალომორფიდან: რ > ნ მონაცვლეობა (იხ. გვ.) > წყინი. (წ-ს დაკარგვა შდრ. ქართ წყურვილი >// მეგრ. ჳუმენი; მეგრ. გარა < წყარა „ეტიმ. წყლიანობა"). > ყინი > // 150. ცინი მეგრ „ყინული.“ შდრ სლ. 151. ინეი „რთვილი, ყინული“.

ჩხ ბკ-დან მომდინარე ჩხურუ წყლისა და ცივის ცნებებს მოიცავდა, ეგრევე წყ ბკ-დან ამოზრდილი წყჳრ ალომორფმა წყლისა და სიცივის მნ-ობა შეიძინა, შემდეგ კი შესაბამისი ცვლილებებით მიიღო კონკრეტული მნიშვნელობები: ცინი მეგრ. „ყინული“; ინეი რუს.თრთვილი და ა. შ, ასეთივე პარალელია წყლის სინონიმ შჳ-დან ამოსული შა-ლარი მეგრ."ლოლუა, ძლიერ ცივი“; შდრ: შალარიე = „ძლიერ ცივია:“ შა + ლარი „ლოლუა“ მიგნებული სახელდებაა:“ ზედმიწ. = „წყალი სწორი, წყალი ხაზი“.

ამგვარად, დიდი ივანე აბსოლუტურად ჭეშმარიტია როცა ამბობს, რომ ჰვრკილურად „წყაროს სახელი შესაძლებელია გინისა და ძ-საგან იყოს შედგენილი"-ო: მაშ, აკუშურ ჰინი-ჭ-ზეც იგივე უნდა ვთქვათ: ისიც კომპოზიტია ჰინი და ჭ-საგან შემდგარი. ხოლო ორივეს ძ და ჭ, უკვე, დამტკიცებულად, წ-დანაა.

წიე, წე, წი,* ძიე, ძე, ძა

წ > ძ პროცესის უტყუარი სამტკიცია ქართ. გვარის გამომხატველ 152. ძე სართის მეგრულ ვაჟის აღმნიშვნელ 153. წე სიტყვისაგან წარმოქმნის რეალური ფაკტები, ესენია:

1. ძვ. ქართ. 154. წულ შვილის ორივე სქესის სახელია;

2. მეგრულში ეს ვითარება შენარჩუნებულია: 155. წიე, 156. ძიე, ძე = ვაჟს, ხოლო 157. ძა = „ქალიშვილს, ქალს: აქედან ქართ 158. რ-ძა-ლი და // ლაზ. 159. ოხორ-ჯა < ოხორ-ძა* (ძა // ჯა < წა).

3. ენათმეცნიერული კანონზომიერებებით, როგორც ითქვა, ძ ბგერიდან წ არ მიიღება. მ. ე, რაკი უძველესი ვითარებაა წ ბგერიანი ქართ. წული, ხოლო ძ არ იძლევა წ ბგერას, გამოდის, მეგრული წიე, ძიე, ძე // ქართ. ძე მიღებულია წინარე წიე და წე მეგრული სიტყვებისაგან. ამ ურყევ მტკიცებულებებს დამატება არ ჭირდე-

ბა, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი ფაკტი, რომელიც ჯერ არს დავასახელოთ: მე-11 საუკუნეში საყოველთაოდ ცნობილი გვარ-სახელია **იოანე პეტრინი.** უეჭველია, პეტრი-**ნი**, რამეთუ იოანე მამაკაცია, უდრის დღევანდელ პეტრი-**ძე**-ს. ესე იგი, მე -11 საუკუნეში, ქართულში, ჯერ კიდევ შენარჩუნებული ყოფილა გვარის სართ **ძე**-ს პარალელურად **ნი** – სართი, რომელიც მეგრულში დღესაც არსებული **ნიე**-ს წინაფორმაა...

ანუ მეგრ **ძა** „ქალი" და ქართ-მეგრ. **ძე** მეგრულ **წა* და ნე // ნიე-დანაა** მიღებული..

წ > ჭ, წ> ს, წ > ტ პროცესთა მადასტურებელი მასალა

წყურვილი და სურვილი: აბსტრაქტულ ტერმინ – 160. **სურ-ვილ-ს** გააჩნია საბუთიერი ეტიმ. ამოსავლიანობა: ესაა მისი მეგრ. წყაროს აღმნიშვნელ სახელ **წყურ**-ი და ქართ.161. **წყურ**-ვილ-ის **წყურ** ძირთან დაკავშირება: **წყურ**-ვილს ხომ **წყაროსთან** იკლავენ. ამგვარად, ;**წყურ**-ვილი და და **სურ**-ვილი თითქმის იდენტური ცნებები არიან: შდრ. სენტენციები – „შენმა **სურვილმა** დამძლია" და „შენი **წყურვილი** მკლავს." „რუსულადაც **жажда** .. ნიშნავს წყურვილსაც და სურვილსაც" (გურანდა ბესელია.). ანუ რუსული **жажда** აშკარა პარალელია ქართ. **წყურვილი და სურვილისა:** ენათმეცნიერთ კი მრავალი ქართვ. აბსტრ. სახელი უმოტივაციო, პირობითი ანუ ნებისმიერი ბგერითი აგებულების ნიშნები გონიათ. ასეთად მიაჩნიათ **წყურვილი და სურვილიც.** არის კი ეს ასე? ვნახოთ: **წყარ**-ი და მოფერებით – **წალი // წარ**-ი მეგრულად წყალია. წყარი > // **წარი** //> წალი თვალსაჩინო მაგალითია **წყ** კომპლექსიდან **ყ** ბგერის დაკარგვისა. მაშ, აბსტრაქტული ტერმინი **სურ**-ვილიც, ასევე. ცხადია ამ **წყურ**-ვილ-ის **წყურ** ძირიდანაა, **ყ**-ს დაკარგვითა და **ვილ** სუფიქსაციით. წარმოქმნილი: წყურ + ვილ > **წ**ურ-ვილ* > **ს**ურ-ვილ. აქ **წ > ს** სხვა დამოწმებას არ საჭიროებს.

მეგრ. **წარ**-ი და **წალ**-ის მსგავსად, **წურ**-იც*, ოდესღაც, ასევე, წყალს რომ აღნიშნავდა, გარდა მეგრ. **წყურ**-ი „წყარო"-სა, ადასტურებს ქართ.161. **წურ**-ვა და162. **წურ-წურ**-ი, ხოლო თუ **ეს ასეა,** მ. ე. ჭურჭლის სახელი **სურ**-აც აქედანვეა: **წურ**-ა* > **ს**ურა.

მეგრ. **წალ** „წყალი" შენარჩუნებულია მეგრ. **წალ**-უა სიტყვაში = „დასამწნილებელი ბოსტნეულის მცირედ მოხარშვა." უფრო საინტერესოა ამ სიტყვის მეორე მნიშვნელობა – მეგრ. **წალ**-უა „მიწისძვრა:" დააკვირდით: ტალღების ქანაობის თვალსაჩინო აღქმე-

ბი გადატანილია მიწისძვრის იგივურ მოვლენებთან – მიწის ქანაობასთან!.

ლაზ. 166. ო-**წუდ**-ე. „სა-ჭრჭ-ლე"-ში **წუდ წურ**-იდანაა: (**რ** > **დ** იხ. გვ.) წურ საწყისიდან, **წ** > **ჭ** გადაწევის გამო გვაქვს 163. **ჭურ**-ი, 164. **ჭურ-ჭელ**-ი (< **წურ-წერ-ი***); 165 მეგრ. **ჭურ**-ია „ტბა".

ტერმინ **სურ**-ვილის წინაფორმა **წურ**-ვილი*ს **წურ** ძირის მონაწილეობითაა წარმოებული ქართ. 166. **სტუ**-მარი // მეგრ. 167. **სუ**-მარი: **ს-ტუ** აქ **წურ**-ი-დანაა, რომელსაც **წ** > **ტ** დეზაფრიკატიზაციის შემდეგ **ს** დაერთო; **წურ** > **ტურ** > **სტურ***: **მარ** კი ასევე ძირია სვ. **მარე** „კაცი" სიტყვისა (**მარე-ს შესახებ** იხ. ქვემოთ): **სტურ-მარ-ე*** – **სტურ*** „სურვილი" + **მარე** „კაცი" ანუ „სასურველი კაცი" შეუდარებლად სადაგია ტერმინ **სტუმრის** ეტიმ. ამოსავლად: მერე ამ კომპოზიტად შერწყმულ **სტურ-მარე-ს*** **სტ** და **რმ**-დან **ტ** და **რ** ამოვარდნენ, ჩვეული, მეგრ. კომპლექსთა გამარტივებისადმი მიდრეკილების გამო: **სტურმარე*** > მეგრ. **სუმარი**. ქართულში კი მხოლოდ **რმ** კომპლექსი გამარტივდა: **სტურ-მარე** > **სტუმარი**.

ტიანი // მტევანი, წილუა // მოწილვა სტველი და სთველი მოგვყავს, **წ** > **ტ** და სხვა პროცესთა მადასტურებელი, საინტერესო ფ. ს. გარდაქმნები:**168. მეგრ. ტიან-ი „მტევანი"//< წი-ან-ი* „წყლიანი ანუ წვნიანი" (ტი < წი) ; ქართ. მ-ტე-ვა-ნ-ი: წე-უა-ნ-ი*: (წ > ტ და უ-ს გაბაგისმიერება) > ტევ-ან-ი + მ >// მ-ტევ-ან-ი; 170. მტილი ძვ. ქართ. „მწვანილი", ბოსტნეული: 171. მწვანილი** მოსაწილველია (საკრეფია). სწორედ ეს მნიშვნელობაა ძვ. ქართ. **მ-ტ-ილ-ი**ს ეტიმ. ამოსავალი: მეგრ. **წ-ილ***-უა „კრეფა"ს **წილ** ძირს + **მ** მადიფერენცირებელი > **მ-წ-ილ***: (**წ** > **ტ**) > **მ-ტ-ილ-ი** „ანუ **მწილი*** // მ-წ-ილ-ი* > მ-ტ-ილ-ი; **172. მო-წ-ილ-ვა „ნაყოფთ მოკრეფა" ს. ორბელიანი „ლ. ქართ.;" 173. მეგრ. წილ-უა „კრეფა,** მგკო-წილ-უა **„მოკრეფა":" წ-ილ-უა** + **მო** > **ქართული** მო-წ-ილ-უა* > მოწილვა „ძვ. ქართ კრეფა"; მეგრ. 174. მო-წ-ია // 175. მგ-ნა-**წგ** „მოსავალი" და ქართ. მო-**წ**-ილ-ვა // მეგრ. **წ-გლ**-უა // **წ-ილ**-უა, ქართ მ-ტ-ილ-ი სიტყვათა ძირია **წ, რომელსაც გლ // ილ ისე შეზრდიათ, შემდეგ, ახალ – წგლ // წილ ტილ ძირად არიან ჩამოყალიბებულნი,** რაც იმაზე მეტყველებს, რომ, ასევე, ზემოთხსენებულ – ტიანი, მტევანი სიტყვათა ძირია – წგ: (**წგ*** > **წი; წგ*** > **წე**). **იგივეა** ქართ. 174. **წუელი – წუ**-ელ-ი „მარცვალ-გამოცლილი პურის ღერო" // მეგრ. 175. **წუ, რაც** იმაზე მეტყველებს, რომ **წუ**-ელ ლექსემის ძირია იგივე მნიშვნელობის მეგრული **წუ** (< **წგ**): **ელ** სუფიქსია ქართულში.

ეს **წუ-ელ**-ი გვაფიქრებინებს: იქნებ 176. სტველიდანაა 177. **სთველი** და არა პირიქით, როგორც ეს, თავის შესანიშნავ ნაშრომებში, აკადემიკოს აკაკი შანიძეს აქვს მტკიცებული: რა თქმა უნდა, **სთ** კომპლექსმა შეიძლება მოგვცეს **სტ** (აკადემიკოსის საარგუმენტაციო მასალა ზუსტია), მაგრამ ამ კონკრეტულ (**სთველი > სტველი**) შემთხვევაში, სთველის წინაფორმა ვერ აღიდგინება: აქ **ნ** ბგერა **თ**-ს არ იძლევა, **ტ**-თი გაშუალების გარეშე: პირიქით: **სტველი > სთველი** პროცესი თუ დავუშვით, ამ შემთხვევაში, **სტველის** წინაფორმა აშკარაა: იგი, ზემოთხსენებული, **წუ-ელ**-ის **წუ-ელ** ძირია, რომელიც 178. მო-**წე-ულ**-ის **მო** პრეფიქს მოცილებული ნაწილ – **ნე-ულ**-ისაგან მხოლოდ **უე > ეუ** შებრუნებით განსხვავდება. ფაქტია: იმ უძველეს ეპოქაში, ეს **ნე-ულ** და **წუ-ელ** ძირი პოლისემიური იყო და გამოხატავდა ნებისმიერი მოსავლის აღებას – ბოსტნეულისას, მარცვლეულისას თუ რთველს: ფონეტიკური ცვლილებებიც სრულიად გამჭვირვალეა: **წუ-ელ* > ტუ-ელ***. აქ შემოდის მადიფერენცირებელი **ს** ბგერა, რომელიც ტერმინს ძენს კონკრეტულ რთველის მნიშვნელობას: ტუ-ელ + **ს** > **ს**-ტუ-ელ >// **ს**-თუ-ელ (**ტ > თ** შდრ: მეგრ. **ტოტი > თუათვი // თვათვი თათი**).

მეგრ. ტვენ-უა, ორტვინი, ტვინი, კასილი, საკილი, მო-საკილი, სლ. მოზგ

მეგრ. 179. **ტვენ**-უა არის მოცულობის „ჩაწნეხვით გავსება“ // 180. **ტენ-ვა**. უფრო კულინარიაში იხმარება, როცა დანაყილი ბოსტნეულით რასმე ტენიან. ზოგჯერ, იუმორისტულად, სულელური გამონათქვამის ავტორზეც იტყვიან – ტვინით რე გო-**ტვენ**-ილი = „ტვინითაა გატენილი-ო მ. ე, მეგრ. 181. **ო-რ-ტვინ**-ი რაკი ბოსტანია, ეტიმოლოგიურად იგი 182. „**სა-ტენი**“ ყოფილა. ანუ სახელდებულა მისივე დანიშნულებისამებრ – როგორც „**სატენის**“ მიხედვით. „სატენი“ კიდევ, მეგრულად, გახლავთ **ტვენი**, ხოლო **ტვენი**-ლი „დატენილია“. მეგრ. ტუენ-უა > **ტვენ**-უა // ქართ. ტენ-ვა სემასო-ფონეტიკურად ერთიდაიგივეა: განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მეგრ. **უე > // ვე** მარცვლის აგილზე ქართულში ზის **ე** ხმოვანი, რომელიც ამავე მეგრ. **უე > ვე**-ს გამარტივებაა.

მეგრ. **ტვენი** „სატენი“, **ტვენ**უა „ტენვა“და ორტვინი „ბოსტანი“იძლევა საშუალებას მივხვდეთ საიდანაა ადამიანის ანატ. ორგანოს სახელი – 183. **ტვინი**: იგი ა. ქობალიას 184. ტვენი ფორმითაც

აქვს შეტანილი! თავის „მეგრულ ლექიკონში“: ფონეტიკურად: ამ **ტვენ-ი** სიტყვის **ი** ბრუნვის ნიშანი იმსგავსებს ძირისეულ **ე** ხმოვანს (უმლაუტი: ნანა ხაზარაძე): სემანტიკურად კი **ტვი-ნი-ს** (//< **ტვე-ნი***) ეტიმ. ამოსავალია **ტვენ-უა** // „**ტენვა**“: მეცნიერებაში ცნობილია: ისტორიულად **ტვინი** მასაში რაკი მატულობდა, მჭიდროდაა თავის ქალაში ჩატენილი და რომ არ ეტეოდა, შექმნა მრავალი ნაოჭი. ანუ, როგორც ვხედავთ, ტვინის თავის ქალაში მჭიდროდ ჩატენულობაზე და სხვა წარმოსახვით განმაცვიფრებელ ფაქტებზე ცოდნა კოლხებს გააჩნდათ მითაჟამიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ამდაგვარი ეტიმ. წარმომავლობის ტერმინი არ შეიქმნებოდა...

მეგრ. **ტვენ-უა-ს** სინონიმებია – 165. **კას-უა** და 186. **საკ-უა**: **კას-ილ-ი** უდრის გატენილი. იგივეა **187. მო-საკ-ილი და 188. საკ-ილი**, ოღონდ, ეს უკანასკნელნი, იშვიათნი არიან. ღორმუცელაზე იტყვიან: ოჭკომალით **მო-საკ-ილი** = „საჭმლითაა გატენილი.“

აი, ამ – **საკ-ილ-ი** // **მო-საკ**(-ილ-ი)დანაა სლავური 189. **მოზგ „ტვინი“**: **მოსაკ > მოზაგ > მოზგ!**

მეგრ. ტგ და ქართ. ცური

190. მეგრ. **ტგ „ცურ"-ი**: **ტგ** და **ც-ურ**, ორივე გახლავთ **წ** ბგერის ალომორფები, ოღონდ მეგრულში იგი **წ > ტ** დეზაფრიკატიზაციითა და **გ** გახმოვანებითაა: **წგ* > მეგრ. ტგ „ცური"**; ქართულში კი, ზემოთგანხილულ, **წ-ურ***-ი-დანაა **ცურ-ი**. ეს **წურ** ძირი არის მეგრ. დაჭრის აღმნიშველ 191. **წურ-უა** სიტყვაში; ასევე – ქართ. 192. **წურ-ბელა** // მეგრ. 193. **წურ-ბელ-ი** სიტყვებში.

ამათი პარალელია სისხლის დანაშაულთან დაკავშირებული სვანური – **წორ (იხ ქვემოთ).**

მეგრ. ტგ და **ც-ური წ > ტ** და **წ > ც** ცვლილების სანიმუშო მაგალითები არიან.

ტბა, ტაბა, ტიბა, ტობა, ტუბა, თბილი, ტიბუ, ტუბო, ტიბლისი, ტიფლისი, თბილისი

ქართულში და მეგრულშიც დაფიქსირებულია ტრადიცია, რომლის მიხედვით წყალი მდინარესაც აღნიშნავს: წყალი ჩამოუდის უდრის „მდინარე ჩამოუდის;“ მეგრული **წყარ-ი** = „მდინარე“;

194. **მალწყარი და 195. წყარმალი** უდრის „წყალი მავალი", „მდინარე". ფაქტია, ეს ტრადიცია სხვა წყალ-სატევზედაც ვრცელდებოდა. ამის მაგ. ზემოთ, **წა** „მეგრ. წყალი"-დან > **ტბა-ს** წარმოქმნის სახით, უკვე დავასახელეთ (წა > **ბწა** > ბტა* > ტბა..), ამდენად, ქართ ტბა, ძვ. ქართ. ტაბა-ს კუმშვის შედეგი იქნებ არცაა (არნ. ჩიქობავა შ. ლ. გვ 184). იქნებ **ტბაა** უძველესი ვითარება, რომლის გახმოვანების გამოა მეგრ. 196. ტობო // 197. ტობა; ჭან. ტობა // 198ტიბა; სვ 199. ტუბა და ძვ ქართ, ტაბა!.

ა. შანიძის მიხედვით, ძვ. ქართ. 200. **ტაბა** არა მარტო ტბის, არამედ ზღვის და სხვა წყალსაცავების ცნებებს მოიცავდა. იხ. შ. ძიძიგური „ბასკები და ქართველები". გვ. 39.

არნ. ჩიქობავამ, ბოლოკიდურა **ო**-ზე **ბ**-ს გავლენით მეგრ. 201. **ტიბუ** „თბილი" ტუბო*-დან მომდინარედ (შდრ. წყალ-ტუბო > წყალ-ტიბუ*) დასახა. იხ. ა ჩ. „ზოგადი ენათმეცნიერება". ამ ტუბო*-ს **უ**-ც **ბ** ბილაბიალის ზემოქმედებით, პრეფორმა ტობო*-დან **ო**-ს ლაბიალიზაციითაა მიღებული: ტობო* > ტუბო. შდრ. მეგრ. **ტობა** (< **წო-ბა***)"ტბა, ტერმ. 202. **ტბილი //> ტფილი //> თბილი; მგრ ტიბუ „თბილი,"** აზრობრივად, როგორც წყალსატევთან – ტბასთან ანუ სითბოს შემნახველთანაა ასოცირებული. ეს მოსაზრება რომ ქ. **ტიფ**-ლის-ის წინანდელი სახელი **ტიბ**-ლისი* ყოფილიყოს, მეგრ. **ტიბ** „თბილიდან," კანონიერია. იგივეა ტოპ. **ტიბ**-აანი.

· როგორც ვხედავთ, აბსტრ. სახელი **თბ**ილი, მეგრ. **ტიბ**უ „თბილიც" **წა** „წყალი"-დანაა: **წა**-დან **თბილისა და ტბის** მნიშვნელობათა გენეზისი **ჩხ**-დან მომდინარე **ტემპერატურის, ცივის, ცხელის** მნიშვნელობის მქონე სახელებთან ავლენს უდიდესი მნ-ის ანალოგიას (იხ ჩხ ბკ.): **ჩხ**-ს მსგავსად, ერთ დროს **წა და წყ,** შესაბამისად, სითბოს და სიცივესაც აღნიშნავდნენ.

დაფიქსირებულია **ტიბ // თბ** ძირების ანალოგიური ძირები ი. ე. ენებში: „საფიქრებელია რომ ჯერ კიდევ მცირე აზიაში ურთიერთობამ განსაზღვრა ეს შეხვედრა-ო" – ბრძანა ა. ჩიქობავამ. იხ. შ. ლ. გვ. 327. თუმცა **გიორგიულ-ინდოევროპული ურთიერთობა უფრო ძველია, ვიდრე აქამდე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა. და ამას არა მარტო წა-დან გამომდინარე ტერმინები ღალადებენ...**

წ ბგერა და მისი ალომორფები

წგ დედამარცვლიდან, წარმოიქმნენ ერთიდაიგივე და, იმავდროულად, მრავალ მნიშვნელობათა მომცველი ალომორფები. მაგ: როგორც ვიცით, **წგ** //> **წა** აღნიშნავდა **წყალს რძეს, წოვას, ძუძუს, დედას** და მათთან დაკავშირებულ მრავალ მნიშვნელობებს, მაგრამ იმასვე აკეთებდნენ: **წი*, წე*, წუ*, წო*, წოუ*, წუა*** და ა.შ. ალომორფები. შემდეგ პერიოდში ამათმა განიცადეს **რი** სუფიქსაცია, მეგრულში, რომლის სიხშირეზეც, ჯერ კიდევ, ი. ყიფშიძემ მიანიშნა (იხ. ი. ყიფშიძე „მეგრ. ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და გრამატიკით"). ასე წარმოიქმნენ ალომორფალური სამეტყველო ფორმები: (**წგრ-ი** >) **წარ-ი**" **წირ*-ი, წერ*-ი, წურ*-ი, წორ*-ი, წოურ*-ი, წუარ***-ი, და ა. შ. გარდა ამისა, **წოვისა და ყლაპვის** სამეტყველო პირობითი რეფლექსები ქმნიან ამავე პროცესთა, როგორც ერთიანის სახელსადებ **წყ** კომბინაციას. ამ ძირმა კი ასევე **რი** სუფიქსაციით შექმნა შემდგი ალომორფები: **წყარ, წყურ, წყორ*, წყირ*, წყერ*, წყუარ*** და ა. შ. დასახელებულ ალომორფთ დღესაც შემორჩათ მონო და პოლისემიურობის ნიშნები. მაგ: მეგრ. **წა // წარ** . // **წალ**, მოფერებით, მეგრულში დღესაც წყალია, მაგრამ ამათ დამატებული, ქართ. **წყალი // მეგრ. წყარი,** ყველანი ერთად, მდინარესაც აღნიშნავენ.

წ-ს განვითარების შემდეგ, **წყალ**-ის ძირად **წყ** კომპლექსია მიჩნეული (მ. ჯანაშვილი, ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია. (იხ. ვ თოფურია „შრომები ტ. 4. გვ 238 „): **წყ** ბკ-ში **ყ** განვითარებული კი არა **წ** და **ყ,** წოვა-ყლაპვის თანმიმდევრულ და განუყრელ პროცესთა ეს ორი ხმიანობა ფატალური აუცილებლობით, თავიდანვე არიან შეუღლებულნი და შესაბამისად, წინა და უკანა ენისმიერთა თავსაწყისად მოვლენილნი. ანუ არიან ფაქტობრივი დემიურგნი მეტყველების ჩასახვისა.

გარდა **წყალ // წყარ** სიტყვებისა, **წყ** კომპლექსის მიერ წყლის მნიშვნელობის ქონებას ცხადყოფენ ქართ. **წყ**-არ-ო // მეგრ. **წყუ // წყ**-ურ-ი // **წყ**-ურ-გილ-ი, **წყ**ურვილი: ხშირია (**წგ** >) **წა** შედგენილობის სიტყვები: 202. **წა**-კურთხია „წყლის კურთხევა" < **წა** + კურთხუა (და არა წყარ + კურთხუა. ი. ყიფშიძე);" ჰიდრ. 203. **სინ-წა** „ეტიმ = სინის წყალი." **სინ** ასურული მთვარის ღმერთია; 204. **წა**-ჩხურა „წყალი ცივი;" ტოპონიმებად გარდაქმნილი ჰიდრონიმები

205. **ნა**-რჩე „წყალი თეთრი; 206. უ-**წე**-რა „ეტიმ = უწყლო“ ან **უ** იქნებ **ო** პრეფიქსის ცვლილებაა: ო-**წე**-რა* „საწყლე“ > უ-**წე**-რა...

ხშირად იგივური საწყისი მნიშვნელობიდან საბოლოო – ერთიდაიგივე სხვადასხვა ალომორფებისგან მიიღება. **მაგ: წგრ, წერ** და **წირ** ალომორფთა საწყისი მნიშვნელობა იყო ერთიდაიგივე – „წყალი“. ერთ შემთხვევაში, **წგრ ძირით მივიღეთ ანტონიმი წგრ-დე „ხმელეთი, მშრალი ადგილი“: ქი-წირდ-ე = „მშრალი ადგილებით** იარე; „ **წერ*** ალომორფიდან **ო > ე** მეტაფონიით (უმლაუტით ანუ გადახმოვნებით შდრ: მოსხი > მესხი ნანა ხაზარაძე) > **ო**-წერ* „წყლიანი მიწა“ > 205 **ე**-წერ „უნაყოფო მიწად“ გადააზრიანდა. მაგრამ იგივეა **წირ*** ალომორფიდან 206.– მ-**წირ**-ი მიწა: გამოვლილია შემდეგი ფსიქოაქტები: **წირ*** „წყალი“ > . **წირ-უა** > // „წურ-ვა“ და ამ პროცესის შედეგი: მოცულობაში წყლის კლების აღქმები > კლების, სიმცირის მოაზრებები და > მ-**წირ**-ი // > 207. მ-**ცირ**-ე ტერმინთა წარმოქმნა და ბოლოს > მ-**წირ**-ი მიწა „უნაყოფო მიწა“.

მნიშვნელობის ცვლა ხშირად ხდება ალომორფთა დუბლირებით. მაგ: მეგრ. მასდარები: 208. **ნა-წა**-ფა „სითხესთან ან სველ საგანთან მცირე კონტაქტი“, 209. ინო-**ნა-წა**-ფა „წვერიანი ნივთის სითხეში ჩაყოფა“, 210. მგ-კო-**ნა-წა**-ფა „ზოგადად უმნიშვნელო კონტაქტი“ (ოდნავ შეხება); 211. მო-**ნა-წი**-ლი „პირთამდე სავსე“, „მოცულობაში სითხის სიჭარბე“. იგივეა 212. **ნი-წ-ინ**-უა, რომელიც იმავდროულად, წყლიანი, დაჭაობებული მიწის ხმიანობაცაა; 213. მა-**ნი-წი**-ნუ „პირთამდე გაავსო.“ 214. მო-**წი-ნი**-ნა-ფი-ლი „პირთამდე გავსებული მოცულობა“. 215. **ნი-წი**-ნა-ფა „დაჩირქებაცაა“. მაგ:216. **ნი-წი**-ნა-ფი-ლი მუწუკი „სითხით სავსე ფურუნკული, კარბუნკული და ა. შ.“ (შდრ.217. სა-**წერ**-ელი „პანარიციუმი“); 218. **ნი-წი**-ნა-ფი-ლი სხული 219. „მ-**წი**-ფე მსხალი“. ბოლო მაგ. **ნი-წ-ინ-უა-ში საყურადღებოა ნი-წ-ინ** ფუძე, რომლის **ნ** სონორი **რ > ნ** როტაციის შემდგომი სუფიქსალური წარმონაქმნია: **ნი-წი-ნ < ნი-წი-რ***. თავად წინ-**ინ-უა** ორჯერადი სუფიქსაციის მაგალითია. ქართ. 220. მა-**წა-წურ**-ი კი ჩვარია, ქვევრიდან წყლის ამოსაწური. ამიტომ მისი ეტიმოლოგია უცხადესია. იგივე ითქმის მასდარ 221. **წუ-წ**-ვა (< **წუ-წ**-უ-ა*), // 222. **წუწაობას**, მიმღეობა 223. გა-**წუ-წუ**-ლი-ს, მასდარ 224. წურ-ვა, მიმღეობა 225. გა-**წურ**-ულ-ის შესახებ; 226 **წურ-წურ**-ი, 227. **წურ-წურ-წურ-წურ**-ით = **„წ..წ** ხმიანობითა და წვეთ-წვეთ-ობით“; 228. **წო-წო-ქა** „გარკვეული სახეობის წვენია“. წყლისა და რძის აღმნიშვნელ, დუბლირებულ, **წო წო** ალომორფიდან; 229. წ-ვე-ნი-ს (<**წო-წო**-ქა-ს) მნიშვნელობამდე აღგზევებას წინ არა

დაუდგება რა. 230. **წუ-ნი** „რისამე ჩამონადენი წვეთები"-ს შემთხვევაში კი ამოსავალი არის **წუ** და **ნი.**

წა ალომორფის შედგენილობის მქონე სიტყვები

საწყისი ალომორფები უწყვეტად და უცხადესად დასტურდებიან შემდეგ ლექსემებში: 231. **წა**-კურთხია მეგრ. „წყლის კურთხევა"; 232. **წა**-კი // 233. **წა**-კა // 234. **წა**-თხი „მარილიანი წყალი ან შრატი". იქნებ წა-**თ-ხი**-ს **თ-ხი** სუფიქსი კი არა, არამედ ფრაგმენტია თხევადობის აღმნიშვნელ **თხი**-ერი, სი-**თხე სიტყვათა.** ანუ **წა-თხი** ერთგვაროვან მნიშვნელობათა: მარილიანი წყლისა და თხევადობის აღმნიშვნელ ძირებისაგან შედგება. ამას ვერ ვიტყოდით, რომ არ გვქონოდა ბილინგვა ტერმინი **ფურ-თხი** ზედმიწ. მგრ. **ფურ** „ცუდი" + ქართ. **თხი** – ფრაგმენტი სიტყვისა **თხი**-ერ-ი; მეგრ.235. ფურ-ტინ: **ფურ** „ცუდი + **ტინ**" (< **წირ*** „წყლის მნ-ის ალომორფი"; შდრ. 236. **წი-ტ**-ება < წი-**წ**-ება „ნერწყვის კბილებში გამოტარებით ფურთხება"; ასევე 237. წი-ტი < წი-**წი** იხ. (ქეგლ). ეს **წი-წ**-ება > **წი-ტ**-ება ახლოსაა ქართ. 238 **ზიზღი** და 239. **ზი-ზღ**-ებასთან: **ზიზღ < წიწყ*. აზრობრივად ამ სახელებთან, ასევე, ახლოსაა 240. წა**-ხდომა: **ანუ ცუდად იგივე საზიზღრად** გახდომა. მეგრულა **წახდა** არის 242 **წართ.** 243. **წა**-კულა-კი „ნაჭუჭებიდან ახლად გამონასკნული ხილია, რომელსაც კურკა არ გამაგრებია". **წა** აქ ხილში წყლის, სითხის შემცველობის მანიშნებელი, ხოლო **კულა-კი** და **კურ-კა** ერთი საერთო წინაფორმიდან არიან: **კურ-აკ-ი *> კურ-კა; კურა-კი* > კულა-კი** (რ > ლ იხ გვ.) 243 **წა-მალ-ი უდრის წა** „წყალი" + **მალი*** „მკურნალი" (შდრ. **მგმალე** „მრგებს", **მალე** „უხდება ჰრგებს". გ. როგავა). წყალი ქართვ. მითოლოგიაში უკვდავების სიმბოლოა, რაც სამკურნალო წყლებით მდიდარ საქართველოში ბუნებრივია და, ამიტომ, სახელდებაც ადეკვატურია.

244 **წა-ბლი** მიღებულია ორწილედი **წა + ბალი** სიტყვისაგან. **ეს წა-ბალი** დადასტურებულია ტოპონიმიკაში (გულირიფშის რნ.).: ტოპ. 245 **წე-ბელ-და** < // 246 **წა-ბალი** -დანაა. (**ა > ე** შდრ.: პანტა მსხალი > მეგრ. პანტე სხული; მეგრ. ფაშქინია > ფეშქინია „მსკდომარა, ბატიბუტი, წვრილმარცვლიანი სიმინდი, ბუშტარა (ა. ქობალია მეგრული ლექსიკონი);" შდრ: კუთხ. წაელო > რეგრესული ასიმილაციით წეელო; სიტყვათა მიჯნაზე რა ეძებნეს > რე ეძებნეს. ბესარიონ ჯორბენაძე ქ. დიალექტოლოგია); გვარები: 252. **წა-სი-**

ძე, 253. **ჭა**-ნია (< **წა**-ნია*), 254. **წი**-წა-ვა; **წა** ალომორფისაგან მიღებულია ჰიდრონიმები და ტოპონიმები: 255. **სინ-წა** „სინის წყალი“ ქ. ზუგდიდი (**სინ** შუმერულ-ასურული მთვარის ღვთაებაა); 256. **წა-ჩხურ-ა** „მდინარე, 257 **წა-ჩხურ-ი** სოფ. გეგეჭკორის რნ.“. **წა** „წყალი + **ჩხურ-ი** // **ჩხურ-ა** „ცივი“; 258. **წა-სირი** „სოფ.ჭიათურის რაიონი“: **წა** + 259 **სირ** „ძველქართული ჩიტი.“

ეტყობა **სირ** ძველმეგრულშიც (კოლხურში) ჩიტი იყო, რადგან გვაქვს ტოპ. **სარ-ა-ქონ-ი. სარ < სირ** „ჩიტი“; **ქონ < გორ** „გორაკი“ ამ გორაკს დღეს **ოჩიტოლი** „საჩიტე“ ქვია; 260 **წა**-ქვა. **წა** + ქვა „სოფ. ორჯონიკიძის რნ.“ 261 **წა-ღვერ-ი** „სოფ. ბორჯომის რნ.“, 262 **წა-ღვლ-ი** „სოფ. ხაშურის რნ“. ამ ორი ტოპონიმის **ღვერ და ღვლ** ნაწილები მიღებულია წყლის ღვარივით დინებიდან (**ღვერ < ღვარ, ღვლ < ღვირ***). თავად **ღვარ** // **1ღვირ*** კი – მეგრ. **ღვარ-ა** „ყვირილიდან“. შდრ. **ყვირ-ი-ლა** მდინარე იმერეთში. ეგრევე: 263 **წარ-ღვნა < წარ + ღვნ-ა: ღვნა კი უ > ვ გაბაგისმიერებით** (შდრ: მეგრ. ქუა > // ქვა) < ღუნ*-ა < ღორ-ა „მეგრ. ყვირილი“-დანაა. **ო > უ** შდრ. კუთხ. რატო არ – რატუ არ გ. ცოტანიძე; „ოთხმეტის ანალოგია თუთხ-მეტი; ხახაბო // ხახაბუ (თუშეთი);

ქართ. **წა-ლეკ-ვა წა-ლეკ-ილ-ი** მეგრელიზმია ქართულში, რადგანაც **წა** უკვე ვიცით, **ლეკი** კი მდი ნარის დანალექია ანუ შლამია: **წა** + **ლეკი** უდრის **წყალი** + **შლამი** ანუ უდრის „წყლის ნალექი“ **სხვა ალომორფები ჰიდრონიმიკაში და ტოპონიმიკაში წან** (< **წარ***)-ი-დანაა ეთნონ: 247 **წან-არ-ი**, 248. **ჭან-ი**, 249. **ზან-ი**; ტოპ. 250 **ზანა**, 251. **ზან-ა-ვი**; მდინარის პირად მდებარეობით განპირობებულ სოფლების სახელებში თითქმის ყველა წყლის მნ-ის ალომორფი დასტურდება. ესენია: 264. **წარ-ჩე წარ + ჩე** „მეგრ. თეთრი“ გალის რნ; 265. **წარ-ი-გვარ-თა** (გუდაუთა); **266. წარ-ი + გვარ** (< **გორ-(აკი)**) + **თა** მეგრ „ადგილი.“ **წარიგვართა** = „წყლისპირა გორაკიანი ადგილი;“ 267 **წარ-ი-ში** = „წყლისა“ ოჩამჩირე; 268. **წარ-ი-თა** ჯავა: **წარი** + **თა** მეგრ. „ადგილი“: წარითა = წყლისპირა ადგილი, წყლისპირა მიწა; 269. **წან-ა-ში** (ლენტეხი), 270. **წან-კა-ლა-ურ-ი** (შუახევი). **წან < წარ***; 271. **წალ-ას-ყური. წალ < წარ*** გარდაბანის რნ; 272. **წელ-ა-თი** შუახევის რნ. = წყლიანი ადგილი: წელ < წერ*; 273. **წიარ-ა** ცხინვალი; 374. **წილ-ამი-ერი. წილ < წირ*** ცაგერი; 275. **წილ-კა-ნი** მცხეთა; **წილ < წირ;** 276. **წერ-ე-თი** გორის რნ = წყლიანი ადგილი; 277. **წინ-წყარ-ო** თეთრი წყარო რ-ნი; 278 **წი-წა-მურ-ი** მცხეთა; 279. **წი-წა-მურ-ა** დუშეთი; 280. **წო-ბენი** (ისტ. გე-

ოგრ. პუნქტი. ალმ. საქ-ში, მდ. არაგვის ნაპირზე); **წო + ბენი** (ბენი < ბონი მეგრ. „სწორი"): იგივეა 281. **წუ-ბენი** სამხრეთ ოსეთში და 282. **ჭა-ბანი** სამტრედიაში. (**ჭა < წა***), რაც 167 **რი-ონ-ი > რუ ბონი და ასე-ვე** 283. **ყუ-ბანი < წყუ-ბონი** ეტიმოლოგიას იძლევა, რადგანაც ეტომოლოგიურად მეგრ. **ბონი „სწორი"** ესადაგება კავკასიის კლაკნილი მდინარეების იშვიათ სწორ მონაკვეთებს. ანუ **წო-ბენი, წუ-ბენი, ჭა-ბანი** (**< წა-ბონი* ო > ა შდრ: მეგრ.** ვა ოკო // ვააკო **„არ უნდა"; ო > ე შდრ: მოსხი > მესხი; რი-ონი** (**< რუ-ბონი***), **ყუ-ბანი** (**წყუ-ბონი***) – **ყველა უდრის სწორ მდინარეს;** 284. **წუნ-და** ისტორიული ქალაქი ჯავახეთში. **წუნ < წურ***; 285 **წყორ-ძა < წყორ-წა*** ახალციხე; 286 **წყოუ-ში** წალენჯიხა; 287. **წყრუ-თი** (**< წყურუ*** + **თი**) ახალციხე; 288. **წყურ-რგილი** ოჩამჩირე; **წყურ „ წყარო"** + მეგრ. **რგილი „ცივი;" 289. ჩხორო-წყუ** „ცხრა წყარო" და ა. შ.

ალომორფები ჭურჭლეულის სახელებში

წა-ფა „თიხის ჯამი" // 290 **წა-ფურ-ა** „იგივე დიდი თიხის ჯამი". პირველი მიღებულია მეორისაგან, რომელიც მეგრ. **წა** „წყალი" და **ფურ-ე** „ცხელი „ კომპონენტებისაგან შედგება (**ფა < ფურ-ა**); 291 **სა-წყა-ო** (**წყა < წყარ**); 292 **ნი-წან-ი** (**წან < წარ რ > ნ იხ გვ.**) „თიხის ჯამი ფშავ-ხევსურეთში" 293 **წურ-წუმ-ა** მეგრ."თუნგი". **წუმ < წურ;** 294 **ო-წუდ-ე** ლაზ.საჭურჭლე **წუდ < წურ;** 295 **ჭი-ჭლ-ა < წი-წლ-ა < წი-წალ-ა < წი-წარ-ა;** „საწყაო ძვ.ქართულში". 296 **ჭარი-კი** საწყაო – ნახევარი კოკა; 297 **ჭარ- ი-კა** ჩაფი, **ჭარ < წარ;** 302 **ჭურ-ი < წურ-ი;** 303 **ჭურ-ჭელ-ი < წურ-წერ-ი;** 304 **ჭურ-ია** მეგრ"ტბა"; 305 **ჭურ-ა** მეგრ."კვახი ერთგვარი: წყალს ცივად ინახავს". **ჭურ < წურ;** მეგრ. 306 **სენ-ი < წენ-ი < ნერ-ი „საინ-ი";**

წყლის პირას თუ წყალში ცხოვრებით გამოწვეული მოტივაციების სახელდებები

307 **წა-ულა** „ძვირფასბეწვიანი წყლის პირად მობინადრე ცხოველი:" **წა + ულა > „ს-ვლა"** მიანიშნებს ცხოველის წყლის პირად მოძრაობა-ბინადრობაზე. 308. **წა-ვი** „წყლის პირად ბინადარია". ამიტომ, დასაშვებია, ოდესღაც მასაც **წა-ულა** რქმეოდა და **ვი** ნაწილი ამ სახელისა იყოს – **ულა-ს** (**უა > ვი**)-ს შედეგი ან – **ურ** სუფიქსალური მონაცემი: **წა-ური > წა-ული* > წა-უი* > წა-ვი.** იგივე ითქმის მეგრ. 309 **წ-ვი-ნარი „წა-ვი-ს"** თაობაზე (**წ-ვი < წა-ვი**);

310. **ნან-წყარ-ა** „ბოლოქანქარა“ ბინადრობს წყლის პირას. **ნან-წყარ-ა** ორწილედი **-წარ** და **წყარ**-ისგან შემდგარი სახელია.

311. **წერ-ო** ჭაობის მიმომფრენი ფრინველი; 312. **წერ-ი** ქარიყლაპია; 313. **წებრ-ი** მეგრ. „ქარიყლაპ-ია“; 314 **ნბერ-ი** „ რაჭა-ლეჩხუმური „ჭაჭის გამოსაწური წნეხი“: ბოლო ოთხი: **წერ-ო, წერ-ი, წებრ-ი** და **ნბერ-ი** სახელი ამოსულია წყლის მნ-ის **წერ** ალომორფიდან: **წერ-ო** და **წერ-ი** მხოლოდ ბოლო ხმოვნებით განსხვავდებიან . მეგრ. **წებრ-ი** და რაჭა -ლეჩხ. **ნბერ-ი** მაგალითებია იმისა , ალომორფ-ის გართულების შემდეგ, თუ როგორ გადადის მადიფერენცირებელი **ბ** ბაგისმიერი ინფიქსში: **წერ** „წყლის მნიშვნელობის ალომორფი“ > // **წერ-ი** „ქარიყლაპია“ > **ბ-წერ-ი*** > // წე-**ბ**-რ-ი მეგრ. „ქარიყლაპია“. ეგრევე: **წერ-ი** წყლის მნ-ბის ალომორფი > **ბ-წერ-ი*** // ნ-**ბ**-ერ-ი რაჭა-ლეჩხ. „ჭაჭის გამოსაწური წნეხი“;

315. **ჭან-არ-ი** „თევზი კობრისებრთა ოჯახისა:“ **ჭან < ნან* < ნარ***; 316 **ჭა**-ფალა „თევზების გვარი:“ **ჭა < ნა***; 317.. **ტო-ბი** „თევზი ერთგვარი“; 318. **ტოფი** მეგრ. „ტობი“ **ტო < წო***; 319. **ტარ-ა-ნი** „თევზი კობრისებრთა ოჯახისა“. **ტარ < ნარ***;

ნიადაგში წყლის შემცველობით და მიწის ნაკვეთების წყლის პირას მდებარეობით განპირობებული სახელები

ნარ იძლევა ქართ. **წალ***-ა >. **ჭალ-ა** და // მეგრ. **ნალ***-ე > 319. **ჭალ-ეს**; როგორც ითქვა, მეგრ. **ნა, ნარ, // ნალ, // წყარ, // წყურ,** და ქართ. **წყალ, წყლის და მდინარის** აღმნიშვნელი ძირები არიან. ე. ი: **ნარ-ი** „წყალი, მდინარე“ > **ნარ-ი*** > **ჭალ-ა** „წყლისპირა მიწა“ სემანტიკური გარდაქმნებია მომხდარი: საინტერესოა, რომ **ჭალ-ას** სამეგრელო და გურიაში **მერე**-საც ეძახიან, იგი ინდოევროპულ ზღვის სახელებში პოულობს გამოძახილს (იხ. გვ. 305 - 306).

a) მეგრ. ნა წყალია. b) როხ-ი მიწის, დიდი და მკვრივი ნატეხი, ბელტია; c) ნა + როხ-ი სიტყვათა შეერთება იძლევა მნიშვნელობას – „წყლიანი მიწა“; d) ლაზ. ლეტა მიწაა; მეგრულად კი იგივე ლეტა – ტალახია, რომელიც წყალში აზელილი მიწაა. რაკი ოთხივე თეზა ჭეშმარიტია, თეზისი, ტალახი მიღებულია ნა + როხი-საგან სწორია, რაც არა მარტო ნა > ტა და რო > ლა-ცვლილების სამტკიცი, არამედ ნ > ტ, რ > ლ და ო > ა მიმართულების მაჩვენებელიცაა;

ლე-წა* > 320. **ლე-ტა** მეგრ. „ტალახი“ ლაზ. „მიწა“ აქ აზრობრივი გადასვლებია: **ლე** + **წა** „წყალი“ > **ლე-წა*** „წყლისპირა მიწა, სველი მიწა“ (წყლისპირა მიწა სველია. შდრ. 321. ლე-წე < ლე-წა მდინარისპირა მიკროტოპონიმი ჩხოროწყუს რ-ში: ა > შდრ: ჭალა > მეგრ ჭალე) > 322. **ლე-ტა** მეგრ. „ტალახი“ ლაზ. „მიწა“. ამდაგვარი აზრობრივი მიგრაციები სრულიად ბუნებრივია და მოსალოდნელი: ტალახიდან – მიწის და, პირიქით მნიშვნელობათა მონაცვლეობა დასაშვებია. ქართ. მიწა კი პრობლემატურია: როგორ მივიღეთ წყლის აღმნიშვნელ **წა**-დან მისივე ანტონიმური – მიწის მნიშვნელობა? ამის გაგებას აადვილებს **ჰ**-ის სამეტყველო უნარის განვითარების იმ პერიოდის გათვალისწინება, როცა განიცდიდა რა ლექსიკურ დეფიციტს, ცდილობდა შეევსო იგი ახალწარმოქმნილი ბგერებით გართულებული ალომორფებით. ამ დროს წარმოიქმნენ ბაგეთა მოშველიებით, ბაგისმიერები; ენისწვერის, ზურგის და ძირის ამოქმედებით კი, შესაბამისად: დენტალები, ლატერალები, უკანაენისმიერები: ზემოთ, ლაზ. 323. ლეტა „მიწა"-ს წარმოქმნის შემთხვევაში, კოლხ. **ლე** პრეფიქსის ფარდად, აქ გამოყენებულია **მ** ბაგისმიერი: 324. **მ** + **წა** > **მ-წა*** > **მაწა*** > **დის. მიწა. მ** სონანტის გაჩენა **ბ, დ, ძ, წ,** ც-ს წინ: ბალი > მბალი, დევი > მდევი, ძვირი > მძვირი, წევრი > მწევრი, ცხვარი > მცხვარი. ზუსტად ამგვარადვეა წარმოქმნილი 325. **ე-წერ**-ი. მისი მნიშვნელობები 1) „ისლოვან-გვიმროვანი-ტყე ველოვანი“ (საბა); 2)„მწირი უნაყოფო მიწა“ (ქეგლ.) პირობადებულია ამ მიწის წყალგაუმტარებლობით, რამაც მისი გადარეცხვა გამოიწვია. იგი სილრმეებში მშრალი, ზედაპირზე კი, პირიქით, დაჭაობებულია. ორივე ეს თვისება კი, უნდა ვიფიქროთ, გამოხატა წყლის მნიშვნელობის **წერ** ალომორფმა. აქაც, როგორც ზემოთ ტერმინ მიწის წარმოქმნის შემთხვევაში, ფონეტიკურ ცვლილებებს, ძირითადად, იწვევს **მ** ბაგისმიერი, რომლის დართვის შემდეგ **ე** ვოკალიზაცია განვითარდა: წერ + **მ** > **მწერ*** > მეწერ* > **ეწერ**. შემდგომ, **ეწერი**, გარდა ზემოთთქმული მნიშვნელობებისა, ნიადაგის ზოგადი სახელი გახდა.

მიწის ღვთაება – დემეტერ

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, აფხაზებს და ქართველებს მიწა გაღმერთებული ქონიათ. მის მიერ დასახელებულ: **გორის ანგელოზი, ადგილის დედა, ხმელთ მოურავი, მეგრ. ნერჩიშ პატონი, სვ. ლამზირ, აფხ. აჟაჰარა-ს** და ა. შ. მიწის ღვთაების ფუნქცია გააჩნდათ. როგორც ღვთაება, განსაკუთრებით, ხასგასმითაა აღნიშნული ტერმინი – **დედამიწა: „..ძველს დროს ქართველი თაყვანს სცემდა „დედამიწას" ვითარცა ღვთაებას... განთქმული მცირე აზიაში და ბერძენთა მიწის ღვთაება დემეტერ, რომელიც დემატერადაც იწოდებოდა... მეცნიერთა აზრით, დედამიწას უნდა ნიშნავდეს და ორწილედად მიაჩნიათ: დე // და და მეტერ // მატერ. უკანასკნელს ყველანი ბერძნულ დედად თვლიან... ქართულში და სხვა მონათესავე ენებში დე // და და მეტერ შეკვეცილი სახეა დედასი. მაშასადამე, დემეტერ ანუ დამატერ ან უნდა შედგებოდეს, თუ რომ მეორე ნაწილი ბერძნულია, ორი სიტყვისაგან: დე = დედა + მეტერ (ბერძ. დედა); და (= დედა + მატერ ბერძ. დედა) ან არა და, თუ რომ მეტერიც ბერძნული არ გამოდგა შეიძლება უდრიდეს მიწას-ო...“**

დიახ, ჯავახიშვილის ბოლო ვარაუდი – **„თუ რომ მეტერიც ბერძნული არ გამოდგა შეიძლება უდრიდეს მიწას-ო“**.. სწორია: **დედა-მიწა**-ს გააჩნდა ორეული –326. **დედა-მ-ეწერ***-ი, რომლის მეორე კომპონენტი (**მეწერი***), აქვე ზემოთქმული, **ეწერ** სიტყვის **მ** ბაგისმიერი მადიფერენცებელი ბგერით გართულების შედეგადაა მიღებული. 327 (**ეწერ + მ > მეწერ***). ხოლო **დედა-მეწერ* > // დედა -მეტერ* > // დე-მეტერ** სახელთა წარმოქმნა, ქართვ. ბგერათცვლილებების კანონზომიერებებით, წინააღმდეგობას არ შეიცავს (წ > ტ იხ. ზემოთ. ი > ე შდრ: ჯონირი > ჯონერი „დამყნობილი").

წყლის მოძრაობის თვისებებიდან თუ — მდგომარეობიდან წარმოქმნილი სახელები

აქედან იქით მიმართულების (და ა. შ. იხ. ქ.ე.გ.ლ.) აღმნიშვნელი ზმნისწინი **წა** ძვ. ქართ. ზმნის წინსართ – **წარ** წარმომავლობისად ითვლება. მათგან ასეულობით ქართ. ზმნა იწარმოება. წყლის ერთ ერთი მთავარი თვისება მოძრაობაა, ამიტომ, წყლის, მდინარის მნიშვნელობის მქონე ალომორფთა წარმოთქმა, ფაქტია, გამო

იწვევდა მდინარეების, მოძრაობის ასოციაციურ წარმოდგენებს. გარდა ამისა, განსხვავებით მყარი სხეულებისაგან, რომლებიც დაყრისას გროვებად ხვავდებიან, წყალი, თუ დამკვირვებელთან იღვრება, ყოველთვის გაედინება და იძლევა აქედან იქით მოძრაობის (გამდინარების) მოაზრების წარმოქმნის შესაძლებლობას. სწორედ ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას ვამტკიცოთ: ზმნისწინი 328. **წარ** > // **წა** გახლდათ წყლის, მდინარის მნ-ის ალომორფი **წარ***, რომლის წარმოთქმა წყლის მდინარების და გამდინარების წარმოდგენას იძლეოდა, ამიტომ იგი ქმედებად და ქმედების მიმართულებად გადააზრიანდა. ხოლო შემდგომ, გახდა რა ზმნისწინი, სხვა ფუნქციებიც შეიძინა. ამ მოსაზრებებს ადასტურებენ: მეგრ 329. **წიმ-ი** // ქართ. 330. **წინ** < **წირ***; „331. **წინ**-მავალი, 332 **წინ**-სვლა; მეგრ. // 333 **წიმ**-ი-ულა; 334. **წS**-მოკინა „**წა-წე**-ვა.“ და ა. შ. 335. **წარ**-ს-ულ-ი: **წარ** „წყალი + ს-ულ-ი.“ მეორე ნაწილი ამ სიტყვისა (ს-ულ-ი) გახლავთ მეგრ. **ულა** ზმნისაგან ქართ. **სვლა-ს** წარმომქმნელი წინაფორმა – **ს-ულა***: ულა + ს > ს-ულა* > ს-ვლ-ა;

არის ასეთი ქართ. ლოგოფრაზა: „მას შემდეგ ბევრმა **წყალმა** ჩაიარა“. წყლის ჩამდინარების დრო წარსულია. დღევანდელი მეგრულით – 336. ქართ. „წასული“ **წა** + (ს)-ული უდრის მეგრ. **წა** „წყალი + **ული** „ჩავლილი“ (რადგან **ული** ფრაგმენტია მეგრ. **ულირი** სიტყვისა მნიშვნელობით „ჩავლილი, წარსული“).“ ე. ი. ქართ. **წა**-ს-**ულ**-ი, ერთ დროს, მეგრულად, წყალჩავლილი ყოფილა; 239. ქართ. **წარ**-ს-**ულ**-იც იგივეა, ოღონდ აქ წყლის აღმნიშვნელად **წარ** ალომორფია, **წარ**-ს-**ულ**-იც მეგრულად გახლავთ – **ულ**-**რი**. ეს უკანასკნელი 337. **წარ-ული-რი*** (სიტყვასიტყვით **წყალ** ჩავლილი) წინაფორმის **წარ** ნაწილის მოკვეცითაა მიღებული. იგი წარმოადგენს კონკრეტულის აბსტრაქტიზაციის ნათელ მაგალითს; 338. **წარ-მავალი** „ხანმოკლე“: თუ ქართ **წა**-ს-**ული** და **წარ**-ს-**ული** კომპოზიტების ორივე ნაწილი მეგრულია, აქ მეორე – მეგრ. **ულა** ნაწილის ადგილზე ქართ. **მავალი** ჩნდება: ე. ი. აქაც წყლის ჩამდინარეებაა ხანმოკლეობის აზრობრივი ამოსავალი: მეგრ. **წარ**-ს-**ული** და ქართ. **წარ-მავალი** ურთიერთმასაბუთებელი ტერმინები არიან;

343. მეგრ. **წგ-მოძინა** // ქართ. **წარ + მატება > 344. წარმატებაა.** ტერმინი წყლის ადიდების, მატების მოაზრებასთანაა დაკავშირებული და, ნამდვილად, არაა მოკლებული გამომხატველობას. მისი

საპირისპიროა **წარ-უ-მატებ-ლობა**; 345 **მატება** გახლავთ განმსაზღვრელი კომპოზიტ **წარ-მატება-ს შინაარსისა**: მა-ტ-ება მიღებულია მა-წ-ება* წინაფორმიდან. **ტ < წ.** იგი მათემატიკური ტერმინია და ამდენად დიდმნიშვნელოვანია. სახელდების მისი თვალსაჩინო მოტივაცია კი მისსავე პირველქმნადობაზე მიგვანიშნებს. იგივე ითქმის ქართ. 346. **ტე**-ვა // 347 მეგრ. ნ-ტ-ია, // 387დო-ნ-ტ-ირ-ა და 349 ქართ. და-**ტ**-ევა-ას" შესახებ, რომელთა სახელდების საფუძველი, ადიდებისას, წყალსატევიში ან სხვა მოცულობაში დაუტევლობის აღქმითი კავშირებია; 350. მიმა-**ტ**-ება, მა-**ტ**-ება, ტერმინთა მეგრ. შესატყვისები, შესაბამისად – 351. მე-**ძ**-ინა, 352. მო-**ძ**-ინა (**ძ < წ***) და 353. **ძ**-ინა „მატება" გვავარაუდებინებს, წინათ, ქართულშიც მეგრ. **ძ**-ინას ფარდ – 354 **ტ**-ება*ს არსებობას; 355 მეგრ. გო-**ძ**-ინა არ ითარგმნის (ქართულში შესატყვისი არ გააჩნია), ნიშნავს მოცულობაში ყველა პარამეტრით მატებას. ასეთი, მეგრ. ზმნის-წინთა გამოყენებით მიღებული, ზმნური ფორმები, მეგრულში, მრავალრიცხოვანია; **მატების** ანტონიმია 356. შემ**ცირება**. ძირია **ცირ**, ამოსავლი-დან **წირ***, რადგან ობიექტში (რომლის ან რომლი-დანაც) 357. მეგრ. **წირ**-უა // 358 „**წურ**-ვა" ხდება, მასში წყლის (სითხის) მასა კლებულობს, უკანასკნელ აზრს ადასტურებენ ტერმინები: ქართ. 358 **წრ**-ეტა (< **წერ**-ეტა*); მეგრ. 369. **წირ**-ადილი // 360. „გამო-**წურ**-ული"; 361გამო**წრ**ეტილი. იგივეა 362. მეგრ. **წირი**-ლი; 363. **წგრ**-დე // 364. **წირ**-დე „მშრალი, ხმელეთი",365. **წგრ**-დაფა // 366. **წირ**-დაფა „მშრალზე დაუსველებლად სიარული" და ა. შ. ქართ. 367 მ-**წირ**-ი პირდაპირ დასტურია ჩვენი მსჯელობის სისწორისა: მ-**წირ**-ი-მოსავალი = მცირე მოსავალი: მ-**წირ**-ი მიწა = „უნაყოფო, მცირე მოსავლიანი" მიწა, იგივე 268. ე-**წერ**-ი; სიმ**ცირის** გაგებიდანაა **მწირის** სხვა მნიშვნელობებიც: **„უქონელი, უთვისტომო"** და, თქვენ წარმოიდგინეთ, ძვ. ქართ. **მორჩილი** „მონასტრის მსახურიც", რადგან, ჯერ ერთი ,ეს მსახური, უდაოა, **უქონელი** იყო და, მეორე, მორჩილი მეგრულად მ**ცირეა**, ხოლო ქართ. ფიგურალურ მეტყველებაში კი – მომ**ცრო**. მაშასადამე, ქართ. მათემატიკური ტერმინები: მ-**ცირ**-ე და მა-**ტ**-ება, შესაბამისად, წყლის (მდინარის) კლება-ადიდებასთან უშუალო კავშირში არიან და მათმა აზრობრივმა ამოსავლიანობამ ობიექტურიდან – აბსტრაქტულში არამარტო ამ ტერმინთა, არამედ მათემატიკის , როგორც, მეცნიერების ამოსავლიანობაზე უნდა დაგვაფიქროს; სიმცირის აღ-

მნიშვნელი ტერმინები სხვა ალომორფებიდანაც მიიღებიან; **ნი**-დან: 369. **ნი-პუკა** „ძალიან პატარა"; 370. **ნი-პრანა** „ჭივჭავი"; 371. **ნი-პ-წა** „ყურძნის თესლი." ჭივჭავი და ყურძნის თესლი, რა თქმა უნდა, ძალიან პატარაა. იგივეა 372. **ნრ-იპა**. იხ. ქ.ე.გ.ლ. სადიფერენციო ბაგისმიერის მოშველიებით მიიღებიან შემდეგი ფორმები: **პ + წა > პწა >** 373. **პა-წა,** იგივე – 374. **პა-ნი-ა,** 375. **პა-წა-ნი-ნა,** 376 **პა-წა-წკინ-ტელა** და ა. შ. ბავშვებს ხშირად მიმართავენ მოფერებითი სიტყვებით : **პა-წა, პა-წია,** ამიტომ, როცა **წ** შეიცვლება **ტ** ბგერად, რაც ჩვენ უკვე დავაფიქსირეთ და ენათმეცნიერებაში დადასტურებულია, პა-**წა** გვაძლევს 377 პა-**ტას** და შემდეგ – 378 პა-**ტა**რას. მაშასადამე, ბავშვის მოფერებითმა სახელმა **პაწამ** მოგვცა პირსახელები ქართ. 379 **პატა** // 380 **პაატა** და მეგრ. 381 **ბატა**. მართლაც, ჯერ-ერთი, მოფერებითი სახელი ბავშვობისა მთელი ცხოვრების მანძილზე შერჩება ხოლმე ადამიანს, ხოლო, მეორე – მეგრ. **ბატა**, გარდა იმისა, რომ სახელია, მოფერებითი სიტყვაცაა: უდრის „გეთაყვა"ს. რაკი გვაქვს ქართ. **პაწა, პაწია,** 382 **პაჭა,** 383 **პაჭა-პუჭა;** მეგრ. 383. **ჭე** „მცირე, უმნიშვნელო" 384 **ჭი-ჭე** // ლაზ. 385 **ჭუტა** „პატარა; (აქედან თვალების მოჭუტვა ანუ თვალების დაპატარავება მ. ბასარია). სრულიად ლოგიკურია, წარსულში **ნი-ნე, წუ-წა** ალომორფების და სხვა ამდაგვარი მოფერებითი **წ** ბგერის ორმარცვლიანი სახელების არსებობა, რომლებმაც მოგვცეს შემდეგი მეგრ. გვარ-სახელები: **წი-წი*** > 386 **ჭი-ჭი** (ქალის სახელი) // 587 **ჭი-ჭი**-კო (მამაკაცის სახელი), 388 **ჭუ-ტა** (ქალის სახელი); გვარი–389. **ჭა-ჭია;** 390. **ტა-ტა.** იგი პირსახელია, მაგრამ აგრეთვე ძირია საბავშვო მოფერებითი სიტყვისა 390 **ტა-ტა-ლი,** „ტურფა, მშვენიერი." იგივეა 391 **ტა-ტა-ჩი** (< **ტა-ტა-**ში). იგი– მამაკაცის, ხოლო 392 **ტა-ტი** ქალის სახელია. ამ უკანასკნელიდანაა გვარი 393 **ტატი-შვილი;** 394. **ტუ-ტუ** მამაკაცის სახელია, 395. **ტუ-ტუ-ლია** კი მეგრ. საბავშვო მოფერებითი სიტყვაა; მეგრ. ხშირია ასეთი სახელები: 396. **ტი-ტო,** 397 **ტო-ტო,** 398. **ტი-ტე,** 399. **ტა-ტუ,** 400. **ტი-ტუ** და ა. შ. რომელთა **ტ** ბგერის ადგილზე წინათ, უდაოდ, **წ** იყო.

ტერმინთა სისტემების: **ა)** მეგრ. 401 **გო-ტ-ება** „გა-შ-ვება, ა-შვება"; ძვ. ქართ. 402 **აღ-ტ-ე-ვ-ება** „აშვება", 403 **გან-ტ-ე-ვ-ება** „გაშვება"; მეგრ. 404 **რ-ტ-ება** „გაქცევა"; ქართ. 405 **ლ-ტ-ოლვა,** 406 **ტ-ოლვილი (ტ < წ*)** და ა. შ. აზრობრივი ამოსავალი, დასაშვებია,

იყოს ადიდებული (დაგუბებული) წყლის **გამდინარება (გაშვება),** ხოლო: **b)** მეგრ. 407 **თ**-ება // ქართ. 408. გა-**თ**-ავება (**თ** < **ტ** < **წ***); მეგრ. 409. დო-**ტ**-ება//ქართ. 410. და-**ტ**-ოვება, მეგრ. 411 ა-**ტ**-ება „შერჩენა" // ქართ. შე-**ტ**-ოვება; მეგრ. მე-**ტ**-ება // ქართ. მი-**ტ**-ოვება და ა. შ. ტერმინების კი, პირიქით: გვალვისა თუ სხვა მიზეზთა გამო, მდინარეთა მდინარების ან წვიმიანობის **შეწყვეტა; c)** ამ უკანასკნელ შინაარსთან ახლოს არიან ტერმინები: ქართ. 412. **წყ**-ვ-ეტა, 413 შე-**წყ**-ვ-ეტა, 414 მო-**წყ**-ვ-ეტა, 415 გადა-**წყ**-ვ-ეტა, 416 წა-**წყ**-ვ-ეტა და ა. შ. ასევე მეგრ. 417. **ჭყ**-ვ-ად-უა // 418 მე-**ჭყ**-ვ-ადუა „შეწყვეტა"; 419 გინო-**ჭყ**-ვ-ად-უა 420. „გადა-**წყ**-ვეტა"; მო-**ჭყ**-ვ-ად-უა „მოწყვეტა" (ქართ **წყ** > მეგრ. **ჭყ**) და ა. შ., ოლონდ ისინი წყლის მნ-ის **წყ** ბგერათკომპლექსიდან არიან, რითაც ქმნიან პარალელს **b)** ჯგუფის **თ** // **ტ** (< **წ***) ძირიანებთან; **d)** ნიშანდობლივი გარემოებაა ისიც, რომ, ზემოთდასახელებულ, **b)** ჯგუფის სიტყვების **ტ** // **თ** ძირის ფარდად მათ ანტონიმურ და **a)** ჯგუფთან შინაარსით დაახლოებულ – 421. წამო-**წყ**-ება, 422. და-**წყ**-ება // 423. მეგრ წS-მო-**ჭყ**-აფა, 424 დო-**ჭყ**-აფა და 425. გო-**ჭყ**-აფა („ფართოდ ახლის დამკვიდრება". ქართ. შესატყვისი არ გააჩნია) და ა. შ. ტერმინებში, ენათმეცნიერებაში წყლის ძირად მიჩნეული, **წყ*** (> **ჭყ**) ბკ. გაგვაჩნია, ხოლო, საბოლოო ჯამში, ამდაგვარი პარელელები ყველა ამ ჯგუფების წყალთან კავშირს ცხადყოფს.

რაც შეეხება **a), d)** ჯგუფების ტერმინთა აზრობრივ ამოსავლად ადიდებული წყლის – **გამდინა-რების (გაშვების),** ხოლო **b)** და **c)** ჯგუფთა კი წვიმიანობისა და მდინარეთა მდინარებ-ის **შემცირება შეწყვეტის** დასახვას, ამ ოთხი ფ. ს. ჯგუფის ურთიერთმადასტურებლად გვერდი-გვერდ (ლატერალურად) დგომა (პარალელიზმი) ეჭვის შეტანის საშუალებას არ იძლევა.

e) თუმცა სახეზეა კიდევ მე-5, ასევე წყლის მნიშვნელობით განპირობებული, ფ. ს. ჯგუფი, ოლონდ სულ სხვა – **შ** ხმაბაძვითი ბგერიდან: ესენია: 426 გა-**შ**-ვ-ება (< 427გა-**შ**-უ-ება), 428. ა-**შ**-ვ-ება (< ა-**შ**-უ-ება), მეგრ. 429 **ჩქ**-უ-მალა // < **შქ**-უ-მალა (მომხდარია **ჩქ** < **შქ** აფრიკატიზაცია) „გაშვება, გაგზავნა"; 430. ე-**შქ**-უ-მალა „აშვება." დასახელებულ ქართ. მეგრ. სიტყვათა ძირები კანონზომიერ – **შ** : **შქ** ბგერათ-შესატყვისობებს აღადგენენ. **შგ** ერთმარცვლიანი სიტყვა კი, როგორც უკვე ითქვა, მეგრ. დღესაც წყალს აღნიშნავს,

ხოლო ამის გათვალისწინება მსგავსი შინაარსის **ტ** და **წყ** (> **ჭყ**) ძირიანთა, (**a** და **d**. ჯგუფის სიტყვათა) კვლავ წყალთან კავშირზე მიუთითებს. ასეთი ბი, ტრი და ა. შ. ლატერალური, ურთიერთ-მასაბუთებელი, ჯგუფების წარმოჩენა თავისებური მეთოდია ჩვენი თეორიის მტკიცებით ნაწილში.

წალ ალომორფიდან არიან სიტყვები: 431. **წალ-ი-კი**, 432. **წალ-ი-კ**, 433. **წალ-ი-კ-წალ-ი-კ-ად**, 434. და- **წალ-ი-კ-ებით** „ერთიმეორის მიყოლებით მწკრივად მიმავალი ფრინველი ან სხვა რამე“; **წალ** ალომორფი, გარდა აქვეთქმულისა, დასტურდება – 435. **წალ-ვა**, // 436. მო-**წალ-ვა** // მეგრ. 437 ნ-**წალ-უა** // 438. მო-ნ-**წალ-უა** „მოფუფქვა, მცირედ მოხარშვა“; 439 მო-**წალ-ეს** // 440 მო-ნ-**წალ-ეს** „მცირედ მოხარშეს“; 441 მო-**წალ-ული** // მეგრ. 442. მო-ნ-**წალ-ირი** და ა. შ. უამრავი ზმნური ფორმების სახით. აგრეთვე, რაკი მეგრ. **წარი** > // **წალი** მოფერებით დღესაც წყალია, არ შევცდებით თუ მნიშვნელობით ამოსავლად **და-წალ-იკების** გამომხატველ ტერმინებისა ციდან თუ სხვა ობიექტებიდან წყლის წვეთების **თანმიმდევრობით, ერთმანეთის მიყოლებით** ვარდნას დავსახავთ. **კი** // **კ** ნაწილი ამ სიტყვებისა გახლავთ ოდინდელი, ამჟამად უკვე ძირს შეზრდილი, სუფიქსი. და-**წალ-იკ-ება**, რა თქმა უნდა, გარკვეულწილად, განცალკევების მოაზრებასაც მოიცავს. ამიტომ, აქედანვეა: 443 **ცალ-ი**, 444 **ცალ-ცალ-ი** // **მეგრ.** 445 **ცალ-ცალ-ო** „თითო-თითოდ“ (**ც** < **ნ***) და შესაძლებელია, ისეთი დაშორებული შინაარსის ტერმინიც კი როგორიც – 446 მო-**ცალ-ე-ობაა**, რომლის ამოსავალი შეიძლება ყოფილიყო **ცალ**-ად ყოფნის 447. გან-**ცალ-კე-ვ-ების** მოაზრებ-ები. ასეთი დაშვების მართებულობაზე მეტყველებს ქართ. 448. მა-**ცალ-ე** // მეგრ. 449. ქმა-**ცალ-ი** „მომითმინე, დრო მომეცი, ხელს ნუ მიშლი,“ რომელიც, გარდა ამ აღნიშნული მნიშვნელობებისა, გან-**ცალ-კე-ვ-ებ-ასაც** გულისხმობს. **ცალ (< წალ* < წარ*): მეგრ. წარ-ი კი, მოფერებით წყალია.**

წ ბგერის მეგრ. **წორ** ალომორფი **წყვილის** აღმნიშვნელია. **წყვილი ცალის** საპირისპირო მცნებაა, მაგრამ პირველი არ არსებობს მეორეს გარეშე. ეს ერთი, მეორეც: ანტონიმური ცნებების ერთი საერთო საწყისიდან მომდინარეობა ხშირი მოვლენაა. ამიტომ, მეგრ. 450. **წორ-ო** წყვილად; // 451 **წორ-წორ-ი** // წყვილ-წყვილი 452. **წორ-წორ-ო** // 453 **წორ-ო-წორ-ო** „წყვილწყვილად“ სიტყვებ- ში, **წორ** ალომორფი უცვლელადაა შენარჩუნებული. მ. ე, **წარ**

>// ცალ-ი და **წორო, // წორ-წორ-ო** „წყვილად, წყვილ-წყვილად“ გახლავთ ურთიერთმადასტურებელი ბილატერალური სისტემა.

ეგ ორი სისტემა მესამის აღმოჩენისკენ გვიბიძგებს: ქართ. 455 **წყ-ვ-ილ-ი**, 456. **წყ-ვ-ილ-წყ-ვ-ილ-ი** // მეგრ. 457. **წყ-ვ-ილ-ო წყ-ვ-ილ-ო**, სავსებით შესაძლებელია, იყოს **წ** ბგერის **წყორ** ალომორფიდან **ო > ვი და რ > ლ**, ენათმეცნიერებაში დადასტურებული, მოვლენების შემდეგ: ვინ იფიქრებდა, ჩამოთვლილი ისეთი აბსტრაქტული სიტყვების როგორიც **ცალ-ი წყ-ვ-ილ-ი** და **წყ-ვ-ეტაა** ან **და-წალ-ი**-კ-ების, მით უფრო, მატებას ან შემცირებას და ა. შ. წყალთან რამენაირი მსგავსება ექნებოდა, მაგრამ როგორც კი წარმოვიდგენთ, ერთეული, წყვილი და ა. შ. წვეთების ხეთა ტოტებიდან, ფოთლებიდან და ა. შ. წყვეტა და თანმიმდევრულ ვარდნას ან თვისება წყლისა **დაგუბდეს, ადიდდეს მერე კი იკლოს,** ეს შეხედულება პირუკუ შეიცვლება: დასახელებული თვისებები წყლისა პირდაპირ სარკესავითაა ასახული ა ამ სიტყვებში. ასეთი თვალსაჩინოებით გამორჩეული თვისებები ხიდია ერთი სემანტიკური ველიდან მეორეზე გადასასვლელად. რამდენადაც თვალსაჩინოა თვისება იმდენადვე მოსალოდნელი და სარწმუნოა გადასვლა მაგ: ერთეული წვეთების ვარდნის აღქმა ან ამ აღქმის განახლება (წარმოდგენა) თუ იწვევს მიხვედრილობას დაწალიკებისა, განცალკევებისა, შესაბამისად, წყვილი წვეთების ან მრავალწყვილა წვეთების იგივე პროცესი იძლევა დაწყვილების გაგებას და ა. შ. ყველაფერი ეს იწვევდა აზროვნების განვითარებას, რისი შედეგიც პრაქტიკაშიც ვლინდებოდა. კერძოდ: ცნობილია, რომ წყლისა და მზის მოძრაობებს კაცობრიობა ოდითგანვე დროის საზომად იყენებდა. ვლ. ალფენიძის მიხედვით, მეგრ. // ქართ. **ჟამი** მიღებულია მეგრ. **ბ-ჟამი** „მზიანი“-დან და წარმოიქმნა იმ დროს, როცა კაცობრიობამ ამ მზის საათით სარგებლობა დაიწყო. ეს სრულიად გამჭირვალე ეტიმოლოგია (რესპ. აღმოჩენა) დიდმნიშვნელოვანია, რადგან მზის მოძრაობის დროის საზომად გამომყენებელთა პრიორიტეტზე თუ არა თავისთავადობაზე მაინც მიუთითებს.

რაც შეეხება დროის საზომად წყლის გამოყენებას, ქართველურ პრიორიტეტს არაერთი, არამედ წყლის მნიშვნელობის ალომორფებიდან ამოსული უამრავი ტერმინი ამტკიცებს. ესენია: მეგრ. 458 წგ // 459 წელს; ქართ. 460. **წუ-თი** // მეგრ. 461 **წუ-ნი** (< **წუ-რი***); ქართ. 462 **წამ-ი** (< **წარ-ი***) // მეგრ. 463 **წა-წამ-ი** „წამი“

(წამ < წარ*); ქართ. 464 წელ-ი (< წერ*-ი) // 465. წელ-ი-წა-დი // მეგრ. 466 წან-ა (< წარ*-ა) // 467 წან-მო-წან-ა; 468 წგ // 469 წი „წელს"; 470 წან-ას „მომავალ წელს", 471 გე-წან-ა (მომავალი წლის შემდგომი წელი); 472 გო-წ-ოს „შარშან" 473 გო-წ-ოხ „შარშანწინ"; ქართ. 474 **აწ** „ახლა" (**აწ** // < წა), 475 უ-წინ, 476 **წინ**-და-წინ, 477 უ-წინ-დელ, 478 უ-წინ-დე-ბუ-რი (წინ < წირ*) და ა. შ.

ქართველურ მთვარის სახელის – **ძვ. ქართ. თთუე** // მეგრ. **თუ-თა** და კალენდარული **თვის** – **თვე** // მეგრ. **თუთა** სახელთა იგივეობაც, დროის ამ კალენდარული მონაკვეთის დასადგენად, მთვარის მოძრაობის (ციკლის) გამოყენებით არის გამოწვეული. ამდაგვარი ტრადიცია ბევრ ენაშია, მაგრამ საწყისი იქ უნდა ვეძიოთ სადაც, აქვე ზემოთხსენებული, სხვა საწყისებია, ანუ გიორგიულში.

გეომეტრიული ტერმინები

ხმელეთზე მცხოვრებისთვის ზღვა იწყება ზღუდით, რომლის იქით უსასრულო შთამბეჭდავი და ხმაურიანი რეალობაა. სწორედ ეს რეალიები განაპირობებს სახელდებებს: თავად ზღვა მისსავე ხმაურს მისადაგებული **ზ + ღ** ხმაბაძვითი კომბინაციისგან: **ზღ + უა > ზღუა** (ს. ს. ო. ლ. ქ.) >// **ზღვა.** ზღვის ნაპირების (ხმელეთისა და ზღვის ზღურბლ-ის), შორს ცისა და ზღვის შესაყარის კიდედ, ზღურბლად აღქმების საფუძველზე: **ზღვარ** და მისი ფორმები (იხ. სსო. ლქ გვ. 291): **ზღვა**-რი, სა-**ზღ**-ვარი, **ზღუდ**-ე, მო-**ზღუდ**-ულ-ი, მო-**ზღუდ**-ვა და ა. შ. ზმნური ფორმები; **ზღუ**-რ-ბლი; ზღვის უსასრულობით და იდუმალებით გამოწვეული განცდებისაგან: უ-სა**ზღვრ**-ოება, გან-უ-სა**ზღვრ**-ელობა, გან-სა**ზღვრ**-ა და ა. შ. მაგრამ, ერთ დროს, ზღვას ქონდა სხვა სახელიც: მეგრ. **ნარი // წარე,** წინაფორმა ქართ. **მწარი // წარე-სი (იხ. გვ. 298),** რასაც ადასტურებს კიდევ ერთი გეომეტრიული ტერმინი 479 **წრე (< წერ-ე*): სახელდების მოტივაციაა თვალსაჩინოებით მკაფიოდ გამორჩეული ზღვის სიმრგვალე.**

ნიკო მარრიმ გურ. 480. წირეხი „ვაზის გრეხილი თოკი;" სომხ. 481. **Tir ტირ** „წრე" ქართ. **წრე;** ბასკ. 482. **Seru სერუ** „ცა" ერთმანეთს დაუკავშირა. იხ. „ბასკები და ქართველები" შ. ძიძიგური. გვ. 144. მნიშვნელობითი განპირობებულობა **წრე > ცა** გსაგებია მარა

არცთუ უსაფუძვლო იქნებოდა წრეს მნიშვნელობით თავსაწყისად **წა // წა-რი** „წყალი*გვევარაუდა, რადგან **წარ** ოდესღაც ზღვის წყლის ცნებასაც მოიცავდა (იხ გვ 298)".

ნ. მარის მიერ ერთმანეთს შედარებული – ქართ. **წრე**, სომხ. **ტირ** „წრე," გურ. **წი-რეხ-ი**, ქართ. **ცა**, ბასკ. **სერუ** „ცა" ტერმინებიდან ნებისმიერის აზრობრივი ამოსავალი შეიძლება ყოფილიყო აქ დასახელებული სხვა ნებისმიერი. რაც შეეხება ფორმობრივ ცვლილებებს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ფონეტიკური ცვლილებებით არცერთი ქართვ. ბგერა **წ** ბგერას არ იძლევა. ამიტომ, თუ არა ბგერათმონაცვლეობით, ბასკ. **სერუ** და სომხ. **ტირ**-იდან ქართ. **წრეს** ვერანაირად მივიღებდით. მ. ე. უნდა ვიგულისხმოთ პირუკუ პროცესი **წრე** ან **წი-რეხი** – დან: **წი-რეხი** „გრეხილი ვაზის 483. **ნკნ**-ელი // **ნნ**-ელი (წკ კომპლექსის გამარტივების – **კ**-ს ამოვარდნის მაგალითი: **ნნ;* ნკნ *< წკენ* < წყენ*)** შესატყვისია მეგრ. „ობიექტიდან გრეხით სითხის გამოდევნის" აღმნიშვნელი **წი-როხ**-ი-სა, რომელიც // 484. **წი-ლოხ**-ი // 485 **წი-ლოხ**-უა და // 486. **წი-როხ**-უა ფორმითაც გვხვდება. **წი** ამ სიტყვებში სითხის აღმნიშვნელია, ხოლო მეორე ნაწილები: **როხ**-ი // **ლოხ**-ი და **როხ**-უა // > **ლოხ**-უა უწყლო ობიექტის გრეხის აღმნიშვნელ მეგრ. **გი-როხ-ი // გი-როხ**-უას **გი** მოცილებული ფრაგმენტია: მეგრული განარჩევს მშრალი – **(გიროხუა)** და ნედლი მასალის **(წილოხუა)** გრეხას. ამგვარად, ამ ორწილედ **წი-რეხ**-ს სომხ. **ტირ // „წრე"**-ს ამოსავლად თუ დავსახავთ, მაშინ პირველ ნაწილ **წი**-ს, ისევ წყალთან მივყავართ, მეორე კი – გრეხის ფრაგმენტი **რეხ**-ი **წრეს** აზრობრივად კი უდგება, მარა არის **ხ** ბგერის პრობლემა. ამიტომ, უფრო დამაჯერებელი გახლავთ ამდაგვარი რამ: აერონავტიკა-ში ცნობილია: ოკეანის ზემოთ ხანგრძლივი ფრენისას მფრინავებს **ზღვა** და **ცა** ერთ-მანეთში ერევათ, რაც ხშირად ავიაკატასტროფების მიზეზი გამხდარა. პლიუს ამას: **ზღვა და ცა,** ვიზუალური აღქმების ერთიანობაში, იძლევიან სიმრგვალის აბსტრაქციებს, ამიტომ, **წა > ცა ცვლილება ზუსტია; ასევე** თუ ვირწმუნებთ, ზემო თავებში აღწერილ, **წარ-ი >// წარ**-ე „ზღვის წყალი"და ა, შ. სახელდებების ჭეშმარიტებას, ყველაფერი დალაგდება: **წერ*-უ > სერ**-უ ბასკ. „ცა;" ქართ. **წრე** (< **წერ***-ე) // სომხ. **ტირ (< წირ*). ანუ აბსტრ. სახელები: ქართ. წრე //სომხ. ტირ; მეგრ.**

ქართ. ცა // ბასკ. სერუ „ცა“ წყლის ალომორფთა დამსახურებაა. **წრეს** წარმომავლობის დადგენის შემდეგ, განვიხილოთ სის**წორეს**-თან დაკავშირებულ სახელთა ამოსავლიანობა.

სწორი და // ბონი

ტერმინ **487. ს-წორ-ი-ში ს** ფონეტიკური დანართია. **წორ-ი** კი წყლის ჩვენთვის ცნობილი ალომორფია. **წორ** „წყლის მნიშვნელობის ალომორფი“ იძლევა მეგრ. 425 **წორ***-უა // > 488. **ჭორ-უა** „რისამე სითხით გაჟღენთვის“ აღმნიშვნელ ზმნებს. აქედანვეა: 489.. **ჭორ-ოფა** (< **წორ** „წყალი“ + **ღოფა // „ ყოფა“ > წორ-ღოფა***) „წვიმიანი პერიოდი დროისა“. მაგ: წვიმიანი თვე // **ჭოროფა** თუთა; წვიმიანი წელიწადი // **ჭოროფა** წანა. ამ უკანასკნელის ანტონიმია გოლოფა თუთა, წანა „გვალვიანი თვე, წელიწადი“.

ცნება სისწორისა და ტ. ს-**წორი** წყალთანაა კავშირში:. წყალი, ზიარჭურჭლის კანონის თანახმად, მუდამ იკავებს იდეალურ ჰორიზონტალურ მდებარეობას. ეს უმნიშვნელოვანესი თვისება წყლისა მშენებლობაში, სისწორის დაცვის მიზნით, ძველთაგანვე გამოიყენებოდა. მაგ: ეგვიპტეში, ჩვენს ერამდე, პირამიდების ფუძის იდეალურ სისწორემდე მოსაყვანად. ასევე პეტროგრადში, წყლის მეშვეობით, ისააკის საკრებულოს (ისაკოვსკი სობორის) იატაკის ზედაპირის სისწორე, თარაზულ სიბრტყეში, იდეალურადაა მოყვანილი. შდრ: ლათ **Aqva** აქვა „წყალი;“ **Liqvor** ლიქვორ „სითხე“ და **Aeqvor** ექვორ „სწორი ზედაპირი.“ დასახელებულ ნიშანდობლივ თავისებურებას წყლისა ადამიანი აღიქვამდა მდინარეთა **ფონ მონაკვეთებში**, სადაც ჩქარი მდინარები ფართოვდებიან და წყლის ზედაპირი სწორდება. ასევ მცირე წყალსატევებში, ტბებისა და ზღვების ზედაპირების სახით (მშვიდ ამინდებში), რასაც, შეუძლებელია, მასში არ გამოეწვია სისწორის მოაზრებები. ე. ი. განხორციელდა **წორ***-ი „წყლის სწორი ზედაპირი“ **+ ს > „ს-წორი, სის-წორის**“ ცნებების განმაპირობებელი ფსიქოაქტები. ასე წარმოიქმნენ ტერმინები: **ს-წორ-ი, ს-წორ-ება**, 490. გა-**ს-წორ-ება**, 491 შე-**ს-წორ-ება**, 492გა-მო-ა-**ს-წორ-ა**, 493 გა-და-ა-ა-**ს-წორ-ა** და ა. შ. მრავალრიცხოვანი ზმნური ფორმები. ქართ. თხუთმეტი ზმნისწინით გამოყენებით წარმოებულ ამ ფორმებს თუ დაუმატებთ მეგრ.

ასამდე ზმნისწინით (493. **ქალა-ს-წორ** „ჩაასწორა ქვედა მიმართულებით და გვერდზე"; 495 **გეითა-ს-წორ** „გაასწორა ქვედა მხარე"; 496 **გელა-ს-წორ** „შეაასწორა გვერდები" და ა. შ.) მიღებულ სიტყვებს, მაშინ ამ ზმნური ფორმების რიცხვი, წარმოუდგენლად, მეტი გახდება. გარდა ამისა, ცნება **ს-წორ**-ის წარმოქმნის შემდეგ თავად იგი ხდება რიგი ტერმინების დედამშობელი. მაგ. ქართ. დღეის 497 **ს-წორ-ს** = მომავალი კვირის დღევანდელ დღეს. იგივეა მეგრ. ამდღარ 498 **წორ-ც**, რომელმაც შემდეგ კვირის მნიშვნელობა მიიღო (**მეგრ. წორ-ი** = ერთი კვირა);

უძველესი და უმარტივესი 499. **სა-ს-წორ**-ის ტოლმხარა მხრეულის და მათზე ჩამოკიდებული თეფშების წონათა **გაწონასწორება** ანუ მათი **სი-ს-წორ**-ეა სახელდების განმაპირობებელი ტერმინებისა: **სა-ს-წორ-ი**, 500. **წონ-ა-ს-წორ-ი**, 501 **გა-წონ-ა-ს-წორ-ება**, 502 **წონ-ა-ს-წორ-ობა**, 503. **წონ-ა**, 504. **ა-წონ-ვა** //< **წონ-უა** (**წონ < წორ***); 505 **ა-წონ-და-წონ-ვა** // მეგრ. 506. **ე-წონ-დო-წონ-უა**, 507.**აი-წონ-დაი-წონ-ა** (თამაშია ასეთი). ამათ სუყველას გააჩნიათ სხვა აბსტრაქტული მნიშვნელობებიც: სულ სხვაა წონა (**მასა**) **საგნისა, გაწონასწორება წონაში, მოცულობაში, აწონდაწონვა** სიმძიმისა და, ვთქვათ: **სიტყვის წონა, გაწონასწორებული ხასიათი, აწონდაწონილი საქმე** და ა. შ.

უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი, უკვე არსებულის გავლენითა და გარდაქმნით, ახალ წარმოდგენათა გაჩენის უსასრულო პერიპეტიებში სიტყვათხზვისა გახლავთ არა აბსოლუტური სიზუსტე (ნიუანსებში) ამ პროცესისა (რაც შეუძლებელია), არამედ ხაზობრიობა იმის ჩვენებისა თუ როგორ **უთავდაპირველესი აზრო-ფორმა აღქმითი მონაცემისა გვაძლევს – ვერბალურს და შემდეგ, ამ საფუძველზე, წარმოსახვათა და სიტყვათხზვათა ლაბირინთებში – იქმნებიან ახალი ტერმინები.** მათვის, ვინც უარყოფს მსგავსებას სიგნალ-სიგნიფიკატს შორის, გავიმეორებთ: **ზიარ-ჭურჭლის კანონით** გამოხატულმა თვისებამ წყლისა განაპირობა ადამიანის მიერ წყალსატევებში მოცემული ამ თვისების აღქმა და შესაბამისი ფსიქოაქტების წარმოქმნა, რომლებიც (მნიშვნელობის სახით) შეიულლა ამ დროს მის სამეტყველო ფლობელობაში არსებულმა წყლის აღმნიშვნელმა **წორ*** ალომორფმა: **წორ*** „წყალი"> **წორ*** „წყალსატევის სწორი ზედაპირი" > **წორ** „პირველად კაცობრიობის ისტო-

რიაში ლოგიკურად გაფორმებული აზრი: **„წყლის სწორი ზედაპირი უდრის სწორს, სისწორეს; წორ > „წყალსატევის წარმოდგენისგან დაცლილი, დისკრეტული ცნება –''სწო-რი;" წორ-ი > „სა-ს-წორ-ი," „ა-წონ-ვა // წონ-უა." და ბოლოს კი > წონა (მასის) აწონვი-სგან განცალკევებით წარმოდგენა** – სიტყვის წონა და ამგვარად უამრავ, ზემოთდასახელებულ, წარმოსახვით ანუ აბსტრაქტულ სახელთა წარმოქმნა. **აი, რამდენი გამომხატველობა პოვა „ფუძე ენაში" წყლის მხოლოდ ერთმა წყალსატევის ზედაპირის სისწორის გამოხატულმა თვისებამ. და განა, ამის შემდეგ უსამართლობა არ იქნება წავართვათ სიტყვას გამომხატველობა?!...**

მართალია გალკინა-ფედორჩუკი როცა წერს: სლ. **ри-ба** „თევზი" არაფრით გავს ამ სიტყვით მიერ აღნიშნულ წყალში მცხოვრებ არსებასო. მაგრამ ცნობილია კი ამ სიტყვის ისტორია? იქნებ იგი კუთვნილებაა მეცნიერებისთვის ჯერაც **terra incognita ფუძე ენისა** და მისი საბოლოო სახე კი – შედეგი ჩვენთვის უცნობი გარდაქმნებისა? ამ საოცარი კითხვის პასუხისას, დამთხვევის სრული გამორიცხვის შეუძლებლობის გამო, ზემო წინადადებაში სიტყვა „იქნებ"-ას შერყევას შევეცდებით: მეგრულში სწორის სინონიმია **ბონი**. ეს უკანასკნელიც **წორ** ალომორფიდანაა: წორ > **ბწორ** > ბორ > 508. ბონ-ი. ამაზე მიუთითებენ ჰიდრონიმთა სახელები: 509. წო-ბენი < წო-ბონი*; 509. ყუ-ბანი < წყუ მეგრ. წყარო + ბონი (**ო > ა** შდრ: ქო-შაჭყორდ < ქო-**აშაჭყორდ** > ქაშაჭყორდ „დაავიწყდა"; ფოთოლი > ფოთალი. გუდამაყრული. ბ. ჯ. ქ. დ.) **ო : ა** მეგრ. –ქართ. ბგერათშესატყვისობაა, მაგრამ ა. ჩიქობავას მიმართულება საკამათოდ მიაჩნდა. ეს მაშინ როცა მეგრ ქო ზმნისწინი > ქა ფორმით უამრავ ზმნებს აწარმოებს:); 510 რიონი < **რუ** „რიონის ზედაწელის არქაული სახელი" + **ბონი**. ყველა ამათი პირველი კომპონენტი წყალთან, როგოც მდინარესთანაა კავშირში, ხოლო მეორე სისწორის სინინიმ **ბონი**დანაა. ასეთივეა ტოპ. **შორა-პანი**: შორა (იხ გვ.) > შარა; **პანი** < **ბონი** „ სწორი" (**ბ > პ** შდრ: ტოპ. ხობი > ხოპი; ჩხუბი > ჩხუპი; თურქ. მეგრ. **ბაბა** > სლ. **პაპა**).

სადიფერენციო ბაგისმიერთა მოშველიებით წარმოქმნილი მრავალი ტერმინი დავასახელეთ: (**შა > ბ-შა* > ბ-ჟა**); (**ტბა < ბ-წა**); (ქართ. **წერ** „ქარიყლაპია"> მეგრ. **ბ-წერ*** > წე-**ბ**-რი „ქარიყლაპია"); (**მ + წა > მ-წა* > მი-წა**). ამათ შორის, წყალში ცხოვრებით განპი-

რობებული მოტივაციით აღმოცნებული მეგრ. წე-ბ-რი (< **ბ-წერ-ი***) წინაფორმა **ბ-წერ***-ის მსგავსად და აქვე წორ-იდან ბონის მიღების მსგავსად სრულიად კანონიერია, **წა-რი** ალომორფიდან მიგველო **ბწა-რი***, რომლის **ბწ** თანხმოვან-კომპლექსიდან **ნ** დაიკარგა. ხოლო დარჩენილი **ბა-რი** და სლ. 511. **რი-ბა** „თევზი“ მხოლოდ მარცვალთა დისპოზიციით განსხვავდებიან: **ბა-რი // რი-ბა.** დღევანდელ ქართულში, ურთიერთმიმართებაში, **მთა და ბარი** ანტონიმები არიან, მაშასადამე, მათშივე, შესაბამისად, **მთის უსწორ-მასწორობის და ბარის სისწორის** (გავაკების) მცნებებია. ჩამალული. რუსულშიც ხომ ასეა: **горнистая местность** მთიანი ადგილი~ და **ровнина** `სწორი ადგილი. აღნიშნულ **512. ბარის „სწორ ანუ ბონ** ადგილებს“, უწინარეს ყოვლისა შეეფარდება წყლისპირა ჭალა ადგილები, **ჭა-ლა** კი. როგორც უკვე ვიცით, წყლის **წარ** ალომორფიდანაა.

მეგრ. **ბო-ნი** „სწორი,“ **ფო-ნი** და **ბა-რი** >// **რი-ბა** ქართ. მეგრ. **ა : ო** შეატყვისობათა და **რ > ნ** როტაციის კანონზომიერებათა გათვალისწინებით, **ბ // ფ და რ // ნ** ექვივალენტური ბგერებისგან შემდგარნი და სემასიური ამოსავლიანობითაც იდენტურნი ფონეტიკურ ვარიანტებად უნდა ჩაითვალონ. ანუ **ბონი, ფონი და ბარის ამოსავლად სისწორის ცნების მომცველობაზე ეჭვის შეტანა შეუძლებელია.** თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ ცოცხალ მეგრ. **ბონი „სწორი“**-ს ფონეტიკურ ვარიანტ **ფონ**-ის **„წყლის (მდინარის) სწორი ზედაპირის მქონე მონაკვეთის“,** როგორც ზემოთ ითქვა, **აღქმა, წარმოდგენა-წარმოსახვათა წყალობით,** წყლის ალომორფებიდან წარმოქმნილი უამრავი სისწორის გამომხატველი ტერმინები დავასახელეთ, მტკიცდება: 513. **ფ-ონი < ფ-წორი* < ბ-წორი*(ბ > ფ შდრ:** ჯებირი > ჯეფირი ქართლი; ქობთავი > ქოფთავი. კახეთი ბ.ჯ.ქ.დ.); **ბ-ონი(< ბ-წორი*) და ბ-წარი* > ბარ-ი >// რი-ბა.** ამგვარად რუს. **რიბა „თევზი“გავს იმ გარემოს, რომელშიც ცხოვრობდა და რომლის აღქმა-წარმოდგენებში, ეს არსება, ასოცირდებოდა.**

ამ **ბარი > რიბა**-სთან მიმართებით, საყურადღებოა მკვლევარ ა. ივანცოვის მოსაზრება იმის თაობაზე რომ: „...უფრო სარწმუნოა თევზი **ბელუგა** (სლ. **ბელიი** = თეთრი ე. ი.) თეთრ ფერს არ უკავშირდებოდეს: იგი ლაზური სიტყვაა (**ბალუღი**), მნიშვნელობით „თევზი.“ ის ფიქსირდება თანდილავას ლექსიკონის სიტყვების შემადგენლობაში. გარდა ამისა თურქ. **ბალიკ** არის „თევზი...“

აღწერილი რეალიები **ახალი საკითხის** ამგვარი გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა: სლ. 514. **Пар** „ორთქლი," (< მეგრ. **პარ-**უა „ორთქლში გატარება". **პარ < პ-წარ*** და **Паром** (< ქართვ. 515. **ბორ-ა-ნი < ბ-წორ*-ა-ნი***) ერთი საერთო ქათველურ-ინდიოევროპულ საწყისებიდან არიან. იგივე ითქმის სლ. **Ваня**, „აბანოს" და ლათ. **Sapo** „**საპონინი, საპონი-ს**" შეასახებ: **ბ > პ.**

ისტორიულად **აბანო**, შუმერებიდან მოყოლებული, ყველა უძველეს ცივილიზაციათა ნაწილია. აღსანიშნავია, რომ არქეოპოლისში (იგი ძველბერძნული სახელია ნოქალაქევისა და ნიშნავს ძველ ქალაქს) აღმოჩენილია მრავალი **აბანო** და მათ შორის – **კერამიკის მილებიანი ცენტრალური გათბობით.** აბანოზე, როგორც კულტურულ მონაცემზე, პრიორიტეტის თვალსაზრისით, სხვა ისტორუიულთან კავშირში, ენობრივიც უნდა მოვიშველიოთ: როცა გვაქვს, ზემოთქმული **ფონი** და მისი ზმნური ფორმები: **ფონ-**უა „ფონზე გასვლა" ზედმიწ. **ფონ***-ვა; **ე-ფონ-**უა „ფონზე ქვევიდნ აღმა გასვლა". ზედმიწ. ამო-**ფონ-**ვა; გინო-**ფონ-**უა „ფონზე გასვლა წყალს ზემოდან", გითო-**ფონ-**უა „ფონზე გასვლა წყალს ქვემოდან" და ა. შ. პლიუს ამას, ამჟამად – „სწორის", წინათ კი „წყლის" აღმნიშვნელ **ბონ-ი** (**ბწორ-ი***) მისიეე ზმნური ფორმებით: **ბონ-**უა > // **ბან-**ვა; სა-**ბან-ა-ო // ო-ბონ-ი**; და ა. შ. სახელებს თუ გავაანალიზებთ, ყოველივე ამის შემდეგ, ტერმინ **ა-ბან-**ოს ეტიმოლოგია სრულიად ნათელი გახდება: **ა** ხმოვანი ამ სიტყვისა გახლავთ ქართიზებული დანიშნულების მეგრ. პრეფიქსი **ო** და, ამგვარად, პირვანდელი სახე იყო – **ო-ბონ-ი**, რაც, მეგრულში, ზედმიწ. დღესაც „**საბანაოს**" აღნიშნავს. აღნიშნულის, ურყევი, ჭეშმარიტების გამო, **ო-ბონ-ი*** > **ა-ბან-ო** მეგრ. : ქართ. **ო > ა** მიმართულების ჭეშმარიტების გარანტადაც გამოდგება. თავად ქართ. **სა-ბან-ა-ო, სა-პონ-**ის წინაფორმად, **სა-ბონ-**ის აღადგენს, რომლის მნიშვნელობაც, უეჭველია, საბანაო გახლდათ (საპონი ნასესხობად ითვლება?!...). როცა, წყლის ალომორფებიდან ამოსულ, ზემოთგანხილულ, ტერმინებს: 516. **მერ-ე** (მ-**წერ-ე*** იხ გვ.), 517. **ფონ-ი** (< ბ-**წორ***-ი), **ბონ-ი** (< ბ-წორ*-ი); 518 **ბონ-**უა (< ბ-**წორ***-უა); 519. // **ბან-**ვა (< ბ-**წარ-**უა*) და ბოლოს – 520. **ა-ბან-ო // ო-ბონ-ი და 521. სა-პონ-ის ამდაგვარი დასაბუთებული ეტიმ. ამოსავლიანობა გააჩნიათ, ისღა დაგვრჩენია ისინი საერთო წამომავლობისად ჩავთვალოთ.**

იგივე ითქმის ლათ. 522. **Bal-neum** „აბანო, ბანვა-ს“ შესახებ, რომლის **bal** ძირის **L(ლ)** თანხმოვანი ექვივალენტია **ნ**-სონორისა. რაც შეეხება გერმ. **bad-e-hous** „აბანო, ზედმიწ. „საბანაო სახლი“; ასევე: **bad-, bad-e, bad-en** (მნიშვნელობები იხ. Э. Л. Ромашевская нр и нрс); ინგლ. **Bath-room** „აბა-ნო“ და ა. შ. მასში ქართველური **აბანოს** მარტო **ბა** ფრაგმენტია, მხოლოდ, შენარჩუნებული.

ტერმინი (და როგორც მეცნიერებაც) **ბალნეოლოგია** ინდოევროპულია, მაგრამ სხვა საქმეა პრიმიტიული საწყისები, რომლიდანაც იგი ამოიზარდა. აქაც პრიორიტეტი ქართველურის (კოლხურის) მხარეზეა. ამას ცხადყოფს ისტ. (მოხსენიებულია ვეფხისტყაოსანში) ტ. **წამალი**: მეგრ. **წა** „წყალი“+ **მგ-მალი** „მარგებელი, მკურნალი“, რომელთაც ზემოთ უკვე შევეხეთ. ასეთი შინაარსი სიტყვისა: **წყა-ლი მკურნალი, წყალი მარგებელი** შესაძლებელია წარმოქმნილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სახელმდებელი ხალხი, დიდი დროის მანძილზე, მკურნალობდა თერმიული მინერალური და ა. შ. წყლებით. ამას ასევე ცხადყოფს უკვდავების წყლის კულტი ქართველურ მითოლოგიაში და ზღაპრებში (შენიშვნა: ეს ეტიმოლოგია, ჩემამდე დიდი ხნით ადრე, თურმე გაუკეთებია ენათმეცნიერ გ. როგავას. ნათელი მის სახელს).

მაშასადამე, ბალნეოლოგიის საწყისებიც კოლხურია.

წ ბგერა და წველასთან დაკავშირებული სახელები

წველის აღმნიშნელი, ახ. ქართ. წოვა, წველა // < ძვ. ქართ. 523. წუელა //> მეგრ. 524. ჭვალა // ჭან. 526. **მჭვალა**// **ნჭვალა** და სვ. 527. ლიჭჭვე // 528 ლი-ჰიჭვე // 529. ლი-ჰვიჭი „ზელა“ საერთო ძირიდან ამომდინარეობენ და სემანტიკურად არ იყვნენ გამიჯნულნი: ამ სიტყვების **ლ** და **ვ** მათ წინარედ, უძველეს წარსულში, **რ** და **უ**-ს არსებობაზე მეტყველებს, ხოლო ჭან. **ნ** და **მ** ფ. დანართია.

ფონ. ცვლილებები: წოვა < წო-უა*;/>/ წუა-ლა მეგრ. „წოვა“ > მეგრ. ჭუა-ლა* // ჭვალა „წვე-ლა“ (**უ** > **ვ** შდრ: მეგრ. მაჭუალი //> მაჭვალი „მწველი"); ჭვა-ლა > ლა-ჭვა* > ლი-ჰი-ჭვ სვ. „ზელა."

ადამიანი წველის პროცესის მიგნებამდე დიდი ხნით ადრე ფლობდა წოვის მნიშვნელობის ალომორფებს – **წ-უა, და წო-უა-ს,** როგორც ძუძუმწოვართათვის თვისობრივად დამახასიათებელ ფი-

ზიოაქტის აღმნიშვნელებს. რაც შეეხება წოვის წველასთან დაკავშირებას, უნდა ითქვას, გარეულ ცხოველთა რძით სარგებლობას ადამიანი, მათ მოშინაურებამდე, წოვით თუ მოახერხებდა, სითხის შესანახი რაიმე საშუალების ქონების შეუძლებლობის გამო. ასევე ცნობილია, რომ წველის გაადვილების მიზნით ჯიქანს წველის წინ ზილავენ, ამიტომ, კავშირი **წველა – ზელასთან** ასევე სავსებით ბუნებრივია. შდრ ლათ. **Lak (Lactis) „რძე“ Lak-teo „წოვა“; Mulgeo** „წველა;“ **Mulceo** „ზელა;“ **(Gl // Lc < Lak)**; რუს. **Mo-lok-o** „რძე;“ **Gladit** „ზელა.“ **(Gl < Lok)**. აქ გიორგიულ-ინდოევროპულ სიტყვაწარმოებებში სემასიური ერთიანობაა: პირველში ტ. **ზელვა წველადანაა** ამოსული, მეორეში **რძედან**, რაც აშკარა იდენტური ფსიქოტრანსფორმაციებია. ეს არაა სესხება, დანაშრევი ან სხვა – ენათა კომუნიკაციებით გამოწვეული პარალელები. ესენი ერთიანი ამოსავლიანობის მადასტურებელი ფაქტები არიან...

წ ბგერა და ბალახის სახელდება

ბალახის სახელდების წყლის (საკვები სითხით) მნიშვნელობით შეპირობებულობაზე მეტყველებს სახელი – 530. **ძოვა**. იგი **წოვა**-საგან **წ**-ს გამჟღერებითაა მიღებული: ანუ **წოვა** ერთ დროს ბისემიური იყო – **ძოვა და წოვის** მნიშვნელობისა: შდრ. სვ. 531. **მუწალ** „მწვანე ბალახი“ და მეგრ **წალ**-ი 'მოფერებით წყალი;“ სვ. 532. **ჭემ** „ბალახი"და მეგრ. 533. **ჭემ**-ი „ბოქვენის მიდამოს თმის საფარი ეტიმ ბალახი“: მაგრამ ბოქვენის მიდამო და ქალის გ. ს. ორგანო წყალთან კავშირში რომაა დადგენილია; ქართ 534. **წამ-წამი** // მეგრ. 535. **ფი-ჭვ**-ი – **ფა + ჭვ-ი = ფა** მეგრ.. „მცენარე“ + **ჭვი** ეტიმ. „ბალახი; შდრ: ქართ. 536. **ლერ-წამი** // მეგრ. 537. **ლარ-ჭემი** = ლარ // ლერ „სწორი + წამ ეტიმ „სწორი ბალახი“.

ქართ. **ფა-ჩარ**-ი „ბოქვენის მიდამოს თმის საფარ-ის“ ეტიმოლოგია ასეთია: **ფა** მეგრ. „მცენარე“ + ჩარ-ი /</ **ჩხარ**-ი „წყლის **ჩხ** ბკ-დან ამოზრდილ ალომორფიდან:"**ფა-ჩხარ*** = „მცენარე წყლისა“ (მეგრ. **ჩურ //< ჩხურ*** = „ქალის გ.ს. ორგანო", რომლის წყალთან კავშირი, როგორც ითქვა, ენათმეცნიერებაში დადგენილია).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პარალელი: სვ. **დიარ** „პური“ მეგრ. ო-**დიარ**-ე- „ბალახი-ს“ სახელდება კვების – მეგრ. **დიარ**-უა

„კვება, ძოვა-"ს გაგებასთანაა ასოცირებული: იგივეა რუს. Пасть პასთ „პირი, პირის ღრუ" და **Пасти // Пасться** „ძოვა! პარალელი ამით არ მთავრდება: სომხურ **ჯურ** „წყალი და მეგრ. < **ჩხურ** „წყლის ალომორფი"დან > მეგრ. **ჩურ** – ქ.გ.ს.ო. იგივე ხდება ამავე სახელის სხვა მოფერებითი ფორმების – **ფა-ჩა // ფუ-ჩურ-ის** შემთხვევაში: **ფა-ჩა < ფა + ჩხა*; ფუ-ჩურ < ფუ-ჩხურ*: ფა // ფუ** აქ „მცენარეა", **ჩა** ქ.გ.ს. ორგანოს მეგრ სახელის დერივატია (**ფა** „მცენარე" დღევანდელ მეტყველებაში იშვიათია, ხშირია **ფალ-უა,** „ცენება," რომელშიც **უა** მეორეული ბოლოსართია, **ლ** კი **რ**-ი პირვანდელი სუფიქსალური მონაცემია **ფა** ძირს შეზრდილი).

ქართ. ვულგარულ მეტყველებაში იგივე ქალის გ.ს. ორგანოს სახელი წყლის **წერ** ალომორფიდანაა: **წ > ტ** გამატივების შემდეგ, **წერ-ს** დაერთვი **მ** (შდრ. მეგრ წარე > // ქართ მწარე) > 538. **მტერ***, **მტ** კომპლექსი **უ**-თი გახმოვანდა და მოხდა **რ > ლ** მონაცვლეობა.

გვალვა და მისი ანტონიმი – ჭოროფა

მეგრ. **გოლოფა** და ქართ. **გვალვას** ანტონიმი მეგრ. **ჭორ-ოფა** (შდრ. ჭოროფა წანა = წვიმიანი წელიწადი) მიღებულია **წყარ-ცოფა-საგან:** ზედმიწ. = **„წყლის-ყოფა:"** შდრ: **წყალ-ობა // მეგრ. ჭყოლ-ოფა < წყორ-ოფა*; ჭორ-უა // ჭორ-ოფა** „გაჟღენთვა": **ჭ < წყ.** აღმ. საქართველოში ხანგრძლივი წვიმიანი ამინდი არ დგება. ამიტომაც მეგრ. **ჭოროფას** ბადალი სახელი ქართულს არ გააჩნია. დასვლეთში კი წვიმიან პერიოდებს ხშირად ცვლის გვალვაც და შესაბამისი სახელები – **ჭოროფა და გოლოფაც ბუნებრივია.**

ვფიქრობთ, მიმღეობური წარმოება ზმნისაგან – **ვალ**ვნს „ელავს, აჭკნობს"; **ვალ**ირი მჭკნარი, ჭკნობაშეპარული არის მნიშვნელობითი ამოსავალი გო(ვა)ლ-უა > გოლუა* > ქართ. გვალვა-სი (ო-ს ვა-დ დაშლის მიზეზი სუფიქსალური უ-ს გავლენაა.);

მეგრ. **ვალი** „ელვა" მნიშვნელობასთან მიმართებით ფრიად მნიშვნელოვანია ი. ე. **Vali ვალი** „შუქის მშვენიერი ღმერთი, ბალდერის ძმა" იხ ა. გელოვანი. „მით. ლექსიკონი გვ. 180";

მეგრ. გოლო-ფა „გვალვა" კი გო-ვალ-უა-ს ზედმიწ. „1. გაელვება, 2. დაჭკნობა-ს" გამარტივებით და **ჭოროფას** ანალოგიით, **ფა** სუფიქსაციითაა მიღებული: გო(ვა)ლ-უა > გოლ-უა (უა > ვა და ვა-

ს ამოვარდნა: ლეშქუერთი > ლეშქვერთი > ლეშქერთი „ისლის დასამაგრებელი გრძელი ჭოკა. ბ. ქირია „) > გოლ-უა-ფა* > გოლ-ოფა „გვალვა" (უა სუფიქსის ო-დ შერწყმა პირველი ო ხმოვნის ზეგავლენითაა).

ფერები და წყლის ალომორფები

მეგრ. წვანე // მწვანე სახელის წყალთან დაკავშირებაზე ფონეტიკურ-სემანტიკური (ფ. ს.) დაბრკოლება არ არსებობს: **წუარ*-ი** > **წუან-ი** > 539. **წვანე** მეგრ. 540. „მწვანე."

როგორ უნდა ავხსნათ **541. წი-თ-ელ-ი** >// 542. **ჭით-ა** მეგრ. „წითელი" ფერის წყალთან კავშირი? წყალი ხომ თუ არა შეღებილი არაა წითელი? მაგრამ **წითელია სისხლი** და მისი სახელი იგივე ბგერებითა და ბკ-ებით გადმოიცემა როგორიც – წყლისა. **იხ ჩხ** ბკ. მეგრ. **ჭი-თა**, // 543. მე-**ჭვი**; ქართ. **წი-თ-ელ-ი** სემასიურ ასოციაციაში არიან წყალთან. ოღონდ ამ შემთხვევაში ამოსავალი **წ** ბგერის **წი, ჭი < წი*, ჭვი < წო*** ალომორფები არიან. ესენი, ყოველმიზეზს გარეშე, ფერის ცნების განმსაზღვრელი ელემენტები არიან და ამაზე ბეჭდის დასმის მსგავსი საბუთია მეგრ. **544. წგშ-ფერ-ი // 545. წიშ-ფერ-ი** „წითელი.: წგშფერი // წიშფერი ოღაფლა = „წითელი საღებავი." **წგშფერი** ქოიღუნო? = წითელი საღებავი გაქვს?...

"...სვ.: 546. **ხოწურ**, სისხლი სდის...."**წურ**" მხოლოდ სისხლთან მიმართებაში იხმარება, სავარაუდოდ, ფერს ნიშნავს.– **წითელს.** ...547. **წგრნი** წითელია..." ელა გურჩიანი.

სისხლმა, როგორც წითელმა სითხემ, განაპირობა წყლის აღმნიშვნელ ალომორფთა მონაწილეობა ფერების სახელდებაში: თუ გავიხსენებთ, მეგრ. **ჩე** „თეთრი" და მეგრულიევ **უჩა** „შავი" (იხ. **ჩხ** ბკ.) ფერების წყლის მნ-ის **ჩხ** ბკ-დან წარმომავლობას, დავინახავთ: ფერები გეორგიულში წყალთან არიან კავშირში. ამით არა მარტო მათი ენდემიური წარმოშობა დგინდება, არამედ ქრონოლოგიური თვალსაზრისით, სახელდება მოხდა მაშინ, როცა აბსტრ. აზროვნება არ იყო ჯეროვნად განვითარებული და მაშინდელმა, ადამიანმა ფერების სახელდება ნებისმიერობის პრინციპით ვერ მოახდინა.

ჭიაფერა, ჯაფეზია, განჭვ, ანწლი, ინჭირია, ონჭირია, ვენჭირია, წყანწყუა, ჭეჭყვა, ნაყვა, ჭყან-ჭყ- უა // ჭყა-ჭყ-უა, ჭყილ-ონტუა, ჭეჭყვა, ყაყუა, კაკ-უა, ნაყვა, კოკო, წერა, წერ-ი, წერნაგი„ წენგო, წიგნი, წინგი

548. **წერ**ის ცნება, **წერა**სთან ასოცირებული სახელები და სახვითი ხელოვნება ფერებთანაა კავშირში. ასეთ დასკვნების გაკეთებისკენ გვიბიძგებენ მცენარეთა (მათ იგრედიენტთა) და საღებავ ნივთიერებათა მღებრობაში გამოყენების სიძველე და მასშტაბები.

საღებავად 549. **ჭიაფერასა და 550. ანწლის** გამოყენება ოდითგანვე ცნობილია. იხ. მ. ს.შ.დ.ხ.ი. გვ 38, 69, 185, 201, 221. მეგრ. 551. ჯაფეზია // ჯამფეზია „ჭიაფერას", (რომელშიც **მ** ფონეტიკური დანართია) **ფე** მარცვალი ჭია(**ფერა**)ს **ფერა**-ს (ფერის) რუდიმენტია. **ზია** კი **წია***, იგივე მეგრ. **წა** „წყალის" **წ > ზ** ცვლილების შედეგია, **წ > ს** დეზაფრიკატიზაციით გაშუალებული (**წ > ს** შდრ. მეგრ **წ**იმა >// ქართ."**სხმა**". ქართ. **წრე** > ბასკ სერუ „ცა" ნ მარი; **ს > ზ** შდრ. ტი**ზ**ვნა „ განკრეფა ტილთა" (ს. ს. ორბელიანი) <// ტი**ს**ნა (ჰ. ფეინრიხი) <// მეგრ. ტი**შ**ონუა (გ ლკიმოვი); შდრ. მეგრ. სე**რიშ** მარე = „ღამის კაცი:" ცვეთა > სე**შ**მარე*: **შ > ს** შდრ. მეგრ. **შ**ოლირი > ქართ. **სველი** > სესმარე* > სი**ზ**მარი!. ამგვარად, ჯამფეზიას პრეფორმა იყო **ჯა ფერი წია**, რომლის ბოლო კომპონენტი **წია** წყალ-ს აღნიშნავდა. შუათანა **ფერი** დღესაც **ფერია** საწყისი მარცვალი **ჯა** კი ხეა, მეგრულად, ამიტომ **ჯა-ფერი-წია***, უდაოა, „წყლიანი, ფერადი ანუ საღებავი ხის" ცნების მომცველი გახლდათ. მაგრამ ზემოთ უკვე დავადგინეთ, რომ ქართ. (**წი**)თელ // მეგრ. (**ჭი**)თა და (**წი**)შფერ „წითელში" **წი // ჭი** წყალ-ის და წითელი ფერის განმსაზღვრელი რომ არიან, მაშ, ჯაფეზია უდრის „წითელი ფერის ხე": ჯა-ფერი-წია* ცვეთის შემდეგ > ჯა-ფე-წია* > ჯა-ფე-ზია > // 551. იგი არის ჯა(მ)ფეზია ფორმითაც.

მეგრ. 552. ძარ-წუფა წითელი ფერის მცენარეა. აქ **ძარ** მეგრ. **წარ-ი** „მოფერებით წყალი"-დანაა, ხოლო **წუ** კი – **წური***-დან.

ვ. თოფურია იკე 12 გვ. 157. წერს: „... 553. განჭვ < მეგრ. 554. ინჭირია < 555. ონჭირია, სვ. 556. ვენჭირიასაგან" -ო: ანუ მეგრ. **ო**ნჭირ-იას **ო** სვ. **ვე**-ნჭირ-იას **ვე** მარცვლის შერწყმით არისო მიღე-

ბული. მაგრამ რატომ არაა პირიქით? **ო**-ს დაშლაც ხომ ისეთივე კანონიერია როგორიც **ვე**-ს შერწყმა?. ამის გარკვევაში დაგვეხმარება ეტიმოლოგიის დედაბოძის – **ამოსავალი ეტიმოლოგიური მნიშვნელობის** დადგენა: ვ თოფურიას მიერ მოხმობილი მეგრ ინ(**ჭირ**)იას პრეფორმა < ონ(**ჭირ**)ია-ს **ჭირ წირ** ალომორფიდანაა და ანწლის მიერ საღებავის ცნების ქონება სწორედ მისივე დამსახურებაა: მ. ე. **ო-წირ-ია*** >// **ო-ჭირ-ია*** >// **ო-ნ-ჭირ-ია** ზედმინ = „საღებავი:“ ეს კი ამოსავალი ეტიმ. მნისვნელობაა და სვ. **ვე-ნ-ჭირ** ძირის **ვე** მარცვლის მეგრ. **ო-ნ-ჭირ** ძირის **ო**-ს დაშლის შედეგად რომაა იმას ამტკიცებს.

ასევე: ქართ. **ო-წარ* საწყისი**საგან ამდაგვარი ეტიმ. რიგი უნდა წარმოქმნილიყო: ოწარ* > **ო-ნ**-წარ* > **ა-ნ-წარ*** > **ანწალ** > **ანწლ-ი** (შდრ: მუკოწყუმა //> მუკონწყუმა „გახდა“; შდრ: გურ მოჭვა > მეგრ. მონჭვა „კრუხი“): სემასიური საფეხურები კი ამგვარია: **ო-წირ*** // **ო-წარ*** // 557. **ო-ჭარ** (**ჭარ** ძირია მეგრ. ჭარ-უა „წერა"-სი) – „ფერადი სითხე,“ „საწერი“, „საღებავი.“ დროში ეს მნიშვნელობები დავიწროვდა კონკრეტული მცენარის აღმნიშვნელ გიორგიულ სახელებად.

საღებავის საკუთარი სახელებია: 558. **წენგო** „კაკლის ნაყოფის გარეთა გარსი მომწვანო ფერისა. მის ნახარშს ყავისფერ საღებავად იყენებენ;" 559. **წერნაგი** „ყვითელი საღებავი ერთგვარი;“ 560. **წერ-ი** „კაკლის ხის გამონახარში საღებავი...“ იხ ქეგლ. ამ სახელთა მსგავსება სახეზეა: **წენგო**, **წერნაგ-ი** და **წერ-ი** **წე** და **წერ** ალომორფებს შეიცავენ... საინტერესოა რომ 561. **წე-ნონ-ი**, რომელიც **წე და წორ*** (> წონ) ალომორფებს შეიცავს „მარილთან ერთად დანაყილი ნიგოზია."

წერნაგი წენგო-საგან იმით განსხვავდება რომ მასში **რ** და მისი ფონეტ. დანართი **ნ** (მეტათეზის შედეგად წენრაგი* > წერნაგი) შენარჩუნებულია. მ. ე წენგოში **რ**, მის წინ **ნ**-ს განვითარების შემდეგ, დაკარგულია.. არის **გ-ს** პრობლემა საიდანაა ის?, რომელიც მეორე კითხვასაც ბადებს: ერთძირიანია თუ კომპოზიტი **წენგო და წერნაგი?** ამის გარკვევაში ქართ. 561. **ჭეჭყვა**, ნაყვა მეგრ. 562. **ჭყან-ჭყ-უა** // 563. **ჭყა-ჭყ-უა** // 564. **ჭყილ-ონტუა** „ჭეჭყვა;“ **კაკ-უა** „ნაყვა“ დაგვეხმარება.

ჭეჭყვა-ნაყვის დროს ზემოქმედება ხდება წყლის – სითხის

შემცველ ობიექტზე. ამიტომ თუ გავითვალისწინეთ, შესაძლო, იმ ბგერით ცვლილებებს რომელნიც საკმაოდ გამჭვირვალედ ჩანან, ადვილად აღიდგინება გაორმაგებული, წყლის მნიშვნელობის **წყ** ძირიანი წინაპარი ფორმები: რაკილა გვაქვს ქართ. 565. ნაყ-ვა, **უ** > **ვ** ცვლილების გათვალისწინებით, მისწინარედ იქნებოდა ნაყ-უა, რომლის **ყ** კი შეიძლება იყოს **წყ**-დან ანუ – ნა**წყუა***-დან: მეგრულში იპოება 566. **წყან-წყ**-უა „ჭყლეტა“: შდრ. კითიქ 567. ქალ-მა-**წყან-წყ** = „თითი ჩავიჭყლიტე. აქ წყა**ნ** კომპონენტი მეგრ. წყარ-ი „წყალი"დან გახლავთ, რასაც მეორე ნაწილი – **წყ**-უას **წყ** ძირიც ამოწმებს: ანუ წყ-**არ** > წყ-**ან** არის მომხდარი. ზემოთ, ნაყვას ამოსავლად რესტავრირებული ნა**წყუა*** **წყ**-ან-წყ-უა-საგან **წყ** კომპონენტის დაკარგვით და **ან** > **ნა** შებრუნებით განსხვავდება: ამგვარად: **წყ-ან-წყ**-უა „ჭყლეტა“ (გამარტივება და **ან** > **ნა** ბრუნი) > **ნა-წყ**-უა* (**წ**-ს დაკარგვა) > **ნა**-ყუა // **ნა**-ყვა; ამ **ნა**-ყვა-ში **ნა** უკვე პრეფიქსია და ჩვენ თვალი მივადევნეთ წყ-**არ** „წყალი“ სიტყვის **არ** სუფიქსისგან მის წარმოქმნას. იხ. აქვე ზემოთ „... **ან, ნი** = ქართ. **სა, სი** და სვ. **ლა, ლი**-ს. ესენი, უმთავრესად სუბსტანტივებს აწარმოებენ...“ ვ თოფურია. „შრომები“ 3 გვ. 67-71. დიახ, მარა **ნა**-ყვა ზმნაა და როგორც ვხედავთ, ამდაგვარი არც თუ იშვიათობაა: შდრ: **ნა**-ხ-ვა, // და-**ნა**-ხ-ვა; მეგრ. **ნა**-ხ-უა „რეცხვა და ა. შ.“...

არქეოლოგიურად, ნაპოვნია უძველესი ქვის სანაყები. **ნაყვის** პროცესი **კაკ** ხმიანობით ხასიათდება. ამიტომ, **ნაყვა**-ს მეგრ. შესატყვისი – **კაკ**-უა, უფლებამოსილი ვართ ვივარაუდოთ, რომ წარმოიქმნა **კაკ** ხმებისადმი მიბაძვით. მაგრამ ქართულში გვაქვს ნა-ყვა და, ამ შემთხვევაში, მისი **ყ, სადაგობის მიხედვით,** არ აკმაყოფილენს ხმაბაძვით პრინციპებს. არც **კაკ**-უას **კ** არ შეიძლება იყოს მისი ამოსავალი რადგან **კ** > **ყ** არ ხდება. პირიქით **ყ** > **კ** კი კანონიერია: იქნებ მეგრ. **კაკ**-უას წინარეა **ყაყ**-უა, რომელიც მეგრ. ჭამის სახეობაა: ოჭკომალ გე-**ყაყ** = „საჭმელი ჩია ტანის კაცმა მცირე რაოდენობით შეჭამა;“ ქჳდა-**ყაყ**-ეს = „ჩია ტანის კაცი დასცეს.“ აგრეთვე, ქჳდა-**ყაყ**-უ ითქმის, მცირე ოდენობით, გაუფორმებელ დეფეკაციაზე. ნორჩების დეფეკაციას კი მეგრ. **კაკ**-უა ეწოდება. ლათ. **Coco** კოკო-ც დეფეკაციაა. ქართ. **კუილ**-ის საწყისად **ყუილ** უნდა დავუშვათ, რადგან მეტეორიზმთანაა დაკავშირებული სიტყვები **ყურ-ყურ**-ი მუცლისა, //> მეგრ. **ყურ-ყინ**-ი. სწორედ, ეს მეგრ. **ყაყ**-

უა „კვების სახეობა“, ასევე: დეფეკაციის სახეობის აღმნიშვნელი **ყაყ**-უა – **კაკ**-უა და ქართ. // მეგრ. მეტეორიზმის ამნიშვნელ სახელთა დამოწმებები აღადგენენ, ჩვენთვის საინტერესო **ყ > კ** მოვლენას: ასევე შდრ: მეგრ. წყარ-ი > წკარ-ი ლაზ „წყალი“; ქართ. ოყა // ლაზ ოკა; მეგრ. ტყა > ლაზ ტკა; მეგრ. 568. წურ-წუმა (< წყურ-წყუმა*>) ქართ. 569. კურ-კუ-მა „ვიწროყელიანი ჭურჭე-ლი“ წყლისა (**წყურ-წყუმა*** > **წურწუმა** **ნყ** კომპლექსიდან **ყ-ს** დაკარგვის სანიმუშო მაგალითია: ესე იგი, მეგრ. **კაკუა** „ნაყვა"-ც **ყაყ***-უა // წყაწყუა* წინაფორმიდანაა და, შემდეგ, მისი **ყ > კ** პროცესს ხელი შეუწყო ჩვენსერამდელი სანაყი ხელსაწყოს ხმარებისას თანხმლებმა **კკკ** ხმაბაძვითმა ხმიანობებმა. მართლაც, სპეციფიური სანაყი ხელსაწყოს წარმოებამდე, **წყანწყ**-უა / „ჭყლეტა"ს ადამიანი ხელით თუ მიმართავდა (ამ დროს **წყ..წყ და ჭყ..ჭყ** ხმიანობები წარმოიქმნება ასევე ხაზგასამელია ისიც რომ **ჭეჭყ**-ვა, მხოლოდ სითხის შემცველი რაობისაა შესაძლებელი: ამიტომაც გვაქ, წყალთან, აშკარად, დაკავშირებული, **წყ > ჭყ-ს** შემცველი, შესაბამისი სახელები: სემასიით, მეტეორიზმის აღმინშვნელ მეგრ. 570. **ტყორ** (< **წყორ***) ძირი; პურჭყ-ინი // ბურჭყ-ინი „დეფეკაცია და მეტეორიზმი ფაღარათისას“; გურ. 571. ლოყა-პურჭყ-ი (ა. ღლონტი); ასევე, სახელე-ბი: **წყანწყუა, // ჭყანჭყუა, // ჭყილ-ონტ-უა // ქართ. ჭეჭყვა-**თან – წერ-ნა(ყ)ი*, წერ-ნა(გ)ი, წენ(გ)ოს, როგორც საღებავთა დაკავშირება კანონიერია, რადგან კაკლის ნორჩი ნაყოფის შიგთავსის გამოღება შესაძლებელია მხოლოდ გაჭეჭყვის შემდეგ, რომლის დროსაც ხელის თითები, ჭამისას კი – ტუჩები იღებება.

თითქოს საღებავ **წერ**-იში უფრო ცნაურდება აქვეთქმული კავშირი, მაგრამ თუ დავუშვებთ **ყ > გ**-ს (შდრ. თუშ. **ყვარტ**-ი, //ქართ. **ბა-ყაყ-ი** > // მეგრ **გორდ**-ი // სლ. ლიაგუშკა // ლატ. **გორდი**; ქართ. **ყე-ფა** > რუს. **გავკათ**; ქართ. **ყმუილი** >// მეგრ. **ღურ**-აფი და > ქართ. // მეგრ. მგელი // გერი და ა. შ.) მა-შინ წენგო და წერნაგიც, საღებავის სახელ **წერ**-ის მსგავსად დაუახლოვდება აღნიშნულ ფორმებს.

უდაოა, **წერ**-ნაყი* > **წერ**-ნაგი > **წენ**-გო-ში, **წერ** და (**ყი** >) **გი** კომპლექსთა მეშვეობით, ჩარჩენილია **ფერადი სითხის, საწერის, საღებავის** ოდინდელი სემასია: აგებულებით და და მნიშვნელობით მათთან ისე ახლოსაა ტერმინი ქართ. **წერა** //> მეგრ. **ჭარ**-უა და ძველ ქართულში თავად წერილის (ბარათის) მნიშვნელობის სიტყვა ქართ.

572. **წიგნი** // მეგრ. 573. **წინგი**, რომ უკვე ამ ოთხივე – **წერა, წერი „საღებავი“, წერნაგი, წენგო, წიგნი** //< 574. **წინგი** საერთო წარმომავლობა სავსებით რეალურია და სხვა მტკიცებას არ საჭიროებს..

სიკაშკაშე, წერა, და გაჭუჭყანებასთან დაკავშირებული სახელები

"...სახვითი ხელოვნების დაბადებას უკავშირებენ ბუნებაში შემთხვევით წარმოდგენილ შესაძლებლობებს, მაგ. საჭრისით და საღებავის მოხმარებით ქვაზე კლდეებზე ნალექის ლაქების მიმსგავსება ცხოველებზე..." ა.ი.პერშიცი, მანგაიტი, ვ. პ ალექსეევი განსხვავებით ამისა, ჩვენი შეხედულებით,პირველყოფილი **ღებვის, ხატვის, მით უფრო, აქედან გამომდინარე, წერის იმპულსების ჩამოყალიბების საწინანდარი ძველი ადამიანის მიერ სახის თუ სხვა ორგანოთა (კვების პროცესში თუ საკვების მოპოვებისას და ა. შ.) უნებლიე შეღებვით გამოწვეული გაოცება და შემდგომ ამ ფერისცვალების ხელოვნურად გამეორების მცდელობა იქნებოდა.** ამას პირველყოფილ ტომებში სახის და სხვა ორგანოთა შეღებვის ტრადიციის არსებობა გვაფიქრებინებს.

მეგრული ზმნა, შეიძლება ითქვას, უსასრულოა. „... საგნის მოძრაობის გამომხატველი ზმნა **ულა** „სვლა“ და მისი სინონიმური ფორმები, მეგრულის ყველა ზმნისწინის გამოყენებით, ... შესაბამისი სახელზმნებითურთ (მასდარებითა და მიმღეობებითურთ) წარმოგვიდგება 504000 ლექსიკური ერთეულის რაოდენობით..." (იხ მ. ძაძამია „მეგრული დიალექტი"). ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ისე მოხდეს, რომ არგუმენტაციისთვის გამოყენებული ზმნის ბგერითი აგებულების მონაცემები არ სცილდებოდეს ალბათობრივი დამთხვევების შედეგებს, რაც ქმნის დამატებით სირთულეებს. მაგ: როცა გვაქვს, მეგრ. ზმნა 575. **ნიკუა** „მოსვრას“ სხვადასხვა მიმღეობრივი ფორმები, ვთქვათ პირმოსვრილი // პიჯმოწიკვილი მაგრამ ასევე – **მობუძღოლირი, მობუჯგოლირი, მობუჯგონილი, მოდალუზელი, მოსარანჯელი, მოსილონგირი, მოშიშქონილი, მოჯანჯუხელი, მოლაზურლი, მოჭიჭკონილი, მოჭიჭყონილი, მოხაზურელი, მოწყაპულერი, მოჭყაპულერი, მოძღაბულერი მოწიწყოლირი** და ა. შ. ადვილად მისახვედრია, ფონემათა რაოდენობის უცვლელობის პირობებში, რამდენადაც მეტია ზმნური ფორმები, იმდენად დიდია ნებისმიერ ამ ფორმათაგან, ზმნის რომელიმე ფორმის აგე-

ბულებაში მოხვედრის შანსი, და, ამ უკანასკნელში, გამოვლენილი ბგერის მიხედვით გადამწყვეტი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ამის გამო, ზემოთმოყვანილი მასალიდან ვთქვათ 576. **მონყაპულერში ნყ** კომპლექსის არსებობა შეიძლება იყოს შემთხვევითი...

მოვახდინოთ მოცემული მასალის, შემდგომი ინტეგრაციის მიზნით დიფერენცირება: **მობუჯგო-ლირი, მობუჯგონილი, მოჯიჯგონილი** მომდინარეობენ ზმნა **ბუჯგონუა, // ბუჯგოლუა** „წვერულ-ვაშჩამოშვებული ტუჩებით, უშნოდ ჭამა“ და **ჯიჯგონუა** „ჯიჯგვნა-საგან;“ **მოდარანჯელი, მოჯა-ნჯუხელი** ამოდიან **ჯანჯუხუა** „ჩურჩხელასავით მოსვრისგან"და **დარანჯუადან „ძლიერ მოსვრის-აგა“;** ხოლო ზმნები: 577. **სილონგუა (სილ < წირ)**– „სხეულის ზედაპირის რაიმე მასით, ვთქვათ ტა-ლახით ტოტალურად მოსვრისაგან;“ 578. **სარანჯუა (სარ < წარ)** – სარანჯის-მაგვარად მოსვრა მო-თხუპვნისაგან. ასევე: **მოჩიჩქონილი, მოშიშქონილი,** 579. **მოჭიჭკონილი – ჩიჩქონუა // შიშქონუა // 580. ჭიჭკონუა – ჩ, ჩქ; შ, შქ; და ჭ და ჭკ** ბგერების გამორებით ჭამა-საგან; 581. **მობუძღოლირი კი ბუძღოლი (ჭყ > ძღ)** – „საქმის უხეროდ კეთება"-საგან.

რაც შეეხება მიმღეობებს – **მოდალუზელი, მოხაზურელი, მოლაზურელი,** აქ ფრიად საინტერესო შემთხვევასთან გვაქვს საქმე: რადგან ამ სახელებით წარმოდგენილია რაიმე ფერადი სითხით **ხაზისებური** მოთხუპვნა. ეს მაშინ როცა ეს სახელები ზუსტად ისეთივე პოტენციით, უშნოდ და მსხვილი **ხაზებით ნანერის** აღსანიშნავად გამოიყენებიან.

მასდარები – **დალუზუა, // ღაზურუა // ხაზურუა** არაპროპორციული მსხვილი ხაზებით **წერას ან ხაზვას** ნიშნავს.მაგრამ მათ არ გააჩნიათ ფუნქცია სახის ან სხვა ორგანოთა მოსვრის აღნიშვნისა. უმისამართოდ თქმული სიტყვა **დალუზუა** მხოლოდ არასწორ **წერას ან ხაზვას** აღნიშნავს.

ვფიქრობთ, ეს მიმღეობები წარმოქმნილნი არიან მოთხუპვნის (შეღებვის) აზრობრივი საფუძვლებიდან – შემდგომი სამწერლო ტერმინოლგიაზე განვრცობით.

ამაზე მეტყველებს მასალის შემდგომი ანალიზი: 582. **მონყაპულერი** თხევადი მასის წვრილი წვეთებით (წინწკლებით) მოსვრაა. მასდარი 583. **ნყაპულუა** – უშნოდ, ხაზების არათანაბარი სისქით და არაინტენსიური ფერის მქონე მელნით **წერაა**. მაგრამ იგი ასევე, აქვე, ზემოთაღწერილი ხასიათის მოთხუპვნაცაა; იგივე ითქმის **მონყა-**

პულერზე – წყაპულუა უშნოდ თხუპნია **წერა** და **წყაპულუა** ჭუჭყიანი სითხით მოთხუპვნაა და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულის კონტექსტში უკვე ღირსსაცნობი ხდება ფაქტი მასზედ, რომ **წერისა** და **„ჭუჭყიანი სითხით მოთხუპნვის** შინაარსის მქონე სიტყვები **წ ბგერასა და , წყ, ჩხ** კომპლექსებს ან მათ ფონეტიკურ ორეულებს რომ შეიცავენ. მაგ: **ჭყ-ს** (< **წყ**) 585. მოჭყაპულერში; **ძლ-ს** (< **წყ**) **მოძლაბულერში; ჩხ-ს მოჩხაპულერში** და **წყ-ს მოწყაპულერში**. ამის გათვალისწინებით, ადვილია აღვადგინოთ ზოგადად გაჭყუჭყანების (მოსვრის) აღმნიშვნელი სახელის – **586. ნიკუა-ს** პრეფორმა **ნიწყუა*: ნიწყუა*** >587. **ნიწკუა** (წიწკუა = ზიზღება) > **წიკუა** „მოსვრა.“ ამ უკანასკნელის მიმღეობრივი ნაწარმი – 588. **ნიკვილი** „ჭუჭყიანი“ კუმშვისა და **წ**-ს წინ **მ**-ს განვითარების შემდეგ ქართ 589. **მწიკვლი**-"ჭუჭყ-"ს იძლევა: ნიკვილი > **მწიკვილი*** > მწიკვლი. მეგრ. **590. მოწინკ** = მეზიზღება. მ. ე აქ **ზ წ** წარმომავლობისაა: **წიწყ > ზიზღ (წ > ზ იხ გვ.);**

ქართ. 591. **ჭუჭყ-**ის წინარედ, უეჭველია – **წუწყია*: წუწყ > ჭუჭყ;**

მეგრ. 592. წინდა „ჭუჭყის“ **დ** (იხ გვ. 223 ჩხვინდი და ჩხნდეს ეტიმოლოგიისას გამოვლენილი ტიპიური ცვლილებები) იმაზე მიუთითებს რომ თავსაწყისს **რ-ი** სუფიქსაცია გააჩნდა: წყი**რ** > წყინ**რ** > წყინ**ჯ** > წყინ**დ** > წინდ-ა მეგრ. „ჭუჭყი;“

ქართ. // მეგრ. 593. **წმინდა წ**-ს წინ **მ**-ს განვითარებისა და მეტათეზის შემდეგ, წინდა-დან მომდინარე და ამ უკანასკნელის ანტონიმური ცნების სახელია: წინდა > მწინდა* (შდრ. 594. წვანე > 595. **მწვანე**) > მეტათეზი (შდრ: **მწარ-ი** > **ძმარ-ი**) > **წმინდა; უ** უარყოფის პრეფიქსით და **ურ** სუფიქსით იწარმოება **წინდ-ა**-დან – მეგრ. 596. **უწუნდური** „უწმინ-დური“: წინდ-ა > **უ**-წინდ-**ურ-ი*** > უ-წუნ-დური; ეგრევე: **წმ**ინდა > 597. **უწმინდური.**

მეგრ. წინდა „ჭუჭყის“ ანტონიმი მეგრ. 598. **წკონდა** „სუფთა, კამკამა“, ამოდის ალომორფ **წყორ**-იდან იგივე ფონეტიკური ცვლილებებით, როგორც – წინდა – **წყინრ**-იდან, ოღონდ აქ **ყ** ამოწეულია **კ**-დ: **წყორ** >(ნ-ს ჩამატება შდრ: ჯიხაშჯირი // ჯიხაჯირი > ჯიხანჯირი) წყო**ნრ*** > (**რ** > **ჯ** > **დ** იხ გვ. 223) წყონ**ჯ** > წყონ**დ** > წ**კ**ონდ-ა მეგრ. „ სუფთა, კამკამა;“

ქართ 598. კამ-კამი // მეგრ. კა-კაბ-**ი მ** და **ბ**-ს ექვივალენტებად წარმოაჩენს: **(ბ < მ). მ** კი **რ > მ** მონაცვლეობის შედეგია; **კ წყ > წკ-ს**

ნაშთია: საწყისია დუბლირებული მეგრ. **წყარ-ი** „წყალ-ი"ს **წყარ** ძირი: . წყარ-წყარ* > 599. წკარ-წკარ (შდრ. წყლის 600. წან-წკარ-ი) > **(რ > მ)** წკამ-წკამ:: **წ**-ს დაკარგვა (შდრ: წყურვილი >// მეგრ. ღუმენი) > **კამ-კამ**-ი. ეს უკანასკნელი გამარტივებით > კა-კა**მი** > 601. კაკაბ-ი // 602 კაკაბია მეგრ. „კამ-კამა" სიტყვას იძლევა. ეგრევე: წყირ-წყარი* > 603. წკირ-წკალი // 604. წირ-წკალი მეგრ „სუფთა. ქათქათა; იგივეა // 605. **წკარ-წკალ**-ია; წირწკალი **რ > ნ** როტაციით > ქართ. 606. წინ-წკალი „შხეფი წყლისა" ხდება;

როგორც ვხედავთ, საპირისპირო – ჭუჭყისა და სისუფთავის ცნებები წყალთან ყოფილან კავშირში, დასაბამიდან რომლის ადამიანთან კონტაქტის პერმანენტულობამ, ამ სიტყვებში ორი ანტონიმური ცნებების ქონების იმანენტურობა გამოიწვია.

მეგრ, **წყარ-ის** დუბლირებით, **წყარ-წყარ***-ის პირველ ნაწილში **ყ**-ს დაკარგვისა და მეორეში **ყ > კ-ს** შედეგად, მეგრ. 607. წარ-წკარ-ი და ქართ. // 608. წან-წკარ-ი მიიღებიან; ამ უკანასკნელთა მეორე ნაწილის **წკ** კომპლექსი პირველში **წყ (> წკ)**-ს აღადგენს.

წარ ალომორფის დუბლირებით, **რ > ნ და რ > ლ** მონაცვლეობის შემდეგ: მეგრ. // ქართ. 609. **წან-წალ** სიტყვას ვღებულობთ, რომელსაც თითქოს წყალთან რა უნდა ქონდეს საერთო, მარა არა – აქ წყლის ტალღების მოძრაობებია ეტიმ. ამოსავალი... ამიტომაც გვაქ მეგრ. 610. ნ-წალ-უა // 611 **წალ**-უა"მიწისძვრა": **წალ + უა** წყლიანობაა მეგრულად.

მეგრ. 612. მე-ნ-**წყერ**-ი და ქართ 613. მე-**წყერ**-ი მეგრ. **წყარ**-ი „წყალ" -თან **ე : ა** შესატყვისობას წარმოაჩენს: წყერ : წყარ **ღაფუა, ქა, რქა მოჭიქვა, ღებვა, ხატვა, სწავლა, წერა 614. წყაფ-უა // 615. წყაფ-ულ-უა // 616. წყაპ-უა მეგრულად არის თხუპნიაობა და უხარისხო ხატვა, ღებვა, ან წერა.** მ. ე. მეგრ. 617. ღაფ-უა „ღებვა" – წყაფ-უა-დან, ხოლო ქართ. ღებვა **წყეფ-უა***დან ყოფილა მიღებული. აგრეთვე: რაკი გვაქ ქართ. 618. **წე-ბ-ვა**, // მეგრ. 619. **ჭა-ბ-უა** „წებვა" **წა-ბ-უა***-დან ყოფილა. მითუმეტეს რომ **წა, როგორც მრავალჯერ მიუთითეთ,** წყალია მეგრულად.

მეგრ. ქა „რქა". **+ ნა** – იქნება **წყალი + რქა.** ძველად **რქა** გახლდათ სახელდახელო ჭურჭელი, წყლის სასმელად გამოსაყენები. ამიტომ 620. **ჭიქა** დასაბამში, უთუოდ, **621. ნაქა** ფორმით არსებობდა: **ნა-ქა > ჭიქა.** ასევე იხ ივ. ქავთარაძე ი.კ.ე. გვ. 385.

აქვეთქმულიდან გამომდინარე, 622. მო-**ჭი**-ქვა სიტყვას, თავდაპირველად საგნის თხევადი საღებავით შეღებვის გაგება ექნებოდა. თერმიული და სხვა პროცესებით საგანთა ზედაპირის დამუშავება გვიანდელია და ეს მნივნელობა სახელში **მოჭიქვა**, უთუოდ, ასევე გვიანდელია.

ჩხა-პ-უა მეგრულად არის წყლის სხურება. **ჩხაპულუა**, ზემოთქმულ **წყაფ-უა // წყაფ-ულუა // 623. წყაპულუა-ს მსგავსად, უხარისხო ხატვა, ღებვა, ან ნერაა: იქ თუ წყ განაპირობებდა წყალთან კავშირს, აქ ამასვე აკეთებს ჩხ ბკ (იხ ჩხ ბკ).**

დღეს **ჩხუტი „ჭურჭლეულის სახეობაა“, ხოლო ჩხატი (კუთხ.)** „ჩანჩქერია“. აქ წყალთან კავშირს **ჩხ** კომპლექსი განაპირობებს, ქართ. წყურტი //> **ჭყ**ურტი „შაქრიანი დიაბეტი"-ს აღმნიშვნელ სიტყვებში **ჩხ**-ს ადგილზე, იმავე ფუნქციით, **წყ** და **ჭყ** დგანან“: იმავე ფუნქციით იმიტომ, რომ შაქრიანი დიაბეტი ხომ წყლის დიდი რაოდენობით მიღების მოთხოვნილებით ხასათდება. მოკლედ წყლის მნიშვნელობის **წყ და ჩხ** პარალელები სახეზეა მაგრამ რაკი **წყაპ-ულუა // ჩხაპ-ულუა წყ და ჩხ** კომპლექსის დამსახურებით ხატვა-ღებვას აღნიშნავს, ლოგიკურია დავუშვათ: ძველად იმასვე აკეთებდა **ჩხუტ-ი** და **ჩხატ-ი**. ასევე **ჩხატ** ძირის ზმნა – **ჩხატ-უა*** და აქედანაა ქართ ხატვა: (**ჩ**-ს დაკარგვა, შდრ: მეგრ. **ჩხ**იორი >// ხიორი „სრიალის ხმაური") > ხატ-უა* > ხატვა;

ჩხატ-უა* > ხატ-უა* (ნ-ს ჩამატება > ხა(ნ)ტუა მეგრ. „ხატვა“.

ლანკარ-ი, ბ-წკარ-ი, ჭურჭული, წერტილი, წერათ-წერა, ჭარა, ჭარუა, წერა, სწავლა

მეგრ. წყარ-ი >// ქართ. წყალ-ია; მეგრ. წყარი-დანაა ასევე ლაზური წკარი „წყალი:“ ამ უკანასკნელის **ლა** პრეფიქსაციითაა მიღებული სამწერლობო ტერმინი მეგრ. 623. **ლა-წკარ**-ი „ბწკარი“, ხოლო **ბ** პრეფიქსაციით კი – ქართ. 624. **ბ-წკარ**-ი.

625. ჭურ-ჭული მეგრულად 626. **წინ-წკალ**-ია: 627. ჭურჭულამ კაბა „წინწკლებიანი კაბაა“. იმავდროულად, 628. **ჭურ-ჭულ**-ი სასვენი ნიშანი – „წერტილია.“ ამ სიტყვის წყალთან კავშირი უდაოა: გარდა, განხილულ **წყარ-ი >// ლა-წკარ-ი // ბ-წკარ**-ისა და **წინ-წკალ** სიტყვისა, ქართ. 629. **ჭურ**-ი და მეგრ. 630. **ჭურ**-ია „ტბაც“ ამაზე

მეტყველებენ: 631. **ჭურია** გადატანით თვალის გუგაცაა. მეგრ. გამოცანაა: ჩქიმი ჭიჭე ჭურია ცაშა მიანჭუნია – „ჩემი პატარა ტბა ცამდე სწვდებაო (= თვალის გუგა)..."თვალის გუგა, მეგრულად იგივე თოლიშ **ჭურჭული** ანუ „თვალის წერტილია": მ. ე. როგორც **ჭური** და **ჭურ**-ია მეგრ. „ტბა"ს ამოსავალია **წურ** წყლის ალომორფი, ეგრევე **ჭურ-ჭულ**-ის პრეფორმაა 632. **წურ-წურ-ი***: მოხდა **წ** > **ჭ** გადაწევა და **რ** > **ლ** მონაცვლეობა: **წურ-წური** > **ჭურ-ჭული.**

ქართ. 633. **წერ-ტილ**-ც **წერ და წირ** წყლის ალომორფებისგანაა წარმოებული: **წერ** უცვლელად დარჩა, ხოლო **წირ** > **ტილ** ფორმად გადაიქცა: **წერ-წირ*** > **წერ-ტილ:** აქ ფრიად საინტერესო ვერსია იბადება: იქნებ ქართ **წერ-ტილ-ი წერა** და ცოცხალ არსება **ტილთანაა** კავშირში – **„საწერი ტილი"** შინაარსის ამოსავლიანობით: **ტილი** ხომ წერტილივით მრგვალი და პატარაა... ვფიქრობ აქ დამთხვევასთან გვაქვს საქმე, რადგან 634. **ტილ**-ი სახელიც **წირ***-იდანაა ისევე როგორც 635. **მწერი – წერ**-იდან. საერთოდ, მწერების სახელები წყლის ალომორფებიდან არიან. ნ. მარის მიხედვითაც სომხ . // მეგრ. 636.**ჭანჭ // 637. ჭანდ < მწერ** ამოსავლიანობისაა. ეგრევეა: **წერ***-ი > მწერ-ი; წირ-ი* > 638. ნილ-ი ქართ. „ტილის კვერცხები;" წირ-ი* > 639 მწირი ლაზ „რწყილი;' 640. **წყირი** მეგრ. „რწყილი"; **წყირ-ი*** > 641. **ჭკირ-ი** > მეგრ. „ტილის კვერცხები"; **წი** > 642. **ტი** მეგრ. „ტილი"; **წირი*** > **ტირ-ი*** > ტილი...

მეგრ. 643. **ჭარა** არის „ ბედი"; იგივეა– ქართ. **644. წერა:** შდრ: **„წერას აუტანიხარ":** თუ ქართ. **წერას // 645. წერათ-წერას** (ბერძნ. მოირა) და მეგრ. **ჭარას** ერთი აზრობრივი ამოსავლიანობა გააჩნიათ (რაც უცხადესია), მაშინ ეს კავშირი მათი სიძველის მაუწყებელი იქნება... გასათვალისწინებელია ფერების წყლის მნიშვნელობის ბ. და ბკ-ებთან კავშირი: მაგ: თუ მეგრ. **ნარ-ი**, რომელიც დღესაც მოფერებით წყალია, ერთ დროს, ფერად სითხესაც ნიშნავდა, ადამიანის მიერ, ამ უკანასკნელით (**უა** სუფიქსით გამოხატულმა) ქმედებამ – **ნარ-უა***-მ **წერის** მნიშვნელობა შეიძინა. ეს ფაქტია, რადგან მეგრ. 646. **ჭარ-უა არის წერა:** ზუსტად ეგრევე მოხდა ქართ **წერა**-ს შემთხვევაში, ოღონდ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამოსავალია **წერ** ალომორფი: წერ-უა* > 647. წერა ზემოთხსენებული, მეგრ. **ჭარ-უა**-ს პრეფორმა – **წარ-უა***, **რ** > **ლ და უ** > **ვ** ცვლილების შემდეგ, > **წალ-უა (მეგრ. წარ-ი და წალ-ი მოფერებით წყა-**

ლია) > წალ-ვა* და 648. ს-წავლა-ს იძლევა. ანუ, **თავიდანვე, ქართ. სწავლა უშუალოდაა წერა-სთან ასოცირებული!...**

მაგარ საგანზე წერის მამტკიცებელი მასალა

ივ. ქავთარაძე, ქართველ მეცნიერთა კვლევებისა და საკუთარი ანალიზის საფუძველზე, მიდის დასკვნამდე, რომ წარსულში"...**წერ** ფუძეს 649. **ჭრის**, კვეთის, 650. ფხაჭნის მნიშვნელობა უნდა ქონოდა..." მაგრამ უდაოა რომ **წერ // წარ // წყალ** და ა. შ. ალომორფები **ფერადი სითხის, საღებავის, საწერისა და წერის** მნიშვნელობებს განაპირობებდნენ. ასევე მათი მნიშვნელობებია 651. **ჭრილობა და 652.** ნაჭრილოვებიდან **სისხლის** გამოდენაა. ხოლო მაგარ საგნებზე 653. **ჭრის, კვეთის, 654.** ფხაჭნის შემოქმედება, შედარებით, გვიანდელია. მ. ე. წარსულში **წერ**-ის მიერ **ჭრის, კვეთის, ფხაჭნის** მნიშვნელობის ქონება პირვანდელი **655. დაჭრის** მნ-ის გადაადგილებაა. ამას ის ფაქტიც ამტკიცებს რომ ჩვენს ენებში პოვნიერია მაგარ საგანზე წერის არსებობის სამტკიცი მასალაც:

ზემოთ ვანახეთ რომ ქართ. სწავლა კავშირშია ფერადი სითხით წერის აღმნიშვნელ – რესტავრირებულ ***წარუა*-სთან****: მეგრ. გურაფა (გურუ სანსკრ. = მასწავლებელი ნ. კვაშილავაა)კი აშკარა კავშირშია შუმერულ მაგარ საგანზე – გამომწვარ დისკოზე ნაწერთან – გურთან: მართლაც რა არის წერა თუ არა ბგერის ფარული არტიკულიაცია, რომლის შესაბამისად, თითების მექანიკური მოძრაობით ხდება აზრის საწერ საგანზე გადატანა, მისი მრავალგზის გამეორების შეძლებისთვის. მაგრამ ეს კითხვაა, ეს სწავლის პროცესია!. საერთოდ, ამდაგვარი გენეზისური წნულების არსებობა, ზედმიწევნით შესაბამისობაში მყოფი სახელდებები ნათელსა ჰფენენ ყველაზე უმთავრესს: **იმას თუ ვინ არიან პიონერები დამწერლობაში...**

ჩხ, ნყ ბკ-ის და ნ ბგერის ალომორფებიდან წარმოქმნილ დაჭრის სემასიურ ველში განფენილი ლექსიკა

ფონეტიკურად, თითქოს არაფერია საწეთო ქართ. 658. **ტირილი;** მეგრ. **659. გარა // 660. 661. ნგარა;** ლაზ. **662. მგარა // 663. ბგარა-ს** შორის: ა. ჩიქობავამ (შ ლ. გვ 359), მართებულად მეგრ-ჭან. **664. გარა, ნგარა მგარა, ბგარა-ს** ქართ. 665. გლოვა შეუფარდა. ე. ი.

გლოვას გლ ნაკუმში გოლ*-ია. იგივეა მეგრ. 666. რგუალა „გლოვას“ **რგ,** ოლონდ აქ, დამატებით, **რ** გადასმულია: **რუგ*** > **რგ** > **გრ.**

ლაზ. წყალი 667. წკარ-ია, ხოლო მეგრულში რაკი წყარ-ი გვაქვს ოდესღაც ტირილი, ერთმანეთთან მიმართებით ამ ორ დიალექტში 668. **წყარა** მეგრ. „ზედმიწ."წყლიანობა“ ყოფილა“. მ. ე. **წყ** კომპლექსიდან **წ**-ს დაკარგვა და **ყ** > **კ** > **გ** მომხდარა(შდრ. ყოინდარი > კოინდარი ა. მ ბ. ლ. შდრ: ხურაგო > ხურაკო ფშავი ბ. ჯ. ქ. დ.): წყარა >// 669. წკარა > კარა* > გარა. შდრ. ქართ. 670. გრობას ეტიმოლოგია. იხ. ქვემოთ. გვ. 136.

ქართ. ტირ-ილ-ის ეტიმ. რიგში, წყირ* ამოსავლიდან, **წ** > **ტ** დეზაფრიკატიზაციის და **ყ** > **კ**-ს შემდეგ როგორცა ჩანს, **კ** ამოვარდა, რასაც ადასტურებენ გარა < // წყარა* და ტირ-ილ-თან – ჭკირ-ილ-ი // და-ჭრ-ილ-ი, 670. **ტკვარ**-უა. მეგრ. **ტკ**-ივ-ილ-ი, 671. **ტკვარტკვალი** < 672. **წყვარწყვალი** „წყლის ღვარი“ > 673. **ტკვარი** // მტკვარი მეგრ. // ქართ. სიტყვების ეტიმოლოგიური რგოლების, შინაარსობრივი და აგებულებითი მიმართებები:

წყ-ირ(-ირ-ი)* > 674. **წკ-ირ-ირ-ი** // 675. წკ-ირ-ილ-ი მეგრ. „ გა-პობილი“. ეტიმ. იგივე „დაჭრილი;“ **წკ-ირ-ირ-ი** > 675. **ტკ-ირ-ილ-ი** // 676. ტკირირი მეგრ. „გაბზარული ქვა ან კედელი“; ტკ-ირ-ილ-ი > ქართ. ტირილი; **წკ-ირ-ილ-ი** > ჭკ-ირ-ილ-ი მეგრ. „დაჭრილი“;

წკ-ირ-ილ-ი > 677. კ-ირ-ილ-ი მეგრ. „დამწვარ-დანახშირებული;"

ჭკ-ირ-ილ-ი მეგრ. „დაჭრილი“ ჭკ კომპლექსის გამარტივებით > ჭ-ირ-ილ-ი* > და კუმშვით 678. ჭრილ-ი // („და)-ჭრილ-ი მიიღება“; ამ ქართ. ჭრილიფორმას მეგრ. წირ-ილ-ი შეეფარდება = „ 1. დაწურული და 2. დაჭრილი“; მეგრ. წირუა // წირუა = „დაჭრა“

წყუ(-არ-ი)* > 679. **ტკუ-არ-ი** // 680. ტკუ-არ-**უა** // ტკვარუა „ძვალ-სახსრებში ტკივილი, მტვრევა:“ > **ტკუ**-არ-ი > ჰიდრონიმი . „მტკვარი:“ ეტიმ. ამოსავალია „მტვრევა“;

წყ-ირ(-უა*) > 681. წკ-ირ-უა მეგრ. „პობა;“ **წკირ**-უა > 682. **ჭკირ**-უა „მეგრ. „ჭრა, დაჭრა;"

წურუა მეგრ. „დაჭრა:“ დო-**წური** = დაჭერი;

წყურუა* > წურუა „მეგრ. მიწის სიმეტრიულ ნაწილებად გუთნის კვლებით დაჭრა (იხ ქვემოთ);“ წყურ(-უა)* > 683. წყ-**უნ**-უა იგივე მეგრ მასდარი 684. წყუნ-**აფა** „ტკივილის მიყენება“ წყ-**ურ**-უა* > წყ-**ულ**-უა* > 685. წყლული) > 686. წყლვა ძვ. ქართ."დაჭრა“.

დასახელებულ, **წყირ და წყუ // წყურ**-იდან წარმოქმნილი სახელები, უცხადესად წარმოაჩენენ **წყლისა და დაჭრის** სემასიის ველის სახელთა ურთიერთ განპირობებულობას.

წყალი სიცოცხლის სიმბოლოა: დალოცვაა: წყარიშ ძალა მერჩას – „წყლის ძალი მოგცესო:" წყლის ძალაში აქ სიცოცხლის ძალმოსილება იგულისხმება. ხოლო რაკი **წალ**-ი, დღესაც მეგრ. წყალია: **წალ-ა*** > 687. **ძალა** უპრობლემოა. წყლის მიერ სიცოცხლის განმაპირობებელ ძალმოსილებაზე მიუთითებს, ასევე თქმა: ჯაქ მოხომ და ჯა ლადირიე = „ხე გახმა და ხე ნედლია" მაგრამ გამხმარი ხე მკვდარია, ხოლო ნედლი – ცოცხალი. გარდა ამისა ნედლის სინონიმია 688. მეგრ. **ჭყინტ**(ცვალი) – „ჭყინტი ყველი," და 689. **ჭყუნტურუ** „ ნედლი, ჩვილი, ყმაწვილი."ესენი სითხის შემცველობაზე მიუთითებენ.

"... აღსანიშნავია, რომ ყაბარდ. სულს, სულიერებას, სიცოცხლეს, ცხოველურ ძალას „ფსე" ეწოდება, ხოლო წყალს, მდინარეს, წყაროს „ფსჲ"..." ივ ჯავახიშვილი. ქ. ე. ი. შ. გვ 35.

ამის პარალელია რუს **Живот-ное** „ცხოველი," ძვ რუსული **Живот** „სიცოცხლე". ახ რუს. **Жизнь** „სიცოცხლე," **Живой** ცოცხალი. ყველგან სიცოცხლის ცნებას **Ж** ბგერა განაპირობებს, რომელიც გიორგიული **შ** ბგერის ექვივალენტია რუსულში.

ძვ. ქართ. **ცხოველ**-ს სიცოცხლეს მნიშვნელობაცა აქვს. დღესაც **ცხოველ**-ი კამათი = **ცოცხალ** ანუ აქტიურ კამათს. აშკარაა – ამ **ცხოველ**-ი ტერმინის **ცხოველ** ფუძე **ჩხ** კომპლექსის **ჩხოურ**-იდანაა > **ცხოულ*** > ცხოველ: იმავდროულად, ჩხოურ ალომორფი მეგრ. ძროხებ-ის აღმნიშვნელ ფუძეს – ჩხოულ-ს იძლევა (შდრ. ჩხოუ „ძროხა: ჩხოულ-ეფი „ძროხები"):

მაშასადამე, ქართ. **ჩხოურ*** საწყისი ჯერ ძროხის აღმნიშვნელი ყოფილა და შემდეგ გაუფართოებია ეს მნიშვნელობა ზოგადად **ცხოველის და სიცოცხლის** ცნებად (იხ ჩხ ბკ).

მეგრულშიც მსგავსი მოვლენებია: **მეგრ. რე** „სტატიკური ზმნა **„ა-რი-ს"** + **ინა** > **რინა** „არსებობა, სიცოცხლე, ცხოვრება"; **ო-რინ**-ი „საცხოვრებელი" და **ო-რინ**-ჯი „ცხოველი."

ქართ სიცოცხლეს **ც ბგერა ჩხ**-ს ფრაგმენტია, **ცხლ** შეკუმშული **ჩხერ** ალომორფია, **ცო** კი **ჩხორ**-ის ფრაგმენტია: **ჩხორ-ჩხერ*** > **ცხო-ცხერ*** > ცო-ცხლ + **სი-ე** > სი-ცო-ცხლ-ე.

ამგვარი პარალელიზმების მეზეზები ერთ ობიექტში, იმანენტურად, სისხლის და წყლის მნიშვნე-ლობათა ქონებაა (იხ ჩხ ბკ): ბუნებასთან ემპირიული მიდგომითა თუ პერმანენტული ცხოვრებისე-ული დაკვირვებებით, ნებსით თუ უნებლიედ მივიდოდა ადამიანი ამ დასკვნამდე, რამეთუ ამჩნევ-და: ის რაც ხმება მასაში კლებულობს, ჩიავდება და ამის მიზეზი წყლის დაკარგვაა. წყალი კი მოძრ-ავია და იმავდროულად ხმასაც გამოსცემს: იგი თავადაა სიცოცხლის განსახიერება.

"... ზან. ჩალუფს (მეგრ. ჩალუნს ე. ი.) ზმნისაგან ნაწარმოებია მიმღეობა ნაჩალუ // ნაჩალი, ზედმიწ „ნაცელავი // ნაცელ-არი". ამ ზმნისაგანაა მიღებული ქართ. ჩალა შეთვისებული ზანურიდან..." არნ ჩიქობავა. თანამედროვე მეგრულში, **ნა-ჩალ-უ** მხოლოდ ბალახის ნაცელარი კი არაა, არამედ ეწოდება ნებისმიერ ყანას, მოსავლის აღების შემდეგ გაოთავისუფლებულს.

ეს იმაზე ხომ არ მიგვანიშნებს, რომ ნებისმიერი სასოფლო სამეურნეო კულტურის სხეულს ნაყოფის გარეშე , ესე იგი ერთწლიანი კულტურის იმ ნაწილს, რომელშიც, გახმობისას წყლის მაცოცხლებელი როლი ყველაზე თვალში საცემია, **ჩალა (< ჩხალა)** ეწოდებოდა? აქედან გამომდინარე, მეტაფორაა თუ წყალ // სისხლთან სემასიური კავშირის შედეგი პიროვნების მახასიათებელ სახელ მეგრ. **ჩალა-ში** „უნიათო, უსისოცხლო, ლაჩარი"ს გაგება: თუ ვიცით რომ **წყ და ჩხ** ბკ-ები განაპირობებდნენ წყლის, ზოგადად სითხის, და სისხლის მნი-შვნელობებს, მაშინ ლა-**ჩარ**-ის (< ლა-**ჩხარ**-ი) მოსალოდნელია ქონებოდა სა-წყლე იგივე სა-სისხლე-ს მნიშვნელობა." **სასისხლე** შეიძლება იყოს იგივე **უსისხლო,** იმდაგვარადვე როგორც ნებისმიერ სა-ჭურჭლე დასაშვებია იყოს შიგთავსის გარეშე: მართლაც, მეგრ. 690. ჭყანა „ძალა, სიმხნევე"და 691. უ-ჭყან-ე „უძლურში" , ფაქტია, თუ **წყ > ჭყ** აქ სისხლს განასახიერებს, უჭყანე (< უწყანე*) უდრის უსისხლოს. მისი სემანტიკური საფეხურებია: **„უსისხლო > უსიცოცხლო > უძლუ-რი"**... ლა-**ჩარ**-ის შემთხვევაში კი: **უსისხლო > უსიცოცხლო > ლაჩარი** (შდრ: სი უზისხირე მეგრ: „ზედმიწ. **შე უსისხლო.** სიმბოლურად კი = **შე ლაჩარო, მხდალო;**" იგივეა შე უჯიგრო: „ზედმიწ = **შე უღვიძლო.** სიმბ-ად კი = **შე მხდალო.**" იხ. ა. ჩიქობავას დაბადების 80 წ მიძღნილი კრებული. გვ 169).

"სვ. ...692. **წორ** – მისაგებელია: .ერთი გვარი მეორეს გადაეკიდებოდა და ამას თუ მსხვერპლიც მოჰყვებოდა, იწყებოდა 693.

„ლიწვრი“ – სამაგიეროს გადახდა. ეს ზმნაა, არსებითი სახელის ფორმაა 694. „წორ“...“ ელა გურჩიანი. მეგრ. 695. **წურ-**უა დაჭრაა, რაც წითელი სისხლდენის გარეშე არ ხდება, ამიტომ, სვ. 696. **წურ-**ზისხ, 697. ხო**წურ**;"სისხლი დასდის,698. **წურნი** „წითელი“ და სხვა დასახელებულ სვ. სიტყვათა ეტიმ. ამოსავლიანიბა სისხლის მნიშვნელობითაა შეპირობებული. იგივეა მეგრ. 699. **უ-წურ-წუფუ // 700. უწურ-წურუ** „ქალწული“ ანუ „დაუჭრელი“, რადგან 701 **უწურუ** მეგრულად „დაუჭრელია“; უპირველეს ფსიქოლოგიაში დაჭრა – სისხლის, როგორც სითხის (წყლის) გამოდენის აზრობრივ წარმოდგენებთან ასოცირდებოდა, ხოლო, ბუნებრივია, შვილის გაჩენის, ქალის და სექსის წარმოდგენები **დაჭრას** დაუკავშირდა, რადგან პირველი სექსი ქალისთვის, ფაქტობრივად არის **დაჭრა. დაჭრა** კი, როგორც ითქვა, მეგრულად არის **წურ-**უა: **უ-წურ-**უო ვაგუტუა = „დაუჭრელად არ გაუშვა:“ ეს **წურ წყ** კომპლექსიდან **ყ**-ს დაკარგვით ხომ არაა მიღებული, რადგან ძვ. ქართ **წყლვა** და // მეგრ **ჭკირუა წყ > ჭყ** კომპლექსებს შეიცავენ. ამაზე ასევე ქართ. სექსის აღმნიშვნელი ვულგარული მეტყველების სიტყვაც მიუთითებს, რომლის **ტყ** უეჭველია **წყ**-დანაა... როგორც ითქვა, 702. **წურ-**უა ასევე ნიშნავს „მოხვნის წინ სახნავი ფართობის, კვლების გავლით, სიმეტრიულ და ტოლ ნაწილებად დაგეგმარებას:“ კვალსა და კვალს შუა არსებულ ფართს 703. **წურუა დიხა** „წურუა მიწა“ ეწოდებოდა. მაგრამ ეს **წურუა** ანუ კვალის გავლება ფაქტობრივად მიწის **დაჭრაა** (იხ. ქვემოთ): ეს **წურ** ძირი ქართ 704. **წულ-**ის ფარდია: ძვ. ქართ. **წულ-ის** მნიშვნელობა არეულია: „.. ძესთან ერთად **წული** ქალსაც ნიშნავს...“ იხ. ლ. ნადარეიშვილი. ი.კ.ე. 20 გვ. 145-146. მ. ე. ამ **წ-ულ-ის** „ძე // 705. უფლის**წული** და 706.ქალ**წული** მეფისა“. ამოსავალია მეგრ. **წურ-**უა „დაჭრა-ს **წურ** ძირი»; მაშასადამე, მეგრული 707. **ც-**ირ-ა „გოგო, ქალწული“ მიღებულია **წ-**ირ-ადან.* შდრ. მეგრ. **ძა**, 708. **ძაბი** // 709. **ძაბუნია**, // 710. **ძაბა**, 711. **ძაბი** // 712. **ძაბია** „გოგო“ **(ძა < წა),**

წურ ძირი **წირ** ალომორფის სახითაც არსებობდა. ამაზე მეტყველებს მეგრ. 713.. წირ-**უა** // > ქართ. 714. **წირვა:** ეს რიტუალი თან ახლდა 715. **მსხვერპლშეწირვა-ს** ანუ 716. შესაწირის **დაჭრით მოკვდინებას.**: ამიტომაცა გვაქ ქართ. – 717. **წირვას გამოუყვანს = „მოკლავს“. აქედანაა 718. თავ-გან-წირ-ვა, 719. დუდ-გო-წირ-ილ-ი // 720. თავ-გან-წირ-ულ-ი. ამ უკანასკნელთა წირ** ძირს შეიცავს

ქართ. 721. **ქორ-წილ-ის** წინაფორმა 722. **ყორ-წირ-ი***, ასევე დაჭრის მნ-ბით. **ყორ** კი **ყ** ბგერის ალომორფია.

ეტიმ. 723. **ტა-ძარ-ი წირ ძირის დაჭრის მნიშვნელობიდანაა:** რაკი მეგრ. **თა** = „ადგილი"; **წირი** = „დაჭრა; **თა წირი** = დასაჭრელი ადგილი, მსვერპლშეწირვის ადგილი." აქედან **თ**-ს დაყრუებითა და **წ**-ს გამჟღერებით 724. **თა წირი*** > ტაძარი, გამჭვირვალეა და საეჭვო არაა.: **თა-წირი** > **ტა-ძირი*** > **ტაძარი:** უდრის „ადგილი სადაც შე-წირვა აღესრულებოდა".

ძვ. ქართ. **და-ჩხ-უე-პა** // მეგრ. **ჩხ**-ვეპ-უა = ცხვირპირიდან სისხლის მოდენა ცემითა; **ჩხ-ალ-უა** = მძიმედ დაჭრა. აქედან **ჩხ-ალ*** > ქართ. **ქალ-ი:** ასე რომ იქნებ მეგრ. **ძღა-ბი** „გოგო-ს," პრეფორმა **ჩხა-ბია*** ან **წყ**-დან – **წყ-აბია**, რადგნ 725. **ძღაბის** სინონიმი **ძა ხომ წა-დანაა.**

"...**ძღაბი ძა** + ბერძნული 726. **ალაპ** „სიყვარული»-დან ამოსულად (თ. სამხარაძე), რატომ ვიგულისხმოთ, როცა გვაქ ქართული 728. **ღაბ-უა**... მგონია ბერძნული. **ა-ლაპ** „სიყვარული" და ქართული. **ღაბუა**, პირიქით, მეგრული **ძღაბი** „გოგო, ქალწული»-დანაა, რადგან შეუძლებელია აბსტრაქტული სახელი (**ალაპ** „სიყვარული") სიყვარულის სიმბოლო ობიექტის (ძღაბის) სახელზე ადრე გაჩენილიყო... ეს მაგალითები, სუყველანი ერთმანეთს ურყევად ამტკიცებენ, რადგან სისტემურნი და, ეტიმოლოგიური ამოსავლიანობით, ერთგვაროვანნი არიან

ლაზ. 729. **წულ-უ** „პატარა□" **წულ**-ს შეესიტყვება სვ. 730. **ჭუშ (< წუშ)** „ძე, ვაჟიშვილი"ტ. გუდავა; ლაზ. 731. **წულუ** და // 732. **ჭუტა** „პატარა" **წ > ჭ** გადაწევასა და **წ > ტ** ცვლილებას გულისხმობს: ანუ **ჭუტას** წინაფორმა გახლდათ **წუწა*** (> **ჭუტა**). მეგრ. 733. **ჭიჭე** „პატარა" და 734. **ჭე** „ცოტა"ამაგრებენ ამ მოსაზრებას: **წიწე*** > **ჭიჭე; წე*** > **ჭე;** ქართ. 735. **პა-წია** კი მისივე **წია** ალომორფის ბაგისმიერი მადიფერენცირებელით გართულებითაა და შემდგომი გახმოვანებითაა წარმოებული: წია > **ბწია** > **პა-წია.** ქართ. **736. პატარას** კი **წარ** ალომორფამდე მივყავართ: **წარ*** > **ბწარ*** > **პტარ*** > **პატარა.**

"ყურადღებას იპყრობს 737. **ჭე**, რომელიც კახური 738. **ჭო**-ს და მეგრ. **წიე // წე-ს** მოგვაგონებს. თუ ამათთან კავშირში 739. **ბიჭი** ალმოჩნდებოდა, მაშინ, ამ უკანასკნელის სადაურობის საკითხიც შეიძლება გადასინჯულიყო..." ა. ჩ. „შ. ლ." გვ. 23. 1938. დიახ, აქ

ყველაფერი ნათელია: ლაზ **ჭე** < მეგრ. **740. ნე*;** კახ. **ჭო < ნო*;** ბი-**ჭი < ბი-ნი*; ძე** < მეგრ. **ნე...**

ჩამოთვლილ სახელთა დედააზრი „შვილი, პატარა" განუყოფელია ქალის (დედის) ცნებასთან. ქალწულის დედად გახდომა კი ძველმა ადამიანმა მართებულად დაუკავშირა **დაჭრას... სისხლს.** ეს უკანასკნელნი კი **ნ, ნყ და ჩხ**-ს მონაწილეობით სახელდებიან. ამაზე მეტყველებენ **დასაჭრელად გამოყენებულ იარაღთა და დაჭრასთან როგორც პროცესთან ასოცირებული შემდეგი სახელები:**

ლაზ. // მეგრ. 741. **ბურჭული** (< **ბ-ურ-წული*** < **ბ-წურ-წურ-ი*** < **ბ** + 742. **წურ-წურ***-ი) // 743. **წალდი;** 744 **ცულ-ი** (**წულ-ი***); მეგრ. 745. **ნყირ-ტაფა** // 746 ჭყირტაფა"ჩირქგროვის გახსნა"; 747.. ლეკური „ხმალი" <747. ლენყური (ეტიმ. = დასაჭრელი); „ცხვიტაფა </// **ჩხვიტაფა** „ჩხვლეტა;" 748. **ნობა;** 749. **სობა** // მეგრ.750. **ციკაფა „სობა";** 751. სიპუა „განგმირვა"(ს, **ც < ნ**); მეგრ. 752. ნწილ-უა „ჩაჭყლეტა".ნინას ქინგონწილა = ენას ჩაგიჭყლეტ; 753. „ნესტარი" **(ტ < ნ):** ქართ. 754. **წალ-დი:** მეგრ. **წალ-ი** „მოფერებით წყალი" + **დი > წალ-დი;; 755. ჭრა** < 756. **ჭარა*** (მეგრ. ბედი) < **წარა*** (**წა** მეგრ. წყალია: მეგრ. **წარ-ა*** //. **წყარ-ა** // 757. **წყარ-ალ-ა** 758. წყლიანობაა.); 759. **ბრჭყალი < ბრწყალი* < ბ + რ + წყალი** ; 760. **ბწკალი < ბ** +წყალი*; 761. **ნათი** „(ძვ.) „საბრძოლო კეტი" იხ ლ.ქ."; 762. **წვეტი,** 763. წვერო // მეგრ. 764. **წვანდი** // 765.წვანჯი; 776. **წაწვეტებული** // მეგრ. 777. წვანთირელი. ქართ. 778. **წოპი,** 779. **წოპე,** 780. **წო-წოლ-ა**), 781. **წოპ-წოპა** (იხ ქეგლ); მეგრ. 782 **ცანდუა** // (ქართ 783. **წალდვა**) „ბასრი იარაღით კვეთაა; გადატანითი მნ-ით ლერსის 784. **უცანდუა** = ლექსს ვკაფიაობ: **ცანდ < წალდ*; მეგრ. 785.** ბურ-**ჭულ-ი** წალდია, მარა მუს 7ბ6. ი-ბურ-**ჭულ-უქ** = „ რას ანჩხლობ;" ქართ. 787. **ცელი,** 788. **ცელვა** // მეგრ. 789. მეგრ ცალ-უა, 790. ნაცალა // 791 ნაცელარი (**ცელ // ცალ < წერ // წარ); 792. ცულ-ი (< წურ-ი*) ; მეგრ. 793. ჭვარ-უა „კაფვაა"** მ. ე. ქართულშიც იყო **წვერვა** (ნა-წვერ-ალი).* (**ჭვარ < წვერ**). **შდრ: მეგრ. 784. ჭვერ-ი > 785. // ჭველ-ა. იხ. ალიო ქობალია მ. ლ.**

ამათი პარალელია **ჩხ**-დან: მეგრ. **ჯღვალი // ჯღვალიკი // ჯღალი** „ბრჭყალი", სატევარისებრი ფესვები შალაფისა"; **ჩხალ-უა** „ღრმა ჭრილობის მიყენება (**ჩხალ-ირ-ი** = „მძიმედ დაჭრი-ლი"); ქართ. **ხმალი < მ-ჩხალი* < მ** + მეგრ. ჩხალი; ლახვარი < ლაჩხუარ*-

ი; **ჯღა < ჩხა*;** ქართ. ხანჯალი < ჩხან-ჯალი < ჩხალ-ჯალ-ი (**ჯალ** მეგრ. ხეს ძირია. მას მრავლობითი აღადგენს: **ჯა** „ხე", მარა **ჯალ-**ეფი = ხეები. მაშ, ხან **ჯალი < ეტიმ. ჩხალ-ჯალი* = დასაჭრელი ხე.** ე. ი. ხანჯალი იმდროინდელია როცა წაწვეტებული კეტი სახელდახელო საბრძოლო იარაღია.

796. **წვა** // მეგრ. 797. **ჭუალა.** კანის საფარის თერმული დაზიანებაა, როცა ანთებით 798. წვენის გამოყოფა ხდება, ამიტომ წყალთან მისი დაკავშირება კანონიერია. ამ წვენს ძველად უთუოდ **წუა*** ეწოდებოდა, რადგან ოღნაშოსა და ტყემლის წვენს 799. **წუა** ეწოდება. თავად 800. **წვე-ნი** ერთგვაროვანი კომპონენტებისაგან შემდგარი კომპოზიტია: ერთგვაროვანი იმიტომ რომ **წუა** თუ ოღნაშოს და ტყემლის წვენია მეორე ნაწილი – მეგრ. **ნე // ნი,** წვენიცაა და 801. მაჭარიც. ე. ი: **წუა + ნე** > 802. **წუენი // წვენი;**

წუა* > ქართ. წვა მეგრ. 803. **ჭუა** „ტკივილი"; 804. **შემწვარ-**ი მეგრ. // 805. **ჭვილ-**ი // < 805. **ჭვირი** ხშირად გადატანითი მნ-ით უბედურების გამოსახატავად გამოიყენება: მაგ: 806. **ვიწვი,** 807. იბჭუქ; 808. **დავიწვი** // მეგრ. 809. **დიბჭვი,** მაგრამ **დავიწვი ასევე** = დიდი უბედურება დამატყდა. ამის გათვალისწინებით, და რომ 810. ქართ. შე-მ-**წვარ-**ი // მეგრ. 811. **ჭვილ-**ი **წვარ // ჭვილ** ძირებს შეიცავენ, დავასკვნათ: 812. **წვალ-**ება – 813. **წამ-**ება, კავშირშია ამ ძირებთან: **წუარ* > წვარ > წვალ; წამ < წარ;** მეგრ. **ჭვილ** ძირიდან კი მეგრ.// ქართ. 714. **ჭვალი** „ გარკვეული ხასიათის ტკივილი" მიღება; 815. მსჭვალვა, 816. გამსჭვალულული // მეგრ. 817. **ჭალაბუა,** // 818. **ჭალაბერი (ჭალ < წალ);**, მეგრ 819. ნჭვილუა „განგმირვა", 820. ქონჭვილ = განგმირა; 821. **ჭვირთი // ჭვილთი** „შუბი"ი, 822 **ჭვირთ-უა** „დაჭვილთვა": **წორ* > წურ* > ჭურ შდრ. მეგრ. წურუა დაჭრა და 823 სა-ჭურ-**ისი; **წორ* > ჭვირ;** 824. ძგერვა (აძგერა); 825 მეგრ. 826. ძგვიტუა „ჩხვლეტა", 827 ძიგირი „ეკალი"; 828. ძგოპი „წაწვეტებული კიდე"; **ძარღვი** 829. // მეგრ. **ჯერღვი;** 830. მყესი // მეგრ 831. **ჭვერხი;** იხ. ა. ქობალია მ.ლ.

იქ სადაც საბრძოლო იარაღის ტრიალია, დაჭრა და წვა-წამებაა იქ ტერმინებიც შესაბამისია.: მეგრ. 832. **წყუნა** // ქართ. 833ტკენა. **წყ > ტკ; 834. წყენა // 835. მეგრ. წყინაფა; 836. წყევლა // მეგრ. 837. ჭყალა; 838. მო-წყენილი // მეგრ. 839. მო-წყინ-აფილი; 840. წყდომა // მეგრ. 841 ჭყვადუა, 842. ჭყვიდუა „ხოცვა"...**

წ და ყ ბგერათა შერწყმით მიღებულ წყ-დან წარმოქმნილი სკ, სქ კომპლექსიანი სახელები: სკუალა, სკუა, წიწილა, სკი, სკირი, ყრმა

ი. ყიფშიძეს მიხედვით, მეგრ. კვერცხისდება აღინიშნება 841. **სკუალა**-თი. 842. **სკუა // 843. სქუა** (ასევე ამათი სინონიმები – **844. სკი // 845. სქი, 846. სკირი // 847. სქირი**) კიდევ შვილს ნიშნავს. გამოდის **სკუა-ლა**-ს „კვერცხისდებას" პირველი მნიშვნელობა **შვილის გაჩენა – შობა** ყოფილა. ანუ **კვერცხი** ჰომინიდს ქათმის **შვილად** ქონია წარმოდგენილი. იხ. იოსებ ყიფშიძე „მეგრული ენის გრამატიკა ლექსიკონითა და ქრესტომათიით..."

აქ ყურადღება იმაზეც უნდა გამახვილდეს, რომ ეს და სხვა მსგავსი, უძველესი, მეგრული ფილოსოფიური აზროვნების მაგალითები უაღრესად ლოგიკურნი არიან და კოლხური კლანის დასაბამისმიერობაზე, განუწყვეტლივ და ჯიუტად მიუთითებენ. იმ ფაქტს, რომ, მეგრულში, **სკ**-უა „შვილი" და **სკ**-უა-ლა „კვერცხისდებას" **სკ** კომპლექსი, უწყვეტად, მდინარეთა სახელებს აწარმოებს (***849. სკური***, 850. სკურია, 851. დია-**სკური**,852 **სკურჩა** და ა. შ.) ის ადეკვატური ახსნა უნდა მოეძებნოს, რომ მათი **სკ**, ყოველმიზეზსგარეშე, წყლის მნიშვნელობის განმაპირობებელ **წყ** წარმომავლობისაა. მოგეხსენებათ, მეგრ. **წყარი** და ლაზ. **წკარი** „წყალი" დიალექტური სახესხვაობები არიან. აგრეთვე **სკური**, როგორც ითქვა, მდინარეა მეგრულად, მარა პატარა მდინარეს – **წყაროს** სახელია 853. **წყურ**-ი. აგრეთვე, **წყარი** წყალიცაა და მდინარეც: **სკურ**-ი „წყალი, მდინარე" მიღებულია **წყური**-დან, რადგან, როგორცა ვთქვით, **წყუ და წყური** მეგრუად. არის წყარო: რაკი **წყ > სკ** ცვლილება ფაქტია, მ. ე. წინაფორმა **სკუა** სიტყვასი იყო **წყუა***; **სკუალასი – წყუალა***, ხოლო **წყი*** დან კი – **სკი // სქი // 853 სქე** = მეგრ. „შვილი", „ძე „შთამო-მავლობა. **სკი-ქ** ვადასქიდ // უსქეთ ქჳდოსქიდ = „შვილი, ძე არ დარჩა", „უშთამომავლოდ დარჩა". აქედან > 854. **სქე**-სი და ი. ე. 855. **სექ**-სი (**სკ > სქ** შდრ მეგრ. **სკამი** //> **სქამი**; **სკვამი // სქვამი** „ლამაზი").

წყ > სკ გარდაქმნის შედეგია გარდა **სკ**-უალა, „კვერცხისდება-სი", 856. **სკირი // 857. სკი ლი // 858. სქირი** // 859. **სქილი** „კვერცხდადებული, შობილი" აქედან კი – **სკი // სკირი** „ყრმა, მოყმე,

ძე“: არსე-ბობს 860. სკერი // 861. სქერი ფორმაც – 862. ლე-სკერი // 863. ლე-სქერი „ლაშქარი“.

864. **სკ**ინტლვა მეგრულად არის 865 **წკ**ინტ-ილ-უა, მაგრამ ფაღარათისას **სკ**ინტლვას 866. **წყ**ირტ-უა // 867. **ჭყ**ირტ-უა ქვია. ეს იმიტომ, რომ, ასეთი სკინტლი თხიერია ანუ გაუფორმებელია,ამიტომ, უეჭველია, ამ სიტყვების – **სკ, წკ და ჭყ წყ-** დანაა...

ჩვილ მოზარდს მეგრულად (ლჳლჳ და) **ჭყ**უნტურუ ეწოდება. აშკარაა, ამ სიტყვის შინაარსს – „ჩვილი"ს გაგებას **ჭყ** კომპლექსი განაპირობებს: **ჭყ**ინტ-ი მეგრულად არის „ნედლი, წყლიანი“. მაგ: **ჭყ**ინტ ცვალი ისეთი ყველია, რომელიც დიდი რაოდენობით სითხეს შეიცავს. იგივეა 868. ჭყვერტი: ჭყვერტი ლებია = ჭყვერტი ანუ ნედლი ლობიო... ამიტომ, გამორიცხულია ამათი **ჭყ** არ იყოს **წყ** წარმომავლობისა: მ. ე. **სკ**უალა „კვერცხისდება“, **სკ**უა „შვილი“, **ჭყ**ინტ „ნედლი“, **ჭყ**უნტურუ „მოზარდი, ნორჩი“ სიტყვების **სკ** და **ჭყ** ბგერათკომპლექსები **წყ** წარმომავლობის არიან.

იმ ფაქტს რომ მეგრულ არქაულ ფილოსოფიაში, **სკ** კომპლექსის მეშვეობით, **სკ**უალა „დღეს კვერცხისდება“ ძველად შობას, შვილის გაჩენას აღნიშნავდა, ეძებნება, ასევე, განმაცვიფრებელი იგივური პარალელი, ოღონდ სხვა ასევე წყლის მნიშვნელობის მქონე ბგერიდან. ესაა **შ** ბგერა, რომელიც, გახმოვანებული (**შგ**), დღესაც, მეგრულად წყალია (იხ. **შ** ბგერა). ხოლო **შ** ბგერისგან ნაწარმი, შვილის გაჩენის მნიშვნელობის მქონე სიტყვა გახლავთ, მეგრული წარმომავლობის, ქართული – **შ-ობა**: დიახ, **შ-ობა შ + ობა** სუფიქსისაგან შედგენილი სიტყვაა. **შ** აქ წყალს აღნიშნავს, **ობა** ქმედების აღმნიშვნელი სუფიქსი კი იმაზე მიანიშნებს, რომ შვილის გაჩენა უშუალოდაა წყალთან დაკავშირებული. და ეს მართლაც ასეა: საქმე იმაშია, რომ მშობიარობას წინ უსწრებს დიდი რაოდენობით, საშვილოსნოდან წყლის გამოყოფა. და ეს მოვლენა – მშობიარის მიერ წყლის დაღვრა ყველასთვის უნებლიედ ხდება. ამიტომ, მას ყველა დაინახავს. იგი ყველასთვის აღქმადია. წყლის დაღვრიდან რამდენიმე წუთში იწყება მშობიარობა, რომელსაც მხოლოდ დედფანი „ბებიაქალი“ აწარმოებდა და, რა თქმა უნდა, უცხო თვალისთვის უჩინრად ხდებოდა. ამ ყველაფერმა მეგრულ ფსიქოლოგიაში გამოიწვია საოცარი და არქაული ცრუ წარმოდგენები: მეგრელებს ახალშობილი წყლად ქონდათ წარმოდგენილი. მას არ დახედავდნენ: იტყოდნენ: მუს გივოჯინა დიო წყარიე =

„რას დავხედო ჯერ წყალია-"ო. აი, რა თვალსაჩინო აღქმების მეშვეობით წარმოიშვა სიტყვა **შ** + ობა: შგ „წყალი“, მისი დალერის აღქმა > **შ**-ობა ზედმიწ. „წყლიანობა“ ანუ „შვილის დაბადება“. ეს სიტყვა და ასევე მისგან ნაწარმი ანუ საბოლოო ჯამში – **შ-დან ამოზრდილნი – შვილი, მშობელი, სამშობლო, მშობლიური აშკარა პარალელია წყ //> სკ-დან მომდინარე მეგრ. 869. მასკერი // 870. მასქერი „მშობელი“ სიტყვისა.**

ე. ი, ერთ შემთხვევაში, **სკ** წყლის აღმნიშვნელმა კომპლექსმა მოგვცა სიტყვა **სკუა**, **სკუალა** „შვილი, შვილის გაჩენა“, **სკი** // **სკირი** // **სქი**, **სქილი** „ყრმა, ძე, შვილი“, ხოლო, მეორე-ში, – იგივე მნიშვნელობის **შ** ბგერამ **შობა** სიტყვა წარმოქმნა. ეს კი მათ მიმართ გამოთქმული მოსაზრებების, მათ მიერვე, ურყევი, ურთიერთდადასტურებაა. რაკი **სკუალა** // **სქუალას** **სკ** // **სქ** კომპლექსის **წყ** წარმომავლობა აწი ეჭვს არ უნდა იწვევდეს, გვაქვს უფლება დავუშვათ, რომ 871. **კვერ**-ცხის **კვერ** კომპონენტის წინამორბედი **ყუერ*** ამოზრდილია **წყუერ*** წინაფორმიდან.

ძვ. ქართ. 872. გრობა-ს ("ესე არს ფრინველი კვერცხს ათბობდეს საჩეკელად“. ს. ს. ორბელიანი) შინაარსი იგივე მშობიარობაა. ამ სიტყვაში, **გ** ბგერის წინარედ **ყ** რომ იყო უკვე დავაზუსტეთ, მაგრამ **ყ** ბგერის იქით **წყ** კომპლესი ხომ არ გვევარაუდა?. შდრ. მეგრული 873. გარა „ტირილი“ < **წყარა*** „ზედმიწევნით, უდრის წყლიანობა“ (**წყარა** > **ყარა*** > **გარა**: **ნ** დაიკარგა. **ყ**-მ ამოიწია). შდრ. 674. **წყარა**-ლა „ ნაპირს გადმოსული მდინარეები...“

წყ თანხმოვან-კომპლექსის გამარტივებით მიღებული სახელები

რაკი **კვერ**-ცხის **კვერ** კომპონენტის წინამორბედი **ყუერ*** ამოზრდილია **წყუერ*** წინაფორმიდან, ე. ი., ასევე **წყუერ*** წინაფორმიდანაა, მეგრ. // ქართ. მამაკაცის სათესლე ჯირკვლის სახელები (იხ ზემოთ): **(875. ცვაჯ // 876. ყვერ <) ყუერ < წყუერ*.**

როგორც ვხედავთ, ბოლო მაგალითები **წყ** კომპლექსიდან **ნ** ბგერის დაკარგვის მაგალითებია, თუმცა ამავე მნიშვნელობით ველში არსებულია სიტყვა, რომლის **წყ** კომპლექსიდან **ყ** იკარგება. ეს სიტყვაა 877. **ნი-წი**-ლა, რომელიც, როგორც ზემოთ ვნახეთ, კვერ-

ცხის < **წყუერცხის*** **შვილია. წი-წი-ლა ნ** ბგერა გაორკეცებულადაა წარმოდგენილი. მ. ე. მისწინარე ფორმაც, ასევე გაორკეცებულ **წყ** კომპლექსს შეიცავდა: **წყი-წყი-ლა*** > **წი-წი-ლა: ყ** არის **წყ** კომპლექსიდან ამოვარდნილი.

წი-წი-ლა-ს წინამორბედის **წყი-წყი-ლა***-ს წყლის მნიშვნელობის **წყ** კომპლექსის დუბლირებით წარმოებამ კვერ-**ცხის** წინაფორმა **წყ-უერ-ჩხი***-ს იგივე პრინციპით – ძირის დუბლირებით წარმოქმნაზე უნდა მიგვახვედროს. ოღონდ, ამ შემთხვევაში, წყლის მნიშვნელობის დუბლირება მოხდა სხვადასხვა – **წყ და ჩხ** კომპლექსების მეშვეობით: ამ უკანასკნელთა მიერ, კვერცხის ჩვენს მიერ რესტავრირებულ, წინაფორმა **წყ-უერ-ჩხ-ი***-ში, წყლის ცნება გაორკეცებითაა წარმოდგენილი.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, რომ **სკ**უალა < **წყ**უალა*; **სკ**უა < **წყ**უა*; **სკ**ი // **სკ**ირი „შვილი" < **წყირი*** ფაქტია, ხომ არ გვევარაუდა მეგრ. 879. **წ**იე „ბიჭი" < **წყ**იე*; და ლაზ. 880. **ჭ**ე // მეგრ. **წ**ე „ბიჭი, ძე"< **წყ**ე*? რა თქმა უნდა, აქ სიზუსტე ფარდობითია, რადგან ამოსავალი აქ დასაშვებია როგორც **წ** ისე **წყ** თავსაწყისიდან: ზუსტად ეგრევე უნდა განვსაჯოთ ამათ ფარდ ქართ. სიტყვების მიმართაც: 891 **ყ**რმა < **წყ**რმა*; 892. **ბიჭ**ი < **ბიწ**ი* < **ბიწყ**ი* (**წყ** კომპლექსიდან **ყ** ბგერის დაკარგვა. შდრ: მეგრ. 893. **წყ**ირი 835. 894"რ**წყ**ილი",ლაზ. // 895. მ-**წკ**ირ-ი >// 896. მ-**წ**ირ-ი. ა. ჩიქობავა შ. ლ. 1938 წ. გვ. 196

პარადოქსული მეგრული სისინისა და ქართული შიშინის განმაპირობებელი მიზეზები

ჩვენს, ზემოთგანხორციელებულ, მსჯელობებს წინ ელობება ფაქტი: არნოლდ ჩიქობავამ **სკ // სქ** კომპლექსთა უკანანისმიერნი – **კ** და **ქ** ფონეტიკურ დანართად დასახა (იხ. შ. ლ. გვ. 7 – 9), ხოლო პარადოქსული მეგრული **ს** (სისინი) და ქართული **შ** (შიშინი) ქართულშივე **შ**-ს წინარედ **ს**-ს არსებობის წინასწარმეტყველებით ახსნა. ეს გამორიცხავს, ზემოთმოყვანილ მაგალითებში – **სკ**უა // **სქ**უა; **სკ**ი // **სქ**ი; **სკ**ირი **სქ**ირი მათ **სკ // სქ** კომპლექსთა **წყ** წარმომავლობას, თუ ამ უკანასკნელთ, გამონაკლისის სახით არ ამოვრიცხავთ შესაბამისი მაგალითებიდან: ჩვენეულ მაგალითებში და-

საბუთებულადაა ახსნილი **სკ // სქ** კომპლექსთა **წყ** ამოსავლიანობა. არის კი **წყ**-დან **სკ // სქ-ს** მიღების, კანონზომიერი, სხვა პრეცენდენტი? 897. ლოკვის აღმნიშვნელ სიტყვათა ძირების – ჭან. 898. ლოკ // 899. ლოსკ; მეგრ. 900. ლოტკ; ქართ. ლოკ შესატყვისობებში ა. ჩიქობავა თვლის: „...აუხსნელი რჩება **ს** ჭანურში (ლოსკ) და **ტ** მეგრულში (ლოტკ)...“ იხ. დ. ნ გვ. 303.: ორივე – ჭანურ **ს** თანხმოვნისა და მეგრულ **ტ**-ს მიღების შემთხვევაში, **წ***-ს დეზაფრიკატიზაციაა მომხდარი.!... ეს რეალობაა, რამეთუ სხვა გამოსავალი გამოირიცხება: სვ. 901 ნეწ და ქართ. //< 902. ნერწყვი // > მეგრ. 903. ლერ-ჭყვა რომლის **წყ > წ** გამარ-ტივების მადასტურებელი მაგალითები, ზემოთ, მრავალი დავასახელეთ, მეგრ. 904. ლოტკუას წინარედ ლონწყუას* წარმოაჩენს: ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ არნოლდ ჩიქობავას იქვე – გვერდ 303-ზე მოყავს მაგალითი: „... მეგრ. 905. გოლოტკუ // გოლონტკუ „გალოკა, 906. მონერწყვა!..“ ანუ ჩიქობავამ თავადვე დაასახელა თუ საიდანაა **ტ** ბგერა მეგრულში: თუ მეგრ. გოლოტკუ // ქართ. მონერწყვა ერთიდაიგივეს ალნიშნავს, მათში შემავალი **ტკ : წყ** შესატყვისობაში **წყ* > ტკ** იგულისხმება, რამეთუ, როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, **ტ** და არც სხვა რომელიმე ბგერა **წ**-ს არ იძლევა, ხოლო თავად **წ**-საგან ყველა წინაენისმიერნი მიიღებიან. აი, ამ მიზეზით კანონიერია: ქართული მონერწყვას და ნერწყვის **წყ**-დანაა // მეგრ. ლოტკუას **ტკ** და ლერ-ჭყვას **ჭყ (წ > ტ, ჭ)**; აქვე უნდა შევნიშნოთ: ა. ჩიქობავას ეს მაგალითი“... მეგრ. გოლოტკუ // 907. გოლონტკუ „გალოკა, მონერწყვა!..“ საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ისეთი არქაული ტერმინი, როგორიცაა მეგრ. 908. **თქუ** // ძვ. ქართ. 909. **თქუა** //> ახ. ქართ. 910. **თქვა**: რა თქმა უნდა, ამათი **თქ** არის **წყ > ტკ > თქ** გარდაქმნათა შედეგი: ვინ იფიქრებდა, მაგრამ აი, სად პოვა პარალელი მეგრ. 911. **თქუმ** // 912. **თქუმა** 913. „**თქმა, სიტყვამ**“ ქართ. // 914 „**სიტყვა** და 915 **მეტყველებასთან**“: მსჯელობათა ამ მონაკვეთში, ურყევად, დადგინდა **წყ > ჭყ; წყ > ტკ; ტყ > თქ** ჰარმ. კომპ-თა წარმომავლობა.

მეგრ. **სკური** // **სქური** „წყალი, მდინარე“ (ჯანაშია) **წყუ** // < **წყურ-ი*** „წყაროს“: **სკ // სქ < წყ-ს**, ასევე, **წყორ, წყუ და წყურ** ძირებს შეიცავენ ტოპ. 916. (**სკურა**. ს. ქობულეთი); 918. სკურდი (ს. მარტვილი); 920. **სკური** (ს. წალენჯიხა); 921. **სკურია** (ს. სენაკი);

922 **სკურჩა** (დასახლება ოჩამჩირე.)[923 **ა-წყურ-ი** (< ეტიმ. **ო-წყურ-ი*** „ზედმიწ. საწყლე"), 924. **წყურგილი** (ოჩამჩირე), 925. **ჩხო-რო-წყუ**; 926. **წყორ-ძა** (< **წყორ-წა.*** ახალციხე); 927. **წყოუ-ში** (ჩხოროწყუ); 928. **წყრუ-თი** (ახალციხე) და ა. შ.

ქართ. 929. **ფ**-სკერ-ში **ფ** მადიფერენცირებელი ბგერაა: მან **წყერ*** (>// **სკერ***) წყლის, მდინარის აღმნიშვნელი ალომორფი გა-დააქცია **ფ-სკერ-ის** მნიშვნელობად. ანუ **ფ** ბგერამ **წ**-ს დეზაფრიკა-ტიზაციისა და **ყ**-ს ამოწევით **წყერ***-ი საწყისიდან > **სკერ-ი*** > **ფ-სკერი** წარმოქმნა. რომელიც მდინარის, წყლის ცნების ანტონიმი ცნებაა. ხოლო ამგვარი დაკავშირება – წყალი, მდინარე > მისივე **ფსკერი,** სემასიურად, უზადოა. როგორც ვხედავთ, **წყურ***-იდან მომდინარე, მეგრ. **სკურ // სქურს** შენარჩუნებული აქვს „წყალი, მდინარე"ს ცნება, ხოლო 930. **სკირ // 931. სქირ** „მშრალი" და ქარ-თული **ფსკერის** შემთხვევაში, წყლის, მდინარის ცნების გამომხატ-ველი მნიშვნელობა საპირისპიროდაა შეცვლილი. მეგრ. **სკირის** ქართ. შესატყვისი – **მ-შრალი**, წყლის მნიშვნელობის, **შ**-დან იღებს სათავეს. **შგ რე** ფრაზა, დღესაც, უდრის სველია. აი, ამ **შგ რე** ფრა-ზის ანტონიმია მ-**შრ-ალ-ი**: **შგ რე** > **შგრ** > **მ-შგრ** > **მ-შრ-ალ.** აქ **მ** მა-დიფერენცირებელმა ბგერამ მოახდინა მნ-ის დიფერენცირება: **შგ რე** „სველია" ფრაზა აქცია ანტონიმ **მ-შრალ** სიტყვად. მ. ე, მეგრ. **სკირი // სქირი** და ქართ. // მ-შრალ-ის **სკ : შ** შესატყვისობა, ჩიქობა-ვამ პარადოქსად რომ მიიჩნია, მათი სხვადასხვა საწყისიდან ამოზ-რდის შედგი აღმოჩნდა.

გეოგრაფიულ სახელ კავკასიას ეტიმოლოგია

"...კავკასევსი ეწოდებოდა **მზის** ღმერთ **აპოლონს** კავკასია-ში. თავად კავკასიონი თუ **კავკასია** (ბერძ. Kaukasos; ლათ. Caucasus) კი ძველთაგანვე, ლიტერატურულად ესქილეს (ძვ. წ. 525-456) **„მიჯაჭვული პრომეთე"**-ს შემდეგ, ამ სახელით იყო ცნობილი ის თოვლიან-ყინულოვანი ქედი, რომელიც ევქსინის პონტოსა (**შავი ზღვა**) და კასპიის ზღვას შორის აღმართულა... ტიტანი **პრომეთე**, ზევსის ბრძანებით, კავკასიონის მთაზე იყო მიჯაჭვული, ვიდრე ჰერაკლე იხსნიდა. ერთი ვერსიით პრომეთეს

მიჯაჭვის ადგილი – კავკასიონი არა მთელ მთათა სისტემას, არამედ ერთ კონკრეტულ მთას – **ხვამლის მთას** ეწოდება და შემდეგ ეს სახელი განივრცო მთელს მთათა სისტემაზე.

კავკასიონი და მის ქვემოთ გადაშლილი **კოლხეთის** დაბლობი სავსებით ნათელი, დადგენილი ცნებებია, თუნდაც პრომეთე – **ამირანის** მითის, **არგონავტების** თქმულების, მილეტელთა კოლონიის – დიოსკურიის და მთელი ანტიკური გეოგრაფიული ტოპონიმიკის საბუთებით (ფაზისი-რიონი, **კიტაიისი-ქუთაისი, კოლხები** და სხვ.). ახლადელი საქართველოს სამხედრო გზა-ბილიკი ანტიკიდანვე ცნობილია. ჰეროდოტეს (ძვ.წ. 484-425) მოწმობით, შავ და კასპიის ზღვებს შორის, **ვარსკვლავებამდე** აღმართული ქედი, მსოფლიოს უმაღლესი მთაა ...

კავკასია არაა ნახსენები არც ბიბლიაში და არც სხვა უძველეს რელიგიურ წიგნებში, მაგრამ ბერძნები უკვე იცნობენ და ლამობენ კიდეც მითების საბურველში გახვეული ამ ქედის სახელის ახსნას. მკვლევარები (უსლარი და სხვ.) სწორად შენიშნავენ, რომ ბერძნული ენით არ იხსნება ამ სიტყვის ეტიმოლოგია (წარმომავლობა), მაგრამ ხელოვნურია სხვა ვარაუდები: თითქოს სიტყვის ძირია არიული (ინდო-ევროპული) „კოხ" – მთა, ან სკვითური „კრუზაკ" – თეთრი მთები, მიდიური კავი-კუ (მეფე-მთა)

... **საინტერესოა ტოპონიმის ახსნა ლათინური ენის მეშვეობით ნ. ცერცვაძის მიერ: „კავუს, კასუს" – კავუს ნიშნავს შემოზღუდულს, ხოლო კასუს – ღრმულს ან ქვაბს, ესე იგი კავუსკასუს – „მთებით შემოზღუდული დაბლობი ქვეყანა (ქვაბული)."**...

კავკასოსი ასევე ერქვა მითოლოგიურ მწყემსს, რომელიც კრონოსმა მოკლა. მერე კი ზევსმა მისი სახელი უწოდა ქედს, რომელსაც უწინ ბირეის სახელი ერქვა; კავკასიონის მთათა ღმერთი, რომლის გამოსახულებაც შემორჩენილია რომაულ სარკოფაგზე და ჰერგამონის პლასტიკურ ფიგურებში, სადაც ჰერაკლე ათავისუფლებს პრომეთეს. გაუმაისტერი ფიქრობს, რომ სარკოფაგის გამოსახულებაზე კავკასოსს ხელში სიუხვის რქის ნაცვლად, შეცდომით უჭირავს მწვანე რტო, მაგრამ იოლი დასაშვებია, რომ ოსტატს შეგნებულად მიეცა კოლხეთისთვის უფრო დამახასიათებელი სიმბოლო..." თორნიკე ფხალაძე ა. გელოვანის „მოთოლოგიური ლექსიკონის" მიხედვით.

როგორც ვხედავთ, ტოპონიმ **კავკასია**-ს ეტიმოლოგიას დიდ და

მრავალფეროვანი ისტორია გააჩნია: მათ შორის ქართველმა მკვლევარებმა ის კავკასიის მთების **კაშ-კაშს, სი-კაშკაშ-ეს** დაუკავშირეს. მაგრამ 932. ბრწყინვა-კაშკაშის სემანტიკურ ველში განფენილი ლექსიკა წყლის ალომორფების დამსახურებაა ოღონდაც ბრწყინვა **წყ** კომპლექსიდანაა (იხ ქვემოთ), კაშკაში კი, დასაშვებია იყოს **შ** ბგერიდან. თუმცა არც კას-**კას** > კაშ-კაშ ცვლილება გამოირიცხება. ზუსტად იგივე ხდება მეგრ, 933. **სკვამი** // ქართ. მშვენი მშვენიერი და მეგრ. 934. **სკვერი** და // ქართ შველი-ს შემთხვევაში: აქ **სკ : შ** შესატყვისობა დასაშვებია იყოს მათი **წყ** და **შ**-დან ამოსავლიანობის შედეგი, რადგან წყალი სიმბოლოა მშვენიერებისა:: ქართ. 936. მ-**ჭვ**-ირ-ვა-ლი // 937. მეგრ. **ჭვ-ია** // 938. **ჭვ**-ია-ფის **ჭ**-სწინარედ **წყ** იგულისხმება, რამეთუ გვაქვს იგივე მნიშვნელობის ქართ. 939. ბ-რ-**ჭყ**-ვი-ალ-ი, რომლის ამოსავლად **წყ**-ს უტყუარად აღადგენს, ქართულივე, 940. // ბ-რ-**წყ**-ინ-ვა და მეგრ >/ 941. რწკინუა. ამ უკანასკნელის დამსახურებაა მეგრ. 942. მარწკინია „ციცინათელა“ და 943. მარწკინდი „ბეჭედი“: ბეჭედსა და ციცინათელას ხომ სილამაზისა და მშვენიერების განმაპირობებელი **ბრწყინვა-ნათება** აკავშირებთ.

ქართ. 944. **ციცინათელას ცი-ცი კი < წი-წი*** ალომორფია,.

როგორც ვხედავთ, მეგრ. რ-**წკ**-ინ-უა // ქართ. ბ-რ-**წყ**-ინ-ვას ამ საშურ მნიშვნელობებს (**წყ** //>) **წკ** განაპირობებს. **წკ** კი ადვილად გადადის **სკ** კომპლექსში, რაზეც, ზემოთდასახელებური, **სკ** და **წყ** კომპლექსიანი ჰიდრონიმთა და ტოპონიმთა მეგრ. სახელები – **სკ**ური, **სკ**ურჩა, დია**სკ**ური და ა. შ და მეგრ. **წყარ**-ი „წყალი, მდინარე,“; **წყუ**, // **წყურგილი**, // **წყური** „წყარო“ და ა. შ. და ა. შ. ღალადებენ. გარდა ამისა, უცხადესია: მეგრ. // ქართ. **რ-წკ**-ინ-უა //< ბ-რ-**წყ**-ინ-ვა-ში, სიკაშკაშის ცნების განმსაზღვრელი **წყ**-ს არსებობა იმდენადაა ბუნებრივი, რამდენადაც დამახასიათებელია წყლისა და მისი სხვა აგრეგატული მდგომარეობისთვის (თოვლი, ყინული) **ბრწყინვა-სიკაშკაშე**: მ. ე აქ მტკიცედ დადგინდა მეგრ. **სკვამი, სკვერის სკ** შეუძლებელია არ იყოს **წყ**- დან.

ასევე უცხადესია: ჩანჩქერთა 945. ცისარტყელების გზნება და ელვარება; წყაროთა 946. **კას-კასი** (> კაშ-კაში?); მთებსა, მწვერვალებსა და მყინვარებზე მარადიული თოვლისა და ლოლუების სისპეტაკე და **ბრჭყვიალი** გახდა დიდებულ 947. **კავკას-იის** მთათა და მწვერვალთა ზოგადი სახელდების საწინდარი: ამ ვარაუდს აძლიე-

რებს მეგრ. 948. **სარკ**-ილ-ი // ქართ. 949. მო-**სარკ**-ულ-ი (შდრ: ცა **სარკილიე** – „ცა **მოსარკულია**") და მეგრ. // ქართ. 950. . **სარკე**-ში (თუმცა ერთურთს დაშორებულ) **ს** და **კ**, სიკაშკაშის დემიურგ ბგერების არსებობა: აქვე უნდა შევნიშნოთ: **სარკეს** დამზადების ისტორია ჩვენში ათასწლეულებს მოიცავს. ხოლო ბუნებრივი მოვლენის – მო-**სარკ**-ვლისა და **სარკეს** ფონეტიკურ-სემანტიკური ერთიანობა, **სარკე**, როგორც საგანში რეალიზებულ მო**სარკვლის** ფაქტის არსებობა, **სარკეს დამზადებისა და მისივე სახელის ენდემიურობაზე ღაღადებს...**

მეგრულად **საკ**-ი ნიშნავს ტომარას (შდრ. ლათ. **Saccus საკკუს** „ტომარა").აქედან გამომდინარე **საკ**-ილ-ი უნდა ყოფილიყო გატენილი. გვაქვს კი **კას**-ილ-ი „გატენილი." თუმცა ერთეულ შემთხვევაში **საკ**-ილ-იც გვხვდება. მაგ: ოჭკომალით გი-**საკ** –"საჭმლით გაიტენა." მ. ე. **საკ > კას** მეტათეზის არსებობა მეგრულში ფაქტია: მეგრ. **სარკ**-უა // ქართ. **სარკ**-ვლაში **რ** ფონეტიკური დანართია. ძირია **საკ**. ხოლო რაკი **საკ > კას** მეტათეზი დამტკიცებულია, ამ **კას** ძირის დუბლირებით და მეგრულში პროდუქტიული **ია** პოლოსართით – **კას-კას-ია*** მიიღება.

დროში, ამ უკანასკნელის ცვლილება: კასუ-კასია > კავ-კასია-დ კი, სახეზე არსებული, ფაქტია (ასევე იხ. გვ. 515 ტოპონიმ კასპის ეტიმოლოგია)...

"ლაშარის ჯვარი", ლაშარი, ლაშქარი, ლესკერი, ლესქერი

ენათმეცნიერთა დასტურით ...ქართ. **შ** სპირანტის შესატყვისად მეგრულში დასტურდება **შქ**; სვანურში – **შგ**, რომელიც მომდინარეობს თავდაპირველი **შქ**-საგან სვანურისათვის დამახასიათებელი დისიმილაციური გამჟღერების შედეგად: ქართ. **შვ**-იდ-ი; მეგრ.-ჭან. **შქვ**-ით-ი; სვან. ი-**შგვ**-იდ; ქართ. მო-ა-**შ**-თ-ო; ჭან. დო-**შქვ**-იდ-უ; მეგრ. დაა-**შქვ**-იდ-უუ; სვან. ა-**შგვ**-იდ; ..." შდრ: **სქ // სგ** კომპლექსიანი ფორმები ზანურსა და სვანურში: ზან. **სქ**-უა // **სქ**-ირ-ი (შვილი); სვან. **სგ**-ეჲ (ვაჟიშვილი); ზან. **სქ**-ან-ი (შენი); სვან. ი-**სგ**-უ; ზან. **სქვ**-ამი (ლამაზი) ; სვან. მუ-**სგვ**-ენ..." თამაზ გამყრელიძე.

ხევსურთა „ლაშარის ჯვარი“ მოლაშქრე ღვთაებაა. იხ ქ.ს. ე. 6 გვ. 148. ქართ. ლა-**შქარ**, // მეგრ. 951.ლე-**სკერ** // 952. ლე-**სქერ** სიტყვებში, რაც მაშინვე თვალში გხვდება ისაა, რომ, ცნობილი, მეგრულ-ქართული **ა : ე** და **შ : ს** შესატყვისობა პირუკუა შებრუნებული. ანუ ქართულში უნდა გვქონოდა ლე-**სქერ***, მეგრულში კი, პირიქით – ლა-**შქარ**. ხოლო ხევსურთა „ლა-**შარის** ჯვარი“ იმაზე მეტყველებს, რომ, ძველად, ხევსურულად, ლა-შარ-ი ლა-**შქარი** იყო (თუ ახლაც არაა). ხევს. ლა-შარ-ი და ქართ. ლა-**შქარ**-ი სიტყვების ურთიერთშედარება, ცნობილ, ქართ. : მეგრ. **შ : შქ** შესატყვისობას წარმოაჩენს, რომელშიც, ენათმეცნიერთა ვარაუდით, **შ > შქ** მიმართულება იგულისხმება. ანუ ქართულში **შქ** კომპლექსი კი არა ხევსურული ლაშარის დარად **შ** თანხმოვანი და **ე** ხმოვანი – ლე-**შერი*** უნდა გვქონოდა: მოკლედ, ლაშარის – ლა**შქართან**, ამ ორივესი კი მეგრულ ლე**სკერ** // ლე**სქერ**თან მიმართებაში, ყველაფერი, პარადოქსულად, ენათმეცნიერთა დასკვნების საპირისპიროდაა მოცემული: ამ, აქვეაღნიშნულ ენათმეცნიერულ პარადოქსებს გააჩნია ამგვარი, უტყუარი, ახსნა: რაკი ქართულ ლა-**შქარ** სიტყვას ეტიმოლოგია არ გააჩნია (– მისი **შქარ** ძირის ამოსავალი მნიშვნელობა უცნობია), ხოლო მეგრული ლე-**სკერ** // ლე-**სქერ**-ის **სკერ** // **სქერ** ძირი, აქვე ზემოთ, დაწვრილებით, გვაქვს განხილული: იგი ყრმის, შვილის, ვაჟიშვილის აღმნიშვნელი **სკირ**-ის **სქირ** ძირის ფონეტიკური სახესხვაობაა. ამგვარი ალომორფული ფორმობრივი ვარიანტები ხშირია: მაგ: ჯგირი // ჯგერი „კარგი.“ ანუ სკერ, // სქერ, სკირ, სქირ იმდაგვარადვე, როგორც **სკი // სკირ // სქირ-ი,** შვილს, ვაჟიშვილს, მოყმეს აღნიშნავდა, რაც ლაშქარ სიტყვისთვის აბსოლუტურად ადეკვატური ეტიმოლოგიური ამოსავალია. ლე-**სკ**-ერის **სკ**, ისევე როგორც მეგრ. **სკი // სკირის სკ** არის **ნყ** წარმომავლობისა. ანუ სკერ // სქერ-ის **ს**, ასევე პროდუქტია **ნყ** კომპლექსის **ნ** ბგერის დეზაფრიკატიზაციისა. აი, რითაა გამოწვეული, ა. ჩიქობავას მიერ შენიშნული, „პარადოქსული მეგრული სისინი“: რაც შეეხება „პარადოქსულ ქართულ **შიშინს**“ ლაშქარ სიტყვისა, იქნებ აქ არაა **სკ > შქ** მიმართულება, არამედ **შქ** ხმაბაძვითი **შიშინა შ** ბგერიდანაა: ენებში **სულისა და პიროვნების** ცნებების იდენტიფიკაციის მაგალითები ცნობილია. შდრ: კოჩიშ **შური** უდრის „კაცის **სული**, კაცი;“ რუს. სკოლკო **დუშ** უდრის „რამდენი **სუ-**

ლია ანუ რამდენი კაცია“: ესე იგი ხევსურული ლა-**შარ**-ის საწყისი ფორმა იყო მეგრ. ლა-**შ**-**ურ**-ი,* გაგებით „სულთა ანუ ადამიანთა ერთობისა“. შდრ: **ლა-კადა** „კლდოვან ადგილთა ერთობა:“ ე. ი., ლა-**შურ*** ფორმიდან ლა-**შარ** > ლა-**შქარ** ფორმათა წარმოქმნა ასევე მეგრულენოვან წიაღშია კანონზომიერი (იხ. **შ** ბგერა).

დასახელებული მაგალითებით არ ამოიწურება **წ**-დან ამოსულ ტერმინთა რაოდენობა. მათ ისევ წარმოვაჩენთ სხვა ბგერების განხილვისას. მაგრამ უცხადესია: მათ უარყვეს ენათმეცნიერთა იმ ნაწილის შეხედულება, სიტყვის – ბგერისა და მნიშვნელობის დაკავშირების ნებისმიერობას, მის უმოტივაციოდ წარმოქმნას რომ ამტკიცებს. მართალია, ამისთვის, მხოლოდ **წ**-დან ამოზრდილი საანალიზო მასალა შეიძლება საკმარად არ მოგვეჩვენოს, მაგრამ აღნიშნული ასეული ტერმინები ათასეულებს იძლევიან (მათში ბევრია ზმნა, რომელთა ფორმების რიცხოვნება უთვალავია). და ეს ძირითადად **წ ბგერიდან** ამოსული, არა სრული ლექსიკაა, რაც მეტყველების წარმოქმნაში მის შესაბამის როლზე მიუთითებს.

ყ ბგერა

როგორც ითქვა, მსოფლიოს ნებისმიერი ენის თანხმოვანი, დღესაც, ცალკე წარმოთქმული, **გ** გახმოვანების გარეშე ვერ ითქმება, მაგრამ, სიტყვებში ისინი ამ თვისებას კარგავენ, ამიტომ მათზე მსჯელობისას – ბგერებად ფონემებად იწოდებიან: ჩვენც ასე ვიქცევით და მათზე ვმსჯელობთ არა როგორც მარცვლებზე, არამედ როგორც ფონემებზე, ბგერებზე.

მეტყველების პირველ პერიოდში **ყ ბგერა**, სპონტანური ცვლილებებით, ქმნის, ერთმარცვლიან, უკანა არტიკულაციის (უკანაენისმიერ, ხახა-ხორხისმიერ) თანხმოვნებს. **გ** > **ა, ი, ე, ო, უ** გახმოვანებით, მათ ადგილზე დღეს, ხშირად, სიტყვათა შემადგენლობაში შემავალი **ყგ, ყა, ყი, ყე, ყო, ყუ** მარცვლები აღიდგინება.

ცნობილი ფორმულით: **ყ + რ (ყგ + რგ)** სუფიქსაციით, სადაც **რ** ბგერას დღევანდელი სტატიკური მეგრ. **რე** ზმნის ფუნქცია გააჩნდა, იქმნებიან მეტყველების მეორე – ალომორფალური პერიოდის სახელები, რომელთაგან ამოზრდილ დღევანდელი სიტყვე-

ბის შემადგენლობებში ისინი, ცვლილად, მაგრამ, ამოსაცნობად, საკმაოდ დამაჯერებლად ფიქსირდებიან. ესენია **ყგრ, ყარ, ყირ, ყერ, ყორ, ყოირ** და ა. შ. იმდენად, რამდენადაც ყლაპვის ფიზაქტი წარმოშობს **ყ** ბგერის სადარ **ყყყ** ხმიანობებს და ეს თავისთავად ხდება, სწორედ ყელის ამ მიდამოში მოხდა ამ **ყ** ბგერის სამეტყველო პირ. რეფლექსად ჩამოყალიბება. ანუ ყლაპვის ხმა, რომელიც **ყ** ბგერას დიდად ემსგავსება, დიდ დროში, გაცნობიერდა იმ მოვლენად რასაც თან ახლავს – ყლაპვად და ყლაპვას თანმხლებ მოვლენებად. ანუ **ყ** ბგერამ შეიძინა სიტყვის ფუნქცია. ხოლო **წ** და **ყ**-ს შეერთებით **წყ** ბკ-მ წოვა ყლაპვისას, გაორმაგებული სიზუსტით ასახა რძისა და სასმელი (საყლაპავი) წყლის მნიშვნელობა.

«ყ ბგერას, ცნობილმა ენათმეცნიერმა ზელმერმა იმპლოზიური („ხშული". შოთა ძიძიგური) „წოვითი" ბგერა უწოდა»! იხ. შ. ძიძიგური. „ლიტ. ენ. ნარკვევები": ამ წინადადებაში , „წოვითი" ყლაპვითით უნდა შეიცვალოს, რამეთუ ყლაპვის და არა წოვის ფიზაქტია მიზეზი **ყ** ბგერის ჩასახვისა. პირის ღრუს შესავალ ნაწილში არა შეწოვითი მოძრაობებია ამ ბგერის წარმომშობი, არამედ ამ შეწოვილი საკვების გადაყლაპვისა. და ეს მიუხედავად, ხსენებულ, შეწოვა-გადაყლაპვის ფიზაქტთა განუყრელობისა.

ყ ბგერით რომ ყლაპვა და მას თანმხლები მოვლენები გამოიხატებოდა, ამაზე სისტემურად მეტყველებს **ყელის, პირ-სახის მიდამოების ანატომიურ ორგანოთა, ყლაპვის პროცესის და საკვები პროდუქტების ქართულ-მეგრულ-სვანური სახელები,** რომელთაშიც იგი განუწყვეტლივ ფიქსირდება და ალბათობის თერიით ხდომილების დადგენას არც საჭიროებს, რადგანაც სხვა ბგერებთან მიმართებით მისი ჭარბი ხდომილება ისედაც თვალშისაცემი და ნათელია.

ყ და მისი ალომორფები ყელისა და პირ-სახის მიდამოების სახელებში

სა-**ყლ**-აპავი **ყლ** < **ყ**-ალ* < **ყარ**; მეგრ. ო-**ყინ**-ტალი //< ო-**ყირ**-ტალი, // სვ. **ყგრ-ყგნ-ჯ (ყგნ-ჯ** < **ყგნ-რ*** < **ყგრ-რ*).** ამ სვ. **ყგრ-ყგნ-ჯ**-თან მიმართებით, საინტერესოა, მეგრ. ზმნა ყგ-რ-ყგ-ნ-ი, რომელიც **ყ** ბგერის გამოღებით, ცხოველთა და ფრინველთა ძახილს აღნიშნავს. მაგ. გგრგნიშ **ყირ-ყინ**-ი, ბატიშ **ყირ-ყინ**-ი – „ვირის ყროყინი,

ზაქის ყროყინი“; იგი, მეგრულში, ასევე ადამიანის დამცრობილ მეტყველებას გამოხატავს: მუს **ყგ-რ-ყგ-ნ-გნქ** უდრის „რას ბურტყუნებ“: აქ **ყ** ბგერა, მსგავსად ქართ. **ყ-რო-ყ-ინისა, // ყო-ყ-ინ-ისა** და **ყი–ყ-ინ-ი // მეგრ. ყა-ყა-ლი-სა**, დუბლირებულია და მიუთითებს მისავე აღმატებულ ხმაბაძვით როლზე, სიტყვის წარმოქმნაში. მეგრ. **ყგ-რ-ყგ-ნ-ი >// ყი-რ-ყი-ნ-ი** მნიშვნელოვანია იმითაც, რომ **ყ** ბგერამ, სვანურის მსგავსად, შეინარჩუნა დასაბამისმიერი **გ** ხმოვანი; **ყიჭ-ყიჭი** ქართ. „ყელში ლაპარაკი;“ **ყლაპა-ყლუპი** იხ. ა. ჩ. ქ. ე. გ. ლ. „ხმაბ. ბევრი ყლაპვის ხმა“; ეს სიტყვა იმდენადაა აშკარად ხმაბაძვითი, რომ ა. ჩიქობამავაც შესაბამისად დააფიქსირა. თუმცა, უნდა ითქვას, ქართველ ლექსიკოლოგთა მიერ უამრავი ხმაბაძვითი წარმომავლობის სიტყვების ხმაბაძვითობა შეუმჩნეველი დარჩა, ჩვენს სიახლეებს კი ჯერჯერობით არ იზიარებენ?!...

ვაგრძელებთ ყელ-პირის მიდამოს ანატ. ორგანოების სახელთა ჩამონათვალს: ქართ. **ყელ-ი < ყერ*-ი; ყიყვი // ჩიყვი; ყიყვიანი** უდრის ჩიყვიანი; ქარ. // მეგრ. კომპოზიტი **ყორ-ყელი < ყორ*-ყერ*-ი „ყან-ყრატო“ < ყარ*-ყარ*-ატო; „ხორხი“ < ყორ*-ყი;** მეგრ. **ო-ღულ-ე-ში < ო-ყურ*-ე-ში „ყელის მიდამოს უკანა მხარე»; ო-ღალ-ეში < ო-ყარ*-ეში „საყელო»;** ქართ. // მეგრ. **ყია** და ა. შ.

ქართ. **ლო-ყ-ა // მეგრ. ღ-ვა**: მეგრულ სიტყვაში არსებული **ღ ყ-**დანაა, ხოლო **ვ** გახლავთ გაბაგისმიერებული **უ,** უძველესი **უა** სუფიქსისა. ანუ **ღ-ვა** სიტყვის ძირია **ღ, ვა** კი სუფიქსია, რაც დღღეისთვის ძნელი წარმოსადგენია. თუმცა ფაქტია.: ქართ. **ლო-ყ-ა** სახელის **ა** ფრაგმენტია **უა** სუფიქსისა. ანუ წინაფორმა იყო **ლო-ყ-უა***. ეს **ლო-ყ-უა, ლი-ყ-ონ-უა** და ა. შ. ცოცხალი მეგრული სიტყვები არიან, ხმაბაძვით არაეთიკური ჭამის გამომხატველნი (იხ. ქვემოთ):

ლო-ყ-ა ლაზურად ტკბილია. ტკბილი კი, აზრობრივად, კვებასთან ასოცირდება. მაშ, ლაზ. **ლო-ყ-ა-ს ა** ხმოვანიც **უა** სუფიქსის ნაშთი ყოფილა. ანუ ქართ. **ლო-ყ-ა** და ლაზური **ლო-ყ-ა** სიტყვამ, ოღონდ ამ უკანასკნელმა ტკბილის გაგებით, ერთმანეთი დაამტკიცეს. ენათმეცნიერებაში, **ლოყა** მიგრირებულ სახელად მიაჩნიათ. წინათ იგი ყელის სახელი გახლდათ. ეგრევე როცა: **ღ-ვა < ყ-უა*** მეგრ. „შუბლი-ს“ მნ-ის აღმნიშვნელი სიტყვა ჯერ არ არსებობდა მაშინ **ყუა*** კვებას აღნიშნავდა. ამაზე მეტყველებენ სახელები: ლო-

კ-ვა //< მეგრ. ლო-კ-უა < ლო-ყ-უა: იგივე ლო-ტ-კ-ვა //< ლო-ტ-კ-უა; აქ კ-ვა < ყ-უა* დამტკიცებულად სწორია: ყ ამოწეულია კ ბგერად.

ქართ. ყლაპვა, მეგრ. ყ-ინ-ტ-უა // ყ-ირ-ტ-უა, სვ. ლირტყვი „ყლაპვა“: მეგრ. ყ-გნ-ტ-უა //> ყ-ინ-ტ-უა „ყლაპვა“ სიტყვაში გნ //> ინ და უა, ძირს შეზრდილი, აფიქსალური ელემენტები არიან, ძირია ყტ. ეს ყტ გახლავთ შებრუნებული წყ, რაზეც სვ. ტყ მეტყველებს.

ქართ. ყლ-ურ-წვა // ყლ-ურ-ჭვა (ყლ < ყურ*), ურ < ყურ*; მეგრ. ყირ(წუა) //> ყირ(ჭუა) ყ ბგერის გამოღებით, არაეთიკურად, სმა და მეგრ ყულ(იტუა) // ყირ-ტონუა იგივე ყ ბგერის გამოღებით, არაეთიკურად, ჭამა! შდრ: სლ. გლ-ოტკა „ხახა“, გორ-ტან „ხორხი“, გლ-ოტატ „ყლაპვა»; ლათ: ეზო-ფაგ-უს, „საყლაპავი“, ფაგ-ოს „ყლაპვა“: ესენი ყ ბგერის დასაბამისმიერობაზე და მისგან ხ, ღ, კ, გ თანხმოვნების, ხოლო წ -საგან ტ და ჭ ბგერების წარმოქმნაზე ღაღადებენ:

ყ ფარინგალ-ლარინგალ და უკანანისმიერ თანხმოვანთა თავსაწყისია, არტიკულაციის ამოწევის გზით ცვლა დადგენილი ფაქტია. როგავა, ჩიქობავა; ასევე, იხ. თოფურია. "შრომები" III გვ. 265

მეგრ. ო-ყინ-ტალ-ი // < ო-ყირ-ტალ-ი ანატ. „საყლაპავი“; ამ სიტყვით, აგრეთვე, აღინიშნება ის რაც შეიძლება გადაიყლაპოს“. ყინ-ტუა //< ყირ-ტუა „ყლაპვა“ სიტყვებში, ჩანს, რომ რ > ნ როტაცია და წ > ტ დეზაფრიკატიზაციაა მომხდარი. შდრ. ქართ. ბჭისკარი // მეგრ. ჭიშკარი ჭ < წ*; ქართ. // მეგრ. ჭიშკარი // > ლაზური ტიშკარი; ქართ. პაწა > ლაზ. ჭუტა; ქართ. მიწა > // ლაზ. ლეტა... მ. ე. ო-ყინ-ტ-ალ-ი // < ო-ყირ-ტ-ალ*-ი (< ო-ყირ-წ-არ-ი*) კომპოზიტის პირველი კომპონენტი – ყირ, მეორე მეგრ. წალ-ი „ მოფერებით წყალი„ (< წარ*-ი) ყოფილა. მოფერებითია ასევე, წალის წინამორბედი – წარ-ი: შდრ. მეგრ. დედების მიმართვა შვილებისადმი – ა, ნანა წა // წალი // წარი: უდრის „აი, დედა წყალი.“

მეგრულ ყირ-წუა // ყირ-ჭუა და ქართულ ყლ-ურ-წვა // ყლ-ურ-ჭვა სახელებს თუ შევადარებთ, ვნახავთ, რომ მეგრ. ყირ-წუა-ს ფარდ ქართულ ყლ-ურ-წვა სიტყვას წვა მეგრ. ყირ-წუა-ს წუა-დანაა, რომელიც წ ბგერის ალომორფია.

ყლ-ა-პვა სიტყვაც კომპოზიტია: ლ ლატერალი რ > ლ მონაცვლეობის შედეგია. რედუქციასაც თუ გავითვალისწინებთ, ყლ კომპლექსის ადგილზე, ძნელი არაა ყ-არ* საწყისის აღდგენა. ამ სიტ-

ყვის მეორე ნაწილი **კი ყუა* > ბჭუა* > პუა > პვა** ცვლილების შედეგია. **ბჭ > პ** შდრ. **მა ბჭუ > // მა პუ „მე მყო“**. დამოწმებულია ვ. თოფურია „შრომები»; ს. ჟღენტი „ჭან-მეგრ.-ქართ. ფონეტიკა“.

ესე იგი, ამოსავალი **ყლ-ა-პვა** სიტყვასი იყო **ყალ-ბჭუა* < ყარ-ყუა***; **ყა-ყ-უა** კი დაცინვის და დამცრობის გამომხატველი, სმისა და ჭამის სახეობაა: მუზმა ღვინ გე-**ყა-ყ** უდრის, დაცინვით: „რამდენი ღვინო დალია“; მეტ ვარედო მუზმას **ყა-ყუნს** უდრის „მეტი არაა და რამდენს ჭამს.“

მეგრ. **ნო-ცორ-ი** „პირის ღრუ»-ს **ნო** დღეს ქართ. **ნა** პრეფიქსის ფარდია (შდრ. **ნო-ხორ-ი // ნა-სა-ხლ-არ-ი**). ოღონდ მისი საწყისი ფუნქცია დღევანდელი **სა** პრეფიქსის შესატყვისი გახლდათ: **ნო-ცორ-ი** – „საკვების მიმღები // კვების ორგანო“.: **ცორ (< ყორ*)** ძირი ამ სიტყვისა ყლაპვის მნიშვნელობის რიგის ალომორფია: ამ **ყორ //> ცორ-ის ორ** ფრაგმენტი იპოება ლათინურში და სლავურშიც: ამ უკანასკნელში, შებრუნებულად: **ორ-ის** ლათ. >// სლ. **რო-ტ** „პირი.“

ამგვარად, ყველა ამ, ზემოთდასახელებულ და, ასევე, იმ მაგალითებში, რომელთაც ქვემთ დავასახელებთ, **ყ** ბგერის **რ** ბგერასთან კავშირისა და შემდგომი გახმოვანების შედეგია შემდეგი პირველადი ფორმები – ალომორფები: **ყგრ, ყორ, ცორ, ყერ, ყირ, ყარ, ყურ, ყუერ, ყუარ** და ასე შემდეგ: ესაა **ნ, ყ** და **ნყ** კომპლექსით მეტყველების შემდგომი **მეორე ალომორფალური პერიოდი.**

ც-ვა // ც-უა* მეგრ. შუბლი

ყუა* > ცუა* > ცვა მეგრ. „შუბლის“ შემთხვევაში, სახელდება მოხდა **ყ-უა* > ღვა** მეგრ. „ღაწვის“ და შუბლის გარეგანი შეხედულების დამსგავსების საფუძველზე. შდრ. პურის **ყუა,** ნაჯახის **ყუა,** რაც, ფაქტობრივად, იგივე პურისა და ნაჯახის შუბლია. ესე იგი, ჯერ ყელის მიდამოს მნიშმნელობის **ყუა** გადაადგილდა ყელიდან ღაწვამდე, აქედან კი მოგვცა აზრობრივი წარმონაქმნი მეგ. **ღვა** „შუბლი.“ ანუ სახელი **ც-ვა** „შუბლი“ გახლავთ სემანტიკური ფაქტორებით განპირობებული მონაცემი – სემანტემა (დედააზრი იგივეა ა. ჩიქობავასთან. იხ. მეგრ-ქართ შ. ლ. გვ. 49).

ყ-ს ალომორფები

აზრობრივად, განაყოფიერებასთან ასოცირებული სახელები: ყუერი, ცვაჯი, კვაჯი, ყუარ-ტი, კვერი, კვარი, კვერცხი, ო-გვაჯ-ე, გრობა

ყუერ და ყუარ ალომორფი უცვლელადაა შენარჩუნებული მამაკაცის სათესლე ჯირკვლის ძვ. ქართ. სახელ **ყუერ-ი** და **ყუარ-ტი**-ში. იგი ადვილად რესტავრირდება ქართულ-მეგრულ კულინარიულ სიტყვაში – **კვერ // კვარ < ყვერ* // ყვარ* < ყუერ* // ყუარ*.**

კვერ-ცხის ამოსავალია **< ყუერ-ჩხი*:** ს. ს. ორბელიანს მოხმობილი აქვს **„ყუერის კვერცხი". „ამ შემთხვევაში, ყუერი – ორივე, ხოლო კვერცხი ცალი სათესლე ჯირკვალია".** (არნ. ჩიქობავა)

"...მეგრ **ოგვაჯე** არსებითად ქათმის საბუდარია, რომელშიც ის კვერცხს დებს ან ჩეკს წიწილებს. ეტიმოლოგიურად ნიშნავს „კვერცხის დასადებ ადგილს, საკვერცხეს" **ო-გუა-ჯე „კვერსხსადები ფრინველისა" < ო-კუა-ჯე // ოცვაჯე //< ო-ყუაჯ-ე*: ყუაჯ*** კანონზომიერი ფარდია **ყუერ** ძირისა. იხ. კ. დანელია, . ცანავა ქ. ხ. ს. გვ. 632. მაგრამ რაკი ამ **ყუაჯ*** ძირიდან ამოსული **ცვაჯ // კვაჯ** და **ო-გვაჯ-ე** ცოცხალი მეგრული სიტყვებია, ფაქტია ამ სიტყვების **ც, კ** და **გ** არიან **ყ** ბგერიდან. ამის გათვალისწინებით, უეჭველია, ძვ. ქართ. **გრობა** სიტყვის („ესე არს ფრინველი კვერცხს ათბობდეს საჩეკელად". ს. ს. ორბელიანი) **გ** ბგერის წინარედ **ყ** იყო.

ძვ. ქართ. ყუერ > ახ. ქართ. ყვერ. „ სას. ჯირკვალი მამაკაცისა;"

ქართ. **კვერცხის** ამოსავალი ფორმა უცვლელად შეიცავს მამაკაცის სათესლე ჯირკვლის ძვ. ქართ. **ყუერ-ი** სახელის **ყუერ** ფუძეს. რაც ბუნებრივია, რადგან, დღესაც, ამ ორგანოს ქართულადაც და სლავურშიც კვერცხადაც მოიხსენიებენ. სვანურად კი **თაშ** ქვია რომელიც წინაფორმაა მეგრ. **თას-ი** და ქართ **თესლ-ი** სახელებისა: ეტიმოლოგიურად მეგრ. **თა-ში** ნიშნავს **თა-სთვის** ანუ სახლ-კარისთვის, ყანისთვის განკუთვნილს, რადგან **თა** და **თი** „სახლ-კარი, ყანა, ადგილი, ტერიტორიაა" მეგრ. **თა-ში** ღაღადებს შემდეგს: სანამ სათესლე ჯირკვლის სახელი გახდებოდა, მანამდე იყო **თა-ში** „ყანისთის განკუთვნილი" ანუ **თესლის** აღმნიშვნელი სახელი.

ყუარ* > ყვარ* > ცვაჯ „მეგრ სასქ. ჯირკვალი მამაკაცისა;" **Xer-ui** ეგვ. „მამაკაცის სათესლე." აქ **ყ** ბგერა ამოწეულია: **ყ > ხ,**

ყერ* > ხერ. ეს უკანასკნელი მოვლენები კი აი რას მეტყველებენ:

სათესლე ჯიკრკვლების ქართულ-მეგრული სახელების – **ყუერ // ცვაჯ (ყუაჯ* < ყუარ*)** სიტყვების საწყისი ალომორფების ყუერ და ყუარის **უე // უა** ო-ს დაშლის შედეგი ყოფილა, **უ** ბგერის შემდგომი გაბაგისმიერებით: **ყორ* > ყუერ > ყვერ, ყუარ* > ცვაჯ...**

მამაკაცის ასოს, კოდვასა და კოიტუზის აღმნიშვნელი სახელები, ასევე, ყოფა, ნაყოფი, ნაყოფიერება

ყ ბგერით, რამეთუ ყლაპვა ანუ კვება და განაყოფიერების ორგანო აღინიშნება, გასაგებია **ყო-ფა //> ცო-ფა, ნა-ყო-ფი, ნა-ყო-ფი-ერ-ება (ცო <// ყო*)** შინაარსობრივად მასთანაა დაკავშირებული, როგორც სასიცოცხლო ძალმოსილების არსებობის თავწყაროს აღმნიშვნელთან. იგივე ითქმის მამაკაცის ასოს ქართ-მეგრ. ვულგარულ სახელწოდებებზე: **ყორ* >** მეგრ. **ცოლ.** შდრ. ლათინური **koleus // კოლ**-ეუს „სათესლე პარკი"; **ყორ* >** ქართ **> ყოლ* > ყლ;**

უკვე ვიცით, რომ კოიტუზის აღმნიშვნელ, ქართულ ვულგარულ მეტყველებაში არსებული **ტყ** კომპლექსი **ნყ** წარმომავლობისაა. მაშ, იგივე დანიშნულების მეგრული სიტყვის **ხოდ** ძირის **ხ** ბგერა **ყ**-დანაა: **ხოდ < ყოდ* (ხოდ > ხვად-ი.** ი. ყიფშიძე). შდრ: სლ. **ხერ** რუსულ სალანძღავ ფრაზაში – იდი ნა **ხერ**... და რუსული გახმოვანებული **ხ** ბგერა მამაკაცის „ასოს" სახელად – **ხუ..** ეს **ხ** ბგერაა, ასევე, იგივე სემასიის სიტყვების შემადგენლობაში, ებრაულში. ყველგან მათი ამოსავალია **ყ** ბგერა...

მეგრ. **ყუარ**-უა **// ყვარ**-უა ზმნის შესატყვისი ქართ. და-**კოდ**-ვა, თითქოს, ამ პირველისგან განზე დგას,, მაგრამ ეს ეჭვი მაშინვე გაქრება თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული **კოდვა** განთესვაა. მ. ე. **ყორ > ყუარ და ყორ > კოდ** ფაქტია: **ყვარ**-ილ-ი მეგრულად და-**კოდ**-ილ-ია. იმავდროულად იგი დაკოდილი მამალიცაა; **ყვერ**-ული კი „დაკოდილი მამალია ქართულად"... მაშასადამე, ქართული **კოდვასა** და, **ხოდ** ძირისა და **უა** სუფიქსის მქონე, მეგრული კოიტუზის მნიშვნელობის მქონე ზმნის დედააზრი განთესვა ყოფილა, ხოლო **კოდ** და **ხოდ** ძირები სემასო-ფონეტიკური ექვივალენტები ყოფილან. უეჭველია, მათი **კ** და **ხ** ბგერათა ამოსავალია **ყ** ბგერა. მნიშვნელობით-აგებულებითი წნულის ამგვარ ხვეულებს **ყორ** თავსაწყისადმი მივყევართ: **ყორ* > ხოდ; ყორ* > კოდ.**

ამ ყორ ძირიდან ამოზრდილ ქორ ძირის შემცველია ქართ ქორ-წილ-ი (ყ > ქ იხ. ქვემოთ – ჩხ ბკ.), რომლის წილ უკვე განვსაზღვრეთ როგორც წირ „დაჭრის მნიშვნელობის“ ძირი (იხ. ზემოთ გვ. 113). ამგვარად ქორ-წილი (< ყორ-წირ-ი*) აღნიშნავდა დაჭრით მიმდინარე პირველ სექსს..

სიყვარული // ცოროფა

რაკი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განთესვის აღმნიშვნელი ქართული კოდ-ვას – კოდ აშკარა მსგავსია მეგრული კოიტუზის აღმნიშვნელ ხოდ ძირისა, რომელი პროცესიც უსიყვარულოდ არ ხორციელდება, ხოლო კოდ-ვა მეგრულად ყვარ-უა გახლავთ, უეჭველია: სი-ყვარ-ულ-ი ქართ. სი პრეფიქსით გაფორმებული, განთესვის აღმნიშვნელი მეგრ. ყვარ-უას ყვარ ძირისა და ულ სუფიქსისაგან შემდგარი სიტყვა ყოფილა: განთესვა აზრისგან ეტიმ. ამოსავლიანობას ქართ. სიყვა-რულ სიტყვისას აზუსტებს იგივე მნიშვნელობის მეგრ. ცორ-ოფა: დიახ, რადგან ცორ-ყოფა, მეგრულად „ძუდ ყოფნა-ს“ ნიშნავს: ცორ-ი მეგრულად – დედალი ღორი (ცორ < ყორ*) და კერ-ი (კერ < ყერ*)კი ხვადია: ბავშვობაში გამიგონია, ჩხუბისას იტყოდნენ: მეუ, სი ცორ-ი – „წადი შე დედალოო (შე ნეზვო“-ო. იხ. ა. ქობალია „მ. ლ. გვ 655“).

ოფა სუფიქსი სიტყვისა ცორ-ოფა, ყოფიერების აღმნიშვნელი, ყ-ოფა // ც-ოფა სტატიკური ზმნის თავკიდურა ყ // ც ბგერა მოცილებული ფრაგმენტია: ყორ-ყოფა* >// ყორ-ცოფა* „ძუდ გახდომა“> ცორ-ოფა „სიყვარული“. ზუსტად ამგვარადვე კომპლექსიდან ყ // ც ბგერის დაკარგვითაა ნაწარმოები ჭოროფა „წვიმიანობა“: ჭორ-ოფა < ჭორ ცოფა „წყალ ყოფა“.

ამგვარად, მეგრულად ცორ-ოფა „სიყვარული“, ზედმიწევნით, ნიშნავდა მდედრად, ძუდ ყოფნას. მაგრამ, რამეთუ, როგორც, ზემოთა ვთქვით, ქართული კოდ-ვა // მეგრ. ყვარ-უა, სი-ყვარ-ულ-სა და, ხოდ ძირით, მეგრული კოიტუზის მნიშვნელობის ზმნის დედააზრი განთესვაა, ცხადია, იგივეა მეგრულივე ცორ-ოფა ანუ „ძუდ ყოფნა.“

ანუ, მეგრულად, სემასიურ ასპექტში, ყორ-ყოფა // ცორ-ოფა განთესვის პროცესი ყოფილა, რაც, იმავდროულად, ძუდ გახდომად იყო მოაზრებული: აი, რა მიზეზით გაერთიანდა, სემასო-ფო-

ნეტიკურად, კოიტუზის (განთესვის) აღმნიშვნელი მეგრ. **ხოდ** და ქართული მამრობის აღმნიშვნელი – **ხვად** ძირები, რასაც იოსებ ყიფშიძემაც მიაქცია ყურადღება.

მამრობითობასთან დაკავშირებული, სხვა, სახელები

თუ მამაკაცის სარცხვინელის – ფალოსის და სათესლე ჯირკვლების სახელები **ყ** ბგერიდან არიან ამოსულნი, გასაგებია მისივე (**ყ** ბგერის) როლი ტერმინ **ყოჩი** სიტყვაში: იგი მამრობითობის ნიშანია. ამას ადასტურებს **ყორ** ალომორფის ფ. ს. ცვლილებები:

ყორი* > **ყოჩი** (თურქულ ნასესხობად ითვლება). **რ > (ჯ >) ჩ** შდრ. მეგრ. **პიჩვანი** „მარხვა“ < **პიჯ-ვარი** // **პიჯ ვარი** < **პირ-ვარი*** ზედმიწევნით „პირი არა ანუ საკვები პირში არა“! **ყორი*** > **კოჩი** „მეგრ კაცი“. **ყ > კ** შდრ. **ყვარია** // **კვარია** მეგრ. „ყვავი;“

ყორი* > **კოჩი** > **კაცი**. **ჩ > ც** იხ. **„ჩხ** ბგერათკომპლექსი“;

ყოჩი > მეგრ. **ოჩი** (“...დენტალურ და ველარულ თანხმოვანთა მონაცვლეობის, აგრეთვე მათი დაკარგვის თვალსაზრისით საყურადღებოა ... კავკასიურ-აღმოსავლეთ ანატოლიურ ტოპონიმთათა ვარიანტებიც: **ხალიბი / ალიბი, ხაბარენი / ობარენი, ხარიმატი / არიმატი, ქალზევანი / აღზევანი, ტაპირი / აპირი, ტორეტი / ორეტი, თუნი / უნი**..“ ივ. ქავთარაძე.

მეგრ. **ოჩი** > ქართ. **ვაცი**. (**ო > ვა** ცნობილია); **ყორ** ალომორფის **რ** სონორს თუ **მ** შეენაცვლა, დროში, ეს გამოიწვევს ხელმეორე **რ-ი** სუფიქსაციის მოთხოვნილებას, შემდგომი გახმოვანებით: **ყორ > ყომ* + რ-ი > ყომ-რი* > ყომორი* >// ქომორი //>** ქომოლი მეგრ. „მამრი, მამაცი“. თუმცა, მეორე ვერსიით: **ქო-მოლი**, უფრო სავარაუდოა, თავიდანვე, მამრობის, მამაცობის ხაზგასმისათვის, **ყო და ყორ** ალომორფების დუბლირებით იყოს წარმოქმნილი: **ყო-ყორ*** (**მ**-ს განვითარება: შდრ. **ყივანა** // **მყივანა**) > **მყო-ყორ** > **ყომყორ*** > **ყო-მორ*** > **ქო-მორ**: მეგრ. **ქო-მოლ**-ის ფონეტიკური შესატყვისია ქართ. **ქა-მარ** (**ქამარ*** > **ქმარ**. ვ. თოფურია). ისიც მამრობის, მამაცობის ხაზგასმისათვის, **ყა და ყარ** ალომორფების (**ყ** ბგერის) დუბლირებითაა წარმოქმნილი: **ყა-ყარ*** > **მყა-ყარ*** > **ყა-მყარ*** > **ყა-მარ*** > **ქა-მარ** (**ყ > ქ** იხ. **ჩხ** ბკ.): ე. ი. მეგრ. **ქო-მორ*** // ქართ. **ქა-მარ*** სახელთა ორივე ნაწილი მამრობითობის აღმნიშვნელია: მეგრ. **ქომორი*** რესტავრირებული სახელის **რ** ბგე-

რის აფრიკატიზებული ფორმაა > ქომოჯი >// ქომონჯი მეგრ. ქმარი. იხ. არნ. ჩიქობავა. შ. ლ. გვ 34 – 35..

დემიურგი ყ ბგერის მეტოქეობა ხ ხმაბაძვითთან

განვიხილოთ **ყ** და **ხ** ბგერების ალომორფებიდან წარმოქმნილ სახელებში ამ ორი ბგერის მეტოქეობა: მაგ: გვაქვს ქართულ-მეგრული **ა : ო** და **რ : ჯ** ბგერათშესატყვისობა სიტყვებში **ხარ-ი // ხოჯ-ი**. ამათ წარმოსაქმნელად კი **ყარ, ყორ** თუ, **ხ** ბგერისაგან (იხ. ქვემოთ) – **ხარ, ხორ** ალომორფებს სამართლიანი პრეტენზიები გააჩნიათ: ეტიმ. ამოსავლიანობის თვალსაზრისით, **ყარ და ყორ**-ისკენ ხარის – მამრობითობა (იხ.. ზემოთ ყორ-ი-დან ამოზრდილი ყოჩი და სხვა სახელები), ხოლო **ხარ და ხორ**-ისკენ კი ხარის როგორც გამწევი ძალის, მხვნელის და, მ. ე, ამ დროს წარმოქმნილი **ხ... ხ..ხ..** ხმაბ. ბგერების არსებობა გვიზიდავს. აქ თითქოს უპირატესობაცაა: მივმართოთ ფაქტობრივ მასალას. ჯერ განვიხილოთ **ხ** ბგერა.

ხ ბგერა

ქართველურში **ხ** ბგერის წინაპრად ძველ ქართული და სვანური **ჴ** ფონემა მიიჩნიათ. ვფიქრობთ, სწორედ ეს უკანასკნელი გვიჩვენებს თუ როგორ ამოიზარდა **ხ**, მისივე გაშუალებით, **ყ** ბგერიდან: არტიკულაციის ამოწევას მისას სტიმულირებდა ბუნების **ხხხ** ხმიანობათა არსებობა.

ხმაბ. **ჴ // ხ** წარმოქმნილია ადამიანის ისეთი მოსაქმეობისას, როცა **ხ...ხ...ხ...** ხმიანობის გამოცემა ხდება. მაგ: **ხერხვა** // მეგრ. **ხორ-ხუა: ხ** ბგერა დუბლირებულია რითაც ხერხვის ხმებისადმი ხმაბაძვითი სიტყვის მისადაგება მაღალ ხარისხშია აყვანილი;

ხერ-ხელ-ი (< **ხერ-ხერ-ი***) „მეგრ. **ხ** ბგერის გამოლებით რისამე თრევა;“ **ხო-ხიალ-ი** (**ხორ-ხიარ-ი***) და // **ხოხ-ვა** < // მეგრ. **ხო-ხუა**: „სულიერი არსების, ზედაპირზე, **ხ** ბგერის გამოლებით, თავისებური, მოძრაობა;“ **ხა-ხუნ-ი** (**ხარ-ხურ-ი***) // მეგრ. **ხახუა. უხახუანს** „**ეხახუნება**“; **ხი-ხონ-უა** (< ხირ-ხორ-უა*) „მეგრ. მიწის თითებით თხრა“; **ხრიალი** // მეგრ. **რხიალი** „ პროცესი **ხრ** ბგერების გამოცემით;“ **ხონ-უა** < **ხორ-უა*** მეგრ. „**ხვნა**“; **ხორ-უა*** > **ხონუა** > **ხუნუა***

> ხუნა > ხვნა; თხორ-უა // ნთხორ-უა მეგრ. „თხრა"; თხორ-უა // თხარა* > თხრა'; ასევე: ქართ თიხა; მეგრ. დიხა;"მიწა;"ქართ. გო-როხი // მეგრ. როხი „გოროხი" და მეგრ. როხ-უა „ბერტყვა"; ქართ. თხრილი // მეგრ. თხორილი; ამ მაგალითებით მოცემული პროცესები ხხხ ხმიანობით მიმდინარეობენ და, რა თქმა უნდა, მათი აღმნიშვნელი სიტყვები, დამტკიცებულად, ხმაბაძვითნი არიან: ბევრ მათთაგანში (განსაკუთრებით დუბლირებულებში) ხ არაა ყ-ს ნაცვალი. ეს ხმაბ. სიტყვები გვიანდელნი არიან. მათი ხ ბგერის ადგილზე კი არ იყო ყ ბგერა, არამედ, ხ მანამდეც, კლანის მეტყველებაში არსებობდა, რომლის მეშვეობითაც მოხდა ხმაბაძვა. რაც შეეხება ბოლო მონო ხ ბგერიან სიტყვებს, დასაშვებია ისინი, ჯ გაშუალებით, ყ ბგერიდან იყვნენ ამოზრდილნი: მაგ. მეგრ დიხა „მიწა"იყო დიყა*, რაზეც ქართ. აყალო მიწა, ყანა ლაზ-მეგრ. ღონა // ღვანა გვაფიქრებინებს: ყ ბგერას ამოწევისკენ ექაჩებოდა, მასთან შედარებით ხ ბგერის ხმაბაძვითი უპირატესობა უძველესი ადამიანის მიერ საკვების მინიდან თითებით ამოთხრისას წარმოქმნილ ხხხ ხმიანობებთან.

მეგრ. ხონ-უა // ქართ. ხვნ-ა; მეგრ. ხარ-უა, ხარი, ხარ-აზ-უა, ხარ-ატ-უა, ხირ-იტ-უა, ხარ-ცქუა, გო-ხარ-ცქუა

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ხონუა // ხვნა წარმოქმნილია ადამიანის ისეთი საქმიანობისას როცა ხხხ ხმიანობათა გამოცემა ხდება. ამ სიტყვებიდან რომელია საწყისი? – რა თქმა უნდა, ხონ-უაა, რადგან ქართულში თავმოყრილი სამი – ხვნ თანხმოვანკომპლექსი, საწყის მონაცემად, წარმოუდგენელია. ე. ი. მოხდა ო > ვ გაბაგისმიერება, რაც ხშირია: მეგრ ხონ > ქართ. ხვნ;

მეგრ. ხარ-უა. „თოვლში პირველი კვალის გავლება"ა; ხარ-უა ასევე „დანისპირით ცხოველის მუცლის გახსნაა.." ვფიქრობ მეგრ. ხარ-უა და ხონუა აზრობრივად ახლოს არიან: ხონ-უა სახნისით კვალის გავლებაა მიწაზე; იგივეა ხარ-უაც, ოღონდ სხვა საგნით სხვა ობიექტზე და სხვა გარემოში... აზრობრივად, ხარ-უა სიტყვასთანაა ასევე დაკავშირებული მეგრ. ანატომიური სახელი – ხარ-ი, ქართულად – „შორისი", (მეგრულში, რომლის მნიშვნელობამაც ბარძაყის შიგნითა ზედაპირზეც განიცადა მიგრაცია): ასევე: ხარ-აზ-უა, // ხარ-ატ-უა // ხირ-იტ-უა „ფხაჭნა, ხევა" // ხარ-ცქუა, (გო)-ხარ-ცქ-უა „(გა)ხლეჩა"და ა. შ.

აბსტრაქტული ტერმინი – **ახალი, ხალა, ო-ხალი, აღანი**

ახალი სიტყვისაგან უამრავი ასევე აბსტრქტული სახელები იწარმოება, როგორნიც არიან: **სიახლე, განახლება, ახალთ-ახალი, ახლებური** და ა. შ. რომელთა შორის არიან ზმნები და, მაშასადამე, ისინი უამრავ ზმნურ ფორმებს იძლევიან.

აბსტრაქტული ტერმინები ობიექტური რეალიების აღქმისა და გადააზრიანების შედეგად აღმოცენდებიან: როგორ რეალურ აღქმად მოვლენას უკავშირდება აბსტრ. ტერმინი **ახალი?** – ეს გახლავთ მშობიარობა, ახლის დაბადება: მეგრულად შობის ფარდი სიტყვაა – **ხა-ლა: ხა** ოდესღაც, გახლდათ ძირი სიტყვისა მეგრ. დი-**ხა** „მიწა", ხოლო **ლა** – სუფიქსი, რომელიც სიტყვაში **ხალა** მისივე **ხა** ძირს არის შეზრდილი. იგი, ზოგჯერ, ქმედების აღმნიშველია: მაგ. ნირზი // ნირზა-**ლა** „ქიშპობა", დვა-**ლა** „დება" და ასე შემდეგ: ასეთივეა აქაც **ლა** სუფიქსის როლი: **ხა-ლა,** ესე იგი, ქმედება მიწაზე: უძველეს წარსულში, მშობიარობა ხომ მიწაზე მწოლიარედ მიმდინარეობდა: **ხალა** სიტყვისაგან აბსტრ. სახელის – **ახალი** წარმოქმნის აზრობრივი ამოსავლიანობა სრულიად ნათელია, რადგანაც **ხალა // შობა-ს მოლოდინი ანუ მუცლად მყოფი ბავშვის დაბადების მოლოდინი,** დიახაც, იძლევა ახლის, განახლების, თვალსაჩინო წარმოდგენებს: რამეთუ **ხალა შობაა,** „ის რაც უნდა იშვას" მეგრულად, იქნება **ო-ხალი***. ზედმიწ. უდრის „სა-შობი." ამგვარად, „მუცლადმყოფი შვილის მომავალში შობის" ობიექტური აღქმებით ფიქსირებული აზრი გარდასახდა „ახლის აბსტრ. აზრო-ფორმად: **ო**-ხალი „საშობი" > **ახალი**; **ახალი** > აღანი ლაზ. „ახალი"

ხველა და პათოლოგიურ სუნთქვასთან დაკავაშირებული სახელები

ნორმალური სუნთქვა უფრო ჰჰჰ ბგერების სადაგია. თუმცა ხმაბაძვითი ხ ბგერა, გარდა ზემოთდასახელებული მოვლენებისა, ასევე, წარმოქმნილია პათოლოგიური სუნთქვის ხმიანობისადმი მიბაძვით. ასეთი პათოლოგიები – სასუნთქი გზების ლორწოვნის

შეშუპებები ხშირია და ამ დროს სუნთქვის ბგერითი სპექტრი დაახლოებით **შხ, ჩხ და ხხხ** წარმოთქმული ბგერების ინტერვალშია. ხველება ფილტვის სხვადასხვა პათოლოგიებისას, უფრო **ხხხ** ხმიანობათა მიმსგავსებით მიმდინარეობს. ამიტომაც, მედიცინაში, ამ დროს ფილტვის სხვადასხვა ხმიანობებს **ხიხ**ინებს ეძახიან.

ქართ. ხელსაწყო-იარაღის სახელი **ხერხი** მეგრულად გახლავთ – **ხორხი**; ეს უკანასკნელი, დუბლირებული **ხ** ბგერის შემცველი მეგრული სიტყვა – **ხორხი**, ქართულში ანატომიური ორგანოა და **ყანყრატო**-ც ქვია. მეგრულად კი **ყორყელი** და **ხორ-ხოტა** გახლავთ, რომელთაშიც, უკვე, **ყ** ბგერაცაა დუბლირებული. მაგრამ მათში, რომელია თავდაპირველი **ყ** თუ **ხ** ბგერა გაურკვეველია. ნიშანდობლივი ისაა, რომ **ხორხი** ის ორგანოა სადაც ამოხველების **ხხხ** ხმიანობა გამოიცემა. ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ **ხ** ბგერაა საწყისი მონაცემი. მაგრამ არა: საქმე იმაშია, არც **ხ** და არც რომელიმე სხვა **ყ** ბგერას არ იძლევა. პირიქით კი **ყ** ბგერიდან ყველა სხვა და **ხ** ბგერაც მიიღება. მაშ, ფაქტია აქ საწყისია **ყ**. ანუ **ხორხ**-ი // **ყან-ყრ**(-ატო) და // მეგრულში **ხორ-ხ**(-ოტა) // **ყორ-ყ**(-ელი) დუბლიკატებში ჯერ იყო **ყ** ბგერა, რომელიც **ხ**-დ ამოიწია: ქართ. **ყორ-ყრ* > ყან-ყრ* > ყაყრ* > ყან-ყრ**(-ატო); ხოლო ამ **ხ**-დ ამოწევას ხელს უწყობდა და განაპირობებდა არა მარტო დროის ფაქტორით განპირობებული სპონტანური მოვლენები, არამედ ხმაბაძვითი უპირატესობა **ხ** ბგერისა **ყ** ბგერასთან მიმართებით. ე. ი: მეგრ. **ყორ-ყ* > ხორხ**(-ოტა); // ქართ. **ყანყრატო** >// მეგრ. **ხორხოტას** შემთხვევაში, **ხ-ს** ადგილზე **ყ** იყო: თუმცა, **ხ** უკვე, კლანის მეტყველებაში არსებობდა, როგორც **ყ** ბგერის სპონტანური ცვლილებების შედეგად წარმოქმნილი ბგერა, რასაც როგორც ითქვა **ხ** ბგერის ხმაბაძვითი უპირატესობა სტიმულირებდა..თუმცა, ჯამში, ყველა ჩამოთვლილ **ხ** ბგერიან სიტყვებში **ხ** ბგერა შეიქმნა არა უთავდაპირველესი სახელდებით, არამედ, დიდი ხნის მანძილზე, **წ** და **ყ** ბგერებით მეტყველების ბაზაზე, უკვე ჩამოყალიბებული ბგერითი (**ყ ან ჴ**) ინვენტარით.

კოლხურ-სვანურ-ქართული ფონეტიკურ სემანტიკური წნულის მაგალითი

ვინაიდან **ხ** ბგერა **ხორხ-ცხვირ-ხახაში ხხხ** ხმიანობების ხმაბაძვითაც წარმოიქმნება, ბუნებრივია მისი არსებობა სიტყვებში – **ხმა** // მეგრ. **ხომა, ხუმა, ხონარი.**

„...სვანური ლაჶვამ /ლაჶვმი „სალოცავი“ ფორმაში ძირად გამოიყოფა -ჶვამ/-ჶვმ, **ლა** კი დანიშნულების მაწარმოებელი თავსართია. სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, სვანური ჶვამ /ჶვმ და ლაზური **ხომ** ძირები მიჩნეულია კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისად (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე), ქართული შესატყვისი კი გამოვლენილი არ არის, თუმცა სხვა თვალსაზრისის მიხედვით, სვ.–ზან. ძირები დაკავშირებულია ქართ. ჶმ-ა, ჶმ-ობ-ა; ჶმ-ევ-ა „დახმარება“; სა-ჶმ-ევ-ელ-ი, სა-ჶმ-არ-ი „შესაწევნელი“ (საბა) ფუძეებთან, შესაბამისად კი საერთოქართვ. ფუძეენის დონეზე აღდგენილია **ჶვამ არქეტიპი...“ (მ. ჩუხუა).**

არქეტიპია ჶომ ძირი:: ეს იმიტომ, რომ ზემოთხსენებულთა, – ჶმ-ა // **ხმა**, ჶმ-ობ-ა „ყვირილი“და ჶმ-ევ-ა „დახმარება“, სა-ჶმ-ევ-ელ-ი, სა-ჶმ-არ-ი „შესაწევნელი“ ამოსავალია, ჩვენს მიერ რესტავირებული, **ჶომა*** „ხმა:* ნაკუმშ ხმა სიტყვის შესატყვისად, ძვ. ქართ.. გვაქვს **ჶმა**. მისი წინაფორმაა ჶამა:* **ხმა** < ჶმა < ჶამა. ძვ. ქართ ჶმობა = ყვირილი: „...ჶმობდეს ხმითა დიდითა“. რამეთუ: ლაზ. მეგრ. **ხომა** „ხმაა“ და ქართული კუმშვისადმია მიდრეკილი, ჶმ-ობა სიტყვის წინარედ ჶომ-ობა აღდგება:* ამის შემდეგ, მნიშვნელობის გადანაცვლება ჶომობა* // ჶმ-ობა „ყვირილი“ > ჶმ-ევა „დახმარება“ სათუო არაა.

გვაქ მეგრ. ხონ-არ-ი // ხუმა // ხომა „ხმა“. ხოლო, ვინაიდან ძვ. ქართულში, აქვე ზემოთ, აღდგენილი ჶომ-ობა* კანონიერია, მ. ე. ლაზურ-მეგრულშიც იყო **ხომ** ძირის წინარედ – ჶომ*... ამგვარად, რაკი მეგრ. **ხომა** „ხმა“ სიტყვის წინარეა ჶომა, ხოლო, შეასაბამისად, ძვ. ქართ. ჶმა-სი კი – ჶამა*, ცხადია, ამ უკანასკნელის **ა** ხმოვანი მეგრ. ხვამას **ვა** მარცვალს ვერანაირად მოგვცემდა: მ. ე. ჶომ-ა* > ხვამა; ჶომ-ა* > ხამ-ა* > ხმა გახლავთ უეჭველი: ესენი მეგრ : ქართ. **ო > ა** მიმართულების მკაფიო მაგალითები არიან.

ლოცვა მღერითი ხმითა და რჩეული მჭერმეტყველებით ხდება, ამიტომ ხმის აღმნიშვნელ, რესტავრირებულ, ჯომ* ძირის **ო** ხმოვნის **ვა-დ** დაშლის (შდრ: გორი > გვარი) შედეგია მეგრ. ლოცვის აღმნიშვნელი ხვამა სიტყვის ხვამ ძირი და – სვ. ლა-ჯვამ // ლა-ჯვმი.“სალოცავის“ **ხვამ და ხვმ.**

ხორბალი // ქობალი, ხელი, ხე, მხარი, ხუჯი, ხარაჩო, ხურჯინი // ხურჯონი, ხირომანტია

ქართ. **ხორ-**ბალი >// მეგრ. **ქო-**ბალი: **ხორ-**ბალ-ი ეტიმ. უდრის **ხორუაშ ბალი** ანუ „სამო-სახლოს ბალი“ (იხ. ქვემოთ). მეგრ. **ქო**ბალი „პური“ კი ქართ. **ხო**რბალი სიტყვის შემადგენლობაში შემავალ **ხ > ქ** ამოწევის – შდრ. ქართ. **ხო** >// მეგრ. **ქო** „მტკიცებითი ნაწილაკი“ და **რ** ბგერის ამოვარდნის (შდრ: გაზრდა > გაზდა) გამოა: **ხო(რ)**ბალ-ი > **ქო**ბალ-ი. **ხორ-ბალ-**ის **ხორ ყორ-**ი-დანაა, **ბალ** კი ყარ > **ბყარ*** > **ბარ*** // ბალ პროცესთა ნაყოფია. აქვე უნდა ვთქვათ, რომ მეცნიერებაში ნასესხობად გაზიარებული **პური** კოლხურია: ეს იმიტომ, რომ **ყორ და ყურ** კვება და საკვებ სახელთა ძირიცაა. **ბჳ** კი **პ** ბგერას რომ იძლევა ბევრჯერ მივანიშნებთ. **ამგვარად, ბყურ*** >, **ბჳურ*** > პურ კანონიერია.

ხელი < **ხერ-**ი*; მეგრ. **ხე** „ხელი“ წინათ იყო **ხელ-**ი* ფორმით, რადაგან მრავლობითში გვაქვს **ხელ-**ეფ-ი (არნ. ჩიქობავა). ქართ. **ხე** (// მეგრ „ჯა“) და მეგრ. **ხე** „ხელი რაკი აგებულებით იდენტურნი არიან, ხოლო მტევნის თითებს – ხის ტოტებად, მკლავს კი – ტანად წარმოვიდგენთ, მაშინ თვალწინ ხის სურათი დაგვიდგება: მკვლევართა მოსაზრებით (გურამ კორკელია), აი ეს გახდა საფუძველი მეგრ. **ხე** „ხელი“ სახელის მიგრაციისა ქართ. **ხე** სიტყვად. ანუ ქართ. **ხე** აზრობრივი წარმონაქმნი – სემანტემაა"

მხარი // მეგრ. **ხუჯი**: აქ ქართ. **რ** გართულდა **ჯ** აფრიკატად, ხოლო მეგრული **უ** ბაგისმიერის ადგილზე ა ღიაობაა. ანუ მათთვის საერთო **ხ-ორ*** წინაფორმიდან, ქართულმა – **რ**, ხოლო მეგრულმა – **უ** შეინარჩუნა: **ხ-ორ-**ი* + **მ** > **მ-ხარ-**ი; **ხორი*** > **ხ-ურ-**ი* > // **ხ-უჯ-**ი „მეგრ. მხარი“; **ხ** ძირეულია (არნ. ჩიქობავა).

ხ-არ ფიქსირდება შემდეგ ლექსემებში: მეგრ. // ქართ. **ხ-არ-**აჩ-ო; მეგრ. **ხ-არ-**გა, „ერთჯერადი ტვირთი, საპალნე,... განქერქილ

ჯოხზე აცმული ხორცი მაყრიონისა; **ხ-არ-ი-შა**, მეგრ.“ხელგაშლილი, მფლანგვე-ლი;“ **ხ-არ-გ-უა** „დატვირთვა“; **ხ-არ-თა** // ხალთა „ციკნის ტყავის აბგა“...იხ ა. ქობალია. ლ. ქ. გვ. 718. **ხურ-ჯინი** // მეგრ. **ხურ-ჯონი** დიდებული დამოწმებაა აქვე, ზემოთქმულისა: **ხ-ურ** მეგრული > **ხ-უჯ-**ის წინაფორმაა, ჯინ-ი კი მეგრ. **ჟინ** „ზევითა“ სიტყვას **ჟ** > **ჯ** სუბსტიტუციის შედეგია. ანუ **ხურ-ჯინ-ი** უდრის „მხარს ზედა“, მხარზე წამოსაკიდი. (ეს ეტიმოლოგია, მგონია სადღაც წამიკითხავს)...

მაგრამ რაკი **ჟ** ახალი ბგერაა და, ამიტომ, **ჟ** > **ჯ** ნაკლებ მოსალოდნელია, ვინემ პირიქით **ჯ** > **ჟ**. მგონია, **ხურ-ჯინ-**ის წინაფორმაა **ხურ-რინ-ი***. მისი **რინ** კომპონენტი ამოსულია სტატიკური მდგომარეობის აღმნიშნველ მეგრ. ზმნიდან **რე** „არის-იდან.“: ამგვარად **ხურ რე** ფრაზა, აღნიშნავდა „მხარზე არსებულს // მხარზე მოთავსებულს“: **ხურ-რე** > **ხურ-რინ** > **ხურ-ჯინ**.

მეგრ. // ქართ. **ხ-ურ-ო** კიდევ ერთი მტკიცებაა მეგრ. **ხ-უჯ** < **ხ-ურ**; პროცესისა, რადგან **ხურო**-ობა ხელით საქმიანობაა. შდრ. მეგრ. **ხელ-უა-ნი** // ქართ. **ხელ-ო-სან-ი**, ქართ. // მეგრ. **მო-ხელ-ე** და ა. შ.

ხირომანტია ლათ. „ხელით მკითხაობაა:“ **ხ-ირ-ო** ნაწილი ამ სიტყვისა, უეჭვე-ლია, მ-**ხ-არ-ი** < **ხ-არ***-ი და **ხ-უჯ-ი** < **ხ-ურ-ი*** პროცესთა საწყის **ხარ*** და **ხურ*** **ძირ**ების პარალელია, ლათინურში. ანუ იგი მიუთითებს იმ დროზე, როცა **ხარ*** // **ხურ*** // და **ხირ** ერთიდაიგვე მნიშვნელობის სიტყვა გახლდათ, ამ ხალხებისათვის. ენათმეცნიერთა დაზუსტებებით კი ლათინური ევროპელთა საბაზისო ენაა..

ტ. **ხელი**-სა და აზრობრივად, მიწასთან დაკავშირებული სახელებში **ხ** ბგერის მონაწილეობა იმ პერიოდზე უნდა მიგვანიშნებდეს, როცა მიწის სამუშაოები, როგორიცაა თავშესაფარების – მიწათხრილ-გამოქვაბულების კეთება, მცენარეთა ფესვების მოპოვება და ა. შ., მხოლოდ, უშუალოდ, შეუიარაღებელი ხელით სრულდება. ამ პროცესებში – მიწიდან საკვების მოპოვებისას, დომინანტური ხელით საქმიანობის თანმხლები ბგერითი გამოვლინებებია **ხხხხ** ბგერები. წარმოიქმნება აზროფორმა – **ხგ რე** უდრის **„ხხხ** არის“ ანუ **ხხხ** ხმიანობებია. აი, რატომაა **ხგ რე** ფრაზა-დან ამოსული > **ხერ-ი*** წინაფორმა მეგრული **ხე** // **ხელ** და ქართ. **ხელი**-სა.

თხილი, ხილი, ორახისი, ორეხი, ხორბალი, ქობალი, ქობულეთი, ქაბული, ხაბური, ბულია, ჯამბული, ჯაბურია, ხლებ, ხორონით, გახარება, ხერება

ქართ. **თხილ-ი** //< მეგრ. **თხირ-ი** (< **დ-ხირ-ი***) ხმაბაძვითი სიტყვაა, ხოლო ქართ. // მეგრ. ზოგადად ხილეულობის აღმნიშვნელი სახელი **ხილ-ი** (< **ხირ-ი***), ადრეულ პერიოდში კაცობრიობის განვითარებისა, უმნიშვნელოვანესი ღირებულებების – თხილის ყუათიანობის გამო, სწორედ ამ უკანასკნელის მნიშვნელობის გაფართოების შედეგი ყოფილა. **ო-რახ**-ისი „მიწის თხილი“ ამავე კონტექსტშია განსახილველი. ეს სახელი ი. ე. კი არა კოლხურია, ოღონდ — ექსპორტირებული: **ო-რახ**-ისი უდრის **ო-ხორ**-ინში ზედმ.“**სა-ხლ**-ისი.“

ო-რეხ სლ. „ნიგოზი:“ ამ სიტყვის **რეხ ო-რახ**-ისის **რახ** ძირთან, აშკარად,ქართ : მეგრ. **ე : ა** ხმოვნურ შესატყვისობას: წარმოჩენს: **ო-რეხ და ო-რახ-ისის ო-რახ**, სწორედ, მხოლოდ **რეხ : რახ** ძირით განსხვავდებიან. ამიტომ **ო-რეხ ო-რახ**-ისის ისეთივე გამართივებაა, როგორიც – სლ. **ხლებ** ქართ. **ხორ-ბლ**-ისა იხ. ქვემოთ..

ქო-ბულ-ეთ-ი < ხორ-ბულ-ეთ-ი*: ეს ტოპონიმი მეგრ. **ხორ**-ისა ანუ საცხოვრისისა და **ბლის** ნაყოფთა ღირსებებითაა განპირობებული: ხორბლის მიგნებამდე, დიდ დროში, ბალი გახლდათ მნიშვნელოვანი საკვები და, ამიტომაც იყო გაფეტიშებული. მიწათმოქმედების საწყის ეტაპზე, მისი სახელი გავრცელდა ახლადაღმოჩენილ ხორბალზე, რომელიც სახლში მოყავდათ. ამის გამო, პირვანდელი ფორმა ხორბლისა იყო: **ხორ-იშ ბულ-ი** „სახლ-კარის ბალი“, რომელშიც **იშ** სუფიქსი დაიკარგა, რაც უხშირესია. შდრ: ყებურ-**იშ** პის > ყებურ-პის = „კერიის პირას“: ხორ-**იშ**-ბულ > ხორ-ბულ. ეს უკანასკნელი **ეთ** სუფიქსის დამატებით ქობულ-**ეთ**-ი გახდა. აქედანვეა **ქა-ბულ-ი** „ჰიდრონიმი და ტოპონიმი“ და **ხა-ბურ-ი** ასევე უძველესი „ჰიდრონიმი და ტოპონიმი მესოპოტამიაში..

მაშ, **ო-რახ-ისი < ოხორ-ინში** და **ქო-ბულ-ეთი < ხორ-იშ-ბულ-ეთი*** ურთიერთმადასტურებელნი არიან.

სახელი ჯა-**მ**-ბულ-ი რომ გვაქვს და მეცნიერებაში მუსლიმურ წარმომავლობისად რომ ითვლება, უძველესი მეგრული სახელია. ა, ჰაააა, მატრიარქატის დროიდან. იმ დროიდან, როცა ბული მეგრ. „ბალი“ გაფეტიშებული იყო (ამ ფეტიშის შედეგია გვარი ბულია): ბაგისმირების წინ **მ** ვითარდება: შდრ: მეგრ. ჯა-პი >// ჯა-**მ**პი: ამგვა-

რად **ჯა-ბულ**-ის (= „ხე ბალი“) **ბ** ბაგისმიერის წინ **მ** განვითარდა და მივიღეთ სამხრეთ-აღმოსავლეთში უხშირესი ჯა-**მ**-ბულ სახელი.

მეგრ. **ბულ** „ბალ“ის პრეფორმაა **ბურ***, რომელიც, მსგავსად ქართ. ბალის **ყარ** ალომორფიდან წარმოქმნისა (იხ ზემოთ), **ყურ** ალომორფის **ბ** მადეფირენცილებელით გართულებისა და **ბყ** კომპლექსიდან **ყ**-ს დაკარგვით მიიღება: ყურ > **ბყურ*** > ბურ* > ბულ. ამიტომაც, ოდესღაც, სახელ ჯამბულ იყო ჯაბურ ფორმით. ამაზე მეტყველებს გვარი ჯა-ბურ-ია და // ჯა-**მ**-ბურ-ია: ჯაბურ* // ჯამ-ბურ; ჯა-ბურ-ია > ჯა-**მ**-ბურ-ია: ესე იგი, ფრაზა ჯა ბურ* = „ხე ბალი“უფრო ძველია ჯა-ბულ „ხე ბალი“ფრაზაზე, თუნდაც იმიტომაც რომ **რ** ბგერა **ლ**-ზე უძველესია..

სახელები: ჯაბა, ჯვებე, ჯუბუ და გვარი ჯიბლა-ძეც ამ ჯა ბულ ფრაზიდან არიან.

ხორუა, როხი, ჯოხი, ჯიხა, ოჯახი, როხუა, ბერკეტი, მყარი, როყიო, ყამირი

მეგრული თ-**ხორ**-უა // ნ-თ-**ხორ**-უა სიტყვების **ხორ** ძირი უცვლელადაა შენარჩუნებული შემდეგ სლ. სიტყვებში: **Хор**-онить // **ხორ**ონიტ, По-**хор**-они // პო-**ხორ**-ონი სლ. „დამარხვა“: აქაც **ხორ** გახლავთ **ხარ // ხურ // ხირ // ხერ** შორეულ ალომორფთა პარალელი.

სლ. Хлеба // ხლ-ებას **ხლ** შეკუმშული ფრაგმენტია წინარე **ხერ** ალომორფისა: **ხლ**-ება < **ხელ**-ება* < **ხერ**-ება: მეგრ. **ხერ**-ება „მცენარის გა-**ხარ**-ებაა. ნარგიქ ქი-ხერ = ნარგავმა გაიხარა.

მეგრ. **ჯიხა** „1. ციხესიმაგრე, 2. მყარი, მტკიცე“ სახელის **ხორ** ძირიდან წარმომავლობის თაობაზე უკვე ვისაუბრეთ: **ხორ**-უა სახლ-კარი და **როხ**-ი 1. „ბელტი“, 2. „დიდი ქვა“ სიტყვათა ძირები – **ხორ და როხ** მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ერთმანეთის მიმართ სიმეტრიულად არიან შებრუნებულნი. ამის მიზეზია **ხ** და **რ** ბგერის ადგილმონაცვლეობა: **ხორ** > **როხ**. თავად **როხ**-ი სიტყვის ფუძე **როხ** ოდნავ განსხვავდება **ჯოხ-ი** სიტყვის **ჯოხ** ფუძესაგან, ოდნავ იმიტომ, რომ **რ** ბგერის **ჯ** აფრიკატად გარდაქმნა უხშირესია. მაშ: **ხორ** > **როხ** > **ჯოხ** კანონიერია. **ჯოხი** თავდაცვის უუპირველესი სახელდახელო იარაღია და, ამიტომ, იქნებ სწორედ ეს სემასიაა მნიშვნელობითი ამოსავალი (**ჯოხი** „თავდაცვის იარაღი“ >) მეგრ. **ჯიხა** „თავდაცვითი ნაგებობასი“: ფონეტიკურად კი **ჯოხ-ი ო**

> **ი** (მაგ. ქო-მიღი > ქი-მიღი; სოტოლია // სოტილია // სოტელია"წითლი ფხალი") გარდაქმნით გვაძლევს > **ჯიხა** „თავდაცვისთვის განკუთვნილ ციხესიმაგრეს სახელს.“

როგორც ითქვა, ახლო სამხრეთ-აღმოსავლეთში გავრცელებული ტერმინი **ო-ჯახ-ი** ნასესხობად ითვლება. სინამდვილეში იგი მეგრ. **ო-ხორ-ი** „ სამოსახლოს“ ფონეტიკური ვარიანტია. აქაც **რ**, გადასმის შემდეგ, აფრიკატიზებულია **ჯ**-დ და **ო** დელაბიალიზებულია: **ო-ხორ > ო-როხ* > ო-ჯოხ > ო-ჯახ.**

მოცემულ მაგალითებში, ფონეტიკური ცვლილებების პირველი **საფეხურია ხორ > როხ. უა** სუფიქსირებული, ეს უკანასკნელი – **როხ-უა** „ჯოხით ცემის, ბერტყვის“ მნიშვნელობითაა მეგრულ ცოცხალ მეტყველებაში: მაშასადამე, ზემოთაღწერილი, **რ**-ს გადასმითა და შემდგომი აფრიკატიზაციით მიღებული **ხორ > როხ > ჯოხ-ი** პროცესები სწორია.

ჯოხი – „სახელდახელო თავდაცვითი იარაღი“ მიწათმოქმედების საწყის ეტაპზე ხდება ასევე „სახელდახელო სამიწათმოქმედო იარაღი.“ იგი პირველქმნილი თოხი გახლავთ:

აქაც იგივე **ხორ* > როხ*** ხდება. **რ** იძლევა **დ** ბგერას (შდრ. ქართ. ცხვირი >// მეგრ. ჩხვინდი) > **დოხ***, ხოლო დენტალთა მონაცვლეობა უხშირესია > **თოხ-ი.**

დღესაც **მარგილი** სამიწათმოქმედო ჯოხია. **ჯოხი** რომ სამიწათმოქმედო იარაღი იყო ამაზე უტყუარად მეტყველებს **ბერკეტი**, რომელიც ინდოევროპული გონიათ: ეტიმ., მეგრ. **ბერგ-კეტი „თოხ-კეტია.“** მაშ, რისი ინდოევროპა:. რა ინდოევროპელებმა შექმნეს მიწათმოქმედება თუ კოლხებმა?...

როხ-ი, მეგრულად კიდევ ნიშნავს **ყორე** ქვას: **როხ დიხა** – „დიდი, ქვასავით მაგარი ბელტია.“ **გოროხია,** რომელიც რჩება, უპირატესად, ყამირი მიწის მოხვნის შემდეგ.

ურყი, მყარი, როყიო, ყამირი

უ-რყ-ი მეგრ. „**ყამ-ირ-ში**“ **უ** არაა უარყოფის პრეფიქსი, პირიქით, იგი მტკიცებითი **ო**-დანაა: **ო-როყი* > უ-როყი* > ურყი** (საწყისი **როყ** ძირი მნივნელობით მყარი შენარჩუნებულია ქართ. **როყიო** ტერმინში): **ყორ**-ეს, როგორც ქვის, აბსტრაქციაა ქართ. **მ-ყარ-ი**

და **როყიო**: ქვისაში სიმყარის გააზრებას წინ არა ელობება რა, ისევე როგორც – **როყიო** სიტყვაში. ამ უკანასკნელში, **რ და ყ** გადასმულნი არიან: **ყორ* > როყ,** ხოლო პირველში **მ** განვითარებულია და მომხდარია **ო** ხმოვნის დელაბიალიზაცია. აქ ყველას ეტიმ ამოსავალია **ყორე** ქვის სიმყარე:

ქართ. **ყამირ**-ის **ყამ** შედეგია **რ > მ** ბრუნისა (შესაძლოა **რ > ნ-თი** გაშუალებული): **ყარ* > ყამ.**

რიყე, რეყე, რუხი, რიკოთი, ყორე, ყორში, კასრი, იკრა, გრად, ვინოგრად, ქვირითი // ქვილითი, ფქვილი, // ქვირი // ლე-ქვერ, ქუა-ლა // ფ-ქვა // ლი-გუე-ჰ, წისქვილი

მდინარის პირას ხშირია ტოპონიმები: ენგურის ნაპირებზე განთავსებულია სოფლები: **რიყე, რეყე, რუხი** (< **რუყი***.); მტკვრის პირას თბილისში ტოპონიმებია – **რიყე**, ნა-**რიყ**-ალა; ძირულას პირას – **რიკო**-თი (< **რიყე**-თი*): აქ ყველგან, როგორც ზემოთ **ხორ* > როხ-ის** შემთხვევაში, **რ** გადასმულია თავკიდურა პოზიციაში. ე. ი. სახელდება ამომდნარეობს **ყორე** ქვის მნიშვნელობიდან: **ყორ***-ე > **რიყე // რეყე**; **ყურ***-**ი** > **რუ-ყ-ი*** > **რუ-ხ-ი**. „ს. ზუგდიდის **რ** -ნი“ **ყორ**-ე ქვას – მეგრ. **როხი** და **როხ** ქუა ეწოდება ანუ **ყორე // როხი-ა,** მაგრამ ღობე-**ყორეს**, რომელიც **რიყის** ქვებითაა ნაგები, **ყორ**-ე ეწოდება. მ. ე. მეგრულშიც **ყორე ქვას ყორე** ერქვა **და დღეს ქვებიანი ნაპირების სახელები – რიყე // რეყე**“, ერთ დროს, თანაბრად, დიდი ზომის ქვასაც ერქვა. მაშ, ჩვენ მართალი ვყოფილვართ, როცა მეგრ. **ყორში** „კოშკის' წარმომავლობა **ყორი-ში** „ზედმიწ. **ყორი-სი** // „ქვისა“-დან რომ დავსახეთ. ციხესიმაგრეები, დიდ უმეტეს შემთხვევაში ხომ **ყორე** ქვებითაა ნაგები.

„სემიტურ ენათა სპეციალისტები არაბულ კასრს მიიჩნევენ ლათ. CASTRUM კასტრუმ-იდან მომდინარედ (ნოდეკე, გ. წერეთელი).“ იხ.. ეტიმ. ძიებანი 1991 გვ 90 მ. ჩუხუა. კოშქის კასრთან დაკავშირება მართებულია, მაგრამ ეტიმ. ამოსავალი **ყორი-ში***-დანაა...

რატომ ეწოდა ქვას **ყორე**?! ჩვენივე ხმაბაძვითი თეორიით, მიწასთან დაკავშირებულ ტერმინებში ხმბ. **ხ**-ს, ხოლო ქვასთან, როგორც მაგარ საგანთან, – **კ**-ს გამოვლინებას მოველოდით.

მეგრ. **როხ** „ყორე“ და ქართ. **ყორე-ს ხ** და **ყ**-ს შორის რომელია თავსაწყისი? – ევრიკა! პასუხი ბავშვობის მოგონებებმა მოიტანეს: წინათ ჭანისწყალი სავსე იყო ათასგვარი თევზით. გაზაფხულზე ქვებს რომ გადააბრუნებდი, მასიურად იყო მოფენილი ქვირითით.

ქვირ-ითის სახელდებაში **ყორ** კვების ალომორფის მონაწილეობა სრულიად ბუნებრივია: **ყორ > ქვირ.** იგივე ხდება **ყორე-**ს შემთხვევაში: ძველი ადამიანის კი არა დღევანდელი ადამიანის რაციონშიც ქვირითი, დიახაც, დელიკატესია და ამიტომ ქვასაც, რომელზეც ეს დელიკატესი ეცხო ძველი ადამიანი საკვებად აღიქვამდა. საკვები, კვება, საკვებ პროდუქტთა სახელები კი დიდ უმეტეს შემთხვევაში **ყორ** ალომორფიდან ამოიზრდებიან: აი, რატომაც ეწოდა მდინარის ქვას **ყორ-**ე. ხოლო მისავე ნაპირებს კი **რიყე** და **რეყე**. მაგრამ ეს დიდი ქვების დამსახურებაა, პატარა ქვებზე თევზი ქვირითს არ ყრის. ამიტომაც ეწოდებოდა სწორედ „დიდ ქვას“ **ყორე!!.**

მაშასადამე, დასაშვებია პატარა ქვებს ქონდეთ სხვა ეტიმოლოგია **კ** სიმაგრის აღმნიშვნელ ბგერისაგან და **უა** სუფიქსისაგან: **კ + უა > კუა >// > ქუა >// ქვა.**

სლ. ლექსიკა იზიარებს ჩვენს მოსაზრებებს: რუს. **ИКРА** ი-კრა-ში **КР // კრ** შეკუმშული **კირ** ალომორფია! **ყ** ამოწეულია **კ**-დ: რუს. **ი-კრ-ას – კრ და სლ. გრ-ად „სეტყვას“ გრ ძირები იგივურნი არიან. სლ. ვინო-გრ-ად, რამეთუ გრად არის სეტყვა ზედმიწ. უდრის „ღვინოს სეტყვისმაგვარი მარცვლები!!!...**

ქართ. **ქვირ-**ით და >// მეგრ. **ქვილ-ით-**შიც **ყ** ამოწეულია **ქ**-დ, **ო** დაშლილია **ვი**-დ და **რ** როტირებულია **ლ** ბგერად (**ო > ვი** იხ. გვ.: **ყორ > ქვირ.** დასაშვებია, **ქვირით // ქვილ**ითის მნ-ბის გაფართოებით იყოს წარმოებული ტერმინი **ფქვილი** //< მეგრ. **ქვირ-**ი: **ქვირ-ით-ი + (ბ>) ფ > ფ-ქვილი; ქვირ-ით-ი** > მეგრ. **ქვირ-ი.** აქ (**ბ >**) **ფ** კლას კატეგ-ის ნიშანი მეგრულს არა აქვს, ხოლო ქართულში **რ > ლ** არი მოხდარი: ტერმ. ი-ფ-ქლ-ის (ძვ. ქართ.„ფ-ქვილი“) **ქლ** კი შეკუმშული **ყირ** ალომორფია; მეგრ. ქვირ // **ფ-ქვილი** > სვ. **ლე-ქვერ** „წისქვილი“ სვანურმა **ლე** პრეფიქსმა მნიშვნელობა შეცვალა.

მეგრ. **ქუა-ლა // ქართ. ფ-ქვა // სვ. ლი-გუე-ჰ** სიტყვების ძირია **ქუა // ქვა // გუე.** მ. ე, შესაბამისად მეგრ. **ლა** // ქართ. **ფ** და სვ. **ლი** წინსართები ქმედების აღმნიშვნელებია: რაკი **ფქვა ქვა**ზე ანუ **ქვის** მეშვეობით ხდება ამ სიტყვების ეტიმოლოგია სავსებით ნათელია:

მეგრ. ქუალა-დანაა – ქილი „დაფქვილი.“ ამიტომ, იქნებ მეგრ ფ-ქუა-ლა* ზმნის მიმღეობური ნაწარმია ქართ ფ-ქვილი-ც: ფქუალა > ფქუალი* > ფქვალი* > ფქვილი ან ფქვა > ფქვა-ლი > ფქვილი.

სლ. ი-კრ-ას კრ,კომპლექსის დარად, შეკუმშული ქართ. ქლ კომპლექსის ბადალია სლ. გრ-ად „სეტყვა, სეტყვის მარცვლები“, ლატვიური გრ-ანდო „სეტყვის მარცვლების“ გრ. სლ. ი-კრ-ა „ქვირითის“ კრ და იფ-ქლ-ის ქლ ყ- ს ალომორფებიდან არიან: კრ < კარ* < ყარ;* ქლ < ქილ* < კირ* < ყირ.* (ყ > კ შდრ. ყვარია // კვარია მგრ. ‘ყვავი“;კ > ქ შდრ. ქართ. კი >// ქე.

წისქვილი: წა მეგრ „წყალი“+ შ „კუთვნილების სუფიქსი““ + ქვირ-ი > წაშ-ქვირ-ი „წყლის ფქვილი“ ასსიმ. //> წიშქვირი. გასსისინება >// წისქვილი..

ყვერბი // ყებური, ყორე, ბუკი, კომლი, კერა, კვამლი, თი, თა თემი, ფუტი, ოფუტე, ყანა //ყონა // ცვანა, ყამირი, აგარაკი, აგროს, აგარ, გრად, ყუდე, ცუდე, ცურშუა, ყუყვა, ყურე, ყური, უხო, აურის, ოცუნე, ოცუ, აცუ

ყორ ალომორფი რომ ყუერ და ყეურ ფორმებად იყო დაშლილი ამის დასტურია ძვ. ქართ. ყუერბი // ყვერბ-ი და ახლანდელი მეგრული ყებური „კერა“: ყორ: > ყუერ* > ყვერ* > ბყვერ > ყვერ-ბი; ყორ > ყუერ* // ყეურ* > ბ-ყეურ* > ყებურ: ოლონდ (მადიფერენცირებელი) ბ კლ. კ. ნიშანი ქართულში სუფიქსად ზის, ხოლო მეგრულში ინფიქსშია.

ყორე ანუ დიდი ზომის ქვას, შეშის მისაწყობად, ყოველთვის კერიის თავზე დებენ. ხშირად მის მაგივრობას ჯირკი ან მსხვილი შეშა სწევს. მეგრულად ბუკი ეწოდება. ამგვარად, ყორე „ქვას“ მნიშვნელობამ სახე იცვალა ყორე „კერის“ მნიშვნელობად? ან იქნებ ყორ-ე პირდაპირ კვების ალოორფიდანაა კერა, რადგან თავად ყორე ქვა ხომ ასევე კვების სემასიიდანაა,

ფონეტიკურად ყორ-ე* ო > ე (შდრ. ღორი //> მეგრ. ღეჯი) და ყ >კ (შდრ. მეგრ. ყიაფი // რკიაფი >// ქართ. „კივილი“) ცვლილებების შემდეგ > კერ-ე* > ქართ. კერა სახელს იძლევა.

"ტერმინი კომლი წარმოიქმნა კერა და კვამლის მნიშვნელობიდან“ (ვლ. ალფენიძე): კომლი „კვამლი, კერა,“ გადააზრიანდა > კომლი „მოსახლედ.“ შდრ. სინათლის ძირ თ-დან ამოსული მეგრუ-

ლი > თი იგივე თა „ადგილი, სახლ-კარი, მოსახლე;“ თურ-ი (< თგ-ურ-ი*) „ ნათესავი, ჯიში;“ თემი; ლაზური // ძვ. ქართ. ფუტი (< ბ-თი*) „კვამლი“ და > ლაზ. ო-ფუტ-ე „სახლის შემოგარენი“: ეს აზრობრივად. ბგერითი ცვლილებები კი ასეთია: მ ფონეტიკური დანართით გართულებული ყორ-ის ყ ამოიწევა და მ გადავა ინფიქსში: ყორ-ი* > მ-ყორ-ი* > ყომრ-ი* > კომრი*. ამ უკანასკნელის ო-ს დაშლითა და რ > ლ როტაციით ხდება > კომლი //კუამლი // კვამლი: ხოლო რესტავრირებული კომრ*-ი-ს გამარტივება და ი > ა კი მეგრ. კომ-ა // კუმა „კვამლის“; იძლევა.

რომელია სწყისი ამ სიტყვათა კუმ, კომ და კვამ ძირებიდან?.. ენათმეცნიერებაში დადგენილია: ო ხმოვნის ვა კომპლექსად დაშლა და პირიქით: ვა კომპლექსის შერწყმა ო ხმოვნად...ამიტომ, ამის საფუძველზე ვერაფერს დავადგენთ... როგორც ითქვა, ქართულში დღესაც გვაქვს კომლი, მოსახლის და კვამლის მნიშვნელობით; კო(მლ)ი-ს მლ კომპლექსი ქართულისათვის დამახასიათებელი კუმშვის შედეგია: კომ-ილი* > კო(მლ)ი. კომ-ლი-ს ძირია კომ. ძველ ქართულში, ასევე, იპოება კუმ-ი „კვამლი“ და კუმ-ევა „კმევა“, სა-კუმ-ეველი „საკმეველი“. ამ უკანასკნელთაში, კუმ კვამლის აღმნიშვნელი ძირია: ახალ ქართულში ეს კუმ ძირი შეკუმშულია კმ კომპლექსად სიტყვებში: კუმ-ევა > „(კმ)ევა“, სა-კუმ-ეველი > „სა(კმ)ეველი“. მაშასადამე, რაკი დღევანდელ მეგრულში გვაქვს კომ-ა და კუმ-ა და დღესაც ქართულში, როგორც ზემოთ ვანახეთ, იპოება კომილი* წინაფორმიდან მიღებული კომლი, ხოლო ძველ ქართულშიც კვამლის ძირად კუმ გვევლინება, გასაგებია, მოხდა ო ხმოვნის ვა კომპლექსად დაშლა და არა პირიქით: კომ-ილი* > კუამ-ილი* > კვამ-ლი: ანუ კუმ და კვამ ძირთა საწყისია კომ.

ახლა დავადგინოთ რას ნიშნავდა ქართული კომლი სიტყვის წინაფორმა, რესტავრირებული კომილი*: ილი და ელი სუფიქსები მეგრულში ხშირად ერთიდაიმავე ფუნქციისაა: მაგ: ჭკირ-ილი და ჭკირ-ელი „დაჭრილი;“ ნკირ-ილი და ნკირ-ელი „დანახშირებული და ა. შ.“ ასევე კომ-ა // კუმ-ა სიტყვათა მნიშვნელობა, როგორც ითქვა ერთიდაიგივეა, ამიტომ, დღევანდელ მეგრულში, გო-კომელ-ი // გო-კუმ-ელი და გო-კუმ-ილი // გო-კუმ-ელ-ერი და გო-კუმ-ილ-ირი; ასევე კუმ-ელი, კუმ-ილ-ი და კომ-ილ-ი ერთიდაიგივეა და ნიშნავს „კვამლით შებოლილს.“: მაშ, ეს უკანასკნელი – მეგრ. სიტ-

ყვა – კომ-ილი – ქართული კომლი სახელის წინაფორმა როცა იყო „კვამლით შებოლილს“ აღნიშნავდა.

კომლი სახელის კვამლთან დაკავშირება ცნობილია: სიახლე გახლავთ დაკონკრეტება ამ კავშირისა:

ესაა „კვამლით შებოლვა“ უძველესი საცხოვრისებისა და მათი თვალსაჩინო აღქმით წარმოქმნილი ფსიქოაქტები, სახელსადებად ტერმინისა, მნიშვნელობით კომლი „კვამლი > კომლი.

"**კუმ** მეგრულად არის დუმილი: სიმღერიდან: "**კუმ-უ** ვორდა, **კუმ-უ** წყარი"... მუნჯი ვიყო, ... უხმო წყალი თუ მდინარე. აქ დუმილზეა საუბარი“. (გენო ნავროზაშვილი, ვაჟა მატუა)...“ როგორც ვხედავთ აქ **კუმ** ძირს სხვა მნიშვნელობა აქვს... დაშორებულია მეგრ. **კუმა** „კვამლის“ მნიშვნელობას: დაშორებული და არა მოწყვეტილი. ამაზე მეტყველებს მეგრული **ო-კუმ**-ელა* რესტავრირებული ფორმიდან მიღებული **უ-კუმ**-ელა „სიბნელე:“ შეხედეთ რა სამაგალითო – ობიექტური რეალობის აღქმით განპირობებულ, აბსტრაქტული სახელის წარმოქმნის ფაქტთან გვაქვს საქმე: **ო**-კუმ-ელა კვამლიანი არეა, კვამლის სუფევაა, მაგრამ იქ ხომ იმავდროულად სიბნელეა და აი, უმნიშვნელო ცვლილებით ვღებულობთ აბსტრაქტულ სახელს – **უ**-კუმ-ელა „სიბნელე“: შემდეგ: სემანტიკური ველი ფართოვდება > სიბნელეს გაგებიდან იქმნება ჩაკეტილი სივრცის გამომხატველი სახელი: ქართული მო-**კუმ**-ული პირი: ჩაკეტილ სივრცეში ხომ სიბნელეა. ანუ აქ საწყისი სემასია გახლდათ მოკუმული პირის სიბნელე. ეს შემდეგ მიიღო მან გაჩუმების (დუმილის) და ტუჩების მომუწვით პირის ღრუს დახშობის გაგება;

მეგრული **უ-კუმ**-ი „ქალის სასქესო ორგანოების განუვითარებლობაა, რის გამოც სქესობრივი აქტი შეუძლებელია > აქედან ცხოველის სიბერწესაც, მეგრულად, **უკუმი** ქვია..

როგორც ზემოთ ვანახეთ, რაკი ქართ. კომლი „მოსახლე“ **ყ** ბგერის **ყორ** ალომორფის ნაშიერია და აქ არის პრეცენდენტი **ყ** ბგერის ამოწევისა, ხოლო მეგრულში იგივე მნიშვნელობის სიტყვა **ხორ**-უა-ს ძირი გახლავთ **ხორ**, უფლებამოსილი ვართ დავუშვათ, რომ აქაც **ყ** ამონეულია **ხ** ბგერად. როგორც მოგეხსენებათ, სახლკარის, მოსახლეს მთავარი განმსაზღვრელი ატრიბუტი სახლი და სასოფლო სამეურნეო **მიწაა**. ამიტომ **ხორ** ძირის **ყორ** თავსაწყისიდან წარმომავლობის სასარგებლოდ ღაღადებს **ყორ**-იდან **რ** > **ნ** როტაციით და **ო** > **ა** პროცესით მიღებული ქართ. ყან-ა < ყარ-ა*;

ლაზ. ყონ-ა და მეგრ. ღვან-ა (< ყვანა* < ყონა < ყორ-ა*) შემთხვევაში, ლაზ. ყონას **ო ვა-დ** არის დაშლილი. რაკი ლაზ. ყონა ქართ. ყანა-ს აშკარა შესატყვისია, სა-**ყან**-ე ლაზურად, უთუოდ, იქნებოდა ო-**ყონ**-ი*. ეს ო-**ყონ**-ი მეგრ. ო-**ხორ**-ის, ასევე, აშკარა შესატყვისია და, ამიტომ, მისი წინაფორმა ო-**ყორ**-ი* იქნებოდა!!!. ეს კი პარალელური მტკიცებაა ო-**ხორ**-ის ო-**ყორ**-ი*-დან ამოზრდისა.

ყველა ჩამოთვლილი ტერმინების უმრავლესობა, არსებითად, დაკავშირებულია **კვება**-სთან. თავად **კვებას კ** ბგერა კი **ყ** -დან მომდინარედ უნდა ვიგულისხმოთ: **კვება** < **ყუება***.

ძვ. ქართ. **ა-გარ**-აკი „**похотная дача**“-ას (ნ. მარი) ფარდი მეგრ. **ო-ხორ**-ი „სამოსახლო, სახლ-კარი“ გახლავთ. რაკი **ხორ** < **ყორ*** და **ყან**-ას **ყან** < **ყარ*** უკვე ვიცით, **აგარაკის გარ** < **ყარ***, ცხადია. მაშ, ლათინური **ა-გარ** „მინას:“ **გარ** < **ყარ***;

აი, საიდანაცაა აზრობრივი ამოსავალი ქალაქის აღმნიშვნელ **გრ**-ად სუფიქსისა, ინდოევროპულ ენებში. ბერძნული ა-**გრ**-ოს „მინდორია:“ აქ **გრ** ნაკუმშია: **გრ** < **გორ*** < **ყორ***; ეს შეკუმშული **გრ** არის, ასევე, ლიტვურ **გრ**-უოდას „გაყინული მიწა და ტალახის“ აღმნიშვნელ სიტყვაში.: **გრ** < **გურ*** < **ყურ***.

ყუდე „ძვ. ქართ. სადგომი, თავშესაფარი“ (ა. ჩ. ქ.ე.გ.ლ. გვ 468). მეგრ. > **ღუდე** სახლ-ის, საცხოვრისის მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, მარა თავშესაფარსაც გულისხმობს: **მეგრ. ღუდეს ტყობ** უდრის „სახლში იმალება“. აქ სახლი „თავშესაფარია“.

ყურ-შუა მეგრ. „**ყუ-უ-ვა**.“ ზესკვი ოგვაჯეს **გეცურშ** – „შაშვი ბუდეში **ყუჟს**, ემალება საფრთხეს.“ აქ ბუდე ქართ. მეგრ. **ყუდე** // **ღუდე**-ს მსგავსად, თავშესაფრის როლშია. ამიტომ მეგრული **ყურ**-შ-უას **ყურ** შემადგენელი მიგვანიშნებს, რომ **ყუდე**-ს **ყუ ყურ** ალომორფი რომ იყო. თავად **ყურ-შ** ძირი სიტყვისა **ყურ-შ**-უა მისავე კომპოზიტობაზე მეტყველებს; იგი **ყორ** ალომორფისაგან და **შ** ხმაბაძვითი ბგერისაგან, რომელიც უხშირესად ხმაურის, ზოგჯერ კი სიჩუმის აღმნიშვნელია, არის შემდგარი. მაგ: **შქ**ირთონი: ლულის გიმე**შქ**ირთონ .= „ლელეზე ზის და მის ფოთლებს **შქ..შქ..შქ** ბგერების გამოლებით ახმაურებს. ასევე: **შიშ**ინი, **შრ**იალი და ა. შ. თავისებურ ხმაურს აღნიშნავენ, მარა **შ** ბგერა სიჩუმისკენ მოწოდებაცაა, ჩუმად და გაბმულად **შშშ** წარმოთქმისას: მ. ე, მეგრ. **ღურ-შ**-უა // **ყურ-შ**-უა //> **ყუ-უ**-ვა თავშესფრის აღმნიშვნელ **ყურ** და სიჩუმე-სიფრთხილის მიმანიშნებელ **შ** კომპონენტებისგან შემდგარი კომ-

პოზიტია: ქართ. **ყუჟვა** კი // მეგრ. ყურშ-უა-ს გაამარტივებაა (**უ > ვ** და **შ > ჟ** კი ცნობილია: შდრ: მეგრ გოლა >// გვალა; ხოშბო >// ხოჟბო. ფშავი. იხ. ბ. ჯ. ქ. დ).

ცუნ-ა ზმნა „ყოლ-აა“, სი რ**ცუნც** = „შენ გყავს; თის **ცუნც** = „მას ყავს“; მეგრ. **ო-ცუ** „სადგომი, ზედმიწ. სამყოფელია ცოცხალი არსებისა“: აქედანაა > **ო-ცუნ-ე** მეგრ. „მამული“, სემასიით – „ადგილი სადაც შენიანები გყავს, არსებობ, საცხოვრის-საყუდარი“:

ე. ი. **ყუდე //> ცუდე, და ძვ. ქართ. // სა-ყუდარი სახელებიც** სემასიურ კავშირში არიან **ყოლასთან, არსებობასთან, დაცულობასთან.**

ყურე, მეგრულად, გახლავთ – **ყულე** (შდრ. ტოპ. **ყულე-ვი**). **ყურე**, დღესაც, ნავისადგომია. წყალსატევის ის მონაკვეთია, რომელსაც ყურის ნიჟარის ფორმა აქვს და სადაც წყალი ნაკლებადაა ხმაურიანი. ამიტომ, **ყურ-ე** სიტყვაში სმენის ორგანო **ყურ-ის ყურ** ძირის მონაწილეობა გასაგებია.

ქართველურში ყურის სახელის შემადგენლობაში **ხ** ბგერა არა გვაქვს, მარა არის სლავურ-ში: **Ухо** // **უხო** „ყურ-ი“ სლავურისა, **უხ** ექვივალენტურ ფრაგმენტს შეიცავს **ყუ**(რ) სიტყვისა, ოღონდ შებრუნებულს: ესაა **ყუ > უყ > უხ:** სლავურში არაა ქართული **რ** ბგერის ფარდი, მარა არის ლათინურში: **Aur-is** // (ა)ურ-ის „ყური“ სიტყვაში, **ურ** ფრაგმენტის სახით: **ყურ > აურ.**

როგორც ითქვა, ო-ცუ „სადგომი, ზედმიწევნით – „სამყოფელია* ცოცხალი არსებისა, მეგრულად.“ თინა **ცუ** ღორონთქ = „ის **ყოს** ღმერთმა“. არქაულ **ოცუ**-სთან მიმართებით, საინტერესოა, შოთა მესხიას მიერ მინიშნებული „...სოხუმის სახელი **აცუ** ერთერთ ძველ გეოგრაფიულ რუქაზე...“ (იხ. შ. მესხია „ისტორიული ძიებანი“). **ო-ცუ** თუ ადგილია სადაც ვინმე იმყოფება იგივეა **ყუდე // ცუდე** ერთის მხრივ და **ხორ**-უა, **ო-ხორ**-ი > **სა-ხლ**-ი მეორეს მხრივ. ანუ **ყ** და **ხ** პარალელურად და სისტემურად ქმნიან ერთიდაიგივე მნიშვნელობის ტერმინებს. ოღონდ **ხ,** როგორც ხმაბაძვითი **ხან** თავად ქმნის ახალ სიტყვას. ამ შემთხვევაში, იგი არაა მის წინარედ ამ სიტყვაში შემავალი **ყ** ბგერის ნაცვალი, მარა **ყ**-საგან სპონტანური ცვლილებით მიღებული, მეტყველებაში უკვე არსებულია..

ამგვარად, ჩვენ გადავწყვიტთ მინიმუმ ორი პრობლემა: ხმაბაძვითი და თავისთავადია ხსენებულ სიტყვებში **ხ** ბგერა თუ, როგორც **ყ** წარმომაელობის, ბგერითი სისტემის მდგენელია.

სიტყვის პირველყოფილი ელემენტების მიგნება გვაძლევს საშუალებას გავმიჯნოთ ფარდობითი და აბსოლუტური ეტიმოლოგიები: თუ ლექსემა დროში განვითარებული სემასოფონეტიკური წნულია, **აბსოლუტური ეტიმოლოგიის შემთხვევაში, დგინდება ყოველი ფორმობრივ-მნიშვნელობითი ცვლილებები ხმის სიტყვად ჩასახვიდან მისი, ასევე სიტყვის ფუნქციის მქონე ბგერათკომპლექსად გარდაქმნამდე და ამ უკანასკნელის, შემდგომი, დღევანდლამდე, ცვლილებებით:**

ფარდობითი ეტიმოლოგია კი დროის მხოლოდ გარკვეული პერიოდს ასახავს.

მაგ. 1. **ყ** ბგერა, როგორც სიტყვა, **რ** ბგერის მონაწილეობით ქმნის **ყგრ** > **ყორ და ყირ** ალომორფებს, რომლებიც გარდაიქმნებიან **ყორ-ყირ*** სიტყვის ფუნქციის მქონე ბგერათკომპლექსად და > **ყორ-ყ*** წინაფორმად > დღევანდელ **ხორხ** სიტყვისა იხ. ზემოთ.

მარა თუ განვიხილავთ მხოლოდ **ყორ-ყ*** >// **ხორხ** გარდაქმნას ეს ფარდობითი ეტიმოლოგიაა;

მაგ. 2. **ჩხ** კომპლესისგან მეგრ. **ჩხ**ომ სახელის მისაღებად, თავსაწყისიდან ვიდრე საბოლოო ფორმამდე ყოველი ცვლილებების გამოვლენა აბსოლუტური ეტიმოლოგიის პრეროგატივაა...

რესტავრირებულ **ცხამ*** (გ. კლიმოვი) ფორმიდან მეგრ **ჩხ**ომის წარმომავლობის დადგენის მცდელობა ფარდობითი ეტიმოლოგიაა: ისტორიულ-შედარებითი მეთოდი აქ დროის **მხოლოდ** ქართული მწერლობის პერიოდშია გატარებული.

მაგ 3. ფარდობითი ეტიმოლოგიით ვერ დავადგენთ ქართ. **სახოლ*** > **სახალ*** > **სახლ** (ვ. თოფურია) და მის ბადალ მეგრ ო-**ხორ**-ის სრულ სურათს. ამ უკანასკნელის – **ოხორ**ის **ხორ** ძირს არნ. ჩიქობავა, სავსებით სამართლიანად, მატრიარქატის დროინდლად თვლიდა, მაგრამ აღმოჩნდა რომ ის უფრო უძველეს **ყორ**-იდანაა..

ყ ბგერა ლოკვა, ლეკვი, ყური, სახის მიდამოსა და სხვა ტერმინებში

კ. დანელიამ **ლეკვ**-ის სემანტიკურ ამოსავლად **ლაქუც**-ი დასახა (იხ. კ დანელია, ა. ცანავა ქ. ხ. ს. მ. ნ. გვ 596). იქნებ პირიქითაა და ქართ. **ლეკვ**-ი, // მეგრ. **ლაკვ**-ი, // ჭან. **ლაკოტ**-ი არის **ლაქუც**-ის მნიშვნელობითი ამოსავალი. ხოლო **ლეკვ** ფუძის ფონეტიკური

ამოსავალი ქართ. **ლოკვ-ა** //< ლო-კუა მეგრ. „ლოკვა" < **ლო-ყუა-ა.*** ამ უკანასკნელის მიმართება ქართ. **ლოტკვა*** //< მეგრ. **ლოტკ-უა** „ლოკვ-ასთან" გვაფიქრებ-ინებს, რომ ლო-ყუა*-ს ძირი, ოდეს-ღაც, **ყ** კი არა **წყ** ბკ. იყო. ქართ. **ნერ-წყ-ვი**, მეგრ. **ლერჭყვა**, სვ. **ნე-წ** და მეგრ. **ლე-წყ-უა*** // **ლო-წყ-უა*** > **ლო-წკ-უა*** > **ლო-ტკ-უა** ამის დასტურია. ესე იგი, თუ ფ. ს. ამოსავალი **ლეკვი** სიტყვისა **ლოკვაა,** ამ უკანასკნელის კი, შესაბამისად, **ლო-წყ-უა*** ყოფილა.

უკრ. **ცუც-ენ-ია** „ლეკვი"**ცუც ძირ-ის** წინაფორმაა წოვის – **წუწ***. ანუ რესტავრირებულმა უკრ. **ცუცენია*** წოვამ აზრი იცვა-ლა და გახდა სემანტემა **ცუცენია** „ლეკვი." **ცუცენია*** // **წუწ-ენი-ას***, მეგრ. **წუ-რ-წ-უას** და // ქართ. **წუწ-ვ-ნას** ძირია **წუწ**: მეგრულ-ში მეორე **წ**-ს წინ **რ** არის განვითარებული; ე. ი. **წუწ** ძირი, ცუცე-ნია* // **წოვა** // **წუა**-ლა-ს მნ-ბა **ლეკვ-ად** გარდასახდა, იმგვარადვე, როგორც დღეს – **ლოკვა** // **ლოკუა** // **ლოტკუა** // **ლო-წყუა***-საგან – **ლაკვი** // **ლეკვი** გაგვაჩნია. ამგვარად, უკრ. **ცუც-ენ-ია** „ლეკვი" (**ცუც** //< **წუწ*// წყუ-წყ***) აშკარა პარალელია გიორგიულთან.

ლო-ყ-უა*-ს **ყ-უა** ყლაპვის მნ-ის ალომორფია. ამიტომ ხომ არ იყო საწყისად **ლო-ყუა* ყლაპვა, ლო-კვა, ლაკვი, ლეკვი და ყეფა-ყმუილის** გარდა **სალოკი ორგანოს – ენის** მნიშვნელობის მატარე-ბელი? აგებულობით კი ეს მისი ჰიპოთეტური მნიშვნელობა ხომ არ გამოიხატებოდა ტერმინ – ლო-ყა-თი, რომლის სემანტიკურ-ტო-პოგრაფიული მიგრაციები ცნობილია (**ლაწვი, ყბა.** იხ ე. ძ. 1989 გვ 119 ა. ჭინჭარაული); მეგრ. **ღვა** „ლოყას" წინაფორმად კი **ყ > ღ და უ > ვ** ცვლილებების განხორციელებამდე (შდრ: იმერ. **ყამპო** //„ლა-ბაბი; შდრ: იმერ. **ყაპუ**, მეგრ. **ყვაპუ** და მათი სინონიმები – ქიზ. ღო-კი; **ხ**ოკი ს. ს. ორბელიანი 'ცხოველთა და ფრინველთა ყბაყურა" **ყუა** უნდა მივიჩნიოთ: **ყ-უა* > ღვა, რომელიც** მეორენაირად არის **ღვანწკი.** ზემოთქმულის გათვალისწინებით, ადვილად აღსდგება ამის წინაფორმა – **ყუა-წყ-ი***. აქ, როგორც ვხედავთ, **ყ** და **წ** ბგერა-თა ალომორფების – **ყუა და წყი-ს** მეშვეობით სასმელ-საჭმელის მიმღები ორგანოს შინაარსი იკვეთება.. ქართ. **ღაწვი** მეგრ. **ღვან-წკის** გამარტივებაა: **ყ-უა-წყ-ი* > ღ-უა-წყ-ი* > ღ-ვა-წყ-ი* > ღ-ვა-წი > ღაწვ-ი.** ეს ა.. ჩიქობავას დასკვნის საპირისპირო ვარიანტია, სა-დაც **ღვანწკ-ი** // ქართ **ღაწვ-იდან** მიიღება (იხ. ა. ჩ.. ქ. მ. ჭ. შ. ლ. 52).

მეგრულში განირჩევა მარჯვენა და მარცხენა **ლაცვა** „ფერ-

დქვეშა მიდამო საზარდულამდე.“.ორივე მათთაგანის ტოპოგრაფია მთლიანად მუცლის არეს, საზარდულამდე, განსაზღვრავს. როცა გვაქვს მეგრ. **ყ-ურ-ყ-ინ-ი**, // ქართული „**ყ-ურ-ყ-ურ-ი, ლა-ყ-ლა-ყ-ი** და ა. შ.,,“ გასაგები ხდება თუ რატომ წარმოიშვა ტერმინი **ლა-ყ-უა*** > **ლა-ც-ვა** – „ადგილი სადაც ყურყური ხდება ანუ ფერდქვეშა მიდამოები..

ეს მაგ-ები იმდენად შთამბეჭდავია“, მეგრულ- ლაზურ **ქორა** // **ქვარა** – // **ქორბა** სახელებში **ქ** ბგერის წინარედ **ყ** ბგერის არსებობის დაშვებას გვიადვილებს: მ. ე: **ყ-ორ*** > **ქ-ორ** // > **ქ-ორ-(ბა)**.

მეგრ. **ლა-ც-ვა**-ს მსგავსად, ხმაური განსაზღვრავს ანატომიური ორგანო – **ყურ**-ის სახელდებას: ორგანო და მიგან აღქმული ხმიანობა, აზროვნებაში, მთლიანობაშია ასახული: საწყის პერიოდში, ადამიანს ჯერ ვერ ძალუძს აბსტრაქტულ ტერმინთა შექმნა. სახელდებულია მხოლოდ თვალსაჩინო შეგრძნებებით გამოწვეული სახელები. მაგ. **ყ-ურ-ყ-ურ-ის** ხმაურის **ყყყ** ხმიანობების ბაზაზე წარმოიქმნა **ყგ რე „ყგ არის“** აზროფორმა. ამ ფრაზამ **გ > უ** გადასვლით (ცნობილია) მოგვცა ქართული **ყ-ურ** სახელი, მაგრამ ჯერ არ იპოება აბსტრ. ტერმინი **ყურ**-ება. ამ უკანასკნელის შესახებ ნიკო მარის ხედვა მახვილგონივრულია: „ტერმინ **ყურ**-ება-ში ხედვის მოაზრება მეორეულია.“ მან გამოიარა მონოსემიური – როცა **ყ-ურ** უდრის ხმაური; ბისემიური – **ყ-ურ** უდრის ხმაური პლიუს ანატომიური ორგანო და ბოლოს ტრისემიური პერიოდი, როცა **ყურ** აღნიშნავს **ხმაურს, ანატომიურ ორგანოს და ხედვას.** შდრ: **ყური** „ორგანო“, არ ე-ყურ-ება – „არ ესმის,“ და **ყურ**-ება „ხედვა.“

ქართული **ყ-ურ-ი** წინაფორმაა // მეგრული **ც-უჯ-ი** სახელისა. მეგრ. **ჯინა** „ყურება, მხედველობა“ თითქოს შორსაა ქართ. **ყურ**-ებასაგან, მაგრამ ასე არაა მეგრ. დე-**ცუნჯ**-იო // დე-**უნჯი**-ო უდრის „დაყრუვდი“? აქ **ცუნჯ** ძირი წარმოქმნილია **ცუჯ** მეგრ. „ყურის“ **ჯ** აფრიკატის წინ **ნ** სონორის ჩამატებით, რაც ხშირია: მაჯა // მეგრ. მა**ნჯა**; კუჩხი > კუ**ნ**ჩხი „ფეხი“: სახელი – **ჯინა** კი **ცუნჯ** ფუძესთან ბგერითი შედგენილობით ახლოსაა და აქედან მისი ამოსავლიანობა ლოგიკურია: **ცუჯ**-ი > ცუ-**ნ**-**ჯი*** > **ნჯი.*** > **ჯინ.** მაშ, დღეს მეგრული **ჯინა** მის აზრობრივ შესატყვის ქართულ **ყურ**-ება-საგან, ფონეტიკურად, თითქოს, შორსაა, მაგრამ, საერთო **ყურ** საწყისიდან, ერთიდაიგივე ფსიქოტრანსფორმაციებით ყოფილა შობილი.

საინტერესოა, რომ მეგრ მო-**ჯინ**-ე „მაყურებელი და მონადირეა“, აქედან კი > **ჯინ-ი სახელია წარმოებული,** რომელიც მხეცია მეგრულად. აი, საიდანაცაა სამხრ-აღმ. გავრცელებული **ჯინი!**

ქართული **მ-უნჯ**-ი – მეგრ. **ცუნჯ**-ი-ს ცვლილებაა (იხ. აქვე ზემოთ): **ცუნჯ-ი + მ** (ცნობილია) > **მ-ცუნჯი*** გამარტივება **მც** კომპლექსისა (მეგრული კომპლექსებს ამარტივებს) > ქართ. **მ-უნჯ-ი;** აქედანვეა ქართული და-**უნჯ**-ება, და-**უნჯ**-ებული: **უნჯ < ც-უნჯ*.**

ცუნ-გა მეგრ. „ყრუ“ ტერმინში ცუნ-**ჯი**-ს **ჯი** სუფიქსი, სხვა ტერმინთა დარად – ხან-**გა** „გიჟი“, ტუნ-**გა** „სულელი“ და ასე შემდეგ, **გა**-თია ჩანაცვლებული. ამ **ცუნ-გა**-ს **ცუნ ძირისა და ქართ. ყრუ** სახელის მსგავსია მეგრული **ცურ**-უ „შეუსმენელი, უგუნური, გაუნათლებელი,..“ **ყურ**-ის, როგორც სმენის ორგანოს მიერ განხორციელებული აღქმითი მოვლენების ფსიქო-ტრანსფორმაციების შედეგია მეგრ. **ცურუ** ტერმინში აღნიშნული მნიშვნელობები. ასევე იხ. ვ. თოფურია „შრომები“ გვ 538. ყველა ეს ცვლილებები ზედაპირზე დევს და გასაგებია:

უკვე დავაფიქსირეთ, რომ რუსული **უხ**-ოს **უხ** ქართული **ყურ**-ის **ყუ** გახლავთ, ისევე როგორც – ლათინური **ა-ურ**-ის მისივე **ურ**-ია: **ყუ > უხ; ყუ > ურ.** მსგავსადვეა წარმოებული რუს. პეტ-**უხ**-ის „მამალის“ **უხ** ნაწილი: **უხ < უყ* < ყო*** შდრ. ქართ. **ყი-ყლ-ი-ყო // მეგრ. ცი-ონი.** ესენი შეიცავენ **ყ** ბგერის გახმოვანებულ **ყი, ცი** და **ყო** მარცვლებს, რაც **ყ** და მისი ნაცვალი ც ბგერის ხმაბაძვითობის პირდაპირი სამტკიცია: **ყლ** კი < **ყილ*** (< // **ყირ***) ალომორფის ნაკუმშია; . მაშასადამე, სლავური პეტ-**უხ**-ის **უხ < უყ*** სწორია

ყ ბგერა და ქართველურ-რუსულ-ლათინური პარალელები ხმაბაძვით ცხოველთა, ფრინველთა და სხვა სახელებში

ხმაბაძვის პრინციპით, **ყ** ბგერიდან ამოსულ ალომორფებისაგან ცოცხალ არსებათა სახელებია წარმოებული: შდრ. ქართ. ბა-**ყა**-ყი, კუთხური – **ყვარ-ტი < ყ-უა-რ-ტი***; მეგრ. სომხ. ლატ. **გორ**-დი < **ყორ-დი***. ქართ. // მეგრ. ყვარ-ტი // გორ-დი-ს **ტ** და **დ** (სადიფერენციო დენტალები) ხშირად გადაადგილდებიან პრეფიქსალურიდან სუფიქსალურ ნაწილში: **ტ**-ყვარ-ი* > ყვარ-**ტი**; **დ**-ყორ-ი* > **ყორ-დ***ი > **გორ-დი**: რუს. **Ля-гу-шка** ლია-**გუ**-შკა იგივე **Ква-ку-шка კ-ვა-კუ-შ-კა: კ-ვა-კუ < ყ-უა-ყუ*:** ე. ი. ეს რუს. სიტყვები, ერთ

დროს, **ყუა** და **ყუ** ალომორფებს შეიცავდნენ.

ყი-ყი-ნი // მეგრ. **ყა-ყა-ლი**, ამგვარადვე, დუბლირებულ **ყი** და **ყა** მარცვლების მეშვეობით, აუმჯობესებდნენ ხმაბაძვის მისადაგებას;

მეგრ. // ქართ. **ტურა** (< **ტ-ყუ-რა***), თავკიდურში, **ტ** ბგერას შეიცავს, რითაც აზუსტებს ჩვენს მსჯელობებს ყვარ-**ტ** // გორ-**დ** სიტყვების **ტ** // **დ** ბგერების, ოდესღაც, იმავე პოზიციაში მდებარეობის თაობაზე; **მ-კი-აფუ** (**მ-კი** < **მ-ყი***) ჭან. „**ტურა**“ სახელში, **ტ-ურა-ს ტ** ბგერის მსგავსად, თავკიდურში **მ** ბგერაა განვითარებული და მანდვე დარჩენილი; მეგრ. **ჯ-ურ-აფი** //< **ყ-ურ-აფი** (**ყურ** > **ჯურ**);

ქართ. **ყ-მუ-ილ-ის**, წინათ თავკიდურში მყოფი **მ**, სიტყვის შიგნით – ინფიქსშია გადასული: **ყუ-ილ-ი* (შდრ. ქართ. კუილი) > მ-ყუილი* > ყ-მუ-ილი**; **შა-კ-ალ** რუს. „**ტურა**“ **კ-ალ** და **ყ-არ***-იდანაა..

აბსტრაქტულ ტერმინ ტყუილთან მეტეორიზმის აღმნიშვნელი სიტყვების კავშირით გამოწვეული ზოგადი ენათმეცნიერული პრობლემა

ზემოთ ყმუილ-ის ამოსავლად ყუ-ილ-ი* დავასახელეთ. იგივეა წინაფორმა ქართ. მეტეორიზმის აღმნიშვნელ – **კუ-ილ-ი** სახელისა: **ყუილ* > კუილ****. **ამ** ფორმათა ხმაბაძვითობაში ეჭვი არვის შეეპარება, მაგრამ **ყუილ***-ს, რომლისგანაც, როგორც ითქვა, ქართ. მეტორიზმის სახელი მიიღება, თუ **ტ** დენტალს წინ დავუსვამთ, ქართ. **ტყუილ** აბსტრაქტულ ტერმინს მივიღებთ. მას კი თითქოს რა უნდა ქონდეს საერთო მეტეორიზმის ხმიანობებთან. ანუ **ტყუილ** ტერმინის ხმაბაძვითი მექანიზმებით წარმოქმნა გამორიცხულია. მაგრამ ამგვარი მიმართებები მარტო ქართულში არაა: მაგ. მეგრული **ყურა** // **ყურა**ფი // ჯურაფი ყმუილია, ხოლო ღორა // ღვარა – **ყვი-რილი**. **ღორა**-ს წინაფორმაა **ყორა***, რომლის, **ყორ** ძირს თუ იგივე **ტ** დენტალს დავუსვამთ **ტყორ** მიიღება – ძირი მეგრული მეტეორიზმის აღმნიშვნელი სახელისა. მაგრამ **ტყორ** ძირის **ტყურ** ფორმა, **ასევე ძირია ტყუილის** აღმნიშვნელ – მეგრ. **ტ-ყურა** აბსტრაქტული სახელისა. აგრეთვე, მეგრულში ხშირია ფრაზა „**ბუ**ზინა ყაზაყი.“ უდრის „მატყუარა, ტყუილის გუდა მამაკაცი“. იმავდროულად **ბუ**ზინი მეტეორიზმის სინონიმია და იგივე ფრაზა – „**ბუ**ზინა ყაზაყი „მეტეორიზმით დაავადებულს“ აღნიშნავს. რუსულშიც არის მეტეორიზმის აღმნიშვნელი სიტყვა **ბზდ-ეთ**, **ბზდ-**

უნ, რომლის **ბზ**, აშკარაა იგივე მეტეორიზმის აღმნიშვნელ მეგრ. სახელის **ბუზ** ძირის ნაკუმში მონაცემია. იგივეობაა მნიშვნელობებშიც, რადგან რუს. **ბზდუნ**-ი მეტეორიზმით დაავადებულიცაა და მატყუარაც. გამოდის **მიზეზები მეტეორიზმის** აღმნიშვნელი სახელების ფორმირებისა აბსტრაქტულ **ტყუილის** – სახელებად ზოგადკაცობრიული პრობლემაა. და რაში მდგომარეობს იგი? საქმე იმაშია, როგორცა ჩანს, **მეტეორიზმის ხმები აღქმულია და ცნობიერებაში ასახულია როგორც ყოველგვარ არსებითს მოკლებული ნეგატივი; როგორც მხოლოდ არასასიამოვნო ხმა და სხვა არაფერი. მაგრამ ამგვარადვეა გაგებული ტყუილის არსი. ტყუილი ხომ მხოლოდ ნეგატივი ნათქვამია – ხმაა, რომელიც შინაარსისგან დაცლილია, რამეთუ ეს ნათქვამი ტყუილია...**

აბსტრ. სახელთა – **ტყუილ**-ი // ტყურა-ს, მეტეორიზმის, როგორც ფიზიოპროცესის აღნიშვნელ **ყურ*** // **ყურა***-სგან **ტ** მადეფირენცირებელის დართვითა და ზემოთაღწერილი გადააზრიანებით წარმოქმნა და სხვა ენებში პარალელები ყველა ამ ენათა დასაბამისმიერ ნათესაობაზე მიანიშნებენ.

სხვა ნომინაციები

მეგრ. გერ-ი „მგელი“: გერ < **ყერ*** (**ყ** > **გ** **შდრ. ყვარტი** > **გორდი**); ქართ. **მ**-გელ-ი **მ** დანართითაა: **ყერ*** > **გერ** > **გელ*** > **მ-გელ**; **ვო-ლკ** რუს. „მგელი“: **ვო** რუსული **ვო-ი** „ყვირილი“ სიტყვის ფრაგმენტია, **ლკ** კი ნაკუმში **ყ-ორ** ალომორფია **ყ** და **რ**-ს გადაადგილებთ: **ყ-ორ*** > **რო-ყ*** > **რო-კ*** > **ლო-კ*** > **ლკ**;

ყ-**ორ**-ან-ი მეგრ. > // ყ-**ვარ**-ან-ი; ყ-ვა-ვი // მეგრ. ყ-ვარ-ია: ყ-ვა < ყ-**უა***; ყ-ვარ < ყ-**უარ***;

კ-ორ-აქს ლათ. „ყორანი“: **კ-ორ** < **ყ-ორ***; კ-ორ-ნიქს ლათ. „ყვავი“: **კორ** < **ყორ***;

ვორონა რუს. „ყვავი“: **ვორ** < **ყვორ*** < **ყ-უორ***; **კარ-კან**-იე რუს. „ჩხავილი „ **კ-არ-კ-ან** < **ყ-არ-ყარ***;

ყრ-ან-ტალ-ი მეგრ. // **ყ-არ-ტალ**-ი: **ყრ** < **ყარ***. **შდრ. მეგრ. ყვრტე „საყლაპავი“**;

კ-ვა-ტია // **კ**-უა-ტია მეგრ. // სვ. „იხვი“: კ-ვა // კ-უა < **ყ**-უა; **იხვი** < **ი-ყვი***, რადგან იხვის მოსახმობი, მეგრულში ვიტყ ვიტყ და // ვიტ // ვიტ-ია;

მა-მალ // მეგრ. მუ-მულ: მ ბილაბიალის დართვის შემდეგ **მყ** კომპლექსიდან **ყ** დაიკარგა: ქართ. მა < მყა*; მალ < მყალ*; მეგრ. მუ < მყუ*; მულ < მყ:ურ*. ესე იგი, დასაბამი ქართულში იყო **ყა-ყალ (ცოცხალი სიტყვაა, მეგრულში),** მეგრულში – **ყუ-ყურ***;

გალ-ლუს ლათ. და **გაილ-იტ** ლატიშ. „მამალი“ დასტურია ზემოთქმულისა: ამ სიტყვებში, წინათ არსებული **ყ** ბგერის ადგილზე, **გ** უკანაენისმიერია: **გალ** < ყ-არ*; **გაილ** < **ყაირ***;

გალ-ლინა ლათ „ქათამი“: **გალ** < **ყარ***

კუ-კა-რეკ-უ რუს. „**ყი-ყლ-ი-ყო**“;**კუ-კა-რეკ** < **ყუ-ყა-რეყ; კურ-იცა** რუს. „ქათამი“: **კურ** < **ყურ***

კარ (< **ყარ***) ბასკური „ქათამი“: ო-**კარ**-იე მეგრ. „საქათმე:“ **კარ** < **ყარ***; კარ-კალი // < კარ // **კარ**-ი მეგრ. „კრ-ია-ხი“: **კარ** < **ყარ***; **კრ-ია-ხი კრ** < **ყრ*** < **ყირ***;

კუ-დ-ახ-ტატ რუს. „კრიახი“: კუ-დ-ახ- ძირის **დ,** წინათ თავკიდურში მყოფი დანართი, ახლა ინფიქსშია: ყუ-აყ* > **დ**-ყუ-აყ* > **დ-კუ-ახ*** > კუ-**დ**-ახ.

გუ-ს რუს. „ბატი“ სიტყვის **გუ ყ** ბგერის **ყუ*** მარცვლიდანაა, რადგან – გო-გო-ტ (გუსეი) „(ბატე-ბის) **ყიყინის**“ **გო-გო-ტ** სიტყვა ხმბ. **გო-გო** მარცვალს შეიცავს: **გო-გო** < **ყო-ყო***;

ღერ-ღე-დი მეგრ. // **ღორ-ღონ-ჯი** ამის დასტურია. ამათი **ღერ, ღე, // ღორ, ღონ ყ** ბგერის ალომორფებიდან არიან: **ღერ** < **ყერ***; **ღე** < **ყე*** // **ღორ** < **ყორ*** < **ღონ** < **ყორ.***

„...ლათ. **კოკო** ქვია „მამალს.“ იგი ეტიმ-ად, შეიძლება დავუკავშიროთ კოლხურ **კოკუ**-შ-ს, რაც მამალ ინდაურს ნიშნავს...“ იხ. ვლ ალფენიძე. „ს ღ. ქ.“ გვ 51. სწორია, რადგან მეგრ. კო-**კუ-შ***ი > // **კო-კუჩ-ის** კო და **კუ ყ** ბგერის **ყო** და **ყუ** ალომორფებიდან არიან: **კუშ** // >**კუჩ. (შ > ჩ შდრ. გვარი** გობეჩია < გობეშია* პირსახელ გობე > გობეში-დან).

ღმუილ-ღრენას მიბაძვით წარმოქმნილი სახელები

ქართულ, რესტავრირებულ – **ძაღალ*** // მეგრულ – **ჯოღორ** // და სვანურ **ჟაღ** სიტყვებში **ძ : ჯ : ჟ** შესატყვისობა ფაქტია, მარა მე ვერ მოვიძიე მათი საერთო ამოსავლიანობისათვის ქართული **ძ**-ს სამოგებო არგუმენტი, როგორადაც ეს ენათმეცნიერებაშია გაზია-

რებული (ძ არისო საერთოქართველური ამოსავალი). თავად კი ეს არგუმენტი გამაჩნია: ესაა ჯ აფრიკატის წინარე – რ ბგერის დასაბამისმიერი ხმაბაძვითი ამოსავლიანობა: ღრ-ენ-ა // ღირ-ინ-ი (ასევე სლავურ: რევ, რიჩათ) და ა. შ. სიტყვებში, რ ბგერა ღ-სთან კომპლექსში და მის გარეშეც განაპირობებს ხმაბ. ეფექტს ამ სიტყვებისას. ასე რომ ძაღლის სახელდება მოხდა ხმაბაძვითი პრინციპით: ჩვენს მიერ, რესტავრირებულ, რო-ღორ* ამოსავალ ფორმაში, დუბლირებული რ, ღ ბგერასთან კომპლექსში, აძლიერებდა ხმაბაძვით არსს (– ღრენის მოაზრებებს) სიტყვისას: შემდეგ მოხდა პირველი რ-ს აფრიკატიზაცია და რო-ღორ* > ჯო-ღორ განხორციელდა. ხოლო რ ბგერისაგან, უშუალოდ, ქართული ძ და სვ. ჟ ვერ მიიღება: ამგვარად ძა-ღალ* // ჯოღორ // ჟაღ სიტყვებში ძ ვერანაირად იქნება საწყისი: სწორია დასაბამისმიერი რ* > მეგრ. ჯ; მეგრ. ჯ > ქართ. ძ; მეგრ. ჯ > სვანური ჟ.

„...ლათ. რუგიო „ ვღმუი როგორც ლომი“, ირლ. რუხტ „ღმუილი“, ი. ე. რეუკ.... ამ პირველი მნიშვნელობიდან, ბუნებრივია, ვითარდება ცხოველთა სახელები, კერძოდ ლომისა: სომხ. არივო „ლომი,“ ძვ. გერმ. როჰონ“ღმუილი...“ გამყრელიძე, ივანოვი. „ინდოევროპული და ინდო-ევროპელები“. გვ. 511: ზემოთ დასახელებულ მაგალითების ციტატისეულთან შედარება ცხადყოფს: ფშვინვიერ-ნაპრალოვანი ხ და ჰ, ასევე, უკანაენისმიერი გ, კ ციტატისეული მაგალითებისა ყ-დან არიან: რუგ-იო < რუყ-იო*; რუხ-ტ < რუყ-ტ*; რო-ჰონ < რო-ყონ*; რეუკ <// კუერ:* ეს უკანასკნელი – რეუკ, ბგერათა დისპოზიციის გათვალისწინებით, ზემო თავებში დასახელებულ ყუერ* ალომორფიდანაა: ყუერ* > კუერ* > რეუკ (ასევე იხ გვ. 509).

„...პრუს. **Atte**, ლიტ. **Kote**, ლატიშ. **Koke**, ლათ. **Kattus** „კატა“ (დ. ნ. გვ. 599), ქართ კატა // მეგრ. კატუ და მეგრ. ციბა, ამ ჩამოთვილთაგან მიმართებით, განზე დგას. რადგან სახელი ციბა წარმოქმნილია ფხაჭნის ცხ...ცხ... ხმიანობისადმი ხმაბაძვით: შდრ. მეგრ. ცხაბარი „ფხაჭნა“. ესე იგი, არსებობდა ცხ კომპლექსის შემცველი ცხიბა* წინაფორმა: აქ ცხ კომპლექსიდან იკარგება ც, იმდაგვარადვე, როგორც ეს ცო-ცხი < ცხო–ცხ-ში ხდება: სხვა, ჩამოთვლილი, კატის სახელების კო და კა მარცვლები, კატის კნავილის იმიტაციით წარმოქმნილ, ყგ მარცვლიდან არიან: ყგ > ყო // ყა > // კო // კა: შდრ მეგრ. კატუშ ყვიაფი // ყიაფი // კატის კნავილი:

ამგვარად, ამ სიტყვების კატ მიღებულია ტ თავკიდურა დანართის სუფიქსალურ ნაწილში გადაადგილებით: ტ-ყა* > ყა-ტ* // კა-ტ: ამ-დაგვარი ცვლილებები ზემოთ უკვე აღვწერეთ და ხშირია;

ტ-ურ-ა სახელი სახელდებულია მეგრული ღურა // ყურა // ყუ-რა-ფი „ყმულილის“ აღმნიშვნელ სიტყვისაგან. ესენი, დღეს, მგლის და ძაღლის ყმუილია, მარა ცხადია, წინათ ტურას კივილსაც განასახიერებდა: ყურ-ა* > ტყ-ურა* > ტ-ურა;

ყარ-ტ-ალ-ი „მეგრ. „ჩხავილი“: ტ-ყარ* > ყარ-ტ- + ალ > ყარ-ტ-ალ-ი; იგივეა ქართული ყრ-ან-ტ-ალი, ოღონდ აქ ყრ შეკუმშული მონაცემია, მომდევნო ა ხმოვნის ზემოქმედების გამო.

ვიტყ და ვიტ მეგრ. „იხვის მოსახმობი“: ტ-ყ-ვი* > ვი-ტყ; ტ-ყ-ვი* > ყ-ვიტ* > ვიტ; კვა-ტია მეგრ. „იხვი“: ყვა-ია* + ტ > ტ-ყვა-ია* > ყვა-ტ-ია* > კვა-ტ-ია;

ღორ-ი < ყორ-ი* // მეგრ. ღეჯ-ი < ყერ-ი*; შდრ. (მეგრ. ღორ-ღონ-ჯი) ღორ < ყორ*; ღონ < ყორ*;

ღომ-ი: ყორ* > მ-ყორ* > ყორმ* > ღომ; ღუმ-უ მეგრ. „ღომ-ი“: ყურ* + მ-ყურ* > ყურმ* > ღუმ;

კორმ რუს. „საკვები“: ყორ* > მ-ყორ* > ყორმ* > კორმ; გორბ-უშკა რუს. „პურის ყუა“ + ბ: ბ-ყორ* > ყორბ* > გორბ; გორ-შოკ „მოცულობითი ნივთი საჭმლ-სასმელისთვის“: გორ < ყორ*;

ქოთ-ან-ი: ქოთ < ყოტ* < ტ-ყო;* კოტ-ო მეგრ. „ქოთანი“: კოტ < ყოტ* < ტ-ყო*...

სვ, გგრ-გნ, მეგრ. გგრ-გნ // გირ-ინ, ლაზ. გურ-ინ და მეგრ. ყირ-ყინ „ყ ბგერის გამოღებით ძახილი ან საუბარი“ საწყისია ყგრ* ალო-მორფი (ყგრ* > გგრ), ხოლო ქართ. ვირის შემთხვევაში – ყორ* > ყვირ* (შდრ. ყვირ-ილ-ი) > ვირ არის მომხდარი (შდრ. ყრ-ო-ყინ-ი „ვირის ძახილი“ < ყორ-ო-ყირ*); ყვირ-ილ-ი: ყვირ < ყორ // ღორ-ა // ღვარ-ა: ღვარ //< ღორ < ყორ*; ყი-ჟინი, >// მეგრ. კი-ჟინი; ყი > კი; კი-ვილი < ყი-ვილი;* // ყი-აფ-ი // რ-კი-აფ-ი მეგრ. „კივილი“: ყი > კი...

„...სანსკრ.Vrka, გუთ. Vulf-s, რუს. Волк უდრის სპარს. გურგ-ს „მგელი.“ ვ. თოფურია „შრომები.“ გვ. 236. სპარსულის თავკიდურა გ გუტურალიზაციის შედეგად ითვლება. მ. ე., იგულისხმება, ქართვ, გერი // მ-გელ-ის შემთხვევაში, გ ინდოევროპული ჳ-ს რეფ-ლექსი რომაა და არა ამ ცხოველის ყმუილის ხმაბაძვისას წარმოქ-მნილ ყ ბგერიდან მიღებული.

მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ მრავალ აშკარა ხმაბაძვით მაგალითებში – **ყვარტი // მეგრ. გორდი; ყვავი // მეგრ ყვარია // კვარია; ყორ-ანი // მეგრ. ყვარანი** და ასე შემდეგ (იხ. ზემოთ) **ვ** ბგერის წინ ხშირად **ყ** ბგერაა და, იქნებ გუტურალიზაციის ფენომენი ახდენდა გავლენას **ყ > გ, ყ > კ, ყ > ქ** პროცესებზე. ასე რომ, მგელი // გერ-ის შემთხვევაში **გ** ბგერის ხმაბაძვითი **ყ**-დან წარმომავლობა ვერ უარიყოფა. შეგახსენებთ: **ყ**-ს არიტიკულაციის ამოწევის გზით ცვლა თავად ვ. თოფურიას მიერადაცაა დადასტურებული. ამდენად, **ყ > კ** ცვლილებისა და ბოლოკიდურში გადანაცვლებამდე, რუს. **Волк ვოლკ**-ის წინაფორმად, **კვოლ*** მოჩანს, რომლის ფონეტიკური ბადალი **კივილ, ყივილ** და ასე შემდეგ მრავალი დავასახელეთ.

Вой // ვოი რუს. „ყმუილი, ყიჟინი“ ამ რესტავრირებულ **კვოლ***-ს დიდად არ შორდება. **Ура** „საბრძოლო ყიჟინი, ვაშა“ კი მეგრ. **ყურა // ღურა // ყურა**-ფი „ყმუილი“ სიტყვების – **ყურ** ძირის ან ღორ-ა >// ღვარ-ა „ყვირილის“ ღორ ძირთაგან რომელიმეს გამარტივებაა,.ასე რომ, ქართ. **კივილ**, მეგრ. **ყურა**, რუს. **ურა, ვოი** სიტყვები ამორიცხავს რუს. **ვოლკ** სიტყვას გუტურალიზაციის მაგალითებიდან და ხმაბაძვით ამოსავლიანობას ამტკიცებს მისას.. სპარსული **გურგ** კი **ყურყ*** წინაფორმას გულისხმობს!..

ძახილი და სიკვდილი

ენათმეცნიერმა ვარლამ თოფურიამ ქართ. სიკდილის ამგვარი სეგმენტაცია შემოგვთავაზა – **„სი-კვ-დ-ილ-ი: აქ სი** პრეფიქსია, **ილ** კი – სუფიქსი. ასევე **დ** (// **ედ**)-საც თუ სუფიქსად გამოვყოფთ“ (ვ. თოფურია), მაშინ ძირად გვრჩება **კვ**, რომლის **ვ** უეჭველია **უ** წარმომავლობისაა და, ამგვარად **კუ > კვ** არის მომხდარი. ხოლო, ზემოთ **ყუ* > კუ** გარდაქმნის მაგალითები მრავალი დავასაელეთ. თუმცა, რაკი **რ** სუფიქსაცია, როგორცა ვთქვით, ტოტალური მოვლენა იყო, ამიტომ **კუ < ყუ-ირ*** ალომორფიდან უნდა დავსახოთ. ხოლო **ილ** სუფიქსის **ლ**-სთან მიმართებაში, **რ**-ს პირვანდელობას ცხადყოფს მეგრული ღურ-ა და სვანური და-გრ-ა.

როგორც ითქვა, ვ. თოფურიას შეხედულებით, **დ** ოდინდელი სუფიქსია. ჩვენ კი გვგონია რომ იგი ინფიქსში გადასული დანართია, ასეა თუ ისე ოდესღაც ძირი იყო კვილ, **ყვირ*** // < **ყუირ***-დან. **ყვირ** კი ძირია დღევანდელი ქართული **ყვირ**-ილ-ისა. ხოლო მეგრ.

სიკვდილის ფარდი – ღურა, ამოზრდილია წინაფორმიდან – **ყურა** // **ყურა-ფი**, რომელიც, დღეს, ყმუილს აღნიშნავს..

ქართ. სიკვდილს ყვირილი ისე ესადაგება, როგორც – მეგრულ ღურას „სიკვდილს" მეგრულივე **ღორ-ა** // ღვარ-ა „ყვირილი" და **ყურ-ა // ღურ-ა, ღურ-ა-ფი** „ყმუილი."ზუსტად ასეთივე მიმართებებია მეგრ. ღურასა და სვ. დაგრა „სიკვდილს შორის: **და-გრ-ას გრ** კომპლექსად კუმშვა გამოიწვიეს ერთიდაიგივე **ა** ხმოვნებმა. ამგვარად, წინაფორმა სვ. **და-გრ-ას გრ**-კომპლექსისა იყო **გარ***. ანუ სვანური **და-გრ-ა** სიტყვის ამოსავალი იყო – **და-გარა***. ეს უკანასკნელი კი ფრიად ღირსაცნობია იმით, რომ მეგრ. **გარა** „ტირილი" სიტყვას შეიცავს, ურომლისოდაც ადამიანის სიკვდილი წარმოუდგენელია. მ. ე., ძველად სიკვდილი მეგრულად და სვანურადაც **გარა** ტერმინით აღინიშნებოდა, რომელიც დღევანდელმა სვანურმა კუმშვისა და **და** პრეფიქსაციის შემდეგ **და-გრ-ა** ფორმით შემოინახა. ესე იგი, იმგვარადვე როგორც ქართულ **სიკვდილს – ყვირილი;** მეგრულ **ღურას** „სიკვდილს" – **ღვარა** „ყვირილი", ზუსტად ამგვარადვე ესადაგება სვანურ **და-გრ-ას** „სიკვდილს" დღევანდელი მეგრ. **გარა** „ტირილი"...

ქართ. სიკვდილის **კვ-დ-ილ** ფუძეს შესახებ, გამოთქმული მოსაზრებები აშკარად ხდის ფაქტს: მისი ამოსავალია **ყგ** მარცვალი: **ყგ > // ყუ:* (ირ** სუფიქსაცია) > **ყუ-ირ:* (უ > ვ) > ყვ-ირ* // ყვილ*** (შდრ. მეგრ. ცვილ-უა „კვლა" + **დ** დანართი ინფიქსში ჩართვით) > **დ-ყვილ // ყვ-დ-ილ: (ყ > კ) > კვ-დ-ილ > (სი)-კვ-დ-ილ-ი.**

აი, რა თავბრუდამხვევი, მაგრამ დადასტურებული ტრანსფორმაციები გამოიარა ქართულმა სიტყვამ **სიკვდილი**, დასაბამიდან ვიდრე დღემდე: ეს აბსოლუტური ეტიმოლოგიაა..

ძახილი და სიკვდილი ლათინურში და სლავურში

მეგრ. **ღ-ურ-ა** „სიკვდილის" **ღ** ფონეტიკური სახეცვლილებაა **ყ** ბგერისა. **ღ-ურა** საინტერესოა იმით, რომ, უცვლელად, შეიცავს რუს. **ურა**-ს „ვაშა, საბრძოლო ყიჟინა". მ. ე სლ. **ურა** და კოლხ. **ღურა,** ოდესღაც ერთ პროსესს აღნიშნავდა:**ღურა** – სიკვდილი და **ურა** „ძახილის ერთიანობა" სრულიად ბუნებრივია, რადგან ბრძოლა – სიკვდილისა და **ღურა** „სიკვდილი" ყვირილის გარეშე არ არებობს. ამის დასტურია მეგრული **ყურ-ა, // ყურ-ა-ფი** იგივე **ღურ-ა // ღურ-ა-ფი** „ყმუილი", რომელიც მხოლოდ ცხოველთა ყმუილს კი არ აღ-

ნიშნავს, არამედ მკვდრის ჭირისუფლის გოდებაცაა: დიახაც, ქართულ-მეგრული **ყი-ჟინი** //კიჟინი, მეგრ. **ყია-ფი, რ-კი-აფ-ი**, ქართ. **კი-ვილ-ი** სი-კვდილის აუცილებელი თანმხლები პროცესია, ამიტომ **ყურ-ა > ღ-ურ-ა** და **ღ-ურ-ა > რუს. ურ-ა** უდაოა. ამგვარად, მეგრ. **ლურ-ა** „სიკვდილი“, **გარ-ა** ტირილი, სვ და-**გრ-ა** „სიკვდილი“ და რუს. **ურა** (მონღ. ნასესხობად ითვლება?!) სიტყვებში **ყურ-ა*** და **ყარ-ა*** წინაფორმები იგულისხმება.

მეგრ. **ღ-ო-რა** // **ღ-ვა-რა** „ყვირილი“ს **ო**-ს **ვა** მარცვლად დაშლის გათვალისწინებით. **ყორ** აღიდგინება. **ყორ***-ის **ო**-ს **ვი** მარცვლად დაშლისას, **ყვირ*** მიიღება , რომელიც **რ > ლ** ბრუნით იძლევა **ღვილ** ძირს მეგრული სიტყვისა **ღვილ-უა** „კვლა“... მაგრამ ამის წინამორბედ თავში, როგორც გვახსოვს, ვაჩვენეთ რომ **ყორ** კი არაა ამოსავალი სიტყვებისა სიკვდილი და ყვირი-ლი, არამედ – **ყუილ*** // **ყუირ***. აქ აბსოლუტურ სიზუსტეს ვერ დავადგენთ და ამიტომაც ვამბობთ, რომ ჩვენს ეტიმოლოგიებში ნაჩვენებია ხაზობრიობა დასაბამიდან დღემდე და არა აბსოლუტური სიზუსტე მითაჟამისდროინდელ გარდაქმნათა ყოველი საფეხურებისა.

ყორ ალომორფის **ო** ხმოვნის **ვა // ვი // ვე** მარცვლად დაშლის სამოგებოდ მიუთითებს ქართულ სიკვდილთან სემასო-ფონეტიკურად ახლომდგარი ლათინური **კ-**(ადა)-**ვე-რ** „მკვდარი“: **ყორ*** > **ყვერ*** > **კვერ**. შემდეგ, ჯერ იყოდა, ქართული სი-**კვ**(-დ-)**ილ**-ის **კ-ვი-ლ** ძირის დარად, **დ** დანართი ამ **ყვერ*** ოდინდელ ძირს დაერთო და შემდეგ შიგნით გადაადგილდა: **ყვერ*** > **დ-ყვერ*** > **ყ-დ-ვერ***: გახმოვანება > **ყ-ადა-ვერ**:* ბოლოს **ყ > კ** ამოწევით მივიღეთ საბოლოო ფორმა ლათინურისა – > **კ-ადა-ვე-რ**. **კადავერის კადავ** და სი-**კვდ-ილის კვდ** კომპონენტები, განსხვავებული განლაგებით ექვივალენტური ბგერებისგან შედგებიან, რაც არაა შემთხვევითი. ამას უფრო ქართ. **მკვდარ-ი** და იგივე ლათ. **კადავერ** ცხადყოფენ.

ხშირად უცხოური სახელები გვეხმარებიან დავადგინოთ პირვანდელი ვითარება. მაგ: ლათინური **IUG-EO // ლუგ-ეო „გლოვა“** რომლის ბადალი ქართული **გლ-ო-ვა** და მეგრული **რგ-უ-ალ-ა** გახლავთ, გვიჩვენებს, რომ ამოსავალი იყო ლათინური **ლუგ-ეო-ს ლუგ //< გულ** ძირის წინარე მდგომარეობა **გურ* // < ყურ***. მ. ე, ქართ. // მეგრ. **გლ-ო-ვა // რგ-უ-ალ-ა** სიტყვების **გლ და გრ** ნაკუმში მონაცემია: **გლ < გოლ* < გორ* < ყორ*; რგ //< გრ < გორ* < ყორ*..** თუმცა, უხშირესად, გეორგიული ინახავს ამოსავალ სახეს ალო-

მორფისას. მაგ: ლათ. (AD)-**OR**-O // ად-**ორ**-ო „შეძახილი", **Kl**-amo // **კლ**-ამო „ძახილი", **Kl**-an-gor // **კლ**-ან-გორ „ხმაური", რუს. **Ор**-ат „ყვირილი" და მეგრულ-ქართული **ლორ**-ა // **ღვარ**-ა // ყვირ-ილ-ი ძახილის ექვივალენტურ ძირებს შეიცავენ, რომელთაშიც ლათინურის **კლ** გახლავთ ნაკუმში: **კლ** < **კალ*** < **ყალ*** **ყარ***; ასეთივეა რუს. **Кр**-ик // **კრ**-იკ **კრ** < **ყირ***;

ამათი პარალელია მეგრ. **ღურ**-ღულ-ი // **ყურ**-ყულ-ი (< **ყურ**-**ყურ***) „ცრემლების ღაპა-ღუპით მოთქმა" და ლათინური **Ul**-**Ul**-atus // **ულ**-**ულ**-ატუს „მოთქმა, ყვირილი" **Ul**-**Ul** < **ყურ**-**ყურ***.

უცხადესია: ინდოევროპულ-გიორგიულმა პარალელი ჰპოვა მათს სიკვდილ-ყვირილ-ტირილ-გლოვის მნიშვნელობით განპირობებულ სახელებში.

პარალელია აგრეთვე მეგრ. **რაგ**-ად-ი „ლაპარაკი" **რაგ** // **გარ** < **ყარ***; ლათინური **Log**-os // **ლოგ**-ოს **ლოგ** // **გოლ*** < **ყორ*** „სიტყვა," **Gl**-or-ia „სიტყვის წარმოთქმა:" **Gl** < **GOl*** **გოლ*** < **ყორ***;

ყ და ღ ხმაბაძვითების მეტოქეობა

ხმაბ. სიტყვებში – ღილინი, // მეგრ. ღირღინი; ღუ-ღუ-ნი; ქართ. **ღრ**იალი, მეგრ. ღელენი // **ყ**ელენი // **ც**ელენი „ღრიალი", ქართ. **ყ**ვირ-ილი, // მეგრ. ღიაფი // **ყ**იაფი // ღვარ-ა //< ღორ-ას **ყ** და **ღ**, ორივე თანაბარი ხმაბ. პოტენციის მქონენი, მეტოქეობაში არიან.

ქართული **ღრ**-უტ-უნი > მეგრ **ღ**-ვიტ-ინი // **ღ**-ვიტ-აფი „**ღრ**-უტ-უნი" და **ყრ**-იტ-ინი // **ყრ**-იალი, სიტყვების **ღრ, ღ, ყრ,** როგორც ხმაბაძვითები, ასევე, მეტოქეობაში არიან: ქართ **ღრ**-ენა, მეგრ. **ღგრ**-გნ-ი // **ღირ**-ინ-ი, სვ // **ღგ**-ლი „ღრენა"; ქართ. **ღორ**-ი // > მეგრ. **ღეჯ**-ი; მეგრ. **ღორ**-**ღ**-ონ-**ჯი** < **ღორ**-**ღ**-**ორ**-ი*; ქართ. **ღ**-**ერ**-**ღ**-ედ-ი **ღ**-**ერ**-**ღ**-**ერ**-ი*; ქართ. ძა-**ღ**-**ლ**-ი (**ძა**-**ღ**-**ალ**-ი* < **ჯა**-**ღ**-**ალ***) //< **ჯო**-**ღ**-**ორ**;

ღ-ვარ-ი // **ღ**-უარ-ი; **ზ**-**ღ**-ვა //< **ზ**-**ღ**-უა **ზღ** კომპლექსი უაღრესად მისადაგებულია ზღვის ღელვის ხმებს, ხოლო ზღვის სივრცითი აღქმის მოაზრებებია ამოსავალი ტერმინებისა – სა-**ზღვა**-რი, უ-სა-**ზღვრო** და ა. შ...

ყველა ზემოთჩამოთვლი **ღ** ბგერიან სიტყვებში, ჩვენი სუბიექტური შეხედულებით, **ღ** ბგერის ხმაბძვითი უპირატესობაა. იგია დასაბამი ამ სიტყვებისა. მარა ხაზი უნდა გაესვას: ეს ხდება **ყ**-დან ამო-

სულ ბგერათა სისტემის არსებობის ბაზაზე. ანუ ღ სიტყვებში შეიძლება იყოს ხმაბაძვითი (მიუხედავად იმისა რომ ეს ხმაბაძვითობის ტრადიცია **ნ და ყ** ბგერებიდანაა), ასევე **ყ** ბგერისაგან ფონეტიკური პროცესებით მიღებული და თავისთავადი წარმონაქმნიც. თუმცა ეს „"თავისთავადობაც საჭიროებს სხვა კავკასიური ენებით შეჯერებას: მოსალოდნელია **ყ-ს** სამოგებო კორექტივი. მაგ: Ella Ellen „...ამღვა-მომაქვს, მუღვა – მაქვს. სვანურში, ძირია „ღ"... მეგრულად მომი-ღ, მოგი-ღ, მოუ-ღ = მომა-**ქ** (მომაქვს), მოგა-**ქ** (მოგაქვს), მოა-**ქ** (მოაქვს): მეგრულშიც, სვანურის მსგავსად ძირია **ღ**, ქართულში კი – **ქ**, რომელიც ამ მეგრ-სვანურ **ღ** ბგერის ამოწევის შედეგია. მაგრამ თავად **ღ** ხომ არაა **ყ**-ს ნაცვალი? ამას ის გვაფიქრებინებს რომ ქართ. ცოცხალი არსებაზე ითქმის **ყოლა**, უსულოზე კი – **ქონა**, მარა მეტყველების საწყის ეტაპზე ამგვარი დიფერენცირება არაა მოსალოდნელი, ამიტომ **ქონას ქ**-ს ადგილზე, უთუოდ **ყონა*** იქნებოდა. ასე რომ მეგრ ღუნა // ქართ. ქონა, // სვ. მუღვა ზმნის ადგილზე **ყ** იქნებოდა.

ლოკოკინა, ფერწო, მეგრ. კოლი // ქართ. კალია, ეკალა // კალია; შეყერი, ნაყარი, ნარყი, აყარება, ფარყი, გახარება,

გეორგიულმა ენებმა, რიგ მცენარეთა სახელებში, შეინარჩუნეს უძველესი ალომორფები. თანაც კვების ეს ალომორფები ისეთ სახელებშიცაა, რომლებიც, აშკარად მიუთითებენ მათს სიძველეზე. იმ დროზე როცა ჰ-ის საჭმლის მომნელებელი სისტემა განსხვავებულია დღევანდლისაგან. როცა შეუძლია გადაამუშაოს უმი, მცენარეული თუ ცხოველური საკვები. მაგ: ქართ. ლო-(**კო-კინ**)-ას **კო-კინ** კვების ორწილედ **ყორ-ყირ*** ალომორფებს წარმოაჩენს. მაშასადამე, მეგრ. ფერ-წო „ლოკოკინა" ასევე დუბლიკატ (**ბ-ყერ*** // **ფ-ყერ***) **ყერ და წო** ალომორფებისგან ყოფილა ნაწარმოები და პირვანდელი ფორმა **ყერ-წო*** ყოფილა*.

კალ-ია, ცხადია, ძველად, ლოკოკინას დარად დელიკატესი იყო და ამ სახელის ამოსავალია **ყარ*** (> **კალ**) ალომორფი. ხოლო მეგრ. **კოლ**-ი „კალია, ცხადია **ყორ** -იდანაა. ქართ. ე-**კალ**-ა-ს **კალ**, ასევე,, კვების **ყალ** ალომორფიდანაა, რადგანაც მისი ყლორტები უმად დღესაც იჭმევა და ასევე მისგან საუცხოო კერძი მზადდება ამას მხარს უჭერენ მეგრ. **კალ**-ი-ა „ეკალა"-ს **კალ** (< **ყალ*** < **ყარ***) და მეგრულივე შე-**ყერ**-ი „ნორჩი ყლორტის" **ყერ** ძირები.

ქართულში გვაქვს ნა-**ყარ**-ი, ამო-ნა-**ყარ**-ი, რომლის **ყარ** ალომორფი მეგრულ სიტყვაში ნა-**რყ**-ი „ნაყარი" შეკუმშულია და შებრუნებული: **ყარ > ყრ > რყ. მეგრ. ა-ყარ-ება „ამოძრავებაა".** ქართ. ნა-**ყარ**-ი და მეგრ. ა-**ყარ**-ება სემასიურად ახლოს დგანან. მათ **ყარ** ძირთანაა დაკავშირებული მეგრ. ფა-**რყ**-ი „მდინარისპირა დამრეცი (ხაბო) ადგილი," სადაც მცენარე – მეგრულად **ფა** (იხ. ქვემოთ) განსაკუთრებით კარგად **ხარ**ობს, ამიტომაც **ფა-რყ**-ი „ზედმიწ. მცენარის მოძრაობა, მცენარის ზრდა" კიდეც ამართლებს სახელდებას: **რყ** კომპლექსი მეგრ. ა-**ყარ**-ება „ამოძრავება," ან ქართ. ნა-**ყარ**-ის „ახლად ამოყრილი ყლორტები"ს ძირი – **ყარ**-ის შეკუმშული და **რ** გადასმული ფორმაა (იხ. აქვე ზემოთ).

ამავე მეგრ. ა-**ყარ**-ება და ქართ. ნა-**ყარ**-ის **ყარ** ძირიდანაა მიღებული გა-**ხარ**-ება, **ხარ**-ება-ს – **ხარ**: მცენარემ გა-ი-**ხარ**-ა მცენარე **ხარ**-ობს გულისხმობს მცენარის ნა-**ყარ**-ის ზრდას. როგორცა ვთქვით, აქედანაა ზოგადად ადამიანის გა-**ხარ**-ება, სი-**ხარ**-ული...

ღა, ყლორტი, აყარი, გოგრა, კვახი, ხაპი, ყოყორე, ყარყარა, კუკურბიტა, კოპეშია, ხაპი

ჭანური **ყა** > // მეგრული **ღა** „ტოტი" (მრავლობითში **ყალ** ფუძით. არნ. ჩიქობავა შ. ლ. 1938 გვ. 135) შესატყვისია ქართულ, თავიდანვე კომპოზიტ, ყლ-ორ-ტი-ს **ყლ** ნაწილისა. რაკი იგივური ხმოვნები რედუქციას იწვევენ, შუათანა კომპონენტი **ორ** (< **ყორ***) იმაზე მიუთითებს, რომ სწორედ მისმა **ო** ხმოვანმა გამოიწვია **ყლ** კუმშვა და რომ ეს **ყლ**, ასევე, **ო**-თი იყო გახმოვანებული: **ყორ*** > **ყლ**. ესე იგი, (**ყლ-ორ**)-**ტი**-ს **ყლ-ორ** ნაწილი **ყორ-ყორ*** წარმომავლობისაა. ხოლო ბოლოკიდურა **ტი** – კი ხშირი სუფიქსია და იგი **ნი** ალომორფიდანაა, **ნ**-ს გამარტივებით მიღებული: **ნი*** > **ტი**. ამდენად, **ყლ-ორ-ტი**-ს წარმომავლობა **ყორ-ყორ-ნი***-დანაა: შდრ. მეგრ. **ყირ-ტი**: ბრძანებაა = „ყლაპე **ყ** ბგერის გამოღებით", **ყირ-ტ**-ონ-უა „ჭამა, ყლაპვა **ყ** ბგერის გამოღებით"... შდრ. **ყირ-ნი**, გე-**ყირ-ნი** „დალიე **ყ** და **ნ** ხმიანობით;" **ყირ-ნ**-უა „სმა **ყ** და **ნ** ხმიანობით.

აყარი, გოგრა, კვახი, ხაპი , ყოყორე, კოპეშია, კუ-კურ-ბიტა ლაზ. **ყო-ყორ**-ე, მეგრ. **კო-პე**-ში-ა, ქართ. **გო-გრ**-ა, **კვახი**, გურ. აჭ. **ხა-პი** (იხ ა. მაყაშვილი. ბ. ლექსიკონი გვ. 21).

ამ სახელებისგან უთვალსაჩინოესია ლაზური **ყო-ყორ-ე**, რადგან ნათლად ჩანს ამოსავალი **ყორ-ყორ-ე***.

„...ჯავახიშვილი მართებულად აღნიშნავს, ჭან. **ყო-ყორ-ე ყორ-ყორე**-საგან უნდა მომდინარეობდეს და ქართ. **ყარ-ყარ-ა**-ს უნდა უკავშირდებოდეს; სვ. **აყარიც** ამავე ძირს უნდა შეიცავდეს...“ ა. ჩ. შ. ლ. გვ 148. როგორც ვხედავთ, ივანე ჯავახიშვილმა წარმოაჩინა ლაზ. **ყო-ყორ-ეს ყორ-ყორ*** ალომორფალური დუბლიკატი და არნოლდ ჩიქობავამ დაუდასტურა. ქართ. **გო-გრა**-ც იგივე ძირიდანაა: **ყორ-ყორ* > ყო-ყრ* > გო-გრ.-ა.**

ამას ადასტურებს ლათინური **Cu-cur-bita // კუ-კურ-ბიტა: კუ-კურ < ყურ-ყურ*.**

მეგრ. კო-პე-შია (კო-პე < **ყო*-ბე***),ლეჩხ. იმ. რაჭ. კვა-ხი (ყუა-ყი*), გურ. აჭ. ხა-პი (< ყა-პი* < ყა-ბი*), აქ ყველგან, ბილაბიალის დართვის შემდეგ, **ყ** იკარგება (იხ. აქვე ქვემოთ), სხვაგან კი ეს **ყ** ამოწეულია **კ** და **ხ**-დ.

ყოფა, // ცოფა, მაყვალი, მუცი, მუცია, მორუმ, ყვავილი, ყოილი, პეული, პუნა, პირი, პიჯი, პილ, პერო, პეტუხ, ბირა, მღერა, პენიე, პესნია, პიშა, ჯამპი, ჯამპონა, ჯაპან

„...ქართ. **მ-ა-ყვა-ლი // მეგრ მ-უ-ცი // მუ-ცია**“; ჭან. **მუ-ცი...**“ (დ. ნ. გვ. 47) გვიჩვენებს რომ **ყ**-ს წინ ვითარდება ბილაბიალი **მ**, შემდგომი გახმოვანებით. მეგრულ-ჭანურში **ყ > ც** არის განხორციელებული (შდრ. ქართ. **ყველი // მეგრ. ცვალი**):.ასე რომ პირვანდელი ფორმები ამათი, შესაბამისად, იყო: **ყ-უარ-ი* > მ-ყუარ-ი* > მ-ა-ყვარ-ი* > მ-ა-ყვალი** და **ყი* > მყი* > მ-უ-ცი // მ-უ-ცია**); მაყვალი საკვები რომ იყო უეჭველია, მაგრამ, იმ დროს, ყვავილიც საკვებია: **(ყვა-ვ)-ილ-ის ყვა-ვ** ძირის ორი **ვ**-დან მეორე, იქნებ არაა **ვილ** სუფიქსის კუთვნილება (ანუ სუფიქსია **ილ**) და მისი დასაბამი **ყ** ბგერის ორჯერადი **უა + ილ** სუფიქსაციის გამოა: **ყვა < ყ + უა; ვა < ყვა* < ყ + უა.** ასე რომ **ყვა-ვ** ძირი მიღებულია **ყუა-ყუა***-საგან. დუბლიკატის მეორე **ყუა-მ**, **უ**-ს გაბაგისმიერების შემდეგ, **ყ** დაკარგა. ანუ **ყუა-ყუა* > ყვა-ყვა* > ყვა-ვა* + ილ > ყვა-ვილ.**

ყ-უა* ყ ბგერის კვების უძველესი ალომორფია, **უა** სუფიქსაციითა. **იგი** უცვლელად, შემოინახა ძველ ქართულმა – **ყ-უა-ვ-ილ-**

ი. რაც ახ. ქართ. ზემოთმტკიცებულ, **ყ-ვა-ვ-ილ** ფრაგმენტაციის სისწორეზე მეტყველებს. ასევე შემონახულია **ყო-ილ** // < **ყო-ირ*** ალომორფი, სრულიად უცვლელად,

Morum მ-ორ-უმ ლათ. „თუთა“: მ-ორ < (მყ)ორ*: ყვა-ვ-ილ-ის ყვა-ვ ძირის მეორე ვ-ს წარმომქმნელ **ვა** < **ყვა*** პროცესის მსგავსად, ამ **ლათ. (მყ)ორ* საწყისის მყ კომპლექსმა ყ დაკარა: ასე რომ: ყ-ს ალომორფებზე, ბილაბიალთა და დენტალთა დართვით წარმოქნილ კომპლექსიდან ყ-ს დაკარგვა ზოგადი ფონეტიკ. მოვლენაა.**

ქართ. ყო-ფა // მეგრ. ცო-ფა ყო > **ცო** ალომორფებს შეიცავენ **ფა** მეგრული სუფიქსია: აწარმოებს მასდარს: გურა-**ფა** სწავლა, სწავლება, ჩხონა-**ფა** „ცხონება“.

მეგრ. **პე-ულ-ი** „ყვა-ვ-ილ-ის“ **პე-ულ** ფუძე უცვლელ, უძველეს, ვითარებას გვიჩვენებს, მსგავსად ქართ. **ყო-ილ** // < **ყო-ირ*-ისა: ყე-ურ*** > **ბყე-ურ** // **ბ̌ე-ურ** > **პეულ**: მეგრ. **პი-ორ-ი** „ყვავილის სინონიმი“ მეგრ. პე-ულ-ი-საგან მხოლოდ ხმოვანთა **ი : ე და რ : ლ** - თი განსხვავდება: ყი-ორ*: **ყი-ორ** > **ბ̌იორ*** > **პიორ**.

ქართულად **პ-ირ-ი** ანატ. ორგანოა, საკვების მიმღებ-გადამმუშავებელი ანუ სიცოცხლის, ყოფის განმაპირობებელი. მეგრ. **პირ-ი** კი – პიორ და პეულის დარად, ასევე „ყვავილის სინონიმია“. იგი, ცხადია, **ყირ** ალომორფალ-ური მონაცემია.: **ყირ*** > **ბყ-ირ*** > **ბ̌ *-ირ** > **პ-ირ**. პერრო მეგრ. „უწიფარი“: პერრო სხული – „უწიფარი მსხალი“, ვაშლი და ა. შ.“ მხოლოდ ვოკალიზაციით განსხვავდება მეგრულივე პირი „ყვავილი“-საგან: **პირ-ი ი** ხმოვნიანია, პერრო კი **ე** ხმოვანს შეიცავს. ანუ, ფორმობრივი ვარიანტები გახლავან. მაგრამ დღეს მათი მნიშვნელობა განსხვავებულია: ყვავილი, ამჟამად, არ იჭმევა, განსხვავებით პერრო ვაშლი და პერრო მსხლისაგან, რომელთაც დიდის სიამოვნებით შევექცეოდი, ბავშვობაში... ასეთივე საამური საკვები იყო **პირი // ყოილი // ყვავილი** ჰომინიდისთვის. აი, სად პოვეს ერთიანობა ქართ. **პ-ირ-ი** „კვების ორგანომ“ და მეგრ. **პ-ირ-ი** „ყვავილმა.“

მეგრული **პერრო** სხული „უწიფარი მსხალი“ და ლათინური **პირ-უს** „მსხალი“ აშკარა პარალელია. იხ. ვ. ალფენიძე „საქართველო ღვთისმშობლის ქვეყანა.“

მეგრულად თუთის ხეს ჯა-მ-**პი** // ჯა-**პი**, ხოლო ნაყოფს მ-უც-ი და ჯა-მ-პ-კაკალი // ჯა-მ-კაკალი ქვია. როგორცა ვთქვით, **მუც-ი**

მიღებულია **მყ-ი*** > **მც-ი*-საგან**, ხოლო **მც** კომპლექსის წინარეა – **ბც** „ყოფა ყოფიერის „მნ-ბით.

მეგრ. **მა პუ იგივე – მა ბცუ „მე მყოს"** ნიშნავს: **პუ // ბცუ** = „მყოს";"მაშ, **ბცუნა // პუნა** იყო ყოფა, რომლებიც დღეს არ იხმარებიან.. აქ **ბც** კომპლექსიდან **პ** ბგერის შთენა – **ბც > პ** მოვლენა ვარლამ თოფურიამ დაადგინა. ამიტომ, მეგრ. **ბცუნა > // პუნა** უდრის **ყოფა, ყოლა,** არსებობას.

ქართ. **პირ-ი** >// მეგრ. **პიჯ-ი // სვ. პილ** (< **პირ**), უდაოა, **ბყირ* // ბცილ*** ამოსავლიანობის არიან.

სლ. **პეტ-უხ-ის პეტ** ფრაგმენტის **პ** ქართ. **პირ-ი**, მეგრ. **// პიჯ-ი** და სვ. **// პილ-ის პ** ბგერის მსგავსადაა ნაწარმოები: **ბცეტ > პეტ**. შდრ. მეგრ. **ბციონგნქ // პიონგნქ** „"ვყივი: **ბც > პ. პეტ-უხ** სიტყვის, კანონიერად რესტავრირებული **ბცეტ-უყ* // პეტ-უყ*** წინაპარი, აშკარად გვიჩვენებს, რომ სლავური **პეტ, პენიე** „მღერა", პესნია „სიმღერა" სიტყვების **პ მეგრ. ც** ბგერის ბილაბიალი **ბ-თი** გართულების, თოფურიას მიერ აღწერილი **ბც > პ** პროცესის შედეგი ყოფილა.

ყ ბგერა **ბ**-თი რომ რთულდებოდა ამის დასტურია მეგრული **ბირა < ბ-ყირ-ა*** და **ბ**-ს ადგილზე **მ** ბგერის არსებობა ქართ **მღერ**-აში: **ბყერ* > მღერ**.

ჯაპონა მეგრულად „თუთნარია". გურიაში არის სოფელი **ჯაპანა**. იგი – **ჯაპანა (// < ჯამპონა*)** იაპონიის სახელია, მარა იგი იაპონური კი არა **აიან**-ურია, რადგან, სწორედ კოლხმა აიანებმა შეიტანეს იაპონიაში მეაბრეშუმეობის კულტურა, სადაც იგი ძალმოსილად აყვავდა და ამიტომაც დაედო ქვეყანას სახელად: ასევე, იხ. კლიმენტი შელია. „კოლხეთი სამყაროს კარიბჭე"..

ყ ბგერის ალომორები და პარალელიზმები კვება და საკვების აღმნიშვნელ სახელებში

ამგვარი პარალელიზმები **წ**-დან ამოზრდილ სახელებში უკვე დავაფიქსირეთ (ძოვა, დიარა, წოვა ... იხ გვ 99 - 100.).

ჯილლ ბეილი და ტონო სედდონი ოქსფორდის უნივერსიტეტიდან (იხ. ჯ. ბ. ტ. ს. „ისტორიამდელი სამყარო") თვლიან: 1,75 მლ წლის წინათ ჰომო ერექტუსი „გამართულ ადამიანი" იყენებდა ცეცხლს, გააჩნდა პრიმიტიული მეტყველება. მაგრამ ეს ადამიანი რაკი იარაღის მკეთებელია, მ. ე. მისი მეტყველება სიტყვა სიმბო-

ლური უნდა ყოფილიყო და მანამდე უნდა გაევლო ცხოველური საგნობრივი მეტყველების პერიოდი. ეს კი ის პერიოდია როცა ჰომინიდი უმი ცხოველური და მცენარეული საკვებით იკვებება: გლეჯს ხორბლის გარეულ ჯიშებს, ფრჩხილებითა და თითებით თხრის ძირხვენებს. ართმევს ყვავილებს ფუტკრებს: ამის დსტურია თითქმის უცვლელად შენარჩუნებული ალომორფი ქართ. კუთხ. ყვავილის სახელად – **ყოილი.**

როგორც ვხედავთ, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს იმდროინდელი მეტყველების არსებობის მიმანიშნებელი უცვლელი ფაქტები შესადარებელი ენების დღევანდელ ლექსიკას საკმაოდ შემორჩა.

არაერთხელ მივანიშნეთ: რუს. **роть** „პირი“ (< **ტ-ყორ***) // ქართ. **პირ-**ი; >// ეგვ. **პრიე** „პირი“ (< **ბყირ-ი***); გიორგიულ-ინდოევროპული **პურ-**ი (< **ბყურ***) სახელებში ბილაბიალის დართვის შემდეგ **ყ-**ს გაუჩინარების თაობაზე: წარმოვადგინეთ მაგალითები: მეგრ. მა **პუ** > მე მყო (**პუ** < **ბჳუ***); რუს. // ბოშ. **пит** // **пи** „სმა;“ რუს **пи-**ტანიე კვება (**пи** < **ბყი***; **пэт** „მღერა“ (**пэ** < **ბყე***); ქართ. **მ-**ღერა (**მ-ღერ** < **მ-ყერ***); მეგრ. **ბირ-**ა (**ბირ** < **ბ-ყირ***);

ანატომიურ სახელებში: ქართ. **პირი** // მეგრ. **პიჯ-**ი // სვ **пилл** // **роть** // ლათ. **ორ-**ის (**ორ** < **ყორ***) **უნდა ვივარაუდოთ ო > ი, რ > ჯ და რ > ლ.** დამატებით მოგვყავს მაგალითები:

ლათ. **Poto პოტო** „სმა“ (**პო** < **ბყო***); **პომუმ** „ხილი“ (**პომ** < **ბყორ***); **Hor-tus ჰორ-ტუს** „ბაღი“ (**ჰორ** < **ყორ***); **Hor-reum ჰორ-**რეუმ „ბეღელი“ (**ჰორ** < **ყორ***); **Granum გრანუმ** „პურის მარცვალი;“ **Gramen გრამენ** „ბალახი,“ ფურაჟი (**გრ** < **ყარ***); **Herba ჰერბა** „ბალახი“ (**ჰერ** < **ყერ***); ანატ. სახელები: ქართ. **პირი** // მეგრ. **პიჯ-**ი // სვ **пилл** // ლათ. **ორ-**ის (**ორ** < **ყორ***), ერთის მხრივ, მეგრ. **პირი** „ყვავილი;“ **პური**, ლთ. **პან-**ის პური; **გრამენ** „ბალახი“ და ა. შ, მეორეს მხრივ და მესამეს მხრივ – **კვება**, საკვები (**კვ** < **ყუ**), რუს. **корм** (< **მკორ*** < **ყორ***) და ა. შ. მიანიშნებენ იმ დროზე როცა ეს სახელები აღნიშნავდნენ იმ ორგანოს რომლითაც იკვებებოდნენ, იმას რითაც იკვებებოდნენ და თავად კვების პროცესსაც, რაც უდიდესი მნივნელობის პარალელებია ამ ენებში...;

გორბუშკა, პანის, ფლოს, პრიმა, პრიველი, პირველი, პერვიი, კორონა, გვირგვინი, გურგინი, რაკემიფერ

ერთხელ კიდევ დავაფიქსიროთ: ინდურად თვლილი, სინამდვილეში გიორგიული **პურ-ი** (< **ბყ-ურ-ი***), რუს. **პირ** „ქეიფი“, მეგრ. **პირ-ი** „ყვავილი“, მნიშვნელობითა და აგებულებით იდენტურნი არიან. რუს. ცვეტოკ „ყვავილი“ განზე დგას, რუს. **პირ** „ქეიფი;“ (< **ბყირ***); **გორ-ბუშკა** (**გორ** < **ყორ***) „პურის ყუა“ და ლათ. **პან-ის** (**პან** < **ბ-ყ-არ***) „პური"-საგან. მათთან, სამაგიეროდ, ახლოსაა ლათ. **ფლოს** „ყვავილი"-ს **ფლ** (< **პლ** < **პოლ** < **ბყორ***).

ლათ. **პრიმა** // მეგრ. **პრიველი** // ქართ. **პირველი** და რუს. **პერვიი** ასოცირებულნი არიან ქართ. **პირი** „კვების ორგანო“, მეგრ. **პირი** „ყვავილის „ ამოსავალ „კვებისა და საკვების“ მოაზრებებთან.

ლათ. **პრიმა** < **პირ-იმა*** < **ბყირიმა***; რუს. **პერ-ვიი-ს პერ** < **ბყერ***; ქართ. **პირ-ველი** // მეგრ. **პრ-იველის პირ და პრ** < **ბყ-ირ***: ესე იგი, ინდო ევროპულში პირველის აღმნიშვნელი სახელები პირველყოფილ ალომორფებამდე იმდაგვარადვე დაიყვანება, როგორც ქართ. **პირი** „კვების ორგანო“, **პური** და მეგრ. **პირი** „ყვავილი“.

ი. ე. // ქართველურ **პრიმა** // **პირველის** ფ. ს პარალელი დადგენილია, მაგრამ თურმე აი, სად იმალება მიზეზი ამ პარალელიზმისა: იგი **ყ** და მისი ალომორფების მიერაა გამოწვეული ამ ხალხთა ერთიანობისას. ეს იმ დროის ურთიერთობებია როცა ყვავილი საკვებია. ამიტომ იმ საზოგადოებაში ყვავილთა გვირგვინის **დომინანტური სემასია ყუათიანობაა:** სილამაზის (ესთეტიკის) წინ წამოწევა შემდგომი ამბავია. გასათვალისწინებელია დღესაც ცოცხალი ტრადიციები: დარბაზის ჭერის, ჭიშკრის თაღების, აივნების, ყვავილებითა და ყურძნის მტევნებითა და მტევნებიანი ტოტებით (ჩხებით) შემკობა. სამეგრელოში ახალ წელს – კალანდას ცოცხალ მცენარეთა შტოებით მილოცვა: საყურადღებოა, რომ ეს მილოცვა მბრძანებლურია: ამგვარად ხელდამშვენების გარეშე მეზობლის და სხვა უცხო ოჯახში შესვლა არ ეგების – ვაშინერს ანუ ტაბუა. როგორც ვხედავთ, **პრიმა // პირველი // პრიველი // პერვიი** დღევანდელმა სახელებმა **მცენარეთა ნაყოფებითა და ყვავილით, როგორც საკვებით,** შემკობა-დასაჩუქრებისა და გაფეტიშების პერიოდი გამოიარეს.

ახლა გასაგები ხდება ი. ე. **კორ-ონა** // ქართ. **გვირ-გვინ-ი** // მეგრ. **გურ-გინ** სახელთა კომპონენტების (– **კორ** // **გვირ** // **გვინ** //

გურ // გინ) მსგავსების მიზეზი. მეგრ. **გურ-გინ** აშკარაა **ყურ-ყინ*ი**-დანაა, მ. ე. ლათ **კორ-ონა**-ს **კორ-ონ ყორ-ყორ***-ი-დან იქნება და იქიდანვეა ქართ. **გვირ-გვინ**-ი, **ო**-ს **ვი**-დ დაშლისა და **რ > ნ**-ს შემდეგ.

ლათ. **რაკ**-ემიფერ „1. მარცვლის, განსაკუთრებით პურის მარცვლის მომტანი; 2. შემკული, **„ყურძნის გვირგვინოსანი“** (იხ. შულცი ლ. რ. გვ 459) კარგად ესადაგება გამოთქმულ მოსაზრებებს: ამ სიტყვის **რაკ** კომპონენტი, **ყ > კ**-ს შემდეგ, სიმეტრიულადაა შებრუნებული საწყისი **ყარ*** პრეფორმიდან: **ყარ* > კარ > რაკ.**

პირამი, პირამიდა. პიჯი, პირი, ზედაპირი, ბრტყელი, სიბრტყე, დაპირება, პლანუს, პლავნიი, პლოშად, პლოსკოსტ, პოლნიი, პოლ, პირდაპირ, პირისპირ, პერპენდიკულარი

ზემო თავში განხილულ მოსაზრებებთან დაკავშირებით საინტერესოა ვლ. ალფენიძის მოსაზრება: „პირამი კოლხურ ენაზე ნიშნავს „აყვავილებულს“, მარად ყვავილოვანს, მარად ცოცხალს... ეგვიპტური პირამიდის დანიშნულებაც ეს იყო: ფარაონთა უკვდავება, მათი მარადიული სიცოცხლის ყვავილობა საიქიოში. იხ ვლ. ალფენიძე ს. ღ. ქ. გვ. 102. მიუხედავად, ამ ვერსიის ლოგიკურობისა, დასაშვებია გამოითქვას განსხვავებული ვარაუდიც: პირამიდა იმ დროის სახელია როცა კოლხური პიჯი „პირი"ს აღმნიშვნელი ფორმა ჯერ არ არსებობს. ანუ ქართ. პირ-ის **რ** ჯერ არაა აფრიკატიზებული. სახელი **პირი** „კვების ორგანოს“ გარდა აღნიშნავს **„პირსახეს, რისამე ზედაპირს, ნაპირს, კიდეს“**: შდრ: **პირი გამიშრა, მდინარის პირას, ნაპირი, ზედაპირი** და ა. შ. ტერმინი **პირ**-ის ცნება **ზედაპირის და სიბრტყის** აღმნიშვნელიც რომაა ადასტურებს ფრაზა – **პირამდე** სავსე. აქ **პირამდეში** იგულისხმება ნებისმიერი მოცულობის სავსე **ზედაპირი ჰორიზონტალურ სიბრტყეში.**

აბსტრ. ტერმინი **ბრტყ**-ელი და სი-**ბრ-ტყ**-ე მეგრულ-ქართული ამოსავლიანობისაა: მეგრ **რ-ტყ**-ელ-ი = **„ფენილია“**: ოდიარე დო-**რ-ტყ**-ელი-ე უდრის **„ბალახი ბრტყლადაა დაწო-ლილი ანუ ფენილი“**: ამ მეგრ. **რ-ტყ**-ელ-ი სახელში **რ** განვითარებული კი არაა, როგორადაც უნდა ვიფიქროთ, არამედ იგი ქართ. **ბრ-ტყ**-ელ-ის **ბრ** კომპლექსის ნარჩენია. ეს უკანასკნელი კი ქართ. **პირ**-ის **პირ** ძირია, ნაკუმში: **პირ-ტყ**-ელ-ი > პრ-ტყე-ლ-ი // ბრ-ტყ-ელ-ი. მაშ, ფაქტია, ტერმინ სიბრტყის და ბრტყელის სახელდებისთვის **პირ-სახის (პი-**

რის) ბრტყელი ზედაპირის აღქმების შედეგად წარმოქმნილი წარმოდგენებია რეალიზებული. ჯამში **პირ + ტყ-ელ-ი*** უდრის სიბრტყივ, „პირისახისებრად ბრტყლად განფენილს." აი, ზუსტად ესეთია **პირამიდა** (pyramidae: pyr > pir), რომლის ძირი იყო **პურ*** (pyr). პირამიდა, ფაქტობრივად ბრტყელი ზედაპირის მქონე ნაგებობაა: **პირ-ამი** ზედმიწ. = „პირიანი ანუ ბრტყელი" + **და** „ფრაგმენტი მგრ. **ოდა** „ სახელისა. ის ფაქტი, რომ მეგრელთათვის სპეციფიური საცხოვრისი ნაგებობა და მისი სახელი – მეგრ. **ოდა** თურქულ ნასესხობადაა მიჩნეული ნონსენსად უნდა ჩაითვალოს. ნუთუ ამ **ოდას** არაფერი აკავშირებს **ოდო, ოდოია, ოდი** და სამეგრელოს სახელ **ოდიშ-თან?** ეს წარმოუდგენელია; იხ. ვლ. ალფენიძე „საქართველო ღვთ. ქვეყანა" გვ. 117 და 153.

სახელ **პირ**-ისთან მიმართებით საყურადღებოა სხვა ნიუანსებიც: **რას აპირებ** იგივეა რაც პირის სინონიმ სახეს მეშვეობით წარმოებული ფრაზა – **რას ისახავ** (მიზნად): ე. ი. **პირი და სახე** ორივე იგივური **მიზანსწრაფულობის, დაგეგმარების** შინაარსს ანვითარებენ. ხშირად ვიტყვით **მან დააპირა, მე ვაპირებ,** რაც, ფაქტია **მიზან-სახვას პლანირებას** გულისხმობს. აქ გამჭვირვალედ მოჩანს შესაქმნელი ობიექტის ფორმისთვის – **პირის მიცემისთვის და მიზანსახვისთვის – დაპირებისთვის** ტერმინ პირის მეშვეობით გამოწვეული აზრობრივი კავშირები: **პირი,** ვთქვათ საგნის **სახე, ზედაპირი:** მაგ მეგრ. **პირ**-უა – ჭედვით იარაღისთვის (თოხი, ნაჯახი და ა. შ.) ბრტყელი სახის მიცემა და > რისამე გაკეთების **(და)-პირ-ება.**

ყოველივე ამის შემდეგ დასაშვებია, ლათ. **პლანუს** 1. ბრტყელი; 2. სწორი; 3. გეგმა ქართ. **პირს** დავუკავშიროთ: უფრო მეტიც იგი იმეორებს ტერმინ **პირ**-ის სემასიურ დატვირთვას: **ბრტყელი // სწორი (ანუ ზედაპირი) > გეგმა: პლანუს**-ის **პლ** შეკუმშული **პალ-ანუს*-ის პალ**-ია, რომელშიც **რ** > **ლ** მონაცვლეობის გათვალისწინება **პარ** წინაფორმას აღადგენს: **პარ // პირ.**.

აქედანვეა რუს. **პლავნიი** „სწორი, თანაბარი;" **პლან** „გეგმა;" **პლოშად** „ზედაპირი;" **პლოსკოსტ** „სიბრტყე:" **პლ** ყველგან ნაკუმში მონაცემია **რ** > **ლ** ცვლილების შემდეგ. შდრ. **პრიამოი** „პირდაპირი" (**პლ** < **პრ** < **პირ**): ამავე სემასიურ ველშია ლათ **პლენუმ, პლენარიუმ** „სავსე:" აქაც **პლ** რედუქციის შედეგია, რასაც რუს. **პოლნიი** ადასტურებს. შდრ რუს. **პოლ** „იატაკი". რატომ ვამბობთ: პირ-

დაპირ და საპირისპიროს? – გასაგებია: **პირი** თუ სიბრტყის მნიშვნელობის მომცველიცაა **პირ-და-პირი** სიბრტყის წინ მდებარე, ანუ დაპირისპირებული სიბრტყეა. იგივეა სა-**პირ**-ის-**პირ**-ო. ამის შემდეგ მოკვლეულ მასალას თუ გადავხედავთ, ლათ. **პერ-პენ**-დიკულარ-ის **პერ-პენ** სხვა კომენტარს არ საჭიროებს, გარდა იმისა რომ **რ > ნ** ბრუნია მომხდარი: **პერ > პენ.**

აბსტრაქტული ცნება სიმრგვალე

აბსტრ. ტერმინ სიმრგვალის ცნება ნ. მარიმ ქართ. **წრე, წირეხი** (შდრ მეგრ. **წგრლგ** „წირეხი" ე. ი.) დაუკავშირა ქართ. **ცა** და ბასკურ **სერ**-უ (შდრ. მეგრ. სერი „ღამე" ე. ი.) „ცა-ს". მთლიანად, ამ ჯგუფის შედარება ქართ. **გვირგვინი // მეგრ. გურგინი** და ლათ. **კორონა**-სთან ცხადყოფს, რომ ისინი,სიმრგვალის ცნებით დაკავშირებული, ერთი სემანტიკური ველის ტერმინები არიან.

ნიკო მარრი პირველი ჯგუფის სახელების ბგერით ნათესაობას მათში შემავალ – **წ, ც, ს** ბგერებში ხედავდა, რომელთაც, ასეთი ნათესაობა, მეორე ჯგუფის სახელებთან არა აქვთ.

როგორც ითქვა, ორივე ჯგუფის სახელები ერთ სემანტიკური ველისანი არიან. ოღონდ საკითხავია: მოხვდნენ კი, ამ ველში, ისინი ერთი საერთო საწყისიდან? – პირველი ჯგუფის სიტყვები – **წრე, წირეხი // და მეგრ წგრლგ** მეგრ. **წილოხუა // წიროხუა**" ღუნვა-გრეხასთან არიან კავშირში. მეორე ჯგუფისა კი კვების ალომორფებთან პოულობენ ნათესაობას: **კარ-ა-ჩხა, კრ-ჩხა, კორ-ბულა, კორ-ონა, კორ-ზინა მეგრ. გურგინი //> ქართ. გვირგვინი, ლათ. გირ-უს** „ხვეუ-ლი", **კურ-რი-კულ-უმ** „სირბილი, ბორბალი", სლ. **კოლესო** „ბორბალი," ქართ. **ბორ-ბალ-ი (< ბორ-ბორ-ი*) //>** მეგრ. **ბარ-ბალ-ი**", მეგრ. **ბორ-ბოლ**-ია „ობობა" (ობობა მრგვალია), ლათ. გლობ-უს „ბურთისებური, გლობუსი," ლათ. **ორბ**ის // სლ. **ორბ**იტა **(ორბ > ბორ*), კრუგ „წრე" მნ-ით კავშირში არიან სიმრგვალის ცნებასთან** – მაგრამ თავად ეს ცნება სიმრგვალისა ამომდინარეობს კვება-ყოფიერება-განაყოფიერებასთან ასოცირებულ მრგვალი ფორმის **კვერცხის, სათესლე ჯირკვლების** სახელების წინაფორმა **ყორ და ყუერ** ალომორფებიდან: ენებში **კვერცხისა და სათესლე** ჯირკვლების სახელთა იგივეობას კვების, ყოფიერებისა და განაყოფიერების მნიშვნელობით საწყისებთან მივყავართ: **კვერცხი (– საკვები)** და

სათესლე ჯირკვალი – (განაყოფიერების ორგანო) ფორმითაც ხომ მსგავსნი არიან. ამის დასტურია მეგრ. **მარქვა // მარქვ-ალ-ი** „კვერცხი, მეგრ.“ **მარკვა** „მრგვალი ფორმის აუზელავი მასა ღომში და **მეგრ. კვარ-კვალ-ი // კვარ-კვალ-ია** // ქართ. **რგვა-ალი.** ლათ. **კრუსტულუმ** „ნამცხვარი"-ის **კრ** ნაკუმშია: **კრ < ყურ*.**

ქვირითის მარცვლების მრგვალ ფორმასთან პოულობენ აზრობრივ კავშირებს სახელები: ლათ. **გრანუმ** „პურის მარცვალი;“ რუს. **გრანულა** // ლათ. **გრანნუს** „მარცვლოვანი, გრანულა;“ რუს **გრანატა** „ბროწეული, რუს. **იკრა** „"ქვირითი; ამ უკანასკნელის, შესატყვისი ქართ. **ქვირ-ით-ი** // მეგრ. **ქვილ-ით-ი** და ქართ. **ფქვილ-ი** // მეგრ. **ქვირ-ია.**, რომელთაც **ყორ** წარმომავლობა გააჩნიათ (იხ გვ.): მ. ე. რუს. **იკრას კრ** ნაკუმშია, ხოლო ლათ. **გრანდო**, // რუს. **გრად** //მეგრ. **კირ-ცხი** „სეტყვა, სეტყვის მარცვლები“ შედარება ცხადყოფს: ლათ. რუს. **გრ იყო გარ*.**

მამაკაცის სასქესო ორგანოს ქართული ყლ და მეგრ ღოლ ძირები. ფა, ფალუა, ფალოსის კულტი.

ზემოთ, **ბყ > ბღ და ბღ > პ** მაგალითები მრავალი დავასახელეთ. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ იგივე პრინციპითაა წარმოქმნილი მეგრული **ფ-ალ-უა** „ცენება:“ ოღონდ, როგორც აქ ზემოთ ვანახეთ, **ბღ** კომპლექსი **პ-დ** დაყრუვდა, და შემდეგ **ფ-დ** გაფშვინვიერდა: მაშასადამე, **ფალ-უას ფალ** ძირის პრეფორმებია შემდეგი: **ბყარ* > ბღარ* > პარ* > ფალ:** აქ არსებითი მომენტია:

როგორც მრავალგზის აღვნიშნეთ, დასაბამისმიერი, დისკრეტული **ყ**, გ-თი გახმოვანებულ ანუ მარცვლოვან მეტყველებაში, **ყგ** მარცვალი „ყოფას“ და „ყოფიერებას“ განასახიერებს. როცა მას **ბ** დაერთო უკვე **ბყ და > ბღ** კომპლექსი ასრულებდა ამ ფუნქციას. შემდეგ, როცა **ბღ**-დან **ღ** დაიკარგა, ამგვარი აღმნიშვნელობითი ფუნქცია, **ბ** ბგერას და მის ნაცვალ **მ, პ, ფ,** ბილაბიალებს შერჩათ. შეიძლება ითქვას, მათში **ყ** და **ბყ // ბღ**-დან მემკვიდრეობით გადადის **ყოფის, სიცოცხლის განახლების** აღნიშვნის თვისება. ამიტომაც, ამ ფუნქციის მქონე **ყ // ბყ // ბღ // პ** წარმომავლობის **ფ** ბგერის დამსახურებით, **ფ-ალ-უა** ხდება „ცენების“ ცნების მომცველი.

ყ ბგერა თუ **ყოფა-ყოფიერებას, განახლებას** აღნიშნავდა, ბუ-

ნებრივია მისი მონაწილეობა მამაკაცის გ. ს. ორგანოს ვულგარულ მეგრ. // ქართ. სახელების **ცოლ** და **ყლ** ძირებში. **ყ** ბგერის **ყგ** მარცვლიდან **ყგ > ყო** რომ მოხდა ამას **ყო**-ფა-ს (რომლის ფა სუფიქსია) **ყო** ფრაგმენტი მოწმობს: დასაწყისში **ყგ + რგ** დღევანდელი გაგებით – **ყგ რე // „ყ არის“** ანუ „ყოფიერების განახლების ორგანო არის“ **> ყო-რ > ცო-ლ** მეგრ. ძირი მიიღება, რომლის წინაფორმა ქართულში შეიკუმშა, **რ კი ლ** ბგერად შეიცვალა : **ყორ > ყლ.** აქედან იღებს სათავეს ინდოევროპულად თვლილი, სინამდვილეში გიორგიული ტერმინი – **ფალოსი**, რომლის კულტი ძველ მსოფლიოში ფართოდ იყო გავრცელებული. ტერმინ **ფალოსის** წარმოშობის გზები, აქვე ზემოთაღწერილ, სახელთა წარმოქმნის მოვლენების იდენტურია. ამიტომ ისინი ურთიერთდამმოწმებელნი არიან:

ფალო-ს-ი სიტყვის **ფალო** ნაწილი მიღებულია შემდეგნაირად: დღევანდელი მეგრ. მამაკაცის პენისის სახელის მხოლოდ ბოლო ხმოვნით განსხვავებული (იქ **ე** ხმოვანია აქ **ო**) **ცოლო*** და **ში*** „კუთვნილების სუფიქსისაგან წარმოიქმნა – **ცოლო-ში*** – ზედმიწ. „პენისისთვის განკუთვნი-ლი.“ იგი რთულდება **ბ**“ დანართით **> ბცოლო-ში*. ბც > პ > ფ** (იხ. ზემოთ) **> პოლო-ში* > ფოლო-ში*.** დისს. და **შ > ს** გამჟღერება (კანონზომიერია) > ფალო-სი. აქ შუალედური ფორმა **ფოლო-ში***-საგან, ფონეტიკურად, მეგრ. > **ფალუა** „ცენება, სიტყვის მიღება საეჭვო არაა. ცენება იგივე განახლება-აღორძინებაა, რომლის (ფალუა „ცენების“) მამოძრავებელ საკრალურ ძალას ფალოსის კულტი მამაკაცის პენისს ანიჭებდა. მასზე (პენისზე) დღესაც მკვიდრობს სენტენცია: თის გეურე ქიანა – „მასზე დგას სამყარო.“ ასე რომ, ფალუა // განახლება // განაყოფიერება-აღორძინება იპოსტასზე კომპეტენტური ფალოსის კულტია. იგი საქართველოში არქეოლოგიური წყაროებითაც დასტურდება, **“..ხოლო ზოგიერთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში რელიგიის დონეზეც განვითარდა..“ (ირაკლი სურგულაძე).**

ესე იგი, სემანტემის წარმომქმნელმა **ბ** ბგერამ, მეგრულ ვულგარულ მეტყველებაში, პენისის აღმნიშვნელ ძირისგან. მოგვცა ახალი აღნაგობის – **ბ-ცოლ*** და შემდგომი **პოლ* //> ფოლ* > ფალ** პროცესით სიტყვები **ფალ-უა, ფალ-ოსი,** მნიშვნელობით განახლებისა*, // ცენებისა*.

ანუ, ფალოსი უცხო კი არა მეგრული სიტყვა ყოფილა, ოღონდ უცხოეთში მას მხოლოდ ფორმა უცვლია: მეგრ. **ბცოლ*** „პენისი“ >

ფალ-ო-ში* > ფალ-ო-სი: როგორც ვხედავთ, მეგრ. **ფა** „მცენარე, ფოთოლი“, **ფალ-უა** „ცენება“ დაკავშირებულია (**ფალ-ო-ში*** >) **ფალ-ო-სი** ტერმინთან, ეს უუძველესი ქართვ. სახელები ერთმანეთს **ყ** > **ც** წარმომავლობით ენათესავებიან.

უფალი

ტერმინი **უფალი** ამოიზრდება ასევე ახლომონათესავე ყოფიერების ცნებიდან. **უფალი** – „ღმერთი“-ს იპოსტასი დიდია: იგი ყოფიერებაზეა პასუხისმგებელი. ამოსულია ქართვ. **ყოფა // ცოფა** სიტყვების **ყოფ // ცოფ** ძირიდან, ქართული **ელ** სუფიქსის ბადალ, მეგრული **ალ** სუფიქსის მეშვეობით: სუფიქსები მნიშვნელობათა შემცვლელნი არიან: **ყოფა**, მაგრამ – **ყოფ-ილა**, **ყოფ-ნა**, **ყოფ-იერი** და ა. შ. მაშასადამე, **ყოფა + ალ** > **ყოფ-ალი*** > // **ცოფ-ალი** „ღმერთი“. ხმოვნის წინა თანხმოვანი ხშირად იკარგება: **ცოფე** > **ოფე** უდრის „ყოფილა“; **ქო-ცოფე** > **ქო-ოფე** უდრის „კი ყოფილა“; **ვა-ცოფე** – **ვა-ო-ფე** უდრის „არ ყოფილა“ **ცოფე** > **ოფე** „ყოფილა“: **ც** დაიკარგა, მ. ე: **ც-ო-ფალი*** > **ო-ფალი** > **უ-ფალი** „ღმერთი.“ ასევე: მეგრ. **მა-ცოფ-ალ-ი** (< **მა-ყოფ-ალ-ი***) „ის ვინც ჰყოფს“, **მ** თანხმოვნის ჩამატებით (შდრ **ყივანა // მყივანა**) და გამარტივებით, გვაძლევს – **მა-მ-ცოფ-ალ-ი*** > **მა-მ-ფალ-ი** „ძვ. ქართ. მეფე, ღმერთი“-ს

თავად **ყო-ფა // მეგრ. ცო-ფა** > // **ცუ-ფა*** წარმოქმნილია, დღესაც მნიშვნელობის მქონე ერთმარცვლიანი ქართულ-მეგრულ სიტყვებად შთენილ – **ყო** > // **ცუ** უძველესი ალომორფებიდან, მეგრ. **ფა** სუფიქსის მეშვეობით, რომელიც უხშირესია. მაგ: **ჭორო-ფა** „უწყვეტი წვიმის პერიოდი“; **გოლო-ფა** „გვალვა;“ **ფუჩი** „ფიცი“ და **ფუჩა–ფა** „ფიცის მიცემა“...

ბილაბიალთა როლი მემკვიდრეობითობის აღმნიშვნელ სახელებში: მამა, ბაბა, ბაბუ, ბები, ბაბუა, ბებია, პაპა, პაპუ, პეპი, დედა, სლ. დედ, დედუშკა, მამა „დედა“, მარე, მართალი, მეგრ. სითინა, სლ. ისტინა.

რაკი ბაგისმიერ **ბ**-ში კანონზომირად გადადის **ბც** კომპლექსის ყოფიერების და არსობის ცნება, გასაგებია თუ რატომაა შუმერულ

და აქადურ მითოლოგიაში **ბაუ** ნაყოფიერების და მშობიარობის ქალღმერთი: **ბჷ > ბ** "... „**ბაუ**"ს შუმერულში მეორე სახელიც ქვია: „**ბაბა.**" შუმ. „**ბა-ბა**" ჭან-მეგრ. „**მამა**"**-ს – ბა + ბა** „სულთა სულს," ნიშნავს სულის შემქმნელ სულს..." ვლ ალფენიძე. ს. ღ. ქ.

დიდ დროში, რამდენადაც მოსალოდნელი და გარდაუვალია **ბ > მ, ბ > პ** ბილაბიალთა მონაცვლეობა, იმდენადვეა უეჭველი **მ** და **პ**-ს კანონზომიერი, **ბ**-ს პარალელური სემასიური განვითარება ანუ **ყ**-ს მემკვიდრეობითობა. ამიტომ, პიროვნების უახლოეს სისხლხორცეულთა სახელებში და ნაცვალსახელებში **ბ, მ, პ**-ს არსებობას უნდა ველოდეთ და მათ წინარედ **ბჷ** უნდა ვივარაუდოთ: ამგვარად, მეგრ. **ბო** // **ბოი** // **ბოში** „ბიჭი"; ლაზ. **ბერე** „ბიჭი, შვილი" სიტყვებში **ბ** წინარე **ბჷ** კომპლექსის გამარტივებაა. ლაზ. **ბერე**, ფორმულით – დასაბამისმიერი მარცვალი **ყგ* +რგ** „სტ. ზმნა" არის წარმოქმნილი: **ყგ-რგ* > ბჷგ-რგ* >** ბერე ლაზ „ბიჭი, შვილი". ქართულში **ბერ**-ეს ანტონიმია **ბერ**-ი „მოხუცი". სი-**ბერ**-ე, და-**ბერ**-ება კი გვიჩვენებს, რომ ძირია **ბერ.**

„გვარების დაბოლოება „ბა"-„ბაია" წმინდა კოლხურია, ესაა მეგრ-ლაზ. „ბერეს" ანუ ვაჟიშვილის – ძის აღმნიშვნელი სიტყვის სახეობა. ... კავკასიის ხალხებში გვხვდება „ბეის" ფორმითაც. მას უკავშირდება სიტყვები: „ბავშვი", „ბაია", „ბოში", „ბალღი", „ბადიში" (შვილიშვილია მეგრულად), „ბარტყი", „ბაჭია", „ბაჭყატი", „ბახალა"... „ბადება" ნიშნავს დაბადებას. ამას უკავშირდება ლათინური „ბამბინო", „ბამბოლა", „ბებე"- ინგლისური „ბეიბი" და „ბოის", გერმანული „ბუბ"..." ზურაბ ციცნცქილაძე

მეგრ. **ბაბა**, ქართ **მამა** და სლ. **პაპა** „მამა „სიტყვებში **ბ // მ // პ** ბგერები ერთიდაიმავე ფუნქციას ასრულებენ – ახდენენ **მამა** სახელის წარმოქმნას, რაც შემთხვევითი არაა: მამის იქითა წინაპრების სახელებში ეს ბგერები ქართველურშიც აირევიან ერთურთში და დენტალებთან, მაგრამ დენტალებიც ხომ გვიანდელი ბგერებია და ასრულებდნენ მადიფერენცირებელ ფუნქციას. მაგ: მეგრ. **ბაბუ** // ქართ. **ბაბუა** // **პაპა** // სლ. დედ; მეგრ. **პაპუ** „პაპის მამა;"ქართ. დედა, მეგრ. **დია** სლ. **მამა** „დედა;"

პირველი პირის ნაცვალსახელებში ხშირია **მ** ბგერა: მეგრ. **მა** // ქართ. **მე**. სლ. **მენია** „მე", მნოი „ჩემით," გერმ. **მაინ** „ჩემი", ლატ. **მანა** „ჩემი" და ა. შ." ზემოთ უკვე აღვნიშნეთ: „**ბ და მ**-ს წინარედ

ბჳ // მჳ // უნდა ვივარაუდოთ-ო: ანუ **ბჳ // პ** თუ ყოფას, ყოფიერს აღნიშნავდა, იგივეს იქმდა **ბ** და **მ** ბგერაც. ხოლო რამეთუ, მსოფლიოში, პირველი პირის აღმნიშვნელ ნაცვალსახელებში, **მ** ბგერის სიხშირე ფაქტია, მ. ე. **მ** ბგერის მიერ **არსებობის ყოფის** შემეცნება გარდასახდა **მე-ს**, პიროვნების ანუ პირველი პირის ცნებად. შემდეგ კი ეს **მ** მეტყველებაში დაფიქსირდა ნაცვალსახელადაც: ასე მოხდა **პირველი ნაცვალსახელის ჩასახვა!.**

ძირი სიტყვებისა – **მარ-**ან-ი, სა-**მარ-**ე შუმერულთან პოულობს ერთიანობას, რადგან შუმერულად **მა-რე** არის „კაცი, პიროვნება", **მარე** სვანურადაც არის „კაცი", მეგრ. **მა რე** ფრაზა კი დღესაც ნიშნავს „**მე-ს – პიროვნები"ს** არსებობას. მ. ე, სვანურ // შუმერულ **მა-რე** „კაცს" გააჩნია მეგრ. ეტიმოლოგიური ამოსავალი **მა რე „მე არი"ს** ფრაზიდან. ეს უთვალსაჩინოესი და პირველქმნილი სახელდება კიდევ იმასაც უდრის, რომ სანამ სახელები – **მარანი, სამარე და მარე** „კაცი" შუმერულში და სვანურში შეიქმნებოდა, მეგრულში ნაცვალსახელი **მა და რე** ზმნა უკვე არსებობდა.

„...ნ. მარიმ **მართალის** ჯერ (1913წ.) მ-**ართ**-ალ, შემდეგ კი (1926წ.) **მარ-თალ** სეგმენტაცია მოგვცა: პირველში **არ ალ**-იდან მიღებულად ჩათვალა: მ-**ართ**-არ > მ-ართ-ალ: **ართ** ფუძე **მრთად** აღადგინა და „სწორის", „მართებულის" მნიშვნელობა მისცა, ხოლო მეორეში – **მარ**-ს **მარ**-ცხენ-ე, **მარ**-ჯუენ-ე-ს მოშველიებით, ხელის მნიშვნელობა განუსაზღვრა და ეს **მარ** მართალის შეკვეცილ ფორმად ჩათვალა. მართალის უფრო პირველი შეხედულებებია გაზიარებული..." იხ. მ. ანდრონიკაშვილი „ნარკვევები ირ.-ქ. ენობრივი ურთიერთობებიდან". თსუ, გვ..165-66.

მარე სიტყვა მონაწილეობს სამართლებრივ ტერმინ **მარ**-თალ-ის შექმნში. ესაა ფრაზა **მარე თარი** „კაცი მთავარი": ნ. მარის 1913 წლის სეგმენტაციაში – **მარ-თალ მარე** შუმერულ-სვანური **მარე** გახლავთ და უდრის „კაცი." **თარ** მეგრულად გახლავთ „მთავარი:" **მარე თარი** უდრის „კაცი მთავარი, რჩეული:" მეგრულში **თარი ბალანა** თანატოლებში მრავალი თვისებით გამორჩეული ბავშვია.

ამოსავალი ამ **თარ**-ი სიტყვისა გახლავთ მეგრ. **თირ**-ი, რომელიც დღეს თოვლს ნიშნავს (დაწვრილებით იხ. **თ** ბგერა). **თირ**-ი „თოვლი"ჩვენთვის ცნობილი და სისტემურად დაფიქსირებული **თგ რგ* //> „თგ რე" //** „სხივი არის" ფრაზის ოდინდელი პირმშოა: სხი-

ვი კი სისწორის ეტალონადაა ცნობილი. გამოიყენებოდა უძველეს გემთშენებლობებში ხომალდის ძირითადი ღერძის სისწორის დასადგენად. **თირ-ის რ** ბგერის **რ > ნ** ცვლილებით წარმოქმნილი **თინ** დღევანდელ მეგრულში არის ‚სწორი,* კეთილი, პატიოსანი. **სითინა** კი სისწორეა: ეს უკანასკნელი – **სი-თინ-ა** ფრიად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ გვაძლევს სლ. **ისტინა** „ჭეშმარიტება სიტყვას:" **სი-თინ-ა > ის-თინ-ა:** მხოლოდ მეგრ. **სი** პრეფიქსია შებრუნებული და **თ > ტ** მომხდა-რი. ტერმინ **ისტინას** ქართველურობაზე საკითხი მკვლევარმა და ეტიმოლოგისტმა არტემ ივანცოვმა დასვა და ის ქართ. **ისე // ისთეს** დაუკავშირა. ამგვარად, ამ და სხვა მის მიერ წამოწეულ, მაგრამ, განსხვავებულ, ბევრ, ჩემეულ ეტიმოლოგიებში, მას ლომის წვლილი მიუძღვის...

მეგრ. **თინ შურიშ კოჩი** უდრის „კეთილი სულის კაცი"; **„თინ კოჩი"** უდრის **„მართალი** კაცი." როგორც ვხედავთ, **თირ // თინ და თარ** ძირებს ერთი დასაბამისმიერი **თგ რგ* – სხივია"-ს // სწორია-ს** მნ-დან გააჩნიათ ეტიმ. ამოსავლიანობა, ხოლო მეგრ. **თარ-ი** სიტყვის დღევანდელი ჩამოთვლილი მნ-ბები უაღრესად სადაგია **მარე თარ „კაცი** რჩეული, კაცი სწორი, კაცი **მართალი"** ფრაზისათვის და სამართლებრივ > **მარ-თალ** ტერმინისთვის. ამგვარად: **მარე** „კაცი" + **თარ-ი** „მთავარი, რჩეული" > **მართალი** „ სიმართლის დამდგენი კაცი" სწორია.

საოცრებაა მაგრამ ფაქტია, მეგრ. ფრაზა **მა რე** „მე არის", წევრების შებრუნებით – **რე მა** „არის მე" აწარმოებს პიროვნების უახლოესი სისხლხორცეულის – **ძმის** სახელს: მოხდა მხოლოდ **რ** ნარნარას გამარტივება და **ე > ი**-დ გადახმოვნება. შდრ: ჩემი >// ჩქიმი: ესე იგი: **რე მა > ჯე-მა* > ჯიმა** მეგრ „ძმა."

ბო, ბოი, ბოდიში, ბორდიში; ქართ ბოდვა. სლ. ბრედ

არტემ ივანცოვმა სიტყვები: **„ნორჩი", ახალგაზრდა და სულელი,** სემასიურ-ეტიმ. ამოსავლიანობის თვალსაზრისით, მსგავს სიტყვებად დასახა. ამ ფაქტმა მაშინვე მიმახვედრა, რომ ქართული **ბო-დ-ვა** და მეგრული // **ბო-რ-დ-ი**-ში სიტყვების საწყისი **ბო-უა*** დანაა, რომელთა **ბო**, მეგრულად ბიჭია. ასევე „ბიჭია" **ბოი** მეგრულად და ინგლისურადაც, ხოლო **უა** ცნობილი უძველესი მეგრ. ქმედების სუფიქსია: რესტავრირებული სიტყვა **ბო-უა*** განასახიე-

რებს განსაზღვრულ პერიოდს ბავშვთა განვითარებისა, როცა ისინი თამაშის სტიქიაში უნებურად მეტყველებენ, (ტიტინებენ)..

დ ბგერა ცნობილია როგორც კლას კატეგორიის ნიშანი. ჩვენ კი მას მნიშვნელობის მადიფერენცირებელ ბგერას ვეძახით, რადგან ემატება რა სიტყვას ხშირად ცვლის მნიშვნელობას. ამგვარად: **ბო** „ბიჭი" **+ უა** ვღებულობთ > **ბო–უა*** წინაფორმას. ამას ემატება **დ** ბგერა, რომელიც, შემდეგ, სიტყვის შიგნით აღმოჩნდება > დბოუა* > ბოდ–უა* და > **ვღებულობთ ქართ. ბოდ–ვა სიტყვას = „უაზრო მეტყველება".** ამგვარად, **დ** ბგერამ **ბო** „ბიჭი-ს" მნიშვნელობა შეცვალა **ბოდვა**-ს მნიშვნელობად. **ბოდ**-ვას **ბოდ ძირი შედის, ჭკუასუსტობის გამომხატველ მეგრული სიტყვების ბოდო, ბოდო**-იას შემადგენლობაში. იგივეა ქართული – **ბოთე**. ე. ი, სიტყვა **ბოდვა** – გარდა უაზრო მეტყველებისა, ჭკუასუსტობასაც გულისხმობდა.

მსოფლიოს ხალხთა აზროვნებაში ბავშვის ქცევა ნაკლული გონიერებისაა: მართლაც,"ბავშვივით ნუ იქცევი" ფრაზის ექვივალენტური ფრაზები თითქმის ყველა ენაში ფიქსირდება. ხოლო ლაზური **ბერე** „ბიჭი" და მეგრ. **ბორო** „სულელი" ამის დასტურია (ამ სიტყვებში, მხოლოდ ხმოვნებშია განსხვავება)."

ბოდვა, როგორცა ვთქვით, ბავშვებს თამაშის სტიქიაში ჩაფლულებს ახასიათებთ: ზუსტად იგივე ხდება მეგრ. **ბორდ**-ი-ში-ს „ბოდვა-ს" წარმოქმნისას: **ბო** და **ბოი** „ბიჭი" მეგრ. სიტყვებს წინათ ქონდა **ში** კუთვნილების სუფიქსი. ამაზე დღევანდელი მეგრ. ბო-**ში** „ბიჭი" ღაღადებს. ანუ, დღეს, მეგრ. **ბო და ბოი ამ მეგრულივე ბო-ში სიტყვის ში** მოკვეცილი ფორმები არიან **ბოი-ში*** უდრის „ბიჭისა" ანუ ის რაც ბიჭუნებს ახასიათებს ანუ ბავშვური ქცევა. შემდეგ ეს სიტყვაც რთულდება **დ** მნიშვნელობის მადიფერენცირებელით და მისივე სიტყვის შიგნით მოხვედრით > **დბოიში*** > ბოდიში მიიღება: უნდა აღინიშნოს რომ, ყველა ენაში, ბოდიშის მოხდის საჭიროებას ქმნის, სწორედ, ნაკლულოვანი გონივრული ქმედებები.

ხშირად, სიტყვაში **დ** ბგერის წინ **რ** განვითარდება (მაგ: მეგრ. დგაბალი // რდგაბალი „ტლიკინი"). ამგვარადვე, აქაც, ბოდიში გადაიქცევა ბორდიში მეგრ. „ბოდვა" სიტყვად... ანუ ქართ. **ბოდვა** და მეგრ. **ბორდიში მსგავსი ბგერითი ცვლილებებით,** მეგრული **ბო და ბოი** „ბიჭი"-დან არიან ამოზრდილნი: აი, ამ **ბორდ**იშის გამარტივებაა სლავური **ბრედ** „ბოდვა": **ბორდ**(-იში) > **ბრედ!.**

წ, ყ და წყ კომპლესისგან წარმოქმნილი მცენარეთა სახელები: „...ქართ. წყავი, ს. ბ. მწყავი; ჭან მწკო, მწკული, წუ; მეგრ. წყი, წყილი, წყივი, წყოვი, წყოი.

ქართ. წყავი, // მეგრ. წყი,// წყილი, // წყივი, // წყოვი, // წყოი სახელების შედარება –// ქართ. მწყავი; ჭან. მწკო, // მწკული-თან წ-ს წინ მ-ს განვითარების მაგალითებია, ხოლო ყველა ამათი შედარება ჭან. წუ სახელთან მაგალითია წყ კომპლექსიდან ყ-ს დაკარგვისა. ხოლო ქართ. წყ-ავი, მწყ-ავი, მეგრ. წყი, წყილი, წყივი, წყოვი, წყოი სიტყვების ჭან. მწკო, მწკულ-თან შედარება კი წყ კომპლექსიდან > წკ-ს წარმოქმინის დასტურია. გარდა ამისა, ვინაიდან გიორგიულში **წყლის, რძის, ნოვის (კვების)** მნ-ბის განმაპირობებელ სახელებში **წ და წყ** ძირები ფიგურირებენ, ჩამოთვლილნი სანიმუშო მაგალითები არიან იმისა, რომ სახელდების პრინციპი, წყავის ნაყოფში, წყლის შემცველობა და ამ ნაყოფთა საკვებად მოაზრებაა: მათი დღევანდელი ფორმები შორს არ არიან წასულნი და პირველადი ფორმების ცვლილებები საწყის **ირ*, ურ* და უა*** სუფიქსაციას წარმოაჩენენ: ქართ. წყ-ავ-ი // მ-წყ-**ავ**-ი < წყ-**ვა*** < წყ-**უა***; მეგრ. წყ-**ილ**-ი < წყ-**ირ**-ი*; . ჭან. მ-წკო < მ-წყო*; მ-წკ-ულ-ი < წყ-ურ-ი*: ამ **წყ-ურ*** ძირს, რომელიც მეგრულად წყაროა, შევადაროთ ქართ. **წყ-ურ**-ვილის, ასევე, მეგრული **წყ-ურ**-ის და **წყ-ურ**-რგილის „წყაროო" ძირები: ისინი ერთიდაიგივე **წყ-ურ** გახლავთ. ანუ **წყურ**-ვილ და **წყურ**-რგილ სახელებმა დაადასტურეს რომ წყავის სახელდების პრინციპის განმაპირობებელი მასში წყლის შემცველობაა...

წ-ს ალომორფი მეგრ. **წა** „წყალის" მსგავსად. უცვლელადა დარჩენილი ჭან. **წუ** მეგრ. **წყი** და **წყოი**, ოღონდ **წყავის** მნიშვნელობით..

ქართ. ტყემალი; ქიზიყ. ტყიმალი; ინგ. ტყიმალ; ჭან ღომური; მეგრ. ღომური, ომური; სვ. ბარყვენ, ბა**რყენ..." ქართ. ბერყენა, რყენა, გრ. კხ. ოლე.."ა . მ. ბ. ლ. გვ. 17, 65**

ამ სახელების ბგერით შედგენილობაში სასმელ-საკვების სემანტიკა, მაშინვე და თვალნათლივ არ შეიმჩნევა: ქართ. ტყ-ემალი; ქიზიყ. ტყ-იმალი; ინგ. ტყ-იმალ სახელებში არსებული ტყ კომ-

პლექსის **ტ წყ** კომპლექსის **წ > ტ** დეზაფრიკატიზაციის შედგია. **წ > ტ** პროცესის დასადასტურებლად გამოდგება ჰიდრონიმ მტკვარი სახელში არსებული **ტ**, რომლის წინარედ არნოლდ ჩიქობავამ **დ** მიიჩნია: „ეს **ტ** იმავე ღირებულებისა ჩანს როგორც **ტ**-ს აქვს მ-**ტ**-კუარ-ში: **ტ დ სა-გან** უნდა იყოს მიღებული მკვეთრი ხშულის **(ყ, კ)** მეზობლობაში". იხ ა. ჩ. შ. ლ. გვ. 126. 1938 წ.

მაგრამ მ-**ტკ**-ვარ-ის **ტკ** კომპლექსი წინარე **წყ**-დან რომაა ამას მისი ეტიმოლოგია ამჟღავნებს: ვლ ალფენიძემ იგი მეგრ. **ტკვარ-ტკვალ** „წყლის ღვარივით დინება"-დან ამოსავლიანობით ახსნა. ჩვენ დავამატებდით, რომ **ტკვარ** კომპონენტი ამ **ტკვარ-ტკვალ** სიტყვისა, ყოველ მიზეზსგარეშე, **წყვარ*** წყლის მნიშვნელობიდანაა. დიახ, რადგან ეს **ტკვარ-ტკვალ** არის **წყვარ-წყვალ** ფორმითაც, რაც ასევე „წყლის ღვარივით დინებაა" და **წყვარ** კომპონენტსაც შეიცავს. ანუ, აქ, **წყვარ**, წყლის აღმნიშვნელია და „წყლის ღვარივით დინების" გამოსახატავი თვალსაჩინოებისთვისაა დუბლირებული, ქართულში **წყალ-წყალა** რომ გვაქვს იმდაგვარადვე. გარდა ამისა, მეგრული **წყუ** და, **წყვარ** კომპონენტის ფარდი **წყურ-**ი, მეგრულად, წყაროა. ე. ი. მტკვარს დასაბამში, დღევანდელივით, **წყვარ-ი*** „წყალი იგივე მდინარე" ერქვა:: **წყვარ-ი > ტკვარი**.

მტკვრის და სხვა მისმაგვართა მრავალი, ამგვარი, უუძველესი ეტიმოლოგიური საწყისები იმაზე მიუთითებს რომ, ქართველური მოდგმის, ენდემურობის თაობაზე ჯავახიშვილ- ჯანაშიას დაპირისპირებულ ჰიპოთეზებში ჯანაშიაა სწორი: ჩვენი საცხოვრისი ყოველთვის აქ იყო და აქედან განიფინნენ ჩვენი წინაპრები სამხრეთ-აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის თუ სხვა შორეულ რეგიონებში...

წ და **ყ** დემიურგებისგან, შესაბამისად, – წინა და უკანა ენისმიერთა წარმოქმნის მაგალითები მრავალი დავასახელეთ, ამიტომ აწი, ხშირად, დამოწმებებად, მათს დასახელებას მოვერიდებით... **წყ > ტყ** ცვლილების თაობაზე, ზემოთქმულის საფუძველზე, უფლებამოსილი ვართ აღვადგინოთ შემდეგი მოვლენები: **ტყ-ე-მ-ალ < წყე-მ-ალ* < მ-წყე-ალ***; **ტყი-მ-ალ < მ-წყი-ალ* < წყი-ალ***. შდრ. მეგრ. **წყი** და ამათი **წყი*** და **წყე*** ძირები...

წყ > ყ > ც პროცესით მიღებული **ც** მეგრულ **ყ**-ომურ > **ც**-ომურში შენარჩუნებულია. ჭანურ ო-მ-ურ-ში კი არა: **ცო-მ-ურ <// ყო-მ-ურ < წყო-მ-ურ* < მ-წყო-ურ* < წყო-ურ***;

ჭანურში კი წყო-მურ წინაფორმამ კი არ დაკარგა **წყ**: **წყო-მურ**

> ო-მურ, არამედ მეგრ. ღო-მურ-ის **ღ** დაიკარგა, რადგან მეგ. და ჭან. ახლოს არიან: **ღომურ > ომურ**

ეგრევე მოხდა გარე. კახ. ოლ-ე „ბერყენა“-ას შემთხვევაში: **ყ** დაკარგულია და **რ > ლ** მონაცვლეობაა მომხდარი: ანუ ამოსავალია კვების ალომორფი – **ყორ-ე** (> **ორ-ე*** > **ოლ-ე**).

სვანური **ბა**რ-ყვენ // **ბა**რ-ყენ კი, როგორც თვალნათლივ დავინახავთ, ასევე, უკვე, ალომორფალური პერიოდიდან დაშორდა სხვებს. იგი არა **წყ**, არამედ **ყ** დასაწყისიდანაა: პირველი ნაწილი ამ სიტყვებისა **ბა**რ** გახლავთ **ყარ* + ბ > ბყ-ა**რ** საწყისიდან: **ბყ** კომპლექსიდან **ყ** იკარგება და კომპენსატორულად **ა** გრძელდება: **ბყარ > ბა**რ;** მეორე ნაწილი – **ყვენ** და **ყენ** კი, **შესაბამისად: ყორ (> ყუერ* > ყუენ* > ყვენ) და ყერ** (> **ყენ**) ალომორფებიდან არიან.

ნესვი, მეგრ. შინ-კა, ჭან შურ-კა

თითქოს არაფერია საერთო ქართ, **ნესვ**-სა და ჭან. **შურ**-კა // მეგრ. **შინ**-კას შორის, მაგრამ თუ სემასიური ამოსავალი **შური** „სუნია“, მაშინ ჭან. **შურ-კა,** რაკი, აგრეთვე, ცვლილ კვების ალომორფ **ყა** დან მიღებულ, **კა** კომპონენტს შეიცავს, **შურ-კა** (< **შურ-ყა***) სურნელოვანი საკვების სახელდება ყოფილა. მეგრ. შინ-კა მხოლოდ **უ > ი** სუბსტიტუციით შორდება ჭანურს: **შურ-ყა* > შურ-კა // > შინ-კა.**

მეგრული **შური** ძვ. ქართულში – **სურ** დღეს „სუნ-ია: ქართული ნესვი, **შ > ს, რ > ნ და უ > ვ** ცვლილების გათვალისწინებით, მეგრ. **შურ-ი** და ქართ **სუნ**-ის შესაბამის ბგერებს – **ს, ნ და ვ-ს** შეიცავს. მეგრ. **ნე** = „წვენს, სითხეს, მაჭარი“: **ე ი, მეგრ. შურ + ნე > სუნ + ნე** „სურნელოვანი წვენი“-ა მეგრულად. აი, აქედან **შურ-ნე // > სუნ-ნე ფრაზიდან** ინყება ცვლილებები: **ნე** გადადის თავკიდურა დისლოკაციაში **> ნე-სუ* და უ > ვ გაბაგისმიერებით > ნესვ!**

ქართ. მარწყვი; იმ. დარდალა, წიამპოლა; ზემორაჭული წიწინდერა; ჭან. კანდლუ; მეგრ. ცგმუა, ცგმწუა, წიწმდერა, წიწინდარა, ხვიხვინია; სვ. ბასყ, ბასყ (ა. მაყაშვილი ბ. ლ. გვ 7).**

წ, ყ, და წყ კომპლექსის შემცველი სიტყვები მათგანვე ამოსავლიანობაზე თვალნათლივ მიუთითებენ, მაგრამ ყარყარა, ყოყორე,

ბერყენა და ა. შ. ეტიიმოლოგიებს თუ გავიხსენებთ (იხ. ზე-მოთ), აქ დასახელებულ, მარწყვის აღმნიშვნელ იმერულ **დარ-დალა**, მეგრული **ხვი-ხვინ-ია**, ლაზური **კინ-დღუ**-ს ამოსავლიანობებიც გამჭვირვალედ გამოჩნდებიან: **დ-არ-დ-ალა** < **დ-ყარ-დ-ყარა***;

ხვი-ხვინ-ია < **ყვი-ყვინ-ია*** < **ყო-ყორ-ია***;

კინ-დღუ აფხაზეთში დიდი სოფელია, საცხოვრისი ლაზებისა, საიდანაც ისინი გაასახლეს: ლაზ. **კან-დღუ** „მარწყვი-ში“ **კ და ღ ყ** დანაა, **დ** დანართი ახლა ინფიქსშია, ამიტომ საწყისია **ყარ-ყუ**: ყარ-ყუ* > **დ-ყარ-ყუ*** > **კან-დ-ყუ*** > კან-დ-ღუ;

მარ-წყ-ვიდან >// მეგრ. ცი-მ-უა-ში **წ** > **ც** და, პირიქით, ციმ-უა-დან მარწყვიში **უ** > **ვ** არის მომხდარი: მეგრულში **ც**-ს თავკიდურში დგომა ქართულში **წყ**-ს იგივე პოზიციაზე ყოფნაზე მიუთითებს და, პირიქით, ქართული **წყ** მეგრული **ც**-ს წინარედ **წყ** კომპლექსის არსებობაზე ღაღადებს, რომელმაც **ყ** დაკარგა.. სვ. ბასყ-ის **ბ** კი იმაზე მეტყველებს, რომ **მ**არწყვის **მ** ფ. დანართია ინფიქსში გადასული: ესე იგი: ყარ-წყუ* > **მ**-ყარ-წყუ* > მარ-წყვ-ი;

მ-წყი-უა* (შდრ. მეგრ. **წყი** „წყავი) „> **წყი-მ-უა*** > **წიმ-უა*** > ცი-მ-უა; ბა**ს**ყ-ი სვ. „მარწყვი“-ს **სყ** ქართული მარ-**წყ**-ვის **წყ** > **სყ** შედეგია. **ა** ხმოვნის დაგრძელება **ბ**-ს შემდეგ მდგარი **ყ** საწყისის დაკარგვითაა გამოწვეული: ყა-წყ > **ბ-ყა-წყ*** > ბა**წყ > ბა**სყ;

გიორგიულ ენებში აქ ჩამოთვლილ და სხვა მცენარეულ ნაყოფთა სახელდებაში მკაფიოდ ჩანს გაადამიანების გარიჟრაჟი, სახელის სიძველე, რაც გასაგებია: ჩამოთვლილი სახელები ხომ ადამიანისათვის ყველაზე ხელმისაწვდომი ნუგბარის ლექსიკაა.

ღვინოს ეტიმოლოგია

ქართ. ღვინო // მეგრ. ღვინი; ბერძნ. ოინოს, ებრ. იაინ, სლ ვინო, ინგლ ვაინ და ა. შ. თაობაზე ბევრი ეტიმოლოგიაა გაკეთებული. მაგ: „... ქართველურ ენებში, სემანტიკური კავშირი სიტყვისა ღვინო ... (ღვინო, ...ღვინი, ღვინალ ...) მყარდება ზმნასთან ღვივილი, „ყვავილობა, ადუღება, დუღილი.“ ... ძირი (ღვ) ...

მე-6 ათასწლეულს განკუთვნილი, ,.. მტკიცებულებები ვაზის დამუშავებისა და ღვინოს წარმოებისა საქართველოშია აღმოჩენილი...“ ბექა გველესიანი. ძირითადი დაპირისპირება **ღ** ბგერის თაო-

ბაზე მოდიოდა: ნიკო მარი მას ძირისეულ მონაცემად თვლიდა. სხვები კი – არა. ყველაზე პრესტიჟული სიტყვა ამ კუთხით გამყრელიძე-ივანოვს ეკუთვნის: მათ ღვინოს სახელდებისთვის **U (e // o) ino** ძირი წარმოაჩინეს: **“.. ფორმობრივი მახასიათებლები საერთო ინდოევროპული სიტყვა ღვინოსთვის, გადანაცვლების აბლაუტის საფეხურებით (e –o-ნოლი) საშუალებას იძლევა ეს სიტყვა ჩაითვალოს ძველინდოევროპეულ კუთვნილებად ი. ე. სისტემისა და, შესაბამისად, ინდოევროპულის საფუძველზე უნდა მოხდეს მისი ეტიმოლოგია.**

ყველაზე ბუნებრივად გვეჩვენება უკვე დიდი ხნის წინათ მიჩნეული ეტიმოლოგიური კავშირი ღვინო-ს საერთო ინდოევროპულ სახელთან ძირით Uei // Ui „ხვევა, ღობვა“... „ იხ. გამყრელიძე-ივანოვი ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები გვ. 647. თარგმანი ე. ი.

ამ ციტატას შინაარსი – რომ საერთო ინდოევროპული ძირი **უეი // უი** გახლავთ ამოსავალი ინდოევროპული **უინო** ძირისთვის ეწინააღმდეგება ნიკო მარის შეხედულებას ტერმინ ღვინოს ბგერით შედგენილობაში ღ ბგერის ძირისეულობის თაობაზე: აზრობრივად, ხვევა, ღობვა, წვნა, გრეხა-ს და ა, შ. **ღვინო**-სთან დაკავშირება შეიძლება, ოღონდ გაშუალებით. ცხადია, გამშუალებლის როლში ვაზი, (რომლის ნაყოფისგანაც ღვინო მიიღება) და მისი გრეხილობა იგულისხმება, მაგრამ ავტორები ასახელებენ არა ვაზს არამედ სწორედ – „ხვევა-ღობვას...“ ესე იგი იგულისხმება სახელი ვაზი უფრო გვიანდელია ვინემ -- „ხვევა-ღობვა.“

გვაქვს კი ამის საფუძველი? რა თქმა უნდა არა, იმიტომ რომ გარეულ ვაზს როგორც წყაროს ყურძნით კვებისა, შეუძლებელია ძველი ადამიანი არ გაცნობოდა. სახელდებაც პირველად ვაზის უნდა მომხდარიყო, ხოლო ვაზის, თვალსაჩინოდ აღქმადი ბუნებრივი გრეხილობის გადააზრიანებისგან აბსტრაქტული „ხვევა-ღობვა“, სწორედ აქედან, შემდგომ უნდა სახელდებულიყო. ამიტომ ღვინო-ს ეტიმოლოგიისთვის უნდა დაიძებნოს უფრო სადაგი თავწყარო: ასეთი გახლავთ თავად ვაზის ნაყოფი **ყურძენი:** უნდა ითქვას: ღვინოს ეტიმოლოგიაზე ამდენი დაიწერა და იწერება, მაგრამ ჯერ-ჯერობით იგი არავინ დუკავშირა **ყურძენს**.

სანამ **ყურძენ** სახელის ეტიმოლოგიას შევუდგებოდეთ, განვიხილოთ ყურძნის სათავსის სა-ხელები: **კარ-ა-ჩხა** მეგრ. „კალათა“: ამ კომპოზიტის **კარ ყ** ბგერის **ყარ** ,კვების აღმნიშვნელ ალო-

ომორფიდანაა. მეორე ნაწილი – **ჩხა** კი ქართულში „ვაზის აჭრილი ტოტია, მტევნებიანად". ანუ მეგრული **კარ-ა-ჩხა** და ქართული, იგივე მნიშვნელობის, **კრ-ჩხა** ერთიდაიგივე აგებულებისაა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქართული **კრ-ჩხას კრ** ნაწილი მეგრ. **კარ-ა-ჩხას კარ** ნაწილის ნაკუმში მონაცემია: ამოსავალი მნიშვნელობა ორივესი – **კარ-ა-ჩხა >// კრ-ჩხა-სი,** „ვაზის მტევნებიანი ტოტის" გაგება გახლდათ, ამ მტევნების საკვებად გადააზრიანების გამო. საკვებად მოაზრებას კი, ამ სიტყვების პირველი ნაწილი – **კარ – კრ** ახორციელებდა: მათი პარალელია:

Qualum ლათ. ქუალ-უმ „კალათა": **Qual < ყუარ*;**

Кар-зин-а // **კარ-**ზინა რუს. „კალათაც". აშკარა პარალელია: **კარ < ყარ*;** ეგრევა მეგრული **ყუბერი** // **ღუ-**ბერ-ი „ყურძნის მარცვალი": **ყუერ-ი* + ბ > ბყუერ-ი*** (ბ გადადის ინფიქსში) >// **ყუ-ბ**ერ-ი // **ღუბერი**. ამ მეგრულ **ღუბერ** სიტყვასთან პარალელია ლათინური **Uber** უბერ „ბალი": აქაც აბსოლუტურად მსგავსი მოვლენები ვითარდება: **ყუერ* > ბყუერ* > ბუერ* > უბერ** „ბალი";

Cor-bul-a // **კორ-ბულ-**ა ლათ. „კალათა": **cor < ყორ*; ბულ < ბ-ყურ*** შდრ. მეგრ. **ბულ** „ბალი". **ბულ < ბ-ყურ*; Cul-ul-us კულ-ულ-**უს ლათ. „თასი". **კულ < ყურ; ულ < ყურ; Cu-pa კუ-პა**"ლათ. „თასი": **კუ < ყუ; პა < ბცა*(იხ.** რუს. პით, ბოშ. **პი** „სმა"). **Cubacus** ლათ. // **კუ-ბაკ-**უს „კასრისებური": **კუ < ყუ*; ბაკ < ბაყ* < ბ-ყა*.** შდრ. რუს. **ბაკ** „კასრი;" **Cupide** // ლათ.// **კუ-პი-**დე „ხარბად" **Cu < ყურ*; პი < ბცი*:** გეორგ.-ლათ.-სლავური ეს სიტყვები საოცარ და უპრეცედენტო სემასო-ფონეტიკურ პარალელებს ამჟღავნებენ, სემასიურად, კვების და ყურძნის სათავსის – კასრის, კალათას აღმნიშვნელ ქართველურ სახელებთან: როგორც ქართველურში ისე უცხოურში, ეს კომპოზიტები იგივურად არიან სეგმენტირებულნი და კომპონენტები ერთიდაიგივეს – კვებას ან კვება + სმას აღნიშნავენ.

მაგრამ **ყურძენ** სიტყვასთან სემასო-ფონეტიკურად ისე ახლოს არცერთი არა დგას როგორც მეგრული **ბურწენი** „კასრი": **ბ-ურ-წენ-**ი კომპოზიტია: **ბ** მადიფერენცირებელია (კლას კატეგორიის ნიშანი.). ზემოთ, როგორც მრავალგზის ვაჩვენეთ, მის შედგომ მდგარი **ყ** უჩინარდება, ამიტომ წინარე ფორმა იყო **ბ-ყურ-წენი*.** ხოლო სანამ სიტყვას **ბ** დაემატებოდა კიდევ უფრო ძველი ფორმა გახლდათ **ყურ-წენი*,** რომლის **ყურ** ნაწილი, როგორც ვიცით, კვე-

ბის აღმნიშვნელი ალომორფია. მეორე კომპონენტი ამ ყურ-**წენი**-სა – **წენ**-ი, უცხადესია, **წვენ**-ი სიტყვის გამარტივებაა: **წვენ-ი > წენი.** ესე იგი **ყურ-წენი*** აღნიშნავდა „საკვებ წვენს.“ რაც რომ სინამდვილეშია ყურძენი. ეს რომ ასეა ამას უცხადესად წარმოაჩენს ზმნა **ყურ-წუა**, რაც სმაა **წ..წ** და **ყ..ყ** ხმიანობითა.

მაგრამ ყურძენი არაა „კასრი,“ რომელშიც ყურძნის წვენი – ღვინო ინახება. აი, სწორედ ამ განსხვავებისთვის, იმისთვის, რომ **ყურ-წენ**-ის* // „საკვები წვენი“ს მნიშვნელობისგან გასარჩევად, მისი შესანახი კასრის სახელსადებად დაემატა ყურ-წენ*ს **ბ** ბაგის-მიერი, რომელსაც ენათმეცნიერება კლას კატეგორიის ნიშანს უწოდებს. მაგრამ როგორც ვხედავთ, მან მოახდინა აღმნიშვნელობითი მოცემულობის დიფერენცირება: გადააქცია სახელი **ყურ-წენი* „საკვები სითხე“ მის შესანახ ბ-ყურ-წენ* > ბურ-წენ-ად.**

ახლა შევუპირისპიროთ ქართულ-მეგრული **ყურ**-ძენი // **ღურ**-ძენი მეგრულ **ბურწენ** „კასრს“: აშკარაა, მეგრ. -- კასრის და ქართ.-მეგრ. ყურძნის აღმნიშვნელი სახელები სავსებით, ერთნაირნი არიან და, ასევე, ერთ სემასიურ ველში არიან: ისინი ერთ საერთო – **ყურ-წენ*** „სასმელ, საყლაპავი წვენი“ საწყისიდან მომდინარეობენ: მეგრული **ბურ-წენ**-ი „კასრის შემთხვევაში **ბ** სადიფერენციო ბგერის დართვის შემდეგ **ყ** დაიკარგა: **ბ-ყურ-წენ***-ი > **ბურ-წენ**-ი“ ქართ. ყურ-**ძენ**ის შემთხვევაში **წ** გამჟღერდა **ძ**-დ: ყურ-წენ* > ყურ-**ძენ**, ხოლო მეგრულში მოხდა, **ყ** > **ღ** გადაწევა: **ყურ**-ძენ > **ღურ**-ძენ. ამ სიტყვათა **ყურ** ნაწილის დამოწმებები მრავალი დავასახელეთ. მეორე – **წენი** კომპონენტი დამოწმებას არც საჭიროებს, რადგან **წვენი**-დან მისი გამარტივებით მიღება ისედაც უდაოა.

მეგრულში **წვენ**-ი სახელის არსებობს სხვა სინონიმი: ესაა **ნე**. მაგ. კუჭისა და ნაღვლის ბუშტის წვენს **ნე** ეწოდება. ადამიანის მიერ ამ წვენის აღქმა ხდება პათოლოგიური პროცესის – გულის რევისას. ამიტომაც გვაქვს მეგრ. მო-**ნე** „მა-ვ-**ნე**, მავ-**ნე**-ბელი“ ანუ სიტყვები **ნე**-ბა, მა-ვ-**ნე** და ა. შ ადამიანის მავნე შიგთავსად მოაზრებული მეგრული **ნე** სიტყვის დამსახურებაა.

ნე როგორც სითხის, წყლის აღმნიშვნელი, **ნია** ფორმით, შედის სიტყვაში **ნია-ღვარი** „წყლის ღვარი“. აქ **ნია** ადეკვატურია და **ნია-ვ-ს** არ უნდა ნიშნავდეს, რადგან ნიაღვრის რაობა წყლის ღვარია და არა ნიავისა ანუ **ნიავ-ღვარი** არ ესადაგება **ნიაღვრის** რაო-

ბას. ამიტომ, ვფიქრობ, ასევე მეგრული სიტყვა **ნია-ქარი წყალ** ქარს უნდა ნიშნავდეს და არა **ნიავ**-ქარს...

ყურძნის ჭეჭყვის შემდგომ, დროის ახლო პერიოდში, მეგრულში, ყურძნის წვენის სახელი დიფერენცირებულია მაჭარი და ღვინოსაგან და, ასევე, **ნე** ეწოდება. შემდეგ დუღილისას, **მაჭარი** ქვია და ბოლოს, დადუღებისას, უკვე **ღვი-ნო** გახლავთ: რაკი ყურძნის, სწორედ წვენს და არა ვთქვათ მარცვლებს და ა. შ. **ნე** ეწოდება, ეს **ნე** ვერსაიდან მოვიდოდა თუ არა ყურძნის წვე-**ნი** >// წე-**ნი** > **ნე** გამარტივებიდან. ხოლო ასევე რაკი ის წვენი რომელსაც **ნე** ეწოდებოდა მეგრ. ღვი-**ნი** გახდა, განა საეჭვოა რომ მისი **ნი** ნაწილი იგივე **ნე** დანაა: ყოველივე აქვეთქმულის შემდეგ, უდაოა, რომ ღვე-ნი // ღვი-ნი // ღვი-ნოს პირველი ნაწილი – **ღვი** წინათ კვებას აღნიშნავდა, მეორე – **ნი** კი – წვენს. ამის შემდეგ საკითხი მარტივად წყდება: **ყურ-წენი*** (> // ქართ. ყურ-ძენი // მეგრ. ჳურ-ძენი): გამარტივებით **რნ*** (>// **რძ**) კომპლექსი ამოვარდა > **ყუე-ნი*** და **ყ** ამოიწია ლ-დ: **ლუენი*** >// მეგრ. ღვენი // ღვინი // ქართ. ღვინო..

ვ > ბ რეფლექსის ანუ გუტურალიზაციის უარმყოფელი მაგალითები

ენათმეცნიერთა ნაწილი, ღვინოს **ღ** თავკიდურს არ თვლის ძირისეულად, მიაჩნია რა რეფლექსად ინდოევროპული **ვ** ბგერისა.

თუმცა ნებისმიერი სიტყვას გააჩნია საკუთარი წარმომავლობა და მხოლოდ იგი იძლევა საშუალებას შესატყვისობის წარმოქმნის მიზეზების დადგენისა: ქართველურ – ინდოევროპულ სიტყვებში ვაინ // ღვინო და ა. შ. **ღ : ვ** შესატყვისობა გამოწვეულია არა გუტურალიზაციით, არამედ – პირიქით: ინდოევროპულში ქართველური **ღ**-ვინო-ს **ღ**-ს დაკარგვით. მაგ: ქართ. ვაზ და სვ. ღვაზ სიტყვების **ღ : ვ** შესატყვისობა გუტურალიზაციის გამო – ანუ იმის გამო, რომ სვ. **ღ** ქართული **ვ**-ს რეფლექსი რომაა კი არაა, არამედ, პირიქით: **ღ** მოკვეცილია ქართული ვაზის შემთხვევაში (ნ. მარი). ეს ასე რომაა – ღვა-ზ -ის, ზემოთხსენებულ, კარ-ა-ჩხა // კრ-ჩხა, კუ-პა, ყურ-წენ* // ჳურ-ძენ და ა. შ. სახელებთან შედარება ცხადყოფს. ღვა-ზ სახელი ზუსტად მათგვარადვეა სგმენტირებული და იგივე ეტიმ. ამოსავლიანობისაა: **ყუა* (> ღუა),** როგორც ვიცით, ცნობილი კვების ალომორფია, ხოლო წყლის მნიშვნელობის **ჩხ** კომპლექსიდან **ჩ > შ > ს**

გარდაქმნათა მაგალითი ჩვენ ვაჩვენეთ **იჩხარ*** >// **იშხარ** >// **ისხარ** იგივურ სიტყვებში. **ს > ზ** კი უუხშირესი ფაქტია.

ღვა-**ზ**-ის **ზ** კომპონენტის ადგილზე **ჩხ** კომპლექსის არსებობას მხარს ის ფაქტი უჭერს, რომ **ჩხა,** დღესაც, „ვაზის მტევნებიანი ტოტია“ (შდრ. **ჩხა**-ვერი „ჯიში ვაზისა“, შდრ. ლა-**ჩხ**უტი // ლა-**ხ**უტი მეგრ. „ქვევრი შუმი ღვინოსთვის“). ესე იგი, დამტკიცებულად, არსებობდა **ყუა-ჩხა*** „საკვ-ები“ + „ყურძნებიანი ტოტი“, რომელიც კანონიერი ფონ. ცვლილებებით იქცა სვ. ღვაზ სიტყვად: **ყუა-ჩხ*** > **ღვა-ჩხ*** > ღვა-**შ*** // ღვა-**ს*** > ღვა-**ზ**...

ქართ. ვაზ სიტყვას წინაპარმა ღვაზ ფორმამ კი, როგორც ნიკო მარი ამტკიცებს ღ დაკარგა. ჩვენი აზრით ეს მოხდა, აქვეაღწერილი ეტიმ.. სქემის ბოლო მონაკვეთზე: ღვაზ > ვაზ..მეგრ. ბინეხი კი, იმის შემდეგ რაც **ნე** „ყურძნის წვენის“ შესახებ ვიცით, აბსოლუტურად გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა: ნე-**ყი*** >// ნე-**ხი*** = **ნე** „ყურძნის წვენი“ + **ყი** >// **ხი** „კვების ალომორფი“. აი, ამ ჯამური მნ-ის კონკრეტულ ვაზის მნიშვნელობად სადიფერენციოდ ემატება სიტყვას **ბ** ბგერა: ნე-ხი* > **ბ**-ნე-ხი.*: არნ. ჩიქობავას ვაზის ყვავილის აღმნიშვნელ ბიბილოში **ბ** ბგერა კლას კატეგორიის ნიშნად გამოყავს. ჩვენ კი მას სადიფერენციო ბგერას ვუწოდებთ, რადგან მის მიერ მნ-ბის დიფერენცირება ხშირია. ვაზის მნ-ბის შეძენის შემდეგ **ბ**-ნე-ხი*, მეგრულისათვის ჩვეული მიდრეკილებით, ხმოვანდება და ვღებულობთ > **ბინეხ-ი** სიტყვას. ამგვარად, არც მეგრ. **ბ**ინეხის **ბ** არის ქართ. **ვ**ენახის **ვ** ბილაბიალის რეფლექსი (გ. როგავა): ისინი, სხვადასხვა გზებით არიან მიღებულნი: მეგრ. ბინე**ხ**ის **ნე-ყი*** ამოსავალში: **ყი** ძირია და **ნე** „წვენი“ თავკიდურშია, ქართულ – ვე-ნა-ხ-ი -ში კი – ორი **ყ-უე*** **და ყ-ი*** ძირია, ხოლო „ყურძნის წვენის“ მნიშვნელობის **ნე // ნა** ინფიქსშია: ნე-**ყი*** > ნე-**ხი*** > **ბ**-ნე-ხი* > ბი-ნე-ხი; **ყ**უე-ნა-**ყ**ი* > უე-ნა-**ყ**ი* > ვე-ნა-**ყ**ი* > ვენა**ხ**ი.

ცხოველთა და ფრინველთ ხმიანობისადმი ხმაბაძვით წარმოქმნილი მრავალი სიტყვა დავასახელეთ, რომელთა ამოავლიანობამ ცხადყო, რომ მათ შემადგენლობაში შემავალი **ვ : გ** შესატყვისობები არაა გუტურალიზაციის შედგი. მაგ: **ყ**ოჩ-ი >// **ო**ჩი მეგრ. //> ქართ **ვ**აცი (**ო > ვა ცნობილია, ხოლო** „დენტალურ და ველარულ თანხმოვანთა მონაცვლეობის, აგრეთვე მათი დაკარგვის თვალსაზრისით საყურადღებოა კავკასიურ-აღმოსავლეთ-ანატოლიურ ტოპონიმთა

ვარიანტებიც: **ხალიბი // ალიბი, ხაბარენი // ობარენი, ხარიმატი // არიმატი, ქაღზევანი // აღზევანი, ტაპირი // აპირი, ტორეტი // ორეტი, თუნი // უნი**" ი. ქავთარაძე...

ასეთივეა სვ. **ღ**-ვაჟ და > // ქართ. ვაჟ. აქ **ღ : ვ** განპირობებულია მათი საერთო – ასევე ქართული **ყოჩ**-ი სახელიდან ამოსავლიანობით: **ყოჩ**-ი > **ყოშ*** > **ყვაშ*** > **ღვაშ** „მამალი ჯიხვი"; **ყოჩი** > **ღვაჟ*** > **ღვაჟ** სვ. „ვაჟი". ესე იგი, ამ სვ. ღვაჟ სიტყვის, მნიშვნელობით „ვაჟი" წინაფორმაა ღვაშ „მამალი ჯიხვის" სახელი. ასე რომ, მეგრ. **ბინეხი** და ქართ. **ვენახი**; ქართ. **ყოჩი** და **ვაცი**; სვანური **ღვაჟ** და ქართული **ვაჟ** სიტყვების წარმომქმნელი სქემა იძლევა მათი **ღ : ვ** შესატყვისობის მიზეზს და გუტურალიზაცია აქ არაფერ შუაშია.

კიდევ ერთი მაგალითი: „... ღვრიალა, მეგრ. ოღურინაია, ჭან, ვირვილი (სათამაშო, ტრიალისას ხმას გამოსცემს), ჭანურთან შეპირისპირება ააშკარავებს ღ-ს მდგომარეობას-ო..." წერს ვ თოფურია იხ. შრ. 3 გვ. 232-33. ანუ ვ. თოფურიას მიაჩნია, რომ ღვრიალას **ღ** ჭანური **ვირვილ**-ის **ვ** ბგერის რეფლექსია. მაგრამ როგორც თავად ბრძანებს: ღვრიალა „სათამაშოა, რომელიც ტრიალისას ხმას გამოსცემს". დიახ ეს ასეა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ყურადღების მიღმა რჩება ის ფაქტი, რომ ამ სათააშოს გამოცემული ხმა ზუსტად გაბმული **ღღღ** ბგერებია. ანუ ღვრ-იალა // მეგრ. ო-ღურინაია ხმაბაძვითი ამოსავლიანობისაა, ამ **ღღღ** ხმიანობისადმი მისადაგებული იმგვარადვე, როგორც ეს ხდება ამ მაგალითებში: **ღღღ ღ + უა > ღუა* > ზღვა; ღ + უა > ღუა* + რი ღუარი // ღვარი**; მეგრ. ლანდ-**ღ**-უა // ქართ მ-**ღვრ**-ევა და ა. შ. **ღვრ**-იალა // ო-**ღურ**-ინაიას **ღურ > ღვრ** ძირი არის ხმაბაძვის საწყისი ვითარება. ამათი ფარდი, ჭანურის დუბლირებული **ვირ** ძირი კი (**ღორ*** > **ღვირ*** > **ვირ**) **ღ** ბგერის დაკარგვის შემდგომი მდგომარეობაა და ვერაფრით ვერ გვიჩვენებს **ვ : ღ** გუტურალიზაციის არსებობას. მ. ე, სრული უფლებამოსილებით შეგვიძლია ვთქვათ: ქართვ. **ღ** ღვინოს აღმნიშველელ სახელებში არაა ინდოევროპული **ვ** ბგერის რეფლექსი არამედ, პირიქით: ინდოევროპულშია დაკარგული **ღ** ბგერა.

ქვევრი, ლახუტი და ლაგვანი

ზემოთ დეტალურად გავაანალიზეთ მეგრული ღვინოს სათავსი ჭურჭელი – ბურნენი „კასრი" და ვანახეთ მისი ღვინო სიტყვასთან, უეჭველი, კავშირი. ასეთივეა მეგრული **ლა-გვანი** „ქვევრი" სადაც **ლა** პრეფიქსია, ხოლო **გვან // გვინ*** სხვა არა შეიძლება იყოს რა თუ არა ღვინო. საბერძნეში ნაპოვნია არქაული ქვევრი წარწერით: „მე კოლხმა გამაკეთა". ხოლო **ლაგვანი** რაკი ძველ ბერძნულშიც ფიქსირდება, ჩვენმა „ბედოვლათმა" მეცნიერებმა მისი წარმომავლობა ბერძნულს დაუთმეს: **ლა-გვანი** სრულიად გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა: **ლა**, წინსართი. მეგრულში, ზოგჯერ, დანიშნულების ფუნქციასაც ასრულებს (მაგ. **ლა-გერი** „ხელჯოხი, სათრიელის მორი ნავის ზედთრევით გადასატანად. ა. ქობალია მ. ლ. გვ. 378". ეტიმ. **ლა-გერი** ზედმიწ = „სამგლე"), **გვანი** კი, უეჭველია, **ღვანი*** ანუ **ღვინი** „მეგრ. **ღვინო**" გახლავთ. ესე იგი, დღევანდელი **ლა-გვან** პირვანდელი ფორმით იყო **ლა-ღვინი***, მნიშვნელობით – „სა-**ღვინ**-ე." ეს კი ზედმიწ. სადაგია სახელდების მოტივირებულობის თვალსაზრისით. ანუ ეს ეტიმ. იმდენად ნათელია და ზუსტი რომ ცხადყოფს **ლა-ღვინ*** > **ლაგვან** პროცესის არქაულობას : მელვინეობა ხომ ჩვენში 8000 მეტი წლისაა.. ასე რომ, ძვ. ბერძ. **ლა-გვინ**-ი 'ქვევრი' მეგრ. **ლა-გვან**-ის ნასესხობაა და არა პირიქით. ეს იმდენად უეჭველია რამდენადაც უდაოა ეს ეტიმ. **ლაგვან** სიტყვისა და თავად ღვინოს – ღვინ და ლაგვან სიტყვის **გვინ*** ძირის **ღ** და **გ** ბგერების **ყ**-დან წარმომავლობა: **ყურ**-წენ* > **ყუენ*** > ღვინ > გვინ.

ქართ. **ჩხუტი** „კასრისებრ ჭურჭლეულთა ნაირსახეობა"ა. იხ. ქ. ე. გ. ლ. მეგრ. ლა-**ხუტი** კი, როგორცა ვთქვით, პატარა ქვევრია შუმი ღვინოსათვის. რა თქმა უნდა, ამის **ხუტ** ძირი ქართ. **ჩხუტ**-ის ცვლილებაა (კომპლექსიდან **ჩ** დაიკარგა). მათ ქართულ წარმომავლობას მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ **ჩხა** „მტევნებიანი ტოტია."

მეგრული **ლა**-ხუტი და **ლა**-გვანი ორივე, იშვიათად, ქართული **სა** დანიშნულების პრეფიქსის ფარდ **ლა** წინსართითაა. მაშასადამე, როგორც **ლა**-გვანი აღნიშნავდა საღვინეს, ეგრევე **ლა**-ხუტი // **ლა**-ჩხუტი აკეთებდნენ იმასვე: **ლახუტი** სალოცავი ქვევრია შუმი ღვინოსთვის. მასში ჩასხმული ღვინო ერთჯერად ლოცვისთვის იყო

განკუთვნილი და ლოცვის შემდეგ მასში არ უნდა ჩარჩენილიყო (კ სამუშია). ამიტომაც მომცრო ზომისაა..

როგორც ვიცით, **ჩხ** ბგერათკომპლექსი წყლის ჩუხჩუხისადმი ხმაბაძვით წარმოქმნილი კომპლექსია, ქართული **ჩხა** კი მტევნებიან ტოტს რაკი აღნიშნავდა, უნდა ვიფიქროთ, ქართული **ჩხუტი** და მეგრული **ლა-ხუტის** ფუნქცია ჯერ იყო **სა-წყლე** ხოლო შემდეგ – **სალვინე:** მეგრ. **ლა** პრეფიქსის დანიშნულების ფუქციის ქონაზე მეტყველებენ შემდეგი სახელები: **ლა-გერი** „კომბალი." ეტიმ. უდრის „სამგლე;" **ლა-კვატა** „მოკლე სასროლი ჯოხია ხილის ჩამოსაგდებად". აქ **კ-ვა-ტ** ძირის **ვა ო-ს** დაშლის შედგია. ეს **ო** არის მეგრ. **ცოთ-ამა** „სროლა" ზმნის შემადგენლობაშა. მაშ, **ლა-ც-ო-თ-ა** „სასროლი" > **ლა-კ-ვა-ტა.**

მუხა, ჭყონი, წყნეთი. ნაბლი, ჭუბური, ბული, წუ, ხორბალი, ლექობალე, ქაბული, ქობულეთი, ხაბური, გვიჯი, ოგვაჯე, პური

იქნებ ქართ. **მუ-ხა-ს ხა (< ყა* < ყარ*)** კვების ალომორფის ფრაგმენტია ან ეს **ხა ყ** ბგერის გახმოვანებული **ყგ** ალომორფია: **ყგ* > მყა* > მუყა* > მუხა.**

ეტიმოლოგიურად, სახელი მუხა კვების მნიშვნელობიდან რომაა ამოსული უეჭველია, რადგან ნ. მარის შეხედულებით, კაცობრიობა თავის განვითარების ადრეულ პერიოდში, ძირითადად, მცენარეთა საკვებით იკვებებოდა, სახელდობრ, იყენებდა რა პურის დასამზადებლად – რკოთი. იგი ამას მიაწერდა მუხისადმი ადამიანთა თაყვანისცემას. მაგრამ ამაზე არნ. ჩიქობავა ამგვარად რეაგირებს: „...ხის კულტი მართლაც არსებობდა, მაგრამ ხის კულტი იმასთან როდია დაკავშირებული, შეიძლება თუ არა მისი ნაყოფით კაცი იკვებებოდეს. ეს რომ ასე იყოს, პირველობა მუხას არ შეხვდებოდა, წილად: მას მეტოქეობას გაუწევდა ნაბლი ... მათი ნაყოფი უფრო შესაფერია საკვებად, ვიდრე რკო (საჭმელ რკოს იძლევა მუხის მხოლოდ ერთი სახეობა)-ო.." ა. ჩიქობავა იკე III გვ 232.

ჩვენ ისლა დაგვრჩენია შევნიშნოთ: ისტორიზმი არაა მხოლოდ სოციალური სფეროს მეცნიერებების, მათ შორის მხოლოდ ენათმეცნიერების პრეროგატივა: ბიოლოგიაში, ფიზიოლოგიაში და წარმოიდგინეთ, ისეთი მეცნიერება, როგორიც ანატომიაა დასაშვებია ისტორიის მოხმობა. მაგ: ადამიანის ანატომიური ორგანო –

ჭიაყელა ნაწლავი წარმოადგენს რუდიმენტს, ნაწლავისა, რომელიც ისტორიულად იმ ეპოქაში ფუნქციონირებდა, როცა კაცობრიობა ბალახეულით, და უმი ხის ნაყოფით იკვებებოდა. ჰ-ის საჭმლის მომნელებელი სისტემა, სწორედ, ასეთ ნაყოფს იყო შეგუებული; ასე, რომ პირველი კაცობრიობა რკოთი იკვებებოდა!...

არნ. ჩიქობავა სწორია, როცა ამბობს "..მუხას კულტი მისი ნაყოფის საკვებად გამოყენებით რომ ყოფილიყო განპირობებული, მას (მუხას) მეტოქეობას გაუწევდა წაბლი, თუნდაც წიფელი, თავი რომ დავანებოთ ხეხილს..."-ო: მაგრამ, დიახაც, გაუწია ბლის ხემ მეტოქეობა მუხას, რომლის კულტი მუხასთან შედარებით, დღესაც, ძლიერია, სამეგრელოში... ხოლო სხვა ხეხილი და წაბლი ძველად, მუხას მეტოქეობას ვერ გაუწევდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნიადაგთან მიმართებთ, იგი ნაკლებადაა მომთხოვნი, მწირ მიწაზეც ხარობს, გიგანტურ ზომებს აღწევს და მ. ე. პროდიუქტიულია. ამგვარად, მუხა საკვები ხე იყო და ამიტომაც იყო გაფეტიშებული.

ეს კი ნიშნავს: ჩვენი დაშვება მუ-**ხა**-ს **ხა** ფრაგმენტის **ყ**-ს ალომორფებიდან ამოსავლიანობაზე არაა დაუშვებელი. ნიკო მარს, მუხასთან დაკავშირებულ ეტიმოლოგიებში, სამწუხაროდ, არა აქვს ჩართული მეგრ. **ჭყონი** „მუხა:" ჭყონის **ჭყ, წ > ჭ** გადაწევით, **წყ**-დანაა: **ნ** ბგერა თუ, უხშირესი, **რ > ნ** როტაციის შედეგია, **წყორ** ამოსავალ ფორმას ვღებულობთ: „...ქართულში **წყან** უნდა გვქონოდა: შეიძლება აქედან იყოს **წყ**ნეთ-ი < **წყან**-ეთ-ი*..." არნ. ჩიქობავა შ. ლ. გვ 128. 1938 წ. ხაზგასმა ე. ი. ქართული **წა**-ბლ-ი და // მეგრულ-ლაზურ **ჭუ**-ბურ-ის შედარება გვიჩვენებს, რომ **წა**-ბლ-ის თავკიდურა **წა** მარცვლის **წ**-დანაა მეგრულ-ლაზურ **ჭუ**-ბურის **ჭ**, ხოლო ქართ. **წა** მარცვლის **ა** ხმოვანი **ჭუ** მარცვლის **უ** ხმოვნის **უ > ა** დელაბიალიზაციის შედეგია. გასაგებია, **წა**-ბლ-ისა და **ჭუ**-ბურ-ის **წა** და **ჭუ** ნაწილები ნივთიერებათა ცვლასთან არიან კავშირში: გავიხსენოთ; **წა, მეგრულად** წყალია, **წუ** კი პურის ღეროა. ქართული წა-**ბლ**-ის **ბლ** ნაწილი მეგრ. // ლაზ. ჭუ-**ბურ**-ის **ბურ** ფრაგმენტის ნაკუმში მონაცემია, **რ > ლ** როტაციის შემდეგ. ამიტომ ქართული **ბალ**-ი, ახ. სომხ. // **ბალ** სიტყვის წინაფორმა // მეგრული **ბული** ყოფილა: ბურ* > ბულ > // ბალ.

ზემოთ **ხორ-ბალ** სიტყვის ამოსავლად მეგრ. **ხორ**-უა-ს **ხორ** და ქართული **ბალ**-ი „დენდრონიმი" დავასახელეთ. ვთქვით, რომ მისგან ნაწარმია მეგრ. სახელი **ქო-ბალ**-ი „პური, ხორბალი", რომელიც ფართოდ განივრცო ტოპონიმიკაში. მაგ: ლე-**ქობ**-ალ-ე, ქო-**ბულ**-ეთ-

ი – საქართველოში, ქა-**ბულ**-ი „ჰიდრ. და ქალაქი ავღანეთში“; ხა-**ბურ**-ი „ასევე ჰიდრონიმი და უძველესი დასახლება სამხრეთში..“

ხორ-ბალ-ის **ხორ** და > **ქო**-ბალის **ქო**-დან **ყორ** კვების ალრ-მორფამდე შორი არაა: **ყორ*** > **ხორ** > **ქო**. მაშასადამე **ხორ-ბალ**-ი თავიდანვე კვების მნიშვნელობის გაორკეცებით წარმოებული სახელი ყოფილა. რაც არ ითქმის **ღომი** // **ღუმუ**-ს შესახებ: **ღომ** < **ყომ***; **ღუმ** < **ყუმ** < **ყურ***. **მ** < **რ.***

სვანური **გვიჯ**იც **ყორ**ამდე დაიყვანება, **ყ** (> **კ**) > **გ**, **ო** > **ვი** დაშლის და **რ** > **ჯ**-ს შემდეგ. შდრ. ზემოთ უკვე მოხმობილი – ქართ. **ყვერ** > მეგრ. კვაჯ; ოგვაჯე < ოკვაჯე < ოყვაჯე (კ. დანელია). მაშ, სწორია ზემოთ, ჩვენს მიერ აღდგენილი მეგრ. ბულ // ქართ. ბალ-ი // სომხ. ბალ სახელთა წინაფორმად < ბურ* < ბ-**ყურ***-ის არსებობა. და ინდურად მიჩნეული **პ**ურ სახელიც აქედანვეა: **ბყურ*** > **ბ**ურ* > პურ!

მოყვანილი ფაქტობრივი მასალის ანალიზი გვაძლევს ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას: ძირითადი და ძირძველი მცენარეული თუ ცხოველური საკვების და ყოფა-განაყოფიერების და ა. შ. სახელები, ასევე, მათთან ფონეტიკურ-სემანტიკურად დაკავშირებული სახელები **ყ** ძირიდან მომდინარეობენ, რითაც ამ სახელთა ენდემიურობა დგინდება. ეს რაც უეჭველია, ხოლო ინდოევროპეულთან ფრაგმენტული შედარებები, ამ უკანასკნელთა, ამოსავლად ქართველურს წარმოაჩენს: **G, k, Ch, h** და ნულოვანი ფორმები < **ყ**.

ყ და ნ ბგერათა შერწყმით მიღებულ გახმოვანებულ ყგნ კომპლექსიდან წარმოქმნილი სახელები:

ყგნტ მეგრ. „ხმა, სიტყვა“. იხმარება აკრძალვის შინაარსის წინადადებებში: **ყგნტ** ვეკიღა = „ხმა არ ამოიღო, სიტყვა არა თქვა“; **ყ**-გრ-**ნ**-უა //> **ყ**-ირ-**ნ**-უა // **ყ**-ირ-**ჭ**-უა „ყლურწვაა“, **ყ**-ირ-**ტ**-უა >// **ყ**-ინ-**ტ**-უა კი „ყლაპვაა“. (**ჭ** და **ტ** < **ნ***) ძირია **ყნ**;

„...**ყ**-გრ-**ჭ**-ი //> **ყ**-ირ-**ჭ**-ი // **ყ**-ორ-**ტ**-ი მეგრ. „ყრონტი“, იგივე „სასაულე // **ხორხი**“; **გრ** // **ირ** და **ორ** აფიქსებია; **ყ**-გრ-**ჭ**-ალ-ი // **ყ**-ირ-**ჭ**-ალ-ი მეგრ. „მაღალყელიანი“; **ყ**-გრ-**ტ**-ა //> **ყ**-ირ-**ტ**-ა მეგრ. „მაღალი ყელი“; **ყ**-ორ-**ჭ**-ოლო მეგრ. „მაღალყელიანი“. **ყ**-გრ-**ტ**-აფ-ი //> **ყ**-ირ-**ტ**-აფ-ი მეგრ. „ყაშყაში, ყრანტალი, ყროყინი“; **ყ**-ორ-**ჭ**-ი // მეგრ. „**ყ**-რო-**ნ**-ჭი, ყანყრატო, ყრონტი. იგივე სასულე,

ხორხი"; **ყ-ორ-ჭ-ინ-ი** მეგრ. „ყელის მოღერება"; **კინ-ი** // **კინ-ინ-ია** // **კინ-ინი** მეგრ. „ყურძნის მტევნის მთავარი ღეროს პატარა განშტოება, მარცვლიანად; **კინ-ონ-ი** „კნაწუნი"; **კინ-ონ-ია** მეგრ. „კუნწულა"..." და ა. შ. „იხ. ალიო ქობალია „მეგრული ლექსიკონი".

კოტ-ო მეგრ. „ქოთანი". აქედანაა მეგრ. // ქართ. კოტო-ში, კოტოშები; „..**კოტ-ორ-ი** ქართ. „პურის ნატეხი": **ყოწ* > კოტ; კუტ-ი**; „თონეში ჩავარდნილი ან ნაკვერჩხალზე გამომცხვარი პური"; **კუტ-ალ-ი** „ხის ჭურჭელი" // მეგრ. „ხის პატარა ტუჩებიანი საწყლე". იხ. დ. ნ. იხ. ქეგლ; აქედანაა მეგრ. მე-**კუტ-ალ-ერი** „მრგვალად შეხვეული", მსუქანი ... „ და გვარი **კუტალია**;

კო-წა-მა-ხ-ი //> **კო-წ-მა-ხურ-ი** თავიდანვე რთული სიტყვაა: **კო-წა < ყო-წა*, მა-ხი < მა-ყი***; ამგვარივეა // მეგრ. **კ-ორ-წო-ხულ-ი: კ-ორ < ყ-ორ*; წო // წა*; ხულ < ყურ*;**

ბავშვობის ასაკში – დედის ძუძუს თუ, მოზრდილობისას ცხოველთა ცურის თითები იყო მკვებავი. მაგრამ, როგორც ბევრჯერ აღინიშნა ბავშვი ძუძუს აღიქვამს როგორც საკვებს. უეჭველია იგივე ხდებოდა პირველი ადამიანის შემეცნებაშიც: ცხოველთა ჯიქანს, მეგრ. **ტგ**-ს და მის **თით**ს, მეგრ. **კით**-ის ისიც აღიქვამდა, როგორც საკვებს. ამიტომ, ლოგიკურია მეგრული **ტგ** ცუ-რის წინარედ – **წგ** ხოლო, **კით**-ის საწყისად **ყიტ-ი*** //< **ყიწ***-ი ვივარაუდოთ. სემანტ. ცვლილებე-ბი: **ყიწ***-ი – „სასმელი სითხე / / რძე" > **ყიტ***-ი „კვება": შდრ **ყიტ***-უა > **ყი-ნ-ტ-უა** მეგრ. „ყლაპვა" > **კით-ი** „ანატ ორგანო – თითი." ასევე > **კუტ-უ** „ბიჭუნას ასო:" ხელ-ფეხის თითებზე და ბიჭუნას ასოზე ცურის თითების სახელის განზოგადება ბუნებრივია, მათი გარეგანი მსგავსებების გამო. იგივე ფაქტორის ქმედებაა **ყიტ*-ი > ყიტ*-ირ-ი > კიტ*-ირ-ი // კი-ნ-ტ-ირ**-ის „მეგრ. „კიტ-რი-ს" შემთხვევაში, ოღონდ აქ ფორმობრივ მსგავსებას შინაარსობრივიც ემატება: კიტრი ხომ კვებია.

ამგვარად, **კიტრი** კი არაა ლათინური **ციტრ**ოსის ქართველური ტრანსკრიპცია, არამედ პირიქით **ციტრ**ოსია **კიტრ**ის ლათინური ტრანსკრიპცია: **კ** ბგერის გამომხატველი ასონიშანი ლათ. – **C** ასო – **კ და ც-დ** იკითხება: ამიტომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კიტრი წაკითხულ იქნა როგორც – **ციტრი**: უეჭველია, სხვა ციტრუსოვნებზე, ლათინურშივე გაფართოვდა კიტრის მნიშვნელობა და, ამგვარად, **კიტროსად** გასული ტერმინი **ციტრუსად** დაგვიბრუნდა.

აქ ჩამოთვლილ, **ყნ // ყგნ** კომპლექსიდან წარმოქმნილი სახელები ერთ სემასიურ ველში არიან განფენილნი: ისინი ყელის მიდამოს ანატომიური სახელებია, გამოხატავენ კვების ნაირსახეობებს, ყელში ხმიანობებს, ცხოველთა ხმიანობებს, კვებას, საკვებს, მოკლედ ყოველივე იმას რასაც ასრულებს **ნყ** კომპლექსი. ანუ ამ **ნგყ > ყგნ** შებრუნებით **ნ** და **ყ** ბგერათა ფუნქცია არ შეცვლილა.

ჩხ ბგერათკომპლექსი

წყალი — ადამიანის, ერთ-ერთი, უმთავრესი საარსებო ბუნებრივი პროდუქტი სათავეა სიცოცხლისა. ჰომინიდი ცხოვრობდა ღია სივრცეში და ჩაუცმელი. მისთვის მეთევზეობა მონადირეობის ერთ-ერთი მთავარი სახეობაა. ამიტომ, კონტაქტი წყალთან ისეთივე გარდაუვალი იყო – როგორც ნიადაგთან და ჰაერთან.

მოძრავი წყლის როლი, ხმაბ. ლექსიკური მარაგის შექმნის თვალსაზრისით, შეუსწავლელია: აღმოჩნდა კი, რომ თუ ვიტყვით ფორმულას: ბუნებრივ მოვლენებს თანმხლებმა ბგერითმა რხევებმა შექმნა ხმაბ. მ-ბა, მაშინ ამ ბგერითი ტალღების გლობალურ სპექტრში მოძრავი წყლის ხმაურის როლი მასშტაბურია. ასეთი დასკვნების გაკეთების უფლებას იძლევა ხმაბაძვითი ბგერებისა და ბგერათკომპლექსების (ბ. და ბკ-ის) მიგნება, მათი წარმოქმნა-განვითარების და თანამედროვე ლექსიკურ მარაგად ჩამოყალიბების ავტორისეული ინტერპრეტაციები. ერთ-ერთი მათთაგანია ჰარმონიული ჯგუფის წარმომადგენელი – **ჩხ** ბკ.

დასაბამისმიერ ხმაბაძვით **ბ. და ბკ-ის** გარკვეულ გამღიზიანებელზე (სიგნალზე), როგორც სიტყვის ფუნქციის მქონე სიგნალის წარმოქმნის ძირითადი მიზეზი იყო, პირველ რიგში, სხვადასხვა შინაგანი ორგანოების ფუნქციონირებისას თუ გარესამყაროში, ადამიანზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოვლენებს თანმხლებ ხმიანობათა ბგერითი ტალღების სმენის ანალიზატორზე ზემოქმედება ანუ იმდროინდელი მეტყველი გარემოს ზემოქმედება.

კონკრეტულ **ჩხ** ბკ-ის შემთხვევაში ხმაბაძვა მოხდა გამდინარე წყლის ხმაურის სამეტყველო ორგანოების მიერ გამეორების მცდელობით და საბოლოოდ მისი სრული რეპროდუქციით... ასეთი

ხმაბაძვის „ვარჯიშს“ პირველი ადამიანი ახდენდა ათასწლწულეების მანძილზე, სანამ **ჩხ** ბკ. არ ჩამოყალიბდა როგორც სიტყვა (სიგნალი) ამ ბგერითი გამღიზიანებლის (გამდინარე წყლის) მიმართ. მართლაც სემასო-ფონეტიკურ ჯგუფში სიტყვებისა: სვ **მაჩხაფ**, // **ჩხ**ატი, // მეგრ. ო-**ხარჩ**-ალე // **ოჩხარჩხ**ალე; **ჩხ**ნდე „მდინარეში ჩახერგილი წვრილი ხეები“; (იხ ქ. ე. გ . ლ. იხ. ი.კ.ე. 18 გვ. 233 – 242. ი. გიგინეიშვილი); დაჩხუპა „ძვ. ქართ. „დაჭრა;“ მეგრ **ჩხ**აპალი „**შხ**აპუნა წვიმა;“ **ჩხ**აპუა „რწყვა, სხურება;“ **ჩხ**ვეპუა „I. სითხის შეშხეფება. 2. ცხვირ-პირიდან სისხლის გამოდენით ცემა,“ **ჩხ**ორი „ მდინარის თუ სხვა წყალსატევის ზედაპირზე სრიალი, „მარ-**ჩხა** „ წყლის აჩქარებული მოძრაობა მდინარის ვიწრო და დაქანებულ მონაკვეთში, **ჩქერი**“; ნაჩიხა „გადაღობილი მდინარე,“ იგივე **ჩიხ**-ილ-ი და ა. შ. **ჩხ** ბკ-ის მაღალი ხდომილობაა, რაც იმის მამტკიცებელია რომ **ჩხ**-ს მეშვეობით ხდებოდა ამ სიტყვებით გამოხატული მოვლენების ხმიანობებთან ხმაბაძვა: ბოლო მაგალითებზე – ნა-**ჩიხ**-ა, **ჩიხ**-ილ-ი ღირს გავამახვილოთ ყურადღება: დღევანდელ მეგრულში ეს სიტყვები შეიძლება ვიხმაროთ ზოგადად გადაღობვის, დბრკოლების შექმნის მნიშვნელობით. მაგ: ცხენეფს შარა გუ-**ჩიხათ ვარა ჩიხშა // ჩიხ-ილ-შა** გემშაბრაცათ – „ცხენებს გზა შევუკრათ ან ჩიხში შევრეკოთ.“ თუ წინადადებაში არაა აღნიშნული ობიექტი რისთვის ან ვისთვისაცაა დაბრკოლება განკუთვნილი ყოველთვის, ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ წყლის გადაღობვა წარმოიდგინება. მაგ: მოლა **ნაჩიხაშა, ჩიხილქ** გოხორცქ, **ჩიხუა** გუთებუნა – „წავიდეთ გადაღობილი მდინარისკენ, გადაღობილი მდინარე გაირღვა, მდინარის გადაღობვა მოუმთავრებიათ.“ როგორცა ჩანს, ადრეულ პერიოდში, **ჩიხ**-უა ნიშნავდა მხოლოდ მდინარის გადაღობვას. სხვა მნიშვნელობები კი გვიანდელი ცვლილებების შედეგია. ეს აზრი უფრო დამაჯერებელი გახდება თუ გავითვალისწინებთ მეთევზეობის როლს პრეისტორიულ პერიოდებში: ძველი კოლხეთის რეგიონის რელიეფი, მდინარეთა ხშირი ქსელი, მათი კალაპოტის ნაირგვარობა, წყალუხვობა იძლეოდა მეთევზეობის სხვადასხვა ხერხების განვითარების შესაძლებლობებს.

ჩიხ-უა სწორედ იმ დროის ტერმიანად მიგვაჩნია, როცა მცირე მდინარეთა გადაღობვითა და მისსავე დისტალურ ნაწილში წყლის დონის დაკლებით ადამიანი თევზ-ჭერას წარმატებით აწარმოებდა. შემდეგ, მნიშვნელობის გაფართოების შედეგად მიიღო მან ხმე-

ლეთზე არსებული დაბრკოლების, ასევე შეუვალი გამაგრებული ადგილის სემანტიკა. ამიტომ **ჩიხ-ილ-ი > ჩიხ-ი** (შდრ. **ჭიხ-ილ-ი ჭიხ-ი** მეგრ. „წნეხი“) გამაგრებული ადგილის – ციხესიმაგრის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა: ჩიხ-ი (**ჩ > ც** იხ ქვემოთ) > **ციხი** (**ი > ე** იხ. გვ.) > ციხე. მეგრულში ამ უკანასკნელის პარალელურად ფუნქციონირებს ტერმინი ჯიხა „ციხესიმაგრე,“ რომელიც მომდინარეობს მატრიარქატისდროინდელ (ა. ჩიქობავა) **ხორ** ძირიდან. და თავდაპირველად ო–**ხორ**-ის „სამოსახლოს, სახლკარის“ მნიშვნელობა გააჩნდა.

ამგვარად, ერთმანეთთან მიმართებით, დღეს **ჩიხ-ილ-ი, ჩიხ-ი** და **ციხე** მხოლოდ ფონოლოგიური, ხოლო ეს უკანასკნელი და **ჯიხა** – სემანტიკური ვარიანტები არიან...

ჩხ–ს ალომორფები და მათი დუბლირებით მიღებული ტერმინები

ი. ყიფშიძემ მეგრული სიტყვების ფორმირებაში დიდი როლი განუკუთვნა **რი** სუფიქსს. სუფიქსაციის დაწყებამდე **ჩხ** ბგერათკომპლექსის ბოლოკიდურა **ხ** ბგერა წარნოითქმებოდა **გ** ხმოვნისა და სხვა ხმოვნების თანხლებით.

ერთეული ხმოვნების გარდა გახმოვანება ხდებოდა ხმოვანთა კომპლექსებით როგორნიც არიან: **უე, უა, ოუ, უი, ეუ** და ა. შ. ასე წარმოიქმნებოდნენ შემდეგი პირველადი ფორმები, ე. წ. ალომორფები: **ჩხგ > ჩხა, ჩხი, ჩხე, ჩხუ, ჩხო, ჩხგრი, ჩხარი, ჩხური, ჩხორი, ჩხუარი, ჩხოუერი** და ა. შ., გამდინარე წყლის სემანტიკით. სწორედ მათგან მომდინარეობს ფართო მნ-ით ველში ფენილი სხვა შუალედური და საბოლოო ლექსემები. თვალსაჩინო მაგალითებია ამ ალომორფთა რედუბლიკაციის შედეგად მიღებული სემანტემები:

1. **ჩხარ + ჩხარ > ჩხარ-ჩხარ-ი*:.რ > ლ** დისიმილაციის შედეგად: შდრ:: ბევრჯერ > ბევრჯელ, სარდარი > სარდალ–ი, ამირახვარი > ამილახვარი (იხ.იკე IV გვერდი 249 ა.მარტიროსოვი) ვღებულობთ **ჩხარ-ჩხალ**–ის მეგრ „ ჩუხჩუხი.’ ამ უკანასკნელის ვარიანტებია: მეგრული ო–**ჩხარ-ჩხალ**–აია, ო–**ხარჩ–ალ**–აია „ჩანჩქერთა სახეობანი.“ შდრ: სვ. მა–**ჩხ**–აფ „ჩანჩქერი;“ ქართ. კუთხ. **ჩხ**–ატ–ი „ ჩანჩქერი;“ შდრ: მეგრული **ჩხარ-ჩხალ**–უა **„ჩხ** ხმაურით შარდვა“.

ქართ. ქარიშხალ–ის წინაფორმად ა. შანიძემ (იხ. ა. შანიძე თხზუ-

ლებანი III გვერდი 158) ქარ–იშხარ–ი* აღადგინა, რომელშიც იშხარ*–ი საბასეულ – ისხარს „ჩქარი წვიმა ადრე მომდარებელი" გაუიგივა.თუ **იშხარ–ი // ისხარ–ი** წვიმის სახეობა ყოფილა, მაშინ, უეჭველია, მეგრ. ჩხაპალ–ი და ქართ. შხაპუნა (ერთიდაიგივე სახეობის წვიმა მეგრულში და ქართულში) იშხარ*–ის წინაფორმად იჩხარი*-ზე მიგვანიშნებს. ამის შემდეგ, მისახვედრია იშხარ* > ისხარ-ის თავკიდურა **ი** ხმოვნის წარმომავლობა: **ი–შხარ–ი** გამარტივებულ (**ჩხარ** დაკარგულ) დუბლიკატ **ჩხარი** + ჩხარი > **ჩხარი**ჩხარ*-იდან (**ჩხარ-ი-ჩხარ** > ი-ჩხარ* > **იშხარ**) მომდინარეობს და, ამდენად, **ი** ხმოვანი **ჩხარ–ი**-ს რუდიმენტად გვეგულება.

ზემოთქმულთან კონტექსტში, თუ **ი** ვოკალი ჩხარ-ი-ჩხარ*-ის პირველი ნაწილის ნარჩენია და **ისხარ // იშხარ = იჩხარს*** (**ჩხ > შქ** იხ. ქვემოთ), უფლება გვრჩება გადავწყვიტოთ: **ქარ-ი – ჩხარ***-ის (**ჩხ > ქ** იხ. ქვემოთ) და, ქარიშხალ-ი **ჩხარი**ჩხარ*-ის გამარტივებაა: **ჩხარ-ი-ჩხარ-ი** > ქარ-ი-**ჩხარი** > ქარი**შხალი**.

ტერმინების: **ჩხაპალი, შხაპუნა, იშხარ // ისხარ და ქარი** ხასიათდებიან იმგვარი სემასიით რომელშიც ერთ–ერთი თვალშისაცემი და საერთო კომპონენტი **სიჩქარეა:**

მეგრული სიტყვა **მარჩხა** წყლის აჩქარებული მოძრაობაა მდინარის ვიწრო და დაქანებულ ადგილებში; მეგრ. **ჩხაპალი, ქართ. // „შხაპუნა წვიმა", იგივე ისხარ //იშხარი** – წვეთების და **ქარი** ჰაერის აჩქარებული მოძრაობაა, რომელნიც დამკვირვებლებში იწვევენ **სიჩქარის** აბსტრაქციას. ასე რომ სი**ჩქარის ჩქარ** ფუძეც **ჩხარ**-თან ყოფილა დაკავშირებული: **ჩხარ** >. ჩქარ..

ამ შემთხვევებში, ჩვენ მივაგენით საგრნობრივი ანუ ხმაბაძვითი ტერმინებიდან აბსტრაქციულის წარმოქმნელ აზრობრივ კავშირებს, რომელნიც დღევანდელ აბსტრ. აზროვნება –მეტყველებამდე გარდამავალი საფეხურია

2. ჩხარ-ი + ჩხერ-ი > ჩხარი-ჩხერ*-ი. დუბლიკატის პირველ ნაწილი **ხ** ბგერის ამოვარდნა (შდრ: შხუილი // ხუილი; ჭან. **ხ**ჩე > // მეგრ. ჩე „თეთრი"; შდრ."ჭან. ო-ნ**ჩამ**-ურე // ო-ნ-ჩამ-უე. მეგრ.ჩამ-ურ-ი // ო-ჩამ-ურ-ე, ქართ. სა-ცემ-არ-ი, დიალ. ჩამ-ურ-ი (ღომის საცეხვი)". არნ. ჩიქობავას მიხედვით, (შედარებითი ლექსიკონი გვ. 166) (...ძირეულია **ჩამ** – ქართ. **ცემ**): მაგრამ ქართ. **ცეხ**-ვა იმას გვეუბნება, რომ ჭან. მეგრ. ო-ნ-**ჩამ**-ურ // ო-**ჩამ**-ურ-ეს წინაფორმა ო-**ჩხ**-ამ-ურ-ე* გახლდათ.. ესე იგი ჩხ-დან **ხ** იკარგება.მ. ე. ჩხარი-ჩხე-

რი > ჩარი-ჩხერი* კანონიერია:.დუბლიკატის პირველ ნაწილში **ხ** ბგერის დაკარგვის შემდეგ, მეორეში უკანა ნუნისმიერ ხშულ **ჩ** ბგერის ზეგავლენით უკანა სასისმიერი სპირანტი **ხ** გადაიქცევა ხშულ **ქ** ბგერად:. შდრ: **ხ**ურჩინ-ი > **ქ**ურჩინ-ი „მეგრ. თქრშიალი;“ ჭან **ხ**ჩე > **ქ**ჩე“თეთრი“; მეგრ. ჯი**ხ**ვალ-ი > ჯი**ქ**ვალ-ი „მსხვილი და მკვრივი“; **ხ**ერძაფე > **ქ**ერძაფე მეგრ.“იბნის ინა (იხ. ა. მაყაშვილი ბ. ლ.“ გვ.16). ე. ი, ჩარი**ჩხერ*** > ჩარი**ჩქერ***: ამ უკანასკნელის პირველ ნაწილში **რ > ნ** როტაციის შდრ. მეგრ. შური > ქართ. სუნი: მეგრ ლარჭა > ლანჭა: გირძე > გინძე „გრძელი; სარდაკია > სანდაკია „წალიკა“; კადრიერი > კადნიერი (ა. შანიძე თხზ.ტ.3 გვ.124) და **ი** ხმოვნის რედუქციის შემდეგ,(შდრ.მეგრ. ჩანიკითი > ჩანკითი „ცერათითი“; გურიმეჭვია > გურმეჭვია „გულწითელა“; კაკილარი > კაკლარი მეგრ. „ეკალა’. იხ. ა.მ. ბ. ლ. გვ.25) ვლებულობთ > ჩანი**ჩ**-ქერი* და > ჩანჩქერ-ის. შდრ. **ჩხ**ატი კუთხ. „ჩანჩქერი“, სვ. მა**ჩხ**აფ, „ჩანჩქერი“,// მეგრ. **ო-ჩხარჩხ**ალაია / /**ოხარჩ**ალაია.

3. ჩუხ-ჩუხი: აქ **ჩ** და **ხ**-ს შორის **უ** ბგერაა, მაგრამ ეს ხელს არ უშლის ზედმიწ. ზუსტად აისახოს წყლის მოძრაობის თანმხლები ხმაური, ამიტომ, **ჩუხ-ჩუხ-ი** ამ პირველადი ფორმების არსებობის უდაო დასტური და სრულიად უცვლელი უუძველესი სიტყვაა.

4. ზუსტად იგივე ითქმის ჩახ-ჩახ-ზე სადაც თანხმოვნებს შორის **ა** ხმოვანია და შედგენილობით მხოლოდ ამითაა განსხვავება ჩუხ-ჩუხ-ი-საგან (იხ. ქვემოთ). ნათელია **ჩხ** ბკ-ის როლი ყველა ზემოთხსენებულ სიტყვებში, რომელთაშიც, როგორც ვხედავთ, წყლის ხმაურის რეპროდუქციის ხარისხი გაცილებით უფრო მაღალია **ჩხ** ბკ-ის ზედიზედ, წარმოთქმის გამო. გარდა ამისა, ჩვენ შემდგომაც დავინახავთ, რომ პირველადი ხმაბაძვითი ბ-ის და ბკ-ების გაორკეცების წესით იწარმოება მთელი წყება ტერმინებისა: **თავსანყის ხმაბაძვით ელემენტებზე აგებული ძირების გაორკეცება ქართველურ ენებში სიტყვათ-წარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უუძველესი პრინციპია**

ჩხ-ს ალომორფთა ფონეტიკურ-სემანტიკური განშტოებები

„მეგრ. **ჩხ**ანაფა ნიშნავს **ცხ**უნებას, **ჩხე** კიდევ – ცხელს, მაგრამ **ჩხ**ური უკვე ცივს გამოხატავს, **ჩხ**ურუ კი – სიცივეს. სიცხისა

და **ცხ**ელის, ისევე როგორც სიცივისა და ცივის მეგრ. სახელების ერთმანეთთან შედარება დაარწმუნებს ყველას, რომ ამ მოპირდაპირე ცნებებს, .. ერთიდაიგივე **ჩხ** ძირი აქვთ..."(ი. ჯ. ქ.ე.ი.შ. გვ67).

მართლაც რატომ აქვთ ერთიდაიგივე ძირი ამ სიტყვებს მეგრულში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება ზემოთდასახელებულ სიტყვათა ფორმირების ისტორიული (რესპ. პრეისტორიული) პერიოდის გათვალისწინებით, როცა პირველი ადამიანის მეტყველება იმდენადაა სრულყოფილი, რამდენადაც ძალუძს წარმოთქვას დისკრეტული ბ. და ბკ-ები. რათა დაასახელოს თავისი ყველაზე ბუნებრივი ფიზ. მოთხოვნები და მათი დამაკმაყოფილებელი ატრიბუტები.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამ **ბ. და ბკ-ებით** სახელდებულია ძირითადად კვების (წოვა-ყლაპვის: **წ, ყ, წყ...**), გამოყოფის **(ზ, ბზ, შ, ს, ფს, ყ, ყურ...**), ორგანიზმის საფარზე გარე – ეგზოგენური ზემოქმედების თუ ენდოგენური ფიზიოაქტების თანმხლები ბგერითი პროცესებით თანმხლები მოვლენები.

გარემომცველი გარემოს გარედან ანუ ეგზოგენურად ზემოქმედების ამსახველი იმდროინდელი **ჩხ** კომპლექსის შემცველი სახელებია **ჩხურ-ი** და **ჩხე // ჩხერ-ი*:** ისინი გამოხატავენ გარემოს ტემპერატურულ ზემოქმედებას ადამიანზე. მაგრამ როგორ შეძლო იმდროინდელმა ადამიანმა ეს სახელდება, როცა მისი თავის ტვინის ქერქი, მეორე სასიგნალო სისტემა (იხ ქსე) განვითარების საწყის ფაზაშია და, ამიტომ, **ნ** და **ყ** დემიურგების სპონტანური ცვლით წარმოქმნილ ბგერებიდან აბსტრაქტულ სახელთა შექმნის ძალმოსილება არა აქვს?... ბუნებრივია, სახელი ტემპერატურული ცვლილების მნიშვნელობით, მან უნდა დაუკავშიროს იმ საგანს ან მოვლენას, რომელიც, ამ მხრივ, მასზე განსაკუთრებით შთამბეჭდავად მოქმედებს.

ასეთი ბუნებრივი მოვლენაა **ცეცხლი**: მართლაც, მეგრ. // ლაზ. და-**ჩხ-ირ** // და-**ჩხ-ურ** „ცეცხლი"-ში, ნათელია, **ჩხირ // ჩხურ** უნდა გამოხატოს მხოლოდ მაღალი ტემპერატურა, რადგან „ცეცხლი ცხელია"-ს ანტითეზა არ არსებობს. მაშ როგორ შეიძლებოდა ცივიც იმავე სახელით სახელდებულიყო, როგორიც – ცხელი? ეს ერთი, მეორეც: თუ ჩვენი მსჯელობა სწორია ცეცხლზე არც უნდა შევჩერებულიყავით, რადგან ჯერ ის აღმოჩენილი არაა.

მიწა, ჰაერი, სხვადასხვა საგნები არ ხასიათდებიან მკვეთრი

ტემპერატურული ცვლილებებით. დამოკიდებულნი არიან წელიწადის დროზე, რომლის ტემპერატურაც იცვლება იმდაგვარი ოდნაობით, რათა ცოცხალი არსებანი ამ ცვლილებებს მკვეთრი აღქმით არ შეეგებონ, ანუ – შეეგუონ ამ ცვლილებებს. მხოლოდ წყლის ტემპერატურული ცვლილებაა ყველაზე მკვეთრი, ხშირი და რაც მთავარია, ბგერითი გამოვლინებებით თანმხლები. ამიტომ ადამიანმა ტემპერატ-ურული ზემოქმედებანი წყალს დაუკავშირა. გეიზერებისა და ყინულივით ცივი ნაკადულების კონტრასტული ზემოქმედება ერთიან წყლისა და ზოგადად ტემპერატურის ცნების მქონე **ჩხ** ტერმინით მონათლა, რადგან წყლის ხმიანობა **ჩხ** ბკ-ის წარმოთქმისას მიღებულ აკუსტიკურ შთაბეჭდილებასთან მიმართებით, მსგავს ხმაურს, ნამდვილად, გამოსცემდნენ.

წყალში ფეხის წვერის ჩაყოფისთანავე, იკვრებოდა, – წყლის როგორც კანის საფარზე ტემპერატურული გამღიიანებლის მიერ გამოწვეული,ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, ამავე წყლის მოძრაობას თანმხლები ბგერითი რხევების მიერ ყურის აპკზე,როგორც მექანიკური გამღიზიანებლის მიერ გამოწვეული რეფლექსური რკალები. ხოლო, მთლიანად ც,ნ.ს-ში შესაბამისი ანალიზითა და სინთეზით ხდებოდა ამ ხმაურის, ტემპერატურის, წყლის ერთიან გაგებად ფიქსაცია და სამეტყველო ორგანოთა სისტემის მეშვეობით რეპროდუქცია. ასე მოხდა წყლისა და ზოგადად ტემპერატურის მნიშვნელობათა გაერთიანება – **პირველყოფილი პოლისემია.** აქ ფრიად საყურადღებო მომენტია: როგორც ვხედავთ, თავდაპირველად ტემპერატურის ცნება **განივთებულია:** ადამიანს წყალი ტემპერატურადაც აქვს წარმოდგენილი. მაგრამ, დროთა განმავლობაში, შემეცნებითი უნარების ზრდა-განვითარებასთან ერთად, გარემოს განსხვავებულ ტემპერატურულ ზემოქმედებებს, უკვე ამ კუთხით შემოაქვს – წყლის, ცივის და ცხელის, განმაცალკევებული, შინაარსი. ოღონდ, **ჩხ** ბკ-ის მონაწილეობით, დიფერენცირებულად – წყლად, ცივად და ცხლად აღქმის შედეგად ჩამოყალიბებული კონკრეტული ტერმინები ეკუთვნიან, შედარებით, გვიანდელ პერიოდს. თუმცა ყოველივე ეს ნივთობრივიდან აბსტრაქტული აზროვნება-მეტყველებიის გენერაციის საწყისი საფეხურებია...

ფორმობრივად, ცვლილებები ფიქსირებულია **ჩხ** ბკ-სა და **რი** სუფიქსს შორის არსებული ხმოვნის სახესხვაობით: ჩხ-ურ-ი „ცივი"; ჩხ-ერ-ი „ცხელი: „... ჩხურუ მიღებულია ჩხესაგან ურ ბოლოსართის მეშვეობით (ჩხურუ) და ნიშნავს „უცხელოს," „ცივს," „სი-

ცივეს“ . უარყოფის აფიქსები რომ საპირისპირო მნიშვნელობათა მისაღებად გამოიყენება ამის ილუსტრაციას წარმოადგენს ზანური უჩა „უთეთრო“, „შავი“ ნაწარმოები ჩე-საგან „თეთრი“ (ვ თოფურია. შრომები. 3. გვ 538. ხაზგასმა ე. ი.). როგორც ვხედავთ **ჩხ** ბკმა, ამ პერიოდში, თავის სემასიოლოგიურ არეალში წყლის, ზოგადად ტემპერატურის, ცივისა და ცხელის მნიშვნელობები შეაჯამა. იწყება სემანტიკური სივრცის განუწყვეტელი გაფართოების პერიოდი.: თუ **ჩხერ**-ი ცხელ წყალს ნიშნავს, შესაძლებელია გაიდოს სემანტიკური ხიდი ცეცხლის მნიშვნელობასთან: ტერმინიც ღებულობს შესაბამის მორფოლოგიურ სახეს, რთულდება რა ნივთთა კლასის **და** პრეფიქსით: **და + ჩხერ-ი > და- ჩხერ-ი** „ცეცხლი“.

ქართ. ცეცხლის წინარედ ა. ჩიქობავამ (იხ შ.ლ. გვ 150) **სე**-ცხლი* აღადგინა, სადაც **სე** ნააფი-ქსარი ნ. კლ. პრეფიქსია. **ცე**-ცხლის **ცე** კი **სე > ცე** წარმომავლობით ახსნა; აგრეთვე: „... დადგე-ნილია, რომ, რიგ შემთხვევაში, ქართვ. ენებში თავკიდური **დ** – ფუძეში შეზრდილი ნაპრეფიქსა-ლი ნაწილი, პოზიციურად გააფრიკატებული სახით არის წარმოდგენილი – ქართ. **ჭ**ინჭარი < **დ**ინჭარი. შდრ. ჭან **დი-ი-ჭკიჯ-**(‘ჭინჭარი’), ქართ. **ჭ**ინჭველი < **დ**ინჭველი; შდრ: სვ. **დ**ე-ც „ზეცა.“ მეგრ. **ზ**ი-სხირ-ი < **დი**-სხირი ; ჭან. **დი**-ცხირ-ი; სვ **ზ**ი-სხ < **დი**-ცხ („სისხლი“). იხ ე. ძ. 1989 გვ. 54 გ. როგავა. ეს ციტატები გვჭირდება შემდეგი ეტიმოლოგიური ნიაღსვლებისთვის:

1. საწყის **ჩხ-ირ**-ი-დან **ჩ > ც** (იხ ქვემოთ) და **დი** პრეფიქსაციის შემდეგ: **ჩხ**-ირ-ი > **ცხ**-ირ-ი > **დი**-ცხ-ირ-ი ჭან „სისხლი“: წყლის სახელდების მაწარმოებელ **ჩხ**-ს **რი** სუფიქსირებულ ფორმებიდან ტერმინ სისხლის წარმოქმნა ბუნებრივია: სისხლი ხომ სითხეა. უფრო მეტიც: ძველად ის გაიგივებულიც კი იყო წყალთან. მაგ მეგრულში გვაქვს ზმნა **ჩხ**ვეპ-უა ორი მნიშვნელობით: A) „ცხვირ-პირში წყლის შესხმა და ხ). ცემა ცხვირ-პირიდან სისხლის გამოდენით;“ ასევე ძვ. ქართ. და-**ჩხ**-უეპა-ს „ლახვრით და**ჩხვეტა**“ (ს. ს. ორბელიანი) და **წყლვა**-ს (< **წყალ**-ვა*). შინაარსს ჭრილობიდან სისხლის, როგორც სითხის გამოდენა განსაზღვრავს. ამიტომ, გასაკვირი როდია ამ შინაარსის დეტერმინანტი ყოფილიყო **ჩხ** ბკ – ერთ, და **წყ** კი მეორე შემთხვევაში, წყლის ანუ სითხის, ასევე სისხლის მნ-ის მატარებლები. წყალთან და სისხლის გამოდენასთან დაკავშირებულ **ჩხვეპ**უას გარდა მეგრულში იპოება ძვ, ქართ. **წყლვას** ბადალი სახელები: **ჭყოლ**-უა და // **წურ**-უა „დაჭრა;“.

ჭან **დიცხ-ირ-ი** „სისხლი“ და გ. როგავას მიერ რესტავრირებული სვ. **დიცხ* ჩხირ > ცხირ** ფორმების არსებობის სისწორეში გვარწმუნებს. მისივე „დ-ს პოზიციური გასიბილანტებიდან ჩანს: **დი-ცხირ-ი > სი-სხირ-ი > ზი-სხირ-ი** „მეგრ. სისხლი"და **სი-სხირ-ი > სი-სხილ-ი > სი-სხლ-ი** მოვლენების შესაძლებლობა.

2. **ჩხერ-ი, ჩ > ც** სპონტანური პროცესის შემდეგ, გვაძლევს **> ცხერ-ის**, რომელშიც **რ** სონორს ცვლის **ლ** ლატერალი (შდრ: მეგრ. // ქართ. **გოროხი > ქართ გორა-კი**, რუს **გორა > მეგრ. გოლა** „მთა;“ მეგრ. **ო-ხორ-ი > ქართ. სა-ხლ-ი) > ცხელ-ი;**

3. **ცხელ-ი** განიცდის **ცე (< სე)** პრეფიქსაციას: **სე-ცხელ-ი* > ცე-ცხელ-ი** (ე-ს რედუქცია: შდრ: თაფლ < თაფალ*; ძაღლ < ძაღალ; ვაშლ < ვაშალ; ღვიძლ < ღვიზელ. გ. როგავა) **> ცე-ცხლი;**

4. არის **ცეცხლის** წარმოქმნის სხვა სქემაც: თავკიდურა **დ** ხშულის გასიბილანტების შემთხვევაში (გ. როგავა), **დე-ჩხერ-ი** განიცდის იგივე ცვლილებებს, როგორსაც ცხელის და ცეცხლის მიღებისას: **დე-ჩხერ-ი* > დე-ცხერ-ი* > დე-ცხლი > ცე-ცხლი;**

5. ხომ არაა პრეფიქსი **ცე მეგრ. ჩხე** „ცხელის“ გამარტივება: **ჩხე > ცხე** (**ხ**-ს ამოვარდნა იხ. ქვემოთ) **> ცე.** ცეცხლთან დაკავშირებულ სახელებიდან, ყველაზე უფრო დაეჭვების საბაბს იძლევა მეგრ. **ნა-ცა-ცხელი** „ნაპერწკალი“: **ნა-ცა-ცხ-ელ-ის ცა ცე-ცხლ-ის ცე** პრეფიქსის ექვივალენტია. მარა მეგრ. **და-ჩხირ** სიტყვაში ამ როლში **და** პრეფიქსია და მ. ე. აქაც იგივე უნდა ყოფილიყო. მაშ, ხომ არაა **ნა-ცა-ცხელ-ი, ჩხე > ცე-**ს მსგავსად) **ჩხა-ჩხერ*-ი-დან: ჩ > ც,** გამარტივებისა და **ნა** პრეფიქსაციის შემდეგ გვექნებოდა: **ჩხა-ჩხერ* > ცხა-ცხელ*** (შდრ: მეგრ. **ჩხა-ჩხუა // ცხა-ცხუა** „გაკვესება") **> ცა-ცხელ* > ნა-ცა-ცხელ:**

ქართ. ცეცხლი-ც ეგრევა მიღებული: **ჩხე-ჩხერ*-ი > ცხე*-ცხერ*-ი > ცე-ცხერ*-ი > ცე-ცხელ*-ი > ცე-ცხლ-ი:**

ჩინჩხალს ორი მნ-ბა გააჩნია: 1 ნაპერწკალი; 2. წინწკალი. იხ ქეგლ ცინცხალიც იგივეა. აქ და ზემოთდმოწმებულ **გოჩხაჩხუა // გოცხაცხუა** „გაკვესებაში“ უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: **ც არის ჩ** წარმომავლობის, რამეთუ **ჩინჩხალი** (<ჩხირ-ჩხალი*) და მეგრ **გოჩხაჩხუა** ისევე როგორც მეგრ. **დაჩხირი** „ცეცხლი“, **ჩიჩხუა // ჩხიჩხუა** „ჩხუჩხური“, **ჩხე** „ცხელი"და ა. შ. **ჩხ** ბკ-და მომდინარეობენ. იგივე ითქმის **საკვეცი, კუეცი // კვეც-ის ც-ს** შესახებ.

ჩხერ-ი და **ცხელ-ი** ფორმები იმდენად მსგავსია პირველიდან მეორის მიღება ეჭვს არ იწვევს, მაგრამ აგებულებით ისეთ დაშორებულ ფორმებსაც კი როგორიც არიან **ჩხურ-ი** და **ცივი** შეიძლება გააჩნდეთ ერთი არქაული **ჩხ** საწყისი: შდრ სვ. მგ**ჩხი** > მგ**ცხი** „სიცივე.“ ანუ, გამოდის, მეგრულში დაპირისპირებული მნიშვნელობის მქონე **ჩხ** ბკ-მა, რამაც, როგორ აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილის გაკვირვება გამოიწვია, სხვა ქართველური ენების იგივე (დაპირისპირებულ) მნიშვნელობების აღმნიშვნელ ფორმებში პოვა გამოძახილი. ამ და სხვა უკვე დასახელებული მაგალითებით წყლის ხმაურის აღმნიშვნელ ხმაბაძვით ელემენტთა ფონეტიკური მდგრადობის ფონზე (მაგ. **ნ, შ, ჩხ** ხმაბაძვითი მეგრულში უფრო შენარჩუნებულია) ქართულში მათი ცვლი-ლებების მიზეზი იქნებ უნდა ვეძიოთ იმ გარემო პირობების სხვაობაში სადაც ამ მოძმე ხალხებს მოუხდათ ცხოვრება: ესაა ჰიდრორესურსებით მდიდარი, სუბტროპიკული კოლხეთის რეგიონი – მისი ზღვისპირეთი და ბარი, სადაც ყველა უუძველეს ეპოქებში მოსახლეობა კონცენტრირებ-ულია (იხ. ქ.ს.ე. გვ. 45-47), ერთ შემთხვევაში, და, პირიქით, შედარებით, მცირეწყლიანი და მშრალი სამხრეთ-აღმოსავლეთის ქართლი – მეორეში. ფიზიოლოგიის. ენით თუ ვისაუბრებთ, წყალი ის აგენტია, რომელმაც ადამი-ანის შესაბამისი სენსორული სისტემების გაღიზიანებით, **ჩხ**-ს, **შ**-ს და სხვა სიტყვის ფუნქციის მქონე ელემენტთა წარმოქმნა გამოიწვია, ხოლო აგენტთან უწყვეტი კონტაქტი ამყარებდა ამ სა-მეტყველო პირ. რეფლექსებს, რათა არ მომხდარიყო მათი შეკავება. ამიტომ, დასაშვებია, ამით იყოს განპირობებული ამ ელემენტთა ფონეტიკური კონსერვატიზმი მეგრულში.

ჩხ, წყ და ცეცხლთან კავშირში მყოფი სხვა სიტყვები:

გავიხსენოთ დასაწყისში გამოთქმული პოსტულატი: **ჩხ** კომპლექსსა და **რი** სუფიქსს შორის სხვადასხვა ხმოვნები და ხმოვანთა კომპლექსები ქმნიან პირველყოფილი ფორმების ნაირგვარობას – დასაბამისმიერ ალომორფებს. მაგ: ჩხგრი // ჩხური// ჩხირი // ჩხერი იყვნენ წყლის მნიშვნელობის მქონე ალომორფები, მაგრამ ამჟამად ისინი და პრეფიქსით გართულებულნი – **და**-ჩხ,გრი // **და**-ჩხური // **და**-ჩხირი // **და**-ჩხერი – მეგრულში ცეცხლს აღნიშნავენ **ჩხირ** უცვლელადაა შენარჩუნებული ქართ. საწვავი მასალის –

ჩხირ-ის სახით. მეგრ. **ჩხირ**-ის შესატყვისია **წკირ**-ი: რამ გამოიწვია აქ **ჩხ : წკ** შესატყვისობა? **ჩხ**-ს ხომ **ცხ** უნდა მოეცა? გვაქვს კიდეც : შდრ: ფიჩხი : ფეცხი მეგრ. „ფიჩხი“; **ცინ-ცხალ-ი** // < **ჩინ-ჩხალი** (< **ჩხირ-ჩხალი***): რა ფ. ს. კავშირებია ქართ. **ჩხირ**-ი მეგრ, **წკირ**-ი, ქართ, **ჩეხ**-ვა // მეგრ. **ჩეხ**-უა და **ნ-წკირ**-უა მეგრ. „პობა-სთან?“ – აქ საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა ბგერითი ამოსავლიანობის სახელთა მნიშვნელობათა ცვლილებების პარალელიზმთან: ქართ. **ჩხ-ირ-ი** და მეგრ. **წკ-ირ-ი-**ში ოდინდ-ელ წყალთან კავშირზე მათი **ჩხ** და **წკ** მეტყველებენ. **წკ-ირ-ის წკ წყ**-დანაა: შდრ: მეგრ. **წყვარწყ**-ვალი //> **წკვარწკვალი** წყლის მდინარების სახეობა, ქართ. **წყ-ობა** > მეგრ. **წკ-არ-უა // ნ-წკ-არ-უა** „წყობა“';

ჩხ-დან და **წყ**-დან დაწყებული ტერმინთა სისტემაში **ჩხირი** და **წკირი** იქმნებიან იმ პერიოდ-ში, როცა ალომორფთა ტოტალური პოლისემიაა და შემდეგაც გრძელდება მათი მნ-ის იდენტიფიკაცია. ამის მიზეზია, როგორც – **ჩხ**-დან, ასევე **წყ**-დან დაწყებულ სისტემაში, წყლის როგორც ზოგადად ტემპერატურის (ცხელის + ცივის) მნ-ბის მქონეს გავლენა, ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კი, ცეცხლის აღმოჩენის გამო, **ჩხირი // წკირის,** საწვავ მასალად გამოყენება.

მსგავსი **ჩხ : წ-ს** პარალელებია: **ხალვა** < // **ხალ-უა** (< **ჩხალ-უა***): ენათმეცნიერები ეთნონიმ ხალიბ-ის უკავშირებენ: :... ლათ. Chalibeus „ფოლადისა“ და Chalybes 1. ტომი პონტოს სანაპირო-ებთან; 2 ტომი ესპანეთში...“ იხ შულცი. რუს. ლათ. ლ. გვ 90. მეგრ. ხალუას წინაფორმა – **ჩხალ-უა** „განგმირვაა“: **ხალვა-ს ხ ბგერის (< ჩხ*) და ჩხე // „ცხელის“ ჩხ > ცხ-ს** პარალელია **წ** ბგერიდან – ქართ. წვა და მეგრ. **ჭ**უალა, რომელნიც **წვის** გარდა გარკვეული სახეობის **ტკივილის** გაგებასაც მოიცავენ. გარდა ამისა მეგრ. **ჭ**უა (< **წ**უა*) ზოგადად ტკივილსაც ნიშნავს (იხ. გვ.).

ჩხირ-ი სახელში უცვლელად შენარჩუნებულ **ჩხირ** წარმომავ-ლობის არიან ტერმინები: მეგრ. **ჩხინ-კოლ-უა** </// **ჩხირ-კოლ-უა** „მტვრევა, დაქუცმაცება, გაცამტვერება;“ **ჩხ** ამოსავალს შეიცა-ვენ: **ჩეხ-ვა // ჩეხ**-უა. აგრეთვე: „... ფინ**ჩხა** (< ფირ**ჩხა**), ფუნ**ჩხა**, (< ფურ**ჩხა**) // ფუ**ჩხას** გურ. იმერ. მეგრ.; აფგ**ჩხ**"აფხ.; ნაფი**ჩხვ** სვ...“ და ა. შ. სიტყვები. იხ. ეტიმ. ძიებანი. 1989 -გვ 50. ქ. ლომთათიძე.

ჩინ-ჩხვარ-ი ორწილედია: ჩხირ-ჩხორ-*ი (ო-ს დაშლა: შდრ. „...გოლა //> გვალა „მთა; ქორა //> ქვარა; .. ღორი > ღეჯი: ორ სუ-

ფიქსის გადმოცემა ეჯ-ით გაშუამავლებული უნდა ყოფილიყო ო-ს ვე-დ დაშლით: ღვეჯ > ღეჯ..“ ა. ჩ. შ.ლ; კომა // კუმა > „კვამლი") > **ჩხირ-ჩხვარი** > **ჩინ-ჩხვარი**.

ქართ. ნა-**კვერ**-ჩხალ // ნა-**კვერცხ**-ალ და მეგრ. ნა-**კვა**-ჩხირ „მუგუზალი“ სიტყვების **კვერ** და **კვა** (< **კვარ***) ძირების ამოსავალი < **ყუერ** და **ყუარ**-ია: იმგვარადვე – როგორც **სათესლე (– საკვერცხეების) ჯირკვლების** სახელებისა (იხ. გვ.): ეტიმ. ამოსავალი სახელდებისა, საკვერცხეებისგან გადააზრიანებული, ნაკვერცხლების სიმრგვალეა...

ჩხ-ს ალომორფები და სხივ შუქის-მნიშვნელობითი ველის სახელები

ჩხ-დან სიტყვათწარმოების ინვენტარი, მსგავსია, ნაცნობია და პროცესის შედეგობრივი გამოვლენა, ხშირ შემთხვევაში არამც თუ მოსალოდნელი, არამედ წინასწარ განპირობებულიცაა: წყალი სინათლის სხივის ამრეკლავია: პირისთვის რომელმაც არ იცის თუ საიდან მოდის ეს არეკლილი სხივი, ფაქტობრივად იგი წყაროა სინათლისა. ჰომინიდი მზის შუქს ტბებსა და მდინარეებში არანაკლები სიხშირით ამჩნევდა ვინემ ცაში, ვინაიდან ამ დროისთვის მას ცაში ახედვა არაფრად ესაჭიროებოდა, მტკნარი წყლები კი ძირითადი საკვებით – თევზეულით ამარაგებდა. მ. ე/ მოსალოდნელია **ჩხ-ს** მონაწილეობა, სემასიოლოგიურად სხივთან, სინათლესთან დაკავშირებულ სიტყვებში. **ჩხ** ბკ-ში წყლისა და მისგან არეკლილი სინათლის სხივის მნიშვნელობათა ქონების უტყუარი დასტურია ქართ. **ჩახ-ჩახ**-ი და **ჩინ-ჩხ**-ალ-ი // **ცინ-ცხ**-ალ-ი, რომლებიც ალომორფთა გაორკეცების წესით იწარმოებიან და რომლებშიც ეს მნიშვნელობები თანაბარი ძალითაა: **ჩახ-ჩახ**-ი წყლისა – წყლის **ჩუხ-ჩუხი** და **ჩახ-ჩახ**-ა სინათლე ანუ კაშკაშა სინათლე; **ცინცხალი** </// **ჩინჩხალი** წყლისა ანუ „შხეფი წყლისა“ და **ჩინჩხალი** // **ცხინცხალი** „ნაპერწკალი.“

ალომორფთა გაორკეცებით იწარმოება შემდეგი სხივ-შუქის სემასიის სახელები:

1. **ჩხარ-ჩხარი** ბ-ს დართვისა და პირველი ნაწილიდან **ჩხ**-ს დაკარგვისას იძლევა: **ბ-ჩხ**-არ-ჩხ-არ-ი > ბარ-ჩხ-**არი** //> ბარჩხალ-ის. შდრ. ბარჩხალია ბჟა // „ბარჩხალა მზე."

2. **ჩხ**-უარ-ჩხირ-ი (დუბლიკატიდან **ჩხ**-ს ამოვარდნა) > უარ-ჩხირ-ი (**უ > ვ და რ > ლ** იხ გვ.) > ვარჩხილი მეგრ. „ვერცხლი"; ვარ-ჩხილი //> ვერცხლი: (**ა > ე**);

3 **ჩხ**უარ-**ჩხ**უარ-ი ორივე **ჩხ**-ს დაკარგვით > უარ-უარი, **რ**-ს ლატერალიზაციით > **უარ-უალი** და ორივე **უ**-ს ლაბიალიზაციით > ვარ-ვალ-ის იძლევა, რომლის მეორე ნაწილი – **ვალ-ი** მეგრ. ელვაა და, იმავდროულად, გერმანელთა შუქის ღმერთის სახელია...

4. **ჩხერ-ჩხუარ-ი** იგივე ცვლილებებით რაც წინა მაგალითშია და **ება** სუფიქსაციით > ელვა-**რ**-ი* // ელვარ-**ება**-ს იძლევა, **ელვა** კი ელვა-**რ**-ს **რ** მოცილებული ფორმაა.

ჩხანა, ჩხანაფა, ნახუა, ჩახუა, რეცხვა, რჩხილი, ჩე, ხჩე, ჩხორია ჩხონა, ჩხონაფა, მეგრ. **ჩხან**-ა „მზიანი დღე"ა. აქ **ჩხან** ფუძე **ჩხარ***-ი-დანაა: **რ > ნ** ბრუნისა და **ი > ა-ს** შემდეგ: > **ჩხან–ი*** > ჩხან-**ა**, რომელსაც **ფა** სუფიქსი გადააქცევს **ჩხანა-ფა** „ცხუნებ-"ად.

ჩხ კომპლექსი **უა** სუფიქსაციის შემთხვევაში, იძლევა ალომორფ **ჩხ–უა**-ს, რომლის **ჩ**-ს გაუჩინარება და **ნა** პრეფიქსაცია: **ჩხუა*** > ხუა* > მეგრ. **ნა**-ხუა „რეცხვა" სიტყვას იძლევა. ასევე **ჩხ-უა*** ალომორფის **ჩხ** კომპლექსის გახმოვანებით მეორე ალომორფი ჩახ-უა იქმნება, რომელიც მეგრულში დღესაც უცვლელადაა შენარჩუნებული და ნიშნავს 1. სითხის ნჯღრევას; 2. მოცულობით ნივთში არსებული წყლის ნჯღრევით ამ ნივთის შიდა ზედაპირის რეცხვას: რეცხვისას საგნის ელფერი უმჯობესდება.

ქართ. **რე-ცხ-ვა**-ს შემთხვევაში, საწყის **ჩხი–რე***-დან ხდება **რე** მაწილის პრეფიქსად გადასმა (შდრ: **რი**-წა „ჰიდრ." < წა-**რი*** მეგრ. მოფერებით წყალი"; შდრ. **რე-ჩხი** „ჰიდრ." < ჩხი-**რე***), განმეორებითი **უა** სუფიქსაცია, **ჩ > ც** და **უ >ვ:** რე-ჩხი > რეცხ-**უა** > რეცხვა.

ჩხირ*-ი, რ დართული (შდრ: ჩე // **რ**ჩე მეგრ. „თეთრი") > **რ**ჩხი-**რი** >// რჩხილი –"გარეცხილი **საგნის**" გაგებას იძლევა, ხოლო ნახვილი „გარეცხილი **ტანსაცმელია**". **ანუ მეგრულში ტანსაცმლისა და სხვა საგანთა რეცხვის სახელები განსხვავებულია.** მეგრ. **ჩხორ–ია** „შუქი" **ჩხორ** ალომორფს შეიცავს, რომლის **რ > ნ** მონაცვლეობა და **ფა** სუფიქსაცია მეგრ. ჩხონა // ჩხონ-ა-ფა „ცხონება, ნეტარება, განცხრომას იძლევა."

ჩხონაფას ექვივალენტი **ჩ > ც-ს** შემდეგ ქართ. **ცხონებაა**: **ჩხონ** > **ცხონ + ება > ცხონება.** როგორცა ჩანს ამ ტერმინების დედააზრი

ნათლის დადგომა, შუქთმოფენა იყო. აკი ვამბობთ: „იქ ნათელი დაადგესა“ ღმერთები ხომ, ყოველთვის, ნათლის მთოველნი, უკუნის განმანათებელნი არიან: სწორედ ამიტომაცაა მაცხოვარში ჩხ-ს ბადალი – **ცხ:** მეგრ. **ჩხონაფა „ცხონება“**ტერმინში **ნეტარება–განცხრომას** შინაარსი გვიანდელია.

სისპეტაკე, სინათლე, სითეთრე სინონიმური ცნებები არიან, ამიტომ გასაკვირი როდია ტრადიციისამებრ, უფროსი თაობისადმი მოწიწების გამოსახატავად, მოხუცებულთა სახელდებად, როგორც მათი ქათქათა თმების პოეტური მეტაფორა მეგრ. // ლაზ. **ჩე, რჩე, ხჩე** „თეთრიდან“ რჩინუ // **ხ**ჩინუ „მოხუცი“ დამკვიდრებულიყო: იგივე სემანტიკურ სიბრტყეშია მეგრ. უჩაში //უნჩაში „უფროსი“და სვ. ხოშა ‚დიდი უფროსი“. ამ უკანასკნელის **ხოშ** იმაზე მიანიშნებს, რომ მეგრულში **ხ** დაკარგულია, ხოლო სვანურში **შ**-ს ადგილზე იყო **ჩ**: ანუ მეგრულში იყო **უჩხაში*** // უნჩხაში*, სვანურში კი **ხოჩა*** ა. შანიძემ მიანიშნა: **ხუცესის** „... მნიშვნელობა ძველად იყო „უფროსი“ (საეკლესიო პრაქტიკაში უფროსი მღვდელი, აქედან შემდეგ საზოგადოდ მღვდელი).. უფროსის მნიშვნელობით ახლაც გვაქვს ამ სიტყვის ფონეტიკურად შესაფერისი სიტყვები მეგრულ სვანურში, მაგ: უ-ჩ-ა-ში „უფროსი,“ სვ. **ხ**-ო-**შ**-ა „უფროსი“, „დიდი“. განმარტოებით შემორჩენილმა „ხუცესმა“ დაკარგა თავისი ფუნქცია და მისი თავკიდური **ხ** ფუძეში იქნა გადარიცხული:“ ყოველივე ეს და ქართ. მო**ხუცი** // მხცოვანის არსებობა საბაბს ბვაძლევს მეგრ. უჩაშ-ის **უჩხა**-ში*, ქართ მო**ხუცის** – მო**ხუჩი***, მხცოვანის – მ**ჩხოვანი*** და **ხუცესის ხუჩესი*** წინაფორმების არსებობა ვივარაუდოთ.

ა. ჩიქობავას მიხედვითაც, ლაზური **ხჩეს** და „...მეგრ. ჩეს ქართული ვარიანტი არის **ხცე** (< **პცე***), რომელიც „ჭალარას“ ნიშნავს და ამჟამად შემონახულია სიტყვაში „მხცოვანი“... იხ. ა ჩიქობავა „ზოგ. ენათმეცნიერება“ 1939 გვ. 103; „ჩე უქონლობის უ პრეფიქსაციით გვაძლევს მეგრ. უჩა „შავი“ ვ თოფურია შრომები 3 გვ. 538 „.

რიცხვი, ურიცხვი, ოჩქი, ოჩი, ოკა

როგორც ითქვა, სიტყვები: **ჩხერი, ჩახ-ჩახი, ჩუხ-ჩუხი**, მეგრ. **ჩხარ-ჩხალი** აშკარად ხმაბაძვითნი არიან. მ. ე, ოდესღაც, ამ სიტყვათა ძირი იყო **ჩხ** ბკ, ანუ, ჩვენი გაგებით, ამათ სუყველას დასაბამში **ჩხ** ეწოდებოდა. დღევანდელი ფორმები ამ სიტყვებისა შემ-

დეგი გართულებებია.მაგრამ **ჩხ**, პირველად, ერთ-ერთი სამეტყველო ხბ. სიტყვა თუ იყო, რატომ გვხვდება იგი ხმიანობის არმქონე მოვლენათა სახელსადებად? მაგ. **ჩხომი** „თევზი“ არ ხასიათდება რაიმე **ჩხ** კომპლექსის თუ სხვა ბგერათა სადარი ბგერითი გამოვლინებებით და მ. ე. მასზე ხმაბაძვით სახელდებაც შეუძლებელია. სწორია, მარა თევზი, რომლითაც იმ დროს ადამიანი ძირითადად იკვებებოდა, ცხოვრობს წყალში, რომელიც არის **ჩუხჩუხა**. თევზჭერისას კი ადამიანი წყალს უშუალოდ ეხებოდა და აღიქვამდა **ჩუხჩუხის** ხმებს მისას. ამიტომაც თევზსაც, იმ ეპოქაში, **ჩხ** ეწოდა.

მეგრულად, მზე **ჩხანა** სახელითაც იწოდება: მზეს წყალთან, თითქოს, არაფერი აკავშირებს, მაგრამ არის კავშირი და თანაც როგორი: პირველი ადამიანი ეს ესაა გამოეყო ცხოველთა სამყაროს და განუვითარებელია. მისთვის მნიშვნელოვანია უწინარეს ყოვლისა კვებასთან ასოცირებული მოვლენები, უპირატესად, მათ ამჩნევს და სახელდებასაც ახდენს მათსაც. ამიტომაც მზე მისთვის ისეთივე ხშირი და ადვილად აღქმადია, სწორედ, წყალში თევზაობისას. ამიტომ, **ჩხ** ეწოდა წყალს, თევზს და მზესაც. ამითაა განირობებული **ჩხ** კომპლექსის არსებობა სიტყვებში მეგრ. ჩხანა „მზე, მზიანი“, **ჩხ**ორია „ შუქი“, მეგრ. // ქართ. ბარ**ჩხ**ალი და ა. შ.

„ადამიანმა მაღლა გვიან რომ აიხედა“ ეს მეცნიერულადაა დადასტურებული. ამგვარად, როგორც ადვილად შესამჩნევია, მზე არა მაღლა ახედვით, არამედ ქვევით სუფთა წყალში,, ეგრევეა ადვილად აღქმადი ვარსკვლავები, იქვე –. ამიტომ, მური**ცხი** მეგრ. „ვარსკვლავი“ სიტყვაში **ცხ**-ს ადგილზე, უდაოა, იყო – **ჩხ**: ანუ იყო – მური**ჩხი**: შემდეგ, ამ ადვილად შესამჩნევ ობიექტთა სახელდებების დარად იქმნებიან აბსტრაქტული სახელებიც:.მური**ცხ**-ი „ვარსკვლავი“ რაკი სიმრავლის სიმბოლოა, ამ სიტყვისაგან წარმოიქმნა აბსტრაქტული მათემატიკური ტერმინები **ურიცხვი და რიცხვი:**

მურიცხ-ი > ურიცხ-ი* > ურიცხვ-ი; **ურიცხვი** > რიცხვი. აქ ეს ცვლილებები იმდენად ნათელია, არა თუ დამოწმებას არ საჭიროებს, არამედ თავადაა საბუთი სხვათა დასამოწმებლად: მაგ მურიცხი რომ ურიცხვი სიტყვას იძლევა, განა საეჭვოა?... მ. ე. მურიცხი სიტყვამ საწყისი **მ** თანხმოვანი დაკარგა,, რაც იშვიათად ხდება...

სხვა მაგალითები: თავად მეგრულ აბქსტრაქტულ სიტყვაში **ჩქ**, რაც უდრის „ჩანს,“ **ჩქ** კომპლექსის ადგილზე იყო **ჩხ**. (**ჩხ** კომპლექსის **ჩქ** ცვლილება აღწერილია იხ გვ. 206).

დამეთანხმებით: თუ წყალში ყველაფერი **ჩანს** (ხოლო წყალს **ჩხ** ეწოდება), რას უნდა მიუსადაგოს, უთავდაპირველესად, თავადვე უთავდაპირველესმა ადამიანმა პროცესი **ჩენისა, დანახვისა** თუ არა იმას რაშიც **ჩანს** ყოლიფერი?... – რა თქმა უნდა წყალს, რომელსაც **ჩხ** ქვია. ანუ **ჩხ** წყალი, ქართ. // მეგრ **ენ // ინ** მაწარმოებლის მეშვეობით, გადააზრიანდა ქართ. **„ჩენა“** // მეგრ. **ჩქინა** სიტყვად: **ჩხ**-ენ-ა *> ჩენა (ხ-ს დაკარგვა იხ გვ.); **ჩხინა*** > მეგრ. ჩქინა: მეგრ. **ბჩქგქ, ჩქგქ, ჩქგ** = „ვჩანვარ, ჩანხარ, ჩანს."

ქართ. **ჩ**ენა და მეგრ. **ჩქ**ინა სიტყვებში **ჩ : ჩქ**. შესატყვისობაა: ენათმეცნიერებაში გაზიარებულია თითქოს მეგრ **ჩქ** იყოს ქართ **ჩ**-ს რეფლექსი. მაგრამ, როგორც აქვე ვანახეთ ქართ. **ჩ** და მეგრ, **ჩქ** კომპლექსიც **ჩხ** წარმომავლობისაა. ანუ ქართულის შემთხვევაში, **ჩხ** კომპლექსიდან **ხ** დაიკარგა, ხოლო მეგრ. – **(ხ** ბგერა) **ქ** ბგერის სახით შენარჩუნდა: აი, რითაა გამოწვეული ეს **ჩ : ჩქ** შესატყვისობა.. ანუ ჩვენ დავადგინეთ **შესატყვისობის ნარმოქმნის მიზეზები.**

შემდეგ გადააზრიანება გრძელდება და მეგრული **ჩქინა „ჩენა“** იძენს ახალ გაგებას – ესაა **რჩქინა** – **„ცოდნა“**: ჩქინა „ჩენა“ > **რ**ჩქინა „ცოდნა „აშკარაა და საკამათო არაა...

ახლა კი დავსვათ კითხვა: რატომაა რომ სლავურ ენებში ადამიანის ანატომიური ორგანო სახელი – **თვალი** (მაგ. რუსულად) **„ოკა"**-ცაა და **„ოჩი"**-ც?. – ეს იმიტომ, რომ **ოკა**-ც და **ოჩი**-ც მეგრულია და მათი საერთ წინაფორმა იყო – **ო-ჩქგ // ო-ჩქი.*თვალი“ ("ზედმინ. = სა-ჩენი):** ეს სიტყვა – **ო-ჩქი***, „თვალის“ მნიშვნელობით, დღეს მეგრულში ხმარებაში არაა, მარა **ჩქგ** თუ არის „ჩანს“, **ჩქინა** თუ არის „ჩენა“, ოჩქგ // ო-ჩქი თუ არის „საჩენი“ თვალი რა არი თუ არა **საჩენი, შემნიშვნელი ყოვლისა?** ხოლო ეს **საჩენი** მეგრულად, დღესაც, გახლავთ **ოჩქგ**...

თუ თვალი იყო **ოჩქგ**, მან, ერთ შემთხვევაში, დაკარგა **ქ** და დარჩა ოჩი სახით (ოჩქგ > ოჩგ // ოჩი); მეორე შემთხვევაში, ოჩქგ სიტყვამ დაკარგა **ჩ** და დარჩა (ოქგ* >) ოკა სიტყვის სახით. **ოჩი და ოკა,** ორივე, როგორცა ვთქვით, სლავურ ენებშია შენახული...

სხვათაშორის, დღეს სათვალეს სახელად, მეგრულად, **ოთოლე** უნდა ვიგულისხმოთ, მაგრამ მეგრელები ჯიუტად **ოჩქი**-ს ხმარობენ და გონიათ რომ რუსულ სიტყვას უხმობენ...

სარკეს დამზადებაში კოლხები ერთ-ერთი პიონერები არიან.

გარდა ამისა, **სარკე** როგორც გამ-ჭვირვავალე საგანი და მეგრული ტერმინი **სარკილი** აზრობრივად მსგავსნი არიან: **სარკილი ცა** არის „ულრუბლო // გამჭვირვალე ცა – **„მოსარკული"**; სარკე ხომ გამ-ჭვირვალეა. ამიტომ, აბსტრ. ტერმინი **სარკილი** და საგნის აღმნიშვნელი – **სარკე** ურთიერთმადასტურებელნი არიან. როგ-ორცა ჩანს კოლხები **სარკეს** „მინას" უძველეს ეპოქებში ხმარობდნენ საგნის უკეთ დასანახავად ანუ მეგრულად **ო-ჩქდ** „გამოსაჩენად:" ამგვარად, **ოჩქი** „სათვალე", **ოკა** სლავური „თვალი" და **ოჩი** „თვალი", ოდინდელი, მეგრული სიტყვები გახლავან....

კოლხური თეთრი და ჩხ-სთან დაკავშირებული სახელები

პროფ. გ. შენგელიამ მეგრ. // ლაზ. **ჩე** და **ხჩეს** დაუკავშირა ცნობილი კოლხური ნუმიზმატი-კური ერთეულის მარჩილის სახელდება, რაც პრესაში, მთლიანობაში, უმართებულო კრიტიკის საგანი გახდა: მართლაც რა უნდა ჰრქმეოდა კოლხურ თეთრს? – თუ დღევანდელი ცივილიზა-ციის ეპოქაში გამოინახა ასეთი სახელი – „კოლხური თეთრი", როგორც მისი ფერის მიხედვით მახასიათებელი, რატომ ვერ შეაპირობებდნენ ჩვენი წინაპრები კავშირს სახელსა და საგანს შორის? რის საფუძველზე უნდა ვიგულისხმოთ რომ მათ ამისთვის სათანადო ლოგიკური დასკვნის გამოტანა არ შეეძლოთ? – კოლხური თეთრის, როგორც ვერცხლის ფულის, ძირითა-დი ნიშან-თვისება ხომ მისი ბზინვარებაა. ეს კი მეგრულ-ლაზურ **ჩე // ხჩე** „თეთრ"-თანაა დაკა-ვშირებული. უფრო სწორედ, ის დაკავშირებულია მეგრ. **ჩე // რჩე** „თეთრი"-ს ოდნაობით ხარისხთან, კერძოდ, მორჩე // მორჩელ-ი"მოთეთრო"-სთან: აქ **მო-ე და მო-ელ** ზედსართავის ოდნაო-ბითი ხარისხის მაწარმოებლები არიან.(იხ ი. ყიფშიძე „Граматика Мегрельского языка с хресто-матиеи и со словарем" 1914 გვ 134). შდრ: მეგრ. ჭითა „წითელი" – **მო-ჭით-ე** „მოწითალო;" თირი „თოვლი" – **მო-თირ-ელ-ი** „მოთოვლილი;" ლეხი „ავადმყოფი" – **მო-ლეხ-ელ-ი** „მოავადმყოფებული:" „კოლხური თეთრი" მოთეთრო ვერცხლის ფული იყო და ამიტომ შეირჩა მისი სახელი – მორჩე „მოთეთრო" იგივე – მორჩელი. ამ უკანასკნელის **ო > ა** (იხ გვ.) და **ი > ე** (ქისა > ქესა) გადასვლით **მორჩელ-ი > მარჩილი** განხორციელდა.

თუ ისევ ჩამოვთვლით მნ-ით სინათლესთან ასოცირებულ

სიტყვებს – **რჩხუალა // რეცხვა; მეგრ. // ქართ. ბარჩხალი; ვარვალი // ელვარება; ჩხორია „შუქი"; ვარჩხილი „ვერცხლი"** ვნახავთ: ესენი იმ ნიშან-თვისებას არიან რითაც ხასიათდებოდა ვერცხლი, როგორც სინათლის სხივის ამრეკლავი.

სამეგრელოში, დღესაც გავრცელებულია, გაუგებარი თქმა: **მუთუნ ქესა მორჩელით** – „ვერავითარი ქისა მოთეთროთი.". (გ. კვარაცხელია). ბოლო სიტყვა სხვა ვარიაციებშიც – **მარჩილი, მარჩიელი** წარმოითქმება. ეს სენტენცია ყოველთვის ესადაგება წარმოსათქმელ სიტუაციას და გამოხატავს მთქმელის მიერ გატარებული ღონისძიებების უმწეობას, როცა ჭირდება პროტექციით, ქრთამით, და ა. შ. მიაღწიოს რაიმე მიზანს. იტყვიან: **თე კოჩქ მუთუნ ქესა მორჩელით ვადმაღუნ** „ეს კაცი ვერავითარი ქისა მორჩელით „მოთეთროთი არ დამყვა." ამ თქმაზე სიტყვა იმიტომ გაგვიგრძელდა, რომ იგი მიგვაჩნია 26 საუკუნის წინანდელ „კოლხური თეთრის" დროინდლად და, მ. ე. **მორჩელი > მარჩილი** მოვლენების რეალობის დასტურად: საერთოდაც, თუ არსებობს ფულის თეთრი ფერის ნიშნის მიხედვით საყოველთაოდ აღიარებული ტრადიცია საჭიროა ვიკვლიოთ ამ ტრადიციის საწყისები, სადაც **ჩე // ხჩე // რჩე** და ამათ ოდნაობითობის აღმნიშვნელ ფორმებს, თავიანთი თავისთავადი და უუძველესი წარმომავლობის გამო, კანონიერი პრეტენზიები გააჩნიათ..

ჩხ ბგერათკომპლექსი და მდედრობითი სქესის ზოგიერთი სახელები

წარმოვადგენთ საწყის ალომორფთაგან ნაწარმოებ 2 ჯგუფს:
1. ცხორი, ცხვარი, ჩხოუ, ჩხუ, ძროხა, ზროხა,ჩხური, შხური, ცური;
2. ჩილი, ცირა, ცოლი, ქალი.

მეგრ .ჩხოუ // ჩხუ „ძროხა"-ს თუ რ-ი სუფიქსაციამდელ ფორმად მივიჩნევთ მაშინ ეს იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ ძროხის მოშინაურობისას რ-ი სუფიქსაცია ჯერ არ იყო დაწყებული, მაგრამ მრავლობითში გვაქვს ჩხოულ-ეფ-ი „ძროხები", რაც ჩხოუ // ჩხუ-ს წინარედ ჩხოულ ფორმას აღადგენს.

ძვ. ქართულში დაცულია ზროხა რომელიც დასახელებულ მეგრული შესაბამის სახელებისგან განზე დგას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რ და ხ-ს ადგილმონაცვლეობას, წინარედ აღდგება – ზხორა. აქ ძვ. ქართ. ცხორი და ის ფაქტი რომ ჭან. ჩხური „ცხვარი" და მეგრ ჩხუ „ძროხა" ჩხ კომპლექსს შეიცავენ გვიადვილებს მივ-

ხვდეთ იმდაგვარადვე ძვ. ქართ. ცხორ-ის ცხ-ს და აღდგენილი ზხორა*-ს ზხ-ს ადგილზე იყო ჩხ. ამგვარად: პირველი ჯგუფი:

1. ჩხურ-ი > ჩხუ მეგრ. „ძროხა"; 2 ჩხური ჭან ცხვარ-ი (გ როზენი) > შხურ-ი მეგრ. ცხვარი; 3. ჩხორი (რაკი მეგრულში ჩხოუ და ჩხუ გვაქ, მათ ოუ და უ-ს ადგილზე წინათ იყო ო)> ჩხოური > ჩხოულ*-ი „წინაფორმა მეგრ.. ჩხოუ „ძროხასი;" 4. ჩხუ-რ-ი > ჩხუ მეგრ. „ძროხა;" 5. ჩხორ > ცხორ ძვ. ქართ. (მთიულური) „ცხვარი"; შდრ. მთიულური თოლი > თვალი; კოლი > კვალი. იხ ა ჩიქობავა. ჭ. მ. ქ. შ. ლექსიკონი გვ 45-46. ძველ ვითარებას ო გვისახავს; 6. ჩხორ > ცხორ* (ხ სპირანის ზეგავლენით ც > ს // ზ გამარტივება, შდრ: სვ. დიცხ > ზისხ „სისხლი"; ჭან. დიცხირი > მეგრ. ზისხირი) > ზხ-ორ* „წინაფორმა ძვ. ქართ. ზროხ-ა ფუძესი;" 7. ძვ. ქართ. ზროხა > ახ. ქართ. ძროხა (ზ > ძ შდრ: მეზობელი > მეძობელი; წელზე > წელძე; სოფელში > სოფელჩი (ბ. ჯორბენაძე);

მეორე ჯგუფი: 1. ჩხურ-ი > ცხურ*-ი > ცურ-ი; 2. ცხურ + ება > ცხურ-ება* > სხურ-ება; 3. ჩხ-ორ-ი > ჩორ*-ი > ცოლი (ისტორიულად ოლ ილ ძირის კუთვნილება არ ყოფილა. ა. ჩიქობავა ჭ.მ.ქ.შ.ლ. გვ. 45-46); 4. ჩხარ-ი > ჩხალ-ი > ჩქალ-ი > ქალ-ი; 5. ჩხ-არ-ი > ხ-არ-ი მეგრ. შორისი; 6. ჩხ-ურ-ი > ჩ.რ-ი „ქალის გარ. სასქ. ორგანოს მეგრ. სახელი;" შდრ. მეგრ. ჩურ-უა // ნჩურ-უა (< ჩხ-ურ-უა*) ცურვა". 7. ჩხ-ირ-ი > ჩ-ირ*-ი > ცირ-ა მეგრ. „გოგო"

თუ პირველი ჯგუფის ჩლიქოსანთა სახელებს რძე, როგორც სითხე აკავშირებს ალომორფთა სემანტიკას, ხოლო წველისას ალმოცენებადი ხმები მათ ფონეტიკას, მეორე ჯგუფის – ცოლი, ქალი, მეგრ. ცირა „გოგო", ხარ-ი „შორისი," ჩ.რ-ი სემასიური კავშირი განპირობებულია ასევე რძით, ხოლო ფონეტიკური შარდვის ფიზაქტისას გამოცემული ჩხ... ჩხ... ხმიანობებით.

ამის უცილო დასტურია მეგრ. ჩურ-უა (< ჩხ-ურ-უა*) და ქალის გ. ს. ო. ბ. მეგრული სახელი, რომელიც თანხვდება სომხურ წყლის მნ-ის ჯურს, რაც ჯერ კიდევ ნ. მარმა დააფიქსირა.

სიტყვების – სლ. Матъ // გერმ. Mutter „დედა" და ქართ. მ.ტ.ლ სიტყვათა წარმომავლობა

ეტიმოლოგიის დიდმა გროსმაისტერმა, ბატონმა არტემ ივანცოვმა გამოხატა სრულიად მართებული შეხედულება მუტ ძირის

ქართველურ ი. ე. პარალელების თაობაზე: ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იგივე გააკეთა ვლადიმერ ალფენიძემ.

ჩვენ კი ვამტკიცებდით, რომ რუს. **maT** მათ, გერმ. **mutter** მუტტერ და ქართ. ვულგ. მეტყველებაში ქ. გ. ს ორგანოს სახელი – მუტ.ლ ქართ. **mut მუტ** ძირისაგან მომდინარეობენო, მაგრამ რატომ არა პირიქით? – კითხვა რეზონულია. ვპასუხობ:

წყალს მეგრულში გააჩნია სინონიმები: – **წკ-არ, წყარ, წალ, წა,** ხოლო კავშირი წყალსა და ქ. გ. ს. ორგანოს შორის, როგორც ითქვა კავშირი ჯერ კიდევ დიდმა ნიკო მარიმ შეამჩნია. ეს მით უფრო დასაფასებელია რამეთუ შესადარებლად სიტყვები აღებულია ისეთ დაშორებულ ენებიდან როგორიცაა ქართველური – მეგრული **ჩურ** „ქალის გ. ს. ო. ვულგ. სახელი"და ი. ე. – სომხური **ჯურ** „წყალი". თუმცა აღმოჩნდა რომ ეს კავშირები გაცილებით ფართოა. შდრ: მეგრ. **ფსუმა** „შარდვა" და **აფსო** „მდედრ. სქესის ცხოველთა გარეთა ს. ორგანო;" სლ **პის, პის** „მოშარდვისკენ მოწოდება" და რუს **პიზ.ა** „ქალის გ. ს. ო ვულგ. სახელი".

ამოსავალია მეგრ **წალ–ი** მოფერებით"წყალი". **მ**-ს დართვა შდრ. წვა – წვადი და **+ მ** > მწვადი. **მ** დანართმა მნიშვნელობა შეცვალა: **წვა და წვადი** „ის რაც იწვის" > გახდა **მწვადი**. ანუ **მ** დანართი, ამ შემთხვევაში, მნ-ის მადფერენცირებელია. ამგვარადვე წალი სიტყვაზე **მ**-ს დართვამ მნიშვნელობა შეცვალა და > **მწალ-ი*** გახმოვანებით გახდა > **მუწალი*** //> **მუტ**...ი ქართ. „ქ. გ. ორგანოს სახელი," სლ. **მათ** „"დედა" და გერმ **მუტტერ** „დედა".

ამ-ი + ურ–ი მაწარმოებლებიანი სახელები

ყოლა-ქონები **ამი,** სუფიქსისაგან ნაწარმოები სიტყვების მაგალითია: გურ–ი + **ამი** > მეგრ გურ-**ამი** „გულიანი, გულადი;" **შურ–ი + ამ–ი** „სუნიანი" და **ქურ**-ი „ქუსლი" + **ამ**-ი **ქურ–ამ**-ი „ქუსლიანი". ამ უკანასკნელს თუ **ურ**-ი დაემატა, ისე როგორც მეგრ. **გოლა + ურ** > **გოლ–ურ–ი** „მთიელი", მაშინ ვღებულობთ ორ – **ამ და ურ** სუფიქსისაგან ნაწარმოებ მეგრ. ქურ-**ამ–ურ** „ქუსლისებურ" სიტყვას რაც დიდმნიშვნელოვანია რამეთუ, იმავდროულად გრდემლსაც ნიშნავს. აქ ღირსსაცნობი ის გარემოებებია, რომ ჩვენსერამდელ კოლხურ გრდემლს ზუსტად ქუსლის ფორმა გააჩნია. და რატომ გააჩნია

კოლხურ გრდემლს ქუსლის ფორმა? – იმიტომ რომ ქუსლი წრის ფორმის ქონების გამო, ტერფთან კომპლექსში ვერტიკალურ მდგომარეობაში იდეალურად იჭერს სხეულს ადამიანისას. მყარ საგანზე დაბჯენილი წრის ფორმის საბჯენის მქონე გრდემლი მაქსიმალური სიდიდის ზედაპირით აწვება და ამიტომ ნაკლებად ესობა ამ საგანზე... აი, რატომაც ქონდა უძველეს გრდემლს ქუსლის ფორმა.

ამგვარად, მეგრ. ქურამურ // ქულამურს „ქუსლისებურს, გრდემლს“ გააჩნია სახელდების განმაპირობებელი სემანტიკა ქართ. **გრდემლს** კი არა, ამიტომ ეს უკანასკნელი მიღებულია პირველისაგან. ბგერითი ცვლილებები შორი და რთულია, მარა მეგრ. სახელის ეტიმოლოგიური ამსავლიანობა იმდენად ნათელია **ქურამური > გრდემლი** გარდაქმნის ბგერითი ცვლილებები თავადაა სხვა ამდაგვარ ცვლილებათა დამოწმება. აი, ისინიც (**ქ > გ, დ**-ს დართვა და ინფიქსში გადასვლა, **ა > ე, რ > ლ** და კვეცა): **ქურამურ > გურამურ > დგურამურ > გურდამულ > გრდემლ.**

ვიმეორებთ: ქართ. გრდემლ სახელის მიღება ხანგრძლივი და რთული პროცესია მარა ეს კოლხური მეტალურგიის ანუ მეგრ. ქურამურის სიძველითაა განპირობებული:

იმდაგვარადვე, როგორც ქურ-**ამ-ურ**-ის შემთხვევაში, **ჩხირ** ალომორფს, მაწარმოებლად თუ დაემატა ყოლა-ქონების სუფიქსი **ამ-ი + ურ**-ი ვღებულობთ **ჩხირ-ამ-ურ*** > ჩირამ-ურ // ჩილ-ამ-ურ მეგრ. „ცრემლ-ის“: ხოლო **ჩირამურ**-იდან ქართ. **ცრემლის** მიღებისას, **ქურამურ**-იდან **გრდემლის** მიღების მსგავსი (**ა > ე, რ > ლ, კვეცა**) მოვლენები ვითარდება: ჩირ-ამ-ურ > ცირამულ > ცრემლ.

მეგრულში, **ამ + ურ** რთულ სუფიქსისაგან იპოება სხვა იდენტური გენეზის ტერმინები, ოღონდ ამოსავალია წყლის მნიშვნელობის **წ** ბგერის ალომორფები: **წოლა** მეგრ „ჭვარტლი“ + **ამ**-ი > წოლ-ამ-ი „ჭვარტლიანი:“ პლიუს **ურ**-ი > **წოლ-ამ-ურ**-ი (ასიმ.) > წალამური „სხვენზე და კედლებზე ჭვარტლისა და მტვრის ძაფები.“ თითქოს რა შუაშია აქ **წ**-ს ალომორფები, მაგრამ ეს მეგრ. ფორმები – წოლამური //> წილამური // წალამური სახეზე ცრემლის ღარებსაც აღნიშნავს და, მაშასადამე, ეტიმ. ამოსავალი ეს მნიშვნელობა გახლავთ.: **წორ* > წოლ // წილ // წალ.**

ჩ > ც პროცესის მადასტურებელი მასალა

ხველის უპირობო რეფლესის განხორციელება ხასიათდება **ჩხ** ბგერების წარმოქმნით. უდავოა: მეგრ. **ხვალუა** // ქართ. „**ხველა**"; რუს. **ჩიხოტკა** „**ტუბერკულიოზი**" (ეტიმ. სახელდებისა დაკავშირებულია ხველასთან, რომელიც **ჩიხ** კომპლექსითაა იმიტირებული.); **ჩიხანიე, ჩიხათ, აპჩხი** // მეგრ. **ჩიონი** (< **ჩხიონი***) „ცხვირისცემინებას" საერთო **ჩხ** საწყისი გააჩნიათ;

ბევრჯერ ითქვა, რომ **ჰ**-ის შემეცნებაში, ობიექტი აღიქმებოდა იმად თუ რა ბგერითი მოვლენებით ხასიათდებოდა. უკთ რომ ვთქვათ, ნებისმიერი საგნის, მოვლენის და ა. შ. ნებისმიერ აღქმას ის ამ საგნის, მოვლენის და ა. შ. შესაბამის ბგერით გამოვლინებას უიგივებდა და იგივე ბგერების მიბაძვით სახელდებდა. ასეთი მაგალითები მრავალი დავასახელეთ. მათმაგვარია ქართული **ჩხნდე** „მდინარეში ჩახერგილი წვრილი ხეები," რომელიც, უთუოდ, ვიწრო კალაპოტის მდინარესთან დაკავშირებული სახელია, რადგან ჩახერგილი ხეები, განსაკუთრებით ვიწრო მდინარის, ინტენსიურ ჩუხ-ჩუხს განაპირობებს. **ჩხნდე** ნაკუმში მონაცემია და ადვილად აღდგება საწყისი ფორმა **ჩხერე***. (**რ** > **დ** იხ. ქვემოთ) > **ჩხედე*** (**ნ**-ს ჩამატება იხ. ქვემოთ) > **ჩხნდე**. ჩახერგილი ხეები ნაპირიდან ნაპირზე გადასასვლელადაც გამოდგებოდა. ამიტომაც იქნებ გამართივებით: **ჩხედე*** წინაფორმიდანაა ხიდი **ჩხედე*** > **ხედე*** (პროგ. დის.) > **ხიდი**. ან დასაშვებია იგი **ჩხირ**-ი*-დანაა. აქ ყველგან მხოლოდ ხაზობრიობაა გარანტირებული, ნიუანსებში კი აბსლუტური სიზუსტის დადგენა შეუძლებელია.

ჩხირ-ი* (**ნ**-ს ჩამატება: შდრ. მწერი > **ჭანდი** // **ჭანჯი** მეგრ."ბუზი;" ფსკერი // მეგრ. ქვინჯი) > **ჩხინრი*** (**რ** > **ჯ** ცნობილია: მარი, აჭარიანი, შანიძე,, როგავა დაა. შ. „...**რ** სონანტის გააფრიკატება – **რ** > **ჯ** პროცესის სიძველის ერთ-ერთი მაჩვენებელია ძველ სომხურში ზანურიდან შეთვისებული სიტყვები, როგორიცაა ბუზის აღმნიშვნელი სახელი **ჭანჭ** // **ჭანჯ** (ნ. მარი რ. აჭარიანი;"), მეორე მხრივ **რ** > **ჯ** ზანური პროცესი დასტურდება ძვ. ქართ. წყაროების მიხედვით. სახელდობრ საქართველოს ძველი ქალაქი **არტანუჯი**, როგორც ეს ა. შანიძეს აქვს დადგენილი, ზანური წარმომავლობის ტოპონიმია ... არტაანიშ ყუჯი (<**ყური***>) > **არტანუჯი**.

იხ იკე 28 გვ,132; ა. შანიძე „ჯ ბგერის წარმოშობის წყაროები ქართველურ ენებში...") > **ჩხინჯი*** (ჩ-ს ამოვარდნა. იხ. ქვემოთ) > **ხინჯი** მეგრ „ხიდი"; ქართული **ხიდი**-ს მიღების შემთხვევაში, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ **ნ** არ ჩამატებულა და მოხდა **ჯ > დ** (შდრ. ცუნჯი > ცუნდი მეგრ. „ნამი"; ჭანჯი > ჭანდი მეგრ. „ბუზი"): ჩხირი* > ჩხიჯი > **ჩხიდი** > ხიდი;

მეგრ. // ქართ. **ჩხვინდი // ცხვირი** იქნებ **ჩხურირი* ან ჩხორ*** საწყისიდან არიან: **ჩხორ***ი (ო-ს დაშლა. იხ. ქვემოთ) > **ჩხვირი*** (**ჩ > ც!**) **ცხვირი**; **ჩხორი* ნ** ჩაემატება და მოხდება **რ > ჯ და ჯ > დ:** > ჩხვირი* > ჩხვიჯი* > ჩხვინჯი > // ჩხვინდი.

ჩხნდე, ხიდი, მეგრ. ჩხვინდი // ჩხვინჯი იდენტური ცვლილებებით მომდინარეობენ, რაც თავისთავად მტკიცებითი ღირებულებისაა:

როგორც ვიცით, ცხვირის ლორწივანი გარსის ანთების – რინიტების დროს ცხვირით სუნთქვა **ხ** და **ჩხ** ხმაურით ხასიათდება. სახელდების პრინციპად, ბუნებრივია, ორგანოს ფუნქციონირების დროს წარმოშობილ ხმებისადმი ხმაბაძვა. ამიტომ საწყისი ალომორფის **ჩხ** კომპლექსის **ჩ** მეგრულში კანონიერადაა შენარჩუნებული, ქართულში კი – **ც**-დ ცვლილი. ე. ი. **ჩ > ც** მიმართულებაა სწორი.

ცხ > ჩხ პროცესის მაგალითები

როგორც ზემოთ ვანახეთ, **ჩხ** სპეციფიურია მთელი რიგ **ჩხ...ჩხ...** ხმიანობის ხმაბაძვისას. **ცხ** კომპლექსის მიერ, ზუსტად იგივე მეორდება ქართ. **ცხიკინ-ი > ჩხიკინ-ი** და **ცუცხური > ჩუჩხურის** შემთხვევაში. ასეთივე თვისებას ავლენს იგი სიტყვებში: მეგრ. **ცხაბარი** „კანწრა;" ბირ**ცხა** // „ფრ**ჩხილი**." ნათელია: **ცხ** კომპლექსი უკეთ ესადაგება **ცხიკინ-ჩხიკინ-ფხანა-კანწრის** ხმაურს, ამიტომ, აქ სწორია **ც > ჩ** მიმართულება. ა. ჩიქობავას მიხედვითაც, ბირ**ცხა** // ფრ**ჩხილ**-ის შემთხვევაში, „ქართ. შეკუმშული ფუძე მეორეული მონაცემია." იხ. ქ. დ. გვ 228. ბ. ჯორბენაძე.

ფხანა, ფხაჭნა // მეგრ **ხვატ-უა** // **ხვატ**-აფი წარმოადგენს ბუნებრივ ჩვევას, დამკვიდრებულს კანის საფარის ნერვული დაბოლოებების გარეგანი თუ შინაგანი გამღიზიანებლებისგან გაღიზიანების საპასუხო ქცევებით. აქ ამოსავალი **ხ** ბგერაა თუ **ცხ** კომპლექსი

ძნელი გასარჩევია. მაგრამ იმ ფაქტს, რომ ადამიანის ანატომიური ორგანოს – მეგრ. ბირცხას „ფრჩხილ-ის" სახელდების პრინციპად გამოყენებულია თვით ამ ორგანოს ფუნქციონირებისას – **ცხაბარ-**ისას ("ფხაჭნა-კანკრის") ხმებისადმი ხმაბაძვა, მითუმეტეს თუ ანატომიური ორგანოსა და მისივე ქმედების ამსახველი სახელი აგებულებით მსგავსია (ხდება ორწილედ კომპონენტთა სიმეტრიული შებრუნება: **ბირ-ცხა // ცხა-ბარ**), აქვს უტყუარი მტკიცებულებითი ღირებულება მათ **ცხ**-ს ხმაბაძვით წარმომავლობაზე.

შევადაროთ ერთმანეთს მეგრ. // სვ. // ქართ. სიტყვები – **ბირ-ცხა // ცხარა // ფრჩხილი; რცხონუა // ლირცხენე // ვარცხნა; ორ-ცხონჯი // ნაცხნირ** // სავარცხელი; მეგრ. **ბუცხი, ბოცხი, ფოცხი** // სვ. **ცოცხ** (< **ცხოცხ***) // ქართ. **ცოცხი** (< **ცხოცხი**) და ა. შ. იგივრ ბგერებათა დისპოზიციაა ქართ. **ვარცხნა** // სვ. **ლირცხენე** // მეგრ. **რცხონ-**უას ძირები. მათ **ცხ**-ს შეეზარდა **რ** დასაბამისმიერი და **ნა, ენ, ონ** აფიქსები; ასეთივეა მეგრ. **ბირცხა** და სვ **ცხარა**, ოღონდ მეგრ. **რცხა** ნაკუმშია: **ცხარა* > რაცხა* / > რცხა.** ბგერითი აგებულებით ამ მსგავს სიტყვებში ჩადებულ შინაარსს განაპირობებს **ცხ** ძირი, ვინაიდან მისი წარმოთქმის დროს წარმოშობილი ჰაერის ბგერითი რხევების სპექტრი, **ჩხ** ბკ-სთან შედარებით უფრო ემთხვევა **ფხანის, ფხაჭნის, ვარცხნის, გვის** და ა. შ. პროცესთა ხმაურს. ანუ ამ სიტყვების ფ. ს განპირობებულობა ამტკიცებს **ჩხ** ბკ-სთან მიმართებით **ცხ** ბკ-ის უპირატესობას, იმგვარადვე, როგორც მეგრ. **ჩხ**ვინდი // ქართ. **ცხ**ვირიში, იმავე მიზეზთა გამო, **ცხ**-ზე ჩხ-ს უპირატესობაა. მაგრამ ეს პირველში **ც > ჩ** და მეორეში **ჩ > ც** მოვლენის განხორციელებას ადასტურებს. ეს კი ეწინააღმდეგება ა. ჩიქობავას ცნობილ დებულებას მასზედ, რომ თითქოს **ქართულ-მეგრულ ბგერათშესატყვისობებში, ენის წვერის ნაცვლად, მეგრულში ენის ზურგის ამოქმედების გამო, არტიკულაცია უკანაა გადაწეული ანუ თითქოს ბგერითი ცვლილებები ქართულიდან მეგრ-ულისკენაა. ტოტალურად მიმართული.** ამ და სხვა მაგალითებში საწინააღმდეგოს ჩვენება ჩვენ-თვის თვითმიზანს არ წარმოადგენს და განპირობებულია ერის ეთნოგენეზის მითაჟამისდრო-ინდელი – 2 მილიონზე მეტი წლის ხნოვანებიდან. ანუ მეორე სასიგნალო სისტემის ჩასახვა-აღმოცენების დაწყების დროიდან არსებობის მტკიცებისათვის საჭირო ლინგვისტური ინვენტარისა და სხვა ზუსტი

ფაქტობრივი მასალების წარმოჩენის აუცილებლობით.

ა. ჩიქობავას მიხედვით ბგერათშესატყვისობებში არსებობს ბგერათა ცვლის 2 გზა: „... 1. შესადარებელი ენებიდან ამოსავალი წინანდელი სახე დაცული აქვს ერთ-ერთ ენას (ან ენათა ჯგუფს). 2. სხვა შესადარებელი ენებიდან ამოსავალი ვითარება არც ერთს არა აქვს დაცული, ყველგან შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი...“ და მან გადაწყვიტა, რომ ენათა ქართვ. ოჯახის ქართ. : მეგრ. შესატყვისობებში წინანდელი სახე დაცული აქვს ქართ. ენას, ხოლო მეგრულში ყველგან შეცვლილია. მაგრამ ჩვენ ვაჩვენეთ და ვაჩვენებთ საკმარ მასალას იმის სამხილად, რომ ეს ყოველთვის ასე არ არის:

ბგერათშესატყვისობებში იმისათვის რომ დავაზუსტოთ მეგრულში ამოქმედდა ენის ზურგი თუ პირიქით – ქართულში ენის წვერი, რომ დავამტკიცოთ რომელ ბგერას ან ბკ-ს აქვს დაცული პროტოფორმა უნდა დავაზუსტოთ რომელი მათთაგანი უფრო ემსგავსება სახელდებული მოვლენის ფონაციას. ანუ ამოსავალი პოზიცია უნდა დავსახოთ მოვლენასთან ბგერითი მსგავსების გათვალისწინებით (გამონაკლისია წ და ყ ბგერა).

აბსტრაქტული ტერმინები მირსხალი და // მისხალი

ქართულ მისხალ სიტყვას მეგრულში მირცხალ ესადაგება. რომელია საწყისი? მეგრ. მირცხალ ქობალს ვაიტახუნს = „მისხალ პურს არ მოგიტეხს“: ამ ფრაზას უხშირესად ცვლის ფრაზა: **ბირცხაშ** მაფართას ვაიტახუნს = „ფრჩხილის ოდენას არ მოგიტეხს.

ალ მეგრულში საგნის რაობა-რაგვარობას (სიდიდის თუ სიმცირის გაგებას და ა. შ.) იძლევა. მაგ ბიხვ-ალ-ი, რიხვ-ალ-ი „თავისებური და დიდი ზომის საგანი“, მაგრამ საპირისპიროა კიტ-**ალ**-ი „– თავისებური და მცირე ზომისა“. მაშასადამე, მეგრული **მირცხალი** მიღებულია მეგრულივე **ბირცხ**-ა „ფრჩხილ-ი“ სიტყვის **ბირცხ** ძირზე **ალ** სუფიქსის დამატებით: **ბირცხა + ალ > ბირცხ-ალ*** რომელშიც, ჩვეულებრივ, **ბ** შეიცვალა **მ** ბგერად: ბირცხალ* > მირცხალ. მაშ, აქედანვეა ქართული მისხალ-ი: ბირცხალ* > **მირცხალ** > // მისხალ.

ჩ > ც სპონტანური პროცესის სხვა მაგალითები:

კუარჩხანი კვარჩხანი, კრუნჩხვა, კვარჩხუა, კვარჩხი, ოჩხომური, ოჩხამური, ორჩხომელი, ოჩხი, ჩხენიში, ანკესი, ანკეცი, ანტკეცი, ჩხომი, ჩხამა, ორა, ოროველა, ვალორდაინ, ცხრუკვა, ხრუკვა, ხირაკუა ცხირაკუა ცხიმი, ქონი

მეგრ. კუარჩხ-ანი // კვარჩხ-ანი „მარცხ-ენა" და ქართ.

კრუნჩხ-ვა მიღებულია მეგრ. კუარჩხ-უა // კვარჩხ-უა „მოდრეკა-მოღრეცა"საგან: (შდრ. კისერქ გამკაკვარჩხ „კისერი მოეღრიცა"). ეს უეჭველია რადგან სემანტიკურად და ფონეტიკურად კუარჩხუა // კვარჩხუა „მოდრეკა, მოღრეცა, მოუკულმართება" დაკავშირებულია მეგრ. კუარჩხან // კვარჩხან „მარცხენასთან: შდრ. კვარჩხას მიდართ – „უკულმართად წავიდა" და მორძგვას მიდართ – „მარჯვედ წავიდა"; კუარჩხი // კვარჩხი ნიშნავს ქსოვილის შებრუნებულ მხარეს, მორძგვი – გარეთა პირის მხარეს).

კუარჩხ-უას კუარჩხ და კრუნჩხ-ვას კრუნჩხ ერთიდაიგივე ბგერების დისპოზიციაა: **ქართ. კრუნჩხვას კი მარცხენასთან ამგვარი მიმართებები არ გააჩნია.**

რაკი ქართ. კრუნჩხვა კავშირშია მეგრ. კუარჩხუა // კვარჩხუა „ მოდრეკა, მოღრეცა" და კუარჩხ-ან // კვარჩხან „მარცხენასთან", გამოდის მარცხენას ც მიღებულია მისი მეგრ. შესატვისის ჩ-საგან.

ა. ლომთათიძის მიხედვით, მეგრულში ს სპირანტის აფრიკატიზაციის მიზეზი სხვა თანხმოვნებთან შეხვედრაა: „... რაც შეეხება მაგალითებს, რომლებშიც ხმოვნის შემდეგ ს > ც გვაქვს ანტკეცი, ანკეცი, საკვეცი ... აქ ს და ც თანხმოვნების მონაცვლეობასთან (სუბსტიტუცია) უნდა გვქონდეს საქმე და არა აფრიკატიზაციასთან..." იხ ა. ლომთათიძე „ბრუნვის თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში" გვ 18. 19.

ტოპ. ო-ჩხომ-ურ-ი // ო-ჩხამ-ურ-ი მეგრ. ზედმიწ. „სათევზაო", სახელები: ო-ჩხომ-ელ-ი // ო-რ-ჩხომ-ელ-ი „ნავის სახელი: ზედმიწ. უდრის სათევზაო." ო-ჩხ-ი „ქვებით შემოზღუდული ორმო მდინარეში თევზის საჭერად: ეტიმ = სათევზაო:" ყველა ესენი გვიჩვენებენ რომ ო წინსართითა და ჩხ კომპლექსით თევზჭერის ცნების ტემინები იწარმოება. ამიტომ, ანკესი // ანტკეცის თავსაწყისი ო-

წყე-ჩხ-ი*-დან უნდა დავსახოთ, რომელშიც ჩხ-სა და მისავე ბადალ წყ კომპლექსებით წყლის მნიშვნელობა გაორკეცებულია (წყ > ტკ ცბობილია). ო პრეფიქსის მეშვეობით კი, ო-ჩხ-ი, ო-ჩხომ-ელ სახელთა დარად სათევზაო იარაღის სახელდებაა შექმნილი: წყ > ტკ„ გამარტივება, ნ-ს ჩასმა, ჩ > ც მონაცვლეობა და ო > ა დელაბიალიზაცია გვაძლევს: ო-წყე-ჩხ-ი* > ო-ტკე-ჩი > ო-ნტკე-ცი > ანკეცი > ანკესი სახელს. ასე რომ თანხმოვანთა მონაცვლეობის დაწყება ანკეც > ანკეს-ს შორის მხოლოდ ც > ს მიმართულებით იყო შესაძლებელი. გარდა ამისა, ზღვის ხალხების – ლაზ-მეგრელების ენაზე უფროა სავარაუდო თევზსაჭერი და სანაოსნო საშუალებათა სახელების შექმნა, რაც სამეცნიერო ლიტ-რაში დადასტურებულია. ჩ > ც მიმართულების სისწორეზე მეტყველებენ ზანიზმები დას. საქართველოში: ლეჩხუმი, ოჩხამური, ჩხენიში და ა. შ.: ამ სახელების გავრცელების რაიონებში ქართიზაცია გვიანდელია, ამიტომ, თუ ც > ჩ მიმართულებაა სწორი, ამ სახელებში ჩ-ს ადგილზე ც უნდა გვქონოდა: "... დასახელებულია ასეთი შესატყვისობა: ქართ ცხიმი ზან. ჩხომი „თევზი, სვ, მგრჩხმ „ცხიმი" ... აღნიშნავენ რომ ჩხომ ზანური ფუძის შესატყვისი არ ჩანს, თუ ცხიმს არ დავუკავშირებთ.... მაგრამ ეს მეტად სათუოა" (ა. ჩიქობავა). შესაძლებლად მიიჩნევა, ზანურის შესატყვისად ჩხამ ფორმის აღდგენა ქართულში" (გ. კლიმოვი). მეგრ ჩხომი „თევზი" ფორმასთან მიმართებით ღირსსაცნობია იმერულ დიალექტში დაცული ჩხამა ფორმა, რომელსაც ორი მნივნელობა აქვს: ა) წვრილი პატარა თევზი;, საერთოდ – „ჩხამები დავიჭირე" (გ. ალავიძე), ბ) წითელფორეჯიანი (ჭრელი) თევზი ... „იმერული ჩხამ (< ჩხამა) > ჩხამა ფუძისათვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო ცხამ, ზუსტი ქართ. შესატყვისი ზანური ჩხომ ფუძისა". (იხ. ბ. ჯორბენაძე ქ. დ. გვ. 105-106).

თუ გადავავლებთ თვალს, აქამდე განხილულ, წყლის პირველყოფილ სინონიმ ჩხ-სთან დაკავშირებულ ალომორფებს, დავინახავთ, რომ ჩხომ-ი სახელის მათთან დაკავშირება კანონზომიერია, რაც მათში ცხ > ჩხ ცვლილებებს გამორიცხავს:

ჩხორ-ი* განიცდის რ > მ მონაცვლეობას (შდრ გაჩერება > გაჩემება; ყურყური > ყურყუმელა > ჩხომი. დასაშვებია ეს მომხდარიყო რ > ნ გაშუალებით (შდრ. ჩხირჩხვარი > ჩხინ-ჩხვარი; მეგრ. ჩხირკოლუა > ჩხინკოლუა „დაქუცმაცება". ნ > მ: ლეჩხ. ინდოური > იმდოური ბ. ჯორბენაძე): ჩხორ > ჩხონ > ჩხომ. ამგვარად, რაკი

ლე-**ჩხუმ**-ი და ო-**ჩხომ**-ურ-ი ნიშნავს სათევზაო და სათევზე ადილს, გასაგებია, აქ ამოსავალი **ჩხომ**-ია. ასევე უდაოა **ჩხენ**-ი-ში საცხენეა, რადგან **ჩხენი** ცხენის წინაფორმაა (შდრ. აჩუ და მისი ვარიანტები სხვა ენებში: ი. ქავქავაძე).

ჩხამა ჩხომიდანაა მიღებული: „... თუ გვინდა, შესატყვისობათა საფუძველზე, გავერკვიოთ რა ბგერებისაგან შედგებოდა ფუძე ენის სიტყვები, უნდა ავხსნათ რომელ ენაში რა ცვლილებები განუცდიათ მათ დიფერენციაციის პროცესში: შეიძლება ქართულში **ა** რომ გვაქვს ეს ბგერა იხმარებოდა ფუძე ენის შესაბამ სიტყვებში, მაშინ მეგრ. **ო ა-საგან** იქნება მიღებული. შეიძლება პირუკუც კი იყოს. და ბოლოს ისიც დასაშვებია, რომ ფუძე ენის სათანადო სიტყვებში არც **ა** იყო, არც **ო**, არამედ რომელიმე მესამე ხმოვანი რომელმაც ქართულში **ა** მოგვცა, მეგრულში – **ო**...“ თ შარაძენიძე. იკე 3 გვ. 280. ე. ი. თუ **ო** > **ა** კანონიერია (შდრ. ჭან. ჯუმა < ჯომა; მეგრ ჯიმა < ჯუმა და ქართ ძმა < ძამა თ. შ. დ.ნ. გვ. 275), მაშინ **ჩხომ-ი** > **ჩხამა**-ც კანონიერია: **ი** > **ა** ცნობილია (შდრ. რგილ-ი მეგრ. „ცივი“ > მო-რგალ-ერ-ი „მოცივებული;“ შდრ. ლომი > ლომა; მელი > მელა; კალმახი > კალმახა ბ.ჯ ქ.დ გვ.106

ბგერათშესატყვისობებში, როგორიცაა ვაცი : ოჩი „ვაცი“; კაცი : კოჩი „კაცი“ და ა. შ. ისტ. შედ. მეთოდით დაკვირვება, როგორცა ჩანს, დროის უკმარ მონაკვეთშია განხორციელებული, რამაც მათში შექმნა მიმართულების არასწორი, ილუზორული ინტერპრეტაციის დაშვება. საჭიროა არქაული შესატყვისობების წარმოჩენა: ამ მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა სომხ-მეგრ-ჭან. კონტაქტების შედეგად პოვნიერი მასალები და კოლხეთის ქართიზებულ რეგიონებში დაცული ზანიზმები: მაგ: **ორო**-ველა კახელთა იმ დროინდელი სიმღერაა როცა ისინი კოლხურად მეტყველებდნენ და **ორა** მათი მზის ღმერთი იყო, რომელმაც იპოსტასი იცვალა. იმავდროულად გვაქ ქართული **არა**-ლე რომლის **არა** იგივე **ორა**-დანაა, რადგან ღმერთისადმი მღერით-ვედრებითი მიმართვა **არა** კი არ იყო, არამედ – **ორა**...

“...სომხ. ვალორდაინ განთიადი“ დაშლილია ასე: ვალ-**ორდ**-აინ, რომლის პირველი ნაწილი **ვალ** „ადრე, ჩქარა“ (შდრ. მეგრ. **ვალ**-იშ-ნერო „ელვასავით! ე. ი.)“ მეორე **ორდ** კი დილის მნ-ის ძირად მიიჩნევა და დაკავშირებულია კოლხურ **ორდო**-სთან, რაც ნიშნავს „დილა, ადრე, ჩქარა; **აინ** კი სუფიქსად გამოიყოფა...“ იხ.

„ქართული ხალხური სიტყვიერება“. კ. დანელია, ა. ცანავა, ვინაიდან სომხ. **ორდ** და მეგრ. **ორდ-ო** სიტყვის **ორდ** ძირი ერთია, ხოლო მეგრ. **ორდო**-ს შესატყვისია ქართ. **დილა**, ფაქტია: ცვლილებები **ო > ა** და **რ > ლ** მიმართულებათა სასარგებლოდ ღაღადებენ.

რაკი გვაქ ლეჩხუმ-ი, ოჩხამურ-ი და, იმავდროულად, ამ რეგიონების ქართიზაციამდე არსებული მეგრ. ალომორფალური ფორმები **ჩხომი // ჩხუმი**, უდაოა ჰიდრონიმი **ოჩხამურის ა** ხმოვანი **ო > ა** ცვლილების გამოა: **ოჩხომური > ოჩხამური**. რაც შეეხება მეგრ. **ჩხომის** შესატყვისად წამოყენებულ სვ. ქართ. **მჭჩხმ // ცხიმ**-ს – ისინი ცხიმიანი ხორცის, თავად ცხიმის წვის ხმიანობისადმი ხმაბაძვით არიან წარმოქმნილნი. რაც **ჩხომ-ი // ჩხამა-სთან** მათ კავშირს უარყოფს (იხ. ქვემოთ).

ქართ **ცხრუკ-ვა // ხრუკ-ვა // მეგრ. ხირაკ-უა // ცხირაკ-უა** ხორცის თუ ქონის სრული დაწვაა: სხვა სახელებზე ამ გაგების გადატანა მეორეულია, რადგან გასაგებ მიზეზთა გამო, ცეცხლის აღმოჩენიდანვე ხორცის თუ სხვა ნივთთა სრული დაწვის – **ხრუკ**-ვის აკუსტიკური სიტუაციაა ამ ტემინთა შექმნაში დომინანტური. მეგრ. **ცხურ-ცხინ-ი** (ზედმიწ. ცუცხური, ცხუცხურ-ი „შუშხუნი: შდრ: ქონი იცხურცხინ // იშხურშხინ // ქონი ცუცხურებს // შუშხუნებს") გაორკეცებული – **ცხურ** და **ცხინ** ძირის მქონეა. **რ > ნ**, მონაცვლეობის გათვალისწინებით, მისი წინაფორმაა **ცხურ-ცხურ*ი**, რომელიც ერთგვაროვანი **ცხურ** ძირის დუბლიკატია. ეს **ცხურ რ > მ** სუბსტიტუციით, ზემოთგანხილულ **ჩხორ* > ჩხომ**-ის მსგავსად, **ცხიმ** სახელს იძლევა: **ცხურ > ცხუმ (უ >ი** შდრ. ჭან. **ჯუმა > მეგრ > ჯიმა) > ცხიმ**: სვ. მჭჩხმ, ქართ. სა-ჩხენტი „მცირე ზომის ცხიმი" (იხ ს. ს. ო. ლ. ქ. გვ 39.)“ ასეთი დაშვების შესაძლებლობას იძლევა: როგორც წვისას წარმოქმნილი თხევადი მასა – **ცხიმი** იქნებ წყლის ჩუხჩუხის აღმნიშვნელ **ჩხ**-დანაა: ანუ მეორეულია **ცხურ-ცხინ-ი // ცუცხური, // ცხუცხურ-ი** „შუშხუნი // **შხურშხინის ცხ** და **შხ**: **ქონ**-ის ეტიმოლოგია ეხამება ამ მოსაზრებას: თუ ქონის **ნ** სონორი, **რ > ნ**-ს გათვალისწინებით, **რ**-ს აღადგენს, ხოლო **ქ** კი – **ხ**-ს (შდრ. **ხრჩიალი > ქრჩიალი** // მეგრ. **ხურჩინი > ქურჩინი**), და მიღებული **ხორ*-ის ხ ჩხ** კომპლექსის გამარტივებად შეიძლება (შდრ, ჭან **ხჩე** // მეგრ. **ჩე** „თეთრი") ჩავთვალოთ, საბოლოო ჯამში **ჩხორ** ამოსავალი აღდგება: **ჩხორ* > ხორ* > ხონ* > ქონ**.

ჩხომ-თევზ სახელთა პრობლემა

თუ მეგრული სახელი **ჩხომი** წყალთან ასოცირდება, რატომ არ უნდა ვიგულისხმოთ – იგივე ქართ. **თევზ**-ის შემთხვევაში? სახელი **თევზი** აგებულებით და შინაარსით კავშირშია **აუზ**-თან რადგანაც იგი თევზის საცხოვრისი წყალსატევია. **აუზ**-ში საყურადღებოა **ა** ხმოვანი, რადგან თუ ის მეგრ. დანიშნულების **ო პრეფიქსის** ცვლილების პროდუქტია, მაშინ ადვილად აღვადგენთ **ოუზ**-ის* – წინაფორმას **აუზი** // **ავზ**-ისას. აგრეთვე, ვიცით რა რომ, **ო** და **უ** ხმოვნები ალომორფალურ ფორმებს აწარმოებენ (იხ აქვე, ზემოთ: ჩხომი // ჩხუმი) და ხშირად სიტყვაში ორივენი არიან (მაგ: ჩხოუ „ძროხა), რომელთაგან ზოგჯერ ერთ-ერთი რჩება (მაგ მეგრ. (ჩხოუ >) ჩხუ), მაშინ (**შ > ს > ზ-ს** გათვალისწინებით) **ოუზი*** < **ოუსი*** < **ოში** აღდგება. **ო–შ**-ი დღესაც ზედმიწ. უდრის „საწყლეს:“ **შ** (რესპ **შგ**) წყალია, მეგრულად. **შ > ს გასისინების** მაგალითია მეგრ. **შუმი** „რჩეული ღვინო“, **შუმა** „სმა“ და ძვ. ქართ **შუმი** „სალოცავი ღვინო“ და > სმა; ქართ. **შენ** > მეგრ. **სი**; **შ > ს > ზ** ცვლილებების მაგალითი კი გახლავთ არქაული ფასისი, რომელიც ეტიმოლოგიურად ფა-**შგ**-ში-დანაა* (> ფასისი > ფაზისი), რაც **ფა** „მცენარე, + **შგ** „წყალი“,+ **ში** „კუთვნილების სუფიქსი“ = „მცენარე წყლისა“.

აუზი, თევზი, და მითუმეტეს **ოუზი***ს მეგრ. შესატყვისი დღეს ხმარებაში არაა, მარა ხშირია განკუთვნების, დანიშნულების **ო** პეფიქსი, გვაქვს სახელი **შგ** „წყალი“, ამიტომ, თუ არსებობდა, სახელი – **ოშგ*** წყლის ტევადობის აღმნიშვნელი სივრცისა, მაშინ **შ > ზ ან შ > ს > ზ პროცესით ოზი > აუზი // ავზი** და მათწინარე **ოუზი,*** უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც რთულდება ნ. კლ. **დ** პრეფიქსით: მადიფერენცირებელი **დ** დანართით, რომლის ფონეტიკური ვარიანტია **თ.** შდრ: „დათვ = სვ. დაშდუ = მეგრ. **თ**უნთი. იხ ვ. თოფურია შრომები ტ. 3 გვ. 8.(ხაზგ. ე. ი.); „...დუთე, სვ. დოშდულ „თვე,“ თუთა მეგრ. მთვარე, თვე...“ ვ. თოფურია ფ. დ. ქ. ე. „... სვანურში აფხაზურიდან და ადიღური ენებიდან შემოსულ სიტყვებში, როგორიცაა **თ**აშ „ყველი,“ აში „ყველი,“ თეტენ „სადგისი,“ ადიღ. **დ**ჷდჷ „სადგისი.“ სვანურმა შემოინახა კლას კატ. ნიშანი: **თ**-აშ < **დ**-აშ...გ. როგავა იკე 3 გვ. 533. ამგვარად **დ** >// **თ + ავზი > თავზი > თევზი**

ჩხ > შხ; ჩხ > შქ და ჩხ-ს სხვა ცვლილებებით წარმოქმნილი სახელები

ქართ. ცეცხლი // მეგრ და-ჩხირ-თან დაკავშრებულ სახელების ქართ. ნა-**ხშ**-ირ // მეგრ. ნო-**შქ**-ერ-თან აზრობრვი სიახლოვე თვალ-ში საცემია. მაგრამ არის პრობლემები მათი ბგერითი ნათე-საობის მტკიცებისათვის. უპირველესად ეს ეხება **შ** ბგერასა და **შქ** ბკს, **ჩხ** ბკ-სთან მიმართებით.

ქართველურ ენებში პოვნიერის **ჩ**-ს დეზაფრიკატიზაციის მა-სალები: უ-**ჩ**-აში მეგრ. „უფროსი“, ხოშ-ა სვ „ხუცესი,“ „უფრო-სი"(ნ მარი, ა. შანიძე); **ჩხ**ურ-ი ჭან. „ცხვარ-ი“, **შხ**ურ-ი მეგრ. ცხვარ-ი; მეგრ. **ჩხ**აპალი > ქართ. **შხ**აპუნი და ა. შ. (იხ იკე 12 გვ 153). ამიტომ, დასაშვებია ნახშირის **შ** იყოს **ჩხ** ბკ-ს **ჩ**-ს გასპირან-ტების შედეგი: მეგრ. ნო-**შქ**-ერ „ნახშირ"-ის **შქ** ქართ. // მეგრ. **შ : შქ** შესატყვისობითაა ახსნილი: „...შესაძლებელ-ია ზან ნოშქერ-ი სხვა ფუძე იყოს და ქართ ნახშირთან არ ქონდეს კავშირი.“ ...ნოშქერ-ი შეიძლება იყოს მიმღეობური წარმოება ზმნისაგან შქირ // შქრ (მეგრ შქირიტუნს // შქირიტგნც „აქრობს"),რომელიც ქართ. შრეტ (> შრეტს) ფუძის შესატყვისია...“ გ როგავა. იხ. ი.კ.ე. 12 გვ. 167.

შრეტა // მეგრ. შქირატუა, რა თქმა უდა, სემანტიკურ ერთია-ნობას პოულობენ ნოშქერ // ნახშირ-თან, მაგრამ დგება საკითხი მა-თი **შ : შქ** და **შქ : შხ** შსატყვისობათა თაობაზე. მოვიშველით ზმნა ცხრომას (იხ. ქეგლ), სემასიურ ველში **ქრობის** მნიშვნელობაცაა. აი, ამ ცხრომის წინაფორმად (იმდენად, რამდენადაც მხოლოდ **ჩ > ც** გა-დაწევაა მომხდარი), გამჭვირვალედ მოჩანს თავსაწყისი **ჩხ** ძირის მქონე სიტყვა – **ჩხ**-ორ-ომა*: **ცხ**-ორ-ომა* > ცხრომა. ამგვარა-დვე, თუ **ჩ > შ, და ჩხ > შქ** კანონიერია, **შრე**-ტას **შრე** დასაშვებია იყოს **ჩხე**-რე ალომორფის ნაკუმში: **ჩხ**ერე > **შხ**ერე* > **შხრე*** + **ტა** > **შხრეტა*** > შრეტა; **ჩხ**ირ > **შქ**ირ + ტუა > მეგრ. **შქ**ირ-ა-ტუა.

რა კავშირებია ქართ **ხრჩ**ობა და მეგრ. **შქ**ვიდას შორის? **შ > შქ**-ს თანახმად ქართულში მეგრ. შქვიდას შესატყვისად **შ** ბგერის შემ-ცველი სიტყვა უნდა გვქონოდა. მართლაც ვ. თოფურიამ ძვ. ქარ-თულის მოხმობით, აღადგინა შუდობა და ში-**შუდ**-ილ-ი. რაც შეეხე-ბა ქართ. **ხრჩ**ობას, როგორცა ჩანს, მისი **ჩ** და **ხ** ბგერები განაპირო-ბებენ თავსაწყის **ჩხ** ბკ-სთან ფ.-ს. ერთიანობას.

ჩხ-დან ამოსულ, ცეცხლთან დაკავშირებულ სახელებს განეკუთვნება ქართ. **ხრჩ**-ოლ-ვა. რომლის და **ხრჩ**-ობა-ს **ხრჩ** ძირი და მეგრ. წყლის ჩუხჩუხის გამომხატველი – **ხურჩ**-ინ // **ქურჩ**-ინ-ის **ქურჩ** ძირები თითქმის იგივურნი არიან. მ. ე. ცხადია: წყალში **ხრჩ**-ობის გაგებაა მიგრირებული **ხრჩ**-ოლ-ვის მოაზრებად. მეგრულში **ხრჩოლვის** შესატყვისად **ფუჟლ**-უა-გახლავთ: **ფუჟლ**-ანს = „**ხრჩოლავს.**" მაგრამ **ხრჩოლვა, ხრჩობა,** და **ხურჩინ** სიტყვების აქვეთქმული ურთიერთობები ცხადყოფს მეგრ. **ფუჟლუას** ასეთ გენეზისს: ფუჩხუა* > **ფუშხ**-უა // ფუ**ჟლ**-უა „ხრჩოლვა". ესე იგი მოხდა **ჩხ > შხ > ჟლ.**

ფუშხუა // ფუჟლუასთან ახლოსაა ფუშქუა მეგრ. „1. რისამე ძლიერი სუნის გამოცემა; 2. კერიაზე შეშის სკდომისას კვამლ-ნაცრის ბუქის ადენა." მეგრ. ფუშქი – ფუშქუას გასუბსტანტივებული ვარიანტი – „ფეხის დაბიჯებისას, ჩუტე და ჰაერით გაბერილ ნაყოფთა თუ მისმაგვართა სკდომის ხმა" ახლოსაა ქართ. ბუქ-ი, ფუფქ-ი, ფუფქ-ა „ცხელი ნაცარი" და ფუფქ-ვა სთან (იხ ქეგლ). მაგრამ ეს მოჩვენებითია რადგან თუ ფუშქუას **ჩხ > შქ** გახლავთ სავარაუდო, ქართული სიტყვები – განსაკუთრებით **ფუფქვა** და **ფუფქა ფ** ხმაბაძვითიდან არიან (იხ ფ ბგერა).

პირველი ადამიანის შემეცნებაში არაა მოსალოდნელი, რომ ზოგადად შეშის და ფეცხის მნიშვნელობები ყოფილიყო დიფერენცირებული. ამათში კი **ჩხ**-ს სიხშირეა: შდრ. მეგრ. ფი**ჩხა** // მეგრ. // ქართ. ფი**ჩხი** > (ც > ჩ და ი > ე) მეგრ. ფეცხი;

იმგვარადვე როგორც **და-ჩხირ** მეგრ. „**ცეცხლი**" **და** წინსართითაა, **ფი**-ს ნაცვლად **დი** პრეფიქსაციის შემთხვევაში, **ფი**-ჩხ-ის > **დი-ჩხ-ი*** და **ჩხ > შქ**-ს შემდეგ მეგრ. > დი-**შქ**-ა „შეშას" ვღებულობთ. აქ **ჩხ > შქ** ურყევია. ქართულში, რაკი და-ჩხირ-ის **და** წინსართის ადგილზე **სე // ცე** არის და ქართ // მეგრ **შ : შქ** შესატყვისობა კი ცნობილია, მეგრ. **დი-შქ**-ას ბადალი ქართულში **სე-შა*** აღდგება (იხ გვ.). სე-შა > **შეშა** კი უპრობლემოა. მეორენაირად კი რაკი ფი-**ჩხ**-ი > დი-**შქ**-ას **ჩხ > შქ** გვაქვს ფაქტია: ქართ. სე-**შა***-ს **შ** ვერსაიდან გაჩნდებოდა თუ არა **ჩხ**-ს **ჩ**-ს დეზაფრიკატიზაციითა და **ჩხ** კომპლექსის გამარტივებით: სე-**ჩხ**-ა* > სე-**შხ**-ა*, **სეშა*** > **შეშა**. ანუ მსჯელობის ამ მონაკვეთში **ჩხ > შქ, ჩ > შ და ჩხ > შ** ფაქტები დადგინდა. ხოლო ქართ. **შ**-უა // მეგრ. **შქა** აქაც **შ : შქ** შესატყვისობის მიზეზი ძეიძლება იყოს, კვლავ **ჩხ**-დან წარმომავლობა:

ქართ. შორისი, // მეგრ. **ხ**არი: შდრ. ხარ-გოფაჩილი = „ფეხებგაფარჩხული;“ ხარ-უა „1. ცხოველთა შიგნეულის გამოფატვრა; 2. თოვლზე პირველი კვლების გავლება.“ აქ საყურადღებოა ნ. მარის მიერ მიგნებული სომხ. ჯურ „წყალი“ და მეგრ ქალის გ. ს. ორგანოს სახელის ჩუ-რის პარალელი: მეგრ. **ხ**არი და **ხ**არუას წინარე < **ჩხ**არი* და **ჩხ**არ*-უა-ს **ჩხ**-დან **ჩ**-ს – დაკარგვის (შდრ. **ჩხ**იორი >// **ხ**იორი „ხმაურიანი სრიალი"), ხოლო ჩ.-რის წინარე < **ჩხ**ურ-იდან* **ხ**-ს დაკარგვის (შდრ. ლაზ. **ხ**ჩე >// მეგრ. ჩე) გათვალისწინება მათ **ჩხ** წარმომავლობაზე მიუთითებენ, რაც შ-უა, // შქა და შორისის **შ** და **შქ**-ს იქიდანვე ამოზრდაზე გვაფიქრებინებს, თუმცა, ჯერ არს, ხმაბაძვითი **შ** ბგერის როლის გათვალისწინება **შ**-უა-ს **შ** ბგერის ამოსავლად: ანუ **შქას შქ** მისივე (**შ**-ს) რეფლექსი იქნება.

საინტერესოა მეგრ. ყორში // ქართ კოშკი // კოშქის **შ : შქ** მეგრ. ქართ. შესატყვისობა: აქ საქმე ხომ არა გვაქ საპირისპირო მეგრ. : ქართ. **შ : შქ** შესატყვისობასთან?

კოშკი /</ კოშქი-ის **შქ > შკ** მაშინაა წარმოქმნილი, როგორც მეგრ. ყორშ-ის **შ**-ს რეფლექსი, როცა **შ : შქ** უკვე ტრადიციაა. ანუ მეგრ : ქართ **შ : შქ** აქ ანალოგიის პრინციპითაა აღმოცენებული. ეს იმიტომ, რომ ყორშის **შ** სუფიქსალურია: ყორი-ში* > ყორში.

ბგერათშესატყვისობათა გენეზის ახსნა მნიშვნელოვანია მათი რაობის ანუ ერთი ბ-ის ან ბკ-ის მიერ სხვა ბ-ის ან ბკ-ის საწარმოთქმო სიტუაციის აღმოცენების მექანიზმის გაგებაში, იმის გაგებაში თუ როგორ დამყარდა კავშირი ერთი ბ. ან ბკ-ის როგორც სამეტყველო პირ. რეფლექსის მიერ სხვა სამეტყველო პირ. რეფლექსთან. ეს კავშირები, უეჭველია, უნდა გამოენვია დროის მანძილზე, ენებში ამ რეფლექსების ტრადიციად დამკვიდრებას, რის შემდეგ მოქმედებას იწყებს ანალოგიის პრინციპი.

ლექსემათა წყება: **ჩქაფი, ჩქაფანი, ჩქაფა-ჩქუფი, ჩქაფ-ჩქაფი, ჩქერი, ჩქერა, ჩქერალი, შხუილი, შხივილი, შუილი, შხაპუნი, შხეფი** და ა. შ. სიტყვების ხმაბაძვითობის განმაპირობებელი კომპლექსები – **ჩქ და შხ** გახლავთ **ჩხ** წარმომავლობისა. ამაზე მეტყველებენ **ჩხ** კომპლექსის შემცველი **ჩახ-ჩახ**-ი, **ჩხერა, ჩუხ-ჩუხ**-ი, **ჩხრიალი, ჩხრიალ-ჩხრიალ**-ი, მეგრ. **ჩხარ-ჩხალ**-ი „ჩუხ-ჩუხ-ი,“ **ჩხაპალი** „შხაპუნი“ და ა. შ. სიტყვების ზემოთჩამოთვლილებთან შედარება წყლის ხმაურის ბგერითი სპექტრი **შქ** და **შხ** ბკ-ების წარმოთქმის

ხმიანობებსაც მოიცავს, მაგრამ მოძრავი წყლის ხმაურის თანხვდომასთან მიმართებით უპირატესობა **ჩხ** ბკ-ს მხარეზეა. ეს ასევე გამოწვეულია მისადაგებელ ობიექტთა სიხშირით: **ჩხ** ბკ-ს სადარ ბგერებს მთაგორიანი მდინარეები, ღელეები და ნაკადულები დინების მთელ მანძილზე გამოყოფენ, ამიტომაც ეს სამეტყველო პირ. რ. უფროა დაფიქსირებული მეტყველებაში. დინების დაქანების ცვლილებათან ერთად იცვლება მდინარის ბგერითი გამოვლინებებიც, რომელთა შესაბამისად იცვლებიან შესაბამისი ხმაბაძვითი სახელდბები. მაგ. მდორე მდინარეები უფრო **შშშ** ხმიანობებს გამოსცემენ, ვარდნილი წყალი კი – მრავალგვარს: ეს ნათლადაა ასახული მეგრ. ჩანჩქერთა სახელებში: ო-კარ-კალ-ე – პაწია **„რაკრაკა"** ჩანჩქერია; **ოხარჩ**ალე და ო-**ქურჩ**ინე შედარებით დიდია. ო-გურგინე კი დიდი, გვრგვინვის ხმიანობის ჩანჩქერია.

როგორც იდეალური ბილიარდის ბურთი, სხვა წინაღობის არ არსებობისას, ჩერდება ჩაღრმავებაში, ხმბ. სამეტყველო რეფლქსი (სიტყვა) კანონზომიერი ცვლილებისას კვლავ ჩერდება წარმომქმნელი ბგერითი სიტუაციის ახლომდებარე სპექტრში.

სამართლებრივი ტერმინი ნახშირი

ნახშირ-ი, როგორც შეშის წვის პროდუქტი აზრობრივად ცეცხლთან რომაა კავშირში ფაქტია. აგრეთვე ისიც ვერ უარიყოფა რომ მორფოლოგიურად და-**ჩხირ**-ი მეგრ. 'ცეცხლი"ახლოსაა ქართ. **ნახშირ** და მის მეგრ. შესატყვის **ნოშქერ**-თან: ამგვარად, **ჩხ > შქ** პროცესს თუ დადგენილ ფაქტად ვაღიარებთ, მეგრ. ქართ. **ნო**-რცხვა // "**ნა**-კვერცხ-ალი;" **ნა**-კვაჩხირ-ი // „მუგუზალის" **ნო** და **ნა** პრეფიქსაციის დარად, შესაბამისი **ნა** და **ნო** პრეფიქსაციის შემდეგ, ალომორფ **ჩხირ**-იდან ქართ. **ნა**-ხშირ და მეგრ **ნო**-შქერ-ის წარმომავლობა არგუმენტირებულად გვესახება: **ნა**-**ჩხ**ირ-ი* > ნა-**შხ**ირ-ი* (გ, როგავა. იკე 12 გვ 167) > **ნა**-**ხშირი; ნო**-**ჩხ**ირ-ი > ნო-**შქ**ირ-ი // > ნო-შქერ-ი.

ძვ. ქართ. სამართლებრივი ტერმინი **ნახშირ**-ი ძვ. სომხურ (**ნახჭირ**-იდან „თავდაპირველად – სისხლი და ჭრილობის", შემდეგ კი „საზღაურის" მნ-ით") ნასესხობად ითვლება. ამის მიზეზია ქართველურში **ნა**-**ხშირ**-ის შესატყვისი **სისხლის** მნიშვნელობის ექვივალენტთა წარმოუჩენლ-ობა. სინამდვილეში **ნახშირი** შეიძლება იყოს მხოლოდ გასესხებული და არა სესხებული. ამის თქმის უფ-

ლებას გვაძლევს ზემოთავებში წყლისა და დაჭრის მნიშვნელობის **ჩხ** და **წყ** ძირებიდ-ან წარმოქმნილი **დაჩხუპა და წყლვას** მაგალითები (იხ. ზემოთ გვ. 210). ამისავე უტყუარი მამტკიცებელია დაჭრის მოაზრებებთან ასოცირებული **ჩხ**-დან და **წყ**-დან წარმომავალ სახელთა ორი ნაკადი: **ჩხ**-დან: ლაზ. დი-**ცხ**-ირ-ი (< დი**ჩხირ-ი***) „სისხლი"; ქართ. **ჩხ**უპი, და-**ჩხ**-უპა „დაჭრა; მეგრ **ჩხ**ვეპუა „ცხვირპირიდან სისხლის მოდენით ცემა; **ჩხ**ალ-უა „ღრმა ჭრილობის მიყენება, **შხ**აფა „წყრომა" და ა. შ. **წყ**-დან: მეგრ: **ჭყ**ოლ-უა, „დაჭრა;" **ჭკ**ირუა „ჭრა;" **წყ**უნაფა „ტკენა;" ქართ **წყლ**ვა „დაჭრა," **წყრ**ომა, **წყ**ალობა (იქ სადაც დაჭრაა წყრომაცაა და შეწყალებაც).

ნახშირის, როგორც საზღაურის, მნიშვნელობითი ამოსავალი გახლდათ – **სისხლი.** ჭანური სისხლის აღმნიშვნელი სიტყვა ალომორფ **ჩხირ-ი**-დან რომ მომდინარეობს, აქვე, ზემოთაც მივანიშნეთ: ეგრევეა მეგრულში: **დი-ჩხ-ირ-ი** > **ზისხირი** (იხ. გვ. 210 - 211). ქართულში კი – **ჩხ** > **შქ** პროცესს თუ დადგენილ ფაქტად ვაღიარებთ, მეგრ.ქართ. **ნო**-რცხვა //"**ნა**-კვერცხ-ალი;" ნა-კვაჩხირ-ი // „მუგუზალის" **ნო** და **ნა** პრეფიქსაციის დარად, „ შესაბამისი **ნა** და **ნო** პრეფიქსაციით, ალომორფ **ჩხირ**-იდან ქართ. **ნა**-ხშირ და // მეგრ **ნო**-შქერ-ის წარმომავლობა არგუმენტირებულად გვესახება: **ნა-ჩხირ*** > ნა-**შხირ*** (გ, როგავა. იკე 12 გვ 167) > ნა-ხშირ „სისხლი // საზღაური"; **ნო-ჩხირ*** > ნო-**შქირ** > ნო-შქერ მეგრ „ნახშირი."

პარალელურად, მეგრ. და-ჩხირ-ი „ცეცხლის" მნიშვნელობითი საფუძვლებიდან, **და** პრეფიქსის მაგიერ **ნა** პრეფიქსაციით მივიღეთ იგივე სახელი, ოღონდ ნახშირის როგორც **ნამწვის** გაგებით. ე. ი. საწყისი ბისემია – დიჩხირი* „**სისხლი**" და და-ჩხირი* „**ცეცხლი**" ქართულმა შემოინახა ნახშირი „**სისხლი**", ნახშირი „**საზღაურის**" და ნახშირი „**ნამწვის**" სახით, მეგრულმა კი – მხოლოდ ნოშქერ სიტყვის სახით, მხოლოდ ნახშირის, როგორც **ნამწვის** გაგება დაიტოვა.

რ ბგერა და მისი კომპლექსები

როგორც მრავალჯერ გავიმეორეთ, **წ** და **ყ** ბგერათა მეშვეობით, მეტყველების ჩასახვა მოხდა ადამიანსა და გარემოს შორის ნივთიერებათა ცვლასთან – კვებასთან ასოცირებული ხმიანობებით. კონკრეტულად კი, უშუალოდ, ნატურალური პირობითი რეფ-

ლექსების ამღვძრელი, **წოვა-ყლაპვის ხმიანობების** სამეტყველო პირობით რეფლექსად გადაქცევით.

ვინაიდან ადამიანის კვებასთან თუ სხვა ფიზაქტებთან ასოცირებული ხმაური არ მოიცავს მთრთოლი ანუ ვიბრანტი **რ**-ს ბგერით სპექტრს იგი, ამ ხმებთან დაკავშირებით წარმოქმნილ სამეტყველო ბგერებთან (**წ და ყ**), შედარებით, გვიანდელი წარმონაქმნია. ამ დროისთვის, უნდა ვიფიქროთ, ადამიანის თავის ტვინის მორფოგენეზი განხორციელებულია. **წ და ყ** ბგერებით მეტყველების ხანგრძლივი პერიოდმა ჰომინიდი აქცია ადამიანად. ამ პერიოდში, წოვა-ყლაპვისას ენის ბუნებრივი მოძრაობებითა და პირ-რეფლექსური პრინციპით ჩასახული მეტყველება გადასულია სიტყვაქმნადობის (რესპ. ბგერათქმნადობის) ხმაბაძვით პრინციპზე. და ეს ყველაფერი ეყრდნობა **წ დ ყ** ბგერების მეშვეობით მეტყველებითი ტრადიციის განვლილ პერიოდს.

დღესაც, სიტყვა წარმოადგენს სამეტყველო პირ. რეფლექსს. პირველად მისი ჩასახვა ხდება გაგონილი სიტყვის მიბაძვითი გამეორებით. ზუსტად იგივე პრინციპით ხდება ბუნების ხმიანობების გადაქცევა სამეტყველო ბგერად ან ბგერათკომპლექსად.

სონორი **რ** ერთ-ერთი უძველესი ხმაბაძვითი ბგერაა. იგი ხმაურის, ხმაურიანი მოძრაობის გამომხატველია სიტყვებში – მეგრ. **რია // ქართ. რევა; მეგრ. რია-რია, // ერია-მორია, // ქართ. აურ-ზაური.** ხშირად მეგრელები გაბმული **რრრრრ** ბგერის წარმოთქმით გაოხატავენ ხმაურს. მაგ: **რრრრრ- ვადო ქითოცუ ლაიტიქ – „რრრრრ -ოდა ჩამოცვივდა სიმინდი.“** მოძრაობის აღნიშვნა ხდება სიტყვებში ქართ. **რბოლა**, (მიღებულია **რბო-რა***-საგან), სიარ-ული (მიღებულია სი-**არ-ურ***-ისაგან), სირ-ბილი (მიღებულია **სირ-ბირ***-ისაგან); მეგრ. **რულა** (< **რურა***საგან), გილულა (< გირ-ურ*ა-საგან და ა. შ.). ამგვარად, **რ**ულა // სირბილი // რბენა; მეგრ. ულა (< ურა*> სურა*>) // სვლა, სია-**რულ**-ი; ლათ. კურიკულუს სიტყვებში ყველგან **რ** ბგერა ხმაბაძვითი ეფექტის განმაპირობებელია. ჩვენთვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო იმის გაგება, რომ, თურმე, ჯერ კიდევ ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა – **ლაიბნიცმა** გამოთქვა მოსაზრება ინდოევროპულ ენებში **რ** ბგერის მიერ მოძრაობის აღმნიშვნელობის თაობაზე: „**რ** მოძრაობის გამომხატველი ბგერაა“-ო ბრძანებდა იგი. უეჭველია, ინდოევროპული ენების მოძრაობის აღმნიშვნელ სიტ-

ყვებში **რ** ბგერის სიხშირემ მიიყვანა იგი ამ დასკვნამდე, რამაც ჩვენ ჩვენი თეორიის მართებულობაში რწმენა შეგვმატა...

არსებულის – მატერიის მთავარი მატერიალური თვისება მოძრაობაა: რაკი **რ** ბგერა მოძრაობას აღნიშნავს, ხოლო მოძრაობა კი მატერიის თვისებაა, **რ**-ს მიერ მოძრაობის ცნების აღნიშვნა გაფართოვდა ყოველივე არსებულის – ყოფის და ყოფიერის ცნებად. მაშასადამე, **რ**-ი სუფიქსი, მეგრულში, **რომლის სიხშირეზეც ჯერ კიდევ ი. ყიფშიძე მიუთითებდა, დასაბამშივე, მაშინდელი წინადადების სრულფასოვანი წევრი იყო. იმთავითვე გამოხატავდა ყოფას, არსებობას და ჩამოყალიბდა, დღევანდელი, მეგრული სტატიკური ზმნის – რე „არის" სიტყვის ფუნქციით.**

მაშ, აქედანაა ლათ. **რეს** „ნივთი"; ლა **რეს** „ის რაც არი"; ქუე **რეს** „რა"; მულტას **რეს** „ბევრი". აგრეთვე აქედანაა **რ** ბგერა ეგვიპტურ ღმერთების სახელებში (იხ გვ.)

ეს **რე** ზმნა არსებობს ორე და **ქო**-რე ფორმითაც. **ქო** მტკიცებითი ნაწილაკია, ამიტომ **ქო** რე ქართულად იქნება „კი არის". მაშ, უეჭველია, **ორე** ფორმა ქ-ს მოკვეცით, მიღებულია **ქო**-რე-დან. მეგრული, ე. წ. სტატიკური ზმნა – **რე**, დღესაც, გამოხატავს რისამე (სულიერის თუ უსულოს) ყოფას, არსებობას. მისი სრულფასოვანი შესატყვისია ქართული სტატიკური ზმნა – **არის**.

ორე // **არის** ფორმებში, როგორც ვხედავთ, მეგრულ-ქართული **ო : ა** ბგერათშესატყვისობაა, სადაც ა. ჩიქობავას თეორიის მიხედვით ისარი ქართულიდან მეგრულისკენ უნდა მივმართოთ ანუ ქართული **ა**-საგან არის მეგრული **ო** მიღებულიო, მაგრამ პირუკუ მიმართულებაა სწორი და აი, რატომ: საქმე იმაშია, მეგრული **ორე**, ყოველმიზეზსგარეშე, მიღებულია არა ქართ **არის** ზმნისაგან, არამედ მეგრული მტკიცებით ნაწილაკ **ქო** და ზემოთხსენებულ **რე** (**ქო** + **რე**) ზმნისაგან: მაშ **ქო** + **რე** > **ქორე**; ეს უკანასკნელი, თავკიდურა თანხმოვნის მოკვეცით გვაძლევს: **ქო**-რე >// **ორე** ზმნას. რაკი **ორე** ზმნას გააჩნია მისი **ქო** მტკიცებითი ნაწი ლაკისაგან და + **რე** ზმნისაგან წარმოქმნის არგუმენტირებული საბუთიერობა, იგი ქართული **არის** ზმნისაგან ვერ შეიქმნებოდა. მაშ, პირიქით: მეგრული **ო**-რე ზმნისაგან ყოფილა // ქართული **ა**-რი // **ა**-რის და, ამიტომ, შესაბამისად, მეგრულ- ქართულ **ო : ა** შესატყვისობაში ისარი **ო** > **ა** მიმართულებით უნდა მივმართოთ და არა პირიქით,

ამგვარად, ო-რე // არი // ა-რის ზმნათა სწორი ეტიმოლოგია

მეგრულ-ქართულ ო : ა ხმოვანშესატყვისობაში, ურყევად, ადგენს ო > ა მიმართულებას:

ზემოხსენებული, ხმაბაძვითი პრინციპით წარმოქმნილი **რ** ბგერა ფუძემდებელია მსგავსთა (სონორთა), -- არახმაბაძვით **ლ** და **ნ** მ ბგერათა წარმოქმნისა, რომელნიც **რ** ბგერას ჩამორჩებიან ბუნების ხმიანობებთან მსგავსებაში: ანუ თუ **რ** ბგერა ბუნების ბგერითი მოვლენების სამეტყველო პირობითი რეფლექსია (სიგნალის სიგნალია. პავლოვი), ხოლო **ნ** და **ლ** ბგერების სადარი ბგერითი მოვლენები (სიგნალები) ბუნებაში იშვიათია, საწყისი სიგნალის არარსებობის გამო, სამეტყველო სიგნალის – **ნ** და **ლ** ბგერათა წარმოქმნა არ ხდება. მ. ე. გვრჩება გადავწყვიტოთ: ამათი – **ნ** და **ლ** სონორთა წარმომავლობა **რ** ბგერიდანაა. და ამ გადაწყვეტილების ჭეშმარიტებაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ გავითვალისწინებთ მათს უხშირეს ურთიერთმონაცვლეობებს – როტაციებს.

სლ. როდ კომპლექსის პარალელები გიორგიულში

რუსულ სიტყვებს : **როდ**, **როდ**-იტელი, **როდ**-ინა, **როჟ**-ათ, ნა-**როდ**, **როდ**-ნიკ, **როდ**-ნოი გიორგიულთან კავშირი გააჩნია: მათ აერთიანებთ **როდ** კომპლექსი, რომელშიც თუ დავუშვებთ, რომ **დ** ფონეტიკური დანართია, გვრჩება **რო**, რომელიც, ზემოთ მოხსენიებული, **რო**-კი-ს **რო**-ს = „არის, არსებულია-ს" ბადალი უნდა იყოს. ამ **რო** მარცვალს, როგორც ითქვა, დღევანდელი **რე** ზმნა შეეფარდება (შდრ. კგ **რე** მაგარი არის და **რო**-კი < **რო** -კგ* „არის მაგარი").

სწორედ **რ** ბგერის მიერ გამოხატული, „არსობა, არსებობა"ს გაგება აერთიანებთ, ზემოთმოხსენიებულ, რუსულ ტერმინებს და ეს პარალელს პოულობს გიეორგიულში.

რ ხმაბაძვითის დუბლირებით ხდებოდა როგორც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ არსებულის აღნიშვნა, ასევე სიმრავლის ცნებებისა: ქართ. მრავალი // < მრავარი*; მეგრ. ბრელი //< ბრერი „მრავალი:" მ. ე. ქართვ. ჯარი მიღებულია, რ-ს დუბლირებით, პირველი რ-ს გართულების შედეგად: რა-რი* > ჯარ-ი!!!

ვფიქრობთ, რ ბგერის თაობაზე, აქამდელი, ექსკურსი სავსებით საკმარისია იმისათვის რათა დავრწმუნდეთ თუ რომელია მთავარი, შინაარსობრივად გამაერთიანებელი ბგერა,ზემოთჩამოთვლილ, რუსულ, როდ კომპლექსით გაერთიანებულ – როდიტელი,

როდნოი, როდინა, ნაროდ და ა. შ. სიტყვებში: უკვე დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, ესაა მათ როდ კომპლექსში შემავალი რ ბგერა.

ზუსტად ასეთივეა რ ბგერის როლი ტერმინში – ერი. ვნახოთ მისი ეტიმოლოგია:ე-რ-ის ე მრავლობითობის აღმნიშვნელ ებ-ის ნაშთია: ქართ. ბევრი //< გურ. ბეური-ის ბე მარცვალი, იგივე – ებ ფორმანტის ებ >// ბე შებრუნებული ფორმაა. ამიტომ გურ. ბე-ური და ებ-ური* ერთიდაიგივეა. ანუ ებ-ური* და ბე-ური გახლდათ ალომორფები და ებ მარცვლისა და რ ბგერის მეშვეობით, არსებულის სიმრავლეს აღნიშნავდნენ: ანუ ებრი > ერი.

მეგრული რინა „ცხოვრება, სიცოცხლე, არსებობა“ რი-რა*-დანაა, რომელშიც რი და რა კომპლექსთა მეშვეობით ცნება არსობისა, არსებულისა გაორკეცებულია. მოცემულია არსობა, არსებულის არსებობა ანუ სიცოცხლე, ცხოვრება.“ რე ზმნა ყოველივე – სულიერი თუ უსულო არსებულის აღმნიშვნელია და ამიტომ რინა კი არა რენა* უნდა გვქონოდა. მართლაც, თუ რინა „ცხოვრებაა“, ო-რ-ი-ნ-ი იქნება „საცხოვრისი“, რომელიც, იშვიათად ო-რ-ენ-ი ფორმითაც გვხვდება. ესენიც, რა თქმა უნდა, რ-ს დუბლირებით, ო-რ-ირ-ი* და ო-რ-ერ-ი* ამოსავლიანობისანი გახლავან. საინტერესო არიან იმით, რომ განმეორებით, რ საუფიქსაციას და შემდგომ მისავე აფრიკატიზაციას. ასე ვღებულობთ ო-რ-ინ-ჯი „ცხოველი“ და ო-რ-ენ-ჯი „“საცხოვრისის მნიშვნელობის სიტყვებს: ო-რ-ირ-ი*> ო-რ-ინ-ი „საცხოვრისი, სასიცოცხლო“> ო-რ-ინ-რ-ი* > ო-რ-ინ-ჯ-ი „ცხოველი;“ ამგვარადვე ო-რ-ერ-ი* > ო-რ-ენი > ო-რ-ენ-რ-ი* > ო-რ-ენ-ჯ-ი „საცხოვრისი, საარსებო, სასიცოცხლო“

მრავალი, ბრელი „ბევრი“, ჯარი, ორენჯი, ორინჯის წინაფორმები, რინას წინაფორმა რი-რა*-ს მსგავსად რ ბგერის დუბლირებით ქმნიან ახალ აზრობრივ სიტყვებს – სემანტემებს (მრავარ*ი, ბრერ*ი, რარ*ი, ორენრ*ი, ორინ*ი),* იმ დროს, უკვე ასახავენ არა საგნობრივ აზროვნებას, არამედ ქმნიან შესაბამის აბსტრაქტულს ტერმინებს.

გარდა აქ ჩამოთვლილი სიტყვებისა და ზემოთქმული სტატიკური – რე // არის ზმნებისა სლავური **როდ** კომპლექსიანი სიტყვების პარალელია ქართვ. – ერი: თუ რი-ნა <// რი-რა* ცხოვრებას, სიცოცხლეს განასახიერებს, **ებ** „მრავლობითობის“ ფორმანტი + **რ**, „არსებულის“ აღმნიშვნელის მეშვეობით (ე-რი //<) ებ-რი*, უკვე ადამიანთა, ხალხის არსებობას აღნიშნავს...

ანუ ერი-სა და რუს. **რიდ კომპლექსიანი** სიტყვების არსის განსაზღვრაში **რ** ბგერა აღმოჩნდა გადმწყვეტი მნიშვნელობისა. აი, რამ გააერთიანა **ერი და როდ** კომპლექსი.

ებ მრავლობითობის ფორმანტია. რე = „არსებული“; კუმშვა დადასტურებული თვისებაა ქართ. ენისა. ამიტომ, ერის წინაფორმა ებ-რე*-დან (= ბევრია), კანონიერად, ებერე* აღი-დგინება, რომლის პირველი ე-ს დისიმილიაცია იბერ-ის გვაძლევს. ესე იგი, საწყისი იყო ებ-ერ* მრავალი მოდგმის, ხალხების მნიშვნელობით და, ამდენად, იგი ტომობრივი გაერთიანების სახელი ყოფილა, რაც მნიშვნელოვანია რამეთუ ამ სახელს ბევრი უცხოელი ებღაუჭება...

მეგრ. ლორს-უა „მჭერმეტყველება“, ქართ. ლოცვა, მეგრ. ლერსი // ქართ..ალერსი, ლექსი; მეგრ. რაგადი, ბერძნ. ლექსემა // λέξη ლექს // ლოგო // გერმ. რედე, სლ. რეჩ „სიტყვა“;

აზობრივად და ფორმობრივად ლექსი და ალერსი, ვერავინ შემედავება, ახლოს არიან. ალერსი ხომ ლამაზი სიტყვებით მაღალი ემოციების გამხატვაა. ლექსიც ამ მიზანს ემსახურება ამიტომ, ალერსიდან სიტყვა ლექსი წარმოქმილიყო სავსებით ბუნებრივია. მაგრამ შეხედეთ აქ როგორ ერთვება მეგრული: ალერსი მეგრული სიტყვაა, ა მითითების ნაწილაკისა და ლერსი (ლექსი) სიტყვისაგან შემდგარი. გარდა ამისა მეგრულად მჭერმეტყველება არი ლორსუა. ა, უჯინ მუ ნინას უ-ლორს-უანც უდრის „აი, როგორ მჭერმეტყველებს“: ასევე სემასო-ფონეტიკურად ქართ. ლოც-ვა ამ მეგრ. ლორს-უა-სთან არაა დაშორებული: ლოცვა ხომ თავისებური მჭერმეტყველებაა: ლორს-უა > ლოს-უა > ლოც-ვა.

ლორს-უა სიტყვის ლორს ძირი და მეგრ. ლერს-ი("ლექსის") ლერს ფუძე ფორმობრივად და აზრობრივადაც ახლოს არიან:. ლორს // ლერს შორის მხოლოდ ერთ ხმოვანშია სხვაობა ანუ ისინი ალომორფები არიან... მ. ე. ლორს და ლერს ფუძენი ლორსუა, ლერსი და ალერსი სიტყვებისა თუ მეგრულია იქნებ ლექსიც, უძველეს პელასგურ წიაღში, ბერძნულ ურთიერთობებშია შობილი.

ნუგზარ კვაშილავამ ბერძნ. λέξη ლექსი // ლექსემა „სიტყვა“, ლექსიკონი მეგრულს დაუკავშირა იხ. „მისტიური ნოსირი“ გვ. 10“;

მეგრ. ლერსი, // ქართ. ლექსი, ალერსი; მეგრ. ლორს-უა

„მეტყველება გარკვეული ხასიათისა“: ერთი საერთო კოლხურ-პელასგურ ამოსავლიანობის არიან: აქ **რს > ქს,** სავარაუდოა, ბერძნულის გავლენის შედეგია. ეს ერთი მაგ. არაა ბერძნ პელასგური პარალელისა, რომელსაც დღევანდელი მეგრული წარმოაჩენს:

მაგ. ბერძნ ლოგო, ლოგო-სი და მეგრ ლაგვა-ლი „ბოდვისმაგვარი,ლაჩრული და შეუსაბამო საუბარი“ ლოგო და > ლაგვა ექვივალენტურნი არიან, ერთმანეთთან მიმართებაში: ლოგო-ს ერთი **ო** დელაბიალიზებულია, მეორე – **ვა**-დაა დაშლილი. ასევე, ლოგო და მეგრ. **რაგა**-დი-ს „სიტყვა, მეტყველება“ **რაგა** ძირი – ერთიდაიგივეა, ოღონდ **რ > ლ** ლატერალიზაცია და **ო > ა** არის მომხდარი: ესე იგი ამათი ამოსავალი იყო **როგო***: > მეგრ. **რაგა; როგო*** > ლოგო...

ბერძნ. ლოგო, // გერმ. რედე // სლ. რეჩ და // მეგრ რაგადი სიტყვებში მთავარ როლს **რ** ბგერა თამაშობს: რომელიც **ლ, ნ, მ** ბგერების დასაბამია, რამეთუ დასაბამისმიერი ხმაბაძვითი ბგერაა, რაზეც ჯერ კიდევ ლაიბნიცი მიუთითებდა... ასევე პლატონიც...

ზ ბგერა და რ + ზ ბგერითი მოვლენები

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, “...ბუზ და ბზკომპლექსები ქართულში ხმის გამოცემის ცნების გამომხატველია...“ ქართულ აურ-ზაურში, დუბლირებული, რ-ს გარდა, ხმაბაძვითი ზ ბგერის ჩართვით ხმაურის სიძლიერეა აღნიშნული.

ხმაბ. ზ ბგერაა დუბლირებული აშკარა ხმაბაძვით მეგრ. ზარ-ზარ-ი (რ > ლ) //> ზარ-ზალი (რ > ნ) //> ქართ. ზან-ზარი; მეგრ. ზარაზანი // ქართ „ზარბაზანი;“ მეგრ. ზურზინ-ი // ზუზინ-ი // ქართ. ზუზუნ-ი; მეგრ. ზურ-ზული < ზურ-ზური*, ზგრგ-ნი „ტირილის სახეობები“; ზირ-ზინ-ი, ზირზოლი // ქართ. „ზრზვნა, ზუზუნი;“ „ზრიალი, აურ-ზაური, (იხ ა. ქობალია მ. ლ.) სიტყვებში: თუმცა სიტყვაში ზ ბგერის დუბლირება ყოველთვის მის დასაბამისმიერ ხმაბაძვით ამოსავლიანობაზე როდი მეტყველებს.

მაგ: მეგრ. ზიზინაფა // ქართ. გაზიზინება „ძლიერი შესიება-„ს ზ სულ სხვა – შ ბგერის ცვლილების შედეგია: შინა-ფა „შესივებაა“; გო-შიშინა-ფილ-ი // შიშინა-ფილ-ი გაძღომისას „მუცლის გამობერვაა“. მ. ე, მეგრ. ზიზინა-ფილის ნინაფორმა იყო შიშინა-ფილი.*

ზაზაბი „ბლანტი, წყლით გაჟიებული, წყლით გაზიზინებული

ჭაობიანი ადგილი, საფლობი, (ზაზაბ ენწერი „დაჭაობებული ეწერი“. იხ ა. ქობალია მ. ლ)“. აქაც, ცხადია, ზ ბგერა არაა ამოსავალი. იგი შ ბგერის შ > ს > ზ ცვლილებაა, ან მის ადგილზე, დასაშვებია წ ბგერა ყოფილიყო: მეგრ. წა და შგ სიტყვები დღესაც ხომ წყალია..

ზ ბგერიდან ამოსული ხმაბ. სიტყვებია: მეგრ. ზირინი // ზგრინი // ზგრჳნი „ტირილის სახეობები;“ ზუმინი // ზმუილი; ზორი „ძახილი, გოდება“, მე-ზორ-ე // მე-ზარე „შემ-ზარ-ავის მაცნე, კვარტეტი შემსრულებელი მოთქმისა, სატირალში“; მეგრ. // ქართ. ზარი, ქართ. ზარვა; მეგრ. ზარ-ხუმა „წყევლა = ზარის ხმა;“ ზარანდი „მოზარე, ზარის მთქმელი, ომახიანი, ზარმდამცემი“...; ზარანდია მოზარე, ზარების ჩამომსხმელი“; ზარულაია „ზარივით ხმანკრიალა“ ზარული „ზარისმიერი მელოდია...“ (იხ. ა. ქობალია მ. ლ.); მაზარი // ზარანდი მგლების ხროვა (ეტიმ. კავშირია ზარ-თან); ზარა // ზანზალაკი“.

მეგრ. ზან-თი // ქართ. „ზავთი“ (არაბულ ნასესხობად ითვლება იხ. ქეგლ), // ზათქი; არაბ. საუთ „ხმა“; რუს. ზვუკ, ზვუჩანიე „ბგერა, ხმიანობა;“ ძველ სლავური ზვონ; „ხმა“, ვზრივ „აფეთქება.“

მეგრულ და სლავურ ვულგარულ – მეტეორიზმის გამომხატველ სიტყვებში ზ ბგერა ბ ბილაბიალთან კომპლექსში მონაწილეობს: მეგრ ბუზ-ინ > სლ. ბზდუნ: დასახელებული სიტყვები იმაზე მიუთითებენ, რომ სხვა უცხო ენათა ზ ან მისი ბადალი ს ბგერის შემცველი სიტყვები ქართველური ზ წარმომავლობისაა...

გ ბგერა.

რ + გ – რგ // გრ კომპლექსის შემცველი ლექსიკა

გ ბგერა ხმაბაძვითი რომაა ამის დასტურია ქართ. გუ-გუნი < გუ-გური* < გურ-გურ-ი*; გუგუნებს უდრის „გ ბგერას მიმსგავსებულად ძლიერ ხმაურობს.“ მეგრ. გვა-გვა-ფი „გ ბგერის გამოღების მქონე მოვლენაა. მაგ: გური იგვაგვ უდრის „ გული გ ბგერის გამოცემით ხმაურობს.“ ზმნა გვა-გვ-უა უდრის „გ ბგერის გამოცემით ძლიერი ცემა“.

რ ხმაბაძვითი **გ** ბგერასთან კომპლექსში ქმნის თვალსაჩინო ხმაბაძვითი თვისების მქონე ლე-ქსემებს: მაგ: **გრ**უხუნი < გრუხური*; **გრ**იალი < გრიარი*; **გრ**იგალი < გრიგარი*; მეგრ. გუ**რგ**ინი // გურგინ-უა // გურგელი // ქართ. **გრგ**ვინვა; მეგრ. გურგენი

„“მგვრგვინავი“; გურგუმა „თქეში“ (ა. ქობალია მ. ლ.). გარაგანი „ქარიშხალი ჭექა ქუხილთან ერთად“; ქართ. გრიგალი, გრიალი;

რუს გრომ // გროხოტ „გრგვინვა“; “...უკრ. გრიმ; ბელ. ჰრომ; პოლ. გრომ; ჩეხ. ჰრომ, სლოვ. ჰრომ; ლიტ. გრუმეტ // რუს. გრემეტ; ძველ პრუსიული გრუმის „ქუხილი“; ახალ სპარსული ვარმ „ბრაზი“; ძველ გერმ. გრამ „ბრაზიანი;“ ბერძნ. ხრკეაბოს „ხრჭიალი...“ (იხ. რუს. ენის ეტიმ. ლექსიკონი. თარგმანი ე. ი.)“: ჩამოთვლილი სიტყვები უტყუარად ამტკიცებენ იმას, რომ რ და გ ხმაბაძვითი ბგერები ქმნიან კომპოზიტებს, რითაც შექმნილია იდეალური საწარმოთქმო სიტუაცია, ამ კომპლექსთა მეშვეობით, დასახელებული მოვლენის – გვრგვინვის ხმიანობის უკეთ გადმოსაცემად.

გ და კ ხმაბაძვითთა მეტოქეობა

„...ჭან. გ-ურ-ი // გ-უ-ი მეგრ. გ-ურ-ი, ქართ გ-ულ-ი; სვ გ-უ-ი // გუ-ილ-დ, გ-ვი-შ, ძირია, გ; საწარმოებელი აფიქსია ულ – ქართ. ურ – ჭანურსა და მეგრულში; სვანურში უ დაშლილია ვი-დ და გვხვდება ლ-ს მოკვეცითაც და ლ-იანადაც.

ჯერ კიდევ უსლარს ჰქონია აღნიშნული, რომ იგივე ძირი გ გამოყენებულია აფხაზურში ხუნძურში ლეკურში...“ (არნ. ჩიქობავა „შედარებითი ლექსიკონი გვ. 66“). ამ ციტატის ფუძემდებლური დასკვნა კი არის შემდეგი: ქართველურში და კავკასიურში გ თანხმოვანი ძირია გულის აღმნიშვნელ სიტყვებისა.

ლათინურ-ქართველური პარალელი – კორ <// გურ >// გულ ეჭვს არ იწვევს. ამ სახელთა მსგავსებაზე მკვლევარი ვლ. ალფენიძეც მიუთითებდა. ლათინური კორ „გული“ გვიჩვენებს, რომ უ-ს წინარე ხმოვანი იყო ო. მოხდა გაბაგისმიერება: ო > უ მეგრულ-ქართულში და ო > უ > ვ სვანურში.

იგივე ლათ. კორ და გერმ. ჰერც „გული შედარება ცხადყოფს, რომ გერმანულში არტიკულაციამ კ ბგერისა ჩაიწია ჰ ბგერად, ხოლო იგივე კორ და სლ. სერ-დცე გვიჩვენებს: ც ლათ. სიტყვებში ცერებრე, ცერებრალის ლათინურივე კორ-ის კ-ს ტრანსკრიფციაა ანუ ლათ. კორ სიტყვის კ ასოს ც და კ-დ წაკითხვის შესაძლებლობის გამოა. ეს ც სლ. სერ-დცე სიტყვაში ქცეულია ს ბგერად.

ხოლო იგივე კორ და გულ // გურ შედარება ცხადყოფს: რ სონორიდან ლ ლატერალია წარმოქმნილი. ანუ აქ არის მეგრულ- ქარ-

თულ რ : ლ შესატყვისობაში რ > ლ მიმართულება, რაც საპირისპიროა ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულ ლ > რ მიმართულებისა. ესე იგი მეგრ. გური > ქართ. გული. (შდრ. სვ. დოშდულ < დოშდურ* „მთვარე". ივ ჯავახიშვილი. ქ. ე . ი . შ. გვ 167). დასახელებული მაგალითები ცხადყოფენ: გიორგიულ გ და ლათ. კ-ს, ამ სიტყვებისას, საერთო წარმომავლობა გააჩნიათ. მაგრამ რომელია პირვანდელი და რატომ? სანამ კითხვას ვუპასუხებდეთ დავაზუსტოთ, რომ ლათინური ტჰორაკს // რუსული გრუდ და მეგრ. კიდირი // ქართ. მკერდი სიტყვები აშკარა პარალელები არიან.

გ დაყრუებულია ლათ. კორ „გული"< გორ*, თჰორაკს < დგორაკს* „მკერდი" და ქართ. მკერდ < მგერდ* // მეგრ. კიდირ < გიდირ* სიტყვებში. ასე რომ სლ. გრუდ-ის გ უძველეს ვითარებას ასახავს. ხოლო მისივე დ მეტათეზირებული დ თავსართია, მეგრ. გურ „გულ-იდან" ამოზრდილ დ-გურ* პრეფორმისა. სხვა ბგერები ამავე დ-გურ-ის შედგენილობაში არსებულ ბგერათა ახლებური სივრცითი განლაგებაა: დ-გურ* > გურდ > გრუდ!!!... შდრ. რუს უტრო //< მეგრ. ორდო.

რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დასახელებულ ტერმინებში არა გ მჟღერია დაყრუებული, არამედ, პირიქით, ასევე, ხმაბაძვითი კ არის გამჟღერებული, როგორადაც, დასაშვებია, მივიჩნიოთ ლათ. კუკულუს >// გიორგიული გუგულის შემთხვევა? და ამგვარად იგი – კ ბგერაა პირვანდელი მოცემულობა? – მართლაც, ლათ. ტჰორაკს //< ქართ. მკერდ-ი // მეგრ. კიდირ-ის შემთხვევაში, ეს დასაშვებია თუ დასახელებული ტერმინები ამოსულნი არიან, ისევე როგორც კლდე // კირდე (იხ ქვემოთ), სიმაგრის, სიმტკიცის მნიშვნელობითი საფუძვლებიდან და არა გულისცემის ფონემური მოვლენების აღქმა-წარმოდგენებიდან.

საეჭვო არაა, გულისცემის ბგერითი სპექტრი გ ბგერის წარმოთქმით მიღებულ ბგერით მიღებულ სპექტრალურ ინტერვალს უფრო დაემთხვევა, ვინემ – კ ბგერისა. ამიტომ, სახელსადები მოვლენის – გულისცემის ან თავად გულის სახელდებაში მონაწილეობის მისაღებად უპირატესობა გ ბგერის მხარეზეა. და ეს უტყუარად დაადასტურა გასული საუკუნის 80-იან წლებში ავტორისეულმა ფონოკარდიოგრაფიულმა კვლევებმა: ფონოკარდიოგრაფით ჩაწერილ იქნა წარმოთქმული გ და კ ბგერის, მაგიდაზე თითების კაკუნის ხმები და გადაღებულ იქნა გულის მუშაობის ფონოგრამა

(ფონოკარდიოგრამა): მაგიდაზე თითების კაკუნის ფონოგრამა უფრო დაემთხვა წარმოთქმული – კ ბგერისას. ხოლო ასევე წარმოთქმული გ ბგერის ფონოგრამამ უფრო პოვა მსგავსება გულის მუშაობის ფონოკარდიოგრამასთან. ამ დასახელებული ცდის მონაცემები სავსებით მარტივადაა გადასამოწმებელი, რითაც აქვეთქმულის ჭეშმარიტება, უტყუარად, დადასტურდება

სლ. კუ-კუ-შკა, აფხ. კუ-კუ, ლათ. კუ-კუ-ლუს და ა. შ. და გიორგიული გუ-გუ-ლის შემთხვევა-ში, ფონოგრაფიული კვლევით უნდა გაირკვეს გ თუ კ ბგერა უფრო ესადაგება გუგულის ძახილს და ამის შემდეგ დაისახოს თავსაწყისი ბგერა და არა, წერილობით თუ სხვა ისტ. წყაროებზე დაყრდნობით, რომელიმე მათგანის გავრცელებულობის თუ სიძველის გათვალისწინებით.

მეგრ. კაკაფი, კაკაფა // ქართ. კაკუნი, კერკეტი; მეგრ. კაკი „ხეზე, ნაჯახის დარტყმით, გაკეთებ-ული ნი-შანი“; კეკუა „მსხვრევა, დანანევრება;“ კვეკვი // კვეკვია // კვეკვა „ჩაქუჩი“, კეკე // კეკეჩი, კეკი „დოლაბის ნაწილი, ... თოხი, უტეხი, ძლიერი, ქვის საკოდელი, წისქვილის ქვის საკოდი“ სპეც. წერაქვი“ კეკიშ-კეკი „მაგარზე მაგარი“, კეკიშ-კეკო “...ნამსხვრევი“ ა. ქობალია მ. ლ.;

ქართ. კაკაკუკი; რუს. სტუკ „კაკუნი“, კოვატ „ჭედვა,’ კუზნეც მჭედელი, კოლოკოლ „ზარი,“ კი-რკა // გერმ. კირხე „წერაქვი“ და ა. შ სიტყვები აშკარად მეტყველებენ კ ბგერის როლზე ამ სიტყვათა ხმაბაძვითი თვისობრიობისათვის: მათი ხმაბაძვითობა განპირობებულია მოვლენათა ბგერითი გამოვლინებებისა და წარმოთქმული კ ბგერის აშკარა მსგავსებით, რაც, რა თქმა უნდა, ფონოგრაფიული კვლევებით ადვილი დასამტკიცებელია. არადა ეს და სხვა დასახელებული სიტყვები, როგორც ხმაბაძვითნი, ენათმეცნიერებში, აბსოლუტურად, იგნორირებულნი არიან.

ბასკური კარ და მისი შემცველი გიორგიული სახელები მეგრ. კარ-კალ-ი // ქართ. რაკ-რაკი > ლიკ-ლიკ-ი; კრიახი, კა-კა-ნი // სვ. ლი-კარ-კა-ცე // მეგრ. კარ-კალ-ი < კარ-კარ-ი* ტერმინებით გამოხატულ მოვლენათა თანმხლებ ხმიანობებთან მსგავსების თვალსაზრისით, გ ხმაბაძვითთან შედარებით კ-ს უპირატესობაა, რაც, ასევე, ფონოგრაფიულმა კვლევამ უნდა დააზუსტოს.

ჩამოთვლილ სახელებიდან საინტერესოა მეგრ. კარ-კალ-ი და // სვ. ლი-კარ-კაცე „კრიახი“, რადგან ამათში შემავალი კარ ფრაგმენტი ბასკურში ქათამს აღნიშნავს. ახლა კი გასაგებია თუ რატომ

ენოდება საქათმეს, მეგრულად, ო-კარ-იე. ეს მაშინ როცა კარ დღეს არაფერს არ ნიშნავს. მეგრულში, საქათმეს მეორე სახელი – ო-ქოთომ-ე-ც გააჩნია. ქოთომ კი ქათამია. მაშასადამე ო-კარ-იე „საქათმე" სიტყვაში კარ ფრაგმენტი, ერთ უძველეს დროს, ბასკურში და მეგრულში ერთიდაიგივეს – ქათამს აღნიშნავდა.

სიმაგრის აღმნიშვნელი სახელები

მეგრელები, სიმაგრის შესამოწმებლად საგაზე დააკაკუებენ და იტყვიან: კგ რე – „მაგარია"-ო:

პირველი ადამიანი, მაღალი ხვედრითი წონის მქონე საგნებით – ხის, რქის, ქვის, სახელდახე-ლო იარაღებით საქმიანობისას, მათი ურთიერთკონტაქტისას, კაკუნის ხმიანობის ხმებს აღიქვამდა. შედეგად, მაგარ საგანთა დაჯახების – კაკუნის კკკ ხმები სიმაგრის ცნებად გადააზრიანდა.

ამგვარად, დღევანდელი მეგრული კგ მარცვალ-სიტყვით სიმაგრის მოაზრება კ ბგერით მისივე პირვანდელი – კკკ ხმიანობის ცნების დიფერენცირებაა: ქართ. მაგარი, // მეგრ. მანგარი, // სვ. ბიგ ტერმინთა გ ბგერა კ წარმომავლობისაა. ესე იგი, ამ სახელებში კ გამჟღერებულია: კ > გ.

სემასიური ცვლილებები ამგვარია: 1. მაგარი საგნების და მათი ურთიერთკონტაქტის კკკ ხმების ერთობლივი მხედველობითი და სმენითი აღქმა; 2. შემეცნებაში ამ ხმებისა და საგნის რაობის გაიგივება; 3. კკკ ხმიანობისადმი მიბაძვით – კ ბგერით სახელდება საგნის აბსტრ. შინაარსისა – მისი სიმაგრისა; 4. შემდგომ კი წარმოქმნა სადაგი ფრაზისა კგ რე – „მაგარია." საინტერესოა, რომ სვანურად ბგგ-ი არის მაგარი, ბიკ-ი კი ჯიუტია. მეგრ. ბიგ-ა მაგარი ჯოხია. ანუ მათ შეინარჩუნეს საგნის დასაბამისმიერი ისტორიამდელი ეტიმ. ამოსავლიანობა: კგ „მაგარი" + ბ > ბიკ სვ. „ჯიუტი" და მეგრ. ბგკგ* > ბიკა* // ბიგა „მაგარი ჯოხი": სვ. ბიკ-ი მიღებულია ბგგ-ის აბსტრ. მნიშვნელობის (სიმაგრის) მეორე აბსტრ. მნიშვნელობად (ჯიუტი) გადააზრიანებით.

ეგრევე მოხდა სლავურში: ბგკგ* „მაგარი"> ბიკ „ხარი". ანუ სლავურში სახელი ბიკ „ „სიმაგრე // ღონიერების" > დიდი ღონი მქონე // ხარი ფსიქოაქტების გამოა.

სვ ბიკ „ჯიუტი, მეგრ. ჯიკ-ი „ჯირკი" და ქართული ჯიუტი

აშკარა აზრობრივ კავშირში არიან: მეგრ. ვე-მკი-ჯიკ-ე უდრის „ვერ შეანძრევ, ვერ დაძრავ, მყარია“; ჯიკ-ი ჯგუა კოჩი უდრის „უდრეკი, ჯიუტი კაცი“: ხოლო, რაკი მეგრ. ჯიკი, ჯიკუტია და ჯიკუტი ფორმითაც არსებობენ", ფაქტია ჯიუტ-ი < მეგრ. ჯიკუტის გამარტივება ყოფილა: ჯიკუტი > ჯიუტი.

ცხოველთა რქა დღესაც და პრეისტორიულ ეპოქებშიც სახელდახელო იარაღია. იგი გამოირჩევა 3 ძირითადი თვისებით: მოცულობითია, წაწვეტებულია და მაგარია: სამივე თვისება არქაული სახელდებათა განმაპირობებელია: ყ + წ წოვას, სმას – ყლურწვას, რომ აღნიშნავდა ვიცით მაშ, ყგ-წგ-რე > ყარწი* > ყანწი უპრობლემოა; რქა მაგარი როა და კგ მაგარს რომ აღნიშნავდა სწორია: ესე იგი, კგ //> კა > ქა მეგრ. „რქა“ ლოგიკურია. აქ კ > ქ მოხდა ანუ კ გამგლერდა. მაგრამ რქა წაწვეტებული რომაა ამიტომ მივიღეთ ქა „რქა"-საგან > მეგრ გა > „ქედი“, რომელიც წინათ, უეჭველია, უფრო მთას (მთა წაწვეტებულია და იმიტომ) აღნიშნავდა, ანუ მნიშვნელობა მცირედ იცვალა.. აქ ქ > გ მოხდა ანუ ქ დაყრუვდა. ამ გა „მთა*, „ქედი"-ს ალომორფი – გო მონაწილეობს მეგრ. // ქართ. გო-როხ-ი სიტყვის ფორმირებაში = **გო** „მთა“ ანუ დიდი + როხი „ბელტი“ = „დიდი ზომის ბელტი“. რა თქმა უნდა, მისივე მონაწილეობითაა ფორმირებული გო-ლა (< გო-რა) მეგრ. „მთა.“

ამოსავალი ფსიქოფორმა – კგ-რე „მაგარია „ იძლევა საოცარ პოლიმორფიზმს: კგ-რე > კურ-ი* > ქურ-ი მეგრ. „ქუსლი“: ქუსლტერფი მყარად დგომის პირობაა. ამიტომაც გაფეტიშდა ქუსლი პელაზგურ მითოლოგიაში და ამიტომაც მოექცა აქილევსის ძალა ქუსლში: ამიტომაც გვაქ მეგრ. ქურ-ამ-ურ-ი „გრდემლი“ (ეტიმ. = ქუსლისებური) და, გამარტივებით, ქურ-ამ-ურ-ი > ქურა.

კურკოვნების კურკის სიმაგრითაა განპირობებული მათში კ ბგერის სიხშირე. მეგრ. კგ, ‘რკოს“ და „მაგარსაც“აღნიშნავს. ეს იმიტომ, რომ რკო, სხვა კურკოვნებთა მსგავსად, სიმაგრითაა გამორჩეული. კურკოვნების კურკის სიმაგრითაა განპირობებული მათ აღმნიშვნელ სიტყვებში, როგორნიც არიან ქართ. კურკა, კრკო, კაკალი; მეგრ. კურკანტელა კ ბგერის სიხშირე. აქ ყველგან ამოსავალი **კგ + რგ > კგ რგ* =** დღევანდელი მეგრ. **კგ რე** „მაგარი-ას.“

როგორც ცნობილია, სიმრავლის ერთიანობაც უძლეველობის საფუძვლად მოიაზრება. მაგ. ხალხურ ზღაპრებში წკნელების შეკვრა, როგორც დაუძლეველი, დაპირისპირებულია ერთი წკნელის

ადვილად დამტვრევის შესაძლებლობასთან. ამიტომაც, სავსებით ბუნებრივია, მრავლ-ის ერთად შეკრულობის, ძლევამოსილების ეტიმ. საფუძვლად ყოფილიყო კგ რე – მაგარია ფრაზა: აქედან მეგრული კგრ-უა // კირ-უა // „კვრა, შეკვრა"; კგრ-ილ-ი, კირ-ილი „შეკრული"; ქართ. შე-**კრ**-ულ-ის **კრ**, კი მეგრ. კირ-უა // კგრ-უა-ს ნაკუმში კირ* გახლავთ. საინტერესოა სემანტემა ა-კრ-ძალ-ვა. იგი არის, სახეცვლილი, მეგრ. ო-კირ-ძალ-უა: ო ქართ. სა პრეფიქსის ფარდია, კირ უკვე ვიცით. ძალ-უა უდრის „ძალვა: ო-კირ-ძალ-უა იქნება „შეკრული ძალა" ანუ „ძალისხმევის მოთოკვა": ო-კირ-ძალ-უა > ა-კრ-ძალ-ვა სემ. ველის შემდგომი გაფართოებაა > კრძალვა და და-კრძალვა. რუს. კრეპკიი, **კრეპოსტ** სიტყვებში **კრ** ნაკუმში მონაცემია **კგ რგ*** > **კგ რე** ფრაზისა.

კგ ცოცხალ არსებათა სიძლიერესაც განასახიერებდა: „...კა ადამიანის (უპირატესად მამაკაცის) ძალი და ღონე, ხორციელი და სულიერი ძლიერება, ნაყოფიერების დედა-ძარღვი, რაც ღმე-რთეების ნებით დაბადებიდან დაყვება ყოველ კაცს..." ა. გელოვანი „მით. ლექსიკონი" გვ. 236. გარდა დასახელეული სახელებისა კგ მარცვალ-სიტყვის მიერ სიმაგრის მნიშვნელობის ქონების მამტკიცებელია შემდეგი ტერმინები: კგ-ს რ-ი სუფიქსაციით, როცა ამ რის ფუნქცია იგივე გახლდათ დღევანდელი მეგრ. სტატიკური ზმნა რე-სი, მიიღებიან ტერმინები კირი და კინა მეგრ. „რკინა": კგ რგ* > კგ რე > კირი > კინა. ქართვ. ფილოსოფიაში ესენი ცნობილი არიან, როგორც სიმტკიცის, ურყევობის, სიმაგრის სომბოლონი: შდრ. ქართ. კირ-თება, ჭირ-სა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვით კირსა; რკინისებური კაცი და ა. შ. ამიტომ, კანონიერია მეგრ. კირ-დე „კლდე-ს" მიღება კირი + დე სუფ. და კუმშვით: კირიდე >// კირდე.

კოლხეთის პრიორიტეტები კერამიკულ ტექნოლოგიებში ცნობილია: ამასვე აზუსტებს კგ რე ფრაზას ბგერით შედგენილობათან თავად კე-რა-მიკის კე-რა ძირი: კგ-რე > კე-რა მეგრ. კლდეს – კირდე, კლდოვან ადგილებს კი ლა-კა-და ეწოდება: ლა-კირდე > ლა-კიდე* დისს. > ლაკადა; კირდე-დანაა მეგრ კიდა „კედელი": კირდე > კიდე > // კიდა; გამაგრებულ ადგილებში შესასვლელს – კარს სპეციალურად ამაგრებდნენ, ამიტომაც მის ამოსავლად კგ რე ფრაზის გულისხმება ლოგიკურია: კგ რე > კარი.

მეგრ. ტერმინი როკი ზეზეულად გამხმარი მაგარი მერქნის

მქონე ხეა. როკი ასევე იდეალური სიმაგრის, სიმტკიცის სიმბოლოა: როკი კოჩი = „მაგარი ჯამთელობის, მტკიცე ნებისყოფის ჭარმ-აგი კაცი“. ეს რო-კი გვიჩვენებს რომ მეგრ. სტატიკური ზმნა – რე არსებობდა რო ფორმითაც: კჳ-რჳ* >// რჳ-კჳ* > რო-კი „მაგარი*“; როკი და მეგრ. ჯიკი // „ჯირკი“ ექვივალენტური ბგერებისგანაა შემდგარი: ჯიკი როკის რ-ს აფრიზაციის შედეგია: როკი > ჯო-კი* > ჯი-კი // ჯირკი;

როგორც ითქვა, **რკინა**-ც კჳ რე ფრაზიდანაა, ოღონდ კირი-ს წარმოქმნის შემდეგ, ანუ, ამ ფრაზიდან ჯერ კირი შეიქმნა, შემდეგ კი მოხდა – კი-რი > კინი* > კინა: ეს ტერმინები მეთუნეობაში და მეტალურგიაში კოლხური პრიორიტეტების მღაღადებელნი არიან.

შ ბგერა

მეგრულში. წყალი ანუ მდინარე მრავალგვარ ხმაურს მოიცავს. ვისაც მდინარის ახლოს უცხოვრია დამემოწმება, თუ რაოდენ შთამბეჭდავია **შ** ბგერით გამოხატული მდინარის **შიშინი**, მეგრულად – შირშინი.რუსულად – **შურშანიე**:.ესმოდა რა მდინარის **შ** ბგერისმაგვარი ხმაური, ერთ მშვენიერ დღეს, ადამიანმა ეს ბგერა წარმოთქვა და ის მდინარისა და ზოგადად წყლის აღმნიშვნელი გახდა.:განა აქ რაიმე არარეალურ, დაუჯერებელ მოვლენებთან გვაქვს საქმე? მოყვანილი მტკიცებულებები იმდენად თეორიული არაა რამდენადაც ფაქტობრივი: როგორცა ვთქვით **შგ** დღესაც წყალია, ეს ფაქტია; მდინარე (მოძრავი წყალი) შიშინის გამომხატველია. ესეც ფაქტია; დღესაც გვესმის არა მარტო **შ** ბგერების თანმხლები მდინარის შიშინი, არამედ სიტყვები რომლებიც ამ ხმაურს მდინარისას აღნიშნავენ. ესეც ხომ ფაქტია: მ. ე. წინ რა დაუდგება იმ აღიარებას რომ რაკი მდინარის ხმაურის – შიშინის გამომხატველი სიტყვები დუბლირებულ **შ** ბგერებს შეიცავენ, ოდესღაც წყალს უეჭველად ხმაბაძვით, დაერქვა ის სახელი რაც დღესაც აქვს – **შგ**. ამგვარად, **ყრუ ფშვინვიერი სპირანტი შ ბგერა წარმოადგენს ხმაბ. ბგერას. მისი წარმოქმნა, ასევე, გამოიწვია ადამიანის პათოლოგიური სუნთქვისას წარმოქმნილმა, ფართო ბგერითი სპექტრის მომცველმა პროცესებმა, რისიც პირდაპირი სამტკიცია შემდეგი:**

1. დღეს, მეგრულ შურ–ი სახელს ორი მნიშვნელობა გააჩნია – „სული და სუნი“: თავად სული სუნთქვას და სუნთქვის ჰაერსაც გულისხმობს: მეგრ. შურ მეუღ – ზედმ. „სული მიაქვს“ უდრის სუნთქავს: მაგრამ სუნთქვა, ამ შემთხვევაში, ცხვირში, უპირატესად, შშშ ბგერების გამომცემი ჰაერის მოძრაობით ხდება, ამიტომ, დასაწყისში შურ–ი სიტყვას ჰაერის მნიშვნელობა ქონებია, ხოლო „სული და სუნის გაგება შემდგომ შეუძენია“. ამჟამად კი მეგრ. შურ–ი „სული, სუნი“ სიტყვაში, გამჭვირვალედ მოჩანან წინამორბედი მდგენელნი – შგ და რგ მარცვლები – ; შგ რგ* > შურ-ი „ (საწყისში ჰაერის*) > „სულისა და > სუნის“ მნიშვნელობით.

დღეს, მეგრ. შურ–ის მეორე მნიშვნელობა „სუნი“ გვიანდელი და ზედნაშენურია: სუნიც ადამიანის მგრძნობელობაზე ძლიერად ზემომქმედი მოვლენის სახელდებაა, მაგრამ – ობიექტის მიერ სუნის გამოცემას არ ახლავს რამენაირი ხმიანობა და მისი სახელდება უწინარესად ვერ მოხდებოდა.

ქართ. სული და სუნი სხვადასხვა ლექსემები არიან. სუნ–ის წინაფორმა ძვ. ქართულში არის სური. შდრ: სუნ–ი და სურ–ნელი,

2. ქართ. შურ–ის–ძიება, შურს იძიებს სიტყვისა და ფრაზის, შურ კომპონენტს შერჩენილი აქვს დღევანდელი მეგრული შურის პირველი („სულის“) მნიშვნელობა. ფონეტიკურად, კი ეს ის ფორმაა, რომელიც, როგორცა ვთქვით, პათოლოგიური სუნთქვის შშშ ხმიანობის შედეგად, უწინარესად რომ ჩაისახა. ფაქტი – ქართ. შურ–ის–ძიება ტერმინში სულის გაგების არსებობისა უტყუარად მეტყველებს იმაზე, რომ სული და ძვ. ქართ. სური ფორმები შურ–ი დან არიან: შური > სური > სუნი:

ესე იგი, შურ საწყისის შ > ს გასისინება და რ > ლ როტაცია იძლევა ქართ. სულ-ს პირველი მნიშვნელობით, ხოლო მხოლოდ შ > ს გამჟღერება სურ-ს – მერმინდელით: ეს ფაქტები წინააღმდეგობაშია შ : ს შესატყივისობაში ა. ჩიქობავას მიერ დადგენილ ს > შ მიმართულებასთან, მაგრამ ფაქტი ფაქტია და ვერ უარიყოფა.

3. მეგრ. შუმ-ინ–უა „სუნთქვა“. მუს ი-შუმ-ინუქ, ცუს მუს ალმო-შუმ-ინა – „შშშ ბგერების გამოცემით რატომ სუნთქავ; ყურში შშშ ხმებით რატომ ჩამქშუი;“

ქშ–უილი // შ–უილი და მეგრ. შუმ–ინი „შშ ხმიანობის სუნთქვა“ შ : ქშ შესატყვისობას ავლენს, მსგავსად ქართულ–მეგრულ ცნობილ შ : შქ შესატყვისობისა, შდრ. მეგრ. შიო და ქართ. აქშა „ფრინ-

ველთა დასაფრთხობი შეძახილი...“ ეს ფაქტები კი იმაზე მიუთითებენ რომ ქართ. შ : მეგრ. შქ და მეგრ. შ : ქართ. ქშ უძველესი საერთოქართველური მოვლენაა...

4. “...ძველ ქართული შუმ-ინ-ვა (< შუმ-ინ-უა ე. ი.) „სუნთქვა;“ სა-შუმ-ინ-ველი „სა-სუნთქი;“ მშუმინვიერი „სულიერი“...“ იხ ივ. ჯავახიშვილი ქ. ე. ი. შ. გვ. 36; აქ, ყველგან, ახალ ქართულ სულის ს ბგერის ადგილზე შ ბგერა დგას (ხაზგასმა ე. ი.);

5. მეგრ. ო-სურ-ი „ქალი“ < ო-შური. საოცარი ეტიმოლოგიური ამოსავლიანობის სახელდება: ო „სა“ + შური „სული“ > ზედმიწევნით – „სა-სულე, დედა სულიერისა“. შდრ: ქართ. სულო, სულე.

რაკი ო-სურ-ი დედაა სულიერისა ანუ განახლების დემიურგია, მაშ, ბიოლოგიური კანონებითაა განპირობებული მისკენ არა მარტო მოპირდაპირე სქესის ლტოლვა, არამედ შთამომავლობის სყვარულიც და ის ყველაზე სა-სურ-ველია: ამიტომ, დასაშვებია აქედანაა ქართ. აბსტრ. სახელი სურ-ვილ-ი, სა-სურ-ველ-ი და ა. შ. მაგრამ ამ აბსტრაქტულ ტერმინ – სურ-ვილ-ს გააჩნია არანაკლებ საბუთიერი ეტიმ. ამოსავლიანობა: ესაა მისი წყურ-ვილ-თან დაკავშირება: წყურ-ვილი და სურ-ვილი თითქმის იდენტური ცნებები არიან: შდრ. სენტენციები – „შენმა სურვილმა დამძლია“ და „შენი წყურვილი მკლავს“: ესე იგი წყურ-ვილი > წურვილი > სურვილი.

რომელია სწორი? ვერცერთს ველევი (ამიტომაცაა ეტიმოლოგია „მაცდური ქალწული“...), მარა უფრო მისაღები, მაინც წყურვილ > სურვილ მგონია.

სურ-ვილის მონაწილეობითაა წარმოებული მეგრ. სუ-მარი „სტუმარი“: სუ აქ სურ ძირიდანაა, მარ კი ასევე ძირია მარე „კაცი“ სიტყვისა: სურ-მარ-ე „ სურვილი + კაცი“ ანუ „სასურველი კაცი“ შეუდარებლად ზედგამოჭრილია სტუმრის ეტიმ. ამოსავლად: სურმარე სიტყვის რმ კომპლექსიდან რ ამოვარდა, კომპლექსთა გამარტივებისადმი, მეგრულისთვის ჩვეული, მიდრეკილების გამო: სურმარე* > სუმარი.

მეგრული ო-სურ-ის ფონეტიკური შესატყვისია ქართული ა-სულ-ი: ო-შურ-ი > ა-სულ-ი. აზროვრივადაც გადაწევა მცირედია.

ო-სურ-ი იმითაცაა საინტერესო, რომ ძველ-ქართულ ‘სუნის“ მნიშვნელობის სურ ძირს შეიცავს. ეს კი იმას ნიშნავს რომ ო-სურ-ი იმდროინდელია, როცა სურ სუნს კი არა სულს აღნიშნავდა. ანუ

ო-სურ-ი ქართულ მწერლურ პერიოდს იქით გადაცილებული სიტყვაა; სუნი ხომ ვთქვით რომ გვიანდელიაო.

აბსტრ. სახელები უსუსური და გასუსული ერთმანეთთან კავშირშია: სუ და ს და შ ბგერის სსს, შშშ გაბმული წარმოთქმა მოწოდებაა სიჩუმისკენ. მაშ, სუს-ური* – „გამგონე“ იქნებოდა; შესაბამისად – უ-სუს-ური* „არ გამგონე“, „სუ-ს არ მიმღები“ ანუ – ბავშვი, რომელიც არ შეისმენს ამ მოწოდებებს. შემდეგ, მნიშვნელობის გაფართოებით მიღებულია, დღევანდელი, უსუსური – „უძლური“ (როგორც ბავშვი).

6. ფშვა „სულის გამოღება“, ქშინვა, ქშენა...იხ დ. ნ. გვ 37. ასევე ქოშინი, მეგრ. ფუშაფი „ქშენა“: აქ, ყველგან, ძველი ვითარება, სულის ს ბგერის ადგილზე შ ბგერას გვიჩვენებს. ამ სიტყვებით გამოხატული მოვლენები ახასიათებს ინტენსიურ, დაძაბულ შრომას. ამიტომ, ტერმინი შრ-ომა < შორ-ომა* // < შორ-ობა* // < მეგრ. შურობა-დანაა, რაც ზედმიწ. „სულობა ანუ ქოშინია“.

7. რუს. დუშა და დუშისტიი „სული და სუნიანი“ აშკარა პარალელია ზემოთ დასახელებულ სახელებისა. რაც შეეხება რუს. დუხ „სული“, ვოზდუხ „ჰაერი“ და დიხანიე „სუნთქვა-ს ხ ბგერას,“ დასაშვებია, იგი იყოს პათოლოგიური სუნთქვისადმი მიბაძვითი ბგერა. ამ სიტყვების შ : ხ შესატყვისობა (დუშა // დუხ) იქნებ მათი სხვადასხვა საწყისიდან ამოზრდის შედეგია: დუშას შ ამოზრდილია შეშუპებული ნესტოებში წარმოქნილ ხმიანობის შ ბგერიდან. დუხის ხ კი ფილტვებში ჰაერ-ის მოძრაობის, ან ხორხ-იდან ამოხველებისადმი მიბაძვის შედეგია. შდრ: ხარკანიე „ხველება, ამოხველება“, ხრიპი ვ ლიოგკიხ „ხიხინი ფილტვებში“...

წყლის დინების, ფოთოლთა და ა. შ. ხმაურით გამოწვეული სახელები

გარდა, ზემოთგანხილული, შესაბამისი ხასიათის სუნთქვისა, შ ბგერის წარმოქმნა მოახდინა მცენარეთა ფოთლების და სხვა სახის ხმაურმა: მაგ: ქართ. // მეგრ. შრიალი, // რშიალი“ ფოთლებისა; // სლ. შელესტ ლისტიევ.

წყლის სინონიმებია – წგ, წყგ, წყუ, ჩხ და ა. შ. მეგრულად, შ // შგ, დღესაც, წყალს ნიშნავს. შგ-ს ვეგედოხოდა უდრის „სველზე,

წყალზე არ დაჯდე. შგ რე ფრაზა უდრის „წყალია, სითხეა, სველია.“ შოლ-უა – დასველებაა: უცხადესია, ამ სიტყვის შოლ ძირი შგ-რგ* საწყისიდანაა, სადაც რგ* დღევანდელი რე ზმნის ბადალი გახლდათ: შგ-რგ* > შორ* > შოლ. ეს უკანასკნელი, დიდი დროის მანძილზე, მოითხოვს განმეორებით სუფიქსაციას: შოლ + ირ > შოლ-ირ-ი „სველი; შ ბგერა უა სუფიქსაციითაც არსებობდა; შოლ + უა > შოლ-უა მეგრ. „სველება, დასველება;“ მეგრ. შ-ვა-პ-უა „დალტობა“. აქ უა და ვა სუფიქსებია, ცნებას თხევადობისა – შ განაპირობებს, ვა კი, რომელიც, უფრო ძველი, უა წარმომავლობისაა მას უპირო ზმნად აქცევს..

როგორც სხვა ხმაბაძვითი ბგერები შ ბგერის დუბლირებით ხდება ხმაბაძვითი ეფექტის გაძლიერება: მაგ: მეგრ. შვარშვალი // ქართ. შარიშური; მეგრ. შვაშვალი „შრიალი“, შვაშვალა „შრიალა“ მეგრ. შიში-ნაფილი // გო-შიში-ნაფილი // გო-ჟიჟი-ნაფილი „გაჟღენთილი“: ღვინით გო-შიში-ნაფილი „ღვინოთი გაჟღენთილი;“ გოშიში-ნაფილი // გო-ჟიჟინაფილი შ > ჟ გამჟღერების სანიმუშო მაგალითია; შაშ-უა „ „ჟღინთვა, ჟონვა, ლტობა“. იხ. ა. ქობალია მეგრ. ლ.

„ჭანურად ობშა ნიშნავს სავსეს – ეფშერი და ფშაფერი გავსებულს – გე-ბო-ფშამ – გავავსებ. მეგრულად კი მობშა „სავსე“, „გამსებულია“... ბშაფა, ფშაფა „გავსებაა“... ფშა „მდინარისგან წყარო მუნვე ახლო გამოდენილი“, ფშატალა“გაზაფხულში თოვლნარევი წყალი“ ივ. ჯავახიშვილი ქ. ე. ი. შ. გვ 35-36.

მეგრ. შუმა „სმაა“, შუმ-ილ-ი კი – „მთვრალია.“ მ. ე, ფონეტიკურ-სემანტიკურად ქართ. სმა მიღებულია შუმა-დან შ > ს გასისინებისა და კვეცის შედეგად: შუმა > სუმა* > სმა.

მეგრ. // ქართ. შუმი „სარიტუალო რჩეული ღვინო“ საყურადღებოა იმით, რომ შ ბგერა, თხევადი რაობის – ღვინოს სახელდებაში მონაწილეობს და, საწყისი ეტიმ. ამოსავლიანობის თვალსაზრისით, მისი როგორც სითხის გაგებიდანაა.

მეგრ. შგ „წყალი“ + რ > შგრ* (შდრ. წყარიშ შგრ-შინ-ი- „წყლის შიშ-ინ-ი“) „წყალი, სითხე“ რ > მ მონაცვლეობით > შგმ >// შუმა „სმა“ > შუმი „სასმელი სითხე // ღვინო“.

შ ძირს შეზრდილი, (უე* >) ვე სუფიქსირებული ფორმაა მეგრ. შ-ვე „სისველე, ძველი თოვლი, ნესტი.

“შ : შქ შესატყვისობას ავლენს – ვაშლი // უშქური, რომელთა

სიახლოვე ი. ე. შესაბამის სახელებთან თ. გამყრელიძის მიერაა დადგენილი. მეგრულში გვაქვს ხმაბაძვითი სიტყვები შიშონუა და შქიშქონუა, რასაც ვაშლის შშშ და შქ..შქ ხმაურით მირთმევისას ამბობენ: ვეშიშონა, ვეშქიშქონა – შშშ და შქ..შქ ხმაურით ნუ ჭამო.

შ > ჟ პროცესი ანუ ჟ ბგერის წარმომავლობა

ჟ ბგერის გვიანდელობის თაობაზე გ. ახვლედიანმა პირველმა მიანიშნა. სწორია და მისი უშუალო წინაპარია ხმაბაძვითი შ ბგერა: ქართული ჟონვას წინაფორმა იყო შონვა* </// შონუა* > მეგრ. ჟონუა „ჟონვა“. ეს რომ ასეა ამას ამოწმებს, ჟონუას სინონიმი – მეგრ. ნო-შ-უა: გონოშ, ნოშუნს უდრის „გაჟონა, ჟონავს“.

აფხ. თშგაშგმა „ჟუჟუნა-„ში შ ბგერა არაა შემთხვევით დუბლირებული. ამას ქართული ჟუჟუნა ასაბუთებს, რადგან ჟუჟუნას წინარედ შუშუნაა*: თვალ ჟუჟუნაო როცა ვამბობთ, ვგულისხმობთ ლამაზ მოციმციმე „წყლიან თვალებს. შ ბგერით კი, უკვე ვიცით წყლის მნ-ობა აღინიშნება. მაშასადამე, აფხ. თშგაშგმა და ქართ. ჟუჟუნას წინარე შუშუნა* სიტყვებში შ ბგერა დუბლირებულია სწორედ „წყლიანი თვალების“ მოაზრების ხაზგასასმელად.

სლავურში შ ბგერა, ხშირად, ჟ-დ გვევლინება: მაგ რუს. შურშანიე რეკი და ჟურჩანიე რეკი „მდინარის შიშინი’ და „მდინარის რაკრაკის მაგვარი ხმაური,“ რა თქმა უნდა, ერთ სემასო-ფონეტიკურ ველშია, ამიტომ, შურშ > ჟურჩ საეჭვო არაა...

ეს მაგალითი ასევე გვაფიქრებინებს, რომ რუსულში, ბევრ, წყლის (სითხის) მნიშვნელობის მქონე და ჟ ბგერის შემცველ სიტყვებში ამ ჟ-ს წინარედ შ იყო: მაგ. რუსულში ჟიდკოსტ „სითხე,“ ჟიდკიი „თხევადი“ სიტყვების, შ ბგერის შემცველი, ფარდი სიტყვა არ იპოება, მარა არის გიორგიულში: მაგ. მეგრ. შგ „წყალი, სველი“, შვე „ნესტი“ და რუს. ჟიდკოსტ, ჟიდკიი ერთ სემასიურ ველში არიან: ამიტომ, აქ შ > ჟ, ცხადია. ამას – ქართ გომბეშო, > მეგრ ჟვაბუ // რუს ჟაბა“ გომბეშო ადასტურებს“.

რუს. ჟიჟა და // მეგრ. ჟიჟა „სითხით გაჟღენთილი“ მეგრულში რუსული ნასესხობა გონიათ. თუმცა მეგრულში გვაქვს ფარდი სიტყვები – გო-შიში-ნა-ფილი და // გო-ჟიჟი-ნა-ფილი „გაჟღენთილი“: ამ მეგრ. სიტყვების – შიშ და ჟიჟ ძირთა და რუს. // მეგრ. ჟი-

ჟა-ს აზრობრივი და ბგერითი იგივეობა ცხადია. მაშ რა უფლება გვაქვს ისინი კოლხურად არ ჩავთვალოთ? – ანუ პირიქით, ჟიჟა კოლხური ნასესხობაა რუსულში? – არა უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით: აქ შ > ჟ მოვლენები იმ უძველეს ვითარებისკენ გვითითებენ, როცა ხალხები ერთ ენაზე მეტყველებდნენ და რომლის მონაცემები ამ შემთხვევაში მეგრულმა უფრო შემოინახა.

ანუ მეგრულმა უფრო შემოინახა დასაბამისმიერი შ ბგერა და ფს ბგერათკომპლექსი

მეგრულში. წყალი ანუ მდინარე მრავალგვარ ხმაურს მოიცავს. ვისაც მდინარის ახლოს უცხოვრია დამემოწმება, თუ რაოდენ შთამბეჭდავია **შ** ბგერით გამოხატული მდინარის შიშინი, მეგრულად – შირშინი.რუსულად – **შ**ურშანიე:.ესმოდა რა მდინარის **შ** ბგერისმაგვარი ხმაური, ერთ მშვენიერ დღეს, ადამიანმა ეს ბგერა წარმოთქვა და ის მდინარისა და ზოგადად წყლის აღმნიშვნელი გახდა.:განა აქ რაიმე არარეალურ, დაუჯერებელ მოვლენებთან გვაქვს საქმე? მოყვანილი მტკიცებულებები იმდენად თეორიული არაა რამდენადაც ფაქტობრივი: როგორცა ვთქვით **შგ** დღესაც წყალია, ეს ფაქტია; მდინარე (მოძრავი წყალი) შიშინის გამომხატველია. ესეც ფაქტია; დღესაც გვესმის არა მარტო **შ** ბგერების თანმხლები მდინარის შიშინი, არამედ სიტყვები რომლებიც ამ ხმაურს მდინარისას აღნიშნავენ. ესეც ხომ ფაქტია: მ. ე. წინ რა დაუდგება იმ ფაქტის აღიარებას რომ რაკი მდინარის ხმაურის – შიშინის გამომხატველი სიტყვები დუბლირებულ **შ** ბგერებს შეიცავენ, ოდესღაც წყალს უეჭველად ხმაბაძვით, დაერქვა ის სახელი რაც დღესაც აქვს – **შგ**.

უკვე ვწერდით, რომ შარდვის ფიზაქტი ხასიადება ჩხ ბკ-ის სადარი ხმაურით. მაგრამ ქართვ. კავკას. და სხვა ენებშიც შარდვის პროცესის და შარდის სახელდებაში დიდ როლს ფს კომპლექსი ასრულებს: „... „ფსმა ს. ს. ორბელიანის განმარტებით, ფსლის დანთხევას აღნიშნავს, ხოლო ფსელი შარდად აქვს განმარტებული. მეგრ. ფსმას „ბსგმა“, „ფსგმა“ და სგმა ეწოდებოდა (ახლაც ეგრეა ე. ი.), ხოლო ფსელს „ნაბსგმა“, „ნასგმა“ და „ფსელა“; ჭანურად – „ფსუმ“, „ფსი“—„ვფსამ“, „ვფსი“ და ფსელი ან მსელი – „ფსელი“...“ იე ჯავახიშვილი. ქ. ე . ი. შ. გვ. 36. ხაზგასმა ე. ი. “...წყალს ყაბარდოულად გულდენშტედტით პსი ეწოდებოდა და ახლაც პსჲ ქვია. წყაროს წინათ პსინნა სწოდებია. ამჟამად პსჲნეპს ეძახიან...

ეხლა პსცნიც ენოდება... ფსმგმგ ჩერქეზული, წყლის აღმნიშვნელი, ანინდელი ფსე-ს ძველი ფორმა უნდა იყოს.

ჭანურად ლისერ ბსმაა, ხოლო ნასენ ფსელი..." დ. ნ. გვ. 40. ხაზგასმა ე. ი.

ინგლისურად Piss პისს არის „შარდი. სლავურში კი როგორც ფს, ასევე ჩხ ბგერათკომპლექსის წარმომავლობის მაგალითები იპოება. შდრ. **Моча** მოჩა „შარდი", **Мочить** მოჩით „შარდვა"და **Писать** „შარდვა," პის, პის, პის ბავშვებისადმი მიმართვა შარდვის რეფლექსის გამოსაწვევად: აქ საყურადღებო ისაა, რომ სლავური პ ფონემა, როგორც არასდროს, უახლოვდება ქართვ. ფ-ს.

სლ. მოჩა, მოჩით „შარდი, შარდვას" ჩ იქნებ არის ჩხ კომპლექსის გამარტივება და არა შ ბგერის აფრიკატიზაციის შედეგი, რაც, რა თქმა უნდა, უფროა სავარაუდო: რაც შეეხება ფს კომპლექსს ზემოთჩამოთვლილი სიტყვებისას, აქ სავარაუდო არაფერია და ისინი გახლავთ პირმშონი, ბ მადირეფენცირებელის მეშვეობით განხორციელებული, შ > ბშ > ფშ > ფს პროცესისა. ამგვარად, ჰიდრონიმის სახელდებაში ს ბგერა თუ მონაწილეობს თავსანყისად შ უნდა დავსახოთ. ასე რომ მაგ: მეგრ. ბშაფა // > ფშაფა // > ქართ. ვსება სიტყვებში ბშ > ფშ; ბშ > ვს (მეგრ. : ქართ. ბ : ვ შესა-ტყვისობა ცნობილია – გ. როგავა: ბინეხი : ვენახი; კირიბი : კრავი...) და შ > ს აშკარაა, რაც ფშ და ფს ბოლოკიდურიან მდინარეთა სახელებს ქართვ. ენობრივ სამყაროს განაკუთნებს. მ. ე, აქედან არიან ფს კომპლექსიანი სახელები ჩრდილო კავკასიაში და სხვაგანაც.

ბერძნულ პსამოს „ქვიშას" ა. ივანცოვი აკავშირებს მეგრულ ფსგმა – „ფსმას" იმ მოტივით, რომ პათოლოგიურ შარდს ხშირად მოჰყვება სხვადასხვა კონკრემენტები. ამ პს-ამ-ოს სიტყვაში ამ – მეგრულ, ხოლო ოს ბერძნულ სუფიქსად აქვს გამოყვანილი, რაც სწორია. თუმცა უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა ბერძ. პს-ამ-ოს, ფს კომპლექსის შემცველი ჰიდრონიმების სიხშირის საფუძველზე, ამათთან დაგვეკავშირებინა: ფს წყლის და მდინარის სინონიმია, მაგრამ მდინარე და მისი ქვიშა ერთიან აღქმაშია. ამიტომ, ბერძ. ფს-ამ-ოს სახელის უძველეს მეგრ. ფს-ამ* წინაფორმაში არსებული ფს კომპლექსი მდინარე და ქვიშას ერთიანობაში გულისხმობდა, ხოლო შედგენილობის ამ *სუფიქსი* ამავე ფს-ამ* წინაფორმისა ქვიშაზე მიუთითებდა როგორც წყლიანზე: წყლის ნაპირას ხომ ქვიშა სველია.

ქართ. // მეგრ. შლ-ამ-ი გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა: მეგრ. შოლ ძირია სიტყვისა შოლ-ირ-ი"სველი": შოლ-ამ-ი იქნება, ზედმიწ. „სისველიანი" ანუ სველი: თავად ქვიშა – ქვი-შა სიტყვას ქვი იგივე ქვა გახლავთ, შა კი მისი სისველეა: ანუ, სხვანაირად, ქვი-შა უდრის „სველი ქვა".

„... შუმერულ მითოლოგიაში, „აფსუ" არის ერთ-ერთი ღმერთი, პირველქმნილი სტიქიის ძე. ეს დაფიქსირებულია უძველეს კოსმოგენურ აქადურ პოემაში „ენუმა ელიშ", თითქმის 5000 წლის წინათ... კოლხურში „აფსო" ... უკავშირდება შობას ჩასახვას და „წყალს". ფიზიოლოგიური წყლის დენა „აფსოს" მეშვეობით ხდება, თესლიც მისი მეშვეობით მოძრაობს..." ვლ. ალფენიძე.

მეგრ. აფსო // ა-ფს-ო სრულიად ბუნებრივი და ლოგიკური სახელდებაა: ო-ბსგ, // ო-ფსგ // ო-ბსგ-მალ // ო-ფსგ-მალ // ო-სგ-მალ უდრის „შარდის გამოსაყოფი ორგანო" (მეგრ. ო – ალ // ქართ. საერ, სა-ენ და ა. შ. მაწარმოებლები ცნობილია). ასე რომ, წინათგანხილული, მეგრ. შგ „წყალი" > სგ > ბს > ფს-დან > სგმა // ბსგმა // ფსგმა „შარდ-ვა", ო-ფსგ „ზედმიწ. სა-შარდავი" და აქედან კი > ო-ფს-ო //> ა-ფს-ო, ერთის მხრივ და ჩხ კომპ-ლექსიდან – ჩხარ-ჩხალ-უა „ჩხრ.. ხმაურით შარდვა," ამ ჩხარ // ჩხალ // ჩხურ-თან კავშირში მყოფი > ჩურ „ქალის გ. ს. ო. მეგრ. ვულგ. მეტყველებაში, მეორეს მხრივ, ხოლო, მესამეს მხრივ, ნ ბგერიდან იგივე სახელი ქართულში – მუტ.. უდიდესი მნ-ობის ანალოგები არიან.

შ-დან > ბშ // ფშ // ფს-ზე ზემოთქმულის საფუძველზე, უდაოა: ქართ სა-შო და // მეგრ. ა-ფსო ფ. ს. შესატყვისები არიან: ქართ. სა-შ-ომ შეინარჩუნა ამოსავალი შ, მეგრული ა-ფს-ოს ფს კომპლექსისათვის. ამიტომ აქ ქართული შიშინი და მეგრული სისინი კანონზომიერია!

მეგრ. ო ფა შგ = „სველი მცენარეული არე": შგ = „სველი." შგ ელ // ირ სუფიქსირებული რომ იყო, ამას ქართ. სვ-ელ-ი // მეგრ. შოლ-ირ-ი ცხადყოფენ: მაშ, ო-ფა-შ-ილი* > აფა-შილი*> აფშილი კანონიერია. ამ, ო-ფა-შილ-ი*ს პარალელია, ასევე რესტავრირებული შგ-მერე-თი* – წინაფორმა იმერეთისა და შუმერ-ისა: შეგახსენებთ: შგ ="სველი", მერე = „ჭალა." (იხ ქვემოთ).

„ს. მაკალათია ამბობდა .. ფშავი" უნდა წარმოსდგებოდეს წყარო ფშიანი ფრაზიდან. ასეთი წყარო ფშები უთვალავია ფშავში.

ფშავი ანუ „წყარო-ფშების ქვეყანა". ფშაური ტოპონიმიკა, ... ლექსიკონი,... ონომასტიკონი მეგრულია. მთლიანად, გამონაკლისების გარეშე და ეს სხვანაირად ვერ აიხსნება თუ არა აფშილ-ფშაველთა იგივეობიდან..." ყარამან ჯიქურაული..დიახ ესენი მეგრ. ეტიმოლოგიის გეოგრაფიული სახელები არიან, ამიტომ მეგრელ-აფშილ-ფშაველთა იგივეობას წყალი არ გაუვა იმგვარადვე, როგორც – კოლხ იბერიისა სრულიად სახელები: ქართ. „მამაკაცის გ. ს. ორგანოს სახელი ასო და საშო ფონეტიკურად ახლოს არიან: ეს მოჩვენებითია: ასო, ი-სარ-ი, სოლ-ი მეგრ. სალ-ი „სოლ-ი" და ა. შ. წრის სახელია. ამას ამოწმებს მეგ.-ქართ. ასოს ბადალი ტერმინი სირ-ი „ჟარგონი:" ეს სირ-ი იქნებ იმაზეც მეტყველებდეს, რომ ი-სარ-ის პრეფორმები იყვნენ – ლი-სირ-ი* > ლი-სარ-ი* (> ი-სარ-ი): მოხდა ი-ს დისიმილიაცია და ლ, ხმოვნისწინა თანხმოვნის ჩამოცილება.

შ > ს ჩიქობავასეულ ს > შ გაშიშინების პირუკუ პროცესია. აქაც, როგორც ზემოთ ყველგან, ჩვენი არგუმენტაცია წყლის აღმნიშვნელ შ ხმაბაძვითის უპირატესობაა, ს-თან მიმართებით: წყლის ხმაურის ასახვა ს ბგერის მეშვეობით არ ხდება გარდა რამდენიმე იშვიათი შემთხვევისა (იხ გვ.): არ ითქმის წყლის ჩქაფანის დარად – სქაფანი; ჩუხ-ჩუხის დარად – სუხ-სუხი და ა. შ. რაკი შ > ს კანონიერია, ძნელი არაა აღვადგინოთ ქართ. სველი, //< სუელი // < სოველი-ს წინაფორმა შოლ-ი* // შოულ-ი* // შოუელი*: შოლ >// შუელ* > სუელ-ი; შოლ > შოუელ > სოველ-ი // სველ-ი.

ს და შ ხმაბაძვითთა მეტოქეობა

ბუნებაში, შედარებით, იშვიათია მოვლენები, რომლებიც ს, ძ, ც, ბ, ფ, თ ბგერების გამოცემით მიმდინარეობდეს. ამიტომ, ისინი გამონაკლის შემთხვევაში არიან ხმაბაძვითნი. მაგ: ცცც ხმიანობა ახლავს გარკვეული სახეობის წვიმასა და თოვას, როცა წვრილი ხოშკაკალა ან წვეთები ეცემიან მიწაზე. მათზე მეგრულად – იციორ // ციორ-ანს, უციორუანს-ს, ქართულად კი ცრის-ო იტყვიან. მათი მსგავსნი არიან მეგრ. ცირ-უა// ქართ. ცრ-ა, სა-ცერ-ი, სვ. ლიძჰერე (< ლი-ცჰერ-ე*).

მეგრ. ცირ და ქართ. ცრ ძირები ამ სიტყვებისა, გ-თი გახმოვანებული ხმაბაძვითი ბგერა + რ, როგორც სხვა ხმაბაძვითთა შემ-

თხვევაში იძლევა **ცგ-რგ*** პრეფორმას > **ცგ-რე** („**ც** არის“) ფრაზისა. ეს **ცგ რე** გარდაიქმნება > მეგრ. – **ცირ** და, ამ უკანასკნელის კუმშვით > ქართ. **ცრ** ძირად. მ. ე, ეს მოვლენა მარავალგზის აღწერილი და სისტემურად გამოხატული პროცესის შედეგია.

შ-სთან შედარებით **ს** ბგერა ნაკლები ინტენსივობითაა ხმაბაძვითი, მაგრამ არის შემთხვევა, როცა იგი მეტოქეობაშია **შ** ბგერასთან. მაგ: ლესვის პროცესის თანმხლები ხმიანობა, ზუსტად არც **ს**-ს და არც **შ**-ს ემთხვევა: სადღაც მათს ახლოსაა. ამიტომ, ლესვასთან დაკავშირებულ ტერმინების შემადგენლობაში არსებობისას, მათგან რომელიმეს პირვანდელობის საკითხი, ხშირად, გადაუჭრელია: ბუნებაში, არის შემთხვევა, როცა **შ**-სთან მიმართებით **ს** ბგერის უპირატესობა აშკარაა. მაგ: – როცა **ს** ბგერით წყლის მოძრაობაა სახელდებული: ესაა მეგრული ზმნა სჯრანს // მოსირანს // ქართ. მოსისინებს „წნევიშ ქვეშ მყოფი წყლის ჭავლის (მაგ. ონკანის წვრილი ნახვრეტიდან) **სსს** ხმიანობით – **სისინით** გამოსვლა.“

იშვიათად, **სისინი** ითქმის ქარზეც, რადგან, იმისდამიხედვით თუ რა წინაღობა შეხვდება სხვადასხვანაირ, და ზოგჯერ გაბმულ **სსს** ბგერებს გამოსცემს. გაბმული **სსს** ბგერა ნორჩების შარდვის ბგერითი მოვლენის ამსახველიაა. მართლაც, ამ დროს, შარდის ბუშტში არსებული შარდი მაღალი წნევის ქვეშაა და ნორჩების .მაღალი ტონუსის მქონე, შარდ-სასქესო ორგანოები მას, წვრილი ჭავლთ, **სისინით** გამოყოფენ. ამიტომ სიტყვების – შარდი და შარდ-ვას **შ**, შეიძლება გვეფიქრა, იქნებ, **ს-დანაა** , მაგრამ ამას ეწინააღმდეგება მეგრული **შარდა** „შარდ“ის ბადალი სახელი **ჟღერი** „შარდი:“ **ჟღერიშ შური რე** // უდრის „**შარდის სუნია.**“ **ჟ ბგერა ჟღერ-ისა სღერი***, პრეფორმისგან ვერ მიიღება, რადგან **ჟ** ბგერას **ს** მხოლოდ **შ** გაშუალებით იძლევა. ესე იგი, მეგრული **ჟღერი** ამოზრდილია **შღერი*** ნინაფორმიდან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შარდვასთან დაკავშირებულ სხვა სახელებშიც, დასაბამიდანვე, **შ** იყო..

ქართ. // მეგრ. ლე-**ს**-ვა // ლა-**ს**-ირ-უა-ს; მეგრ. ლიში „ნემსი“, შირ-უა „ცვეთას“ შემთხვევაში რომელია ამოსავალი? – ქართ. ლე-**ს**-ვა // მეგრ. ლა-**ს**-ირ-უა-ს შემთხვევაში, **შ**-ს პირვანდელობას თუ დავუშვებთ, ლე-**შ**-უა* და ლა-**შ**-ირ-უა* ფორმები აღიდგინება:

მეგრულად ნემსი ლიშ-ია, ლიშ-უა – „ნემსობა; „ჭანურად კი ნემსი ლეშ-ია. ესე იგი, ქართ. ლე-**ს**-ვა-ს წინაფორმა, ამ შემთხვევაში, ლე-**შ**-უა*, ჭანურად, „ნემსობა“ იქნებოდა. მაგრამ პირიქითაც:

ლესვას წინაფორმად – ლე-ს-უა, ასევე, აბსოლუტურად კანონიერია და ის შეიძლება ყოფილიყო ლე-შ-უა*-ს პრეფორმა, ხოლო, შესაბამისად, ლა-სირ-უა – ლა-შ-ირ-უა-სი. ან იქნებ არქაული ლესვის პროცესია ქართ : მეგრ ს : შ შესატყვისობის მიზეზი!!!...

ჭანურ **ლე-შ-უა*** „ნემსით საქმიანობა-ს“**ლე** პრეფიქსი თუ სუფიქსის პოზიციაში დადგა ვღებულობთ შ-უა-**ლე*** ფორმას. შუა-ლა კი, მეგრულად „ქსოვაა.

მეგრ. ლა-**ს**-ირ-უას წინაფორმა ლა-**შ**-ირ-უა დღესაც „ცვეთის“ პროცესს აღნიშნავს, რამეთუ **შირუა „ცვეთა“ა., ლა** პრეფიქსი კი, ზოგჯერ, მეგრ. ზმნებს, ინფინიტივში, დაერთვის (მაგ. ბარსუა „გაბრტყელება“ და // **ლა**-ბარსუა „გაბრტყელება“). ე. ი, ლესვის, მეგრ. **ლა**-სირ-უა-ს პრეფორმის – **ლა**-შირ-უას პირველყოფილი სემანტიკა რისამე „ცვეთა“ ყოფილა, რაც ამ პროცესისთვის უაღრესად სადაგია: ის რაც ილესება, რასაკვირველია, იცვითება..

მ. ე., მეზო-ნეოლითური ხანის ქვის, ხის ძვლის იარაღების (ისრისპირების ნემსების) დამზადების პროცესის – ლესვის აღმნიშვნელი ტერმინი ორი მნიშვნელობის მომცველი ყო-ფილა: **შშშ** თუ **სსს** ხმიანობის მქონე ლესვის პროცესს შეუძლებელია არ განევითარებინა შესა-ბამისი – „ლესვის“ (// ლა-**სირ**-უა-ს) სემანტიკა, ხოლო, რაკილა, ლესვა საგნის „ცვეთას“ იწვევს, შედეგს – დამზადებულ იარაღს – ჭან. ლე-**შ**-ს და მეგრ. ლი-**შ**-ს „ნემს-ს“ და მათი დამზადების პროცესს (ლესვას) ეს შესაბამისი – **შირ**-უას // ლა-**შირ**-უას „ცვეთას“ მნ-ობა შეეძინა. ეს სახელები ბეჭედია ძოძუანის 30000 წლის წინანდელ, უპირველეს ქსოვილის ბოჭკოს აღმოჩენის ფაქტზე და შესაბამისად გაკეთებულ დასკვნებზე: **პირველყოფილი ქსოვის ტექნოლოგია და ქსოვილი კოლხებს ეკუთვნით.**

ხსენებულ მეგრ. ლა-**სირ**-უა // „ლესვას“ და ლა-**შირ**-უა „ცვეთა-ს“ მიმღეობური ნაწარმი ლა-**სირ**-ელ-ი // „ა-ლე-**სილ**-ია“. მათ აერთიანებთ მეგრ. **შირ > სირ** და ქართ. **სილ** ძირები. მეგრ. ლა-**სირ**-ი „წაშლილი“– მიმღეობაა ზმნისაგან ლა-**ს**-უა < „შლა“.

სირ ძირი, ამ სიტყვებისა, იმითაა საინტერესო, რომ მისი **რ > ნ** მონაცვლეობა მეგრ. **სინ // სინა** ფორმას იძლევა, რომელიც მრავალ სამხრეთ-აღმოსავლეთის ენებში რკინას აღნიშნავს. ეს **სინა** მეგრულში დღესაც მავთულია. და ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს სხვა ქართველურ ენებში შესატყვისი არ გააჩნია. სინამდვი-

ლეში, **სინა-ს** წინ **მ**-ს განვითარების > **მ**-სი-ნა* (შდრ: მეგრ. სინა „მავთული“ და > **მ**-სინა* > **მ**ისინა მეგრ. „აბრეშუმის ძაფი!...;“ შდრ: მეგრ. სხული // ქართ. „**მ**-სხალი“); ბოლოკიდურა **ნა** მარცვლის თავკიდურში გადანაცვლებით > **ნამს**-ი* // **ნემს**-ი მიიღება. ამ პროცესის სემასიური დადასტურებაა ის, რომ, როგორც ითქვა, **სინა** – მავთული სხვა არაფერია თუ არა ძალიან გრძელი ნემსი და ამიტომ, მისი დამზადების ტექნოლოგიაც უძველესია.

ამგვარად, ლა-**სირ**-უას „ლესვას“ **სირ** ძირიდან მომდინარე **სინ**-ა გვიჩვენებს, რომ იგი, როგორც რკინას ერთ-ერთ-ი უძველესი სახელი, ლესვის პროცეთანაა კავშირში.

სირ ძირის დერივატები მონაწილეობენ წყება არქაულ გეორგიულ-სლავურ-ლათინურ ტერმინებში: ქართ. ი-**სარ**-ი, **სარ**-ი, მე-**სერ**-ი, **სოლ**-ი, **სარ**-ო, **სარ**-ოსტანა, **სალ**-ი შდრ. „სალი კლდე“, ლუ-**რ**-ს(მ)ან-ი; მეგრ. მა-**სარ**-ი „მესერი,“ **სალ**-ი „სოლი“, ლა-**სარ**-ი „მტკიცე, ზეუმტკიცესი“, **სირ**-ღალი „ახმახი“: ხატოვნად ასეთ კაცზე იტყვიან: მასარიშ ნაყინტას გუ – „მესერგადაყლაპულს გავს-ო“; მეგრ. // ქართ. ლი-ს(მ)**არ**-ი (**სმარ** < **მსარ***) // „ლურ-ს(მ)ან-ი (**სან** < **მსან*** < **სარ**); მეგრ. // ქართ. ი-**სინ**-დი (**სინ** < **სირ**);“ ლათინური ას-**სერ** „სარო, პალო“. შდრ. ქართ. **სარი**, მე-**სერ**-ი; ქართ. **ს**(რ)**ოლ**-ა; რუს. **სტრელა** „ისარი“, **სტრელიატ** „სროლა“, **სტრემლენიე** „მისწრაფება“, **სტროი** „რიგი“; შდრ. ქართ. **სრვა**, მეგრ. **სირ**-უა „**სრვა**.“ ზოგჯერ **ისარი** ეპითეტად გამოიყენება: **ისარივით** გავარდა // რუს. **სტრელოი** პომჩალსია: ხდება მოძრაობის გასაგნება – **ისართან** გაიგივება. რუს. **სტრ**-ემლენიე „მისწრაფება“, **სტრელიატ** და „ბი-**სტრ**-ოტა-ში **სტრ** კომპლექსი **სტრელას** ფრაგმენტია: სტრელა „ისარი“ გადააზრიანდა აბსტრ. სახელებად.

მეგრ. **ისირ**-ი „ისლის“ სახელი **ისარ**-ის გადაზრებიანებით ხომ არა მომხდარი?: „ანუ **ისარივით** სწორი“ თუ ო-ი-**სირ**-ე // სა-**სირ**-ე „საჩიტე“, ჩიტების ადგილი?“ **სირ** ხომ ჩიტს ერქვა.მაგრამ **ისირი** // **ისლ-ის** სახელის სისწორესთან კავშირზე მეტყველებს მეგრ. **ლარ-ჭემი „ლერწამი“:** ზედმიწ. „ლარივით სწორი ბალახი;“ **ლარტყა** < **ლარი-ტყა** „ლარივით სწორი ტყე“ (თუმცა, იქნებ, აქ ლა-რჭემი და ლა-რტყა სეგმეტაციაა მართებული ვ. ბერიძე).

: „...სლავი მეცნიერთა მართებული დასკვნით სტრელა „ისარი“ და სტრელიატ „სროლა-ს“ ერთი ფუძე გააჩნიათ.და იმდროინ-

დელნი არიან როცა ისარს ისროდნენ...“ ქართ. **სროლ-ა** // სლ. **სტრელ-ბა, სტრელ-ა** „ისარი“ სიტყვათა ფუძეები ერთნაირია და სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ სლ. **რ** ბგერის წინ ქართ. **ს** სისინას ადგილზე **სტ** კომპლექსია, ხოლო **ო** ხმოვნის ადგილზე **ე** ხმოვანია. შესაბამისად, მათი ძირებია **სრ** და **სტრ. ოლ** და **ელ** კი სუფიქსები არიან. ძირს შეზრდილნი. შდრ. რბ-**ოლ-ა**, თრთ-**ოლ-ა** და ა. შ. მ. ე სლავურშიც ქართ. **სრ** კომპლექსის დარად ძირი იყო – **სტრ.**

ქართ. **სროლას** წინაფორმად **სორ-ოლ-ა*** აღდგება. მეგრულში ეს სიტყვა არაა, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ის ქართ. **სროლამ** აღადგინა: შესაბამისად ქართ : მეგრ **ა : ო** შესატყვისობისა და რაკი ქართ. **ი-სარ-ი** სიტყვის ძირად გვაქ **სარ**, უნდა გვქონდეს სარ-ოლ-ა* .ამ უკანასკნელის შესატყვისი მეგრულში კი იქნებოდა სორ-ოლ-ა*. ქართ. **ი-სარ, სრ-ოლ-ა**, აღდგენილი მეგრ. **სორ-ოლ-ა***, ერთგვაროვანნი და მსგავსნი არიან სლ. **სტრელიატ** და **სტრელა-სი.** მეგრ. **საგანი** „ისარი“ ქართ. **ისარ-** სიტყვისგან განზე დგას, მაგრამ პარალელს პოვებს ლათ. **საგინა** „ისარ“-თან. თუმცა გვაქ მა-**სარ-ი** // „მე-სერ-ი“. ქართ. მე-**სერ-ი** და **სარ-ი** სინონიმები არიან, ხოლო მეგრ. **სალ-ი** და // ქართ, **„სოლ“-ი** სიტყვებში ქართ, მეგრ. ა : ო შესატყვისობა პირუკუა მოქცული. მ. ე. ქართ. სოლ-ი და // მეგრ. სალ-ი არიან იმდროინდელნი, როცა ხმოვანშესატყვისობა ჯერ კიდევ არ იყო აღმოცენებული: **ეს სიტყვები და ხსენებული სროლა, სორ**ოლა* უძველესი პრეეენის დიალექტ. ფორმები არიან.**

ქართ. **ი-**სარ სიტყვის **ი** წინახმოვნის წარმოშობის დასადგენად გვეხმარება მეგრ. **ი**სირი „ისლი:“მეგრ. ო-**ი**-სირ-ე „საისლე“ ადგილია სადაც **ი**სლი იზრდება“: მეგრ. // ქართ **სირ** წინათ ჩიტს ნიშნავდა. ხოლო, რამეთუ **ი-სირ-ი** „ისლი“ ხშირი და მაღალი ბალახია, სადაც ჩიტები იმალებიან: იგი ამოდის მეგრ. **ო-სირ-ე** „საჩიტე“-ს გაგების მქონე სიტყვიდან: ჯერ ჩიტის **სირ** სახელიდან – **ო-სირ-ე*** ეწოდებოდა „საჩიტეს“, შემდეგ **ო > ი** გადასვლით (შდრ. **ვო, რა = „ო, მზეო რა“** და აქედან მეგრული შეძახილი ვირა „მაღლა...“) ის ხდება მეგრ. **ი**-სირ „ისლი“: **ო**-სირ* > **ი**-სირ.

იმგვარდვე, როგორც სახელი მცენარისა წარმოიქმნა ჩიტის **სირ** სახელისაგან, ეგრევე **ო-სირ*** სახელისგან მიღებულია **ი-სარ,** ოლონდ ამ **ო-სირ*** პრესიტყვას აქ უკვე ქონდა სულ სხვა შინაარსი: ოდესღაც (**ო-წირ*** წარმომავლობის) > **ო-სირ*** აღნიშნავდა, ასევე

საჩიტეს, მაგრამ აქ იგულისხმებოდა მათზე ისრით ნადირობა – მათი **სრვა,** მეგრულად **სირ–უა** ანუ – გენოციდი: საქმე იმაშია პატარა ჩიტები ინადირებოდა უამრავი, გენოციდის არსი კი სწორედ ეგაა: აზრობრივი დინამიკა ასეთია: მეგრ. **სირუა** „გენოციდი“ > **ო-სირ*** > // > **ი-სარ** „გენოციდის იარა-ღი“: უნდა აღინიშნოს: სავსებით მართებულად, ა. ივანცოვი გენო-ციდ-ის **ციდ** ნაწილს მეგრ. **სირ-უა „სრვას“ სირ** ძირს უკავშირებდა. საიდანაა ეს **სირ** ძირი? – ენათმეცნიერებაში ცნობილია, რომ, ოდითგან, ქვაზე სახვითი ნიმუშის ამოსატვიფრ ქმედების გამოსახატავად არსებობს **წერ** ძირი: **წერ-ა-ქვი,** ზედმიწ., ნიშნავს სატვიფრ // საწერ **ქვას,** ის **წერ და ქვი** ნაწილ-ებისგანაა შემდგარი: **წერ** გამოხატავს **წერა, ტვიფრვას, ქვი კი ქვა** გახლავთ. ამიტომ, ენათმეცნიერებმა, მყარ საგანზე, დასაბამისმიერი, დამწერლობა **წერ** ძირს დაუკავშირეს.: **წერ > ტვიფრვა და > „წერა“:** მეგრულში კი **უა** ქმედების სუფიქსია, ამიტომ მეგრ. **ჭარ–უა** // და ქართ **წერას** პრეფორმები ასე წარმომიდგენია: **ნარუა*** > მეგრ **ჭარუა;** წერუა* > ქართ. > წერა.

სახვითი ხელოვნების მწერლობის წინანდელ ეპოქას შელ-აშელის კულტურამდე მივყავართ. ეს 400-500 ათასი წლის წინანდელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლინგვისტური მონაცემები იძლევა საშუალებას კიდევ უფრო ღრმად განვავრცოთ ეს დრო: ზემოთხსენებული, ქართ. **წერ-ა-ქვი** და // მეგრ **წარ-კ-ანტ-ი** სიტყვებში ქართ. წერ და მეგრ. წარ კანონიერი შესატყვისები არიან და, ამიტომ, მეგრული **წარ** ძირიც უცილობლად აღნიშნავდა იმასვე რასაც ქართ. **წერ:** ანუ აღნიშნავდა **წერას, ტვიფრვას.**

რა ფუნქციას ასრულებდნენ წარ-**კ-ანტ**-ის **კ** და **ანტ** კომპონენტები? – მეგრ. **ქუა** // > ქვა-ს **უა** და **ვა,** როგორცა ვთქვით, ქმედების სუფიქსები არიან. რა ფუნქციისაა **ქ** თანხმოვანი? – მეგრულად **კგ** სიტყვა აღნიშნავს „სიმაგრეს“. ფრაზა **კგ რე** ნიშნავს „მაგარი არის“, „მაგარია.“ ამიტომ, ქვის სიმყარის გამო **ქ** ბგერის წინარე **კ** ბგერა აღნიშნავდა ქვას. ხოლო **კ –უა** იქნება „ქვით ქმედება.“ მესამე კომპონენტი წარ-კ-ანტ სიტყვისა – **ანტ** კი, მეგრულში ასევე **უა** სუფიქსის დარი ფუნქციისაა – აღნიშნავს ქმედებას. მაგ: კარკ-**ანტ**-ი „ნათება“, კვარკვ-**ანტ**-ი ტრიალი და ა. შ. მაშასადამე, **კ-ანტ** ქვასთან დაკავშირებული რაღაც ქმედებაა, რომლის ხასიათსაც პირველი **ნარ** კომპონენტი აზუსტებს – **ნარკანტი ქვაზე ტვიფრვა ანუ ქვაზე წერაა.** მაგრამ, ზუსტად იგივე დასკვნა გამოვიტა-

ნეთ ქართ. **წერაქვის** შემთხვევაში: მაშასადამე. **ქართ წერაქვი და მეგრ წარკანტი ურთიერთმადასტურებელნი არიან.** აი, ამის შემდეგ ალბათ არავინ გიჟად არ ჩაგვთვლის თუ ვიტყვით რომ სლ. **კამინ** „ბუხარი“ და **კამენ** „ქვა“ (ბუხარი ქვებით კეთდებოდა) მეგრ. სიტყვები რომაა. აი, სად პოვა ახსნა აქამდე ამოუხსნელმა მეგრულმა ფრაზამ: **ნორცხვა კამენიაცალო გოჭითონდ** = „ნაკვერცხალ კამენიასავით გაწითლდა“: აქ **კამენია** ბუხარია და ფრაზა ნიშნავს „ბუხრის ნაკვერცხალივით გაწითლდა“.

ცნობილი მეგრ. **ამ** სუფიკსი სუბსტანციის სტრუქტურულ შედგენილობას აღნიშნავს. მაგ: შანქარ-**ამ**-ი = „შაქრიანი,“ მუნტურ-**ამ**-ი უდრის „მატლიანი“ და ა. შ. ამიტომ, რადგან **კ** არის“ქვა **კ-ამი** იქნება „ქვიანი“. მაშ, **კ-ამ-ინ**-ის **კამ** ყოფილა „ქვიანი.“ რა ფუნქციის იყო **ინ** სუფიქსი? – მასაც იგივე დტვირთვა ქონდა როგორც **უა** და **ანტ**-ს. აღნიშნავდა ქმედებას: მაგ: ფურ-**ინ**-ი „ფრენა“, ღგრ-გნ-ი // ღირ-**ინ**-ი „ღრენა“ და ა. შ. გამოდის **კ-ამ-ინ**, დღეს, სლავურში ბუხარი რომაა და **კ-ამ-ენ** „ქვა“, ოდესღაც, ქვით საქმიანობას აღნიშნავდნენ, რომელთა მნ-ბებიც დღეს სლავურ ენებში ერთი – ბუხრის, მეორე კი ქვის მნიშვნელობად დავიწროვდნენ.

მ. ე, **კამინ და კამენ** რაკი ქვით საქმიანობას აღნიშნავდნენ, იმდროინდელი სიძველისანი არიან, როცა ადამიანი იწყებდა ქვით როგორც იარაღით სარგებლობას... ხოლო რაკი უკვე ვამბობდით, რომ მეგრ. **კგ რე** ფრაზა უდრის „მაგარია"-ს, და რომ, ამიტომ, ამ ფრაზისდანაა მეგრ. **კგ რე** > **კირი** და შემდეგ, > კინა // რკინა, ცხადია, სლავური **კირკა** „წერაქვი“ც **კგ რე** ფრაზიდანაა: **კგ რე** > **კგრ** „მაგარი“ + **კა** „ქვა“ > **კგრ-კა** „წერაქვი“...

ვინაიდან სლ. **კირკა,** მეგრ // ქართვ. **კირი, კინა // რკინა** სახელები წარმოქმნილნი არიან იგივური ლინგვისტური მატერიალით და ერთნაირი პრინციპით ნათელზე ნათელია: ეს საგნები **კირ-კა, კირი, კინა** და მათი სახელები შექმნილია იმ ხალხისა და მისივე ენის მიერ, რომლის წიაღშიც წარმოიქმნა ეს მატერიალი და პრინციპები ანუ მეგრელი ხალხისა და მეგრული ენის მიერ.

ანი დავუბრუნდეთ საკითხს თუ საიდანაა მეგრ. **ო-სირ*** და ქართ **ი-სარ** სიტყვათა **სირ // სარ** ძირები: ამისთვის გავიხსენოთ, რომ. ზემოთხსენებული სიტყვები – ქართ. **წერ-ა-ქვი** და მეგრ. **წარ-კ-ანტ-ი** შეიცავენ ტვიფრვის გამომხატველ ალომორფალურ ანუ

ფორმითა და შინაარსით მსგავს – **წერ და წარ** კომპონენტებს. ასევე შევნიშნოთ, რომ ეს **წერ, წარ და სარ // სირ** ეკვივალენტურნი არიან, ვინაიდან, ფონეტიკურად. **წ > ს** ცვლილება კანონზომიერია. სხვა ბგერები კი ამ ძირებში ერთნაირია.

გავითვალისწინოთ აზროვნება-მეტყველების ის მდგომარეობა, როცა ძველი ადამიანი ფლობდა მწირ სამეტყველო რესურსებს, ამიტომ, დემიურგ **წ** ბგერის ალომორფალური ფორმებს, როგორიც არიან : **წარ, წირ, წერ, წორ** და ა. შ. ქონდათ მრავალი მნიშვნელობები. მაგ: **წარ და წირ** აღნიშნავდნენ წყალს, სისხლს, დაჭრას, (ტვიფრვას) და ა. შ. იხ. გვ. მეგრ. **წარ** მოფერებით, დღესაც წყალია. ქართულში ეს **წარ,** კუმშვის შემდეგ (> **წრა***) **ჭრა** ლექსემას იძლევა. ასევე: **წარ* > წრა(ფვა), ს-წრა(ფვა)** არის მოკვდინება: სიცოცხლე **მოუ-ს-წრ-აფა უდრის „მოაკვდინა“.**

მეგრული **წურ-უა*** წინაფორმაა ქართულ **„წურვა“**-სი; მეგრულად **წირ**-უა კი **წურვაა.**; მაგრამ მეგრ. **წურ**-უა და **წირ**უა ასევე, „დაჭრაცაა და მსხვერპლშეწირვაც“. მაგ: მეგრ. დო-**წურ**-ი = „დაჭერი“ , დუდ გო-**წირ**-ილი = თავ-გან-**წირ**-ული.

აი, ეს **წარ, წირ, წურ** ალომორფალური ფორმები არიან ამოსავალი საფუძველი ზემოთხსენებულ სიტყვებისთვის და, რა თქმა უნდა, **ო-სირ***, **ი-სარ** სიტყვების **სირ და სარ** ძირებისთვის. ესე იგი: **წარ*** > ქართ. **წრა**-ფვა „მოკვდინება“; **წირ*** > **სირ** – „ჭრა, ნადირობა, გენიციდი;...“ **წირ* > სირ** – „ჩიტი“; **წირ**-უა* > **სირ**-უა – „გენოციდი"; მეგრ. **სირ**-უა > ქართ. **სრვა** – „გენოციდი“ ; **ო-წირ* > ო-სირ*** > „ჩიტების სამყოფელი;"მეგრ. **ო-სირ**-ალი – „ სრვის, გენოციდის იარაღი"; **ო-წარ*** – საჭრელი," // > **ი-წარ*** > ქართ.. **ი**-სარ „სრვის იარაღი"; მეგრ.**წურ**-უა „დაჭრა.“

შ-ს პარალელები რუსულში და ლათინურში

შ > C (ს): Сирой <// სველი < // შოლირი// შგმე // შვე ; მეგრ. **შუმა „სმა“ – რუს. Сытый „მაძღა-რი“ – ლათ Sitia „წყურვილი;“ Шелесть // შიშინი – ლათ. Sibil „სისინი“; რუს. Шавел // მჟავე – ლათ. Sal „მარილი," Salum „ზღვა.“ ეტიმ. მარილიანი ანუ მჟავე (იხ. გვ. 299). შვიტინი //> სტვენა –Свист; შიკინი > სლოკინი // Икать (< შიკათ*); მეგრ. (უა <) შა* // ქართ. ზა (< სა*) – ლათ. სოლ „მზე;“**

მეგრ,. შუალა „ქსოვა – // Шить – ლათ. Teqstum „ქსოვილი," Sutura „ნაკერი."; რუს. ვულგ, Шиш тебе „შიშ შენ" – მეგრ. შაში „ასო" ვულგ. მეტყველებაში // ქართ ასო;

მეგრ. ქალის გ. ს. ორგანოს სახელი, ჩხ ბკ-ს მეშვეობით, წყალთან ასოცირდება, იგივე ხდება ქართ. იგივე ორგანოს სახელთან მიმართებით, ოლონდ ნერ ალომორფის მეშვეობით. რუსულშიც ამ ორგანოს სახელი შარდვის ფიზ. აქტთანაა დაკავშირებული: პის, პის „შარდვის მოწოდება," **Писать** < „შარდვა" და პისდ. „ ქ. გ. ორგანოს სახელი". მაშ რუს საჯდომის ვულგ. სახელის (.ოპა) თავკიდურა ჟ ბგერა შ-დანაა. შ > Ч(ჩ): მეგრ.. შშშ „"სიჩუმისკენ მოწოდება > ქართ ჩუ; მოლუშული //> **Мрачный; Моча** <// შარდი; მეგრ. შანგი > // **Черный; Часть** „ნაწილი" < მეგრ. შელი „წილი; ზოგჯერ პირუკუა: **Шептать** > ჩურ-ჩული; **Наша** > ჩვენი // მეგრ. ჩქინი; შ-საგან ფონეტიკური ცვლით მიღებულია Ж (ჟ): ჟა (< შა*) // სვ. მიჟ „მზე"; გომბეშო > // მეგრ. ჟვაბუ > ჟაბა; (**Журчание** < **Шуршание***); მეგრ. შგ „წყალი – **Жажда** „წყურვი-ლი", **Жидкость** „სი-თხე", **Живои** „ცოცხალი", **Жизи** „სიცოცხლე" (სიცოცხლის წყლის მნ-ით განპირებულებობაზე იხ. გვ. 114 - 116); მეგრ. ნოშუა // > ჟონვა – **Жать** „წნეხვა სითხის გამოსაშვებად; შობა – // **Рожать** (< Родщать*); ქართ. ლეში, გალეშილი ანუ ისეთი მთვრალი ფეხზე რომ ვერ დგას ანუ მინაზე გაშხლართული – **Лежать**; მეგრ. შიში > // **Жуть** ; შეშა // დიშქა – **Жеч** „დანვა, დაიწვას; „შუა // შქა – **Между** (შდრ: სხვათაშორის // მეჟდუ პროჩიმ); მეგრ. შხვაშ-ი // სხვისი > **Чужой**. ოსური < ოშური // ცოლი > ; მეგრ. შველა „ანკარა" – // **Уж**; **Шавел** > „მჟავე"; **Жавел** „მწვავე ნატრიუმის ხსნარი" // მჟავა.; მეგრ. შიშ-ინაფილი „მაძღარი თუ ჭამაზეა საუბარი და ჟიჟ-ინაფილი „გაჟღენთილ-გასიებული" – თუ სმაზე"–Жижа „წყალხსნა-რი;"

მეგრ. შოლ-უა „დასველება-დანაა ქართ შოლ-ტი, რადგან შოლტი აუცილებლად ნედლია ანუ წყლის შემცველია. ამ შოლტის გადააზრიანებითაა გა-შოლტ-ილ-ის იგივე გაშხლართულის გაგება. მაგრამ ესეც ხომ შოლ ძირის წყლის მნ-ის ქონების დამსახურებაა. ამგვარადვე: ქართ წყალ-ი > შე-წყალ-ება წყალ-ი-დანაა, ხოლო რუს. Шадить, Пошадить „შე-წყალება", **Жалость** „შეცოდება", Жал „სამწუხაროა" < მეგრ შ-ს ალომორფ შა, შალ-ისაგან არიან. ბოლო მაგალითი – Жал „სამწუხაროა" წყალობის ანტონიმია. ეს იმიტომ,

რომ წყლის დალევინება მადლიერების გამომხატველი ტრადიციაა: სამეგრელოში წყლის გაცემაზე უარის თქმა ტაბუა – ვაშინერს. ამიტომ ვინც წყალს გალევინებს მწყალობელია, ხოლო ვინც წყალზე უარს იტყვ-ის წუ-წუ-რაქია. წუ-წუ* კი, როგორც გვახსოვს, ძუძუ-ს წინაფორმაა და მიგვითითებს იმ დროზე როცა წუ ალომორფი წყლის შეწოვით სმას და ძუძუს წოვას აღნიშნავდა.. იგი ცვლილია იგივე წუ-წუ-რაქ-ის მნ-ის მეგრ. ცუხი სახელში (წუ > ცუ). საოცრებაა, მაგრამ ზუსტად იგივე წყალობის საპირისპირო ცნებების წარმოქმნის შემთხვევასთან გვაქ საქმე რუს. სიტყვაში Жадина „წუწურაქი“ (Жа აქ შგ-დანაა). შოლ-თან მიმართებით – მშრალი, ხოლო მეგრ. სკურ-ი „მდინარესთან მიმართებით სკირი“ ანტონიმია. შდრ. ლათ. **Siccus // Sicce** „სიმშრალე.

რუსულში, ხშირად, ხმბ-თი გეორგიული შ-ს უცვლელი შესატყვისია რუს. Ш(შ): (**Шелест, Шипение, Шуршание, //** ქართ. შიშინი // მეგრ შირშინი // შრიშინი // შარშალი; **შუმა // სმა – Пища** პიშჩა „სასმელ-საჭმელი“; ქართ. ქოშინი // „...მეგრ. (შურიშ) კაშუა „**">** რუს. **Кашель** „ხველა“ (ა. ივანცოვი); მეგრ. შულობა „უფლება. „ოშული „საუფლე-ბო // საზია-რო,“ შეშელეთი „საზიარო ადგილი“ – რუს. **Общий** „საერ-თო;“ მეგრ. შვება // მოშვებული ანუ ფართო – // **Широкий, Шире** „ფართ-ოდ“; შელება // შეძლება – **Мощ** (მოშჩ); მეგრ. ფაში „ნაწლა-ვი“ // **Кишка**; მეგრ. შირა „ცვეთა“ – **Изна-шивание** მეგრ. შონთი // შფოთი – **Возм-уш-ение**; მეგრ. შური // სული – // **Душа**; მეგრ. შურამი „სურნელოვანი“ – **Душистый**;... ზოგჯერ რუს. ინარჩუნ-ებს ძველ ვითარებას: შქვიდა // ძვ. ქართ. შიშუდილი < **Удушие**; მეგრ. ყურშუა // ყუჟვა ასევე შუშ-უა // შუშ-აფა „იდიომა: გულისხმობს განსაკუთრებუ-ლი სიფრთხილითა და სიყვარულით უბეში რისამე შენახვას“ – მეგრ. შშშ; „სიჩუმისკენ მოწოდება > ქართ. ჩუ, ჩუმად – **Тише**, „ჩუმ-ად“; შონთა // შონთი „მშფოთვარე“; შონთ–უა // შონთაფი „შფოთვა – **Возмущение** ვოზმუშჩენიე „აღშფოთე-ბა;“ შორისი // მეგრ. ოშქა – **Ляшки** „ორივე ბარძაყი“. მეგრ. შუალა „ქსოვა.“ რუს. **Шить** „კერვა.“ **Шагат** „ნაბიჯით სიარული“ და **Шатать** „ბოდია-ლი“ < შარა-დანაა;. ეს უკანასკნელი კი < Шар სლ. „მრგვალი სხეული“ უძველეს ნარსულში „მზე"-ს მნიშვნელობიდანაა: სიმრგვალის (Шар) სახელდების ამოსავლად მზის (იგივე Шар სახელით იხ გვ. - 319 320) წარმოდგენა ბუნებრივია და

სარწმუნო, რასაც იმდენად ვერ ვიტყვით შარა და შორ-ის შესახებ. თუმცა წარსულში, ადამიანისთვის, ადგილგადანაცვლებისას, მზე ხომ მთავარი საორიენტაციო საშუალება გახლდათ და, ამიტომ, ეს დაშვება სათუო მაინცაა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თავად მზის მოძრაობას ცაზე და ამ ფაქტის გავლენას პირველი ადამიანის გონებაში მოძრაობის აბსტრაქციის განმსაზღვრელ ფსიქო-წარმოდგენებზე, – ეს სათუობა მისივე ანტითეზა გახდება...

ძირითადად, სიტყვათხზვა ფონეტიკური ან სემანტიკური (ფ. ს.) ცვლილებების შედეგია. ხშირად ცვლილება ორივე სახისაა: მაგალითისათვის გავაანალიზოთ მეგრული სიტყვა **წიკვილი** რაც დასვრილია ქართულად: იგი გახლავთ მიმღეობა ზმნა – **წიკ-უა** „დასვრა-სი.“ ეს მიმღეობა – **წიკვილი** ქართულში შეიკუმშა, **მ** ბაგისმიერი დაირთო და მივიღეთ ქართული – **მ-წიკვლი (წიკვილი > წიკვლი > მ-წიკვლი).** ამ უკანასკნელს, უარყოფითობის **უ** პრეფიქსი აქცევს საპირისპირო ცნების სიტყვა – **უ-მწიკვლოდ: მწიკვლი და უმწიკვლო** გახლავთ აფიქსაციური ნეოლოგიზმის ტიპიური მაგალითი. თანაც არა ისეთი მათი წარმოქმნის თანმდევ მოვლენებს აუცილებელი დამოწმებები ჭირდებოდეთ. პირიქით: ფატალური შინაარსებობრივი ცვლილებების გამჭვირვალობის გამო, თავად ნარმოადგენენ აქსიომატურ საბუთიერ მასალას. ამგვარი აფიქსაციური ნეოლოგიზმის მაგალითია, ზემოთ განხილული – **სა-დილ-ი.** იგი, როგორც ითქვა, **დილ** მზე ღმერთისადმი მიძღვნილი დილის საკრალური ტრაპეზი გახლდათ და მზის სადიდებელი სიმღერებიც ამ დროს სრულდებოდა. სულ სხვა საქმეა, როცა მეგრული **სკური** „მდინარე, წყალი“ იძლევა თავისსავე საპირისპირო ცნების შემცველ მეგრ. **სკირი** „მშრალ“-ი სიტყვას. ან **ორო** „ჩრდილი“ თუ როგორ მიიღება **ორა** მზე ღმერთის სახელისაგან: **სკირი** „მშრალი“ სკური „მდინარესაგან“ და **ორო** „ჩრდილი“ ორა მზე ღმერთის სახელისაგან ერთადერთი ხმოვნით განსხვავდებიან. ამიტომ, ფაქტობრივად, მხოლოდ შინაარსობრივი ცლილებების პროდუქტნი – წმიდა წყლის სემანტემები გახლავან. ეს პროცესი თავისთავად ანუ სპონტანურად მიმდინარეა და მხოლოდდამხოლოდ **დროა** ამ მშვენიერი სიტყვათხზვის პოეზიის სწორუპოვარი ავტორი: ასეთივე მაგალითია მეგრ. **შვება,** რომელიც ქართ. „მოჭერილის“ საპირისპირო ცნებაა და უდრის **„მო-შვებ-ული“,** ანუ უდრის იმას რაც არ გიჭერს. მოჭერა უსიამოვნო შეგრძნებაა. მაშ, ქართული **შვება** ვიგრძენი ფრაზის **შვება** ნაწი-

ლი სემანტემაა მეგრ. მოშვებულის აღმნიშვნელ **შვება**-დან. სრულიად ანალოგიური მოვლენის ბრალია, რომ **დილა** „ მზე ღმერთი“, მნობის გადანაცვლების გამო, **„დღის დროის მონაკვეთის „** აღმნიშვნელი სიტყვა – **დილა** გახდა. ასევე, დასაწისში, **„დილით განსახორციელებელი პურობის „** აღმნიშვნელმა ტერმინმა **სა-დილ-მა** ზედმიწ. **„სა-მზე-ომ“**, შემდეგ, **„შუადღის პურობამდე“** რომ გადაიწია.

იგივე მეგრ. **სკური** „მდინარე,“ როცა ანტონიმი ტერმინი (საპირისპირო ცნებისა) ქართ. **ფ-სკე-რი** ხდება – ეს ზემოთაღწერილისაგან განსხვავებული, **ფ. ს. ცვლილების პროცესია,** რადგან ადამიანი სიტყვის მნ-ბის შესაცვლელად, სხვა ორგანოს – **ბაგეს** იშველიებს და შესაცვლელ სიტყვაზე **ფ** ბაგისმიერის **(ფ < ბ)** დართვით კიდევაც აღწევს ამას.

არსით მდინარეს **სიმშრალე და ფსკერი** უკავშირდება იმდაგვარად, როგორადაც **მზე – ჩრდილს, მზის ამოსვლა – დილას: პირველთა გარეშე მეორენი არ არსებობენ.**

ქართ **მტერი** // მეგრ. ტერი: **ს** ფონეტიკური დანართი ცვლის მნიშვნელობას და მეგრ. ტერი-საგან ვღებულობთ > ქართულ **სტერი*** > // **შტერი** სიტყვას. მეგრული კომპლექსებს ამარტივებს, ამიტომ ამ შტერი სიტყვის **შტ** კომპლექსიდან **ტ** იკარგება და ვღებულობთ მეგრ. **შერი-ს,** იგივე მნიშვნელობით. **შერის** ანტონიმია **შერი-გება.** ა. ივანცოვის მიხედვით **შერი** ფრანგულში დადებითის „= ძვირფასი“ მნიშვნელობას იძენს: მ. ე. ფრ. **შერი** მეგრ. **შერი** სიტყვის აზრობრივი ცვლილება –ანტონიმია ანუ ქართველური წარმომავლობის სემანტემაა, რასაც ა. ივანცოვი ქართულ დილექტებშიც პოულობს: ციტატა: **„...საინტერესოა სიტყვა შერი, რაც ფრანგულად ძვირფასს ალნიშნავს. ქართულად – „ქების ღირსი“, ხოლო ლეჩხ. და რაჭ. დიალექტებში „შესაფერისს“ აღნიშნავს..“**(ა. ივანცოვი): შერ-ი ძირია სიტყვისა შერ-იგ-ება. მეგრულში კი = „გიჟი“

ხმაბაძვითი სუბსტრატი ქართველურ ზმნებში და მათი პარალელები რუსულში

რუს. Шлепнул // ქართ. სტკიცა, **მეგრ.** ქოტკაჩ **გახლავთ ინდივიდუალური ხმაბაძვითი ელ-ფერის სიტყვები. ძველთძველი ხმაბაძვის ტრადიციის არსებობის ბაზაზე ისინი თავისებური ბგერათ-**

კომბინაციებით ქმნიან „ინდივიდუალური ხმაბ. ელფერის სიტყვებს“ (კ. დანელია). რუსულთან შედარებით, ქართული უფროა მდიდარი , მაგრამ მეგრული ამ მხრივ ვირტუოზუ-ლია: მისი ლექსიკა უძიროა და უფრო მისადაგებულია სახელსაადები მოვლენისად-მი. მაგ: Шлепнул „სტკიცა"-ას ფარდია რუს. Ударил // ქართ. გაარტყა // – მეგრ. ქიმიოგ მაგრამ ამ ქიმი-ოგს გააჩნია შემდეგი ფორმები: ქობაზ, ქობათქ, ქობეთქ, ქობახვ, ქობეხვ, ქობენჭ, ქობაზ, ქობეზ, ქობაყვ, ქობეყვ, ქობუთქ; ქოგაგ, ქოგვაგვ, ქოგვეგვ, ქოგრინჯ; ქოდირგ, ქოდგადგ, ქოდგედგ, ქოდგუდ, ქოდრანგ, ქოდრინგ; ქოზანთ, ქოზეპ, ქოზგვინჯ, ქოზგვინჭ, ქოზვირთ, ქოზორთ, ქოზუმპ, ქო-ზურზ, ქოზღვენდ, ქოზღვინდ; ქოკვაკვ, ქოკვეკვ, ქოკაკ; ქოლეკ, ქოლორწ; ქომბალ, ქომბელ, ქომპელ; ქონოცხ, ქონაცხ, ქონიქვ, ქონქილ, ქონქოლ,ქონჭვილ, ქონჩქვილ, ქონჩქოლ, ქონჩქველ, ქონჩხალ, ქონცხალ, ქონჯვილ; ქოპაშკ, ქოპეშკ, ქოპახვ, ქო-პეხვ, ქოპარჭ, ქოპერჭ; ქორახვ, ქორანგვ, ქორანჯ, ქორეფ, ქორეხვ, ქორუმფ; ქოსანგვ, ქოსიპ, ქოსოლ, ქოსირღ; ქოტვარ, ქოტკაეკ, ქოტკაჩ, ქოტკეჩ, ქოტვეფ, ქოტვეტვ, ქოტკეტკ, ქოტირკ, ქოტორკ; ქოფათქ, ქოფეთქ, ქო-ფაშქ, ქოფეშქ; ქოლვინდგ; ქოყაყ. ქოყვინგ; ქოშიმბ, ქოშტრინგ, ქოშვაპ, ქოშქვერთ; ქოუგართ.წოჟლარტ, ქოჟლერტ, ქოჟგერთ; ქო-ჩხვაპ, ქოჩხვეპ, ქოჩვაგ, ქოჩვეგ, ქოჩვანგ, ქოჩვენგ, ქოჩქვაჩქვ, ქოჩქვეჩქვ,; ქოცხაკ. ქოცხაცხ, ქოცხვიტ; ქოძაგვ, ქოძგვატ, ქოძგვიტ; ქონკონდ, ქონკანტ, ქონკენტ; ქოჭიმბ, ქოჭკვაპ, ქოჭვირთ ქოჭკვეპ, ქოჭყვაპ, ქოჭყვეპ; ქოხაკ, ქოხირცქ, ქოხვირგ ქოხვინთქ, ქოხვენთქ; ქო-ჯვარზ, ქოჯვირზ, ქოჯვიტ. ქოჯიხვ, ქოჯგვაჯგვ, ქოჯვირხ, ქოჯღარკ, ქოჯგვეჯგვ, ქოჩქვეჩქვ სულ 120-ზე მეტი ფორმა.

ქართ. გაარტყას სინომიმებია – ბეხვა, გლიჯა, დრუზა, ლეწა, რეხვა, სტკიცა იქნებ ერთ ათეულამდეა. ეგრევე რუს: Ударил – Бахнул, Бухнул Грочнул Далд Врезал, Вткнул, Стукнул, Трескнул, Трахнул... პროცენტულად ესენი მეგრულის 10 პროცენტიც არაა, ანუ ესენი ლექსიკური მარაგით ათჯერ მაინც ჩამორჩებიან მეგრული ზმნის დასახელებულ ფონდს.

ხმაბ. ძირები ანარმოებენ ზმნებს მიმღეობებს, ზედსართავებს: მაგ: ქართ. ხმბ. ბეხვ ძირიდან– ზმნა – ბეხვ-ა, მიმღეობა – მბეხველი, ზედს. ბახვალა; რუს. бах ძირიდან – бахнул, бах-нутий; მეგრ. – ბეხვ ძირიდან – ზმნა ქო-ბეხვ „ბეხვა,“ მიმღეობა – მა-ბეხვ-ალ-ი „მბეხვე-

ლი“ და ზედს. ბეხვერია „ბახვალა.“ მეგრული, ქართულისა და რუსულისგან განსხვავებით, უამრავ მაწარმოე-ბელთა მეშვეობით, ქმნის უთვალავ ზმნურ ფორმებს. მაგ: მიდე-ბახვ-ალ „ნაბახვალდა,“ ქი-ნა-ბახვ: ქართული შესატყვისი არა აქვს = ჩავარდა მსხვილი ალნაგობის კაცი, ბახვ ბგერების გამო-ცემით; ქგ-და-ბეხვ: 1, „დააზვავა;“ 2. „ გადატანით: უზომოდ დაიტრაბახა;“ დობეხვ 1. ცემა ალნაგობით დიდმა; 2. ცემა ბეხვ ხმებანობით[3. ცემა ძლიერ; ქი-მი-ბეხვ-უ: 1. ჩაიცვა დიდი ზომის ფეხსაცმელი; 2. ჩაიცვა დიდი ალნაგობისამ; 3. ჩაიცვა ბეხვ ბგერების გამოცემით; ქო-ბეხვ 1. „ბუთქა“; 2. ბუთქა დიდი ალნაგობისამ; 3. ბუთქა ბეხვ ხმიანობით; ბახვალანს: 1. ლა-პარაკობს დიდი ალნაგობის კაცი; 2. ლაპარაკობს ბოხი ხმით (ხშირად რადიოზე იტყოდნენ.); თავადაც – ბოხ-ი ხმაბაძვითი სიტყვაა: შევადაროთ ამათ სხვა ძირი. მაგ: ჭკვაპ: ქო-ჭკვაპ 1. გა-არტყა სუსტი ალნაგობის კაცმა, 2. გაარტყა ჭკვაპ ბგერების გამოლე-ბით, გაარტყა სუ-სტად; მიმღეობა მა-ჭკვაპ-ალი: 1. მცემელი სუსტი ალნაგობისა, 2 მცემელი მცირედ, მცემელი ჭკვაპ ბგერების გამოლებით; ქინა-ჭკვაპ: 1. ჩავარდა ჩია კაცი, 2. ჩავარდა ჭკვაპ ბგერების გამოლებით; მი-ჭკვაპ-ალ 1. მიდის ჩია მოხუცი კაცი, 2. მიდის ჭკვაპ ბგერების გამოლებით; დო-ჭკვაპ: შეჭამა კბილებჩაცვენილმა მოხუცმა, 2. შეჭამა ჭკვაპ ბგერების გამოლებით; ჭკვაპალანს: ლაპარაკობს მოხუცი ჩია კაცი, 2 ლაპარაკობს ჭკვაპ ბგერების გამოცემით და ა. შ. ასე იქმნება უთვალავი მეგრ. ზმნების 99,9 პროცენტი, რომელსაც მ. ძაძამიამ „ეპითეტურ-ხატოვანი“ ზმნები უწოდა: იხ მ. ძაძამია „მეგრული დიალექტი“ მეორე ნაწილი. მაგრამ უპასუხოდ დატოვა მიზეზი ასეთი (ხმაბ. ელფერის) ფორმების არსებობისა: ეს გახლავთ ამ ზმნების ძირთა ხმაბ. რაობა, რომლებიც მ-ის თავსაწყისი ბგერების, უწინარესად ყოვლისა წინა და უკანა-ენისმიერთა თავსაწყის ნ და ყ-სა და სხვა პირველყოფილი ხმაბ. ძირების ხმაბაძვითობის ტრადიციის საფუძველზე შეიქმნენ.

რუსულშიც გვხვდება იგივური მოვლენები ოღონ როგორცა ვთქვით არა ეგრე მდიდარი და მრავალფეროვანი: მაგ Хлоп ძირიდან ზმნა – Хлоп-нул „გაარტყა“; მიმღეობა Хлоп-нущий „მრმტყმელი“, ზედსართ. Хлоп-ушка „საგანი რომლის ქმედება Хлоп ხმიანობით ხასიათდება. მაგ: ბუზსაჭერი; სხვა ზმნა: მაგ: За-хлоп-ал „ტაში დაუკრა,“ Вы-хлоп-нул „ ამოაძრო, ვთქვათ, დგუში

შპრიციდან Хлоп ხმიანობით.არახმაბაძვითებთან შედარებით, ამ-დაგვარი ძირების რაოდენობა მცირეა. მეგრული კი წარმოადგენს იმ უძირო ჭას, რომელშიც სარკესავით მოჩანს ხმაბაძვითი თუ ხმა-ბაძვითი ელფერის ბგერათკომპლექსები. ოლონდ ესაა: ჭაში ჩახედ-ვა მაინცაა საჭირო. ეს კი არც ისე იოლია, რადგან ასეთი ზმნები მილიონობით ერთეულებს მოიცავენ და დიდ უმეტეს შემთხვევებში არა აქვთ შესატყვისები სხვა ქართველურ ენებში.

ფ ბგერა

დუღილისას, წყლის ორთქლის ბუშტუკები ამოიფრქვევა და ირგვლივ ფფფ ხმიანობით ვრცელდება. ამიტომაც გვაქვს ქართ. ფუფქვა: დუღილს, მეგრულად, ფუნა ქვია. ქიფაფუს იტყვიან, რო-ცა მდულარეში სახარში ზევით ამოტივტივდება. აქ აზრობრივი პა-რალელია ამოტივტივებულ სახარშსა და დუღილისას ამოფრქვე-ულ ბუშტუკებს შორის. საინტერესოა, რომ ღრუბელს მეგრულად მუნა-ფა ეწოდება, მაწვიმარი – მოქუფრული ღრუბელი „ფომფია იგივე ფიფალი მუნაფაა“ და მის მოძრაობას, რევას კიდევ ფაფინი და ფაფაფი ქვია: ღრუბელი ხომ, დუღილის ორთქლის მსგავსადვეა წარმოქმნილი, წყალსატევებიდან წყლის აორთქლებით.

ფ-ს დამსახურებაა კულინარიული სახელები – ქართ. ფაფა, მეგრ. ფაფუ „ფაფა.“ ფაფ-ული „ფაფეული;“ მეგრ. ფამფია, // ფამ-ფალი, // ფამფალა, „მოფარფატეა,“ ფაფალა ალი „მოფარფატე ალია;“ ფაფალი – „ფერფლი,“ ხოლო ფაფალერი „დაფერფლი-ლია“. მეგრ. ფარ-ფალ-ი „ფარფატი''ს სინონიმია პარ-პალ-ი: ალიშ პარ-პალ-ი = „ალის ლაპ-ლაპი:“ პალ კომპონენტი ამ სიტყვისა ქარ-თულში შებრუნებულია და – დუბლირებული > ლაპ-ლაპ-ი.

ფაფალი // ფერფლი რუსულად არის პეპელ: და ეს პარალელი არაა ბოლოდროინდელი კონტაქტების შედეგი: იგი უძველესია: იმ-დროინდელია როცა ფ ბგერის დუბლირებით ხდებოდა ხმაბაძვა ერთ მაშინდელ ხმაბაძვით ენაზე.

ფერფლის და ფუნას „დუღილის“ სემასიური ერთიანობა ბუ-ნებრივია: ეგრევეა მეგრ. ფარ-ფალი // ქართ. ფარ-ფატი. და მშვენი-ერი მოფარფატე არსების სახელ – მეგრ. ფარფალია // „პეპელა // სვ. პარ-პოლ-ის, შემთხვევაში“ რომელიც რუს. бабочка, ხოლო ლათ. პაპილიო: ეს უკანასკნელი, ეტრუსკულიდანაა, რადგან ეტ-

რუსკულად პეპელას ფარფალიო ეწოდება: ჩამოთვლილ სახელებს, ძირითადად, ბაგისმიერები განასხვავებთ: ფ > ბ ფ .> პ.

პარ-პოლ. სვანურად „პეპელა," როგორც ჩანს, ფრენადანაა. ლი-პერ = „ფრენა". ლი-პორალ. ესეც ფრენას ქვია: ა-პარ – გაფრინდა..." თენგო ცინდელიანი...

მეგრ. ფარ-ფალ-იას ფრენის გაგებასთან აკავშირებს მეგრ. ქართ. ფარ-ფატი, რომელიც ასევე თავისებური ფრენაა: თავად ფრენა სიტყვისა და ფრინველის ფრ კომპლექსი ხმაბაძვითია. მიბაძვა მოხდა ფრინველის ფრთების ფრ...ფრ... ფართხუნ-ის ხმებზე, ამიტომ ჯერ შეიქმნა სახელი მფრინავი არსებისა, შემდეგ კი აბსტრ სახელი ფრენა: .ეგრევე ჯერ იყო მეგრ. ფარ-ფალ-ია // ქართ, პეპელა, // სვ პარ-პოლ შემდეგ კი ფარ-ფალი // „ფარ-ფატი;" ფურ-ინი //"ფრენა" // სვ. ლი-პერ „ფრენა"... ესე იგი, მეგრ ფურ-ინის ფურ არის, შემდგომ გახმოვანებული ფრ, ხოლო სვ. ლი-პერ-ის პერ გახმოვანების გარდა ფ > პ პროცესით არის მიღებული.

სვ. პარ-პოლ „პეპელა*ს პარ ნაწილი ფიგურირებს საფრენი აპარატის ი. ე. სახელში – პარაშუტ-ი, ხოლო – პოლ კი სლ. პოლიოტ ფრენაში;

ოდნავცვლილი, ფრენას ფრ კომპლექსია გერმ. Flug ფლუგ // ინგლ. Fly ფლი „ფრენა"ს Fl.

აეროპლანის, პარაპლანის პლ კი მეტადრეა ცვლილი: ფ > პ; რ > ლ. ასევე, ცნობილი ფორმულით – ხმაბაძვითი ბგერა + რ სუფიქსაცია – ფგ + რგ იძლევა მეგრ. ფუ-რე „ცხელი," ფურნე „საცხობი" და ფარანი „მანათობელი ხელსაწყოს" აღმნიშვნელ სიტყვებს. ეს უკანასკნელი – ფარანი, უთუოდ, „ოდესღაც მზის სახელიც იყო და აქედანაა ფარა-ონი „ტიტულატურა ეგვიპტელი მეფეებისა" (რევაზ და ბაკურ მორგოშიები)."

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ფ + ხ > ფხ კომპლექსი კავკასიურ ენებში სითბოს აღმნიშვნელია: გა-ზა-ფხ-ულ-ი, ზა-ფხ-ულ-ი...

ფა, ფოთოლი, ფალ-უა, ფაზისი, შეშელეთი, უშაფათი,
ფათი, ფურცელი, ფინუა, ფენა, ფორუა, ფარვა,
ფლორა, ფაუნა,

ფოთოლი მეგრულად არის ფუ-რცელი და ფა. ფა, ასევე, მცენარის ზოგადი სახელია და ტოპონიმიკაში უხშირესია: აქ ფ ბგერა ბყ > პ > ფ ამოსავლიანობისაა. ზემოთ, ბყ > ბყ და ბყ > პ მაგ. მრავალი და-

ვასახელეთ. ვთქვით „რომ იგივე პრინციპითაა წარმოქმნილი მეგრ. ფ–ალ–უა „ცენება:“ ბც კომპლექსი პ–დ დაყრუვდა, და შემდეგ ფ-დ გაფშვინვიერდა: მაშასადამე, ფალ-უას ფალ ძირის პრეფორმებია შემდეგი: ბყარ* > ბცარ* > პარ* > ფალ,“ ხოლო ფა „მცენარესი“ კი – ბყა.’ არქაული ფა–ზისი „ძველი სახელი ფოთისა“ და // ფა-სისი, რომელიც რიონთან ახლოს მთასაც ქვია ფა სახელს შეიცავს – მნიშვნელობით „მცენარე“. ზისი // სისი კომპონენტი კი შიში* //< შგშგ-დანაა. ეს უკანასკნელი, შ ბგერის დუბლირებით, წყლის მნიშვნელობის გაორკეცებულად აღმნიშვნელი დუბლიკატია“: ფა „მცენარე + შგშგ* > ფა-შიში“ > ფა-ზისი // ფა-სისი: ესე იგი, ზედმიწევნით „მცენარე წყლისა // მდინარისა ანუ მდინარისპირა მცენარეულობა.“ შდრ. ტოპ. შეშე-ლე-თი (< შგ-შგ-ლე-თი: შგ „წყალი“ + ლე სუფიქსი + თი „ადგილი“ ანუ „წყლიანი ადგილი“: შეშელეთი დიდი სოფელია აფხაზეთში და ზღვისპირა წყლიანი ვაკე ადგილია.

მშრალი ნიადაგის მქონე, სენაკის რაიონის სოფელია, გორაკზე – უ-შა-ფა-თი: უ „უარყოფის პრეფიქსი“ + შა „წყალი“+ ფა „მცენარე, ფოთოლი, ფენა“ + თი „ადგილი.“ მასასადამე, უშაფათი უდრის „უწყლო მცენარეული ადგილი;“ შდრ. ნესტიანი ადგილი – ლეჟერი < ლეშერ*–ი მიკროტოპონიმი ს. კირცხში. მეგრ. ლეჟერი ნედლია: ლეჟერი დიშქა = „ნედლი შეშა.“

ცნობილმა ენათმეცნიერმა ფოგტიმ იმის საფუძველზე, რომ არსებობს ქართ. : მეგრ. ა : ო ხმოვანთშესატყვისობა ფოთს ქართულად ფათი* უნდა ერქვასო. მართლაც, უკვე ვიცით, რომ ფა + თი „მცენარეებიანი ადგილი“ა, ანუ – ისეთია, როგორიც ფოთის შემოგარენია. ფა-თი* თუ ქართ. სახელი იყო, მ. ე, ფა „მცენარე“ დღეს რომ მეგრული გვგონია, ერთ დროს ქართული ყოფილა, ხოლო მეგრულად ფო უნდა ყოფილიყო. გვაქვს კი ამის მადასტურებელი მასალა? – დიახ, ესაა ქართული ფო-თოლ-ი. იგი ფო და თოლი ნაწილებისგანაა შემდგარი. თოლი „თვალია“, მეგრულად და ასევე ობიექტის ნაწილსაც აღნიშნავს. მაგ: ჟირ თოლიშ ცუდე = „ორი თვალის სახლი.“ მაშ, თოლი თუ რისამე „ნაწილი“ა ფო + თოლი „მცენარის ნაწილი“ ყოფილა. ამაზე უფრო პოეტური სახელი იქნება ფოთოლი თუ თოლ კომპონენტს მისი უმთავრესი მნიშვნრლობით – „თვალი“ს გაგებით ‘გამოვიყენებთ: ფო-თოლ-ი – „მცენარის თვალი.“ შეუდარებელია!

მაგრამ, დღეს, ფოთოლი მეგრულად გახლავთ – ფურცელი: ითქმის– წიგნისა, რვეულისა და მისთანათა ფურცლებზე. ეს ფურცელ–იც ოდინდელი მეგრული სიტყვაა: ო // უ მეგრულში ალო-

მორფალურ სახელებს ქმნიან: მაგ. ღომი // ღუმუ და ა. შ. ამიტომ, ფუ // ფო უდრის „ფოთოლი“. რცელ (//< მეგრ. რჩელ) კომპონენტის ც გახლავთ ჩ > ც ცვლილების, სანიმუშო დასამონმებელი, მაგალითი, რადგან მეგრულად რჩელი „ფენილია“. ჯამში: ფუ-რცელი //< ფო-რჩელ-ი უდრის „ფოთოლი ფენილი“. ამგვარივეა მეგრული ფორჩგ // გითო-ფორჩგ სიტყვები. უდრის „გროვად ჩამოცვენილ ფურცლები“: ფო-რჩგ შედგება ფო „ფოთოლი“ + რჩგ „ფენილ არს“ნაწილებისაგან და ჯამში უდრის: „ფოთოლი ფენილია“. აი, ამ ფოთლების ცვენამ, მისმა ერთმანეთზე ფე-ნა-ფე-ნა ლაგების თვალსაჩინოებამ შექმნა აბსტრაქტული სახელები – მეგრ. ფა „შრე, ფენა,“ ქართ. ფე-ნა. მეგრ. ფინ-უა „ფენა,“ ფო-რ-უა > „ფა-რ-ვა;“ ამ ფორ-უა // ფარ-ვას ფორ //ფარ ძირის დამსახურებაა ტერმინი – ს-ფერ-ო:

ს-ფერ-ო რუს. ს-ფერ-ა წარმოქმნილია ცის თაღის როგორც დედამიწის მეგრ. ფორ-ი-ს // სა-ფარ-ველის ეტიმოლოგიური ამოსავლიანობით: მეგრ. ფორ-ი „დაფარული,* ბრუნვის ნიშანი ი-ს გავლენით განიცდის ო > ე გადახმოვნებას > ფერ-ი // ფერა + ფონეტ. დანართი ქართ. ს > სფერ-ი // ს-ფერა.

სახელი ფა „მცენარე“ ცნობილ ჟურნალისტ მამანტი კვირტიას მიერაა მიკვლეული. ამ სიტყვას დაუკავშირა მან სოფლების – კირცხისა და ჯიხაშკარის მიკროტოპონიმი – ფალაზონი და საერთაშორისო ტერმინები ფლორა და ფაუნა, რომელთაშიც ფ ბგერასა და ფა მარცვალს მცენარეს მნიშვნელობა მიანიჭა. ფლორა-ს წინარედ ფოლ-ორ-ა* უნდა აღვადგინოთ: აქ ფოლ დღევანდელი მცენარეთა ცენების აღმნიშვნელ ფალ ძირის ამოსავალია, ორ* კიდევ დღევანდელი მეგრ. ონ განფენილობის სუფიქსის წინაფორმაა: ფოლ-ორ-ა* // ფოლ-ონა*-ს ქონდა „მცენებარე არე“ს გაგება. ფაუნ-ა კი ფა-ონ-ი* იყო იგივე „მცენარეთა განფენილობის მნ-ით.“

ჰ ბგერა

ჰჰჰ ხმიანობის სადარი ბგერითი მოვლენები ბუნებაში იშვიათია. ამიტომ, ჰ ბგერა, როგორც ხმაბაძვითი, ასევე, იშვიათია: უფრო სწორად ესაა ერთი-ორი შემთხვევა, როცა მისი მეშვეობით მოხდა ობიექტის – ჰაერი და ჰავა სიტყვათა სახელდება. ჰ ხორხისმიერ ბგერად ითვლება. დიახ, ხორხში არსებული ხმის სიმები აძლევს მას ულერადობას. ანუ ბუნებრივად წარმოთქმული

ჰ ბგერა კომპლექსია ხმის სიმების მიერ ნაკლები ინტენსივობით არტიკულირებულ გ ხმოვანთან.

როცა ხორხიდან ან ცხვირხახადან ნახველის ნებელობითი ამოხველება ხდება, ამ დროს ხხხ ბგერები გამოიცემა. ამგვარადვე – თუ ამოხველების განმახორციელებელი ორგანოების კუნთების შეკუმშვა ნაკლებია და ღრუს ხშობა არ ხდება უფრო ჰჰჰ ბგერების მსგავსი ხმიანობები წარმოიქმნება. თუ აღნიშნული კუნთების კუმშვა სრულიად არაა, ამ შემთხვევაში ფილტვებიდან პირით ამოსული ჰაერი ტრაქეა-ხორხ-ხახის კედლებს მცირედ ეხახუნება და ხმიანობაც სუფთაა: ეს ხმიანობაა ჰ ბგერისა.

არსებობს უპირობო რეფლექსი ტრაქეადან ნახველის უნებლიე ამოხველებისა. როცა ფილტვებში ნაკუმში ჰაერი, ნახველიანად, იმპულსურად და წყვეტილად ამოვარდება. ამ დროს, უნებლიედ ჰგ კომპლექსი წარმოითქმება. ამავე ჰგ კომპლექსის წამოძახილისას ხდება იგივე პროცესი, ოღონდ ნებელობით.

პირიდან სულის შებერვით, ადამიანს ძალუძს ეს ჰგ მარცვალი ნებელობითაც წარმოთქვას. მაგ: მეგრ. ჰგ-ვადო შური ქინომბარ – „ჰ-ოდა სული (ჰაერი) მომაბერა.“

ჰაერი ნასესხობად თვლება, ი. ე. აირი-დან. ანუ ჰ ძირეული არაა-ო ამტკიცებს ენათმეცნირება. მაგრამ ჰ ბგერა რომ ჰაერის სახელდებისთვის ძირეულია, ამაზე მეტყველებს სახელდების უზუსტესი და სადაგი ლოგიკა, მიგნებულობა ნომინაციისა: ჰგ.. ჰგ... ჰგ... ბგერების წარმოთქმით, ვთქვათ სახეზე შებერვით შესაძლებელია დემონსტრირება იმისა თუ რა არის ჰაერი: ზემოთ, როგორც შ ხმაბაძვითი ბგერისა და რე ზმნის მეშვეობით შგ რე ფრაზიდან – შური „სული“; კ ხმაბაძვითი ბგერისა და იგივე რე ზმნის მეშვეობითკგ რე დან – კირი და ასე შემდეგ სახელები წარმოიქმნენ. ანუ როგორც ეს მოვლენა ატარებდა სისტემურ ხასიათს და ხმაბაძვითი ბგერა + რე ზმნიდან უამრავი ტერმინები აღმოცენდნენ, ზუსტად ამგვარადვე, სახეზე ჰგ..ჰგ..ჰ შებერვით და ჰგ რე ფრაზის წარმოთქმით ხდებოდა ჰაერის რაობის დემონსტრირება: ამგვარად, ჰგ რე „ჰ არის“ ფრაზიდან > ჰგრე* > ჰაერი განხორციელდა. სხვა პრინციპი სახელდებისა, დავუშვათ ტემპერატურაზე, შეხებით ტაქტილურ მგრძნობელობაზე და ა. შ. დაყრდნობით წარმოქმნა ჰ ბგერისა და სახელდება აირ //< ჰაერ-ისა ნაკლებად ადეკვატური იქნებოდა თვით ჰაერის, როგორც გამღიზიანებლის გრძნობათა ორგანოებზე უმნიშვნელო ზემოქმედების შესაძლებლობის ქონების გამო. ასე რომ ბერძნულიდან კი არაა ტერმინი აი-

რი შემოსული (ა. შანიძე), არამედ, პირიქით, ჰაერ > აერ // აირ სახითაა გასული და ჰგ რე „ჰგ არის“ > ჰაერ-ია ზოგადკაცობრიული თავსანყისი: ჰ ბგერით რომ ჰაერია სახელდებული ამის დასტურია მეგრ. // ქართ. ჰავა „ჰაერი:“ ჰავაქ ქუდურქუ = „ჰაერმა დაუბერა;“ ჰავაქ წართ = „ამინდი წახდა“. ეს ბოლო გაგება ზედნაშენურია: ჰავა „ჰაერი“ > ჰავა „ამინდი“: ამინდის ტემპერატურული ცვლილებები ხომ ჰაერის მეშვეობით შეიგრძნება.

ამგვარი სეგმენტაციისას – ჰა-ვა, ვა სუფიქსი უა-დანაა. ძირია ჰა.

თ ბგერა

თ ბგერა არაა ხმაბაძვითი. იგი სინათლის მნიშვნელობის მატარებელი სპონტანური ბგერაა. თუმცა კ. ფიფიას აზრით ისიც შეიძლება ხმაბაძვითი იყოს რადგან თოვის გარკვეულ სახეობას, რომლის სახელდებაშიც მონაწილეობს (თოვა // თირა; თოვლი // თირი), თთთ ხმიანობები ახასიათებსო: საკითხს ამ ხმების ჩაწერა და წარმოთქმულ თ და სხვა თანხმოვნებთან შედარება გადაწყვეტს.

ენათმეცნიერებმა სახელებში: ქართ. თ-ევა, მ-თ-იები, ნა-თ-ება, სი-ნა-თ-ლე, მ-ნა-თ-ობი; მეგრ. სინ-თ-ე „სინათლე.“ გო-თ-ე „ნათელი ადგილი;“ ლაზ. თ-ე „სინათლე''-ში თ ბგერა ძირად გამოყვეს: „თ ძირია. სხვები ,,, აფიქსებია, ძირს შეზრდილნი“. იხ ვ. თოფურია. შრომები 3 გვ. 90 – 95 თგრი // თირი, მათირია, თოლია, თვალი, თოლი, თეთრი, ზამთარი, ზოთონჯი, ზაფხული, გაზაფხული, აფხაზეთი პირველ მეტყველებაში, თ-მ – „სინათლის“ და რ-მ კი „არსებობის“ ცნებები ცნობილ ფრაზად – თგ რე (თგ არის) დაავჯამა, მნიშვნელობით „სინათლის არსებობა, სინათლე.“ თგ რე „სხივია, სინათლეა“ როგორცა ჩანს სითბოს შინაარსს არ შეიცავდა. ამიტომაც პროცესი – თგ-რე // > თირი მეგრ. „თოვლი“, როგორც სინათლის ამრეკლავი ანუ „სინათლიანი“ და იმავდროულად ცივი, ეტიმოლოგიურად, ზედგამოჭრილია და იგივეა თეთრი: მისი პირველი თ შეიძლება იყოს კლ. კატ. ნიშანი (შდრ. ძვ. ქართ. თ-თუე და ახ. ქართ. თვე). თუმცა დასაშვებია, როგორც ხშირად ხდება, სინათლის ცნების უკეთ გადმოსაცემად აქ თ ბგერა მეორდებოდეს...

მეგრ. სახელი მა-თირ-ია „თოლ-ია“ ასეთი პრობლემის წინაშე გვაყენებს: ლეგენდის მიხედვით, მისი გამოჩენა მკაცრი ზამთრის მაუწყებელია: თითქოს ეს სახელდებასაც ხსნის – მ + თირ-ი* >

„თოვლის მაუწყებელი“ მაგამ არა, სინამდვილეში სახელდების პრინციპია ამ ფრინველის სითეთრე: მეგრ. თგ რე // თირ- რე* = თოვლია > „ნათე-ლია // თეთრია''-ს. ამ უკანასკნელის, ოდნაობითი ხარისხია მეგრ. მოთირ-ია „მოთეთრო“: შდრ: მო-რჩე „მოთეთრო“ და მა-რჩია „ძლიერ თეთრი:“ მუშ მა-რჩია რე = „რა თეთრია“. მ. ე. მა-თირ-ია უდრის „ძლიერ თეთრი“ ქართ. თოლი-ა-ს შემადგენლობაშია მეგრ. თოლ, ფუძე სიტყვისა თოლ-ი „თვალი“. ეს არაა შემთხვევითი: ისინი საერთო სემასიისანი არიან. თავად სინათლის ამღქმელ ორგანოს სახელშიც სინათლეს ძირ თ ბგერის მონაწილეობა კანონზომიერია: თ „სინათლე“ ხომ ამ ორგანოს ფუნქციონირებისას მთავარი მოქმედი ატრიბუტია. ეს ფაქტი კი ამ სახელთა სიძველეზე ღაღადებს.

ქართ. ზა-მ-თარ-ი, რაკი მეგრ. თირ-ი თოვლის თირ ძირის ექვივალენტ თარ კომპონენტს შეიცავს, მის მიერ ცივის მნიშვნელობის მომცველობა ცხადია: თარ ნაწილში თუ თ უდრის სინათლეს, რ უდრის არსებობას, გასაგებია, თარ უდრის სინათლის არსებობას, უდრის მხოლოდ სინათლეს სითბოს გარეშე: ზამ-თარ-ის ამ თარ კომპონენტის ცივის სემასია დამოწმებული აქვთ ყიფშიძეს, თოფურიას, ტულუშს და სხვათა. მათ პაექრობებში განსხვავებულ მოსაზრებებს იწვევდა უფრო ზამ ნაწილი. იგი ქართ. მზედ, ხან სვ. წელიწადად აღიქმებოდა. იხ ვ თოფურია „შრომები“ 3 გვ. 46; იხ „ეტიმ. ძიებანი 1951 წ.“

ზამ რომ მზეა ამაზე მეგრ. ზო-თონჯი მიუთითებს: აქ ზო ქართ. (მ + ზე >) მ-ზე-ს მ-თი გართულებამდელი ზე ფორმის ექვივალენტია. მეორე ნაწილი თონ-ჯ-ის თონ მეგრ. თგრ-ი „თოვლიდანაა:“ თგრ > თორ > თონ; იგივე თგრ დღევანდელი თინჯი // დინჯი-ს პრეფორმაა: თგრ-ი // > თირ-ი მეგრ. „თოვლი“; თირ-ი > თინ-რი* > თინჯი // დინჯი; ამგვარად, ზო-თონჯი ამოზრდილია ზო-თგრ-ი* „მზე თოვლი ანუ მზე მხოლოდ სხივი ანუ კიდევ მზე დინჯის გაგებიდან. ეს სადაგი ეტიმოლოგია კი ქართ ზამთარის ზა ნაწილისა და მეგრ ზოთონჯის ზო-ს ექვივალენტურობაზე და მ. ე. ქართ. ზა რომ მზეა იმას ამტკიცებს.

ზო და ზე-ს გარდა მზე ზა ფორმითაც არსებობდა: შდრ: ძვ ქართ მ-ზა „მზე:“ თუ ვიცით რომ ზე // ზა უდრის „მზე“, ფხ კავკასიურ ენებში სითბოს აღმნიშვნელია (იხ ივ. ჯავახიშვილი ქ. ე. ი. შ გვ. 66 – 67), ხოლო თი უდრის „ტერიტორია, ადგილი“, მაშინ სახელი ა-ფხ-ა-ზე-თი სრულიად გამჭვირვალე ეტიმოლოგიისა გახდება: ო-ფხ-ზე-თი // > ა-ფხ-ა-ზეთი უდრის „თბილი მზიანი ადგილი.“ თუმცა უნ-

და გვახსოვდეს ძველად აფხაზებად – მეგრელები, ხოლო აფხაზეთად ეგრისი ანუ სრულიად დასავლეთი საქართველო იწოდებოდა...

ამ ეტიმოლოგიის დამოწმებაა მეცნიერებაში გაზიარებული – ზა-ფხ-ული (უდრის მზე თბილი) და გა-ზა-ფხ-ული (უდრის ზაფხულის დამდეგი, გამოზაფხულება).

ქართ. დედა-მთიელ-ი, მამა-მთიელ-ი // მეგრ. მუა-ნთიელ-ი // მუა-ნთირი, დია-ნთიელ-ი // დია-ნთირი ი. ყიფშიძემ მეგრ. თირ-უა „ცვლა“ ზმნას დაუკავშირა, მაგრამ, დასაშვებია, ამ სიტყვების მთიელ // ნთიელ ნაწილები, როგორც ქართ. მოხუცი, მხცოვანი და ლაზ. ხჩე წარმოიქმნენ ჩხ ბკ-ის სხივ-შუქის გაგებიდან (იხ. ჩხ ბკ.), ამგვარადვე, თ ბგერის სინათლის მნიშვნელობიდან იყოს ალმოცებული: თგ რე = „სინათლეა“ > თგ-რი* (= თოვლი) > თილი (= მოთოვლილი) ბგერითი ცვლილება განხორციელდა. აზრობრივად კი, დასახელებულ სიტყვათა, ამ თილ კომპონენტის „სინათლის“ სემასია უფროს თაობათა საპატიო სახელსადებად გაფართოვდა, როგორც მათი თეთრი თმების პოეტური მეტაფორა.

თი, თა, თე, ფუტი, ოფუტე, კომლი, კვამლი, თემი. სუფიქსები – თი, თა, ეთ-ი ლაზ. თე სინათლეა. მას პრეისტორიულ ეპოქამდე მივყევართ. ამ პერიოდში პირველყოფილ კოლექტივს, მის ცხოვრებაში, უდიდესი მნიშვნელობის ცეცხლის საერთო კერა გააჩნია. მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის გამო, კოლექტივები (თემები) დიდად არიან ერთურთს დაშორებულნი. ამ დროს ადამიანს თავისი კოლექტივის ადილმდებარეობა, გარდა სხვა ნიშნებისა, ძირითად დამახსოვრებული აქვს ცეცხლის კერის ხასიათითა და ადგილმდებარეობით: ეს იმიტომ, რომ ცეცხლის ერთ-ერთი მთავარი თვისება კვამლ-სითბო-სინათლის გამოყოფაა. ბუნებრივია, სამოსახლოს სახელიც დაუკავშირდა სწორედ ცეცხლის ამ, იმ დროისთვის მთავარ საორიენტაციო, თვისებებს. ამიტომაც გვაქვს მეგრ. თი // თა „სახლ-კარი, ადგილი, ტერიტორია;“ ლაზ. თე „სინათლე;“ ქართ. ფუტი „ავი კვამლი“ და ლაზ. ო-ფუტ-ე „ადგილი ეზოს გარშემო, ეზო, რაიონი,“ კომლი // > კვამლი და კომლი „ოჯახი.“

განა ამის შემდეგ საეჭვოა, რომ თემი, როგორც მეცნიერებაშია გაზიარებული, ბერძნული ნასესხობა კი არა, პირიქით, პელასგური დანაშრევია ბერძნულში?...

თგ* > მეგრ. თი // თა „ადგილი, ტერიტორია“ ლაზ. თე „სინათლე“; თე + მ > მ-თე //> თემ-ი: მეგრ. თი // თა // ლაზ. თე, აგრეთვე მეგრ. თ-ურ-ი „ნათესავი, ჯიში, გვარი“ ნათესავ ხდის თუ რატომაა ასე პროდუქტიული სადაურობა-წარმომავლობის – ურ (< თ-ურ*)

და საქართველოს ტოპონიმიკაში თი, თა და ეთ სუფიქსები. ესენი, ოდითგანვე სრულფასოვანი სიტყვის ფუნქციის მქონენი – პირველი კოლექტიური სამოსახლოების სახელმდებელნი, მეგრულ-ლაზურში, დღესაც, ადგილის, ტერიტორიის მნიშვნელობის მქონე სიტყვები არიან, და ამგვარი მნიშვნელობის ქონების გამო, ტოპონიმიკაში დამატებით, შეუძენიათ ადილმდებარეობის აღმნიშვნელ სუფიქსთა თვისებებიც.

ქართ. თანდებული თა-ნ მეგრ..- ლაზ თი, თა, თე სიტყვებთანაა კავშირში და თ ბგერის ამ ოდინდელ „სინათლე // სამოსახლო // ადგილი"-ს მნიშვნელობათა აზრობრივი ტრანსფორმაციების შედეგია: ჩემ-თან, შენ-თან და ა. შ. ხომ ადგილსაც გულისხმობს. ამიტომ, სავსებით მართებულია ა. ივანცოვის მიერ ახლო აღმოსავლეთში ქვეყნის აღმნიშვნელ სტან კომპლექსის (ჰაია-სტან, ავღანისტან და ა. შ.) ქართ. თან-იდან ამოსავლიანობის მტკიცება: უფრო მეტიც, გვაქვს უფლება ვთქვათ: აქედანაა სლ. მესტო „ადგილი', სტოპა, სტოიათ''დგომა" და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, სინათლის აღმნიშვნელ უცხო სიტყვებში თ // ტ ბგერათა არსებობა კანონზომიერია:

რთ კომპლექსი

მეგრ. რთ კომპლექსი მრავალიცხოვან ზმნათა წარმომქმნელია: გო-რთ „გახდა, გაყო" ; გედი-რთ „ადგა," მო-რთ „მოვიდა"; მიდა-რთ „წავიდა", მოლა-რთ „წამოვიდა;", დი-რთ „დაბრუნდა"; მიკი-რთ; „მობრუნდა;" ეკი-რთ „წაიქცა;" ელე-რთ „წაყირავდა; გამნი-რთ „გადაბრუნდა'; გე-რთ „აღმოცენდა"; მი-რთ „გახუნდა;" ნა-რთ „წახდა" რთა „ტრიალი", და ა. შ. ამ უკანასკნელიგან მეგრ. სუფიქსი ქმედებისა – ფა აწარმოებს იგივე ზმნას რთ-აფა. „ტრიალი, ბრუნი": ქო-რთა უდრის – „კი ტრიალი ": ი-რთ-ანს არის ტრიალებს, იშვიათი ქი-რთ-ანს, ასევე არის ტრიალებს: კითხვა; ქი-რთ-ანსო? უდრის –„ტრიალებს (კი)"? ქი აქ მტკიცებითი ქო ნაწილაკია, ხმოვანცვლილი. ამიტომ, ქი-რთანს ზედმიწ. = „კი ტრიალებს". ამ უკანასკნელთან ახლოსაა ტერმინი ქართა – ქა-რთ-ა „წრე, გალავანი, გვირგვინი.." აქედან არიან ტერმინები – ო-რთ-ა „ბუნება" და ო-რთ-ე „სამყარო": ქო-რთა > ორთა // ორთე.

ღ ქონების ძირია მეგრულში: მი-ღ, გი-ღ, უ-ღ – მა-ქ, გა-ქ, ა-ქ: ამიტომ, ღ-ორთე კომპოზიტი იქნება სამყაროს მფლობელი ანუ

ღმერთი: ესე იგი, ღ-ორთე – მღ-ორთე > ღმ-ორთე > „ღმერთი“: ღ-ორთე ღ-ს ამოწევით ინდოევროპულ გოთ // გოდ // გად „ღმერთ“-ს იძლევა: შდრ. მეგრ. გოთ გოიმორძგვას = „ღმერთმა გაგიმარჯოს.“

ქართა, ქართი, ქართველი, საქართველო, კარდი, კარდუხი, კარტა

„...შორეული ნაოსნობა მოითხოვდა ასტრონომიულ და ასტროლოგიურ ცოდნას, ... (ამ ე. ი.) ცოდნის საფუძველზე ჩამოყალიბდა კარტოგრაფია, რომლის გამოგონებას ბერძნული წყარო კოლხებს მიაწერს. „ანტიკურ ლექსიკონში“ კი .. დასახელებულია ინფორმაცია, რომელიც ეხება ძვ.წ. მე-6 საუკუნის ბერძენ ჰეკატეს: მის მიერ შედგენილი აღმოჩნდა რუკა, დაყოფილი ორ ნაწილად: გიბრალტარის სრუტიდან მდინარე ფაზისამდე. ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის ... საზღვაო მიმოსვლაში მოქცეული მდინარე ფაზისი (მდ. რიონი) ითვლებოდა ზღვაოსანთა ბოლო პუნქტად; ამავე დროს, ქალაქი ფაზისი (ფოთი) წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს უმთავრეს ნავმისადგომს. ... რაც შეეხება სოფელ ხუცუბანში აღმოჩენილ ძვ. წ. პირველი ათასწლეულით დათარიღებულ, ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულ ცის თაღის გამოსახულებას, რომელიც შემკულია ასტრალური ნიშნებით, იგი მოიაზრება გლობუსის გამოსახულებად, რომელსაც ძველი კოლხები იყენებდნენ ზღვაზე მოგზაურობის დროს საორიენტაციოდ, კომპასის მსგავსი დანიშნულების საგნად...“ **ია აბულაშვილი.“**

სახელი ქართ-ი ალფენიძემ მეგრ. ქართა-დან „წრე, გალავანი, გვირგვინი„ წარმომავლობით ახსნა. მ.. წერეთელმა და ო. ლორთქიფანიძემ კი ეთნონიმი ქართ-ი კარდ-უხ სახელის კარდ ფრაგმენტს მიამსგავსეს და დაამატეს, რომ მეგრ. ქორთუ, კარდუ და ქართ ერთგვაროვანნი არიანო: ორივე ვერსია – ალფენიძისა და წერეთელ- ლორთქიფანიძისა ძლიერია...

მნიშვნელოვანია, რომ თბილისში ახლახან აღმოაჩინეს დიდი გალავანი, რომლის მეგრ. სახელ ქართა-ს მიხედვით, მართლაც დასაშვებია თბილისს ქართ-ი დარქმეოდა. მიუხედავად ამისა, წამოვაყენე ვერსია, რომ არა მარტო თბილისს დაერქვა ქართ მეგრული სიტყვისაგან ქართა „გალავანი“, არამედ კარდუხებსაც იმავე სიტყვისაგან დაერქვათ კარდ-უ-ხი, ოლონდ, ამ შემთხვევაში, სახელდების მოტივად აღზევდა მეგრ. ქართა სიტყვის სხვა მნიშვნელობა:

ეს – გახლავთ,ზემოთდასახელებული, ქართა „წრე“ და არა „გალავანი“: საქმე იმაშია, კარდუხები სახლობდნენ ვანის ტბის სანახებში. ხოლო ნებისმიერი ტბის ირგვლივ ცხოვრებას და ნაოსნობას მათში კი შეუძლებელია წრის მოაზრებები არ გამოეწვია.

ოხი // უხი გახლავთ ფრაგმენტი მეგრ. სიტყვისა ოხო-რი „სამოსახლო“: შდრ: დია-ოხი < დია-ოხ-(ორ)-ი* უდრის „დედასამოსახლო ანუ სამშობლო!; ტა-ოხი < თა-ოხ-(ორ)-ი* „ადგილი + სამოსახლო; კო-ხორ-ა < კგ-ოხორ-ა „მაგარი, კარგი სამოსახლო“: ე. ი. ქართა „წრე“ + ოხი // უხი > ქართა-უხი // ქართ-უხი* = „წრის ფორმის სამოსახლო“ > კარდ-უხი = კარდუხების სამოსახლო“.

ანუ ქართუხი* მეგრ. გეოგრაფიული სახელისაგან წარმოიქმნა კარდუხი ეთნონიმი...

დიახ, მეგრ. ქართა სიტყვამ უდიადესი ეთნონიმები და ტოპონიმები (ქართი „თბილისი,“ ქართველი, ქორთუ, სა-ქართველო, კარდუხი...) და ა. შ. შექმნა...

კარლ რიტტერის გამონათქვამი, რომ კოლხებმა შექმნეს კარტოგრაფია და არა ბერძნებმა, ცნობილია....მაგრამ არავის უთქვია თუ ვისია ან ვინ იხმარა პირველად სახელი კარტა, რომელიც, ქართულ წყაროებში, პირველად შოთას ვეფხისტყაოსანშია დაფიქსირებული“ კარტები დაუწერია“-ო, ბრძანებს შოთა: აქვეთქმულიდან გამომდინარე, ძნელი არაა მივხვდეთ, რომ მე საერთაშორისო ტერმინ კარტას მეგრ. ქართას დავუკავშირებ. მაგრამ რა მეცნიერული საფუძვლიანობით? რა უნდა ქონდეთ საერთო მეგრ. ქართა და სერთაშორისო გეოგრაფიულ ტერმინ კარტას?...

დიახ აქვთ და როგორი: საქმე იმაშია, კოლხი ტომები ცხოვრობდნენ შავი ზღვისა, კასპიის ზღვისა და დიდი ვანის ტბის სანახებში, რომლებიც წრის ფორმისანი გახლავთ. ამიტომ, პირველი, ენდემიური ნაოსნობის ჩამოყალიბებისას და შემდგომ პერიოდებში ნაოსნობას ამ წყალსაცავებში, როგორცა ვთქვით, ჰქონდა ტრაექტორია წრის ფორმისა. ანუ ეს ტრაექტორია წრედ აღიქმებოდა. წრეს კი, მეგრულად, ქართა ქვია. ამიტომ, მას – ამ სანაოსნო ტრაექტორიებს ქართა //>კარტა ეწოდა ....

შემდეგ კი, საგანს რომელზეც ეს ტრაექტორიები, გეოგრაფიული მიზნებისთვის ფიქსირდებოდა (იხაზებოდა თუ იწერებოდა), ასევე, ეწოდა ქართა //> ქართა-ნი! შეგახსენებთ: ქართა-ნი გრაგნილია მეგრულად!!!....იხ. ალიო ქობალია „მ. ლ.“

ანუ ყოლიფერი ურყევ ლოგიკურ შედეგად დალაგდა: ქართა მეგრ. „გალავანი“ > ქართ-ი „მეგრ. აფხ. სომხ. თბილისი;“ ქართა >

ქართ-ები // ქართველები საქართველო; ქართა-ხი სინონიმი ქართა სიტყვასი“ მეგრ. წრე“: ქართა-ხი // კარდ-უ-ხი > ვანის ტბის შემოგარენში წრის ფორმის საცხოვრისი კარდუხებისა; ქართა „წრე“ > კარდ ეთნონიმი; ქართა „წრე“ > კარტა „წრის ფორმის ნახაზები ანუ რუქები კოლხთა ნაოსნობისა შავი ზღვის, კასპიის ზღვის და ვანის ტბის მიდამოებში.; კარტა „რუქა“ > ქართა-ნი „ მეგრ. გრაგნილი, სადაც ეს რუქები იხაზებოდა ანუ „წრის ფორმის რუქა“);

კოლხეთი და დიაოხი – ქვეყნის სახელთა ეტიმოლოგია

სანამ ამ სახელთა ეტიმოლოგიას შევუდგებოდეთ ხაზი უნდა გავუსვათ იმ უცნაურ გარემოებას რომ ქართული მემატიანე და ისტ. წყაროები კოლხეთს იგნორირებენ, ამიტომ, დღევანდელი საზოგადოების დიდ ნაწილი, რომელსაც ბერძნულ-რომაული მითების გარდა არა სმენია რა, კოლხურ სახელმწიფოებრიობას, კოლხური ანუ მეგრულ-ლაზური ცივილიზაციის არსებობას ლეგენდების სფეროს მიაკუთვნებს: ასეა კი ეს? – მოვუხმოთ ციტატებს ფბ სივრციდან: გიორგი სახოკია, ზურაბ კვარაცხელია: „... სტრაბონი: ,,მე დავიბადე ქალაქ-ამასია კაპადოკიაში. დედაჩემი იყო კაპადოკიელი-ლაზო-ჭანური წარმოშობისა. კაპადოკიელები ლაპარაკობენ ამ ხალხთა ენაზე.“ ივანე ლოლაშვილი, ,,ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან.თბილისი, 1978 წ გვ 52“.

სწორედ ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, სტრაბონის აღწერა კასპია-კავკასია-შავი ზღვის რეგიონისა, შედარებით, სანდოა. კოლხეთთან მიმართებით კი საყურადღებოა ის რომ იგი შავ ზღვას ერთგან „ევქსინის პონტოდ“ ხოლო დასაწყისში თავისი წიგნისა „გეოგრაფია –11 **"კოლხეთის ზღვა"დ** მოიხსენიებს:

პომპეიმ ... იბერიისა და ალბანელების წინააღმდეგ კასპიისა და **კოლხეთის ზღვის** ორივე მხარეს განახორციელა ლაშქრობა"-ო. იხ. სტრაბონი „გეოგრაფია“ წიგნი 11. რუსულიდან თარგმანი ე. ი. გამოდის, სტრაბონის მოღვაწეობისას შავი ზღვა, მის ირგვლივ მცხოვრებ ხალხთა შემეცნებაში კოლხეთის საკუთრებად ანუ კოლხეთად მოიაზრებოდა და ეს ასეც იყო...

ზაალ და ზაზა ჯალალონიები: “ აკაკი ურუშაძის მიხედვით: "...V საუკუნის ანონიმი მწერალი წერს: „დიოსკურიიდან ... ვიდრე აფსარის წყლამდე წინათ ცხოვრობდა ის ხალხი, რომელსაც კოლხები ეწოდებოდათ და (მერე) გადაერქვათ ლაზები; იოანე ლიდეს

(V-VI ს.) მიხედვით, ლაზები იგივე კოლხებია: „კოლხები, რომელთაც აგრეთვე ლაზები ეწოდებათ"; იგივეს აღნიშნავს ბიზანტიელი მწერალი და ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (ახ. წ. VI ს.). იგი წერს: „სახელი „კოლხები" ... ამჟამად „ლაზთა" სახელად შეიცვალა) . პროკოპი კესარიელის უმცროსი თანამედროვე აგათია სქოლასტიკოსი (536-582 წწ.) აღნიშნავს: „ლაზებს რომ ძველად კოლხები ეწოდებოდათ და სწორედ ისინი არიან, ამაში ეჭვი არ შეეპარება არავის". საყურადღებოა აგათიას მტკიცება: .... „ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მბრძანებლობენ; ამაყობენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ ..."

აკად. ნ. ბერძენიშვილი გადმოგვცემს: „ლაზებს მიაჩნიათ, რომ მათი სამეფო კოლხთა სამეფოს გაგრძელებაა, რომ ლაზები პირდაპირი, ჩამომავლობითი და არა მხოლოდ პოლიტიკური მემკვიდრენი არიან კოლხეთის სამეფოსი და კოლხთა, რომ, მ. ე, ძველი კოლხიდა მათ აქვე ეგულებათ, რომ მათი სამეფო უძველესია" ...აგათია სქოლასტიკოსი კი ... ყველგან კოლხს ლაზის მნიშვნელობით ხმარობს. ლაზი აიეტი თავის სამშობლოს კოლხების ქვეყანას უწოდებს: ... „გაქრა კოლხთა ძველი ღირსება და ამიერიდან ვეღარ ვეღირსებით იმას, რომ სხვებს ვმბრძანებლობდეთ... მე ვინატრიდი კოლხეთს ... ჰქონდეს მისი ძველი ძლიერება, რომ მას არ დასჭირებოდეს უცხო და გარეშე დახმარება..."

ამ ციტატებში ყველაფერი სწორია.: ოღონდ როცა ძველი მკვლევარები ხან ლაზებს და ხანაც მეგრელებს კოლხებად მოიხსენიებენ, ეს ბუნებრივია, რადგან მაშინ ენობრივ-ეთნოგრაფიულად ახლოსმყოფნი, ერთი ქვეყნის მცხოვრებნი იყვნენ. ეს შემდეგ მოხდა მათი ენობრივ-ტერიტორი-ული დაშორიშორება, „ლაზი აიეტი თავის სამშობლოს კოლხების ქვეყანას უწოდებს", მაგრამ განა საეჭვოა რომ აქ სახელ ლაზში, უწინარესად ყოვლისა მეგრელი იგულისხმება, რადგან ლაზ-მეგრელთა მეფის – გუბაზის მკვლელობა, რის გამოც ნოქალაქევში (არქეოპოლისში) კოლხთა სახალხო ყრილობა გაიმართა, ხობის მახლობლად მოხდა. ამ დროს ამ ქვეყანას, სომხურად – ეგერაც, ქართულად – ეგრისი (რაც მეგრელ // მარგ-ალის მეგრ // მარგ ძირთან ასოცირდება), ბერძნულ-ლათინურად კი ლაზიკე ერქვა.

კოლხეთის ამოსავალი ეტიმოლოგია ივ. ჯავახიშვილმა მთის სახელ კოლა-ს დაუკავშირა, რაც კანონიერია, თუმცა, დაშვების დონეზე გთავაზობთ ჩემეულ ვერსიასაც: მეგრ. კგ **მარცვალ-სიტ-**

ყვა სიმაგრის მნიშვნელობის რომაა ამითაა განპირობებული მისი მონაწილეობა ქვეყნის – კ-ოლხ-ეთ–ი–ს სახელდებაში და იგი აქ წარმადგენს სიმაგრის, სიმტკიცის ეპითეტს. რაც შეეხება სუფიქს ეთ–ი–ს, რადგან თი და თა მეგრულში „სამოსახლოს, ადგილის, ეზოკარის“ მნ–ობის სინონიმი სიტყვები არიან, ამიტომ, ეთ–ი–ს, თავდაპირველად, მცხოვრებთა მნიშვნელობა ექნებოდა (იხ. თ ბგერა). ო-ლხ ნაწილი კ-ო-ლხ-ეთ სახელისა კი იგივე ო-ხორ–ია, ხ და რ ბგერების ადგილმონაცვლეობის, რ > ლ ბრუნვისა და კუმშვის შედეგადაა წარმოქმნილი. მაშასადამე, საწყისი სახე კოლხეთისა იყო მეგრ. კგ-ო-ხორ-ეთ–ი „მაგარი სამოსახლო“ ანუ მაგარ ქვეყანა. ამ ეტიმოლოგიას ადასტურებს გალის რ-ის სოფლის სახელი კ-ო-ხორა: ო-ხორა ნაწილი ამ ტოპონიმისა მეგრულად :საცხოვრისია“. მაშ, ცხადია, კ ბგერა აქ სხვა არას უნდა ნიშნავდეს თუ არა „მაგარს, კარგს.“ სიტყვები მაგარი და კარგი ხომ სინონიმურნი არიან: ფრაზა: მაგარი სახლია, გარდა იმისა რომ ის მაგარი ანუ მტკიცეა, კიდევ ნიშნავს – „კარგი სახლია.“

მაგარი // კარგი სემასიური საფუძვლიანობისაა კიდევ ერთი ტოპონიმი – დიდი სოფლის სახელი ზუგდიდის რაიონში – კა-ხათი. კა ნაწილი, უეჭველია, კგ „მაგარის“ ნაცვალია; ხა მიწას აღნიშნავდა, სანამ ის დ ნივთთა კლასის პრეფიქსით (ჩვენებურად სადიფერენციო ბგერით) გართულდებოდა და გახმოვანდებოდა: ხა + დ + გახმოვანება > დი-ხა. თი —უკვე ვიცით, რომ ადგილს აღნიშნავს. ჯამში კა-ხა-თი = მაგარ // კარგ ადგილს„ რაც ენგურისპირა ადგილები დაუშვებელია არ ყოფილიყო: ზუსტად იგივე ითქმის კა-ხ-ეთ–ის თაობაზე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ კახათი თუ ენგურისპირა სოფელია, კახეთი ალაზნის ნოყიერი ადგილების განლაგებას წარმადგენს: კა-ხა-თ // კა-ხ-ეთ–ი მხოლოდ მეგრ. -ქართ. ა : ე შესატყვისობით განსხვავდებიან: კგ-ხა–თ–ი* > კა-ხა–თ–ი // კახეთი.

ამგვარად, კოლხეთი, კოხორა, კახათი, კახეთი იმდაგვარი ურთერთდამმოწმებელნი არიან, ეს ეტიმოლოგიები, ძირითადში (თუ არა უმნიშვნელო ნიუანსებში), ვფიქრობთ, ცდომილების გარეშეა.

ჩვენი წინაპრების ძველი, ისტორიულად დადასტურებული და ტომობრივად გაერთიანებული ქვეყნის სახელი იყო დია-ოხი: ამ გაერთიანებას თავისთვის სახელიც შესაბამისი შეურჩევია: დია ნიშნავს „დედას, დიდს, უფროსს“ (ს ჯანაშია). შდრ: დია-სკური = „დედა მდინარე, დიდი წყალი;“ დია-ჩქიმი = „დედაჩემი;“ და-დია = „დადედა“ ანუ „ქალი უფროსი“ (და-დია მატრიარ–ქატის დროინდელია). ამგვარადვე დია-ოხი = დია „უფროსი + ოხი,“ რომელიც,

უეჭველია მეგრ. ოხორის (ოხორი = სახლი, სამოსახლო, ქვეყანა) ნარჩენია. მ. ე. პირვანდელი სახე დია-ოხ-ისა ყოფილა დია-ოხორი „დედა სამოსახლოს, დიდი, უფროსი ქვეყნის“ მნიშვნელობით.

როგორც ვხედავთ თავიანთი ქვეყნის სახელდებისთვის ჩვენი წინაპრები ეპითეტებს არ იშურებდნენ: კგ – კოლხეთის სახელდებისას და დია აქ ეპითეტები არიან.

ოხორ-ის ოხი გამარტივება ფრაგმენტია ტა-ოხი- ტოპონიმისა. ტა კი იგივე თა გახლავთ ადგილის, ტერიტორიის მნ-ბით ანუ ტაოხი იყო თა-ოხორი ფორმით = „სამოსახლო ადგილი.“

კიმერიელები „...სახელი უწოდეს ძვ. ასურელებმა ძვ წ. აღ. მე-6 ს-ში“ იხ. ქსე. შენიშვნა: სახელი კი არ უწოდეს არამედ ასურელებმა თავიანთ ნაწერებში მოიხსენიეს ეთნონიმი კიმერიელებისა. რის საფუძველზე ვამბობთ ამას? – ვპასუხობთ: დღევანდელი ქერჩის სრუტის სახელი – „ბოსფორი კიმერიისა“ ჩრდილო შავიზღვისპირეთის ნოყიერ მიწებზე მცხოვრებ კიმერიელების სახელთანაა დაკავშირებული: „...ოდესღაც კიმერიელები ბოსფორში ძალაუფლებას ფლობდნენ, რის გამოც მიიღო მან სახელწოდება „ბოსფორი კიმერიისა“. კიმერიელები არის ტომი, რომელიც თავისი შემოსევებით აშინებდა პონტოს ზღვის მარჯვენა სანაპიროს ქვეყნის შიდა ნაწილს...“ სტრაბონი „გეოგრაფია“ წიგნი 11.

მეგრ. კგ „კარგი“ + მერე „წყლისპირა მიწა“ = კგ მერე > „კარგი წყლისპირა მიწა“ სადაგია გეოგრაფიული სახელდებისთვის. ხოლო კგ-მერე > კიმერი ფონემური ცვლილებები დასაშვებია...

ძვ. წ. აღ. მე-8 – მე-6 ს-ის კიმერიელები, უნდა ვიფიქროთ წარმოადგენდნენ კოლხთა შორეულ ტომობრივ განშტოებას, ისევე როგორც სკვითები. შეგახსენებთ: კიმერიელებმა და სკიფებმა, ერთ დროს, ასირია აიღეს...

სკვითინები, შკვითინები, სკვიმნია, გვიმნია, გვიმი, ნე, ნია, ნიალვარი, სკვითია, სკვითები

„... სკვიმნია. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარის – ლეჩხუმის სახელწოდება. ბიზანტიური წყაროების მიხედვით, სკვიმნია ეგრისის ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული იყო...“ იხ. ქ. ს. ე.

ე. ი, სამეგრელოს (ეგრისის) შემადგენლობაში, ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში, არის კუთხე სახელწოდებით სკვიმნია, რომლის

მოსახლენი ხალიბები არიან. ქსენოფონტეს (ანაბასისის) მიხედვით, შქვით-ინ-ები, იგივე სკვით-ინ-ები კოლხური ტომია, რომლის სახელიც მეგრ. რიცხვით სახელ შკვით „შვიდთანაა“ კავშირში, რადგან განსახლებულნი იყვნენ შვიდ ანუ, მეგრულად, შკვით სოფელში. სტრაბონის მიხედვით კი ამ შვიდსოფლელთა გაერთიანებას ჰაპტაკომეტაი, რაც „შვიდ სოფელს“ ნიშნავს, ეწოდებოდა შვიდი, ხალხურ შემეცნებაში, საკრალური რიცხვია: მაგ:აკაკი წერეთელი ახსენებს „შვიდ სამყაროს“„...შვიდ სამყაროს მოგვაგონებს მოელვარე ის შვიდფერიო...“ თუმცა ერთ რამეზე მინდა გავამახვილო ყურადღება: მეცნიერთათვის საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ამ მეგრ. შკვით „შვიდი“ სოფლის ქვეშ აქ შვიდი ეთნიკურ-სოციალური გაერთიანება იგულისხმება, რომლის დედაქალაქი – გვიმ-ნია-სი (< გვიმ-ნი-ა-ში*), თავისი სიდიდით, ქსენოფონტეს მცირე აზიის სამ უდიდეს ქალაქთა რიცხვში შეყავს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ეს გაერთიანებაა არა შვიდი სოფლისა (თანამედროვე გაგებით) არამედ გაერთიანებაა შკვით „შვიდი“ ადმინისტრაციული ერთეულისა. ანუ ძვ. წ. აღ. მე-5 საუკუნეში აქ საქმე გვაქვს ერთიან დიდ სახელმწიფოს არსებობასთან, მდიდარი და ხალხმრავალი, მცირე აზიის მრავალრიცხოვან ქალაქთა საუკეთესო სამეულში შემავალი დედაქალაქით: სახელწოდებაც ამ ქალაქისა – გვიმ-ნია-სი მეგრულია: იგი მიუთითებს იმ ძირითად მოსაქმეობაზე, რასაც მისი მცხოვრებლები ეწეოდნენ: ესაა წარმოება და უცხოეთში ექსპორტი კერამიკული ნაწარმისა. ამ საქმიანობას კოლხები აქტიურად რომ ეწეოდნენ ეს არქეოლოგირი მონაცემებითაა დამტკიცებული და საყოველთაოდ ცნობილია.

კოლხთა დედაქალაქ გვიმ-ნია-სი-ს ეტიმოლოგიისას უფრო მნიშვნელოვანია საგნის სახელი – გვიმი, რომელიც, დღესაც, მეგრულად არის მრგვალი ფორმის კერამიკული ნაწარმი, ჭის კედლების გასამაგრებლად და ზღუდედ ჭის თავზე: სწორედ და კონკრეტულად ამ გვიმ-ების, ლაგვნების (ქვევრების) და მისთანათა დამზადებასთანაა კავშირში სახელი ქალაქისა – გვიმ-ნია-სი.

გვიმ-ი და ლა-გვან ევივალენტურ გვიმ და გვან ძირებს შეიცავენ, ხოლო, სრულიად უცვლელ, გვიმ ძირს შეიცავს ქალაქის სახელი გვიმ-ნია-სი: სი აქ ქართული სუფიქსია, მეგრული ში სუფიქსის ფარდი. ნია კი, ისევე როგორც ნე მეგრულია და აღნიშნავს „სითხეს, წვენს, მაჭარს, წყალს“. მაგ. ნია-ღვარ-ი უდრის „წყლის ღვარი“... მ. ე, გვიმ-ნია-სი ნიშნავს „წყლის გვიმებისთვის (სახურავისთვის) განკუთვნილს“: აქ გვაქვს საქმე იმ შემთხვევასთან, როცა სა-

ყოფაცხოვრებო და სამეურნეო მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი საგნის სახელი ხდება სახელად ქალაქისა.

ახლა კი შევეცადოთ გავაანალიზოთ, ბგერითი აგებულობით, შკვითინებ // სკვითინებ-ის მიმართ აბსოლუტურად მსგავსი ეთნონიმი – სკვით-ები: ქ. ს. ე: „ ...სკვითები. ..ძველი ირანული ტომი, მოსახლეობდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. ძვ. წ. აღ. მე-7 ს-ში სკვითებმა კიმერიელები გამოდევნეს და მათი ტერიტორია დაიკავეს. ჰეროდოტეს ცნობით, (ძვ. წ. ა. მე-5 საუკუნე), სახლობდნენ დონისა და დნეპრის სტეპებში, ეწეოდნენ მომთაბარეობას, .. მესაქონლეობას... სკვითების ხელოვნებამ .. მაღალ დონეს მიაღწია..“

“...იოანე ცეცეს მიხედვით, ხალიბები იყვნენ სკვითური წარმოშობის ტომი, ცხოვრობდნენ ტრაპიზუნტთან ძალიან ახლოს; მათთან მოიპოვება საუკეთესო რკინა ("გეორგიკა“, 1976, გვ.27-37) მაგრამ მსოფლიო მეცნ. ტრადიცია ხალიბებს კოლხებად მოიაზრებს: „:.. ხალდებს ძველად ხალიბებს ეძახდნენო; სწორედ იმათ ქვეყანაში დევს ფარნაკია (მეგრ. ფარონა = ტყე; ფარონა-კია = პატარა ტყე ე. ი.), რომელსაც ხმელეთზე მაღაროები აქვს ... ტრაპიზონისა და ფარნაკიის ზევით ტიბარენნი, ხალდები და ზანები ცხოვრობენო (სტრაბონი), რომელთაც წინათ მაკრონებს ეძახდნენო...“ ივ.. ჯ. ქ. ე. ი. 1908. აქამდე ორვჭოფობდი, მარა გარემოებათა გამო, ვსვამ საკითხს სკვითების კოლხურობის თაობაზე:. რა გარემოებებზეა საუბარი: 1. სკვით-ინებ // შკვით-ინებ და სკვით-ებ სახელთა სკვით // შკვით ძირთა იდენტობა და ექვივალენტურობა; 2. სკვითინებ // შკვითინებ-ი არის 7 ერთეულისგან შემდგარი ადმინისტრაციულ ტერიტორიული გაერთიანება; 3. ზუსტად არაა დადგენილი ყოველი ადმინისტრაციული ერთეულის ადგილმდებარეობა, საზღვრები; 4. ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში, სამეგრელოს შემადგენლობაში ადმინისტრ. ერთეულის არსებობა სახელწოდებით – სკვიმნ-ია; 5. სკვითინ ფუძიდან სკვიმნ -ის მიღებისას ფონეტიკურ წინალობების არ არსებობა: > სკვიმთინ* > სკვიმინ* > სკვიმნ ; 6. სკვიმნიას (დღევანდელი ლეჩხუმი) როგორც შკვითინ // სკვითინ-ების სამფლობელოს, გაცილებით ჩრდილოეთით მდებარეობა (მეცნიერთა აზრით, ხომ ჰაპტა-კომეტა იგივე შკვითინების სამფლობელო ჭოროხის დასავლეთი და სამხრეთია – ტრაპეზუნტა-მდე. სკვიმნია კი გაცილებით შორსაა – ჩრდილოეთით. მაშასადამე, სრულიად დასაშვებია, მე – 4 საუკუნემდე, სკვიმნიას მსგავსად, (მე-4 ს-ში სკვითია ცალკე სახელმიფოა) სკვითიაც, ჩრდილოეთით მდებარე, შკვითინების ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთე-

ული ყოფილიყო); 7. კოლხეთის დომინანტობა შავიზღისპირეთის სანაპიროებზე, მთლიანად; 8. ამ ტერიტორიაზე კოლხური ლინგვისტური მატერიალის ფიქსაცია; 9. სკვითიაში და სრულიად შავიზღვისპირეთში კოლხური ცივილიზაციის გავრცელების ისტ-მითოლოგიური და არქელეოგიური არტეფაქტებით დამონმებული (მათ შორის ოქროს ვერძის გამოსახულებიანი) მონაცემები.

„...ბოსფორის სახელმწიფოს (სადაც სკვითები ცხოვრობდნენ ე. ი.) მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ -კულტურული ურთიერთობა ქონდა კოლხეთთან. სტეფანე ბიზანტიელი: ... პანტიკაპეონი (ბოსფორის სახელმწიფოს დედაქალაქი ე. ი.) თითქოს კოლხეთის მეფის აიეტის ვაჟს დაუარსებია. (იმ მიდამოებში ე. ი.) ... მრავლადაა ნაპოვნი ძვ. წ. მე-6 – მე-4 ს.ს. კოლხური კერამიკის ფრაგმენტები, კოლხური ვერცხლის მონეტები (''კოლხური თეთრი''), აგრეთვე თიხის ჭრაქი, რომელზეც ამოკაწრულია სახელი „კოლხოს.“... იხ ქსე 2 გვ 484. ჯამში ყველა ეს მონაცემი უტყუარს ხდის, ოდესღაც, სკვითების კოლხურობას თუ არა, იმ დროს, მათს შკვითინებთან ერთ გაერთიანებაში არსებობას მაინც...

ჯიხაქვინჯი ჯიხაგური თუ ციხეგოჯი?

კნინობითობის აღმნიშვნელ სიტყვების, მათ შორის ქართულ გოჯი ტერმინის, ლეონტი მროველის მიერ შეთხზულ მეფის სახელთან – ქუჯი და ქართულ ისტორიულ წყაროებში არსებულ სახელ – ციხე გოჯის-თან, დაკავშირება სავსებით ლოგიკური და მისაღებიც იქნებოდა ეს რომ სამეგრელოს, პატარა რიგითი და არა „დედა ციხე“ „ციხე ცენტრი“– მეგრულად – „ჯიხა-გურ-ი,“ ზედმინევნით, „გულიციხე“ არ ყოფილიყო. ამ „გულ-ციხეს“ მურმანის შემოსევამდე, არქეოპოლისი ანუ „ძველი ქალაქი“ ერქვა...ხოლო კიდევ უფრო იქით, ასევე უძველესი ისტორიული წყაროებით – „აია“. საინტერესოა, რომ ივ. ჯავახიშვილის მიხედვითაც, ქუთაისის ქალაქად ქცევამდე იყო იგი – აია სრულიად კოლხეთის. დედაქალაქი.

“...ჯიხანქუჯი, ანუ ჯიხანქვიჯი-ს "... ჯიხა (მეგრ.) = ციხე... ქვინჯი = ფსკერი, თუმცა გაუგებარია კონსტრუქცია „ციხე-ფსკერი“. მაგრამ ქვიჯ / ქუჯ ძირის ახსნა შესაძლებელია ქუნ / ქვენზმნური ძირის მეშვეობით, რაც მოსვას, ჩაცმას აღნიშნავს.. მეგრ. ჯიხა-ქვინჯ-ი... ნიშნავს ... ადგილს, რომელსაც ჰმოსავს ციხე ...“ დავითი დავითი (ფბ ფსევდონიმია). ამგვარად, ავტორი .. უპირა-

ტესობას აძლევს ჯიხა-ქვინჯ-ი – „ციხე-შემოსილ“ –ის აზრობრივ კონსტრუქციას, მაგრამ გააჩნია კი მას პარალელი ქართვ. გეოგრაფიულ სახელთა ეტიმოლოგიებში? – ციხე-გოჯის“ .ამოსავალი „ჯიხა-ნ-ქუჯი, ანუ ჯიხა-ნ-ქვიჯი„ კი არაა, არამედ მეგრული „ჯიხა-გურ“-ია, მნ-ით – „გული-ციხე,“ იგივე „დედა ციხე“: გული ცენტრის გაგებით, სხვა ენებშიც ხშირია. მაგ. სლ. სერდცევინა იგივე იადრო ამოდის გულის, როგორც ცენტრის მოაზრებდან; სოფ. სამეგრელოში, ნა–გურ–უ, უთუოდ, რაღაც მთავარი ადგილი – „ნაცეტრალი: იქნებოდა„ ამ ნა-გურ-უ სახელიდანაა ძველი კახური სიმღერის სახელ „შენ ბიჭო ა-ნა-გურ-ელო-„დან ფრაგმენტი – „ა-ნა-გურ-ელი (< ო-ნა-გურ-ელი* = „ყოფილი ნაცენტრალი"):“ ამგვარად, მეგრ. ჯიხა-გურ – ციხე გული ანუ „ციხე ცენტრი“ გახლავთ, მნიშვნელობითი ამოსავალი ქართული ციხე-გოჯი-სა:: აქ ა > ე, უ // ო და რ > ჯ სავსებით ბუნებრივია: ჯიხა-გურ > ციხე-გოჯ; რაც შეეხება ჯიხა-გურ-იდან ციხე-ქუჯ-ის (ქუჯის ციხე) წარმოქმნის შემთხვევაში, მოხდა გ > ქ (შდრ:: მოგცემ > მოქცემ): ჯიხა-გურ > ჯიხა-ქურ* (რ > ჯ ცნობილია) > ჯიხა ქუჯ*; აი, ეს სახელი – ჯიხა-ქუჯ-ი* გახლავთ მროველის ფანტაზიის მასაზრდოებელი, რომლის მიხედვით იგი გაგებულია როგორც ქუჯის ციხე და აქედანაა პერსონაჟი მეფე ქუჯი მის „ისტორიულ“ ზღაპრებში...“.

გეორგიული შუმერი და ეგვიპტე

ვინა ხართ ტობელებო, ზღვის ხალხებო, ეტრუსკებო, პროტო-შუმერნო და პროტოეგვიპტელნო!...

"“...გააერთიანეს რა ტომას ბაიესას მეთოდიკა ბიოლოგიურ თეორიასთან, მეცნიერებმა შეძლეს დაემყარებინათ ურთიერთკავირი ლინგვისტიკასა და არქეოლოგიური აღმოჩენების გეოგრაფიას შორის, ურომლისოდაც, აქამდე, შეუძლებელი იყო პრეენის სამშობლოს დადგენა.... მეცნიერებმა განახორციელეს საკმაოდ წარმატებული მცდელობა შეეჯერებინათ მწერლობამდელი არქეოლოგიური აღმოჩენების მონაცემები – ენობრივთან. მეცნიერული საზოგადოების გასაკვირად, გამოკვლევებმა, სწორედ, უფრო ახალგაზრდა ანატოლიური ჰიპოთეზა დაადასტურეს! ... ახალი ზელანდიის ოკლენდის უნივერსიტეტიდან – რემკო ბუკერტი ამტკიცებს: „... სადღაც შავი ზღვის მახლობლად, ოდესაც, ცხოვრობდა ხალხი, მიგრაციით, რომლის ენა მთელ ევრ–აზიაში გავრცელდა, დაიშალა რა მრავალ-

რიცხოვან ტოტებად. სპეციალისტები თვლიან, რომ ეს დაშლა მოხდა 9000 წლის უკან... „..... ვალერიან შენგელია;

„... არქეოლოგებმა, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს, მესოპოტამიური უძველესი კულტურის ნაშთები აღმოაჩინეს.„ საუბარია ძვ. წ.აღ-ის IV ათასწლეულით დათარიღებულ ნივთებზე, რაზეც დეტალური შესწავლა მიმდინარეობს. აღმოჩენილია სხვადასხვა სახის ნივთები, მათ შორის ოქროს თასები და თიხის ჭურჭელი. არქეოლოგები უკვე დანამდვილებით ამბობენ, რომ აღმოჩენილი ნივთები უძველესი შუამდინარეთის კულტურაა. სპეციალისტები ოქროსა და თიხის ჭურჭელს დეტალურად იკვლევენ. „პირველი არხის“ ცნობით, არქეოლოგები ადასტურებენ, რომ აღმოჩენილი ნივთები უძველესი შუამდინარეთის კულტურის ნაშთებია..“. Forum.GE როგორც ხშირად ვამბობდით, ბევრ ენაში წყალი მდნარესაც აღნიშნავს. შდრ. წყალი ჩაუდის = მდინარე ჩაუდის; მეგრულშიც წყალი უდრის მდინარე, ხოლო მალ-წყარ და წყარ-მალ-ი, რაც ასევე მდინარეა, ზედმიწვნით უდრის „წყალი მავალი და მავალი წყალი.“ ნარსულში, ეტყობა ეს ტრადიცია სხვა წყალსატევზედაც ვრცელდებოდა, რადგან, დასაშვებია, ქართ. ტბა ძვ. ქართ. ტაბა-ს კუმშვის გამო (ა. ჩიქობავა შ. ლ. გვ. 184) კი არაა, არამედ, როგორც ვწერდით, უძველეს ეპოქებში, წა მეგრ. მოფერებით წყალის წ-ს დეზაფრიკატიზაციის და ბ მადიფერენცირებელით გართულების შედეგია: წა > ბ-წა* > ბ-ტა* // ტბა, რომელიც შემდეგ გახმოვანდა: ამგვარად , ტბა სახელმა შეინარჩუნა უუძველესი ვითარება და მისი ვოკალიზაციის შედეგია ქართ ტაბა, მეგრ. ტობო // ტუბო*; ჭან ტობა // ტიბა და სვ. ტუბა!

"ა. შანიძის აზრით, ქართ. ტაბა, ძველად, ტბის, ზღვის და საერთოდ წყალსატევის ცნებებს მოიცავდა“ (იხ. შ. ძიძიგური „ბასკები და ქართველები“. გვ. 39). რაკი ეგრეა, ლოგიკურია, ტ-ები: თბილი // ტბილი > ტფილი // მეგრ. ტიბუ ზღვებისა და ტბების თბილი წყლების აღქმებთან იყვნენ ასოცირებულნი: „ბოლოკიდურა ო-ზე ბ-ს გავლენით, მეგრ. ტიბუ, წინარე, ტუბო-დანაა ამოზრდილი.“ შდრ. წყალ-ტუბო > წყალ-ტიბუ) არნოლდ ჩიქობავა „ზოგადი ემათმეცნიერება“. ამ ტუბო-ს უ-ც, ბ ლაბიალის ზემოქმედბით, წინარე ო-დანაა მიღებული: ტობო > ტუბო*. შდრ. მეგრ. ტობა > სვ ტუბა „ტბა“.

წა-დან ტბის და თბილის ცნებათა გენეზისი, ჩხ-დან მომდინარე ტემპერატურის სემანტიკის მქონე ტერმინეთან, ავლენს, აშკარა, ანალოგიას (იხ ჩხ ბკ. გვ.).

“... საინტერესოა ანალოგიური ძირის არსება ი. ე. ენებში. სა-

ფიქრებელია, რომ ჯერ კიდევ მცირე აზიაში ურთიერთობამ განსაზღვრა ეს შეხვედრა...“ არნ ჩიქობავა. შ. ლ. გვ. 327. თუმცა, როგორც ეტყობა, გიორგიულ–ინდოევროპული ურთიერთობა უფრო ძველია, ვინემ ადრე ამის წარმოდგ-ენა შეიძლებოდა. და ამას არა მარტო წა-დან ამოსული სახელები ღაღადებენ: შანიძე, ჯანაშია, ძიძიგური, ქართ. ტბა, მეგრ. ტობა და სვ // ტუბა-ს ეთნონიმ ტაბალ-ს აკავშირებენ, როგორც წყალსატევისპირა მცხოვრებ ხალხის ცნებისას. თავად ტაბალების პიქტოგრაფიულ წარწერებში (იგულისხმება კირხემიშის წარწერები): „ამ ხალხთა ქვეყანა გამოსახულია იდეოგრამით, რომელიც იშიფრება როგორც წყალი.“ მთლიანად ... გაშიფრულ უნდა იქნას როგორც „წყლის ქვეყნის ხალხი, ან ზღვის ხალხი.“ შ. ძიძიგური „ბასკები და ქართველები''

წყლის ან წყალსატევის მნიშვნელობის სახელიდან ეთნონიმის წარმოშობა გიორგიულ ტომთა სახელდების არა სპორადული, არამედ სისტემური მოვლენაა. შდრ: მეგრ. წა „წყალი"-დან: წა-ნი // წენი > ჭა-ნი; მეგრ. შ „წყალი"-დან – შ-ონ-ი // > სვანი; შონ-ი > მუსვან სვ. „სვან-ი;“ ლაზი < ლა-ს-ი* < ლა-შ-ი*.

„...იოსაფ ფლავიოსi ... ამბობს: ...: „სულ ძველად ქართველთა, ესე იგი ივერთა, თობელი ეწოდებისო, ვინაიდგან იგინი შთამომავლობანი არიან იაფეთის ძის იობელისანი“. თეიმურაზ ბატონიშვილი ამ შემთხვევაში, სარგებლობდა იოსებ ფლავიუსის თხზულებით, რომელიც ყოფილა „ქართულად თარგმნილი უფლისა ფილოსოფოსი მამისა ქართველთა მთარგმნელისა იოანე პეტრიწის მიერ“, საიდანაც მას სიტყვასიტყვით ამონაწერი აქვს მოყვანილი: „დაამკვიდრებს უკუი ... თოველთასა, რომელნი აწ ივერად იწოდებიან...“. ვალერიან შენგელია.

დიახ, ტობელები კოლხური ტომია. ეს ტობელები, ჩვენის, აზრით იგივე ზღვის ხალხია, რადგან როგორც ითქვა, ტობა დღეს ტბაა მეგრულად, მაგრამ ძველად, – იმგვარადვე, როგორც ქართული ტაბა, ზღვას და სხვა წყალსატევსაც აღნიშნავდა. მ. ე.. ტობელები იგივე ტიბარენები ზღვის ხალხი – იგივე კოლხები არიან. აი, ესაა იოანე პეტრიწის მიერ დასახელებული თოველი (< ტობელი), მერმედ რომ ივერად იწოდებოდა და რომელიც კირხემიშის წარწერებში ზღვის ხალხად იხსენიება... ისინი ცხოვრობდნენ * კასპია–შავი ზღვიდან დაწყებული, საბერძნეთის კუნძულებზე, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე და ამიტომაც იწოდებოდნენ ზღვის ხალხად. „ტობელების მეზობლად ხალიბები ცხოვრობდნენ“ (ჰეკატე მილეთელი, ფსევდო

სკილაქსი მე-4 ს.), რომლებიც ასევე ხალდებად, ქალდებად და ჰალიძონებად იწოდებოდნენ. „... არისტოტელეს გადმოცემით, სწორედ კოლხთა ტომი ხალიბები ქმნიან პირველ მალაროებს და რკინის სადნობ ღუმელს. ჩვენი უძველესი წინაპრების აქტიურ სავაჭრო ურთიერთობებზე მიუთითებს რაჭაში ბრილის არქეოლოგიური გათხრების დროს დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ეგვიპტური მძივები და ავგაროზები ე.წ. სკარაბეოსები. ....“ მანანა სირაძე.

ხალიბების, როგორც სახელგანთქმული მეტალურგების ხალ ეტიმოლოგისტებმა მეგრ. ხალ-უა // ქართ. მო-ხალ-ვა // ხალ-ვა ძირს დაუკავშირეს. ხოლო სახელი ჰალიძონი ალაზანის უძველეს სახელ ალაძონიოს-თან პოულობს მსგავსებას....

ფალაზონი, ალაზონი, ალაზანი, ალაძონიოსი, წასიძე, კირხემიში, ზღვის ხალხთა ვინაობა, პელაზგები

მეგრ. ფრაზა: ალაზონი ოდიარე ჩანს: უდრის „ქორფა ბალახი ხარობს:“ სამეგრელოში მიკროტოპონიმი, (კახეთში კი დიდი სოფელი) – ფალაზონი, მართლაც, ასეთი დიდხეებიანი ადგილია. ფა-ლა-ზონის ლა-ზონ ნაწილის ლა (ალა < ოლა*) პრეფიქსია. ზონი ბალახის აღმნიშვნელ წონ* წინაფორმიდანაა: შდრ: სვ, ჭემ „თივა;“ მეგრ. ჭემ „გარეგან სასქ. ორგანოთა თმის საფარი;“ ქართ. წამ (ლერ-წამ, წამ-წამ)-თა მსგავსად კოლხურშიც იყო წონ* >// ძონ* და (წ > ს გაშუალებით) > ზონ ძირები. ჩამოთვლილ მნიშვნელობით ველს განეკუთვნება ჰიდრონიმი კახეთში – ალაზანი: რამეთუ “.. როგორც სტრაბონისა და პტოლემაიოსის აღწერილობებითგან ვიცით, საქართველოში, სახელდობრ იბერიაში იყო მდინარე რომელსაც ალაძონიოს ეწოდებოდა და დღევანდლამდე ალაზანი ჰქვიან...“ ივ. ჯავახიშვილი ქ. ე. ი. შ. გვ 50.

ამ ციტატაში ფრიად საყურადღებოა ფაქტი იმისა, რომ ალა-ძონ-იოსი ძონ ძირს, ჩვენს მიერ ზემოთ წინასწარმეტყველებულს, შეიცავს. შდრ: მეგრ. ძირ-ძონ-უა „ძოვა“ და „ცხოველთა ძოვის-მაგვარად, უშნოდ ჭამა“; შდრ. ქართ ძო-ვა (< ძონ-უა* < ძორ-უა* < წორ-უა*). ესე იგი ჰიდრონიმ ალა-ზან-ის და მეგრ. ალა-ზონ „ქორფად მცენებარეს“ ზან // ზონ ძირთა პრეფორმა – ალა-ძონ* -ის ძირი ძონ, ასევე, „ქორფა საძოვარის“ გაგებას მოიცავდა. მაგრამ უკვე ვანახეთ იგი წყლის // მდინარის მნიშვნელობის წონ // წორ ალომორფებამდე დაიყვანება. და ეს კანონზომიერია რადგან ქორფა საძოვრები, სწორედ, მდინარის ნაპირებია. ასევე: ბერძნულ რომაულ

წყაროებში ლაზ-მეგრელთ წან, წენ, ჭან, სან, ზან ძირების შემცველი სახელები აქვთ. ესენი კი ცნობილ წყლის მნიშვნელობის წარ // წერ ალომორფთა დერივატები არიან (იხ. წ ბგერა). ამ ფაქტებით კი ფენომენალური მნიშვნელობის ფაქტი მზეურდება:

რაკი ლაზ-მეგრელთა, დასაბამისმიერი სახელები წყლის აღმნიშვნელი მცირედ ცვლილი ალომორფალური ფორმები არიან, მაშასადამე, მითაჟამიდან ეთაყვანებოდნენ ისინი წყალს (შდრ: მეგრ. წა-ში > წა-სი „წყლისა“ და გვარი წასი-ძე < წაში-წე*; მეგრ ლოცვა – წყარის ძალა მერჩას – „წყლის ძალა მოგცესო“); ოდიდგანვე თვლიდნენ თავიანთ თავს წყლის // ზღვის ხალხად. ამიტომაც, კირხემიშის წარწერებში მოხსენიებული ზღვის ხალხი სხვა ვერავინ იქნებიან გარდა ლაზ-მეგრელებისა: გარდა ამისა კირ-ხე-მი-ში ხომ, ყოველმიზეზსგარეშე, მეგრული კომპოზიტია: კირ-ხე-მი-ში-ს ყველა კომპონენტი მეგრულია: კირ-ი არ საჭიროებს კომენტარს: მეგრ. ხე „ხელი“ ოდიდგანვე ცნობილია როგორც უზენასი ძლევამოსილი მმართველობის სიმბოლო. მ-ი კუთვნილების სუფიქსია, ამიტომ ხე-მი უდრის ხელებიანი (დღეს უფრო იტყვიან – ხე-ია-მის). შ-ი უხშირესი მეგრული სუფიქსია (შდრ: ტოპ. გრიგოლი-შ-ი, ლუმუ-რი-შ-ი და ა. შ.): ჯამში კირ-ხე-მი-ში უდრის „მაგარი // კარგი // ხელისუფლისა, ანუ „ძლევამოსილი ხელისუფლებისა“: მეორე ვერსიით „ხამი შეიძლება ინტერპრეტირდეს მეგრ. დი-ხა-ს ხა ფრაგმენტი „მიწა“ + მ-ი – „მიწიანი“ (ხა-მი ნაწილი გვაქვს მდ. ხამი-სკურის შემადგენლობაში ხობის რ-ნი): კირ-ხა-მი-ში უდრის „კირიანი მიწისა:’ ასეა თუ ისე, კირხამი // კირხემი ნებისმიერ ვარიანტში, რაკი მეგრული სახელია მაშ, წარწერაც მეგრულია და ზღვის ხალხების ვინაობა, აქამდე დაუდგენელი რომ იყო, დადგენილია და თანაც ურყევად. ურყევად იმიტომ, რომ, ძირს თავი რომ დავანებოთ, ამ სახელის შემადგენლობის ორივე მ-ი და შ-ი სუფიქსი, ყოველმიზეზსგარეშე, მეგრულია.

დავუბრუნდეთ ალაზანს: ზმნისწინი ალა ზევიდან ქვემოთ მიმართულების მაჩვენებელია: ალა-ხე უდრის „ქვევით ზის“, მდინარე, ყოველთვის, ქვევით მოიაზრება და ამიტომაცა გაფორმდა ძირები (წონ* >) ძონ // ზონ ალა პრეფიქსით (> ალაზონ). ხოლო რაკი მდინარის ნაპირები ყოველთვის ქორფაა აქედანვეა შემდგომ მეგრ. ალაზონი „ „ქორფად მცენებარე ტერიტორია“: ამგვარადვე: ფა + ალაზონი >ტოპ. ფალაზონი „მცენარე ქორფად მცენებარე“.

ალაზანი, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი ჩრდილო კავკასიელთა სახელად მიიჩნევდა, გამოთქმულია მოსაზრება და ლოგიკურიცაა

ო-ლაზ-ონ //> ა-ლაზ-ონ–ადაც დავანაწილოთ, „ლაზთა საცხოვრისის“ მნიშვნელობით. ამაზე კახეთის კოლხური ტოპონიმიკა უწყვეტად მიუთითებს: იქაც, როგორც აქ სამეგრელოში, არის დიდი სოფელი ფა-ლაზონი, რომელსაც „მცენარე“ს მოაზრება– ფა ალაზონ-ი „მცენარე ქორფა“ იმგვარადვე ესადაგება როგორც, ამგვარი სეგმენტაციით – ფა ლაზ-ონი „მცენარე ლაზთა, ლაზთა მცენაეულობის განფენილობა“ და, ამიტომ, ამ ორიდან, ვერცერთ ვერსიას ვერ გამოვრიცხავთ. აბსოლუტ. ჭეშმარიტება რომელიმეთაგანშია. ოლონდ გამორიცხულია კახეთს (ძველად ჰერეთი) ლაზ-ონი რქმეოდა ქართთა აღზევების დაწყების აქეთა ეპოქებში.

მსგავსი ეტიმ. სიტუაციაა ეთნონიმ პე-ლაზ-გ-ის შემთხვევაში, რომლის პე // ფა* – „მცენარეა“; ლაზ // ა-ლაზ-ონ –ის ფრაგმენტი* „ქორფაა“; გ // გა* მეგრ. „ ქედია“ და, ამიტომ, ვაძლევდით „მცენარე ქორფა ქედისა“ს გაგებას. მაგრამ კუნძულ კრეტაზე ახალი აღმოჩენების ფონზე, გია კვაშილავას მიხედვით: რომ მარცვლოვან წარწერებში ეთნონიმი ლაზ-ი იხსენიება, პე-ლაზ-გი, ფ >// პ-ს გათვალისწინებით, ლოგიკურია გაგებულ იქნას, როგორც ფა-ლაზ-გა „მცენარე + ლაზი + ქედი“ ანუ „მცენარე ლაზთა ქედისა“. და არა, აქვე ხსენებული – „მცენარე ქორფა ქედისა“.

პელასგური ტომი – ტირენები ანუ იგივე ეტრუსკ-რასენები

"...რომი მართლად ეტრუსკთაგან დაარსებული ქალაქი იყო (მეცხრე თუ მერვეს. ქრ. წ.) და სახელიც მისი შეიძლება ეტრუსკული იყოს.." მ. წერეთელი „ერი და კაცობრიობა“ გვ 262.

გ. სახოკია „„..წინაბერძნული და მცირე აზიის, არაანატოლიური და არა ფრიგიული წარწერების ენები ეჭვგარეშე არც ბერძნულია და არც ინდოევროპული...ამ ენათაგან ზოგიერთი უეჭველად ერთმანეთს ენათესავებოდა; ეს ენები ქმნიდნენ ე. წ. .. ეგეოსურ-მცირეაზიურ ჯგუფს, რომელსაც კავშირი ჰქონდა, ერთი მხრივ, სამხრეთკავკასიურ ენებთან, ხოლო მეორე მხრივ, ეტრუსკულთან.“ გერმანელი პროფ. ედ. შვიცერი; მეცნიერები ეტრუსკულ ენას ინდოევროპულს არ განაკუთვნებენ: იგი აგლუტინაციური ენაა და ჩვენი ენების მსგავსად ძირს აფიქსები დაერთვის...

Nino Oniani „...ეტრ. **teta** – დიდედა – ქართ. დედა (მეგრ. დიდა; სვან. დი, დიდელა; ჭან. დიდა); ეტრ. **nene** – ძიძა ... ნენე აჭარულად

(ლაზ-მეგრ. ნანა „დედა“ ე. ი.); ეტრ. **papa(l)** – პაპა, ბაბუა: ქართ. პაპა, პაპალ (მეგრ. პაპუ „ბაბუა“, პეპი „ბებია“ ე. ი.); ეტრ. **cvil** – ბავშვი, პირმშო – ქართ. ჩვილი; სვ. ნვილ–ი და ასუშ = „ძე და ასული“. (მეგრ. ლგლგ „ჩვილი ბავშვი“ ე. ი.); ეტრ. **calu** — მკვდართ ღმერთი – ქართ. კალ /კლ – მოკვლა; ეტრ. **lupu** – სიკვდილი – ქართ. ლპ–ობ–ა (მეგრ. ლიპა „არარსებული, უვარგისი“; მეგრ. პუ „მყოს, ვაპუ არ მყოს''ე. ი.); ეტრ. **velta** – მიწა, დედამიწა – ქართ. ველ–ი (მეგრ. ვე // ქართ. ველ „ველი“ + მეგრ. თა „ადგილი“ „ტერიტორია“: ველ–თა >// ველ–ტა ეტრ.''დედამიწა“ ე. ი.); ეტრ. **farfalio** – მეგრ. ფარფალია „პეპელა“ ქართ. პეპელა, ფარფატი, მეგრ. ფარფალი „ფარფატი“...“

“...ეტრუსკები თავის თავს რასენებს უწოდებდნენ (უდრის რასიანები), ძველი ბერძნები კი ტირენებად მოიხსენებდნენ. ეტრუსკებმა მაღალი ცივილიზაცია შქმნეს, დიდი წვლილი შეიტანეს რომისა და იტალიის კულტურულ განვითარებაში. .. ეტრუსკებისგან მათ მემკვიდრეობად დარჩათ ... თეატრები, სამთო საქმე, რკინის და კერამიკის დამუშავების დარგის განვითარ-ება„ ჭაობების გაშრობის ოსტატობა, ფერწერობისა და ძერწვის, ხელოვნება. ეტრუსკები ბრწყინვალედ ფლობდნენ მედიცინას, მათ განავითარეს თერმიული წყლებით მკურნალობის ხერხები, ეწეოდნენ კბილების მკურნალობის და პროტეზირების პრაქტიკას...“ www.premiumi.ge.

პელასგებთან და ეტრუსკებთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ პლუტარქეს ცნობით, რომი დაარსებულია საბერძნეთიდან ლტოლვილი აიეტის დის კირკეს ვაჟიშვილის რომანოსის მიერ. რომ პელასგური ტომი – ტირენები იგივე ეტ რ უ ს კ ე ბ ი, ჯერ თესალიაში მოსახლეობდნენ, მერე ლიდიაში გადასახლდნენ, ლიდიიდან კი იტალიაში გადავიდნენ..

ტირენების ანუ ეტრუსკების ზემოთხსენებული სიტყვები რაკი, ჩვენ ენობრივ სამყაროსთან მსგავსებას ავლენენ, ამიტომ, იქნებ მათი თვითდასახელებაც იყოს ჩვენებური: თუ ტირ-ენ სახელიდან ტირ ძირს გამოვყოფთ, მივხვდებით, რომ ის ალომორფალური ფორმაა მეგრ. თარ-ი // თარ-ე „მთავარი, ღმერთი“ სიტყვების თარ ძირისა. იმ დროს, მთავრები და მეფეები ღმერთებიც არიან: ნ-ი სუფიქსი კი მეგრულში სადაურობის აღმნიშვნელია: შდრ: გალე-ნ-ი „გარეთა“; მელე-ნი „იქითა, იმ ნაპირისა“ და ა. შ. მაშ, თარე-ნ-ი მთავართან – არსებულია, ღმრთისიანია. თარე-ნ > ტირენ კი კანონიერია: შდრ თათი // თვათვი > ტოტი; მელა > მელი.

ეტიმ. ე-ტრ-უ-სკი-ც მეგრული და, აბსოლუტურად, თვალსაჩინოა : ჯერ ერთი სახელები ტირენი და ეტრუსკი ერთიდაიგივე ხალ-

ხის სახელია, ამიტომ მათი ტირ და ტრ კომპონენტები, დასაშვებია, იყოს საერთო: ამ შემთხვევაში, თუ დავუშვებთ, რომ ეტრუსკის ტრ ტირ-ენ-ის ნაკუმში იგივე ტირ ძირია, რომელიც ჩვენ, აქვე, ზემოთ თარ* ფორმად აღვადგინეთ, ე-ტირ-სკი* > ე-თარ-სკი-ს* ვლებულობთ, მნიშვნელობით „მთავრის ანუ ღმრთის შთამომავლობა“. ეს კი ის რწმენაა, რაც კოლხებს ნამდვილად რომ გააჩნდათ – ლაზ-მეგრელები დღესაც ხომ მზის შვილები არიან... მაგრამ თუ ეტრუსკის ტრ ტირ* კი არა ტურ* იყო ანუ ტირ-ენ-ი და ე-ტრ-უ-სკ-ი თუ განსხვავებული სინონიმი სახელია ერთიდაიგივე ხალხისა, მაშინ, რამეთუ მეგრ. თურ ჯიში და ნათესავია; სკი შვილი და ძეს ფარდია; თურ-სკი* უდრის ერთჯიშიანს ანუ სისხლით ნათესავს – მემკვიდრეს: ხოლო ო-თურ-სკი იქნება ასეთ ადამიანთა ერთობა, მათი არეალი შდრ. ო-მარგალე // სა-მეგრელო: ო-თურ-სკი > ე-ტრუ-სკი!

ინდოევროპული მარი-ლი-ს – სალ, სოლ და ზღვის აღმნიშვნელ მარ, მერ, მორ ძირთა წარმომავლობა და შუმერ ეთნონიმთან კავშირი

დაგემოვნებით წყალი შეიძლება იყოს მტკნარი (უგემო), მჟავე, მარილიანი და ა. შ. ტერმინები: ძმარი, მწარი // მწარე // მეგრ. მწარე // ნწარე ფორმით და შინაარსით ისე ახლოს არიან ერთმანეთთან და მეგრ. წარ-ი „წყალთან“, რომ მათი მნიშვნელობითი ურთიერთგანპირობებულობა და, იმ შემთხვევაში თუ წყალი შეიძლება იყოს მწარე * თუ მჟავე, მაშინ სწორედ აქედან, წარმომავლობა საეჭვო არ უნდა იყოს. საქართველო კი მდიდარია მჟავე თუ ტუტე წყლებით. ასევე, მათი ფონეტიკურ-სემანტიკური ამოსავალი შეიძლება იყოს წარ „ზღვის მარილიანი წყალი* და მისი „მწარე გემო*“. ამის დასტურია ძველ ინდური Sal-ila (Sal < წალ* < წარ) „ზღვა, დამარილება.“ იხ. გამყრელიძე-ივანოვი. ინდოევრ. ენა და ინდოევროპელები“ გვ 156. ესე იგი: მეგრ. წარ „წყალი“ > წარ „ზღვის მარილიანი (მწარე) წყალი*“ > მეგრ. წარ-ე >// ნ-წარ-ე > // ქართ. მ-წარ-ი // მ-წარ-ე მოვლენებია მომხდარი. მ სონანტის გაჩენის შემთხვევები, შდრ: წევრი > მწევრი; ბალი > მბალი; დევი > მდევი; ძვირი > მძვირი; ცხვარი > მცხვარი; იხ. ბ. ჯ. „ქართული დიალექტოლოგია“ გვ. 22.

ერთის მხრივ, მეგრ. შგ „წყალი“ სიტყვიდან ქართველურში

გვაქვს: ვე-ჟა (< ვე-შა*) „მჟავე წყალი“; მჟა-ვა (< მ-შა-ვა*); მ-ჟა-ვე (< მ-შა-ვე*) და, მეორეს მხრივ: მეგრ. (წS* // >) წა „წყალი“-დან, შესაბამისად, იპოებიან: 391. ვე-ძა (< ვე-წა*) „მჟავე წყალი“ და წირ ალომორფიდან: მ-წნ-ილი „მჟავე ბოსტნეული,“ და-მ-წნ-ილება, და-მ-წნ-ილ-ებული (წნ < წინ* < წირ*). რამეთუ მეგრულში შგ და წა დღესაც წყლის მნიშვნელობის სიტყვები არიან, აღწერილი ურთიერთმამ-ტკიცებელი მოვლენები სხვა დასაბუთებას არ საჭიროებენ. ოღონდ, აღნიშნულთან მიმართებ-ით, ღირსსაცნობია კიდევ ერთი ურთიერთმადასტურებელი ფაქტი: ქართ. მწარე „მარილიანი“ და მლაშე სინონიმებია. თუ ზემოთქმულმა სიტყვამ – მ-წარ-ე „მარილიანი წყალი// ზღვის მარი-ლიანი წყალი*“ მოგვცა სიმწრის, უსიემოვნების გამომხატველი – გა-მ-წარ-ება გა-ნ-წარ-ება, ეგრევე მწარეს სინონიმი მლაშე გვაძლევს „ცუდი ქცევის“ გამომხატველ გადაამლა-შა-ს. აგრეთ-ვე, მლაშე და შა*-ვა // შა*-ვე // ვე-შა*, ფორმები, გვაძლევენ ზმნა. გავე-შე-ბას „ძლიერ გაჯა ვრებ-ას“ რაც, იგივე გამწარებაცაა; ე. ი სიმწრის გამომხატველი – გამწარება, გავეშება და ა. შ. აბსტრ. ტერმინები თვალსაჩინო ნატურალურ ფაქტთა ზემოქმედების პროდუქტები გახლავან.

წ > ძ გამჟღერებით ვე-ძა (< ვე-წა*) „მჟავე წყლის“ აღმნიშვნელი ტერმინის წარმოქმნის ფაქტი, გათვალისწინებით იმისა, რომ ძმარი გარკვეული ხარისხია, დამარილების შემდგომ წარმოქმნილი დამჟავებისა, გარდა ამისა ძმარის არსებითი სიახლოვე ზღვის წყალთან და მარილთან მ-წარ-ი „ზღვის მარილიანი წყალი“-დან ძმარის მიღება: მ-წარ-> წ-მარ*-ი > ძ-მარ-ი საეჭვო არ უნდა იყოს. ამ კუთხით ღირსაცნობია ლაზ. ჯუმორ-ის ორი მნიშვნელობა – „ძმარი და დამარილება!“ ეგრევე: მწარ-ის მწ კომპლექსის გამარტივებით მიღებულ > მარ* ძირის, განმეორებითი ლი სუფიქსაციით (მარ-ი + ლი), მარ-ი-ლი მიიღება;

წორ ალომორფიდან მწორ* > წმორ*-ის მიღების შემდეგ, სრულხმოვნობისკენ მისწრაფების გამო, წმ კომპლექსი გახმოვანდა > წომორ*. წ გამჟღერდა > ძომორ: ძ > ჯ (შდრ: ქართ. მძევალი)> მეგრ. > ჯალ-ი) > ჯომორი*: ო > უ, მ-ს მეზობლობაში > ჯუმორი. ლაზ „ძმარი, დამარილება;“ იგივე მ-ს გავლენით მეორე ო-ც განიცდის ლაბიალიზაციას და რ-ი მოკვეცილი ფორმაა ჯუმუ-რი საგან > ჯუმუ ლაზ. „მარილი;“ მეგრ ჯიმუ მიღებული ლაზ ჯუმუ-საგან. არნ. ჩიქობავა შ. ლ. გვ 176; ქაეთ. მარ-ილის მარ ძირის ფონეტიკური ვარიანტია მერ, რომელიც აწარმოებს მერ-ე მეგრ. გურ.

„ჭალა," „წყლისპირა (– მდინარისა და ზღვისპირა) მინა-ს". იგი ხშირი ტოპონიმია მაგ. მდ. ჩხოუშიას ენგურთან შეერთების ადგილს მერე ქვია; მდ. ჭოროხის შენაკადის – კარჩხალას ნაპირზე არის ტოპ. მერე: ამგვარად, ქართ. მარ–ილის მარ და ლაზ. ჯუმორ-ის მორ ძირთა შემცველია ან მათი დერივატები გახლავთ, აქვე განხილული, მერე, გერმ. Meer „ზღვა," რუს. Море „ზღვა," ფრ. Mar „ზღვა", იტალ. Maris „ზღვა" და ა. შ.

როგორც ითქვა, ძველინდურში Sal-ila „ზღვაცაა და დამარილებაც". ქართველურში მარ–ილის ამოსავალ ძირად წარ, უკვე, აქვე ზემოთ, დავადგინეთ. წარ–ის ფარდად წალ ალომორფი, ქართველურში, უხშირესია; მეგრულში, მოფერებით, ორივეთაგანი წასთან ერთად, წყალია). წალ > Sal-ის წ > ს დასასაბუთებელი მაგალითები კი იხ. გვ. 59 — 62 (C ჯგუფის ქართვ. ინდოევრ. პარალელები). გარდა ამისა, წ ბგერის შესატყვისად ინდოევროპული S (ს) ბგერა ნ. მარის მიერ არის დადგენილი (იხ. ქვემოთ). მაშ, წარ > // წალ > ძვ. ინდ. Sal კანონიერია.

როგორც ვხედავთ: ქართვ. ნარ „მჟავე მარილიანი წყლები"-დან ძველინდ. Sal-(ila) „ზღვა დამარილებული"; გერმ. Sal-z // ინგლ.Sal-t (სოლტ) // რუს. Соль „მარილი"; ინგლ. Sea (სი) „ზღვა", Sour „მჟავე"; გერმ. Sauer „მჟავე" ტერმინებია მიღებული. ანუ ქართვ. ნარ „მჟავე მარილიანი წყლები"-დან წარმოქმნილი ეს სიტყვები და > მწარ-ი > // მარ-ი > // მარ-ილ-ი > გერმ. Meer // რუს. Море და ა. შ. უფრო ქართველურია ვიდრე ინდოევროპული. ამ-დაგვარი ფაქტები კი უფლებას გვაძლევს ვიკითხოთ: უფრო ვინ არიან ინდოევროპელები?...

ქართ. ჭალა // მეგრ ჭალე გურ. და მეგრ. მერე-ს სინონიმები არიან: როგორც ითქვა, დღესაც, ესენი წყლისპირა ადგილებს აღნიშნავენ. მერე მეგრ. თი სიტყვასთან ქმნის კომპლექსს – მერე-თი-ს, რაც ჭალა ადგილს იგივე მერე ადგილს ნიშნავს..მერე-თი მერე-საგან მხოლოდ თი კომპონენტის ქონებით განსხვავდება. იმავდროულად, მეგრულში სახელი – მერე-თი არის არაჩვეულებრივის, სასწაულის გაგებით: მერე-თი-ქ მოხვად = „სასწაული მოხდა". მას ასევე აქვს სიმრავლის, სიუხვის მნიშვნელობა. მაგ: მერე-თი მგნანგქ აყუ = „უხვი, ზღვა მოსავალი მოიწია". ზედმინ. = „ზღვა მოსავალი ექმნა, მოეწია": უდაოა: მერე სახელთანაა კავშირში მეგრ, მიარე და ქართ. // მრავალი.

როგორც მშვენივრად მოგეხსენებათ, წყლისპირა მიწები შლამ-ქვიშით ნაყოფიერდება, მოსაელიანობის თვალსაზრისით, პროდუქტიულია, ამიტომ, ამ ფაქტორის დამსახურებაა მერე-თი სახელში სიუხვის, ასეკე არჩეულებრივის, სასნაულის ცნების შე-ძენა-განვითარება.

წყლისპირა მიწები სინესტესაც კარგად ინახავენ ანუ სველნი არიან. სველი კი მეგრულად შგ სიტყვით აღინიშნება, ამიტომაც, უეჭველია, ამ მიწებს ძველად შგ-მერე-თი* ერქვა, რაც „სველი წყლისპირა მიწაა“. ასეთი მიწებია, უწინარესად ყოვლისა ენგურ-რიონისპირა და სხვა მდინარეთა სანაპიროები. ამიტომაც ამ შგ-მე-რე-თი*-დან წარმოიქმნა სახელი იმერეთი, რომელსაც ეტიმოლო-გისტები ადგილის ზმნიზედა იმერ და ამერს უკავშირებენ.

მატრიარქატ-პატრიარქატ-ის გზაჯვარედინზე, შუამდინარეთში ჩრდილოეთის მთებიდან მოსული პირველ მოსახლენი – შუმერები (რესპ. პროტოშუმერები) მინათმოქმედების პიონერებად არიან მიჩ-ნეულნი, მაგრამ კითხვაზე პასუხი – მანამდე გააჩნდათ თუ დასახლე-ბის შემდეგ აითვისეს მათ ეს დარგი გაზიარებულია მეორე მოსაზრე-ბა, რაც ჩვენი შეხედულებით, მცდარია და აი, რატომ: შუმერთა ეს ტე-რიტორია – ტიგრ-ევფრატის შუამდინარეთი გაზაფხულზე მთებში თოვლის დნობით ადიდებულ ტიგრისა და ევფრატის წყლებით იფარე-ბოდა, შლამ-ქვიშით მდიდრდებოდა და წარმოადგენდა სამიწათმოქმე-დო ოაზისს. მაგრამ კლიმატით, ფლორა ფაუნით, სხვა რეგიონებთან, მითუმეტეს კავკასიის სუბტროპიკებთან შედარებით უპირატესობა არ გააჩნდა. აქ არ ხარობდა მარცვლოვანთა, ხილ-კენკროვანთა, ვენა-ხისა და სხვა მცენარეთა გარეული ჯიშები, როგორიც, – კოლხეთის რიონ-ენგურის შუამდინარეთში ანუ შგმერეთში*. ხატოვნად თუ ვიტ-ყვით, აქ არ იყო მინათმოქმედე-ბის როგორც დარგის ჩასახვის სას-ტარტო მონაცემები –- თუ არა საფინიშოსი. ჩამოსახლების მიზანი გახლდათ რიონ-ენგურისპირა შგ მერე „სველი წყლისპირა მიწების“ მსგავსი მიწების ათ-ვისება: შგმერეთ > იმერეთის სტარტმა მიიყვანა მიწათმოქმედების დარგი შუმერულ ფინიშთან.

შევადაროთ – შგ-მერე-თი > იმერე-თი; შგ-მერე > შუმერი // სუ-მერი; შგ-მერი // ი-მერი // იბერი // ივერი: ფაქტია ესნი იდენტური წარმოების სახელები არიან.

გავიხსენოთ უკვე გაანალიზებული ტოპონიმები: ვაკეზე, გალის რაიონში – შეშელეთი (შეშე < შგ-შგ*) „ეტიმ. წყლიანი ადგილი; სენაკის რაიონში, გორაკზე შეფენილი სოფელი უშაფათი (ეტიმ. „უწყლო მცე-

ნარეული ადგილი'');" ხობისწყლის პირა მიკროტოპონიმი – ლეჯერ-ი (< ლეშერი* ეტიმ. „წყლიანი ადგილი.''): როგორც ვხედავთ მოგვეპოვება შგ „წყალი''-ს შემცველი ტოპონიმები მიწაში წყლის არსებობის თუ უარყოფის აღსანიშნავად, რაც რა თქმა, უნდა ნიშანდობლივია იმერეთ // შგმერეთ // შუმერ-ის შემთხვევისათვის: ეს მოსაზრებები ესადაგებიან როგორც ნ. მარის შეხედულებას დაეკავშირებინა ივერი და შუმერი წყლის მნიშვნელობასთან (იხ ნ. მარი „" იაფეტური კრებული" გვ 209) და მისსავე იაფეტიდთა კულტურული ემიგრაციის თეორიას. რომლის მიხედვით, იაფეტიდი ცივილიზატორები განფენილნი იყვნენ არა მარტო ხმელთაშუა ზღვისა და მცირე აზიიის ტერიტორიაზე, არამედ ყველგან დედამიწის ზურგზე; იმერ // შუმერ იდენტობაზე ასხამს წყალს, ასევე რობერტ ბლაიხშტაინერის მოსაზრება – შუამდინარეთში სხვადასხვა დროს სუმერ // სუბარ; ტიბერ // იბერ და ბასკ // მუსკ სამი იაფეტური განშტოების შეჭრის თაობაზე. გარდა ამისა, „... ბაბილონეთიდან ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა ასურეთი ... არ იყო სემიტური, იგი ხურიტული მოდგმისა იყო, მაგრამ ...აქ ... ადგილობრივი მოსახლეობის სემიტიზაცია მოხდა..." გ. მელიქიშვილი „როგორ ამეტყველდნენ შუმერული წარწერები". გვ 22."

რაც შეეხება ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას დაპირისპირებულ შეხედულებებს დღევანდელ საცხოვრისზე ჩვენი წინაპრების ენდემურობის თაობაზე, უნდა ითქვას, აქ ჯანაშია გახლავთ სწორი რამეთუ თვლიდა: „...ქართველთა წინაპრები ... ცხოვრობდნენ წინა აზიაში მესოპოტამიიდან კავკასიონებამდე..." და რომ „ისინი აქედან გავრცელდნენ სამხრეთ ევროპის (ბალკანეთის, აპენინის და პირინეის ნახევარკუნძულებზე) და აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროებზე..." ჯავახიხიშვილს კი ისინი (ჩვენი წინაპრები) სამხრეთის მემკვიდრეებად მიაჩნდა ანუ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მათ ენდემურობას უარყოფდა. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ გეორგიულ ტომთა – გუგარების, ტაბალების ტიბარენების, მოსოხების, მუსკების, კარდუხების, ხალდების (ხალიბების // ჰალიძონების), ქალდეველების, მაკრისების, პელაზგების, ეტრუსკების და ა. შ. დღევანდელ საქართველოს საზღვრებს გარეთ სამხრეთ–აღმოსავლეთით და უფრო შორეულ რეგიონებში განსახლების ის ფაქტები, რამაც მიიყვანა ჯავახიშვილი ამგვარ დასკვნებამდე და რასაც არც ს. ჯანაშია უარყოფდა.

ქართველური გვარ-სახელ-სიმღერები და პროტო შუმერ-ეგვიპტელ ღმერთების სახელთა ვინაობა

"ადამიანურ აზროვნებაში პირველი ღმერთები და მათი სახელები შექმნეს კოლხებმა, მათ გაუკაფეს გზა პირვანდელი თეიზმის ფუძემდებლურ ფილოსოფიასა და იდეოლოგიას". ავტორი გაზ. „ახალი ზუგდიდი" 2004 წ.

არტემ ივანცოვი "...**Вблизи живут деятельные колхи: эти изгнанники из плодоносного Египта засевают крутизны высокой скалы." Руф Фест Авиен, „Описание земного круга", IV век;** „ახლოს ცხოვრობენ ქმედუნარიანი კოლხები. გამოძევებულნი ნაყოფიერი ნილოსის ნაპირებიდან. თესენ მაღალ კლდოვან ფერდობებზე." რუფ ფასტ ავიენი. „დედამიწის აღწერა" მე–4 ს.

სოფელ კირცხში, მამაჩემს – ევგენი (ჭიჭიკო) პეტრეს ძე იზორიას სამარნე ქვევრები ცალკე, ხოლო სალოცავი (ლახუტია) ქვევრი, დილის მზის სხივით განათებულ, უჩრდილო (გოთე) ადგილას ჰქონდა დამარხული. ლოცვის დღეს მე და დედაჩემს, როგორც კი იმ ადგილს მზის პირველი სხივი უნდა დაცემოდა, მზისკენ შებრუნებულებს, დაჩოქებას გვიბრძანებდა და, მეგრულად, ლოცვას იწყებდა... სამეგრელოში სტუმრებს, როგორც წესი, დასავლეთის მხარეს, სახით აღმოსავლეთისკენ (მზისკენ) შექცეულებს სვამენ. მიცვალებულებსაც, აუცილებლად, აღმოსავლეთისკენ უნდა ჰქონდეთ სახე მიმართული, სასაფლაოებში.

რას უნდა ნიშნავდეს ეს საკრალური რიტუალები თუ არა იმას, რომ, ქრისტეშობამდე, მზე ღმერთი იყო და მეგრელები მასზე ლოცვას აღავლენდნენ.

პირველად ეგვიპტური ღმერთების კოლხურობის თაობაზე კურდ შპრენგელი წერდა, თავის ოთხტომეულში: „ეგვიპტელთა კულტურაზე უდაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა კოლხთა და ფინიკიელთა კულტურამ...მათ კოლხეთიდან აქვთ გადმოღებული მიწათმოქმედებისა და წამალთმცოდნეობის ხელოვნება. ეგვიპტელებმა, კოლხებისა და ფინიკიელებისგან, მოგვიანებით კი ელინებისგან გადაიღეს ღვთაებები... ძველ ეგვიპტელთა ღვთაებები თითქმის ერთიანად კოლხური წარმომავლობის არიან."

ქართველთაგან ამ მხრივ მნიშვნელოვანი განაცხადი გააკე-

თეს ი. ჯავახიშვილმა, ა. გელოვანმა და ვლ. ალფენიძემ. ამ უკანასკნელმა სიმღერაში „რა დო ვა რადა“, რეფრენად თვლილი რა, ტექსტის შემადგენელ ნაწილად – ეგვიპტური მზე ღმერთის სახელად გამოყო. მანვე დაძებნა მრავალი პარალელი ეგვიპტური მთვარის ღმერთი თოთი, თოუთი და მეგრ. თუთა, ძვ. ქართ. თთუე და მრავალ სხვა ტერმინთა შორის.

ვინ შექმნა რა მზე ღმერთის სახელი პირველად? – მოვუსმინოთ საქართველოს ისტორიის მამად აღიარებულ ივანე ჯავახიშვილს: „... არა ერთი ქართული სიმღერა მოგვეპოება, რომელიც, ო დილას შეძახილით იწყება. ო, დილა! ვედრების შეძახილის შთაბეჭდილებას ახდენს. – (ის) ... ო შორისდებულისა და ღვთაების სახელს უნდა შეიცავდეს...“ ავტორი იქვე იმოწმებს სვანურ მზის სადიდებელ სიმღერებს: „ო, ლილე და, ო-ომალდიან ბარბოლ...“ იხ. ი. ჯ. ქ. ე. ი. გვ 150.

აკაკი გელოვანი კი, მითაჟამისდროინდელ სვანური სიმღერა „შამარერას“ შესახებ აი, რას ამბობს; „...გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, ესაა სიტყვათა კომპლექსი, რაც ძველი ცივილიზაციების კავშირზე მეტყველებს: შამა-რე-რა სადაც შამაშ აქადთა, შუმერ-ბაბილონელთა მზის ღმერთია, „რე“ (რა) – ეგვიპტელთა მზის ღმერთი ორმაგად გადასული სიმღერაში, ამას ემატება ძველი ჰიმნი „ლილე“, ესეც მზის მესამე ღმერთი – შუმერთა „ენლილი“, რაც გვაძლევს მზის ღმერთის საყოველთაო სამებას... „ იხ. აკაკი გელოვანი „მითოლოგიური ლექსიკონი“ გვ. 525. აქვე უნდა დავსძინოთ: მანვე, სავსებით საფუძვლიანად, ეგვიპტურ ჰორ-ჰრა-რა-ს დაუკავშირა სვანური სიტყვა რიჰო „განთიადი.“

აფხაზურ-მეგრული სიმღერა „რადოვორადა“

ვლ. ალფენიძე სვამს კითხვას: „... ვის უმღერიან კოლხები სიმღერებში, რომლებსაც რეფრენად აქვთ „რა დო ვო რადა?“ რომელიც ... ბევრს აფსუური სიმღერა გონია?...“

აქ უნდა შევნიშნოთ: ავტორს მხედველობაში აქვს სწორედ რომ ტექსტი სიმღერისა და არა – მელოდია, რომელიც ამ მეგრული რეფრენით (მისამღერით), მეგრულიცაა და აფხაზურიც, უფრო სწორედ ორივე ხალხს თანაბრად უყვართ და მღერიან ამ სიმღერას. კიდევ უფრო ზუსტად კი სრულიად საქართველოშია გავრცელებული ეს სიმღერა.

დიახ, ვლ. ალფენიძემ „რადოვორადა-ში“ მისამღერად (რეფ-

რენად) თვლილი – რა ეგვ. და ლათ. მზე ღმერთის სახელად გამოყო. მანამდე ამას, როგორც ზემოთ ვნახეთ, აკაკი გელოვანმაც მიაქცია ყურადღება, სვანურ რეფრენებში. ეს გენიალური ალმოჩენებია, ისევე როგორც მათივე სხვა ეგვიპტურ-ქართველური პარალელები (მსგავსება-იგივეობის მტკიცებები). მაგ. ეგვიპტურ მთვარის ღმერთ თოთ, თოუთ-სა და – ძველ ქართულ თთუე, მეგრულ თუთას შორის და ა. შ. იხ. ა. გელოვანი „მ. ლ."; ვლ. აფენიძე „საქართველო ღვთისმშობლის ქვეყანა"; „რჩეული თხზულებანი".

მიუხედავად ზემოთქმულისა, გამოიკვეთა დასახელებულ სიმღერათა სეგმენტაციის (დანაწევრების) და შესაბამისად, განსხვავებული ეტიმოლოგიის ვერსია. კერძოდ: არა გვგონია „რადოვორადა"-ს – „რა დო ვო, რადა"-ს შემადგენელი ნაწილი – რადა და თავად, ცალკე არსებული, სიმღერა „რადა" „...ღმერთ იუპიტერსა და ქალღმერთ ევროპის ძის რადა + მანტ-ის სახელისგან იყოს წარმოებული...", როგორადაც ეს ბატონ ალფენიძეს აქვს განმარტებული.

„რადოვორადა" ასე უნდა დავშალოთ: რა, დო, ვო, რა, და, რაც ქართულად იქნება რა, და ო, რა, და. ესე იგი, აქ რა კოლხ-ეგვიპტ. მზე ღმერთის სახელია; დო ქართული და-ს შესატყვისი მეგრ. კავშირია; ვო მზისადმი ხოტბის შესხმის გამომხატველი, მეგრ. შორისდებულია. ამგვარად, პირვანდელი სახე სიმღერისა იყო „რა დო ვო, რა დო", რომელიც მრავალგზის მეორდე-ბა..

სიმღერა „რადა" ასე უნდა დავშალოთ: რა პლიუს და, რომელშიც რა უკვე ცნობილია, ხოლო და ქართული კავშირია, მიღებული მეგრულ იგივე ფუნქციის მქონე დო-საგან: დო >// და.

ეგვიპტური ღმერთი თოთი და სეთი.

ვლ. ალფენიძემ ეგვიპტურ-ლათინურში უამრავი ქართველური სახელი ნარმოაჩინა, მაგრამ მთვარის სახელი თოთი ეგვიპტურ ნარმომავლობისად დასახა: იქნებ პირიქითაა: კოლხური სუბსტრატია თოთი – ეგვიპტურში. წლების შემდეგ, ეს ჩვენეული ვერსია, სრულიად დამოუკიდებლად, გაიმეორა, ენათმეცნიერმა, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა, ვიაჩესლავ ივანოვმა...

".. თოთი, ... დჰოვტი, თუტ,Thoth „... ღმერთი") ძვ. ეგვიპტ. მთვარისა და ... სამართლიანობის, სიბრძნისა და ზომა-წონის მრავალსახოვანი ღმერთი; იეროგლიფების გამომგონებელი, მის სახელთანაა დაკავშირებული მკურნალობის, ფარმაკოლოგიის ძირე-

ბიც. ... კულტურის, მერე ენის, ჟამთააღრიცხვის, კალენდრის, დამწერლობის ღმერთი...“ იხ ა. გელოვანი. „მ. ლ“. გვ 208.

მიუხედავად ამ ღმერთის ამდენი ტიტულოვნებისა, ცხადია მას სახელი ჩვენმა წინაპრებმა შეარქვეს, ანუ ის კოლხური ღმერთია. ამას ცხადყოფს თ ბგერის არსებობა მისივე სახელის შემადგენლობაში: ძვ. ქართ. თ-თუე // მეგრ. თ-უთა-ში (რომლებიც ძველად მამრი ღმერთები არიან) თავკიდურში მდგომი თ ბგერა დ (კლ. კ. ნ.) წარმომავლობისაა, მეორე კი სინათლის მნიშვნელობის წარმომქმნელია (თოფურია, როგავა, ჩიქობავა). შუქ-ნათების ცნებებით კი გიორგიულში საღმრთო სახელები იწარმოება (შდრ: ჩხორია „შუქი“, ჩხანა „მზიანი“, ჩახ-ჩახი სინათლისა და ჩხონაფა // > ცხონება; მაცხოვარი // მეგრ. მანცხვარი. იხ. ჩხ ბგერათკომპლექსი), ხოლო საპირისპიროში – დემონიურში ამ ცნებების ჭაჭანებაც არაა. თუთა // თთუეში კი, ვინაიდან სინათლის ძირია თ, მაშასადამე, მისივე დამსახურებაა ამ სახელთა ღვთაებრიობა. მ. ე, თოთი, თოტი, თუთი, თოუთი, თუთა, თთუე სახელებში არსი (ჰიპოსტასი) ღვთაებრიობისა თ ბგერითაა დეტერმინებული, როგორც სინათლის ცნების დემიურგი ბგერისა.

სეთ-ი ეგვიპტის პირველ მეფედ ითვლება. მისი სახელიც კოლხურია და სინათლესთანაა დაკავშირებული. როგორც თ-თუე // თუთა-ში წინარედ იყო დ-თუე* და დ-უთა* ეგრევე ლაზ თე „სინათლეს“ ეთ შებრუნებული ფორნმას ს მადიფერენცირებელი დაემატა ს + ეთ > სეთ „“ სახელი ღმერთისა, როგორც მანათობელისა, შუქთმფენისა (ს დანართი ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა)...

აფხაზურ-მეგრული სიმღერა „ვარადო“

აფხაზურ-მეგრული“ვარადო“-ც „ ვო რა დო იყო და ქართულად ო, რა და იქნება. ანუ ამ სიმღერაში შემავალი ვა მიღებულია ვო მზისადმი ხოტბის შესხმის გამომხატველ მეგრულ შორისდებულისაგან; „ვარადო''ს ოდინდელი ტექსტია: ვა, რა დო ვო, რი, რო, ვო, ვო, რა და რი. როგორც ვხედავთ, ეს რეფრენი მეგრული ვედრების მიმართვაა რა, რი, რო, რა, სახელების მქონე, ღმერთისადმი. ესენი მზე ღმერთის სახელები არიან. მეცნიერებას კი, შეუსწავლებლობის გამო, მიაჩნდა, რომ მხოლოდ ეგვიპტურ, (სინამდვილეში კი კოლხურს...) მზე ღმერთს ეწოდებოდა რა.

თუმცა რა რომ გეორგების შერქმეული სახელია ამაზე მეტყველებს ფაქტი: პელაზგური ტომის სახელები ეტრუსკი, ტირენი

მეგრ. ავტონიმებია, ხოლო – რა-სენ-ი, იგივე რა-სიან-ია, რაც ქართულად პირდაპირ ნიშნავს რა-ს მემკვიდრეს. ეს ფაქტი კი დღევანდელ მეგრ. ფოლკლორშია დაფიქსირებული: „სამარგალოშ ჭიჭე გემი" // სამეგრელოს პატარა გემი" სიმღერაში არის ფრაზა: „მუთ გოცქვანა ბუაშ სკიეფს ეთი საქვარს მიანჭეთ" = „რაც მზის შვილებს გშვენით იმ საქმეს ესწრაფოდეთო." ანუ მეგრელებს დღესაც მზის შვილებად მიაჩნიათ თავიანთი თავი.

ამგვარად, სახელები რა, რი, რო, რაი და ა. შ. გიორგიულია და ერთმანეთთან მიმართებაში ალომორფალური ფორმები გახლავან.

მეგრული სიმღერა „ვოისარაიდა"

ამ სიმღერაში ასეთი მუსიკალური გადასვლებია:

რეფრენი და მელოდია სეგმენტირებულია ოქროს კვეთის პრინციპით:

1. ვოი, სა, რაი და; -- (ქართულად – ო, შენ რაი და) 2. სი, ვო, რაი და; – (შენ, ო, რაი და) 3. ვო, ო, რაი დო -- (ო, რაი და) 4. სი, ვო, რაი და. – (შენ, ო რაი და)

შემდეგ ამ მისამღერს, იგივე მელოდიით, მოსდევს თანამედროვე სხვადასხვაგვარი სიტყვიერი ტექსტი. მაგ. ასეთი: სინჯა მურცია, მოჩოჩუნცია, სინჯაშ ნაბადი მოქოსუნცია – „სიძე მოდისო, მოჩოჩიალებსო, სიძეს ნაბადი მოჰგვისო." შემდეგ ისევ მეორდება მისამღერი, მას მოყვება კვლავ ახალი სხვა ტექსტი და ასე გრძელდება მრავალგზის. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს არქაული მისამღერი და არა მრავფალფეროვანი, მაგრამ ახალი ტექსტები.

რას უნდა ნიშნავდეს ეს (რეფრენად) მისამღერად ანუ მეცნიერების მიერ უაზრო წამოძახილებად თვლილი ტექსტი?

1. ვოი, სა, რაი და უდრის: ვოი – მზისადმი ხოტბის შესხმის გამომხატველი მეგრ. შორისდებული; სა – იგივე სი „შენ" მეგრ. ნაცვალსახელა; რა-ი – მზე ღმერთი (შდრ. სლ. რაი „სამოთხე"); და – კავშირია, მიღებული მის შესაბამის, მეგრ. დო-საგან: 2. – სი, ვო, რაი და უდრის: სი უდრის შენ; ვო ზემოთქმული შორისდებულია; რა-ი მზე ღმერთია; და იგივე დო კავშირია, შეცვლილი; 3. – ვო რაი დო უკვე ცნობილია; 4. სი, ვო რაი და ასევე, უკვე, ცნობილია. სიმღერა ამ ბოლო – მეოთხე მონაკვეთით – სი, ვო, რაი და შეძახილით მთავრდება, რომლის შედგენილობა, უკვე ვიცით.. აი, ამ ტექსტის მრავალჯერადი გამეორებაა ეს სიმღერა „ვოისარაიდა".

აქ უნდა დავასრულოთ ერთი ნაწილი მსჯელობისა და მტკი-

ცედ დავადგინოთ: ეს სიმღერები, ყოველმიზეზსგარეშე, რა ღმერთის სადიდებელი სიმღერებია: რა, უწინარესყოვლისა, კოლხთა (ქართველთა), მაგრამ არა მარტო მათთა, მითაჟამისდროინდელი ღმერთია.ამასაც ვერ დავჯერდებით: დავსვათ ჩვენს წინაშე ფანტასტიკური სირთულის ამოცანა: რატომ ეწოდა მზეს რა? რა ენობრივ წიაღს განეკუთვნება იგი? – ამის პასუხს იძლევა რეფლექსოგენურ-ხმაბაძვითი ბგერები და ბგერათკომპლექსებისაგან მეტყველების წარმოქმნის ჩვენეული თეორია. უფრო ზუსტად კი ის მასალა, რომელიც მოხმობილია ამ თეორიის დასამტკიცებლად.

აფხაზურ-მეგრული სიმღერა „ვორადოსივორადა“

„ვორადოსივორადა“ ასე უნდა დავშალოთ – ვო, რა, დო, სი, ვო, რა, და. ეს სეგმენტები უკვე ცნობილია და ქართულად იქნება– ო, რა, და, შენ, ო, რა, და.

მშვენიერი მელოდია ამ სიმღერისა სულ სხვაა მაგრამ, როგორც ვხედავთ, ბგერითი შედგენილობით ოდნავ განსხვავადება, ზემოთგანხილულ, „ვოისარაიდა“-საგან. ოლონდ აქ უფრო მკაფიოდ ჩანს მღერითი მიმართვა რა ღმერთისადმი.

როგორც ზემოთ მკაფიოდ ვაჩვენეთ, რ ბგერამ თავიდანვე შეითავსა ყოფა-ყოფიერის აღნიშვნელობითი ფუნქცია. (იხ რ ბგერა). აქედან კი უშუალოდ გამომდინარეობს კიდევ, რამდენიმე, მნიშვნელოვანი დასკვნა: რაკი მზეა ყოველივე ცოცხალისთვის დედამშობელი, სიცოცხლის მიმნიჭებელი სტიქია, მასზე (მზეზე) ალმატებულად არსობა-ყოფიერობისა და მოძრაობის თვალსაჩინოება არცარა შეიძლება ყოფილიყო, ხოლო რ ბგერა რამეთუ ამ ცნებების სიმბოლოა, სწორედ ამიტომ ერქვა პროტოეგვიპტურად (პროტოშუმერებისა და პროტოეგვიპტელების ვინაობა მეცნიერებისთვის ჯერაც უცნობია) მზეს რა, რომელიც, შემდგომ-დროინდელ ეგვიპტელებს მათგან შემორჩათ; ამიტომ მღეროდნენ პროტოშუმერები და პროტოეგვიპტელები – იგივე კოლხები „ვოი, სა რაი დას“ უფრო ზუსტად „ვო, სი. რა, დო-ს; ამიტომ ამბობდა ხუთტომეულის ავტორი – სახელოვანი გერმანელი მეცნიერი კურდ შპრენგელი – „ეგვიპტელთა მნათობების სახელი მეგრულიაო,“

ასეთი საბუთიერი მტკიცებულებების შემდეგ, თვით ურწმუნო თომამაც უნდა ირწმუნოს რა მზე ღმერთის კოლხურობა, აქვე ვაცხადებთ: ძველი კოლხების სიდიადის მაჩვენებელი, ეს საკვირველე-

ბა თმის ყალყზე დამყენებელ ზესაოცრებად მოგვეჩვენება თუ ამას დავამატებთ, რომ მსოფლიო ცივილიზაციის პიონერებად თვლილ თავად ლეგენდარულ შუმერთა მზე ღმერთის აღმნიშვნელი ყველა სახელი – კოლხური, ანუ პროტოშუმერულია.

ეს რომ დავამტკიცოთ, კვლავ უნდა დავდგეთ ახალი ამოცანის წინაშე: პროტოშუმერულ-პროტოეგვიპტურში, რ ხმაბაძვითი ბგერის გარდა, განისაზღვრებოდა თუ არა მზის მნიშვნელობა სხვა ხმაბაძვითი ბგერით? ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, რა სახელის გარდა, ხომ არ ერქვა მზეს კოლხურად სხვა ხმაბაძვითი ბგერისაგან შემდგარი სახელი?; რომელი ბგერაა მზის ცნების განმსაზღვრელი მეგრულ ბჟა და ქართულ მზე სიტყვებში?...

ა. გელოვანმა და ვლ. ალფენიძემ ახლებურად და მაღალ დონეზე დასვეს კოლხთმცოდნეობის საკითხი: ნარმოაჩინეს შუმერულ, ეგვიპტურ, ბერძნულ, და სხვა უძველეს ხალხთა ცივილიზაციებთან კოლხურის კავშირების მადასტურებელი ენობრივი პარალელები და მითოლოგიური თუ სხვა სახის ფაქტობრივი მასალა. ეს სიახლეები, უწინარეს ყოვლისა, 1980-იანი წლების პირველი ნახევრიდან დამუშავებულ და 1997 წელს, სასიგნალოდ, გამოცემულ ჩვენს „გიორგიულ თეორია“-ს უჭერს მხარს და პირველი სამეტყველო მინიმუმის სწორედ სუბტროპიკულ, ჩაკეტილ კოლხეთის რეგიონში ჩასახვის ანუ გაადამიანების პრეისტორიულ კოლხეთში დაწყების და, ასევემ ყველა ცივილიზაციათა მოთავის – პროტოშუმერულისა და პროტოეგვიპტურის საწყისების კოლხურობის თაობაზე, ჩვენს მიერ, ჯერ კიდე 80-იანი წლების დასაწყისში საკითხის დასმას ექომაგება.

ზოგადკაცობრიული პრობლემა: მზის რძისა და წყლის სემასოფონეტიკური კავშირები

შევუდგეთ დასმული საკითხის ანალიზს – თუ რომელი ბგერაა ქართულ მზე და მეგრულ ბჟა „მზე“ სიტყვებში ცნების – „მზე“ განმსაზღვრელი ელემენტი: როგორც ცნობილია, მეგრ. ბჟა მზეცაა და რძეც.მაგ: ბჟა დო თუთა = „მზე და მთვარე“, მაგრამ ბჟა დო წაქა = „რძე და დო“.

მანანა სირაძე: „...ბერძნული და ლათინური მითები ეგვიპტელების მასწავლებლად ასახელებენ კოლხებს. მზის მთავარი ღვთაების ქალაქ ჰელიოპოლის დაარსება გახლდათ სწორედ კოლხი აქციუსის (აიეტის ძმის) პირველი გმირობა სასწაული. ისინი ხომ

მზის ღმერთ ჰელიოსის შვილებად ითვლებოდნენ. ჰელიოპოლი კი 9 ღმერთის ქალაქი იყო. ქართულში „9" მზის საკრალური ციფრია. ეგვიპტური მითების თანახმად „მზე"(ღმერთის), სინათლეს ყოველ დილით შობდა ქალღმერთი „ნუთ", რომელიც ძროხის სახეს იღებდა: „დიდი ციური ძროხა". ახალშობილი მზე იყო „ოქროს ხბო". კოლხურში „ნოთე" არის სინათლე (ნათება) . ... აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ... იხილავდა ეგვიპტური თოთისა და ქართული მთვარის ღვთაების ანალოგიის საკითხს. მან გამოსცა ერთი აგიოგრაფიული ძეგლი, რომელიც მხოლოდ ქართულად არის შემონახული ("ფილეთეოსის მარტვილობა"-ქართულ-კოპტურ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან). კ. კეკელიძე წერს: „...უფრო საყურადღებოა ამ ძეგლში ცნობები თოთის შესახებ-ო....". ძეგლში მოთხრობილია, რომ ფილეთეოსის მშობლები თაყვანს სცემდნენ ... ძროხას, რომელსაც სახელად ერქვა „თოთი პატიოსანი". კეკელიძე ... ხაზს უსვამს იმას, რომ თოთი ეგვიპტეში მთავარი ღვთაება იყო ... მეგრულ-ჭანურში მთვარეს თუთა ეწოდება ქართულში – თუთე.. ქართველების წარმოდგენით, მთვარე მამაკაცია, ასეთივე წარმოდგენა ჰქონდათ ეგვიპტელებსაც. თოთის სახელით ეგვიპტეში აღინიშნებოდა როგორც მნათობი, მთვარე, ისე წელიწადის თვე. სწორედ ამის მსგავსად ქართველური ტომები თუთა-თუთეს სახელით აღნიშნავდნენ მნათობსაცა და თვესაც..."

ვ. ალფენიძე გვამცნობს, რომ "...ეგვიპტურ მითოლოგიაში მზეს შობს ძროხა, ხოლო ლათინურში ვარსკვლავთ კრებულს გალაკტიკა ეწოდება. ამ სიტყვაში ლაკ გახლავთ რძე. რუსულშიც არის მრავალრიცხოვან ვარსკვლავთა გრძლად განლაგების აღმნიშვნელი ტერმინი – მლეჩნი პუტ რაც „რძის გზას" ნიშნავს..." (იხ. ვ. ა. „რჩეული თხზულებანი" გვ. 92). მსოფლიო ენებში რძისა და ციურ სხეულთა სახელების ფორმობრივი და აზრობრივი მსგავსებისა და მათი ურთიერთ დაკავშირების ასეთ მაგალითებს ალფენიძე თვლის „ფარული ტექსტის სახით არსებულ მითოლოგიურ თანხვედრებად," მაგრამ აუხსნელია მიზეზები ასეთი კავშირებისა და ხსენებული ტექსტის შინაარსიც, რაც, ასევე, სხვა უამრავ კითხვებსაც ბადებენ: მართლაც რატომ ეწოდება მეგრულში მზეს და რძეს ერთი და იგივე სახელი – ბუა?

ვპასუხობ: ეს ჩვენი წინაპრების ბუნდოვანი და „მითოლოგიური" კი არა, სრულიად რეალური, ბრწყინვალე არქაული ფილოსოფიის ნაყოფია: ადამიანის სიცოცხლე წარმოუდგენელია დედის

რძის გარეშე, მაგრამ იგივე ითქმის მზე-ს თაობაზეც. უფრო მეტიც: პლანეტა დედამიწაზე, მზეს გარეშე, სიცოცხლე, საერთოდაა შეუძლებელი: მზე და რძე სიცოცხლის აუცილებელი და შეუცვლელი პირობაა. ამგვარად, კაცობრიობის ფილოსოფიური აზროვნების დასაბამიდანვე ისინი – ბჟა „მზე“ და ბჟა „რძე“ იმანენტურად არიან სემასიურ ერთიანობაში: აი, რატომ ეწოდა მეგრულად მზეს და რძეს ერთი სახელი – ბჟა: აი, თავანკარა წყარო მსოფლიო ხალხთა ფილოსოფიაში ციურ სხეულთა სახელებისა და ძროხისა და რძის სახელებთან კავშირების არსებობის განპირობებულობისა.

დავსვათ მომდევნო ამოცანა: სახელი ბჟა, უპირველესად, რომელ მათგანს დაერქვა: მზეს თუ რძეს? ან იქნებ ორივეს ბჟა ეწოდათ – თანადროულად? – პირველად წარმოიქმნა რძის სახელი, რადგან ისტორიულად დადგენილია: ციურ სხეულთა სახელდებები შემდგომი მოვლენები არიან – „ადამიანმა მაღლა გვიან აიხედა.“

რატომ დაერქვა მათ მაინცადამაინც ბ-ჟა და არა აგური ან სხვა რამ? რითაა განპირობებული ბგერათა ამდაგვარი – ბ-ჟ-ა შედგენილობითი და თანმიმდევრული შეხამება? პასუხი მოითხოვს „გეორგიული თეორიის“ დედააზრის მოხსენიებას – უპირველესი სამეტყველო პირობითი რეფლექსების წარმოქმნა ხდება ბუნებაში არსებული ხმებით ადამიანის შესაბამის მგრძნობელობით ორგანოებზე ზემოქმედების შედეგად: როგორც ზემოთ ითქვა, შ ბგერის შექმნაში, განსაკუთრებით დიდია მდინარის მოძრაობის ხმების როლი: წვიმის წინარედ, ატმოსფერული წნევის ცვალებადობისას, მდინარეში წყლის მოძრაობის ხმები შორს და შშშ ხმიანობით ვრცელდება. პირველი ადამიანი კი მდინარეთა ნაპირებთან ახლოს ცხოვრობს და ამ ხმებსაც შესაბამისად აღიქვამს. შდრ. მდინარის შიშინი, შრიალი; რუს. შუმ, შურშანიე, შელესტ რეკი და ა. შ. ამგვარად, დამტკიცებულად, ხმაბაძვითი შიშინა შ თანხმოვნისა და ჟ ხმოვნისაგან შექმნილი მარცვალი – შჟ დღესაც წყალს და სისველეს აღნიშნავს (იხ. შ ბგერა).

ამჯერად დავაფიქსიროთ და ხაზი გავუსვათ კიდევ ერთ უუმნიშვნელოვანეს ფაქტს: სიცოცხლის არსებობის აუცილებელი წინაპირობა მარტო მზე და რძე არ გახლავთ. პლანეტა დედამიწაზე: მზე რძე და წყალი ეს რეალურად არსებული ტრიადა სიცოცხლისათვის გარდაუვალი აუცილებლობაა. რომელიმეთაგანის გამოკლებით სიცოცხლე არ არსებობს: დედამიწაზე ჯერ იყო მზე – ცაზე, მერე მის (დედამიწის) წიაღში გაჩნდა წყალი, რამაც საფუძველი ჩაუყარა სიცოცხლის აღმოცენებას: არც რძე იარსებებს წყლის გა-

რეშე, რადგან მის (წყლის) გარეშე დედა, რომელიც რძეს იძლევა, ვერ იარსებებს. რაგინდ ფანტასტიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, ეს ყველაფერი, თავისებურ თავბრუდამხვევ პერიპეტიებად ასახულია წყლის, რძის და მზის სახელთა შექმნის ქრონოლოგიაში.

უუძველეს პროტოშუმერ–პროტოეგვიპტელების ანუ იგივე პროტო კოლხო–კავკასიო–ინდოე–ვროპელების კლანმა, ხმაბაძვითი პრინციპით, მოახდინა წყლის სახელდება – შგ, რომელიც, მეგრულში, დღემდე შენარჩუნდა, მაგრამ რომელმაც ჯერ კიდევ პროტოშუმერში მოგვცა შა ფორმა წყლის უძველესი სახელისა. იმ უძველეს წარსულში, იმის გამო რომ რძე სითხეა და თვისობრივადაც ისიც სიცოცხლის განმაპირობებელია, ბუნებრივია, იწოდებოდა შა* (< შგ) სახელით: იმავე სახელით – შა* იწოდებოდა მზეც, როგორც სიცოცხლის თავწყარო.

შ და ჟ ექვივალენტური ბგერებია, მაგ: მეგრულში გვაქს შიშინაფა და ჟიჟინაფა, რაც გაჟღენთვა გახლავთ. ამიტომ შა* ფორმა, მოგვიანებით შეიცვალა – ჟა ფორმის სახით, ზუსტად იგივე მნიშვნელობებით. შა და ჟა აღნიშნავდა „რძე“ და „მზე“-ს. სხვათაშორის ჟა დღესაც რძე და მზეს აღნიშნავს, მეგრულში: მოფერებით: ჟა, ჟაჟუ,, ჟაჟუ-ნია უდრის რძე და მზეს..

შა, შამაშ, როგორც შუმერული მზის სახელი დაფიქსირებულია ლურსმნული დამწერლობის ტექსტებში, შუმერში. შა პლიუს ბ > ბ-შა* წინაფორმაა მეგრული ბ-ჟა სიტყვისა, ხოლო მ პლიუს შა იძლევა მ-შა* > // მ-სა* წინაფორმებს ძველ ქართული მ-ზა და ახალქართულ მზესი: ბ + შა > ბშა* > ბჟა; მ + შა > მშა* // მსა* > მზა „ძვ. ქართ. მზე.“ როგორც ვხედავთ, დღევანდელ მეგრულ–ქართულ მზის აღმნიშვნელ სიტყვებში ჟ, და ზ ასევე რესტავრირებული ს მიღებულია შ თავსაწყისიდან. აი, ეს ს და ზ თანხმოვნები გახლავთ დღეს პროდუქტიული მსოფლიო ენებში მზის აღმნიშვნელ სიტყვებში. რუს. სოლნცე, ლატიშური საულე, გერმანული ზონნე და ა. შ.

საინტერესოა რომ სკანდინავიურ მითოლოგიაში აზები უზენაესი ღმერთებია: იხ ქსე გვ. 185: ა-ზე-ბი: ზე = „მზე“; ბი = მრ. მარცვალი : ო > ა; ო-ზე-ბი* = „სამზეოები“: ო-ზე-ბი > ა-ზე-ბი. ამგვარად, აქ აღწერილი აზრობრივი და ბგერითი მიმართებები დაედო საფუძვლად იმ მოვლენებს რომლებიც ციურ სხეულთა სახელებსა და რძეს სახელებს შორის ურთიერთკავშირებს განაპირობებენ, სხვა მსოფლიო ენებში..

მიმართვები: შე კაცო; სი, კოჩი // სა, კოჩი; ვო, სა ვო, სი და ვო, სა // ო, შენ

მიმართვები, ზემოთგანხილულ სიმღერებში ბევრი დავასახელეთ და კიდევ დავასახელებთ. ვიცი გადაჭარბებულ სითამამედ მოგეჩვენებათ, მარა უნდა ვთქვა: კოლხების შა მზე ღმერთი უფრო ძველია ვინემ მათივე ნაცვალსახელები. ამიტომ, ათეული ათასწლეულების შა სახელით მიმართვამ მზე ღმერთისადმი წარმოქმნა სა ფორმა მიმართვისა და გამოიწვია მასში – მეორე პირის ცნების ანუ ნაცვალსახელის ცნების ჩასახვა. ქართულმა შე, და შენ ნაცვალსახელებმა შეინრჩუნეს შა ღმერთის ოდინდელი შ ბგერა, ხოლო მეგრულმა სა ფორმამ – ა ხმოვანი იგივე შა ღმერთის სახელისა. გარდა ამისა, მზე ღმერთის ალომორფალურ შერ* წინაფორმას ალადგენს ქართული ნაცვალსახელი შენ.

ვინაიდან შა შუმერთა მზე ღმერთის სახელია,.ამიტომ ვო, შა „უდრის ო, შა უდრის ო, მზეო-ს“. ანუ ვო, შა იყო ისეთივე მიმართვა ადამიანებს შორის, დღეს როგორიცაა: ო, მზეო; ო, ჩემო მზეო. ხოლო ასეთი მიმართვების არსებობა საბუთია იმისა, რომ ოდესღაც შე, კაცო – მზე კაცოს და იგივე შინაარსის მეგრულში არსებული სი კოჩი // სა კოჩის წინაფორმები ში კოჩი* // შა*, კოჩი ასევე მზე კაცოს უდრიდა: კოლხისთვის მზე ხომ დედაა: ბჟა დიდა რე ჩქიმი თუთა მუაჩქიმი = „მზე დედაა ჩემი მთვარე მამაჩემი“ ანუ კოლხი თვისი არქაული ფილოსოფიით მზის შვილია და დღესაც მეგრელები თავიანთ თავს მზის შვილებს ეძახიან: მუთ გოცქვანა ბჟაშ სკიეფს ეთი საქვარს მიანჭეთ = „რაც რომ მზის შვილებს გშვენით იმ საქმეს მიაშურეთ“-ო ამბობს სიმღერის ტექსტი (მღერიან ფოლკლ. ანსამბლები „ჩელა“ და „ოდოია“).“

შ ბგერის გასისინება ხშირია, ამიტომ ვო, შა ფრაზის ვო, სა ფორმად ცვლა სავსებით ბუნებრივია: აქედანაა სახელები ვასო, ვასილი, ვასია, ვაისი, და ა. შ. და უდრის ო, მზეო-ს. ამათგან ჩნდებიან გვარები: მაგ. გვარი ვასილევსკი არა მარტო ძირითაა მეგრული, არამედ სუფიქსითაც: სკი მეგრულად არის ძე, შვილი. ასე რომ, ვასილევსკი, ასევე, ვასა-ძე, ოსი-ძე, ოსაძე უდრის მზის ძე,

პროტოშუმერული მზის სახელები ბლომადაა ქართველურ გვარებში და პირსახელებში. მაგ. ში მეგრ. კუთვნილების სუფიქსია: თუ ვიგულისხმებთ რომ შა უძველესი მზის სახელია, მაშინ მეგრული ქალის პირსახელი შა-ში სხვა არაფერია თუ არა ქართული მზე-

საგან წარმებული სახელი მზი-სა და ნიშნავს მზე შა სთვის განკუთვილს ანუ – ისეთივესი, როგორიც, ამჟამად, მზი-სა გახლავთ, მზე-სთან მიმართებით. როგორცა ვთქვით, ქართვ. მზესთან კავშირში მყოფი სახელები მრავლადაა. მაგ: მ-ზი-ა, მ-ზე-ვინარი და ა. შ. ფაქ-ტია: მ-ზი–ას ზი მ-ზე სიტყვის ზე-ს დერივატია.

მეგრ. სახელებში, როგორიცაა: შა-ში, შუ-შუ, შუ-შა, შა-ხი, შა-ლუა // შა-ლვა, შუ-რა შემავალი რა, შა, ში და შუ მარცვლებით, მზის სახელი დუბლირებულია; გვარები ლო-ბჟა-ნიძე, ბჟა-ლავა, ბჟი-ნავა, ბჟანია და ა. შ. მეგრულ ბჟა სახელიდან არიან.

განსაკუთრებით საინტერესოა მეგრული გვარი შამა-თა. რადგან შა და შამაში შუმერთა მზე ღმერთია (იხ ა. გელოვანი მითოლოგიური ლექსიკონი). ში, როგორცა ვთქვით, რაკი კუთვნილების სუფიქსია,ესე იგი, შამა-ში იქნება შამა–სთვის განკუთვნილი, ხოლო შამა -თა, შესაბამისად, იქნება შამა-ს „ადგილი“.

სვანური სიმღერა შამარერა

ზემოთჩამოთვლილი გვარ–სახელები რომ კოლხურია ამას მატყუელებს ასევე სვანური სიმღერა – შამა-რერა ანუ შამა-ში* რერა: შამა-ში, როგორც ითქვა შამა მზე ღმერთისთვის განკუთვნილს ნიშნავს, რე-რა კი, რე და რა მარცვლების მეშვეობით, მზე ღმერთის დუბლირებული სახელია. ანუ ეს სიმღერა შეიცავს როგორც შ ბგერისაგან წარმოქმნილ შამა სახელს ასევე რ ბგერის გახმოვანებულ რე და რა მარცვლებს, აღმნიშვნელებს მზე ღმერთისა.

უხშირეს შემთხვევაში, აფხაზური, როგორც ეს „ვარადო“, „რადო“ და სხვა სიმღერებშია, ასევე სვანური სიმღერების ტექსტები (უფრო სწორედ მისამღერად თვლილი მათი ტექსტები) ახალკოლხური – მეგრული ენით აიხსნება. ეს იმ უბრალო მიზეზის გამოა, რომ უწინ სვანები და აფხაზები (მაგრამ არა აფსუები, რომელთა მცირე ნაწილმა შეძლო კოლხი აბორიგენი აფხაზების – მეგრელების გარკვეული ნაწილის ასიმილირება) თავად იყვნენ კოლხები და, ბუნებრივია, ერთ დროს კოლხურ ენაზე მეტყველებდნენ და მღეროდნენ. და ამის ცხადსაყოფად ეს, ზემოთდასახელებული, სიმღერებიც კმარა.

სვანური სიმღერა „შინავორგილ“

შესანიშნავი, სვ. სიმღერაა „შინავორგილ“. აი, მისი ტექსტი, რომელიც მრავალგზის მეორდება:

1. შინაი, ვო, რგილი; 2. ვო, რგილი, ვოი, სა; 3. ვო, ო, შიინა, ვო, გეგე: რა შინაარსისაა ეს მისამღერი? რა მნიშვნელობის მატარებელნი არიან ამ რეფრენში მოხმობილი წამოძახილები? აქვთ კი მათ რაიმე მნიშვნელობა? – დიახ, ეს წამოძახილები სიტყვები არიან. ისინი ტექსტს ქმნიან ამ სიმღერისა და არა, მისამღერად თვლილი, უაზრო წამოძახილნი არიან. მაგრამ, ვიმეორებ – რას უნდა ნიშნავდეს ეს სიტყვები? სვანურით ისინი არაფრის მთქმელნი არიან, მეგრულით კი, ნახეთ, როგორ ნათლად აიხსნებიან:

1. შინაი იგივე მეგრული სიტყვა – შინა გახლავთ. იგი, მნიშვნელობით, „ხსენება“-ა: შინა ღოფედას უდრის „ხსენება იყოს“. შინა ვადინუ უდრის „ხსენება არ დაიკარგება“; ვო, იგივე ვოი, უკვე ვიცით – მიმართვის შორისდებულია; რგილი – რგული ანუ ნერგია; შდრ. „ედემს რგული ხარ;“ „ნერგო კეთილო;“ შინაი ვო, რგილი უდრის „ხსენება ო, რგულო“ (ნერგო);

2. ვოი, სა იგივე ვო, სი – „ო, შენ“ ვედრების მიმართვაა.

მაშასადამე, ვო, რგილი, ვოი, სა უდრის „ო, რგულო, ო, შენ“;

3. გეგე წმინდა გიორგის პირსახელია, ალომორფალური ფორმათაგანია გიორგი სახელისა. ამიტომ, ვოო, შინა, ვო, გეგე უდრის ო, ო, ხსენება, ო, გეგე (გიორგი).

ჯამში: 1. შინაი (შინა), ვო, რგილი; 2. ვო, რგილი, ვოი, სა;

3. ვოო, შიინა, ვო, გეგე ქართულად იქნება: 1. ხსენება ო, რგულო (ნერგო); 2. ო, რგულო, ო, შენ; 3. ხსენება, ო, გეგე (გიორგი). მ. ე. ამ სვ. სიმღერის ტექსტი შედგენილია თანამედროვე მეგრ. სიტყვებით და ეძღვნება წმინდა გიორგის: იგი ვო შორისდებულისა და სი ნაცვალსახელის მეშვეობით, მღერითი ვედრებაა მისადმი. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რადგან ქმნის პარალელს მითაჟამისდროინდელ რა მზე ღმერთისადმი მიძღვნილ სიმღერებთან: მათშიც ხომ, მუდმივად, მეგრ. ვო შორისდებული და სი ნაცვალსახელი განაპირობებენ მოწიწებით ვედრების მიმართვას მზე ღმერთისადმი. ამგვარი ურთიერთმადასტურებელი ფაქტობრივი მასალა კი გარანტია დასმულ საკითხთა გადაწყვეტის ჭეშმარიტებისა.

მზე ღმერთის ალომორფული სახელები

როგორც უკვე ითქვა, ენათმეცნიერებაში დამტკიცებულია, რომ, მეგრულად, წმინდა გიორგის მრავალი სახელი გააჩნია. მაგ: გიორგი, გეგე, გერგე, ჯეგე, ჯგეგე. ეს სახელები ბგერათა აგებულებით (ფორმით) მცირედ განსხვავდებიან, თუმცა კი შინაარსი ერთი გააჩნიათ: ყველანი წმინდა გიორგის აღნიშნავენ: როგორც ერთი ჯიშის, მაგრამ სხვადასხვა შეფერილობის ლობიოს მარცვლებს – ბიოლოგიაში, ამგვარადვე, ერთგვაროვან, ბგერითი აგებულებით მცირედ განსხვავებულ ტერმინებს ენათმეცნიერებაში ალომორფები ეწოდებათ. ანუ ზემოთხსენებული წმინდა გიორგის სახელები, როგორც ითქვა, ალომორფები არიან.

ზუსტად ამგვარადვე, მზეს, რ და შ ბგერიდან ამოსული, მაგრამ მეცნიერებისათვის დღესაც მიუკვლეველი უამრავი ალომორფალური სახელი გააჩნდა. ესენია: რა, რე, რი რო, არ, შა, მშა, ბჟა, შამ, შამა, მსა, მზა, შორ, შურ, შარ, სოლ, სორ, და ა. შ. და ა. შ. ესენი უწყვეტად დასტურდ-ებიან კავკასიურ თუ ი. ე. ენებში. მაგ: ოდინდელი მზის სახელი შენარჩუნებულია სლავურ ენებში შარ ფორმით და ცვლილი მნიშვნელობით: შარ ამ ენებში „მრგვალ, ბურთისმაგვარ სხეულს“ აღნიშნავს: ცხადია აქ მზის სიმრგვალე გადააზრიანდა, ზოგადად, სიმრგვალის ცნებად.

ამავე შარ ალომორფიდანაა ქართველური შარ–ა. შო და შა ალომორფს შეიცავს მეგრ. შო-შე „ქუჩა, გამზირი.“ აქაც ზუსტად იგივე ფსიქოტრანსფორმაციები განვითარდა, როგორც ზემოთ სლავურ შარ სიტყვის შემთხვევაში: მზის ცაზე მოძრაობის ტრაექტორიის უთვალსაჩინოესმა აღქმებმა, გამოიწვია გზის – შარა-ს მოაზრებები. მნიშვნელობა შარ „მზე“ > განივრცო მნიშვნელობად შარა „გზა.“ ანუ განსხვავება სლავურ შარ და ქართველურ შარ–ა სემანტემების სემასიურ ტრანსფორმაციებში ისაა, რომ პირველში ბურთისებური სხეულის სახელსადებად მზის სიმრგვალეა წამოწეული, ხოლო, ქართველურ შარას შემთხვევაში. მისივე – მზის ცაზე მოძრაობის ტრაექტორიის თვალსაჩინოება.

ძალიან საინტერესოა, შარ წინაფორმიდან, ცნობილი რ > ნ მონაცვლეობით მიღებული, მეგრ. შან, რაც ნიშანია და ასევე რომელიც, მეგრულშივე, ძირია სიტყვისა შან-ილი „და-ნი-შნ-ული.“ ამ შემთხვევაში, ქართ. ნი–შან, იგივე მნიშვნელობით, მეგრ. შან–ი სემანტემათა, აზრობრივად, წარმოქმნა მოხდა მზის ცაზე მდებარეობის – - მისი ცის ნიშნად გადააზრიანებით.

შარ ალომორფიდან წარმოქმნილი, თვალსაჩინო, გვარები არიან შარ-ია, სარია, სართანია და ა. შ. ოლონდ, ამ უკანასკნელებში შ > ს განხორციელდა. ამგვარად, მზე ღმერთის უამრავ სინონიმურ სახელთა არსებობა, უტყუარად, მტკიცდება მათი უწყვეტი მოხსენიებით ისეთ განსხვავებულ სისტემათა კომპლექსში როგორიც ქართველური გვარ-სახელები და ოდესღაც უწმინდესი, დღეს კი მისამღერად თვლილი ტექსტების მქონე ქართველური და სრულიად კავკასიის ხალხთა სიმღერებია: ვაგრძელებთ მეცნიერთა მიერ, ამ შინაარსის არმქონედ და მხოლოდდამხოლოდ მისამღერად თვლილი ტექსტების გაშიფრვას:

სვანურ სიმღერა შამა-რე-რა-ზე უკვე ვისაუბრეთ: უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ცხონებულმა – ა. გელოვანმა შენიშნა ამ სიმღერაში შამა რომ შუმერული მზე ღმერთია, რაც, რა თქმა უნდა, დიდი აღმოჩენაა, ოლონდ ეს შუმერები – მზის თაყვანისმცემელნი და ავტორები ამ დიადი სიმღერებისა – ძველი კოლხები არიან. ა. გელოვანი თავის „მითოლოგიურ ლექსიკონში", ასევე ასახელებს შუმერ-აქადელთა მზის ღმერთ შამაში-ს, რომელსაც ებრაულად – შემეშ, ხოლო არაბულად შამს ეწოდება: თუ შამა-ში მზე ღმერთია, მაშინ შამა ამ შამა-შის ფრაგმენტი – ძირი ყოფილა, ში კი ცნობილი მეგრ. სუფიქსია, კუთვნილილებისა: ანუ ჯერ შამა ყოფილა მზე ღმერთის სახელი და მერე, დიდ დროში, შამა-ში ქცეულა მზე ღმერთის სახელად. დავაკვირდეთ: შუმერული მზე ღმერთის სახელი – შამა-ში და ქალის მეგრული სახელი შა-ში იგივეა რაც მზი-სა – ქართულში: შამა-ში უდრის მზე ღმერთისთვის, სახელად შამა რომა აქვს იმისთვის მიძღვნილს; შესაბამისად, უხშირესი, ქალის მეგრული სახელი – შა-ში უდრის მზე ღმერთისთვის სახელად შა რომა აქვს იმისთვის განკუთვნილს.

ბუნებრივია, შა სახელი მზისა დროში ში ფორმით შეიცვლებოდა: ამის დასტურია სახელი ში-ო, ში-ო-ლა და გვარი შიოლაშვილი. ში-ო ფრაგმენტია ში-ო-ლა-სი, ეს უკანასკნელი კი ში მზე ღმერთი და ო-ლა „არე-განფენილობის" მეგრ. რთული სუფიქსისგანაა შემდგარი და მზის არეს ანუ მზის განფენილობას აღნიშნავს: შდრ მეგრ. ო-ლა-გვან-ე „ადგილი სადაც ქვევრებია, სადაც ისინი მარხია, ო-ლა-კაც-იე „აკიაციების არე და ა. შ.

გვარი სა-ხურ-ია ამოდის შა-ხორ წინაფორმიდან. აქ შა > სა მზე ღმერთია, ხოლო ხორ მისთვის განკუთვნილი საცხოვრისია ეს ღვთის მომსამსახურებელი ადგილი თუ უძველესი ნაგებობა იქნებოდა, ხოლო შა ხორ-იგივე სა-ხორ, უეჭველია, იქ მო-მ-სა-ხურ-ეს – უძველეს ქურუმს თუ ეწოდებოდა. აი, საიდან იწყებს სათავეს ტერ-

მინი მ-სა-ხური, სა-მ-სა-ხურ-ი, მო-სა-მ-სა-ხურ-ე. მ. ე. გვარი გა-მ-სა-ხურ-დია, რაკი ხორ საცხოვრისია, გა – ქედია, ხოლო დია კი დედა გახლავთ, ნიშნავს გა-შა-ხორ-დია* იგივე გა-სა-ხორ-დია* „დედა მზე ღმერთისთვის განკუთვნილ ქედს".

მეგრ. გა „ქედის" მნ-ის მატარებელია" გა-დელ-ია = დელ მზე ღმერთისთვის განკუთვნილ ქედს. (თუ გა ქედია, გა-მი იქნება – „ქედიანი": ზღვაში გემი ქედივითაა: მაშ, ჯერ მეგრ. გამი იყო ხომალდის სახელი, ხოლო თურქულ?!... ნასესხობად მიჩნეული, ქართ გემი მერმინდელია: გა-მი > გემი!...)

როგორცა ვთქვით, მეგრ. ქალის სახელი შა-ში იგივეა რაც მზი-სა – ქართულში: მზი-სა: უდრის მზისთვის განკუთვნილი; რა ეტიმოლოგიისაა სამეგრელოში ცნობილი გვარი შამათა? –. სინონიმები – თი და თა მეგრულში ადგილს აღნიშნავს. თი თის და თი თას ერთი და იგივეა და უდრის „იმ ადგილას". რაკი თა ადგილია შამა + თა იქნება შამა-ს ადგილი ანუ შამა-ს ტერიტორია, მისი წილხვედრი მიწა-წყალი;. შამა მზე ღმერთის სახელს შეიცავს გვარი შამა-ნა-ძე; საოცარია, მაგრამ გვარ შა-მა-თა-ს, ამგვარად დამარცვლულს, თუ პირუკუ ნავიკითხავთ მივიღებთ ქალის მეგრულ სახელს – თა-მა-შა. იგი, ამგვარად სეგმენტირებული – თა-მაშა უდრის თა „ადგილი" პლიუს სლ. სახელი ქალისა მაშა! ესეიგი, მეგრული სახელი ქალისა თა-მაშა აღნიშნავს ღმერთ მაშა-სთვის განკუთვნილ ადგილს. მაგრამ აქედან ის გამომდინარეობს, რომ სლავური ქალის სახელი მაშა, ერთ დროს კოლხური მზე ღმერთის სახელი ყოფილა. ამას ადასტურებს, ცნობილი, ქართ. გვარი მაშა-შვილი.ასე რომ შამა და მაშა – მზის სახელ-ალომორფთა არსებობა დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს. ამიტომაც, სრული უფლებით, ერთ კატეგორიაში ვათავსებთ ქალისა და მამაკაცის სლ.-ქართვ პირსახელებს, როგორნიც არიან: მა-შა, მი-შა, სა-შა, ლა-შა, ლუ-შა, დუ-შა, ფუ-შა, შუ-შა, შუ-შუ, შუ-რა, შა-ში და ა. შ.

მსგავსად ო, რა ვედრების მიმართვისა არსებობდა – ო, შა, რომლის ო > ვა დაშლა იძლევა საბრძოლო შეძახილს – ვაშა. ამგვარადვე ეს ო, შა, შ > ჟ გამჟღერებისას გადაიქცევა ვაჟა სახელად.

ჩვენი წინაპრები ჩუქნიდნენ მიწა-წყალს, სიმღერებს და ა. შ თავიანთ ღმერთებს: აკი, დღესაც, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია. ეს უძველესი ტრადიციაა და ჩვენ მის ნატერფალებსაა რომ ვამზეურებთ: გარდა შამა-თა გვარისა ეს ასევე სანიმუშოდაა ასახული გვარ სარ-თა-ნია-ში = სარ // შარ „მზე ღმერთი" + თა „ადგილი" + ნია „დედა" ჯამში = „მზე დედა ღმერთის ადგილი".

მეგრულში ამგვარი პრეცენდენტი – რომ მზე ღმერთს ადგილ სამყოფელი შეეწირება ხშირია, მაგ: მთის სახელი სამეგრელოში – ურთა – ურ + თა უდრის „ურის ადგილი“.

როგორც მოგეხსენებათ, ური სინათლის ღმერთი გახლდათ. მისი სახელობისაა უძველესი ქალაქი შუმერში – ური, იგივე ურიმი, რომელიც უდიდესი ქალაქი სახელმწიფო და, შემდეგ, გაერთიანებული შუმერის დედაქალაქი იყო. ასევე, არტაანის მახლობლად, ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებობდა ქალაქი ური. რა თქმა უნდა, სამივე ჩამოთვლილი სახელი ერთიდაიგივე სინათლის ღმერთის სახელობისანი არიან.

შ და რ ხმაბ. ბგერებიდან წარმოქმნილი, მზე ღმერთის ალომორფალური სახელები თვალსაჩინო მაგალითია შინაარსითა და ფორმითა ნათესაური, ზოგჯერ კი ტყუპისცალი ნომინაციებისა. ანუ მოტივირებული ნეოლოგიზმისა, რაც ნებისმიერი ბგერითი არქიტექტურის მქონე სახელდებებთან ანუ პირობით ლექსიკასთან შედარებით, უხშირესია და უალრესად ქართვ. ენებს ახასიათებთ. ამდაგვარი აღმშენებლობა უფრო რეფლექსოგენური და ხმაბაძვითი ბგერებიდან ამოზრდილ სიტყვებისთვისაა ნიშანდობლივი. თანაც უფრო ხშირია მეტყველების წარმოქმნის ადრეულ პერიოდებში.

შუმერული მთვარის ღვთაება – „ცისა და მიწის ნათელი“ იგივე სინათლის ღმერთი გახლდათ სინი. იგი შედიოდა ტრიადაში: სინი, შამაში, იშთარი. ამ სინ სახელთანაა დაკავშირებული მეგრული სახელი მავთულისა – სინა. ეს სახელი – სინა ბევრ აღმოსავლურ ქვეყნებში რკინას აღნიშნავს. სინა გახლავთ ძირი გვარისა სინაური, სინაური-ძე და ა. შ. გარდა ამისა, ქალაქ ზუგდიდის განაპირას ჩამოუდის მდინარე, სახელად სინ-წა. წა მეგრულად არის წყალი. ასე რომ სინ + წა უდრის „სინის წყალი“ ანუ სინა ღმერთისთვის განკუთვნილი წყალი. (შენიშვნა: ძვირფასო მკითხველნო, გთხოვთ დააკვირდეთ: სინა მეგრულად მავთულია: მავთულს კი, როგორც კარგად მოგეხსენებათ, სხივის ფორმა გააჩნია. სხივს მეგრულად ქვია სიმ (ასევე – სგმ, სიმსი, სგმსი). სინ-ა და სიმ სიტყვათა თანხმოვნები – ნ და მ ერთგვაროვანი ბგერები (სონორები) არიან, ამიტომ, შეგვიძლია დავასკვნათ: სხივსა და მავთულს, ერთ უძველეს დროს სინ ან სიმ ეწოდებოდა. ეტიმ. ამოსავალი კი თვალსაჩინო და შთამბეჭდავი ბუნებრივი სუბსტანცია – სხივი შეიძლება ვიგულისხმოთ. თუმცა კი ორივე მათთაგანს სხივსა და მავთულს – // სინ-ას აზრობრივადაც მზისა და ცეცხლის ერთიანი სტიქია ანათესავებთ.

დააკვირდით: ეს ჭეშმარიტი და საარაკო აღმოჩენებია! ეს იმი-

ტომ, რომ მტკიცებულებები სისტემური და ფენომენალურია: ქართველური სიმღერების მონაცემებს გვარ-სახელები, ტოპონიმები, ჰიდრონიმები და ა. შ. იმეორებენ.

ქართული სიმღერა „შაუდილოვოდილო“

არის მზის სახელ შა ალომორფის შემცველი ასეთი ქართ. სიმღერა „შაუდილოვოდილო“. რას გვეუბნება იგი? თუ მას ამგვარად დავანაწევრებთ: შა + უ + დილო + ვო + დილო და უკვე ვიცით, რომ შა პროტოშუმერული ანუ კოლხური მზე ღმერთია და ვო ველრების მიმართვაა, მაშინ ბევრი გამჭრიახობა არ უნდა მივხვდეთ: ამ სიმღერის ტექსტია – შა, ო, დილო, ვო, დილო. იგი მღერითი მიმართვაა შა მზე ღმერთისადმი და,აგრეთვე, დილო-სადმი: რას უნდა ნიშნავდესეს ეს დილო? – დიდმა ივანე ჯავახიშვილმა დილ, დილ-ო ცისკრის ვარსკვლავისადმი მისამღერად, (რეფრენად) ჩათვალა. ეს მთლად ასე არაა, მარა, ამჯერად ამას დავჯერდეთ, რამეთუ ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით. მთავარია: ყოველმიზეზს გარეშეა – შა ამ სიმღერაში მითაჟამინდელი მზე ღმერთია და ის რომ, ჯერ კიდევ როდის ივანე ჯავახიშვილმა შენიშნა: დილ შეძახილი აზრს, შინაარსს რომ შეიცავს.

სვანური სიმღერა „რაშოვდა“

შა ალომორფი შეცვლილი სახით (აქ ა ხმოვანია, იქ კი – ო) გვხვდება სიმღერა „რაშოვდა“-ში: იგი ასე ნაწევრდება – რა + შო + ვ + და. მრავალგზის გამეორებით, ამ სიმღერას ასე მღერიან:1. რა, შოვ და; 2. დელი ვო დელი ვო დელა (დილა); 3. რა, შო-ვ და...

1. რა-შო-ვ-და იგივე რა, შო, ო, და ტექსტია. აქ რა, რ ბგერიდან ამოსული, ძვ. ეგვ. მზე ღმერთის სახელია; შო, შ ბგერიდან ნარმოქმნილი, კვლავ შა მზე ღმერთის ალომორფია; ვ გახლავთ გაბაგისმიერებული და ძირს შეზრდილი ო ხმოვანი, ფუნქციით შორისდებულისა – მზე-სადმი მიმართვისა; და კი, ზემოთ მრავალგზის განხილული მეგრ. დო კავშირია.ამგვარად, პირვანდელი სახე სიმღერის ტექსტისა იყო – რა, შო, ო, დო. იგი, საინტერესოა იმით, რომ მასში მზის ორი უძველესი სახელი – რა და შო გახლავთ დაფიქსირებული. მაგრამ, ღმერთო დიდებულო, განა საეჭვოა, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როგორც ეს სიმღერები, ასევე მზის ეს სახელებიც შექმნა ერთიდაიგივე ხალხმა.

ინგლ. რა-შა რუსეთს ეწოდება. თვითდასახელება რუსეთისა კი გახლავთ რა-სია:

რა და შა ორივე კოლხური რომაა ფაქტია, ხოლო რუს. რა-სია და ქართ. რუ-სი, დღევანდელი ქართულით, უდრის რა და რუ-ს კუთვნილს, რა იგივე რუ ღმერთის მოგვარეს, მემკვიდრეს, რა // რუ ღმერთისიანს. გარდა ამისა, ზედმიწევნით რუსების თვით-დასახელება – რუ-სკი, მეგრულად, უდრის რუ-ს შვილს, რადგან რუ თუ მზე ღმერთის ერთ-ერთი ფორმაა, მეგრ. სკი – შვილი ანუ იგივე მემკვიდრეა. ეს სკი ფიგურირებს ეთნონიმ ტირენ-ების მეორე – ეტრუსკი სახელში. საყურადღებოა, რომ მესამე თვითდასახელება ტირენებისა რა-სენი და რა-სია-ნინ „რუსეთელი"ა, რაც ქართულად ნიშნავს რა-სიანს ანუ რა ღმერთისიანს, იგივეა რაც ზემოთგანხილული რუ-სი. და რა-სია „რუსეთი": გამოდის რუსების როგორც ხალხის, ასევე ქვეყნის დასახელება მეგრულ-ქართულია. ცხადია, დღეს ეს წარმოუდგენელია, მაგრამ, ოდესღაც, სლავები და კოლხ-სვან-ქართ ხალხთა წინაპარი ერთი იყო. აქამდე, მრავლად მოხმობილ ლექსიკურ პარალელებთან და მზე ღმერთის სხვა სახელებთან ერთად, ამაზე, აქ მოხმობილნიც ღაღადებენ: შეგახსენებთ მზე ღმერთი ასეული ათასწლეულებისაა.

მეგრული სიმღერა „შოუნანა"

რომ მზის ძველთაძველი სახელები ერთიდაიგივე ხალხის შექმნილია, ამასვე ამტკიცებს კიდევ ერთი სიმღერა. ეს სიმღერაა მეგრული – შოუნანა. გასაგებია, შო-უ-ნანა იგივე შო, ო, ნანაა და შო, ო, დედაო-ს ნიშნავს. მაგრამ იგი უაზრო მისამღერად მიაჩნიათ.

ამ სიმღერის დღევანდელი ტექსტი ასეთია: შოუ, ნანა, შოუ, სქუა, ცაშა მეიჭოფუ ფსუა -- შოუ, დედა, შოუ, შვილო, ცისთვის მიგიშვერია ფრთები-ო.

როდინდელია ეს ტექსტი? – დასაშვებია იგი ახალია და შოუ შვილის სახელია, ხოლო სიმღერის ტექსტის ავტორი დედაა და როცა იგი მღერის: ცისთვის მიგიშვერია ფრთები-ო, პოეტურად შვილის ყმაწვილურ გიჟმაჟობას გამოხატავს?. – არა: აქ მოცემულია უძველესი პოეტურ -ფილოსოფიური აზრობრივი რეალიები. კერძოდ: ო და უ მეგრულში ალომორფალურ ანუ იგივურ სახელებს ქმნიან. მაგ: ჩხომი და ჩხუმი ერთიდაიგივეა და უდრის „თევზი." ამიტომ: შო, ო, ნანა გახლავთ შო, ო, დედაო (რა თქმა უნდა, მეგრელისთვის, მზე დედაა); შო, უ, სქუა უდრის შო, ო, შვილო-ს (მზე დედაა, მაგრამ, იმავდროულად, იგი ცის შვილიცაა) ხოლო ცაშა მეიჭოფუ ფსუა – ცისთვის მიგიშვერია ფრთები ანუ ცისთვის მოგი-

ფენია შუქი–ო. ყოველშემთხვევაში, ერთი უეჭველია: აქ შოუ თუნდაც ადამიანის სახელი იყოს, იგი (ეს პირსახელი – შოუ) უძველეს შო + ო მზე ღმერთისადმი მიმართვის შერწყმითაა მიღებული. ასეთი შერწყმა ო შორისდებულსა და რა მზე ღმერთის სახელსაც ახასიათებთ. რის შესახებაც დაწვრილებით კიდევ ვისაუბრებთ.

მეგრული გვარი შავდია

მზე ღმერთის სახელად შა ალომორფის არსებობას ადასტურებს, აგრეთვე გვარი შავდია. იგი ასე ნაწევრდება: შა–ვ–დია, რაც იგივე შა, ო, დია გახლავთ და ვედრებაა დედა (დია დედაა მეგრულად) შა მზე ღმერთისადმი (მზისადმი).შა, ო, დედაო, აი, რასაც ნიშნავს ეს გვარი!...

გვარები: შარ–ია, შარ–აშ–ია, შერ–ოზია, შერ–ან–გია, შელ–ია, ა–შორ–დია შულ–აია, სარ–ია, სალ–ია, სურ–მა, სან–აია, სულ–აბერიძე, სულ–ა–კა–ური, ინა–სარ–იძე და სხვები

გვარ შა–ვ–დია–ში დია რომ დედის მნიშვნელობისა მატარებელია, ამას უეჭველსჰყოფს გვარი – სა–ნაია, რომელშიც ფიგურირებს ასევე დედის მნიშვნელობის სიტყვა მეგრულში – ნანა, მოფერებით – ნანაია. სა–ნაია–ს სა იგივე შა მზე ღმერთის სახელია, შეცვლილი (მოხდა შ > ს გასისინება). ნაია კი მეგრულში, მოფერებით, დედის აღმნიშვნელ – ნა–ნაია–ს ფრაგმენტია. მ. ე. სა–ნაია იყო შა, ო, ნანაია და მზე, ო, დედაო მიმართვა იყო, მისადმი:. იგივე მნიშვნელობისაა გვარ სარ–თა–ნია–ს შემადგენელი ნაწილი – ნია. რაც შეეხება გვარებს – სარიძე და < ინა–სარ–იძე, ამ ბოლო გვარში ინა, – ნანა–საგან, ხოლო სარ მიღებულია შარ მზის სახელისაგან). ზარ–ან–დია–ს ზარ, შარ–იდანაა., დია კი = დედას.

როგორცა ვხედავთ,, გვარებში შარ–ია, შარ–ა–შია, შერ–ოზია, შერ–ან–გია, შელ–ია, ა–შორ–დია (იხ. ქვემოთ), შულ–ა–ია, სარ–ია,სალ–ია, სურ–მა, სან–ა–ია, სულ–ა–ბერ–ი–ძე, სულ–ა–კა–ური და ა. შ. შარ, შერ, შელ, შორ, შულ, სარ, სალ, სან, სურ, სულ და ა. შ. ძირები აქ, ყველგან, მზე ღმერთის სახელია და შემდგომ გვარის ბოლო–სართით, ძირითადად, ია სუფიქსაციის მეშვეობით, დღევანდელ გვარებად არიან ქცეულნი: თუმცა, ფრიად მნიშვნელოვანია ერთი რამ: ეს ძირები, ერთ დროს, მზის სახელები რომ იყვნენ, დღეს კი თანამედროვე გვართა ძირები რაკი არიან, აი, ეს ფაქტი გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ: ეს ძირები იყვნენ პირველყოფილი მატრიარქატული გაერთიანებების – თემთა სახელები. შემდეგ, პირველ-

ყოფილი ოჯახის შექმნის დროიდან, უკვე პირსახელებად ყალიბდებიან. და ბოლოს – გვიანდელ ეპოქაში, ამ პირსახელებზე გვარის გამომხატველი ბოლოსართების დართვის მეშვეობით, თანამედროვე გვარებად არიან ქცეულნი.

არა ყველა გვარის სახელი გახდა ინდივიდის პირსახელი. ზოგიერთმა პირდაპირ დაირთო გვარის სართი. მაგალითად: შარ იყო მზის სახელი, შემდეგ გახდა თემის ანუ გვარის სახელი. ბოლოს კი დაირთო რა გვარის ია სუფიქსი გახდა გვარი შარ-ია

გვარები: შა-ვ-დია, ა-შორ-დია, სორ-დია, დასაშვებია, უძველესი, გაქვავებული დია (დედას) შემცველი – შა, ო, დია; ო, შორ, დია; სორ ანუ შორ-დია კი არ არიან, არამედ დი სუფიქსალუ-რი თანხმოვნით დაბოლოებული შა-ვ-დი, ა-შორ-დი, სორ-დი პირსახელებისგან არიან?

რა თქმა უნდა ამ ვერსიას ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ, უკვე, როგორცა ვთქვით, უძველეს ეპოქებში ხდება მზის სახელისა და ამ სახელით მზისადმი მიმართვის გამომხატველი შორისდებულის შერწყმა, ისევ მზის სახელად: ასე რომ, ამ შემთხვევაში (შავდია და აშორდიას სემთხვევაში), მზის, შა სახელის შერწყმა ო შორისდებულთან მოგვცემდა შა + ო > შა-ო მზის სახელს და შემდეგ, დი სუფიქსაციით, შა-ო-დი > შა-ვ-დი პირსახელს. შესაბამისად, ო + შორ შერწყმა მოგვცემდა – ო-შორ >// ა-შორ მზის სახელს და ბოლოს – პირსახელ ა-შორ-დი-ს;

მსგავსივე მაგალითებია: ში პლიუს ო > ში-ო პირსახელი და გვარი ში-ო-შვილი;

ო + შა > ო-შა, ამ უკანასკნელისგან კი მიიღება (ო-შა >) ო-სა მზის სახელი და გვარი ო-სა-ძე; შა მზის სახელი, შა-ში პირსახელი და გვარი აქედან – შაშია, შა-ში-შვილი, შაშია-შვილი; შუ-შა პირსახელი და გვარი შუ-შა-ნია, შუ-შა-შვილი, შუ-შა-ნა-შვილი; მაშა მზის სახელი, მა-შა პირსახელი და გვარი მაშა-შვილი; მიშა პირსახელი და გვარი მიშა-შვილი; შან მზის სახელი და გვარი – შან-იძე, შან-ავა; შან-შე პირსახელი და – გვარი შან-ში-ა-შვილი.

როგორც ზევით ვამბობდით, შან მზის სახელისგან, მნიშვნელობის გადაწევით მიიღება შან სიტყვა (სემანტემა) აღმნიშვნელი ნიშნისა და აქედან გვარი ნი-შნ-იანიძე;

განსაკუთრებით საინტერესოა გვარი შურ-ღა-ია. ეს იმიტომ რომ მასში მზის სახელი ორმაგადაა მოცემული: შურ რომ მზის სახელი იყო ეს უკვე ვიცით. ღა კი ფრაგმენტია მეგრული სიტყვისა – დღა. ეს უკანასკნელი (დღა // დღე) კი,ბევრ კავკასიურ ენებში მზე-

ცაა ანუ დღე და მზე ბევრ კავკასიურ და სხვა ალმოსავლურ ენებში ერთიდაიგივეა.(ჯავახიშვილი): მეგრულშიც, ერთ დროს, დღის აღმნიშვნელ სიტყვა – დღა-ს მზის მნიშვნელობაც გააჩნდა. ამიტომ, შურ-დღა* (> შურ-ღა > შურ-ღა-ია) წინაფორმაში მზის მნიშვნელობა გაორმაგებულია..

ვფიქრობთ, შურ-ღა წინაფორმაა პირსახელისა ჯურ-ღა და ჯუ-ღა და გვარ ჯუ-ღა-შვილისა აქ მომხდარია შ // ს > ჯ გართულება (აფრიკატიზაცია),

ზემოთ, – შა-ვ-დია, ა-შორ-დია, სორ-დია, უძველესი, გაქვავებული დია (დედას) შემცველი – შა, ო, დია; ო, შორ, დია; სორ ანუ შორ-დია გვარებში დია „დედის“ მნიშვნელობის სტყვის ძირეულობა თუ არც თუ მთლად ურყევია ამას ვერ ვიტყვით ზოგიერთ სხვა გვარზე: მაგ: თავიდანვე, დია (დედას) არსებობა ვერ უარიყოფა გვარში – დია-სამ-ი-ძე. რა თქმა უნდა, დია აქ დედაა; სამ კი სახელია მზე ღმერთისა, მიღებული შამ წინაფორმისაგან. შამ > სამ ცვლილება კი უპრობლემოა და ზემოთაც ბევრი ამგვარი აღვწერეთ: დია-სამ-ძიე = დედა მზეს ძე (შვილი).

უმშვენიერესი ქალის პირსახელი შორ-ენა იგივე შორ-ნენა ანუ შორ დედა იგივე მზე დედაა.

მეგრულში გვაქვს გამოთქმა, როცა შურ-ი ღმერთს აღნიშნავს. ეს საინტერესოა, რადგან, სხვა დროს, შურ-ი სულია, მეგრულად. მაგ: დია, შური უდრის „დედა, ღმერთო-ს“: დია, შური, თე კოჩნკუმა მუთუნქ ვაგომირთ ქართულად იქნება – „დედა, ღმერთო, ამ კაცთან ვერაფერს გავხდი“; დია, შური, დემეთხი უდრის „დედა, ღმერთო, მომშორდი:“ როგორც ვხედავთ, დია, შური მეგრულში ზუსტად იგივურ სიტუაციებში იგივე მნიშვნელობით წარმოითქმის, როგორადაც – „დედა, ღმერთო“ ქართულში. ხოლო რაკი შურ ღმერთია, ის, ზემოთგანხორციელებული მსჯელობების გამო, სხვა ვერა იქნება რა თუ არა მზე ღმერთი. მ. ე. მზე ღმერთის სახელი დამტკიცებულად იყო შორ და შურ

ზემოთ დია-სამ-ძიე გვარის სამ ძირეული ნაწილის წინაფორმად შამ დავამტკიცეთ: ამ დია-სამ ძირის, ზუსტი შესატყვისია დია შურ. ესე იგი, შამ, შან, შურ, ოდინდელი, მზის ალომორფალური სახელები არიან:. აქვეთქმულიდან გამოდის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დანასკვი: პირსახელი შორ-ენა, გვარის ძირი დია-სამი, სენტენცია (გამოთქმა) დია-შური შუმერთა შა, შამა, შამაშ მზე ღმერთის ხნოვანებისანი არიან..

მეგრული სიმღერა „სამარგალოშ ჭიჭე გემი“

ცნობილ ლოტბარ – ნეტარხსენებულ პოლიკარპე ხუბულავას დამუშავებული აქვს მეგრული ხალხური სიმღერა „სამარგალოშ ჭიჭე გემი“, რომელსაც მღერის სამეგრელოს ვეტერანთა ანსამბლი. მასში ასეთი სიტყვებია: „...მუთ გოცქვანა ბუაშ სქიეფც ეთი საქვარც მიანჭეთ“.—„რაც გშვენით მზის შვილებსა იმ საქმეს ესწრაფოდეთ“-ო. ანუ ბუაშ სკიეფად – მზის შვილებად მიაჩნია მეგრელს თავი, რაც უძველესი წარსულის გამოძახილია და ზემოთ დასახელებულ სიმღერა-გვარ-სახლებთან ერთად ისეთივე კოსმოგონიური შედევრი გახლავთ როგორიც ცნობილი მეგრული ხალხური ზეპირსიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუში – ბჯა დიდარე ჩქიმი; თუთა – მუაჩქიმი; ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი –და დო ჯიმა ჩქიმი „მზე დედაა ჩემი; მთვარე – მამაჩემი; მოღიმარი (ხვიჩა = მოღიმარი) ვარსკვლავები – და და ძმაა ჩემი“.

სამეგრელოში გავრცელებულია ასეთი საინტერესო რიტუალი: მზიან დღეს, დილაადრიან, პატარას დააკავებენ ყველი და ღომის ნატეხს, პურს ან მჭადს და ეტყვიან. „მეუ ბუა დადიარე – „წადი მზე დააპურე“-ო. ბავშვიც დაიკავებს ყველ და პურს, გავა მზეში და მიმართავს მას:

მორთი, მორთი, ჩხანაია, ცვალ დო ღუმუს რჩანანია „მოდი, მოდი, მზეო, ყველ და ღომს გაჭმევენ“-ო. ესეც იმ უძველესი წარსულის გამოძახილია როცა დილით მზე ღმერთისადმი მიძღვნილი ტრაპეზი და სხვა მისტერიები სრულდებოდა..ზუსტად იგივე აზრობრივი დატვირთვისაა ქართული ლექსი: „მზე შინა და მზე გარეთა მზე შინ შემოდიო“....

მეგრული სიმღერა – „დილაი, ვო, დილა ვო, დილა, ნანა“

ბევრია ქართველური დილ შეძახილიანი სიმღერები (რესპ. მისამღერები): ორი, ო, დელი, ვო, დილო, ვო; დილ, დილ, დილო, ვო, დილო; დელია, ნანა და ა. შ. განსაკუთრებით საყურადღებოა ასეთი მეგრული სიმღერა – „დილაი, ვო, დილა ვო, დილა, ნანა“. მისი სრული ტექსტი, რომელიც მრავალგზის მეორდება, ასეთია: 1. დილაი, ვო, დილა, ვო, დილა, ნანა; 2. დილაი, ვო დილა ვო დილა ნანა; 3. ვო, დილა, დილა. რაც ქართულად იქნება – „დილაი, ო, დილა, ო, დილა, დედაო; 2. „დილაი, ო, დილა, ო, დილა, დედაო;“ ო, დილა, დილა: მელოდია ამ სიმღერისა მაღალი შაირის (4 + 4) პრინციპი-

თაა აწყობილი: დი, ი ლა ი / ვო, ო დილა, / ვო, ო დილა,/ ნა ა ნა ა; დი ი ლა ი / ვო, ო დი ლა / ვო, ო დი ლა / ნა ა ნა ა; ვო, ო დი ლა დი ი ლა ა. შემდეგ ამ არქაულ მისამღერს, როგორც ზემოთ: ვოისარაიდას" შემთხვევაში მივანიშნეთ, იგივე მელოდიით, მოსდევს სხვადასხვაგვარი თანამედროვე ტექსტები, რომლებიც აუცილებლად ვო დილა დილა –თი მთავრდებიან. მაგ ასეთი:

მა ვაიწიო ვაშვამაქი, ნანა, -- „მე არ გითხარი არ დალიო-თქო, ნანა" ვო, დილა, დილა, „ო, დილა, დილა" (ორჯერ);

სი ქომსხუნუქ შხვაშა-მაქი ნანა „შენ მირჩევნიხარ სხვას-თქო, ნანა" ვო, დილა, დილა; „ო, დილა, დილა" (ორჯერ): ცხადია, დილაი და დილა აქ მზე ღმერთის სახელია და არა უაზრო მისამღერი.. მ. ე, სადილი წინათ იყო არა შუადღის, არამედ – დილ-ის პურობა...

ქართული გვარი აროშიძე და მისამღერი „არი ჰ-არი ჰ-არა-ლე"

მკვლევარი – გ. ბედოშვილი, სავსებით მართებულად, გვარ არო-ში-ძეს ფუძე არო-ში-ს არო პლიუს ში მეგრული ნათესაობითი ბრუნვის ფორმის მანარმოებლისგან შემდგარად თვლის. უნდა დავძინოთ: უუძველესი წარმოშობის დღევანდელი ქართული გვარის ფუძე არო-ში, ოდესლაც თავად იყო მეგრული გვარი. ეს უდაოა, რადგან ნათესაობითი ბრუნვა კუთვნილებას გამოხატავს, ანუ არო პლიუს ში უდრის არო-სთვის განკუთვნილს. ასეთი კი შეუძლებლია ყოფილიყო ერთი პიროვნება, რადგან ეს არო, როგორც აშკარაა, იყო ტოტემი, ღმერთი:

არო-ში იყო არო-ს მიმდევარი, იმგვარადვე როგორც დღეს ქრისტიანია – ქრისტესი. იგი ასე უნდა დავანაწევროთ: ა-რო-ში-ძე. ახლა ამ ა-რო ნაწილს თუ დავაკვირდებით, ადვილად მივხვდებით, რომ მისი ექვივალენტური ფარდი მეგრულში იქნება ო-რო, რადგან ქართ. ა ხმოვანს მეგრ. – ო შეესატყვისება. ო, რა კი უკვე ვიცით, რომ ვედრებაა მზე ღმერთისადმი.. არო და ორა მხოლოდ მდგენელ ხმოვანთა განლაგებით – დისპოზიციით განსხვავდებიან, რაც მათ იგივეობას უეჭველს ხდის (ორა // ორო-სთან უშუალოდ დაკავშირებულ მეგრულ ორან სიტყვის თაობაზე იხ. ქვემოთ).

გარდა ამისა, არო, ორა, ორო არსებობდა კიდევ არა ფორმით. ამას ცხადყოფს მისამღერი არა-ლე. როგორც მოგეხსენებათ არა-ლე, ჰ-არი, ჰ-არა-ლე ცნობილი მისამღერია, აღმოსავლეთში შორს გავრცელებული: წინაფორმა გახლდათ არა-ლე, არი, არა-ლე. ჰ

თანხმოვანი შემდეგაა (ალბათ ჰან მეტობის პერიოდში) თავკიდურა პოზიციაში გაჩენილი.

შესატყვისობა – ა-რო : ო-რო : არა გვიჩვენებს რომ მზისადმი ვედრების გამოხატვა მცირედ განვავებული ფრაზებით ხდებოდა.. ესე იგი, ვედრების თუ თაყვანისცემის გამომატველი შორისდებულისა და მზე ღმერთის ამღნიშველი სიტყვებისაგან შემდგარი ფრაზები ო, რა; ო, რო; ა, რო, ა, რა ჯერ მზისადმი ვედრების გამომხატველ ალომორფალურ სიტყვებად – ორა, ორო, არო, არა შეირწყნენ და, შემდეგ, ასევე ალომორფალურ, მზის სახელადაც გადაიქცნენ. (მზისადმი მიმართვის გამომხატველ შორისდებულისა და მზის სახელის შერწყმა ახალ მზის სახელად ზემოთაც მრავალგზის ვაჩვენეთ).

კახური სიმღერა არალე და ოროველა

სიმღერა „ნეტავი გოგო მე და შენ“ იწყება მისამღერით – „არი, არა-ლედა“. რა თქმა უნდა, ამ მისამღერში არი და არა უკვე ვიცით რას ნიშნავს, ამიტომ, უეჭველია, ეს სიმღერაც წარმოქმნილია მზე ღმრთისადმი რწმენის ნიადაგზე და მეცნიერთა მიერ სხვა ძირითადად მიჩნეული ტექსტი და მისი თემატიკა გვიანდელია.

იმის შემდეგ რაც, ზემოთ, საფუძვლიანად, დავადგინეთ, რომ ორო მზის სახელი იყო, შევეცადოთ სრულფასოვნად გავაანალიზოთ ერთი ფენომენალური კახური სიმღერა: ეს სიმღერა გახლავთ – „ოროველა“: "..."ოროველა"(ორელ, ოროელ, ოროველი ორველი,) ქართული ხალხური შრომის სიმღერა. გავრცელებულია ქართლსა და კახეთში. უკავშირდება მინისა და მოსავლის ნარმართული ღვთაების ოროველის კულტს (მაგ. „ოროველ ორმო ჩასთხარე ქვიანი. მოგვეც ბარაქა“). მღერიან გუთნით მინის ხვნის, კალოზე პურის ლეწვისა და განიავების დროს.... გვხვდება სომხ. ფოლკლორშიც (ოროველ, არაველ, რაველ, ოროლ, დოროლ); სომხ. ოროველა მუსიკალური აღნაგობითა და სიტყვიერი ტექსტით ქართ. ოროველას მსგავსია....“ ცხადია, ორო ამ ორო-ვ-ელა-ს ქართ.- სომხ. სახელებში მზის სახელია.

ამგვარად სეგმენტირებული, კახური – ორო-ვ-ელა სიმღერას ელა, ასევე, ცხადია, წარმომავლობის სუფიქსია. ესე იგი, თავდაპირველი ფორმა იყო ორო-ელა. შემდეგ ორო და ელა ნაწილებს შორის ვ განვითარდა, როგორც ეს ხმოვანთშეზობლობას შორის ხშირად ხდება (ყიფშიძე, უთურგაიძე, ახვლედიანი, ცხადაია): და ორო-ელა > ორო-ვ-ელა განხორციელდა. იქნებ მეტი განმარტებებია საჭირო, მაგრამ მთავარია ისაა რომ ორო აქ გახლავთ მზე.

ორო, მეგრულში, ასევე ჩრდილს აღნიშნავს, რაც ლოგიკურია, რადგან ჩრდილი მზის გარეშე არ არსებობს. ანუ, უეჭველია: აზრობრივი წარმონაქმნი (სემანტემა) ორო „ჩრდილი“ ვერანაირად წარმოიქმნებოდა აზროფორმა „ორო არის მზე“; „ორო არის მზის სახელი“ რომ, მანამდე, არ არსებულიყო: მ. ე., როგორც ხშირად ხდება, აზრობრივი ტრანსფორმაციის: მზე, მისი ნათელიდან > ჩრდილის მიღების პარალელურად მოხდა ტერმინის მიგრაცია: სახელი ორო „მზე“ გადანაცვლდა > ორო – სახელად „ჩრდილი.“ ამგვარად, მეგრული ორო ჩრდილი უტყუარი მამტკიცებელია იმისა რომ ორო ნამდვილად იყო მზის სახელი.

სიმღერა ორო-ველა-ს ორო ფრაგმენტთან პოულობს გამოძახილს აგრეთვე მეგრ. ხარისადმი შეძახილი – გაჩერების მოწოდება – ორე. იგივეა ესპანურენოვან ქვეყნებში ორე // ოლე.

ჩვენთან ძველად ხარს, ხვნის დაწყების წინ რქებზე სანთელს უნთებდნენ. ანუ ხარი იყო გაფეტიშებული. ამგვარადვე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, იყო მისი კულტი გავრცელებული. ეს მზე ღმერთ ორა-ს დამსახურებაა და კოლხურიდან განივრცო.

მკითხველს ლოგიკურია გაუჩნდეს კითხვა: თუ ორო-ვ-ელა-ში ორო მზე ღმერთის აღმნიშვნელი იყო, რატომაა დღეს იგი შრომის და არა მზის საგალობელი? – არქეოლოგიური მონაცემებით უტყუარად დამტკიცებულია რომ მზე ჯერ კიდევ ნეანდერტალელი ადამიანის ღმერთი იყო. ანუ მისი ისტორია ასეულ ათასწლეულებს მოიცავს. მიწათმოქმედება კი რალაც, დაახლოებით, ერთი ათათასწლეულის ფარგლებშია. წარმოვიდგინოთ პირველი მიწათმოქმედის ფსიქიკური მდგომარეობა, როცა ის ბუნებასთან უთანასწორო ჭიდილში ცდილობს გამოსტაცოს მისი პირველი მიწათმოქმედების ნაყოფი. ვის უნდა სთხოვოს მან დახმარება, რომელი ღმერთია ამ დარგში, მისი გაგებით, სპეციფიური? რა თქმა უნდა ღმერთები ბევრნი არიან, მაგრამ რეალურს – მატერიალურად აღქმად სითბოს და შუქს მხოლოდ მზე იძლევა. თანაც ისტორიულად იგი უზენაესი ღვთაებაა: იგი ერთადერთია პირველი კოლხი მიწათმოქმედის შრომის ნაყოფიერების განმაპირობებელი, როგორც ცოცხალი ბუნების დედამშობელი. მართალია ამ და სხვა ს. სამეურნეო მოტივის სიმღერებში შრომის პროდუქტის სიუხვის თხოვნაა („ოროველ პური მოგვეც“ და ა. შ.), მაგრამ, უწინარესყოვლისა, ეს ხომ მზეზეა დამოკიდებული, მისი პრეროგატივაა.

ორო-ელა-დან მიღებული ორო-ვ-ელა და ო-რა-ლე-დან წარმოქმნილი >// ა-რა-ლე (იპოსტასის შეცვლით) ახალი ღმერთების ახალი (შრომის) სახელები გახდნენ მაგრამ ეს ცვლილებები არა იმ

დონისაა, მათში ორა და ორო სახელებით გაცხადებული მზე ღმერთის სიდიადე არ ჩანდეს.

აი, როგორ იცვალა იპოსტასი (დანიშნულება) მზის საგალობელმა შრომის სიმღერად; აი, როგორ შეიცვალა მზის სიმღერა ორო-ელ შრომის სიმღერა ორო-ელ–ად. ანუ აი, როგორ ბოლოდროინდელმა ახალმა რელიგიურმა ორიათასწლოვანმა აზროვნებამ, კოლხური წარმომავლობის დასახელებულ კახურ, სომხურ სიმღერაში მზის გაგება მეხსიერებიდან ამოშალა.

ორა, ჰორა; ჰრა; რიჰო რიჰოია, ჰოროსი.

„... ეგვიპტური ჰორ-ჰრა-რა იგივე მზეა (რამზეს – მზეთამზე). შესაძლოა ამას უკავშირდებოდეს სვანური სიტყვა რიჰო „განთიადი“; განთიადის (ღვთაების) უძველესი საგალობელი...“ იხ ა. გ. მ.ლ. გვ 627. როგორც ვხედავთ, ა. გელოვანი, მახვიგონივრულად, ეგვიპტურ ჰორ-ჰრა-რა რამზეს სახელებს უკავშირებს სვან. რიჰო // რიჰოია-ს. ოღონდ ფრთხილობს: ხმარობს სიტყვას „შესაძლოა.“

ეს დიდი მიგნება–აღმოჩენაა. უფრო მეტიც: ვაკეთებ სენსაციურ განცხადებას: ეგვიპტური ჰორ-ჰრა, სვანური რიჰო //რიჰოია, ეგვიპტურ-ლათინურ-ბერძნული ჰოროსი, არათუ ურთი-ერთკავშირშია, არამედ ერთი საერთო კოლხური წარმომავლობისანი არიან: ეს საერთო ძირი გახლავთ ზემოთ მრავალგზის მოხმობილი ო-რა.ესე იგი ისინი – ორა სახელის დერივატები, ანუ სახეცვლილი ორა გახლავან. ორა > ჰორა; ჰორა >ჰრა; ორა > ჰორა > სვ. რიჰო // რიჰოია.

სვანური უორაშ „ლუდი.“ მეგრ. ალადასტური „ჯიში ვენახისა“ და ოროდონი „ქვასანაყი“

დანილო იურაჩკივსკი წერს: „სვანურად ლუდი არის – უორაშ. ალბათ მეგრულადაც ასეა, ოღონდ შ ბგერის გარეშე–ო“. ანუ მეგრულად ლუდი, ალბათ, უორა არიო: მეგრ. უორა იგივე უცორა = „უყვართ,“ რაც ლუდთან მიმართებით ნამდვილად სადაგია, მაგრამ აქ განმაპირობებელი სახელდებისა სულ სხვა – უფრო მნიშვნელოვანი მიზეზებია: მეგრ. ო და უ ერთიდაიგივე ალომორფალურ სახელებს ქმნიან მაგ. ჩხომ – ჩხუმ „თევზი“: მეგრ. კუთვნილების ო და ში მანარმოებლებით გაფორმებული (შდრ. ო-მარგალე-ში „სა-მეგრელოსი“), საწყისი სახელი ლუდისა – ო-ორა-ში „ ორა მზე ღმერთისთვის განკუთვნილი“ ითქმოდა, ასევე, როგორც – უ-ორა-ში. ეს უკანასკნე-

ლი, სვანურისათვის ჩვეული – ბოლო ხმოვნის მოკვეცით, იქცევა უო-რაშ ფორმად: ო-ორა-ში // უ-ორა-ში > უ-ორაშ „სვ. ლუდი.“

მეტადრე რთული ცვლილებებია მომხდარი მზე ღმერთ ორა-სადმი მიძღვნილი მეგრული ყურძნის საუცხოო ჯიშის – ალა-და-სტურ-ის შემთხვევაში: თავდაპირველი ფორმა ამ სახელისა იყო – ორა-დაშ-თური: ორა-და უკვე ვიცით სიმღერაა მიძღვნილი მზე ღმერთისადმი, ორა-და-ში იქნება – ორა-და-სი, ხოლო თური რაკი ჯიში, ნათესავია მეგრულად, – ორა-დაშ-თური იქნება სიმღერა ორადას ჯიშისა ანუ ისეთივე საუცხოო როგორიც ორადა სიმღე-რაა: ფონეტიკური ცვლილებები – ორა-დაშ-თური > ალა-დას-ტუ-რი კი აბსოლუტურად კანონიერია.

მეგრ. ოროდონი ქვასანაყი ბოსტნეულებისგან სუნელთა სანა-ყად გამოიყენება. მას კიდევ ქვინჯე ქვია. ქვინჯე გასაგებია: ხეში გაკეთებულ ღრმულში ქვით ბოსტნეულის და სხვათა საკაზმი ინა-ყება, ამიტომ ქუა + ჯა უდრის „ქვა + ხე“ > ქვინჯე მარტივი ასახ-სნელია. მაგრამ ოროდონი? რა ეტიმ. ამოსავლიანობისაა იგი? რათქმა უნდა, აქვე ალადასტურის ეტიმოლოგია რომ არ გაგვეკე-თებინა მისი ამოხსნა გაჭირდებოდა. ახლა კი საქმე მარტივადაა: იგივე სიმღერა ორადა // ორადო გახლავთ ამოსავალი. ნი კი სუ-ფიქსია. უეჭველია: ამ სანაყით ორა // ორო ღმერთისადმი მიძღვნი-ლი ტრაპეზის საკაზმი ინაყებოდა...

სახელები: ორო, ორდო, დორო, დრო, დილა, ბორჯი, ლილე, დოროთე

უკვე განვიხილეთ თუ რა აზრობრივ კავშირში არიან ორა „მზე“ და მეგრული – ორო „ჩრდილი.“ მარტვილში დილას ორდოს ეძახიან. იგი უძველეს ორო-დანაა, როცა ორო, უთუოდ, მზის დი-ლის ჩრდილს აღნიშნავდა. მართლაც დილა ხომ, მზის ამოსვლამ-დე, მისივე ჩრდილია. ბგერითი ცვლილებები მარტივია: სანყის ორო სიტყვის წინ დ მადფერენცირებელი განვითარდა, შემდეგ კი – შუაში გადაინაცვლა. ორო „მზის(დილის) ჩრდილი“ + დ > დ-ორო* //> ორ(დ)ო.“დილა.“ ოდესღაც, ამ (ორო + დ >) დორო* აღდგენილი ფორმის არსებობას ადასტურებს ქართული სიტყვა დრო: აშკარაა: დორო* აღდგენილ ფორმაში ო ხმოვნების ურთიერთგავლენამ მო-ახდინეს კვეცა. დორო* > დრო. ეს პროცესი ფსიქოლოგიურ ასპექ-ტშიც უაღრესად ლოგიკურია რამეთუ ორო „მზის ამოსვლამდე მი-სივე ჩრდილის“ გაგებიდან მიღებული დორო* მნ-ბით „დილა“

ფრიად შთამბეჭდავი და თვალსაჩინო მოვლენაა. სენსაცია: მ. ე, ბერძნული ჰორა „დრო, ჟამი" ჩვენი წინაპრების მონაგარია!!...

მეგრული ორდო „დილა" და რუსული უტრო „დილა" თითქმის ერთიდაიგივე სიტყვაა. რა თქმა უნდა, რუსული უტრო გახლავთ ოდნავ ცვლილი ორდო: ორდო > უ-დ-რო > უ-ტ-რო!!.. სომხ. ვალ-ორდ-აინ „დილაადრიანშიც" ძირია ორდ (< ორდ-ო); ამის შემდეგ, განა საეჭვოა ქართ. დილა იყოს მიღებული ზემოთქმულ დ + ორო > დორო*-დან.

ამგვარად, ქართ. დილა-ს, რუს. უტრო-ს, სომხ. ორდ ძირის, ლათ. ჰორუ-სის, ეგვ. ჰორ-ჰრა-ს, ბერძნ. ჰორა-ს, სვან. რიჰო-ს, მეგრ. // ქართ. დრო-ს, მეგრ. ორდოს და სვანურ რიჰო-ს დედამშობელი ო, რო იგივე ო, რა, ოდინდელი, მზის საგალობელია: საოცარია, მაგრამ ყველაზე ღრმა ბგერითი ცვლილებები ქართ. დილა-მ განიცადა, თუმცა არა იმდენი ჭირდეს მისი წარმომავლობის დადგენა: მეგრ. დილის აღმნიშვნელი ორდო-ს წინაფორმა დორო* და ქართ. დილა ექვივალენტური ბგერებისაგან შედგებიან: რ სონორი შეცვალა ლ ლატერალმა; ხოლო ო ვოკალი ი და ა ხმოვანი გახდა: დ + ორა > დორა* > დირა* > დილა.

მეგრ. ბორჯი „დრო": ორა* თუ დილა სახელის საწარმოებლად, დ-თი რთულდება, აქ ბ ბაგისმიერია გამოყენებული და დამატებით ხდება რ სუფიქსაცია: აღდგენილ ბ-ორა* > ბორა-რ-ი*-ს მეორე რ რთულდება ჯ აფრიკატად > ბორა-ჯ-ი* > კუმშვა > ბორჯი მეგრ. „დრო".

კვლავ სენსაცია: რაკი რ სონორის ლ მისმაგვარივეთით შეცვლა ადვილად ხორციელდება, ზემოთქმულთა საფუძველზე, უეჭველია: სვ. მზის, დიდებული, საგალობელი – ლი-ლე წინათ რი-რე* იყო და რა კოლხურ მზე ღმერთს ეძღვნებოდა.

კიდევ დასკვნა: ვინაიდან მზის უბადლო საგალობელი – სვანური სიმღერა ლი-ლე წინათ რი-რე* ფორმით არსებობდა, გამოდის, ერთ დროს, რი და რე, ასევე რო მარცვალი და ა. შ., დამტკიცებულად, იყო მზე ღმერთის სახელები.

ისევ გავიხსენოთ აფხაზურ-მეგრული სიმღერა „ვარადო:" მას მეგრელები უფრო „ვა, რა დო, ო, ო" ტექსტით მღერიან. აფხაზები კი – ამგვარად – „ო, რო, დრო. ო. ო." მ. ე, სწორედ აფხაზურმა შეინარჩუნა რო მარცვალი და ბგერათკომპლექსი – დრო ოდინდელ მზის სახელებად. ეს უკანასკნელი, შემდეგ, როგორც ზემოთ დავამტკიცეთ, დროის აღმნიშვნელი გახდა.

ზემოთ, ასევე. ვთქვით, რომ "...ოდესღაც (ორო + დ >) დორო* აღდგენილი ფორმის არსებობას ადასტურებს ქართული სიტყვა დრო. რადგანაც აქ აშკარად ჩანს რომ დორო* აღდგენილი ფორმაში ერთგვაროვანი წევრების (ო ხმოვნების) ურთიერთგავლენამ მოახდინეს კვეცა: დორო > დრო..." მაგრამ აშკარაა, რომ აფხაზურ ტექსტში სიღერისა – „ო, რო, დრო, ო, ო" სიტყვა დრო იხმარება არა დროის მონაკვეთის აღმნიშვნელად, არამედ მზე ღმერთის სახელად. ეს შემდეგ განხორციელდება ამ გაგებისგან ტერმინის დაცლა და დროის ცნების ათვისება. უეჭველია, არსებობდა გარდამავალი პერიოდი, როცა დრო ორივე ცნებას მოიცავდა.

დროის პერიოდი თვალშისაცემი აღქმადი მოვლენაა. მაშ, წინ რა დაუდგება იმას, რომ აზროფორმა – დილის მზის ჩრდილი > „დილა // დროის მონაკვეთი" აღზევდეს უფრო დიდ აბსტრაქტულ ანუ ზოგადად დროის მნიშვნელობად. ეს ერთი. მეორეს მხრივ, კი ვლადიმერ ალფენიძეს მართებული მტკიცებით, მეგრული და ქართული დროის მონაკვეთის აღმნიშვნელი სიტყვა ჟამი, ასევე, მიღებულია მეგრული მზის აღმნიშვნელ – ბჟა სიტყვასაგან.

ეს პარალელი კი უეჭველს ხდის ზემორე გაკეთებულ დასკვნებს: მ. ე. დორო* > დორა* > დირა*- > დილა და დორო* > დრო ფონეტიკური ცვლილებები დამტკიცებულია. დორო* წინაფორმის არსებობას კი, ასევე, ამტკიცებს სამეგრელოში გავრცელებული მამაკაცის სახელი – დორო-თე (უდრის დორო „მზე" + თე „სინათლე") და ქალის ი. ე. სახელი – დორო-თე-ა.

Рыжый რიჟიი, Рыжая რიჟაია, რიჟ-რაჟი, მურუჟი ვახტანგ მარშანიამ რუს. Рыжый, Рыжая ქართ. რიჟ-რაჟ სიტყვას დაუკავშირა: ამ რიჟ-რაჟ-ის მეგრ. ფონეტ. შესატყვისია მურუჟი: მეგრ. მურუჟი რე = „ ბინდ-ბუნდია // ადრიანი დილაა" აქედანაა მიღებული ამ სიტყვის როგორც ბურუსის, ბინდის გაგება: მურუჟო ვორწყექ = „ბინდ-ბუნდში ვხედავ.".

რიჟ-რაჟი-ს ეტიმოლოგია ასეთია: დუბლირებული ფრაზა – რა ჟა – რა-ჟა = მეგრ. „რა მზე რა მზე" (უკვე ვიცით რომ ჟა მეგრულად, მოფერებით მზეა, რომლის წინაფორმაა შა* „მზე") გვაძლევს რაჟა-რაჟა* სიტყვას > დისიმილიაცია, კვეცა და > რიჟა-რაჟა* > რიჟ-რაჟი. ხოლო რ > მ მონაცვლეობითა და გამარტივებით, მურუჟი მიღებულია რუჟ-რუჟ*-ისაგან: > რუ-რუჟ-ი* მუ > რუჟი. ამ უკანასკნელის ფრაგმენტი – რუჟი კი სლ. რიჟ-ის ფონეტ. ვარიანტია.

დორა, დორო, თეა, ფეტელა-ვა, დოროფეევი

დ კბილისმიერი სადიფერენციო ბგერად მაქვს დასახელებული,

რადგან სიტყვას თუ დაერთო სხვა მნიშვნელობას აძლევს მას. მაგ: ორა მზე ღმერთის სახელს თუ დ დაერთო ვღებულობთ მზე ღმერთის სახელ დ-ორას, მარა იგი, იმავდროულად, ყველის შესანახი ჭურჭელიცაა. ამ ჭურჭელს დორა იმიტომ ეწოდა, რომ მასში ჩადებული ყველი მზის დისკოსებურ ფორმას ღებულობს. მაშასადამე, დორა მზისა და ჭურჭლის სახელიდანაა პირსახელი – დორო...

ფა მეგრულად არის მცენარე. ის ფო, ფუ, ფე, ფი ფორმებითაც რომ არსებობდა ამის მამტკიცებელია უძველესი ტოპონიმი ფა-თი* და დღევანდელი – ფო-თი და ფუ-თი. მეგრ. თი = ადგილი,

ამიტომ ფა-თი, ფო-თი, ფუ-თი „მცენარის ადგილია“... გვარი ფე-ტელა: ფე რაკი მცენარეა, ხოლო თელა კი – სიცოცხლე, ფე-თელა* იქნება „მცენარის სიცოცხლე“: აქედანაა გვარი ფეტელა, ფეტელავა.

აგრეთვე, დორო-ფე* იქნება (რაკი დორო მზე ღმერთია) „დორო ღმერთის მცენარეულობა“ აქედანაა სლ. გვარი დორო-ფე-ევი...

ამონი, ამრა, ამანი, ამონ-რა

ეგვიპტურ იეროგლიფურ წარწერებში მზე ღმერთს, რა სახელის გარდა, ამონი და ამონ-რა-ც ეწოდება. რა, როგორც მზე ღმერთის სახელი უკვე გასაგებია, მაგრამ რანაირი ეტიმოლოგიისაა ამონი? პასუხისთვის მოვუხმოთ მეგრულში დავიწყების საშიშროებიშ ქვეშ არსებულ ერთ საინტერესო თქმას, ეს თქმაა – ამან მოძახინაფუ : თიცალს მაჭუდ – ამან მოძახინაფუ – „ისე მტკიოდა – ამანი მაძახებინა.“ თუ მეგრელები განსაკუთრებული ტკივილის დროს თუ სხვა არაორდინარულ სიტუაციაში მშველელად ამანს უხმობენ, ეგვიპტური ღმერთებზე ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ და იმის გათვალისწინებით, რომ ამონი უძველესი მზე ღმერთია ეგვიპტელებისა, ეს მეგრ. ამანი სხვა არა შეიძლება იყოს რა თუ არა მზე ღმერთი – ამონი (მეორე ათასწლეული ჩვ. წ. აღ-დე).

ქართველური ყველა მზის სახელი მეგრ ბ-ჟა, სვ მ-იჟ, ქართ. მ-ზე (ძვ. ქართ. მ-ზა) ბილაბიალითაა გართულებული. ასევე, აქვე, ზემოთ, ვაჩვენეთ, რომ ქართული დილა და მეგრული ბ-ორჯი სახელებში დ და ბ ფონეტიკური დანართები არიან (ჩვენებურად – მადიფერენცირებელნი). ამგვარადვე, ეგვ. ამონ სახელის წინფორმა ორა-ც მ ბაგისმიერის დართვის შემდეგ > მ-ორა* გახდა მზე ღმერთის სახელი. შემდეგ, დროში, შესაბამისად წარმოიქმნა ვედრების

ფრაზა ო, მორა* უფრო მეტიც: მზე ღმერთად იმდენად ძველია, დიდ დროში შორისდებული და სახელი ისევ შეირწყა სახელად ღმერთისა – ომორა*. ამ უკანასკნელის რ > ნ მონაცვლეობამ მოგვცა ომონ, რომელიც, ეგვიპტურშივე იქცა ამონ–ად, ხოლო მეგრულში დღესაც გვაქვს ამან, ზემოთხსენებულ მიმართვის სახით.

როგორც ითქვა, რა და ამონი ეგვიპტურ წარწერებში ამონ-რა სახითაც გვხვდება, რომელიც შეკუმშული ფორმით არის აფხაზურში: ამონ-რა > ამრა „მზე“!

მ. ე: 1. ზემოთქმულ მეგრ. სენტეციაში დაცული ა–მან–ის ორივე ა ძველთაძველი ო–ს დელაბიალიზაციის შედეგია და, ამგვარად, ო > ა ფონეტიკური პროცესის არქაული და ზოგადქართველური კანონზომიერების მადასტურებელია. 2. აფსუური ამრა „მზე“, წარმომავლობით, ფონეტიკურად ცვლილი კოლხური ო-რა-ა; 3. ეგვიპტური მზე ღმერთის სახელი – ა-მონ-რა სამწილედი – ო შორისდებული + იდენტური მნიშვნელობის მქონე ნაწილებისაგან – მონ და რა-საგან) არის შემდგარი...

ბორჯღალის ეტიმოლოგია

მეგრ. // ქართ. დრო, მეგრულად, კიდევ ითქმის როგორც ბორჯი: მაინჯუ ბორჯი – „სალამო ჟამი“; თე ბორჯის – „ამ დროს“ ითქმის ასეც – თე ბორს: ჯ-ი ამოვარდა...

უკვე ვიცით, რომ დრო იყო მზის უუძველესი ერთ–ერთი სახელი (მისი ერთ–ერთი ალომორფალური ფორმა); რომ დრო და ბორჯი ამოზრდილნი არიან ერთი საერთო – მზის უფრო ძველ, წინაფორმა, ალომორფალურ სახელებიდან: ბორჯი არის ბორჯ-ღალ სახელის საწყისი კომპონენტი. რა შეიძლება იყოს ღალი?...

ბორჯ-ღალს გააჩნია ტოტების თუ მახვილების მსგავსი განშტოებანი. და ეს შეიძლება ყოფილიყო ჯღალი ან ყალი. ჯღალი მეგრულად არის შალაფას და მისმაგვართა მახვილისმაგვარი ფესვები. ყალი კი – ტოტია. ამგვარად, ჯღალი, სავსებით, მოსალოდნელია, ყოფილიყო მზის სხივების სიმბოლოდ გამოყენებული. ანუ ბორჯ-ჯღალი* „მზის მახვილები // მზის სხივები“ > ბორჯღალი..

ანდა ბორჯ-ყალ-ი* > ბორჯ-ღალ-იც დასაშვებია. სამეგრელოში (ს, ცაიში მე-8 ს. ჩვ წ. აღრიცხვამდე) ნაპოვნია ოქროს სვასტიკა. გ. ელიავას მიხედვით, მისი ტოტები მზის მოძრაობის მიმართულების მაჩვენებელია.

ბორჯ-ღალის ეს ეტიმოლოგია იმაზე მიანიშნებს, რომ მზის ისეთი შორსწასული ფორმაც კი როგორიც მეგრული ბ-ორ-ჯი-ა, სანამ დროის მონაკვეთის თუ, ზოგადად, დროს ცნების მომცველი გახდებოდა, მზის სახელი იყო.

მეგრული სიმღერა „ხემ ხვაიე ხვარიელი“

სახელოვან მკვლევარ – კალისტრატე სამუშიას მიხედით, ეს სიმღერა ცნობილია „ხემხუ რე დო ხვარიელი“ სახელითაც, სადაც ხემხუ, მისი თქმით – ვენახის ღმერთი იყო. იგი, ასევე, სახელია ვაზის ერთ-ერთი, იშვიათი და საუცხოო, ჯიშისა. მთლიანობაში „ხემხუ რე დო ხვარიელი ნიშნავს – „ხემხუ“ არის და ხვავრიელიას.

სიმღერა „ოჩეშ ხვე დო ხვარიელი“

ოჩე მეგრულად დიდი ყანის სინონიმია, ასევე იგი (ოჩე) დიდსაც აღნიშნავს, ხვე – ხვავია, ხვარიელი კი ხვავრიელი გახლავთ. მთლიანობაში „ოჩეშ ხვე დო ხვარიელი“ დიდი ყანის ხვავი და ხვავრიელობა იგივე ბარაქაა... მაგრამ მთავარი ამ სიმღერაში მისი მისამღერია, რომელიც ასე გამოითმის: ვო, რე, რო, რე, რო, შა; ვო, რე რო, რე, რო, შა; ვო, რე, რო, რე, რო, შა; ვო, რე, რო, რა... ე. ი, ვო, რე, რო, რე, რო, შა-ს – სამჯერ, ხოლო მეოთხეჯერ – ვო, რე, რო, რა დამღერება ხდება (აქ შა-ს ნაცვლად რა გვეელინება). განა სასწაული არაა? მზე ღმერთის, რ ბგერიდან ამოსული, თითქმის ყველა ერთმარცვლიანი ალომორფი – რა, რე, რო სახელები და თვით შუმერულ მზე ღმერთის შა სახელიცაა მოცემული. უკვე დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ: „ოჩეშ ხვე დო ხვარიელი“ სიმღერას მისამღერის მსგავსად, შრომის სიმღერები „არალე,“ „ოროველა“, „ოდო,“ „ოდოია“-ც, თავდაპირველად, მზის სადიდებელი სიმღერები გახლდათ.

მეგრული სიმღერა „ოდა“

ამ სიმღერაში ოდა და დელა – მზის სახელები იხსენიებიან. დელა იგივე დილაა, ივ. ჯავახიშვილი, ცისკრის ვარსკვლავისადმი მიძღვნილ მისამღერად რომ თვლიდა, უკვე ვიცით, რომ მზე ღმერთის სახელები გახლავან. იგივე ითქმის, აგრეთვე, მეგრულ სიმღერა „ოდოია“-ზე, რომელშიც მოხსენიებული ოდო და ,ასევე, თავად ოდოია მზე ღმერთის სახელებია. ისინი მიღებულნი არიან ორდო-

დან, რ ბგერის ამოვარდნის შემდეგ. (სკანდინავიურ ოდინ ღმერთის სახელისა და ოდოს შესახებ, ასევე, იხ. ვლ. ალფენიძე „რ. თ“).

არტემ ივანცოვი: „... ლა-ოდი-კა პრიამის ასულია.“ ამგვარად, ლაოდიკა თავად პრიამის, ჰექტორის და პარისას შემდეგ, უკვე მეოთხე ქართველური შეხედულებით ინტერპრეტირებული ტროიანული სახელია: ლაოდიკა კვიპროსის პირველი მეფის – კინირის ასულია: კვიპროსთან დაკავშირებითაც უკვე ყველაფერი ნათელია: ჰეროდოტეს მიხედვით, ლაოდიკა ერთია ორი ჰიპერბორეელი ქალიშვილთაგან, რომლებიც ელადაში ამ უცნობი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. ... იქ რომ ლაზურად მეტყველებდნენ ეს ფაქტია. ბევრი ლაოდიკაა საბერძნეთში, მაკედონიაში, რაც არაა გასაკვირი, მაგრამ ბევრად საინტერესოა, რომ ისინი ცხოვრობდნენ კაპადოკიაში, კპმმაგენში, ბაკტრიაში, სირიაში, პონტოში, მოკლედ ყველგან ჩვენს მიერ ქართველურენოვნად გამოცხადებულ ადგილებში...“

არტემის მხარდასაჭერად მაშინვე უნდა განვაცხადო, რომ სამეგრელოს ბოლო ათასწლეულის მმართველები – დადიანები თავს ტროას მეფეების მემკვიდრეებად თვლიდნენ.

გარდა იმისა რომ, მეგრელები მღერიან უძველეს მეგრ. სიმღერა ოდა-ს. სამეგრელოს სინონიმური სახელია ოდი-ში. ოდა-ში // ოდი-ში = ოდა // ოდი-სთვის განკუთვნილს. ეტიმოლოგიურად ოდა // ოდი მეგრ. ორდო „დილა''-დანაა, რომელიც წინათ მზის სახელი იყო. იკა ცნობილი სუფიქსია, ლა პრეფიკსი კი ხშირად სივრცის გაშლილობას გამოხატავს. მაგ: ლა-ფარ-ო // ო-ლა-ფარ-ე და ა. შ. მაშასადამე, ლა-ოდი* > ლაოდიკა = მზე ღმერთისთვის განკუთვნილი ტერიტორია. იგი იმგვარი აზრობრივი სქემითაა წარმოქმნილი როგორც არათა // < ორა-თა „ორას ადგილი.“

რა, რე, რი, რო მზის სახელის აღმნიშვნელ მარცვალთა შებრუნებით მიღებული გვარ-სახელები

როგორცა ვთქვით, გვარ-სახელ-სიმღერებში, ხშირად, მზის სახელად, რ თანხმოვნიანი მარცვლები – რა, რე, რი, რო შებრუნდებიან: ჯერ ისევ დავასახელოთ რა, რე, რი, რო მარცვლებით გამოხატულ მზის სახელიდან წარმოქმნილ გვარ სახელები. მაგ: გვაქვს ანთროპონიმი რატი (რა-ტი უდრის რა + თი. უდრის რა ღმერთის ადგილი, მისი წილხვედრი მიწაწყალი); რა თქმა უნდა იგივურნი არიან გვარები: რა-ტია, რა-ტიანი;

ხშირად რაკი, ძველ ხალხურ შემეცნებაში ღმერთი ზევით –

ცაში იგულისხმება, თავად სიტყვა ზენამ ზენა–არ–მა მიიღო ღმერთის მნიშვნელობა. მაგ: ქართ. აზნაური, როგორც ენათმეცნიერებაში გააზრებულია სომხური აზნს „გვარი“ ან სპარსული ზანა „ერი“ და აზნას „ნარჩინებული''-დანაა: არაა სწორი: იგი ქართ. ზენა ზენაარიდანაა და ამას უტყუარად ადასტურებს მეგრ. ჟინოსქუა, რომელიც, ზედმიწევნით, „ზენას, ზენაარის შვილს“ ნიშნავს.

მეგრულ ხალხურ ფილოსოფიაში მაფა „მეფე“, თარი „მთავარი“ და ჟინოსქუალეფი ღვთის შვილები გახლდათ... ამგვარად, ჩვენს მიერ რესტავრირებული, ქართული ზენა–ური*, რომლიდანაც აზნაური სიტყვაა მიღებული და მეგრული ჟინოსქუა იდენტური ეტიმოლოგიური ამოსავლიანობისანი გახლავთ და, ამიტომ, საკითხი აზნაურ ტერმინის ნასესხობის თაობაზე გადასახედია...

მეგრ. ჟი // ჟიდონი „ზევით // ზევითა-ს ცნებიდანაა სახელი –"რაჟდენი (რა + ჟინი იგივე ჟიდონი > რა-ჟიდონი > რაჟდენი);

პირსახელი რეზო (უდრის რე „მზე“ + ზო, ქართ.“ მზე,“ უდრის მზე ღმერთი სახელად რე: რე და ზო მარცვლების მეშვეობით, მზის ცნება გაორმაგებულია; იგივეა რე-ვა-ზი; ვა მარცვალი ამ პირსახელში ო ხმოვნის, (ქართულ ენათმეცნიერებაში დადასტურებულად) დაშლითაა მიღებული. ზი ფრაგმენტი კი ამ სახელისა ძველქართული მზის მნიშვნელობის მქონე მზა //< ზა* ფორმის ცვლილებაა. ანუ სახელ რევაზის წარმომქმნელი საწყისი ფრაზა იყო რე, ო, ზა > რე, ო, ზი >// რევაზი;

პირსახელი – რე-ო (ეს სახელი ვედრების მიმართვაა – რე, ო მზე ღმერთისადმი) და გვარი რე-ვია, რე-ვი-შვილი; უკანასკნელნი წარმოებულნი არიან რე, ო მზის ვედრების გამომხატველ ფრაზაში ო ხმოვნის დაშლით ვი მარცვლად – რე-ო > რე-ვი;

პირსახელი რი-მა (უდრის რი + მა, უდრის რი „მზე“ + მა „მე“ უდრის მე მზე ანუ მე ვარო მზე ღმერთის მიმდევარ-თაყვანისმცემელი); პირსახელი როენა (რო + ნენა უდრის მზე დედა); რო-მა (რო + მა უდრის მზე + მე ანუ მე მზე ან მზისიანი ვარო, აი, რას ამბობს ეს ცნობილი მეგრული სახელი). გვარი – როდონაია (უდრის რო + დო + ნაია უდრის „მზე და დედა“); გვარი როგა: რო + გა უდრის რო „მზე“ + გა „ქედი“ უდრის მზის ქედი; რო ფორმითაა მზის ცნება მოცემული გვარ ოროჟონია–ში ო, რო ჟონი, დღევანდელი მეგრულით, უდრის ო, რო ჟინი-ს და უდრის „ო რო ზენაარო''-ს: ანუ უდრის „ო მზეო ზენააროს“: ეტიმ. ეს გვარი იმგვარადვეა ნაწარმოები როგორც პირსახელი რაჟდენი.

აქ, ყველგან, მზე ღმერთის გამომხატველი ალომორფი სახე-

ლები – რა, რე, რი, რო უცვლელნი არიან.

მაგრამ გვაქვს მაგალითები სადაც ეს მარცვლები შებრუნებულნი არიან, მაგ: უეჭველია, ეგვ. რა-მზე-სი – სახელი ღმერთად აღზევებული მეფისა ეგვიპტეში დამსახურებაა კოლხ. რა „მზე ღმერთი“ და ქართ. მზე სიტყვათა შერწყმისა. ანუ რა-მზე-ს სახელში მზის ცნება კოლხურ -ქართულადაა დუბლი-რებული. ფორმობრივად მისი შესატყვისია არ-მაზ-ი – ქართლის ... ღმერთნი... მზისა მომფენელნი“... რომელშიც რა ღმერთის სახელი შებრუნებულია. სამწუხაროდ, მეცნიერნი არმაზს, იპოსტასით, უკავშირებდნენ აჰურამაზდას კულტს (ნ. მარი) ან ხეთურ მთვარის ღვთაება არმა-ს, მაგრამ არა რამზესს. თუმცა, უთუოდ თავად ეს სახელები – აჰურ-რა-მაზ-და და არმა-ც ეგვიპტურ რა-ს უკავშირდებიან:

სახელი რა-მა-ზი უდრის რა „მზე“ მაზ-ი იგივე ქართ. „მზე“: ჯამში რა-მაზ-ი კოლხ-ქართ-ლი სახელია: მ. ე, აქედან და ზემოთხსენებულ რამზესი-დანაა კერპის სახელი არმაზი და შესაბამისი ტოპონიმები – არმაზი სახელით და აჰურ-რამაზ-და და არმაც, რომელთაშიც რა მზე ღმერთის სახელი შებრუნებულია არ ფორმად.

სამეგრელოში ქალის ხშირი სახელია – არ-ია. იგი, უეჭველია, სლ. ენებში უხშირეს ქალის სახელ – რა-ია-ს ცვლილების შედეგია; მეგრ. ია მოფერებას გამოხატავს. სახელებში ხშირია: ჯოტია, ოტია, გვადია, თათია, ხატია და ა. შ. ამიტომ, არია მეგრ. სახელია;

სახელი არისტო, ასე სეგმენტირებული – არ-ის-ტო უდრის არ „მზე“ + ის ქართ. სუფიქსი“ + ტო იგივე თა „ადგილი.“ უდრის „არ მზე ღმერთის მიწაწყალი“;

პირსახელი არონ-ი – არ + ონი, უდრის არ „მზე ღმერთი“ + ონ-ი მეგრ სუფიქსი „აჩვენებს ობიექტთა განფენილობას.“ არ-ონი უდრის მზე ღმერთის სამფლობელო არეალი ანუ სამყარო, აქედანაა გვარი არ-ონ-იაც; გვარ-სახელ , არ-ონ-ია და არ-ონ-ის მსგავსადვეა წარმოებული სახელი არ-ხი-პო. უდრის არ „მზე“ + ხი „მიწა“ + პო, იგივე ფა „მცენარეულობა, მცენარე.“ უდრის არ ღმერთისთვის განკუთვნილი მცენარეებიანი მიწა; გვარი არ-დია უდრის არ მზე ღმერთი + დია „დედა.“ არ-დია ნიშნავს „მზე დედას“; პირსახელი არდა-შელ-ი, გვარი არდა-შელ-ია. აქ არდა მზის სახელი ორდოა, ხოლო შელ* შ ბგერიდან ამოსული ასევე მზე ღმერთის სახელია. გვარი არ-ქა-ნია: აქ ქა იგივე ხა „მიწა“გახლავთ, ხოლო ნია ნანას ცვლილებაა; მეგრული პირსახელი არ-ტე ბერძნული არტემონი სახელის შეკუმშული ფორმაა, მარა, წარმომავლობით, ეს არტემონი საკუთარი არაა ბერძნული, იგი კოლხურია: უდრის არ

„მზე“ + ტე იგივე თა „ადგილი“ + ონი. მ ჩამატებული სახელი არ-ტე-(მ)-ონ-ი, მეგრული ძირისაა და მეგრულივე სუფიქსითაა გაფორმებული, უდრის „მზის ადგილის განფენილობა“. აქ შეგვეძლო დაგვესახელებინა შუმერთა ღმერთი არათა, მარა უფრო სარწმუნოა, ის იყოს ო-რა- თა და არა არ-ა-თა-დან: უდრის ორა მზე ღმერთის ადგილს.

რე მზის სახელი ერ ფორმით გვხვდება სამეგრელოში გავრცელებულ სახელში – ერ-ას-ტო. ეს უკანასკნელი – ერ-ას-ტო ზუსტი შებრუნებული ასლია არ-ის-ტო სახელისა. აქაც, რა თქმა უნდა, ერ არის „მზე“ + ას ქართ. კუთვნილების სა სუფიქსია + ტო იგივე თა „ადგილია.“ ერ-ას-ტო უდრის „ერ მზე ღმერთის მიწაწყალი“.

რი მზის აღმნიშვნელი მარცვლის ირ შებრუნება გვაქვს ქალის სახელ ირ-მა-ში. ირ-მა, რი-მა პირსახელის ცვლილებაა და იმდაგვარადვე როგორც რი-მა ზემოთ უდრიდა რი + მა, „მზე“ + მა „მე“ მზე ღმერთის მიმდევარ-თაყვანისმცემელს, ისიც უდრის ირ + მა – უდრის ირ „მზე“ + მა „მე“– უდრის „მე მზე“ ანუ მე ვარო მზე ღმერთის მიმდევარ-თაყვანისმცემელი;

რო მარცვალი შებრუნდა მეგრულ პირსახელში – ორღა: უდრის ორ + ღა. უდრის ორ „მზე“ + ღა, რომელიც გახლავთ დ მოკვეცილი დღა „დღე“: (დ)ღა > ღა: ჯამში ორ-ღა უდრის „მზე პლიუს დღე,“ უდრის „მზიანი დღე,“ უდრის მზე ღმერთის დღე; რა თქმა უნდა, პირსახელები – რუსული ოლგა და ქართული ოლღა მეგრული ორღა-ს ცვლილების შედეგია: ორღა > ოლგა; ორღა > ოლღა.

მეგრული სიმღერა ვო, იო

მისი მისამღერად თვლილი ტექსტია: ვო, იო, ჰე ვა იო. შემდეგ მოდის ტექსტი, რომელიც ისევ მისამღერადაა თვლილი. თუმცა რა ღმერთის ალიმოფალური სახელებს იმეორებს: აბა, რე, რო, რე, რო, ო, ვო, რე, რა, აბა, რე, რო, რა. ამ სიმღერას არა იმდენად მუსიკალური ღირსებები გააჩნია, რამდენადაც – ისტორიული: საქმე იმაშია, ბერძნ. მითოლოგიაში – კერძოდ ოდიჳსის „მეტამორფოზებში“ და ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეში“ იო-ს მითი კოლხეთ-საბერძნეთ-ეგვიპტის ერთიანობას ასახავს. ამის შესახებ იხ. Iutubi.com იხ.: „ხვამლის მთის საიდუმლოება“ ფილმი პირველი ფილმი მეორე: „... მითებიდან ცნობილია: იოს დავალებით, ჰერაკლე უნდა აყვეს ფასის მდინარეს, მარცხენა მხარეს მიადგეს გამოქვაბულს, საიდანაც წყალი გამოედინება, გადააგდოს ეს წყალი, შევიდეს შიგ და გაანთავი-

სუფლოს პრომეთე..." ხვამლის მეცნ. ექსპედიციის ხელმძღვანელი – გურამ გაბიძაშვილი „; ასევე ფილმ პირველშია: „..იო მზის ღმერთი ზევსის საყვარელია, რომელიც თავის ცოლმა ჰერამ რომ არ გაიგოს იოს ძროხად აქცევს, მაგრამ ჰერა მაინც მიხვდება და იოს მწვალებლად კრაზანას მიუჩენს. კრაზანა იოს ქვეყნიდან ქვეყანაში მიერეკება და ბოლოს ხვამლის მთაზე მიჭედულ ტიტან პრომეთესთან ალმოჩნდება და შველას თხოვს მას. პრომეთე ეგვიპტეში ურჩევს გამგზავრებას. იოც ასე იქცევა. ეგვიპტეში ზევსი ნილოსის ნაპირას ისევ უბრუნებს მას პირვანდელ სახეს. ზევსისგან შემდეგ, მას ეყოლა შვილი ეპაფე, პირველი მეფე გაერთიანებული ეგვიპტისა. ასევე მისი სახელია მენესი, იგივე ნარმერი, დამაარსებელი ქალაქ მემფისისა. ეგვიპტეში. იო იგივე ხათხორია – ცის, სიყვარულის, ქალურობის და სილამაზის ქალღმერთი, მზე ღმერთ რა-ს ქალიშვილი. იგი ციური ძროხაცაა, რომელმაც შობა მზე. ახალი სამეფოს პერიოდიდან ხათხორის და ისიდას კულტი ერთმანეთს შეერწყო, რის შედეგად ისიდა თავზე ძროხის რქებს შუა ჩადგმული მზის დისკოთი გამოიხატებოდა.. იო-ს იგივე ხათხორის კულტის სახელზე ეგვიპტეში იყო ქალაქი დენდერა..."

ცხადია დენდე-რა – დედა რა გახლავთ: სვანურად დედე ხომ დედაა. ხოლო ხა თი ხორი = მეგრ. მიწა ადილი სახლი ანუ = „სამოსახლო მიწა-ადგილი"

სიმღერა იო-ს გარდა მეგრულ მითოლოგიაში არის პეპელას სახეობა, რომელსაც იო-ბ-ი (< ბ + იო*) ქვია და რომელიც სიუხვის, ოჯახის ბედნიერებისა და განსაკუთრეით ჯგამრთელობის მფარველადაა მიჩნეული: არის დალოცვა – სქან ოჯახშა იო-ბი მინოფურინელი – „შენს ოჯახში იო-ბი შეფრენილიყოს" რაც ოჯახში ყოველგვარ სიკეთესა და ბედნიერებას გულისხმობს...

ორანი, ორნა, ჰორა, ჰორაციო

მზე ღმერთის სახელ ორა-საგან ნი სუფიქსაციით მიღებულია სიტყვაა – ორა-ნი. იგი საოცარი იდიომაა და გამოხატავს, უწინარეს ყოვლისა, ღვთისადმი სიყვარულნარევ შიშს, მოკრძალებას. იტყვიან: ღორონთიშ ორანი ვაულუნა უდრის „ღვთის კრძალვა, შიში არა აქვთ"; მახორობას ქომოლიშ ორან ვაძგდა ინა მახორობა ვარე: უდრის 'ოჯახში თუ მამაკაცის რიდ-შიში არაა ის ოჯახი არაა". ორან-ის მიერ რიდ შიშის გაგების ქონებაზე მიუთითებს მისგანვე წარმოქმნილი სიტყვა – ორნა. იგი შეკუმშული ორან-ია, რომელიც

თავად, ორა სახელის აფიქსაციური პროდუქტია: ანუ: ორა + ნი აფიქსი > ორა-ნი > ასიმილიაცია > ორანა* > კუმშვა > ორნა. ეს სიტყვა (ორნა) „ძლიერ შიშს, ელდაცემას და შიშისაგან ხმის ჩავარდნას" გამოხატავს: ორნა- ქგკნალ უდრის შიშისაგან ხმა ჩაუვარდა. ვლ. ალფენიძემ ორანი ლათინურ ჰორა, ჰორაციო უდრის „სიტყვა, მეტყველება"-ს დაუკავშირა. იხ. ვლ. ალფენიძე „რჩეული თხზულებანი" გვ. 155. ვფიქრობ, უფრო საფუძვლიანი იქნებოდა თუ ამ ჰორა, ჰორაციო-ოს მზე ღმერთის სახელს ორა-ს დავუკავშირებდით და არა იმდენად, ამ უკანასკნელიგან წარმოქმნილ, ორნას. დიახ, ეს სიმართლესთან უფრო ახლოს იქნებოდა, რადგან „...პირველ იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთი...". ასე რომ ორა-ნი-ს – „რიდ-შიშ-მონიწებისა და მისივე შეკუმშული ფორმის – ორნა-ს „განუზომელი შიშის" მნიშვნელობის ქონების აზრობრივი საწყისი, უძველესი და უძლევამოსილესი კოლხური ორა მზე ღმერთია და მიუთითებს მისსავე სიდიადესა და არქაულობაზე...

ჯამში კი აი, რა გვაქვს: ყველა საყოველთაოდ ცნობილი თუ ჩვენს მიერ რესტავრირებული, სახელები პროტოშუმერულ-პროტოეგვიპტურ. მზე ღმერთისა გიორგიულ (და არამარტო მათში) სიმღერათა მისამღერებშია დაფიქსირებული, მაგრამ რაკი მათ უპირატესად კოლხური ეტიმოლოგია გააჩნიათ, განა საეჭვოა, ამ სახელთა შემქმნელი ცივილიზატორები თუ ვინ არიან?....

პროტო შუმერ-ეგვიპტელები – პროტო ლაზ-მეგრ-სვან-ქართები

მამტკიცებელად იმისა თუ ვინ არიან პროტო შუმერ-ეგვიპტელები მოგვყავს შემდეგი ციტატები: მე-18 ს-ის გერმ. მეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტიის მიხედვით „...სამხრეთ ევროპის, პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების .. ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული .. მათ უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი -- ხმელთაშუა ზღვის რასსა, მედიტერანული რასსა, .. კავკასიური რასსა, ... საუბარია იმ მოსახლეობაზე, ... რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის .. ტერიტორიაზე,. აგრეთვე, მცირე აზიაში და პალესტინაში.... ენა ამ მოდგმისა ... იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება ... კერძოდ, ბასკური, ლუზიტანური, ტურდეტანული, ეტრუსკული,

პელაზგური და სხვა, რასაც ნიკო მარრის შტუდიებით დაემატა მცირე აზიაში, მესოპოტამიაში უძველესი იბერიული ტომების – სუმერების ენის გამოკვლევა...“ ზვიად გამსახურდია.

ამ თეორიულ კვლევებს შეეწინააღმდგნენ გენეტიკოსები: ასე მაგ: „...პოპულაციურ გენეტიკის მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი, იტალიელი ლიუჯი კავალი სფორცა ამბობს რომ გენეტიკური მარკერების მიხედვით თითქმის ყველა წინა აზიისა და კავკასიის ძირეული მცხოვრებლებისა ევროპოიდებს არ განეკუთვნებიან..“ **ტარას რეპინი.**

თუმცა არც გენეტიკოსები არიან ერთსულოვანნი: „...ალფრედ ფულე (ფრანგი ისტორიკოსი) წერდა: გალებზე უფრო ძველი მოსახლეობა წაგრძელებული თავის ქალით, იბერთა მონათესავენი არიან. ისინი ეკუთვნიან ხმელთაშუაზღვისპირა ტიპს ... ბრაიენ საიქსი და სტივ ოპენჰაიმერი .. ამტკიცებენ, რომ ჰაპლოჯგუფ R1b რომელიც ასე გავრცელდა ევროპულ მოსახლეობაში ... მომდინარეობს პალეოლითის (ინდოევროპამდელი) იბერიული მოსახლეობიდან. დადგინდა, რომ ჰაპლოჯგუფ R1b, თავისი განშტოებებით უფრო მეტად წარმოდგენილია ანატოლიასა და კავკასიაში ... „ მანანა სირაძე **„პროტოიბერიული სამყარო.“ ასევე იხ. ქვემოთ.**

ჰეროდოტე: „კოლხიდის მცხოვრებნი, .. ეგვიპტელები არიან ... კოლხებს უფრო მეტი ახსოვთ ეგვიპტელების შესახებ, ვიდრე ეგვიპტელებს –კოლხიდელებისა. ... ამბობენ, რომ კოლხიდელები ... სესოსტრისის (ეგვიპტურად ხაკაურას) ჯარის ნარჩენიაო. .. კოლხიდელებს, ეგვიპტელებს და ეთიოპიელებს ჩვეულებად აქვთ წინადაცვეთა; ეგვიპტელები და კოლხები აკეთებენ ერთნაირად სელს; ყოფა ცხოვრებაც და ენაც ერთმანეთს უგავთ...“

ეგვიპტელებსა და კოლხებს შორის ახლო ურთიერთობას ასაბავს ... რაჭაში აღმოჩენილი ბრილის სამაროვანი ...ეგვიპტელი ფარაონის ტუტანხამონის მუმიის დნმ–ის ანალიზი უტყუარად მიუთითებს იმაზე, რომ მისი წინაპრები კავკასიელები იყვნენ. იმ პერიოდის კავკასია ... მხოლოდ და მხოლოდ კოლხეთსა და კოლხურ ცივილიზაციასთან ასოცირდება.

...გერმანელი მეცნიერი შოლცი: „ეგვიპტელ ფარაონთა შორეული წინაპრები კავკასიიდან გადმოსახლდნენ, დაახლოებით, 9500 წლის წინ ... 2 000 წლის შემდგომ კი ... ისინი ევროპაში დასახლდნენ“: როცა იმ პერიოდის კავკასიას ახსენებენ ... გულისხმობენ კოლხეთს, რომელსაც უკავშირდება, მაშინდელ ცივილიზებულ სამყაროში შემორჩენილი უამრავი მითი და ბალადა. ... ჰომეროსის

„ილიადა"და „ოდისეა" ასევე როდოსელის „არგონავტიკა".

მ. ჯანჯღავა: „კოლხური ცივილიზაცია არსებობდა შუმერულ-ხეთურ, ეგვიპტურ-ბაბილონურ ცივილიზაციების გვერდში, თანადროულად, ... კოლხური დღევანდელი მეგრული ენა, ძალიან ბევრ საერთოს პოულობს ძველ ეგვიპტურთან: ... მეცნიერებმა ტატუები აღმოაჩინეს ძვ. ეგვიპტეში: სიტყვა „ტატურუა" ... ზელვაა, თხვეპნაა, ზედ ტანზე რამის ... გამოსახვაა..."

"ჰომეროსი „ოდისეაში" თავისი გმირის ოდისეის მგზავრობას ადარებს არგონავტების მოგზაურობას. ... „ოდისეა" დათარიღებულია ძვ. წ. XI-X საუკუნეებით და, ამის მიხედვით, ირკვევა, რომ კოლხეთი ამ დროს დასახელებული იყო კოლხებით..." გ. ჭანია.

"...სამხრეთ შუა მდინარის ქვეყანა და ეგვიპტე ითვლება ... ორ უძველეს ნიადაგად სადაც შეიქმნა და განვითარდა ის კულტურა რომლის მემკვიდრე თანამედროვე კულტურული კაცობრიობა არის ... ვიწყებთ „ისტორიას კულტურული კაცობრიობისა სუმერთაგან და ეგვიპტელთაგან, მათ პირველთ დაგვიტოვეს დაწერილი ძეგლები ... მიუხედავად ამისა ... სრულიად „დამოუკიდებელი" არც სუმერული კულტურა ყოფილა და არც ეგვიპტური: სუმერნი სამხრეთ შუამდინარეთში ჩრდილოეთითგან მოსულნი ... იყვნენ ... თვით ლურსმული წერილი მთის ხალხისაგან შექმნილი ხატოვანი წერილისაგან სჩანს წარმომდგარი ... სარწმუნოებაც ... მათნი მთისაკენ მიგვითითებენ, ხოლო სუმერულ ენაში უტყუარი ნიშნებია იმისა, რომ უცხო არასუმერულ ელემენტს შეიცავს..."

ნილოსის მიდამოებში ... ხალხები დასავლეთითგან, ლიბიითგან, აღმოსავლეთ-ჩრდილოეთითგან და სამხრეთითგან იყო შემოსული.." მ. წერეთელი. **„ერი და კაცობრიობა" გვ 253-255. 1990 წ.**

ისტ. მეცნ. დოქტორ არჩილ ბალახვანცევს მოყავს ციტატა პლინიი უფროსის ენციკლოპედიური ნაწარმოებიდან: „...ამბობენ მას (კოლხეთის მეფე სავლაკს) ქონდა, ეგვიპტის მეფე სეზოტრისისაგან წართმეული, მოოქროვილი თაღები, მოვერცხლილი კოჭები, სვეტები და პილასტრები ...ისეთი ქედმაღალი იყო (კოლხეთის მეფე სავლაკი ე. ი.), რომ გადმოგვცემენ, თითქოს, ჩვევად ქონდა, ყოველწლიურად, შეება დამარცხებული მეფენი, წილისყრით მათთვის წართმეულ ეტლში და ტრიუმფალური სვლით ევლო...". პლინიი უფროსი „ნატურალური ისტორია" (წიგნი 33-ე).

ა. ბალახვანცევი თვლის, რომ შინაარსი ამ ციტატისა კოლხების მიერ მოგონილი ლეგენდა არისო, ხოლო სეზოტრისის მიერ სკიფების დამარცხება ეგვიპტელების მიერ არი მოგონილიო. თუმ-

ცა აქ გასათვალისწინებელია გერმანე გობეჯიშვილის მეთაურობით სამეცნიერო ექსპედიციის მიერ რაჭა-ლეჩხუმში, მოპოვებული, ეგვიპტურად თვლილი, არტეფაქტები – მძივები, სკარაბეები (ბრილის განძი) და ის ფაქტი, რომ ამ სკარაბეებზე ეგვიპტური იეროგლიფებია გამოსახული. აგრეთვე ის ფაქტი, რომ სეზოტრისის მეორე სახელი – ხაკაურა ხვამლის მთასთან მდინარეს სახელია.

ძვ. წ. ა. მეშვიდე საუკუნეში როგორც ა. ბალახვანცევის ნაამბობიდან ჩანს თავბრუდამხვევი ისტორიული მოვლენები ვითარდება: ასირია ხდება უდიდესი იმპერია – იღებს იერუსალიმს და იპყრობს ეგვიპტეს; სკიფები ლამის ეგვიპტის საზღვრამდე არიან მისულნი; სკიფები და კიმერიელები აღგვიან პირისაგან მიწისა ურარტუს. კოლხეთ-ასურეთის ომში კოლხეთი იმარჯვებს. ამ ბოლო მოვლენას – კოლხეთის მეფის სავლაკის გამარჯვებას ასირიის ბოლო მეფეზე ბატონი ბალახვანცევი თვლის აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, თუმცა იგნორირებს იმ დაშვებას, რომ თუ კოლხეთის მეფე სავლაკმა ასურეთი აიღო რა დაუშლიდა მას ის მოვერცხლილი თუ სრულიად ვერცხლის სვეტები და კოჭები, ასურეთის მეფე აშურ ბანიპალმა ეგვიპტეს რომ წაართვა, კოლხეთში წამოეღო?... ამ შემთხვევაში პლინიის ციტატა ჭეშმარიტების საფუძველს ნამდვილად არ იქნებოდა მოკლებული. ჩვენი აზრით, ოდესღაც, კოლხეთი გახლდათ დიდი ქვეყანა და მრავალი ხალხებისგან შედგებოდა, მაგრამ ჰეგემონი ლაზ-მეგრელი ერი ანუ კოლხი ერი იყო... კოლხებმა შეიტანეს ცივილიზაცია ეგვიპტეში, უშუალო ურთიერთობა ქონდათ მათთან და ხშირად კოლხი წარმომავლობის მეფენი მართავდნენ ეგვიპტეს.

ეგვიპტეში აღმოჩენილი სამარულო ეტლის წარმომავლობაზე მსჯელობისას, ... ჰ..შეფერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სამარულო ეტლისთვის საჭირო ხის მასალის მიმწოდებელიც და თავად ეტლის ეგვიპტეში შემტანიც (ძვ.წ. 1700 წ.) ამიერკავკასია უნდა ყოფილიყო. ქართველმა არქეოლოგმა ლ. მუსხელიშვილმაც ეს აზრი დაადასტურა. ჩვენი უძველესი წინაპრების კავშირი მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. ტაციტუსის „ისტორიებში"(IV 83-84) და კლიმენტი ალექსანდრიელის „წარმართთა შეგონებაში" მოთხრობილია ეგვიპტელთა მიერ სერაპისის ქანდაკების სინოპიდან ალექსანდრიაში გადატანისა და მასთან დაკავშირებულ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ (სერაპისი // სარაპისი ელინისტური ეგვიპტის ღვთაებად ითვლება, **ხოლო სინოპის მიდამოებში კოლხი ტომები** – მოსინიკები და ხალიბები **სახლობდნენ. საყურადღებოა რომ სერაპის // სარაპის სახელში** ე : ა ქარ-

თულ მეგრული შესატყვისობაა ე. ი.). ამავე საკითხზე ცნობას იძლევა პლუტარქე: ,,ხოლო პტოლემაიოს სოტერმა აღმართა პლუტონის დიდი ქანდაკება, რომელიც სინოპეში იყო". სინოპიდან სერაპისის კულტის გადატანის საკითხს ეხება გერმანელი მკვლევარი მოვერსიც, რომელიც ფიქრობს, რომ სერაპისის კულტის სამშობლო სინოპი უნდა იყოს და აქედან არის გადასული იგი ეგვიპტესა და ბაბილონში. სერაპისის კულტის ალექსანდრიაში გადატანაზე საუბრობს ერნსტ შმიდტიც. მასაც სერაპისის სამშობლოდ მიაჩნია სინოპი..." იხ. მანანა სირაძე „პროტოიბერიული სამყარო."

ახლა კი მოვუსმინოთ „სახელმწიფო აია–ატლანტიდას" ავტორს – ვალერიან შენგელიას:

"..."სტივენ მილერი: „ ...ეგვიპტ. ცივილიზაცია ცნობილი იყო როგორც ძველი" ხემეტი"...

ინგლ. ეგიპტოლოგი როლ დევიდი: „... თავად ღმერთ გორი–სა და ხათხორ–ის ახლობლები საინტერესოა იმით, რომ ხატხორ არის გორის სახლი ..." ... ხათხორის შთამომავლობიდანაა გამოსული გორ... ხათხორ ... მეგრულია და ნიშნავს: ხა''შობა"; ხორ კი ძირია სიტყვისა სამოსახლო...

ძვ. ეგვ. დადაქალაქის სახელ — ხეკაპტახ–ი, (Hikuptah, ბერძნულად – Μέμφις, მენფის: „ხე – კა – პტახ"... უდრის „შობილი – ნაშენები სამეფო"... (შენიშვნა: მეგრ. ტახუა „ტეხვაა," პტახ უდრის ვტეხ, ხოლო ძვ. ეგვ. პტახ ხელოსნობის ღმერთია და, ალბათ, ამიტომ უკავშირებს ავტორი ქალაქის სახელ – ხეკაპტახ–ს შენებას, მაგრამ ხე, კა და პტახ – ყველანი რაკი ღმერთები არიან, იქნებ, მათდამია იგი მიძღვნილი. ე. ი.)...

"ხე კუპტა; „ნე ხე ნ"; „ხა სეხემ'; „დაშ ხუ რ"; „ხა ტხორ"; „ხა შეპსუგ": .. დავაკვირდეთ ხემეტი–ას ქალაქების სახელეფს: .. მათ ხა, ხე, ხი, ხუ – სრულიად დედამიწის ყველა რელიგიის ღმერთების სახელები წინუძღვის. ეს მიანიშნებს იმას, რომ მსოფლიოს ყველა რელიგია ეყრდნობა მეგრულ წარმართულ, პირველ ქმნილ ... რელიგიას.

... ეგვიპტელები ქვეყანას ეძახდნენ ხემეტია–ს,... რაც მეგრულია: ხე „შობაა" მეტი კი „მეტია"...

... პლუტარქე ... წიგნში „ისიდა და ოსირისი" წერს: „ეგვიპტელები თვლიდნენ, რომ ღმერთი გორ თეთრი იყო''–ო; დიოდორ სიცილიელი: „..ეგვიპტელი ღმერთი ნეით ულალთვალიანი იყო''-ო. თეთრკანიანნი იყვნენ ფარაონის მომვლელნი: იუია ... ტუია ... ... ხოვარდ კარტერმა 1922 წ. ... ნახა სარკოფაგი სადაც ესვენა ოქრო–ნაბლისფერ თმიანი ფარაონის ბებიის თეას (თია) მუმია. ....იუ-

ია იყო თეას მამა ...მის ცოლს ერქვა ტუია (ტიუე)" ...

ფარაონებსა და მათ ცოლებს ... მონუმენტებზე– (3 ათასი წ. ჩვ. წ. აღ-დე) თეთრი რასის სახე გააჩნიათ.. აი, რას წერს სირილ ალდრედი: „...ზედა და ქვედა ეგვიპტეში ,ერთ ენაზე მოსაუბრე, ერთი მატერიალური კულტურის და ადათ-წესის მქონე ერთი და იგივე ხამიტური ეთნოსი სახლობდა. ესენი განსაკუთრებით ჭკვიანები და გონებამახვილნი არიან: სხვისი არაფერი სურთ..."

ხემეტები იყვნენ ლაზ-მეგრულ ენაზე მოსაუბრე ეთნოსი. ამაზე მეტყველებს ... ფარაონებისა და მათი ახლობლების, ღმერთების სახელეები„ ქვეყნის ტოპონიმიკა,... ანტროპოლოგია:

ხუმფუ – ფარაონის სახელი; ხაპო (ხაპუ) – ფარაონის მომვლელი; კია – ამინხოტეფის მეორე ცოლი; მახუ – პოლიციის უფროსი ტელ-ამარანში; თეა, თეი – ნეფერტიტის და; ტუია – ფარაონის ცოლის დედა; ტუტუ – საგარეო საქმეთა მინისტრი; მუტუ – ქვესკნელის ღმერთი... შდრ. უტა, დუ-ტა;

სახელები: ფეფი, ნეფერკა, კია, ხეფრე.... ასეთი სახელები სამეგრელოში დღესაც ხშირი...

ქვეყანა ხემეტიის ტოპონიმიკა: ხაკარა – გაგრა (პეტრო ბისკონტის რუქა 1308წ.); ხაკარი – მცირე აზია (ქალაქი, ხუბუშკია ქვეყანაში)... კარკარ – ქალაქი ბაბილუში, სდაც იყო ღმერთთ ადადი-ს სალოცავი; საკარა – ეგვიპტე, ქ. მენფისი; ხამუ კარ – სირია...

ღმერთების მეგრ. სახელები: მონტუ „მზის ღმერთი" (მეგრ. მონტება = ანთება, წაკიდება სინათლისა და ცეცხლისა ე. ი.} ; შუ „კაცის სული" (მეგრ. შუ-რი = სული ე. ი.), „ჰაერი"; ხუ „შობის ღმერთი" (მეგრ ხუ // ქო-ხუ = შობა ე. ი.); გორ „მონადირეობის ღმერთი"; გორ-უა = ძებნა;. ატონ – თონე, ..., ტაფე;. ახ ფუ „ცუდის ღმერთი" (ახ და ფუ ნეგატივის წამოძახილებია ე. ი.);. მაატ „ადათ-წეს და რიგის ღმერთი;" პატონ „ღმერთი" (– შდრ. მეგრ. პატონი >// ქართ ბატონი ე. ი.); ოსირის „ღამის, სიბნელის ღმერთი"; ... ხორა-ხორა, ხრამ „სახლი"; ხეკუ „ხელვის ძალა" (მეგრ. ხეკულე = ხელმოუქნელი, ხელით ხეიბარი. ე. ი.);..

ხეკუპტა – ხემეტიას (ეგვიპტე) დედაქალაქია; პტახ „მოხელეების ღმერთია"...

მეგრული სიტყვები ხემეტების ენაზე: ასე – ასე „ახლა; „ Hkr // შკრ – მეგრ. შკირენ „შიმში-ლი;". Netef – ნეტეფ– მეგრ. ლაზ ლეტა „ტალახი,მიწა"; Rsrs – მეგრ. რისინ „სიცილი"; კრ – მეგრ. ქირ ქართ. „ქორ" Baba – მეგრ. ბაბა, ქართ. „მამა"; Meret –- მეგრ.მერეთ

„სასწაული“; Шур – შურ „სული“; „ Осирис – მეგრ. ოსერე. „სალამო“; ... Мерех მეგრ. მერეხ-უა „დაქცევა;“ „Миш – მეგრ. ნიშ „ნავი“; Кет მეგრ. კეტ-ი „. Сак – მეგრ. საკ „ტომარა“; Нут – ნუთ – მეგრ ნოთე „მნათობი“;Тобш –- მეგრ. ტიბ „თბილი“ .... Атоне – მეგრ. გოთანა „გათენება“ . ХАТ – მეგრ. ქართ. ხატი; ХУ მეგრ. ხუ – მეგრ. „შობა“. Тота – მეგრ. თუთა „მთვარე“;... Вепуат – ვეპუათ „არ ვიყოთ''სასაფლაოს ღმერთი“ Геб – გე, დიდაგე...'' ვ. შენგელია.

ზემოთმოყვანილი ციტატები, და ამ სტატიაში მოხმობილი მასალა იმდენად შთამბეჭდავია, რომ უტყუარად ადასტურებს უმთავრესს: ეგვიპტე მეგრულია რომ ეგვიპტელები – ხემეტები ლაზ-მეგრები არიან. რაც შეეხება ეტიმოლოგიებს, როგორც ყოველთვის, აქაც დასაშვებია სხვა ვერსიების მოხმობაც: მაგ: ვ. შენგელიას მიერ, ხატხორ სახელის ხა, ლოგიკურია, მიჩნეულია შობა სიტყვად, მაგრამ მეგრ. ხა შობის (ხა-ლა) ძირიცაა და – მიწისაც (დი-ხა), რომელთაც ლა და დი აფიქსები შეზრდიათ . ეს ორი – შობა და მიწა-ს მნიშვნელობა ხა მარცვლისა თანაბრად ესადაგება ხა-ტ-ხორ-ის ეტიმოლოგიას: ხა-ხორ „მშობელი სამოსახლო“ და ხა-ხორ „სამოსახლო მიწა“. მაგრამ ორივე შემთხვევაში დაუდგენლად რჩება ტ (< // თ) თანხმოვნის ფუნქცია, ხა-ტ-ხორ სახელისა. უეჭველია იგი მეგრ. თ-ი „ადგილის“ აღმნიშვნელი სიტყვაა: ხა-თი-ხორ* „მშობლიური ადგილ-სამოსახლო“ ან „მიწა-ადგილ-სამოსახლო:“ ხა-თი-ხორ > ხა-ტ-ხორ... ესე იგი, სლ . ხუტორი „დასახლება“ და ხატა „სახლი“ ამ ხატხორ-ის დერივატები არიან.

ეგვიპტე ბერძნული სახელია ძველ ბერძნულ აიუგიპტოს-იდან..

“... კემე „შავი“ ასე უწოდებდნენ ეგვიპტელები თავის ქვეყანას ნიადაგის ფერის გამო, უდაბნოს „წითელი“ მიწისგან განსხვავებით...“ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 4 გვ. 7;. „იეროგლიფური დამწერლობით ეგვიპტეს ასევე ტა-კემეტ-იც ეწოდებოდა. აქ ტა = „იგივე ტი* < თა // მეგრ. თი „ადგილი.“

მ. ე, რაკი კემე ძველ ეგვიპტელების ენაზე, აღნიშნავდა „შავ“ ფერს და, პლი-უს ამას, „ტერიტორიას შავმიწიანი ეგვიპტისა“. ბუნებრივია, აქ უწინარეს ყოვლისა, ნილოსის „შავმიწა ნაპირები“ იგულისხმებოდა, რადგან მერე მეგრულად ჭალაა, ხოლო მეგრ. ფრაზა – თა მერე იქნება „ჭალა ადგილი“, ტა-მერი კი ეგვიპტის ერთ-ერთი სახელთაგანია: მართალია ტა-მერი ნაკითხულია როგორც „თოხის ადგილი // თოხის მიწა,“ მაგრამ პირველი მიწათმოქმედება სწორედ მერე – ჭალა ადგილებში აღმოცენდა და ამიტომ გსაგებია ათასობით წლის წინათ თუ რატომ ეწოდებოდა თოხსაც მერე.

ეგვ. კემე-სთან მიმართებით, მაშინვე თვალში ხდება მეგრული პარალელი – ქუმ დიხა, ქუმ-ცალ დიხა („ქუმ მიწა, ქუმი-სებური მიწა"). ეს „ქუმ დიხა", ჩვენში, გახლავთ, მსგავსად ეგვიპტეში ნილოსის ნაპირებისა, სწორედ მდინარის პირა, შლამ ქვიშიანი უხშირესი ჭალები. ასეთი მიწები შავია, ფხვიერია და ადვილად დასამუშავებელია: აზრიც ფრაზისა – ქუმ დიხა ეგაა: მეგრ. ქუმ გახლავთ „ქუმელი", შესაბამისად ქუმ დიხა არის ქუმელის პანწკინტელა მარცვლებივით ადვილად შლადი მიწა: დღევანდელი მეგრელები, როცა ფხვიერ, შავ ნოყიერ მიწაზე მიდის საუბარი კი იტყვიან: „ქუმ დიხარე, დიხარე ვარ ქუმ რე" (ქუმელი მიწაა, მიწაა კი არა ქუმელია .) მარა, როცაა შეეკითხები, რა არი ეგ ქუმ, რას ნიშნავსო, გპასუხობენ: მიწა ფხვიერია, მიწა ნოყიერია და ა. შ. თავად სახელი ქუმ „ქუმელი"კი, ხშირად, დავიწყებული აქვთ...

ამავე, ქ. ს. ენციკლოპედიის მე-10 ტომში 525-ე გვერდზე, ასეც წერია: „...Chemia...(ხემია) გვიპტის ძველი სახელწოდება, რომელიც, ამავე დროს, ნიშნავს „შავს".

ესე იგი, ძველი ეგვიპტელები თავის ქვეყანას – მრავალ სინონიმურ სახელებს და მათ შორის ხემეტია-ს,, xemias ხემიას, კემე-ს და ხემე*-საც ეძახდნენ. თუ ხემია, ხემე // კემე ფორმები არსებობდა, სავსებით სარწმუნოა ქემე* ფორმის არსებობაც. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ უმნიშვნელოვანესი გარემოება: ძველ ეგვიპტელები, თავიანთი დამწერლობის ადრეულ ეტაპზე ხმოვნებს არ წერდნენ. ამიტომ, მეცნიერთა მიერ, სიტყვა კემე-ში ე ხმოვანი ნებისმიერობის პრინციპითაა შერჩეული: მის ადგილზე სრულიად კანონიერია არსებულიყო სხვა ნებისმიერი ხმოვანი ბგერა. მაშ, სავსებით რეალურია, ეგვიპტის სახელად, კემე კი არა ქუმუ* ყოფილიყო. ოღონდ გასარკვევია ამაში, თავდაპირველად, ქუმელი, როგორც უმნიშვნელოვანესი სასოფლო სამეურნეო მცენარე თუ ნილოსის ქუმელივით ფხვიერი მიწა იგულისხმებოდა..ანუ გასარკვევია მცენარე ქუმელი და მისი სახელი მეგრ. ქუმ ენდემური რომელ რეგიონშია – ეგვიპტეში თუ კოლხეთში?... ვფიქრობ კოლხებმა მცენარე და მისი სახელი ქუმ, როცა მოხდა მათი როგორც ცივილიზატორთა შემოსვლა ეგვიპტეში – მე-9 ათასწლეულში ჩაიტანეს. იმ დროს მათ უკვე ქონდთ ტერმინები – ქუმ „ქუმელი", ქუმდიხა „ქუმელმიწა." ეს ქუმ დიხა – ქუმელივით ფხვიერი მიწა ნილოსისა, იმავდროულად შავიცაა, ქუმ სახელმა შავის მნიშვნელობაც. აიზარდა ანუ აქედანაა აბსტრაქტული ტერმინი კემ-ე //< ქუმუ </// ქუმგ* „შავი" ძვ. ეგვიპტელებისა (რესპ. ძვ. ეგვიპტელი გეორგებისა), რომელიც,

შემდეგ, ქვეყანა ეგვიპტის სახელი გახდა. აი, მიზეზი იმისა თუ რატომ ქსოვდნენ ერთნაირად ქსელს კოლხები და ეგვიპტელები და რატომ მოაჩნდა ჰეროდოტეს ისინი ერთიდაიგივე ხალხად. და ყველაფერ ამას პირდაპირ ბეჭედს ასვამს, არქეოლოგების მიერ, კოლხეთში 30 000 წლის წინანდელი ქსელის ბოჭკოს აღმოჩენა:

ცნობილია, რომ ეგვიპტეს ასევე ეწოდებოდა კემე-ტა: ეს სახელიც პირდაპირი ბეჭედია ჩვენი მსჯელობის სისწორისა. ეს იმიტომ, რომ, როგორც მრავალჯერ ითქვა, თი და თა სიტყვები მეგრულში სინონიმები არიან და აღნიშნავენ „ყანას, სახლ-კარს, ადგილს, ტერი-ტორიას". ამიტომ ქუმუ თა, მეგრულში აღნიშნავს როგორც „ქუმელის ადგილს"," ქუმელის ყა-ნას", ასევე „ქუმელივით ფხვიერ ადგილს – მიწას". მაგ: ტოპონიმი ო-ქუმი თუ ეტიმ. არის „სა-ქუმ-ელო", „ქუმელისთვის განკუთვნილი ტერიტორია", იგივეა გუმ-ის-თა და უდრის გუმუ ანუ ღუმუ „ღომი-სთვის განკუთვნილი ადგილი;" გვაქვს აგრეთვე ტოპ. ღუმუ-რი-ში, რომელიც ო-ქუმის მსგავსად უდრის „საღომე;" ქა-ფა-თი „ ანუ ქუმ-ფა-თი ქუმელ მცენარეს ადგილი;" ქუ-თა-ია – ქუმ თა-ია ანუ ქუმელ მცენარეს პატარა ყანა ადგილი.. ესენი სუყველანი დიდმნიშვნელოვანნი არიან, რადგან მარცვლეულის სახეობათა სათესი ადგილებია და თავისთავად მიწასთან არიან ასოცირებულნი: მაშ, კემე-ტა კი არა, სინამდვილეში, სახელი ქუმუ და ფრაზა ქუმუ-თა გააბატონეს პირველმა მიწათმოქმედმა კოლხებმა ნილოსის სანაპიროების ათვისებისას, რომელიც, ქვეყნის სახელად, კემე და კემე-ტა ფორმითაც არსებობდა. იყო, აგრეთვე, ხემეტია ფორმაც: მ. ე. კოლხურ ენაში, 9 000 წლის წინ ამ სიტყვებში მიწის აღმნიშვნელი ხმაბაძვითი ხ, ქუმელ სახელში, უკვე იყო ამონეული ქ და კ ექვივალენტებად.

ხემუტი: ხელოსანს ეგვიპტურად ქვია – ხე-მუტ-ი: ეს სახელი შეიცავს მეგრული ხე „ხელი" და ქართ, ქალის გარეგან სასქესო ორგანოს სახელის მუტ ძირს. მაგრამ, როგორც უკვე კარგად მოგვეხსენებათ, ეს მუტ ძირია სიტყვებისა გერმ. მუტტერ და // სლ. მატ „დედა-სი" და ა. შ. და რომ ეს იმაზე მეტყველებს, იმ დროს, პროტოქართველურში მუტ დედასაც აღნიშნავდა. ეს მატრიარქატის პერიოდია: მუტ – „დედა" „უფროსი"ს ტიტულის მფლობელიცაა. ჯაში ხე-მუტ – ხელი + დედა აღნიშნავდა დედა ხელოსანს ანუ უფროს ხელოსანს.

საიდან იღებს სათავეს სიტყვა ჯადო

რუსული ვიკიპედია გვამცნობს, რომ დაახლოებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 ანუ დღე-იდან 5000 წლის წინ, ნიშნად მოსავლიანობის სიუხვისა ეგვიპტელები დგამდნენ ხის დიდ ბოძს, შემკულს ხორბლის კონებით. ამ სიმბოლოს ჯედი ეწოდებოდა. იმ დროს ხმოვნებს არ წერდნენ და, ამიტომ მეცნიერნი, ე ხმოვანით ახმოვანებენ, თორემ ჯედი კი არა შეიძლება ის ყოფილიყო ჯადი, ჯიდი ჯუდი ან ჯოდი. ეს სიმბოლო ფაქტობრივად იყო ღმერთი რადგან მას ქურუმი ემსახურებოდა.. უფრო მეტიც – მემფისის აღმშენებელი ღმერთი პტას (2700ნ ჩვ წ აღრიცხვამდე) წოდება იყო „დიადი ჯედი“.. შემდგომ წლებში, გავრცელდა ჯედის გამოსახულებიანი ჯადოს ფუნქციის მქონე საგნები. აი, დაახლოებით, ამგვარივეა ჩვენებური ჯადო.

ჯადი* დღევანდელი მეგრული ფონეტიკური ვარიანტია სიტყვა ჯედისა, თუ, რა თქმა უნდა ეს უკანასკნელი სახელი ქართული იქნებოდა... შეგახსენებთ: ეს იმიტომ, რომ მეგრულ ა ხმოვანს ქართულში ე ესადაგება. მაგ ცვალი // ყველი:. მაშ, შეიძლება ვიფიქროთ, 5000 წლის წინ არსებულმა ჯედი სიტყვამ მოგვცა – დღევანდელი სიტყვა ჯადო? – არა,. მეცნიერნი, იმის გამო, რომ მაშინ ხმოვნები არ იწერებოდა, თვითნებურად, ე გახმოვანებით კითხულობენ ამ – ჯ-ე-დი სიტყვას, თორემ მაშინ იგი წარმოითქმებოდა არა როგორც ჯ-ე-დი, არამედ როგორც – ჯ-ა-დი:*: – რის საფუძველზე ვამბობ ამას? საქმე იმაშია, ეგვიპტურ ჯადი*-ს გააჩნია ნათელი მეგრ. ეტიმოლოგია: ჯა მეგრულად არის ხე, ამიტომ ჯა (დი)დი გახლავთ „ხე დიდი“:. როგორც ზემოთ ვნახეთ, სწორედ ხის დიდი ბოძი გახლდათ ძველ ეგვიპტური საკრალური ჯედი... ე. ი, 5000 წლის წინარე პერიოდში, ხის დიდ ბოძს განკუთვნილს სიუხვე-ალორძინების აღსანიშნავად ერქვა ჯა დიდი „დიდი ხე“, რომელიც 5000 წლისათვის გამარტივდა და მოგვცა (ჯა-დიდი >) ჯადი. გვიანდელ პერიოდში კი მისი გამოსახულების მქონე საგნებმა ჯადოს ფუნქცია შეიძინეს და აქედანაა დღევანდელი მეგრ // ქართ. ჯადო...

ეგვიპტური კარი და ნახარნა

ამენხოტეფ მესამეს მეფობისას ერთ-ერთ წარწერაზე ნათქვამია ეგვიპტის საზღვრების შესახებ: "...საზღვარი მისი სამხრეთით

არის კარი, ჩრდილოეთით ნახარნა-ო“: სამეგრელოში კარი იმდენად ხშირი და ბუნებრივი ტოპონიმია (ჯიხაშ-კარი, ყულიშ-კარი და ა. შ.) ეჭვს არ ბადებს. აი, ნა-ხარ-ნა კი უნდა აიხსნას: აქ ნა – ნა წინსართ ბოლოსართია; ძირია ხარ. მეგრულში, ეს სართები ნამოქმედარის აღმნიშვნელია: მაგ: ნაფურნა = ნაფრენი; ნარინა = ნამყოფი; ნა-ხორ-ნა = ნასახლარი. სწორედ ეს უკანასკნელია ეგვიპტურ წარწერაზე ხსენებული – ნა-ხარ-ნა, რომელშიც ხარ მეგრული დასახლების, სახლ-კარის, სასახლის აღმნიშვნელი ხორ ძირის ზუსტი ფონეტიკური შესატყვისია. ნა-ხორ-ნა სახელის მიკროტოპონიმები უთვალავია დღევანდელ მეგრულ სოფლებში: საქმე იმაშია, ურბანიზაციამ სოფლიდან მოსახლეობის გადინება გამოიწვია და, სამეგრელოში, ნასახლარები, მეგრულად ნახორნა იგივე ნოხორი ადგილები, უამრავია...აქ გამოთქმული რეალიები იმდენად ჭეშმარიტია ეჭვი მიპყრობს ნუთუ აქამდე ეს ვერვინ შეამჩნია?...

ეგვიპტური წარწერა ქვაზე:

1. „ ეს თქმულება იყო ნაპოვნი გერმოპოლში ამ ღმერთის ფეხქვეშ

2. ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფის მენკაურის დიადობისას

3. მეფის შვილის ხორდედეფის მიერ „ ამ წარწერის პირველი სტროფიდან – „ეს თქმულება იყო ნაპოვნი გერმოპოლში ამ ღმერთის ფეხქვეშ“, ირკვევა, რომ გერმოპოლი იყო ღმერთი და, იმავდროულად, ადგილის სახელი, უეჭველია, ამ ღმერთის სახელიდან, დარქმეული, მის საპატივისცემოდ. ავხსნათ ეს სახელი: ჩვენ ტერმინები მამფალი, უფალი, ფალ-უა, ასევე, უცხო სიტყვად თვლილი ფა–ლოსი და თავად ფალოსის კულტი კოლხურ წარმომავლობისად დავსახეთ (იხ. ზემოთ). მაგრამ მთავარი ისაა, რომ სახელ გერმოპოლში მონაწილეობს მამფალ სიტყვის ფარდი მოპოლ: თუ შევადარებთ მამფალ სიტყვას და სახელ გერ-მოპოლ-ის მოპოლ ნაწილს, ვნახავთ, რომ განსხვავება მცირეა: მოპოლ-ში ა ხმოვანია, მეორე მ ბაგისმიერი არაა და ფ ბგერის ადგილზე არის პ ბგერა, რომელსაც ბც კომპლექსი იძლევა. ხოლო ქართ. ყო, (ყენა) და მეგრ.// ჳუ დღესაც ყო–ფა // ჳო–ფას ძირია. ე. ი. რცა ვამბობდით: „ბ-ყოლ* და შემდგომი პოლ* //> ფოლ* > ფალ პროცესით სიტყვები ფალ-უა „ცენება“ მიიღებაო სწორედ ამის დასტურია მოპოლ-ის პ. ანუ ძველეგვიპტურ მოპოლ-ი მი-ღებულია მობყოლი* წინაფორმიდან. შემდეგი საფეხუ-

რია მოპოლი > მოფოლი* > მაფა-ლი* // მეგრ მაფა // ქართ მეფე და // ძვ. ქართ. მამფალ-ი. ანუ გერ-მოპოლ-ს ღმერთის, მეფის მნ-ობა გააჩნდა, რაც ასეც იყო. ამის შემდეგ, ღმერთის სახელ – გერ + მო-პოლ-ი სრულიად ნათელი ეტიმოლოგიისაა, რადგან გერ „მგელი“ მეგრულში ძლევამოსილებისა და სიდიადის სიმბოლოა: გერ კოჩი უდრის „ძლევამოსილი და დიადი კაცი“: ამგვარადვე გერ-მოპოლ უდრის ძლევამოსილი // დიადი – ღმერთი, მეფე.

განვიხილოთ მეორე სტროფი: აი, ისიც: „ზემო და ქვემო ეგვიპ-ტის მეფის მენკაურის დიადობისას“: აქ არის მეფის სახელი – მენკა-ური: იგი აშკარად მეგრ. სიტყვაა და უდრის „უძლეველი“: მძლე მეგრულში, ხშირად, მონკა „მძიმე“ სიტყვითაც აღინიშნება, სუსტი და უძლური კი პირიქით – ქექე „მსუბუქ»-ით: ურ-ი სუფიქსი, ასევე უხშირესად, ობიექტის თვისებას აღნიშნავს, ამიტომ მეგრ. მონკა-ურ-ი უდრის დაუძლეველს, ძლევამოსილს. მესამე სტროფი:

«მეფის შვილის ხორდედეფის მიერ“: აქ მოხსენიებული „ხორ-დედ-ეფი“ აშკარა მეგრულია და ანალიზიც კი არ ჭირდება: ხორ-დედ-ეფი უდრის დიდი ხორების დინასტიას, დედისმიერი სახლობის წარ-მომადგენლებს ანუ იგივე უფროსთა სახლობის წარმომადგენლებს.

შეგახსენებთ – დედა ძველად დედასაც და დიდს უფროსსაც აღნიშნავდა. ასევე, გავიხსენოთ, რომ ეგვიპტელ მეფეთა შორის დე-დაკაცს უპირატესობა გააჩნდა, იგი უფროსობდა...

ამენხოტეპ მესამეს წარწერა

„...წესრიგის მამტკიცებელი, ორივე მიწის დამამშვიდებელი, ოქროს ხარი, უცხო ქვეყნების დამმორჩილებელი, მეფე ზედა და ქვედა ეგვიპტისა, ნებმაატრა, მზის შვილი, ამენხოტეპი (მეფე ფი-ვი), სიცოხხლის მომცემი და მეფის ცოლი დიდი თეიე. დაე ცოც-ხლობდეს იგი. მისი მამის სახელია ჩუია. ის მეფის ცოლია...“ ეს წარწერა თუ ვინმე მეგრელმა წაიკითხა შეუძლებელია თვალში არ ცემოდა მეგრულ პირსახელთა მსგავსება აქ მოხსენიებულთან: მართლაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ვ. შენგელიამ ასეთი მეგრული პირსახელები მრავალი დააფიქსირა: ფივი და გივი; თეიე და თეა; იუია (იუ-ია) და ლიუ (ჩემს ნათესავს ერქვა); ჩუია და ტუია და ა. შ....მარა ეს არაა მთავარი: განმაცვიფრებელია ის ეტიმოლოგიური ამოსავლიანობები რომელსაც ახლა შემოგთავაზეთ: წარწერაზე, როგორც ხედავთ მეფე ფივის წოდებებია „ოქროს ხორი“, „ნებმა-ატრა“ და „ამენხოტეპი“: განვიხილოთ ცალ-ცალკე:

ოქროს ხორ-ი, იგივე ოქროს ხარ-ი გახლავთ. ხორ-ი ქართ. ხარ-ის კანონზომიერი მეგრ. შესატყვისია: ხორ* : ხარ: დღეს, მეგრულად, ხარ-ი ხოჯი-ა, მარა იმ დროს რ ბგერა ჯერ არ იყო გადაქცეული ჯ-დ. ანუ რ > ჯ აფრიკატიზაცია, რაც აღწერილი და შესწავლილია ჯერ არ იყო განხორციელებული.

რით დაიმსახურა ხორ – „ხარის" აღმნიშვნელმა სიტყვამ ამგვარი პატივი და მოხვდა მეფის ტიტულატურაში? ეს მრავლის მეტყველი ფაქტია: საქმე იმაშია ხარი ტოტემი იმიტომ გახდა, რომ, როგორც გამწევი ძალა, იმ დროს, მიწათმოქმედებაში უმთავრესი ფაქტორია. მარა მეურნეობის ამ დარგში კოლხურ პრიორიტეტებს თუ გავითვალისწინებთ, აშკარა გახდება: წარნერაში ხსენებული ეს ხორ მეგრ. ხარის აღმნიშვნელი სიტყვაა და აქ დამთხვევა გამორიცხულია...

ახლა განვიხილოთ წოდება – ნებმაატრა: ნებ-მა-ატრა.: ქართ. მ ბგერას ხშირად ცვლის მეგრ. ნ, მაგ: მ-წარე მეგრულად არის ნ-წარე. მეფე-დედოფალი მეგრულად არის ნეფე-დედფალი. ფ და ბ ბგერებიც ხშირად ენაცვლებიან ერთურთს, ამიტომ, ნებ-მა-ატრა-ს ნებ იყო ნეფ*; მა-ატრა იგივე მა-ართა მეგრულად არის პირველი. ესე იგი ნებ-მაატრა იგივე ნეფ-მა-ართა არის „მეფე პირველი:".

ანუ მეფე ფივის სხვა მრავალთან ერთად ქონდა მეფე პირველის წოდება.

რას ნიშნავს ამენხოტეფი – ამენ-ხო-ტეფი? ამონის შესახებ უკვე ვისაუბრეთ: ექიმობის პრაქტიკაში, ავადმყოფებისგან ხშირად მომისმენია: თიცალც მაჭუდ ამან მოძახინაფუ = „ისე მტკიოდა ამანი მაძახებინა" ე. ი. მეგრელები ამან-ს როგორც მშველელს ისე მიმართავენ: შეგახსენებთ ამონი ეგვიპტელთა მზე ღმერთ რა ს სინონიმია: ამონ-რა უდიდესი ღმერთი იყო ეგვიპტეში. ესეიგი, ამენ ამონია. ხო, რა თქმა უნდა, ხორ „ხარი"ს აღმნიშვნელი სიტყვის ფრაგმენტია.. ტი იგივე თი მეგრ. „სახლ კარი, ადგილი"-ა ეფი კი მეგრ. მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსია. ჯამში ამენხოტეფი – ამონ-ხო-ტ-ეფი – ამონ-ხორ-თი-ეფი* ნიშნავს მეფეთა დინასტიის – ამონ-ხორ მოსახლეთა წარმომადგენლებს:

ასეთი სისტემური და სიმფონიურ თანხვედრათა შემთხვევითობას ვერ ვირწმუნებ.

შუმერულ-ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობის ამოსავლიანობა

ცნობილია, რომ კოლხეთში დამწერლობის არსებობის შესახებ არსებობს პირდაპირი ცნობები: ესაა: მე-შვიდე საუკუნის მეცნიერი იოანე ანტიოქიელი და ანტიკურ ეპოქაში მოღვაწე პალეფატე, რომლთა მიხედვით, ოქროს საწმისი ოქროს ხელონურად მიღების შესახებ ტყავზე ნაწერი წიგნია. „ოქროს საწმისის“ თაობაზე ამასვე იმეორებს, პირველ ს-ში, სვიდა, თავის ლექსიკონში.

ეს „ტყავზე ნაწერი წიგნი“, ხომ არ იყო ის „ეფუტი,“ ოდესღაც, რომლის არსებობის შესახებ ყველა მეგრელმა კი იცის, მარა თვალით არავის უნახავს?... ზემოთ ვწერდით:

"ივ. ქავთარაძე, ქართველ მეცნიერთა კვლევებისა და საკუთარი ანალიზის საფუძველზე, მიდის დასკვნამდე, რომ წარსულში“...წერ ფუძეს . ჭრის, კვეთის, ფხაჭნის მნიშვნელობა უნდა ქონოდა-ო...“ მაგრამ უდაოა რომ წერ // წარ // წყალ და ა. შ ალომორფები ფერადი სითხის, საღებავის, საწერისა და წერის მნიშვნელობებს განაპირობებდნენ. ასევე მათი მნიშვნელობებია ჭრილობა და ნაჭრილოვებიდან სისხლის გამოდენაა. ხოლო მაგარ საგნებზე ჭრით წერა, ჩვენი აზრით, შედარებით, გვიანდელია. მ. ე. წარსულში წერ ძირის მიერ ჭრის, კვეთის, ფხაჭნის მნიშვნელობის ქონება პირვანდელი დაჭრის მნიშვნელობისის გადაადგილებაა. ამას ის ფაქტიც ამტკიცებს რომ პოვნიერია როგორც ტყავზე ისე უფრო მაგარ საგანზე წერის არსებობის სამტკიცი მასალაც“:

აპოლონიოს როდოსელს, ჰეროდოტეს მსგავსად, კოლხები სესოტრისის მოლაშქრეთა შთამომავლად მიაჩნია. ხოლო ნოქალაქევზე, რომელსაც მაშინ აია ერქვა, ამბობს – „დღესაც ურღვევი დგასო“: იგი როდოსელს, მაშინაც, ძველ ქალაქად მიაჩნია:

„...ხოლო აია, დღესაც ურღვევი, დგას
და ცხოვრობენ იმ დიდ ქალაქში
იმ მამაც გმირთა შთამომავალნი,
დიდმა მოლაშქრემ აქ რომ დატოვა.

შენახული აქვთ მამაპაპური ძველი კ ი რ ბ ე ბ ი, წვრილსვეტები, და იმ კირბებზე ნაჩვენებია გზები ყოველთა ზღვათა და ხმელთა...“ ა. ურუშაძე "არგონავტიკა".

ხედავთ:კირბები და წვრილსვეტებიო: **ეს ის სვეტები ხომ არაა, პლინიი უფროსი რომ ახსენებს და ისტორიკოსი ბალახვანცევი კი**

მის არსებობას რომ უარყოფს? (იხ. გვ. 344 - 345). რაც შეეხება კირბებს, გავიხსენოთ რომ შუმერები თიხის დისკოებზე წერდნენ, რომელთაც შემდეგ გამოწვავდნენ და ბიბლიოთეკებში ინახავდნენ. ასეთი დისკოს ფორმის წიგნს გური ეწოდებოდა:

გურუ ტიბეტურად „მასწავლებელი"-ა; მეგრ. გურაფა სწავლაა, გური კი „გულია". ამ გურ-ს გააჩნია სხვა მნიშვნელობებიც: ცენტრისა: ჯაშ გური – „ხის გული // ხის ცენტრი" – „ნაკვეთზე ხის წლიური ზოლების ცენტრალური ნაწილი; ხაჭაპურიშ გური „ხაჭაპურის შიდა ის ნაწილი სადაც ყველი დევს." რაკი ხაჭაპურის შიდა ნაწილი გურ-ია თავად ხაჭაპური კეცთან მიმართებით, რა თქმა უნდა , ასევე, არის შიდა ნაწილი ანუ გურ-ი.

კეცი, მეგრულში არის ორგვარი: თავად კიცი // „კეცი" მცირე ზომისა და დაბალი კიდეების მქონე და ა-ნ-გურ-ა – შედარებით დიდი ზომისა და კიდეების სიმაღლისა: თუკი გვაქვს გური // „გული – „შიდა ნანილი", მაშინ გარეთა ის ნაწილი სადაც გური დევს იქნება სა-გულ-ე მეგრ. – ო-გურ-ე: " მ. ე. ქართ // მეგრ. კვერი // კვარის შესანვავი დიდი ზომის კეცი – მეგრ. ა-ნ-გურ-ა < ო-გურ-ე „სა-გულ-ე" ყოფილა: ო-გურ-ე > ო-ნ-გურ-ე > ა-ნ-გურ-ა

ასლი და დედანი მეგრულად არის ანგი და თანგი. ო-გურ-ე > ო-ნ-გურ-ე > ა-ნ-გურ-ა-ს „საგულე და ყალიბის მნიშვნელობათა ქონებითაა შეპირობებული ანგი და თანგი-ში ასლისა და დედნის, ხოლო მეგრ. მანგი „სწორი, თანასწორ-ში კი სისწორის ცნებების არსებობა." ეს სიტყვები ანგურ-ა-ს ფრაგმენტები არიან: ანგ-ურა > ანგ; დ >// თ + ანგ > თანგ; მ + ანგ > მანგ."

მეგრულად, აგურს, ასევე ანგურა ეწოდება: როგორ მოხდა რომ საგულეს იგივე ყალიბს, მართებულად, ო-გურ-ე* „საგულე"// > ანგურა ეწოდებოდა და იმავდროულად აგურ-საც, რომელიც ყალიბის შიდა ნაწილია ასევე მეგრ. ანგურა (<ო-გურე*) რქმეოდა?. ეს მაშინ როცა გური > კვარი // კვერი იყო მოსალო-დნელი? – ეს იმითაა გამოწვეული, რომ აგური თავადაა „შიდა ნაწილი „ (მას ხომ ყალიბში გამოწვავენ) და ასევე (როგორც ცეცხგამძლე საყალიბე ანუ სამშენებლო მასალა) – ო-გურ-ე „ საგულე // საყალიბე."

ქართ // მეგრ კვერ-ი // კვარ-ი საკვების კეცით შეწვისას ცენტრის, შიდა ნანილის გაგებიდანაა.

ქართ. კვერის ბადალ მეგრ. კვარს მეგრულში გააჩნია კნინობითი ფორმა – კვარაბ-ია. ამ უკანასკნელის, არქაული ალომორფი დამოწმებული აქვს ა. როდოსელს „არგონავტიკაში:"

"...კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთ მამათგან ნაწერი კვირბები, რომლებზედაც მეზღვაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი, იხ ა როდოსელი „არგონავტიკა" თარგმანი და შესავალი ა. გელოვანისა. ა ურუშაძის რედაქციით. გვ. 30. აი, სად პოვეს ურთიერთდამოწმება კვარაბიამ, კვირბებმა, შუმერულმა გური „დისკოს ფორმის ნაწერმა," ტიბეტურმა გურუ მასწავლებელმა და მეგრ. გურაფა „სწავლამ"...

ასე რომ, მიუხედავად კოლხეთში ტყავზე წერის არქაული ცნობების არსებობისა, ცხადია არსებობდა უფრო მაგარ საგანზე წერაც და მ. ე. კვირბ–ი, კორიბ–ა და კორიბანტ ტერმინთა ამოსავალი, უფრო სავარაუდოა იყოს არა კირიბ–ი, „ბატკანი" რომელიც მათი ეტიმოლოგიის, ერთერთი, საკმაოდ ავტორიტეტულ–პოპულარული ვარიანტია, არამედ სასიამოვნო და მადის ამღძვრელი კვარაბი და კვარაბია. ფონეტიკურადაც ეს კვარაბ ფუძე უფრო ახლოსაა კვირბ–ი, კორიბ–ა და კორიბანტ ტერმინთა კვირბ და კორიბ ძირებთან.

კვირბი უნდა გავიგოთ როგორც წერილი, ნაწერი, ხოლო კორიბანტი – როგორც მწერალი: მაგრამ აპოლონიოს როდოსელის მიერ ხსენებული კირბ–ები კი, უთუოდ, ბატკნის ტყავზე წერის გამომხატველ კირიბ–იდანაა: ანუ სხვადასხვა საწყისთა – კირიბი და კვარაბ–ი სახელთა მსგავსებამ განაპირობა წერის სხვადასხვა ხერხების გამომხატველ სახელთა მსგავსება.

ასონიშნების მიგნებას წინ უძღვის სახვითი ხელოვნების ასეული ათასწლეულები: ამ პერიოდში ნახატი აღნიშნავდა იმას რაც იყო დახატული. მაგ: თუ ვთქვათ ფეხი ეხატა ის, ბუნებრივია ქვედა კიდურს – ფეხს აღნიშნავდა. მაგრამ დაახლოებით 6 -9 ათასი წლის წინ, ძველ ეგვიპტეში და შუმერში გამოჩნდა დღემდე მეცნიერთათვის დაუდგენელი ვინაობის ხალხი, რომლებმაც, შემდეგ (ხუთი ათასი წლის წინ), პირველი რევოლუცია მოახდინეს დამწერლობის ისტორიაში: ისინი ხატავდნენ საგანს, მაგრამ იგი – ეს ნახატი დახატულ საგანს კი არა, არამედ სულ სხვა რამეს – **ასობგერას** აღნიშნავდა. მაგ: დახატული ფეხი უკვე ფეხი კი არა, არამედ იყო ასობგერა ბ. ე. ი. მათ, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, გამოიყენეს პრინციპი, რომ **ნახატი არ უდრის იმას რაც ახატია, არამედ არის ასო: აი, ესაა მსოფლიო დამწერლობის სათავე.!!!**

მეორე პრინციპი, რაც მათ რომ დანერგეს არის ის, რომ ეს ასო – თანხმოვანი (პირველ პერიოდში მხოლოდ თანხმოვნები იწერებოდა.), აუცილებლად, დახატული საგნის ერთმარცვლიანი სახელი უნ-

და ყოფილიყო. მაგ: ლაზ. თე მარცვალი სინათლეა, ამიტომაც თვალის ნახატი გახდა თ ასოს აღმნიშვნელი: აზრობრივად თვალი და სინათლე ხომ ერთიანია. ერთმარცვლიანი სიტყვები (სილაბები) იყო იმ მიხვედრილობის – მიგნებების განმაპირობებელი აღენიშნათ დახატული საგნის სახელით ასობგერა. ენათმეცნიერებაში დადგენილია რომ მეგრულში სილაბა სიტყვები ბევრი იპოება (ს. ჟღენტი). თანაც ესენი გ ხმოვნით არიან ვოკალიზებულნი. მაგრამ, როგორც ვამბობდით, ნებისმიერი თანხმოვანი, ნებისმიერ ენაში ცალკე ამ გ გახმოვანების გარეშე ვერ წარმოითქმება. მაგ. თუ გვთხოვენ თქვით **ს** ასობგერაო ჩვენ ვიტყვით **სგ** მარცვალს, მაგრამ გვგონია თითქოს წარმოვთქვით – **ს ასო**. რა თქმა უნდა, ეგრევე იყო იმდროინდელ შუმერ-ეგვიპტეში და ამიტომაც გახდა **ასო იგივე სილაბა – სიტყვა** ასო-ბგერის აღმნიშვნელი. მაგრამ, იმ პერიოდში, სახელთა უმრავლესობა რთული ანუ მრავალბგერიანია. ამ შემთხვევაში, ასოდ აღინიშნებოდა დახატული საგნის სახელის დასაწყისი **(თავკიდური) ბგერა**. მაგ: თუ ფეხი, მეგრულად **ბორკი**, ახატია ეს ნახატი არის **ბ** ასო, რადგან სახელი ბორკი **ბ** ასოთი იწყება.

აღმოჩნდა, რომ, ასოების აღმნიშვნელ, დახატულ საგანთა სახელები, სისტემურად მეგრულია: სწორედ ეს სისტემურობა უარყოფს დამთხვევების დაშვებას.. აგრეთვე. ჯერ კიდევ წინა ფორმაციისას, რაჭა-ლეჩხუმში აღმოჩენილია **მძივები და ე. წ. სკარაბეები ეგვიპტური იეროგლიფებით.** ეს სენსაციური აღმოჩენები კომუნისტ მეცნიერთ არც გაუხმაურებიათ. ჩაკეტეს სადღაც მუზეუმის საცავებში. რატომ არ ახმაურებდნენ? ეს მძივები ხომ კილოგრამობითაა ნახული? რა უნდოდა აქ ამ ეგვიპტურ არქეოლ. არტეფაქტებს? – რა და ის ეგვიპტური კი არა კოლხურია: რესპ. ვაზუსტებ იგი კოლხურიცაა და ეგვიპტურიც, რადგან, როგორც ჰეროდოტე ამტკიცებს ეგვიპტელები და კოლხები ერთიდაიგივე ხალხია, ოღონდ კოლხები ეგვიპტეში აბორიგენები არ არიან, მათ იქ, ისევე როგორც შუმერში, ცივილიზაცია აქედან – კოლხეთიდან შეიტანეს: ამასვე ღაღადებენ ცნობილი გერმანელი მეცნიერის კურდ შპრენგელის კვლევები, ჰუმბოლტის, შუმეროლოგ კრეამერის ნაშრომები და ა. შ.

ამ შემთხვევაში, როცა ვამბობ კოლხურიო იგულისხმება სრულიად ქართველური იგივე გეორგიული, მაგრამ სიძველისა და დამსახურების მიხედვით, იმ პერიოდის რეალიებში უპირატესობა ტერმინ კოლხურს ეკუთვნის.


თორნიკე ფხალაძე „:...სერ არტურ ევანსმა 1900 წელს აღმოაჩინა ა-ხაზოვანი წარწერები კუნძულ კრეტაზე. ეს ტექსტები უკვე გაშიფრულია. აღმოჩენილია სულ 1427 ასეთი წარწერა. მეცნიერ გია კვაშილავას განცხადებით ეს საერთოქართველურ ენაზე შესრულებული 4000 წლის წინანდელი წარწერებია. ... კოლხური დამწერლობის ნიმუშები ... დიდი ხნის აღმოჩენილია სამტრედიის რაიონის სოფელ დაბლაგომში და დათარიღებულია ძვ. წ. VI-II საუკუნეებით...“ (ინგოროყვა,.. კუფტინი ... ჰ. ფენრიხი).

„...ქართველმა არქეოლოგებმა, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს, მესოპოტამიური უძველესი კულტურის ნაშთები აღმოაჩინეს.„ საუბარია ძვ. წ.აღ-ის IV ათასწლეულით დათარიღებულ ნივთებზე, რაზეც დეტალური შესწავლა მიმდინარეობს. აღმოჩენილია სხვადასხვა სახის ნივთები, მათ შორის ოქროს თასები და თიხის ჭურჭელი. არქეოლოგები უკვე დანამდვილებით ამბობენ, რომ აღმოჩენილი ნივთები უძველესი შუამდინარეთის კულტურაა. სპეციალისტები ოქროსა და თიხის ჭურჭელს დეტალურად იკვლევენ. „პირველი არხის“ ცნობით, არქეოლოგები ადასტურებენ, რომ აღმოჩენილი ნივთები უძველესი შუამდინარეთის კულტურის ნაშთებია.„. Forum.GE

გეორგიული ანუ ქართველური დამწერლობის აღმოცენების ადრინდელ პერიოდებზე კი მიუთითებენ როგორც საზღვარგარეთელი ასევე ჩვენი დიდი მეცნიერები: „...ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა ქართლურია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი წარსულის კულტურის შესწავლა უეჭველს ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინადაც, მრავალი საუკუნის განმავლობაში, მწერლობა უნდა ჰქონოდათ. მაგრამ შესაძლებელია ... რომ ამ ხნის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ – მეგრულ-ლაზურსა, ან – სვანურ შტოს. იხ. ივანე ჯავახიშვილი ქ. ე. ი. 1928. გვ 19...“



ჰაინც ფენრიხი





“...პ. ინგოროყვა (1939; 1940, გვ.168) თავის ნაშრომში ახსენებს ქართული წარწერების უძველეს ნიმუშებს, რომლებიც აღმოჩენილია კოლხეთის ტერიტორიაზე. სამტრედიის რაიონის სოფელ დაბლაგომში განათხარ ძეგლებზე (არქეოლოგი ნ. ბერძენიშვილი).





საკრალური ღუმელი ძვ. წ. V-IV საუკუნეები
Sacral oven, 5 -4 cc BC



ძვ. წ. IV საუკუნის საფლავი
4 c BC Grave

ასევე „1970-1972 წლებში იმავე სოფელში, დაბლაგომში გამოვლენილია სამარხი, რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. IV-III საუკუნეებით და მასზე გამოსახულია კოლხური დამწერლობის ნიშნები. არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს მიცვალებულის სახელი.“ წერს არქეოლოგი ვახტანგ ლიჩელი, რომელიც **გრაკლიანი გორის დიდი აღმოჩენის** კვლევას ხელმძღვანელობს: "წარმოდგენილი გვაქვს 11-ფენიანი არქეოლოგიური ძეგლი ანუ 11 სხვადასხვა პერიოდის ადამიანის ცხოვრების უწყვეტი პერიოდი 1.5 მილიონი წლის წინადელი პერიოდიდან გვიან ანტიკურ ხანამდე. აქ გამოვლენილია დიდი რაოდენობით კერამიკული, რკინის, ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს ნაწარმი.

მათ შორის ადგილობრივ ნახელავთან ერთად ძველი სამყაროს ცივილიზაციის ცენტრებში (შუმერი, ეგვიპტე, ირანი, საბერძნეთი) დამზადებული ნივთები, მაგალითად 6000 წლის წინანდელი, ძვ. წ. IV ათასწლეულის შუმერული საბეჭდავი. როგორც ჩანს საქართველოს მაშინდელი მოსახლეობას სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობებში იყო ჩაბმული ამ ცენტრებთან საკმაოდ ინტენსიურად. ... აქვეა აღმოჩენილი ძვ. წ. VI-IV საუ-

კუნეების საკრალური ღუმელი, ძალიან დახვეწილი ფორმებით და დამზადების ტექნიკით. აქვე აღმოჩნდა დაახლოებით ძვ. წ. X საუკუნის უფრო სავარაუდოდ **კოლხური**, თუ იბერო-კოლხური დამწერლობის ნიმუში, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გაშიფრული..." (თ. ფხალაძე ინფორმაციის წყარო: გ კვაშილავა)..."

გია კვაშილავამ ფესტოს დისკოს გაშიფვრით გეორგიული იგივე ქართველური დამწელობის ისტორია ათასწლეულებით წარსულისკენ გადასწია. მას იქით კი საწყისი მეცნიერებას მხოლოდ შუმერული და ეგვიპტური ევარაუდება.

„მე-3 ათასწლეული .. რამდენიმე ათეული შუმერული ქალაქი სახელმწიფოების არსებობა: სამხრეთის ქალაქები ერიდუ, ური, ლარსა, ლაგაში, უმმა, ურუქი; ევფრატის შუა დინება: შურუპაკი, ჰიპპური; ჩრდილოეთი: კიში, სიპპარი, ეშნუნნა; შუამდინარეთს საზღვრებს გარეთ: მარი, აშურ..." იხ. რუსული ვიკიპედია....

მეცნიერების მიერ, ერთხმად, ეგვიპტური დამწერლობის სათავედ შუმერული სახელდება.

შუმერში „... უძველეს წარწერებში ნიშნებს როდი აქვთ ისეთივე ფორმა, როგორც უფრო გვიანდელ ლურსმულ წარწერებში. აქ მათ ჯერ კიდევ სურათების სახე აქვთ. ჩანს, რომ ლურსმული დამწერლობა განვითარებულა სწორხაზოვანი სურათოვანი დამწერლობიდან. ასე მაგალითად ღმერთისა და ცის ნიშანი ... წარმოდგენილია (ვარსკვლავის) ნახატით. ... თავდაპირველად იგი ალბათ სწორედ ვარსკვლავს აღნიშნავდა, ხოლო შემდეგ განივითარა ჯერ ცის და შემდეგ ღმერთის ცნების აღნიშვნის ფუნქცია (შდრ: შუმ. ენ-ქი // „ცა-მიწა" // მეგრ. ქი-ან(ა) // მიწა-ცა // „ქვეყანა" ე. ი.). ნიშანი ქვეყანა, მთა უძველეს ტექსტებში გადმოცემულია მთების სურათის სახით; ხის აღმნიშვნელი .. ხის მორის გამოსახულებას წარმოადგენს; წყლის ნიშანი გამოხატულია (ორი ერთმანეთის ქვეშ გავლებული პარალელური ხაზით ე. ი.) რაშიც ჩანს ნაგულისმებია წყლის მდინარება..." **გ. მელიქიშვილი.** „როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები" გვ. 5. ეს ფაქტები მართლაც მეტყველებენ იმაზე, რომ შუმერები ერთადერთი თუ არა ერთ-ერთი მაინც პიონერები არიან დამწერლობაში. თუმცა: „...ინფორმაციის შენახვის მეთოდების ქონების გარეშე მესოპოტამიაში რთული კულტურა ვერ განვითარდებოდა:

კულტურა და დამწერლობა აქ ჩამოტანილია სხვა ადგილებიდან, და ეს თეორია საერთოდ, ტრადიციული ისტორიით მოწმდება. „... მეცნიერების მიერ, ... ასეულობით ერთეული ენათმეცნიერული კვლევები გაერთიანდა და გამოტანილ იქნა ერთი განმაზოგადებელი ჰიპოთეზა: ... ლურსმული დამწერლობა ბაბილონელებისა და ასირიელების მიერ კი არაა გამოგონილი, არამედ, არასემიტური წარმომავლობის, ვიღაც სხვა ხალხის მიერ..." ამ ხალხზე არავითარი ინფორმაციის ქონების პირობებში, ... მათ უწოდებდნენ აქადელებს, მოგვიანებით კი მეცნიერმა ჟიულ ოპერტმა მათ შუმერები დაარქვა..." ალექსეი კიში.

სენსაციურია მკვლევარი ნათელა ფოფხაძე, ბესო ჯანაშვილის ნაშრომების მოშველიებით რასაც ბრძანებს – „..მესოპოტამიაში, ინგლისელ მეცნიერთა მიერ გაშიფრულ დამწერლობას **„ემეგრული დამწერლობა"** ეწოდებოდა"-ო. მაშინ ხმოვნები არ იწერებოდა, ამიტომ **ემე-გრ**-ულ სახელში **ე** ხმოვნის ადგილზე სხვა ნებისმიერია დასაშვები ყოფილიყო. მთავარია **გრ** ძირი ეთნომიმისა მა-**რგ**ალ // „მე-**გრ**-ელ" უცვლელადაა დაფიქსირებული...

მსოფლიოს მეცნიერებამ იცის რომ **ყველა** დამწერლობის და მ. ე. ქართვ. ეპიგრაფიკულის (რომელიც ნუსხურის და მხედრულის ამოსავლადაა გაზიარებული) წინარე დამწერლობაშიც, საფუძვლად, დევს პროტოშუმერული და პროტოეგვიპტური იდეოპიქტოგრამები (ნახატი და ნახაზი ასონიშნები).

მაგალითად: **ძველ ეგვიპტურში** არის პიქტოგრამა – , ჩვენის აზრით, ძუძუს კონტურებიანი ნახატი და იგი გახლავთ **ტ** ასო (ტარი). ძუძუ, ცხოველის ჯიქანი და მხედრული **ტ** ფორმით აშკარა იდენტურნი არიან, მაგრამ, მეცნიერებმა, ის საბოლოო ფორმაად მე-5 - მე-8 ს-ის ეპიგრაფიკული (ასომთავრულის) მონაცემის კალიგრაფიული ტრანსფორმაციისა (იხ. ქ.ს.ე. ტ. 9 გვ. 633)... მარა მე- 9 ს-ის მხედრული **ტ** და დღევანდელიც აშკარად გავს ქალის ძუძუს: ამიტომ იქნებ ასომთავრული და მხედრული **ტ** სხვადასხვა გენეზისაა? ამას ის აზრი ამყარებს, რომ მე-8 ს-ის ასომთავრულსა და მეცხრე საუკუნის მხედრულს შუა მონაკვეთი დროისა, შედარებით, მცირეა და, მაშინ, მწერლობა არ იყო იმ ფართო მასშტაბის, რომ ამ დონის ტრანსკრიფციული ცვლილებები მომხდარიყო. თუმცა აქ მთავარი ისაა, რომ მეგრულად **ტგ** მარცვალ სიტყვა

არის ჯიქანი. ანუ: პროტოეგვიპტური პიქტოგრამა **ტ** ასოსი და მხედრული ტ არის ძუძუს ნახატი, ხოლო ტგ მარცვალ-სიტყვა მეგრულად რაკი ჯიქანია. ცხადია იგი მეგრული ენის კუთვნილებაა. შეგახსენებთ: ეგვიპტელების **საწყისი დამწერლობის** პრინციპია დახატული ობიექტი აღმნიშვნელია მისივე სახელისა, ოღონდ იმ შემთხვევაში თუ ეს სახელი ერთი თანხმოვნისგან წარმოებული მარცვალია. ასეთი სიტყვის ფუნქციის მქონე, ერთთანხმოვნიანი მარცვლები განსაკუთრებით, მეგრულისთვის რომაა დამახასიათებელი უკვე ვწერდით. ამ და ქვემოთ დასახელებულ ბევრ მაგალითებში კი ეს ობიექტები ერთადერთი და გახმოვანებული თანხმოვნებით (სილაბებით) სახელდებიან. მაშ, როგორ შეიძლება ისინი არ იყვნენ ამ სახელების მფლობელი ენის კუთვნილება. მაგრამ, შემდეგ, იმის გამო რომ არც ერთ ენაში და მეგრულშიც ასოთა აღმნიშვნელი ასეთი სადაგი (იკონური) ერთთანხმოვნიანი მარცვლები საკმარი რაოდენობით არაა, ასოს აღმნიშვნელი ხდება დახატული ობიექტის სახელის თავკიდურა ბგერა:

მაგალითი მეორე: ეგვიპტურში წარბებიანად დახატული თვალი  მხედველობაა, ხოლო, შუმერულში, თვალის კაკლის კონტურებიანი ეს ნახატი  **თ** ასოა: შუმერული პიქტოგრამა **თ** ასოსი, მისივე მეხუთე -მერვე საუკუნის ქართული ეპიგრაფიკა და მეშვიდე-მეცხრე საუკუნის ნუსხური აშკარად მსგავსია. სამივე დამწერლობაში, შემდეგ საუკუნეებშიც ამ ასომ მცირე ცვლილებები განიცადა იხ. ქ.ს.ე. გვ. 555; იხ ქვემოთ გვ. 379 სურათი 10. **თ** სინათლის ძირია. გარდა ამისა **თე** მარცვალი სინათლეა ლაზურად. ხოლო ლაზ. მეგრ. ქართ **თოლი თვალი** სიტყვების საწყისია **თ** ბგერა. მაშ, ყოველმიზეზსგარეშე, ქართველური **თ** ეგვიპტურის იდენტურია ოღონდ იგი ეგვიპტური კი არა კოლხური ანუ ლაზ-მეგრულია. იგივე ითქმის ეგვიპტური და მხედრული **ს** ასოს თაობაზე. იხ. ქვემოთ გვ. 379. სურათი 4:

ა – ან-ი. (იხ. გვ. 378 სურ სურათი 1): მკვლევარ კუკური ფიფია ა-ს (ა ასომთავრულ ასონიშნის ცვლილების შედეგად კი არ განიხილავს, არამედ მას მიიჩნევს პროფილში არწივის ყელ-ნისკარტის მოხაზულობის პიქტოგრამად. პიქტოგრამები კი როგორც საყო-

ველთაოდ ცნობილია და როგორცა ზემოთ ითქვა დამწერლობის საწყის პერიოდებს განეკუთვნებიან. სხვა დამწერლობები მათს საფუძველზე წარმოიქმნენ. ამ კონტექსტში ღირსსაცნობია ერთი ფრიად შთამბეჭდავი ფაქტი: ძვ. ეგვიპტურ პიქტოგრაფიაში ეს ნა-



ხატი გავს არწივს. მიმინოდაა მიჩნეული, მაგრამ მიმინოც არწივთა სახეობაა იგი ძვ. ეგვიპტური **ა** ასონიშანია. საყურადღებოა რომ არწივი დახატულია პროფილში. ხომ არა იმიტომ, რომ უკეთ გამოჩნდეს მისი **ა** ასოსმაგვარი ყელ-ნისკარტის კონტური? და თუ ეს ასეა მაშინ ძვ. ეგვიპტურ დამწერლობებში უნდა იყოს **ა** ასონიშანი. ხოლო თუ ეს ასე არაა, მაშინ არწივი იმიტომაა დახატული **ა** ასოს აღმნიშვნელად, რომ სახელი მეგრ **არწი** // ქართ **არწივი** **ა** ასობგერით იწყება. თუმცა სხვა ენებშიც იწყება სახელი არწივისა **ა** ასოთი, ამიტომ ეს ერთი ფაქტი არაა მყარი სამტკიცი. მაგრამ ძვ. ეგვ-ში არის მეორე ნახატი **ა** ასოს აღმნიშვნელად. ეს ნახატი არის ადამიანის ანატომიური ორგანო – წინამხარ + მტევანი (იხ. გვ. 380 "ერთბგერიანი ნიშნები.") იმავდროულად, იგი ძვ. ეგვ. **ა** ასონიშანია. იგი **ა** ასო იმიტომაა, რომ წინამხარ-მტევანი მეგრულში არის **„... სიგრძის ერთეული, არშინზე ოდნავ მეტი, დაახლოებით ერთი მეტრი...“** (იხ ა. ქობალია მ. ლექსიკონი გვ. 25). მას მეგრულად ალაბი ქვია და იგი **ა** ასოთი იწყება.

აღნიშნული, ეს ორი განსხვავებული ნახატი **ა** ასოსი რაკი ორივე სადაგად მეგრულადაა სახელდებული, დამთხვევის ალბათობა შესაბამისად იზღუდება.

ბ – ბან–ი: იგივე მეორდება **ბ** ასოს აღნიშვნისას: ეს ნახატი




არის ადამიანის ანატომიური ორგანოს – ქვედა კიდურის, მეგრულად ბორკის ნაწილი და იგი **ბ** ასოს აღნიშნავს. **ბორკი** **ბ** ასოთი იწყება. ორი ასეთი ნახატი (გაშლილად) კი სიარულის აღმნიშვნელია. მაგრამ, ამ შემთხვევაში გაშლილი ფეხები ანუ ნაბიჯია გამოსახული. ნაბიჯი კი სიარულის ერთეულია, რომელიც მეგრულად **ბიჯგად** იწოდება.



გ – განი: ეს ნივთი ჭურჭლეულის სადგამი იყოო. ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, იგი გახლავთ სპილენძის ქვაბი, რომლის ზუსტი ასლიც თავად გამაჩნია, არყის სახდელად. საოცრებაა მაგრამ ფაქტია – იგი პიქტოგრამაა **გ** ასოსი. რატომ?... ძვ. ეგვიპტელები იყვნენ სახელგანთქმული ხელოსნები. მათ შორის – სპილენძის ნაკეთობებშიც. ხალხურ მრეწველობაში, ეს დარგი ჩვენში დღესაც შემორჩენილია. სწორედ ხალხური მრეწველობის ნაწარმია ჩემი სპილენძის ქვაბიც. მას მეგრულად ონტკაშ ოფუნაფალი „არყის სახდელი“ და ჭანური (ანუ ჭანების ნახელავი) ქვია. მაგრამ უძველეს წარსულში, ყოველმიზეზსგარეშე, მისი სახელი იყო **გ** ბგერთ დაწყებული – გიბ, რადგან ხარშვა და ფუფქვა მეგრულად არის **გიბ**-უა. ჭვილ დო **გიბ**-ილი უდრის „დამწვარ-დაფუფქული“: **გიბ**-უას უწოდებდნენ საკვეცისთვის გამოსაყენებელი სოკოს დიდი ხნით (1 კვირა) ხარშვის პროცესს. როგორც ვიცით, ხშირად საგანს ერქმევა სახელი იმ პროცესისა რომელსაც ემსახურება: მაგ: **თოხნა და > თოხი; ცელვა და > ცელი** და ა. შ. რაკი ხარშვა დღესაც არის მეგრულად **გიბ**-უა, ცხადია, ქვაბს განკუთვნილს ხარშისთვის – ამ შემთხვევაში, უკვე დამტკიცებულად გიბ ეწოდებოდა. აი, როგორ

გახდა  ეს მშვენიერი სპილენძის ქვაბი **გ** ასოს სიმბოლო.

დ – დონ-ი:  ადამიანის ანატ. ორგანოს – მტევნის ეს გამოსახულება ძვ. ეგვ. **დ და თ** ასოს პიქტოგრამაა. არსი მოვლენისა შემდეგშია: დღეს მეგრულად მტევანს **ტოტი** ეწოდება. **ტოტი** ქიგიაშქვ უდრის „**ტოტი ჩაბღუჯა**“ ანუ „მტევნის თითებით მგრად ჩაეჭიდა.“ მტევნის მეორე სახელია **თვათვი**: ქიმკუთვათვუ უდრის ოდნავ შეეხო, „მიუთათუნა.“ თუ დღეს მტევნის სახელები მეგრულში **ტ** და **თ** ბგერებით იწყება რა გასაკვირია ხუთი და მეტი ათასი წლის წინათ მათ ადგილზე **დ** (დონი) ყოფილიყო. ენათმეცნიერებაში სახელების – ქართ. დათვი, თათი, მეგრ. **ტოტ**-ის **დ, თ, ტ** ექვივალენტურ ბგერებადაა მოაზრებული: აი, რატომაცაა მტევნის გამოსახულება ძვ. ეგვ. **დ და თ ასოს** პიქტოგრამა.

თ – თან-ი:  ეს ნახატი შუმერულში თვალს აღნიშნავს: აქ თვალბუდიდან ამოღებული თვალის კაკალი და მისი ნერვული ბოლოს მონაკვეთია დახატული;  ეს კი ძვ. ეგვიპტურად მხედველობაა. ესე იგი, პროტოშუმერულსა და პროტოეგვიპტურს შორის აშკარა იდეური მეკვიდრეობა არსებობს.

თ ასოს მეხუთე -მერვე საუკუნის ქართული ეპიგრაფიკა  და, ასევე, მეშვიდე-მეცხრე საუკუნის ნუსხური აშკარად მსგავსია შუმერული თვალის აღმნიშვნელი ნახატისა..მსგავსება იმ დონისაა, რომ მათ იდენტურობას მტკიცება არ ჭირდება. მეხუთედან დაწყებული, სამივე ქართულ დამწერლობაში, ამ ასომ მცირე ცვლილებები განიცადა იხ. ქ.ს.ე. **თ** ასო გვ. 555. ესე იგი ასომთავრული, ნუსხური და მხედრული **თ** არის თვალბუდიდან ამოღებული თვალის ოდინდელი – შუმერული ოდნავცვლილი ნახატი – პიქტოგრამა. ანუ ამ ნახატმა შუმერულში თვალის კაკლის აღნიშვნა და ქართველურში კი **თ** ასო მოგვცა: ქართველურშიო და არა ქართულშიო იმიტომ ვამბობთ, რომ **თე** ერთთანხმოვნიანი მარცვალი სინათლეა, მხოლოდ ლაზურად.


მაშასადამე, ეპიგრაფიკის, ნუსხურის და მხედრულის **თ** – არა ფინიკიური თუ ბერძნულიდან, არამედ შუმერულ (რესპ. კოლხურ) თვალის აღმნიშვნელ იდეოპიქტოგრამიდან წარმოიქმნენ. ეს რა თქმა უნდა არავითარ შემთხვევაში, არ უარყოფს დიდი ენათმეცნიერის – თამაზ გამყრელიძის მიერ გამოკვლეულ, განსაკუთრებით, ბერძნულ-ქართველურ ასონიშანთა ნათესაობას, ოღონდ ყველა ამათი დასაბამისმიერი ფესვები პროტოშუმერულ-პროტოეგვიპტურშია (რესპ. კოლხურშია).

ი ხმოვანი  ეს მცენარე ძვ. ეგვ. პიქტოგერამაა **ი** ხმოვნისა და ის გავს ისლს. **ისლი** // მეგრ. **ისირი** სიტყვები **ი** ხმოვნით იწყებიან.

კ – კან-ი:  ეს ძვ. ეგვ. პიქტოგრამაა კ ასოსი. იმისათვის რათა გავიგოთ აქ თუ რა საგანია დაახატული (კალათადაა მოაზრებული?!), მივმართოთ სულმნათ ალიო ქობალიას მეგრულ ლექსიკონს: „... **კოპი – ხის სასმისი მოკლე მოკაუჭებული** სახელუ-

რით"... „მ. ლ." გვ. 372. დიახ,  ეს სასმისი მოკლე მოკაუჭებული სახელურითაა და, იქნებ, იმიტომაა დახატული გვერდით პროექციაში, რათა უკეთ გამოჩნდეს **კ** ასოს გამოსახულება: **კოპი ხომ კ** ასოთი იწყება და ამიტომაცა იგი მისი პიქტოგრამა. ანუ მხედრული კ ძველეგვიპტური (კოლხური) პიქტოგრამა ყოფილა.

ასომთავრული (წიგნის და ეპიგრაფიკის)  **კ,** მოხაზულობით გავს კოპს, ოღონდ ორსახელურიანს და პროექციაში ზემოდან ქვემოთ. ასევე იხ. ქვემოთ გვ 379 ნახ. 2.

 – ეს ლომის ნახატია. იგი ძვ. ეგვ. პიქტოგრამაა **ლ** ასოსი. ქართ. ლომი **ლ** ასოთი იწყება. უკვე ვწერდით: ლომისა და ღრენის გამომხატველ სიტყვებში ძირეული **რ** ბგერა რომ იყო. ამიტომ, ლომის წინარედ **რომი*** აღვადგინეთ. თუმცა, როგორც ვხედავთ, ამ პიქტოგრამის შექმნის მომენტში **რ > ლ** უკვე მომთავრებული ყოფილა.

მ – მან-ი:  ეს ფრინველი არის ბუ: ის **მ** ასოს პიქტოგრამაა: 4 – 5 ათასი წლის წინ, დღეს რომ მეგრულ-ქართულში სახელი **ბუ** გვაქვს, რა გასაკვირია ყოფილიყო **მუ***, რადგან ქართულ-მეგრული **მ : ბ** შესატყვისობის მაგალითები იპოება. შდრ. ქართ. **მამა** : მეგრ. **ბაბა** „მამა."ქართ. **მზე** : მეგრ **ბჟა**... ანუ იმ პერიოდში ერთთანხმოვნიანი ქართული **მუ*** მარცვალი ბუს რომ აღნიშნავდა იმიტომ გახდა ბუს ნახატი **მ** ასო.

ნ – ნარ-ი:  ეს ერთი დაკლაკნილი ხაზი ასევე ორი ამგვარი ერთი მეორეს ქვემოთ დახაზული – იდეოგრამაა **წყლისა** და **ნ** ასოსი, ძვ. ეგვიპტურში. როგორც ვიცით, კლაკნილი ხაზი წყლის ტალღას განასახიერებს. ეს უეჭველია, რადგან ეს სამი კლაკნილი ხაზიც ძვ. ეგვიპტურში და ორი ერთმანეთის ქვეშ გავლებული ორი იგივე ხაზი შუმერულში წყალია. მეგრულად სითხეს,

წვენს, წყალს ნე და ნია ეწოდება. შდრ. ნია-ღვარი უდრის „წყლის ღვარი.“ ნე და ნია ერთადერთი – **ნ** თანხმოვნიანი მარცვლები არიან, ამიტომ, ამ იდეოგრამათა კოლხურობა უეჭველია.

ნავის მეგრული სახელი არის ნიში და რამეთუ **ნე // ნი <// ნია** ერთიდაიგივეა, ეტიმ. **ნი-ში** ზედმიწევნით, უდრის „წყლისა“, „წყლისთვის განკუთვნილს.“ მაშასადამე, როგორც მეცნიერნი ამტკიცებენ, ნავი // ნიში ბერძნ. **ნასესხობა კი არაა – პირიქითაა: ბერძნულია ფუძისეული ნასესხობა...**

ო – ონ-ი  – ეს ნახატი თოკია: ამას იმით უნდა მივხვდეთ რომ ერთ ბოლოში ნასკვია გამოსახული. ნასკვი მეგრული სიტყვაა. ზედმიწევნით უდრის „შეკრულყოფილი“. ის რაც შეძლება შეიკრას დაინასკვოს, მეგრულად, არის ო-კირალი, რომელიც **ო** ასობგერით იწყება. **მარა უფრო სარწმუნოა ეპიგრაფიკის და წიგნის ქართული ო. იხ. გვ. 380 სურათი 9. ო-ს აღმნიშვნელია დიდი წრე, რომელსაც პაწა კუდივითა აქ. მარა ეს ხომ ეგვიპტური მზე ღმერთის პიქტოგრამაა, რომელსაც ორა ეწოდებოდა!...**

პ პარ-ი:  **ეს მართკუთხედი გახლავთ ძვ. ეგვ. პ ასო.** უეჭველია, ამ გეომეტრიული ფიგურით რისამე ფართის ან ზედაპირის მინიშნებაა გამოხატული. ამ უკანასკნელთ ქართულ-მეგრულში პირი //> პიჯი სიტყვები აღნიშნავენ, რომლებიც **პ** ასოთი იწყებიან. ციტატა: “... პირამიდა იმ დროის ტერმინია როცა პირი //> პიჯი აფრიკატიზაცია ჯერ არაა მომხდარი. ანუ პირი ჯერ არაა ქართულ-მეგრულად დიფერენცირებული, თუმცა შეძენილი აქვს სიბრტყის კიდის და ა. შ. მნიშვნელობები. შდრ: მდინარის პირ-ი // წყარ პიჯ-ი, მო-პირ-კეთება, ზედა-პირ-ი და ა. შ."

პირ-ამი-და ბრტყელი ზედაპირის (ბრტყელი კედლების) მქონე ოდა (იხ. ე. ი „გ. თ. გვ 151...").

შუმერულშიც არის ერთი იდეოგრამა, რომელიც რაღაც ფართზე, მიწის თუ სხვა საგნის ზედაპირზე უნდა მიუთითებდეს, რად-

გან ძვ. ეგვ. პ ასოს აღმნიშვნელ  ამ ოთკუთხედის მსგავსად, აქაც ოთკუთხედია დახაზული. მ. ე. შუმერულსა და ძვ. ეგვ. იდე-

ოგრამებს შორის აშკარა იდეური მსგავსება-ნათესაობაა. შუმერული იდეოგრამა **პურს** აღნიშნავს. **პური** კოლხური სიტყვაა, რადგან, როგორც ვამტკიცებდით, წარმოქმნილია **პგ რე** „საარსებო არის“ ფრაზიდან. ამავე ფრაზიდანაა ადამიანის ანატ ორგანო – პირი: **პგ რე > პური; პგ რე > პირი.** ამგვარად, შუმ. **პურის** და ეგვ. **პ** ასოს აღმნიშვნ. იდეოგრამები ერთიან მოაზრებებშია...

რ – რაე: პ ასოს სახელდების იდეა დევს, ასევე, ძვ, ეგვ. **რ**



ასოს აღნიშნვაში: ეს ნახატი – პირის ღრუს შესასვლელი ძვ, ეგვ. **რ** ასოს და თავად პირის ღრუს აღნიშნავს. ეს იმიტომ რომ პირის ღრუ, როგორც საკვების მიმღები ორგანო, **არსებობის, სიცოცხლის,** მეგრულად **რე** და **რინას** განმაპირობებელია. **რე** „არის"და **რინა**"ცხოვრება, სიცოცხლე“ კი **რ** ბგერით იწყებიან.

საინტერესოა რომ პირის ღრუს ლათინურად **რიმა ორისი** ქვია და იგი მეგრ. **რ**(ღ)**იმა** (ნოჭ)**ორ**-ის გამრტივებაა. რღიმა ნოჭორი მეგრულად ნიშნავს „დაბჩენილ პირს. ვლადიმერ ალფენიძემაც ლათინურში ამგვარი უამრავი კოლხიზმი დააფიქსირა...

ს – სანი:  აქ დახატულია მრგვალი ბოლოებით ერთმანეთს მიერთებული მავთული. არის ბოლოთი კავისებური ნახატიც. ბურთისებურად და კავისებურად მოღუნვა, ადვილად, მეტალის მავთულისაა შესაძლებელი და ამათ ფორმაც მავთულის გააჩნიათ. მავთული კი მეგრულად **სინა** გახლავთ: იგი **ს** ასოთი იწყება. **სინა** ბევრ აღმოსავლურ ენებში **რკინას** აღნიშნავს. ეპიგრაფიკის სან-ს დღევანდელი მხედრული ამ **ხ** ასოს

მსგავსად რკალი ღერძთან მიერთებული აქვს. არის ასევე  **ამგვარი – რკალის ბოლო დაშორებული ფორმისა. (იხ ქ.ს.ე. ს ასო.** იხ. გვ 379 ნახ. 3.). წიგნის, ნუსხური და მხედრული **ს** მსგავსია და

იგივურია ძველეგვიპტურის ამ ასოსი, მიუხედავად იმისა რომ მათი სივრცითი განლაგება განსხვავებულია. მ. ე. **სან**-ის პროტო-ეგვიპტური ანუ კოლხური წარმომავლობა საეჭვო არაა.

ტ – ტარ-ი: ამ ნახატს უეჭველია აქვს ძუძუს  ფორმა და

აღნიშნავს ძვ. ეგვ. **ტ და თ ასოს** . ძუძუ მეგრულად არის **ტგ**. რაკი ჯიქნის, ძუძუს ფორმა ძვ. ეგვ. **ტ** ასოა, ხოლო **ტგ** დღესაც მეგრულში ძუძუა, უნდა მივხვდეთ, რომ ძუძუს იმ ათასწლეულების მიღმაც მეგრ. **ტგ** ერქვა და პიქტოგრამაც კოლხურია.




ფ – ფარ-ი:  ეს არსება, ნამდვილად გავს ლოკოკინას. იგი ძვ. ეგვ. **ფ** ასოა. ლოკოკინა კი მეგრულად ფერწოდ იწოდება, რომელიც **ფ** ასოთი იწყება და, ამიტომ ეს ნახატი **ფ** (ფარის) კოლხურ პიქტოგრამად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ ეს პიქტოგრამა განსხვავებულად – ოდნავ წაგრძელებულადაც არსებობს და მიჩნეულია რქოსანი გველის ან კობრას ნახატად და ძვ. ეგვ. **ფ** ბგერის აღმნიშვნელად: ეს კი შეიძლება იმით ავხსნათ რომ იქნებ ეს სხვა – **ფ** ასოს მეორე პიქტოგრამაა.

ეგვიპტეში ლოკოკინას ნახატის კოლხურობაზე აშკარად მეტყველებს ასომთავრული და ნუსხური გამოსახულებები **ფ** ასოსი – ფარისა მე-5 -დან ვიდრე მე-18 ს-დე: . (იხ ქ.ს.ე. **ფ ასო; იხ. გვ. 379. სურ 8**): აშკარაა: ეს გამოსახულებები გავს პეპელას, მეგრულად ფარფალიას. ანუ ეს გამოსახულებები გახლავთ **ფ** ასოს კოლხური პიქტოგრამები, რადგან ფარფალია **ფ** ასოთი იწყება.

ქ – ქან-ი:  ეს გახლავთ ქედის კონტური – ძვ. ეგვ. პიქტორამა **ქ** ასოსი. ესეც ("ქვიშიანი დაღმართი") **ქ** ასოა: რუსული ვიკიპედიის მიხედვით, ესენი ქედის და დაღმართის აღმნიშვნელნი არიან. ქედი მეგრულად, გახლავთ მარცვალ-სიტყვა **გა**.

ქართული **ქედი** „წაგრძელებული მთაა“, ამიტომ  ეს ნახატი ქართულ პიქტოგრამად შეიძლება მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში თუ მარცვალი მეგრ. **გა**, მნიშვნელობით „ქედი“ მაშინ **ქა*** ფორმით არ იყო: ეს იმიტომ რომ მარცვალი მაშინ მხოლოდ თანხმოვნად აღიქმებოდა და პიქტოგრამებიც უპირატესად ასეთ ერთთანხმოვნიან სიტყვებზე (რაც უიშვიათესი შემთხვევაა და მეგრულისთვისაა დამახასიათებელი) იქმნებოდნენ. ანუ დადასტურება იმისა, რომ ეს პიქტოგრამა ქართულია, იმ დროისთვის მეგრ-ქართ. **გ : ქ** დიფერენცირების მაუწყებელი იქნებოდა. და პირიქით“ თუ იგი ქართუ-

ლი არაა მაშასადამე. **გ : ქ** დაშლა მომხდარი არ ყოფილა.

შ შინ–ი (იხ. გვ. 379 სურათი 7): რუს. ვიკიპედიის მიხედვით, ძვ. ეგვ.  ეს წაგრძელებულიო თხკუთხედი ძვ. ეგვიპტ. არის აუზი. იგი, ასევე, იდეოგრამაა **შ** ასოსი; **შუმერულში კი, როგორც ითქვა,** ორი ხაზი, ერთიმეორეს ქვემოთ დახაზული არის **წყალი** ანუ ლოგოგრამაა იხ. გვ. 380 სურ. 12; იხ. ქ. ს. ე. ტ. 9 გვ 455. უკვე ვიცით, ძვ. ეგვიპტურში  ეს კლაკნილი ხაზი არის **წყალი და ნ ასო:** გასაგებია, იდეოგრამაში ამ კლაკნილი ხაზებით (გვერდით პროექციაში) წყლის ერთი და ორი ტალღაა მოაზრებული, რადგანაც პროტოეგვიპტურში, ასევე, ერთიმეორის ქვევით დახაზული სამი კლაკნილი ხაზი  წყალს აღნიშნავს. აქ ფრიად საყურადღებო ისაა რომ ბგერა **შ** (resp: **შგ** მარცვალი) დღესაც წყალია, მეგრულში. ამას დავამატოთ ის მთავარი – ჩვენს მიერ წამოჭრილი საკითხი – თუ რა დევს საფუძვლად „მხედრული“ **შ** ასობგერის და მეხუთე ს-ის ასომთავრული (შ-ს)  შექმნაში: ესაა იგივე – პიქტოგრაფიული მეთოდი: დიახ, მე-5 ს-ის ეს ასო პიქტოგრამაა. იგი წყლის ტალღის კონტურებს გვიჩვენებს და დგას ვერტიკალურად. თუ მას ჰორიზონტალში დავაწვენთ –  ნათლად გამოჩნდება, რომ ეს ნამდვილად ასეა. ეს უკანასკნელი, მხოლოდ იმით განსხვავდება ძვ. ეგვ. ამ , ავზისა და **შ** ასოს აღმნიშვნელ, ძვ. ეგვ. პიქტოგრამისგან, რომ წყლის ტალღის იდეა არა სწორი ხაზებით, არამედ მრგვლოვანითაა გამოხატული და რაც, რა თქმა უნდა, უფრო სადაგია ამ გამოხატვის ხარისხთან მიმართებით. მისი ზედა მონაკვეთი ორი რკალია ანუ კლაკნილი ხაზია. იგივე იდეა დევს მხედრული **შ** ასოს შემთხვევაში: მას ქუდად ახურავს ერთი კლაკნილი ხაზი. რათქმაუნდა, ასახსნელია ამ ასოს სხვა ნაწილებიც, რომელიც, დროში წერილობითმა – კალიგრაფიულმა ცვლილებებმა მოიტანა. მაგრამ მთავარი ნათელია: ერთი კლაკნილი ხაზი, რომელიც დღევანდელ **შ** ასოს ქუდად ახურავს უხსოვარ წარსულში ტალღის სიმბოლო იყო; ამგვარად, რაკი: პროტოშუმერულში – 2 კლაკნილი ხაზი (იდეოგრამა) – ორი ტალღის სიმბო-

ლო, წყალ-ს აღნიშნავდა, პროტოეგვიპტურშიც – 3 კლაკნილი ხაზი – ასევე წყლის ლოგოგრამაა და რომ ეს ოთხკუთხედი წყლის ავზის სიმბოლოც იყო და შ ასოსაც აღნიშნავდა, ასევე, რაც მთავარია: დღევანდელი შ ასობგერა, რომელსაც ქუდად ერთი კლაკნილი ხაზი ახურავს – დღესაც, მეგრულად, რაკი წყალია, კანონიერია დავუშვათ: ამ ასონიშანის შემქმნელი ხალხი ერთია: შ ასო ეგვიპტურშიც და ქართველურიც, კონკრეტულად და დამტკიცებულად მეგრელი ხალხის შემოქმედებაა..

როგორცა ვთქვით, ამას ეხმიანება, მე-5 ს-ის ასომთავრულის ამგვარი ეპიგრაფიკული ფორმა ამ ასოსი. მეცნიერთა დასტურით, იგი, აქეთა ეპოქებში, წიგნისმიერში და ნუსხურში, დღევანდელ ყ ასოს ფორმისებურადაა ტრანსფორმირებული. ეს უკანასკნელი კი, ასევე, კალიგრაფიული ცვლილებებით, დღევანდელ შ ასოდ შეიცვალაო (იხ ქ. ს. ე. ტ. 10 გვ. 667): მაგრამ, მე-5 ს-ის ეპიგრაფიკული (შ) – (რომელიც ჰორიზონტალურად დაწოლილი, უფრო გავს ტალღას) და დღევანდელი შ ასო მსგავსნი არიან, ამიტომ მათ მსგავსებას უთუოდ წარმოქმნის დასაბამისმიერი იდეა განაპირობებდა, რასაც წერითმა მექანიკურმა ცვლილებებმა ბევრი ვერაფერი დააკლო....

ჩ – ჩან-ი. ეს ნახატი (გაზიარებულია როგორც ცხოველის მისაბმელი) არის ძვ. ეგვ. ჩ ასო: იგი გავს ხელსაწყოს, რითაც მეგრელები დღესაც კერიიდან მუგუზალს იღებენ, **მაშა** ქვია. მისი ცეცხლში შეყოფას **ჩ**უჩხური // **ჩ**ხირკაფი ქვია. გამოიყენებოდა სუფრაზე ხორცის და მისთანათა ასაღებად, ასევე –ჩანგლის როლში. ჩანგალი მეგრულად არის ჩქიფი, კვება კი – ჩამა-ა (ძირია ჩ (ბჩგ, რჩგ, ჩგ უდრის მაჭამა, გაჭამა, აჭამა). როგორც ვხედავთ, აქ დასახელებული სიტყვები სუყველანი ჩ ბგერით იწყებიან ხოლო დახატული ეს საგანი, როგორც ჩანგალი მათთან ერთ სემასიურ ველშია. იქნებ, აი, რატომაცაა იგი ჩ ასო.

ქართ. ჩანგალის ეტიმოლოგია ამგვარია: იგი კომპოზიტია **ჩან** და **გალ** კომპონენტებისგან შემდგარი. **ჩან** ძირია მეგრული სიტყვისა ინო-**ჩან**-ფა „ჩაყოფა.“ **გალ**-ი კი მეგრ. ღალ-ი „ტოტ-ი“ სიტ-

ყვის დერივატია: (ც > გ შდრ. მეგრ.. ცვაჯ-ი „მამრის საკვერცხე ჯირკვალი“ და ო-გვაჯ-ე: „ქათმის კვერცხსადები“; ცვაჯ > გვაჯ. კ. დანელია; შდრ. მეგრ. ცოთ-უა > გოდ-ება იხ. ა.ქ. ლ.ქ. გვ 655): თუ **ჩან** ჩაყოფას აღნიშნავდა **გალ** კი ტოტს მ. ე. **ჩან-გალ-ი**, ოდელაც, **ჩასაყოფი ტოტი** ყოფილა. დღესაც, სამეგრელოში, ქორწილისას, ხორცს, სახლს გარეთ – ეზოში დიდი ქვაბით ხარშავენ. როცა ხორცი ქვაბში ტივტივებს მას ორკაპი ბოლოს მქონე ტოტით ჩაწევენ: ბავშვობიდან გამიგონია: მეუ აკა, ჩუანიშ ინა-**ჩან**-აფალი, ცალი გეგლატახი. უდრის „წადი ერთი ქვაბის ჩასაყოფი ტოტი მოტეხე“: ამგვარი სახელდახელო იარაღის (ჩანცალ // ჩანგალ-ის) აღმნიშვნელი სახელის ენაში დაფიქსირება დიდმნიშვნელოვანია, რადგან თვით იარაღის და მისი სახელის წარმოქმნის უძველეს ეპოქებზე მიუთითებს: ფაქტია, რომ ქართვ. **ჩ** ასოები ყველა საუკუნეში ჩანგლისებურია ანუ ჩანგლის ნახატები არიან (იხ გვ 379 სურათი 3; იხ. ქ. ს. ე. **ჩ** ასო.). მ. ე. აქ სრული თანხვედრაა ძვ. ეგვიპტურთან, თუ მაშას ნახატი, როგორც ჩანგალია პიქტოგრამა **ჩ** ასოსი.

ნ – ნან-ი (იხ. გვ. 379 სურათი 6) : ეგვ. ნ ასოს კომპოზიტი პიქ-

ტოგრამა – , არტიკულაციურად, ახლო მონათესავე ორი **ტ** და **ს** ბგერებისგანაა შემდგარი, რომლებიც, როგორც დავამტკიცეთ **ნ** წარმომავლობისაა

კ. ფიფიას სასახელოდ უნდა ითქვას რომ მან მხედრული **ნ** ცაზე, გადაფრენისას, წეროთა განლაგების მოხაზულობის გამოსახვად ჩათვალა. გადაფრენისას, ვისაც წეროთა განლაგება უნახავს, შეუძლებელია არ გაოცდეს იმდენად მსგავსია (იკონურია) ეს გამოსახვა **ნ** ბგერასთან: ცაზე, თითქოს ვეება **ნ** ბგერა მიფრინავს. მაგრამ მეცნიერთა მიერ მიჩნეულია რომ მხედრული **ნ** ასომთავრულსა და ნუსხურის, საუკუნეების განმავლობაში, შესაბამისი ცვლილებებითაა გარდაქმნილი...

ასომთავრული (**შ**) –  და (**ნ**)  გახლავთ ერთიდაიგივე: ორივე ტალღის პიქტოგრამაა: ისინი მხოლოდ დგომის პოზიციით განსხვავდებიან. (**ნ-ს**) -ს შემთხვევაში სიმბოლურად ვერტიკალურად აღმართული ტალღის გამომხატველი ორივე რკალი მარჯვნი-

ვაა, (შ-ს) შემთხვევაში კი – მარცხნივ. კიდევ, -ს შემთხვევაში ქვედა რკალი გახსნილია. ესაა და ეს.

ძვ. ეგვ. **შ**-ს შესახებ უკვე ითქვა: რომ შეუძლებელია ის არ იყოს კოლხური, რადგან ერთადერთ – **შ** თანხმოვნით წარმოებული სილაბა **შგ** მხოლოდ მეგრულშია „წყალი". ზუსტად იგივე ხდება ასომთავრულ -ს შემთხვევაში: ერთადერთი **წ** თანხმოვნით ნაწარმი **წა** მარცვალი, ასევე, მხოლოდ მეგრულშია, მოფერებით, „წყალი" და ორივეს წ-ს ქუდად – ტალღის სიმბოლო – კლაკნილი ხაზი ახურავთ. გარდა ამისა, მეცნიერთა დასტურით, მეგრ. ქართ. წყარ // წყალ ფუძის ძირია **წ** ბგერა. მ. ე. შეიძლება ითქვას, რომ ასომთავრული, ასევე მეცნიერთა დასტურით რომლიგანაც ნუსხური და მხედრულია წარმოქმნილი, დამტკიცებულად კოლხურია.

ხ – ხან-ი (იხ. გვ. 379 სურ. 5).  ამ ნახატზე გამოსახულია სახეხი ხელსაწყო (რატომღაც მიჩნეული ცხოველის შიგნეულად?!). მაგრამ ზუსტად იგივე ფორმის ნახატი ძველ შუმერულში არის „ხერხი". რატომ უნდა აღნიშნავდეს ეს ნახატი **ხ** ასოს? – იმიტომ ხომ არა, რომ ხმაბაძვითი **ხორხუა** // **ხერხვა ხ..ხ..** ხმიანობით მიმდინარეობს და ამიტომ ეწოდება დუბლირებული **ხ** ბგერისგან შემდგარი სახელი სახერხ იარაღს ქართულად და მეგრულად **ხერხი // ხორხი**?: ანუ, დასაშვებია, ამ პიქტოგრამის სახელიც **ხ** ასოთი იწყებოდა და იყო ქართველური. ამაზე **ხ** ასოს მეორე პიქტოგრამა მეტყველებს:

 ეს გახლავთ **ხ** ასოს მეორე პიქტოგრამა ძვ. ეგვიპტურში. იგი გვიჩვენებს წრით მოცემულ მიწის ფართს, ზედაპირს მიწისას, რომელიც მოხნული კვლებითაა დასერილი. ამგვარი დასერვა მიწისა სამეგრელოში ახლაც ტრადიციაშია: მთლიანად სახნავ ფართს 5 – 6 მეტრით დაშორებულ თანაბარ ნაწილებად დასერავენ. კვლებს შუა არსებულ მოსახნავ ფართს **წურუას** ეძახიან. მერე იწყებენ მიყოლებით ხვნას: ყოველი **წურუას** მოხვნის შემდეგ ხა-

რებს შეასვენებენ... ამგვარად,  ეს პიქტოგრამა მიგვანიშნებს მიწის ნაკვეთზე, რომელიც სახნავად **წურუებად**-აა დაგეგმარებული,რადგანაც დღესაც ნებისმიერი მეგრელი თუ დაინახავს ამგვარი სიმეტრული კვლებით დასერილ ყანას – მისთვის ცხადია: ყანა **წურუებადაა** დაყოფილი, ხოლო ხმაბძვითი **ხ**ვნა // **ხ**ონუა, მსგავსად ზემო-დასახელებული **ხ**ერხვა // **ხ**ორხუასი **ხ.. ხ..** ხმიანობით ხასიათდებიან და **ხ** ბგერით იწყებიან. მ. ე. ეგვიპტური ეს პიქტოგრამაც დამტკიცებულად მეგრულია.

ქართ. **ხ** (ხანს) ასეთი აგებულება გააჩნია: მარცხენა მხარეს ვერტიკალურად აღმართული ღეროა, რომელსაც მარჯვნივ მიმართული ორი ღერო აქვს: წინა ღეროს ბოლო უკანაა მოკაუჭებული უკანასი კი პირიქით – წინ. იხ. ქ. ს. ე. **ხ** ასო. ამ ფორმის სახნავი პრიმიტიული კავი გამოიყენებოდა სახნავად : პატარაობისას მინახავს. წინა ღეროს, უკან მოკაუჭებული ღერო კავის სადგმად გამოიყენებოდა: უკანა კი – სახნავად . ესე იგი, ამ ასოებს თუ რაიმე საგნებად წარმოვიდგენთ მივხვდებით: ესენი პრიმიტ. ორღეროიანი კავის ნახატები არიან. მ. ე., ქართ. **ხ** – ხანის გამომხატველი, ზემოთხსენებული ასონიშნები პირდაპირ იდეურ მსგავსებას პოულობენ ძვ. ეგვ. **ხ** ასოს პიქტოგრამებთან, რადგანაც გამოსახულნი არიან სახნავი იარაღის – კავის ნახატით ანუ თავადაც პიქტოგრამებს წარმოადგენენ.

ეგვიპტური (კოლხური) ეს იდეოგრამა  ხვნის აღმნიშვნელია ასომთავრული **ხ** კი – **იარაღისა რითაც ხნავენ:** ეს კი, არა მარტო მათ შემოქმედთა ვინაობაზე, არამედ მიუთითებს იმაზეც თუ ვინ შეიტანა მიწათმოქმედების კულტურა ეგვიპტეში. ეს უკვე, დამტკიცებულად, კულტურული ექსპანსიაა კოლხებისა ძველ ეგვიპტეში და არა მარტო იქა, არამედ მესოპოტამიისა და სხვა მიმართულებებითაც...



ჯ – ჯანი: ამ ნახატზე გამოსახულია გველი (კობრა), პიქტოგრამა ძვ. ეგვ. **ჯ** ასოსი. ეს იმიტომ რომ გველისნაირ გრძლად დაგრეხილ რაობას მეგრულად **ჯ**ვემა ეწოდება, რომელიც **ჯ** ასოთი იწყება და რომელიც შხამს შეიცავს: მეგრ. **ჯ**ვემა თუთუ-

მი უდრის „ გრძლად დაგრეხილი თამბაქოს ფოთლები.“ გარდა ამისა შხამ-ღვარძლი მეგრულად არის – ჯულაბი: გველი კი შხამის სიმბოლოა. უცხადესია: ეს სიტყვები გვიჩვენებს, რომ ქართვ. ჯ –

(ჯანი)  და ეგვიპტური (ჯ) – , **ერთი პროტო ქართვ. – კოლხი ხალხის მიერაა შექმნილი, რადგან მათი პიქტოგრამები ერთი საწყისი იდეით არიან შეკრულნი, ოლონდ ძვ. ეგვ. ჯ-ს თუ ერთი გველი გამოხატავს, ქართულში ამას აკეთებს – ორი ერთმანეთს გა-**

დაჯვარედინებული: ანუ  **ეს ასომთავრული ასო ორი გადაჯვარედინებული გველის ლოგოგრამაა: იხ ქ. ს. ე. ჯ ასო.**

ამერიკელ ინდიელთა პიქტოგრამაშიც ორი ერთმანეთს გადაჯვარედინებული გველი საშიშროებაა იხ. გვ. 380 სურათი 11: სემასიურად **შხამი <// გველი //> საშიშროება,** კანონიერია:

ჰ – ჰანი:  ამ ნახაზით ღია შესასვლელის მქონე, შემოსაზღვრული სივრცის ხედი – პერსპექტივაა მოცემული. მასში არაფერია. ცარიელია იგი. მაგრამ მასში არის რაღაც, რასაც ჩვენ ჩვენით უნდა მივხვდეთ. ეს „რაღაც,“ რა თქმა უნდა **ჰაერია,** რადგან ჰაერი უხილავია... ეს ნახაზი კი იძლევა აზროვნებაში მისი – ჰაერის წარმოდგენის შესაძლებლობას. ანუ ნებისმიერ სივრცეში, რომელშიც სიცარიელეა რაკი მხოლოდ ჰაერი შეიძლება იყოს ამიტომაცაა ეს ნახაზი **ჰ** ასოს იდეოგრამა: სიტყვა ჰაერი ხომ **ჰ** ბგერით იწყება. **ჰ** ასოს მეორე ძვ. ეგვ. იდეოგრამა აზუსტებს ზემორე გამოთქმულ მოსაზრებებს: ნახატზე, რომელიც პატრუქის ზონრად მიაჩნიათ, ნაჩვენებია ვერტიკალურად ერთმანეთზე წამოცმული ცარიელი მრგვალი მოცულობები. მაგრამ უკვე კარგად ვიცით: ამ მოცულობებში აბსოლუტური სიცარიელე კი არაა, არამედ მასში ჰაერია. ამიტომაცაა იგი **ჰ** ასოს ალმნიშვნელი. საყურადღებოა, რომ იგი ძალიან გავს ბოლო საუკუნეების მხედრულ **ჰანს:** უფრო სწორედ თუ ძვ. ეგვ. პიქტოგრამას შუა გავჭრით ზუსტად მხედრულ **ჰანს** მივიღებთ.


სამწუხაროდ, ამ დასკვნებს წინ ელობება მეცნიერებაში გაბატონებული მცდარი აზრი – თითქოს სიტყვა ჰაერი წარმოადგენ-

დეს გეორგიულში ბერძნულ ნასესხობას (ჰაერ < აირ). არაა ჰაერი ნასესხობა: ჯერ-ერთი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ძვ. ეგვ. იდეოგრამები ჰაერის აღმნიშვნელ სიტყვაში ჰ ბგერის თავკიდურა პოზიციაში არსებობის თაობაზე ჯიუტად მიუთითებენ., მეორეც: ჰაერი, დასაბამისმიერი, ხმაბაძვითი სიტყვაა, ხოლო ამ „დასაბამისმიერობაში" მთავარი როლი სწორედ ჰ ბგერას ეკუთვნის: ციტატა: "... ჰ ბგერა ჰაერის პირველყოფილი სახელდებაა: მამტკიცებელი არგუმენტი ამისა თვით სახელდების საოცარი მიგნებულობაა: ჰ... ჰ... ჰ... ბგერათა დუბლირებით, ვთქვათ, სახეზე სულის შებერვით შესაძლებელია დემონსტრირება იმისა თუ რა არი ჰაერი. ეს რაობა ჰაერისა მეგრ. სტატიკური ზმნა რე „არის"-ის მეშვეობით, გამოხატვას პოულობს **ჰგ რე „ჰგ არის"** > **ჰაერ** ტრანსფორმაციაში. ასე რომ ბერძნულიდან კი არაა ტ. აირი შემოსული (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავს), არამედ პირიქით: **ჰგ რე // „ჰგ არის"** ფრაზა გახლავთ ზოგადკაცობრიული თავსაწყისი..." იხ. ე. იზორია „გ. თ." 1982 – 96 წ. წ. გვ 118.


როცა აქვეთქმული პუბლიკაცია გავაკეთე, შუმერულ და ეგვიპტურ იდეოპიქტოგრამებზე წარმოდგენაც კი არ მქონდა, მაგრამ ნახეთ როგორ დაადასტურეს მათ ციტატის ტექსტი... პიქტოგრამებში ჰაერის შემცველი  (62) ეს მოცულობები, აღმნიშვნელად ჰ ასოსი, მხოლოდ მაშინ გახდებოდნენ თუ ჰაერის გამომხატველი ძვ. ეგვ. სიტყვა ჰ ბგერას შეიცავდა და ისიც აუცილებლად თავკიდურა პოზიციაში, როგორც სხვა ძვ. ეგვ. პიქტოგრამებით აღნიშნული ასოს შესატყვისი ბგერა ამ პიქტოგრამებით გულისხმებულ სიტყვებშია.

როგორც ვხედავთ, ძვ. ეგვ. იდეოპიქტოგრამები კოლხურქართულია. ეს კი უეჭველს ხდის მათსავე პრიორიტეტებს მსოფლიო ცივილიზაციათა ყველა მიმართულებებით.

ქ. ს. ე-დან ამოღებული ასომთავრულის სურათები და იდეო-პიქტოგრამები




ნახ. № 1




ნახ. № 2




ნახ. № 3




ნახ. № 4



ნახ. № 5



ნახ. № 6




Бзб. № 7




Бзб. № 8




Бзб. № 9




Бзб. № 10



Бзб. № 11



ნახ. № 12



ქიმია, ალქიმია, ექიმი, სკოლა, მათემატიკა, არითმეტიკა, კალენდარი და სხვა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ტერმინთა ეტიმოლოგია

ქართველურ ენებში გავრცელებულია მრავალი ისეთი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ტერმინი, რომელთა ეტიმოლოგია ჯერ არაა დადგენილი, ანდა თანამედროვე მეცნიერება მათს უცხოენობრივ წარმოშობას და შემდეგ ჩვენს ენებში გავრცელებას ამტკიცებს.

ასეთი ტერმინებია: ქიმია, ალქიმია, ექიმი, სკოლა, კალენდარი, ღვინო, პური, შაქარი, მათემატიკა, არითმეტიკა, ბერკეტი და ა. შ.

გვსურს მკითხველს გავაცნოთ ამ და სხვა მათთან დაკავშირებულ სახელთა წარმოშობის და გენეზისის ჩვენებური ინტერპრეტაციები და მცდელობა დავუკავშიროთ ისინი – ქართველურ, კერძოდ, მეგრულენოვან სამყაროს.

მიგვაჩნია რა, რომ ზემოთხსენებულ ტერმინთა საერთო – განმაზოგადოებელი არსი ერის ცივილიზაციის სამსახურშია და რომ – ისინი ამ კუთხით განუწყვეტელ ურთიერთკავშირში არიან, შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, წარმოვაჩინოთ ეს კავშირი. ძირითადად, მათ შესახებ საუბარი ავაგოთ, ჩვენი აზრით, მათგან უმნიშვნელოვანეს ტერმინ **ქიმია-ს** ირგვლივ.

როგორც ცნობილია, ტერმინ ქიმია-ს წარმოშობა საბოლოოდ არაა დადგენილი: ძველეგვიპტური სიტყვის **ტა კამეტა (კამ > // კიმ* // ქიმ*)**", რაც „შავი მიწა"-ს აღნიშნავდა, მისი დაკავშირება ნაკლებად სარწმუნოა. უფრო ანგარიშ გასაწევია ამ სიტყვის როგორც ეგვიპტის ძველი სახელწოდების მნიშვნელობა. ლოგიკურია ვივარაუდოთ ტერმინის საფუძვლად იმ ქვეყნის სახელი – ტა კამეტა, სადაც, სავარაუდოდ, წარმოიქმნა და უპირატესი გამოყენება ჰპოვა. ბუმბერაზი ძველეგვიპტური ცივილიზაცია ასეთი დაშვების შესაძლებლობას აადვილებს. მაგრამ რატომ არ გამოიწვია ზემოთხსენებულმა ფაკტმა ადეკვატური გამოძახილი ანტიკურ წყაროებში, რომლებიც თითს კოლხეთისკენ იშვერენ?... ასევე, ეს მით უფრო თვალში საცემი გახდება თუ გავაკეთებთ ანალოგიას საქართველოს ძველ სახელწოდება – **„გეორგია"**-სთან: გეორგია იყო საქართველოს როგორც ქვეყნის სახელი, მაგრამ, ასევე, ნიშნავდა

მიწათმოქმედ ქვეყანას, მიწათმოქმედებას. ეს დარგი კი ყველა მეცნიერებათა და და მ. ე. ქიმიის, როგორც მეცნიერების, საფუძველიცაა. (ჩანართი: ვალერიან შენგელია – „კარლ გენრიხ ემილ კოხი: „ ბევრი ქართველი ფიქრობს რომ მათ **გეორგიანები** დაერქვათ იმის გამო, რომ ისინი სხვა წმინდანებთან შედარებით, უფრო ეთაყვანებიან წმინდა **გიორგი** გამარჯვებულს, ამ წმინდანის გამოსახულებითაა უძველესი მათი სახელმწიფო გერბი. მარა არის ეჭვი, რამეთუ **პომპონიი მელა და პლინიი** ახსენებენ ... თავიანთ ქვეყანაში მცხოვრებ **გეორგებს** მანამდე, სანამ ქართველები ქრისტიანებად მოექცნენ...). რაც შეეხება ტერმინ **ქიმია**-ს ბერძნულ სიტყვა ხიმა – **სხმა, ჩამოსხმა-დან** წარმომავლობის ჰიპოთეზას, უნდა აღინიშნოს, რომ ის ნამდვილად წარმოიქმნა **მეტალურგიულ პროცესებთან** დაკავშირებით, მაგრამ (ჩვენ შევეცდებით ეს შეძლებისდაგვარად დავასაბუთოთ) არა ბერძნული **მეტალურგიისა და ენის წიაღში.** მისი აღმოცენება დაკავშირებული იყო არა მარტო მეტალურგიასთან, არამედ, უწინარეს ყოვლისა, **მიწათმოქმედებასთან, მედიცინასთან, კულინარიასთან და, საერთოდ, ადამიანის ამა თუ იმ სახით მოღვაწეობის ამსახველ სიტყვებთან.**

მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სახელები

თუ დავაკვირდებით სიტყვებს – **მა-რგ-ალი (უდრის „მეგრელი“, „მ-რგ-ველი“, „გლეხი“); გე-რგ-უაფა (და-რგ-ვა); ბა-რგ-უა (მა-რგ-ვლა); ბე-რგ-ი (თოხი); ა-რგ-უნი (ნაჯახი); მა-რგ-ილი, ნე-რგ-ი; გვარი – გე-რგ-აია, გე-რგ-ედავა; პირსახელი გიო-რგ-ი, გე-რგ-უ, ჯგ-უგე (ყველა წმინდა გიორგის სახელია) და ა. შ. ვნახავთ, რომ ნე-რგ-ს და რგ-ვას** ამ სახელებთან ერთი საერთო **რგ** კომპლექსი აკავშირებთ. მაგრამ, ვინაიდან ამ დიდ მნიშვნელოვანი სიტყვების კოჰორტაში – **ეთნიკური ერთეულის, გვარის, პირსახელის, სამიწათმოქმედო იარაღების და მიწათმოქმედების ამსახველი მეგრული სიტყვებია, ცხადია, ისინი წარმოქმნილნი არიან რგვა-თესვის მიგნების პროცესში და მ. ე. ეთნონიმი მარგალი მიწათმოქმედების შემქმნელი ხალხის სახელია.**

ჯერ კიდევ 2600 წლის წინათ, ჰეკატე მილეთელის მიერ დასახელებული და, ასევე 2500 წლის წინ ჰეროდოტეს მიერ თავის ნაწარმოებ **„ისტორია-ში“** მოხსენიებული ეთნონიმი **მაკრონი** ისტ.

მეცნიერებაში გაზიარებულია როგორც მეგრელი ხალხის აღმნიშვნელი თვითდასახელება – **მარგალის** შესატყვის ბერძნულ სახელად. ამ დროიდან, დიდი ხნის გასვლის შემდეგ, ქართულ ისტ. წყაროებში ამ, ზემოთდასახელებულ, ბერძნულ **მაკრონ-ის** შესატყვისად გვხვდება სახელი – **მაკრისი**, რომელიც **კრეტა-მიკენის კულტურესის** პერიოდისაა. ანუ კიდევ უფრო ძველია.

ეს ორი სახელი **მაკრონი და მაკრისი** ფრიად საინტერესო ენათმეცნიერულ პრობლემებს მოიცავენ. კერძოდ: ენათმეცნიერთა მტკიცებით (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა და სხვები) ეთნონიმი **მე-გრელი**, იმგვარადვე არისო წარმოებული როგორც, **მე** წინსართის მეშვეობით, **ეგვიპტე** -დან – **მე + ეგვიპტელი >// მე-გვიპტელიო.** რაკი ეთნონიმი **მე-გვიპტელი** არქაულია (ძვ. ქართ-ია), მ. ე, კანონიერია იმის გაზიარება, რომ **მე**-გრელიც იმდროინდელია., ასევე ლოგიკურია ვიგულისხმოთ ამ ქართ. ეთნონიმ **მეგრელი**-საგან იყოს წარმოებული მეგრელთა თვითდასახელება – **მარგალი, რასაც** მხარს უჭერს ქართულ – მეგრული **ე : ა** ხმოვანთშესატყვისობა. მაგრამ, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ ჩვენსერამდელ ბერძნულ-რომაულ წყაროებში მეგრელთა ეთნონიმად იხსენიება არა მე-კრონი, არამედ მა-კრონი;

ჩანართი: "...კლავდიოს პტოლემაიოსი (ახ. წ. 100-178 წწ.) თავის გეოგრაფიაში ასახელებს „**მა**-ნრალებს", რაც ცხადია იგივე „მეგრელების", ან ადგილობრივი „**მა**-რგალის" ფორმაა. იგი წერს: „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზევით მდებარე ადგილებში **მა**ნრალები და ეკრიკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი". ამ ცნობაზე დაყრდნობით, ლაზები ზღვის პირას ბინადრობენ, ხოლო **მა**-ნრალები და ეკრიკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი ... „ზევით მდებარე ადგილებში"...." თენგიზ ვერულავა.

ძვ. ქართ. წყაროებში გვაქვს არა **მე**-კრისები, არამედ მა-კრისები. ხოლო მეგრულად, თვითდასახელებად, მეგრელებს დღესაც აქვთ არა მე-რგალი არამედ – მა-რგალი. მ. ე, ქართულ – „**მე**-გრელ" და მეგრულ – „**მა**-რგალ" სახელებში არა ქართულ **მე** წინსართიდანაა მიღებული მეგრული – **მა,** არამედ პირიქით: **მა**-რგალის **მა**-დანა მიღებული ქართული **მე**-გრელის – **მე**. ეს უკვე ფაქტია და თანაც დიდმნიშვნელოვანი, რადგან ნათელს ჰყოფს ქართულ : მეგრულ **ე : ე** შესატყვისობაში მიმართულების საკთხს: მეგრული **ა** ხმოვნიდანაა, ამ შემთხვევაში, მიღებული ქართული ხმოვანი **ე**.

ახლა განვიხილოთ ის თუ რა მდგომარეობა გვაქვს ჰეკატე მი-

ლეთელისა და ჰეროდოტეს მიერ დასახელებულ **მა-კრ-ონ**-ის და მეგრულ ენაში მეგრელის აღმნიშვნელ – **მა-რგ-ალ-ის** ურთიერთ შედარებისას: **მა** წინსართის შესახებ უკვე ვისაუბრეთ; ორივე სახელში, შესაბამისად, ბერძნ. მა-კრ-ონ-ში ძირია **კრ**, ხოლო მა-**რგ**-ალ-ში – **რგ** კომპლექსი. მა-კრ-**ონ**-ის **ონ-ი** და მა-რგ-ალ-ის **ალ-ი** ბოლოსართები არიან. სუფიქსი **ონ-ი** მეგრულში აღნიშნავს საგნების მოცემულობა-განფენილობას. მაგ: **ჯალ-ონი** უდრის გარკვეულ არეში ხეთა განფენილობას; **ქუალ**-ონ-ი უდრის „ქვიან ადგილს" და ა. შ. მეგრული **ალ-ი** სუფიქსი ანარმოებს მიმღეობას. მაგ: მა-ხაჩქ-**ალ-ი**, მა-ჭარ-**ალ-ი** „მთოხნავი, მწერალი"და ა. შ.

რაკი ძვ. ბერძ. **მა-კრ-ონ-ს** წინსართ-ბოლოსართი მეგრული ქონია, **რგ** კომპლექსი კი, ასევე, მეგრ. ძირია სიტყვებისა **რგ**-უა-ლა // **რგ**-ვა, და ა. შ. გამოდის იგი სრულიადაც მეგრული სიტყვა ყოფილა. მისი ძირი – **კრ** კომპლექსი სრულად ესადაგება მა-**რგ**-ალ-ის **რგ** კომპლექსს და კანონიერია დაუშვათ, რომ მიღებულია ამ უკანასკნელის შეცვლა-შებრუნებით: **რგ > რკ* > კრ***. **რგ კომპლექსის** ზუსტად ასეთი შებრუნება გვაქვს მეგრ. მა-**რგა**-ტელ და >// ქართ. მა-**კრა**-ტელში. (მეგრ. **მარგა**-ტელი ეთნონიმ **მარგ**-ალ-ის **მარგ**. ძირს შეიცავს, რაც იმის მაუწყებელია ეს **იარალი კაცობრიობას მეგრელებმა აჩუქეს**). ეყოველივე ამის გათვალისწინების შემდეგ, ადვილად ვხვდებით, რომ **მა-კრ-ონ**-ის წინაფორმა იყო **მა-რგ-ალ-ონ-ი და აღნიშნავდა მარგალების დასახლების არეალს ანუ ქვეყანა სამეგრელოს.** დღევანდელი მეგრ. თვითდასახელება – **სა-მა-რგ-ალ-ო** გვიანდელი ფორმაა, ხოლო **ო-მა-რგ-ალ-ე და მა-რგ-ალ-ონ-ი** – ადრინდელი. **მა-რგ-ალ-ონ-იდან**, ბერძნულ წყაროებში შენარჩუნებულ **მა-კრ-ონ**-ის მიღების დაშვება აბსოლუტურად კანონიერია: მოხდა სახელ **მა-რგ-ალ-ონ**-ის კუმშვა და გამარტივება: **ალ** ფრაგმენტი ამოვარდა **მა-კრ-ონ > მა-რგ-ონ***; ამ უკანასკნელში, **რგ** კომპლექსი, როგორც უკვე ითქვა შეიცვალა **კრ** კომპლექსად: მა-**რგ**-ონ > მა-**კრ**-ონ...

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ეს მოხდა არა რაღაც 800 ან 900 წლის წინ, არამედ ჰეკათე – ჰეროდოტეს მიერ სახელ **მაკრონის** მოხსენიებამდე: ეს აბსოლუტური სიმართლეა, რადგან იმ ცვლილებებს, რომელიც სახელ **მა-რგ-ალ-ონ-ს მა-კრ-ონად** გადააქცევდა ხომ დიდი დრო დასჭირდებოდა. **მ. ე. სახელი მარგალი, მარგალონი და ქვეყანა სამეგრელოს ისტორია ათასწლეულებს მოიცავს...**

ბერკეტის როლი კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია. **კეტს** ადამიანი ოდიდგანვე იყენებდა, როგორც ბერკეტის თვისების მქონე იარაღს. ასე რომ **ბერ + კეტ > ბერკეტ** სიტყვაში **კეტის** როლი გასაგებია, რასაც ვერ ვიტყვით მის **ბერ კომპონენტზე.** მაგრამ საკმარისია **ბერკეტი** მივაკუთვნოთ, ზემოთხსენებულ. სამიწათმოქმედო სიტყვათა სემასოფონეტიკურ (აზრობრივად და ბგერითი აგებულებით მსგავს სიტყვათა) ჯგუფს, რომ საკითხი, მაშინვე, ნათელი გახდეს: **ბერ-კეტი** სხვა არაფერია თუ არა **გ** დაკარგული **ბერგ-კეტი, რაც,** ზედმიწევნით, უდრის **„თოხ-კეტი“.** როდის შეერთდნენ **კეტი და ბერგი** ახალი **მნიშვნელობის ბერკეტ** ტერმინად? უზუსტესად, როდის შეიძინა **კეტ** სიტყვამ ახალი კომპონენტი სიტყვა **ბერგ**-ის სახით? მაშინ როდესაც იგი, რგვა-თესვის ათვისების პროცესში სახელდახელო იარაღი იყო თუ შემდგომ – კაცობრიობის განვითარების გვიანდელ პერიოდში? – **ბერკეტის,** როგორც ახალი მნიშვნელობის კომპოზიტი სახელის, წარმოქმნის ქრონოლოგია უფრო პირველ მოსაზრებაზე ასხამს წყალს: ჯერ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ბერკეტის** თვისების მქონე **კეტს პირველი ადამიანი** ხმარობს მხოლოდ ნადირობისთვის ან თავდაცვის იარაღად. მაგრამ როგორც კი ის ხდება შრომის, სახელდახელო იარაღი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ რომ მიწათმოქმედების იარაღი, შესაბამისად, იმატებს **რგ** ძირის **ბერგ (< გახმოვანება < ბ-რგ* < ბ + რგ*)** კომპონენტს: **კეტ + ბერგ > კეტ-ბერგ >// ბერგ-კეტ.**

ვიმეორებთ: ვინაიდან, ამ უკანასკნელს საერთო **რგ** ძირი აქვს **ნე-რგ**-სა და **რგ**-ვასთან ერთ სემასიურ ველში განფენილ, ზემოთხსენებულ, სიტყვებთან, უეჭველია, **ბე-რ(გ)-კეტ //> ბერკეტ** ნეოლოგიზმი (ახალი სიტყვა) გახდა სამიწათმოქმედო იარაღის მნიშვნელობისა. მეტალურ თოხამდე **ბერგ-კეტის** (თოხ-ჯოხის) გამოყენება კანონზომიერი და გარდაუვალია. ის უნდა ყოფილიყო დედანი, სახელგანთქმული კოლხური ცივილზაციის მადასტურებელი უპირველესი ატრიბუტების – სწორუპოვარი და უნიკალური კოლხური **არგ-უნ-ისა და ბერგ-ისა** ("ცულისა და თოხისა"). ესე იგი, ეს უკანასკნელნი, იმაზე ღაღადებენ, რომ თავდაპირველად **არგუნს** „ცულს“ და **ბერგს** „თოხს“ ქონდათ საერთო, ძირითადი, ფუნქცია მიწათმოქმედებისა, შემდგომში კი იარაღის დანიშნულების დიფერენცირებისდა მიხედვით, მოხდა მათი ახალი ფუნქციის იარაღებად დამკვიდრება: **არგუნი,** გარდა სამეურნეოსი, საბრძოლო და

სარიტუალო იარაღი – ცული გახდა; **ბერგი** კი თოხად დარჩა.

(ჩანართი: ფრიდონ აბაკელია: „...რუსული ვიკიპედიიდან: ... უძველეს დროში ვლადიმირის სამთავროში ცულს, .. **არგუნს „аргун»**-ს ეძახდნენო. შეხედეთ, რუსები რას ამბობენ, ..., ის ჩვენი რუსული ენის ტერმინიაო. ... 'ტოპორი' წარმოებულია ირანულ-ტაჯიკური tappara-დან....")

მსოფლიო ისტორიული ტრადიციების თანახმად, ზემოთხსენებულ, ყველა იარაღებისა და მათი საშუალებით ადამიანის, სამიწათმოქმედო, მოღვაწეობის ამსახველმა სიტყვებმა განაპირობეს ხალხის (იგივე ეთნოსის) სახელის – **მარგალ-ი,** როგორც **მრგველის** ანუ მიწათმოქმედის დამკვიდრება.

რგ // ერგ // არგ ძირთა სიძველის საკითხის გარკვევისათვის დიდმნიშვნელოვანია ანთროპონიმ (ადამიანის პირსახელი) **გიორგის** წარმოშობის გარკვევა. მას ბერძნულენოვან სამყაროს მიაკუთვნებენ, რადგან ბერძნულად **გეო** გახლავთ მიწა, **გეორგი** კი, შესაბამისად, მიწათმოქმედადაა გააზრებული. ჰიპოთეზა საფუძვლიანია, მაგრამ მიწათმოქმედი მიწა არაა. ის და ტერმინი მიწათმოქმედება შესაძლებელია მხოლოდ დაკავშირებული იყოს მიწასთან. ამ ასპექტში კი, ბეძნულ **გეო**-სთან შეფარდებით, კანონიერი უფლებამოსილება გააჩნიათ თანაბარი პრეტენზიები წამოაყენონ სვანურმა **გე** მიწამ და მეგრულმა იგივე **გე** ზმნისწინმა, რომელიც ზმნას ზემოდან ქვევით, მიწისკენ მიმართულ მოქმედების აზრს აძლევს. მაგ: **გე**-დვალა „დადება," **გე**-რე „დგას," **გე**-ხე „ზის" და ა. შ.

პირსახელ **გიორგ**-ის წარმოშობის ორივე – ბერძნულ და კოლხურ ჰიპოთეზის შედარებისას თუ მხედველობაში მივიღებთ, ზემოთხსენებულ, **რგ // არგ // ერგ** ძირის სიტყვებს, პლიუს სვანურ **გე** მიწის აღმნიშვნელ სიტყვას და მეგრულ მიწისკენ ქმედების მნიშვნელობის მქონე **გე** ზმნისწინს, მაშინ ქართველურენოვანი მაარგუმენტებელი მასალის დამაჯერებლობის უპირატესობა უდაო გახდება. ასევე უდაოა, რომ პირსახელი **გი-ორგ-ი // გე-ორგ-ი** რაკი სვ. – **გე** მიწის აღმნიშვნელ სიტყვას და მეგრულ მიწისკენ ქმედების მიმართულების განმსაზღვრელ **გე** ზმნისწინის დერივატ **გი** მარცვალს და **რგ** კოპლექსს შეიცავს, იგი ქართველურმა მიწათმოქმედებამ წარმოქმნა და არა ბერძნულმა. ასე რომ, ის თუ რითაა გამოწვეული: 1).წმინდა გიორგის კულტის განსაკუთრებული ადგილი ქართველურ რელიგიურ აზროვნებაში; 2). ბერძნების მიერ

ანთროპონიმ **გიორგ-ი // გეორგ-ის**, ეტიმოლოგიურად, მიწათმოქმედებასთან დაკავშირება; 3). ბიბლიური – **წმინდა გიორგის** პროტოტიპის – **გილგამეშის** ქვეყნის – **შუმერის** მიწათმოქმედებაში პიონერებად მიჩნევა ხომ არ მოითხოვს ახლებურ გადაწყვეტას?

ხომ არ ვდგავართ პრეშუმერული ცივილიზაციის ნატერფალებზე, რომელსაც ისეთი გამადიდებელი შუშით შევყურებთ, გარჩევა გაგვძნელებია, მაშინ როცა საკმარისი იქნებოდა შეუიარაღებელი თვალით, თუნდაც შორიდან შეხედვა?... ასევე რგ // არგ // ერგ // ეგრ ძირთა სიძველის საკითხის გადაწყვეტა ტერმინ **არგონავტიკა**-ს სწორ ეტიმოლოგიას შეუძლია. გამოთქმულია მოსაზრება, რომ არგონავტიკა, ისევე **როგორც კოსმო-ნავტიკა** – კოსმოსში, **სა-მარგ-ალოში (ანუ არგ-ოში და არა არგ-ოთი)** ნაოსნობას ნიშნავს (ვლადიმერ ალფენიძე): ეს ფრიად საყურადღებო მოსაზრებაა მაგრამ, საინტერესოა, ამის საპირისპიროდ, ამჟამად მითოლოგიური მასალის შინაარსისადმი რწმენა რატომ დომინირებს მეცნ. მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებულ ლოგიკურ დასკვნებზე? განა საეჭვოა, რომ ბერძენთა ნაოსნობა, კოლხეთის ცივილიზაციის ასათვისებლად, ატარებდა არა სპორადულ ხასიათს, არამედ, საუკუნეებში, უწყვეტი ციკლით მიმდინარეობდა?!

ეტიმოლოგიურად რგვასთან დაკავშირებულ **რგ** ძირიანი სიტყვების სიძველეზე მეტყველებს საქართველოს ზოგიერთი ტოპონიმი და ჰიდრონიმი. მაგ: თუ მეგრული **ო** ქართული **სა** პრეფიქსის შესატყვისია, **რგ** უკვე ჩვენთვის ცნობილი კომპლექსია, **თი // თა** სიტყვა, მეგრულ ხალხურ პოეზიაში დაფიქსირებულია და სამოსახლოს, ადგილის, სათესი ადგილის – ყანის სემანტიკისაა (მნიშვნელობისაა), მაშინ ტოპონიმი (სოფელი ზუგდიდში) ერგეტა // **ე-რგე-თა, ო > ე** გადასვლით (შდრ: ქომილი > ქემილი // ქიმილი მეგრ. „მოიტანე“. ამჟამად გაბატონებულია **ქიმი**ლი ფორმა, მაგრამ საწყისია **ქო-მი**ლი ნაწარმოები **ქო** მტკიცებითი ნაწილაკი და **მილი** პირიანი ზმნისაგან), მიღებულია **ო-რგე-თა** სიტყვიდან, რაც სიტყვასიტყვით, სარგავ (სათეს) ყანას აღნიშნავს, მეგრულად: **ო-რგე-თა > ე-რგე-თა > (თ > ტ შდრ თვათვი >// ტოტი მეგრ. „დათვის თათები“) ე-რგე-ტა.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტოპონიმი (ქალაქი აფხაზეთში) **გალი** და ეთნონიმი **გალ-ები** სავსებით დასაშვებია ამოსული იყოს **ო-რგალ-ი** სიტყვიდან, რაც სარგავია მეგრულად. აქ **ო** პრეფიქსი და **რ** თავკიდურა ლატერალი დაკარგულია;

მაშ, სოფლის სახელი წალენჯიხის რაიონში – **ჯგალი** იგივე გენეზისაა, ოღონდ აქ **რ** დაკარგული კი არა შეცვლილია **ჯ** ბგერად, რასაც **რ** სონორის აფრიკატიზაცია ეწოდება (აკადემიკოსი ა. შანიძე). მაგ: **ყური** > **ღუჯი**; **პირი** > **პიჯი**.

რ ბგერის აფრიკატიზაციითაა ნარმოქმნილი მეგრული **ბარ-ჯგი** (სარი, ბოძი). იგი ამოსულია კომპოზიტი **ბარ** + **რგი**-საგან ანუ **ბარ** სარგავი ინსტრუმენტისა და **რგი** – **რგვაზე** მიმანიშნებელ კომპლექსისაგან. დღეს ეს **ბარჯგი** სხვა ფუნქციისაა, მაგრამ, უდაოა: მიწათმოქმედების საწყის ეტაპებზე იგი სახელდახელო სამიწათმოქმედო იარაღია, იგივე **მარგილ**-ია. ამ უკანასკნელსა და პრეფორმა **ბარ-რგი-ს შორის** სხვაობას **ბ** და **მ** ბაგისმიერთა ჩვეული მონაცვლეობა იძლევა: **ბარ-რგი // მარ-რგი // მარ-რგი-ლ ი.** (შენიშვნა: შემდგომმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ამოსავალი ამათი პრეფორმისა გახლავთ **ყარ-რგი***, სადაც **ყარ*** წინაფორმაა **ყან**-ა სიტყვისა. **ყარ-რგი**-ზე **ბ** ფონ. დანართი იძლევა – **ბყარ-რგი*** წინაფორმას, რომლის **ბყ** კომპლექსი მარტივდება, რაც მეგრული-სთვის ჩვეული მოვლენაა. ვღებულობთ **ბარ-რგი***, ხსენებულ წინაფორმას **ბარჯგი** სახელისა. ჯა-მში გვაქვს: **ყარ** > (**რ** > **ნ ბრუნი. ცნობილია.**) > „**ყანა**“; **ყარ** + **რგი** „**რგვა**“ > **ყარ-რგი***. **პლიუს ბ** > **ბყარ-რგი***. გამარტივება > **ბარ-რგი*** (**ბ** > **მ** შდრ. **ბრელი // მიარე // ბევრი // მრავალი**) > **მარ-რგი* // მარ-რგი-ლი;**). აქ ნათლად ჩანს რომ სარგავი ინსტრუმენტის სახელი – **ბარ**-ის პრეფორმაა < **ბყარ***, თორემ, გახმოვანებითა და აფრიკატიზაციით, **ბარჯგი** ხომ შეიძლება, უფრო მარტივად მიღებული ყიფილიყო **ბ** + **რგ** რგვის აღმნიშვნელ კომპლექსისგან: **ბ-რგ-ი** > **ბარგი** > **ბარჯგი**).

რ-ს აფრიკატიზაციითაა ასევე მიღებული პირსახელ **გიორგ**-ის ალომორფალური სახელები, მეგრულში: **გიორგი** > **გერგე** > **ჯეგე**; **გერგე** > **ჯგეგე**: პრეფიქსი **ო** და სუფიქსები **უ, ე, უე** მიწათმოქმედების **რგ** ძირს აქცევს ალომორფალურ სიტყვებად – **ო-რგ-უ, ო-რგ-ე, ორგ-უე** ერთიდაიგივე მნიშვნელობით – „სარგავი.“

თი და **თა** სინონიმებია ამიტომ **ორგუთი** იგივეა რაც **ორგუ-თა; ორგე-თი** იგივეა რაც **ორგე-თა** და ასევე **ორგუე-თი** იგივეა რაც **ორგუე-თა** და **ყველა უდრის „სარგავი ადგილი“.**

მეგრული **უ** ხშირად ქართულ **ვ** ბაგისმიერად იცვლება. მაგ: **ულა** > **ს-ვლა**, **თქუ** > **თქვა**, **შუ** > **სვა**. ასევე იხ. ა. შანიძე „ ძველი ქართული ენის გრამატიკა.“

ამიტომ, **ა-რგვეთი** შეიძლება იყოს **ო > ა და უ > ვ** (დელაბიალიზაციით) წარმოქმნილი **ო-რგუე-თი წინაფორმიდან: ო-რგუე-თი** „სარგავი ადგილი“ > **ა-რგუე-თი > არგვე-თი** „ადმინისტრაციული ერთეული დასავლეთ საქართველოში, ძველად.“

(მაგრამ არგვეთი მარგვეთ-ადაც იწოდებოდა, ამიტომ მ ბგერამ ხომ არ შეასრულა მადიფერე-ნცირებელი ბგერის (– **„სარგავი ადგილის აღმნიშვნელ სახელის ქვეყნის სახელად ქცევის**) ფუნქცია? – **არგვეთი** // < **ორგუეთი*** > **მარგვეთი**. ან იქნებ საქმე უფრო მარტივადაა და მარგ-ვეთი მეგრელების (მარგ-ების) საცხოვრისის აღმნიშვნელია, რაც რა თქმა უნდა უფროა სავარაუდო)..

ჰიდრ. **არაგვი (მას მეგრ. ზმნა რაგვინს – „დაჯახებას“ უკავშირებენ) რგ-**ს გახმოვანებით და **ო > ა და უ > ვ** პროცესებითაა წარმოქმნილი, ოღონდ აქ თავდაპირველ ფორმას აკლია ადგილის აღმნიშვნელი სიტყვა **თი**, რომელიც ამჟამად უკვე, ქართველურში, ხშირი სუფიქსია: **ო-რგ-უე > ა-რაგ-უე* > ა-რაგ-ვე* > ა-რაგ-ვი.**

როგორც ზემოთ ვანახეთ, **ო-რგ-უ** დღევანდელ მეგრულში „სარგავია“. მეგრული ინგირის და ქართული ენგურის საწყისი **ფორმა ო-რგ-უ // ო-რგ-ურ-ი** „სარგავი“ გახლდათ. აქ **ო** პრეფიქსი მეგრულში **ი**-დ და ქართულში **ე**-დ შეიცვალა. **რგ** კომპლექსიდან **რ** ამოვარდა, **მ-ს** წინ **ნ** განვითარდა (**ნ**-ს განვითარების თაობაზე იხ, ს. ჟღენტის „ჭანურ მეგრული ფონეტიკა“ გვ 91):

ო-რგურ-ი* > **ი-გურ-ი*** > **ინ-გურ-ი*** > **ინ-გირ-ი „ენგური;“ ო-რგურ-ი*** > **ე-გურ-ი** (ეს ფორმა დაფიქსირებულია მე-11 საუკუნის საქართველოს რუქაზე) > **ენ-გურ-ი**. (შენიშვნა: ეს გასული საუკუნის კვლევებია. შემდეგ, ცვლილება შეეხო **ენ**-გურის თავკიდურა ხმოვნის წარმომავლობას: იგი არა **ო > ე** გადასვლის, არამედ **ენ**-გურის **ენ** მარცვალი შუმერში ქვეყნის სახელ **კენ-გირ**-ის **კენ** ნაწილის დარად, **ქენ // ქიან** ქვეყნის მეგრული სახელის გამარტივებაა: **ქიან-გირ > კენ-გირ** „ქვეყანა მრგველთა“; **კენ-გურ*** > **ენ-გურ** // **ეგურ** „ქვეყანა მრგველთა.“ (იხ „პოლემიკა“ 2008 წ.).

ო-რგ-ე – „სარგავ-ის“ ეტიმოლოგიური ამოსავლიანობის მქონე ტოპონიმები გვხვდება როგორც დასავლეთ ასევე აღმოსავლეთ საქართველოში. ხოლო, რადგანაც იბერიაში ქართული ენის აღზევების ხანიდან (მე-8 ს.) მეგრული ტოპონიმების წარმოშობის ჩვენებური ინტერპრეტაციებით დაშვება შეუძლებელია, ეს პროცესი

უნდა მიეწეროს მისწინარე ეპოქებს. უფრო მეტიც, კოლხ. ტოპონიმები, საერთოდ კოლხიზმი უნდა ვეძიოთ შორს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ვთქვათ პირინეის ნახევარკუნძულზეც და, ამ კუთხით, კორექტივები ბასკოლოგებისათვის მიგვინდვია.

მეგრული ფა, თი // თა სიტყვების მონაწილეობით წარმოქმნილი სახელები

მეგრული **თი** სიტყვის თაობაზე ზემოთ გვქონდა საუბარი. ასევე აღინიშნა, რომ მას გააჩნია სინონიმური ფორმა **თა.** ამ უკანასკნელთანაა დაკავშირებული წარსულში სახელგანთქმული ქვეყნის კოლხეთის, იგივე **აია-კოლხეთის** სახელი – **აია.** ამ სახელის ასახსნელად ჩვენ ყურადღება მივაპყრეთ ჩხოროწყუს რაიონის ერთი სოფლის სახელს – **თაია.** ეს სოფელი მთის ქედზე შესკუპული პატარა სოფელია. მეგრულში **ია** ნაწილაკი კნინობითობის აღმნიშვნელია, ამიტომ **თა + ია** უდრის პატარა სამოსახლო ადგილი, რაც ამ პატარა სოფლის სახელად სადაგია. ვფიქრობ, ერთ-ერთ ეტიმოლოგიურ ვარიანტად ქვეყნის – **აია** სახელად **თაია** გამოდგება, მნიშვნელობით „პატარა ადგილი“, რომელიც შემდეგ ქვეყნის სახელად განივრცო: **თ** ბგერის დაკარგვით – **თაია > აია.** ქვეყნის ეს სახელი ასევე კავშირშია უძველეს ქალაქ –**ქუთაისის** სახელთან. **ქუმ ქუმ**ელია, მეგრულად. ანტიკური **კუ-ტა**-იას ქართველური შესატყვისი **ქუ-თაია** გახლავთ, რადგან ქართული **ქ** და **თ** ბერძნულში ხშირად **კ** და **ტ**-დ იწერება (**კ და ტ** ტრანსკრიფციითაა). ეს **ქუ-თაია ქუმ** „ქუმელის“ სათესი ადგილი **ქუმ-თაია*** იქნებოდა, რომელიც გამარტივდა (**მ** ამოვარდა) და მივიღეთ – **ქუთაია.**

მეგრ. **ქუთეში** მიღებულია **ქუმ-თა-ია*** წინაფორმის **ია** სუფიქსის კუთვნილების – **იში //> ეში** ცვლილებით, ხოლო ქართიზაციის პერიოდში, შესაბამისად, **ეში > ისი** მონაცვლეობით:

ქუმ-თა-ია > ქუმ-თა-იში* უდრის იმასვე რასაც – **ქუმ-თაია:** „**ქუმ**ელისთვის განკუთვნილი, **ქუმ**ელის ადგილი“. ამგვარადვეა წარმოებული ტოპონიმი ზუგდიდის შემოგარენში – **ქა-ფა-თი-**, რომელშიც **ქა ქუმ**-უს გამარტივებაა, **ფა** კი მცენარეა.

ასევე უძველესი ქალაქია **ფოთი.** ფოგტის მიხედვით, ამ სახელის პირვანდელი ფორმა იყო **ფა-თი.** მისი საწყისი მნ-ბა რომ გავიგით, მოვიშველიოთ დანიელ ფიფიას მეგრული ლექსი „როკი“ სა-

დაც ასეთი ბწკარია: **„ფა დო კგ ოშხგდ“** რაც უდრის „ფოთოლი და რკო ჭარბად ესხა“. იხ. კ. სამუშია „ქართული ხალხური პოეზია – მეგრული ნიმუშები“. გამოდის **ფა** ფოთოლია, მაგრამ მას მცენარეს მნივნელობა რომ გააჩნია ეს ჩანს მეგრულ ზმნა **ფალ-უა და მა-ფალ-უ-დან „ცენება, მცენებარე“.** აქ – პირველში **უა** ბოლოსართია. მეორეში **მა** და **უ** – წინსართ-ბოლოსართი, ძირია **ფალ,** რომელიც, ერთ დროს, თავად იყო **ფა + ლ** ბგერისაგან შემდგარი კომპოზიტი და ნიშნავდა მცენარის სვლას, მოძრაობას, იგივე ზრდას ანუ ცენებას. **ლ** ბგერა რომ მოძრაობას აღნიშნავდა ეს უტყუარად ჩანს მაგ-დან: **მა-ლ** „მეგრ. მავალი, მდინარე“, სადაც **მა** წინსართია, **ლ** ძირი (მაგ: მეგრ. მა უ-ლ, სი ქორექო მა-ლ უდრის „მე წავალ, შენ ხარ წამსვლელი“. ძირია **ლ**); **ულა – უ + ლ + ა** „სვლა.“აქ **უ** წინსართია, **ა** – ბოლოსართი, **ლ** კი ისევ – ძირი.

სვლა მიღებულია **ულა**-დან შემდეგნაირად: **უ** გადაიქცა **ვ** ბაგისმიერად და მისსავე წინ **ს** განვითარდა: **უ-ლ-ა > ვ-ლ-ა > ს-ვ-ლ-ა.** ასე რომ ამ ქართულშიც, ერთ დროს, მოძრაობის აზრს **ლ** ძირი განაპირობებდა, **ს, ვ და ა** ბგერები მას შემდეგ შეეზარდნენ.

ამგვარად, ოდესღაც, **ფა-ლ** მცენარის სვლას ანუ ზრდას, ნამდვილად, აღნიშნავდა, შესაბამისად, **ფა** იყო მცენარე, **ლ** კი მოძრაობა. რაკი **ფა** მცენარეა, მაშასადამე, **ფა-თი** კომპოზიტი სიტყვა ყოფილა, მცენარისთვის განკუთვნილი ადგილის მნიშვნელობით. ხოლო დღევანდელი **ფოთი, ფუთი და გამოკვლეული ფათი** კი დიალექტური სახესხვაობანი ყოფილან.

ფა სიტყვის მნიშვნელობა – **მცენარე**-სთანაა დაკავშირებული ტოპონიმი გალის რაიონში – **ფი-ჩორ-ი.** ივ. ჯავახიშვილის აზრით, მას "... დამახასიათებელი **რა** დაბოლოება აქვს, რომელიც ქართულში და მეგრულში, ბოლოსართად, არ გვხვდება...“ და, ამის საფუძველზე, **ფი-ჩორ-ის** სახელმდებად აფხაზთა ტომის წინაპრებს ასახელებს. (იხ.მისი „ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. გვ. 45"...). უნდა შევნიშნოთ: **"...ამ სახელის აგებულების პირველადი მნიშვნელობის მიგნებით...“** იქნებ შესაძლებელი გახდეს უფრო სარწმუნო ეტიმოლოგიის დადგენა: **ფი + ჩორი** მიღებულია, მეგრულად, განცალკევებულ მნიშვნელობათა მქონე სიტყვების – **ფა** „მცენარე“ და **ჩირე „ჭენჭყობი“-საგან.** მართლაც **ფი-ჩორი,** ზღვისპირა ზოლში მდებარე, დაჭაობებული ადგილებია.

ჩირე კომპონენტის მონაწილეობითაა სახელდებული იქვე, ახ-

ლომახლო ზღვის ზოლში მდებარე **ოჩამ-ჩირე**, რომელშიც **ოჩა** იგივე, მეგრული **ოჩე** გახლავთ და უდრის„დიდი.“ აქ **მ** ფონეტიკური დანართია. ალბათ, დღევანდელი, ოჩამჩირის სანახებში, წინათ **ოჩე-ჩირე** // „დიდი ჭაობი“-ანი ადგილი იყო: **ოჩა-მ-ჩირე** სახელის დამოწმებაა იქვე, მეზობლად მდებარე **აჩი-გვარა** რაც მეგრულად **ოჩე გორა ანუ დიდი გორა-კია** და მართლაც იქვეა – ეს გორაკი.

ფა სიტყვასთან დაკავშირებულ ტოპონიმებიდან, განსაკუთრებით საყურადღებოა – **ფა-ლაზონი,** რომელიც **ფა + ალაზონი** ნაწილებისგან იყო შემდგარი. **ალაზონი** ქორფად მცენებარე ადგილია, მეგრულად: **ფა-ალაზონის** ორი **ა**-დან ერთის ამოვარდნის შემდეგ მიღებული **ფალაზონი,** როგორც გეოგრაფიული ადგილი, მართლაც. ცნობილი იყო დიდხეებიანი ღელისპირა წიფლნარებით. ეს ეტიმ. ამოსვლიანობა **ფალაზონს,** ცნობილმა მკვლევარმა – „ყაზახიში გაზეთის“ რედაქტორმა – მამანტი კვირტიამ დაუკავშირა: თუ ეს ასეა, ხომ არაა **ალაზანი** მეგრული **ალაზონის** დიალექტური სახესხვაობა ალაზნისპირა ხეებიანი და ქორფა-ბალახიანი ადგილების დამსახურებით? მით უმეტეს რომ, თუ სამეგრელოში **ფალაზონი** მიკროტოპონიმია, კახეთში იგი (**ფალაზონი**) დიდი სოფელია.

მეგრ. **თი და თა,** სიტყვები სუფიქსების როლში ტოპონიმიკაში დიდად პროდუქტიულია, მაგრამ ისინი შეიძლება კომპოზიტი სიტყვის შუაშიც მოხვდნენ.

მაგ: ტოპონიმი ზეს-ტა-ფონი იქნებ მიღებულია არა **ზედა-ფონი**-დან, როგორადაც გაზიარბულია, არამედ **ზეს + თა + ბონ-იდან. ბონი** , მნიშვნელობით, სწორია, მეგრულად, ამიტომ ეს ქართულ-მეგრული სიტყვა – **ზეს-თა-ბონ -ი** იქნება „მზიანი სწორი ადგილი“, რაც კონტრასტულია იქვე მდებარე მთა-გორაკებთან მიმართებით.

როგორც დამოწმება, ზუსტად ამავე ლოგიკითაა შექმნილი იქვე ძველი სახელი **შორა-პანი,** წინარე **შარა** და იგივე **ბონი** სიტყვებისაგან. მეგრ. **შარა ბონი*,** ნიშნავს „სწორ გზას:“ **შარა-ბონი > შორა-პან-ი.** ტოპონიმი **წო-ბენი** მიღებულია მეგრული **წა** „წყალი“ + **ბონი** -საგან; **ყუ-ბან-ი** უდრის **წყუ + ბონი** იგივე **წყურ + ბონ-ი,** რაც სწორი მდინარე (**წყუ, წყური = წყარო**) გახლავთ, მეგრულად. **ა-ფხ-ა-ზე-თი** წინათ იყო გეოგრაფიული სახელი და არა ეპონიმი. **ა** აფხაზური ენისთვის დამახასიათებელი აფხაზური წინსართია (მანარმოებელია) და ტოპონიმს, როგორცა ჩანს, გვიან დაერთო.

დარჩენილ **ფხ-ა-ზე-თი -ის ზე** ფრაგმენტი კი იყო, დღესაც,

მეგრულში დაფიქსირებული, მოფერებით, მზის აღმნიშვნელი, **ჟა** სიტყვის ქართული შესატყვისი, მნიშვნელობით" მზე." ანუ ეს ფრაგმენტი **ზე** აშკარა წინაფორმაა ქართ, **მ-ზე** და ძვ. ქართ. **მ-ზა** სიტყვისა. ცოცხალი მეგრ. **ჟა** და არქ. ქართ. **ზე** ამოდიან ა. გელოვანის მიერ მის „მითოლოგიურ ლექსიკონში" დაფიქსირებულ შუმერულ **შა** წინაფორმიდან, ოლონდ პროტოშუმერები ქართების, სვანებისა და მეგრელების წინაპრები იყვნენ;

თი სუფიქსია, რომელსაც წინათ ადგილის სემანტიკა ქონდა.

ფხ ბგერათკომპლქსი სითბოს გამოხატავს (ივ. ჯავახიშვილი).

ასევე სითბოს აღნიშნავს **ფ ბგერა. იგი მეორე სასიგნალო სისტემის შექმნის პერიოდში ფუნა „დუღილს" აღნიშნავდა, რადგან, დუღილის პროცესში, სითხეში გახსნილი ჰაერის ბუშტუკების ამოსვლის დროს წარმოქმნილი ბგერების შესატყვისია, ხოლო ფხ, ასევე, ხრ კომპლექსები ხარშვის დროს წარმოქმნილ ბგერით მოვლენებს განასახიერებენ.** ამგვარად, **ა-ფხ-ა-ზე-თი** უდრის „თბილი მზიანი ადგილი", როგორადაც, ძველად, ქართულ წერილობით წყაროებში, დასავლეთი საქართველო იყო მოაზრებული.

ფაქტს მასზედ, რომ ქართ. **ზა,** მეგრ. **ჟა** მზის აღმნიშვნელ სახელებსს აქვთ **შა** პროტოშუმერული წარმომავლობა ხსნის უდიდესი მნიშვნელობის პრობლემას, მასზედ თუ საიდან გაჩნდა ჯერ კავკასიურ შემდეგ ი. ე. ენების მზის აღმნიშვნელ სახელებში: გერმ. ზონნე, რუს. სოლნცე და ა. შ. **ზ** ან მისი ექვივალენტი **ს** ბგერა.

ტოგო გუდავას წიგნში **„ქართული ხალხური პოეზია, მეგრული ნიმუშები"** არის მეგრული ლექსი:

„ჩე ქოთომი, ჩელაია, ჩეთგ გინომრხიალე.
ოშ ათასი ჩქიმი თი-ს, აკა მეძობელიშ თი-ს –

„თეთრო ქათამო, თეთრაო, თეთრად, ხრიალით გადამიფრინე.
ასი ათასი ჩემს სახლ-კარში, ერთი მეზობლის სახლ-კარში".

ამ ლექსში საყურადღებო ბევრი რამაა: სიტყვა **თის** უდრის „, **„ყანა-ში", „სახლ-კარში"**, მაშასადამე, **თი,** რომელიც ახლა ქართველური სუფიქსია ერთ დროს სრულფასოვანი სიტყვა, **ყანა-სახლკარის** აღმნიშვნელი გახლდათ, მეგრულში; **აკა** დღესაც ერთადერთს, კინკილას ანუ ერთეულს აღნიშნავს. როგორც უკვე ზემოთა ვთქვით, **თი** სიტყვას გააჩნია სინონიმი – **თა,** ესენი დაგვეხმარებიან ტერმინი – **თესლის** წარმომავლობის დადგენაში: თავდაპირველად, უთუოდ, არსებობდა, მეგრულში, თესლის **თა-ში** ფორმა, ყანისთვის

განკუთვნილის მნიშვნელობით – იგივე საყანე, რაც თესლის არსის ზუსტი ფორმულირებაა. ამიტომ, **თა-ში > თა-სი** „მეგრული თესლი“ ცვლილების რეალობა სრულიად აშკარაა. რაც შეეხება მეგრ. **თას-**ის შესატყვის – ქართულ **თეს-ლის, აქ** მეორადი **ლი** სუფიქსაციის გამო, **> თე-სი + ლი > თესლი** ცვლილებებია მომხდარი.

ამ ლექსში, სიმბოლურად, თესვის პროცესია ასახული: **ქათამი – თესლია,** ხოლო მეორე ბნკარი – **ჩეთგ გინომრხიალე** = „თეთრად ხრიალით გადამიფრინე“ გამოხატავს თესლების თავს ზემოთ გადაყრით თესვის მეთოდს, რომლის არსებობაც უძველესი ისტორიული წყაროებით დადგენილია.

საეჭვო არაა, აქვეთქმული, განსაკუთრებით **სათესი ადგილის – ყანის და თესლის,** ერთ ენაში დაფიქსირებული ეტიმოლოგიური ერთიანობა, აშკარად, მიუთითებს მათი სახელმდები ერის პიონერობაზე რგვა-თესვაში.

მაგრამ, ჯერ-ჯერობით, პიონერებად ითვლებიან შუმერები....

მარე, მარდი, მარდობა, მადლობა, რიდი, ქმარი, ქომოლი, ქომონჯი, მერე, მერეთი, იმერი, შგ, შუმერი, იბერი

შუმერებისა და ქართველების კულტურული ნათესაობის უარყოფა ყოვლად დაუშვებელია. ამას გვაფიქრებინებას არა მარტო შუმერულ-ქართველური პარალელები.

თუმცა ვერ ვძლევთ ცდუნებას მის ერთ-ერთ ნიმუშზე არ გამოვთქვათ მოსაზრება: შუმერულად და სვანურად **მარე** ადამიანს – კაცს აღნიშნავს. სხვა ქართველურ ენებში გვაქვს სა-მარ-ე, **მარა**ნი, რაც ასევე ადამიანთანაა დაკავშირებული.

მეგრ. მადლობისა და მორიდების გამომხატველი სიტყვები, როგორიცაა: **მარ-დი, მარ-დობა** „მადლობა“ და **რი-დი,** ჩვენის აზრით, ორივე ეს სიტყვა, რესტავრირებული, ერთი საერთო წინაპრის, მცირედ განსხვავებული, გამარტივებაა: ეს სიტყვა იყო **მარე-დიდი** უდრის „კაცი დიდი:“ **მარ(ე-დი)დი > მარდი;** მა)რ(ედ)იდი > **რიდი:** ეს ორი ეტიმოლოგია აზრობრივად გამართლებულია, რადგან თუ ერთი პირი მეორეს კაცობას აღმატებულად ახასიათებს – ეუბნება „დიდი კაცი ხარო“, მ. ე, ეს, ასევე რიდის გამოხატვაცაა, რამეთუ მე თუ გეუბნები დიდი ხარო, მაშასადამე, ჩემს თავს, შენთან შედარებით, დაკნინებულად მოვიაზრებ.

ქართული **ქ**-მარი: აქ, ჩვენი აზრით, **ქ** ბგერის მეშვეობით, ადამიანის სქესი – მისი მამაკაცური თვისებაა ხაზგასმული. ანუ **ქ-მარი** იგივე **ქ-მარე** უდრის **„კაცი მამრი.“** ესაა პრე სიტყვა. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ **ქ** ბგერა **კ** ბგერის ექვივალენტია. მეგრულში **კ** ბგერა კი რესპ. **კგ** მარცვალი გახლავთ სიტყვა „მაგარი“. აგრეთვე, ა. გელოვანის მიხედვით, მითოლოგიაში, (“ იხ. ა. გელოვანი მითოლოგიური ლექსიკონი„) **კგ** მამაკაცის ძალა და მამაკაცური (მამრული) ძალმოსილებაა, რაც ჩვენი მსჯელობის მართებულობაზე მეტყველებს: რომ **ქ**-მარ სიტყვაში მამრული თვისება **ქ** ბგერისა მისი ექვივალენტ **კ** ბგერის, ზემოთაღწერილ თვისებათა გენეტიკური მემკვიდრეობითობაა:

კგ-მარე >// ქგ-მარე > ქ-მარე და ბოლოს ე > ი გადსვლით > ქართ. ქ-მარ-ი; ამ უკანასკნელის, მეგრული შესატყვისია – **ქომოლი და ქომონჯი,** რომელთაგან პირველი – „მამაცს“ და „მამრობით სქესს“ აღნიშნავს, ხოლო მეორე ქმარია, მეგრულად. ბგერითი ცვლილებები აქ არის უფრო ღრმა: **კგ-მარე > ქგ-მარე > ქო-მარე > ქო-მორი // ქომოლი „მეგრ. „მამრი, მამაცი;“ კგ-მარე > ქგ-მარე > ქომარე > ქომორი >ქომოჯი > ქომონჯი „მეგრ. ქმარი“.**

აი, ქართველურში, რამდენი პარალელი პოვა შუმერულმა რესპ. პროტო შუმერულმა, (შუმერებს იგი პროტო შუმერებისგან შემორჩათ.) სიტყვამ **მარე**. მაგრამ მთავარი ისაა, რომ **მა-რე** პირველყოფილი ადამიანის ერთ-ერთი პირველქმნილი ლოგიკური ტერმინია და დღესაც ამ პირველ ნაფიქრალს უცვლელად გამოხატავს: **მა „მე“ + რე „არის, არსებობს’ ნიშნავს მე-ს, პიროვნების არსებობას. ანუ უდრის ისეთივესი, როგორიც მე ვარ არსებობას. ესაა კაცის, ადამიანის არსის ლოგიკურად განსაზღვრის პირველქმნილი და უაღრესად ზედმინევნითი სიზუსტე!!!**

მეგრ. **შგ** „სითხე, სისველე“ პირველქმნილი სახითაა ჩვენამდე მოღწეული. **შ ბგერა მდინარის წყლისა და ფოთოლთა ხმაურის ადამიანის სამეტყველო ორგანოს – ენისმიერი რეპროდუქციაა. ე. ი. შექმნილია მეორე სასიგნალო სისტემის ჩამოყალიბების პერიოდში. ამაზე მიუთითებენ სიტყვები: შირშინი „შიშინი,“ შუმინუა მეგრ. „სუნთქვა,“ შუმინვა ძვე. ქართ. „სუნთქვა,“ შური მეგრული „სული“.** შ-ს შესატყვისია ქართული **ს** ბგერა. მაგ: შური : სული; შუმა : სმა, ამიტომ **შ**უმერი ქართულად იყო სუმერი.

(შენიშვნა: ა. ჩიქობავამ ვერ ახსნა ქართულ-მეგრული **შენ: სი** შესატყვისობა. მისი თეორიით ხომ პირუკუ: მეგრულში შიშინა **შ** ქართულში კი სისინა **ს** უნდა ყოფილიყო. და ეს იმიტომ, რომ მაშინ ცნობილი არ იყო ავტორისეული ქართველურ ბგერათა ჩასახვის რეფლექსოგენური და წარმოქმნა-განვითარების იმიტაციური – ხმაბაძვითი თეორია. ავტორი 2014 წ.).

შუმერისა და ივერის მსგავსება ნ. მარმა შენიშნა..

დღევანდელ მეგრულში **მერე** ნიშნავს წყლისპირა მიწას. ამ სახელის არის მიკროტოპონიმი მდინარეების ენგური და ჩხოუშიის შესართავთან ზუგდიდის რაიონში და სხვაგან. **მერე-თი**-ს მეგრულში აქვს ზღვის მნიშვნელობა. მაგ. **მერეთი** ლაიტი ჩანს – ზღვა სიმინდია (გახარებული); **მერეთი** წყარქ გიმელ – ზღვა წყალი ჩამოვიდა (ადიდდა). **მერეთის** აქვს, ასევე, სასწაულის, არჩვეულებრივის გაგება. მაგ **მერეთიქ** მოხვად – სასწაული მოხდა, რაც უთუოდ მეორეული:. ოდესღაც **მერე** დიდ წყალს, ზღვას აღნშნავდა და ინდოევროპულ ენებშიც აქედან გავრცელდა.

ამგვარად, **მერე-თი** წყლისპირა (ზღვისპირა, ტბისპირა, მდინარისპირა) ადგილი იყო. იხ გვ. შესაბამისად, **შგ + მერე > შგმერე,** წყალსატევებთან მდებარე, სველი წყლისპირა მიწები გახლდათ. **რიონ-ენგურის** ქვიშიანი სანაპიროები სისველეს კარგად ინახავენ და, ამიტომ მათთვის ეს სახელი – **შგ-მერე,** როგორც იტყვიან, ზედგამოჭრილია. სახელი – **ი-მერე- თი** აქედანაა: **შგ-მერე-თი > ი-მერე-თი.**

ცნობილია რომ ტიგრსა და ევფრატს შორის მდებარე მიწები, გაზაფხულობით, მთლიანად წყლით იფარებოდა და ადიდებულ ამ დიდ მდინარეთა შლამ-ქვიშით ნოყიერდებოდა. მაშასადამე **შგ-მერე-თი,** როგორც ტოპონიმი აქაც გამართლებულია.

სენაკის რაიონში არის გორაკიანი სოფელი სახელით – **უ-შა-ფა-თი.** აქ პრეფიქსი **უ** უარყოფითობის აღმნიშვნელია. **შა** ხმოვანშეცვლილი **შგ** „წყალია," **ფა** მცენარეა, **თი** = ადგილი. ესეიგი **უ-შა-ფა-თი** არის უწყლო ანუ მშრალი მცენარეული ადგილი.

ამის კონტრასტულია სოფელი გალის რაიონში, სწორ დაბლობზე მდებარე, შესაბამისი სახელით – **შე-შე-ლე-თი.** ამ სახელში წყლის აღმნიშვნელი **შე** მარცვალი დუბლირებულია, ამიტომ უდაოა **შე-შე-ლე-თი** წყლიანი ადგილის აღმნიშვნელია.

როგორც ვხედავთ, მოგვეპოება წყლის აღმნიშვნელ **შგ** მეგრ. სიტყვის დერივატები – **შუ** (**შუმერი**), **შა** (უ-შა-ფათი) , **შე** (**შე-შე-**

ლეთი) კომპოზიტ სიტყვებში ნიადაგში წყლის არსებობის თუ უარყოფის აღმნიშვნელ ტოპონიმებად და ყველა შემთხვევაში ტოპონიმი,ზედმიწევნით, ასახავს სახელსადები მიწის რაობას წყლის შემცველობის თვალსაზრისით, რაც გამორიცხავს ზემოთგაკეთებ-ული დასკვნების მცდარობას.

გამოთქმული ეს მოსაზრებები კარგად ესადაგება როგორც ნ. მარის შეხედულებას დაეკავშირებინა **იმერი და შუმერი წყლის მნიშვნელობასთან** (იხ. ნ. მარი „იაფეტური კრებული" 1923წ. გვ. 206 ლენინგრადი.), ასევე ბლაიხშტაინერის შეხედულებას შუამდინარეთში, სხვადასხვა დროს სამი იაფეტური (ქართველური) – **სუბერ // სუბარ; იბერ და ბასკ // მუსკ ტომთა შეჭრის თაობაზე.** ხატოვნად რომ ვთქვათ, დღესაც ცოცხალმა სამმა მეგრულმა სიტყვამ – **შგ**-მ, **მერე**-მ და **თი**-მ გასდო ხიდი **იმერეთს,** შუამდინარეთის **შგმერეთს** და პირინეის იგივე იბერიას და ამავე ნახევარკუნძულზე მდებარე მდინარე **იბერს** შორის.

ბოლოს, მიუხედავად არსებული დიდად ავტორიტეტული მტკიცებისა (ნ. მარი), ქართველურ ტომთა ძველი სახელების, ძირითადად, ჰიპოთეტურ **გურ //გვერ // გურ** ძირთან ერთიანობის თაობაზე, უნდა ალინიშნოს, რომ **იმერ, იბერ, სპერ, ჰვერ** მსგავსება განპირობებულია **შგ-მერე**-დან წარმომავლობით, ხოლო **გურ და გურია-ს** იდენტობა კი – იმით რომ, მეგრ. **გური** გულსაც აღნიშნავს და ცენტრსაც. **გურია** კი, ერთ დროს, **ეგრისის გულიც გახლდათ და ცენტრიც.**

შა-ქარ-ი // შან–ქარ-ი, ნქირაფა, ხაშუა// ხარშვა, ხაში, ხაშლამა,

დასაშვებია, გვეფიქრა რომ მეგრ. **შა-ნ–ქარ** სიტყვაში **ქ-ს** წინ **ნ** განვითარებულია. ამიტომ, მის წინარედ ქართული **შაქარი** უნდა ყოფილიყო. მაგრამ იქნებ ეს ასე არაა, რადგან, დასაშვებია **ქ**-ს წინ **ნ** განვითარდა ქართ. **ქრ**-ობას შესატყვის ზმნა **ქგრ**-აფა*-ში (> **ნქგრაფა**) რაც გა-ქრობა-გაუჩინარებას, გაფითრება-გათავებას, მოშორება-მონელებას აღნიშნავს. მაგ: კოჩქ **გონქგრ** უდრის „კაცი გაფითრდა", „გათავდა"; ჭანდიცალო **გონქგრ** – „ბუზივით გაქრა"; ღვინი **გამიმნქირე** – „ღვინო მოვინელე, მოვიშორე";

შაქარი წყალში (სითხეში) ქრება მეგრულად იქნება **შანქარი შგს ნქგრ.** მაგრამ რაკი **შგს–ნქირ > შგ-ნქირ > შანქარ** თვალსაჩინოა,

ხოლო **შგს-ნქგრ** სითხეში გაუჩინარება, გახსნაა, **შაქარ-ის** მეგრ. **შანქარის** გამარტივებით წარმოქმნა შესაძლებელია. თუმცა პოვნიერია ტოპ. ჯაპ-შაქარი „თუთის შაქარი“. ეს სახელი კი პირდაპირ უთითებს იმაზე, რომ შაქარი თუთის ნაყოფისგანაც მზადდებოდა. ეს კომპოზიტი სიტყვა ჯაპ-შაქარი იმითაა საყურადღებო რომ არც პ-ს წინაა ჯერ მ განვითარებული და არც ქ-ს წინ – ნ. დღეს, დღევანდელი მეგრულით, ხომ ჯამპშანქარი უნდა გვქონოდა. ესე იგი, **შაქარ-ი** კომპონენტი ამ ტოპონიმისა ძველია და, ამიტომ ქართ. შაქარი მეგრ შანქარის გამარტივება კი არაა, პირიქით, იგია წინაფორმა მეგრ. შანქარისა: შგს ქგრ > შაქარ > შანქარ: აი, საიდან გავრცელდნენ **შაქარ // შანქარ** -ის შესატყვისი **სახარ, ცუკორ** და ა. შ . სიტყვები მსოფლიო ენებში..

დასკვნა: ტერმინ **შაქარ-ის** სახელმდებ ერს თავიდანვე უნდა ქონოდა წარმოდგენა ისეთ ფიზიკო-ქიმიურ მოვლენაზე როგორიც ნივთიერების წყაში ხსნადობაა: თავად შაქრის დამზადების ხანგრძლივმა პროცესებმა მიახვედრეს ის ამ მოვლენის არსს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტერმინს (**შგს-ნქგრ** „წყალში ქრება“), რომელიც პირდაპირ ღაღადებს მისსავე მთავარ თვისებაზე – წყალში ხსნადობაზე, ვერ გამოძებნიდა.

შგ „წყალი“ სიტყვასთანაა დაკავშირებული ქართ.-მეგრ. **ხარშ-ვა // ხა-შ-უა. დააკვირდით თუ როგორ ესადაგებიან ბგერები ხ და შგ ხარშვის თანმხლებ ბგერით მოვლენებს!...** კულინარიული ტერმინები – **ხა-შ-ი** და **ხა-შ-ლამა** კი სწორედ რომ **ხარშვასთან** არიან კავშირში, რადგან დიდხანს იხარშებიან.. **ხაში** იმდენხანს **იხარშება**, მისი სახელი უთუოდ **ხაშუა-ში***, იქნებოდა. რაც **ქართულად ხარშვი-სი ანუ ხარშვის შედეგად მიღებულს ნიშნავს: ხაშ(უა)ში > ხაში.**

რაც შეეხება **ხაშ-ლამა** სახელს, მასაც სრულიად საჩინო და მარტივი ეტიმოლოგია გააჩნია: **ლამე** სველია, მეგრულად და **ხაშლამა** სხვა არაფერია თუ არა **ლამე ხაში ანუ „წვნიანი ნახარში“.**

ნანი, ნე, ნაღველი, ღვარი, მღვრევა, ძმარწვენი, მარნვენი // მაწონი, კაზლა, სელეგინი, ჯაფა, მუშა

მიწათმოქმედების პარალელურად ვითარდება მესქონლეობა. ადამიანმა მიაგნო რძის აჭრის ხერხს, რამაც რძისაგან ყველის მიღების საშუალება მისცა. კუჭის ლორწოვნის სპეციალური ჯირ-

კვლები მდიდარია ფერმენტებით, რომელთა მოქმედებით ხდება რძის აჭრა. დღესაც სამეგრელოში ცხოველის კუჭს ასუფთავებენ, ამარილებენ, ამშრალებენ, უმატებენ დოს და ღებულობენ **კვეთს, მეგრ. ნან-ს**, რომელიც **კუჭის** სინონიმიცაა: **ნანი ქუდადგინიო?** უდრის – რძის ასაჭრელი დააყენე? მაგრამ მუქარა – **ნანის გოისოფ** უდრის „კუჭს გაგიხეთქავ" ანუ აქ **ნანი** = კუჭი

ფრიად საინტერესოა, **ნანი**-ს, როგორც ასაჭრელი მასალის სახელის და **ნანი-ს** – ანატომიურ ორგანოს (კუჭის) სახელის პირველადობის საკითხი. ამის დასადგენად მოგვიხდება **ნა-ნი**, იგივე **ნა-ნა*-ს** თავდაპირველი ფორმის რეკონსტრუქცია. იგი, უეჭველია იყო **ნე-ნა***, ვინაიდან ნაღვლის ბუშტის და კუჭის წვენს (და საერთოდ ნებსმიერ წვენს, ასევე სითხეს და წყალსაც) მეგრულად **ნე** ეწოდება. **ნექ ეკულ** უდრის პირიდან კუჭ-ნაღველის წვენი ამოუვიდა; **ნა** კი მეგრულად არის წყალი (შდრ. **ნა**-კურთხია უდრის „წყლის კურთხევა"). ვინაიდან ეს აღწერილი, პათოლოგიური პროცესი ხშირია, ამიტომ, ქრონოლოგიურად **ნე-ნა** „კუჭ-ნაღვლის წვენი" > **ნა-ნი** „ასაჭრელი მასალა" უნდა ვიგულისხმოთ. ანუ **ნე-ნა** „კუჭ-ნაღველის წვენია" ეტიმ. ამოსავალი.

მოვლენების ამგვარი განვითარება, კერძოდ: **ნანის (კუჭის),** როგორც რძის ასაჭრელი მასალის ძირითადი კომპონენტის სახელისა და თავად ასაჭრელი მასალის სახელის იგივეობა საცნაურად ხდის თუ ვინ არიან ამ **რძის აჭრის** მეთოდის გამომგონებელნი.

ქიმი-ის სახელმდებელთა პრიორიტეტობის დასადგენად გამოგვადგება, ძველად, **მაწვნის** დამზადების ტექნოლოგიების დამუშავების სადაურობის საკითხის გადაწყვეტა: მთავარი ქიმიური გარდაქმნა, რომელსაც რძე მაწვნად დამზადების პროცესში ღებულობს არის რძის შაქრის რძის მჟავად გარდაქმნა. ანუ ესაა რძის დამჟავება-**დაძმარება**. ამიტომაც მეგრული სახელი **მარ-წვენ**-ის საწყისი ფორმა გახლდათ – **ძმარ-წვენი**, მეგრულად „მჟავე წვენი. ეს უკანასკნელი იმდენად სადაგია, **მაწვნის** რაობასთან მიმართებით, რომ უეჭველს ხდის შემდეგ ბგერით ცვლილებებს: მეგრულში დაიკარგა **ძმ კომპლექსიდან ძ დაიკარგა**: **ძ**-მარ-წვენი > მარ-წვე-ნი; კი ქართულში ღრმა ცვლილებებია: **ძ**-ს გარდა დაიკარგა **რ** და **ვე** შეირწყა **ო ხმოვნად** (დელაბიალიზაცია): **ძ**-მარ-წვენ > **მარ**-წვენ > მაწვენ > მაწონ.. როგორც ვხედავთ, სახელ **ძმარ-წვენ-ში** ქიმიურ გარდაქმათა ამსახველობა ლოგიკური და ზუსტია, რადგან იგი გუ-

ლისხმობს **რძის ძმარ წვენად** გარდაქმნას ანუ ახალი ქიმიური თვისების სუბსტანციის შექმნას. ამ ტერმინთა შემქმნელნი კი შეუძლებელია არ იყვნენ პიონერნი ამგვარი ტექნოლოგიებისა.

სამეგრელოში ცნობილ მრავალ სახეობათა შორის ყველაზე გავრცელებულია **კაზლა** (ბრინზა) და **სელეგინი** (სულუგუნი) სახეობის ყველი: **მეგრ. კა, აკა, კაკა, კაკალი** ნიშნავს ერთს. **ზელი** მოზელილია, **ზალა ზელვაა.** ამიტომ, ცხადია: **კა-ზლა** პირვანდელი სახით იყო **კა-ზელი – კა** „ერთი, პირველი" პლიუს **ზელი** „მოზელილი." ე. ი, **კა- ზელი** = ერთხელ მოზელილს: კა-ზელი კუმშვის შემდეგ > **კაზლი, ი > ა** გადსვლა > **კაზლა.**

სელე-გინის საწყისი ფორმაც აშკარაა, რადგან უშუალო ასოციაციაშია **კა-ზელი,** ზემოთხსენებულ სახელის წარმოქმის მოაზრებებთან: **კა-ზელ-ი** თუ პირველად მოზელილია, **სელე-გინი** მეორედ იზელება, რაც მეგრულად **იქნება ზელი კინი** – სიტყვასიტყვით – **„მოზელილი ისევ".**. ფონეტიკური ცვლილებები: **ზ** და **კ** ბგერამ მოგვცა **ს** და **გ** (შდრ. სიზმარი > სისმარი, კალატოზი > გალატოზი): ზელი კინი > **სელი-გინი** > სელე-გინი „სულუგუნი."

ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე: ორივე სახეობის ყველის სახელი არათუ ზუსტად ასახავს მათ მისაღებად გაწეულ ქმედებებს, არამედ – პირველიდან მეორის უშუალო გამომდინარეობას და ამით უტყუარს ხდის, როგორც ჩვენს ეტიმოლოგიურ დასკვნებს ასევე ყველის ტექნოლოგიების ავტორთა პრიორიტეტებს. ღირსსაცნობია, რომ, მეგრულში, ყველის სახეობის აღმნიშვნელ **სელეგინს** გააჩნია სინონიმი – **გე-ქიმ-ინ-ელი:** ორივე სახელი სახელდებული ობიექტის სადაგია:: **გინო-ქიმ-ინ-ელი თუ გარდაქმნილია, გე-ქიმ-ინ-ელი მისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ამ გარდაქმნას აძლევს მიმართულებას – ქვემოთ გე-საკენ – მიწისკენ: ქიმიის** არსი ერთადერთი სიტყვით რომ დავახასიათოთ ხომ **გინოქიმინი** – „გარდაქმნაა".

გე-ქიმ-ინელ-ი და გინო-გინო-ქიმ-ინელი მიღებული არიან, **გე** და **გინო** ზმნისწინებისა მეშვეობით, **ქიმ-ინ-უა „ქმნა„**ზმნისაგან: მ. ე. სიტყვების: **გე-ქიმ-ი-ნი** „ქვევით მიმართული რისამე გარდაქმნით კეთება"; **ქიმ-ინ-ი // ქიმ-ინ-უა „ქმ-ნა, ქმ-ნა-დობა;" გინო-ქიმ-ინ-ი „გარდაქმნა"** , **ქიმ** ძირის მეშვეობით, (ქართულ **ქმ-ნა** სიტყვაშიც ძირია მეგრ **ქიმ** ძირის კუმშვით მიღებული – **ქმ:** შდრ: მან **ქმნა** და ის **ი-ქმ-ს.** საწყისი იყო **ი-ქიმ*-ს**), ქიმიის დედააზრი – გარდაქ-

მნაცაა ასახული: დავადგინოთ – საიდანაა სიტყვები: **ქმ-ნა, ქმ-ნა-დ-ობა** და // **ქიმ-ინ-ი.**

ზემოთ ქ. **ჭუ**თაისის ეტიმოლოგია მცენარე **ჭუმელს** დავუკავშირეთ, იგივე წარმომავლობისაა ტოპ. აფხაზეთში – **ო-ჭუმ-ი.** იგი **ო** პლიუს **ჭუმ** – „სა-**ჭუმელო**“, **ჭუმელის** სათესი ადგილი იყო, უთუოდ.

ქალაქ ზუგდიდის მიმდებარედ გვაქვს ტოპონიმი **ქა-ფა-თი.** პირვანდელი სახე მისა იყო **ქუმ-ფა-თი** მნიშვნელობით **ჭუმ** მცენარის ადგილი, რამეთუ როგოცა ზემოთა ვთქვით ქუმ არის „ქუმელი“, ფა – მცენარე, ხოლო **თი** ადგილია, მეგრულად. **ქუმ, ქუმუწყარის** სახით უდრის „ქუმელის წყალი“ დაფიქსირებულია, ცნობილ, საკრალური ელფერის სიმღერაში – **„ერეხელი.“** ყოველივე ეს, რომ **ქუმ // ჭუმელი** გვხვდება სიმღერებში, ხშირად მონაწილეობს ტოპონიმების წარმოქმნაში გვაფიქრებინებს, რომ იგი მნიშვნელოვანი სასოფლო სამეურნეო მცენარე გახლდათ. ხოლო რაკი ეს ასეა, მაშასადამე, დასაშვებია, რომ მეგრული ზმნა – **ქიმ-ინ –უა ჭუმ // ჭუმელ** მცენარესთან კავშირშია იმდაგვარადვე, როგორადაც მძიმე შრომის ამსახველი, მეგრული ეტიმოლოგიის მქონე ქართ. სიტყვა – **ჯა–ფა – მეგრ. ჯა** „ხე“ პლიუს **ფა** „მცენარე“-სთან. ასევე: მეგრული **თიფუა** და ქართული **თიბვა** – მეგრულ **თიფუ** „თივასთან;“ მეგრული **მებინეხე – ბინეხ**თან (ბინეხი უდრის ვაზი); ქართ. მევენახე – **ვენახ**თან და ა. შ.

მ. ე. ზმნა **ქიმ-ინ-უა**, თუმცა კი ასახავს საერთოდ საქმიანობას, ადამიანის განზოგადოებულ მოღვაწეობას, მაგრამ მას გააჩნდა ამოსავალი **ქუმ „ჭუმელ“** მცენარესთან დაკავშირებული ფორმა – **ქუმ-ინ-უა*,** რომელიც შრომის მხოლოდ კონკრეტულ – **ჭუმელთან** დაკავშირებულ სახეს აღნიშნავდა. **ქუმ-ინ-უა** „ქუმელთან მოსაქმეობა“-დან ზმნის მნიშვნელობის განზოგადოება – **ქიმ-ინ-უა „ქმნა“** შემდეგ განხორციელდა. მაშ, საკამათო არ უნდა იყოს: ქართული **ქმნა**, ქართულისათვის დამახასიათებელი კუმშვითაა მიღებული: **ქ(უ)მ-(ი)ნ-(უ)ა > ქმნა.**

მშობლიური ენობრივი ფესვებიდან ამოზრდილ ასეთ ტერმინებს ბევრი ავტორიტეტული ენებიც ვერ დაიკვეხნიან!!!... ამ კუთხით, ფრიად საყურადღებოა ტერმინები – **მუშა, მუშაობა // მუშობა:** რადგანაც მეგრული **მუში** ნიშნავს – თავის-ს, **მუშო** კი უდრის **თავისთვის** (მესთვის) ხოლო, შესაბამისად, **მუშაობის** შესატყვისი მეგრული სიტყვა – **მუშობა** პიროვნებისთვის საქმიანობას, სიტ-

ყვასიტყვით, მუშო პლიუს **ობა „თავისთვის პლიუს ობა“ > თავისობა** ანუ **მესთვის** საქმიანობაა.

უეჭველია: **ტერმინები მუშა, მუშობა, მუშაობა** ეკუთვნის იმ დროს როცა **მატრიარქატ-პატრიარქატის გარდამავალ პერიოდში იქმნება ოჯახი და პირველყოფილი კოლექტიური მეურნეობა სულ უფრო მეტ ადგილს უთმობს ინდივიდუალურს.**

წა, წამალი, ოლამებუნი, სალბუნი, მალამო

თანამედროვე მედიცინა წარმოუდგენელია ქიმიასთან უშუალო კავშირს გარეშე. ასევე კანონზომიერია მათი ერთიანობა განვითარების ადრეულ პერიოდებში. ანტიკური ხანის კოლხეთში სამედიცინო კულტურის სიძველე საკამათო არაა.. მაგრამ, თუ ეს ასეა, უნდა დარჩენილიყო (რამდენიმე მაინც) თვითმყოფადი და შეურყვნელი კოლხური გენეზის სამედიცინო ტერმინი თუ სახელი.

ტერმინი მედიცინა თუმცა კი კოლხეთის ასულ მედეას სახელთანაა დაკავშირებული, მაგრამ მაინც ბერძნული ენის წიაღშია შემონახული, ხოლო „შუშანიკის წამებაში“ დაფიქსირებული სახელები – **წამალი და სალბუნი (მალამო)** ჩვენამდე უცვლელადაა მოღწეული. ასევე ტერმინ **ექიმ // აქიმ-ს,** რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ (მე-12 ს.) ხშირად იხსენიება ცვლილება არ განუცდია.

წა პლიუს **მალი – წა-მალ** სიტყვაში **წა,** როგორც უკვე ითქვა, წყალს ნიშნავს. მაგ: ჰიდრონიმი **წა-ჩხურა** უდრის „ცივი წყალი“; სინ – **წა** „მდინარის სახელი“ უდრის „სინ-ის წყალი“ და ა. შ. **წ, წა, წგ წოვის ფიზ-აქტის დროს ნარმოქმნილი ჰაერის ბგერითი რხევებია. ისინი მეტყველების პირველ-საწყისი ბგერები არიან.. იგივე ითქმის ფს კომპლექსზე, რომლის წარმოშობა შარდვის ფიზილოგიურ აქტთანაა დაკავშირებული. ამ ელემენტებით იწყება წყალთან კავშირში მყოფი მრავალი სახელის** წარმოქმნა...

მეგრულად **მე მკურნავს იქნება მა მგმალე, ზედმიწევნითი გაგებით** უდრის მე მრგებს, შემერგება. **შენ შეგერგება – სი მგგალე,** ხოლო **მას შეერგება იქნება – თის მალე.** შესაბამისად, მკურნალი მეგრულად იქნება **მგმალ.** ხოლო წყალი მკურნალი კი – **წა-მგმალ. იგი, გამარტივების შემდეგ, წა-მალ-ი იქნება: წა-მგმალ > წა-მალ** (ეს ეტიმოლოგია გაკეთებული ქონია გ. როგავას. დიდება მის სახელს)...

თუ გავითვალისწინებთ ჩვენს რეგიონში სხვადასხვა სამკურ-

ნალო პროფილის წყლების სიუხვეს, ადვილად მოსალოდნელია **წამგმალ** „წყალი მკურნალი-ს' აზრობრივი ტრანსფორმაციები: ბუნებასთან რაციონალური მიდგომისას, სამკურნალო წყლებთან პირდაპირი კონტაქტის პროცესში ადამიანმა აღიქვა მისი ფიზიკური თუ ქიმიური – სამკურნალო **მგმალ** (მარგებელი) თვისებები.:

საფუძველს მოკლებული არაა წამალის წყალი მკურნალის სახით წარმოქმნის ფესვები ვეძოთ პრეისტორიულ ეპოქებში. ამაზე, ასევე, მიუთითებს უკვდავების წყლის კულტი ქართველურ თქმულებებში და ზღაპრებში, რომლებშიც, კანტი-კუნტად, ცხოველთა ორგანოებს თუ მცენარეებსაც ეკისრებათ უკვდავების ფუნქცია. მაგრამ , როგორც აქვე ვთქვით – მხოლოდ კანტი-კუნტად.: უფრო გვიან კი, როცა ადამიანმა სხვა მარგებელ-მამკურნალებელ საშუალებებს მიაგნო წამალის მნიშვნელობა „წყალი მკურნალიდან" გაფართოვდა, განზოგადდა რა ყველა სამკურნალ-წამლო საშუალებებზე.

მეგრ. **მოლამაფა სასიმოვნოსაც ნიშნავს (ზედმიწევნით – მოსიამოვნოება) და მოსველებასავ. ლამე კი – სველია:** თუ დავაკვირდებით სიტყვებს **სალბუნი და მალამო-ს,** ყურადღებას მიიპყრობს ფრიად საინტერესო ფაქტი: ზმნები ამ სახელებისაგან, შესაბამისად – ქართ. **მოსალბუნება** და მეგრ. **მოლამაფა** ერთი და იგივე შინაარსის ქართულ-მეგრული ინტერპრეტაციაა. მაგ: **გულზე მომესალბუნა** მეგრულად იქნება – **გურც ქუმომლამუ:** ამ სიტყვებში სასიამოვნოს მნიშვნელობა მეორადია. პირველადი გახლდათ რაღაც მატერიალური დეტერმინანტი, რომელიც იწვევდა მოლამაფას ანუ მოსველებას და, შესაბამისად, სიამოვნების განცდას. ასეთი მატერიალური ობიექტი შეიძლება ყოფილიყო მაგ: მცენარეთა დანაყილი ნაწილების (ძირების, ფოთლების ყვავილების) მალამოსნაირი ფორმები. ასევე, უშუალოდ, მცენარეთა ფოთლები, ვთქვათ **ასფოთოლასი,** რომელიც ბერძნულში **ასპოდელონის** სახითაა შეღწეული. მათი გარეგანი საშუალებების სახით ხმარება დღესაც ფართოდაა გავრცელებული, ხალხურ მედიცინაში. ზემოთჩამოთვლილთათვის, მთავარი განმაზოგადოებელი და დამახასიათებელი თვისება გახლავთ მათში სითხის ჭარბი შემცველობა ანუ მოსველო ხასიათი, რაც მეგრულად გახლავთ, როგორცა ვთქვით – **მოლამე. მალამო ამ მოლამე-ს** ზუსტი ქართული შესატყვისია: **მოლამე > მალამო.** რადგანაც ეს საშუალებები იწვევდნენ ტკივილდამაყუჩებელ თუ სხვა სამკურნალო ეფექტებს, რა გასაკვირია, მათ შესძენოდათ სიამოვ-

ნების – მოლამაფა // მოსალბუნების მნიშვნელობა.

რაც შეეხება ქართ. სალბუნი-ს ეტიმოლოგიას ისიც სითხესთანაა კავშირში და ქართ. სა პრეფიქსით გაფორმებული მეგრ. ზმნა ბუნა, „სხმა“ ზმნისაგან გახლავთ შემდგარი. როგორც ეტყობა სალ-ბუნი მალამოს, როგორც გარეგანი თხევადი საშუალების ნაირსახეობა გახლდათ, რომლის სხეულზე შესხურება შეიძლებოდა: სა(ლ)ბუნის შემადგენლობაში დანიშნულების სა პრეფიქსისა და ლ ლატერალის არსებობამ მიგვახვედრა მისი მეგრ. შესატყვისი – ო-ლამე-ბუნი*, რაც ზედმიწ. უდრის "სითხეს სასხურებელს". სა პრეფიქსის მეგრული შესატყვისია ო, ლამე კი უკვე ცნობილია. მოხდა ასეთი გამარტივება: ო-ლამე-ბუნი* > სა-ლ(ამე)-ბუნი* > სალბუნი.

ამგვარად, ოლამებუნი* – სალბუნის, ხოლო მოლამე – მალამოს პრეფორმა გახლავთ.

კა, აკა, კაკა, მათემატიკა, არითმეტიკა, არითმოს

მეგრულ-ქართული მოლამაფა –// მოსალბუნება-ს მაგვარი, ერთიდაიგივე შინაარსის, ინტერპრეტაცია გახლავთ, ასევე, ტერმინები მათემატიკა და არითმეტიკა.

შევეცადოთ დავადგინოთ მათი წარმომავლობა:

კურკოვნები ადვილად განიბნევიან და, ამიტომ, რაკი იძლევიან ერთის, ერთეულის, გამოცალკევებულის (დისკრეტულის) ყველაზე მკაფიო წარმოდგენებს, უნდა ვიფიქროთ, მათ გამოიწვიეს პირველყოფილი თვლის მოაზრებები, ანგარიშების იმპულსები: შდრ. სენტენციები – კაკალ გულში, კაკალ კაკალ ჩაუკაკლა; მეგრ. ართკაკალ ვეპალუ „ერთი ცალიც არ იპება“; მახორობაქ წია კაკალიათ გეშალ „ზედმიწ. = ოჯახში ერთიც არ დარჩა ცოცხალი.“

მეგრ. კა // აკა // და კაკალი უდრის ერთი; ასევე აფხ. აკგ = ერთი; მეგრ. ნატვრა: აკა მუთუნ ქომჩას = „ერთი რამე მომცეს.“

რუს. შტუკა = „ერთი“; ა, ნუ, კა = „აბა, ერთი"; ა, ნუ კა, პოგადი = „აბა, ერთი დამიცადე“: აქ ყველგან კა გახლავთ ერთი. კა რომ, ჭეშმარიტად, ერთია ამას ამტკიცებს მეგრული სენტენცია – მუდა კა-ს გურზა = „რამდენ ერთს გაუძლო.“

მეგრ. გამურკი = გამოაკელი; რკება – „მოკლებაა;“ გეი-ა-რ-კი = დათვალე; ა-რ-კ-ება გახლავთ „თვლა.“ იგივეა ე-რ-კ-ება და კო-

როცხუა = „თვლა;“ მისახვედრია: **ამ** სიტყვებში **კ** ბგერის არსებობა, მისმიერვე ერთის, ერთეულის ცნების ქონებითაა გამოწვეული: **აქ კ თუ** „ერთი, ერთეულია“, ება – ქმედების აღმნიშვნელი სუფიქსია, მ. ე. მეგრ. **ა-რ-კ-ება** „თვლა“ **კ**-ზე „ერთზე“, „ერთეულზე „ ქმედება ყოფილა. **კა** რომ, ნამდვილად, ერთია და **კა, აკა, კა-კა** ერთის, ერთეულის სინონიმებია. ამაზე მეტყველებს ხალხური თამაშობა „როსტოკაკა,“ რომელიც ს. მაკალათიამ აღწერა (იხ. სერგი მაკალათია „ს. ისტორია“ გვ. 280).

აი, თამაშის მსვლელობა: მოთამაშე მუჭში მალავს თხილის კაკლებს და ეკითხება მეორე მოთამაშეს: **როსტო-კა-კა?** ეს **რო-სტო-კა-კა** სხვა არა შეიძლება იყოს თუ არა – **რე-თე-კა-კა?** = არის ეს ერთი ერთი? ანუ უდრის // არის ეს ერთი რამდენი ერთი? მოპირისპირე მოთამაშე პასუხობს: **ჟირი კაკა**, სუმი **კაკა** „’ორი **კაკა**, სამი **კაკა** და ა. შ. თუ ამოიცნო რაოდენობა თხილისა – მოგებულია და მუჭში არსებული თხილი მას რჩება. თუ არადა პირველი მოთამაშე ეტყვის – **გემძინ აკა** = „დამიმატე ერთი“ და წაგებული ამატებს **ერთ კაკალ** თხილს. მერე თამაში ხელახლა იწყება...“ ცხადია, აქ **კა, კაკა, და აკა** ერთია, ერთეულია. არავინ იცის რას ნიშნავს ეს **როსტოკაკას როსტო**, მარა **აკა** თუ ერთია, **კა-კა**-ც ერთეული ყოფილა, ეს ჩანს კითხვიდან რო-სტო **კაკა?**, რომელიც, როგორც ითქვა, სხვა არა შეიძლება იყოს თუ არა ფრაზა – **რე თე კაკა?** – „არის ეს **კაკა?**“ ანუ „არის რამდენი **ერთეული?**“. **რე თე** მეგრულად უდრის **„არის ეს,“** იგი ესადაგება კითხვის შინაარსს. ამიტომ **რო-ს-ტო-კა-კა** მიღებულია **რე-თე-კაკა**-დან.

რაკი **კა, აკა, კაკა** არის ერთი, ერთეული, უფლება გვაქვს ვთქვათ მათემატი**-კა** და არითმეტი**-კა**-ში **კა** იგივე მნიშვნელობისაა. და ეს მიუხედავად იმისა რომ მეცნიერების მიერ იგი ბერძნულ კა სუფიქსალურ მონაცემადაა მიჩნეული. თუმცა მაშინვე უნდა შეიმჩნეს საოცრება: **მათემატიკა და არითმეტიკა** ერთიდაიგივე შინაარსის მეგრულ-ქართული, იგივური, ენობრივი კომპონენტებისგან შემდგარი ფრაზები არიან და ზუსტად ერთიდაიგივე აზრს გამოხატავენ:

არით-მეტი-კა უდრის „აი, რით მეტი ერთი, ერთეული“.**არით-მეტიკა** აზრობრივი ცვლილებაა **ა** „აი“ **რით მეტი კა „ერთი“*** – მეგრულ-ქართული ფრაზისა. სადაც მეგრ. ჩვენებითი **ა** „აი“ + ქართ. **რით** + მეგრ. // ქართ. **მეტი** + მეგრ. **კა** „ერთი, ერთეული“ იძ-

ლევა „აი, რით მეტი ერთეულ“-ის ანუ რიცხვთა მატების შინაარსს. მაგრამ იგივე მოვლენასთან გვქონდა საქმე აქვე ზემოთ მეგრ. რ-კ-ება „მოკლება“ და ა-რ-კ-ება „თვლა“ ტერმინების შემთხვევაში, ოღონ საპირისპირო – კლების შინაარსით. ეს კი სხვა არაფერია თუ არა ის რაც უზუსტესად ჯდება არითმეტიკის არსში, რადგანაც იგი, სწორედ რომ, მეცნიერებაა რიცხვთა მეტ-ნაკლებობის ანუ მათი ანგარიშის შესახებ.

ზუსტად იგივეა **მათ-ე-მატ-ი-კა**, მისი მათემატი ნაწილის წინაფორმა არის **ამუთმეტი**: **ამ** მარცვალი შებრუნდა **მა-დ**; **ამუთმეტი** > მათემატი: **ა, მუთ მეტი კა*** საწყისის **ა-მუთ** უდრის „აი, რით“: **ა** არის მეგრ. ჩვენებითი ნაწილაკი, ქართ. – „**აი**“; **მუთ** უდრის „**რით**“; **ა-მუთ-მეტი** ქართულად იქნება „**აი, რით მეტი**“, ხოლო **ა-მუთ-მეტი-კა** – იქნება „აი, რით მეტი ერთი (ერთეული): მ. ე. **კა** და **მეტი** სიტყვები **მათე-მატი-კა // არით-მეტი-კა**-ს ორივე სახელში შენარჩუნებულია; **მათე-მატი-კა**-ში იყო **მა-თე**-ს წინარედ მეგრ. **ა, მუთ***, ხოლო **ა-რით-მეტი-კა**-ში **ა** მეგრულია **რით** კი ქართული. მაშასადამე. **მათემატიკა და არითმეტიკა ერთი და იგივე მნიშვნელობის ერთიდაიგივე მეგრულ-ქართული ნაწილებისაგან შედგებიან და ასახავენ პირველყოფილი მარტივი თვლის – ერთი ერთეულით მატების პროცესს!!!...**

ბერძნ. **ა-რით-მოსიც** („რიცხვი“), რომელიც არითმეტიკის ამოსავლადაა მიჩნეული მეგრ.-ქართ. კომპლექსია:“ **ა** „**აი**“ + **რით**“ + მეგრ. **უმოს** „მეტი:“ ჯამში გვაქვს – **ა, რით უმოს** // „აი, რით მეტი“ ანუ ფრაზა **ა, რით უმოს** შეიცავს მინიშნება-მითითებას მეტობის თაობაზე. იგი გაგებინების მცდელობაა ციფრთა მეტნაკლებობაზე: **ა, რით უმოს** ფრაზა რაკი უდრის ‚აი, რით მეტი“ რაც რიცხვის სახელსადებად უაღრესად სადაგია, ფაქტია: არითმოსი პელასგური დანაშრევია ბერძნულში.

კალანდა და კალენდარი

ლანდა-რი – სახაზავია, მეგრულად. ეს სიტყვა იდეალური სისწორის გამომხატველიცაა: **ლანდარი ჯა** = „იდეალურად სწორი ხე“; გამარტივებით, **ლა-ნდ-არი** დანაა მიღებული სისწორის მნიშვნელობის კიდევ ერთი სიტყვა –**ლარი**: **ლარი** ხაზიცაა, მარა როგორც ვთქვით, ის ლა-ნდ-არი-დანაა, **ნდ** კომპლექსის ამოვარდნით, მიღებული. **ლა(ნდ)არი > ლარი.**

ლანდუა ქვია განაყოფიერებული კვერცხის ხაზით მინიშნებას. კვერცხი **დოლანდეს** უდრის კვერცხი **მიახაზეს. ლანდა** რაკი ხაზია გასაგებია რატომ ეწოდება გაუნაყოფიერებელი კვერცხის მინიშნება-მიხაზვას – **ლანდ-უა; ლანდ-ი** მეგრულად ხაზიც და **ძაფის ერთეულიცაა: ართი ლანდი ძაფი უდრის „ერთი ლანდი ძაფი"; ლანდუა ხაზვაა, ლანდარი– სახაზავი.** კერვით საბნის სიმეტრიულ ნაწილებად დაყოფასაც **ლანდუა // ლამბუა ქვია.**

მეგრულადაც და ქართულადაც **ლანდი ლანდია:** მეგრ. **დო-ლანდ-ეს** = შენიშნეს. ხოლო დღევანდელი **ბადური // ბანდური,** უეჭველია, წინეთ **ბ-ლანდ-ური*** იყო: **ბადურები** ხომ სივრცეს (ჭერს) სიმეტრიულ ნაკვთებად ყოფენ.

კა და ლანდასთანაა დაკავშირებული ტერმინი **კალენდარი კა-ლენდ-არ-ი** და გვარი **კალანდია –კა-ლანდ-ია, კა-ლანდა-ძე, კა-ლა-ძე და ა. შ.. ამას** თუ დავამატებთ იმას, რომ ძველი სტილით ახალ წელი მეგრულად **კალანდაა,** უცხადესია: **კა + ლანდა,** ამ შემთხვევაში, ერთ ხაზს ანუ პირველ ხაზს, ახალი წლის პირველ დღეს ნიშნავს: ამგვარად **კა-ლენდ-არ-ის კა** და **ლენდ** ნაწილები მეგრულია და, ამიტომ, ჭეშმარიტ არს: მეგრ. **კა-ლანდ-ა** „ახალი წელი, ახალი წლის პირველი დღე" და ლათინური **კა-ლენდ-ე** ყოველი თვის პირველი დღე და აქედან > **კა-ლენდ-არ-იუმ „კა ლენდ-არ-ი"** მეგრული **კა** „ერთი, ერთეული" + **ლენდე // ლანდა** „ხაზი-სგან – დროის დისკრეტულად დასაგეგმარებელ კომპონენტებისგან არიან შემდგარნი და, ამიტომაც. წარმოადგენენ კოლხურ ნასესხობას, ლათინურში."

უნდა მივხვდეთ: ჯერ კიდევ უხსოვარ წარსულში შეეცადა ადამიანი, ხაზების მეშვეობით, როგორც სივრცის ასევე დროის თანაბარ, პროპორცილ სიდიდეებად დაყოფას. წელიწადის – თვეებად, თვეების – დღეებად დაყოფას და ა. შ. **წლებში შემავალ წელიწადის, წელიწადში შემავალ თვეების და თვეში შემავალ დღეების ამღნიშვნელ ხაზებიდან, რასაკვირველია, როგორც პერიოდთა საწყისთ ჯერ წლების პირველ ხაზებს ენიჭებოდა უპირატესი მნიშვნელობა და შემდეგ – თვეებისა. ამიტომაც ეწოდა ამ პირველ ხაზს, აღმნიშვნელს წლის და თვეების პირველი დღისა კა ლანდა, რაც, როგორც უკვე ვიცით, ერთი, პირველ ხაზია, მეგრულად. ეს ტრადიცია ბერძნულმა – თვეების, მეგრულმა კი ახალი წლის პირველი დღის აღსანიშნავად შეინარჩუნეს.**

ეს საოცარი ეტიმოლოგიები ბევრს ზედმეტ სითამამედ მოეჩ-

ვენება: საიდან სადაო და ზოჯერ იქნებ დამთხვევებიც ვერ გამოირიცხება, მაგრამ, დიდის მორიდებით შეგახსენებთ, რომ ბერძნებს, ოდესღაც, დღევანდელ მათს საცხოვრისზე როცა ჩამობრძანდნენ, იქ კოლხი პელაზგები დახვდნენ. რაზედაც ეს სახელებიც ნათლად ღაღადებენ: ფაქტია, კალენდრის შექმნას კაცობრიობა კოლხებს – პელაზგებს, ტირენებს ანუ იგივე ეტრუსკებს უნდა უმადლოდნენ და არა ბერძნებს ან რომაელებს...

სკოლა, სკუა // სკუალ, ოსკუ, სკუალა, კარ, ოკარიე, ნგქგთ, ქათამ, // ქოთომ, ნგქგთამ

„... სიტყვა დიდაქტიკა კოლხური წარმოშობისაა: ტერმინი დიდაქტიკა (ძველბერძნულად διδακτικός) გერმანულენოვანი ვიკიპედიის განმარტებით: დიდაქტიკა არის სწავლების ხელოვნება და მეცნიერება. ესაა პედაგოგიკის ცენტრალური დისციპლინა. სიტყვა დიდაქტიკა მომდინარეობს ძველბერძნული სიტყვისგან διδάσκειν დიდასკეინ (სწავლება). სიტყვაში დიდასკეინ ადვილი დასანახია ორი ... მეგრული სიტყვა: დიდა (დედა) და სკი, სკუა (შვილი): დედაა შვილის პირველი აღმზრდელ-მასწავლებელი. ამიტომ, ძველბერძნული სიტყვა დიდასკეინ (სწავლება) კოლხური წარმოშობისად უნდა მივიჩნიოთ. ამ აზრს ამყარებს მსგავსი შინაარსის და აღნაგობის ბევრი ძველბერძნული სიტყვა. ... მეგრული სიტყვის ... სკი (შვილი) შესაბამისი ძველბერძნული სიტყვები: σκύμνος სკიმნოს – „ლომის ლეკვი, ბოკვერი; ნაშიერი, შვილი (ცხოველისა)“; „ბავშვი, ბალღი, ყმაწვილი“; „შვილი, შთამომავალი, ნაშიერი“; σκυμνίον სკიმნიონ – „ნაშიერი, შვილი (ცხოველისა)“; σκύλαξ სკილაქს – „ლეკვი; ძაღლი; ნაშიერი, შვილი (ცხოველისა)“; ... διδάσκω დიდასკო – სწავლება, ჭკუის დარიგება; διδάσκαλος დიდასკალოს – მასწავლებელი, ჭკუის დამრიგებელი; διδασκαλική დიდასკალიკი – სწავლების ხელოვნება; διδασκάλιον დიდასკალიონ – სწავლების საგანი, ცოდნა; სწავლების წესი... ; აქვე აღსანიშნია ბატონ ედემ იზორიას მიერ მიკვლეული ეტიმოლოგია სიტყვისა სკოლა: კოლხური სკი, სკუა -> სკოლა ევროპულ ენებში...“ საბა კუცია

ბერძნულ, ლათინურ ან სხვა რომელიმე პრესტიჟულ ენაში,

(როგორც ეს მეგრულშია – სკუა // სკუალ-ეფი* „შვილი, შვილები“> სკოლა), სკოლისა და შვილის ძირი საერთო რომ ყოფილიყო, სკოლის ეტიმოლოგიის დადგენაზე თავს არავინ შეიწუხებდა: მას მაშინვე იმ ავტორიტეტულ ენოვან სამყაროს მიაკუთვნებდნენ. მაგრამ ერთია პრესტიჟი და მეორე – ჭეშმარიტება: ხოლო ბერძნულენოვნურ წარმოქმნაზე მსჯელობისას **სკოლა** სიტყვისა, იმთავითვე, უნდა დაისვას კითხვა: ხომ არაა იგი შეთვისებული ბერძენთა წინამორბედ კოლხ პელაზგებისგან?...

ახლა კი ერთ საოცარ საკითხზე უნდა შევჩერდეთ: რატომაა, რომ მეგრ. ოლეჯე „საღორე-ს“ აქვს სინონიმად **ოსკუ? „ზედმიწევნით – „კვერცხსადები?“ სკუალა ხომ, მეგრულად კვერცხისდებაა, ამიტომ, ო-სკუ უდრის იმ რეალობას სადაც ქათამი კვერცხსა დებს ანუ უდრის „კვერცხსადებს“: მაშასადამე, ოსკუ „საქათმეს“ უნდა ერქვას, რომელსაც, მეგრულად, ოკარიე ქვია და არა ოსკუ?** ან რატომა აქვს, მეგრულად ოქოთომეს „საქათმეს“ სინონიმი **ოკარიე?**

ჯერ ვუპასუხოთ მეორე შეკითხვას: ბასკურად **კარ** ქათამია და მეგრ. **ო-კარ-იეც** აქედანაა ე. ი., **კარ და ოკარიე** იმ დროის სიტყვებია, როცა ბასკები და მეგრელები ერთ ენაზე მეტყველებდნენ.

იმ უძველეს ენაზე კარ – ქათამი; ო-კარ-იე „საქათმე“; მეგრ. კარკალი // სვ. ლი-კარ-კაცე „კრიახი“ (კარ-კარ > კარ-კალ), ქათმის კრიახით გამოწვეული ბგერითი მოვლენების აღქმითა და კ და რ ბგერების, მეშვეობით, მასზე ხმაბაძვით (კარ და კრ კომპლექსი) წარმოქმნილი სიტყვები არიან.: კარ ძირის სახით, კ და რ ბგერები – ბასკურმა, სვანურმა და მეგრულმა შეინარჩუნეს, კრ კომპლექსი კი – ქართულმა.

რაც შეეხება **ქოთომ // ქათამ** სიტყვას კავშირშია ნგქვთამ* „ნისკარტიან“ სიტყვასთან. იგი ძველია, რადგან **ნგქვთ „ნისკარტი“** სომხურში მეგრულის დანაშრევია: და, უნდა ვივარაუდოთ, ეს სუბსტრატი – **ქოთომ // ქათამის** წინაფორმა < **ნგქვთამ** იმ დროისაა, როცა სომხეთის მთიანეთი – კოლხეთი ანუ მეგრულენოვანი იყო. ამოსავალ – **ნგქვთამ „ნისკარტიან-ი“ სიტყვის ძირი – ნგქვთ,** მეგრულში, გარდა სხვა მნიშვნელობებისა, **დღესაც ნისკარტია: ნგქვთის** მერტახ უდრის „ ნისკარტს მოგტეხ“; ჩხვინდით მუს **გილენგქვთ,** უდრის ცხვირით რას იქექება. ზედმიწ. = **„ინისკარტება“.**

დავუბრუნდეთ პირველ კითხვას: რა შუაშია **სკუალა** „კვერცხისდება „ **ოსკუ** „საღორე“-სთან. ღორი ხომ კვერცხს არ დებს.

მაგრამ მეგრ. **სკუალა** ოდესღაც შობასაც აღნიშნავდა (ი. ყიფშიძე).

მეორეც, თუ დავაკავშირებთ **სკუალა, ოსკუ** და მეგრულივე **სკუა** „შვილს," მაშინ საჩინოა, რომ ისინი მნიშვნელობითა და აგებულებით, ერთი ჯგუფის სიტყვები არიან.

მეცხოველეობის განვითარების ადრეულ ეტაპზე, ადამიანი მოშინაურებულ ღორს ტყის პროდუქტებით თუ კვებავდა ანუ ყავდა თავისუფალ ყოფით პირობებში, თუმცა, უმეტესწილად, სოფლებში დღესაც ასეა. მაშასადამე, საღორე ადამიანს ჭირდებოდა არა ღორისთვის, არამედ მისი შვილების, მეგრულად, **სკუა-ლ**ების (ანუ **გოჭ**ების)-თვის. დღეს ამგვარ ნაგებობისთვის ჩვენ **ო-სკუალ-ე** „სა-შვილ-ე"უნდა დაგვერქვა: მაშინაც, იმ უუძველეს ეპოქაშიც, ამიტომაც იწოდებოდა საღორე **ო-სკუა-ლ-ე***, ზედმიწევნით, „საშვილედ", რომელსაც დღეს **(ო-სკუა-ლე)* > ოსკუ** ეწოდება. **ე. ი., ძველ ადამიანს მანამდე სანამ მიწათმოქმედებისა თუ სხვა დარგთა შემდგომი განვითარების შედეგად, მისი მოუცლელობისა და დაგროვილი ცოდნის თაობებში დაფიქსირების აუცილებლობის გამო, პრიმიტიული და პირველყოფილი ბავშვთა სამყოფელი (ბალი) თუ სასწავლებელი (სკოლა) დასჭირდებოდა, მას უკვე ქონდა მზამზარეული ტერმინი ო-სკუა-ლე, „საშვილეს" სახით.** აწი კი **ო-სკუალე, სკუა, ოსკუ**-თან ტერმინ **სკოლა**-ს დაკავშირება სირთულეს არ წარმოადგენს.

სპილენძი, ლინჯი, თუთფერი, მოსინიკები, ხალიბები, კირი, კინა // რკინა, ქიმია, ალქიმია, ექიმი, აქიმი

ჩვენ **ქიმიას** წარმომავლობა, დასაწყისშივე, ძირითადად, მეტალურ გიას დავუკავშირეთ: ქართველი ტომების ამ დარგში წარმოსაჩენად, სიტყვას დიდ ივ. ჯავახიშვილს გადავცემთ. **"... შედარებითი ენათმეცნიერება ამტკიცებს, რომ მადნების სახელები სხვა ერებს ქართველ ტომებისგან შეუთვისებიათ. თვით ცნობილი ენათმეცნიერი ო. შრადერი ამ გარემოებას ყურადღებას აქცევს.. ევროპული ბრინჯაოს სახელი ბრონზე წარმომდგარია სპარსული ბრინჯისაგან, ხოლო სპარსულში ეს სიტყვა შეთვისებულია ქართული ენა კილო-კავების საზოგადო სახელისაგან: სპილენძი, სვ. სპილენძ, მეგრ. ლინჯ, სომხ. პლინძ, რაც უდრის სპილენძ-ს. სპი-ენძს და სპერის ანუ ისპირის მადანს ნიშნავს.**

ბერძნების მწერლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ საუკეთესო სპილენძის ნივთები ამ ქვეყნიდან გამოჰქონდათო. თვით ელადაში ხომ სპილეძის ნივთები ცოტა იყო და უფრო აზიიდან შეტანილი მადნით მიდიოდნენ იოლად. თითბრის სახელები კი ზოგიერთ ევროპულ ენებში, მაგ: გერმანულად მესსინე, ანგლოსაქსურად მესტლინგ, ძვ. ნორმ. მესსინგ, პოლონ. მესიანდზ ჰქვია, მოსსვნე ანუ მოსინიკის ტომის სახელისაგან არის წარმომდგარი. სწორედ ეს მოსსინიკები იყვნენ თითბრის ხელობაში განთქმული. ამ მადნის მეორე სახელიც თითბერი ნამდვილი ქართულია და ნიშნავს „თუთფერი“ ე. ი. მთვარის (მეგრ. თუთა, ქართ. თთუე) ფერის მადანს.

რკინის, განსაკუთრებით ფოლადის დამზადებაც ბერძნებს, როგორც ეტყობა, პირველად ქართველი ტომებისგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნული სახელიდან ჩანს: ხალფვს, ხალბდიკოს ხალიბის ტომის სახელისგან არის წარმომდგარი და ხალიბურსა ნიშნავს. მართლაც ხალიბების გაკეთებული რკინის ნივთები ძალიან განთქმული იყო. (მეცნიერებმა სახელი ხალიბ ზმნა ხალვა, მოხალვა მეგრ ხალუას დაუკავშირეს. ავტორი).

ერთი სიტყვით, უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის აუცილებელი საჭირო მადნების სახელები ან ქართველი ტომებისგან არის შეთვისებული, ან არა და მათი სატომო სახელწოდებისგან არის წარმომდგარი. ამით ცხადადა მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე სა-პატიო ღვაწლი მიუძღვით“. იხ. ი. ჯ. „ თხზულებანი 12 ტომად“.

ვსვამთ მარტივ კითხვას: თუ ბერძნული მეტალურგია, თავისი განვითარებით, წინ უსწრებდა კოლხურს, რატომ რომელიმე ქართველურმა ენამ არ შეითვისა ამის მიმანიშნებელი ლინგვისტური ელემენტი? ან რატომ მოხდა პირიქით?...

მადნების ქართველური სახელების ბევრი მახვილგონივრული ეტიმოლოგიაა გაკეთებული (ნ. მარი, ო. შრედერი და სხვები). მიუხედავად ამისა, მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთი მადნის სახელის წარმოშობის ჩვენებურ გაგებას.

მადნის სახელი – **ვარჩხილი // ვერცხლი**, მნიშვნელობითი ამოსავლიანობის თვალსაზრისით, მაშინვე მიგვანიშნებს, რომ იგი ელვარებით, მეგრულად **ბარჩხალ**ითაა ნიშანდობლივი და სწორედ ეგაა ამოსავალი: **ბარჩხალი > ვარჩხალი* > ვარჩხილი > ვერცხლი.** თუმცა, **მეგრ. რჩხილი** „გარეცხილ-ია“, ამიტომ, დასაშვებია,მეგრ.

ვარჩხილ-ს კავშირი ჰქონდეს მეგრ. **რჩხუალა** („რეცხვა“)-სთან, ხოლო ქართ. ვერცხლს – ქართ. **რეცხვასთან: რჩხუალა // რეცხვით** ხომ საგანი ელვარე ხდება. ეს აზრი უფრო სარწმუნო გახდება თუ ვიცით, რომ მეგრ. // ქართ. **ბარჩხალ-ი** (ბარჩხალა მზე) ელვარებაა. ანუ **რეცხვით** გამოწვეული **ბარჩხალი** –„ელვარებაა“ ამოსავალი მნიშვნელობა. ისტ. წყაროებით ცნობილია, რომ კოლხები ოქროს მდინარის ქვიშის, ცხვრის ტყავის მეშვეობით, რეცხვით მოიპოვებდნენ. **ამიტომ, ვარჩხილი // ვერცხლის რჩხუალა // რეცხვით გამოწვეულ ბარჩხალთან დაკავშირება ხომ არ მიგვანიშნებს მის მოპოვების წესზე – მადნის წყლით რეცხვაზე.**

მეგრულ ერთმარცვლიან სიტყვა **კგ** ორი მნიშვნელობისაა: **1. რკო და 2. მაგარი. მაგ კგ რე, კგ-ჯგუა რე უდრის – „კგ არის, კგ-სავით არის“, უდრის „მაგარია“.**

უკვე ვამბობდით, რომ კგ სიტყვიდან იღებს საწყისს ერთ-ერთი ძირითადი არქაული სამშენებლო მასალის სახელი **კირი.** ეტყობა მასალის (კირის) სახელი მისი მთავარი თვისების მიხედვით წარმოიქმნა. ეს თვისებაა – **კგ რე** – „მაგარია“, რაც ლოგიკურია. **ქვითკირითაა** ნაგები ძველი ციხე-სიმაგრეები, რომლებიც სიმაგრის სიმბოლონი არიან. მაგ მეგრელები იტყვიან: ქორექო **ჯიხაცალო?** უდრის ხარ ციხე-სიმაგრესავით?. ძველქართულში ქვითკირის ნაგებობას **ბურჯი** ეწოდებოდა... გვაქვს სიტყვა **კირთება,** გვარი **კირ-თა-ძე** და ა. შ. ასე რომ სახელ **კირი-ს** სიმაგრის მოაზრებებიდან ამოსავლიანობა უეჭველია: მ. ე, ყოველმიზეზსგარეშე, მოხდა ეს ცვლილება: **კგ-რე > კირი.**

არაფერია საკვირველი იმაში, რომ სპილენძთან შედარებით, გაცილებით მაგარ **რკინას** იგივე სახელი **კგ-რე >კირი** ქონოდა. აქ, რა თქმა უნდა, გულისხმებულია ის, რომ რკინასთან შედარებით, **კირი,** როგორც მასალა, რაკი უფრო არქაულია, სახელი – **კირი** რკინაზე (მნიშვნელობის გაფართოებით) განივრცო, შემდეგ განიცადა რა უმნიშვნელო **ცვლილება კი-რი > (რ > ნ როტაცია შდრ. ძვ. ქართ. სუ-რ-ი > ახალ ქართ სუ-ნ-ი) კი-ნი > (ი > ა გადასვლა შდრ. შუმ-ი „ღვინო“ > შუმ-ა მეგრ. სმა) > კინა.**

ბოლოს **მეტალურგიის, ალქიმიის, ქიმიის,** მედიცინის ერთიანობათან მიმართებით უნდა აღინიშნოს, თუ რაოდენ განმაცვიფრებელია **ალ-ქიმ-იის, ქიმ-იის და ე-ქიმ-ის ერთძირიანობა.**

სახელი **ალ-ქიმ-ია ქიმ-იის** წინარე ფორმაა. როგორც თავი-

დანვე აღვნიშნეთ, მისი წარმოშობა უშუალოდ იყო დაკავშირებული მეტალურგიულ **საქმიანობასთან** ანუ მეგრულად მეტალურგიულ **ქიმ-ინ-უა**-სთან. ეს მეტალურგიული **ქმნადობა** ანუ **ქიმ-ინ**-უა გახლდათ მადნის **ცეცხლის ენის** საშუალებით ანუ ცეცხლის **ალზე** დნობა, მადანში შემავალი მეტალისა. დიახ, **ეს ალზე ქმნადობა ანუ ალით ქმნაა,** რაც მეგრულად, სიტყვასიტყვით ითქმის ასე: **ალით ქიმინ-ი.** აი, ეს ფრაზა, საუკუნეების მანძილზე კოლხურ მეტალურგიაში ხმარებისას, გამარტივდა და ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე მიიღო ფორმა **ალ-ქიმია** და **ქიმია**-სი, რაც სავსებით ბუნებრივი, უფრო სწორედ, გარდაუვალი იყო: **ალ-(ით) ქიმ-ინ-ი > ალ-ქიმ-(ინ)-ი > ალ-ქიმ-ია; ალ-ქიმ-ია > ქიმ-ია; ალ-ქიმ-ია > ა-ქიმ-ი // ე-ქიმ-ი.** როგორც ვხედავთ, ტერმინების – **ალქიმიის, ქიმიის და ექიმის** თავსაწყისი საერთოა. აქ მოცემულია **მეტალურგიის, მედიცინის და ალქიმია-ქიმიის** ერთიანობა. და ეს ასე უნდა ყოფილიყო: **ალქიმიის** მიზანი ხომ **ოქრო და უკვდავება** იყო; **ქიმიისა – ოქრო**; ხოლო **მედიცინისა და ექიმისა ასევე – უკვდავება.** ასე რომ ეს დარგები ერთი იდეით იყვნენ შეკრულნი და ეს კიდევაც მშვენივრად გამოხატეს თავიანთ სახელთა ერთგვაროვანი ბგერითი აგებულებით.

რა თქმა უნდა, ბერძ. **ხიმა** „სხმა, ჩამოსხმასთან" **ქიმია-ს** კავშირი ლოგიკას მოკლებული არაა, მაგრამ რატომ თავად ძველბერძნული წყაროები თითს იშვერენ კოლხეთისკენ?

საკითხი იმდენად ნათელია ვიტყოდით ჩვეულებრივ ფრაზას – „კომენტარი ზედმეტია"-თქო, მაგრამ საქმე ეხება იმდენად დიდმნიშვნელოვან საკითხებს – იძულებული ვართ დავძინოთ: **უზარმაზარი შუმერული, ეგვიპტური, ბერძნული და ა. შ. ცნობილი ცივილიზაციების წინარე პროტო-ცივილიზაციების შეუსწავლობამ, ხოლო შესწავლილი ზედნაშენის უზომო ავტორიტეტმა და პრესტიჟმა ცოცხალ და მობილურ მეცნიერულ აზროვნებას გაუწია დათვური სამსახური, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა გამახვილებულიყო ყურადღება იმ ფაქტზე მაინც, რომ ბერძენი ანონიმი ავტორი, ასევე სვიდა, ioane antioqeli და სხვები ქიმიას იხსენიებენ სწორედ კოლხეთში ოქროს მოპოვებასთან კავშირში... განა ალოგიკური არაა მივაწეროთ მეტალურგიული პროცესის ამსახველი ტერმინის წარმოქმნა მეტალურგიის როგორც დარგის ჩამოყალიბების ჩათავების ფაზას?!...**

რადგან მეტალურგია, მედიცინა, ქიმია და ა. შ. ადამიანთა

მრავალსახეობრივი მოღვაწეობის რთულ კომპლექში ერთიანდებიან, უმჯობესი იყო ზოგადკაცობრიული და დიდადმნიშვნელოვან ტერმინთა ფესვები ეძებნათ კომპლექსში შემავალ თითოეული დარგის საწყის პერიოდთან კავშირში და იმ ერის ენის წიაღში, რომელმაც შექმნა თავად ეს დარგები. ედემ იზორია 1980-84 წწ.

P. S. ოთხმოციანი წლების შუა ხანებში ზუგდიდის სამხარეო მუზეუმის უშტატო მეცნიერ თანამშრომლად ამიყვანეს და ამ ნაშრომით საშა ღლონტთან მიმავლინეს. მან კი ასეთი შინაარსის წერილით მიმართა თავის მეგობარს:

ჩემო ოთარ!

ეს მშვენიერი კაცი ექიმია, მაგრამ ექიმი ენათმეცნიერი. შემოჭრილა შენს ღია ბოსტანში. მე ბევრი რამ ვუამბე. ეს ნაშრომი დასრულებულად არ მივიჩნიე. გთხოვ, შენებურად გადახედო, შეაჯერო და მისცე მეთოდური რჩევა-დარიგებანი თუ როგორ უნდა იმუშაოს. მუშა კაცი კი ყოფილა. ყველა მეგრულ სიტყვაზე თავისი აზრი აქვს. ყურადღება მიაქციე მის აზრებს ექიმ, კალენდარ, და სხვა უცხოურ სიტყვებზე.. განსაკუთრებით ქიმია სიტყვაზე.

ერთი სიტყვით დავეხმაროთ. ის ძალიან ენერგიული ჩანს. გამომიგზავნა კალე სამუშიამ, ზუგდიდიდან, ჩემმა ძვირფასმა მეგობარმა. მისი სახელია ედემ იზორია. დანარჩენს თავად გეტყვის

ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ.
შენი საშა ღლონტი.
1984 წ.

რეცენზიები და მათზე პასუხები

შენიშვნები ედემ იზორიას ნაშრომზე – „გეორგიული თეორია“

თავად საკითხი – მეტყველების წარმოქმნა-განვითარება, ფენომენალურია, ეს თემა მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთათვის ინტერესმოკლებული არასოდეს ყოფილა. აზრთა გაცვლა-გამოცვლა დღესაც გრძელდება; და, აი, ავტორი გვთავაზობს პირველყოფილი ბგერების ჩასახვის, მათი ფონეტიკურ-სემანტიკური ცვლილებების სქემებს. ავტორის აზრით, მთავარი არაა ამ ცვლილებათა თითოეული საფეხური იყოს უზუსტესი: მთავარია, პირველყოფილ ბგერებიდან საბოლოო ლექსიკური ერთეულის წარმოქმნა, ამ უკანასკნელის კავშირი თავსაწყის ბგერასთან იყოს დამტკიცებული. ამ საკითხის ირგვლივ ავტორს მეტად საინტერესო მაგალითები აქვს მოხმობილი. მაგ. **ჩხ** თუ პირველყოფილი ხმაბ. ბგერათკომპლექსია, გასაგებია მისი არსებობა ტერმინთა სისტემაში, როგორიცაა: **ჩუხჩუხი, ჩხნდე, ჩხაპალი,** (მეგრ. წვიმის სახეობა), **მაჩხაფ** (სვ. ჩანჩქერი) და ა. შ. ასევე: **წ** ბგერა თუ წოვის პროცესის დროსაა წარმოქმნილი, სიტყვებში – წყალი, **წოვა, წვეთი, ძუძუ** (<**წუწუ**) და ა. შ. **წ**-ს არსებობა წინასწარ განპირობებულია. ამგვარად, საქმე გვაქვს არა შემთხვევითობასთან, არამედ თავსაწყისი სამეტყველო ერთეულებიდან საბოლოო ტერმინთა მთელი სისტემებია აგებული. ეს კი, რაოდენ ფანტასტიკურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ის რეალობაა, რომლის უარყოფა შეუძლებელია. წარმოდგენილ საკითხთა ირგვლივ მოხმობილი დამოწმებები, ეტიმოლოგიები და მიგნებები ნაშრომს მეტად ფასოვან მეცნიერულ ღირებულებას აძლევს. მისი ფართო საზოგოდების წინაშე გამოტანა აუცილებელია.

საზოგადოება `აია-ს~ მეცნიერ-კონსულტანტი, პროფესორი კალისტრატე სამუშია 21.11.95 წ.

ბ-ნ ე. იზორიას ნაშრომის – „გიორგიული თეორია“ დაბეჭდვის მიზანშეწონილობის შესახებ

ბ-ნ ე. იზორიას აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს მეტად საინტერესო, ახლებური მეცნიერული რაკურსით ჩამოყალიბებულ კონცეპტუალურ სისტემას, რომლის ფართო მკითხველისათვის და

სპეციალისტებისათვის წარდგენა, ჩვენი აზრით, აუცილებელია. არ არის გამორიცხული, რომ ნაშრომმა, უეჭველ მოწოდებასთან ერთად, მწვავე პოლემიკაც გამოიწვიოს, რაც ასევე აუცილებელი ატრიბუტია სამეცნიერო მოღვაწეობისა.

ე. იზორიას ნაშრომი, ნამდვილად, იმსახურებს ყურადღებას და სასურველია მისი პუბლიკაცია.

ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ისტორიის კათედრის გამგე – დოქტორი რამაზ შენგელია. 1996წ.

რეცენზია ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან

(დოქტორები: ა. არაბული; ვ. შენგელია; ლ. ქაროსანიძე.)

„... გავეცანით მოქ. ედემ იზორიას ნაშრომს „გეორგიული თეორია“ (მონოგრაფია და მისი დამატება „გიორგიული ანუ მეტყველების წარმოქმნის პირობითრეფლექსური თეორია") და გთავაზობთ შეფასებას, რომელსაც ჩვენგან ობიექტური მეცნიერული პრინციპები მოითხოვს. მოქ. ედემ იზორიას კვლევა „მეტყველების წარმოშობის“ შესახებ, მართალია, იყენებს ემპირიულ ენობრივ მონაცემებს (ბგერებს, სიტყვებს...), მაგრამ სრულიად არ ითვალისწინებს ისტორიულ-შედარებითი და სტრუქტურული ანალიზის კლასიკურ ენათმეცნიერულ მეთოდებს (ავტორის მიერ მითითებული მიდგომა სინამდვილეში ჩვენთვის ცნობილი ისტორიულ-შედარებითი მეთოდი არ არის), რის გამოც ე. წ. **„გეორგიული თეორია“** საენათმეცნიერო გამოკვლევად ვერ მიიჩნევა ვერც კვლევის მეთოდებისა და ვერც წამოყენებულ დებულებათა არგუმენტების თვალსაზრისით. შესაბამისად, შეუძლებელია ლინგვისტური თვალსაზრისით მისი რაიმენაირი შეფასება; ნაშრომის სხვა ასპექტებსა და მეთოდებზე კი ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ: ენთმეცნიერებას აქვს მკაცრი, შემოწმებადი მეთოდები, რომლებიც ობიექტური და ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა, შესაბამისად, მეცნიერული ექსპერტიზაც შეუძლია მხოლოდ ამგვარი სანდო კრიტერიუმების გამოყენებით და ამგვარი თანმიმდევრული აკადემიური კვლევითი შედეგების შესაფასებლად გასწიოს. 2008წ.

პასუხი ენათმეცნიერთ

ენათმეცნიერთა წერილი სწორუპოვარი ნიმუშია მჭერმეტყველებისა: რა ლამაზი სიტყვები, რა ლაკონური, უზადო ფრაზები. იგი პირდაპირ მზესავითაა კაშკაშა. მაგრამ, ვაი, რომ ეს მჭერმტყველება სოფისტურია და მზე იგი ზამთრისაა, რამეთუ არ ათბობს: სიცრუეა ეს წერილი, აბსოლუტური სოფისტური სიცრუე.

სიცრუე პირველი: „...მოქალაქე ედემ იზორიას კვლევა სრულიად (ნუთუ იოტისოდენაც არა?!.. ე. ი.) არ ითვალისწინებს ისტორიულ-შედარებით კლასიკურ ენათმეცნიერულ მეთოდებს...“ და რომ „...ავტორის მიერ მითითებული მიდგომა სინამდვილეში ჩვენთვის ცნობილი ისტორიულ-შედარებითი მეთოდი არ არის“... (იქნებ სიახლეა?...).

ვპასუხობ ავტორისეული ციტატით: იხ. **„ალა“ N 9-10** „...საწყისი ენობრივი ძირები ხშირად უცვლელია, მაგრამ, დიდ უმეტეს შემთხვევაში, შეისისხლხორცებს რა სხვა დასაბამისმიერი ძირები თუ შემდგომ წარმოქმნილი მაწარმოებლები დღეს წარმოგვიდგებიან რთული აღნაგობის სიტყვების სახით, რომელთაც ამჟამად სხვა ძირი და ფუძე გააჩნიათ. პლიუს ამას, თავადაც შეცვლილან და ზოგჯერ გაუჩინარებულან კიდეც. ჩვენ მოგვიხდება მათი წარმოჩენა. ამაში დაგვეხმარება ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. უნდა აღინიშნოს: გაგვაჩნია უპირატესობა: დასაბამისმიერი ძირების მიგნებამ ამავე ძირებამდე დაიყვანა სიტყვის ბიოგრაფიის კვლევის დრო. ანუ სასრულამდე მიიყვანა აქამდე არსებული სიტყვის კვლევის უკიდეგანო ისტორია, ხოლო სხვა ენებში პარალელების, შესატყვისობების წარმოჩენამ გააფართოვა კვლევის სივრცე.

ენობრივი კვლევის ასეთმა შესაძლებლობებმა მოგვცა საშუალება დაგვეფიქსირებინა ეტიმოლოგიის ორი სახე **ფარდობითი და აბსოლუტური.** მაგ.: ქართ. გულ-ი და მეგრ. გურ-ის შემთხვევაში, ქართ. სიტყვის ისტორია იგულისხმება 1500 წლის ხნოვანებით (ქართული მწერლობის პერიოდი). მეგრულს ასეთი რამ რომ არ გააჩნია ქართულ : მეგრულ **ლ : რ** ბგერათშესატყვისობაში დაფიქსირებულია **ლ → რ** მიმართულება (ქართული ლ-დან მეგრული რ არის მიღებულიო). ეს ფარდობითი ეტიმოლოგიაა. იგი შედარებითი აბსოლიტური რომ გავხადოთ მოვუხმოთ ლათინურს. ლათ. **კორ.** ქართ. გულ. მეგრ. გურ. შედარება ზემოთხსე-

ნებულ მიმართულებას პირუკუ შეაქცევს. სიტყვის ისტორიაზე დაკვირვების შესაძლებლობა, ხომ ლათინურის მხარეზეა. მაგრამ ესეც ფარდობითი ეტიმოლოგიაა, რადგან ჩვენ არ ვიცით რა იყო ლათინურს იქით. ხომ შეიძლება მოიძებნოს ამ სიტყვების შესახებ სხვა უფრო ძველი მონაცემები. (ვთქვათ, შუმერულში). თუ ვენდობით ლაიბნიცს: **„რ მოძრაობის გამომხატველი ხმაბაძვითი ბგერაა“**, მაშინ ცხადია, მოხსენიებულ სახელებში **რ** შემთხვევით არ მოხვდებოდა – იგი გულის მოძრაობას გამოხატავს. მაშასადამე, **რ** თავსაწყისია: ეს უკვე აბსოლუტური ეტიმოლოგიაა.

ახლა დაუკვირდეთ ამავე სიტყვებში ლათინურ-ქართველურ **კ : გ** შესატყვისობას. რა კრიტერიუმით შევაფასოთ მიმართულება? **კ →გ** თუ პირიქით? – კარდიოლოგებმა გ. კვარაცხელიამ, მ. ქირიამ და ამ წერილის ავტორმა 1989წ. კარდიოგრაფით ჩავიწერეთ მაგიდაზე თითების კაკუნი, დისკრეტულად (ცალ-ცალკე) წარმოთქმული **გ** და **კ** ბგერები და გადავიღეთ ფონოკარდიოგრამა (გულის მუშაობის ხმები): აღმოჩნდა: **კ** ბგერის გრაფიკული გამოსახულება მსგავსია მაგიდაზე თითების კაკუნისასთან, **გ** ბგერისა კი ფონოკარდიოგრამასთან (გულის მუშაობის ხმიანობის გამოსახულებასთან). ეს **გ** და **კ** ბგერების ხმაბაძვითობაზე მეტყველებს და, მაშასადამე, შესაბამისად **გ** გულის მუშაობის ხმების ხმაბაძვის შედეგი ყოფილა, **კ** კი – კაკუნისა. ამას ქართველური ლექსიკაც ადასტურებს: ხომ არ ვიტყვით გულს დაკა-დუკი ან კუკუნ-ი გააქვსო. უნდა ვთქვათ – დაგა-დუგი ან გუგუნი-ო. მეგრულშიც გულის ხმიანობის გამომხატველ სიტყვებში ყოველთვის **გ** ბგერაა: **გ**ური იგვაგვ, **გ**ური იგორგოთ, კაკუნის ხმიანობის გამომხატველში კი ყოველთვის **კ** ბგერა მონაწილეობს. მაგ.: კვეკვია „ჩაქუჩი ერთგვარი“, კაკაფი // კაკუნი, კაკი "ხეზე ნაჯახით გაკეთებული ნიშანი“, კ**ჯ**დ**ჯ** კოდალა და ა. შ. **კ** რუსულშიც კაკუნს გამოხატავს: **ковать, стук, колокол** და ა.შ. უკვე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: ქართველურ: ქართ. **გ**ულ, მეგრ. **გ**ურ, სვ. **გ**ვი – ლათინურ **Cor**, გერმანულ **Her** (**H** შედეგია **გ→C კ (→H) ჩავარდნისა**, იმდაგვარად, როგორც ეს რუსულ **Г-ром** უკრაინულ **Н-ром**-ში ხდება.) სიტყვებში **გ** თავდაპირველი ბგერაა და მ. ე. ლათ **C // k** ვერსაიდან ვერ მოვიდოდა თუ არა ქართველურიდან: ესეც აბსოლუტური ეტიმოლოგიაა.

ემბრიონს, დაბადებამდე, ბოლო თვეებში დედის გულის მუშაობის ხმები გამუდმებით ჩაესმის, იგივე ხდება დაბადების შემ-

დგომ პერიოდში, ძუძუს წოვისას. მოზრდილიც სხვადასხვაგვარი ფსიქიკური, ფიზიკური დატვირთვის თუ ავადმყოფობის დროს ხშირად ისმენს საკუთარი გულისცემის ხმებს. ამიტომ, ეს ხმები ძლიერი რეფლექსოგენური, ანუ გ სამეტყველო ბგერის გამოწვევის დიდი შესაძლებლობების მქონეა. როგორც ვხედავთ, სიტყვის – გულ-ი ისტორიას ჯერ განვიხილავ ქართული მწერლობის პერიოდში, შემდეგ მას ვახანგრძლივებ ჩვენსერამდელ ლათინურამდე და ბოლოს – დასაბამისმიერობამდე. რატომ არაა ეს ისტორიულ-შედარებითი მეთოდი?... ნუთუ იმიტომ ისტორია რომაა ხანგრძლივი?... – მიპასუხეთ.

სიცრუე მეორე: „...ენათმეცნიერებას აქვს მკაცრი შემოწმებადი მეთოდები... მეცნიერული ექსპერტიზაც შეუძლია... ამგვარი თანმიმდევრული აკადემიური კვლევითი შედეგების შესაფასებლად გასწიოს...“

ეს მეორე სიცრუე შედგება სამი ქვესიცრუეებისაგან: თითქოს ჩემი კვლევითი შედეგები 1) არაა შემოწმებადი; 2) არათანმიმდევრულია და 3) მეცნიერულ ფუძემდებლობას (აკადემიურობასაა) მოკლებული. ბოლო ორზე პასუხი გაცემულია. რაც შეეხება პირველ ქვესიცრუეს – თითქოს ჩემი „კვლევითი შედეგები“ შემოწმებადი არ იყოს – მკითხველს, ვთხოვ, კვლავ გადახედოს ზემოთაღწერილ ნარკვევს. ამ ნარკვევში მოცემული ცდა და ცდისეული მონაცემები შემოწმებადია: პატ. ენათმეცნიერნო, გადაამოწმეთ. უფრო მეტიც: ჩაიწერეთ ჩვენი სისტემების თითოეული სისტემის საწყისი ბგერა თუ ბგერათკომპლექსი (წარმოთქმული) და მათ შესაბამის წყაროდ მოაზრებულ მოვლენათა ხმები. აღმოჩნდება, რომ მათი მსგავსებები, ყოველ მიზეზს გარეშე, იქნება აღმატებული სხვა წარმოთქმულ ნებისმიერ ბგერათა თუ ბგერათკომპლექსთა და იგივე მოვლენების ხმების გრაფიკული გამოსახულებების მსგავსებებს. ამის შესახებ ნაშრომში ხშირი მითითებებია: იხ. „გ. თ“ (ბოლოთქმა). გარდა ამისა რას უშობით ალბათობის თეორიით დადასტურებულ ბგერათა ხდომილობებს? – არ ჯობდა პატივცემულო ენათმცნიერნო, ჯერ შეგემოწმებინათ „კვლევითი შედეგები“ და მერე გემსჯელათ მათ „აკადემიურობა“-ზე: სიცრუეს, ნიჰილიზმს და ცილისწამებებს თავს აარიდებდით.

სიცრუე მესამე: „მოქ. ედემ იზორიას კვლევა.... სრულიად არ ითვალისწინებს სტრუქტურული ანალიზის კლასიკურ ენათმეცნიერულ მეთოდებს...“

ეს დიდი სიცრუეა მიუხედავად იმისა, რომ მოხმობილ სის-

ტემებში სიტყვათა გარკვეულ ნაწილში ძირის წარმოჩენა „კლასიკური მეთოდებით“ შეუძლებელია და ხშირად ამას ვახერხებ სხვა მეთოდით – მათში ბგერათა ხდომილობების დადგენით და ეს სიახლეა. დიდადპატივცემულნო, რომელი კლასიკოსის რომელი კლასიკურობა გაქვთ მხედველობაში. რამდენი მაგალითია ამდაგვარ დამოწმებებს თუ შეუსაბამობებს მოკლებული? სისტემურობა რომ უარყოთ მათში შემავალ სისტემებში ელემენტთა დიდი უმრავლესობის (და არა ნახევრის ან ცოტათი მეტის) ამდაგვარობა უნდა დაასაბუთოთ, რადგან თითოეულ სისტემაში თქვენთვის მისაღები საღი წევრის მინიმალური ზღვრული რაოდენობა ორ-ორი რომც იყოს, სისტემურობა შენარჩუნდება. სისტემებში სემანტიკური ერთიანობა თუ ნათელია, ფონეტიკური კი – ბგერათა ხდომილობების განსაზღვრით დგინდება მაშასადამე, სისტემურობა გარანტირებულია, როგორც თეორიის ურყევი საყრდენი. ნუთუ თქვენთვის ყველაფერი ეს სულერთია?.. გარდა ამისა, ნაშრომის პირველ ნაწილში, ავტორის მიერ დასახელებულია ყველა ქართვ. ბგერის კანონზომიერი ცვლილებები, ამ ცვლილებათა კანონზომიერებების დამდგენი ავტორები და ეს ცვლილებები უამრავ სტუქტურულ ანალიზებში დამოწმებებადაა გამოყენებული... რაც შეეხება ბევრ სიტყვათა ეტიმოლოგიებს – ისინი სრულიად გამჭვირვალეა. ესენი ხომ უფრო მიგნება-მიხვედრილობებია და „სტრუქტურული ანალიზი“ არც სჭირდებათ. ამათში საწყისი ეტიმოლოგიური ამოსავალი მნიშვნელობა (რაც უმთავრესია) იმდენად ადეკვატურია წარმოქმნილი სიტყვისასთან, რომ ეჭვის საფუძველს არ იძლევა. მაგ: მეგრ. **შგ** „სველი‘ + **მერე** „გურ.„ჭალა‘ > **შგ-მერე** > **შუმერი**; მეგრ. **მ**ურიცხი „ვარსკვლავი > ურიცხვი > რიცხვი; მეგრ. **ქიმინ**უა „ქმნა‘‘ + მეგრ. ქართ. **ალი**“‘ > **ალით ქიმინ**უა „ალით ქმნა“ > **ალ-ქიმია**; მეგრ. **კა** „ერთი‘ + **ლანდა** „ხაზი‘‘ > **კა-ლანდა** „ახალი წლის პირველი დღე.‘‘ აქედანვე >**კალენდარი**; მეგრ. **კგ** „მაგარი‘‘ + **რე** არის‘‘ > **კირი**; **კირი** > 4/კინა და ა. შ. (იხ. ტექსტი). დაუსაბუთებლად, ყოველგვარი განმარტებების გარეშე, ათეულობით ამგვარი სასახელო და, იმავდროულად, მყვირალა ფაქტების იგნორირება, ენათმეცნიერ რეცენზენტთა მიერ, ნაშრომის აბუჩად აგდებაზე უარესი დანაშაულია, რადგან საკუთარი სახელოვანი წარსულის აშკარა მიჩქმალვაა. ამით კი არამარტო მათი მეცნიერული ობიექტურობაა, მათმიერვე, დაჩრდილული... 2009 წ.

რეცენზია ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან

(დოქტორები: ა. ალხაზიშვილი; ი. იმედაძე).

ე. იზორიას სარეცენზიოდ წარმოდგენილი შრომა „გეორგიული ანუ მეტყველების წარმოქმნის პირობითრეფლექსური თეორია“ თავისი არსით ენათმეცნიერებას მიეკუთვნება. ავტორი ჩამოთვლის მეტყველების წარმოშობის ყველა არსებულ თეორიას და აღნიშნავს მათ უუნარობას ახსნან ადამიანში მეტყველების ჩასახვის მიზეზი და მექანიზმი. მაგრამ ამ თეორიათა შორის გამოყოფს ხმაბაძვით თეორიას და მის მარცხს მიაწერს იმ ფაქტს, რომ მისი შემუშავების დროისათვის ჯერ არ არსებობდა ი. პავლოვის მოძღვრება უპირობო და პირობითი რეფლექსების, პირველი და მეორე სასიგნალო სისტემის შესახებ. მეტყველების წარმოშობის თავის თეორიაში ავტორი ცდილობს ეს ხარვეზი შეავსოს. კერძოდ, იმის საფუძველზე, რომ წოვა-შეწოვის და ყლაპვის ფიზიოლოგიურ აქტებში ადამიანი წარმოშობს „წ“ და „ყ“-ს მსგავს ბგერებს. ის სხვადასხვა მსჯელობების საშუალებით, ცდილობს დაასაბუთოს ამ ბგერების გადაქცევა ჯერ შესაბამისი გამღიზიანებლის პირობით რეფლექსებად და შემდეგ მიაწერს მათ პავლოვისეული „სიგნალის სიგნალის“ (ანუ სიტყვის) ფუნქცია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ მსჯელობას ნებისმიერი და ხშირად დაუსაბუთებელი ვარაუდის ხასიათი აქვთ. მაგალითისათვის მოვიყვანთ ავტორის ერთ-ერთ ძირითად მსჯელობას. ის წერს „როცა წოვასმიმსგავსებული განწოვის ფიზიოლოგიური აქტი, იგივე „წ“ ბგერის საარტიკულაციო მონაცემი, შეიძენს ენობრივ საზრისს, ეს ადამიანური ინტელექტუალური აქტი – ვერბალური მეტყველებაა და ჰუმანოიდში?... (ჰომინიდში ე. ი.) გრძელდება დაახლოებით სამიდან ორ მილიონ წლამდე. იქვე ავტორი გვარწმუნებს, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო, დროთა მანძილზე, ტვინის შემდგომი განვითარების (მეტყველების ცენტრის განვითარების) გამო...“ (გვ.10) მაგრამ არც ამ მსჯელობაში და არც სხვაგან შრომაში არაფერია ნათქვამი, რამ განაპირობა ტვინის შემდგომი განვითარება. როგორ მოხდა, რომ ბგერამ „წ“ ან მისმა შემცვლელმა ბგერათა კომპლექსმა შეიძინა სიტყვის (სიგნალის სიგნალის) ფუნქცია. მეტყველების წარმოშობის ქმედითუნარიან თეორიაში კი სწორედ ამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი. ი. პავლოვის მოძღვრებაში ორი სასიგნალო სისტემის შესახებ ენა განხილულია, როგორც არსებული მოცემულობა

და ... ამ მოძღვრების მეშვეობით იმ პრობლემის გარკვევა, თუ როგორ წარმოიშვა ადამიანის მეტყველება, შეუძლებელია – სიტუაცია, უკვე უნდა არსებობდეს რათა შეასრულოს მეორადი სიგნალის (განმაზოგადოებელი) ფუნქცია. მაგრამ პრობლემის ავტორისეული გადაწყვეტის მართებულობა საბოლოოდ ფიზიოლოგებმა უნდა შეაფასონ.

შრომაში ფსიქოლოგიის მონაცემთა გამოყენებას რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ ავტორს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს **ამ** მეცნიერებაზე. ამასთან დაკავშირებით საკმარისია ითქვას, რომ სრულებით მიუღებელია ლ. ბლუმფილდის და დ. უზნაძის თეორიების დაკავშირება ერთი მაგალითის განხილვის დროს, რასაც ავტორი თავისი შრომის მე-9 გვერდზე აკეთებს. ლ. ბლუმფილდი ბიჰევიორიზმის მომხრე ენათმეცნიერია, მაშინ როდესაც დ. უზნაძე ორიგინალური ფსიქოლოგიური თეორიის ავტორია. შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ იქ, სადაც ავტორი გვაუწყებს თუ რა სიახლეები შესძინა მისმა თეორიამ ფსიქოლოგიას, ის წერს, რომ მის შრომაში „ნაჩვენებია მეტყველებისა და აზროვნების პარალელური განვითარება“ (გვ. 1). ალბათ ავტორი გულისხმობს ამ პროცესების განვითარებას ფილოგენეზში (ამ მხრივ მისი ნააზრევის ნებისმიერობაზე და დაუსაბუთებლობაზე ზემოთ ვილაპარაკეთ). რაც შეეხება აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას ონტოგენეზში, ეს პრობლემა ფსიქოლოგიაში მრავალმხრივაა შესწავლილი, მათ შორის გამოჩენილი ფსიქოლოგების ჯ. პიაჟეს და ლ. ვიგოსტკის მიერ და ამ მხრივ ავტორს ფსიქოლოგიაში არავითარი სიახლე არ შემოუტანია.

ამრიგად, ჩვენი აზრით მოცემული ნაშრომი ფსიქოლოგიის კუთხით: არ შეიძლება ჩაითვალოს სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევად. იგი არ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, რომლებიც მიეყენება ნორმალურ სამეცნიერო ნაშრომს, იგი არ შეიცავს სიახლეს და სავსეა შეუსაბამობებით და შეცდომებით.

პასუხი ფსიქოლოგებს

პატივცემულმა ფსიქოლოგებმა ნაშრომის უარყოფა წარმატებით მოახდინეს **სამიოდე „ფუნდამენტური“ დასკვნის ხარჯზე:**

დასკვნა პირველი: რომ ავტორის „...ყვლა მსჯელობას ნებისმიერი და ხშირად დაუსაბუთებელი ვარაუდის ხასიათი აქვთ“... ისინი ასკვნიან იმით, რომ არსად „...ნაშრომში არაფერია ნათქვამი

რამ განაპირობა ტვინის შემდგომი განვითარება...“ ჰოი, საოცრებავ. თურმე არაფერია ნათქვამი ტვინის განვითარების თაობაზე... დიდად პატივცემულნო ფსიქოლოგნო, ეტყობა, თქვენ ამ ნაშრორმის ფურცვლა-გადმოფურცვლაში მთელი ერთი თავი (იხ. გვ. 11 იხ. ურნ. „აია“ 2(14) გვ. 62) გამოგრჩენიათ. აი, იგი: **„ანთროპოლდის ამეტყველების დროინდელი ც.ნ.ს.-ი და გონითი შესაძლებლობები“.** იქვე ციტატაა ჯილლ ბეილისა და ტონი სედდონის წიგნიდან „ისტორიამდელი სამყარო“, რომელიც მთავრდება დასკვნით: **„ძუძუმწოვრებს მხედველობის და ხელების კოორდნაციით ტვინის მსხვილი მოაზროვნე ნაწილი განუვითარდათ“.** შემდეგ იმის ხაზგასასმელად თუ რამ განაპირობა ახალი წარმოქმნების განვითარება (**შუა და საშუალო ტვინი, ნათხემი, დიდი ჰემისფეროები**), ავტორი წერს: **„...ხელების როლი ადამიანის განვითარებაში იმდენად როგორც შრომის ორგანოს კი არა, არამედ ხეზე ცხოვრების შედეგი ყოფილა, ხოლო ცხოვრებისეულ პირობით რეფლექსთა შედეგად თავის ტვინის ახალი წარმონაქმნების განვითარება, მით უფრო, გარემო პირობებთან შეგუებისა...“** შემდეგ ჰომინიდის როგორც მოცემულობის, გონითი მონაცემებია. .. **“..ჰომინიდი ამეტყველდა იმიტომ, რომ გააჩნდა, ოღონდ ჩანასახის ფაზაში, ყოველივე ის რაც გააჩნია თანამედროვე ადამიანს: „სუბსტანციური ყოფიერების სიგნალი“, „აღქმის ფაქტორთა იზოლაციის უნარი“ (მაგ. შეეძლო განეცალკევებინა ერთი ოპტიკური ნიშნის საგანი სხვადასხვათაგან და ა. შ.). იგი მოკლებული იყო ადამიანის მხოლოდ ყველაზე გვიანდელ შენაძენს – ჰერდერის რეფლექსიას, რაც მჟღავნდება არა მარტო ყველა თვისების იოლ და მკაფიო გამოცნობაში, არამედ „ერთი ან რამდენიმე ნიშნის განსხვავებულ შერაცხვაში“. ეს თითქმის იგივე „მიმართებათა იზოლაციაა ამ მიმართებათა განხილვის მიზნით“. ანუ იგივე გაცნობიერებული აზროვნებაა.**

.მრავალგზის გამეოებულია: **„ჰ. ათასწლეულების მანძილზე, აუცილებლად, ასრულებდა წოვა-განწოვით მოძრაობებს, წარმოთქვამდა, გაუცნობიერებელი გავლენის მქონე, წ...წ ბგერებს.** ამგვარადვე, დღესაც ადამიანები, წყურვილ-შიმშილისას, თუ ჰომეოსტაზის სხვა ცვლილებათა რაგვარობისდა მიხედვით, უნებლიედ, წარმოთქვამენ სიტყვებს: **მწყურია, მშია,** მცივა, მცხელა და ა. შ. **„დიდ დროში, ამ რეპროდუქციამ (წარმოთქმებმა) რომ შეიძინოს ლოგიკურ-ენობრივი საზრისი ... გაუცნობიერებელი, გარკვეული გავლენის მქონე, წარმოთქმების ... თაობებში მიმდინარეობა ჭირ-**

დება, რათა თავის ტვინი, შესაბამისად, განვითარდეს. აი, რა მკაფიოდ და ნათლადაა ახსნილი თუ რამ განაპირობა თავის ტვინის განვითარება. თუმცა თქვენ ხომ ეს ჩემზე უკეთ უწყით. მაშ რაშია საქმე? იქნებ ეს შეკითხვა ზოგადფილოსოფიურია – იდეალიზმ-მატერიალიზმის კუთხით. თუ ასეა ვპასუხობ: **ღმერთმა უკეთ უწყის, ანუ ღმერთმა განაპირობა...** ამ, უკვე პასუხგაცემულ, პირველ დასკვნას ფსიქოლოგებისას აქვს გაგრძელება: **„როგორ მოხდა რომ ბგერამ წ ან მისმა შემცვლელმა ბგერათკომპლექსმა შეიძინა სიტყვის (სიგნალის) ფუნქცია. მეტყველების წარმოთქმის ქმედითუნარიან თეორიაში სწორედ ამ კითხვას უნდა გაეცეს პასუხი“**... ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია. აქვე იხ. ქვემოთ – „პასუხი ფიზიოლოგებს,“ „პოლემიკა.“ მაგრამ, ასევე, მისი პასუხია მთლიანად ნაშრომი. კითხვისას თუ ერთი ორი წინადადება კი არა მთელი სათაურები გამოგრჩა, რაც არ უნდა დოქტორი თუ აკადემიკოსი იყო თეორიის გაგება-შეფასება მხოლოდ იმდაგვარადაა შესაძლებელი, როგორიც სახეზეა: **„ნებისმიერი და დაუსაბუთებელი ვარაუდებით“**. ეს მაშინ როცა ვალდებული იყავით, ჭეშმარიტების დადგენის სურვილით, და არა მიკერძოებულად, ნაშრომის ჩამოწერის მიზნით, ნაკლოვანებების ძებნა-კირკიტით, ის ფსიქოაქტები – საგნობრივიდან ცნებითის და სხვა აზრობრივი ამოსაველიანობები განგეხილათ, რაც ამ უთვალავ ბგერებსა და ბგერათკომპლექსებისგან სისტემების წარმოქმნას ახლავს თან. ჩვენი აზრით, ამ შრომატევადი და საშური საქმისათვის დროის უკმარისობამ მიგიყვანათ ზემოხსენებულ შედეგებამდე, რაც უნდა აღიაროთ კიდეც.

დასკვნა მეორე: **„...ი. პავლოვის მოძღვრებაში ორი სასიგნალო სისტემის შესახებ ენა განხილულია როგორც არსებული მოცემულობა და, ჩვენი აზრით, ამ მოძღვრების მეშვეობით იმ პრობლემის გარკვევა თუ როგორ წარმოიშვა მეტყველება შეუძლებელია. სიტუაცია უნდა არსებობდეს რათა შეასრულოს მეორადი სიგნალის (განზოგადებული) ფუნქცია...** “ეს დასკვნა გახლავთ კატასტროფა, სრული ფიასკო ჩემი იმედებისა, თუნდაც ცალი თვალით მაინც, გქონდეთ ნაშრომი წაკითხული. დიახ, დღეს „არსებული მოცემულობა“ – ენა და ასევე „არსებული მოცემულობა“ -ადამიანი ერთიანია: **თუ არა ყრუ-მუნჯებში (მხედველობაშია ბგერითი ენა), ცალ-ცალკე არ არსებობენ (მ. ქურდიანი). მაგრამ ბავშვიც ხომ ადამიანია და მას გარკვეულ ასაკამდე, მეტყველება არ გააჩნია. „გ. თ.“**-თვის დღევანდელ „არსებულ მოცემულობად,“ სწორედ, ბავშვი

დღევანდელ სამეტყველო სიტუაციაში (გარემოში) და 3 მლ. წლის წინანდელ „არსებულ მოცემულობად“ ჰომინიდი მაშინდელ სამეტყველო გარემოში (ფიზიორეფლექსოგენური და ბუნების სხვა აკუსტიკური ფაქტები) აქვს აყვანილი. ბავშვი ენას იდგამს დღევანდელ „სიტუაციაში“ – მეტყველ გარემოში, ჰომინიდი კი მაშინდელ „სიტუაციაში“ – ფიზ. პროცესებსა თუ სხვა ბუნებრივ მოვლენათა ბგერებით მოცემულ მეტყველ გარემოში. ესაა და ეს. გირჩევთ, გთხოვთ, კიდევ გადაიკითხეთ ნაშრომი.

შემდეგი ორი დასკვნა ფსიქოლოგებს ფსიქოლოგიაში ავტორის „წარმოდგენების ბუნდოვანობის“ დასამტკიცებლად დასჭირდათ. მათ წარმოდგენაში კი ეს „ბუნდოვნობა“ (“თვალნათლივ და არა ბუნდ-ბინდ-ბუნდად“) იქიდან ჩანს, რომ თურმე **„...სრულიად შეუძლებელია ლ. ბლუმფილდისა და დ. უზნაძის თეორიების დაკავშირება ერთი მაგალითის განხილვის დროს (რადგან ე. ი.) ლ. ბლუმფილდი ბიჰევიორიზმის მომხრე ენათმეცნიერია, მაშინ როდესაც დ. უზნაძე ორიგინალური ფსიქოლოგიური თეორიის ავტორია“...**

არა, ცალი თვალით მკითხველმა შეიძლება გასაკვირი რამ ბევრი ამოიკითხოს წაკითხულიდან, მაგრამ ეს იმდაგვარი საოცრებაა სჯობდა ისიც მოეწკურ-მოეჭუტა და ისე წაეკითხა (ანუ გააზრებით წაეკითხა). აბა, გაგონილა კაცო, ბიჰევიორისტების, ბლუმფილდის, უზნაძის – ყველა ამათი თეორიების საფუძველი **ქცევის** კვლევით მიღებულ ცოდნას ეფუძნება. განსახილველი მაგალითიც **ქცევას** ეძღვნება და, უცბად, ერთურთთან და ქცევას მიძღვნილ მაგალითთან ამ თეორიების დაკავშირება შეუძლებელია. ეს მაშინ როცა, გააჩნია რა შედეგით თორემ დაკავშირება ცეცხლისა წყალთანაც **კია** დასაშვები. არა, ფსიქოლოგი ამას არ დაწერდა. მგონია, ფსიქოლოგთა ამ შენიშვნაში შეცდომაა: ნაგულისხმებია **გაიგივება დაწერილია** – დაკავშირება. **ავტორისეულ წინადადებაში** – „ახლა კი განვიხილოთ ბლუმფილდ-უზნაძის განწყობით გაშუალებული სტიმულ-რეაქციის (**STR**) მაგალითი“. ჩაუხედავმა შეიძლება იფიქროს ბლუმფილდისა და უზნაძის თანაბრად ორივესია ფორმულა **STR** (სტიმული-განწყობა-რეაქცია). და ეს იმიტომაა რომ ბეჭდვისას, „სტიმულ-რეაქციის“ შემდეგ, გამორჩენილია – **SR და.** მაგრამ ფსიქოლოგი, მით უფრო ჩახედული, ამ შეცდომას ვერ მიხვდებოდა და იკმარდა მას ავტორის წარმოდგენების გაბუნდოვნებისთვის? მითუმეტეს, რომ დამატების მე-6 გვერდის პირველსავე აბზაცზე, როცა სახელოვან მეც-

ნიერთა ღვაწლს ვეხები ბლუმფილდ-უზნაძეზე აი რას ვწერ: „...ბლუმფილდის სტიმულ-რეაქცია... უზნაძემ განწყობით გააშუალა: **„SR-STR"... ამის შემდეგ კი თითქოს მათ იგივეობას ვგულისხმობდი, აბსურდულია და ჩემი წარმოდგენების „გაბუნდოვნება," სამწუხაროდ, ვერ ხერხდება. უფრო მეტიც, თავად ეს ერთადერთი შენიშვნა და სხვა დასკვნებია ბუნდოვანი.**

ფსიქოლოგიაში ავტორის „წარმოდგენების ბუნდოვნობა'' კიდევ იქიდანაა ნათელი, რომ, თურმე, **„...ფილოგენეზში..." ავტორის ნააზრევი ნებისმიერია და დაუსაბუთებელი, რაც შეეხება აზროვნებისა და მეტყველების განვითარებას ონტოგენეზში, მრავალმხრივაა შესწავლილი... ჟ. პიაჟეს და ლ. ვიგოტსკის მიერ..."**

„„ფილოგენეზში ავტორის ნააზრევი ნებისმიერია და დაუსაბუთებელი?.. ბატონებო, როგორც ვხედავ, **მეტყველების ბიოგენეზურ კანონზე კვლავ მთლიანად ერთი თავი გამოგრჩენიათ** (იხ. გვ. 39; იხ. ჟურნ. „აია'' 2(14) გვ. 68-73). იქ არის ახსნილი ერთი ზოგადკაცობრიული ენათმეცნიერულ-ანთროპოლოგიური პრობლემა – თუ რატომ წყალსატევთა მიმდებარე ტერიტორიას **პირ-ი** ეწოდება. მაგ. რუს. **უსტიე** რეკი ქართ. ზღვის **პირი** და ა. შ. ვინაიდან საქმე სახელდებას ეხება, ცხადია, ეს საკითხი ენათმეცნიერულია, მაგრამ იგი ზოგადანთროპოლოგიურიცაა, რადგან უძველესი წინაპრების ცხოვრების წესითა და მასთან დაკავშირებულ **მოაზრებებითაა** განპირობებული. **(თქვენგან ასეულობით ამგვარი მაგალითების ფსიქოტრანსფორმაციებია ნიჰილისტურად იგნორირებული).** პირველყოფილი ჯოგი ხომ, უხშირესად წყალსატევთა ნაპირას ბინადრობდა, იქვე თევზეულით იკვებებოდა და, ამიტომ, თევზეულს, წყალსატევსა და მის ნაპირს ერთიანად **საკვებად** აღიქვამდა. ეს უკანასკნელი (საკვები), ასევე ასოცირებული იყო კვების ორგანო – **პირი**-ს მოაზრებასთან იხ. ("გ. თ" **ყ** ბგერა). ამიტომაც სახელდება ნაპირისა – **პირ-ი** ბუნებრივია. **ფილოგენეზში** ამ მოვლენების რეალობას ამტკიცებს – **ონტოგენეზში,** ფსიქოლოგიაში ცნობილი ფაქტი, რომ **მეძუძური ბავშვის წარმოდგენაში დედა, დედის ძუძუ, რძე ერთიან წრმოდგენაშია.** ყოველივე ამის გამო კი, უცხადესია, რომ ფილოგენეზში მეძუძურობისას **დედა, დედის რძე, ძუძუ;** მოზრდილობისას – ცხოველთა **ჯიქნები** და მათგან გამოწოვილი **რძე და წყალი,** რომელიც ასევე წყალსატევიდან შეინოვება და ამ მოვლენათა თანმდევი **წ..., წ...** ხმიანობები ასოცირებულ წარმოდგენაში არიან. აქედან კი უტყუარად მტკიცდება: წოვის **წ... წ...**

ხმინობებში, რომელი პროცესიც წ ბგერის თავითავადი წარმოთქმაცაა, ნიშნადობა იმანენტურადაა ჩადებული. აი, რა უზუსტესი დასაბუთებებია, თქვენ კი – „...დაუსაბუთებელიო, არავითარი სიახლეო...: თუ ამგვარ პრობლემათა ახსნა სიახლე არაა მაშ, რაა სიახლე?.. სწორია ფიზიოლოგთა და ბიოლოგთა დასკვნა: შემდგომი შესწავლის მიზნით, ნაშრომი წიგნად გამოიცესო. იგი ხომ აბსოლუტურად დაუმუშავებელია.

ამ თქვეგან წაუკითხავად დარჩენილ ქვეთავებში სხვა ფაქტებსა და ფაქტორებს რომ თავი დავანებოთ, სტანდარტული ფურცლის ხუთ გვერდზე ცხრა პუნქტი მხოლოდ ფაქტებისთვისაა განკუთვნილი. თანაც როგორი ფაქტებისთვის: აქცენტი, ნასახი, ეგოცენტრული მეტყველება, პერსევერაცია და ა. შ. გამოყენებულია ონტოგენეზში ბავშვთა ასაკის პერიოდიზაციის პერიოდებისთვის დამახასიათებელი მეტყველების ფილოგენეზში მათდამი მკაცრად შესატყვისი მ-ის სტადიების არსებობის დასამტკიცებლად. დიდადპატივცემულნო, თქვენი სიტყვებია: „...პრობლემის ავტორისეული გადაწყვეტის მართებულობა საბოლოოდ ფიზიოლოგებმა უნდა შეაფასონ“-ო. ფიზიოლოგებმა და ბიოლოგებმა კი, აი, რა ბრძანეს: „...ავტორის მსჯელობა ადამიანის მეტყველების დაუფლების ასაკობრივი ჩარჩოების შესახებ, სავსებით სამართლიანია“-ო. თქვენ ამ სამართლიანობის ავტორად ჟან პიაჟე მიგაჩნიათ, მაგრამ მისი კვლევის ობიექტი ინტელექტის გენეზისი — მისი სიტყვებით გენეტიკური ეპისტემიოლოგიაა და არა ბგერითი მეტყველება, რომელსაც, როგორც საწყისს, სამწუხაროდ, საერთოდ არ ცნობდა. ..“ნებისმიერია და დაუსაბუთებელი“.. კი არა, თუ არსებობს ..“ადამიანის მიერ მეტყველების დაუფლების ასაკობრივი ჩარჩოები“.. თუნდაც მხოლოდ ონტოგენეზში (რაც ფაქტია და ფსიქოლოგებმა ეს კარგად უწყიან) შეუძლებელია ის ფილოგენეზში არ არსებულიყო. ოღონდ, პირველი სამეტყველო რესურსთა და მათი ჩასახვის მადასტურებელ ფაქტთა და ფაქტორთა მიგნებამდე (ჩასახვის მექანიზმის ახსნამდე) ამის თქმის მეცნირული უფლება არ არსებობდა. აი, რა არის დიდი სიახლე, ბატონებო და თქვენ ვალდებული იყავით ეს ყველაფრი არა თუ შეგემჩნიათ, არამედ დაგემუშავებინათ და შეგეფასებინათ.

რაც შეეხება ონტოგენეზს, პიაჟეს, ვიგოტსკის, ვალონის და სხვათა მონაცემები განა ეწინააღმდეგება ავტორისეულ მეტყვე-

ლების ბიოგენეზურ კანონს თუ დამოწმებაა ამ უკანასკნელისა?... თუმცა ეს თავი თქვენ ხომ წაუითხავად, სრულიად, გამოგრჩათ და აბა რა სიახლეს შეამჩნევდით (რამხელა პარადოქსია – კაცი, ამ ოცდამეერთე საუკუნეში, ახალ კანონზე საუბრობდე და მეცნიერი კი გპასუხობდეს რა სიახლე, რისი სიახლეო...).

ანრი ვალონეს მიხედვით, **ინტელექტი** განიხილება, როგორც ცნობიერების შინაგანი პლანის მოვლენა. ფსიქ. მოვლენის განვითარება კი წარმოდგენილია როგორც **მოქმედებიდან აზრზე გადასვლის პროცესი.**

ჟან პიაჟე იკვლევდა ქცევის სტრუქტურულ ასპექტებს. მისი კონცეფციითაც ინტელექტუალური ოპერაციები ინტერიორიზებული (latin. Inter\\ interior „შიგნით, შინაგანი") და ერთ სისტემად გაერთიანებული **საგნობრივი მოქმედებებია...** ინტელექტი თავის განვითარების პროცესში მრავალ სტრუქტურულ **სტადიას ან ქვესტადიას** გაივლის. ეს დებულება დიახაც მნიშვნელოვანია რადგან მისი კონცეფცია ინტელექტის **ონტოგენეზური განვითარების სტადიურობისა,** გარკვეულწილად, ესადაგება ავტორისეულ **მეტყველების ონტოგენეზური განვითარების სტადიურობის კონცეფციას** და ამით **მ-ების ბიგენეზური კანონის (მ. ბ. კ.),** როგორც სახეობის არსებობის, დამოწმებად გვევლინება.

ლევ ვიგოდსკის კულტურულ-ისტორიული თეორიის დებულების მიხედვითაც, ფსიქიკის ყოველი ადამიანური ფორმა ყალიბდება ადამიანთა შორის **გარეგანი სოციალური ურთიერთობების ინტერიორიზაციის გზით.** აქ აშკარად ჩანს, რომ მხედველობაშია თანამედროვე ადამიანი, **რადგან** საქმე ეხება **სოციალურ ურთიერთობებს** და, თუ ენგელსის – შრომამ შექმნა ადამიანის პერეფრაზს მოვუხმობთ, **გვექნება: შრომამ შექმნა აზრი** (იხ. ქვემოთ).

როგორც ვხედავთ, ფატობრივად ეს თეორიები ყველა სოციალურია და წვეთი წყალივით გვანან ერთმანეთს. აქ განხილულია **ქმედებიდან აზრის** წარმოქმნა, მაგრამ არსადაა ნათქვამი თუ, უთავდაპირველესად, **როგორ შეიმოსა ეს აზრი ბგერითი სამოსელით.** ასე რომ საუბარი სრულ ადეკვატურობაზე ჩვენი და ამ თეორიებისა ზედმეტია. რაც შეეხება **ფილოგენეზს** ნუთუ ისინი **მეტყველების წარმოქმნის კონტექსტშია განხილული?..** მათი კვლევის ობიექტი ხომ, ძირითადად, გახლავთ შემეცნების თეორიის საკითხები (ეპისტემიოლოგია epistema = ბერძნ. „ცოდნა") ანუ თანამედროვე ადამიანი, რომელიც „გ. თ."-ში მხოლოდ ერთი პერიოდია,

მეტყველების განვითარების თვალსაზრისით. ბოლოს იმის თაობაზე, თითქოს ნაშრომი „სავსეა შეცდომებით“, თუ ეს მართლა ასეა, **რალა თავად იძლევით ბუნდოვან დასკვნებს, ერთადერთ შეცდომიან შენიშნვას, ხოლო შეცდომებს კი ვერ ასახელებთ?...**

რეცენზია ფიზიოლოგია-ბიოლოგიის ინსტიტუტიდან (დოქტორები: ალექსანდრე ქორელი, არჩილ კეზელი, მანანა ნემსაძე, ილია ლაზრიშვილი).

ნაშრომი, არსებითად, ენათმეცნიერების სფეროს განეკუთვნება და ჩვენ ვერ შევეხებით „თეორიის“ ამ ნაწილს. ვინაიდან ბ-ნი იზორია, საკუთარი იდეების განსამტკიცებლად თუ დასამოწმებლად, მოიშველიებს ზოგიერთი ნეიროფიზიოლოგის მოსაზრებებსა და თეორიებს, ვეცდებით გავარკვიოთ ავტორი თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის და, ზოგადად, ბიოლოგიის მდგომარეობაში, რომელიც სადღეისოდ შეიქმნა ადამიანის მეტყველებასთან კავშირში. რამოდენიმე დილეტანტური შენიშვნა ნაშრომის ენათმეცნიერულ ღირებულებაზე, რომლის ზოგიერთი ხარვეზი თუ სისუსტე ნებისმიერ განათლებულ ადამიანს მოხვდება თვალში: 1. ჩვენთვის, როგორც მეცნიერთათვის, გაუგებარია სიტყვა „თეორიის“ ავტორისეული გაგება. თეორია მოითხოვს მრავალი საფუძვლის – ლიტერატურულის, ისტორიულის, ექსპერიმენტულის, – არსებობას. ავტორი ხშირად წერს, რომ ყველა მისი მოსაზრება კარგადაა განმტკიცებული და ეყრდნობა „ჭეშმარიტ ჰიპოტეზებს“. ჰიპოტეზის ჭეშმარიტების მხოლოდ საიმედო დამტკიცების შემდეგ შეიძლება საუბარი რაიმე ღირებულ თეორიაზე. სინამდვილეში, ავტორი ეყრდნობა მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებს.

2. გაუგებარია სიტყვა „გეორგიული“. თუ ავტორს სურს ხაზი გაუსვას, რომ ადამიანის ამეტყველება საქართველოში დაიწყო და აქედან გავრცელდა მსოფლიოში (რაც უაღრესად საეჭვოა), ხომ არ აჯობებდა სიტყვა „ქართველურის“ ხმარება, რაც მიღებულია ენათმეცნიერებაში.

3. როგორც ჩანს, ავტორი ფლობს ქართულ, მეგრულ, აფხაზურ და, სავარაუდოდ, რუსულ და ინგლისურ ენებს. რაც გარდა იმისა, რომ საკმაო მწირი საფუძველია ლინგვისტიკური წიაღსვლებისთვის, ჩამოთვლილი ენები (ქართულის და მეგრულის გარდა) არ ენათესავება ერთმანეთს. ავტორს უნდა შევახსენოთ,

რომ დღევანდელ მსოფლიოში, პლანეტის სამხრეთ და ჩრდილო ნახევარსფეროებში, დასავლეთსა და აღმოსავლეთში, ფაქტიურად ხმარობენ – ოფიციალურად და შინაურულად – რამოდენიმე ათას ენას. მათი ერთი ფესვიდან ამოსვლა აბსოლუტურად შეუძლებელია. ამას მეტყველებს არა მარტო ჩამოყალიბებული ენების მკვეთრად განსხვავებული ფონეტიკა და სემანტიკა, არამედ აგრეთვე, ერების ყოფითი, სოციალურ-კულტურული, რელიგიური თავისებურებები და საზოგადოებებში არსებული პრიორიტეტები და, ასევე, გეოგრაფიულ-კლიმატური სპეციფიკა.

4. ე. იზორიასეული სიტყვების ჩამოყალიბების „ხმაბაძვითი" (თანაც, რატომღაც, მაინცდამაინც ჭამასა და სმასთან დაკავშირებული...) მექანიზმი საინტერესოა, მაგრამ, გაუგებარია, როგორი მძლავრი დივერგენციული პროცესები უნდა წარმართულიყო, თუნდაც ერთი მილიონი წლის განმავლობაში, რომ სიტყვა წყალი (წყ!) გარდაქმნილიყო და მიგველო გარმანული **wasser**, ფრანგული **eau**, არაბული *მა*, ბერძნული *ნერო*, ესპანური **agua**, სომხური *ჯურ* და ეს მხოლოდ აქ, ჩვენი პლანეტის ყურისძირში!

5. საზოგადოდ, სამეტყველო ენის ჩამოყალიბება ერთი-ორი ბგერის (ე. იზორია) ან ოთხიოდე მარცვლის საფუძველზე (ნ. მარი), რბილად რომ ვთქვათ, ლინგვისტიკის უკვე მოხდილ საყმაწვილო სენად უნდა ჩაითვალოს.

თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის საკვანძო საკითხებზე, ბ-ნი იზორიას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენები ჩამოუყალიბდა. ზოგჯერ, სავსებით გაუგებარი პასაჟებიც მოიძებნება. მაგალითად, საინტერესო იქნებოდა გაგვეგო, ვინ და როდის დაადგინა, რომ ქალებს მეტყველების ზონა – ბროკას უბანი – თავის ტვინის ორივე ჰემისფეროში აქვთ განვითარებული. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ, ამის გამო, თურმე, ქალები ბევრს და სწრაფად ლაპარაკობენ, გასაგები გახდება, რომ ინფორმაციას ავტორი, ზოგჯერ, ყვითელი პრესიდან სესხულობს. მეტყველების პავლოვისეული გაგება – „მეორე სასიგნალო სისტემის" სახით, საუკუნენახევრის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და მეტყველება, დიახაც, პირობითშრეფლექსური პროცესია, თავისი გამომუშავებით, განმტკიცებით და შეკავების ორივე – შინაგანი და გარეგანი – ფორმით.

ავტორის მსჯელობა ადამიანის მიერ მეტყველების დაუფლების ასაკობრივი ჩარჩოების შესახებ, სავსებით სამართლიანია, თუმცა „მაუგლების" და „ტარზანების" რეალური არსებობა ცი-

ვილიზებული კაცობრიობის ისტორიაში ან უკიდურესად იშვიათია ან მხოლოდ ლეგენდებისა და მითების სფეროს განეკუთვნება. თანამედროვე შეხედულებებით, მეტყველების ინდივიდუალური განვითარება უნდა ეყრდნობოდეს ე. წ. იმპრინტინგის (ჩაბეჭდვის) მექანიზმებს. ისევე, როგორც ქათმის წიწილას ან იხვის ჭუჭულის, რომლებიც საკმაოდ მომწიფებული და თვალხილული იჩეკებიან, შეუძლიათ ჩაიბეჭდონ თავის ტვინის სათანადო უბანში პოტენციური დედის ხატი (ფერი, ფორმა, ხმის ტემბრი და მოძრაობის თავისებურებები), ასევე ადამიანს შეუძლია ჩაიბეჭდოს ის ენა, რომელიც ესმის და რომელზეც მას მიმართავენ. განსხვავება კი ის გახლავთ, რომ წიწილას სენსიტიური პერიოდი გამოჩეკიდან 16-18 საათს გრძელდება (თუ ინკუბატორში გამოიჩეკა და 18 საათი არაფერი დაუნახავს, არაფერსაც არ ჩაიბეჭდავს და „სულით ობოლი“ დარჩება), ხოლო ადამიანისა – დაახლოებით, ხუთი წელი. როგორც ფრინველებში, ისე ადამიანშიც მკაფიოდ და კონკრეტულად არის დადგენილი თავის ტვინის ის უბანი, რომელიც „ინახავს“ ჩაბეჭდილ ინფორმაციას: პირველ შემთხვევაში „დედის“ ხატს, მეორე შემთხვევაში „სიგნალთა სიგნალებს“. ორივე შემთხვევაში, ადგილი აქვს ე. წ. სუსტი სინაფსების გარდაქმნას ძლიერად. ასევე ხდება მოგვიანო დასწავლაც და დამახსოვრება. სინაფსების უქმად ყოფნის (გამოუყენლობის) შემთხვევაში, მათი შემდგომი გამოყენება რთულდება ან საერთოდ შეუძლებელი ხდება. ამ პროცესების მოლეკულური მექნიზმების განხილვას, ჩვენ შემთხვევაში, აზრი არა აქვს.

ვურჩევთ ბ-ნ ედემ იზორიას, წესრიგში მოიყვანოს თავისი ნააზრევი (განსაკუთრებით ენობრივ-გრამატიკულად) და წარადგინოს ის სათანადო გამოცემაში გამოსაქვეყნებლად, ხოლო პუბლიკაციის შეფასება მიანდოს სპეციალისტებს – ლინგვისტებს, ანთროპოლოგებს და ფსიქოლოგებს.

პასუხი ფიზიოლოგებს

რეცენზია ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტიდან (ავტორები: დოქტორები: ა. ქორელი, ა. კეზელი, მ. ნემსაძე, ი. ლაზრიშვილი) **შედგება ორი – ენათმეცნიერული და ნეიროფიზიოლოგიური ნაწილისაგან.** დასაწყისშივე, დიდადპატივცემული, ავტორები გვიმტკიცებენ, რომ **„ნაშრომი, არსებითად, ენათმეცნიერების სფეროს განეკუთვნება და ჩვენ ვერ შევეხებით,**

თეორიის ამ ნაწილს"-ო, მაგრამ დაპირებას იმწუთშივე ღალატობენ და გვთავაზობენ **„...რამდენიმე დილეტანტურ შენიშვნას ნაშრომის ენათმეცნიერულ ღირებულებაზე, რომლის ზოგიერთი ხარვეზი და სისუსტე (თურმე ე. ი.) ნებისმიერ განათლებულ ადამიანს (რომ ე. ი.) მოხვდება თვალში"...** ამ შეთავაზებასთან დაკავშირებით, უპრიანია თავადაც შევნიშნო: თუ ეს შენიშვნები მართლაც **დილეტანტურია, ანუ მეცნიერულ ფუძემდებლობასაა მოკლებული (დილეტანტობას თუ აკაემიურობას ჯიბეში სადოქტორო, სადოცენტო თუ სხვა სახის დიპლომთა დება კი არა, სწორედ რომ კონკრეტულ საკითხებში მეცნიერული საფუძვლიანობა განაპირობებს) როგორ ახსნის, დაასაბუთებს ან უარყოფს იგი ნაშრომის ავკარგს?...** ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან ამდაგვარი „შედევრით" ხომ დიდი ხანია რაც აღმავსეს და გამახარეს (მ. ქურდიანი, ვ. შენგელია) და ფიზიოლოგიის ინსტიტუტიდან დუბლი კიდევ რა საჭიროა?... ჩემო კარგებო, დიდად პატივცემულნო და დიდნო ფიზიოლოგნო, წამოწეულნო ენათმეცნიერების მაღალ რანგში, საქმე ეხება ათასობით სიტყვის წარმომავლობას, ათეულობით სისტემებს, დასაბუთებულ პრეტენზიებს ზოგიერთ ქართველურ თუ ზოგადენათმეცნიერულ პრობლემების მოხსნაზე და ა. შ. თქვენ კი გსურთ ისინი რამდენიმე (ხუთადხუთი) შენიშვნით უარყოთ?... კეთილი, ვნახოთ რა გამოგივათ... ოღონდ არ თქვათ, თქვენი მხრიდან, თითქოს საქმე ეხებოდეს, მხოლოდდამხოლოდ, იმას, რაც ნებისმიერ ნაშრომში შეიძლება მოიძებნოს – „ზოგიერთ ხარვეზსა და სისუსტეს". არაფერიც, თქვენ ფუნდამენტს ეჯაჯგურებით. ვხვდები თქვენს ჩანაფიქრს: აქაოდა, იზორია ხომ „დილეტანტია", მაგრამ ეს ქურდიანივით პირში კი არ უნდა მივახალოთ, არამედ შეპარვით, სიტყვა დილეტანტის ხსენებით, მივახვედროთ; თანაც, რისი დილეტანტური, რამდენიმე „გროსმაისტერული" სვლით მის ნაშრომს ბუნდღა-ბურტყლი ვადინოთო... ეს ერთი, მეორეც – აღნიშნული „ხარვეზები და სისუსტეები ნებისმიერ განათლებულ ადამიანს (რომ ე. ი.) მოხვდება თვალში" (ანუ ნებისმიერი რომ შენიშნავს) და ავტორსაც კი რომ მოხვდა თვალში (აბა თვითონ დაწერა და თვალში არ მოხვდებოდა?!..), მაგრამ მრავალწლიან ცოდვილ-წვალებაშიც კი ვერ შენიშნა-შეაფასა (მაშ, მოხვედრია კი არა თვალიც დაუფსია მისთვის და ეგაა), ამიტომ, იგი „ნებისმიერ განათლებულ" ადამიანთა კატეგორიას არ განვაკუთვნოთო. უფრო მეტიც: ამ უკანასკნელთ (განათლებულ ადამიანებს) რაკი ყოველი ქართველი,

უეჭველად, განეკუთვნება (ყოველ შემთხვევაში მათი შეხედულებით) ედემ იზორია, დასაშვებია, საერთოდ ადამიანად არ ჩავთვალოთო. ტელეპატი არ გახლავართ, მაგრამ თქვენი ამ „დანაის" შეთავაზების, ქვეტექსტი კი არა, გენერალური სტრატეგია, თანაც ბუნდოვნად კი არა – თვალნათლივ ჩემი და ჩემი ნაშრომის მოშთობა ყოფილა. მინდა ვიკითხო: ეს ის „საყმაწვილო სენი" ხომ არაა თქვენ, დაუმსახურებლად, რომ მიფეშქაშეთ და ლენინი თავის „დეტსკაია ბოლეზნ ი ლევიზნა კომუნიზმე"-ში რომ გულისხმობდა – ბავშვური ეგოიზმი ხომ არაა ეგა?... ექიმი, თანაც დიაგნოსტიკი რომ არ ვიყო დავეჭვდებოდი, მაგრამ საბოლოო დიაგნოზი, ხათრის გამო, მაინც თქვენთვის მომინდვია. აწი კი დროა ვიხილოთ, ხსენებული, ჩემი და ჩემი ნაშრომის ეგრერიგად დამამცრობელ-დამმინებელი შენიშვნები:

შენიშვნა პირველი: „...ჩვენთვის, როგორც მიეცნიერთათვის, გაუგებარია სიტყვა „თეორიის" ავტორისეული გაგება": უმჯობესია ვიხმაროთ სიტყვა კი არა ტერმინი თეორია, რამეთუ იგი არა საგნობრივი, არამედ ცნებითი მონაცემია; უფრო ზუსტად კი ცნებათა მთელი სისტემაა. ღმერთო, დიდებულო!..., ტერმინ თეორია-ს ლექსიკურ მნიშვნელობებს არსად და არასდროს შევხებივარ, ამიტომ მასზე ჩემი გაგება სხვათათვის, მათ შორის თქვენთვისაც, დიდადპატივცემულო დოქტორნო, გაუგებარი აბა რა იქნება?.. კაცო, რაც ათასობით სიტყვა და ტერმინი ვატრიალე სათოფედ არ გაკარებიხართ და რაღა, მაინცადამაინც, რომ არც დამსიზმრებია იმის ჩემმიერი „გაგების" თქვენმიერ „გაუგებრობაზე" ჩივიხართ?... მაგრამ, ვფიქრობ, თქვენ გაინტერესებთ არა ზოგადად ტერმინ თეორია-ზე ავტორისეული გაგება, არამედ ის არსი ნაშრომისა, რაც ამ სათავო ტერმინმა გამოხატა. უზუსტესად კი – კრიტიკა კი არა, დაუსაბუთებელი უარყოფა ნაშრომის ემპირიული ბაზისისა (ემპირიოკრიტიციზმი კი არა – ემპირიონიჰილიზმი), რაზეც შენიშვნის გაგრძელება მიანიშნებს: „...თეორია მოითხოვს მრავალი საფუძვლის – ლიტერატურულის, ისტორიულის, ექსპერიმენტულის არსებობას..."

დიახ, სწორია და ეს ყველაფერი "ნაშრომს რაკი არ გააჩნია", რა უფლება მქონდა იგი (თეორია) სათაურში დამებრძანებინა, ხომ?... ?... ასეც რომ იყოს, ბატონებო, რატომ გამოგრჩათ, რომ თეორიას უწოდებენ `**...ზოგჯერ მეცნიერულ ჰიპოთეზებსა და მათ ერთობლიობას... ზოგჯერ კი მას რაც უპირისპირდება ემპირიულ ცოდნას...~(იხ. ქსე ტ. გვ.655).** ამიტომ ჩემი უფლებები

ნაშრომის სათავო მონაკვეთში დაცულია და **ჩემი „გაგების“ თქვენმიერი „გაუგებრობა“ უსაფუძვლოა.**

არა დიდი რიდისა და მოკრძალების გარეშე, უთავდამბლესად, სამინისტროს ვთხოვე ნაშრომი, თქვენთან ერთად, კოლექტიურად განგვეხილა. რეცენზიების სახით წარმოდგენილი, თქვენი პასუხიც მერჩივნა ყოფილიყო კოლექტიური, რადგან, წინამდებარე, ერთი პიროვნების ეს ნაშრომი იყენებს (ავად თუ კარგად ეს სხვა საქმეა...), თქვენი სახით წარმოდგენილ, სამივე მეცნიერების ცოდნას. პასუხი კონსილიუმის რომ ყოფილიყო, მაშინ თქვენს, ზემოთხსენებულ, შენიშვნაში თქვენსავე თავს შეწინააღმდეგებოდით. დიახ, რადგან რეცენზიებში ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან (მეთოდს კი წუნობენ მაგრამ) აი, რა წერია: **„...მოქ. ედემ იზორიას კვლევა „მეტყველების წარმოშობის“ შესახებ, მართალია, იყენებს ემპირიულ ენობრივ მონაცემებს (ბგერებს, სიტყვებს...)“-ო.** თუმცა განვიხილოთ დეტალურად: ბატონებო, ნაშრომში გვერდი არაა სამეცნიერო ლიტერატურა არ იყოს დასახელებული. კორიფე მეცნიერთა: **ენგელსი, გეკელი, მარი, კასირსკი,** და ა. შ. გვარებია ამ სასიგნალო პუბლიკაციის გვერდებზე და თქვენ კი **„ლიტერატურულის არსებობას“ უარყოფთ?... ეს პარადოქსი კი არა წმინდაწყლის ცილისწამებლური ნიჰილიზმია.** თუ მიგაჩნიათ, რომ ნაშრომს არაფერი გააჩნია **ისტორიული;** რომ თითქოს იგი ერთ გაყინულ პერიოდში – **აბსოლუტურ სინქრონიაშია** განხილული (პირდაპირი საოცრება...) და რომ თითქოს, ენათმეცნიერებს თუ დავუჯერებთ, სრულიად არ ვითვალისწინებ **„სტრუქტურული ანალიზის კლასიკურ ენათმეცნიერულ მეთოდებს“,** მაშინ იგივე უნდა შეეედაოთ **ცაგარელს, მარს, ყიფშიძეს, ჩიქობავას** და სხვებს (რატომაც არა?...), რადგან უხსოვარი დროის იქით ჩასახულ მარტივიდან თანამედროვე რთულამდე განხორციელებულ გარდაქმნების ჩვენებისას ვიყენებ მათ მიერ დადგენილ ქართველურ **ბგერათა ცვლილებების კანონზომიერებებს, ბგერათშესატყვისობებს, გრამატიკულ წესებს და სხვა ენობრივ მასალას იმ ისტორიული სიტყვის წარმოქმნისას, რომელთა ისტორიულობაც, ასევე, მათმიერვეა დადგენილი.**

რა არის ეგ თუ არა დიაქრონია და სტრუქტურული ანალიზი?.. მაგრამ თუ ამბობ არ არისო ხომ უნდა დაამტკიცო. ესეც რომ არ იყოს კურიოზულია კაცს, რომელიც 3 მლ. წლის მეტყველების ისტორიას ჰყვება და მისი პერიოდიზაცია მოახდინა, (იხ. ტექსტი) ამ მონაყოლში, ისტორიის არარსებობას უმტკიცებ-

დე (სხვა საქმეა თუ იქ ხარვეზებია, ოღონდ ესეც უნდა იყოს დამტკიცებული). კიდევ, თქვეგანვე არარსებულად თვლილ საფუძვლიანობიდან – პრაქტიკული ნაშრომს გააჩნია. თეორია უფლებამოსილია და ვალდებულიც გამოიყენოს კაცობრიობის ცოდნის ყოველი მხარე – თეორიულიცა და პრაქტიკულიც. აქაც კურიოზია, ბატონებო, რადგან (თქვენი დასტურით: „დიახაც"-ო ხომ ბრძანეთ) ავტორი, რომელიც იყენებს – **პავლოვის, უზნაძის, ბერიტაშვილის და სხვათა ექსპერიმენტებზე დაფუძნებულ ცოდნას „პრაქტიკული საფუძვლიანობის არსებობა" ეჭქვეშ არ უნდა დაუყენო.** პრაქტიკული საფუძვლიანობის კრიტიკასთან მიმართებით მინდა კიდევ ვთქვა, რომ ცხოველთა ქცევასა და ფსიქიკაზე დაკვირვება ბუნებრივ (თავისუფალ ყოფით) პირობებშია უკეთესი, ვინემ ლაბორატორიულში. წინათ სოფელში გაზრდილსა და მცხოვრებს და ამჟამადაც მასთან კავშირში მყოფს, ამის საშუალება მქონდა და ახლაც გამაჩნია, რამაც საკმარისი პირადი პრაქტიკა შემძინა. მაგ. **ჩაბეჭდვის** (იმპრიტინგის) მოვლენა, რომელიც **მეტყველების ბიოგენეზური კანონის სახეობის არსებობის,** თქვენს მიერ მოწოდებული (გულწრფელად გემადლიერებით), საბუთიერი მტკიცებულებაა, ჩემთვის ცნობილია: წიწილა მყავდა. ნახერხის სითბოში გამოჩეკილს ჩემი მარჯვენა მტევანი დედად მიაჩნდა, რაკი ნახერხიდან ამოიყვანა. როგორც ვხედავთ, ნაშრომი ბაზირებულია, როგორც ზოგადკაცობრიულ, ასევე პირად პრაქტიკულ ცოდნაზე. საბოლოო ჯამში კი თქვენს მიერ უარყოფილ საფუძვლიანობებიდან მას სამივე ჰქონია. კმაროდა კი ერთი რომელიმეთაგანიც. ამიტომ „ობიექტური მეცნიერული პრინციპებიდან" გამომდინარე, უნდა დამეთანხმოთ: ნაშრომი, ჯერ-ჯერობით, არც იავარქმნილია და ფეხზეც დგას...

გავაგრძელოთ პირველი შენიშვნის განხილვა: **„...ავტორი ხშირად წერს, რომ მისი ყველა მოსაზრება კარგადაა განმტკიცებული და ეყრდნობა „ჭეშმარიტ ჰიპოთეზებს". ჰიპოთეზის ჭეშმარიტების მხოლოდ საიმედო დამტკიცების შემდეგ შეიძლება საუბარი რაიმე ღირებულ თეორიაზე. სინამდვილეში ავტორი ეყრდნობა მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებს"...**

ვპასუხობ: ჰიპოთეზა ჭეშმარიტია თუ იგი ჭეშმარიტი თეზებითაა დასაბუთებული. დიახ, უამრავი „საკუთარი მოსაზრებები" – ჰიპოთეზები ჭეშმარიტი თეზებით გამოხატული ფაქტებითა და ფაქტორებითაა შემაგრებულ-განმტკიცებული. თქვენ კი ერთი, კინკილა რომაა ისიც ვერ ნახეთ და ერთიანად საკუთარ მოსაზრებად მომითვალეთ?!... გმადლობთ, მაგრამ ღირსეულ რეცენ-

ზენტთა სამივე ჯგუფი, დასახელებულ შენიშვნას, რაკი ერთხმად ღაღადჰყოფს, შევეცდები ზოგიერთი ძირითადი სიახლეების მიმართ მაინც დავამტკიცო მისი (ამ შენიშვნის) უსაფუძვლობა: თუ მოვუხმობთ ფაქტებსა და ფაქტორებს, ავტორის ერთ-ერთი ძირითადი ჰიპოთეზა (სიახლე, მიგნება, აღმოჩენა, რაც გინდათ დაარქვით), რომ **„ოდითგანვე ბგერა იყო კვებითი პირობითი აგენტი“ თავისთავად დამტკიცდება. ესენია: 1. ჰომინიდების ოჯახის (არქანთროპები // პალეოანთროპები) არსებობა, როგორც მოცემულობა – ამოსავალი წერტილი; 2. მათში ისეთი მაღალი ფსიქიკური ფუნქციების არსებობა როგორიცაა: აღქმა, მეხსიერება, წარმოდგენა; 3. მათთვის, როგორც პრიმატების რიგის ძუძუმწოვართათვის, წოვა-ყლაპვის ბუნებითობა; 4. წოვისა და ყლაპვის უპირობო რეფლექსებისთვის შესაბამისი კვებითი უპირობო გამღიზიანებლების არსებობა; 5. კვებით უპირობო გამღიზიანებელთან, ბგერითის შეუღლებით, პირობითი რეფლექსის გამოწვევის ექსპერიმენტულად დადასტურება. ესენი იმდენად ცნობილი და გახმაურებული ფაქტებია, „ჩემს საკუთარ მოსაზრებებად“ ვერანაირად, რომც მინდოდეს, ვერ ჩავთვლით.**

ახლა კი ვასახელებ ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომელიც, იმავდროულად, ფაქტორიცაა, ეს გახლავთ შემდეგი: **წოვასა და ყლაპვას თანაზიარი ხმიანობები – შესაბამისად, წ..., წ.... და ყ..., ყ... ბგერები ბუნებრივადაა შეუღლებული კვებით უპირობო გამღიზიანებელს, როგორც კვების ამ სახეობის (წოვა-ყლაპვის) და არა „ჭამა და სმის“?!...) მოვლენათა თანადროული აღქმები. ეს აშკარა და ურყევი ფაქტი, იმავდროულად, უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მოგვევლინება** თუ მოვუხმობთ, აქვე, ზემოთდასახელებულ, მე-5 ფაქტს – რომ **ამგვარი შეუღლებით ბგერისა უპირობო გამღიზიანებელთან პირობითი რეფლექსის გამოწვევა ექსპერიმენტალურად დადასტურებულია.** ამგვარად, ეს შეუღლება იმდაგვარი მიზეზია ბგერის პირობით აგენტად ქცევისა, რომლის უარყოფა შეუძლებელია.

ამგვარ ემპირიულ და ჭეშმარიტი თეზებით გამოხატულ ფაქტებსა და ფაქტორებზე ბაზირების და არა **„ნებისმიერი, ხშირად დაუსაბუთებელი ვარაუდის“** (დოქტორები: ალხაზიშვილი, იმედაძე) შემდეგ, დასმული ჰიპოთეზა დამტკიცებას არ საჭიროებს: **იგი აქსიომატურია და, მაშასადამე, – ჭეშმარიტი.** ამის შემდეგ დავაყენოთ ახალი ჰიპოთეზა: კვებითი პირობითი აგენტის ფუნქცია ბგერისა შეიცვალა სამეტყველოთი. რა ფაქტები ამტკიცე-

ბენ ამ ჰიპოთეზას? – 1. უაღრესად გადამწყვეტი მნიშვნელობისა გახლავთ ფაქტი იმისა, რომ – ბუნებრივად ჩამოყალიბებული პირობითი აგენტი არის ბგერა. გარემოს ნებისმიერი მოვლენა ან ელემენტი ამ როლში არაფერს ნიშნავს, რადგან წინამდებარე პრობლემა ბგერითი მეტყველებაა; 2. რაკი, თქვენი დასტურით, ადამიანის ბგერითი მეტყველება პირობითი რეფლექსია უდაოა: ბგერა სამეტყველო პირობითი აგენტია. ესე იგი სახეზეა ორი უცხადესი ფაქტი: 1. ბგერა **(წ, ყ)** იყო კვებითი პირობითი აგენტი; 2. დღეს ბგერა **(წ, ყ)** კვებითი პირობითი აგენტი კი გახლავთ (წოვა-ყლაპვის ხმიანობებს დღესაც ძალუძს შესაბამის პირ. რ-თა აღძვრა), მაგრამ სხვა ამპლუაშიცაა – იგი სამეტყველო პირობითი აგენტია. ეს კი – ანუ მიგნება იმისა, რომ ფიზპროცესთა თანმხლები ბგერები ნატურალურ პირობითრეფლექსთა ამღძვრელი რომ არიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, მეტყველების ჩასახვის საკითხის გარკვევისთვის, უმთავრესი ის გახლავთ, რომ ეს ბგერები დღეს სამეტყველო ბგერები არიან: ესაა და ეს. რა არის აქ დაუჯერებელი და გადაუჭრელი. თუ ბგერა დღეს სხვა როლშია, უეჭველია, ეს როლი შეიძლება იყოს მხოლოდ შენაძენი. ამ კუთხით, ფრიად საყურადღებოა ერთი გარემოება: ადამიანებში წოვაცა და ყლაპვაც გახლავთ როგორც **უნებლიე** ანუ **არაცნობიერი,** ასევე **ნებელობითი ანუ ცნობიერი** პროცესი. ესე იგი, ადამიანებისაგან განსხვავებით, რაკი ცხოველებში ეს პროცესები არა **ცნობიერია,** უდაოა: ერთ დროს, ადამიანებში მოხდა მათი **გაცნობიერება. ანუ უაზრო პროცესი გახდა საზრიანი.** იგივე გდახდათ **წ** და **ყ**-ს: მათი არაცნობიერი წარმოთქმები, ერთ დროს, გახდა ცნობიერი. რაც იმას ნიშნავს, რომ (ორივე შემთხვევაში) ქმედებამ მოგვცა აზრი (იხ. აქვე ქვემოთ).

გთხოვთ მიპასუხოთ: რომელი მუხლია თქვენს მიერ მიუღებელი მეტყველების ჩასახვის ამ ალგორითმში? – თუმცა ამ ალგორითმის სისწორის დასტურია მთლიანად წინამდებარე ნაშრომი: აი ფაქტების კორიანტელი: **1. წ ბგერის წარმოთქმისას პირის ღრუ იხშობა, წინა ენა ებჯინება ნუნებს და მათ შორის ჰაერის ნაკადი გამოიდევნება; 2. აქ ღირსსაცნობი და ფრიად საყურადღებო ის გარემოებაა, რომ ეს პროცესი განწოვითი მოძრაობებია; 3. წოვის ფიზაქტის შესრულებისას ძუძუს კერტები წინა ენასა და ნუნებს შორის თავსდება, შეწოვითი მოძრაობები ხორციელდება წ ფონების მსგავსი წოვითი ხმიანობა წარმოიქმნება; 4. მსგავსება წოვის ხმია-**

ნობასა და წ ფონებას შორის დიდია, რომელსაც პირველად ა.შანიძემ მიაქცია ყურადღება (იხ. აშანიძე, „რჩეული თხზულებანი“ ტ. III – გვ. 622); 5. ჰომინიდი წყურვილს წყალთან ტუჩების პირდაპირი (უშუალო კონტაქტით) იკლავდა. ამ შემთხვევაში სამეტყველო წ ბგერის მსგავსი შეწოვითი ხმიანობები წარმოიქმნება; 6. საშემსრულებლო ანატომიური ორგანოები შეწოვა-განწოვისა ერთი და იგივეა და ხორციელდება ერთი და იგივე ადგილას; 7. ენის წვერი ორივე შემთხვევაში აკეთებს ჩვეულ, თითქმის იგივურ მოძრაობებს; 8. შეწოვა გამოსცემს იგივე ხმას რასაც განწოვა; 9. განწოვის ხმიანობა სამეტყველო ბგერა-ფონემაა. ნუთუ ეს ფაქტები არაფერს გვეუბნებიან? არა, ბატონებო. აქ სარკესავით ჩანს თუ როგორ იქცა კვებითი პირობითი აგენტი წ ფონემა წ-დ. (იხ. . „გ. თ.“ წ ბგერა). სხვა ფაქტები? თუნდაც ჰომინიდის მოაზრებებში წ ბგერის, ალბათობის თეორიის კანონებით დამტკიცებული, ჭარბი ხდომილობები და ა. შ.

მიჭირს ამის თქმა, მაგრამ ფაქტია: დიდადპატივცემულნო, თქვენი „ობიექტური მეცნიერული სიმტკიცე“ და, საერთოდ, ობიექტურობა ამ ჰიპოთეზების შეფასებისას აშკარად ჩავარდა. მტკიცედ ვაცხადებ: საბუთიერობაშერყეული ჰიპოთეზა არც ერთი გამაჩნია. ყველა კი არა ერთი კონკრეტული დამისახელეთ და პასუხიც ჩემზე იყოს.

შენიშვნა მეორე: გაუგებარია სიტყვა „გეორგიული“. თუ ავტორს სურს ხაზი გაუსვას რომ ადამიანის ამეტყველება საქართველოში დაიწყო და აქედან გავრცელდა მსოფლიოში (რაც უალრესად საეჭვოა), ხომ არ აჯობებდა სიტყვა „ქართველურის“ ხმარება, რაც მიღებულია ენათმეცნიერებაში.: ამ შენიშვნაში მოცემული იდეისთვის, რომელიც, ნაშრომის სრულფასოვანი დამუშავების შემთხვევაში, შეუძლებელია იყოს საეჭვო, ტერმინ ქართველურ-თან შედარებით, სწორედ რომ, გეორგიული-ს აშკარა უპირატესობაა. თითქმის მთელი მსოფლიო საქართველოს გეორგია-ს ეძახის. მისი ფონეტიკური ვარიანტები არის: ფრ. ჟორჟია, ინგ. ჯორჯია, თურქ. გურჯი, გურჯისტანი, სლ. გრუზია და ა. შ. ესენი მე-8 საუკუნის იქითა, ხოლო ქართუ და მისი დერივატები – ქართ-უ-ლი, საქართვ-ელ-ო კი პირიქით, აქეთა ისტორიის მქონე ტერმინები არიან (შ. ძიძიგური, „ბასკები და ქართველები“). განსაცვიფრებელია, დიაქრონიის (ისტორიული ენათმეცნიერების) ფუძემდებლობის, ჩემი ნაშრომისას, ასე თავგამოდებულ კრიტიკოსებს ეს როგორ გამოგრჩათ. მიუხედავად ამისა, თქვენი ხათრით, თქვენს შენიშვნას

მაინც გავითვალისწინებდი, ქართველი ხალხის უსაყვარლესი წმინდანის – **წმ. გიორგის** სიყვარულის გამო რომ არ მქონდეს, ეს სათაური, გამოტანილი.

აჰა, სათაურს, როგორც იქნა მოვრჩით. მ. ქურდიანმაც სათაურს და ანოტაციას სარეცენზიო გვერდების ნახევარი შეალია. ცხადია: რეცენზენტები სათქმელს ეძებენ...

შენიშვნა მესამე: მთავარი ამ შენიშვნაში შემდეგია: **„როგორც ჩანს, ავტორი ფლობს ქართულ, მეგრულ, აფხაზურ და, სავარაუდოდ, რუსულ და ინგლისურ ენებს... ეს საკმაოდ მწირი საფუძველია ლინგვისტიკური (იქნებ ლინგვისტური?!) წიაღსვლებისთვის...“**

მათი აზრით, ჩემს მიერ ხუთი ენის ცოდნა თუ „მწირი საფუძველია“ ენობრივი წიაღსვლებისთვის, ფიზიოლოგებს, კრიტიკისთვის, იქნებ უფრო ნაკლები ჰქონდეთ ეს საფუძველი, რადგან, დასაშვებია, მათ ამდენი ენებიც არ იცოდნენ. მ. ე. ეს შენიშვნა (თუ სუყველა არა) მათი და ენათმეცნიერების კოლექტიური ქმნილებაა, რაც, სწორედ რომ, ჩემი სურვილიც გახლდათ. ენათმეცნიერებაში უამრავი პოლიგლოტია ცნობილი, მაგრამ მათ მეტყველების წარმოქმნა ვერ ახსნეს. რატომ? ჯერ-ერთი, პავლოვამდე მათ არ გააჩნდათ მეცნიერული საფუძველი მეტყველების როგორც **პირობითრეფლექსური მოვლენის** ახსნისთვის, ხოლო, შემდგომ, როგორც აშკარად ჩანს, ამ კუთხით, ნაკლები ყურადღება იქნა გამახვილებული. ყოველშემთხვევაში, (ეს თუ მნიშვნელოვანია), არ შემხვედრია ენათმეცნიერული თხზულება, სადაც მეტყველების **ჩასახვის პირობითრეფლექსური ბუნების** ახსნა კი არა, თვით ეს ბუნება მოხსენიებულიც კი ყოფილიყო (იქნებ თქვენ დამისახელოთ). მეორეც, ისინი რჩებოდნენ იმ მიგნებების მილმა, რომელთაც, რეფლექსოგენურ და ხმაბაძვით ბგერათა და ბგერათკომპლექსთა სახით, ქართვ. ენებში რომ მივაკვლიე. დაახლოებით, ეს იმას ჰგავს, ათასობით ხელსაწყო-აპარატურით აღჭურვილი, მეცნიერი განძს ეძებდეს, მიაგნოს კი პატრონმა სახლ-კარისა – სადაც, ეს განძი იყო დამალული: ჩემი სახლ-კარი ჩემი **ქართველური ენებია,** ხოლო განძი – მათში დამალული უთვალავი და პირველადი სამეტყველო ელემენტები. კეთილო ხალხო, განძს მივაგენი, მზეზე გამოვფინე. დავტკბეთ მისი ბრწყინვალებით და დაე, ნუ გვადარდებდეს მპოვნელი.

მეორე დედააზრი წინამდებარე შენიშვნისა, რომელიც არსებითად მე-4 და მე-5-შიც მეორდება შემდეგშია: **„...დღეს მსოფლი-**

ოში... ხმარობენ ოფიციალურად და შინაურულადაც რამდენიმე ათას ენას. მათი ერთი ფესვიდან (რა ერთი ფესვი, რომელ გვერდზე წაიკითხეთ ეგა?! ე. ი.) ამოსვლა აბსოლუტურად შეუძლებელია. ამას მეტყველებს არამარტო ჩამოყალიბებული ენების მკვეთრად განსხვავებული ფონეტიკა და სემანტიკა, არამედ აგრეთვე, ერების' ყოფითი, სოციალურ-კულტურული, რელიგიური თავისებურებები და საზოგადოებაში არსებული პრიორიტეტები..."

სამწუხაროდ, ვერ შეგინიშნიათ მთავარი: რომ ავტორს მეტყველების ჩასახვა გამიჯნული აქვს ენების წარმოქმნისაგან: ჩასახვა სუფთა ფიზიოლოგიური -- პირობით-რეფლექსური მოვლენაა, ენები კი ამ ფიზ-პროცესით ჩასახული წ და ყ დემიურგთა და მათი ნაცვალი ბგერებისგან აღმოცენდნენ.

ძვირფასნო, ნუ დაგავიწყდებათ: ჩასახვის მომენტში, 3 მლ. წლის წინ, როცა ბუნებრივი საწარმოთქმო თვისებების მქონე ორად ორი წ და ყ ბგერაა კვებითი პირობითი აგენტი, ჰომინიდია, როგორც მოცემულობა, ამოსავალი წერტილი. ჯილლ ბეილისა და ტონი სედდონის აზრით 1,7 მლ. წლის წინ ადამიანი მეტყველებდა. საქართველოში კი აღმოაჩინეს 2 მლ. წლის ადამიანის ჩონჩხი. მაშასადამე, დაახლოებით, 3 და 2 მლ წლამდე წ და ყ ბგერათა კვებითი პირობითი აგენტის როლი არამარტო შეიცვალა სამეტყველოთი, არამედ ამ ბგერებით მეტყველების ტრადიციის ბაზაზე, დაახლოებით 1 მლ. წლის მანძილზე, ჩაისახა მეტყველების ცენტრი და ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა, უამრავ ბუნებრივ მოვლენათა ხმების მიბაძვით, შესაბამისად, ისეთ ბგერათა წარმოთქმა, რომელთაც ბუნებრივი საწარმოთქმო თვისებები არ გააჩნდათ, ანუ ხდება ისეთი ბგერების არტიკულაცია, აქამომდე შეუძლებელი რომ გახლდათ. ჰომინიდი გაადამიანების პროცესშია, მაგრამ, ცხადია, ამ დროს არანაირი ზემოთქმული „თავისებურებანი", „პრიორიტეტები" და მითუმეტეს – „ერები" (?!) არ არსებობენ.

დიდებულო დიაქრონისტებო, სინამდვილეში დღევანდელ აბსოლუტურ სინქრონიაშია თქვენი „ენათმეცნიერული წიაღსვლა", რადგან ის რაც ეხება თანამედროვე ადამიანს, მეტყველების წარმოქმნის ასპექტში, ავტორთან ერთი პერიოდი, ერთი ეპოქაა... რაც შეეხება ენათა ამოსავლიანობის თაობაზე ამ შენიშვნაში რომ ბრძანებთ – „ერთი ფესვიდანო", მე-4-ში „ხმაბაძვითიო", და მე-5-ში კი „ერთი ორი" ბგერიდანო, მიპასუხეთ: როდის იყო ერთი უდრიდა ორს, ხოლო ხმაბაძვითი ელემენტები ერთი და ორი თუ უთვალავი მაქვს დასახელებული? მარტო სა-

თაურებად და ქვესათაურებად რამდენია? დავიჯერო დამატებაც კი არ წაგიკითხავთ ყურადღებით? აბა, აი, ნახეთ, დამატების პირველ გვერდზე, ენათმეცნიერებაში, სიახლეების სიაში, რა წერია: **„წარმოჩენილია დასაბამისმიერი სამეტყველო მინიმუმი. რიცხობრივად იგი ნ. მარის 4 იაფეტურ ელემენტსაა თანხვედრილი. ესენია: წ და ყ თანხმოვნები, ხმოვანი ჳ და მრავალრიცხოვანი რეფლექსოგენური და ინდიფერენტული ბგერები და ბგერათკომპლექსები“**. ნუთუ მრავალრიცხოვანი შეიძლება იყოს ერთი ან ორი? ან თუნდაც – ოთხი?.. თუ „ერთ ფესვში“ ქართვ. ენებს გულისხმობთ (რომელთაშიც, თქვენს წინამდებარედ, მრავალი ამოსავალი ელემენტია) და არა ერთ ელემენტ – წყ-ს, მაშინ რატომ იქნება ამ ელემენტებიდან „ამოსვლა“ დაუშვებელი? უფრო მეტიც: ეს „ამოსვლა“ დასაშვებია პირდაპირ ორადორ წ და ყ ბგერიდან კი არა, მაგრამ, შესაბამისად, ამათგან წარმოქმნილ წინა და უკანა ენისმიერთაგან. დიახ, ამ უკანასკნელთაგან და, პლიუს ამათ, სხვა მრავალრიცხოვან რეფლექსოგენურ და ხმაბაძვით ბგერათა და ბგერათკომპლექსთაგან ენების წარმოქმნა სრულიად არაა საეჭვო (ოღონდ გასათვალისწინებელია ცვლილებები დიდ დროში). შეგახსენებთ, რომ ქართველური სამეტყველო ელემენტები მსოფლიოს ყველა ენაშიაო, ამბობდა გენიოსი ნ. მარი. მერე რა რომ მან ეს ვერ დაამტკიცა. ხომ იწინასწარმეტყველა. ჰქონოდა მას ჩვენი მონაცემები წინ ვინ დაუდგებოდა. თუმცა ეს როდი ნიშნავს ნებისმიერი ბგერითი აგებულებისა და უმოტივაციო სიტყვების არსებობის უარყოფას. ოღონდ ისინი ზედნაშენურნი არიან, რამეთუ ჩნდებიან ზემოთდასახელებულ, ელემენთა მეტყველებითი პრეცენდენტის და სამეტყველო ტრადიციის ბაზაზე. დასახელებულ ელემენტთა მეშვეობით მეტყველების პერიოდი მაშინდელი კაცობრიობის (ჩვენი არქიწინაპრების – კავკასიელთა და ინდოევროპელთა) ტიტინის პერიოდია. და ეს „ჩემი მოსაზრება“ მტკიცდება ბავშვებში იგივე პერიოდის არსებობით, როგორც გამოვლენა სახეობითისა. ბავშვი, ენის ადგმის პერიოდში, ხშირად ახდენს სახელდებას, განსხვავებულს ენაში გაბატონებულისაგან. მეტყველ გარემოში მან შეიძლება გაგება გამოიწვიოს, მაგრამ არ მკვიდრდება. ხელს უშლის უკვე არსებული სახელი და ბავშვი იძულებულია, ეს უკანასკნელი, აითვისოს, ნაცვლად მისმიერი ნეოლოგიზმისა. ეს ერთეული ფაქტი კი არა ხშირი და კანონზომიერი მოვლენაა და ამდენად – საყურადღებო. ასე ხდება ამჟამინდელ ლექსიკით გაჯერებულ გარემოში,

მაგრამ ხომ იყო დრო როცა ენები გაცილებით ნაკლები რაოდენობისანი და თანაც ლექსიკით ღარიბნი, ამ უკანასკნელით, შევსებას საჭიროებდნენ.

წარმოვიდგინოთ პერიოდი, როცა ხმისგამომცემი მოვლენები და მათთან აზრობრივ კავშირში მყოფნი სახელდებულია, ამ თვისებებს მოკლებულნი კი არა. ამ შემთხვევაში, ამჟამინდელ ბავშვებში არსებული ნეოლოგიზმის მსგავსად, მაშინდელი კაცობრიობის ნეოლოგიზმი,* (იმდროინდელი კაცობრიობა განსხვავდება დღევანდელისგან. ინდივიდები მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობენ ბგერების (სიტყვების) წარმოთქმას, უსადაგებენ რა მათ ორგანიზმის ფიზპროცესთა თუ გარემოს ხმებს. თაობებში ეს გრძელდება იმ საკმარი ასეული ათასწლეულების მანძილზე, რათა ამჟამად, როგორც გენეტიკური ფენომენი, ტიტინის პერიოდი გვქონოდა, მაშინდელ ბავშვებს ეს პერიოდი, ცხადია, არ ექნებოდათ, რადგან სახეობას ჯერ არ ქონდა გამოვლილი). გაგებინების შემთხვევაში, არ უქმდება, რადგან უარმყოფელი ლექსიკა არ არსებობს, ხოლო ახალი სიტყვის საჭიროება კი არის. ასეც წარმოიშობიან მოვლენის არსსდაცილებული პირობითი ნიშნები („რომლებიც არაფრით გვანან სახელსადებ მოვლენას"), უმეტესნი კი ბგერითი ცვლილებების თუ საწყისი ძირის გაქრობის შედეგნი არიან. ამგვარად, ენების „ამოსვლა" ერთი და ორი კი არა მრავალი ელემენტიდან და სხვადასხვა მექანიზმით შეიძლება მომხდარიყო, ოლონდ უკვე არსებულის საფუძველზე, ხოლო არსებული, როგორც ვთქვით, წ და ყ, პლიუს ხმაბაძვით – რეფლექოგენური ბგერები და ბგერათკომპლექსები არიან. ასე რომ, მე-4 შენიშვნაში დასახელებული სიტყვები, შესაძლებელია, ამგვარად წარმოქმნილიყვნენ: **შგ**-დან (იხ. 117) – **სელ-ი //შოლ-ირი** → გერ. **ვასსერი**; **ჩხგ**-დან > **ჩურ** ძვ. სომხ. „წყალი" // **ჯურ** „ახალსომხ. „წყალი" (ეს მნიშვნელობა სომხურისა ნ. მარმა მეგრ. **ჩურ** „ქალის გარეგან სასქესო ორგანოს მნიშვნელობას დაუკავშირა); **წყ**-დან: ქართ. წყურვილი → მეგრ. ცუმენი „წყურვილი". **ც < ყ < წყ**. მეგრულად პირველ პირში იქნება **ბც**-უმენს „მწყურია" //> პუმენს „მწყურია". ბც კომპლექსმა მოგვცა პ ბგერა. რატომ არ შეიძლება ეს პ იყოს ბოშური **პი** „სმა", რუს. **პიტ** „სმა" და არაბ. **მა** „წყარო" სიტყვათა ამოსავალი? ან **წყ** და მისი უთვალავი ალომორფებიდან ლათ. **aqua** სიტყვის წარმოქმნა დაუჯერებელია?... რაც შეეხება ბერძ. ნერო-ს საინტერესოა, რომ მეგრულად წყლის

ფონ მონაკვეთში არსებულ წყალს ჰქვია – ნერა. ნერა წყარი = მდორე წყალი. ნერა, მდორე, ბარი და ბერძნ. ნერო მსგავსნი არიან. მაგრამ უმთავრესი გახლავთ ის ფაქტი, რომ „მრავალენიანობა ვერ გამოდგება მ-ის პირობითობის საბუთად, რადგან, ერთიდაიგივე მოვლენა ხალხებში განსხვავებულად აისახება. განსხვავებული სინონიმური ფორმები ხომ ერთი ენის შიგნითაც გვხვდებიან. ასევე, დასაშვებია, ზემოთქმულის გათვალისწინებით, ზოგი მათგანი, ვთქვათ ფრ. eau, იყოს ტიტინის პერიოდის ნეოლოგიზმის შედეგი.

ამით მოვრჩით შენიშვნების სახით მოცემულ პირველი (ენათმეცნიერული) ნაწილის განხილვას, ფიზიოლოგთა რეცენზიისა.

მეორე – ფიზიოლოგიურ ნაწილში სახელოვან მეცნიერებს ვეთანხმები. შენიშვნებს ვიზიარებ. ოღონდ ეს ნაწილი თეორიის დადასტურებაა, ანუ რეცენზია ამ მონაკვეთისა დადებითია და არა უარყოფითი. მადლიერი ვარ ნაშრომის წიგნად გამოცემის სურვილის გამოხატვისთვისაც. თუმცა, ხშირად, ამ რჩევის საპირისპირო რამ კეთდება. მაგ. ამ კეთილშობილ განაცხადში: **„...ვეცდებით ავტორი გავარკვიოთ თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის და ზოგადად ბიოლოგიის მდგომარეობაში, რომელიც შეიქმნა მეტყველებასთან კავშირში-ო“** როცა ამბობენ, აშკარად იკითხება: ავტორი ვერ გარკვეულა, თორემ, **სადღეისოდ, ნეიროფიზიოლოგიის და ბიოლოგიის მდგომარეობა მეტყველებასთან კავშირში, თითქოს. იმდაგვარია, ცხოველი მზის შუქით იყოს გაჩახჩახებულ-გაბრდღვიალებული.** არაფერიც, ბატონებო: ნებისმიერი ფენომენი მათ შორის მეტყველებაც, მარტო აწმყოში როდია: მას ისტორია გააჩნია. როცა მეტყველებასთან კავშირშიო ითქვა, მკითხველი, განსხვავებით რეცენზენტთაგან, არა მხოლოდ თანამედროვე მეტყველებას, არამედ მის წარმოქმნა-განვითარებასაც გულისხმობს და, ბუნებრივია, მიაჩნია თითქოს დოქტორ-პროფესორები ამაში მარკვევენ. ეს მაშინ როდესაც სწორედ (იქნებ) ავტორია ნოვატორი ნეიროფიზიოლოგიის და ბიოლოგიის ჩაყენებისა მეტყველების ჩასახვა-წარმოქმნა-განვითარების გარკვევის საკითხში. ამიტომაცაა, რომ სათაურია – „გიორგიული ანუ მეტყველების წარმოქმნის პირობითრეფლექსურ-ხმაბაძვითი თეორია“ და არა: თანამედროვე მეტყველება ნეიროფიზიოლოგიისა და ბიოლოგიასთან კავშირში. სამწუხაროდ, რეცენზენტებს არათუ არ დაუდგენიათ ხარისხი ამ სიახლის გაშუქებისა, არამედ საკითხის დაყენებაც კი არ დაუფიქსირებიათ. ან იქნებ ავტორი ცრუობს და, სადღეისოდ, მეტყველების გენეზისის პრობლემა

სხვა ავტორთა მიერაა მოხსნილი?.. იქნებ რეცენზენტები ამაში მარკვევენ?.. აღფრთოვანებული შეეხვდებოდი ასეთ თანადგომას. მაგრამ, ვაი, რომ სათქმელი არაფერი გააჩნიათ და ვერაფერიც უთქვიათ, აბა სად: ზემოხსენებულ ავტორის „გარკვევაზე“ დაპირებების შემდეგ, ისინი ენათმეცნიერებაში შეიჭრნენ და არც ვიცი სად ვიხილო ეს „გარკვევები“, რადგან იქ ნეიროფიზიოლოგიასა და ბიოლოგიაზე კრინტიც არ დასცდენიათ. მართალია, მე-4 შენიშვნაში, რიცა თქვეს:“ ე. იზორიასეული სიტყვების ჩამოყალიბების „ხმაბაძვითი“ (თანაც რატომღაც მაინცადამაინც **ჭამასა და სმასთან დაკავშირებული..**) **მექანიზმი საინტერესოა-ო“ – სიტყვებით:** ჭამა და სმა **გამოხატული მოვლენები ფიზიოლოგიაში შესაბამისი ფიზაქტები გახლავთ და მეტი არაფერი.** თანაც ეს ფრაზა იმდენ კითხვებს ბადებს, თავადაა გასარკვევი. მისი კონტექსტი აბსოლუტურ შეუსაბამობაშია ავტორისეულთან: არა **ჭამასა და სმასთანაა** აღნიშნული მექანიზმი დაკავშირებული, არამედ ნოვასა და ყლაპვასთან. და „რატომღაც“ კი არა, იმიტომ „მაინცადამაინც“ **წოვასა და ყლაპვასთან,** რომ ამ უკანასკნელთა ხმიანობები – **წ... წ...** და **ყ... ყ...** ბგერები წოვისა და ყლაპვის უპირობო რეფლექსთა გამომწვევ გამღიზიანებელთა შემცვლელი გამღიზიანებლები ანუ პირობითი აგენტები არიან. რაც შეეხება ჭამასა და სმას, ბევრჯერ ითქვა: იმ დროს სმა, დღევანდელი გაგებით, როცა ადამიანი წყალს ჭურჭლეულით მიირთმევს, არ არსებობს. ჰ. წყალსატევებს ტუჩებით ეწაფება და ისრუტავს, წოვს მას. ჭამისას კბილების საშუალებით საჭმლის დაქუცმაცების ხმიანობის ხმაბაძვა კი, დარად სხვა ხმაბაძვითი მოვლენებისა, შემდგომ – მეტყველების მე-3 პერიოდში ხდება. რეცენზიის ამ მონაკვეთში, ავტორის მართლაც „ბუნდოვანი გარკვევების“ შემდეგ, რეცენზენტები ენათმეცნიერებიდან კვლავ ნეიროფიზიოლოგიაში ბრუნდებიან და, უნდა ითქვას, გაცილებით მეტ წარმატებას აღწევენ: მათ „თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის საკვანძო საკითხებში“ ბ-ნ. იზორიას „წარმოდგენების ბუნდოვნობის“ დასამტკიცებლად, როგორც ეტყობა, უამრავი „გაუგებარი პასაჟები“ ეგულებათ. მერე რა, რომ დაასახელეს ერთადერთი. მთავარი ისაა ავტორს არ უნდა მიეცა თავისთავისთვის ფუფუნების უფლება – ესარგებლა (თუნდაც ერთჯერ) მეცნიერული სატელევიზიო გადაცემის მონაცემით. ბატონებო, გულწრფელად გემადლიერებით. გპირდებით, ამ ერთადერთ „პასაჟს“ „ბროკას უბნის“ ლოკალიზაციის თაობაზე (რომელიც ნეიროანატომიას უფრო განეკითვნება ვიდრე ნეიროფიზიოლოგიას) ნაშრომიდან ამოვიღებ.

ოლონდ, თქვენც ხალხნი ბრძანდებით, დამპირდით, რომ ავტორის „ბუნდოვანი წარმოდგენები" იმწუთშივე აკაშკაშდებიან. რაც შეეხება „ყვითელი პრესიდან" სესხებულ ინფორმაციას – „მაუგლების და ტარზანების" რეალური არსებობა ცივილიზებური კაცობრიობის ისტორიაში.. უკიდურესად იშვიათობა რომაა სწორია (აბა, ჩვილის დაკარგვა და ჯუნგლებში გადარჩენა ხშირი ხომ არ იქნებოდა?!..), აგრეთვე, ეს არსებობა ლეგენდებისა და მითების სფეროსაც რომ განეკუთვნებ, ესეც სწორია (კინოსურათები „ტარზანი და მაუგლი" სინამდვილე ხომ არაა). მაშ, კავშირი არ-ჩევნისა – „ან" რა საჭიროა?!.. ღვთაებრივი შუქით ანთებულ ოთახში (ღვთის შეწევნის გარეშე ვერაფერს გავხდებოდი და იმიტომ), რეცენზენტთა სამივე ჯგუფის მიერ შავი კატების ძებნისა და ავტორისგან მათი ზუსტი ადგილ-სამყოფლის მითითების შემდეგ, უპრიანია ყურადღება გავამახვილოთ, სამივე სარეცენზიო წერილიდან, ფიზიოლოგთა წერილის ბოლოკიდურ მონაკვეთზე, სადაც კონტექსტები სრულ შესაბამისობა-ჰარმონიაშია ავტორისეულთან. ხაზი უნდა გაესვას: ისინი ფუძემდებლური, გადამწყვეტი მნიშვნელობისანი არიან. მაგ: ეს ციტატა: „..ავტორის მსჯელობა ადამიანის მიერ მეტყველების ასაკობრივი ჩარჩოების შესახებ სავსებით სამართლიანია".., ფაქტობრივად, **მეტყველების ბიოგენეზური კანონის (მ.ბ.კ.-ის), როგორც სახეობის აღმოჩენის ალიარებაა, რადგან ინდივიდში (ონტოგენეზში) თუ არსებობს „მეტყველების ასაკობრივი ჩარჩოები", შეუძლებელია ის სახეობაშიც (ფილოგენეზში) არ არსებულიყო.** მ.ბ.კ.-ის აღიარებაა, აგრეთვე, ფიზიოლოგთა მსჯელობები ადამიანის იმპრინტინგზე და სენსიტიურ პერიოდზე. მართლაც, განა შესაძლებელია, ფიზიო თუ ბიოლოგიამ აიღოს პასუხისმგებლობა ამ ფენომენთა გენეტიური განპირობებულობის უარყოფაზე?.. განა დასაშვებია, ორგანული მოცემულობები როგორიცაა:"..მკაფიოდ და კონკრეტულად დადგენილი თავის ტვინის ის უბანი რომელიც ინახავს ჩაბეჭდილ ინფორმაციას" და სინაფსები (სუსტნი თუ ძლიერნი), აგრეთვე მათში მიმდინარე მუდმივი, მყარი და კანონზომიერი პროცესები არ იყოს სახეობითის განვითარების განმეორება ინდივიდში?.. მაშ, რატომაა გარკვეულ სახეობებში (ადამიანებშიც...) სინაფსებით განხორციელებული გადაცემა ინფორმაციისა ბიოელექტრული, ხოლო ცხოველთა სხვა სახეობებში (მაგ. კიბოსნაირებში) ბიოქიმიური?.. ფაქტს მასზედ, „რომ წიწილას სენსიტიური პერიოდი გამოჩეკიდან 16-18 საათს გრძელდება.., ხოლო ადამიანისა, დაახლოებით, 5 წელი.." აბსურდი არ იქნება და-

ვაშოროთ ბიოგენეზი?.. ავტორის ამ უმნიშვნელოვანეს, მრავალი ფაქტებით შეჯერებულ, სიახლეზე – მეტყველების ბიოგენეზურ კანონზე სახელოვანი რეცენზენტები, კაცს ეგონება, გაისუსნენ. სინამდვილეში, როგორც ვხედავთ, მისი რეალობა მშვენივრად დაადასტურეს, მაგრამ ეს ისე ოსტატურად გააკეთეს, არათუ მკითხველი, თვით ავტორიც ვერ მიმხვდარიყო და, ჰოი საოცრებავ, ისეთი შთაბეჭდილება დატოვეს თითქოს თავადაც ვერ ხვდებიან.

ახლა მოგვყავს ციტატა, რომელსაც, ბეჭედში იაგუნდივით უზის მტკიცებითი ნაწილაკი – **„დიახაც“**. აი, ისიც: **„.. მეტყველება დიახაც პირობითრეფლექსური პროცესია თავისი გამომუშავებით, განმტკიცებით და შეკავების ორივე – შინაგანი და გარეგანი ფორმით..“** ხედავთ?: **დიახაც**-ო. ეს ც, ალბათ, ფიზიოლოგებისგან ყველას მათ (თავად ფიზიოლოგებს, ფსიქოლოგებს და ენათმეცნიერთ) ნაშრომის აკადემიურობის (მეცნიერული საფუძვლიანობის ქონების) უარყოფის გამო ეძღვნებათ. ამგვარი ძღვენი კი, იმედია (როგორც იტყვიან ოცნება არ ვნებს) ამდაგვარ პოლემიკას გამოიწვევდა (იხ. ქვემოთ – „რეცენზიები და მათზე პასუხების“ რეზიუმეს შემდეგ).

რეცენზიები და მათზე პასუხების
რ ე ზ ი უ მ ე

ფიზიოლოგებმა რამდენიმე (ხუთადხუთი) შენიშვნით თავი ენათმეცნიერებაში „გამოიჩინეს“. საინტერესოა, ენათმეცნიერთ არცერთი ენათმეცნიერული შენიშვნა არ მოუციათ და ფიზიოლოგებს რა რჯიდათ?!... ვფიქრობ, ეს მათ ენათმეცნიერთა დაკვეთით გააკეთეს. მაშ, რაც სრული ფიასკო მოუვიდათ მათვე დააბრალონ. მიუხედავად ენათმეცნიერულ ნაწილში, ნაშრომთან მიმართებით, შენიშვნების მართლაც დილეტანტურობისა და ავტორის მიერ მათი, დასაბუთებულად და სრულად გაბათილებისა, ფიზიოლოგების და ბიოლოგების რეცენზია, მის ფიზიობიოლოგიურ ნაწილში, დადებითია: მათ დაადასტურეს ავტორის მიერ მ-ის ბიოგენეზური კანონის აღმოჩენა, ოღონდ თავიანთი მაღალი მეცნიერული იმიჯის შელახვის შიშით ეს ხაზგასმით კი ვერა თქვეს. თუმცა ენათმეცნიერებთან და ფსიქოლოგებთან ტანდემში მათ მეტის თქმის უფლება არც ქონდათ. ენათმეცნიერებმა, ერთი წერტილიც რომაა პოზი-

ტივში ვერ შენიშნეს. მაგრამ საოცრება ისაა არცერთი ნეგატიური წერტილიც რომ არ დაუფიქსირებიათ... ივ. ჯავახიშვილი ამბობდა: ჩემი ეტიმოლოგიების 40% მართებული თუ იქნება ბედნიერი ვიქნებიო. რა თქმა უნდა, არც ავტორია დაზღვეული გარკვეული უზუსტობებისაგან მაგრამ ამას ხომ დამტკიცება სჭირდება?... ენათმეცნიერთ ავტორის მიერ მოხმობილ სისტემებში შემავალ ასეულობით სიტყვათა ეტიმოლოგიების უზუსტობანი „აკადემიურად", „ისტ. შედ. მეთოდისა" და „სტრუქტურული ანალიზის კლასიკური მეთოდების გამოყენებით" უნდა დაემტკიცებინათ და შემდეგ ცდილიყვნენ ნაშრომის ჩამოწერას. სინამდვილეში შემოიფარგლენ ზოგადი ფრაზებით: „არა აკადემიური", „არ ითვალისწინებს ისტ. შედ. მეთოდის და სტრუქტურული ანალიზის კლასიკურ ენათმეცნიერულ მეთოდებს" და მორჩა და გათავდა:კი ბატონო, მაგრამ ეგ რომელ თავში?, რომელ გვერდზე?, რომელი სიტყვაა ეგეთი?... უნდა დავასკვნათ: ნაშრომთან მიმართებით კი არა თავად ეს რეცენზია გახლავთ უარყოფითი. უფრო სწორედ, ეს წერილი რეცენზია კი არა, მასზე უარის თქმაა. ეს მაშინ როცა ამას ითხოვდა უშუალო ხელმძღვანელი ორგანო – სამინისტრო. ნაშრომის დამუშავება ვერც ფსიქოლოგებმა მოასწრეს. მაგრამ ეს არ შეიმჩნიეს და შეეცადნენ ფონს, ავტორის მიერ აწ გაბათილებული, რამდენიმე აბსურდული შენიშვნით გასულიყვნენ. ამგვარად, ეს ერთნახევარგვერდიანი წერილიც რეცენზიად ვერ ჩაითვლება და თავადაა უარყოფითი. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას: რეცენზენტთ ნაშრომის დამუშავებისთვის საკმარი დრო არ ქონიათ. ამიტომაც მოითხოვეს მისი შემდგომი შესწავლის მიზნით პუბლიკაცია. ჯობდა კი ამაზე შეჩერებულიყვნენ.. სინანული მძლევს, რომ საქართველოში უნარ-ჩვევებს (ნიჭს) არ აფასებენ. განსაკუთრებით მომიჯნავე თუ სხვა სპეციალობებში (ავტორისთვის ფიზიოლოგია და ფსიქოლოგია მომიჯნავე, ხოლო ენათმეცნიერება სხვა სპეციალობაა). პირიქით კი უნდა იყოს, როგორც ეს ევროპაშია. მაშ, რა საჭიროა რეფორმა განათლების სისტემაში თუ ამგვარ პიროვნებებს დავეხმარებით კი არა, გასაქანს არ მივცემთ და მათ ღვაწლს ხალხის სამსახურში არ ჩავაყენებთ.

პოლემიკა

(მეცნიერებათა ინსტიტუტებიდან მიღებულ რეცენზიების საპასუხოდ დაწერილი ნაშრომი)

ავტორი — მეგობრებო, უღრმესად გემადლიერებით იმ პოზიციის გამო, რაც ავტორისეულ „გეორგიული თეორიის“ შეფასებისას გამოიჩინეთ -- რომ „საჭიროა მისი სასწრაფო პუბლიკაცია და, კომპლექსურად, გამოწვლილვით განხილვა.“

მაშასადამე, გამეორებებს გვერდს ვერ ავუვლით. თუმცა კი, კარგად მოგვეხსენება: „გამეორება ცოდნის დედაა“.

დავიწყოთ მეტველების (მ-ის) ჩასახვის ალგორითმიდან.

ფილოსოფოსი – მ-ის გენეზისის ალგორითმი, პირველ საფეხურად, გულისხმობს კითხვას მის წარმოქმნადობაზე: იქნებ იგი არც წარმოქმნილა? საინტერესოა, ავტორის ერთი ფრაზა: „ვინც ევოლუციას უარყოფს ღმერთსაც უარყოფსო.“ ე. ი. ღმერთი, ავტორის აზრით, არამარტო ირეალურშია, არამედ რეალურშიც და პირველ რიგში – კანონზომიერებებში და იმპულსებში. აქსიომაა, რომ მეტყველება თვისობრივად და რაოდენობრივად ცვლადი (მზარდი) ფენომენია, ამიტომ ალგორითმის პირველ საფხურად უნდა დადგინდეს რომ იგი, ყოველმიზეზსგარეშე, წარმოქმნადია.

ბიოლოგი – მ-ბა აქსიომატური ევოლუციური ფენომენია. შედეგის წვდომა ალგორითმის ამ მეორე საფეხურის გარკვევაშია.

ენათმეცნიერი – ბატონებო, მიუხედავად, თქვენს მიერ დასახელებული, ორი აქსიომისა, უნდა გაუწყოთ: ალგორითმის მეორე საფეხურს, ვერანაირად, ვერ გადავახტებით: ავტორი, მეტყველების ჩასახვის საფუძვლად, ხომ ნოვა-ყლაპვის ხმიანობებს ასახელებს. მაგრამ რატომ ,,მაინცადამაინც“ ადამიანის წინაპარს განუვითარდა მეტყველება? სხვა ძუძუმწოვრები რა ძუძუს არ წოვენ? თუ შეგრძნებათა სიმახვილით ჩამორჩებიან ადამიანის წინაპარს?

ფიზიოლოგი – ფიზიოლოგიურ ასპექტში ეს კითხვა ასე დაისმის: რატომ ადამიანის წინაპარს განუვითარდა მეორე სასიგნალო სისტემა, მის მეტყველებით ატრიბუტთან უწყვეტ მთლიანობაში?.

ავტორი – ამ კითხვაზე არის პასუხი. უფრო სწორედ ეს პასუხი ამ კითხვაზე ავტორისეული პასუხისმგებლობის მოხსნაა, რამეთუ იგი მსოფლიო მეცნიერებას აქვს თავისთავზე აღებული და

მდგომარეობს, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილ ჰომინიდის თავის ტვინის მაღალ განვითარებაში. ეს ერთი, მეორეც: ეს კითხვა, შეიძლება ითქვას, თავისთავშივე პასუხს გულისხმობს. აი, რატომ: ყოველ სახეობას ონტოგენეზში ჰყავს წინაპარი ფილოგენეზში. სხვა სახეობას რომ ჰქონებოდა მეტყველება უნდა დაგვეწყო ძიება ფილოგენეზში მისი ევოლუციისა. ფაქტი სახეზეა: მხოლოდ ადამიანია მეტყველი, მ. ე. სწორედ მის წინაპარს – ჰომინიდს განუვითარდა მეტყველება და ალგორითმის ეს მესამე საფეხურიც აქსიომატურია ანუ აბსოლუტური ჭეშმარიტებაა.

ფილოს. მ. ე. კითხვა რატომ მოხსნილია და რჩება როგორ?

ფიზიოლოგი – დიახ, სწორედ ამ კითხვას პასუხობს ნაშრომი. ხოლო რომ ვუპასუხოთ კითხვას როგორ? არანაკლებ მნიშვნელობისაა მეოთხე აქსიომა: მეტყველებას გააჩნია პირ. რ. ბუნება.

ბიოლოგი – იგივე რანგისაა მეხუთე აქსიომა: მეტყველებას ქმნის მეტყველი გარემო.

ენათმეცნიერი – ფუნდამენტური ის ფაქტი (მეექვსე) აქსიომა გახლავთ, რომ მეტყველების ორგანო ენაა, ამიტომ ეწოდება მსოფლიოში ყოველ ლექსიკო-გრამატიკულ სისტემას – ენა. ეს უკანასკნელი ფაკტიც მრავლისმეტყველია: პრობლემას უნდა ენის ბიოგრაფიაში ვწვდეთ.

ფიზიოლოგი – სწორია. ამიტომ ამ მეექვსე ფუნდამენტურ აქსიომაშიც უმნიშვნელოვანესი მეშვიდე აქსიომატური კვალია: უშუალოდ კვების ორგანო ენამ შეითავსა სამეტყველო ფუნქცია. პრობლემა იმაშია თუ როგორ შეძლო მან ეს.

ენათმეცნიერი – პრობლემა ამ შვიდ ფუნდამენტურ აქსიომებზე დაყრდნობით და, ძირითადად, ჩვენით წარმოდგენილ, მეცნიერებათა ასპექტებშია გადაჭრილი. მაგრამ , უმთავრესად – ენათმეცნიერულში, რაც გასაგებია: საკითხი ხომ – ენის, მ-ის ჩასახვა და წარმოქმნა–განვითარებაა.

მათემატიკოსი – ვერ დაგეთანხმებით: გარდა ენათმეცნიერება, ფიზიოლოგია და ბიოლოგიისა დიდმნიშვნელოვანია მეცნიერების სხვა დარგებიც: ფსიქოლოგია, ფილოსოფია, ანტროპოლოგია, არხეოლოგია, ისტორია და განსაკუთრებით ნიშვნელოვანი და საინტერესოა მათემატიკიდან ალბათობის თეორიის მოხმობა, რაც, რა თქმა უნდა, უნიკალური შემთხვევაა. თუნდაც ერთი რომელიმეს გამოკლებით პრობლემა ვერ გადაწყდებოდა. როგორცა ჩანს,

კომპლექსურად მოგვიწევს ჩვენი ძალების ერთ საერთო მიზანში მობილიზება.

ფიზიოლოგი – ავტორისეული სიახლე: „მეტყველება პირ. რეფლექსია (მერვე აქსიომა), ამიტომ ჯერ არს ჩასახვა, წარმოქმნა და განვითარებაც რომ მასვე დაუკავშირდეს," აქსიომატური თუ არაა (ავტორის აზრით კი სწორედ რომ აქსიომატურია), მისი გათვალისწინება მაინცაა უპრიანი.

ფილოსოფოსი – თუ აქამდე მეტყველებას არ უკავშირებდნენ იმას, რაც თავადაა და ასე სურდათ მისი ჩასახვის ამოხსნა, მაშ, გამოდის, აქამომდე მსოფლიო მეცნიერება ხელს ყოფდა იმ გუბურაში სადაც თევზი არც იყო. რაც შეეხება ლოგიკას, იგი უფრო იმაშია ანუ უფრო აქსიომატური ის გახლავთ, რომ რაკი, როგორც ზემოთა ვთქვით, ენათა რაოდენობა თუ ენობრივი მონაცემები განუწყვეტლივ იზრდება, უნდა ვიგულისხმოთ რაღაც უმცირესი მინიმუმი საწყისისა, რომლის მიგნება, უდაოდ, განმაცვიფრებელი და უდიდესი სიახლე (მე-9 აქსიომა) გახლავთ.

ავტორი – ფაქტი მასზედ, რომ აქამომდე მსოფლიო მეცნიერება ხელს ყოფდა იმ გუბურაში სადაც თევზი არც იყო, მთავარია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ, დამატებით, იგი იჭერდა არა იმ ოქროს თევზს, რომელსაც პირში ზურმუხტი ეკავა: მხედველობაშია ქართველური ენები, განსაკუთრებით – მეგრული ანუ ახალკოლხური, რადგან, ჯერ-ერთი, მსოფლიო ენებიდან ყველაზე მეტად, სწორედ ამ უკანასკნელმა შეინარჩუნა უპირველესი ამოსავალი მდგომარეობა და, მეორე, მეცნიერებაში, დასაბამისმიერობის თვალსაზრისით, თუ ქართული ენა, ასე თუ ისე, შესწავლილია, მეგრული, ამ კუთხით, აქამდე სრულიად ტერრა ინკოგნიტაა.

ენათმეცნიერი – იმაში კი, რომ მეტყველება ემპირიული მონაცემებით – ბგერებით ხორციელებადი პროცესია, არაფერია სიახლე.

ანთროპოლოგი – ბატონო ენათმეცნიერო, თქვენ უკვე მეათე ფუნდამენტური აქსიომა დაასახელეთ: როგორცა ჩანს, აქსიომები გვიგროვდება. ხაზგასასმელია ავტორისეული სიხლე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: **„ცხოველებს გააჩნიათ ბგერითი სიგნალები გამომხატველნი ემოციისა თუ ორგანიზმის მდგომარეობისა"**, და ემოციადაცლილი **„ნატურალური მდგომარეობისა"** – ეგრეთწოდებული – **„ცხოვრებისეული ხმიანობები,"** რომელნიც მეცნიერების მიერ უკვე დასახელებულნი არიან მ-ის წარმოქმნის შესაძლო საფუძვლად, ოლონდ ამის დამამტკიცებელი არავითარი

საკმარი ფაკტები არსებობენ, განსხვავებით ავტორისაგან, რომელიც მისმიერვე მიგნებულ სპეციფიურ ბგერებს განიხილავს პირ. და უპირობო. რეფლექსებზე პავლოვის მოძღვრების ასპექტში.

ფიზიოლოგი – მთავარი ავტორისეული სიახლე გახლავთ ის რომ ბგერების გამომწვევ ფიზაკტთა – წოვა-ყლაპვის უპირობო რეფლექსების გამღიზიანებლებს შეუძლებელია ისინი **(წ და ყ)** არ შეუღლებოდნენ, როგორც კვებითი პირობითი რეფლექსების გამომწვევნი: ისეთების როგორიცაა კუჭში – წვენის, პირისღრუში – ნერწყვის გამოყოფა და ა. შ. დასახელებულ ბგერებზე და მათ მიერ გამოწვეულ პირობითი რეფლექსების გამო, ორგანიზმში მიმდინარე ექსტრა თუ ინტრაბიოლოგიური პროცესების (ბილოგიური თუ ბიოქიმიური ცვლილებების) ინფორმაციები „თავის ტვინის მკაფიოდ და კონკრეტულად დადგენილ უბნებში ჩაიბეჭდნენ და იქ ინახებიან": „... ადგილი აქვს სუსტი სინსფსების გარდაქმნას ძლიერად"... თავის ტვინის ქერქს კი სრულიად უპყრია ხელთ ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებათა მართვის სათავეები.

ანტროპოლოგი – ბატონო ფიზიოლოგო, სინაფსებზე და იმპრიტინგზე თქვენ ბრძანეთ: „... აქ მიმდინარე პროცესების მოლეკულური მექანიზმების განხილვას აზრი არა აქვს"ო. ავტორიც იგივე მოსაზრებისაა. თუ აუცილებლობა არ მოითხოვს, აღნიშნულისამებრ ვიმოქმედოთ და ნუ დავკონკრეტდებით.

ფიზიოლოგი – გეთანხმებით. რაც შეეხება სიახლეებს, დიახაც სიახლეა ის რომ ავტორმა დაასახელა მეტყველების ჩასახვის ოთხუცნობიანი გამოცანა, რომელშიც მხოლოდ ერთი – მეტყველება პირობითი რეფლექსი რომაა არის ცნობილი, დანარჩენი სამი კი უცნობია. ესენია: **1. მოვლენა და მისი უპირობო რეფლექსები; 2. უპირობო გამღიზიანებლები ამ უპირობო რეფლექსებისა; 3. პირობითი გამღიზიანებლები იმავე უპირობო რეფლექსებისა.**

მთავარი ისაა, რომ ავტორმა ამოხსნა კიდევაც ეს ამოცანა, ცნობილი გახადა რა სამივე უცნობი. შესაბამისად, ესენია: **1. წოვა–ყლაპვის უპირობო რეფლექსები; 2. უპირობო გამღიზიანებლები ამ უპირობო რეფლექსებისა – რძე, წყალი; 3. ამ უპირობო გამღიზიანებელთა შემცვლელი პირობითი გამღიზიანებლები – წოვა–ყლაპვის წ...წ.. და ყ..ყ... ხმიანობრები.** და ეს გახლავთ ალგორითმის ბოლო საფეხური: სამედიცინო პრაქტიკაში დაავადებათა დიაგნოსტიკა, უხშირესად სპეციფიურ ალგორითმზეა ბაზირებუ-

ლი. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი იქნა დაავადებისთვის დამახასიათებელი ერთადერთი – პათოგნომური სიმტომი, დიაგნოზი მაშინვე, ყოველგვარი სხვა გამოკვლევისა და ალგორითმის გარეშე, ისმება.

ბიოლოგი – ბატონებო, ფიზიოლოგმა აქვე დაასახელა, ავტორის მიერ მიკვლეული, მეტყველების ჩასახვის მექანიზმის ის ერთადერთი – მონოგნომური სიმტომოკომპლექსი (სინდრომი), რომელიც იძლევა ამომწურავ ახსნადობას ამ მექანიზმისა და გამორიცხავს სხვა კვლევისა და ალგორითმის საჭიროებას.

ისტორიკოსი – განსხვავებული პროფესიიდან გამომდინარე, ჩემთვის, ასე ადვილი არაა ყველაფერი სწრაფად და მარტივად გავიგო, ამიტომ, ჯერ-ჯერობით, ვერ დაგეთანხმებით: თუ ბგერას ფიზაქტი გამოყოფს ანუ მასშია ასოცირებული, მთლად ნათელი არაა, როგორ შეიძლება ამ ბგერამ პირობითი რეფლექსი გამოიწვიოს, თუკი უპირობო რეფლექსი ისედაც მიმდინარეობს?

ფიზიოლოგი – პავლოვის ცდებით დადგენილია: თუ საკვების მიღებას, მრავალჯერ, ნებისმიერ კონკრეტულ ბგერას შევუხამებთ, ამის შემდეგ, ამ ბგერის გაგონება ორგანიზმში გამოიწვევს იმ ცვლილებებს რასაც საკვების მიღება იწვევდა. ზემოთ, ჩვენს მიერ აღწერილ შემთხვევაში, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბგერა ბუნებრივადაა ფიზაქტს შეუღლებული. ჰომინიდის ჯოგის მშიერ–მწყურვალ ინდივიდებში წოვა–ყლაპვის ხმიანობების გაგონება ან დანახვა აღნიშნული პროცესისა, უეჭველია, სწორედ, აქვეთქმულისმაგვარ, პირობით რეფლექსეფს გამოიწვევდა და ეს მოხდებოდა ინდივიდებში და თაობებში ჰომინიდისა უსასრულო ხშირად. მინდა დავძინო და ხაზი გაუსვა იმას, რომ აქვეთქმული ფაქტობრივი მონაცემებია და არა საკუთარი მოსაზრებები, როგორადაც ეს პატივცემულ ფსიქოლოგებს, მცდარად, წარმოუდგენიათ.

ანტროპოლოგი – საინტერესოა, როგორც წარსული, ეს მოვლენები როგორ უნდა ასახულიყო ჰომინიდის თავის ტვინში?

ფსიქოლოგი – ძუძუმწოვრებში, წოვა–ყლაპვასთან **(ნივთიერებათა** ცვლასთან ანუ საჭმლის მონელების პროცესთან და მასთან დაკავშირებულ სისტემასთან) ასოცირებულ ისეთ მოდალობათა როგორიცაა: წყურვილის, შიმშილის, წყურვილის დაკმაყოფილების და გაძღომის ორგანულ შეგრძნებებს თუ ემოციური რიგის მოვლენებად არ ჩავთვლით (ნეობიჰევიორისტები), ერთი მაინც ცხადია: მათ ინტენსივობაზე უშუალოდაა დამოკიდებული, მოთ-

ხოვნის დაკმაყოფილებით გამოწვეული, სიამოვნება-უსიამოვნების ინტენსივობა: **ორგანული შეგრძნებები ერთიანნი არიან ემოციური გენეზისის განცდებთან.**

ბიოლოგი – მათ ერთმანეთთან აახლოებთ მჭიდრო კავშირი ინდივიდის ვიტალურ მოთხოვნილობებთან, ეს უკანასკნელნი კი, წარმოიქმნებიან ორგანიზმის ჰომეოსტაზის იმდაგვარი რღვევისას, როცა სისხლში საკვებ ნივთიერებათა პროცენტული რაოდენობა კლებულობს.

ფსიქოლოგი – უზნაძის განწყობის თეორიის თანახმად (განწყობის არსებობა აღმოაჩინა გერმანელმა ფსიქოლოგმა ლ. ლანგემ. 1888 წ.) მოთხოვნილება განაწყობს ჰომინიდს ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ხოლო შესაბამისი სიტუაციის არსებობის შემთხვევაში, (მშიერ–მწყურვალი ჰომინიდის არსებობა) განხორციელდებიან შესაბამისი ქმედებები ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ანუ წოვა ყლაპვის შესასრულებლად. გარდა ამისა, დასახელებულ წოვა–ყლაპვის ფიზაქტს თან ახლავს სხვა მოდალობათა – შეხების, ტემპერატურის, მხედველობის, სმენის და ინტერმოდალური თვისობრიობის – გემოს და ყნოსვის შეგრძნებები. ყველა, ზემოჩამოთვლილ, შეგრძნებათა განცდები და შეგრძნება-ემოციათა საერთო განცდები ერთიანნი არიან, რადგან ერთ მოვლენაში – საკვების მიღების ფიზაქტში არიან შერწყმულნი.

ფიზიოლოგი – მ. ე, ნებისმიერ მათთაგანს შეუძლია პირ. რ-ის გამოწვევა და, რაც მთავარია, ამას აკეთებს ხმიანობაც (ბგერა). გადამწყვეტი და უმნიშვნელოვანესია, რომ ბგერაა შეუღლებული ფიზაქტის უპირობო რეფლექსებით გამოწვეულ, ზემოთხსენებულ შეგრძნებებსა და ემოციებს.

ფსიქოლოგი – ბატონო ფიზიოლოგო, ფიზაქტის მსვლელობისას ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიღებულ, აღწერილ მოვლენების ინფორმაციებზე, ფიზოლოგიურ ასპექტში, თქვენ სწორად მიუთითეთ, მაგრამ ფსიქოლოგიურ ასპექტში კი ისინი არა როგორც ბოქლომის გასაღებნი უცვლელად, არამედ ფუნქციონალურ მონაცემებად „ჩაიბეჭდებიან და ინახებიან.“ ამ უკანასკნელთ ფსიქოლოგიაში, გარდა ზემოთქმულისა (შეგრძნება, ემოცია), შესაბამისი ფუნქციები: „აღქმა“, „წარმოდგენა“, „მეხსიერება“, „დავიწყება“, „ყურადღება“ შეესაბამებათ, რომელნიც ხარისხობრივი მაჩვენებლებით ხასიათდებიან. აღნიშნული ფუნქციები გახლავთ

ავტორის უხშირესი გზავნილები, ამიტომ მასზე ბრალდებები (– ფიზიოლოგიაში და ბიოლოგიაში ავტორის წარმოდგენების ბუნდოვნობის თაობაზე) ხომ არ უარგვეყო?

ფიზიოლოგი – გეთანხმებით, მაგრამ ლიმონს ბოლო წვეთი რომ გამოწურო, ხელი მაგრად უნდა მოუჭირო. **თუმცა დასმულ კონკრეტულ საკითხთან მიმართებით ავტორი აკადემიურია...**

ფსიქოლოგი – სწორია: უსაშველო ტვირთით დახუნძლულ ლურჯას შუბლზე ვინ კოცნის, მას, საცოდავს, გვერდებს სახრით უზელენ: ხა..., ხა..., ხა... (საერთო ხარხარი...).

ფიზიოლოგი – დავუბრუნდეთ საკითხს. კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმას, რომ ზემოთქმულ თვალსაჩინოდ აღქმად სენსორულ თვისებათა შორის მოვლენისა ბგერაა თანამონაწილე. შერწყმულია მათში როგორც ნიშანდობლივი თანაზიარი თვისება და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამგვარი შერწყმა შეუღლების შედეგად პირობითი რეფლექსი გამოიწვევა.

ბიოლოგი – ბგერით ინსპირირებული პირობითი რეფლექსის გამოწვევა ხომ წყურვილ–შიმშილის შეგრძნებების და მათთან შერწყმულ უსიამოვნების, როგორც ემოციის ინტენსივობის გაძლიერებაა, რაც ასოციაციებით ბიოლოგიური მოთხოვნილების – იგივე უპირობო გამღიზიანებელთა (რძე, წყალი) წარმოდგენების აღზევებაში გადაიზრდება.

ენათმეცნიერი – ადამიანებში, გეთანხმებით, ეს ასეა, მაგრამ, ვინ იცის, ძალუძდა კი წარმოდგენისა და სხვა მაღალი რანგის ფსიქოაქტები ჰომინიდს?

ანთროპოლოგი – ჰომინიდს, ყოველმიზეზსგარეშე, ძალუძდა. ოღონდ ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებოდნენ: **...”მორგანმა გამოყო სამონადირეო–სამეთევზეო და მიმთვისებლურ–შემგროვებლური მეურნეობის სამი საფეხური: მისი უმდაბლესი საფეხური იწყება უძველესი ადამიანის წარმოქმნით; შუა – მონადირეობის წარმოქმნითა და ცეცხლის აღმოჩენით; ხოლო უმაღლესი –მშვილდ–ისრის გამოგონებით...“** დასახელებულია **...ორი ნახტომი (როგინსკი): პირველში ხდება ჰომინიდების ოჯახის ფორმირება. მეორეში – თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება ...“** (იხ. პირველი საზოგადოების ისტორია“ გვ. 7- 31). გარდა ამისა: ... **„სინანტროპის თავის ქალას ღრუს საფეთქლის უკანა ნაწილში და საფეთქელ–თხემ–კეფის მიდამოში შემჩნეულია გამო-**

ბურცულობები – რომელ მიდამოშიც თანამედროვე ადამიანის თავის ტვინში განლაგებულია სწორი მეტყველების სამმართველო ცენტრები (რაც), შესაბამისად, მოასწავებს მაღალ დონეს მისი დანაწევრებული მეტყველებისა და აზროვნებისა...“ (იქვე).

ავტორი – მაგალითი ავტორისეული პრაქტიკიდან: ჩვენთან შინაური ცხოველები ყავთ თავისუფალ ყოფით პირობებში, ამიტომ მათზე დაკვირვება ნებისმიერთ შეუძლიათ. ძროხას, ჩვეულებრივ, საჭმელს ქვაბითაც აძლევენ: საკვების თქვლეფისას მეტალის სახელურის ჩხარუნი შეუღლებულია კვების უპირობო რეფლექსებთა გამღიზიანებლებს და ზუსტად იგივე მოვლენები ვითარდება, როგორც წოვისას, ჰომინიდის შემთხვევაში: აქაც, წოვისას წარმოქმნილ **წ** და **ყ** ბგერათა სადარ ხმიანობათა მზგავსად, სახელურის ჯღარუნი პირობითი რეფლექსის გამომწვევია, რისი დასტურიც ამ ჯღარუნზე, რითაც გარეთ მყოფ ცხოველს პატრონი ეზოში მოუხმობს, ცხოველის რეაქციაა: იგი გამორბის ამ ხმათა მიმართულებით, თუმც რომ ქვაბს ვერ ამჩნევდეს. დამეთანხმებით, ცხოველი ასე არ მოიქცეოდა ამ ხმებს მასში, წინანდელი, ქვაბში საკვების და კვების პროცესში ასოცირებული მოვლენათა თვალსაჩინო აღქმები არ გაეცოცხლებინა ანუ მისი წარმოდგენები არ აღზევებულიყვნენ.

თუ საკვები მუდამ მისთვის განკუთნილ, როგორც სახელურის ჯღარუნით ასევე ფორმით ნაცნობ, ამიტომ პირობითი რეფლექსების ამღვძრელ, ქვაბში კი არაა, არამედ განსხვავებულ, მაგრამ ერთი მხედველობითი ველის სიშორეზე განთავსებულ მეორეშია, ცხოველი მაინც პირველთან მიირბენს და თავს შიგ ქვაბში ჩაყოფს. მიუხედავად, მეორე ქვაბის, გვერდითი მხედველობის ველის არეში არსებობისა: ცხოველს გარკვეული დრო ჭირდება რათა ეს მეორე ქვაბი შეამჩნიოს და მასთან მივიდეს: ჯერ უნდა გაქრეს, ფარული მეხსიერებიდან აღმოცენებული, ის აღქმითი ხატების წარმოდგენები, რომელთა ბადალნიც ჩვენ, აქვე, ზემოთ, ბოლო კონტექსტებში, ჰომინიდის წოვა-ყლაპვასთან დაკავშირებით აღვწერეთ და რომელთა ჰომინიდში განხორციელების უტყუარ მტკიცებულებას ავტორის ცხოველთა ფსიქოლოგიაზე დაკვირვების ეს მაგალითი წარმოადგენს (იხ ჟურნ. „აია“ 9-10).

ფსიქოლოგი – აი, ის, ენის ბუნებრივად წარმოქმნისთვის აუცილებელი „უშუალო თვალსაჩინოება“, რომელიც ვ. ვუნდტის შეხედულებით, შეუძლებელია არსებულიყო. იგი ხომ მეტყველების წარმოქმნის საკითხში ჟესტ-მიმიკას აძლევდა უპირატესობას.

ჩვენს შემთხვევაში კი მთავარია: ბგერა ახორციელებს პირობით რეფლექსებს და ცხოველშიც კი იძლევა წარმოდგენას.

ბიოლოგი – ჰომინიდი კი ცხოველზე ერთი თავით მაღლა დგას. იგი ჯერ არაა ადამიანი, მაგრამ არც მთლად ცხოველია. საწყისი მოცემულობაა. ამიტომ ის რაც ბგერას ძალუძს გამოიწვიოს ცხოველში, ჰომინიდში, უეჭველად, განხორციელდება. ანუ ბგერა ძალმოსილია მასში გამოიწვიოს პირობითი რ-ები და წარმოდგენა.

ფსიქოლოგი – აქ დასაჭერია ნატიფი ნიუანსი. ბგერა იძლევა ობიექტის (მოვლენის) წარმოდგენას. იგი ხდება წარმოდგენის მატერიალური საყრდენი. არის თუ არა ეს მნიშვნელობის მოცემა?

ფ. დე სოსიურის მიხედვით ბგერა აკავშირებს ცნებას და აკუსტიკურ სახეს. ჰომინიდში კი, ეს უკანასკნელი, (აკუსტიკური სახე) იძლევა წარმოდგენას. ბგერა ხდება აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლო თუ სხვა რამ?...

ავტორი – რა თქმა უნდა, ჰომინიდში ბგერის აღქმა (**წ... წ... და ყ... ყ...** ხმიანობათა გაგონება) იძლევა წინათ აღქმული მოვლენის ასოციაციურ წარმოდგენას (წინანდელი აღქმის განახლებას), ხოლო **„...ცნებასა და წარმოდგენას ერთი ფესვი – სახელდობრ აღქმადი, გრძნობადი ასახვის ფესვი გააჩნიათ...“** (რ. ნათაძე. ზ. ფს. გვ. 399), ამიტომ, გარკვეულწილად, ეს ბგერის მიერ შინაარსის მოცემაა, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, ეს უკანასკნელი, არაა წარმოდგენის წარმოდგენა და ცნებითი: იგი მოვლენის დიფუზური განცდაა: ჰომინიდის შემეცნებაში ბგერა კი არ გულისხმობს მისგან განსხვავებულს, არამედ უდრის საგანს: ნიშანი სუბსტანციური ყოფიერების მქონე კი არის, მაგრამ ჯერ გაცნობიერებული – აზრით შემეცნებული არაა. გარდა ამისა არ ხდება თავად ბგერის ობიექტივაცია და ჰომინიდს, ჯერ-ჯერობით, არა აქვს თავისი მე გაცნობიერებული.

ენათმეცნიერი. – ადამიანშიც სიტყვის შეგრძნებითი მხარე, როგორც წესი, არ შეიმჩნევა. იგი „გამჭვირვალეა“ (ვიგოდსკი): **„...ბავშვი აცნობიერებს მხოლოდ იმ შინაარსს, რომელიც მან გამოთქვა. ე. ი. – საგანს რომელსაც აღნიშნავს სიტყვა და არა – სიტყვას, არა – ბგერათკომპლექსს, რომლითაც აღინიშნა ეს საგანი...“** (ა. მოსიაევა).

ავტორი – ის ფაქტი, რომ ჰომინიდში ბგერის აღქმა (**წ... წ... და ყ... ყ...** ხმიანობათა გაგონება) იძლევა წინათ აღქმული მოვლენის

ასოციაციურ წარმოდგენას – წინანდელი აღქმის განახლებას, უმნიშვნელოვანესია. აი, სწორედ ეს სასტარტო მომენტია მ-ის ჩასახვაში გადამწყვეტი: როცა ბგერების გამომცემ ფიზაქტთა – წოვა-ყლაპვის მახორციელებელი, დასაბამიდან კვებისთვის განკუთვნილი ანატომიური ორგანო ენა იწყებს დამატებითი ფუნქციის შეძენას. ნიშანდობლივი და გადამწყვეტია ფაქტი: კვებისთვის განკუთვნილი მოძრაობები ენისა არ გასხვავდება ბგერათა წარმოსათქმელისაგან.

ენათმეცნიერი – ანუ თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს უნიკალური და უბედნიერესი შემთხვევაა, რამაც ჰომინიდი აამეტყველა, რადგან ენას, ბგერის წარმოსათქმელად, ახალი საწარმოთქმო მოძრაობების შესრულება არ ჭირდება.

ფსიქოლოგი – ხოლო შიმშილ-წყურვილისას, წოვა–ყლაპვის მოთხოვნილების იმპერატივი გამოიწვევს უნებლიე წოვა-ყლაპვით მოძრაობებს ენისა ანუ **წ... წ... და ყ... ყ** ... წარმოთქმებს.

ენათმეცნიერი – ბატონებო, ჩვენ ხომ ამგვარი მსჯელობები საკუთარ მოსაზრებებად მივიჩნიეთ.

ფსიქოლოგი – ეს საკუთარი მოსაზრებები შეჯერებულია ფაკტებით: ჩვენ ჰ-ის შთამომავლები, თუ გვწყურია, უნებლიედ, წარმოვთქვამთ სიტყვებს : მწყურია, ცივი წყალი და ა. შ. ეს იმიტომ, რომ წყურვილის განცდა (მოთხოვნილების იმპერატივი) შეუღლებულია სიტყვებთან – წყალი, მწყურია და ა. შ. ; თუ გვშია, უნებლიედ არა თუ წამოგვცდება – მშია-ო, არამედ, ზოგჯერ საყვარელი კერძის სახელსაც წამოვიძახებთ. ამგვარი უნებლიე წარმოთქმები იწვევს, შესაბამის პირ. რ-ებს და ამძაფრებს განცდებს..

ბიოლოგი – ეს მოვლენები ავტორს ცხოველებშიც აქვს აღწერილი (იხ. „აია“ 9–10 გვ. 127).

ანტროპოლოგი – რატომ არ უნდა ვიგულისხმოთ, იგივე ჩვენს წინაპარ ჰომინიდთან მიმართებით?. ონტოგენეზი ხომ ფილოგენეზის მონაგარია.. ესე იგი ჰომინიდთან ზუსტად იგივე ხორციელდებოდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი უნებლიე წოვა–ყლაპვით მოძრაობებს აკეთებდა, რაც ზემოთქმული . **წ... წ... და ყ... ყ** ... ბგერების წარმოთქმააცაა: აი, ეს გახლავთ მეტყველების პირობითრეფლექსური ბუნებით ჩასახვა.

ენათმეცნიერი – ხატი, წარმოდგენა ჩვენს ცნობიერებაშიც კი რომ მნიშვნელობის ადგილს იკავებს, ჰომინიდში კი უდრის აღნიშ-

ნულს, ხომ არაა სპირისპირო იმისა რასაც უნდა ვამტკიცებდეთ: ჰომინიდს უნდა შეეძლოს მოვლენისგან განცალკევებით მისივე ხმიანობების წარმოდგენა.ანუ უნდა შეეძლოს როგორც მოვლენის წარმოდგენა, ასევე ცალკე ამ მოვლენის ხმიანობათა წარმოდგენა.

ფიზიოლოგი – ბგერა მხოლოდ მეტყველების პირველ პერიოდშია ფიზიორეფლექსოგენური,, როცა იწვევს ფიზიორეფლექსებს და შესაბამის განცდებს ამძაფრებს.

ენათმეცნიერი – ეს მსჯელობა-მაგალითები ამტკიცებენ საპირისპიროს და არა ფიზიკტისა და მას თანმხლებ ხმიანობათა განცალკევებულად წარმოდგენის შესაძლებლობას. ამას კი ჩიხში შეყავს ხმაბაძვითი სიტყვაქმნადობის იდეა: რას მიბაძავდა თუ მისაბაძ ბგერათკომპლექსთა ხატი მეხსიერებაში არ გააჩნდა და განცალკევებულად მისი წარმოდგენა არ შეეძლო.

ბიოლოგი – ჰომინიდის ჯოგში წოვა-ყლაპვის ფიზაქტი იმდენად ხშირია, რომ, შეუძლებელია, ინდივიდებმა ხმები ამ მოვლენისა, განცალკევებულად, ხშირადვე, არ გაიგონონ ანუ განცალკევებულად არ აღიქვან ისინი.

ფსიქოლოგი – თუ ჰომინიდი ამ დროს მაძღარია ანუ ინდიფერენტულია ამ მოვლენის მიმართ, ეს ხმები, სიმაძღრის პროპორციულად, განცალკევებულად გადადიან ფარულ მეხსიერებაში და წყურვილ-შიმშილის განცდების კვლავ განახლების შემთხვევაში, რაც, დამეთანხმებით, ხშირი იქნებოდა, ასოციაციურად, წარმოიდგინებიან და უნებლიედ წარმოითქმებიან კიდეც.

ენათმეცნიერი – საგულისხმოა, რომ, ზემოთქმული წმიდაწყლის ინდივიდუალისტური თეორიაა: მეტყველების წარმოქმნას კოლექტივი და დაკავშირების მოთხოვნილება ჭირდება,

ანტროპოლოგი – მაგრამ ა. ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ, **„სრულიად არაა საჭირო ადამიანთა ჯგუფი, რომ გაიგონო გუგუ“**... და თუნდაც, ასევე, წოვის ხმიანობა.

ფსიქოლოგი – დიახ, რომ გაიგონო „გუგუ“ ადამიანთა ჯგუფი ნამდვილად არაა საჭირო. ინდივიდები, მართლაც, გაიგონებენ განსხვავებულ დრო და სიტუაციაში, მაგრამ, საბოლოო ჯამში ეს ხომ მოიცავს მთლიანობას. ისიც ხომ არაა გამორიცხული, გარკვეულმა – ჯგუფმაც გაიგონოს: აბა, რომელი სოფლის მცხოვრებლების ჯგუფს არა აქვს ეს ძახილი გაგონილი, ვთქვათ, ნადობისას?...

ავტორი – აქ, დიახაც, ღირსსაცნობია ის, რომ ეს გაგონება

ინდივიდუალურიცაა და სახეობითიც. ასე რომ, თქვენი რეპლიკა, ბატონო ენათმეცნიერო, თეორიას ნამდვილად რომ ვერასა ვნებს.

ენათმეცნიერი – ჰომინიდები ჯოგებად ცხოვრობდნენ, ამიტომ, მოვლენის ხმიანობათა გაგონების (აღქმის) თქვენებურ (ინდივიდუალურ-სახეობით) გაგებაზე იძულებული ვარ დაგეთანხმოთ, მაგრამ, როგორც ავღნიშნეთ, წარმოდგენა ამ აღქმულისა თუ შეეძლო ან რა დონეზე შეეძლო არაა მთლად ნათელი. ყოველშემთხვევაში ჩემთვის.

ფსიქოლოგი – რატომ?... ზემოთმოყვანილ ავტორისეულ მაგალითში – ქვაბის სახელურის ჟღარუნზე, როგორც ნაცნობ ხმაზე, ცხოველის გამორბენი განა მის თავის ტვინში ხმის მოვლენისგან განცალკევებულად წარმოდგენის არსებობას არ ნიშნავს? გამორბენის დაწყების წინ იგი ხომ ქვაბს არ ხედავდა. ხოლო თუ საკვების წარმოდგენით არ იყო მისი თავის ტვინი დაკავებული, რატომ ვერ შეამჩნია საკვებიანი (განსხვავებული) ქვაბი და ჯიუტად (ნაცნობ) ცარიელში ყოფდა თავს?.

ფიზიოლოგი – გარდა ამისა, ამ მაგალითს შეიძლება ქონდეს გაგრძელება: თუ ცხოველს ქვაბის სახელურის ჟღარუნით ხშირად მოვატყუებთ, ამ ხმაზე პირ. რეფლექსი დაიწყებს შეკავებას და, ერთ მშვენიერ დღეს, თუ ღორია, დააყურადებს (გაისუსება) და ქვაბისკენ არც გამოიქცევა. ხოლო თუ ძროხაა, გარდა ამისა, თითქოს უარყოფის ნიშნად, შეუძლია თავიც კი გააქნიოს. ესე იგი, ხმამ შეწყვიტა პირობითი რეფლექსის გამოწვევა, მიუხედავად იმისა რომ მისი აღქმა და ცნობა მოხდა.

ფსიქოლოგი – ცხოველებს გააჩნიათ ხმის ცნობის მეხსიერება და უნარი აღიქვან თვალსაჩინო მოვლენათა შორის მიმართებები, რაც ექსპერიმენტულად დადასტურებულია. ხატი წოვა-ყლაპვის ხმებისა შეიცავენ მიმართებებს ისეთ რეალიებთან რაც თავად არ არიან. ეს **რეალიებია: 1). თავად პროცესი წოვა-ყლაპვისა; 2) სუბსტანცია რისიც ხდება წოვა-ყლაპვა – რძე, წყალი და 3. მოცულობები სადაც რძე და წყალია მოთავსებული – თავად წყალსატევი, დედის ძუძუ.** ამიტომ, ინდივიდები, რომელნიც წოვა-ყლაპვის ისეთ თვალსაჩინო თვისებათა შორის არსებულ მიმართებებს – ფიზაქტსა და თანმხლებ ხმიანობებს მთლიანობაში რომ აღიქვამდნენ, ერთ მშვენიერ დღეს შეამჩნევენ, რომ ხმა კი არ უდრის ფიზაქტს წოვა-ყლაპვისა, არამედ თანმხლებია ამ უკანასკნელისა. ჰ-ის მიერ ფიზაქ-

ტისა და თანმხლებ ხმიანობათა, დანაწევრებული მთლიანობის სახით, აღქმის და (გეშტალტ) – სრულიად დანაწევრებულადაც აღქმის შეძლების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, უაღრესად საგულისხმო ფაქტია აღქმის ონტოგენეზური **განვითარება: „... ბავშვი დაბადების საწყის პერიოდში, საგნის თვისობრიობას არ განიცდის: აღქმა დიფუზურია, . 8 თვის შემდეგ აღქმის დიფუზურობა შესამჩნევად კლებულობს და იზრდება საგნის სტრუქტურულ (გეშტალტ) მთლიან მოცემულობად აღქმის უნარი...“** (რ. ნათაძე. „ზ. ფს.“).

ბიოლოგი – ცხადზე უცხადესია, ეს ფაკტები ბიოგენეზის ნათელი გამოვლინებაა.

ფსიქოლოგი – გასაგებია, ზემოთქმულის შესატყვისად, ფილოგენეზში ჰომინიდის ჯგოგში, როცა წოვა-ყლაპვისა და გამოცემულ ხმიანობათა, ზემოთ აღნიშნულ (გეშტალტ) აღქმა-წარმოდგენის უნარიან ინდივიდების რაოდენობა თაობებში უმრავლესობა გახდება, დასაწყისში კანტი-კუნტად, შემდეგ კი უფრო ხშირად მოხდება, ამ ხმათა წარმოთქმის თუ გაგონების მეშვეობით, გაგებინების მიღწევა, რადგან ხმის გაგონება (დაუნახავად) ან წარმოთქმა **წ** და **ყ** ბგერისა თუ დასაწყისში უდრის, შესაბამისად, წოვას და ყლაპვას, მალავს აზროფორმას: **წ** არაა წოვა, **ყ** არაა ყლაპვა, არამედ ორივე თანმხლებია აღნიშნული პროცესებისა.

ანთროპოლოგი – უეჭველია, დიდ დროში ჰ-ის საზოგადოების წევრიდან წევრზე გადაცემული, ამგვარი, მარტივი ფსიქოაქტებით განხორციელებული გაგებინება თაობებში დაჯამდება შეძენილი გამოცდილების სახით, რომლითაც თაობების უწყვეტად და მზარდად გამდიდრების საფუძველზე, აუცილებლად, მოხდება ბგერის მიერ აღმნიშვნელობითი ფუნქციის ქონების სრულფასოვანი გაგება.

ფილოს. – ჰ-ის უსიტყვო საგნობრივი აზროვნებიდან, რაც საგან მოვლენათა აღქმა ცნობასა და თვალსაჩინო წარმოდგენაში, ხოლო მოვლენის თანმხლები ბგერის ხატის მიერ პირ. რეფლექსთა აღძვრასა და ამავე ხატის მიერ საგან-მოვლენასთან გაიგივებაში გამოიხატებოდა, მივიღეთ ლოგიკური რეალობის აღნიშვნა: ხატმა შეასრულა სიტყვის როლი, რაც ვერბალური ინტელექტის გამოვლენაა. თუმცა, საპირისპიროდ აზროვნების ამგვარი, იშვიათი, გამოვლინებისა, ჰ. ჯერ ოპერირებს არა ზოგადი ცნებებით, არამედ საგან-მოვლენათა თვალსაჩინო წარმოდგენებით – ხატებით.

ავტორი – საბოლოოდ, ჩვენს მიერ წარმოთქმულ მოსაზრე-

ბებს თუ დავეყრდნობით, ასეთია, ძირითადში, ჰ-ის აზროვნების ის საფეხური – **„ხატოვანი აზროვნება“** რომელიც წინ უსწრებდა **ლოგიკური, ცნებითი აზროვნების** ჩამოყალიბებას. იგი სრულიად, არა, მაგრამ, გარკვეული ადეკვატურობით, ესადაგება ვალონეს ფსიქოლოგიური სკოლის კონცეფციას იმის თაობაზე, რომ ინტელექტი ყალიბდება **მოქმედებიდან აზრზე გადასვლის პროცესში**

ანთროპ. – აქვე უნდა ვახსენოთ მონგაიტის, პერშიცის, ალექსეევის, და სხვათა მარქსისტული დებულებები შრომის (ესე იგი ქმედების) პროცესში **„ცხოვრებისეული“ თუ „ემოციური“** წარმომავლობის ბგერებიდან მეტყველების წარმოქმნის თაობაზე.

ფსიქოლოგი – ნაკლულოვანია ადეკვატურობა როგორც ზემოთხსენებულ, ასევე მოსაზრებასთან, რომ: **„... ადამიანურ ვერბალურ აზროვნებას წინ უსწრებს მეტყველებამდელი გონიერი პრაქტიკული მოქმედების ჩამოყალიბება. სახელდობრ: ანტროპოიდების უნარი ფიზიკურ საგანთა (აღქმულის და არა წარმოდგენილის) შორის მიზნისა და საშუალების დამოკიდებულების დამყარებისა, პრაქტიკული მოქმედების სახით , სათანადო გამოცდილების გარეშე, როგორიცაა ჯოხის გამოყენება ხელისათვის მიუწვდომელ საჭმლის მოსაზიდად; ყუთის გამოყენება მასზე ასასვლელად, მაღლა დაკიდებული საჭმლის მისაწვდომად..“** და ა. შ. ("ზ. ფს“. გვ. 454)

ფილოსოფოსი – მ. ე. ამ აღწერილ ხატოვან აზროვნებასა და ჰომინიდის ხატოვან აზროვნებას შორის მთავარი მსგავსება განპირობებულია მათ საფუძვლად სათანადო ქმედებების არსებობით.

ფსიქოლოგი – დიახ, კერძოდ, პირველთაში – პრაქტიკული მოქმედებებით, მეორეში ფიზაქტში ენის მოძრაობით, რომლის უპირატესობა, ბგერითი მ-ის ჩასახვის თვალსაზრისით, უცხადესია. გარდა ამისა, პირველ შემთხვევაში, არაა ახსნილი მექანიზმი თუ როგორ იქცა პრაქტიკული მოქმედება ბგერით სამეტყველო პირ. რეფლექსად, ანუ თუ როგორ მოგვცა, ამ შემთხვევაში, მან ნატურალური თუ პირობითი სიმბოლო, მაშინ როცა ბგერითი ხმიანობის მქონე ფიზაქტში, ენის მოძრაობიდან ამომდინარე, ავტორთან იგი გამოწვლილვითაა შესწავლილი და დასაბუთებული.

ანთროპოლოგი – ადამიანური ქმედება, ცხოველურისაგან განსხვავებით, არა მარტო წინასწარ ორიენტირებული, არამედ წინასწარ მოტივირებულიცაა: ქმედების ყოველი ელემენტი ტვინში წინასწარაა გაკეთებული.

ფსიქოლოგი – სპეციფიური ხმიანობის გარეშე მიმდინარე

ცხოველური ქმედებიდან, როგორც ნერვულ მუსკულარული მოძრაობიდან, შესაძლებელია მივიღოთ უპირობო რეფლექსი შესაბამისი სახისა. ასევე შესაბამისი ფსიქო განვითარება და მეტყველება რომ მიგველო, თეორიულად, ესეც დასაშვებია, ოღონდ შედეგი უესტ–მიმიკის და არა ბგერითი ენა უნდა ყოფილიყო.

ფიზიოლოგი – სულ სხვა მდგომარეობაა აღწერილ ფიზაქტების შემთხვევაში: წოვისას ენის მოძრაობა, როგორც ქმედება და მ-ება ხომ ერთიდაიგივე ორგანოს – ენის ხმიანი მოძრაობებია. მ. ე. ზემოთაღნიშნული მარტივი ფსიქოაქტების წარმოქმნა, როგორც შედეგი ამ მოძრაობებისა, და უკვე სამეტყველო **ნ და ყ** ბგერებისგან მ-ის, ზემოთქმულისამებრ, ჩასახვა, სრულიად სარწმუნოა.

ავტორი – ეს გახლავთ აბსოლუტურად უთავდაპირველესი (ა. უ.) პირველქმნადობა, როცა **ნ** და **ყ** ბგერათაგან განხორციელდა მათი გარკვეულ შინაარსთან დაკავშირება და აზრდა მათზე ამ შინაარსისა. ეს პირველქმნადობა ა. უ. იმიტომაა, რომ, პაულის სიტყვებით თუ ვიტყვით, იგი განხორციელდა არა თუ **უკვე „...ადრე (არსებულ) გარკვეულ შინაარსთან დაკავშირებული კომპლექსის (თუ ბგერის ე. ი.) შუამავლობის გარეშე,...**“ არამედ ყოველგვარი სამეტყველო რესურსთა სრული არარსებობის პირობებში.

ფსიქოლოგი – პირველქმნადობა ამგვარი პრინციპით შემდეგაც გაგრძელდება, როცა **„...ბგერითი მხარისა და მნ-ის დაკავშირება რაიმე უკვე სახელდებული შინაარსის მონაწილეობის გარეშე მოხდება...**“, მაგრამ იგი არ იქნება ა. უ. პირველქმნადობა, რამეთუ დაფუძნებული იქნება **ნ და ყ** ბგერებისგან, შესაბამისად, წინაენისმიერ და უკანაენისმიერ ბგერების წარმოქმნაზე, როგორც შედეგზე და ამ მინიმუმით მ-ბის პროცესში, ენისა და თავის ტვინის განვითარებაზე. ამგვარი (იმიტაციური) მარაგის მომპოვებელია მ-ის ბოლო პერიოდები, როცა იწყება, გრძელდება და ღრმავდება გრადაცია: სამეტყველო მონაცემი აბსოლუტური გამომხატველი, აბსოლუტურად ადეკვატური ანუ აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლოდან ხდება სულ უფრო ნაკლებად ბუნებრივი სიმბოლო. და ეს გრძელდება დღემდე, როცა 'ფუძე“ ქართე, ენებისგან განსხვავებით, სხვა **„ნაწარმოებ ენებში**“ სიტყვას თითქმის სრულიად აქვს დაკარგული ნატურალური სიმბოლიზაცია.

ისტორიკოსი – ეს ბადებს აღსანიშნ–აღმნიშვნელის კავშირის ნებისმიერობის ილუზიას, მაშინ **როცა“... იმ ზომით რა ზომითაც**

ნაწარმოები ენები სცილდებოდნენ ფუძისეულ ენას მათი სიტყვაწარმოება ნაკლებად ბუნებრივ ბგერათა წაბაძულობის და სულ მეტად სიმბოლური ხდებოდა...“ ლაიბნიცი.

ავტორი – აი, როგორ უწინასწარმეტყველებია გენიალურ გერმანელ მეცნიერს ის რაც სინამდვილეში მოხდა: ჯერ იყო და **ნ და ყ** ბგერათა პირობით-რეფლექსურ ბუნებას დაემატა – აღმნიშვნელობითი: მათ სიმბოლურობა შეიძინეს: გაგონება (დანახვა, უნებლიე წარმოთქმა) **ნ და ყ** ბგერათა იწვევს გაგებას იმისა, რომ ხმა საიდანაც მოდის იქ მიმდინარეობს წოვის, (შეწოვით წყლის სმის) პროცესი. ვითარდება თავის ტვინი და ენა. შესაძლებელი ხდება ენისათვის უჩვეულო მოძრაობებით სხვა კვებითი თუ ემოციური ხასიათის პირობით რეფლექსთა ამღვძრელ ბეგერებისა და ბგერათკომპლექსების წარმოქმნა, როგორიცაა: **შ, ჩხ, გრ** და ა.შ. და ამის შემდეგ ასპარაზზე გამოდიან რეფლექსოგენურობის თვალსაზრისით, ინდიფერენტული ბგერები და ბგერათკომპლექსები.

ზემოთჩამოთვლილნი, სუყველანი არიან აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლონი, იწყება აფიქსაცია: აბსოლუტური ბუნებრივი სიმბოლო ხდება ნაკლებად ბუნებრივი და მეტად სიმბოლური. ეს პროცესი აფიქსაციით წარმოქმნილი ალომორფული პოლისემიის პერიოდია. აფიქსთა და ფონეტიკურ დანართთა ძირს შეზრდის და შემდგომ ეტაპზე განმეორებითი აფიქსაციის გამო, სიმბოლურობაში ბუნებრიობა ძნელი შეშამჩნევი ხდება.

ისტორიკოსი – ამის მამტკიცებელი მაგალითები ავტორს აქვს დასახელებული სისტემებად. „ობიექტური“ თუ „აკადემიური კრიტიკა” დიახაც მისასალმებელია, მაგრამ უპრიანი ხომ არ იქნებოდა ნაშრომის შეფასებაში მაღალი „მეცნიერული ობიექტურობითა“ და „აკადემიურობით“ მორჭმულ ენათმეცნიერთ წაეკაპიწებინათ ხელი და შეშველებოდნენ ავტორს გამოეგლიჯათ გეორგიული {და არა მარტო ქართველური} სახელი და ზმნა იმ კლანჭებიდან, რომელსაც ნიშნის უმოტივაციობა, ნებისმიერობა თუ პირობითობა ქვია.

ფსიქოლოგი – რ. ბაიდურაშვილმა პირობითობის თეორიას ძლიერი დარტყმა მიაყენა. ციტატა: „... უნდა ითქვას, რომ პიქტორალური ეფექტი ხშირად მიიღება სიტყვის ფუძეში, ამ სიტყვით აღნიშნული საგნის ან მოვლენის მიერ გამოცემული ბგერების წარმომადგელობით: ბრახუნი, ბზრიალი,, ბზუილი, გრიალი გრუხუნი, ზრიალი...და სხვა. ასეთი კატეგორიის სიტყვები მყისთანადი მოქ-

მედების აღსანიშნავად გამოიყენებიან.

პიქტორალური ეფექტის მისაღებად ქავრცელებული ფორმაა სიტყვის ფუძეში ამ სიტყვით აღნიშნული საქნის მიერ გამოცემული ბგერების რედუბლიკაცია: **ბუტ–ბუტი, ბუყ–ბუყი, ბუხ–ბუხი, გუ–გუნი, გუზ–გუზი, გურ–გური,გრიალ–გრიალი, დაგა–დუგი,** და ა. შ. ასეთი სიტყვები, უმთავრესად დროში გავრცობილ ერთგვაროვან, სტერეოტიპულ მოქმედებებს გამოხატავენ.

სიტყვის ფუძეში მარცვალთა სტერეოტიპული განმეორებითაა მიღებული, აგრეთვე ისეთი მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვებში, რომელნიც დროში გავრცობილი სტერეოტიპულობით ხასიათდებიან, მაგრამ რომელთა მიმდინარეობა, უპირატესად, ბგერების გამოცემასთან არის დაკავშირებული: **ბა-ბანი, ბაჯ-ბაჯი, ბი-ბინი, ბილ–ბილი, ბუჯ–ბული, გლიჯინ–გლიჯინი, ვარ–ვარი, თახ–თახი, თიმ–თიმი, კამ–კამი,, კაშ–კაში, ლას–ლასი, ლაკ–ლაკი, ლაპ–ლაპი, ლარ–ლარი, რაკ–რაკი, ტუს–ტუსი, ტიკ–ტიკი, ფარ–ფარი, ფუს–ფუსი, ფარ–ფაში, ქათ–ქათი, ქვით–ქვითი, ქოთ–ქოთი, ღა–ღადი, ღად–ღადი, რაუ–რაუი, ცი–ცინი, ცახ–ცახი, ძაგ–ძაგი, კუ–კუნი, ცე–ცება,** და სხვა.

ბგერების განმეორებისას იცვლება ერთი რამდ ხმოვანი (ან თანხმოვანი): **ბრაგა–ბრუგი, ბრახა–ბრუხი, დაგა–დუგი, ზან–ზარი, ზრიალ გრიალი, კნაწა–კნუწი, ლაწა–ლუწი, პრაწა–პრუწი, რაკა–რუკი, რახა–რუხი, ტკაცა–ტკუცი, ტყაპა–ტყუპი,** ... და ა. შ.

ასეთივე გზითაა მიღებული მოვლენათა აღმნიშვნელი სიტყვები, რომლებისთვისაც ბგერების გამოცემა არაა დამახასიათებელი, მაგრამ უმთავრესად არაერთგვაროვანი სტერეოტიპული ხასიათისანი არიან: **ბარ–ბაცი, გან–გაში, გრაგნა, კან–კალი, პარ–პალი, რიუ–რაუი** და ა. შ, სიტყვის ფუძეში თანხმოვნის გამეორების გზით მიიღება პიქტორალური ეფექტი, აგრეთვე სტერეოტიპულ მოქმედებისაღმნიშვნელ სიტყვებში, რომელთა მიმდინარეობა ბგერების გამოცემასთან არაა დაკავშირებული: **ბობღვა, გახიახება, გალალვა, გოგმანი, თრთოლა...**

როგორც ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ონომატოპეურ სიტყვებად მხოლოდ ისეთი სიტყვების მიჩნევა, რომელთა ფუძეში იგრძნობა, ამ სიტყვებით აღნიშნული მოვლენების მიერ გამოცემული ბგერების მსგავსება არ არის მართებული.: ბიულერი მიუთითებს, სიტყვები: **„...schloffern „კანკალი“ flimmern „ციმ–ციმი,“ krilletn „ფუს–ფუსი“** და სხვა საკმაოდ ზუსტად ასრულებენ

თავისი ობიექტის მიტაციას, მაგრამ შორს არიან იმისგან, აკუსტიკურად დახატონ აკუსტიკური ფაკტი...." ბაინდურაშვილი „ სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლიოგია" გვ.132.

ისტორიკოსი – დიდებული მაგალითებია. მათ დიდმნიშვნელოვნება სიტყვის ფუძეში ამ სიტყვით აღნიშნული საგნის ან მოვლენის მიერ გამოცემული ბგერების არსებობის შემჩნევა-დაფიქსირებაში და ნიშნის მოტივირებულობის საბუთად გამოყენებაშია.

ავტორი – „გეორგიული თეორიის" სიახლეები კი **შემდეგია: 1. ეს ბგერები სიტყვათა ძირადაა მიჩნეული; 2. ამგვარი ფაქტები გამოძახილს პოულობენ არა მხოლოდ აქვე აღწერილ სიტყვების მსგავს კატეგორიებში, არამედ მათ აქვთ უნივერსალური, ტოტალური ხასიათი: მოიცავს სახელს, ზმნას და, თქვენ წარმოიდგინეთ, აფიქსებსაც.** მაგ: **რ** ხმაბვიდანაა უხშირესი სუფიქსი – **რი,** ამ უკანასკნელიდან კი მიღებულია **ნ, მ და ლ** თანხმოვნიანი აფიქსები (იხ. ტექსტი).

შ ხმაბ. ბგერა ქმნის წყლის სახელდებას – **შგ** „წყალი." წყალში მყარი სხეულები იძირებიან, რაც იწვევს შიდა სივრცის, წიაღის წარმოსახვის შესაძლებლობას. შედეგად **შ** ბგერა ხდება ამ მნიშვნელობათა გამომხატველი აფიქსი: **შიგ, შიდა, სახლში, ტყეში** და ა. შ.

3. პიქტორალური ეფექტის მქონე, დროში სტერეოტიპულად მიმდინარე (ბაბანი, ბიბინი) თუ **მოქმედების გამომხატველნი** (ბობღვა, გოგმანი კაკანი, და ა. შ.) არახმაბაძვითნი, ზემოთდასახელებულ **აშკარა ხმაბაძვითთა** (ზრიალი ბზრიალი, გრიალი და ა. შ.) ბაზაზე **არიან წარმოქმნილნი.**

ყველა ამათ პირველქმნადობებს საერთო პრინციპი აერთიანებთ: ესაა გამოხატვით აღნიშნონ აღსანიშნი. განასხვავებთ კი, მხოლოდ, გამოხატვის ხარისხი: ხმაბაძვითებში გამომხატველობა მაღალია, სიმბოლურობა – დაბალი. არახმაბაძვითებში პირიქით: სიმბოლურობაა მაღალი, გამომხატველობა კი – დაბალი. კორნელი დანელია მათ ორ ჟგუფად – ხმაბაძვითებად და ხმაბაძვის ელფერის მქონეებად განასხვავებს;

4. პირველი მეტყველება (**წ და ყ ბგერებით, ნატურალური პირ. რ. ბუნებით, მეტყველების ჩასახვის შემდეგ**) ხმაბაძვითი ძირებით ხორციელდებოდა. მ-ის ჩასახვა **ნ და ყ-ს** დამსახურებაა. შემდეგი სიტყვაქმნადობა ჩასახულის განვითარებას ემსახურება. ხმაბაძვითი ლექსიკა გვიანდელია. გარდა ამისა, ღირსსაცნობია შემდეგი: ზემოთჩამოთვლილი ხმაბაძვითი ბუნებრივი სიმბოლიზაცია და

ხმაბათვითი ელფერის სიმბოლიზაცია შეიცვალა კიდევ ისეთით როცა საწყისი მასალისა და სახელსადებ მოვლენათა რამენაირი დაკავშირება შეუძლებელი გახდა.: ადეკვატური აკუსტიკური ფაკტები უკვე სახელდებულია, თუმცა პირველქმნადობები გრძელდება სხვა მნიშვნელობითი კავშირებით ახალწარმოქმნილ თუ ნაცვალ ბგერებთან. მაგ: **ყ** მეტყველების ჩასახვის შემდეგ, ხდება ხმაბაძვითი. იგი უკვე განასახიერებს არა მარტო ყლაპვის, არამედ სხვა **ყ... ყ...** ხმიანობების გამომცემ მოვლენებს. შემდეგ, აფიქსაციის პერიოდში, **რ** ხმაბაძვით ბგერასთან აფიქსაციამ მოგვცა სიტყვა **ყურ–ყურ-ი** „წყლის თუ ნაწლავების ხმაური." აქედანაა არსებითი სახელი **ყურ**-ი (ვინ იფიქრებდა). იგი შემდეგი გადააზრიანებითაა წარმოქმნილი: ყური ხომ ხმიანობათა აღქმას ემსახურება. **ყური**-ს უფრო ღრმა აბსტრაქციაა ქართ. **ყრუ** და // მეგრ; **ჭუნ**გა, ასევე მეგრ. **ჭურუ** „უვიცი, გამოუცდელი."

ასეთი ხანდაზმული თანმიმდევრული და კანონზომიერი პროცესები გვაძლევს გავბედოთ ვთქვათ: **ყურ**ის მნიშვნელობის – სლავური **უხო**, გერმანული **უჰრ, (ჰ ბგერა ხ** ბგერის ჩავარდნის გამოა) და ლათინური **აურ**ის დასაბამისმიერი ყურ-ის მსგავსნი არიან, და მ. ე. (**ყ*** >) **ხ** და **ჰ** ამ უკანასკნელის **ყ**-გან, წარმოგმნილნი არიან, დიდი დროში ღრმა ცვლილებების შედეგად.

ისტორიკოსი – ავტორი ფონოლოგიურ კვლევას ეწევა: ადგენს უპირველესი ბგერების ფუნქციებს: **ყ, რ და ხ** თავიდანვე, ზემოთხსენებულ სიტყვებში, ხმაურის აღნიშვნას ემსახურებიან. კვლევებში მთავარია ხაზობრიობის ჩვენება და არა ფონოლოგიური თუ ფონეტიკური პროცესების სიზუსტე, რაც გასაგები მიზეზების გამო შეუძლებელია.

ავტორი – მაგ: ხშირად შეუძლებელია დადგენა იმისა თუ როდის და რა თანმიმდევრობით მოხდა ცვლილებები. ვთქვათ **ყ > ხ, გ** ამოწევა: რუს. **უხო**" (< **ყურ**); **გლ-უხო** (**გლ < ყურ**) შემთხვევაში. ხომ შეიძლება ეს ამოწევა მომხდარიყო თავად ქართვ. საწყისში, რადგან გვაქვს ქართ. ხმა-**ურ-ი** (**ყურ*** > **ურ**) და ხმა. ამ ქართ. **ხმ**ას შეეფარდება მეგრ. **ხუმ**-ა. ე. ი. უძველეს წარსულში, შეიძლება **ყურ > ხურ > ხუმ** მომხდარიყო იბერიულ-კავკასიური და ინდოევროპული (სლავური) ენების დიფნრენცირებამდე.

ენათმეცნიერი – **ყ** ბგერის შემცველ ცხოველთა და ფრინველთა ყელიდან ამოსულ **ყ... ყ...** ხმიანობათა სადარ სიტყვების, როგო-

რიცაა: **ყროტინი, ყრიალი, ყრანტალი, ყარყატი** (გრძელკისერა ფრიგველია) და ა. შ. წარმოქმნის ავტორისეული ხსაბაძვითი მექანიზმი იქნებ მისაღები იქნებოდა, მაგრამ მათ შესატყვისად არსებობენ ასევე ყელიდან ამოსულ **ხ... ხ...** ხმიანობათ მისადაგებული სიტყვები. ესენია, **ხრიწი, ხრიწინი, ხრიალი, ხრანტალი** და ა. შ. იგივე ითქმის თვალსაჩინოების თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვან ანატომიურ სახელებზე, ერთის მხრივ, **ყია** „ხახა," **ყრონტი, // ყრონჭი, // ყანყრატოსა** (სამივე = „ხორხი") და მეორეს **მხრივ ხახა,** (იგივე **ყია**) და // **ხორხის** შესახებ (იხ. ქ. ე. გ. ლ.). როგორც ვხედავთ, ორივე მხარეს არსებული სიტყვები მოსმენითაც კი მკვეთრად განსხვავებულნი არიან, სახელდებას კი ახდენენ ერთიდაიგივე ანატომიური ორგანოსი; მ. ე. მათი წარმოქმნის ხმაბაძვ. მექანიზმი გამორიცხულია: ერთნი მეორეთ გამორიცხავენ.

ფსიქოლოგი – ისინი ურთიერთ გამომრიცხავნი კი არა ურთიერთმადასტურებელნი გახლავან: ერთის მხრივ **ყია, ყრონტი** და მეორეს მხრივ, **ხახა** და **ხორხი,** როგორც ანატონიურ ორგანოთა აღმნიშვნელები, შეიცავენ მათ ფიზაქტებში ასოცირებულ ხმიანობათა სადარ ბგერებს: ყლაპვის ფიზაქტისაგან ეს გახლავთ **ყ** პირველთაში, ხოლო ხველის, ამოხველების, ხროტინის თუ სხვა პეთოლოგიური სუნთქვის ფიზაქტებისაგან ეს იქნება **ხ, ხახა** და **ხორხის** შემთხვევაში.

ფიზიოლოგი – აქ უნიკალურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ყლაპვის ფიზაქტში **ყ**-ს წარმოთქმის მსგავსად, **ხ** აქვე აღნიშნულ, თავის შესაბამის ფიზაქტების შესრულებისას ბუნებრივად (თავისთავად) წარმოითქმება. გარდა ამისა, **ხველამ, ამოხვალებამ** თუ ამ უკანასკნელის გარეშე გაკეთებულმა მოძრაობებმა **ხველებისა,** შესაძლებელია, უსიამოვნო ემოციები (ზიზღი) გამოიწვიოს. აგრეთვე, დასაშვებია, იშვიათად შედეგი გამოიხატოს ნერწყვის გამოყოფა თუ ღებინების შეგრძნებაში. ამიტომ, გარკვეულწილად **ხ** ბგერა რეფლექსოგენურიცაა.

ავტორი – მ. ე. ორივე ჯგუფის სიტყვები „გ. თ"-ში აღწერილი მექანიზმითაა წარმოქმნილი. რაც თვალში საცემია, ამათში **ყ : ხ** და **ყრ : ხრ** შესატყვისობებია. დადგენილი ფაქტია: ქართვ. ბგერათაგან ფონეტიკური ცვლით **წ და ყ** არ წარმოიქმნებიან. მ. ე. განსახილველ სიტყვებში **ყ** ყოველთვის იყო. დასადგენია, როგორ გაჩნდა **ხ:** თუ წარმოვიდგენთ **ხრ** კომპლექსიან ხმებს, ხოლო, შემდეგ, ამ კომპლექსში **ხ** ბგერის ნაცვლად, რიგრიგობით, წარმოვთქვამთ თითოეულ ქართვ, თანხმოვანს, დავინახავთ: **ხრ,**

ყველა სხვასთან შედარებით, მაქსიმალურად, ადეკვატურია მოვლენათა ხმიანობებთან. მ. ე, ფაქტია: **ხ** ამ **ხრ** კომპლექსიან სიტყვებში ხმაბაძვას ემსახურება.

მეგრულში **ხახა**-ს სახელია, ისევე როგორც ქართულში, – **ყია, ხორხს** კი **ხორხოტა** და **ყორყელი** ჰქვია. ამათი შედარება გვიჩვენებს: ქართულში **ხორხის** წინარედ იყო **ყორყი: ხ** ბგერის ხმაბაძვითმა უპირატესობამ **ყ** გააქრო: **ყორყ > ხორხ. ხროტინის** პარალელურად **ყროტინიც** უნდა გვქონოდა: აქაც **ყ** გამქრალია.

ისტორიკოსი – ხ ბგერა, როგორც ფიზიოლოგმა ბრძანა, თუ რეფლექსოგენურია, ფიზაქტის მონაწილეა და ბუნებრივადაც წარმოითქმება, მაშ, რა განასხვავებს მას ე. წ. დემიურგ **წ და ყ** ბგერებისაგან? კიდევ: არის **ამოუხსნელი** და გაუგებარი შემთხვევები: ვთქვათ, რატომ არ ეყო ანატომიურ ორგანოს ერთი ხმაბაძვითი სახელი: ხორხი ან ყრონტი?...

ფიზიოლოგი – წოვა–ყლაპვისა, ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კი ამოხველების და ხროტინის ფიზაქტებს შორის სხვაობა დიდია, პირველნი ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლას ემსახურებიან და უწყვეტად ხშირნი არიან, მერენი კი პირიქით: სრულდებიან მხოლოდ პათოლოგიურ თუ ექსტრემალურ სიტუაციებში და, შესაბამისად, განსხვავებულ იშვიათობებს წარმოადგენენ.

ფსიქოლოგი – ამგვარად, ჩამოთვლილ ფიზაქტებში ასოცირებული **ხ** ბგერა ორმაგი: ნატურალურ–პირ. რ–ური პლიუს ხმაბაძვითი ბუნების კი არის, მაგრამ მისი პირ. რ–ური ბუნება იშვიათად აღზევებად შეგრძნება-ემოციებზეა ბაზირებული. ანუ პირ. რეფლექსს არა აქვს მყარად დამკვიდრების საფუძველი, ამიტომ მისი სამეტყველო ერთეულად ჩამოყალიბება ვერ მოხდებოდა მანამდე, სანამ **წ და ყ** სამეტყველო პირობითრეფლექსთაგან თავის ტვინი და ენა არ იქნებოდა განვითარებული.

ავტორი – პირველი პერიოდის ბოლოს, როცა უნებლიედ წარმოთქმული (**წ და**) **ყ** ბგერების წარმოდგენა გაცნობიერდა, გაცნობიერებული წარმოდგენებით, დასახელებულ ანატომიურ ორგანოთა სახელდებები მოხდა **ყ** ბგერით, ხოლო ყრონტის და მის მაგვარ **ყრ** კომპლექსიანთა კი – მოგვიანებით – **ყრ** კომპლექსით (კომპლექსები იქმნებიან მეტყველების მესამე პერიოდიდან). ამ პერიოდში იგივეს აკეთებს **ხ** ბგერა, სახელსადებ ფაქტებთან მიმართებით მისი და **ხრ** კომპლექსის ხმაბაძვითი უპირატესობის ხარჯზე. ამგვარად, განსხვავებული ბგერებით სახელდება მოხდა, განსხვა-

ვებულ დროში და სიტუაციაში. აი, ამითაა განპირობებული ერთი-დაიმავე რეალობათა თუ მსგავს მოვლენათა სახელთა ფონეტიკური აგებულების განსხვავებულობა.

ენათმეცნიერი – გთხოვთ დააკონკრეტოთ: რას გულისხმობთ გაცნობიერებულ წარმოდგენებში?...

ავტორი – მეტყველების პირველ პერიოდში, შიმშილისას ჰომინიდის საზოგადოების წევრები აკეთწებენ **წ...წ... და ყ...ყ...** ხმიანობის მქონე წოვა-ყლაპვის უნებლიე მოძრაობებს. ეს რომ ასე იყო არა საკუთარი მოსაზრება, არამედ ფაქტია: შიმშილისას ცხოველები ამჟამადაც ასე იქცევიან: კატა კნავის, ძროხა ბღავის, ძაღლი წკმუტუნებს და ა. შ. ჩვენც ქვეცნობიერად ვამბობთ – მშია–ო. შედეგად ამგვარი უნებლიე წარმოთქმებისა, ვთქვათ ყლაპვითი მოძრაობის კეთებისას **ყ** ბგერის გამოცემისა წარმოიდგინება არა მარტო საკვები, არამედ ორგანოები კვებისა და თავად კვების პროცესის ატრიბუტიკაც. ამიტომაა იბერიულ–კავკასიურ ენებში ამ უკანასკნელთა აღმნიშვნელ სიტყვებში – **ყ** ბგერის, ხოლო ინდოევროპულში თავად ამ უკანასკნელის – **ყ** ბგერის ექვივალენტთა (**ხ** და უკანა ენისმიერთა) სიჭარბე (იხ. ტექსტი), რაც, ალბათობის თეორიის მიხედვით, განმაპირობებელ მიზეზთა გარეშე, სავსებით გამორიცხულია. ჰომინიდი იმ დონის განვითარებული თავის ტვინის მქონეა, ეს წარმოდგენები, შეუძლებელია, დიდ დროში არ გაცნობიერებულიყო, რომლის ნიშნად გარდაქმნა დრომ მოიტანა.

ფილოს. – პარადოქსია, ფაქტორი – დრო რატომაა იგნორირებული, ავტორის მაკრიტიკებელ, მეცნიერული ცოდნის ანუ აკადემიზმის წიაღში განათლებამიღებულ მეცნიერთა მიერ?... განსაკუთრებით, მათმიერვე ხაზგასმულ სპონტანურ პროცესებში?...

ფსიქოლოგი – იმის შემდეგ რაც დრომ წარმოდგენა ნიშნად გახადა, ჰომინიდმა თავისი მე გააცნობიერა და რომელსაც ონტოგენეზში ბავშვის მეძუძურობის ასაკის ბოლო პერიოდო შეესაბამება, იწყება მეტყველების მეორე პერიოდი **წ და ყ** ბგერებით მეტყველებისა, რომელიც უნდა გაგრძელებულიყო მინიმუმ 1 მლ წლის მანძილზე. ამ დროს კონკრეტულ წარმოთქმას შეესაბამება კონკრეტული ნიშანი. ერთ შემთხვევაში ვთქვათ **ყ** ბგერა არის კვება, სხვა შემთხვევაში ყია და ა. შ. თუმცა ჯერ შორია სრულ რეფლექსიამდე – განხილვის მიზნით წარმოდგენილის სრულფასოვან წარმოდგენამდე. მაგრამ მთავარი გაკეთებულია: ჰომინიდი უკვე ადა-

მიანია და, სავარაუდოა, აქედან იწყება რეფლექსიის ცენტრის ჩასახვის დასაწყისი, მეტყველების ცენტრში თავის ტვინისა.

ენათმეცნიერი – ეს არაა საკუთარი მოსაზრება? რით ასაბუთებთ დროის ფაქტორის შედეგებს?...

ფილოსოფი – დროის ფაქტორის შედეგები სახეზეა: ესაა მეტყველება დედამიწის ზურგზე. ხოლო საბოლოო შედეგი საწყისის გარეშე არ არსებობს.

ავტორი – პირვანდელ ბგერათა თუ შემდგომ წარმოქმნილ კომპლექსთა პოლისემია დასტურდება .დღევანდელ განსხვავებულ მნიშვნელობათა მქონე სიტყვებში იმავე მონაცემთა არსებობით. ამ ძირებით ხორციელდებოდა პირვანდელი მ-ბა. აფიქსალური ნაწილი სიტყვისა გვიანდელია.

მათემატიკოსი – თქვე მამაცხონებულნო და დიდბატონნო, თუ თქვენს წინამდებარედ, ავტორისეულ კვებასთან დაკავშირებულ ლექსიკას წუნობთ,თავად გაისარჯეთ და დაადგინეთ იგი, გამოიანგარიშეთ მათში ქართველურ ბგერათა ხდომილობები და შეუდარეთ ისინი ალბათობის თეორიით დადგენილ ნორმატივს: თუ **ყ** ბგერამ მრავალჯერ არ გადააჭარბა სხვათა ხდომილობებს, მაშინ ავტორს არა ეთქმის რა.

ავტორი – მაგრამ ანგარიში რა საჭიროა, როცა ისედაც თვალნათლივადაა ამ სიტყვებში **ყ** ბგერის სიჭარბე. მ. ე. **ყ** ბგერა, თავდაპირველად, ყველა ამ სიტყვათა მნიშვნელობებს მოიცავდა. ამგვარადაა **წ** – წოვასთან, **შ** – სმასთან, **გრ** – გრგვინვასთან, **ჩხ** – წყლის ხმაურიან მოძრაობასთან, **ხ** –მიწასთან დაკავშირებულ სიტყვებში და ა. შ.

მათემატიკოსი – ამ ჯგუფებში სიტყვებისა დასახელებულ ელემენტთა ამგვარი სისტემური და, დასაბუთებულად, ალბათობის თეორიაზე დაფუძნებული, მიზეზ-შედეგობრივი შეპირობებული ჭარბი განაწილება მეტყველების ჩასახვის მექანიზმს კი ვერ ხსნის, მაგრამ, ამ უკანასკნელთ, პირველ სამეტყველო ერთეულებად, ირიბად, წარმოაჩენს.

ავტორი – სწორია, პირველი მნიშვნელოვანი სიტყვაქმნადობები ამ ძირებით ხდებოდა.

ენათმეცნიერი – უკვე ავღნიშნე: მ-ის წარმოქმნას საზოგადოება და მის წევრთა შორის ურთიერთობის დამყარების მოთხოვნილების არსებობა ჭირდება, რომელიც, ზემოთ ბიოლოგიური საფუძვლიანობით ავხსენით. კერძოდ – ფიზაკტებში ასოცირებულ ბგერათა წარმოთქმის მოთხოვნილების არსებობით. კეთილი და

პატიოსანი: რით ახსნით ხმაბაძვით ბგერათა მეშვეობით პირველქმნადობებს?... რა მოთხოვნილება უნდა ჰქონოდა პირველ საზოგადოებას წარმოეთქვა „გუგუ?...“ ხომ არ ვაჭარბებთ იმიტაციურ ღირებულებებს მეტყველების წარმოქმნა–განვითარებაში?..

ავტორი – მეტყველების ჩასახვა მოხდა, პირველ პერიოდში სპეციფიური ბგერების წარმოთქმის ფიზ-მოთხოვნილების არსებობის გამო. თქვენ ასახელებთ მ-ის მე-3 პერიოდის ხმაბაძვით ფაქტს. რომელიც რელექსოგენურობის თვალსაზრისით, ინდიფერენტული ფაქტია. ამიტომ მისი წარმოთქმის მოთხოვნილება ისეთივე იყო როგორიც დღეს გააჩნია ნებისმიერ ახალ სახელსადებ მოვლენას: ესაა კომუნიკაციის მოთხოვნილება (ასევე იხ. ქვემოთ).

ფსიქოლოგი – **„...ბიულერის და პიტერის ცდებით დადასტურებულია ...რომ ხმაბაძვითი ხასიათის რეაქცია სხვა ბავშვის ტირილზე 2 თვის ასაკიდან იწყება... სოციალური ზემოქმედების პირველი ჩანასახები ამ ფაკტში უკვე მოცემულია, რადგანაც სხვისი გამომხატველი მოძრაობა უკვე ზემოქმედებს – ანალოგიურ გამომხატველ მოძრაობას იწვევს..“** (რ. ნათაძე. „ზ. ფს.').

ბიოლოგი – სწორია. ოღონდ გამორიცხულია ყოველივე ეს ხდებოდეს ბიოგენეზის ჩართვის გარეშე.

ფსიქოლოგი – დიახ, ემოციური განცდები დაკავშირებულნი არიან გამომხატველ მოძრაობებთან და ქმნიან ერთ მთლიანობას.

ავტორი – ამას ზემოთქმულს თუ დავამატებთ, უცხადესი გახდება: ჰ-ის სახეობაში გენეტიკურად განპირობებული ხმაბაძვითი ხასიათის „სოციალური ზემოქმედების პირველი ჩანასახები“ მეტყველების მეორე პერიოდის ბოლოდან გარანტირბულად არსებობდა, ამიტომ ენის წოვით მოძრაობებს, როგორც რეაქციას აღქმულ წოვის ფიზაქტზე მასიური ხასიათი ექნებოდა, ხოლო, შემდეგ, მ-ის მესამე პერიოდში, იგივე ხასიათის რეაქციებს ჯერ ფიზიორეფლექსოგენურ, ხოლო შემდეგ რეალურ ინდიფერენტულ აკუსტიკურ ფაქტებზეც შეეძლო გამოეწვია ხმაბ-თი პირველქმნადობები.

ბიოლოგი – მთავარი ისაა, რომ ბავშვს აქვს მემკვიდრეობითი უნარი მიმბაძველობისა. ეს კი ბიოგენეზური კანონითაა განპირობებული. ავტორი კი იმდენადაა დარწმუნებული მ-ის ბიოგენეზური კანონის არსებობაში კაცობრიობას უცვლელად, ერთი ენა რომ ქონებოდა ამჟამად მეტ-ბა მემკვიდროებითი იქნებოდაო:

ფსიქოლოგი – განა საგულისხმო არაა, რომ **„... პატარა ბავ-**

შვის მ-ბა ბევრ სიმბოლურ გამოთქმებს შეიცავს: წიკ–წიკი საათის, ამ-ამ – ძაღლის; მუუ ძროხას აღსანიშნავად და ა. შ. ბავშვის აზროვნების განვითარებასთან ერთად, ეს სიმბოლური გამოთქმები ნამდვილით შეიცვლება...“ („ზ. ფს“. გვ 394). ფაკტია: ბავშვები ხმაბაძვით სიტყვებს უკეთ წარმოთქვამენ და ითვისებენ.

ბიოლოგი – ბავშვის განვითარება ეტალონია კაცობრიობის განვითარებისა. ბოლო მაგალითი, განა, ბავშვის შესაბამის ასაკში, სამეტყველო ხმაბაძვითი უნარის გენეტიკური (მემკვიდრეობითი) განპირობებულობის საბუთი არაა? განა ეს მ-ბის ბიოგენეზური კანონის არსებობიის მამტკიცებელ წისქვილზე არ ასხამს წყალს?...

ფიზიოლოგი – ფიზიოლოგიური თვალსაზრისითაც ამას არც რა ელობება წინ: პირობითი რეფლექსებით გამოწვეული ნერვულ-მუსკულარული მოძრაობები, დიდ დროში უპირობო რეფლექსებად ყალიბდებიან. ფიზიოლოგიურ ასპექტში მეტყველება კი სხვა არაფერია, თუ არა ნერვულ მუსკულარული მოძრაობები.

ავტორი – აი, სწორედ ფიზაქტის უპირობო ნერვულ-მუსკულარულ მოძრაობებს აეზარდა მნიშვნელობა. აი, საიდან დაიწყო ფუძე ენის მფლობელი ხალხის გაადამიანება ანუ რაც იგივეა, აი, საიდან იწყება კაცობრიობის ეთნოგენეზისი.

ბიოლოგი – სხვათაშორის, თანამედროვე გენეტიკური ანალიზებით. კავკასია-ინდოევროპის მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმომავლობით კავკასიელები – კოლხები შეადგენენ, რადგან კავკასია ძველად კოლხეთად აღიქმებოდა..

ენათმეცნიერი – თქვენი ლოგიკით, ენის სიძველე ყოფილა განმსაზღვრელი მისი მფლობელი ხალხის მეტყველებითი უნარის და სხვა უნართა ინტენსივობისა.

ანთროპ. – ჯერ ერთი, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს. მეორეც – თქვენ ისე საუბრობთ თითქოს „არაცივილიზებული და პრიმიტიული“ ტომების არსებობა იყოს ავტორის მონაჭორი და არა მეცნიერების მიერ გამოწვლილვით შესწავლილი სინამდვილე.

ფილოსოფოსი – სხვათაშორის ამ პრიმიტიულ ტომთა ენებში პრევალირებს „სინამდვილის...კონკრეტული თვალსაჩინო ასახვის ტენდენცია.“ სიტყვები გამოხატავენ „აღქმად სურათოვან სახეს“ ანუ ხასიათდებიან მაღალი ხარისხის გამომხატველობით, ხოლო განყენებული ლოგიკურ-ცნებითი ლექსიკა ნაკლებია და ზოგჯერ სრულიადაც არაა.

სინამდვილის თავისებურებათა ზედმიწევნითი ასახვისას ქართველურიც მდიდარია, მარამ ამათგან კოლხურის უშუალო მემკვიდრე – ახალკოლხური ანუ მეგრულის სახელსა და ზმნას გამომხატველობაში მსოფლიოში ბადალი არ ეპოება. ურიცხვი რაოდენობის სახელზმნები უზუსტესად გამოხატავენ უთვალავ აღქმის საგანსა და მოვლენას და მათსავე აღქმად სენსორულ თვისებებს. ხოლო ამათგან წარმოებული ზმნები კი – საგან მოვლენათა ქმედებების უსასრულო ნაირგვარობას. მაგალითისათვის ავიღოთ საგანთა ვიზუალური და ტაქტილური მოდალობის შეგრძნებით გამოწვეული აღქმით მიღებული სახელზმნებიდან – 1. ჟღირტალი „უსუსური, ნედლი (ტოტი ან სხვა რამ)“ და მისი სპეციფიური მოძრაობა – ჟღარტალი; 2. რინგვალი „მსხვილი მკვრივი რამ და მისი სპეციფიური მოძრაობა“ – რანგვალი; გიჟღარტალ = ნედლი, უსუსური რამ დრეკა–ქანაობით მოძრაობს; გირანგვალ = მსხვილი = მსხვილი მკვრივი, მომრგვალო რამ ხმაურით გორავს; ქჟდაჟღარტ = ნედლი უსუსური და დრეკადი რამ დაეცა;

ქუდარანგვ = მსხვილი, მაგარი რამ ხმაურით დაეცა და ა. შ.

ისტორიკოსი – ასე მიიღებიან ზემოთდასახელებულ ურიცხვ აღქმის საგანთა შესაძლო ქმედებების გამომხატველი სხვა უთვალავი ზმნები, რომლებიც ხვადასხვა ნიუანსებში გამოხატავენ ამ საგანთა თვისებებით შემკულ ქმედებებს. სხვა უთვალავი ზმნები და აფიქსები კი კიდევ უფრო ზრდიან ახალკოლხური (მეგრული) ზმნური ფონდის სიმდიდრეს.

ფსიქოლოგი – მ. ე. რუბენშტეინის რეპლიკა – **„სიტყვა კი არ გამოხატავს მხოლოდ აღნიშნავსო“** ფუძე ქართველურ ენებზე არ ვრცელდება.

ენათმეცნიერი – მარა ეგ გამომხატველობა რაკი, ზემოთხსენებულ, განუვითარებელ ტომთა თავისებურებაა, აქედან დასკვნა: სრულებით არ ყოფილა იგი სიძველისა და განვითარების სიმტკიცე.

ფილოსოფოსი – ბუნებრივი სიმბოლიკა – გამომხატველობაა ენის სიძველის უტყუარი დასტური: წარმოუდგენელია, ჯერ განმაზოგადებელი სიტყვები წარმოქმნილიყვნენ და მერე განზოგადოებას რომ საჭიროებენ ისეთნი. ცხადია, ყველაფერი პირიქითაა: უშუალო თვალსაჩინოებით თვისობრიობაში იშვა განყენებული ანუ თვალსაჩინოებადაცლილი თვისობრიობა სიტყვისა.

ანთროპოლოგი – გარდა ამისა უნდა გავითვალისწინოთ, რომ

„... უმაღლეს ხალხთა მდგომარეობა მიღწეულ იქნა დაბალი მდგომარეობის პროგრესით...“ ... უძველეს დროში უკვე არსებობდა შედარებით მაღალი ველური ცივილიზაცია. ლინგვისტური ვარაუდები ი. ე. ხალხების საკმაო შორი დროიდან საერთო წარმომავლობაზე. საერთოზე გარკვეული ხარისხით ფიზიკური წარმომავლობით და უფრო მეტად – ცივილიზაციით მივყავართ იგივე შედეგამდე...“ ბ. ტეილორი. „პირველყოფილი კულტურა.“ გვ. 44 და 54.

ავტორი – მატრიარქატიდან დაწყებული, განვითარებულობა ენისა და აზროვნებისა, ხსენებულ ტომებს რომ დააკლდათ, ბოლო 10–5 ათასწლეულის, ძირითადში, პატრიარქატის მონაგარია, მაშინ როცა ადექვატური გამომხატველი მეტყველება ასეულ ათასწლეულებს მოიცავს.

ანთროპ. – „ფუძე ენა“ გამომხატველ ენებში უნდა ვეძიოთ

არქეოლოგი – საქართველოში 90-იან წლებში ნახულია 1,5 მლ. წლის ად-ის ქვედა ყბა და 2 მლ. წლის მამაკაცის და დედაკაცის ჩონჩხი. “...ამჟამად ... დაფიქსირებულია 400-ზე მეტი ძველი ქვის ხანის (პალეოლითის) ძეგლები. რომელთაგან 150 თარიღდება ქვედა პალეოლითით (50 აშელის პერიოდის, 200-ზე მეტი მუსტიეს პერიოდისა), ხოლო, დაახლოებით, – 150 ზედა პალეოლითის და მეზოლითის პერიოდებისა“... ო. ლორთქიფანიძე „ნასლედიე დრევნეი გრუზიი“ გვ.41. თარგმანი ე. ი.

ისტორიკოსი – ასე რომ, დასაბამიდანვე საქართველო პირველყოფილი ადამიანის საცხოვრისია, ამიტომ გამომხატველი ენის წარმოქმნა სრულიად ბუნებრივია.

ენათმეცნიერი – „...მე ვალდებული ვარ ვთქვა, რასაც ამბობენ, მაგრამ რომ მჯეროდეს ნათქვამის, ამის ვალდებული სულაც არა ვარ...“ (ჰეროდოტე „ისტორია“ გვ. 457).

ენათა კლასიფიკაციაში ამგვარი ნიმუშის – გამომხატველი ენა თუ ენები ენათმეცნიერებამ არ იცის: ქართველური ენები ტიპოლოგიური კლასიფიკაციით: მორფოლოგიურად აფიქსებიანს ანუ ცვალებადსიტყვიანს (აგლუტინაციურს), ხოლო გენეალოგიურით – იბერიულ–კავკასიურ ოჯახს განეკუთვნებიან. ამ კლასიფიკაციებით, სიძველის თუ განვითარებულობის თვალსაზრისით რომელიმე ჯგუფის ენათათვის უპირატესობის მინიჭება (დადგენა) ენათმეცნიერებამ არ იცის. იგი უმართებულოა და მეცნიერებაში უარყოფილია.

არქეოლოგი – “...მუსტიერეს კულტურის ჩარჩოებში კავკასია-

ში თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბება უკვე მომთავრებულია ... იმერეთის პოპულაციას გააჩნდა მნიშვნელოვანი პროგრესის ნიშნები...(და ისინი ე. ი.) უკვე არ იყვნენ ნეანდერტალელები (ტიპიური ნეანდერტალელი მუსტიერეს ეპოქაში კავკასიაში არაა აღმოჩენილი).“ დ. ნ. გვ. 49

ანთროპოლოგი – ამ პოპულაციის მორფოგენეზში ამგვარი ნახტომი წარმოუდგენელია შესაბამისი აზროვნება-მეტყველების განვითარების გარეშე. როგორცა ჩანს, კავკასიელებმა ერთ-ერთ კულტურულ ეპოქას გადავახტით. ფაქტი სახეზეა: ქართველური ენები გამომხატველ ენათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ.

ავტორი – გამომხატველი ლექსიკით მდიდარი ენების არსებობა ურყევი ფაკტია. და ეს ,პირველ რიგში ეხება ქართველურ ენებს. მაგ: ზოგადად შემოსვლის მნიშვნელობის განმსაზღვრელი ზმნაა შემოვიდა, რომელიც გამომხატველი არაა და რომლის ბადალი ყველა ენას გააჩნია. მაგრამ იმის მიხედვით სუბიექტი თუ რა ხმიანობით შემოვიდა გვექნება: შემობახუნდა, შემობრახუნდა, შემობაკუნდა, შემოგრიხინდა, შემოგრიალდა, შემორახუნდა და ა. შ. .ახლა იმის მიხედვით თუ რანაირი მოძრაობით შემოვიდა, გვექნება: შემობარბაცდა, შემობანცალდა, შემობანდალდა, შემოცანცარდა, შემოლასლასდა, შემობაჯბაჟდა, შემობაჯგუნდა და ა. შ, როგორც ვხედავთ ენა მიისწრაფის იდეალურად ასახოს სუბიექტი თუ ქმედებათა მისთა უსასრულო ნაირგვარობა.

ისტორიკოსი – ბ-ნო ენათმეცნიერო, ავტორს ჩვენი ენები აჰყავს გამომხატველ, იგივე ბუნებრივ ფუძე ენათა რანგში... თქვენ კი სიახლეებს უარჰყობთ?... მაგრამ ასეთი ზმნების მქონე ენა განა შეიძლება არ იყოს გამომხატველი? ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ვაცხადებ: სწორია რობაქიძე, გერმანულ ზმნასთან მიმართებით, როცა ქართულს აძლევს უპირატესობას.

ავტორი – ხოლო მეგრულ ზმნაზე ლაპარაკიც ზედმეტია: მისი უთვალავი ზმნური ფორმების თუ გამომხატველი სახელზმნების უდიდესი რაოდენობა ქართულადაც კი ვერ ითარგმნება.

ანთროპოლოგი – რაც შეეხება განვითარებულობას, მხედველობაშია მისაღები არა მარტო დღევანდელი, არამედ სასტარტო ვითარებაც. ანუ საწყისები ცივილიზაციებისა, რომელზედაც ეს განვითარებაა დაფუძნებული. ავტორმა პატრიარქატი ახსენა...

ავტორი – პატრიარქატი იმიტომ დასახელდა, ძირითადად,

განყენებული ენისა და აზროვნების ბაზისად, რომ ამ ეპოქაში შეიქმნა, მიწათმოქმედებიდან აღმოცენებულ, მრავალდარგოვან სამეურნეო ასპარეზზე, მაღალგანვითარებული, – ჭეშმარიტად ადამიანური შრომის აუცილებლობა. შეიკრა წრე, რომელშიც ამ აუცილებლობით პირობადებული კომმუნიკაციის მოთხოვნილება კმაყოფილდება არა მარტო უკვე არსებული, ძირითადად, გამომხატველი სიტყვებით, არამედ, ასევე უკვე არსებული განყენებული ენობრივი მონაცემებით და, რაც მთავარია, მათი მნიშვნელოვანი ოდენობის პირველქმნადობითაც. შედეგად უმჯობესდება კომუნიკაცია, შრომის პროცესის კულტურა ადის ახალ მაღალ საფეხურზე, რომელიც მოითხოვს მაღალ ახალ აზროვნებას და მის მარეალიზებელ ახალ აბსტრაქტულ ენობრივ მასალას. და ა. შ.

ანთროპოლოგი – როგორც ვხედავთ, პატრიარქატისა და მისაქეთა ეპოქებში გამომხატველი მეტყველების ხარჯზე, რომელიც წინა საფეხურთან შედარებით უფროა მდიდარი განყენებული ლექსიკით, მატრიარქატის, გარკვეულწილად, დასრულებული ანტროპოგენეზის შემდეგ, კვლავ იცვლება ენა და თავად ადამიანი ანუ დასრულებული ანტროპო თუ სოციოგენეზი არ არსებობს.

ისტორიკოსი – საბოლოო ჯამში ავტორისეული პერიოდიზაცია ანტროპო-სოციოგენეზისა ამგვარად გვესახება: პირველი ნახტომი მოიცავს მხოლოდ ანტროპოგენეზს და აბსოლუტურად **წ და ყ** ბგერათა დამსახურებაა. ხანგრძლივობით მინიმუმ 1 მლ წლისაა, თუმცა მაქსიმუმი შეიძლება იყოს ჰომო ჰაბილისის ეპოქის იქითა 2–3 და მეტი მლ. წელი: ესაა მეტყველების ჩასახვის პირველი პერიოდი. მერე იწყება სრულფასოვანი მეტყველების მეორე პერიოდი, პირველადი და გადამწყვეტი ანტროპოგენეზი დასრულებულია. ჰომინიდი უკვე მეტყველი და მოაზროვნე სუბიექტი – ადამიანია განვითარებული თავის ტვინით, (ჩაისახა მეტყველების ცენტრი), ენითა და ისეთი მახასიათებლებით როგორიცაა: გამომხატველ მოძრაობათა და ხმაბაძვის გენეტიკურად განპირობებული უნარით. ამის შემდეგ იწყება სოციოგენეზი, ამიტომ შემდგომი ნახტომი პარალელური, მაგრამ არათანაფარდი ანტროპოსოციოგენეზია: სოციოგენეზი წინ უსწრებს მორფოგენეზს ადამიანისას.

ენათმეცნიერი – ადამიანი სოციალური ფენომენია. სოციალური გარემო კი უშუალო კავშირშია შრომით მიღწევებთან. როგორ არ უნდა ასახულიყო ეს მოვლენები მრავალრიცხოვან გამომხატველ თუ აბსტრაქტულ ლექსიკაში ენებისა?

ავტორი – ქართველური მდიდარია შრომასთან დაკავშირებული თუ ამ დაკავშირების გარეშე არსებული სიტყვებით. ზემოთხსენებული გამომხატველი ლექსიკა რიცხოვნობით, სწორი შენიშვნაა, მეტია. ამ გამომხატველი ლექსიკის ძირითადი ფონდი ადამიანის გარესამყაროსთან ჭიდილში, ამ უკანასკნელის (ბუნების) უშუალო და თვალსაჩინო ზემოქმედების შედეგადაა წარმოქმნილი. საოცრება სწორედ ისაა, რომ მოგვეპოება კაცობრიობის უძველეს, თითქმის ყველა ძირეულ კულტურათა ზეგავლენით წარმოქმნილი ტერმინები (არხაიზმები).

ენათმეცნიერი – ზემოთქმული შრომის თეორიისაგან განსხვავებით, შრომას თვლის არა – ენის წარმოქმნის მიზეზად, არამედ უკვე არსებულ ენობრივ ფაკტთა განვითარების საშუალებად. თანაც აქცენტი მიმართულია ქართვ. ენებისაკენ. საინტერესოა, რა „აკადემიური „ მონაცემები გააჩნია ავტორს ამისათვის?..

ფილოსოფოსი – სწორედ ბუნებრივი სიმბოლიკა – გამომხატველობაა ენის სიძველის უტყუარი დასტური, რადგან, წარმოუდგენელია ჯერ განმაზოგადებელი სიტყვები წარმოქმნილიყვნენ და მერე განზოგადოებას რომ საჭიროებენ ისეთნი. ცხადია, ყველაფერი პირიქითაა: თვალსაჩინოებით თვისობრიობაში იშვა განყენებულუ ანუ თვალსაჩინოებადაცლილი თვისობრიობა სიტყვისა.

არქეოლოგი – შრომასა და მეტყველების საკითხზე აკადემიურ მონაცემებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ის ფაკტი რომ. **"../არქეოლოგიური მასალა... ავლენს საკმაოდ მრავალმხრივ ეთნოკულტურულ ურთიერთკავშირს წინა აზიის ადრეულ სამიწათმოქმედო კულტურებთან, რითაც განსაზღვრავს ძველი საქართველოს ადგილს მსოფლიო ისტორიულ პროცეში ნეოლითური რევოლიციის პერიოდისა..."** „ო. ლორთქიფანიძე დ. ნ. გვ. 88

ფილოსოფოსი – ხაზგასასმელია ორი განსხვავებული შესაბამისობა:

I – განვითარებულ ხალხებში მაღალი შრომის კულტურა სრულ შესაბამისობაშია მაღალ ზოგადკაცობრიულ და აბსტრაქტულ ენობრივ-აზროვნებით მდგომარეობასთან;

II – არაცივილიზებულ ტომებში დაბალი ზოგადკულტურული და შრომის კულტურის მონაცემები ადეკვატურად შეესაბამება დაბალ აბსტრაქტულ-აზროვნებით თვისობრიობას ენისას.

ორივე შესაბამისობა იძლევა უფლებამოსილებას პირველი დასკვნისა: **განმაპირობებელი მაღალი აბსტრაქტული ენობრივ-აზ-**

როვნებითი რანგისა განვითარებულ ხალხებში (ქართველებშიც) მაღალგანვითარებული შრომის არსებობაა, ხოლო, ამ უკანასკნელის არარსებობა განუვითარებელ ტომებში იგივე მონაცემთა (აბსტრაქტული ენობრივ აზროვნებითი მდგომარეობის) დაბალი რანგის მიზეზი ყოფილა. ასევე სახეზეა ორი შეუსაბამობა:

I – მაღალგანვითარებულ ერებში მაღალგანვითარებული შრომა შეუსაბამობაშია შედარებით დაბალ გამომხატველობით ენობრივ-აზროვნებით მონაცემებთან;

II – განუვითარებელ ხალხებში – პირიქით: დაბალი შრომის კულტურაა შეუსაბამობაში მაღალგამომხატველობით, თვალსაჩინოებით თვისობრიობის ენობრივ-აზროვნებით მონაცემებთან.

პირველი დასკვნის გათვალისწინებით და აქვეთქმულიდან გამომდინარეა მეორე დასკვნა: **შრომა შეუძლებელია იყოს საფუძველი გამომხატველი, თვალსაჩინო თვისობრიობის მქონე მეტყველებისა.** ზემოთხსენებული შესაბამისობა: მაღალგანვითარებული კულტურა შრომისა – მაღალი აბსტრაქტული, ენობრივ-აზროვნებითი მდგომარეობა და შეუსაბამობა: იგივე რანგის შრომა – შედარებით დაბალი გამომხატველი ენობრივ-აზროვნებითი მდგომარეობა, აქსიომატურად, კაცობრიობის განვითარების ბოლო პერიოდების რეალობაა. აქედან გამომდინარე, აქსიომატურია მესამე დასკვნა: **შესაბამისობა: შრომის დაბალი კულტურა – დაბალი აბსტრაქტული ენობრივ-აზროვნებითი მდგომარეობა და შეუსაბამობა: იგივე რანგის შრომა – მაღალგამომხატველობითი მეტყველება ადრინდელი რეალობა ყოფილა.** ანუ **აბსტრაქტული მეტყველება ბაზირებული ყოფილა გამომხატველზე.**

სამივე დასკვნის გათვალისწინებით, სხვა მტიცებებს არ საჭიროებს მეოთხე დასკვნა: **შრომა შეუძლებელია იყოს მეტყველების წარმოქმნის საფუძველი, თუ არ განვითარებისა.**

ენათმეცნიერი – უნდა გამოგიტყდეთ, სწორედ რომ ხაზგასასმელია თქვენს მსჯელობებში არსებული შეუსაბამობები: ჯერ იყოდა, ქართველური ენები თვალსაჩინოებრივი თვისობრიობის, იგივე გამომხატველ ენებად შერაცხეთ. ასეთი ენების მფლობელები კი, თქვენივე მტკიცებით, განუვითარებელნი არიან. მერე ქართველები განვითარებული ერების კატეგორიას მიაკუთვნეთ, რომელთაც, ისევ თქვენივე შეხედულებით, თურმე, მაღალი აბსტრაქტული ენობრივ-აზროვნებითი რანგი შეეფარდებათ. რით ახსნით ამგვარ ურთიერთგამომრიცხავ შეუსაბამობებს?...

ანთროპოლოგი – რამდენადაც გამეგება, ავტორმა მხოლოდ

ფაქტს გაუსვა ხაზი: უეჭველია, შრომამ ქართველებშიც განავითარა ენა და აზროვნება. ანუ ქართვ. ენები, მრავალ განმაპირობებელ ფაქტორთა საფუძველზე, მდიდარია როგორც გამომხატველი, ასევე აბსტრაქტული ენობრივი მონაცემებით.

ისტორიკოსი – ნებისმიერი გამგები გაიგებს: ნაშრომში მოცემული მასალა ქართველურ ენებში როგორც აბსტრაქტ. ასევე გამომხატველი ენობრივი მონაცემების სიმდიდრის გამოვლენაა.

ავტორი – ნიშანდობლივ თუ ვიტყვით, იშვიათად თუ ისეთი, ჭეშმარიტად ქართველიური არქაული სიტყვა, რომლის წარმომავლობასაც თვალსაჩინოება არ გააჩნდეს. ოღონდ ყოველთვის როდი ვართ ძალმოსილნი მათ სააშკარაოზე გამოსაყვანად. აი, ზოგიერთი მათთაგანნი, ოღონდ სააშკარაოზე: უკვე ვიცით, რომ **შ..შ..** ხმიანობა წყალმდინარების გარდა, მრავალ ბუნებრივ მოვლენას გააჩნია. ამიტომ, **შ** ბგერის დუბლირებით, მოვლენათა სპეციფიურ ხმიანობათა თვალსაჩინოებაა სახელდების წინაპირობა სიტყვებისათვის – **შიშინი, შარიშური** და ა. შ. იგივე პრინციპებით გაბმულად წარმოთქმული **შ.. შ..** ბგერები ხმაურის დასაცხრომ მოწოდებად გამოიყენება. იმდენად რამდენადაც, ამგვარ მოწოდებების საჭირობას ითხოვს გასაკუთრებული ექსტრემალური მდგომარეობა (საფრთხე), ჯერ კიდევ უძველეს წარსულში, ამგვარმა წარმოთქმებმა, მოგვცა გარკვეული ემოციური მდგომარეობის გამომხატველი განყენებული სიტყვები: **შიში, მშიშარა, საშიში, უშიშარი**, ნუ გეშინის > ნუგეში და ა. შ.

რუსულში სიჩუმის მოწოდებად პირველად წარმოითქმის **ტს** კომპლექსი და მერე გაბმული **ს... ს...** ეს გვაფიქრებინებს, ამგვარადვე, სიჩუმის მოწოდებად ყოფილიყო **ტშ** კომპლექსი და მერე გაბმული **შ..შ..**, რადგან ხმაურის გამომხატველი სიტყვები არიან: **შელესტ, შურშანიე, შუმ** და ა. შ., ხოლო სიჩუმისკენ მოწოდებისა – **ტიშე, ტიშ, ტიშინა** და თავად სიჩუმისაც – **ტიშინა, ტიშ, ტიშე**. ასევე გერმ. **შტილლ** „წყნარად“, **შტილლე** „სიწყნარე“ ინგლ. **შათ აფ** „მოკეტე, გაჩუმდი“. ამ უკანასკნელთა ანტონიმია ინგლ. **შაუტ** „ყვირილი“: ეს გამომხატველი სიტყვები არა თუ ანალოგიას ავლენენ ქართველურთან, არამედ, აშკარად, საერთო **შ** წარმომავლობისანი არიან.

ფსიქოლოგი – ცხადია: აღწერილი სიტყვები ოდესღაც **შ** ბგერის სახით არსებულან და მაშინ წარმოქმნილან მათ მიერ აღნიშნულ მნიშვნელობათა **შ** ბგერაზე აზრდის შედეგად: და ეს მიუხედავად იმისა რომ დღეს სხვა, დაუშლელი შედგენილობის არიან.

ავტორი – ხმაურის აკრძალვის მოწოდებად ქართველურში **ს..ს..** წარმოთქმებიც ფიქსირდება. **ს** ბგერაც სპეციფიური ხმიანობის აღმნიშვნელია: ქარის **სისინი**, ბატის **სისინი** და ა.შ. აშკარაა, **ს** ბგერის ანალოგია **შ** ბგერის ზემოთაღწერილ მოვლენებთან, რაც გვშველის გამომხატველობა აღვუდგინოთ შემდეგ სიტყვებს: მეგრ. **სერი** < **სგ** + რე „ღამე;“ ო-სერ-შე „საღამოს ვახშამი“ > ქართ. **სერი // სერ-ობა** „საღამოს ვახშამი“, რომელთაც ვლ. ალფენიძემ, სრულიად მართებულად, უამრავი ლათინური პარალელი დაუძებნა (იხ. ვლ. ალფენიძე „რჩეული თხზულებანი“).

ისტორიკოსი – აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ მეგრ. **სერუა** ნიშნავს ღამის დადგომას, **„... როდესაც ასტროლოგები, ასტრონომები იწყებდნენ ცაზე დაკვირვებას და წინასწარმეტყველებდნენ ადამიანთა ბედს თუ უბრალოდ არკვევდნენ ციურ სხეულთა აღნაგობას. ... სერუა და სერვა (ლათ. „დაკვირვება“ ე. ი.) იდენტურია, შეიძლება დავუშვათ მოსაზრება, რომ ლათინურში მან (მეგრ. სერუამ ე. ი.) განიცადა ტრანსფორმაცია და მიიღო დაკვირვების მნიშვნელობა. ამავე ძირისაა სიტყვა ობ-სერ-ვატორია...**“ (ნუგზარ კვეშელავა)..

ავტორი – მეგრ. // ქართ. შორისდებულია **სუ** „გაჩუმდი“. თუ მას დავამატებთ მეგრ. არსობის აღმნიშვნელ რე „არის“ ზმნას მივიღებთ სუ რე ფრაზას = „სუ არის“, მნიშვნელობით **სუ ანუ სიჩუმე** + არის = სიჩუმე არის.

ფილოსოფოსი – აი, რა ადეკვატური ლოგიკისთვის მოუხმია უძველეს კოლხს, რასაც მოიცავს შინაგანი ფილოსოფიური კანონზომიერებანი მოვლენისა სგ რე* > სურე >// სერი = სიჩუმეა > ღამეა. (ღამით ხომ სიჩუმის სუფევაა). ეს ერთი, მეორეც: სიჩუმე ხომ აბსტრაკტული სახელია. მას კი, შეხედეთ, თურმე რა მკაფიო მატერიალური წარმომავლობა ჰქონია.

ისტორიკოსი – სუ რე //< სგ რე და სერი < სგრე ეტიმოლოგიის სტრუქტურული ანალიზი“ და „აკადემიურობა“ „საყმაწვილო სენით“ შეპყრობილ ენათმეცნიერ ოპონენტებს, უეჭველია, არ მოეწონებათ, მაგრამ ეს მათი პრობლემაა. სამაგიეროდ ბგერას აზრდილი თავდაპირველი მნიშვნელობა იმდენად ზუსტია და შემდგომი აზრობრივი და ბგერითი ცვლილებები იმდენად კანონზომიერი და თანმიმდევრული (როგორც ავტორის მიერ მოხმობილ სხვა მრავალრიცხოვანთა), ეტიმოლოგიური პრობლემა არაა.

ავტორი – ზემოთაღნიშნული ქართ. მეგრ. **სუ** მრავლობითში გახლავთ ქართ. მეგრ. **სუთ** „გაჩუმდით“. მ. ე. არაბული **საუთ**

„ხმა“; სლავური **ზვუკ** „ხმა, ბგერა“; მეგრ. **ზანთი** „ძახილი, ძლიერი ხმა“; ქართ. **ზავთი**, ზავთიანი (არაბულ ნასესხობად მიაჩნიათ); ინგლ. **საუნდ** „ბგერა“ **შ // ს // ზ** ხმაბაძვითთა წარმომავლობისანი ყოფილან. რა თქმა უნდა, იგივე ითქმის ქართ. გა-**სუ-სუ**ლი, მეგრ. გო-**სი-სი**-ნა-ფი-ლი „გასუსული“; მეგრ. **სი**სანდი „მცირე ხმაური“, **სი-მინი**//სგ-მგ-ნი. 1. დიდი ხმა, 2. ზვავი, 3. აზრი სგმგნ ვემშაძ „აზრი არა აქვს“; 4. გაგება (მუთუნ ვასგმ „არაფერი გაეგება“); 5. სმენა (მუთუნ ვესიმე „არაფერი ისმის“). ამ უკანასკნელს, უამრავი ზმნური ფორმები გააჩნია: ქალმასიმ „ჩამესმა“, ქგმმასგმ „მომესმა“ და ა. შ. ესენი ყველანი, როგორც ვხედავთ, გამომხატველნი არიან.

ახლა ისეთ სიტყვას შევეხოთ, რომლის წარმომავლობის დადგენა მეტადრე გაძნელებულია. ეს სიტყვა გახლავთ **სეირი** „თავის შესაქცევი, გასართობი რამ – სანახაობა“ (ქ.ე.გ.ლ.). ესეც არაბულ ნასესხობადაა მიჩნეული. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ მას გააჩნია სინონიმი – **თვალის სეირი**, რომელიც ამ ნასესხობას ეჭვქვეშ აყენებს:

სხვათაშორის, ჯამაათი \\ ჯუმათი არაბ. ,,საზოგადოება,, ამიერკავკასიაში ,,სოფლის ყრილობა,, დაღესტანში „თავისუფალი საზოგადოება“, სამეგრელოში ,,ხალხი, საზოგადოება,, ქართვ. ელემენტია არაბულში, რადგან მეგრ.\\ ლაზ. ჯიმა \\ ჯუმა = ძმას, ჯიმალობა = ,,ძმობა,, ხოლო ჯიმა-თი \\ ჯუმათი = საძმო ადგილს ანუ იმ ადგილს სადაც საზ. ყრილობები ტარდებოდა

ისტორიკოსი – მეგრულში არის **სეირი**-ს შესატყვისად **თოი-სერი** „განსაცვიფრებელი რამ, სასწაული“. უეჭველია, ამ უკანასკნელის წინაფორმაა ქართული თვალის სეირი-ს უზუსტესი მეგრ. შესატყვისი – თოლიშ სერი, რაც ზედმიწევნით უდრის „თვალის ღამეს“.

ფსიქ. – რა შუაშია თვალი იგივე თოლი ამ სიტყვებში?

ავტორი – საქმე იმაშია, როგორც ზემოთ ითქვა, მეგრ. **სერი** „ღამე“-დან ამომდინარე ქართ. **სერი იგივე სერობა** ნიშნავს „საღამოს ვახშამს“ და საერთოდ „ნადიმს, ლხინს“. ეს ღონისძიებანი კი ჩვენში საღამოდან მთელი ღამე გრძელდება. მათი თავისებურებანი ქართველურ ყოფით წიაღში სრულიად ითავსებს იმ მნიშვნელობებს, რაც ტერმინ სეირს ახასიათებს: ქართველურ ნადიმთა თუ ლხინთა როლი განმაცვიფრებელი პოლიფონიური სიმღერებისა და ცეცხლოვანი ცეკვების შექმნაში, მჭერმეტყველების, ხალხური პოეზიის განვითარებაში შეუფასებელია: ქართველური

სუფრა გახდა დახვეწილი, უაღრესად შემოქმედებითი, თეატრალიზებული სანახაობა. ამიტომაც გაგვაჩნია სენტენციები: თვალს წყალი დავალევინოთ, მეგრ. თოლი, შუნს, თოლი ჭკუნც. „თვალი ჭამს, თვალი სვამს“.

ფილოსოფი – უცხადესია: ქართველური სუფრა – **სერობა** ჩვენი წინაპრებისთვის ღრეობა – კუჭის **სეირი** კი არა, თვალის **სეირი > (თვალის სერი)** იგივე **თოლიშ სერი**, ანუ ზედმიწევნით თვალის საზრდო – სულიერი საზრდო გახლდათ.

ისტორიკოსი – რაც შეეხება შრომასთან კავშირში არსებულ ტერმინებს, ქართველური მდიდარია – ისეთებით, რომლებიც პირდაპირ ღაღადყოფენ შრომის სათავეებთან კოლხების ყოფნას. თავად ტერ. შრომა გახლავთ ფიზიკური დაძაბვისას (შრომისას) ადამიანის გახშირებული სუნთქვის გამოხატულება: მეგრ. **შურ-ი** უდრის **სული**, **შურ-ობა** კი გახშირებული სუნთქვაა, მეგრულად. ხოლო **შურ-ობა > შრ-ომა** ცვლილებები კანონზომიერია და სტრ. ანალიზს არ მოითხოვს.

ანტროპოლოგი – გვაროვნული წყობილების რღვევიდან დაიწყო ქართვ. ნაცველსახელების წარმოქმნა და დამთავრდა პატრიარქალური ოჯახის შექმნის პერიოდში. .იმდროინდელნი გახლავან ტ-ები: **მუშა, მუშა-ობა, შენ-ონა**. ეს უკანასკნელი (შენობა) დღეს ნაგებობაა, მაგრამ ძველად ის პირველი პირისთვის – **შენ-**თვის საქმიანობას აღნიშნავდა.

მეგრ. **მუშო** უდრის თავისთვის, ამიტომ მეგრულივე **მუშო-**ობა რაც იგივე **თავის-**თვის ანუ პირველი პირისთვის საქმიანობაა პარალელია ქართ. შენობისა. ანუ ქართ. **შენ-ობა** და მეგრ. **მუშო-ობა** იმგვარი ურთიერთ დამოწმებები არიან, რომ – **მუშა, მუშაობა** და **შენ-ობა-ს** პატრიარქალური მონოგამიური ოჯახის დროინდელ ტერმინად მიჩნევის თაობაზე დასკვნას, დამტკიცებულ ჭეშმარიტებად აქცევენ.

ავტორი – მოგვყავს შრომის პროცესის ამსახველი უძველესი ფაქტობრივი მასალა: „....ლესვის პროცესის სპეციფიურ **ს...ს...** და **შ...შ...** ხმიანობათა გამომხატველ **ს** და **შ** სამეტყველო ბგერათა აფიქსაციებით, ხშირად ორმაგი სუფისაქციებითაც, წარმოიქმნენ შემდეგი სიტყვები: **ს + უა> სუა**; ლე + სუა > ლე-სუა > //ლესვა; **ს + რ > სირ; ლა + სირ + უა > ლასირუა** ,,ლესვა“; ქართ. მეგრ. **ა-ლე-ს-ილი // ლა-სირ-ელი**; მეგრ. **შგ + ლ > შილ** მეტათეზი > **ლიშ** ,,ნემსი“ (ნემსიც ლესვის შედეგია).

ა-ლე-სილ // ლა-სირ-ელ-ის **სირ რ > ნ** როტაცია გვაძლევს

მეგრ. **სინ**-ა ფორმას, რომელიც ბევრ აღმოსავლურ ენებში რკინას ნიშნავს. დღევანდელი მეგრულით **სინა // რსინა** ,,მავთულია", უეჭველია, წარსულში მნიშვნელობით დღევანდელი ქართ. **(სინა > მსინა > ნამსი) ნემსი** იქნებოდა, რადგან მავთულის დამზადების ტექნოლოგია გვიანედელია. აქედანვეა (სინა >) მეგრ **მისინა** ,,ჭიის პარკისგან დამზადებული ძაფი".

რაკი აღმ. ენებში **სინა** რკინაა, ამგვარი გადასვლები მომხდარა: **ს...ს...** ,,ლესვა"; **ს + რე** > სირ // სინა ,,ნემსი"; სინა ,,აღმ. ენებში ,,რკინა" > მეგრ. ,,მავთული".

ანტროპოლოგი – როგორც ვხედავთ, აღნიშნული სიტყვები, უძველეს წარსულში, ლესვით ხის, ქვის, ძვლის, რქის იარაღების (ისრისპირების, დანების, ნემსების, ისრების და ა.შ.) დამზადებიდან ღებულობდნენ დასაწყისს. ამიტომ მათი, იმ დასახელებული, ხმბ. ბგერების სახით არსებობის ძვ. პალეოლითის ეპოქებისთვის მიკუთვნება კანონიერია.

ავტორი – იქიდანვეა საწყისი მთელი წყება სიტყვებისა და მათი ფონეტიკურ- სემანტიკური განშტოებებისა:

ქართ. **ი-სარ-ი** (<ლი-**სარ**-ი); მეგრ. **სა(გა)ნ-ი** „ისარი" **(სარ > სან);** ლათ. **ასსერა** ,,სარი, პალო"; ქართ. **სოლ-ი**//მეგრ. **სალ-ი**; ქართ. მე-**სერ**-ი//მეგრ. მა-**სარ**-ი;

ქართ. **სალ-ი**; მეგრ. ლა-**სარ**-ი" სალი»; შდრ. მეგრ. ლა-**სარ**-უა ზედმიწ. „დამესრვა", „მესრების დამზადება." უნდა ვიფიქროთ, მნ-ბა **სალი** მიღებულია ძვ. პალეოლითში წაწვეტებული ქვების დამზადების პროცესში.

ქართ. ლურ-**ს-მ-ან-ი** // მეგრ. ლი-**ს-მ-არ**-ი...."

ფსიქოლოგი – პერშიცი, მონგაიტი და ალექსეევი ანთროპოგენეზში როცა ლინგვისტურ მონაცემებს იხილავენ, აღნიშნავენ, რომ **„..სიტყვა სტრელიატ „სროლა" ამოსულია სიტყვიდან სტრელა „ისარ-ი" და წამომავლობის კვალს იმ ეპოქამდე მივყავართ, როცა შვილდიდან „ისარს ისროდნენ"** .... (,,პ. ს. ისტორია" გვ. 26).

ფიზიოლოგი – კვალის თაობაზე სწორია, მაგრამ აქ არაფერია თქმული ამ სიტყვების არქაულ ძირთა წარმნოქმნის მექანიზმზე: ,,ნებისმიერ განათლებულ ადამიანს თვალში მოხვდება", რომ დასაბამისმიერი **ს + რე** > ლათ. **ასსერ** // რუს. **სტრელა**// ქართ. **ი-სარ-ი**; რუს. **სტრელიატ**// ქართ. **სრ**ოლა მონათესავენი და მსგავსნი კი არა, ინდენტურნიც კი არიან. ოღონდ, ამოსავლიანობის ავტორისეული მექანიზმი მხოლოდ ქართველურშია.

ენათმეცნიერი – ჯერ არს გავჩუმდე, მაგრამ არ ძალმიძს: თქვენი საოცარი წარმოსახვა.. თქვნი საუცხოო ნიჭიერება.. მაგრამ უფრო საკვირველია ის – ნუთუ ნამცეცსაც არ დატოვებთ სხვათათვის?...

ავტორი – ბ-ნო ენათმეცნიერო, რაც ჩვენ ჩამოგვითვალეთ განა შეედრება თქვენსას, მაგრამ ვაი, რომ სიბრძნე თქვენი შეუვალი ყრუ კედელია. რაც შეეხება ჩვენს წინ მდგარ საკითხს და ნაშრომის მონაცემების შეფასებებებს, თქვენი მხრიდან, არა თუ ობიექტური მიუკერძოებელი და არგუმენტირებულია, არამედ, პირიქით: თქვენს მიერ მათი იგნორირება ბატონო ენათმეცნიერო, არა მარტო ,,მძვინვარე" ნიჰილიზმი, არამედ საკუთარი უუძველესი ეთნოგენეზური კვალის მიჩქმალვაცაა, არაფერი რომ არ ვთქვათ სხვა ენებში ქართველურ ელემენტთა პოვნიერების იგნორირებაზე. ამგვარად, ,,აკადემიური საფუძველი" არ არსებობს კი არა, არსებობს მათი თქვენმიერი ნიჰილისტური იგნორირება.

ისტორიკოსი – აქამდე არსებული და მათ შორის ავტორისეული **„...ლინგვისტური დასკვნები ინდოევროპული ხალხების საერთო წარმომავლობის შესახებ, საერთო გარკვეული ხარისხით ფიზიკური წარმომავლობით და უფრო მეტად მათი ცივილიზაციით დამაჯერებელია.."** (იხ. ზემოთ) ხოლო **...ცივილიზაცია მცენარეა, რომელიც უფრო გავრცელებადია ვინემ თავად ვითარდება... ე. ბ. ტაილორი „პ. კ."** გვ. 53. „აგრეთვე: **„...გრებნერის მიხედვით, კულტურის თითოეული მოვლენა მხოლოდ ერთხელ წარმოიქმნება, ერთ ადგილზე. ერთ და იმავე მოვლენის არსებობა სხვადასხვა ხალხში ახსნილია მისი თავდაპირველი ცენტრიდან გავრცელებით..."**(იხ. ქ.ს.ე. 6 გვ. 69). ამიტომ, დიდი ავტორისეული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ მის ლინგვისტურ თუ სხვა მონაცემთა საფუძველზე, იგივე შეიძლება ითქვას იბერიულ-კავკასიურ ენათა მფლობელ ხალხებზე და აგრეთვე ამ უკანასკნელთა და ინდოევროპელთა საერთო, როგორც ენობრივ ასევე კულტურულ წარმომავლობაზე.

ენათმეცნიერი – ბატონებო, როგორც ვხედავთ, ავტორმა აქვე დაასახელა შრომის პროცესიდან შობილი ხმაბაძვითი სიტყვები. ზემოთ კი საპირისპიროს ამტკიცებდით: შრომის პროცესიდან, როგორც ქმედებიდან, მხოლოდ ჟესტ-მიმიკის ენა და არა ბგერითი წარმოიქმნებოდაო, ბრძანებდით. მე არაფერს უარვყოფ, მაგრამ აქ აშკარა წინააღმდეგობაა...

ფსიქოლოგი – მხედველობაში გვქონდა აკუსტიკურ ფაქტს მოკლებული ქმედებები და ისეთნი, რომელნიც მუდმივად ერთი-

დაიგივე ხმიანობით კი არა, ცვალებადით მიმდინარეობენ: ქმედებაა მზისაგან ხელით მოიჩრდილო, ან თავი ატრიალო, მაგრამ ამ შემთხვევაში ჟესტ-მიიკის ნიშანი წარმოიქმნება და არა ბგერითი. ასეცაა: მტაცებლები, ნადირობისას, სხვადასხვა ორგანოების (თავის, ყურების, კიდურების, კუდის, თვალების, სახის ნაკვთების) მოძრაობებს სასიგნალოდ იყენებენ. ეს გახლავთ ჟესტ-მიმიკის ცხოველური ენა, მაგრამ ბგერითი სიგნალი არ წამოქმნილა, ვინაიდან ცხოველის ტვინი არაა განვითარებული და ამ პროცესს, შრომის პროცესისგან (ლესვა და ა. შ.) განსხავებით, სპეციფიური ხმიანობა არ გააჩნია.

ფიზიოლოგი – იმისათვის რომ გავიგოთ, თუ რატომ ნებისმიერი პრაქტიკული ქმედებიდან დასაბამისმიერი მეტყველება ვერ წარმოიქმნება (თუ არა არსებულის განვითარება) საჭიროა, უფრო ღრმად წვდომა საკითხის შინაარსისა: ბ-ნო ენათმეცნიერო, გთხოვთ, მიპასუხოთ: თქვენ, ენათმეცნიერს შეგიძლიათ კი უაქცენტოდ წარმოთქვათ ზოგიერთი რუს. ფონემა?.. საერთოდ შეძლებთ კი, ქართველურისაგან განსხვავებულ, ზოგიერთი აფხაზური ფონემის წარმოთქმას?.., – ვერ შეძლებთ. ამის შემდეგ ნებისმიერი მიხვდება: თუ თანამედროვე ადამიანს, განვითარებული აზროვნება-მეტყველების ცენტრებით, უჭირს უცხო ფონემათა წარმოთქმა, ამას, საწყის პერიოდში, ვერანაირად შეძლებდა იგივე ცენტრების არ მქონე თუ განუვითარებელი ცენტრებისა და ენის პატრონი ჰომინიდი. ამისათვის მას ჩვეული ფიზიოლოგიური მოძრაობებით ენისა (**წ და ყ** ბგერათა ბუნებრივი წარმოთქმებით) უნდა განუვითარდეს თავის ტვინი და ენა.

ავტორი – როგორც ითქვა, ძვ. პალეოლითის დასაწყის პერიოდში **წ** და **ყ** მეტყველების დემიურგთაგან წინა და უკანა ენისმიერთა წარმოქმნა, უმეტესწილად, უნდა ვიფიქროთ, მომთავრებულია. უკვე ჩამოყალიბებულია ხმაბაძვის მემკვიდრეობითი უნარი, ამიტომ, ზემოთმოყვანილ მაგალითში – ლესვისას ამ პროცესის **ს... ს...** ხმიანობები, ხატოვნად თუ ვიტყვით, სამეტყველო სისტემას ექაჩება **წ > ს** ცვლილების მიმართულებით. ასე ვლებულობთ ზემოთხსენებულ (სარი, ისარი და ა. შ.) სიტყვებს. თუმცა, ხშირად, **წ** შენარჩუნებულია, მაგ: ქართული (**წ**უერ-ი >) **წ**ვერი // მეგრ. (**წ**უარ-ი > **წ**უადი >) **წ**ვანდი „**წ**ვერი"-ს ნაცვლად, შესაბამისად, **ს**ერ-ი // **ს**ვანდ-ი უნდა გვქონოდა.

ენათმეცნიერი – შრომასთან დაკავშირებულ, ზემოთხსენებულ (**სარი, ისარი..**) სიტყვების არსებობა იშვიათობაა და არ იძ-

ლევა საფუძველს ზოგადი დასკვნების გამოსატანად, ხოლო იმისათვის, რომ გვჯეროდეს შრომასთან დაკავშირებული სიტყვების სიძველე, საჭიროა არქაულ წყაროებში (რაც არ გაგვაჩნია) მათი დადასტურება, ვთქვათ, იმდაგვარად მაინც როგორიც ჩვენსერამდელი ბერძნული გეო „მიწა“ და პირსახელი გიორგი „მიწათმოქმედი“ რომაა.

ისტორიკოსი – „...ქვეყანა საქართველოს შესწავლა მასში შემავალ ქვეყანათა შესწავლით უნდა წარიმართოს...„(ნ. ბერძენიშვილი ,,საქართველოს ისტორიის საკითხები...“ გვ. 14.) მაშინ ვნახავთ, რომ დიახაც, რომ ბევრი რამ გაგვაჩნია...

ავტორი – გიორგი მიწადმოქმედის მნიშვნელობის მქონედ რომ მიგაჩნიათ სწორია. იგივეა ეთნონიმი **მა-რგ-ალ-ი**, რადგან ეს სიტყვა ზედმიწევნით უდრის „მრგველი“.

ენათმეცნიერი – , ასტრონომი, ისტორიკოსი, კარტოგრაფი – **კლავდიუს პტოლემე (პტოლემაიოსი) მე-2 ს.** თავის **„გეოგრაფიაში“ წერს: „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, მაღალ ადგილებში კი მანრალები-ით“: ცნობილი მეცნიერების ჯანაშია, შანიძე და სხათა მიხედვით, ამ მანრალის შესატყვისი მარგალი ასეა სეგმენტირებული მ-არგ-ალ-ი და არა მა-რგ-ალი. შდრ: ეგვიპტე და მ-ეგვიპტ-ელი, აწყური და მ-აწყურელი...**

ავტორი – გპასუხობთ: ეთნონიმი **მარგალი** და სახელი გეორგი ქრისტიანობამდელი რომაა ფაქტია, რადგან ძველ წყაროებში ქრისტიანობამდე იხსენიებიან **გეორგები იხ. გვ. 382**: მარგალი და პირსახელი **გეორგი** წარმომავლობით კოლხურნი არიან და შუმერულ გილგამეშთან პოულობენ კავშირს. ბერძნულში შეღწევამდე დიდი ხნით ადრე აღნიშნავდნენ მიწათმოქმნედს, რადგან **მა-რგ-ალ-ის რგ** და **გე-ო-რგ-ის** ორივე კომპონენტი – **გი და რგ** უშუალო კავშირშია მიწათმოქმედების ტერმინებთან: **გე-ო-რგ > // ქართ. გი-ო-რგ-ის გე // გი** ფარდია სვ. **გე** მიწა“ და მეგრ. **გე** „მიწისკენ მიმართულების მქონე ქმედების აღმნიშვნელ ზმნისწინისა. მეგრულად ხუნა არის ჯდომა **გე-ხუნა = რისამე ზედაპირზე** დაჯდომას, მაგრამ ამ **რისამე ზედაპირს გე** განასახიერებს, რომელიც, უეჭველია, საწყის პერიოდებში სახელდებისა მხოლოდ მიწას მოიაზრებდა. ანუ ზმნისწინი გე ამგვარადაა ამოზრდილი. **რგ** კომპლექსი კი ამ ეთნონიმსა და ანთროპონიმს უცხადესად აკავშირებს (იმდენად უცხადესად, რომ რომ ამის შემჩნევა თვალახვეულმაც უნდა შეძლო) მიწათმოქმედების მთელ წყება ტერმინებთან. ესენია:

ქართ. **რგ-ვა** // მეგრ. **რგ-უ-ალა** // სვ. გლინგ-**რგ-ა-ვი**. ძირია **რგ** (შდრ. **და-რგ-ო** // **დო-რგ**: **რგ-ული** // **რგ-ილი**). **რგ** ძირის დერივატები არიან: **ნე-რგ-ი** // მეგრ. **ნა-რგ-ი** // სვ. **ნე-რგ**: ქართ. **მა-რგ-ლვა** // მეგრ. **ბა-რგ-უა** (< **ბ-რგ-უა**) // სვ. **ლი-ბე-რგ**; სამიწათმოქმედო ხელსაწყოების სახელები: ქართ. მეგრ. **მა-რგ-ილი**. მეგრ. **ბე-რგ-ი** (< **ბ-რგ-ი**) // სვ. **ბე-რგ**. „თოხი." ასევე, უეჭველია, მეგრ. **ა-რგ-უნი** (< **ო-რგ-ურ-ი***) „ნაჯახი „სამიწათმოქმედო იარაღიც იყო. გარდა ზემოთქმულისა, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე: პირსახელ **გე-ო-რგ-ის** მეგრულ ალომორფალურ ფორმებს შეიცავენ მიწათმოქმედების აღმნიშვნელი ასევე მეგრული ზმნური ფორმები – **გე-რგ-უა-ფა** „და-**რგ**-ვა" და **გე-რგ** „რგულია", დარგულია"; გვარ-სახელები **გერგე**-და, გერგა-ია, **გეგე**-ნა ქართ.: გიორგი, გიორ**გ**-აძე. გიორ-ხელი-ძე, **გიორგ**-ობიანი და ა. შ.

მა-ალ მაწარმოებლებს ქმედების პროცესის აღნიშვნის (მიმღეობების წარმოების) ფუნქცია გააჩნიათ: **მაგ: მა-ჭარ-ალ-ი „მწერალი," მა-ხვამ-ალ-ი „(და)მლოცველი" და ა. შ. ხოლო ვინაიდან** ეთნომიმი მა-**რგ**-ალი-ი „მეგრელი" **რგ** ძირის მქონეა და, როგორც ითქვა, გარდა ამ მნიშვნელობისა, აგრეთვე, **მა-ელ** მაწარმოებელთა მეშვეობით,ზედმიწ. – **მა-რგ-ალ-ს „მრგველს" და „გლეხს" ანუ მიწათმოქმედს** აღნიშნავს, შეუძლებელს ხდის ამ ამ სახელში **მა-ელ მაწარმოებელთა არარსებობის მტკიცებას:** რაც შეეხება, გარკვეულ პერიოდში, **არგ და ეგრ** ძირების არსებობას, ეს იმის გამოა, რომ **მა-რგ-ალ სახელის მა-რგ** ძირია მათზე უფრო ძველი. ასე რომ **მ** კი არ შეეზარდა **არგ და ეგრ ძირებს – პირიქით – ცნობილი თავკიდურა ხმოვნის დაკარგვის წესით,** მათზე უფრო ძველ **მარგ და მეგრ** ძირებს ჩამოშორდა **მ სონორი** და ასე აღმოცენდნენ **– არგ და ეგრ.** ხოლო **მა-რგ-ალ-ონ – სინონიმი სახელი მა-რგ-ალ ეთნომიმისა** პტოლემაიოსამდე 2 ათასზე მეტი წლით ადრე ბერძნულში. **მა-კრ-ონ-ის და მაკრისის** სახით რომ არსებობდნენ უკვე გია კვაშილავას კვლევებითაც დგინდება.

ფილოსოფი – მა-რგ-ალ თუ უდრის **გლეხს,** თუ უდრის **მრგველს და მეგრელს** და თუ ის და პირსახელი **გიორგი** მიწის და მიწათმოქმედების (რგვა-თესვის) აღმნიშვნელ უძველეს **რგ** ძირიდან არიან, ყოველივე ამის გამო, შეუძლებელია ესენი არ იყვნენ გეორგიულნი ანუ ქართველურნი, რაც თვით **რგვა-თესვის (მიწათმოქმედების) მიმგნებთა ვინაობასაც ჰფენენ ნათელს.**

ავტორი – როგორცა ვთქვით, **გი-ო-რგ**-ის მეცნიერ-მკვლევართა (მათ შორის ენათმეცნიერთა) კვლევით, მეგრულში მრავალი ალომორფალური ფორმა გააჩნია, როგორიცაა:

1. **გე-რგ-ე**; 2. **გე-გე** (**რგ**-დან **რ** დაიკარგა); 3. **ჯგ-ეგ-ე** (მოხდა სიმეტრიულ დისპოზიციაში კომპონენტთა გადაადგილება და **რ**-ს აფრიკატიზაცია: გე-რგ-ე > **რგ-ეგ-ე** > **ჯგ-ეგ-ე**); 4. **ჯ-ეგ-ე** (გარდა აქვე აღნიშნული ცვლილებებისა **გ** თანხმოვანი დაიკარგა). ჴპირსახელ **გიორგ**-ის **რგ** კომპლექსის ამ ცვლილებებს თუ „აკადემიურ" საფუძვლად გამოვიყენებთ და, რაკი **რ** > **ლ** ენათმეცნიერებაში ცნობილია, შეგვიძლია წამოვაყენოთ ჰიპოტეზა: პირსახელები მეგრულში და სვანურში ხშირი **გი-გლ-ა** და შუმერული **გილგ-ა-მეში-ს გი-ლგ-ა** მიწათმოქმედებისთვის განკუთვნილ, ზემოთ დასახელებულ, მრავალრიცხოვან ტერმინთა მსგავსად, მათივე, ოდინდელი **გი** და **გრ** კომპლექსის დერივატები გახლავან.

ფილოსოფი – რა თქმა უნდა, **გიორგი**-სა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ ყველა, ზემოთდასახელებულ, **ფაქტობრივი ფუძემდებლურობის გამო, ნებისმიერისთვის ეს ჰიპოტეზა ჭეშმარიტია. მ. ე. მიწათმოქმედებაში პიონერები კოლხები არიან.**

ავტორი – რაც შეეხება გილგამეშ-ის მეორე **მეში** ნაწილს, შესაძლებელია აქ პროფ. მიბჩუანია სწორი: გილგა + **მეშიალ**" სვ. მეომარი, გმირი" ან ავტორი: გილგა + ქართვ. სუფიქსები **მე + ში** (შდრ. ექვთი-**მე**, სალო-**მე**, ბათლო-**მე**; ტულუ-**ში**, გუგუ-**ში**. აქედან გვარი გუგუშია > გუგუჩია)...

ენათმეცნიერი – გილგამეში თუნდაც ქართვ. გენეზისის სახელიც რომც იყოს, ეს სრულებით არ ნიშნავს მისი პერსონის ქართველობას.. **მიწათმოქმედების პიონერებად** მეცნიერება, ზუსტ მტკიცებულებათა საფუძველზე, შუმერებს ასახელებს.

ავტორი – დიახ, მაგრამ მათ, ხშირად, მხედველობაში აქვთ **ქალამ**-ელები და არა **პროტო-შუმერები** ანუ "ჭეშმარიტი შუმერები, რომელთა დამყრობ უცხოტომელებს და თავად მათ, ოღონდ ასიმილირებულთ მრავალრიცხოვან ტოპონიმთა, ჰიდრონიმთა, ანთროპონიმთა და სხვა სახელთა დარად, პროტოშუმერთა ქვეყნის სახელები – **ქალამ, კენგირ, კენგერ და შუმერი** შემორჩათ.

ისტორიკოსი – მ. ე. თქვენ თვლით რომ ეს სახელები კოლხურია?...

ავტორი – დიახ. ეს სახელები კოლხურია, რადგან მხოლოდ ახალკოლხურით – მეგრულითაა შესაძლებელი მათი სრულფასოვანი ეტიმოლოგია: ძველად **ე-გურ-ი** მდინარის და მთლიანად

ქვეყნის – ეგრისის სახელი იყო. იგი ავტორმა ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში მიწათმოქმედებას დაუკავშირა. ო მეგრ. დანიშნულების და კუთვნილების პრეფიქსია. **გრ \\ რგ** და მათ, გახმოვანებულ. უძველეს მიწათმოქმედების აღმნიშვნელ ძირთა თაობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ასე რომ, **ე–გურ–ის** რესტავრირებული წინაფორმა **ო–გურ** გაგებული იყო როგორც სარგავი, ოღონდ ამჟამად, უკვე, ეჭვს იწვევს მისივე **ო-გურ > ე-გურ** ინტერპრეტაცია. საქმე იმაშია, რომ შუმერში ქალამელთა მიერ, თავიანთი ქვეყნის სახელად მოცემული, **კენ-გირ// კენ-გერ** და მეორეს მხრივ, კოლხეთში დაფიქსირებულ – **ე-გურ // ენ-გურ** და **ინ-გირ** სახელთა მსგავსება იმდენად დიდია, მათი სერთო წინაპრიდან ამოზრდა საეჭვო არაა. მითუმეტეს რომ, ორივეთაგანნი – **კენ-გირ // კენ-გერ** – შუმერში და მეორეს მხრივ, **ეგურ** – სამეგრელოში მდინარის და, იმავდროულად, ქვეყნის სახელიც იყო. ამ სიტყვათა წინაპარი უნდა ყოფილიყო კოლხ. **ქიან-ა + გირ** ზედმიწ. „ქვეყანა მრგველთა, მიწათმოქმედთა“. ე. ი. **ქიან-ა-გირ > ქენ-გირ // კენ-გირ // კენ-გერ და ე-გურ // ენ-გურ // ინ-გირ** განხორციელდა. ანუ ამ სახელთა პირველი სეგმენტები **ქენ // კენ // ენ \\ ინ** მეგრ. **ქიან-ა** – „ქვეყანას“ **ქიან** ფუძის გამარტივების და **ი** ხმოვნის ცვლილებების შედეგი ყოფილა.

ისტორიკოსი – „...გეოგრ. სახელთა თუ ტერმინთა ეტიმოლოგია „...ყოველთვის როდი მოითხოვს „მაინცადამაინც„ ლექსიკოლოგიის სფეროში მომუშავე სწავლულთა ერუდიციას (...ივ. ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“). „...ამა თუ იმ მიწაწყლის მოსახლეობის, როგორც ტომობრივი არსებობის, ასევე ოდინდელი ფართობის გამოსაკვლევად ერთიდაიმავე გეოგრაფიულ სახელთა გავრცელების არესაც აქვს მნიშვნელობა (...ნ. ბერძენიშვილი. „საქართველოს ისტორიის საკითხები“ გვ. 14.) მაგ:

“...ჰალაფის კულტურა, ძვ. წ. მე-6 ათასწლეულის დასასრულის... ადრესამიწათმოქმედო კულტურა ჩრდილო მესოპოტამიაში ... მისი გავრცელების საზღვრები ჩრდილოეთით ვანის ტბამდე აღწევდა (ესე იგი კარდუხების საცხოვრისამდე ე. ი.) ... ვანის ტბიდან შეტანილია ობსიდიანი ... ჰალაფის კულტურასა და აღმ. ამიერკავკასიის „კერძოდ ქვემო ქართლის ადრინდ. სამიწათმოქმედო ძეგლებს შორის გარკვეული მსგავსება შეინიშნება, როგორც წრიულ არქიტექტურაში, ისე ანტროპომორფულ ქანდაკებებსა და კერამ.

ფორმებში. წარმომავლობის თვალსაზრისით ამ მსგავსებათა ახსნა, ჯერჯერობით, დაუდგენელია...“ (ქ. ს. ე. გვ. 594). მაგრამ თუ გავითვალიმწინებთ მეგრ. „გეოგრაფიულ სახელ“ – ჰიდრონიმ **ხობი-ს** გავრცელებას“, **ხობ-ურ** (**ურ** უხშირესი ქართვ. სუფიქსია, ამიტომ **ხობურ** = ხობელს) სახელის სახით, რომლის ნაპირებზეც (მდინარე **ხობური**-ის ნაპირებზე მესოპოტამიაში) იყო **ჰალაფის კულტურა** აღმოცენებული. ამ უკანასკნელის, წარმომავლობის ახსნა არ უნდა გაჭირდეს. იგი კოლხურია რადგან მდინარე ხობი სამეგრელოშია და აქედან მოხდა ამ სახელის ემიგრაცია. ეს ფაქტია, მითუმეტეს რომ თანხვედრაა სხვა ნომინაციებშიც, მაგ. **ხაბ**-იუ სოფელია აფხაზეთში; **ხაბ**-უმე ასევე სოფელია ჩხოროწყუს რაიონში; გვაქვს პირსახელები: **ხუბ**-უ, **ხუმ**-ფუ; გვარები: **ხუბ**-უა, **ხაბ**-არელი. ხოლო გვარი **ხაბურ**-ზანია პირდაპირ უდრის **ხაბურელ** ზანს ანუ **ხაბურელ** მეგრელს, რადგან სვანები მეგრელებს დღესაც ზანებს ეძახიან...

ასე რომ, ბ-ნო ენათმეცნიერო, სისტემური და „აკადემიური“ მტკიცებულებები წამოვაყენეთ. გაქვთ რამე საწინააღმდეგო?...

ენათმეცნიერი – ?!...

ფილოსოფი – ჯერ მივყვეთ ავტორის ლოგიკური აზროვნების დინამიკას: მიწათმოქმედების პირველი ჩანასახები მდინარეთა ნაპირებზე რომ აღმოცენდა, სწორია არა მარტო იმიტომ, რომ ეს მიწები ადვილად ასათვისებელი და ნოყიერია, არამედ ეს ისტორიული ფაკტია: **მიწათმოქმედება შემდეგ მდინარეთა ნაპირებზე გაიფურჩქნა: ტიგრი, ევფრატი, ნილოსი, რიონი, ენგური და ა. შ.** თუნდაც მხოლოდ აქვე, ზემოთ დასახელებულ საკუთარ სახელებში, ეთნონიმებში, ჰიდრონიმებში, მიწათმოქმედების და ა. შ. სახელებში არსებულ გახმოვანებულ თუ გაუხმოვანებელ **რგ // გრ // გურ // გერ** და ა. შ. კომპლეკსების ფუნქციის დადგენის შემდეგ, შევუდარებთ რა ამ სახელებს საქართველოდან, იმავე კომპლექსების შემცველ და იმავე მნიშვნელობის სახელებს მესოპოტამიაში, მათი შექმნის ერთგვაროვნება ეჭვს არ ბადებს. განსაკუთრებით თვალსაჩინო და სარწმუნოა ის ფაკტი, რომ ჯერ ერთი, ყველა ეს სახელი **კავშირშია მიწათმოქმედებასთან** და პლიუს ამას, ის რომ **ქვეყანას და მდინარეს საქართველოში ერთიდაიგივე სახელი ქვია და ასევეა ეს მესოპოტამიაში. მ. ე. ამგვარი სიტყვათხზვის პოეზია, დამტკიცებულად, ერთიდაიგივე ხალხის შემოქმედებაა.**

ავტორი – შუმერული **ენ-ქი** მეგრ. **ქი-ან**-ა „ქვეყანა“ აგებულებით მხოლოდ მარცვალთა დისპოზიციით განსხვავდებიან. მათი შემადგენელი ნაწილები – **ქი** იგივე **ქა** „მიწა“ და **ენ** იგივე **ან** „ცა“ ერთიდაიგივეა. რაკი **ქი** იგივე **ქა** (> **ხი // ხა** წარმომავლობის) მიწა გახლავთ, **ქა-ლამ** იქნება სველი მიწა, რადგან მეგრულად მო-**ლამ**-ე მოსველებულია, **ლამ**-ირი და **ლამ**-ე კი სველია. თვალში საცემია და, იმავდროულად, უმნიშვნელოვანესი გახლავთ ის ფაქტი, რომ (**შგ** >) **შუ** მარცვალის წყალობით, იგივეა **შუ-მერ**-იც. ეს უკანასკნელი, დიდმა ნიკო მარმა **იმერ, იბერ, ივერ, სპერ** და, ჰიპოთეტურ, **გუერ***-ს დაუკავშირა. ოღონდ არც მას და სხვა მრავალ მეცნიერ-მკვლევარს არ მოუხმია კოლხური სიტყვებისათვის – **შგ** „სველი, წყალი“ და **მერე** (იხ. გვ. 299) მეგრ. „წყლისპირა მიწა,“ გურ. „ჭალა“. და ეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს სიტყვები მეცნიერული განსჯის ობიექტად, მხოლოდ ავტორმა გახადა. როგორც ბევრჯერ ითქვა, სწორედ სუბტროპიკული კოლხეთის მდინარეების ქვიშიანი და სველი ჭალების **შგ + მერე** ადგილებში დაიწყო მატრიარქატში მიწათმოქმედებამ აღმოცენება რადგან ეს მიწები ფრიად ნოყიერი და ადვილად დასამუშავებელი იყო. ამიტომაც ეწოდებოდა რიონ-ენგურის შუამდინარეთს **შგ + მერე > შგმერე**, რომელიც დღეს (**შგ-მერ >**) **იმერ**-ის სახით საქართველოშია, ხოლო (**შგ-მერ >**) **შუ-მერ**-ის სახით მესომოპატამიაში იყო ცნობილი (იხ. „**გ. თ.**“ 1996 წ. გვ. 130-135).

ენათმეცნიერი – **შუმერ**-ი მოსე ჯანაშვილის მიხედვით, **შუა + მერე**-დანაა, რაც შუა მხარეს ნიშნავს.

ავტორი – მეგრულში გვაქვს ადგილის ზმნიზედები – **ამარი** ,,აქ“ და **ემერ**-ი ,,იქ.“. მათი შესატყვისია ქართული **ამერ**-ი და **იმერ**-ი აქეთა და იქითა მხარის მნიშვნელობით. ახლა კი, ვთხოვ ძვირფას მკითხველს 299 გვ-ზე კვლავ გადახედოს მსჯელობებს ქართვ. წარმომავლობის ინდოევრ. ზღვის აღმნიშვნელ **მარ // მერ // მორ** სახელთა თაობაზე, რომელთაგან, მნიშვნელობის დავიწროებით, მიღებულია ზღვის და მდინარის ორივე ნაპირის გაგება. ფრიად საყურადღებოა, რომ ქართვ. **ა** და **ე** ხმოვნები, შესაბამისად, აქეთა და იქითა მიმართულებაზე მიუთითებენ.

ფსიქოლოგი – მ. ე. ქართველური **მწარე** > \\ **მარე** ,,ზღვის-წყალი“ // „ზღვა“, შემდეგ **მარე** > მდინარის ჭალა ადგილები და > ბოლოს მეგრ. ზმნიზედები – **ამარ**-ი წარმოიქმნა – მდინარის აქეთა ნაპირის, ხოლო **ემერ**-ი კი იქითა ნაპირის თვალსაჩინო წარმოდგე-

ნიდან. ამათ კი, თავის მხრივ, ასევე მოგვცეს, **ა** ხმოვნის მეშვეობით, აქეთა და, ე-ს მეშვეობით, იქითა მხარის აღმნიშვნელი ქართ. **ამერ-ი** და **იმერ-ი**. ბატონებო, საქმე გვაქვს უაღრესად სარწმუნო ფსიქოლოგიურ ტრანსფორმაციებთან.

ისტორიკოსი – ავტორთა: წერეთელი, გელოვანი, მარი, ჯავახიშვილი, ჯანაშვილი, ჯანაშია, ალფენიძე, ქაფიანიძე და სხვათა მიერ შუმერულ – ქართველური ეტიმოლოგიური პარალელების ჩვენების კვალდაკვალ, ავტორის მიერ ეთნონიმთა ზემოთხსენებული სიცხადით დადგენის ფაქტი დიდმნიშვნელოვანია...

არქეოლოგი – ჯანაშვილის **შუა-მერე** „შუა-მხარესთან" შედარებით ავტორისეული **შუ-მერ** „სველი ნაპირის" უპირატესობა აშკარაა, რადგან პირველი მიწათმოქმედება, როგორც ბევრჯერ ითქვა, არა მდინარეთა შორის არსებულ, ძნელადასათვისებელ შუა მხარეში, არამედ ადვილად დასამუშავებელ მდინარის უშუალო, გვალვაგამძლე, ნაპირებზე – ჭალებში ვითარდებოდა. რაც მთავარია, სწორედ ასეთია **რიონ-ენგურის,** კოლხეთის სხვა წყალუხვ მდინარეთა და **ტიგრ-ევფრატისა** და მათი განშტოებების ნაპირები მესოპოტამიაში (დღევანდელ ერაყში). და საერთოდ, ყველგან.

ავტორი – როგორც ბევრჯერ ითქვა, სწორედ სუბტროპიკული კოლხეთის მდინარეების ქვიშიანი და სველი ჭალების **შ2 + მერე** ადგილებში დაიწყო მატრიარქატში მიწათმოქმედებამ აღმოცენება. ამიტომაც ეწოდებოდა რიონ-ენგურის შუამდინარეთს **შ2 + მერე,** რომელიც დღეს (შგ-მერ>) **იმერ**-ის სახით საქართველოშია, ხოლო (შგ-მერ>) **შუ-მერ**-ის სახით -- მესომოპატამიაში.

არქეოლოგი – **"...ოპტიმალური ეკოლოგიური გარემოს გამოყენება (რაც პირველხარისხოვან ფაქტორადაა აღიარებული) კოლხეთში ნათლად და მკაფიოდაა დაფიქსირებული: მდ. რიონი (და ენგური ე. ი.) ხელს უწყობდა ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას (და უწინარესყოვლისა ჩასხვას მისას ე. ი.).** (,,... ო. ლორთქიფანიძე ,,ნასლედიე დრევნეი გრუზიი,, გვ. 204 – 208 – 209).

,,...არქეოლოგებმა უკვე აღმოაჩინეს ეგრეთ წოდებულ ნაყოფიერი მიწების ნახევარმთვარეში მდებარე მრავალი სამიწათმოქმედო დასახლებები. ეს კერა პირველი მიწათმოქმედებისა მოიცავს ამიერკავკასიის, სამხრეთ თურქეთის, ჩრდილო მესოპოტამიის, პალესტინის, ლიბანის და სირიის ტერიტორიებს. რადიოკარბონატულმა ანალიზებმა აჩვენეს რომ ყველაზე შენახული შრე ეკუთ-

ენის მე-5 ათასწლეულს ჩვენს ერამდე. უფრო ძველი ორი ათასწლეულით უფროსია და თარიღდება მე-8 და მე-7 ათასწლეულებით... ვალერიან შენგელია „სახელმწიფო „აია" ატლანტიდა..."

ანტროპოლოგი – გასაგებია, თქვენი თვალსაზრისით, მიწათმოქმედებამ, როგორც ადამიანის სხვა სამეურნეო მოღვაწეობათა საბაზისო დარგმა და გეოგრაფიულმა სახელმა, **შ2-მერე > შუ-მერ-ის სახით ტიგრ-ევფრატის გაყოლებით** ჩააღწია მესოპოტამიამდე.

ისტორიკოსი – **„...როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, დაახლოებით ძვ. წ. XXII-XXI საუკუნეების მიჯნაზე, სემიტებთან ბრძოლის შემდეგ, ლაზ-მეგრელების ერთი ნაწილი ქვემო მესოპოტამიიდან გადასახლდა ზემო მესოპოტამიაში და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე..."** (კლ. შელია „ კოლხეთი ჩვენი სამყაროს კარიბჭე" გვ. 226).

ანტროპოლოგი – „ ... ზ. ქაფიანიძე წერს: **ქართულ-მეგრულ-სვანური – ეს ერთი ენის შვილები და შუმერის ენაა, რომელმაც დაასაბამი მისცა მსოფლიოს ყველა ენას, კულტურას და რელიგიას"**

(კლ. შელია „კოლხეთი სამყაროს კარიბჭე" გვ. 225).

თავიანთ ენას შუმერები უწოდებდნენ – **ემეგერ და ემეგირს** (ნათელა ფოფხაძე, ბაკურ მორგოშია), ხოლო მოსე ჯანაშვილის მიხედვით, მათ ლურსმნულ დამწერლობას **ემეგრული** ეწოდებოდა.

ისტორიკოსი – ერაყის ტერიტორიაზე **„კულხას", „კოლხას"** არსებობის შესახებ მოთხრობილია ,,ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში,,.. ქ. **კალხუ კოლხი** ხალხის საცხოვრებელი იყო. (კლ. შელია დ. ნ. გვ. 269).

არქეოლოგი – „...ვახტანგ გოლაძე ... **ხუმუშკიას** (კარდუხთა ქვეყანა) და **შუბრის** (მუშქთა ქვეყანა) მოსახლეობის ქართვ. წარმომავლობაზე მიუთითებს ..." იხ. კლიმენტი შელია დ. ნ. გვ. 269.

რაც შეეხება შუმერს, მათ ლურსმულ ნაწერებში ვკითხულობთ: „ჩვენი ხალხი ამ მიწაზე მოვიდა ჩრდილო აღმოსავლეთის მთიანი ქვეყნიდან და ჩრდილო აღმოსავლეთიდან, მიწიდან რომელსაც ერქვა დილმუნი-ო. რომ „ჩვენს მოსვლამდე იქ ცხოვრობდა ქერათმიანი ხალხი ცისფერი თვალებით-ო..."

ისტორიკოსი – "...ხმელთაშუა ზღვის უძველესი მოსახლეობა, კავკასიის ჩათვლით ლაპარაკობდა ერთ ენაზე ან ურთიერთშორის მონათესავე ენაზე..." **ვ. გრიგორიევი – ბულგარელი მეცნიერი.**

ავტორი – „...ზურაბ კიკნაძის და სხვა ქართველი მთარგმნელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ნაწარმოებებში ბრწყინვალედ არის შენარჩუნებული ტოპონიმიკის აღმნიშვნელი სიტყვები და სხვა სახელწოდებები. ასევე შემოგთავაზებთ ... არასრულ ჩამონათვალს ... სიტყვებისა, რომ უკეთ ვნახოთ მსგავსება ენებს შორის: 1. შუმ: „თუნირ“ //ქართ: „თორნე“ ან „თონე“ // (მეგრ. ფურნე); 2. შუმ: „დუქ“ // ქართ: „დოქი“;3. შუმ: „ხარ“ //ქართ: „ხარ“ (მეგრ. ხოჯი); 4. შუმ: „მარუნ“ // ქართ: „მარანი“// (მეგრ. მარანი); 5. შუმ: „იზი“ – ქართ: „ეზო“// (მეგრ. ოზე: ზედმიწ . ოზე = „საზელი“); 6. შუმ: „აგარ“ – ქართ: „აგარაკი“; 7. შუმ: „აკილ“ – ქართ: „კივილი“ // სვან: „ლიკილი“ (მეგრ. რკია, რკიალი); 8. შუმ: „დიჰ“ // ქართ: „თიხა“ // (მეგრ დიხა); 9. შუმ: „ითუ“ // ქართ: „თევ“ (მეგრ. თუთა); 10. შუმ: „გორა“ // ქართ: „გორა“ // ბასკ: „გორა“ (// მეგრ გოლა); 11. შუმ: „დურგარ“ //ქართ: „დურგალი“; 12. შუმ: „სილა“ – ქართ: „სილა“ – ორივე ენაში აღნიშნავდა საწყაო ერთეულს; 13. შუმ: „არე“ – ქართ: „არე-მარე“// (მეგრ. ა, რე = აი, არსებული); 14. შუმ: „ენგურ“ = მტკნარი წყალი – ქართ: „ენგური“ // (მეგრ. ინგირი, სვ. ინგირ) მდინარე; 15. შუმ: „უბურ“ – ქართ: „უბე“ // (მეგრ. ლუბა“; 16. შუმ: „ლიკ“ – ქართ: „ლეკვი“ (მეგრ. ლაკვი); 17. შუმ: ქაქი „მიწა“ – ქართ: „ქანი“ (მეგრ. ქი //< ხი* სიტყვაში **ქი**-ანა „ქვეყანა“ = მიწა); ... 18. შუმ: „ბაბარ“ // ქართ: „ვარვარი“... // (მეგრ. ვარვალი);. 19. შუმ: „ერემ“ – ქართ: „ერი“ // (მეგრ. ერე: ერე-ბამო = ყველა ერთად = ერიანად. ე. ი. ერე = ერი); 20. შუმ: „ჰად“ // ქართ: „ღადარი“ (//მეგრ. ღი-ფა); 21. შუმ: „მარ“ ან „მარუმ“ ნიშნავს ვაჟიშვილს – სვან: „მარე“ ნიშნავს კაცს (მეგრ. მა რე = მე არის ანუ მა-რე = ისეთივესი როგორიც მე ვარ იმის არსებობას). ქართ. სიტყვა ქმარიც ამ სიტყვიდანაა ნაწარმოები. ასევე „სამარე“ (მარანიც;. 22. შუმ; „გურუშ“ არის გლეხის აღმნიშვნელი – სვან: „ლუ გურუშე“ ნიშნავს მოსვრილს, დასვრილს (მეგრ. უშ კუთვილების სუფიქსია, გრ კი ძირია წყება სამიწათმოქმედო სახელებისა: მ. ე. შუმ. გურ-უშ = მიწათმოქმედებისთვის განკუთვნილს); 23. შუმ: „ლუგალ“ იყო შუმერის მმართველი მეფე – სვან: „ლუგავ“ ნიშნავს ღონიერს, ხოლო „ლუქალ“ – ქებულს, დიდებულს;. 24. შუმ: „ქალ“ ან „ქალ-ლა“ ნიშნავს ფასდაუდებელს – სვან: „ლ-ქალ“ ასევე ნიშნავს ფასდაუდებელს. ქართულში კი შე-

საძლოა სიტყვა „ქალი“ სწორედ ამ სიტყვიდან იყოს ნაწარმოები (და აქედანვეა მეგრ. ქუგუგალე // ქართ შემოგევლე);. 5. შუმ: „იერე“ ან „ერე“ ნიშნავს მონას – სვან: „იერე“ ან „ერე“ ნიშნავს ვიღაცას, დამამცირებელი ფორმით (იგივე ფორმით იხმარება მეგრ. მირე); 26. შუმ: „დი“ // სვან: „დი“ // (მეგრ. დიდა) // ქართ დედა; 27. შუმ: „ე სიგ გა“ ნიშნავს აგურის სახლს – სვანურად კი „მეზიგა“ ნიშნავს მოსახლეს; 28. შუმ: „დუდუ“ // (მეგრ. დუდი 'თავი") // სვან: „დუდდულ“ – „თავის ქალა“; 29. შუმ: „დაგ“ – ქართ: „დღე“ – სვან: „ლა დელ“; 30. შუმ: „კირ“ ან „გირ“ // ქართ: „კერა“ // სვან: „კარა“ (აქედან მეგრ. კირ-ილი „გადამწვარი, დანახშირებული"); 31. შუმ: „გურ“ // ქართ: „გორაობა“ (// მეგრ. გერ-გელ-ი); 32. შუმ: „ხულ“ – სვან: „ხოლა“ – ბოროტი, ცუდი (აქედან მეგრ ხირ-უა „ქურდობა");. 33. შუმ: „ინიმ“ – სვან: „ნინ“ – ქართ: „ენა“ (მეგრ. ნინა); 34. შუმ: „კარ კარ“ // ქართ: „კაშკაში;"(// მეგრ. ვარ-კალ-ი) 35. შუმ: „ქინ“ // მეგრ: „ქიანა“ // ქართ: „ქვეყანა; 36. შუმ: „კირ“ // ქართ: „კერატი“, დაუკოდავი ღორი (// მეგრ. კერი); 37. შუმ: „კუნ“ – ქართ: „კუდ-ი“ // სვან: „ჰა კვედ“ (მეგრ. კუდ-ელ-ი); 38. შუმ: „სალ“ // ქართ: ქალი ან ცოლი: სალ-ი > ცოლი (// მეგრ. ჩილი); 39. შუმ: „ზაგ“ – ქართ. „ზღვა“ – სვან. „ზუღვა“ (მეგრ. ზღვა); მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დამტკიცებული ჯერ არ არის შუმერულის რომელიმე ენის ჯგუფის წევრობა, არადა ყოველი ენა ნამდვილად მიეკუთვნება რომელიმე ენათა ოჯახს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია გაგრძელდეს კვლევები და შუმერულმა ენამ იპოვოს თავისი ენობრივი ოჯახი. ყოველ შემთხვევაში ნამდვილად აშკარაა ქართველებისა და შუმერების დიდი სიახლოვე..“ თ. ფხალაძე.

ენათმეცნიერი – ავტორი, დასაშვებია, სწორი იყოს იმის თაობაზე, რომ შუმერები კი არა პროტოშუმერები იყვნენ ჩვენი წინაპრები, შუმერულში რომელთა ენის სუბსტრატი თუა ლურსმნული მწერლობით მოღწეული ეს ლექსიკა.

არქეოლოგი – მრავლისმეტყველია სხვა მონაცემები: **„...რკინის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი გასაიდუმლოებული იყო ძვ. წ. მეორე ათასწლეულის ბოლომდე. რკინის აღმოჩენა და დამუშავება ხდება შავიზღვისპირეთის სამხრ. აღმოსავლეთში, ქ. ტრაბიზონის მიმდებარე ტერიტორიაზე... აქ ... ადრე შექმნილი ჰქონდათ ლითონის, ოქროს, ვერცხლის დამუშავების ტექნოლოგიები.. სტრაბონის თქმით, ხალდები – ხალიბები უფრო ადრე მეგრე-**

ლებად მოიხსენიებოდნენ. სწორედ ამ ხალხებმა შექმნეს შუმერის ცივილიზაციისათვის საჭირო ნიადაგი და თვით შუმერის ცივილიზაცია (კლ. შელია „კოლხეთი ჩვენი სამყაროს კარიბჭე“ გვ. 248).

ისტორიკოსი – საყდრისის არქეოლოგიური ძეგლი იმის უტყუარი დასტურია, რომ მადნეულიდან ოქროს მოპოვება საქართველოში ექვს ათასწლეულს მოიცავს. „... „....საქართველოში ლითონის მოპოვება და დამუშავება ძვ. წ. მერვე ათასწლეულიდან იღებს სათავეს. ამის დასტურია ..; გალის რაიონში, სოფელ ფიჩორაში, რაჭის და შიდა ქართლის მთიანეთში მოძიებული რკინის მდნობელი საამქროების სიმრავლე: „...არქეოლოგიური მონაპოვრების საფუძველზე ცხადი გახდა, რომ ... მადნეული საბადოებით მდიდარი კავკასიონის მთაგრეხილებიდან უნდა მოეპოვებინათ.... ლითონის არტეფაქტებში დარიშხანისა და ანთიმონის შემცველობა, მიუთითებს ადგილობრივი ნედლეული ბაზის გამოყენებაზე. ... როგორც ცნობილია, პრეისტორიული ანთიმონის მოპოვების ერთადაერთ მხარეს საქართველოში რაჭა წარმოადგენს ... როგორც ბოლო დროს ჩატარებულმა სამთო-არქეოლოგიურმა და საბუნებისმეტყველო კვლევებმა აჩვენა, საქართველოში, კერძოდ ბოლნისის რ-ნ ... საყდრისში, დადასტურდა ოქროს წარმოების უძველესი კერა ... რომელიც ... ძვ.წ. IV-III ათასწლეულებით თარიღდება... აღმოჩენილია უძველესი ოქროს მოპოვებისათვის განკუთვნილი ყველა ის იარაღი, რომელიც განვითარებულ პრეისტორიულ ეტაპზე სამთო საქმიანობაში გამოიყენებოდა.... საყდრისში მოპოვებული მტკვარ-არაქსის კულტურის ტიპიური კერამიკა და C14-ის თარიღები ეჭვგარეშე აყენებენ მის ასეთ ადრეულ ასაკს. ... საყდრისის გამონამუშევრები თითქმის ნახევარი ათასწლეულით უსწრებს წინ ეგვიპტის აღმოსავლეთ უდაბნოდან ცნობილ უძველეს ოქროს მალაროებს“ (ირ. ღამბაშიძე, თ. შტოლნერი, ა.ჰაუპტმანი) . იხ. მ. სირაძე „პროტოიბერიული სამყარო."

ავტორი – პროტოშუმერთა და კოლხთა იდენტურობას ურყევ ჭეშმარიტებად აქცევს ის ფაქტი, რომ სახელები ქა-ლამ-ი, შუ-მერ-ი და ე-რაყ-ი იგივურ ეტიმოლოგიურ შინაარს, სახელდების მსგავს პრინციპებს არიან დაფუძნებულნი: ე-რაყ-ის რაყ ძირი შუ-მერ-ის მერ-ის ფარდია, მნიშვნელობით: თუ მერ-ე წყლისპირა მიწაა, ჭალაა, იგივეა რიყ-ე // რეყ-ე; მეგრ. ო-რეყ-უ (>ე-რაყ-ი) კი დღესაც წყლისპირა სანახების – რიყე ადგილების მნიშვნელობისაა, ხოლო

ქა-ლამ, როგორც ზემოთ **ითქვა**, **ქა „მიწა, ქვეყანა“ + ლამ მეგრ. „სველი“ იძლევა ჯამში „სველი მიწის“ (როგორიც მერე და რიყე ადგილებია) მნიშვნელობას.**

ენათნეცნიერი – ქვეყანა და სახელი მისი – **ალ-ი-რაკ-ია, ე-რაყ-ი** გვიანდელია.

ავტორი – „ტოპონიმიკა „ისტორიის დედაა“. ქვეყანაა გვიანდელი და არა სახელი მისი. შუმ. და ქართველური სხვა მრავალი სახელიც **წარმოქმნის ერთიდაიგივე პრინციპებს ეფუძნებიან:**

მაგ: **მერე** ქვია მიკრტოპონიმს მდ. ჩხოუშიის შესართავს ენგურთან, ხოლო სოფელს ვაკეზე, ლიახვის ნაპირებზე – **მერე-თი; მარა-დი** ქვია ქალაქს ევფრატის განშტოების ნაპირებზე შუმერში, მაგრამ დღევანდელი ქართ. გაგება ამ სიტყვისა არაფერ შუაშია: ამ სახელის წინაფორმა გახლდათ **მერე-თი** „წყლისპირა ჭალა ადგილი“. უცილოა, სახლდებები: **მერე, მერეთი** სქართველოში და **მერე-თი > მარა-დი** შუმერში მიწის წყლის პირად მდებარეობით არიან განპირობებულნი.

ტოპონიმი, შემდეგ ქალაქი სახემწიფო შუმერში – **ლა-გა-ში** და ტოპ. სამეგრელოში **გა-ში**-ფერდი გარკვეული ტერიტორიის, ერთიდაიგივე, ქედის ფორმის ქონების მოაზრებებიდან ამომდინარეობენ: **გა** ქედია მეგრულად. **გაში**-ფერდი ზედმიწ. ნიშნავს ქედის ფერდობს. **ლა-გაში** მეგრულად იქნება ქედის ფორმის ტერიტორიის მდებარეობა. შდრ. **ლა- ფარო, ლა- კადა** და ა. შ.

ფიზიოლოგი – „დილეტანტური შენიშვნა“ თუ **ური** (შდრ **ურთა** „მთა სამეგრელოში"), **ურუქი** (შდრ. **ურეკი**), **შურუფაქი, ლა-გაში, მარადი, ერიდუ, კალხუ**, და ა. შ. კოლხ. ტოპონიმებია, მაშ, ბატიონებო, **შუმერი** კოლხეთია, საქართველოა – ძველი საქართველო.

ფსიქოლოგი – ჩემი აზრით, პროტოშუმერთა კოლხებად აღიარებისათვის, მხოლოდამხოლოდ, შუმერში დაფიქსირებული სახელები **შუმერი, ენგური** და ქალაქ **კალხუს** სახელიც საკმარისია.

არქეოლოგი – მაგრამ რა უნდა ითქვას იმ შემთხვევაში, თუ დავამატებთ, ზემოთქმულ, მიწადმოქმედებასთან, საერთოდ შრომასთან დაკავშირებულ სახელებს: **„...კოლხეთი საწყისია არამარტო პროტოშუმერული ისტორიისა, არამედ პრეისტორიისა, როცა მხედველობაშია მეტყველების წარმოქმნა...“ (იხ. ჟურნ. „აია“ 1998 წ. N7. ინტერვიუ ავტორთან აქვეთქმული ქვესათაურით).**

ისტორიკოსი – ენათა ლექსიკის აბსტრაქტული ტერმინებით

შევსება დაიწყო ძირითადად, მიწათმოქმედების დაწყებიდან, რომელმაც, როგორც ითქვა დააჩქარა მეურნეობის სხვა დარგების განვითარება, ზოგიერთი მეცნიერების ჩასახვა (ვთქვათ მათემატიკის) და, შესაბამისად ამგვარი სიტყვებით მეტყველების კიდევ უფრო გამდიდრება.

არქეოლოგი – პატრიარქატი მიქათმოქმედებამ შექმნა, მაგრამ ამ უკანასკნელის საწყისი უხსოვარ მატრიარქატშია. ეს რომ ცა მან (მიწათმოქმედებამ) იმ დონეს მიაღწია, რომ მამაკაცის სამეურნეო როლი გადამწყვეტი გახდა, იწყება გასაყარი მატრიარქატ-პატრიარქატისა.

ავტორი – ქართველურში პოვნიერია მიწათმოქმედების საწყისი პერიოდის – მატრიარქატის ეპოქის ტერმინები. აქედან უმნიშვნელოვანესია – **ჯოხი**. მისი დიდმნიშვნელობა განპირობებულია შემდეგით: იგი პირველყოფილი ადამიანის სახელდახელო იარაღია, რომელიც შემდეგ ხდება პირველყოფილი სამიწათმოქმედო იარაღი.

ამგვარი დასკვნის გაკეთების უფლებას იძლევა შემდეგი: **1)** ახალკოლხურად ანუ მეგრულად კომბლით გამხმარი ბელტის ცემას და ასევე ხალიჩათა თუ მისთანათა ბერტყვას **როხ**-უა ეწოდება; **2)** მეგრ. **როხ**-ი მიწის ნაგლეჯი, ბელტია და დიდი ზომის ქვაა; **3)** ჯოხის ცემა გახლავთ – გა-**ჯოხ**-ვა. რაკი მეგრ. **როხ**-უა იგივეა და **როხ** > **ჯოხ** ცვლილებები ადვილად მისახვედრია, გამოდის ჯოხსაც, ერთდროს **როხ**-ი რქმევია. აქედან, უცილოდ, ის გამომდინარეობს, რომ: **4)** ქართ. **ჯოხ**-ი **როხ**-ის **რ**-ს აფრიკატიზაციის შედეგი ყოფილა: **როხ**-ი > **ჯოხ**–ი; **5)** აგრეთვე ადვილად მისახვედრია: რამეთუ **როხ**-უა დღესაც გამხმარი ბელტის ჯოხით ცემა და რისამე ბერტყვა გახლავთ, უძველეს წარსულში იგი ჯოხით მიწის ცემით დამუშავება ანუ მიწათმოქმედება ყოფილიყო. მართლაც: **6)** მეგრ. **როხ**–ი **დიხა = მაგარი ბელტისმაგვარი** მიწა > მეგრულ-ქართულში მეგრ. **დიხ**ას ფარდად გვავს **თიხა // თიხა მიწა** და > **თოხი** „მიწის დასამუშავებელი იარაღი.“ ეს კი იმას გვეუბნება, რომ, ამ უკაბნასკნელს – **იარაღს** მისგან დასამუსავებელი ობიექტის – **თიხ**-ის სახელი ერქმევა. **მაშასადამე განხორციელდა შემდეგი ფსიქოტრანსფორმაციები:**

ა) მეგრ **როხ**-ი „მიწა > **როხი** „მისი დასამუშავებელი იარაღი > ქართ. // **ჯოხ**-ი;

ბ) მეგრ **დიხა** „მიწა“ // ქართ. **თიხა // თიხამიწა** და > თოხი“ მიწის დასამუშავებელი იარაღი“

გ) დღესაც გვეპოება მიწის დასამუშავებელი – **მრგველი // მარგალი** იარაღი – სპეციალური ჯო ხი, სახელით – **მარგილი**. შდრ. **მარგილი** „მიწათმოქმედების იარაღი“, **მარგალი** მეგრ. „მრგველი“ და ეთნონიმი – **მარგალი** „მეგრელი“;

დ) ფეოდალურ საქართველოში საპოლიციო ფუნქციის მქონე, სპეციალური ჯოხით – **არგა-ნით** შეიარაღებულ მოხელეს **არგ-ნოსანი** ეწოდებოდა. **არგნოსანი** და **არგ-ანი**, რათქმაუნდა, ეთნომიმის აღმნიშვნელ **არგ** ძირთან, სამიწათმოქმედო იარაღ **მარგილთან** და **რგვის** და ეთნომიმის აღმნიშვნელ **მარგალთან** პოულობენ ამოსავლიანობის საერთო კავშირ-ნათესაობას.

ვ) ცემა მეგრულად არის **ლახ-უა**. დამეთანხმეთ: როხ-უა „ჯოხით ცემა“ და **ლახ-უა** „ზოგადად ცემა“ იმგვარი მოცემულობები არიან, პირველისაგან მეორის მიღება: **როხ-უა > ლახ-უა**, აზრობრივი თუ ბგერითი ცვლილებების თვალსაზრისით, „სტრუქტურული ანალიზის“ პრობლემებს არ შეიცავს. მეგრ. **ლახ-უა**-დანაა ქართულ-მეგრული სიტყვები როგორნიც არიან: გა-**ლახ-ული // ლახ-ირი** და ა. შ. უამრავი ზმნური ფორმები.) ქართ მეგრ. სენტენცია: გა-**ლახ-ული** ვარ // გო-**ლახ-ირი** ვორექ. ნიშნავს (სხვა მნიშვნელ-ათა გამოკლებით) ავადა ვარ, ცუდად ვარ. მ. ე. ამ სიტყვათა **ლახ** ძირიდანაა მეგრ. **ლეხ-ი** „ავადმყოფი“.

ფსიქოლოგი – ვინ იფიქრებდა: ცემით გამოწვეული თვალსაჩინო შეგრძნებები ყოფილა მნიშვნელობითი ამოსავალი მეგრ. აბსტრაქტული სიტყვებისა **ლახ-ალა** „ავამდყოფობა, გო-**ლახ-უა** „შეუძლოდ ყოფნა“. აგრეთვე: ო-**ლეხ-ე** „საავადმყოფო“, **ლეხ-ი** „ავამდყოფი“ და ა. შ. ხოლო ქართ. **ავად**მყოფობა შორდება მის მეგრ. შესატყვისს და დაკავშირებულია **ავის**, ცუდის მოაზრებებთან;

ავტორი – პირიდაპირი მითითება მასზე, რომ წარსულში მიწის დამუშავება ჯოხით ხდებოდა ესაა – **ბერ-კეტი**, რომელიც, გამარტივებით, მიღებულია **ბერგ-კეტი**-საგან: **ბერგი** – თოხია მეგრულად, ამიტომ, აზრობრივად **ბერგ-კეტი** იგივე **თოხ-კეტია** ანუ **თოხის** ფუნქციის მქონე **ჯოხია**. ეს შემდეგ შეიძინა **ბერგ-კეტ > // ბერ-კეტ**-მა ანუ **თოხ-ჯოხმა** ბერკეტის, როგორც პატარა ძალით დიდის გამაწონასწორებლის მნიშვნელობა. და, რათქმაუნდა, ამ ფუნქციას ბერკეტისას ადამიანმა მიწის **ჯოხით** (კეტით) დამუშავებისას მიაგნო. ეს უეჭველია, რადგან **კეტის** წვერს (კეტის სიგრძის პროპორციულად) ძლიერი **ბერკეტული** თვისება გააჩნია. იგივეა **თოხის ტარი თოხის პირთან** მიმართებით.

ფსიქოლოგი – აქვეთქმული და ზემორე კონტექსტები უფლებას იძლევა ვთქვათ: არამცთუ სიტყვა **ბერკეტია** კოლხური, არამედ იარაღი **ბერკეტის** გამოგონებაც კოლხურია, რადგან **მიწათმოქმედების საწყისებთან სათოხნი ჯოხებით, მისგანვე ბერკეტის თვისების გამომზეურებელნი – კოლხები დგანან.**

მ). ანთროპოლოგი – დიახ, რადგან **კეტ-ება** >// **კეთ-ება** სხვა არაფერია თუ არა კეტით საქმიანობა. აქედანაა **კეთ-ილი**, სი-კეთ-ე. ამ სიტყვებით გამოხატული თვისებები მხოლოდ ადამიანისთვისაა დამახასიათებელი. მ. ე. მეგრ. **კათ-ა** „ხალხი“ მათთან ერთიანობაში უნდა განვიხილოთ. სხვათაშორის ქართ. **ხალხი** კარგი იქნებოდა მეგრ. სიტყვით – **კათა** შეგვეცვალა, რადგან ხალხ მონღოლურად მონღოლია და შემოსულია მონღოლთაგან საქართველოს დაპყრობის პერიოდში, **კეთება, სიკეთე, კათა** კი მშობლიური სიტყვებია: **კეთ-ება** და სი-**კეთ-ეს** შორის იგივე აზრობრივი მიმართებებია, როგორიც **ღვაწლს** (შრომას) და **ღვაწლმოსილს** შორის. შრომის დაფასების კულტურა ხალხთა ტრადიციაშია, მაგრამ, ვინ იფიქრებდა, მას ამ სიძველის საწყისი ექნებოდა: **კეტი, კეთება, სიკეთე** ხომ მატრიარქატის დროინდელი სიტყვებია.

ნ). ავტორი – უპირველეს და დასაბამისმიერ მიწის დასამუშავებელ იარაღად ადამიანის ხელიც რომ წარმოიდგინებოდა, ამაზე ქართ. **მხარ-ი** // მეგრ. **ხუჯ-ი, ხე** ‘ხელის შემდგენლობაში **ხ** ბგერის არსებობა მეტყველებს: როგორც ითქვა, იარაღს ერქმევა სახელი დასამუშავებელი ობიექტისა, ხ ბგერა კი, უკვე ითქვა, მიწის აღმნიშვნელია.

ზემოთხსენებულ სიტყვებში – ქართ. **ხელ-ები**, მეგრ. **ხელ-ეფი** „ხელები“ **ლ** ლატერალს **რ** ბგერად ალადგენს ლათ. **ხერ-ომანტია**“ ხელით მკითხაობა:“ **ხერ > ხელი** (იხ. „გ. თ.“ 1996 გვერდი 98)

საინტერესო და დიდმნიშვნელოვანია, მეგრ. **ხა-ჩქ-უ-ა** „თოხნა.“ ამ სიტყვაში **ხა** მინაა (იზორია, სამუშია, ხუხუა კუპრავა და სხვები), ხოლო **უა** ქმედების აღმნიშვნელი სუფიქსია.რა ფუნქციისა **ჩქ?**... ამის გარკვევაში დაგვეხმარება ერთი ხმაბაძვითი მეგრ. შიტყვა – **ჩხ**ერეზი. იგი მიწის ზედაპირზე საგნის ტარების ხმაურს, აგრეთვე ობიექტის ძლიერ დასახიჩრება გაკაწვრას აღნიშნავს. ხაზგასასმელია, ძლიერი დასახიჩრება-დაკაწვრა, თორემ უმნიშვნელო კაწვრას სხვა მეგრ. ზმნა – **ცხაბარი**-ც აღნიშნავს. მ. ე. განხორციელებულა **ჩქ < ჩხ**, რადგან მეგრ. **ჩხ**ერეზ-ი, **ჩხ**ერეზ-უა-ს შემადგენლობაში შემავალი **ჩხ** ბგერათკომპლექსი ამ-

გვარი ხმიანობის მოვლენათა სახელდებას რომ ახდენდა, უამრავი დამოწმება გაგვაჩნია (იხ."გ თ" **ჩხ** ბკ). მ. ე. **ხა-ჩქ-უა** (< **ხა-ჩხ-უა***) მიწის ხმაურიან დასახიჩრებას ანუ მიწაზე ხმაურიან ქმედებას, რაც იგივეა – მიწადმოქმედებას აღნიშნავდა.

ფსიქოლოგი – გამოდის, **ხაჩქუას** დღევანდელი მნიშვნელობა – **თოხნა**, ძველი მისი ზოგადად მიწათმოქმედების მნიშვნელობის დავიწროების შედეგი ყოფილა.

ავტორი – რაკი ქართველურში **ნა** სუფიქსი ხშირად ქმედების აღმნიშვნელია (შდრ. რქა და რქე-**ნა**, კბილი და კბე-**ნა**), უფლება გვაქვს ვამტკიცოთ: **თ-ო-ხ-ნა**, ოდიდგანვე, მიწაზე – **დიხა // თიხა**-ზე ქმედებას ანუ მიწათმოქმედებას აღნიშნავდა. ვფიქრობ, ზემოთქმულს ხაზს უსვამს ერთი მეგრ. ხმაბაძვითი სიტყვა – **თორხ**-უა, რაც მიწის **თოხით** უაღრესად უხეში, ძალუმი და ხმაურიანი დამუშავებაა. ესე იგი: **დი-ხა >\\ თი-ხა > თ-ო-ხ-ი > თოხუა* > თორხუა განხორციელდა.**

მათემატიკოსი – ავტორისეულ, ზემოთდასახელებულ და მრავალ სხვა **ხ** ბგერიან ხმაბაძვით სიტყვებში, როგორნიც არიან: ქართ. **ხეხ**-ვა // მეგრ. **ხეხ**-უა; ქართ. **ხერხ**-ვა // მეგრ. **ხორხ**-უა; მეგრ. **ხიხ**-ონ-უა „მიწის ხელით თხრა"; ქართ.ხ-ვნა// მეგრ. **ხ**-ონ-უა და ა. შ. მაწარმოებელთა შეზრდის გამო, ძირად წარმოჩენა **ხ** ბგერისა შეუძლებელია, მაგრამ ამას ამტკიცებს **ხ... ხ...** ხმიანობები ზემოთქმული სიტყვებით გამოხატული პროცესებისა და, იმავდროულად, ამ სიტყვებში ჭარბი ხდომილობები **ხ** ბგერისა.

ავტორი – ახლა კი განვიხილოთ ისეთი ზოგასაკაცობრიო მნიშვნელობის ტ-ები, როგორიც არიან – **ქიმია, ალქიმია, აქიმი \\ ექიმ-ი** და მათთან უშუალოდ დაკავშირებული სიტყვები.

ბიოლოგი – კოლხეთში **ქუმ**-ელი // მეგრულად – **ქუმ**-ი დიდ მნიშვნელოვანი მცენარე რომ გახლდათ, ამაზე ტოპონიმიკა მეტყველებს: ო-**ქუმ**-ი უდრის „სა-**ქუმ**-ელ-ო"; **ქა**-ფა-თი უდრის **ქუმ** + ფა + თი: **ფა** მცენარეა, **თი//თა** ტერიტორიას აღნიშნავს: **ქა-ფა-თი** უდრის ქუმელ მცენარესთვის განკუთვნილ ტერიტორიას; **ქუ-თა-ია** უდრის **ქუმ + თა + ია** – **ქუმთაია** უდრის ქუმის პატარა ტერიტორიას.

ავტორი – აი, ამ მეგრ. **ქუმ**-იდანაა წარმოქმნილი ტ-ები **ქიმია** და **ალქიმია**: ჯერიყოდა, მცენარე **ქუმ**ისაგან, იმგვარადვე როგორადაც **ვენახ**ისაგან – მე**ვენახე**, წარმოიქმნა მეგრ. ტ. **ქუმ**-ინუა, ზედმიწ. „**ქუმ**ზე საქმიანობა". კონკრეტულისაგან წარმოქმნილი ეს განზოგადება ხდება უფრო აბსტრაქტული და ვღებულობთ მეგრულ **ქიმ**-ინ-უას „საერთოდ (განზოგადებულად) საქმი-

ანობას“ და ისეთ ტ-ებს, როგორიცაა: **გინო-ქიმ-ინ-უა** “გარდაქმნა“; **გე-ქიმ-ინ-უა** აგრეთვე გარდაქმნაა, ოღონდ ეს ტ. უფრო კულინარიაშია შენარჩუნებული: მეგრ. **გე-ქიმ-ინ-ელი** უდრის სულუგუნი, რომელიც ჭყინტი ყველის მოხარშვით (გარდაქმნით) შემდეგნაირად მზადდება: რძის ჟელეს აქუცმაცებენ, ხელებით ზელენ, ამრგვალებენ და ჭყინტი ყველის სახით ამოიღებენ. შემდეგ, მე-2, მე-3 დღეს ისევ აქუცმაცებენ, ცხელ წყალში ისევ არბილებენ და ისევ ზელენ და ამრგვალებენ. აი, ეს პროცესია ასახული მეგრ. ტერმინ **სელე-გინ**-ში, რომელიც მიღებულია **ზელი-კინი**-საგან მეგრ. **ზელი** = მოზელილი, ხოლო **კინი** = ისევ, განმეორებით.

ფსიქოლოგი – ე. ი. **ქიმ-ინ-უა** „ქმნადობა“ > გე-**ქიმინუა**, **გინოქიმინუა** “გარდაქმნა“ და გე-**ქიმ**-ინელი > გარდაქმნილი აბსტრაქცია განხოციელდა. ცხადია, ამგვარ დიდმნიშვნელოვან ტერმინთა წიაღში სახელების **ქიმია, ალ-ქიმია, აქიმ-ი // ექიმ**-ის ადგილი სრულიად კანონიერია.

ისტორიკოსი – დღესავით ნათელია: რაკი უძველეს მეტალურგიაში კოლხეთის პრიორიტეტი ცნობილია, ხოლო მადნის დნობა ბერვით გაჩენილ ცეცხლის ალზე ხორციელდება, ფაქტია: **ალ-ქიმ**-ია იგივე მეგრ. ალით **ქიმ-ინ-უა** ანუ **ალზე საქმიანობაა, ალით გარდაქმნაა.**

ანტროპოლოგი – საბოლოო ჯამში, ეს სახელები სამიწათმოქმედო, კულინერიულ, მეტალურგიულ და სხვა საქმიანობებთან ანუ შრომასთან ყოფილა დაკავშირებული.

ფსიქოლოგი – მთავარია, ავტორის მიერ აღმოჩენილი ადამიანის არქაული ფსიქოაქტივობისა და მისი დინამიკის პრინციპები, როგორიცაა:

1). ქუმ-ი “ქუმელი“ > **ქუმ**-უა “ზედმიწ. ქუმელობა“ > **ქიმ-ინ-უა**. “ქმნა, ქმნადობა“ > **გინო-ქიმ-ი-ნ-უა** „გარდაქმნა“ > **ქიმ-ია** „მეცნიერება ნივთიერებათა გარდაქმნაზე“; **2) ხერხ-ი > ხერხ-ვა** > მო-ხერხებული; **ხერხ-ი** „აბსტრაქციული ტერმინი“; **3) როხ-ი** „ბელტი, მიწა»; **როხი > როხ-უა** „ჯოხით დამუშავება ობიექტისა; **როხი > ჯოხი**“; **4) თიხა** „მიწა“ > **თ-ო-ხ-ი** „სამიწე“ > **თ-ო-ხ-უა//თ-ო-(რ)-ხ-უა** „ოდესღაც მიწათმოქმედება, ამჟამად თოხით მიწის დამუშავება“ და ა. შ. აბსოლუტურად გამჭვირვალე, ზუსტია და გასაგები.

ავტორი – რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ ბგერითი ცვლილებები ზოგიერთი სიტყვისა: მაგ: მეგრულში **გგმა** „მკა“,

გგმა-თუთა „მკათათვე“ სახელების და კოლხეთში ძირითად საკვებ მცენარის სახელ **ღომ**-ი // მეგრ. **ღუმ**-უს არსებობიდან გამომდინარე, მეგრ. **გგმა** “მკათათვე”-ს პრეფორმად **ღგმა** “ღომზე საქმიანობა“ იგულისხმება.

ქართ. **მკა** და მეგრ. **გგმა** ექვივალენურ ბგერებს შეიცავენ, მ. ე, იქიდანვეა მეტადრე სახეცვლილი ქართ. **მკა**-ც. ანუ ქართ. **მკა** და მეგრ. **გგმა** საერთო წინაპრიდან არიან აღმოცენებულნი: **ყგრ (ყ** ბგერის ალომორფი იხ. **„გ. თ.“ ყ** ბგერა) **> ღგმ > ღომ // ღუმ ; ღგმ > გგმ // კგმ > გგმა // მკა.**

ენათმეცნიერი – დიდი ენათმეცნიერის, ა. ჩიქობავას მიხედვით, **გ** მიღებულია **ო** და **უ** ბგერათა დასუსტებით. **ღგმ** ფორმა **ღომ // ღუმ** ძირისა კი ენათმეცნიერებამ არ იცის. უკანასკნელნი ისტორიულნი გახლავან, რასაც ტოპონიმიკა ამტკიცებს: **დი-ღომ**–ი უდრის დიდი ღომი, **გუმ**-ის-თა უდრის **ღუმ**–**უშ**–თა უდრის მეგრ. “ღომის ტერიტორია. **(გ < ღ).**

ავტორი – მაგრამ ენათმეცნიერებას არა აქვს დასახელებული მიზეზი (თუ არ სპონტანური) კოლხურში **გ**-სთან მიმართებით **ო** და **უ** ბგერათა დასუსტებისა. ავტორი კი აცხადებს: პირიქით, დასუსტდა **გ** არამარტო **ო** და **უ**-სთან მიმართებით, არამედ საერთოდ და თანაც იმდენად, მალე სრულიად გაქრება მეგრული მეტყველებიდან. განმაპირობებელი ფაქტორი კი ცხადზე უცხადესია: ისტორიული სახელმწიფო ქართული ენის გავლენა: დღეს ეს გავლენა განსაკუთრებით ძლიერია: სკოლებში – ქართ. სწავლება და მ-ბა, წარმოება-დაწესებულებებში – ქართული მ-ბა, ქართულენავანი – ტელევიზია, რადიო, პრესა და ა. შ. მეგრულს არ დარჩა არავითარი დამცავი მექანიზმი. ასე რომ, სხვა ქართვ. ენებთან ერთად, ერთ-ერთ უდიადეს ეროვნულ სიმდიდრეს – მეგრულ ენას, ახლო მომავალში სრული გადაშენება ემუქრება.

ანტროპოლოგი – ვფიქრობ, ზემოთხსენებულ, ფაქტორებზე დაყრდნობილი ვარაუდის **(ღგმ > გგმ // კგმ > გგმა // მკა)** უარყოფის, მეცნიერულად დასაბუთებული, (აკადემიური) საფუძველი არ არსებობს. მითუმეტეს რომ საქმე ეხება უძველეს წარსულს

ფსიქოლოგი – მთავარი, რაც უნდა შევნიშნოთ, მეტყველების პიროობითრეფლექსური პირველი პერიოდის შემდგომ პირველ ქმნადობებში, რაციონალური მომენტია: ბგერა თუ ბგერათკომპლექსი. უშუალო და თვალსაჩინო ბენებასთან – უთავდაპირველეს საგნებთან და მოვლენებთან გონების უშუალო მიმართების ნაყურია. შემდგომ, ალომორფიზებული ბ. თუ ბკ. უკვე ძველბერ-

ძნული ფილოსოფიური გაგების ლოგოსია, რომელიც განიცდის განუწყვეტელ აბსტრაჰირებას: „საგნებისა და მოვლენების გარკვეული თვისებათაგან და მათ შორის არსებულ მიმართებათაგან განყენებას: ზემოთ მოყვანილ **გგმა // მკა** ტერმინთა წარმოქმნის შემთხვევაში **ყ** პირველ პერიოდში პირობითრეფლექსური წარმოთქმაა, მეორეში ლოგოსია (ბგერისა და აზრის ერთიანობაა); მესამეში ალომორფი **ყგრ** უკვე ლოგოფრაზაა: უდრის აზროფორმას: **ყ** „საკვები (ღომი თუ სხვა რამ)" + **რე** „ზმნა = არის"; შემდგომ, ამ კონკრეტულ მაგალითში, ეს კონკრეტული ლოგოფრაზა **ყგ-რე**, ყ ბგერის სპონტანური ცვლილებების პარალელურად, განიცდის კონკრეტიზაციას: **ყგმ** > // ღგმ „ღომი-ს" სახით და აბსტრაჰირებას > ღგმა // ღიმ-უა* > გგმა // გიმ-უა „მკა" ფორმებში.

ისტორიკოსი – მაშ, დღევანდელი ლექსიკა თავდაპირველი ლოგოსის მუდმივი ფორმაცვალებადობის და აბსტრაჰირების შედეგი ყოფილა.

ფილოსოფოსი – ლოგოფრაზები ხშირად აბსტრაქტულ ტერმინებად იქცევიან. მაგ: მეგრელები, როცა ჰიპოთეზის დასამტკიცებელ ლოგიკურ თუ სხვა სახის უზუსტეს საბუთიერობას წამოაყენებენ, ამ უკანასკნელზე იტყვიან: ენა **ჭეშმეტირე** = **ჭეშ** „ცოტაზე" + **მეტი** + **რე**„ არის;; = ეს ცოტაზე მეტია ანუ ეს ცოტა არააო. ეს **ჭეშმეტირე** გახლავთ ისტ. ქართ. სიტყვა – **ჭეშმარიტება, რომელიც სპარსულ ნასესხობადაა მიჩნეული.**

ენათმეცნიერი – დიახ: **ჭეშმარიტება** სპარსული ნასესხობაა და სპ. **ჭაშ** თვალი, მხედველობასთანაა კავშირში. დადასტურებულად არსებული, ამგვარი ლექსიკა ზღვაში წვეთია..

ისტორიკოსი – ორივე ვერსიას არსებობის უფლება გააჩნია. რაც შეეხება ზღვაში წვეთს, მილლერის, კლიმოვის და სხვათა აზრით, თანამედროვე ადამიანის გაჩენის საწყის პერიოდში – 40 ათასი წლის წინანდელი სამეტყველო ფონდი დღევანდელის 10% თუ იქნებოდაო.

ანთროპოლოგი – „დიახაც". ამიტომ, ავტორის მიერ მოხმობილი ბუნებრივი სიმბოლიზაციის ასეულობით ძირები, დამტკიცებულად, საკმარისია ენათა წარმოსაქმნელად.

ფსიქოლოგი – მათგან წარმოქმნილ სიტყვებზე, როგორც მატერიალურ საყრდენზე, დგანან ცნებები, განმაპირობებელნი ლოგიკური სააზროვნო ოპერაციებისა.

ფიზიოლოგი – სიტყვის, ცნების მატერიალური საყრდენი თავის ტვინის ნერვულ უჯრედებში მიმდინარე ბიოქიმიური პრო-

ცესებია, რომელთა მოლეკულურ დონეზე განხილვას, როგორც შევთანხმდით, აზრი არა აქვს.

ენათმეცნიერი – აბსტრ. ნომინაცია შეუძლებელია ეფუძნებოდეს რამენაირ თვალსაჩინო მოვლენას, რადგან თავად სიგნიფიკატი არაა ამგვარი, მაგ: ერთიდაიგივე ბგერითი შედგენილობის **ხერხი** „საგნის სახელი“ და **ხერხ**-ი „ილეთი“ – აბსტრ. ტერმინი (**ხერხ**-იანი მოა-**ხერხ**-ა და ა. შ.) განა დასაშვებია, რომ ერთიდაიგივე მოვლენას ეფუძნებოდნენ?...

ფსიქოლოგი – ხერხვისაგან საგანთა ფიზიკური ფორმა ცვალებადობის აღქმის ეფექტს, ასევე მისგანვე (**ხეხ**-ვისგან. კულტურათა საწყის ეტაპზე **ხეხ**-ვით (იმ დროს = **ხერხ**ვასაც) ცეცხლის გაჩენას ადამიანზე ძლიერი ფსიქოლოგიური გავლენა გააჩნდა. ამიტომ, აბსტრ. სახელი – გამომხატველი ადამიანის მო**ხერხებ**ულობისა – **ხერხ**-ი ამ ფაქტორთა მიერ შეპირობებულ ფსიქოაქტთა ნაყოფია.

ავტორი – ქართ. **ხორხ**-ი ანატომიური ორგანოა. მაგრამ მეგრულში იგი სამუშაო იარაღ – **ხერხ**-ს აღნიშნავს. უცხადესია: ორივე ქართ. მეგრ. სახელი სამუშაო იარაღისა და ანატომიური ორგანოსი – **ხერხ**-ი // **ხორხ**-ი, შესაბამისად, **ხერხ**ვის და **ხორხ**ში ჰაერის მოძრაობის, ხორხის კედლების ერთმანეთზე **ხახ**უნის ხმიანობათა ხმაბაძვითაა წარმოქმნილი.: საგანთა ერთმანეთზე **ხახ**-უნ-**ხეხ**-ვა-სა და **ხერ-ხ**-ვას აღმნიშვნელ ამ სიტყვებში ქართულში თუ ბგერითი განსხვავებულობა მცირეა, მეგრულში სრულიადაც წაშლილია ეს განსხვავება: **ხორ-ხ-უა** ქვია, როგორც მეგრ. **ხორხ**-ით „**ხერხით**“ **ხერხ**-ვას, ასევე საგანთა ერთმანეთზე **ხახ**-უნ-**ხეხ**ვას. მ. ე. **ხერხ-ი,** ძველად, შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი საგანი. ხოლო, ვინაიდან, **დედისეული გვაროვნული წყობილების საწყის პერიოდში,** პირველი ადამიანი ოპერირებს ხელითა და სახელდახელო იარაღებით (საგნებით), ცხადია:

პირველი: ხერხვის, როგორც პროცესის და, როგორც ადამიანის კონკრეტული საქმიანობის, ასევე იარაღის – **ხერხ**-ის აღმნიშვნელი ანუ, შესაბამისად, – **ხერხ**-ვა // **ხორხ**-უა, **ხერხი** // **ხორხი** სიტყვების წარმოქმნის ენდემიური საწყისებიც იმდროინდელნი (დ. გვ. წყობილების საწყისი პერიოდი) არიან.

მეორე: ზემოთ, ლათ. **ხერ**-ომანტიაზე დაყრდნობით და აქვეთქმულის გათვალისწინებით გამოდის, რომ ქართ. **ხელ**-ი, **ხელ**-

ები // მეგრ **ხე, ხელ-ეფი** სიტყვათა **ხერ (> ხელ)** ძირის რესტავრირება სწორი ყოფილა, რადგან **ხერხ-ვის ხრ...ხრ...** ხმიანობათა გამო, თუ მივიღეთ იარაღის სახელი **ხერხ-ი**, ამ იარაღის დამჭერ ორგანოს (**იგივე იარაღის**) სახელად **ხერ** რატომ უნდა იყოს ძნელი წარმოსადგენი, მითუმეტეს, რომ ხელს, სანამ ხერხს გამოიგონებდნენ, სხვა მრავალი სამუშაოს შესრულება ეკისრებოდა, მაგ: მიწიდან საკვები ფესვების – ძირხვენების ამოთხრა, ფუღუროებიდან ჭიანჭველების, მათი კვერცხების, მატლების ამოფხეკა და ა. შ. რომლებიც **ხ...ხ...** თუ **ხრ...ხრ...** ხმიანობებით სრულდებიან;

მესამე: კაცობრიობის განვითარების ისტორიაში **ხერხ-ის ხერხ-ვის** პროცესის როლის გათვალიწინებით, სრულიად ბუნებრივია, ამ **ხერხ** ფუძის მის აბსტრაქტულ მნიშვნელობად – ადამიანისის მო-**ხერხ-**ებულობად გადააზრიანება;

მეოთხე: პირველი ადამიანები ცეცხლს ჯოხების ერთმანეთზე **ხახუნ // ხეხვა // ხერხვა // ხორხუა-თი აჩენდნენ.** ამ ქმედებებს კი ქართველური კლანი, ზემოთქმული დასკვნებიდან გამომდიანარე, უხსოვარ წარსულში თუ კი მიმართავდა, სხვა გზა არაა უნდა ვირწმუნოთ: ცეცხლის ანთების ეს უპირველესი ტექნოლოგიაც გიორგიულია (ენდემურია);

მეხუთე: საყურადღებოა კიდევ ერთი მომენტი: ამ ხარისხის მსგავსება სახელების – ჰაერის და საკვების გამტარ ორგანოს სახელ **ხახა-სი ხერხ, ხერხვა, ხეხვა-**სთან, პლიუს ამას, ხმის აპარატის და ჰაერის გამტარ ორგანოს სახელ **ხორხ-**ის სრული იდენტურობა მეგრ. **ხორხ-ი „ხერხი“-**სთან **მათი წარმოქმნის მექანიზმთა იგივეობაზე მეტყველებენ.** ეს სიახლე კი ნათელს ფენს საკითხს პირნვანდელობაზე **ყია, ყრონტის ყ-**სა და **ხახა, ხორხ-**ის **ხ-**ს შორის, პირველთა სამოგებოდ: როგორც უკვე ვიცით, ხმაბაძვითი სახელდება, ძირაითადად, მეტყველების მესამე პერიოდში ხდება.

ენათმეცნიერი – გა-გ-ება, გონ-ება, მო-**გონ-ება, აზრ-ი,** მო-**აზრ-ება, აზრ-ოვნება** და ა. შ. ნუთუ არ არიან „სუფთა“ აბსტ. ტები? რას უნდა დაუკავშიროთ ისინი? რადგან მცნებები არიან და არა ობიექტის აღმნიშვნელნი თუ თავდაპირველი საგნის ან მოვლენისაგან გამოყოფილი თვისებების მქონე იდეალიზებული ობიექტების გამომხატველი სიტყვები.

ავტორი – აზრი, აზროვნება ძვ. ქართ. **არს** სიტყვასთანაა კავშირში: რაც **არს > არს-ი > არზ-ი > აზრი** ცვლილებები და აბსტრაქ-

ციები სრულიად ბუნებრივია. იგივეა გა-**გონ**-ება დან > **გონ**-ება. თავად **გონ**-ება, მო-**გონ**-ება, **გონ**-იერი და ა. შ. სპეციფიური ხმაურის – **გუგუნის** გამომხატველ **გ** ბგერიდან არიან. ამას ამტკიცებს მეგრ. სპეციფიური ხმაურის გამომხატველი **ს** ბგერა, რომლიდანაც მიღებულია მეგრ. **სგმგ**-ნი „ხმა, ზავი"და > **სგმგ**-ნი „აზრი" ამგვარ ტერმინებს მრავალს დავასახელებთ.

ფსიქოლოგი – მართლაც, როცა ვკითხულობთ, გაიგონე? ვგულისხმობთ არა მარტო ყურით გაგონილს, არამედ აზრით შემეცნებულს, გაგებულსაც. ამგვარი აზრობრივი ტრანსფორმაციები შეიძლება ასე წარმოვადგინოთ: სპეციფიური **გ... გ...** ხმიანობებით მოცემული ხმაური – **გუ-გუ-ნი** > გა-**გონ**-ება > **გონ**-ება; სპეციფიური ხმაური – **ყურ-ყურ-ი** > **ყურ-ი**" სმენის ორგანო"; **ყურ-ი** > **ყრუ** // მეგრ. „**ყუნ**-გა; მეგრ. **ცუნ**-გა > **დ-ცუნ**-გა* > **ტ**-უნ-გა„სულელი"; ყურ-ი > მეგრ. **ცურ**-უ „უვიცი"; **ასევე: ს...ს...** ხმიანობებით მოცემული, სპეც. ხმაური > მეგრ. **სგმგნი** „ხმა;" > „ზავი; „**სგმგნი** > „სმენა" (მუთუნ ვესიმე = არაფერი ისმის); > **სგმგნი** > „აზრი". მუთუნ ვასიმ = არაფერი გაეგება, არაფრის აზრშია.

ამ სახელების ქმნადობათა ერთნაირი პრინციპებიდან ამომდინარეობა, იმ დონის ურთიერთდამოწმებები არიან, აღწერილ პროცესებს დამტკიცებულ ჭეშმარიტებად აქცევენ.

ავტორი – რაც შეეხება, ძვ. ქართ. **არს** სიტყვას, უნდა ითქვას შემდეგი: მეგრულში სტატიკური ზმნა **რე** = „არის" გვხდება, აგერთვე **ქო-რე** და **ო**-რე ფორმებითაც. **ქო** მეგრ. მტკიცებითი ნაწილაკია და **ქო + რე** = ზედმიწევნით, **კი + არის**ს მ. ე. **ო**-რე მიღებულია, ხშირი მოვლენის – სიტყვის თავკიდურა, ხმოვნის წინარე თანხმოვნის დაკარგვის შედეგად: **ქო**-რე > ო-რე. ამ **ო**-რე-ს შესატყვისია > ქართული **ა**-რს.

ენათმეცნიერი – ეს ეწინააღმდგება ა. ჩიქობავას მიერ შემოთავაზებულ ქართ. > მეგრ. **ა > ო** მიმართულებას.

ბიოლოგი, ფიზიოლოგი – „დილეტანტური შენიშვნა": არ ვიცით რას ეწინააღმდეგება, მაგრამ **ფაქტია, ამიტომაც ჯიუტ არს.**

ისტორიკოსი – მ-ის მესამე პერიოდში წარმოქმნილი, **რ** ვიბრანტი მოძრაობას ხმაურს აღნიშნავდა და, აქედან გამომდინარე, მისგან წარმოქმნილი **რე** ზმნა, ყოფიერების, სულიერი და უსულო რეალობათა გახდა აღმნიშვნელი.

ქართული **რემა** ცხენების ჯოგია. აშკარაა ეს სახელი ამ ჯო-

გის ჭენების ხმაურის ხმაბაძვის შედეგია. ადეკვატურობა კი **რ** ბგერის გამეორებითაა მიღწეული. ანუ წინაფორმა გახლდათ – **რერა**, რომლის მეორე **რ მ** სონორით შეიცვალა: რერა > რემა. სახელდების იგივე პრინციპი ამუშავდა ქართ. მეგრ. **ურა** „კვიცი ან ცხენი-ს შემთხვევაში. მეგრულში, **ურა**-ს აღნიშნულმა მნიშვნელობამ მოგვცა ენერგიული დაუოკებელის გაგება: **ურა** კოჩი = ენერგიული დაუდეგარი კაცი. ყოველივე, აქვეთქმული, უფლებას გვაძლებს დავუშვათ: მეგრ. **ლ**ომა „ომი“ **რ** ბგერის მიერ ხმაურის მნიშვნელობის ქონების შედეგია და მიღებულია **რ**ერა წინაფორმიდან, **რ** > **ლ** და **რ** > **მ** ცვლილებების შედეგად: **რ**ერა > **ლ**ომა „ომი.“

ენათმეცნიერი – სონორები, ხშირად, მონაცვლეობენ: ვიბრანტი – **რ**, ლატერალი – **ლ** და ნაზალი – **ნ** კი იმდენად ხშირად, რომ მათ მონაცვლეობას ბრუნს (როტაციას) უწოდებენ. ამიტომ, რომელიმე თაგანის დასაბამისმიერობის დადგენა შეუძლებელია. ასე რომ, ზემოთაღნიშნულ, **რ**ერა > **ლ**ომა პროცესს აკადემიური საფუძველი, ნამდვილად, არ გააჩნია.

ავტორი – **რ** ბგერის თაობაზე ჯერ კიდევ პლატონი მიუთითებდა: ... **„ენის კანონმდებელი ამ ბგერის წარმოთქმაში კარგად ხედავდა ენის მძლავრ მოძრაობას-ო.“** ლაიბნიცმა კი ბრძანა: **რ** ბგერა მოძრაობის გამომხატველიაო და სწორიცაა, რადგან ამას მხარს უჭერს ინდოევროპულ-ქართველური ლექსიკა. თქვენ კი, ბ-ნო ენათმეცნიერო, ნაშრომის დამუშავების სურვილში, თქვენივე „ბავშვური ეგოიზმი ანუ „ საყმაწვილო სენი“ ხელს რომ არ გიშლიდეთ, „გ. თ.“-ის“ 162 - 163 გვ-ზე წაიკითხავდით: "...ლათ. **რუგიო** ‚ვლმუი როგორც **ლომი**“, ... ირლ. **რუხტ**„ ღმუილი“... ამ პირველი მნიშვნელობებიდან, ბუნებრივია, ვითარდება ცხოველთა სახელები, კერძოდ ლომისა: სომხ. არივს „ლომი“; ძვ ისლ. **რ**აუკნ „შესაბმელი ცხოველი.“ ...

ნათელზე უნათლესია: ლათ. **რ**უგიო, ირლ. **რ**უხტ და ძვ. ისლ. **რ**აუკნ-ს და სომხ. არივოს თანხმოვნებთან, მხოლოდდამხოლოდ, **რ** სონორი ანათესავებთ. ხოლო რაკი დასახელებულ, ლათინურ-ირლანდიურიდან ძვ. ისლ. და სომხური ვითარდება, ფაკტია: ყველა ამათში **რ** ბგერა დასაბამისმიერია.(აგრეთვე შდრ. ძვ. სლ. **რ**უჩო „ხარხარი“; ძვ. რუს. **რ**ჟატი „ხარხარი, ყვირილი“; ძვ. ინგლის. **რ**ეოკ “გარეული ცხოველი.“; ძვ. გერმ. **რ**ოჰონ „ღმული“; ლიტ. **რ**უკტი „ღმუილი“; ძვ. სლ. **რ**უკატი „ღმუილი’\\ რუს **რ**იკ...საერთო ი. ე.

ფუძეა – **რეუკ**). ეს უცილო ფაქტი – ლომის აღმნიშვნელ ი. ე. სახელებში **რ** ბგერის დასაბამისმიერობა, ამ უკანასკნელს, ქართ. მეგრ. სიტყვების – **ლომ-ი//ჯილ-ოს** თანხმოვანთა წინაპრად აღაზევებს, რადგან, პლიუს ამას: ეს თანხმოვნები **რ** ბგერის ექვივალენტი ბგერები არიან. ე. ი. ქართველურ სიტყვათა პრეფორმებიდან განხორციელებული – **რორ > რომ > ლომ; რირ > ჯილ** უტყუარი დამოწმებაა თქვენგან უარყოფილ **რგრა > ლგმა** პროცესისა.

ქართ. **ომი**-ს შემთხვევაში, მხოლოდ იმაშია განსხვავება, რომ ავტორის მიერ ხშირად მოხმობილ მოვლენასთან – ხმოვნისწინა თანხმოვნის დაკარგვასთან გვაქვს საქმე: **რგრი*** > გრი* > ომი.

ენათმეცნიერი – დაახლოებით ხუთიათასი წლის წინანდელი ძველ ეგვიპტური ნახატი ასონიშანი – ლომის ნახატი – პიქტოგრამაა და იგი არა **რ** ასო, არამედ **ლ** გახლავთ. გარდა ამისა, რამდენადაც გამეგება, მეგრ. **ლგ** = ეცემა, ვარდება (ქვა ეცემა ან თოფი ვარდება). საწყისი ამ ზმნისა იქნება **ლაფა** „სროლა“, რომელსაც **ომი**, თავისი მნიშვნელობით, უფრო ესადაგება, ვინემ ხმაურს. ავტორს კი, რომელიც რაც შეიძლება უკან – შორს წარსულისკენ ექაჩება ქართველურ სახელებს, მინდა ვუთხრა: ისრების სროლას, მაინცადამაინც, ძლიერი ხმაური არ ახლავს. ასე რომ იქნებ მხედველობაშია ახლო წარსულის სროლები.

ავტორი – **რ** ხმაბაძითი ბგერითი პირველი სიტყვაქმნადობები განეკუთვნება არა 5 ან 10 ათასწლეულებს არამედ – ასეულებს. ეგვიპტური პიქტოგრამა იმაზე მეტყველებს რომ იმ დროს ლომის სახელდებაში **რ** > **ლ** მომთავრებულია...

ისტორიკოსი — ჰომინიდის ჯოგი ომობს სახელდახელო იარაღებით: ქვების სროლითა და ჯოხების ლაწა-ლუწით, ყვირილ-ყიჟინით და ჯოგის ხმაურიანი სირბილით, რაც ქმნის პირველი ომების საზარელ საერთო ხმაურს. ეს ყველაფერი ომის სახელდებისთვის ეტიმოლოგიურ ამოსავლადაა მრავალ ენაში, ხოლო მათში სროლასთან დაკავშირებული სახელდბა ომისა, როგორც პარალელი ქართველურთან, ჩვენთვის უცნობია.

ავტორი – ქართველურში და ბევრ სხვა ენაშიც ომთან დაკავშირებული სახელები – ომი, სიკვდილი, საომარი კიჟინი და ა. შ. ურთიერთ კავშირშია. მაგრამ, რაც უმნიშვნელოვანესია, ამოსავალი მნიშვნელობა, ბევრ შემთხვევაში, ქართველურშია. მაგ: მეგრ. **ლორა** >// **ლვარა** „ყვირილი“ და > **ლურა** „სიკვდილი, აშკარაა, ურთიერთკავ-

შირშია. იგივეა ქართ. **ყვირ-ილი** და >სიკვ(დ)ილ-ი (**ყვირ > კვილ**). შდრ **კვლა**; შდრ. მეგრ. **ცვილ–უა** < ყვილუა. (**ცვილ < ყვირ***);

ღორა >// **ლურა ხმოვნისწინა თანხმოვნის მოკვეცით,** ეს როგორც, ასევე ზემოთ **რგრი > ომის** შემთხვევაშია, იძლევა **ღორ-ა > ორა-თ** „სლ. ყვირილს“ და **ღორ-ა > ურა.**"საბრძოლო ყიჟინას";

მეგრ. **ბუძოლ-ი** „ხმაური“ > ქართ. **ბუ(რ)ძოლ*-ა >// ბრძოლ-ა (მეგრ. ბუძ რ-ს ჩასმის შემდეგ ბურძ > ბრძ): იგი, აშკარაა, რომ ხმაურთანაა კავშირში და საოცრება – ეს სიტყვა – ბრძოლა მეგრული წარმომავლობის ყოფილა;**

მეგრ. **ლურას** წინარეა – **ყურ-ა** – საერთოდ ყმუილი, „სამგლოვიარო ყმუილი ადამიანისა, მგლის ყმუილი.“ აქედან, თავკიდურა **ყ** თანხმოვნის მოცილებით, **უ**–ს ლაბიალიზაციით და გამარტივებით: **ყურ-ა > ღორა >// ლურა > ურა > უა** ეს უკანასკნელი კი ქართ. მეგრ. **ვა**, ქართ. **ვაი,** მეგრ. \\ **ვავას** და **ვოი** „სლ. ყმუილ“-ს გვაძლევს. აქედანაა სლავური **ვოი-ნა, ინგლ. ვოო** „ომი.“ და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მეგრ. ღორა-ას **ღ** ბგერის წინარეა ქართ. **ყვირ-ილის ყ,** ხოლო **ვი ო** ხმოვნის დაშლის შედეგია. **ყვირ**-ილის არსებობს მრავალი ფორმა მაგ: **ყრიყ**–ინი, **ყროყ**-ინი. ეს უკანასკნელი, როგორც ცხოველის, ასევე, ადამიანის ხროტინიცაა. ძირი ამ სიტყვისა – **ყროყ** სლავურში გვაძლევს კანონზომიერ შესატყვის ფორმას– **კრიკ** სიტყვის სახით = ძახილი, „ყვირილი“. **კრიკ > კრიგ** კი გერმ. უდრის ომი.

ისტორიკოსი – აღწერილ მაგალითებში არამარტო ფონეტიკური და სემანტიკური, არამედ, რაც უმთავრესია, თანხვედრებია სახელდების პრინციპებში, თანაც სისტემურად.

ფილოსოფი – ამდენი ფაქტორებით განპირობებული თანხვედრები შეუძლებელია იყოს შემთხვევითი: ეს სიტყვები ქართველური წარმომავლობისანი არიან.

ავტორი – მეგრულში, ენის ვიბრირებით, გაბმულად წარმოთქმული **რ...რ...** ბგერები ძლიერი ხმაურის აღმნიშვნელია. მაგ: მეგრ. **რია, რია-რია,** ერია-მორია; ქართ. აურ – ზაური, **ზრიალ–ზრიალი** და გაბმულად წარმოთქმული მეგრ. **რრრ** ერთიდაიგივეა. უდრის ძლიერ ხმაურს. ამითაა განპიროვნებული ამ ბგერის მონაწილეობა მდინარეთა სახელებში – **რუ, რიონი, რიო.** ასევე მდინარეთა ხმაურის აღმნიშვნელ – **რაკ-რაკ**-ში. საინტერესოა, რომ რიონის ზედაწელს ბერძნული წყაროებით **რუ** ერქვა. ეს ჰიდრონიმი – **რიო**-ნი ნათესაობას პო-

ვებს შორს საქართველოს საზღვრებიდან არსებულ ჰიდრონიმებში, მათ ანათესავებთ **რიო**-ნი-ს პირველი ნაწილი. საეჭვო არაა ეს მოხდა ზემოთქმული განპირობებულობის თუ სესხების გამო. ესენია: არგენტინაში (**რიო** კოლორადო, **რიო** ნეგრო); ამერიკაში (**რიო** გრანდე, **რიო** ბერმეხო); იგი ესპანეთში და სხვა ქვეყნებშიც მდინარის აღმნიშვნელი სახელია.

ისტორიკოსი – პორტუგალიელ ზღვაოსნებს გუანაბარის უბე ზღვას მიერთებული დიდი მდინარე ეგონათ. ამიტომაც, დაარქვეს **რიო**-დე-ჟა-ნეირო – „მდინარე იანვრისა".

ავტორი – სხვათაშორის, ამ სიტყვაში მხოლოდ ერთადერთი – **დე** კომპონენტია პორტუგალიური: **ჟა-ნეირო** კოლხური სიტყვაა: **ჟა** მეგრულში, მოფერებით, დღესაც მზეა. **ნერა** დამცხრალს, სწორს, მდორეს აღნიშნავს: **ნერა წყარი** = მდორე წყალი; ტოპ. ზუგდიდის რ-ში – **ნარა-ზენი = ნარა // ნერა + ზენი** „ვაკე"; მოწოდება: **ნერას! = „მშვიდად!" ამგვარად, ჟა-ნეირო უდრის „მცხრალ მზეს, იანვარს."**

ენათმეცნიერი – სამეტყველო ბგერათა რაოდენობა რაღაც ათეულია. ენათა რიცხვი კი 3000 აჭარბებს. ამიტომ, მოსალოდნელია, ნებისმიერი დამთხვევა. ხოლო ქართ. **იანვარი**// მეგრ **იანარი** ლათინური ნასესხობაა, ცის, მზის და ა. შ. ღმერთის სახელ **იანუს**-იდან (ძვ. წ. მე-7 ს.).

ფილოსოფი – ძვ. ქართ. **იანვარ**-ს **აპნისი** ერქვა. უდაოა, კოლხურშიც იყო ამ თვის სხვა სახელდება. რაა ალოგიკური იმაში, რომ, სწორედ იბერიის ნახევარკუნძულზე, ძვ. წ. ა. მე-7 ს-ის იქითა პერიოდში მიგრირებულ იბერების – კოლხების სიტყვა – **ჟა-ნეირო, იყოს** შემორჩენილი პორტუგალიურში. გარდა ამისა, აქ საქმე გვაქვს ენებში არა – ბგერათა, არამედ ხდომილობასთან ბგერათკლომპლექსისა, რომელიც, დამტკიცებულად, არ წარმოადგენს ბგერათა უბრალო ჯამს, არამედ ფუნქციების მქონე ბგერათა კავშირია. პლიუს ამას, თანხვედრაა სახელდების მოტივაციისა. ამდენი ფაქტორებით განპირობებული თანხვედრები კი შეუძლებელია იყოს შემთხვევითი.

ავტორი – ჟან-ნეირო-ს პრინციპითაა სახელდებული: **და-მორჩილ-ი = მეგრ. და < დღა \\ დღე + მორჩილი „მცირე" = „მცირე დღე; ზა-ფხ-ულ-ი = ზა // ძვ. ქართ. მზა // მზე + ფხ** „სითბოს აღმნიშვნელი ძირი (ჯავახიშვილი); **ზა-ფხ-ულ-ი** = თბილ მზეს: ამგვარად, ეს სამი **სახელი: ჟა-ნეირო, ზა-ფხ-ულ-ი და და-მორჩილ-ი** ურთიერთ მადასტურებელნი არიან.

ენათმეცნიერი – გამოგრჩათ **ზა-მ-თარ-ი: ზა „მზე“ + თარი//<** მეგრ. **თირ-ი** „თოვლი ანუ ცივი.“ **ზა-მ-თარ-ი** = „ცივი მზე“ მეგრ. **ზო-თონჯ-ი** = **ზო** „მზე“ + **თონჯ-ი** > მეგრ. **თინჯ-ი „დინჯ-ი“ = „დინჯ-ი მზე** ანუ მცხრალი მზე.“ თუმცა ეს ფაქტები დამთხვევებს მაინც ვერ გამორიცხავს.

ბიოლოგი, ფიზიოლოგი – „ნებისმიერი“მიხვდება: პორტუგ.. **უა-ნეირო**-ს იანვარი იმიტომ რქმევია, რომ ეს თვე ზამთრისაა. ამიტომ მზეც ზამთრისაა ანუ მცხრალია. ბატონებო, ეს ფაქტია.

ფსიქოლოგი – ამ სიტყვის კოლხურობა, თავისთავად, ფაქტზე მეტი მნიშვნელობისაა: იმაზეც მიუთითებს, რომ კოლხ.-ესპ.-პორტუგ. ენობრივი მიმართებები ბოლომდე შეუსწავლელია.

ანტროპოლოგი – დასახელებულ ენობრივ თანხვედრებში გასაკვირი არაფერია, რადგან პირინეის, იგივე იბერიის ნახევარკუნძულზე **“...ესპანური მოსახლეობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა იბერთა ტომებმა, რომლებმაც... შექმნეს ალმერიის კულტურა“**...(იხ. ქ.ს.ე. გვ. 230).

ვლადიმერ ალფენიძე შენიშნავს, რომ, გენეტიკური კვლევების საფუძველზე, ბრიტანელი მეცნიერი – სტეფენ ოპენჰაიმერი თავის წიგნში „ბრიტანელთა წარმომავლობა“ თვლის, რომ თანამედროვე ბრიტანეთის მოსახლეობა იბერიის ნახევარკუნძულიდან არიანო

ბიოლოგი – ბასკები კი, სისხლის გენეტიკური ანალიზებით, დამტკიცებულად, კოლხები არიან.

ავტორი – **„ალ-მერ-ია** ერთ-ერთ-ი უძველესი ქალაქია პირინეის ნახევარკუნძულზე.“ ამ სახელში, საყურადღებოა კოლხ. **მერ** ძირი, რომელიც ტოპონიმიკაში უხშირესია საქართველოშიც და მის საზღვრებს გარეთაც. მაგ. **მა-დრიდ-ი** დასაშვებია **მარ-დიდ-ი // მერე-დიდ-ი** „ჭალა დიდი“ ყოფილიყო, რადგანაც მარ // მერ, როგორც ბერჯერ ითქვა, ჭალაა გურია-სამეგრელოში. სხვათაშორის, ჭალადიდი ტოპონიმია სამეგრელოში. ეს ორი სახელი – **ალ-მერ-ია, მა-დრიდ-ი** დიდმნიშვნელოვანი პარალელია შუმერულ **მარ-ა-დი** და ქართველურ – **მერე** (ზუგდიდის რაიონი), **მერე-თი** (გოროის რაიონი), **მერ-ია** (მახარაძის რაიონი) და ასე შემდეგ ტოპონიმებ-თან.

ისტორიკოსი — რაც შეეხება პორტუგალიის უძველეს მოსახელობას – **ლუზი-ტა**-ნიელებს, მათ თავიანთ სახელში მოგვცეს ცნობა იმის თაობაზე, თუ ვინ იყვნენ: **ლუზი-ტა**-ნიელების **ლუზი-ტა** > იგივე დღევანდელი **ლაზი-თა** ანუ ლაზის ტერიტორიაა: **ლუზი**

>// **ლაზი** + მეგრ. **თი** // **თა** .= ლაზის ტერიტორიას, სახლკარს.

ფიზიოლოგი – შეუძლებელია, ამ სახელის ამგვარივე ახსნა უკვე არ ყოფილიყო გაკეთებული, რადგან საწინააღმდეგოს დაშვება მეცნიერთა მიერ ამგვარი თვალსაჩინო, „ნებისმიერს რომ თვალში მოხვდება“, ისეთი ფაქტის ნიჰილიზმი უფრო იქნებოდა.

ენათმეცნიერი – ხა... ხა...ხა... როგორც ვხედავთ, ინდოევროპა გააკოლხეთ, მაგრამ ეს როგორ უნდა მომხდარიყო მაშინ როცა მეცნიერთა მიერ (ჯავახიშვილი, ჯანაშია, და ა. შ.) კოლხეთის საზღვრები დადგენილია და იგი, ძირითადად, მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მოიცავდა

არხეოლოგი – ''...იბერიად სამეგრელო და იბერებად მეგრელები იწოდებოდნენ, მერე კი ბერძნებმა ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოსაც შეარქვეს. აღმოსავლეთ საქართველში ქრისტიანობა მეგრელ-იბერებმა შემოიტანეს. ლაზებს და მეგრელებს იერუსალიმში ქრისტიანული ეკლესიები ჰქონდათ. იბერ-ლაზ-მეგრელებს ქრისტეს შემდეგაც VI-VII საუკუნეებში საკუთარი მეგრული ენოვანება მთლიანად დაცული ჰქონდათ.'' ნიკო მარი.

ისტორიკოსი – უძველეს წარსულში, კოლხეთი დიდი და ძლიერი ქვეყანა, ხოლო კოლხურის გავრცელების არეალი უფრო დიდი რომ იყო, ამაზე საქართველოს ტერიტორის გარეთ შორს განფენილი კოლხიზმები მეტყველებენ.

ავტორი – მაგ: ტოპ. აზერბაიჯანში **მინგ-ეჩა-ურ-ი** სამწილედი სახელია და **მინგ** = მეგრ. სვ. **მანგ** „სწორი“; **ეჩა** = მეგრ. **ოჩე** „დიდი, დიდი ყანა“; (მეგრ. სიმღერის სახელი „ოჩეშ ხვე დო ხვარიელი“ = „დიდი ყანის ხვავი და ბარაქა“) **ურ-ი** = უხშირესი სადაურობის სუფისი“. **მინგ-ეჩა-ურ-ი** = „ვაკე დიდ საყანე ადგილს“;

მინგეჩაურის ასლია **ხელვაჩაური**: **ხელ** იგივე **ხორ** + **ვაჩა** იგივე **ოჩე** + **ურ-ი** = დიდი სამოსახლო.

სუმ-გა-ი-თი, მკვლევართა აზრით, = **სუმ** „სამი“ + **გა** „ქედი“ + **თი** „ტერიტორია“ = **სამი ქედის** ტერიტორია. თუმცა **სუმ,** შეიძლება იყოს **სან // ზან** მეგრელების აღმნიშვნელი ძირის ექვივალენტი, მნიშვნელობით – **ჭანის // ზანის** (როგორც ეთნოსის) ქედის ფორმის ტერიტორია;

ჰიდრ. **ა-ლა-ზან-ი** მეგრულია, რადგან **ა-ლა-ზონ-ი** მეგრულად ნიშნავს ქორფა მცენარეულ ადგილს. თუმცა იგი, დასაშვებია ყოფილიყო **ო-ლაზ-ონი** ანუ არე ლაზების განსახლებისთვის.

სან-გა-ჩალა = სან // ზან + გა „ქედი“ + ჩალა იგივე < ჭალა“ = სანების იგივე ზანების ქედის პირას მდებარე ანუ ქედი რომ არის იმ ჭალას; ნებთი-ჩალა = მეგრული **ნაბთი ჭალე ანუ ნავთის ჭალას);**

ქალაქი **ბაქო** აზერბ. არის **ბაკი.** ეს უკანასკნელი, ქართულად და მეგრულად „ცხვრის სადგომია“. საინტერესოა, რომ ქართ. **ბილიკ-ი**, სახეცვლილი, მეგრ. **ბაკილ-ია**, რაც, „დატკეპნილს“ აღნიშნავს (ბილიკი დატკეპნილი მიწაა). სწორედ ამ **მეგრ. ბაკი-ლის** „დატკეპნილის“ **ბაკი** გახლავთ **ბაქო** (გალის რ-ში არის ს. ნა-**ბაკ-ი**). როგორცა ჩანს, აზერბაიჯანელებს (ყოფილ ალბანელებს ანუ კოლხებს) ძველად ბაქოს სანახებში ცხვრის სადგომი **ბაკი** ქონდათ, რომელიც, რათქმაუნდა, **ბაკი-ლი** „დატკეპნილი იქნებოდა.

აზერბაიჯანის ძველი სახელი – ალბანეთი-ც კოლხურია.

ენათმეცნიერი – კავკასიისა და ბალკანეთის, ალბანეთის **ალბ // ალპ** ნაწილი მთიანეთის აღმნიშვნელ ინდოევროპულ ძირიდანაა ამოსული...

ავტორი – როგორც იბერიის სახელი არაა ევროპული (მხედველობაშია იბერიის ნახევარკუნძული ევროპაში და იბერია საქართველოში), ეგრევე არაა კავკასიისა და ბალკანეთის ალბანეთი ევროპული: ხალხთა მიგრაცია კავკასიიდან, მცირე აზიიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ევროპაში ხდებოდა და არა პირუკუ, ამიტომ, სახელის ემიგრაციის საკითხებშიც უპირატესობა კავკასიის მხარეზეა; ანუ კავკასიიდან გავიდა სახელი ალბანეთი, და ეს სრულიად ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ რომ (იხ. გვ.) მეგრულში სისწორის გამომხატველ ერთ-ერთ სინონიმს **ბონი // ბონე** ქვია. **ალ** გახლავთ შებრუნებული მეგრ. **ლა** პრეფიუსი, რომელიც ობიექტის განფენილობასაც აღნიშნავს. მაგ. **ლა**-ფარო, ო-**ლა**-ფარე „მეგრ. **ლა**-ფარე“; **ლა**-კადა – **ლა**-კირდე = „კლდეთა არეალი, კლდეთა განფენილობა; **ბონ + თი** = „სწორი ადგილი“. მ.ე. ჯგამში: **ალ-ბანე-თი = ლა-ბონე-თი** = სწორი ადგილის (ტერიტორიის) ანუ ვაკის განფენილობა.

ენათმეცნიერი – ალბანელები – მთიანეთში, ხოლო ვაკე კასპიის სტეპებზე კასპიები ცხოვრობდნენ.

ავტორი – ერთნიც და მეორენიც კოლხები გახლავან: კასპიები სანამ კასპიის სანახებს აითვისებდნენ, დღევანდელი მესხეთისა და კასპის რ-ის მიდამოებში ცხოვრობდნენ, და, რათქმაუნდა, კოლხები იყვნენ. ამაზე მეტყველებს ჰიდრონიმი **ლე-ხურ-ა** რომლის ნაპირებზე ქ. კასპია გაშენებული. რაკი ვიცით, რომ

ძველი მოსახლეობა, უპირატესად წყალსატევთა ნაპირებზეა განთავსებული, ძნელი არაა მივხვდეთ: **ლე-ხურ**-ა მიღებულია მეგრ. **ლე-ხორ**-ა– გარკვეულ არეალში იჯახთა (საცხოვრისთა) არსებობის მნიშვნელობის მქონე სიტყვისაგან. სხვათაშორის, მეგრულივე **ლე-ხერ**-ა (ხეობა) **ლე-ხორ**-ა-დანაა მიღებული. დასაშვებია, ესპანეთში **გვადა-ლა-ხარ**-ა – **გორდა** მეგრ. „მრუდე“ ფორმის **ლე-ხორა** „საცხოვრისთა არსებობა“ ყოფილიყო. თუმცა უფრო რეალურია ამ **გვადას** დაკავშირება გუდასთან. (გვადა) < გუდა უხშირესია ქართველურ ტოპონიმიკაში: **გუდა**-უთა, **გუდა**-ვა, **გუდა**-მაყარი და ა.შ.). ე. ი. ეტიმ. ამოსავალია გუდას ფორმის სამოსახლო მიდამოს არსებობა. და რაკი ამგვარი წიაღსვლებია, უნდა ვიფიქროთ, ქართ. ხე-ობა წინათ **ხერ**-ობა თუ იყო, რომელშიც ხერ მეგრ. **ხორ**-ის ფარდია. თუმცა სრული უფლებამოსილება გააჩნია **ხე + ობა** მდინარის ნაპირებზე ხეთა სიუხვის ანუ ტყის არსებობის მნიშვნელობით ამოსავლიანობასაც.

ენათმეცნიერი – ენათმეცნიერება ზუსტი მეცნიერებაა. ამგვარ დაშვებებზე და ალბათობებზე დაფუძნებულ ეტიმოლოგიებს არავითარი აკადემიური საფუძველი გააჩნია.

ფიზიოლოგი – ოღონდ ეს დაშვებები არ უნდა იყოს სისტემური და თანაც ამდენად „თვალში საცემი“...

ავტორი – ლე-**ხურ**-ას **ხურ** \\ **ხორ** ძირზე კიდევ გვექნება საუბარი. თავად მეხუთე საუკუნის ციხესიმაგრის სახელი – კასპი კი განპირობებულია იმ ლანდშაპტით, რომელიც მდინარე ლეხურასაგან შუა გაკვეთილ კვერნაქის გორაკის ფერდობებს ახასიათებთ: იქ მცენარეულობა, მიმდებარე სანახებთან მიმართებით გამორჩეულად ქორფაა: აი, ეს გახლავთ მნიშვნელობითი ამოსავალი **კას-პი**-ს წინაფორმად რესტავრირებული სიტყვისა **სუკ-ფა***: **სუკ**-ი „მეგრ. გორაკი + **ფა** „მეგრ. მცენარე“ = „გორაკის მცენარე“. **კას**-პი-ს **კას** გახლავთ **სუკ**-ის თანხმოვანთა მეტათეზის და ხმოვნის დელაბიალიზაციის შედეგი, ისევე როგორც ეს ხდება მეგრ. სიტყვებში **საკ**-ილი//**კას**-ილი „გატენილში“ (**საკ**-ი გახლავთ ტომარა, ამიტომ აქედან **საკ**-ილი „გატენილი“ ბუნებრივია, მაგრამ გვაქვს **კას**-ილ-იც). ე. ი. **კას**-პი-ს **კას** ნაწილი მიღებლია **სუკ** > **კას** ცვლილებით. რაც შეეხება **პი** (< **ფა**) ნაწილს, **ფა** მნიშვნელობით მცენარე მონაწილეობა ტოპონიმიკაში უხშირესია. **ფა**-თი: ცნობილ ქართველოლოგ, ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორ ჰანს ფოგტის მიხედვით, გახლავთ ფოთის კანონიერი ქართ. ფორ-

მა: მისი აზრით ფოთი იმდენად ძველი ქალაქია და უძველეს წარსულში მისი სახელდება მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქართ. მეგრ. ბგერათშესატყვისობათა გამომწვევი ენობრივი პროცესები არ იყო დაწყებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ქართულ სახელად ფოთი კი არა ფათი გვექნებოდაო: რესტავრირებული **ფა + თი*** და **ფო-თი**-ს მანამდელ სახელ ფა-სისი-ს **ფა \\ ფო** = „მცენარე“ + **თი** „ადგილი“; **სისი** = **ში-ში** = **ში** წყალი + **ში** მეგრ. კუთვნილების სუფიკსი. ე. ი. ფა-თი და ფო-თი = მცენარეული ადგილი, ხოლო ფა-სისი = მცენარე წყლისა. ეგრევეა წარმოებული ფა-ლაზონი (სოფელი კახეთში და მიკროტოპონიმი სამეგრელოში) = ფა „მცენარე“ + ალაზონი „ქორფა“ = ქორფა მცენარეულობა.

ისტორიკოსი – ფოგტის მიხედვით, ქართულში თუ კანონზომიერ **ფა-თი**-ს წინარედ **ფო-თი** არსებობდა და დღესაც შენარჩუნებულია, ეს ხომ იმაზე მიუთითებს, რომ ფა მიღებულია ფო-საგან და, რაც მთავარია, ქართ. : მეგრ. **ა : ო** შესატყვისობაში უნდა ვაჩვენოთ **ო > ა** მიმართულება.

ენათმეცნიერი – მეგრულში მცენარის აღმნიშვნელად დაფიქსირებულია მხოლოდ **ფა**. ეს უკანასკნელი, აგრეთვე ფოთოლსაც ნიშნავს: დანიელ ფიფიას თავის ფილოსოფიურ შედევრში „როკი“ აქვს ასეთი სიტყვები „ფა დო კგ ოშხგდ“, რაც ნიშნავს – ფოთოლი და რკო ესხა. ასე რომ, მცენარის თუ ფოთლის აღმნიშვნელი **ფო** ფორმა ენათმეცნირებაში არაა ცნობილი.

ისტორიკოსი – ი. ყიფშიძე წერდა, რომ ქართები და მეგრელები ერთმანეთს იმით აჯავრებენ, რომ პირველნი მეგრულს დამახინჯებულ ქართულად მიიჩნევენ, მეორენი კი, პირიქით ქართულს მიიჩნევენ დამახინჯებულ მეგრულად-ო. ამ მოვლენას საფუძველი გაჩნია, არა მარტო იმიტომ, რომ ეს ენები მონათესავენი არიან, არამედ იმიტომაც, რომ უხშირესია დიფუზიისა და ურთიერთ სესხების შემთხვევები. მეგრულში ბოლო პერიოდში, ვრცელდება ქართ. სიტყვები. ქართულში კი უფრო ძველი მეგრ. წარმომავლობის სიტყვებია, რასაც ავტორისეული საანალიზო მასალა, ურყევად ადასტურებს. მაგ. აბა ვინ იფიქრებს, რომ **ოცნება** შეცვლილი – მეგრ. **ოჩე** „დიდი“ + **ნება** „სურვილი»-ა: ოჩე-ნება > ოცნება. ან რომ ქართ. **შვილი, მშობელი, საშობლო** და ა. შ. **შ**-ობა-სთან დაკავშირებული სიტყვები მეგრული წარმომავლობის არიან, რადგან თავად **შ**-ობა მეგრულია და უდრის **შ** ,,წყალი,, + **ობა** მნიშვნელო-

ბით წყლის ღვრა, რითაც მშობიარობა უნებლიედ და ყველასთვის დასანახად იწყება. ამ წყალთან დაკავშირებული მოაზრებების გამო მეგრელებს თვით ახალშობილიც წყლად მიაჩნდათ მამაკაცები ახალშობილს არ დახედავდნენ – ,,რას დავხედო ჯერ წყალიაო,,...

მეგრ. ფუ-რცელი ფუ-რჩელი-დანაა. **რჩელი** ფენილია მეგრულად. **ფუ კი ფო და ფა-ს** ფარდია. **ფო-თოლ-**იც მეგრ. სიტყვაა, **თოლ-**ი მეგრულში შემადგენელ *ნაწილსაც აღნიშნავს, მაგ. ჟირ თოლიშ ყუდე = ორი ნაწილისგან, ორი თვალისგან შემდგარ სახლს.* ასე რომ **ფო-თოლ-ი = ფო** მცენარე + **თოლი** ნაწილი. ისე როგორც ერთიდაიგივე მნიშვნელობის ჩხომი\\ ჩხუმი „თევზი»-ს **ო** და **უ**, ასევე ფურცელი და ფოთოლი-ს **ო** და **უ** ქმნიან **ფო და ფუ** დიალექტურ სახესხვაობებს ამ სიტყვებისას მნიშვნელობით – „მცენარე". პლიუს ამათ, ზემოთხსენებული, **ფა** ფორმა, ამგვარად, ფოთი, ფუთი, ფასისი უძველესი მეგრული სახელები არიან.

ე. ი. რაკი მცენარის მნიშვნლობის განმაპირობებელი **ფო, ფუ და ფა** ფორმები ჭეშმარიტად არსებობენ, წინაპარ **სუკ-ფა** „გორაკის მცენარეს"ცვლილებამ მოგვცა – სუკ > **საკ** > **კას** და კას-ფა //კას-პი ცვლილებები (იხ. „გ. თ." გვ. 125 ტ. კავკასიის ეტიმ.).

ამგვარად, ეთნონიმი და ჰიდრონიმი კასპიები, კასპიის ზღვა და კასპიანე საქართველოში მეხუთე საუკუნის ციხესიმაგრის სახელ კასპი-დანაა, ხოლო 26 ენაზე მეტყველი ხალხების მთიანეთში განსახლება არ ნიშნავს ქერათმიან და ნაცრისფერთვალება ალბანელთა (მემატიანე იულიუს სოლინუსი) კოლხურობის უარყოფას: მიუხედავად იმისა რომ, დასაბამიდან ისინი მიწათმოქმედებას მდინარისა და ბარის მიდამოებში მისდევდნენ და ამიტომაც ეწოდათ ლა-ბონე-ლები ანუ ბარელები.

ბიოლოგი – მკვლევარნი (იზორია, შონია, კაკულია, ალფენიძე და სხვები) იმაზეც მიუთითებენ, რომ **აფშერონი** მეგრ. სიტყვა **ო**-ფეშერ-ონა, გახლავთ, რაც **ფეშერ**-ის – „ახალაკაფულზე დაბალი და ხშირი ამონაყარის მსგავს მცენარეულობის განფენილობას" აღნიშნავს: აფშერონის ლანდშაფტს, სწორედ, ასეთი მცენარეულობა ახასიათებს.

ენათმეცნიერი – მაგრამ კოლხეთიდან აზერბაიჯანამდე ქართლ-კახეთია. ნუთუ ესეც არ იყო ქართულენოვანი არეალი.

არქეოლოგი – არა მარტო არქეოლოგიურ მონაცემთა საფუძველზე უტყუარად შეიძლება ითქვას, ქართველურ ტომთა განსახლება უდიდეს ტერიტორიებს მოიცავდა. ქართები, იგივე

კარდუხ-ები–(ქართუ // კარდუ // მეგრ. ქორთუ „ქართუ-ელი") ვანის ტბის სანახებში ცხოვრობდნენ. (ო. ლორთქიფანიძე).

ისტორიკოსი – ტბებში და ზღვებში ნაოსნობა ხშრად წრის ტრაექტორიას ტოვებს. გარდა ამისა, შავი და კასპიის ზღვა ვანის ტბა ხომ წრის ფორმის არიან: წრე კი მეგრულად გახლავთ ქართა. შდრ. გეოგრ. კარტა: დედამიწა ხომ წრის ფორმისაა. შესაბამისად პირველ კარტოგრაფს კარტაც წრის ფორმის (ქართა) გამოუვიდოდა. მითუმეტეს რომ ბევრი მეცნიერი კარტოგრაფიის ავტორობას კოლხებს მიაწერს). **ხი** (იხ. ქვემოთ) რაკი მეგრ. მიწაა, ქართუ-ხი // კარდუ-ხი უდრის წრის ფორმის ირგვლივ არსებულ საცხოვრისს. ასე რომ კარტა, ქორთუ, კარდუხი, ქართი, საქართველო და ა. შ. მეგრ. ქართა ,,წრეს,, დამსახურებაა.

ხუმუშ-ქია ა. გოლაძეს – კარდუხების, მ. ქურდიანს კი კოლხთა ქვეყნად მიაჩნიათ. სასწორი მ. ქურდიანის მხარეს უნდა გადაიხაროს, რადგან „ვინც მეგრული ენა კარგად იცის" იმისთვის უცხადესია: **ხუმუშ-ქია ანუ ხუმუშ-ქიანა** უდრის „ხმელეთის ქვეყანას"..

ავტორი – მესხები, კახები, ჰერები დღვანდელ საქართველოს ტერიტორაზე მეგრულად (იბერიულად) მეტყველებდნენ, რაზეც მიუთითებს შემდეგი: 1. **განჯა** ამჟამად აზერბაიჯანშია, ეს ტოპ. მეგრ. **გონჯა**-მა „გაღებას-თანაა" დაკავშირებული; 2. **კილა**-სური აფხაზეთში ზუსტად იგივე საფუძვლიანობითაა სახელდებული, რადგან **კილა** მეგრულად კლიტეა; 3. **კლარ-ჯე-თი = ო + კილარ + ჯიხა + თი = „დასაკეტი//ჩამკეტი ციხე"**;

სამივე ტოპონიმში მუშაობს სახელდების ერთიდაიგივე მოტივაცია: ესაა ქვეყანაში შესასვლელ-გასასვლელის კონტროლის (ჩასაკეტ-გასაღების) ქონება. ხოლო ამ გეოგრაფიული ადგილების სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობა რაკი, ერთ დროს, ამ მოტივაციას განაპირობებდა და სახელები (ტოპონიმები) კი კოლხურია, ცხადზე უცხადესია: კოლხეთი, ოდესღაც, ამ ტოპონიმებს შიგნით არსებულ ტერიტორიებს მოიცავდა. მართლაც: კახელები კოლხები რომ იყვნენ ამის სამტკიცია შემდეგი:

1. კოლხი > კოხი> კახი; 2. კახური სიმღერის სახელი – „შენ ბიჭო **ანაგურელო.**" **ნა-გურუ** სოფელია წალენჯიხაში. მეგრ. **გურ**-ი გულიცაა და ცენტრიც: ნა-**გურუ** „ნაცენტრალია". იგივეა ო-ნა-**გურ**-ელი // ა-ნა-**გურ**-ელი; 3. **გურ**-ამი მეგრ. პირსახელია და = „გულადი". სა-**გურ**-ამო (ტოპონიმი კახეთში), დასაშვებია, ანთროპონიმთან იყოს კავშირში. თუმცა უფრო სავარაუდოა, ზემოთქმული,

ცენტრის მნიშვნელობის ქონებით გამოწვეული განპირობებულობა სახელდებისა, სიტყვისაგან **გურ-**ი „გულ-ი"; 5 **ცი-ვ-გო-მ-ბორ-**ი იგივე მეგრ. **ცგ-გა-ბარ-**ია, რაც თელიან ქედს აღნიშნავს: **ცგ** „თელა"+ **გაბარი** = თელიანი „ქედი"; 6 **ლა-გოდე-ხი = მეგრ. ლა-კოდმე-ხი: ლა** „ტერიტორიის განფენილობის აღმნიშვნელი პრეფიქსია" + **კოდმე** „გარკვეული სახეობის ფერდობი" + **ხი** „მიწის და მასთან დაკავშირებულ ტერმინთა **ხ** ბგერიდან წარმოქმნილი სუფიქსი მეგრულში. (ო. ხუხუა). ჯამში **ლა-გოდე-ხი** = „ფერდობიანი ადგილს";

ხი სუფიქსი, ყოველმიზეზგარეშე, მეგრ. **ო-ხორ-**ის „ოჯახი, სამოსახლოს" ფრაგმენტია შემდეგ სიტყვებში: **ტა-ო // < ტა-ო-ხი = თა-ო-ხორ-ი** = „სამოსახლო ტერიტორია"; **დია-ო-ხი = დია-ო-ხ-(ორ)-ი** = დედა (ან დიდი) სამოსახლო (შდრ. დედა სამშობლო); **კო-ხორ-ა** (ტოპ. აფხაზეთში) = **კგ + ხორ-ა = კგ** „მაგარი, კარგი" + „სამოსახლო"; ეს გამჭვირვალე ეტიმოლოგიები გვაფიქრებინებს: იგივე **ხორ** წარმომავლობის ხომ არაა ეთნონიმთა – **კოლ-ხი**, მეს-ხი, კარდუ-ხი, უბი-ხის და ა. შ. ხი?)...

ჟინ-ვალ-ი = მეგრ. ჟინ „ზედა" + ვალი // ველი = „ზედა ველი". ისტორიკოსი – სხვათაშორის, ადგილი სადაც, შემდგომ, ქ. ტროა გაშენდა, პატარა ველი იყო და ვილ-უ-შა ერქვა.

ენათმეცნიერი – შა სუფიქსი კნინობითობის აღმნიშვნელია (შდრ. დათუ-**ჩა** < დათუ-**შა** // მეგრ. თუნთ-უ-**შა** „დათუჩა" > თუნთუ-**ჩა**) ამიტომ ვილუშა = პატარა ველი.

ავტორი – ტროას შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი შევჩერდებით **ხ** ბგერის ალომორფ კოლხ. ოჯახი, სამოსახლო, სახლ-კარის აღმნიშვნელ **ხორ** ძირიდან წარმოქმნილ ტოპონიმებზე, რომლებიც უკვე საბოლოოდ და, ერთმნიშვნელოვნად, დაადასტურებენ კახთა კოლხურობას. ესენია: ხორ-**ძენ-ე** (შუა საუკუნეებში ტაო და კოლა) = ხორ + **რზენი** // **რზენ-ე** „სწორი ადგილის, ვაკის ან ჭალის მოსახლე"; **ხარაგაული = ხარა // ხორა + გა** „ქედი" **+ სუფიქსი ულ-ი** = „საცხოვრისი ქედი";

ამათ გარდა მნიშვნელოვანია შემდეგი ტოპონიმები: **ხორ-**ოს მთა (მესხეთი); **ხორ-**ში (სენაკი); **ხორ-**ე-თი (ლანჩხუთი); **ხორ-**ენია (ახალქალაქი); **ხორ-**ა-ში (მთა ლეჩხუმში); **ხორ-**ი-სარ-ი (ხევის კავკასიონი); **ხორ-**ან-თა (კახეთი); **ხორ-**ნა-ბუჯი (ქარელი) და ა. შ. ეს ტოპონიმები უძველესნი არიან, რაზეც ანტიკური **ხორ-ძენ-ე, ხორ-ან-თა და ხორ-ნა-ბუჯ-ი** მეტყველებენ. ამ უკანასკნელის ეტიმოლოგია ასეთია: მეგრულში არის სიტყვა – **ნა-ხორ-ნა // ნა-**

ხორ-ინ-ა „ნა-სა-ხლ-არ-ი“, რომლის **ნა** მოცილებული ფრაგმენტია **ხორ-ნა**, ხოლო **ბუჯი** > // **ბურჯი** „ქვითკირის მაგარი შენობაა“. მ. ე. **ხორ-ნა-ბუჯი**, რომელიც წყაროებში რაკი V საუკუნიდან გვხდება, ჯერ კიდევ 1500 წლის წინ „ნასახლარ ციხე სიმაგრეს აღნიშნავდა და არქეოპოლისი (ნოქალაქევის) მსგავსად, დამტკიცებულად, უხსოვარ ეპოქებს განეკუთვნება.

ისტორიკოსი – **ხორ**-ნა-ბუჯ-ის მსგავსი ქალაქი იყო კახეთში **ხორ-ან-თა**, რომელსაც მე-11 საუკუნემდე ჰერეთს ეძახდნენ.

ავტორი – **ცხადია, ამ სიტყვის ჰ თანხმოვანი ხ ბგერის ჩავარდნით – ხერ** > **ჰერ** არის წარმოქმნილი. ანუ ჰერ-ეთ-ის წინარეა ხერ-ეთ-ი (**ხერ // ხორ**), თუმცა კი წყაროებში არა ჩანს. იგივე – დასახლების შინაარსის ამოსავლიანობა გააჩნიათ ტოპონიმებს – **ხერ**-ია (ლენტეხი. **ხერ // ხორ**). თავად **ლე-ნ-ტე-ხი**-ს ეტიმოლოგია კი ასეთია: მეგრ. **ლეტა** „ტალახი“ + **ხი** „მიწა“. ჯამში უდრის – ტალახიანი **მიწა;**

ხერ // ხორ ამოსავლიანობა გააჩნიათ აგრეთვე ტოპონიმებს – **ხერ**-თვისი (ხელვაჩაური), **ხერ**-კი (კახეთი) და ა. შ.

ფიზიოლოგი – ბატონებო, ეს სახელები არა თუ კახთა, არამედ ყოველთა ქართველთა კოლხურობაზე ღაღადებენ.

ავტორი – ოდნავცვლილ **ხორ** ძირიდან არიან ტოპონიმები: ქ. **ხონ**-ი (შდრ. **ხონ**-უა = მეგრ. ხვნა); **ხონ**-ე; **ხორ**-ჩანა; (ს. ტყიბული) = **ხორ** + ჩანა „ცენება“ = ოჯახის მცენარეულობა; **ხორ-ბალ-ო** (ახმეტა); **ხორ**ნა ლებია (ლობიოს სახეობაა) = ნასახლარის ლობიო; **ხორ**-ო ატამა – **ხორ**-ო ატამი = სახლ-კარის ატამი; **ხორ-ბალ-ი** = სახლ-კარის ბალი. ანუ ამოსავალი მნიშვნელობა სიტყვისა – **ხორ-ბალ-ი**, **ხორ** ძირით გამოხატული სამოსახლო ადგილის, ხოლო ბალით – ხილ-კენკროვან-მარცვლეულთა მნიშვნელობის ქონებაა, რომელიც ამჟამად, როგორც ვხედავთ, დავიწროებულია. **ბალ // ბულ**-ის შესახებ იხ. „გეორგიული თეორია“ 1996 გვ. 103-108.

ბიოლოგი – ბოლო მაგალითები: ადამიანის საცხოვრისისა და საკვებ მცენარეთა მნიშვნელობებით განპირობებული პირველქმნადობები, უცილობლად, იმ უძველეს პერიოდზე მიანიშნებენ, როცა პირველყოფილი თემი სახლდება ბუნებრივად მცენებარე საკვებ მცენარეთა ტერიტორიაზე, ან პირიქით, თვითონ იწყებს საცხოვრისთან **მათ კულტივირებას**

ფიზიოლოგი – ნებისმიერი მიხვდება – ერთიც ხდებოდა და მეორეც. ანუ ამგვარი სახელების შემქმნელებმა ორივე, აქვეთქმუ-

ლი პროცესი გამოიარეს. ამგვარი უნიკალური ფაკტები კი მიწათ-მოქმედებაში, ჯიუტად, კოლხურ პრიორიტეტზე მიუთითებენ...

ისტორიკოსი – ს. საბას მიხედვით **ფუტი** გახლავთ ავი კვამლი. ლაზ. ოფუტე სახლ-კარის შემოგარენია. საინტერესოა, რომ ერთის მხრივ **კვამლი** და **კომლი** ურთიერთკავშირშია, ხოლო, მეორეს მხრივ, **ფუტი** დიალექტური სახეობაა მეგრ. **ფათი** – ოდესღაც მცენარეული ადგილის მნიშვნელობის მქონე სიტყვისა (იხ. გვ. 96). გარდა ამისა, **ფუ-ტი**, მარცვალთა დისპოზიციის შემთხვევაში – **ტი-ფუ**, ასევე დიალექტური სახესხვაობაა მეგრ. **თი-ფუ** >„თი-ვა“-სი. არის ასეთი მცენარე –– მა–**ფატი**–ა. ის შედარებით სუსტი სარეველაა, ამიტომ კარგად ხარობს მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთებზე. ასე რომ საცხოვრისისა და სამეურნეო თუ სხვა მცენარეთა უძველეს ერთიანობაში მოაზრება სახეზეა.

ფსიქოლოგი – ავტორის მიხედით, **ყორ** კვების მნიშვნელობის უძველესი ძირია. მეგრ. ლა-**ყორ**-ია მიკროტოპონიმია მდინარე ენგურის ნაპირზე (კ. სამუშია), = „საკვები ადგილი,“ ძვ. ქართ. ნა-**ყორ**-ოვანება \\ ახ. ქართ. ნა-**ყურ**-ოვნებას და ნა-**ყურ**-ის „მცირე საჭმელი“ ძირია **ყორ (ყორ > ყურ)**.

ზემოთ **ფათი**, **ფუტი** და ა. შ. ბევრჯერ მოვიხსენიეთ. **ფუტ + ყორ** გვაძლევს – **ფუტ-კარ** სიტყვას. იგი ხომ მცენარეთა ყვავილებით ნექტარით იკვებება. აქაც უაღრესად ნიშანდობლივი აზრობრივი მიმართებებია.

ავტორი – **ხორ** ძირი სლავურ ენებშიც და (არა მარტო სლავურში) ხშირად ფიქსირდება: ქართ. **ხორ**-ბალ /> მეგრ. **ქო**-ბალ სლ. **ხლ**-ებ შედარება ცხადყოფს: / მეგრ. **ქო**-ბალ და სლავური **ხლ**-ებ მიღებულია ქართ. **ხორ**-ბალ-ისაგან. თავად ეს უკანასკნელი კი მეგრ **ხორ** და ქართ **ბალ** კომპონენტებისაგან შედგება და მნიშვნელობით = სახლ-კარის ბალი. ასევე რაკი **ხორ + თ > თხირ-ი // თხილ-ი** აშკარაა, წინ რა დაუდგება იმას, რომ სლავური **ო-რეხ** „ნიგოზი“ – მეგრ. **ო-ხორ**-იდან, ხოლო **ო-რახ-ის**-ი კი **ო-ხორ-ის**-იდან იყოს მიღებული.

ფიზიოლოგი – „დილეტანტური შენიშვნა:“ რაკი, როგორც ზემოთ ითქვა, ქართ. > **ხორ**-ბალ > მეგრ. **ქო**-ბალ უცხადესია, მაშ, ქალაქი **ქო-ბულ**-ეთ-ი **ხორ-ბულ**-ეთიდან ყოფილა. მაშასადამე, **ქო-ბულ**-ეთი-ის და ავღანეთის დედაქალაქ **ქა-ბულ**-ს მსგავსი **ქო-ბულ // ქა-ბულ** ფუძე ანათესავებთ.

ენათმეცნიერი – ეს აბსურდია... ერთი ენის მონაცემებს თუ მოვიძიებთ სხვა მრავალთაგანში, მათთან ყოველთვის მოვიძიებთ სასურველ მსგავსებებს.

ისტორიკოსი – საქმე ეხება უძველესი მიწათმოქმედების (10-9 ათასი წელი) პერიოდს და მის წინარე საწყის ეპოქებს, ვსვამ კითხვას: მეურნეობის ამ დარგმა თუ კოლხეთიდან მესოპოტამია-ეგვიპტემდემდე მოახერხა ემიგრაცია, რატომაა დაუშვებელი იგივე სხვა მიმართულებებითაც?...

არქეოლოგი – მითუმეტეს რომ საქმე ეხება მდინარის სახელს: ქალაქი ქაბული ხომ მდინარე ქაბულზეა გაშენებული. როგორც ითქვა, "... მდ. **რიონი** (ასევე **ენგური**, სხვა მდინარეები და მათი შენაკადები ე. ი.) ხელს უწყობდა ინტენსიური მიწათმოქმედების განვითარებას."... (ო. ლორთქიფანიძე ძვ, ს. მ.). ვიზიარებ აკადემიურ მტკიცებულებებს ავტორისას, რომ პირველყოფილი მიწათმქმედება მდინარეთა ნაპირებზე **მერე ანუ ჭალა** ადგილებში ვითარდებოდა (ეს იმიტომ რომ ეს ადგილები **სველი, ნოყიერი და ადვილად დასამუშავებელიცაა).** ხოლო, როგორცა ვთქვით, ქალაქი **ქა-ბული** მდინარე **ქა-ბულ**-ის ხეობაშია გაშენებული. ამიტომ ქართ. **ხორ-ბალ**-ია ჰიდრონიმ **ქა-ბულ**-ის მნიშვნელობითი ამოსავალი.

ენათმეცნიერი – ეს გახლავთ ნ. მარის მსოფლიო მაშტაბით იაფეტური კულტურის ემიგრაციის თეორიის რეაბილიტაციის მცდელობა. მაგრამ ეს ხომ მსოფლიო მეცნიერების მიერ დაგმობილია, როგორც ყოველგვარ საფუძვლინობას მოკლებული.

ანტროპოლოგი – არავის გააჩნია უფლება ზერელედ და ნიჰილისტურად მოეკიდოს ფუძე ქართველურ ენებს. განსაკუთრებით მეგრულსა და სვანურს რომლებმაც, საბედნიეროდ აქამდე მოაღწიეს, ახლა კი, ამ 21–ე საუკუნეში, საუბედუროდ გადაშენება ემუქრებათ... ასევე – ავტორისეულ ფაქტობრივ მასალას, რა მასალაც, სამწუხაროდ ნ. მარს არ გააჩნდა. მაგრამ მარის მეცნერული სიდიადე სწორედ იმაშია. რომ მან ზემოთაღნიშნული თეორია ამ მონაცემთა გარაშეც იწინასწარმეტყველა.

ისტორიკოსი – ჯერ არს ახალი მიდგომით, ახლებური აზროვნებით მივუდგეთ ქართველური ენობრივ თანხვედრებს მსოფლიო ენობრივ სივრცეში: „...ლათინურში აზრობრივ ფორმობრივად მსგავსი მეგრული სიტყვების დიდი რაოდენობაა ... მომყავს მაგალითები ლადო ალფენიძის წიგნიდან „რჩეული თხზულებანი“:

ლათ. პაპილიო // მეგრ. ფარფალია „პეპელა“; კუკულუს // გუგული; ორკეუს // ორკოლ „დოქი“; კუბო // კუბო; სკრიბო// კორობუა „შეგროვება;“ სერუს // სერი „ღამე“; ციგნო // ნიგნი; პონო „წოლა“ – პონ-უა „მიყრდნობა“; სკამ // სკამი; კლავის // კილა „კლიტე“; ფურ // ფურ-ი „ცუდი“; პელაგუს // პელაგონი „წყალდიდობა“; კალამუს // კალამ „კალამი“; კალატჰისკუს // კალათი; მორს // მორს-ება „გასინჯვა“; კაზეუს // კაზლა „ბრინზა ყველი“; სახარონ // შანქარ „შაქარი“; საკკი // საკ-ი „ტომარა“; პირამის // პირამიდა; ბუბო // ბუ; იმპოს // იმპუ „არარაობა“; ორტუს – ორთუ „გასაყოფი წყალგამყოფი“; ჰორტუს // ორტვინ „ბოსტანი“ მიტტო // მეტება „მიტოვება“; ტაპენს // ტაფე „ტაფა“; ვერს // ლერს „ლექსი“; პატრონ // პატრონი; სიკკ // სკირ „მშრალი“; სკრობუს // რობუ „ორმო“; რეს // რე „ნივთი, რამე“; რეფენო // ფენდა „მოგება“; სკო // სკუა „შვილი“; პატიორ // პატიება; პალუს // პალო“ ბოძი“; პასკო // პასკუა „ჭამის სახეობა“; ჰომო – ქომოლ „კაცი – მამაკაცი“; აერ // ჰაერ-ი; ლუტუმ – ლეტა „ლაზ მიწა; ნოტუს // ნოტიო;“ ნენია // ნანა „იავნანა“; ფურორ // ფურე „ცხელი“; რისორ // რისინი"კბილების გამოჩენა“; ორბო // ომბოლ-ი; კლაუდუს // ქულა „კოჭლი“; ლაფე // დაფი „დაფნა“; ... ლასულუს // ლასირ-ი „წაშლილი“; ლაცერტა // ლაკარტი „ნესტარი“; ჰარე – კარე"კარავი“; პაპა // პაპა...

შუმერულ. – მეგრული პარალელებია: ბახარ – ბუხარ; გარ-გარ – ბარბალ „ბორბალი“; აგარ – აგვარა „საქონლის ჩასამწყდევი“; .ბარ – ვარ „არა“; ბირ – ბიბილ-ო;. დი“ – დიხა."მიწა;“ ითუ – თუთა, „მთვარე“; გორა – გოლა „მთა“;... არე – არე-მარე;.ლიკ – ლაკვ „ლეკვი“; kir „ – კერ „ნეზვი“; Kun -კუდ-ელ."კუდი“; ზაგარ“ – ჟიგან."ზეგანი"; ბაბა // ბაბა „მამა“... „ბაბა“ – ბაბა.

იუ. ლ. მოსენკის მიხედვით, მეგრული ზიტყვები შუმერულ ენაში: kalam < kanam „земля“ – ქანა; lah „цема“ – lax-უა – ლახუა. „цема; „zag „მხარე“ – განი; iti, itu, itud „მთვარე“ – ახალ თუთა."ახალი მთვარე"; sar „писать“ – ჭარ, ჭარუა. kar „კვრა, შეკვრა“ – კირ, კირუა."შეკვრა;“ sug „ океан, болото“ – ზღვა; sar „ სიბნელე, ночь)“ – სერ;; tab „გაორება“, – ტკუბ „ტყუპი;“ rig „ლაპარაკი“ – რაგად."ლაპარაკი"; tag ტეხვა – ტახ-უა „ტეხვა“; .kar „ნავსაყუდელი, კარი – „კარ-ი“; kir „კრავი“ – კირიბ „კრავი;“ ul „სვლა“, „სწრაფვა“ -, ულა „სვლა“...“ .**ვალერიან შენგელია.**

ენათმეცნიერი – სიტყვათა ეტიმოლოგიები მაცდური რამ გახლავთ: მომყავს დამთხვევები რომლებმაც, დასაშვებია, მცდარი დასკვნებისკენ გვიბიძგონ:

1. **ბაღდადი** ერაყის დედაქალაქის სახელია. საქართველოშიც არის ამ სახელის ქალაქი.

2. ავტორის მიხედვით ტოპ. **ხეთა = ხერ-თა // ხორ-თა** = საცხოვრებელი ადგილი; **ხეთელები** ინდოევროპელები არიან;

3. ავტორისავე მიხედვით სახელი **ლომ**-ი მიღებულია **რორი >// რომ-ი-დან. რომი** იტალიის დედაქალაქია;

4. მეგრ. **სა-ბონ**-ი = „საბანაო." **ლე-სა-ბონე**-ც იგივეა. **ლი-სა-ბონ**-ი კი პორტუგალიის დედაქალაქია;

5. ქართ. **ძლოკვი** გახლავთ იგივე **ანკარა** – სახელი გველისა. თურქეთის დედაქალაქის სახელი გახლავთ **ანკარა;**

6. **მედეა = მიდია = სპარს**ეთი. გარდა ამისა საქართველოს სამხრეთი მხარე – **სპერი // სასპერი** (ძვ. წ. აღ. მე-5 ს. ჰეროდოტე) და **სპარს**ეთი, **სპან**-ი // **ესპან-ეთი** სახელთა მსგავსება სახეზეა;

7. **ხურ**-იტ-ები წინა აზიის მცხოვრებლები – ავტორის მიხედვით, **ხურ-ი-თა // ხორ-ი-თა** = საცხოვრებელი ადგილი და ა. შ. და ა. შ. მაგრამ ეს ხომ ყოველგვარ აკადემიზმს მოკლებული სითამამეა. ყველა ამათ ხომ სხვა ახსნადობა გააჩნიათ. მაგ: ტოპ. საქართველოში **ბალ-დად**-ი და ცეკვის სახელი **ბალ-დად**-ური ქალის თავსაბურავის სახელ **ბალ-დად**-თან ერთადაა საქართველოში ერაყის **ბალ-დად**-იდან, სადაც ამ თავსაბურავს ამზადებდნენ, მიგრირებული. თავად სახელი **ბალ-დად** სპარსულია: **ბაგ უდრის** ღმერთი. **დად კი სპარსულად, ასევე უდრის** ნაბოძები.

ავტორი – ეს უკანასკნელი ვერსია, ამჟამად უარყოფილია: **ბალ-დად**-ი ძვ. ქართ. **ბაბილო** სახელითაა ცნობილი. **ბაბილო // ბი-ბილო**-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა უსურვაზია. **ბაბილოს** უკავშირებენ, ასევე, სახელს ქალაქისა – **ბაბილ**-ონი, რასაც **ბაგდადი** ამოწმებს, რადგან ისიც ამოსავლიანობით, ვენახს უკავშირდება: ქართ. **ბაგ**-ა ახალი ვენახია, ხოლო, მეგრ. **დადი**-ს ერთ-ერთი მნიშვნელობა **უფროსი**-ც გახლავთ. მაშასადამე, ტოპონიმ **ბაბილონის** ამოსავალი მნიშვნელობა თუ უსურვაზია, **ბაგ-დადი** მეგრულ ქართული კომპოზიტი ტოპონიმია და უდრის მეგრ. **დადი** = უფროსი ანუ დიდი + **ბაგ** – ქართ. – „ახალი ვენახი".

ფიზიოლოგი – საქმე გვაქვს სისტემურ და კანონზომიერ თანხვედრებთან. საინტერესოა, რა უნდა დავუწუნოთ ამგვარ უცხადეს ახსნადობებს?...

ავტორი – საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეტიმოლოგიაში მთავარია **უძველესი ამოსავალი მდგომარეობის დადგენა:** მაგ: სპარსული **ბაგ,** სლავური **ბოგ** და ინდოევროპულ **გოდ // გად // გოთ** სიტყვათა შემადგენლობის – **გ** კოლხური **ღ** წარმომავლობისაა (იხ. ქვემოთ). თუმცა არც დამთხვევებია გამორიცხული და არც ზოგიერთი უზუსტობანი.

ისტორიკოსი – ერთ-ერთი ვერსიით, წარმომავლობით, სპარსელები ამიერკავკასიელები არიან. უძველეს ისტორიაში კი კავკასია კოლხეთად **იგულისხმება (კლ. შელია, ვლ. ალფენიძე...).**

არქეოლოგი – **ხორა**-სანი არის – **ხორა** „საცხოვრისი" + **სანი** ანუ **ზანი** – მეგრელი. ესე იგი, სპარსეთში მცხოვრები **ხორა-სნ**-ები, ერთ დროს კოლხები, იგივე **სანები // წანები // ჭანები, რაც ერთიდაიგივე ხალხის ალომორფ. სახელებია.** ხოლო **სპარ**-სელები, როგორც უკვე ითქვა – უძველეს წარსულში – **სპერ**-ები გახლდნენ. მ. ე, **ხურ-იტ**-ებიც ასიმილირებული კოლხები თუ იყვნენ.

ავტორი – „გეორგიულ თეორიაში" ეთნონიმები: **შონი, ლაზი, წანი, ჭანი,** ახსნილი მაქვს როგორც ჰიდრონიმთან – წყალთან კავშირში მყოფი სახელები: **წარ**-ი მეგრულში დღესაც წყალია, მოფერებით. **შგ** კი გახლავთ ასევე სისველე ანუ წყალი. აქედან არიან ეთნონიმები: **შგ + ონი > შონი.** დღეს ეს სიტყვა, მეგრ. ეთნონიმია, ძველად კი გეოგრაფიული სახელი – მნიშვნელობით – „წყლიანი არე" იყო: **ლა + შგ – ლაშ-ი > ლას-ი > ლაზ-ი** ეთნონიმი მიიღება; ანუ პირსახელი **ლაშ**-ი ეთნონიმი **ლაზ**-ის პრეფორმაა. ძირი ამ სახელისა გახლავთ **შ, ლა** – პრეფიქსია, სუბსტანციის განფენილობის აღმნიშვნელი, ხოლი ჯამში **ლა-შ** უდრის წყლის განფენილობას... **წყალი // წყარი** ქართულ-მეგრულში წყალსატევსაც აღნიშნავდა, ამიტომ, დღევანდელ, მოფერებით, **წარ**-ი-დან კი, რომელიც ძველად, უთუოდ ასევე წყალსატევსაც აღნიშნავდა, ენათმეცნიერებაში დაფიქსირებული კანონზომიერი ცვლილებებით **წარ**-ი > **წან**-ი; **წარ**-ი > **წენ**-ი; **წარ**-ი **ჭარ**-ი ეთნონიმები წარმოიქმნენ. ასე რომ ის ხალხი, რომლებიც კარხემიშში აღმოჩენილი დამწერლობით თავიანთ თავს ზღვის და წყლის ხალხად აცხადებდა და რომელთა ვინაობას დღესაც ეძებენ, უეჭველია, ეს აქ დასახელებული

ტომები ანუ კოლხები იყვნენ. ამიტომ, პირსახელი **ლაში** პირდაპირი საბუთია ზემოთქმული მტკიცებულებებისა,...

არქეოლოგი – გ. გიორგაძის ხეთების განსახლების ტერიტორიის რუკაზე თითქმის უმრავლესი ტოპონიმის სუფიქსი ქართველურია (იხ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია გვ. 454). **ისტორიკოსი** – სლავურ ენებში ქართ სასა-**ხლ**-ე // მეგრ. დო-**ხორ**-ეს სადარ ნაგებობას **ხორ**-ომას ეძახიან. ამის გარდა, მომღერალთა ანსაბლს **ხორ**-ოვაია ქვია. მეცნიერები, პირველის შესახებ თუ რას ფიქრობენ ვერაფერს გეტყვით. მეორე – **ხორ**-ო-ვაია კი ბერძნულ **ქორო** – მომღერალთა ანსამბლი-იდან მიაჩნიათ წარმომავალი.

ავტორი – დიახ, რადგან სრულიად უგულებელყოფილი აქვთ კოლხური **ხორ** ძირი. განსაკუთრებით ეს ეხება საბრძოლო შინაარსის საფერხულო წყობის ცეკვა **ხორ**-უმ-ი // **ხორ**-ონ-ი **(უმ // ონ < ორ // ურ).**

ანთროპოლოგი – სლავური **ხორ**-ო-ვაია > ბერძნული > **ქორ**-ო, ქორ-ეოგრაფია და ა. შ. ქართველურ **ხორ**-უმი-დანაა, რომელიც პირველყოფილი თემური წყობილების დედისეული გვარის – ო-**ხორ**-ის წევრთა ჯგუფური ცეკვა სიმღერებიდან ღებულობს საწყისს და შემდგომ მატრიარქატ-პატრიარქატში განვითარებული და დღემდე მოღწეული სრულყოფილი შედევრია.

ფსიქოლოგი – საბოლოო ჯამში, კოლხური **ხორ**-უა // დო-**ხორ**-ეს **ხორ** ძირთან პოულობენ ერთიან ამოსავლიანობას სლ. ხორ-ომა, ქართვ. **ხორ**-უმი > სლ. **ხორ**-ოვაია ბერძნ. **ქორ**-ო. აქედანვეა, როგორც შემდგომი აბსტრაქციების ნაყოფი, ქართული **ხრ**-ოვა, < **ხორ**-ოვა, **ხორ**-ა (**ხორ**-ა-ში), **ხორ**-ა-**ხორ**-ა, ზედა-**ხორა**, **ხორ**-ომი, ასევე სლავური **ხორ**-ომ „ერთად“ და ა. შ.

ავტორი – **ხორ** ძირი სლავურ ზმნაშიც არის დაფიქსირებული. მაგ მეგრ. თ-**ხორ**-უა, ქართ. თ-**ხრ**-ა **(ხრ < ხარ)** და სლავური პო-**ხორ**-ონი „დასაფლავება“, **ხორ**-ონით „საფლავის გათხრა.“

მეგრ. თ-**ხორ**-ილი, **ხორო** „ორმოს“ შესატყვისია ქართ. **ხარო**, რომელიც ძველად მარცვლეულის შესანახად გამოიყენებოდა. ამიტომ, **ხარო** \\ **ხორო** და თ-**ხორ**-ილ-იდან სრულიად სარწმუნოა, მეგრ. სუფიქსით გაფორმებული **ხორო**-ში „ზედმიწ. **ხორო**, იგივე **ხარო**-სთვის განკუთვნილის მნიშნელობის მქონე ანუ რჩეული, **ხვრი**-ში-სებური მარცვლეულის აღმნიშვნელი ტერმინის წარმოქმნა.

ესაა მეგრული **ხორო-ში** „რჩეული მარცვლები“ (იხ. ა. ქობალია მეგრ-ქართ ლექსიკონი). აგრეთვე ამის დამოწმებაა ქართ. ხვრიში (< ხორიში*) „რჩეული მარცვლები“ და, ასევე, მეგრ. **ხორ**-ინ-აფილი „სინესტე-ლპობაშეპარული მარცვლეული.“ სწორედ ორმოში – **ხორო** ანუ // **ხარო**-ში ფუჭდება, ხშირად მარცვლეული ამნაირად. რაც შეეხება, სპარსულად მიჩნეულ **ხორა**-გი-ს, არ ვიცი, რა უპოვეს ამ სიტყვას არაქართველური, ძირი თუ აფიქსი?... იგივე ითქმის სლ. **ხორო**-ში „კარგის“ შესახებ, ოლონდ, ეს უკანასკნელი, წმიდაწყლის მეგრ. სიტყვაა და, როგორც ითქვა, **ხორო-ში** – ჯერ-ერთი პირდაპირი გაგებით ორმოსთვის განკუთვნილს ანუ ორმოში შესანახს აღნიშნავს. მეორე = „კარგი, რჩეული მარცვლები“. **სლ ხოროში რომ მეგრ. ნასესხობაა ამის უტყუარი დასტურია მეგრ. ხარიშა „ხელგაშლილი“: პურ-მარილი ხომ სიმბოლოა ხელგაშლილობისა და სიკეთისა...**

ანთროპოლოგი – აი, თურმე რატომ შემორჩა **ხორო-ში > ხვრიში** ქართველურს მსხვილი მარცვლების აღმნიშვნელად. მ. ე. სლ. **ხორო-ში** „კარგი“ კოლხური სიტყვა ყოფილა. უზუსტესად კი ეს სიტყვა იმ დროიდან იღებს სათავეს როცა ქართველები და სლავები ერთიდაიგივე ხალხები იყვნენ.

ფსიქოლოგი – მარცვლეული საკვებია, ამიტომ პოზიტიური ემოციების ამღძვრელია. ორმოში შენახული მარცვლეულის, სწორედ, ამ თვისების კრონკრეტულ ნიშნად – **ხოროში** „მარცვლეული, საკვები“ > „კარგი“ განყენება განხორციელდა.

ენათმეცნიერი – კარგი სომხური ნასესხობაა. სომხები კი ინდოევროპელები გახლავან

ავტორი – უახლოეს სამეზობლოს – იმდაგვარს ჭირში და ლხინში რომ ერთად არიან, მეგრულად **სამოხ**-იო ეწოდება. აქედანაა სახელწოდება **სომხ**-ეთ-ი. **სომხითი** ანუ **სამოხიო**-თი იმ დროის სახელია, როცა **სომხეთის** მთიანეთი, ისევე როგორც სრულიად კავკასია, საკუთრივ კოლხეთი იყო.

ისტორიკოსი – აღნიშნული თანხვედრებისა და სხვა ავტორისეულ ფაქტთა მონაცემების საფუძველზე, უკვე შეიძლება თამამად ითქვას: ინდოევროპელი ხალხები მ. ე. სომხებიც კოლხები იყვნენ, ოლონდ გააჩნია ვინ როდის...

არქეოლოგი – სანამ არმენები და ჰაიაკები (აია \\ ჰაია) მოვიდოდნენ, სომხეთის მთიანეთში ოთხი კოლხური ტომი სახლობდა.

ავტორი – მცენარეთა აღქმასთან დაკავშირებულ დადებითი

ემოციების გამოხატვა, თავდაპირველად, **ყ** ბგერის ალომორფებით ხდებოდა: ქართ. ნა-**ყარ**-ი, ამო-ნა-**ყარ**-ის **ყარ** ძირი იძლევა **კარ** კომპონენტს ქართ. სიტყვისა **კარ**-გი, ხოლო მეგრ **რგ**-ი-ლი < **რგ**-ი-რი, შესაბამისად, იძლევა მეგრ. **ჯგ**-ი-რი „კარგის“.

ქართ. მეგრ. **ხარ**-ება პოლისემიურია: კოჩქ გე-**ხარ** // კაცმა გა-ი-**ხარ**-ა და ფაქ გე-**ხარ** // მცენარემ გაიხარა, ცხადია, ერთიდაიგივე არაა, მაგრამ მცენარის **გაფურჩქვნა-გახარება** > ადამიანის **გახარება** აბსტრაქციები სრულიად ლოგიკურია.

ფსიქოლოგი – უეჭველია, მცენარის გახარება პოზიტიური ემოციების აღმძვრელია. მცენარე არამცთუ ესთეტიკური ტკბობის ობიექტია, არამედ, რაც მთავარია, საკვებია. ამიტომაცაა ძვ. ქართულში კარგის, სიკეთის ეპითეტებად – ნერგი კეთილი, ნაზარდი, რგული და ა. შ. აქ **მცენარის ხარებასა** და ადამიანის **დადებითი ემოციების გამომხატველ ხარებას** შორის ისეთივე მიმართებებია როგორიც მეგრ. **ხოროში „ორმოს მარცვლეულსა“ და სლავური ხოროში „კარგს“ შორის. ამიტომ ყარ + რგ > კარგ სწორია.**

ფილოსოფოსი – ბატონებო ამ მაგალითებში უძველესი ყოფითი სიბრძნე და ნატურალური ესტეთიკა მზესავით კაშკაშებს.

ენათმეცნიერი – **ხორ** ძირის ქრონოლოგიური ხანდაზმულობის თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ ა. ჩიქობავამ მეგრ. ო-**ხორ**-ი > ო-**ჯახ**-ი და ო-**ხორა**-სკირ-ი (**ოხორ + სკირი** „ვაჟი») = ზედმიწ. „ოჯახის ვაჟი“, დღევანდელი მნიშვნელობით მაზლი, ქვისლი მატრიარქატის დროინდელ ტერმინად ჩათვალა.

ანთროპოლოგი – მატრილოკალური ქორწინებისას, როცა ვაჟი დასახლდა საცოლის გვარში, გაჩნდა ამ გვარის ვაჟის ჩასიძებულისაგან გამომრჩევი ტერმინის აუცილებელი საჭიროება.

ავტორი – ზემოთქმულთან კონტექსტში, პარადოქსია, ო-**ჯახ**-ის თურქ. ნასესხობად მიჩნევა. შუა აზიის სტეპებიდან მოსულ თურქებს იქ ლაზები დახვდათ, რომელთა ო-**ხორ**-ის ორეული ო-**ჯახ**-ია, როგორც მნიშვნელობით, ასევე აგებულებითაც. საინტერესოა, რა „აკადემიური“ საფუძვლიანობით დადგინდა, რომ იგი არც მეგრულია და არც ლაზური, მაინცადამაინც თურქულია?... ეს მაშინ როცა **ო-ხორ > ო-ჯახ ცვლილებებს (ხორ > როხ > ჯოხ > ჯახ)** წინ არა ეღობება რა. აი, როგორ იჩქმალება ნ. მარის მიერ წინასწარმეტყველებული „ქართვ. ელემენტები“ სხვა ენებში.

ენათმეცნიერი – ო-**ჯახ**-ი სხვა აღმოსავლურ ენებშიც ფრიად

გავრცელებული სიტყვაა. ამიტომ, მისი კოლხურობა, ასე ხელმოსმით, ვერ დამტკიცდება

ავტორი – ქართველოლოგიას, განსაკუთრებით კოლხოლოგიას ვადანაშაულებ არა თუ კოლხურის არცოდნა-შეუფასებლობაში, არამედ, პლიუს ამას, მეცნიერული იმიჯის შელახვის შიშით, საკითხთან, უხშირესად, კაპიტულიანტურ მიდგომაში: საერთო ლექსიკის არსებობა, განსაკუთრებით უძველეს ცივილიზაციის ხალხების ენებთან, ქართველურში ნასესხობის შედეგად ითვლება.

ფიზიოლოგი – როგორცა ჩანს, მეცნიერთ ეს ადვილად გასდით..

ავტორი – მარტო ზემოთავებში დასახელებულ და **ოჯახი, ოხორი, ოხორასკირით** არ ამოიწურება მატრიარქატული სიტყვების ქართველური მარაგი, დაკავშირებული მატრიარქატული გვარის დასახლებასთან. ესენი არიან: ქართ. დია-**სახლ**-ისი უდრის **დია** + **სახლ**ისი უდრის **დია**: 1. „ დიდი„ 2. „ბევრი„ 3. მეგრ, სვ. დედა„ + **სახლ**ისი = ოჯახის//სახლის დედა ანუ ოჯახის უფროსი; მეგრ. გვარი და არქაული თანამდებობრივი წოდება – **და-დია** = **და** + **დია** „დიდი“ ანუ „უფროსი“ = **და** (ქალი) + უფროსი ანუ უფროსი ქალი; იგივეა მეგრ. სვ. **დადი**//**დადე** „დიდ ბებია“ (< **დია-დია**);

ფაქტი, რომ **დია** = დიდი (უფროსი) და **დია** = დედა//ქალს აშკარად მატრიარქატზე მიანიშნებს. მ. ე. **დია-ცი < დია-ში იმ დროინდელია (ცი < ჩი < ში)**. როგორც ვხედავთ, მატრიარქატ-პატრიარქატში ქართველური სიტყვები სრულფასოვნადაა გაფორმებული. ახლა კი დაუბრუნდეთ იმ ეტაპს როცა ქვის იარაღის დამზადების პიონერმა–ჰომო ხაბილისმა 700 სმ. კუბი თავის ტვინით **წ, ყ** და სხვა ერთეული ბგ-ებით და ბკ-ებით აკუსტიკური გამომხატველობის მქონე საგან-მოვლენათა სახელდებები მოამთავრა (2 მლ. წ) და ასპარეზე გამოდის გამართული ადამიანი – ჰომო ერექტუს

ანთროპოლოგი – „იგი გამოჩნდა 1,75 მლ. წლის წინ... ქონდა დიდი მოცულობის ტვინი (900 სმ.3)... განსახლებული იყო თითქმის მთელ დედამიწაზე... ამზადებდა სხვადასხვა სანადირო იარაღს, სარგებლობდა ცეცხლით...შესაძლოა გამოიგონა პრიმიტიული ენა...“(იხ. ჯილლ ბეილი, ტ. სედდონი „ისტორიამდელი სამყარო“ გვ. 147. ოქსფორდი).

ბიოლოგი – წინამორბედთან შედარებით, გამართული ადამიანის **თავის ტვინი მთელი ორასი სმ. კუბით გაიზარდა.**

ავტორი – უფლება გვაქვს ვიფიქროთ: ეს მოხდა, უპირატესად,

სამეტყველო პირობითი რეფლექსების ხარჯზე. ამ დროისათვის ფიზიო-რეფლექსოგენურ, ხმაბაძვით- რეფლქსოგენურ და ინდიფერენტულ – ხმაბაძვით ნიშან-თვისების ხმიანობათა მქონე საგან-მოვლენათა სახელმდები, იგივე აკუსტიკური თვისებების ბგერები და ბგერათკომპლექსეკსები დახარჯულია. მ. ე. აკუსტიკურ ეფექტს მოკლებულ მოვლენათა სახელდება უნდა მოხდეს იგივე ნიშანთვისებების არმქონე (აკუსტიკური ეფექტის არმქონე) ბგერებითა და ბგერათკომპლექსებით.

ფილოსოფი – მაგრამ საჭიროა დამოწმება: ამგვარ მაგალითებს თუ დავასახელებთ, აქვე კონტექსტში მოცემულ მოსაზრებათა სისწორე დასაბუთდება.

ფსიქოლოგი – გამართული ადამიანის სადგომის ძირითადი ატრიბუტი ცეცხლია, თავად ცეცხლისა კი – კვამლი და სინათლე. კაცობრიობის ისტორიაში, ოდიდგანვე, ორივე მათგანი სასიგნალო და საორიენტაციო საშუალებად გამოიყენებოდა. ამიტომ, უეჭველია, ეს უკანასკნელნი და გამართული ადამიანის სადგომი თუ სამოსახლო ერთიან მოაზრებებში იქნებოდა. მ. ე. ფუძე ენაში კვამლისა და სინათლის სახელები ნათესაობას უნდა ავლენდნენ სამოსახლო-სადგომისასთან.

ისტორიკოსი – ასეცაა: ლაზ. ო-**ფუტ**-ე „ადგილი სახლის გარშემო, ეზო, რაიონი“ და ძვ. ქართ. **ფუტი** „ ავი კვამლი (ლ.ქ. ს. ს. ო.); ქართ. **კომლი** > **კვამლი** და **კომლი** „ცალკე ოჯახი“; სლ. **დიმ** „კვამლი“ და **დომ**“ სახლი“; ლაზ. **თე** „სინათლე“ და მეგრ. **თი** იგივე **თა** „ოჯახი, სახლ-კარი, ადგილი.“ ეს უკანასკნელნი, ძველკოლხურის უშუალო მემკვიდრეთა – ლაზური და მეგრული ენის **თ** თანხმოვნიანი მარცვლები გვიჩვენებენ გამართული ადამიანის მეტყველებას იმ დროისა, როგორც ნიშანსვეტს, როცა ის აკუსტიკურ თვისებას მოკლებულ, მაგრამ თვალსაჩინოებით გამოხატულ სინათლეს და მასთან დაკავშირებულ იგივე თვისებების საგან-მოვლენების სახელდებას ახდენს ერთადერთი არახმაბაძვითი **თ** ბგერით. იგივეს გვიმტკიცებენ ფაქტები: ენათმეცნიერებაში სინათლისა და მისი ეტიმოლოგიური ამოსავლიანობით განპირობებულ რიგ სახელებში ძირად მიჩნეულია **თ** ბგერა (იხ.„გ.თ.“გვ.114). ავტორმა მნიშვნელოვნად გაზარდა ამგვარი ლექსიკა, მათ შორის უცხო ენათა ხარჯზეც. ანუ უცხო ენებშიც დააფიქსირა ქართვ. ელემენტი, ამ შემთხვევაში, **თ** ბგერა.

ფსიქოლოგი – პარალელები: ქართვ. თ ძირი > მეგრ. თგ* > თა // თი „ადგილი, სახლ-კარი“; ლაზ თე „სინათლე > თემი"ქართ. კვამლ > კომლი და სლ. დიმ „კვამლი"> დომ „სახლი“, უცხოურად თვლილ ხალხებში, ოდინდელი და იდენტური ფსიქო-ტრანსფორმაციების მაგალითები არიან, რაც იმთავითვე მათ ახლო ნათესაობას ააშკარავებს.

ავტორი – ჯერ ქართველური ლექსიკა დავასახელოთ. ესენია: ნა-**თ**-ება, სი-ნა-**თ**-ლე, მ-ნა-**თ**-ობი, მ-**თ**-ი-ები; მეგრ. ნო-**თ**-ე „მნათობი“,სი-ნ-**თ**-ე „სინათლე“, გო-**თ**-ე „განათებული ადგილი“; ლაზ. **თ**-ე „სინათლე“; ქართ. **თ**-ე-**თ**-რი (სხივ-შუქიანობის გამომხატველი **თ** ძირი გაორმაგებულია); მეგრ. **თ**-ო-ლი > **თ**-უა-ლი > **თ**-ვა-ლი (მხედველობის ორგანობასა და სინათლის კავშირი უცხადესია); ქართ. **თ**-ოვა, მეგრ. **თ**-უალა „თოვა"; მეგრ. **თგ + რე** = სინათლის არსებობა > **თ**-ი-რი „თოვლი“ (თოვლის სითეთრე ნათებაა ამოსავალი)"; ქართ. **თ**-ოლია, მეგრ. მა-**თირ**-ია „თოლია“ (თოლია თეთრი ფერის ფრინველია); დედა-მ-**თ**-ილი, მამა-მ-**თ**-ი-ილი// მეგრ. დია-ნ-**თ**-ილი, მუა-ნ-**თ**-ილი: ამ სიტყვების **თ**-ილ ნაწილის ძირია **თ** და ამ ხანდაზმულ ადამიანთა თმების ფერზე – სითეთრეზე მიანიშნებს.

ქართ. ნ-**თ**-ებას მეგრ. შესატყვისი – მო-ნ-**ტ**-ება **თ** ბგერის ექვივალენტური **ტ** ძირითაა წარმოდგენილი.

თუ ენათმეცნიერთა დასტურით, მ-**თ**-იებ-ის ძირია **თ**, იგივე იქნება – მ-**თ**-ვარ-ე და მ-**თ**-ა სიტყვებისა, რადგან მთვარეს და კავკასიის მარად თოვლიან მთებს სინათლის არანაკლები თვალსაჩინოება გააჩნიათ, ვინემ მთიებს. (შდრ. **თოთი**-ანი „ს. მესტიის რ-ში;“ **თოთი** „მწვერვალი, მყინვარი და უღელტეხილი“ სვ. კავკასიონი").

ქართ. **თ-ენებას** მეგრ. შესატყვისი – **თანაფა** თენებააცაა და აღდგომაც. დამეთანხმეთ, **თანაფა „თენება“** აღდგომის არც თუ ურიგო პოეტური აღმაფრენის მეტაფორა ყოფილა.

ფსიქოლოგი – ბატონებო, ავტორმა **თ** ბგერიდან წარმოქმნილი, საკმაოდ მდიდარი ლექსიკა წარმოადგინა: მასში ბევრია ზმნა და, ამიტომ, მისი სრული რაოდენობა აქ მოცემულზე შეუდარებლად მეტია. ყველა ესენი გვიმტკიცებენ თუ როგორ მოხდა მოვლენისა და ნიშნის ერთგვაროვნობაზე დაფუძნებული სახელდება: **თ** ბგერა არაა ხმაბაძვითი, ხოლო აღწერილ მოვლენებს ხმიანობა არ გააჩნია: **თ** ბგერის ადგილზე შეიძლება ყოფილიყო სხვა ნებისმიერი არახმაბაძვითი, რომელთა რაოდენობა მცირეა. ამიტომ, ნებისმიერობა შესრულებულია, თანაც მცირე ინტერვალში.

ავტორი – სწორია. უფრო მეტიც: წარმოთქმის მიხედვით ახლოსმდგომნი (ამ შემთხვევაში დენტალები), ვარიაციისთვის განკუთვნილი დროის ხანგრძლივობის გამო, კანონიერი იქნებოდა გაგვეიგივებინა. ამაზე მეტყველებს ქართვ. **თ** ელემენტის უცხოური ექვივალენტები. მაგ: **თ** ძირიდან ამომდინარეობა ქართ. **თ-ვე, თ-თ-უე** // მეგრ. **თ-უ-თ-ა** სიტყვებისა, უეჭველია. მ. ე. ეგვ. **თ-ო-თ-ი** \\ **დ-ჰოვ-ტ-ი** \\ **თ-უ-ტ-ი** „მთვარის, ჟამთა სვლის"... ღმერთის ამ სახელებში **თ** ბგერაა ამოსავალი: **თ > დ // ტ;**

მეგრ. **დ-ღ-ა** „დღე ორ ძირიანი კომპოზიტია" **დ** (< **თ**) სინათლეს აღნიშნავს, **ღ** = ქონებას (**მიღ = მაქვს, უ-ღ = აქვს. ძირია ღ**). ჯამში: **დ + ღ** = სინათლის ქონებას; თუ მეგრ. **თ > დ** სწორია, რატომ არ უნდა ვიგულისხმოთ იგივე პროცესი სლ. **დ**-ენ, ინგლ. **დ**-ეი) ლატვ. **დ**-იენ და ა. შ. უცხოურ სიტყვებში; გერმ. **ტ**-ა-გ „დღე" მეგრ. **დ-ღ-ას** სრული ექვივალენტია: **თ > დ.**

ბოლოს – უმნიშვნელოვანესი ფაქტი: ლაზ. **თე**, მეგრ. **თი // თა** სიტყვები გვაქვს არამარტო, ზემოთქმულ მნიშვნელობებად, არამედ უხშირეს ქართვ. სუფიქსებადაც (კახე-**თი**, ფო-**თი**, ურ-**თა** და ა. შ.). მაშ, ეს მნიშვნელობებია მიზეზი ამ სიტყვების სუფიქსებად დაფუძვნებისა.

ანთროპოლოგი – ოღონდ. როგორცა ჩანს, ეს უკვე ეხება შელ, აშელის კულტურათა აქეთა პერიოდებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვათა წარმოქმნის ავტორისეული ქრონოლოგიები შეიძლება იყოს მხოლოდ მიახლოებითი

ავტორი – გეთანხმებით, მაგრამ უცხადესია: ერთეული ბ. და ბკ-ით მეტყველება უძველეს ეპოქებს განეკუთვნება: რაკი გამართულ ადამიანს სინათლის ძირად **თ** გააჩნია, რომელშიც კერია-საცხოვრისის მნიშვნელობა იყო განვრცობილი, შემდეგ პერიოდებში **თ + ურ** სადაურობის სუფიქსი მოგვცემდა **თურ** სიტყვას საერთო კერიის თუ სანათესაო-საგვარეულოს გაგებით. მართლაც, მეგრულში დღესაც არის სიტყვები: **თურ-ი** „მოგვარე, ნათესავი, შენიანი და უ-**თურ-ი** „არმონათესავე, არმოგვარე, სხვისიანი".

ბერძნულ ნასესხობად მიჩნეულ (**თემა**-დან) **თემ-ი** აგებულებით **თურ-**ის აშკარა ექვივალენტია. პლიუს ამას, განხილული, **თ** ძირიან ლექსიკასთან ქართვ. ტერმინ **თემ-**ის შედარება მათთან, ამ უკანასკნელის ნათესაობას ღაღადებს, რაც ბერძნულში პოვნიერ **თემ-ა** ტერმინს ქართველურ ელემენტად წარმოაჩენს.

ისტორიკოსი – სესხება- უკუსესხების საკითხი კი, ჯერ-ჯერობით, უპრიანია ღიად დავტოვოთ.

ავტორი – თ ბგერასთან დაკავშირებით, დამატებით, აი, რა შეიძლება ითქვას: მეგრ. სიტყვა – **თი** მონაწილეობს– ა-რ-**თი** // ე-რ-**თი**, ხუ-**თი**, შვი-**დი** // შკვი-**თი** რიცხვითი სახელების წარმოქმნაში.

ენათმეცნიერი – ავტორი ასეთ ფანტასტიკურ „აღმოჩენებს", რომ არ ჩაურთავდეს, ვფიქრობ ნაშრომი მეტს მოიგებდა.

ავტორი – პირიქით: ცხადად ვაჩვენებთ თუ რა სემანტიკური ამოსავლიანობა გააჩნიათ ქართვ. რიცხვით სახელებს: ოღონდ, მანამდე მკითხველს, უმორჩილესად, ვთხოვ, უშუალო თვალსაჩინოებაზე დაფუძნებულ მათემატიკური ტერმინების – **მცირე და მატება (მიმატება)**-ს შესახებ კვლავ გადაიკითხოს გვ. 85-86...

მათემატიკოსი – დავიწყოთ **ნოლი// ნული-დან,** რომელიც ქართვ. თუ სხვა ენებში ყოველგვარი სიდიდის არარსებობას (არარაობას) აღნიშნავს. იგი ლათ. წარმომავლობისად მიაჩნიათ, სიტყვიდან **ნულლუს** „არავითარი."

ავტორი – დავესესხოთ, კონკრეტული მნიშვნელობის აღმნიშვნელ, მაგრამ ლათ. **ნულლუს-თან** აგებულებით მსგავს მეგრ. სიტყვას – **ნოლი** „ნუნა". მას, როგორც კონკრეტული რაობის აღმნიშვნელს, თითქოს არარაობასთან (ნულთან არავითარი კავშირი გააჩნია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში, ვუნდტის მიხედვით, როგორც უკვე ითქვა, სიტყვის ნიშნად ჩამოყალიბებას აუცილებლად, „უშუალო თვალსაჩინოება" ჭირდება. სწორედ ეს თვალსაჩინოება არარსებულისა თუ არარაობისა **გააჩნია ნუნებს, როცა ღრძილებზე კბილები არაა.** უნდა მივხდეთ: უკბილო ნუნების ჩვენებით ერთი ადამიანი მეორეს არარსებულზე, არარაობაზე მიუთითებდა და არსს ამ უკანასკნელისას აგებინებდა. ამგვარმა თვალსაჩინოებამ კი შესაძლებელი გახადა კონკრეტულის სახელი – მეგრ. **ნოლი** „ნუნა" გამხდარიყო მათემატიკური – არარაობის აღმნიშვნელი სიტყვა. გარდა ამისა, უმნიშვლონვანესია, რომ ციფრობივი ნიშანი **0** იკონურია: იგი აშკარად მსგავსებაშია პირგაღებულ უკბილო ნუნების მოხაზულობასთან.

1. **ნოლი // ნულ**-ის შემდეგ, თვლა იწყება **ე-რ-თი // ა-რ-თ-ით.** ამის შემდეგ და შვიდამდე ყოველი ციფრი ატარებს უძველეს ფილოსოფიებში ბუნების **საწყისი ელემენტების** სახელებს. მეგრ. **ა-რ-თი კი უდრის აი, არის ადგილი.** ესე იგი **ე-რ-თი // ა-რ-თი** = ათვლის

საწყისი ადგილი ანუ ათვლის წერტილი. თვლა ხომ იწყება ერთიდან, ხოლო **თი** და **თა,** როგორც ვიცით, მეგრულად ადგილია.

2. **ორი // ჟირი:** ფრანგმა მკვლევარმა – შამპოლიონმა **რა** – მზეს იორიგლიფიდან დაწყებული, ძვ. ეგვ. დამწერლობა როცა გაშიფრა, აბა, რას იფიქრებდა, რომ ეს სახელი – **რა,** დიდი ხნით ადრე, კოლხური პროტოშუმერთა მზე ღმერთის სახელი იყო, ჩატანილი რიონ-ენგურის შუამდინარეთიდან – **შგ-მერე > ი-მერ-**იდან. **ო, რა** ვედრების მიმართვა იყო კოლხური მზე ღმერთისადმი, ოღონდ შემდეგ თავადაც (შერწყმულად შორისდებულისა სახელთან), იგივე ღმერთის სახელად ქცეული. ქართ. **ო-რა > ორი** და **ჟა** მეგრ. მოფერებით „მზე, რძე" + **რა > ჟა-რა** > დისიმილაციით: **ჟი-რი:** მეგრ. „ორი" რიცხვითი სახელით **მოცემულია პირველი სტიქიონი – ცეცხლი // მზე // მზე ღმერთი.**

ენათმეცნიერი – მეგრ ჟირი მიღებულია მისი ქართ. შესატყვის – ორი-დან. ჟ ახალი ბგერაა.

ავტორი – დასაშვებია, მაგრამ მათემატიკური ტერმინები და მ. ე. **ჟირი-**ც ახალია. ამ უკანასკნელის წინაფორმა – **ჟა-რა** იმ დროზე ხომ არ მიანიშნებს, როცა **რა,** სახელი მზისა, სხვა სინონიმებთან შედარებით პოზიციებს თმობს, ამიტომაც მოითხოვა ატრიბუტი, თანაც ისეთი იშვიათი რომაა: არსებითმა სახელმა – არსებითი: **ჟა-რა** უდრის მზე რა-ს ანუ მზეს სახელით რა. (ჟა მეგრული ბუას წინაფორმად ხშირია: **ჟა-შ-ხა = ჟა-შ-დღა** = მზის დღე; **ჟა-მი** „დრო. ხანი /იხ. გვ.

ტოპ. **ა-ჟა-რა** ს. გუდაუთა = აფხ. ა წინსართი + მეგრ ჟა „მზე" + რა „მზე ღმერთი;" **ჟა-ლე-**თი ზედმიწ = „მზიანი ადგილი". ბოლო მაგ. შეიძლება ზუსტი არ გამოდგეს, რადგან კახეთში ადრე შუა საუკუნეების ადმინისტრ. რელიგიური ცენტრ **ჟალე-**თთან ახლოს მთას ქვია **ჯა-ლე-**თი, რაც ხეებიანი ადგილია მეგრულად. ამგვარად, ჟა-ლეთ და ჯა-ლეთ სახელებში **ჟ** და **ჯ** ბგერებს შორის იმგვარივე მიმართებაა, როგრიც ქართ. სიტყვებში ჟინი და ჯინი)

ენათმეცნიერი – მეგრ. ბ-ჟა ბ-ჟალ ფორმით არსებობდა, ხოლო **ჯა** მეგრ. „ხე" – ჯალ-ით (შდრ. მეგრ. **ჯა** "ხე" და **ჯალ-**ეფი "ხეები") ამიტომ, სწორია ამგვარი სეგმენტაცია: **ჯალ-ეთ-ი, ჟალ-**ეთი და არა ჯა-ლე+თი, ჟა-ლე-თ-ი.

ავტორი – ამგვარად, ფაქტი სახეზეა: ხე მეგრულად ორი სა-

ხელით – **ჯა** და **ჯალ**-ით-აა მოცემული. ისევე როგორც **ჟა** "მზე" – **ჟა** და **ჟალ**-ით. მაგრამ რომელია საწყისი?... იმის დასამტკიცებლად, რომ **ჟალ**-ის წინარედ **ჟა** იყო, აქვე, ზემოთდასახელებული, მაგ. **ჟა**-შ-ხა"მზის დღე" კმარა, რადგან იგი შორეულ, ჩვენსერამდელ ეპოქებს განეკუთნება.

მეგრ. **ჯა** ''ხე"-ს **ჯ**, უნდა ვიფიქროთ, მიღებულია ყოფიერების აღმნიშვნელ – **რ** ბგერის აფრიკატიზაციით...

ფსიქოლოგი – მეგრ. **ჟა** "მზე" და მეგრულივე **ჟი** "ზევით" იმას გვეუბნება, რომ აზროფორმა ზევით განპირობებულია **მზის მალლა არსებობით,** ხოლო სახელდება განხორციელებულია იგივე მზის სახელით – **ჟა // ჟი.** ზუსტად იგივე ხდება ქართ. **ზე** „ზევით,, **ზეზე**-ს" (**ზე** წამოდგა,**ზე** წამოიჭრა,) შემთხვევაში, ოღონდ ეს **ზე** უკვე გახლავთ წინაფორმა ქართ. მ-**ზე**-სი.

ავტორი – 3. **სამი // სუმი. მეორე სტიქიონი ჰაერია.** ძვ. ქართულში, დღევანდელი მეგრ. **შურ**-ის შესატყვისი გახლავთ **სურ**-ი, მნიშვნელობით **სულ-ი** და **სუნ-ი.** სულს ჰაერის მნიშვნელობაც (სული შეუბერე = ფილტვში არსებული ჰაერი შეუბერე) გააჩნია. **შურ** > // **სურ** > // ძვ. ქართ. **სურ**-ის მნიშვნელობებში ჰაერის როგორც სტიქიის გაგების არსებობამ მოგვცა რიცხვითი სახელები **სუმი** > **სამი (რ > მ ცნობილია);** 4. **ო-თხ**-ი < **ო-თიხ**-ე < **ო-დიხ**-ე. დღევანდელი მეგრულითაც **ო-დიხ**-ე უდრის მიწას, ზედმიწ. მიწის განფენილობას. **მიწა უძველეს ფილოსოფიებში საწყისი ელემენტი – სტიქიაა;** 5. **ხუ-თი: ხუ** „სულიერება" + **თი** „ადგილი, განფილობა ამ სულიერებისა. **ხა-ლა** დღევანდელ მეგრულში გახლავთ შობა. არის **ხუ**-ალა ფორმითაც; **ხე** სულდგმოლობის არსებობაა. მაგ: ტყას გერი ვა-**ხე** უდრის ტყეში მგელი არ სულდგმულობს, არაა. **ბორ-ჯომი = ბრელ**-ი მეგრ. "ბევრი" + **ჯამ**-ი "ხეებიანი"**: ბორ-ჯომ-ი** ხომ წალკოტია, ბევრხეებიანია, ამიტომ, მის უკვე არსებულ, **ღორჯოს**თან დაკავშირებულ ეტიმოლოგიას ეს ამოსავლიანობა არაფრით ჩამოუვარდება: უფრო ანგარიშგასაწევია ფაქტი: **ბორჯომის** იქით **ჯა-ვახე**-თი იწყება, რაც უდრის: **ჯა "ხე" + ვა-ხე" არ სულდგმულობს, არაა + თი"განფენილობა ამგვარი ადგილისა.** ანუ **ჯა-ვა-ხე-თი = უხეო ტერიტორიას,** რაც ნამდვილად ასეა და კონტრასტულია მოსაზღვრე **ბრელ ჯამ** მეგრ. "ბევრ ხეებიან" ბორჯომთან მიმართებით. ამგვარად. ჯავახეთისა და ბორჯომის აღწერილი ეტი-

მოლოგიები ურთიერთმადასტურებელია და მართებული. ხოლო, აქედან გამომდინარე, რაკი **ვა-ხე** ნამდვილად უდრის არსულ-დგმულებულს – **ხუ // ხე** სულიერება, სიცოცხლე ყოფილა: კოლხისთვის ხომ, დღესაც კი, სულიერიცა და უსულოც ცოცხალია: მაგ: **ამდღა დიხაშ ჭყოლუა ვაშინერც** მეგრულში უდრის – ''დღეს მიწისთვის ჭრილობის მიყენება არ ეგების, ტაბუა. მ. ე. **ხუ-თი** უნდა გავიგოთ როგორც **სულიერების, სიცოცხლის სტიქია,** ქცეული რიცხვით სახელად; 6. **ექვსი // ამშვი:** რიცხვი ექვსის ეს მეგრ. ქართ. სახელებიც უშუალო კავირშია სიცოცხლის სტიქიასთან: კოლხური აზროვნებით წყალი საკრალური ძალმოსილებითაა შემკული: **წყარიშ ნძალი მერჩას** ''წყლის ძალა მოგცეს"– მეგრ. ამ ლოცვაში წყლის რაღაც მაგიური ძალა იგულისხმება: სინამდვილეში არავითარი მაგია: წყალი სიცოცხლის უცილობელი წინაპირობაა, ამიტომ, ადამიანის ცნობიერებაში მისი სტიქიად მოაზრება სავსებით განპირობებულია და – რეალური. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეგრ. **წარი // წალი "წყალი" > ძალი // ძალა** მართებულია. მეგრ. **შგ // შვე** "წყალი, ნესტი, სველის" მნიშვნელობებისაა; მეგრ. **ო-შუმ = ო"სა" + შუმ" სასმელი"; მეგრ. ო-შუმ და ამშვი** "ექვსი" ბგერათა მხოლოდ განლაგებით /დისპოზიციით/ განსხვავდებიან. წყლის ასიმილიაციის გარეშე, რაც სმით იწყება, რაკი სიცოცხლე შეუძლებელია, სწორედ ეს **სტიქია – სასმელი წყალი სახელით – ო-შუმ** არის გადაქცეული რიცხვით სახელად **ა-მ-შვ-ი > ე-ქ-ვს-ი;** 7. ზუსტად იგივე სუბსტანციის – წყლის, ოღონდ ზღვებისა და ოკიანეების წყალთა უსასრულო სიუხვის გამომხატველი **სიტყვებია შ-ვი-დი > // შქ-ვი-თი (შ > შქ); თი > დი: შვი "წყალი" + თი** "სივრცე": ანუ წყლის არე, განფენილობა მისი.

შვიდით იწყება სტიქიათა თუ სხვა ბუნებრივ ფაქტთა მრავალრიცხოვნობის გამომხატველი სიტყვებით ქმნადობა რიცხვითი სახელებისა. **შვიდი და ცხრა** დღესაც ხომ უსასრულო სიმრავლის გაგებას მოიცავენ. მაგ: სიხარულით **მეშვიდე** ცაზეა; **ცხრაპირი** ტყავი გააძვრეს და ა. შ. მაშასადამე, **შვი-დი // < შვი-თი > შქვი-თი** ოკიანეებისა და ზღვების წყალთა სიუხვის აღმნიშვნელი სიტყვები არიან; **8 რვა** (< რ-უა) // მეგრ. რუო // ბრუო: **რ** ბგერა აქ არსებულს აღნიშნავს: არსებული კი უსასრულოა... 9. **ჩხორო** >// **ცხრა** <// ცხარა: სახელდების წინაპირობაა შუქში მოაზრებულ სხივთა სიმრავ-

ლე: მეგრ: ჩხორია შუქია; 10. **ა-თი // < ო-თი > // ვი-თი** მეგრ. **ოთი** წიალია: წიალს სასრული არა აქვს; ათიდან იწყება ოცეულით თვლა: **ოჩე** მეგრულად უსასრულო დიდია მაგ: **ოჩე** ყვანა = დიდი ყანა, **ოჩეშ** ხვე დო ხვარიელი = დიდი ყანის ხვავი და ბარაქა. ხოლო **ეჩი < ოჩე და ოჩე > ოცი** ბგერათა ცვლილებები კანონიერია;.

ოცეულით თვლა ასით მთავრდება: **ო-ში // ა-სი:** ზემოთ შვი-დი-ს სახელდების საფუძვლად გვქონდა ოკიანეებისა და ზღვების წყალთა სიუხვე. იგივეა **ო-ში > ა-სი.** ოღონდ აქ ამ სიუხვეს პრეფიქსი **ო** გამოხატავს: **ო შგ** = წყალთა განფენილობა.

ასეულით თვლა ათასით მთავრდება: **ა-თას-ი > // ა-ნ-თას-ი.** მეგრ. **ა, თას-ი** = აი, თესლი; თესლი სიუხვის სიმბოლოა: მეგრ. **მითას** და ქართ. **განთესდა** უდრის გამრავლდას.

ფსიქოლოგი – ნოლიდან დაწყებული, პირველადი მნიშვნელობა საბოლოოს, უხარვეზოდ, შესანიშნავად ესადაგება. ამ ციფრების სახელთა წარმოქმნა პირველქმნადობაა, მაგრამ იგი ეყრდნობა უკვე არსებულ ენობრივ ფაკტებს. ეს ფაკტები ყოველთვის როდი არიან მატერიალურნი, მაგ. **ო-თი "წიალი" > ათი // ვი-თი და "ოცი"< ოჩე "დიდი" და ოჩე > ეჩი // > ოცი** ქმნადობები არ ეფუძნებიან სუბსტანციურ რეალიებს (**წიალი და დიდი არაა სუბსტანცია**): თუმცა ამ აბსტრაქტულ ფაკტებს პირველქმნადობებისა ახასიათებთ უმთავრესი – ესაა **უმაღლესი ხარისხის თვალსაჩინოება.**

ფილოსოფოსი – აბსტრ. მათემატიკურ ტერმინთა ამგვარ ემპირიულ თვალსაჩინოებაზე დაფუძნება, არამცთუ უიშვიათესი მოვლენაა, არამედ მაჩვენებელია იმ ბალავრისა, რომელზეც, როგორც საწყისზე, დგას მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნება.

ენათმეცნიერი – ო-შუმ > ა-მ-შვი "ექვსი"; შვი-დი < შქვი-თი და ო-ში "ასი" რიცხვთა სახელების ერთადერთი – წყლის, როგორც სტიქიის, სახელიდან ამომდინარეობა ხომ არ შეიცავს გარკვეულ წინააღმდეგობებს?...

ავტორი – არავითარს: ეტყობა, ერთ დროს, **ექვსზე** ზემოთ თვლა არ არსებობდა: შემდეგი ყოველი რიცხვი ურიცხვად მოიაზრებოდა: ამიტომაც, შვიდით დაწყებული, ყოველი რიცხვი (ათამდე) ურიცხვობის გამომხატველი სიტყვებიდანაა. აქედანვეა ახალი სისტემის საწყისი რიცხვის სახელი (**ეჩი "ოცი," ოში "ასი" და ათასი**). რაც შეეხება, რიცხვით სახელთა წარმოქმნაში წყლის, **როგორც სტიქიის,** სახელის მონაწილეობას, ეს მოხდა – ერთიდან ექ-

ვსამდე, დანარჩენში კი ზღვისა და ოკიანეების წყალთა **სიუხვეა** მოაზრებული და არა წყალი, როგორც სტიქია. გარდა ამისა, ყოველ წინმავალ რიცხვით სახელს შეუნარჩუნდა მხოლოდ შენაძენი – **კონკრეტული რაოდენობის** მნიშვნელობა, ამოსავალი კი არა. **მაგ. შ-ვი-დი > // შქ-ვი-თი** საწყის პერიოდში მხოლოდ წყლის არე და განფენილობაა, მაგრამ მისი **ურიცხვობის** აღმნიშვნელი სახელიც, დროთა განმავლობაში, იცვლებოდა კონკრეტული **რაოდენობის** აღმნიშვნელობით – **ციფრი შვიდით.** შემდეგ, დროთა განმავლობაში **კონკრეტული** სახელი ვერ აკმაყოფილებს თვლის საჭიროებას და იქმნება ახალი **რაოდენობის** აღმნიშვნელი სახელი. ასე მოხდა, რიგ-რიგობით, ათამდე. შემდეგ მივიღეთ ორი ათეული სისტემა ურიცხვობის აღმნიშვნელ **ოჩე** "დიდით" დაგვირგინებული. შემდეგ ეს უკანასკნელიც იძენს კონკრეტულ მნიშვნელობას და იქმნება ოცეული სისტემა **ოში // ასამდე** და ა. შ.

მათემატიკოსი – მ. ე. მათემატიკურ რიცხვთა მთლიან სისტემაში, **ერთიდან ათასამდე** გვაქვს განსახილველ რიცხვთა სამი ქვესისტემა: პირველი ქვესისტემაა **ნული და ერთი.** მათი წარმოქმნა ხორციელდება ადექვატურად განსაზღვრულ და თვალსაჩინო, მაგრამ ერთეული ფაქტორების საფუძველზე. ამიტომ ისინი ურთიერთმადასტურებელნი არ არიან და შესაძლებელია იყვნენ მთლიანად ან გარკვეულ სეგმენტში შემთხვევითნი. მაგ: **ა, რე თი-დან** წარმოქმნილი **ართი,** დასაშვებია, მიღებულიყო ასევე თვალსაჩინო ხასიათის მეგრ. **ო-რთ-ე** „სამყარო»-დან. **ორთე, ართი** ბგერითი აგებულებით ხომ მცირედ განსხვავდებიან. ე. ი. საწყის სეგმენტში **ორთე**-დან **ა, რე თი-დან > ართი** მცირე ინტერვალის ნებისმიერობაა ორიდან ერთი გამოსავლით.

მეორე ქვესისტემა გახლავთ, **ერთიდან შვიდამდე,** ერთგვაროვანნი (იმიტომ რომ ყველა მათემატიკური რიცხვია), რომელთა წარმოქმნა, ასევე ერთგვაროვან, **ხუთი** წევრისაგან შემდგარ, ფაქტების **ერთი სისტემით – სტიქიონებითაა** განპირობებული.

მესამე ქვესისტემაც – ექვსიდან ათასამდე განსაზღვრულია ფაქტორების ერთი ქვესისტემით – მათი მრავლობითობით და შვიდ ერთეულს შეიცავს.

პირველ სისტემაში განსახილველი ვერსიების მართებულობა დამოკიდებულია მხოლოდ ეტიმოლოგიურ ცდომილობათა არსებობა–არარსებობაზე. **მეორე და მესამე** ქვესისტემაში, შესაბამი-

სად ხუთი და შვიდი ერთეული განპირობებულია მათთვის ყველასათვის **სპეციფიური და ერთგვაროვანი ფაქტორებით.** ამიტომ, მეორე სისტემის ყველა 5 წევრიდან თითოეულს, იმის გამო რომ ერთგვაროვანი ფაქტორები განაპირობებენ ურთიერთმადასტურებელნი არიან და ექნებათ **5 – 1 = 4** დამოწმება, ხოლო **მესამე სისტემიდან,** შესაბამისად **7 – 1 = 6** დამოწმება.

ენათმეცნიერი – ქართვ. განზოგადებული მათემატიკური ტერმინებითაცაა მდიდარი, მაგ: რიცხვი. ურიცხვი, ბევრი, უამრავი; მეგრ: ბრელი"ბევრი", მიარე"უამრავი" და ა. შ. ნუთუ შესაძლებელია მათაც რაიმე თვალსაჩინო ფაქტზე დაფუძნებული ამოსავლიანობა გააჩნდეთ?...

ავტორი – გიპასუხებთ. ოლონდ ჯერ კონკრეტული რიცხვის – ერთის სინონიმები განვიხილოთ: 1. **კა-კა-ლი.** ქართ. კაკა-ლი კაცი//მეგრ. კა-კა-ლი კოჩი = ერთი კაცი. კა-კა-ლი = ერთი; 2. **აკა.** ა-კა მეგრულად არის აი, **კა** //აი, ერთი. ა-კა აფხაზურშიც გახლავთ ერთი; 3. აფხ.\\ მეგრ. ა-კა ცხადყოფს: **კა** ერთია. მეგრულში **კა** ამჟამადაც ერთია: მუდა **კა** = რამდენი ერთი ანუ = რამდენი ერთეული. 4. რუსულში არის შემთხვევა, როცა **კა,** უცილობლად, ერთი უნდა ყოფილიყო, მაგ: ნუ პაგადი = აბა, დამიცადე. იგივეა ნუ **კა** პაგადი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, **კა** ერთია, რადგან ნუ **კა** პაგადი, ყოველმიზეზსგარეშე, სხვა არა შეიძლება იყოს თუ „აბა, **ერთი** დამიცადე".

მოცემულ ფაქტებში სამი ეტიმოლოგიური რგოლია: **პირველი** – **კა-კა-ლი** – კაკლისებურთა თუ კურკოვანთა მაგარნაჭუჭიან ნაყოფს, თესლს, აგრეთვე მარცვლეულთა მარცვალსაც აღნიშნავს. აი, ეს მნიშვნელობა გახლავთ **კა**"ერთის" მნიშვნელობითი ამოსავალი, რადგან, შეუძლებელია, ერთი მარცვლის, **კაკლის** (თხილის, რკოს, კურკის და სხვათა) ჩვენებამ ერთის გაგება არ გამოიწვიოს, ისევე როგორც მათივე სიუხვემ – სიმრავლისა; **მეორე** – მეგრ **კგ** სიმაგრეს, სიმყარეს აღნიშნავს. იგი მაგარნაჭუჭიან – რკოს სახელია: ეს ფაქტი კი გვაუწყებს: კაკლისებურთა თუ კურკოვანთა **კ** ბგერის დუბლირებით (**კა-კა-ლი,** კურკა) სახელდების მოტივაცია მათი ნაჭუჭის სიმაგრით (**კგ**-თი) ყოფილა განპირობებული; მესამე – **კ** კაკუნის ხმაბაძვითი ბგერაა. შდრ: ქართ. მეგრ. „კაკუნი// კაკაფი; რეკვა// რეკუა; რუს. სტუკ „კაკუნი," კოლოკოლ „ზარი," კირკა„ წერაქვი" და ა. შ.

ანთროპოლოგი – მ. ე. დასახელებულია მთელი ეტიმოლოგი-

ური. ჯაჭვი პალეოლითიდან მყარ საგანთა, უპირატესად, ქვის გამოყენების თუ დამუშავებისას კ...კ... ხმიანობათა ხმაბაძვის საფუძველზე: **კგ > // კა** „ერთი“; ერთი-ს **კა** მარცვლიანი სინონიმები: **კა + კა + ლი > კა-კა-ლი** „ერთი“; და ა. შ. **კ „კაკუნი“> კგ„სიმაგრე“ > კგ** „რკო და ა, შ.; **კა** „ადამიანის მითოლოგიური ძალა და ღონე. იხ, ა, გელოვანი „მითოლოგიური ლექსიკონი“

ავტორი – ამგვარი გამოწვლილვა იმიტომაცაა უპრიანი, რომ ეს **კა** მსოფლიო მნიშვნელობის ტერმინთა – ა-რით-მეტი-**კა** და მათე-მატი-**კა**-ს შემადგენელი ნაწილია. უფრო მეტიც: ოპონენტ ურწმუნო თომათა გასაკვირად, არა თუ **კა**, არამედ სხვა ყველა ნაწილებიც მათში ქართველურია: ა-რით-მეტი-კა = აი + რით + მეტი + კა = აი, რით მეტი ერთი (ერთეული): არითმეტიკა ხომ სწორედ ეგაა. ამ ტერმინში ორი ნაწილი (ა და კა) მეგრულია, ორიც – ქართული (რით და მეტი). მათე-მატი-კა კი ერთი – ქართული და სამი მეგრული ნაწილებისაგან შედგება: მათე = ა-მთე = ა, მუთ = „აი რით; კა = ერთი (ერთი ერთეული); მატი = მეტი. ჯამში მათე-მატი-კა = ამთე-მატი-კა = ა, მუთ მეტი კა = აი, რით მეტი ერთი (ერთი ერთეული).

ფსიქოლოგი – ე. ი. არითმეტიკა და მათემატიკა ქართულ და მეგრ. მდგენელ ნაწილთა მხოლოდ განლაგებით და ბგერათა დისპოზიციით განსხვავდებიან.

ენათმეცნიერი – ეს ტერმინები, დაზუსტებით. ბერძნულია, ბერძნ. რითმოს „რიცხვი’-ს და მათემა „ცოდნა, მეცნიერება“ სემასიიდან. მ. ე. ავტორთან წმიდა წყლის დამთხვევებია.

ფიზიოლოგი – „ნებისმიერ განათლებულ ადამიანს თვალში მოხვდება,“ რომ მათემა და რითმოსთან შედარებით, თავად მათე-მატიკა და არითმეტიკის შემადგენელ ნაწილთა უპირატესობა აშკარაა, რადგან ესენი მათივე წარმოქმნისათვის აუცილებელ, საწყისი მდგომარეობის არსზე – საგანთა რაოდენობრივ თანაფარდობაზე მიანიშნებენ. ხოლო აღნიშნულ ნაწილთა ქართველურად აღიარებას არა, იმდენად „სტრუქტურული ანალიზი“ ჭირდება, რამდენადაც – ქართული და მეგრული ენების ცოდნა.

ავტორი – არ მინდა ენათმეცნიერი გავაწბილო, მაგრამ მის მიერ მოხმობილი რითმოსი და მათემაც ქართველურია: პირველი კომპოზიტია, შემდგარი ქართ. **რით** და მეგრ. **უმოსი**-სგან, რაც უფრო დიდს, აღმატებულს აღნიშნავს. იგივეა **მათ-ემა** = მეგრ. **მუთ + უმოს-ი** = რით-მეტი: აი, რა არი **რითმოსი და მათემა.**

ფიზიოლოგი – გასაოცარია, მაგრამ ფაქტია: **რითმოსი და მათემა იგივური** მნიშვნელობის ქართ. მეგრ. სიტყვები ყოფილან. თანაც ორივე არითმეტიკის და მათემატიკის შემადგენლობაშიც შედიან.

არხეოლოგი – თუ შეიძლება ვიკითხავ: ბერძნულში, ამ რითმოსად წოდებულ რიცხვს თუ გააჩნია უშუალო თვალსაჩინოებაზე ბაზირებული ამოსავლიანობა?..

ავტორი – ბერძნულში ქართვ. ელემენტების არსებობის ფაქტები ცნობილია. რაც შეეხება თვალსაჩინოებას, პასუხს ვაგებთ მხოლოდ ქართველურზე: ქართ. **რიცხვი, ურიცხვი**-ს ბგერითი მსგავსება მეგრ. **მურიცხ**ის-თან (ვარსკლავთან) შეუძლებელია იყოს შემთხვევითი: ვარსკლავი // **მურიცხი** სიმრავლის სიმბოლოა. **რიცხვი** კი სიმრავლეა. ამ ხარისხის თვალსაჩინოებამოსილი სემასიური საფუძვლიანობიდან გამომდინარე, **მურიცხი** > **ურიცხვი** > რიცხვი იმდენად ბუნებრივი, გასაგები და ნათელყოფილია, არამცთუ სტრ. ანალიზი არ ჭირდება, არამედ თავად გამოდგება, სხვა მაგალითებში, ანალოგიურ სტრუქტურულ ცვლილებათა დამოწმებად. მაგ: თავკიდურა თანხმოვნის (ხმოვნის წინამდგარი მ დაიკარგა), შემდეგ ხმოვნის (უ დაიკარგა) დაკარგვის, როგორც კანონზომიერი მოვლენის, დასაფიქსირებლად. ამგვარი ფაქტები ავტორმა მრავალი დაასახელა: **შგ**-მერე > იმერი // იბერი; **ღ**-ოფალი >// უ-ფალი; **ქო**-რე > ორე და ა. შ.

ანთროპოლოგი – ზემოთ, ავტორმა დია 1. „დიდი", დიადი; 2 „ბევრი"; მათემატიკური ტერმინების მატრიარქატის დროინდელობა დაასაბუთა: როგორც ითქვა, მათ წარმოქმნას ქალის სოც. მდგომარეობით გამოწვეულმა თვალსაჩინოებამ (უფროსობამ) შეუწყო ხელი. უნდა ვირწმუნოთ: ურიცხვი და რიცხვიც არანაკლები ხნოვანებისანი არიან, რადგან აქაც ტერმინის შექმნაზე მკაფიო, ხანგრძლივი და უშუალო თვალსაჩინოება მუშაობს. ძვ. ბერძნ. კი გაცილებით გვიანდელია და შესასწავლია, პელასგებისგან, თუ როგორ და რა გზებით მოხვდა მასში მათემა და რითმოსი

ფილოსოფოსი – ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნებისმიერი მიხვდება: ფილოსოფური სტიქიონები (წარმოდგენილნი ობიექტური და თვალსაჩინო რეალიებით) და მათემატიკური ტერმინები (ციფრთა სახელები) ურთიერთ მადასტურებელნი არიან: რომელიმეთაგანის არარსებობა გამორიცხავს ორივეს არსებობას, ხოლო ერთი რომელიმეთაგანის არსებობა ადასტურებს ორივეთაგანის

არსებობას. რაკი მათემატიკური სახელების არსებობა კოლხურში სახეზეა, ხოლო მათი დიფუზია ძვ. ბერძნულში აქვე დამტკიცებულია, ფაქტია: ფილოსოფიურ სტიქიონებზე წარმოდგენები (რომელ სტიქიონებიდან მათემატიკური. ტერმინები წარმოიქმნენ) ბერძნებმა კოლხებისგან – პელასგებისგან აითვისეს.

ენათმეცნიერი?!...

ფსიქოლოგი – თუ ისეთი მაღალი აბსტრაქტული აზროვნების, როგორიც მათემატიკური ტერმინები არიან, **საწყისს მატრიარქატში პოვებენ, მითუმეტეს, უნდა ვიფიქროთ იგივე აზროვნების სხვა სფეროთა ტერმინებზე.**

ავტორი – დიახაც. ქართველური და სხვა უცხოურად მიჩნეული თეოლოგიური ტ-ები კოლხურია. რაც უმნიშვნელოვანესია: ისინი უშუალო თუ არა, ნიშანდობლივ თვალსაჩინოებას არიან დაფუძნებულნი, რასაც ვერ დაიკვეხნის მსოფლიოს ვერც ერთი ენა.

ისტორიკოსი – "...ქართველები (ლაზ-მეგრელები) წამყვან როლს ასრულებდნენ ძველი მსოფლიოს ისტორიაში. დედამიწაზე პირველებმა საფუძველი ჩაუყარეს რელიგიას, კულტურას, ცივილიზაციას... „კლ. შელია. „კოლხ. ჩვ. ს. კარიბჭე." საქართველოში „ქვედა პალეოლითის ეპოქაში იწყებს აღმოცენებას პრიმიტიული რელიგიური საწყისები, რის დასტურადაც მიაჩნიათ „დათვის კულტი. „ო. ლორთქიფანიძე „ძვ. ს. მემკვიდრეობა" გვ. 48.

არქეოლოგი – უძველეს წარსულში, ადამიანზე მზის უშუალო და ცხოველი ზემოქმედებით, შემდეგ მისი მოძრაობით, დღე-ღამეთა იდუმალებით და ბუნებაზე ზემოქმედებით გამოწვეული ფსიქოაქტებით თუ იყო შესაძლებელი საწყისი პრიმიტიული რწმენითი მონაცემების ადამიანისათვის მინიჭება. მზე თეოლოგიის საწყისია: ჯერ კიდევ ნეანდერტალელი ადამიან-ის, ისე როგორც ეს დღესაც **სამეგრელოშია,...»დამარხული, ძვლები, როგორც წესი, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა ორიენტირებული. ესე იგი მათი მდებარეობა, როგორლაც, დაკავშირებულია მზის მოძრაობასთან... ა. პ. ოკლადნიკოვმა... წამოაყენა დაშვება, რომ აქ საქმე გვაქვს მზის კულტის ჩასახვასთან..."** (პირველი საზოგადოების ისტორია გვ 62).

ფილოსოფოსი: – მეანდერტალელ ადამიანს მზის კულტი თუ ჩასახული ქონდა, მ. ე. პრიმიტიული რწმენითი საწყისები მისგანვეა, უძველია და ამ საწყისებთან ჩვენი და კაცობრიობის უძველესი წინაპარი – კოლხური კლანია.

ენათმეცნიერი – „აკადემიური“ მონაცემები?!...

ავტორი – ა. ბოგვერაძემ ტ. უფალი ანტიკურ ეპოქას მიაკუთვნა. სინამდვილეში იგი გაცილებით ძველია. მისი დანიშნულებაა ყოფიერების გამგებლობა. ამიტომ, მკლევართა მიერ (ვლ. ალფენიძე, გ. სიჭინავა) მისი მეგრ. ზმნა ფალუა -„ცენებას‘‘-თან დაკავშირება იმდენადაა მართებული, რამდენადაც ცენება, აღორძინება, განახლება მნიშვნელობით ახლოსაა ყოფიერებასთან (ობიექტურად არსებულ სულიერ თუ უსულო რეალობებთან). ოღონდაც რომ მათ – ფალ-უა „ცენება“ და უფალ-ს საერთო ყ ძირიდან წარმომავლობა ანათესავებთ, რასაც ქვემოთ ვიხილავთ:

მეგრ. ფა „მცენარეა, „მა-ფალ-უ – „მცენებარე.‘‘ცენება იგივე განახლება-აღორძინებაა, რომლის (ფალუა „ცენების‘‘) მამოძრავებელ საკრალურ ძალას ფალოსის კულტი მამაკაცის პენისს ანიჭებდა. მასზე (პენისზე) დღესაც მკვიდრობს სენტენცია: თის გეურე ქიანა – „მასზე დგას სამყარო.“ ასე რომ, ზემოთხსენებულ, ფალუა // განახლება // აღორძინება იპოსტასზე კომპეტენტური ფალოსის კულტია. იგი საქართველოში არქეოლოგიური წყაროებითაც დადასტურებულია. “...ხოლო ზოგიერთ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში რელიგიის დონეზეც განვითარდა“.. (ირაკლი სურგულაძე).

ხშირად, ბაგისმიერებს მნიშვნელობათა მადიფერენცირებელ ანუ სემანტემების წარმომქმნელ ბგერებს ვუწოდებთ: მეგრ. ვულგარულ მეტყველებაში პენისის აღმნიშვნელმა ძირმა ბ ბაგისმიერი დაირთო და მივიღეთ ახალი აღნაგობის – ბ-ყოლ* სიტყვა, იგივე მნიშვნელობით. ბყ კომპლექსი, როგორც ბევრჯერ ითქვა, პ ბგერას იძლევა (ვ. თოფურია). ყოფიერების აღმნიშვნელ ყ >// ყ ბგერაზე ბაგისმიერის დართვას კი, დასაშვებია, ბყ > პ > ფ ბგერა და სიტყვა ფა „მცენარე, ფოთოლი“ მოეცა. ხოლო ბყოლ* „პენის–ი“ > პოლ > ფოლ // ფალ ცვლილებები კი ფალ-უა მეგრ. „ცენება“ და ფალ-ოში* > ფალ-ოსი ტ-ებს მოგვცემდა. ანუ ფალოსი მეგრული სიტყვა ყოფილა და მას, დასაბამიდანვე იგივე მნიშვნელობა გააჩნდა როგორიც – დღეს. უცხოეთში. მას მხოლოდ ფორმა უცვლია: ბყოლ* „პენისი“ > ფალ–ო–ში* > ფალ–ო–სი. (ში \\ სი = კუთვნ. სუფიკსი). როგორც ვხედავთ, ფა „მცენარე, ფოთოლი“, ფალ-უა „ცენება“ დაკავშირებულია ფალ–ო–ში* > ფალ–ო–სი ტერმინებთან, რომელნიც ქართველურნი არიან, თანაც უუძველესნი. ესენი ერ-

თმანეთს ყ > ც წარმომავლობით ენათესავებიან. აქვე გვინდა გავიხსენოთ მკვლევარ მამანტი კვირტიას მოსაზრება ინდოევროპულ ფლ-ორა და ფა-უნას მეგრ. ფა „მცენარე“ და ფალ–უა-ზმნასთან ურთიერთკავშირის შესახებ.

უფალი – „ღმერთი“-ს იპოსტასი კი უფრო დიდია: იგი ყოფიერებაზეა პასუხისმგებელი. ამოსულია ქართვ. ყოფა // ცოფა სიტყვების ყოფ // ცოფ ძირიდან, ალ სუფიქსის მეშვეობით: სუფიქსები მნიშვნელობათა შემცვლელნი არიან: ყოფა, მაგრამ – ყოფ-ილა, ყოფ-ნა, ყოფ-იერი და ა. შ. მაშასადამე, ყოფა + ალ > ყოფ-ალი* > // ცოფ-ალი* „ღმერთი“. ხმოვნის წინა თანხმოვანი ხშირად იკარგება: ცოფე > ოფე; ქო-ცოფე > ქო-ოფე; ვა-ცოფე – ვა-ო-ფე = „ყოფილა არ ყოფილა“. მ. ე: ც-ო-ფალი* > ო-ფალი > უ-ფალი „ღმერთი.“

თავად ყოფა // ცოფა > // ცუფა* წარმოქმნილია ყო > ცუ დასაბამიერი ალომორფები–დან, მეგრ. ფა სუფიქსის მეშვეობით, რომელიც უხშირესია. მაგ: ჭორო-ფა „უწყვეტი წვიმის პერიოდი“; გოლო-ფა „გვალვა;“ ფუჩი „ფიცი“ და ფუჩა–ფა „ფიცის მიცემა“ და ა. შ. მაშასადამე, ფალუა, ფალოს-სა და უფალს ყ //> ც წარმომავლობა აერთიანებთ.

ისტორიკოსი – სახელდების რა მოტივაცია გააჩნიათ ქართვ. ღმერთის აღმნიშვნელ– **ღმერთ**-ი, სვ. **ღერმეთ**, ლაზ. **ღორმოთ**, მეგრ. **ღორონთ** სიტყვებს?

ავტორი – იგივე რაც უფალს: ღმერთი სამყაროს მამოძრავებელი ძალაა. მისი გამგებელი და ბატონ-პატრონია. ივ. ჯავახიშვილსა და ნ. მარს გააჩნიათ დასახელებულ სიტყვათა ეტიმოლოგიები, მაგრამ, სამწუხაროდ, საწყისი მნიშვნელობის (რაც მთავარია) სახელდების მოტივაციის და ბგერათა ფუნქციების დადგენის გარეშე. მ. ე. აქ დიაქრონიაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მიზეზი მარტივია: მათ ყურადღების მიღმაა დარჩენილი, ამჟამად თითქმის გადაშენებული, მეგრ. სიტყვა **გოთ** „ღმერთი“: მეგრ. **გოთ** გოიმორძგვას = **„ღმერთმა** გაგიმარჯოს“.

ენათმეცნიერი – გოთ // გოდ // გად ინდო ევროპული ღმერთის აღმნიშვნელი ტერმინია. მეგრულიო?!...,საიდან სადაო?!...,

ისტორიკოსი – ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ – 30-იან წლებში გამოდიოდა მეგრული ჟურნალი „ჭითა ჩხორია“ = წითელი შუქი. იქ არის სტატია: მუჭო გორჩქინდ მერმულშე კოჩქ – "როგორ

გაჩნდა მაიმუნიდან ადამიანი“ და ავტორი ხმარობს სიტყვებს **ორ-თა** „ბუნება“, **ორთაშური** „ბუნებრივი“ და **ორთე** „სამყარო.“

ავტორი – თუ საიდან ამას საწყისი მნიშვნელობა დაადგენს: მოგვიხდება გონებრივი ჭვრეტა იმისა თუ რა აგებულების შეიძლება, ყოფილიყო **გოთ-**ის წინაფორმა, ადეკვატური მნიშვნელობისა ღმერთი. „ის ვინც მეგრული ენა იცის“ დამეთანხმება: წინაფორმა სიტყვისა **გოთ** „ღმერთი არის, ყოველ მიზეზს გარეშე, **ღ-ორ-თ-ა***, რადგან ღ, როგორც უკვე დავადგინეთ, არის მეგრ. ღუნა „ქონება„-ს ძირი. **ო-რთ-ა // ო-რთ-ე** კი, როგორც ითქვა, = ბუნება, სამყარო. **ღ-ო-რთ***-ა // აი, პირვანდელი კომპოზიტი სიტყვა, მნიშვნელობით – „სამყაროს მფლობელი“.

ფიზიოლოგი შენიშვნა: ასეთი გამჭირვალე ეტიმოლოგია განა საჭიროებს დამატებით ანალიზს, თუნდაც სტრუქტურულს?..

ავტორი – თავადაც ო-რთ-ა // ო-რთ-ე გახლავთ ასევე ადეკვატური თავიანთი მნიშვნელობისა – ბუნება // სამყარო: უკვე ვიცით რომ: **რ** – მოძრაობის (ლაიბნიცი). და ყოფა-ყოფიერების აღმნიშვნელი რომაა: **რთ** კომპლექსი, სხვადასხვა ზმნისწინთა მეშვეობით, მეგრულში ნაირგვარ ცვლილებათა აღმნიშვნელი ძირია. მაგ: გო-რთ „გაუვიდა“, „გახდა; მო-რთ-ი>// მო-დ-ი (დ < რთ); გეშა-რთ „ამოვიდა“; გე-რთ „აღმოცენდა“; მი-რდ „გაიზარდა“; რდ-ა // რდ-უალა „ზრდა“ (**დ < თ.** მ. ე. ქართ. **ზ-რდ-ა < ს-რდ-ა < ს-რთ-ა**); წა-რთ „წახდა“; მი-რთ „გახუნდა“; გი-რთ „გაიყო“; გე-დი-რთ „ადგა“; გამნი-რთ „გადაბრუნდა“; მა-რთ-უ „მორევი“; რთ-ა „ბრუნვა“; ი-**რთ**-უ „**ტრ**-იალებს“. ამ უკანასკნელი მაგალითის ქართ. მეგრ. **რთ > რტ** კომპლექსს სლ. და ინდოევროპულ ენებში **რტ** კომპლექსი შეეფარდებათ: შდრ: სლ. ვე-**რტ**-იტსა „ტრიალებს,“ ლათ. ვე-**რტ**-ე „გადააბრუნე“, ინგლ. **რით**ონ „დაბრუნება.“

დასახელებულ სიტყვათა მნიშვნელობებთანაა უშუალო კავშირში მეგრ. **ო-რთ-ა // ო-რთ-ე** „ბუნება, სამყარო:“ **ო** „სა“ + **რთ-ა** „ბრუნვა, ტრიალი“ უდრის, როგორც მორევი, მოძრავსა და ცვალებად მატერიალურ სივრცეს – სამყაროს.

ფილოსოფოსი – შეუძლებელია უფრო ღრმა ფილოსოფიური წვდომა არსისა და ლოგიკურად ზედმიწევნითი სიზუსტით განსაზღვრა ტერმინისა – სამყარო და ღმერთი!... დიდება კოლხებს – კაცობრიობის უპირველესსა და უდიადეს ფილოსოფოსებს!...

ავტორი – რაც შეეხება ღ-ო-რთ-ა > გოთ პროცესში **ღ > გ** ამოწევის, **რთ** კომპლექსიდან **რ**-ს დაკარგვის და ქართვ. ღმერთის აღმნიშვნელ სიტყვებში **მ** და **ნ**-ს გაჩენის, ვოკალიზაციის და სხვა ცვლილებათა „სტრუქტულ ანალიზს," ოპონენტთათვის მიგვინდია, მთავარია, მათ ხელთ უჭირავთ ჭეშმარიტების იმპერატივი: ეს ცვლილებები **ღ-ო-რთ**-ა-დან, უცილოდ, განხორციელდა.

ისტორიკოსი – გარდა ამისა თქვენ ხომ პირველ ნაწილში ქთრთველურში მიმდინარე ყველა შესაძლებელი ბგერათ ცვლილებები გაქვთ განხილული და დამოწმებული.

ავტორი – ზემოთქმულიდან გამომდინარე, რამეთუ ინდოევროპული **გოდ // გად** ტერმინის **გ** ქართვ. **ღ** წარმომავლობისაა, უფლებამოსილნი ვართ ვირწმუნოთ არამარტო სლ. **ბოგ, ირ. ბაგ** „ღმერთი-ს" თაობაზე იგივე, არამედ სხვა ენებშიც **ღ** ან მისი ექვივალენტის ხდომილობა (მაგ: ივრ. იახვე, იელოვა, იეჰოვა „ღმერთი" ქართვ. **ღ** ბგერის დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ.

ისტორიკოსი – მკვლევართა შორის (ნუგზარ კვაშილავა) არსებობს მოსაზრება, რომ **გოლ-გოთა** – მთა სადაც ქრისტე ღმერთი აწამეს მეგრ. **გოლა-გოთე-დან**, (= განათებულ მთა) იყოს.

ფსიქოლოგი – ეს რეზონულია, რამეთუ, ნეანდერტალელი ადამიანიდან მოყოლებული, მთა, რომლის წვერზეც მზის პირველი სხივი ეცემა, რა მზე ღმერთის სარიტუალო ადგილი იყო. მეორე მიზეზი მორწმუნეთა სწრაფვისა რაც შეიძლება ამაღლებულ ადგილებში განათავსოს საკულტო ნაგებობები არის ადამიანთა შეხედულებით, ღმერთის მაღლა – ცაში არსებობა.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, **„...ქალდ-მეგრელები პალესტინა-იერუსალიმში, ...სადაც პირველებმა დაიწყეს ქრისტიანობის გავრცელება...მის პირველ გამავრცელებელ მეგრელებს – იბერებს სასტიკად დევნიდნენ ისრაელი კეისრები ... იერუსალიმის კეისარმა ქრისტიანობის გავრცელებისთვის 309 წ. 23 აპრილს თავი მოკვეთა იერუსალიმელ გიორგის (წმ. გიორგის). ეს საშინელი სურათი აღწერილი აქვს სომეხ მეისტორიეს – ინჯიჯიან ლუკას ნაშრომში „წმინდანების ცხროვრება." უმძიმესი რეპრესიების გამო, იერუსალიმელმა ქრისტიანებმა... თავი შეაფარეს მდ. ბურანუნის (ევფრატის) სათავესთან მთებს... ააშენეს ციხე-სიმაგრე რომელსაც „ჯიბერი," „ჯებერი" დაარქვეს... მეგრ. სიტყვაა (მტკიცე, მაგარი)...** (კლ. შელია „კ. ჩ. ს. კ." გვ. 260).

ფილოსოფოსი – შუმერ-ეგვიპტიდან მოყოლებული, შესასწავლია კოლხიზმები უძველეს თეოლოგიურ ლიტერატურებში.

ავტორი – გარდა ამისა, ქართ. მეგრ. **ჯოჯო-ხე**-თი და **სამ-ოთხ**-ე ტერმინებიც სრულიად გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონენი არიან: **ჯოჯო** ეშმაკია, მეგრულად, ხოლო **ხე** და **თი** სიტყვათა შესახებ უკვე ვიცით. მ. ე. **ჯოჯო + ხე + თი** უდრის ეშმაკის საცხოვრის ადგილს: **სამ-ოთხე** კი **სამ + ოთხ-ე** ნაწილებისაგან შედგება: **სამ** ექვივალენტური **შურ-ი** „სულიდანაა“, ხოლო ოთხე – ონთხე-დან (ზედმიწ. = სასუნე-ს). ამ უკანასკნელს, სუფევის მნიშვნელობაც გააჩნია, მაგ: ჩხურუქ ქუდანთხ უდრის სიცივე დაეცა (დადგა) ანუ სიცივის სუფევაა. ე. ი. **შურ + ონთხე > // სამ-ოთხე** უდრის სულის სასუფეველს. მისი პარალელია – მეგრ. **ო-შურ-ეთი** „სულისთვის განკუთვნილი ადგილი“.

მეგრ. ხვამა ,,ლოცვა,, ყველგვარი კვლევის გარეშეც აშკარაა, რომ მეგრულივე ხომა ,,ხმა–დან,, ამოდის. ხოლო ქართ. ლოცვა, მ. ე, მეგრ. ლორსუა-დანაა. მეგრ ნინას ულორს-უანც = გამორჩევით, მჭერმეტყველურად მეტყველებს. უჯინ სი, ხოლო ნინას ულორსუანც = უყურე შენ, მაინც მაგრად მეტყველებს (იხტიბარს არ იტეხს): ლორსუა > ლოცუა > ლოცვა. აი, საიდანაა ლოცვა.

ისტორიკოსი – **“..საკმეველი ძვ. ქართ. გამოითქმოდა როგორც „საკუმეველი.“ ძნელი არაა მის ძირში დავინახოთ „კუმ“ ფორმა. ხოლო კუმა მეგრულად ნიშნავს კვამლს. აქედან ცხადი ხდება. რომ საკმეველი იყო მართლაც კვამლის დასაყენებელი და აშკარაა მისი კოლხური წარმომავლობა...“** ნ. კვაშილავა.

ფილოსოფოსი – თავგანირვა მიღებულია **თავი + განირვა-საგან:** თავი გასაგებია მაგრამ არავინ უწყის სიდანაა **განირვა.** იმისთვის „ვინც მეგრული ენა იცის“ ეს ისეთივეა გქონდეს სიტყვა დაჭრილი და დაჭრულ ფორმას კი ჩაჰკირკიტებდე – ეგ საიდან არიო: ზემოთ ვნახეთ, დღესაც ცოცხალ მეგრ. სიტყვა **წურ**-უა //> **წირ**უა რომ „დაჭრას“ აღნიშნავს: მ. ე. დუდიშ გო-**წირ**-უა // თავ-გა-**წირ**-ვა იქნება თავის დაჭრა, თავის მოკვდინება რაღაც მაღალი იდეალებისთვის: იგი კულტმსახურების უმაღლესი ფორმის – სისხლიანი მსხვერპლშეწირვის ეპოქებში პოულობს სათავეს, როცა ად-ნი თავს ისახიჩრებდა ან თავს წირავდა თავის კერპს. მისი გადმონაშთებია, როცა ახლობელის დაღუპვისას ქალები სახეს იკაწრავენ. აქედან გამომდინარე, ფრაზაში– **წირ**ვას გამოუყვანს, პირვანდელი მნიშვნელობა ანდერძის აგება კი არაა, არამედ სწორედ

ის, რომელიც გადატანითად მიაჩნიათ: „სიცოხლეს გამოასალმებს, ბოლოს მოუღებს." მ. ე. თვით საეკლესიო მთავარი ქრისტ. ღვთისმსახურების გამომხატველი სიტყვა – **წირ**-ვა-ც აქედანვეა, ოღონდ რიტუალი თუ ღვთისმსახურების სხვა ატრიბუტიკაა შეცვლილი.

ისტორიკოსი – შუმერთა-კოლხურობას, გარკვეული კუთხით, თავისებური საყრდენი შეუყენეს მეცნიერ-მკვლევართა სხვადასხვა პლეადებმა, ესენია: ჰუმბოლტი, მარი, ბლაიხშტაინერი, ჯავახიშვილი წერეთელი, ჯანაშია, ოპერეტი, კრემერი, ძიძიგური, გელოვანი, ალფენიძე, ქაფიანიძე, შელია, შენგელია და სხვები.

...რაც შეეხება პირსახელ „მანას"იგი ქართულად ასე იქნება: მა–მე და ნა–დედა. ე. ი. მე დედა ვარო. სახელი „მადონა"კი ასე წარმოგვიდგება: მა–მე, დო + ნა „დედა."რაც მე და დედას ნიშნავს...გილგამეშის ეპოსში მოცემული სახელები – ხუმბაბა, ენქიდუ, უთუ, არურუ, მაშუს მთა და თვით გილგამეშიც ლაზ–მეგრულად იხსნება... ლაზ–მეგრულად ამოიხსნება სხვა ტ-იც: ნამუ, აფსუ, მუმუ, თიამათი, ნინხურსანგა, დილმუნი, გიბილი,, მარდუქი, კალდუნიაში..." ნ. გულორდავა ჟურნ. ეგრისი1-2.

კოლხურია ანუ პროტოშუმერულია ღმერთების სახელები: უთუ, ნანა, ინანა, მარდუქი, ენქიდუ,, შა. შამაში და ა. შ. იგივე ითქმის ეგვ. თოთი, ჰოროსი, რა ამონ-რა, და ოსირისის შესახებ.

ავტორი – რაკი ევროპულ – **დემეტრე, გოდ, გად, გოთ, სლ. ბოგ, ირ. ბაგ.** და ა. შ. ღმერთ-ის აღმნიშვნელ ტერმინთა შესახებ უკვე ვიცით, მითუფრო. გერმანული შუქის ღმერთი **ვალ-ი**, მეგრ. **ვალ-ი** >// ქართ. ელვ-ა ერთიანობაში უნდა განიხილებოდეს; ასევე შეუძლებელია, გერმ. **ვოდან,** სკანდინავიურ **ოდინ**-ს და მეგრ. **ოდი // ოდა // ოდო // ოდო-ია-ს** საერთო წარმომავლობა არ აერთიანებდეთ: ამაზე მიუთითებენ მეგრ. ხალხური სიღერები – **„ოდა" და „ოდოია"**, ეთნონიმი **ოდი**-შელი, ანთროპონიმი – **ოდი**-შელიძე, **ოდი**-შარია და ა. შ.

ენათმეცნიერი – ამ უკანასკნელთ აერთიანებთ, მხოლოდდამხოლოდ, შემთხვევითი ბგერითი მსგავსება, განასხვავებთ კი მთავარი – იპოსტასი: ვოდანი და ოდინი ომის ღმერთები არიან.

ფილოსოფოსი – ბგერითი მსგავსების გარდა მათ აერთიანებთ ფაქტი იმისა, რომ ღმერთები არიან. ისტორიულად დადასტურებულია: ღმერთები იპოსტასს იცვლიან. იქნებ კოლხ. **ოდომ** შეიცვალა დანიშნულება ან, პირიქით, – გერმანულმა **ვოდანმა**?

ავტორი – უკვე აღვნიშნეთ: ოდო მიღებულია მეგრ. **ორდო** ("დილა")-"დან. თავად, ეს უკანასკნელი, მიღებულია ო-**დრო**-დან, რადგან, ოდესღაც, **დრო** გახლდათ მზე ღმერთის სახელი, ამოზრდილი, ისევე როგორც სხვა მრავალთაგანნი (**ო-რა, დ-ო-რა** და ა. შ.) **რა** მზე ღმერთის სახელისაგან.

ენათმეცნიერი – დრო...,დორა... მზე ღმერთის სახელი???...

ავტორი – გავმეორდებით: დიახ, ერთ პერიოდში, დრო მზე ღმერთის სახელი იყო. იგი ერთ, მეგრ. აფხაზურ ვარიანტში არსებულ, სიმღერაშია შემორჩენილი: **ო, რა , დრო, ო, ო, ო...ასე** იწყება ეს სიმღერა, აფხაზურ ვარიანტში: ეს მისამღერები კოლხურია, ისევე როგორც მრავალი სხვა – რა // რე // რი // რო და ა. შ. შეძახილიანნი. ყველა ეს შეძახილები მზე ღმერთის სახელ **რა**-ს ვარიანტები გახლავთ, იმდაგვარადვე, ეს როგორც წმ. გიორგის სახელებთან **(გეგე, ჯეგე გერგე** და ა. შ) გვაქვს საქმე.

რა მზე ღმერთის დერივატები გვხვდებიან ქართვ. გვარ-სახელებში, სიმღერებში – აფხ. – **ვა-რა-დო,** სვ. **შა-მა-რე-რა,** მეგრ. სი-ვო-**რა**-ი-და, კახ. ო-**რო**-ვე-ლა და ა. შ. (იხ. გაზ. „მახარია" N 4).

დილ შეძახილიანი ქართვ. სიმღერები ივ. ჯავახიშვილმა ცისკრის ვარსკლავისადმი მიძღვნილად ჩათვალა... აქ მთავარი გახლავთ ის, რომ დილ მნიშვნელობის მქონეა და არა უაზრო მისამღერი. თუმცა იგი არა ცისკრის ვარსკლავის, არამედ მზე ღმერთის სახელ **ო-რა* >(დ-ორა*) > დილ** ცვლილების შედეგია. **დ** ფონეტიკურ დანართად უხშირესია, ამიტომ, ამგვარად წარმოიქმნენ: **ო-რა > დ-ო-რა*; ო-რა > დ-რო*; ო-რა > დ-ო-რა*** > ო-რ-დ-ო მეგრ.„დილა", სომხ.> **ო-რ-დ** ძირი ვალ–**ორდ**–აინიდან „დილაადრიანი" და მეგრ. **ო-რა > ორ–დ–ო** „დილა" >\\ სლ. **უ-ტ-რო** „დილა".

ენათმეცნიერი – რუს?..., სომხ.?...

ავტორი – კოლხეთიდან **რა** მზე ღმერთის სახელი სომხეთამდე კი არა შუმერ-ეგვიპტემდე გავრცელდა. ამიტომ, **ა-რა-რა-ტი // ო-რა-რა-თი*** ანუ **ო-რა + რა-თი** (ზედმიწ. **ო, რა,** „მიმართვა მზე ღმერთისადმი" და **რა + თი** „ღმერთის ადგილი») არამარტო ამ მთის სახელის კოლხურობას ამტკიცებს, არამედ იმ დროზე მიუთითებს, როცა არარატის სანახებში კოლხები ცხოვრობდნენ და რომ, იმ დროს, **ორა** და **რა** სახელები მზე ღმერთისა თანაბრად ფუნქციონირებდა. გარდა ამისა, უფლება გვაქვს ვიფიქროთ: ჰიდრონიმები: **ა-რა-(ქს)-ი, არე-სი**

(არესის ჭალა) < // **ორე-სი*** ეტიმოლოგიურად **ორა**-სთვის განკუთვნილს აღნიშნავს, ხოლო **არაქსის** შენაკადი – **არ-ფა < რა-ფა*** უდრის **რა** ღმერთისთვის განკუთვნილ მცენარეულ ადგილს.

ზემოთქმულთან კონტექსტში, და იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ადგილს სადაც ქ. ტროა გაშენდა ვილუ-შა ერქვა, უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ: ტროა კოლხების ქალაქი იყო და მისი სახელი ო-რა > მეგრ. **ორ-დ-ო** „დილა“ \\ სლ. **უ-ტ-რო** „დილა“- ს მსგავსად, მზე ღმერთის სახელ **ო-რა**-დან მომდინარეობს: ო-რა > დ-ო-რა > ტორა \\ **ტროა.**

ენათმეცნიერი – ავტორის სურვილია ყველა ღმერთის სახელი კოლხურად მიითვალოს, მაგრამ აქ მხოლოდ დამთხვევებია.

ავტორი – არა მარტო ავტორისეული „დამთხვევები“ მიუთითებენ: მხოლოდ უპირველესი და ჩვილი ცივილიზაციათა საწყისები, პირველი რწმენითი გამონათებები და, შემდეგ, პირველი მოძღვრება ღმერთზე – თეოლოგია კი არაა კოლხთა პირმშო, არამედ, რაც უმთავრესია: პირველი ადამიანური ააზროვნება-ამეტყველებაც კოლხურია: **ანთროპოგენეზი დაიწყო იმ ქართველურმა (კოლხურმა) კლანმა რომლის გვირგვინიც დღეს კაცობრიობაა.**

ენათმეცნიერი – თქვენ სამი ცნობილი ინსტიტუტის ცხრა დოქტორი გეწინააღმდეგებოდათ... **ახლა ისინი თქვენს მხარეს არიან. მეც მიუხედავად იმისა რომ ვრწმუნდები თქვენს ობიექტურობაში მაინც მხოლოდ ვსვამ კითხვას: ხომ არ ჩაგვითვლიან ზემოთქმულს, ყოველგვარ აკადემიურობას მოკლებულ, თავზეხელალებულ სითამამედ?...**

ფილოსოფოსი – **ახალი მეცნიერული ჭეშმარიტება ის მარცვალია, რომელზეც მთელი მსოფლიო მეცნიერება ზედ რომ დაემხოს, გადმოაპირქვავებს და ამობიბინდება.!!!..**

ისტორიკოსი – **“...საქართველო არა მარტო ევროპული, არამედ მსოფლიო ცივილიზაციის საწყისია. ამას ადასტურებს მრავალი ისტორიული წყარო, ანტიკური ბერძნული ცივილიზაციის მასალები, მრავალი უცხოელი მეცნიერი...“** („კოლხეთი სამყაროს კარიბჭე“ კლ. შელია გვ.179)“...

ბიოლოგი – **უკვე ჩასახული პრიმიტიული მეტყველების და ასევე საწყისი პრიმიტიული ცივილიზაციების მუდმივად შენარჩუნება-განვითარება გაადვილა ზღვითა და მთებით ჩაკეტილ კოლხეთში დასაბამისმიერი კოლხური კლანის ჩარჩენამ.**

ისტორიკოსი – "...რატომ ამტკიცებენ ძვ. ბერძენი სწავლულები და რატომ მიაჩნიათ კავკასია კოლხეთის ტერიტორიად (ჰეროდოტე) და რატომ ამბობენ კოლხებს, უძველესი დროიდან, დამწერლობა ქონდათო? ამასვე ადასტურებს ცნობილ ქართვ. მეცნიერთა ერთი ნაწილი (აკ. ურუშაძე, რ. გორდეზიანი და სხვები); ასევე...გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, ესპანელი, ვატიკანელი, ამერიკელი მეცნიერები"...დ. ნ. გვ. 174.

ბიოლოგი – „...ამერიკელმა მეცნიერებმა, გენეტიკის სპეციალისტებმა (ხელმძღვანელი პროფ. ბრაინ საქსი), ადამიანის მიტოქონდრიული ანალიზის საფუძველზე, ალმოაჩინეს, რომ თანამედროვე ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან არიან წამოსულნი ... კავკასია მსოფლიოში ადამიანთა მოდგმის გავრცელების მთავარი კერა ყოფილა, რომ თანამედროვე ევროპული რასა, მუტაციის გზით, კავკასიაში ჩამოყალიბებულა და შემდეგ გავრცელებულა მთელ ევროპაში და ამერიკაშიც..."დ. ნ. გვ. 184-185.

ავტორი – როგორც ვხედავთ, ერთის მხრივ, ძველ სწავლულებს კავკასია კოლხეთად მიაჩნიათ – მათია ფრთიანი ფრაზა: „კავკასია კაცობრიობის შუბლია." მეორეს მხრივ, თანამედროვე გენეტიკის სპეციალისტებს კაცობრიობა კავკასიის ანუ კოლხეთის მემკვიდრედ არათუ დაუგულვებიათ, არამედ, ისევე როგორც დიდი ხნის წინათ ქართველურ-ბასკური ნათესაობა, უტყუარი გენეტიკური ანალიზებით დაუდგენიათ. ამიტომ, პასუხი თქვენს კითხვაზე, ბ-ნო ენათმეცნიერო, ვინც რომ თქვენ გქონდათ მხედველობაში მათსავე „ურყევ მეცნიერული ობიექტიურობისთვის" ანუ „აკადემიურობისთვის" მიგვინდვია.

საბოლოო დასკვნა

ვინაიდან:

1) ენათმეცნიერი – ბგერითი ტრანსფორმაციები ბაზირებულია არა თავისუფალ ფორმალურ ოპერაციებზე, არამედ ემპირიულ მონაცემებზე;

2) ისტორიკოსი და არქეოლოგი – ამ ემპირიულ მონაცემთა ისტორიულობა მეცნიერებაში დადასტურებულია;

3) მათემატიკოსი – სიტყვათა სისტემებში ბგერათა ჭარბი განაწილება – ჭარბი ხდომილობები ალბათობის თეორიის კანონებით დადგენილია, ხოლო მიზეზი მითითებულია და პირდაპირი აუსკულტაციით, აუდიოინსტრუმენტალური თუ ფონოგრაფიული კვლევით დადგენადია;

4) ფიზიოლოგი, ბიოლოგი და ანთროპოლოგი – აღმოჩენილია მეტყველების ბიოგენეზური კანონი და მისივე (მეტყველების) ჩასახვის სინდრომოკომპლექსი;

5) ფილოსოფოსი – ავტორისეულ მსჯელობებში აზროვნების კანონთა და ლოგიკურ დებულებათა სისწორეში ეჭვის შეტანა შეუძლებელია;

6) ავტორი – ყველა კითხვა დასმულია, ყველა კითხვაზე პასუხი გაცემულია; ამიტომ, ყველამ ერთად, უნდა გამოვიტანოთ საბოლოო დანასკვი: „გეორგიული თეორია“ ფიზიოლოგიურ, ბიოლოგიურ, ენათმეცნიერულ, ფსიქოლოგიურ და ა. შ. ასპექტებში სწორია, და მ. ე. მთლიანობაში ამდაგვარად უნდა იქნას ალიარებული.

p. s. კავკასია-ინდოევრპულ ხალხთა გენეტიკურ ნათესაობას და მსოფლიო აზროვნება-მეტყველების მონოგენეზისურ წარმომავლობის დადგენას აქვს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა გათითოკაცებულ კაცობრიობის ერთიანობისკენ მიმართულ, ახალ ზოგადკაცობრიულ, დარწმუნებულად და გაცნობიერებულად და-ძმურ სიყვარულზე დაფუძნებულ – ახალი აზროვნების დამკვიდრების საქმეში.

ჯერ არს, პოლიტიკოსებმა ეს სიახლეები ხელთ იღონ, ჯეროვნად შეაფასონ და მიმართონ სიყვარულით გაცისკროვნებულ კაცობრიობის ერთიანობისაკენ.

სარჩევი

1. გეორგიული თეორიის („გ. თ.“-ს) სიახლეები 11
2. ანთროპოიდის მეტყველების დროინდელი ცენტრალური ნერვული სისტემა (ც.ნ.ს.) და გონითი შესაძლებლობები 12
3. მეტყველების ჩასახვა 15
4. ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური ასპექტები მეტყველების ჩასახვისა 27
5. მეტყველების ბიოგენეზური კანონი 39
5. „გ. თ“. ენათმეცნიერულ ასპექტში 46
6. სამეტყველო ელემენთთა გენეზისი 48
7. გ ბგერა 49
8. შეწოვა განწოვის ფიზაქტი და წ და ყ ბგერა 51
9. წ და ყ ბგერის გახმოვანება და პირველქმნადობა 52
   ალბათობის თეორია და წ და ყ-დან ამოსული ფონეტიკურ სემანტიკური ჯგუფები 55
10. წ და ყ-სთან დაკავშირებული პრობლემა 64
    ჰარმონიული ბგერათკომპლექსები 65
    11. წ > ჭ გადაწევის სხვა მაგალითები 67
    12 .წ > ძ გამჟღერების მაგალითები 70
13. წიე, წე, წი; ძიე, ძე, ძა 71
14 წ > ჭ, წ > ს, წ > ტ პროცესის მადასტურებელი მასალა ... 72
15. ტვენუა, ორტვინი, ტვინი, კასილი, საკილი, სლ. მოზგ. 74
16. მეგრ ტგ, ქართ. ცური 75
17. ტბა, ტაბა, ტიბა, ტობა, ტიბუ, ტუბო; ტბილი, თბილისი 75
18. წ ბგერა და მისი ალომორფები 77
19. წა ალომორფის შედგენილობის სიტყვები 79
20. ალომორფები ჭურჭლეულის სახელებში 81
21. წყლის პირას, თუ წყალში ცხოვრებით გამოწვეული მოტივაციებით გამოწვეული სახელდებები 81
22. ნიადაგში წყლის შემცველობით და მიწის წყლის პირას მდებარეობით განპირობებული სახელები 82
23. მიწის ღვთაება – დემეტერ 84
24. წყლის მოძრაობიდან წარმოქმნილი სახელები 84
25. გეომეტრიული ტერმინები 91
26. სწორი // ბონი და მათთან კავშირში მყოფი სახელები 93
26. წ ბგერა და წველასთან დაკავშირებული სახელები 98
27. წ ბგერა და ბალახის სახელდება 99
    გვალვა და მისი ანტონიმი – ჭოროფა 100

ფერები და წყლის ალომორფები 101
29. საღებავი და წიგნი: (ჭიაფერა, ჯაფეზია, განჭვ, ანწლი, ინჭირია, ონჭირია, ვენჭირია, წყანწყუა, ჭეჭყვა, ნაყვა, ჭყან-ჭყ-უა // ჭყა-ჭყ-უა, ჭყილ-ონტუა, ჭეჭყვა, ყაყუა, კაკ-უა, ნაყვა, კოკო, წერა, წერ-ი, წერნაგი, წენგო, წიგნი, წინგი 102
30. სიკაშკაშე, წერა და გაჭუჭყიანება 106
31. ლაწკარი, ბწკარი, ჭურჭული, წერტილი, წერათ-წერა, ჭარა, ჭარუა // წერა, სწავლა.....110
32. მაგარ საგანზე წერის მამტკიცებელი მასალა 112
33. ჩხ, წყ ბკ-ის და წბგერის ალომორფებიდან წარმოქმნილ დაჭრის სემასიურ ველში განფენილი ლექსიკა 112
წ და ყ ბგერათა შერწყმით მიღებულ – წყ-დან წარმოქმნილი სკ, სქ კომპლექსიანი სახელები: სკუალა, სკუა, წიწილა, სკი, სკირი, ყრმა. 120
34. წყ ბკ-ის გამარტივებით მიღებული სახელები 122
35. პარადოქსული მეგრ. სისინისა და ქართ. შიშინის განმაპირობებელი მიზეზები 123
36. გეოგრაფიულ სახელ „კავკასია“-ს ეტიმოლოგია 125
ლაშარის ჯვარი, ლაშარი, ლაშქარი, ლესქერი ლესკერი.....128
37. ყ ბგერა 130
38. ყ ბგერა და მისი ალომორფები ყელისა და პირ-სახის მიდამოების სახელებში 131
39. ცუა, // ცვა მეგრ. „შუბლი“ 134
40. ყ-ს ალომორფები 135
მამაკაცის ასოს, კოდვასა და კოიტუზის აღმნიშვნელი სახელები 136
42. სიყვარული // ცოროფა 137
მამრობითობასთან დაკავშირებულისახელები 138
43. ყ ბგერის მეტოქეობა ხ ხმაბაძვითთან 139
ხ ბგერა.....139
44. მეგრ. ხონუა, ხარუა, ხარაზუა, ხირიტუა, ხარცქუა; ქართ ხვნა, ხარი.....140
45. აბსტრ. ტერმინი ახალი, ხალა, ო-ხალი, აღანი 141
ხველა და პათ. სუნთქვასთან დაკავშირებული სახელები... 141
46. კოლხ-ქართ-სვ ფონეტიკური წნულის მაგალითი 143
47. ხორბალი // ქობალი; ხელი, ხე, მახარი, ხუჯი, ხარაჩო, ხურჯინი, ხურჯონი, ხირომანტია.....144

46. თხილი, თხირი; ხილი, ორახისი ორეხი, ხორბალი, ქობალი, ქობულეთი, ქაბული, ხაბური, ბულია, ჯამბული, ჯაბურია, გახარება ხარება 146
47. ხორუა, რუხი, ჯოხი, ჯიხა, ოჯახი, როხუა, ბერკეტი, მყარი, როყიო, ყამირი 147
48. ურყი, მყარი, როყიო, ყამირი 148
რიყე, რეყე, რუხი, რიკოთი, ყორე, ყორში, კასრი, იკრა, გრად, ვინოგრად, ქვირითი // ქვილითი, ფქვილი, // ქვირი // ლე-ქვერ, ქუა-ლა // ფ-ქვა // ლი-გუე-ჰ, წისქვილი..... 149
ყვერები // ყებური, ყორე, ბუკი, კომლი, კერა, კვამლი, თი, თა თემი, ფუტი, ოფუტე, ყანა //ყონა // ცვანა, ყამირი, აგარაკი, აგროს, აგარ, გრად, ყუდე, ცუდე, ცურშუა, ყუჟვა, ყურე, ყური, უხო, აურის, ოცუნე, ოცუ, აცუ 151
49. ყ ლოკვა, ლეკვი, ყური და სახის მიდამოს სახელებში.....156
50. ყ ბგერა და ქართველურ-რუსულ-ლათინური პარალელები ხმბ. ცხოველთა, ფრინველთა და სხვა სახელებში 159
51. აბსტრაქტულ ტერმინ ტყუილთან მეტეორიზმის აღმნიშვნელი სიტყვების კავშირით გამოწვეული ზოგადი ენათმეცნიერული პრობლემა 160
სხვა ნომინაციები.....161
52. ღმუილ-ღრენას მიბაძვით წარმოქმნილი სახელები.....162
ძახილი და სიკვდილი 165
ძახილი და სიკვდილი ლათინურში და სლავურში.....166
53. ყ და ღ ხმაბაძვითთა მეტოქეობა.....168
54. ფერწო „ლოკოკინა“,კოლი // კალია // ეკალა; შეყერი „რტო“, ნაყარი // ნარყი; აყარება, ფარყი, გახარება 169
55. ყა, ყლორტი, აყარი, გოგრა, კვახი, ხაპი, ყოყორე, ყარყარა, კუკურბიტა, კოპეშია, ხაპი 170
56. ყოფა, // ცოფა, მაყვალი, მუცი, მუცია, მორუმ, ყვავილი, ყოილი, პეული, პუნა, პირი, პიჯი, პილ, პერო, პეტუხ, ბირა, მღერა, პენიე, პესნია, პიშა, ჯამპი, ჯამპონა,ჯაპან...171
57. ყ ბგერის ალომორები და პარალელიზმები კვება და საკვების აღმნიშვნელ სახელებში 173
58. გორბუშკა, პანის, ფლოს, პრიმა, პრიველი, პირველი, პერვიი, კორონა, გვირგვინი, გურგინი, რაკემიფერ.....175
59. პირამი, პირამიდა. პიჯი, პირი, ზედაპირი, ბრტყელი, სიბრტყე, დაპირება, პლანუს, პლავნიი, პლოშად, პლოსკოსტ, პოლნიი, პოლ, პირდაპირ, პირისპირ, პერპენდიკულარი.....176

60. აბსტრაქტული ცნება სიმრგვალე 178
მ-ის სასქესო ორგანოსქართ. ყლ და მეგრ. ყოლ ძირები 179
61. უფალი 181
62. ბილაბიალთა როლი მემკვიდრეობითობის აღმნიშვნელ სახელებში: მამა, ბაბა, ბაბუ, ბები, ბაბუა, ბებია, პაპა, პაპუ, პეპი, დედა, სლ. დედ, დედუშკა, მამა „დედა“, მარე, მართალი, მეგრ. სითინა, სლ. ისტინა. 181
63. ბო, ბოი, ბოდიში, ბორდიში; ქართ ბოდვა; სლ. ბრედ 184
64. წ, ყ და წყ კომპლესისგან წარმოქმნილი მცენარეთა სახელები... ქართ. წყავი, ს. ბ. მწყავი; ჭანმწკო, მწკული, წუ; მეგრ. წყი, წყილი, წყივი, წყოვი, წყოი 186
65. ქართ. ტყემალი; ქიზიყ. ტყიმალი; ინგ. ტყიმალ; ჭანყომური; მეგრ. ყომური, ომური; სვ. ბა** რყვენ, ბა**რყენ...“ ქართ.ბერყენა,რყენა,გრ. კხ. ოლე..“....187
66. ნესვი მეგრ. შინკა; ჭან შურკა 188
67. ქართ. მარწყვი; იმ. დარდალა, წიამპოლა; ზემო რაჭული წიწინდერა; ჭან. კანდლუ; მეგრ. ცგმუა, ცგმყუა, წიწმდერა, წიწინდარა, ხვიხვინია; სვ. ბასყ, ბა** სყ....189
68. ღვინოს ეტიმოლოგია 189
69. გუტურილიზაციის უარმყოფელი მაგალითები....193
70. ქვევრი, ლახუტი, ლაგვანი 196
71. მუხა, ჭყონი, წყნეთი. წაბლი, ჭუბური, ბ ული, წუ, ხორბალი, ლექობალე, ქაბული, ქობულეთი, ხაბური, გვიჯი, ოგვაჯე, პური....197
72. ყ და წ ბგერათა შერწყმით მიღებულ გახმოვანებულ ყგწ კომპლექსიდან წარმოქმნილი სახელები....199
73. ჩხ ბგერათკომპლექსი....201
74. ჩხ-ს ალომორფები და მათი დუბლირებით მიღებული ტერმინები....203
75. ჩხ-ს ალომორფთა ფონეტიკურ სემანტიკური განშტოებები
76. ჩხ, წყ და ცეცხლთან კავშირში მყოფი სახელები 205
ჩხ, წყ და ცეცხლთან კავშირში მყოფი სხვა სიტყვები....210
77. ჩხ-ს ალომორფები და სხივ-შუქის მნ-ით ველში განფენილი ლექსიკა....212
78. რისხვი, ურიცხვი, ოჩქი, ოჩი, ოკა....214
79. კოლხური თეთრი....217
80. ჩხ ბკ და მდედრობითი სქესის სახელები....218
81. სიტყვების – სლ. Мать // გერმ. Mutter „დედა“ და
82. ქართ. მ.ტ.ლ სიტყვათაწარმომავლობა 219

83. ამ-ი + ური მაწარმოებლიანი სახელები 220
84. ჩ > ც პროცესის მადასტურებელი მასალა 222
ცხ > ჩხ პროცესის მადასტურებელი მაგალითები.....223
აბსტრაქტული ტერმინი მირსხალი და მისხალი 225
85. ჩ > ც სპონტანური პროცესის სხვა მაგალითები.....226
86. ჩხომ // თევზ სახელთა პრობლემა 230
87. ჩხ > შხ; ჩხ > შქ და ჩხ-ს სხვა ცვლილებებით
წარმოქმნილი სახელები 231
88. სამართებლივი ტერმინი ნახშირი 234
89. რ ბგერა და მისი კომპლექსები 235
90. სლავური როდ-ის პარალელები გეორგიულში 238
91. მეგრ. ლორს-უა „მჭერმეტყველება“,ლერსი; ქართ.
ლექსი, ლოცვა, ალერსი, მეგრ. რაგადი, ბერძნ. ლექსემა//
λέξη ლექს //ლოგო // გერმ. რედე,სლ. რეჩ „სიტყვა“.....240
92. ზ ბგერა და რ + ზ ბგერითი მოვლენები 241
93. გ ბგერა 242
94. გ და კ-ს მეტოქეობა 243
95. სიმაგრის აღნიშვნელი სახელები 246
96. შ ბგერა 249
97. წყლის – დინების, ფოთოლთა და ა. შ ხმაურით
გამოწვეული სახელები 252
შ > ჟ პროცესი ანუ ჟ ბგერის წარმომავლობა.....254
99. ს და შ ხმაბაძვითთა მეტოქეობა 258
100. შ-ს პარალელები რუსულში და ლათინურში 265
101. ხმბ. სუბსტრატი ქართვ. ზმნებში და მისი პარალელები
რუსულში 269
102. ფ ბგერა 272
103. ფა, ფოთოლი, ფალ-უა, ფაზისი, შეშელეთი, უშაფათი,
ფათი, ფურცელი, ფინუა, ფენა, ფორუა, ფარვა,
ფლორა, ფაუნა 273
104. ჰ ბგერა.....275
105 თ ბგერა.....277
106. რთ კომპლექსი 280
107. ქართა, ქართი, ქართველი, საქართველო, კარდი,
კარდუხი, კარტა.....281
კოლხეთი და დიაოხი – ქვეყნის სახელთა ეტიმოლოგია 283
108. სკვითინები, შკვითინები, სკვიმნია, გვიმნია, გვიმი, ნე,
ნია, ნიალვარი, სკვითია, სკვითები 286

110. ჯიხაქვინჯი ჯიხაგური თუ ციხეგოჯი? 289
111. გეორგიული შუმერი და ეგვიპტე 291
ფალაზონი, ალაზონი, ალაზანი, ალაძონიოსი, წასიძე,
კირხემიში, ზღვის ხალხთა ვინაობა, პელაზგები 293
112. პელასგური ტომი ტირენები ანუ იგივე ეტრუსკ-რასენები .295
113. ინდოევროპული მარი-ლი-ს სალ, სოლ და ზღვის
აღმნიშვნელ მარ, მერ, მორ ძირთა წარმომავლობა
და შუმერ ეთნონიმთან კავშირი 297
114. ქართველური გვარ სახელ-სიმღერები და პროტო
შუმერ-ეგვიპტელების ღმერთების სახელთა ვინაობა 302
116. აფხაზურ-მეგრული სიმღერა „რადოვორადა“.....304
117. ეგვიპტური ღმერთი თოთი და სეთი. 303
118. აფხაზურ-მეგრულისიმღერა „ვარადო“.....305
119. მეგრული სიმღერა „ვოისარაიდა“.....306
120. აფხაზურ-მეგრული სიმღერა „ვორადოსივორადა“.....307
121. ზოგადკაცობრიული პრობლემა: მზის რძისა და წყლის
სემასოფონეტიკური კავშირები 308
122. მიმართვები: შეკაცო; სი, კოჩი // სა, კოჩი; ვო, სა ვო,
სი და ვო, სა // ო, შენ 312
123. სვანური სიმღერა „შამარერა“.....313
124. სვანური სიმღერა „შინა ვო რგილ“ 314
მზე ღმერთის ალომორფალური სახელები.....315
126. ქართული სიმღერა „შაუდილო ვო დილო“ 319
127. სვანური სიმღერა „რა შოვ და“ 319
შოუ ნანა.....320
128. მეგრული გვარი „შავდია“ 321
სამარგალოშ ჭიჭე გემი 324
მეგრ. სიმღერა დილაი ვო დილავოდილა ნანა 324
ქართ გვარი აროშიძე და მისამღერი ჰარი-ჰარალე 325
129. კახური სიმღერები – „არალე და ოროველა“ 326
ორა, ჰორა, ჰრა, რიჰო, რიჰოია, ჰოროსი.....328
130. სვანური უორაშ „ლუდი.“ მეგრ. ალადასტური
„ჯიში ვენახისა“ და ოროდონი „ქვასანაყი“ 328
სახელები: ორო, ორდო, დორო, დრო, ლილე, დოროთე
დორა, დორო, თეა, ფეტელავა, დოროფეევი.....329
132. ამონი, ამრა, ამანი, ამონ-რა 332
133. ბორჯღალის ეტიმოლოგია 333
134. მეგრული სიმღერა „ხემ ხვაიე ხვარიელი“ 334
135. სიმღერა „ოჩეშხვედოხვარიელი“ 334
136. მეგრული სიმღერა „ოდა“ 334

137. რა, რე, რი, რომ მზის სახელის აღმნიშვნელ მარცვალთა შებრუნებით მიღებული გვარ-სახელები 335
138. მეგრული სიმღერა "ვო, იო" 338
139. ორანი, ორნა, ჰორა, ჰორაციო, ...339
140. პროტოშუმერ-ეგვიპტელები = პროტო ლაზ-მეგრ-სვან-ქართები 340
141. საიდან იღებს სათავეს სიტყვა ჯადო 349
142. ეგვიპტური კარი და ნახარნა 349
143. ეგვიპტური წარწერა ქვაზე 350
144. ამენხოტეფ მესამეს წარწერა 351
145. შუმერულ-ეგვიპტური დამწერლობის ამოსავლიანობა 353
ქ. ს. ე-დან ამოღებული ასომთავრულის სურათები და იდეო-პიქტოგრამები 377
146. ქიმია, ალქიმია, ექიმი, სკოლა, მათემატიკა, არითმეტიკა, კალენდარი და სხვა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ტერმინთა ეტიმოლოგია 380
147. მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სახელები 381
148. მეგრული ფა, თი // თა სიტყვების მონაწილოებით წარმოქმნილი სახელები 389
149. მარე, მარდი, მარდობა, მადლობა, რიდი, ქმარი, ქომოლი, ქომონჯი, მერე, მერეთი, იმერი, შგ, შუმერი, იბერი 393
150. შა-ქარ-ი // შან–ქარ-ი, ნქირაფა, ხაშუა// ხარშვა, ხაში, ხაშლამა, ...396
151. ნაწი, ნე, ნაღველი, ღვარი, მღვრევა, ძმარწვენი, მარწვენი // მაწონი, კაზლა, სელეგინი, ჯაფა, მუშა 397
152. წა, წამალი, ოლამებუნი, სალბუნი, მალამო 401
153. კა, აკა, კაკა, მათემატიკა, არითმეტიკა, არითმოს 403
კალანდა და კალენდარი 405
154. სკოლა, სკუა // სკუალ, ოსკუ, სკუალა, კარ, ოკარიე, ნგქგთ, ქათამ,// ქოთომ, ნგქგთამ 407
155. სპილენძი, ლინჯი, თუთფერი, მოსინიკები, ხალიბები, კირი, კინა // რკინა, ქიმია, ალქიმია, ექიმი, აქიმი.....409
156. ენათმეცნიერ ალექსანდრე ღლონტის წერილი 413
157. რეცენზიები და მათზე პასუხები: პროფ. კალისტრატე სამუშიას რეცენზია – „შენიშვნები ედემ იზორიას ნაშრომზე „გეორგიული თეორია“ 414
158. დოქტორ რამაზ შენგელიას რეცენზია.....414
159. დოქტორების – ა. არაბული, ვ. შენგელია, ლ. ქაროსანიძეს რეცენზია ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან.....415
160. პასუხი ენათმეცნიერთ 416

161. დოქტორების – ა. ალხაზიშვილი, ი. იმედაძე რეცენზია ფსიქოლოგიის ინსტიტუტიდან....420
პასუხი ფსიქოლოგებს 421
162. რეცენზია ფიზიოლოგია-ბიოლოგიის ინსტიტუტიდან (დოქტორები: ალექსანდრე ქორელი, არჩილ კეზელი, მანანა ნემსაძე, ილია ლაზრიშვილი). 428
163. პასუხი ფიზიოლოგებს....430
164. რეცენზიები და მათზე პასუხების რეზიუმე....445
165. პოლემიკა 447
166. საბოლოო დასკვნა 551
სარჩევი 552

რედაქტორი: მანანა (მაკა) ხვიჩია

კორექტორები: გუგა და ელენე რუხაძეები

კომპიუტერული მომსახურება: რამაზი ჩაჩიბაია, ალექსანდრე არჩაია, ალექსი (ალიკა) იზორია, ალექსი ფირცხელავა, ბერდია გუგუჩია, გია ფირცხელავა, გიგა ლაგვილავა, გიგი რუხაძე, დათო რაფავა, დათო ფირცხელავა, დიტო ჯიბლაძე, ეკა ლატარია, ეკა ჯიქია, თეონა ქებურია, ია იზორია, ირაკლი გუგუჩია, კობა ლაგვილავა, ლაშა თოდუა, ლუკა გუგუჩია, მაია იზორია, მაია ქოჩუა, მაკა ეფრემაშვილი, მაკა იზორია, მთვარისა (ბუტუნა) ქოჩუა, მიხო ლატარია, ნინო ქოჩუა, პაატა თოდუა, სალომე ფირცხელავა, ცირა ლატარია, ხუტა არჩაია, ჯილდა ეხვაია, ჯონი თოდუა.

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიბაშვილის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com